მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ეპარქიების
(საეპისკოპოსოების)
ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში
(ტაო და ლაზიკა)

საქართველოს საპატრიარქოს
ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ეპარქიების
(საეპისკოპოსოების)
ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში
(ტაო და ლაზიკა)

2023 წელი
თბილისი

მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ ნაშრომში „ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა)“ ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლია, რომ სასურველია შეიცვალოს ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოსდა, მე-8 საუკუნემდე ტაო ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული და ქართველები აქ არაბთა შემოსევების დროს ჩასახლდნენ, სინამდვილეში, რაც კვლევიდან ჩანს, სტარბონის, ქსენოფონტესა და სხვა წყაროების შესაბამისად, ტაო თავდაპირველადვე დასახლებული იყო იმ ეთნიკური ქართველებით, რომელთა ასიმილაცია-არმენიზაცია დაიწყო ძვ. წ. მე-2 საუკუნიდან, რაც, სტრაბონის ცნობით, არმენიის მეფეებმა არტაქსიამ და ზარიადრემ დაიპყრეს ქართული ოლქები კარენიტიდა, ქსერქსენე, პარიადრეს მთიანეთი, ხორძენა, გოგარენა (სტრაბონი,11,14,5).

ტაო, ბასიანი და მომიჯნავე ოლქები მათი ნაწილი იყო, აქ მკვიდრი ქართული მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი შედარებით ზედაპირულად მიმდინარეობდა.

მართალია, I და II საუკუნეებში მიტაცებული ქართული მიწა-წყლის ნაწილი უკან დაიბრუნა იბერიის სამეფომ, მაგრამ შემდგომში, კერძოდ არმენიის გაქრისტიანების შემდეგ, უკვე არმენიაში მოქცეული ეს ქართული ოლქები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა სომხურენოვანი ღვთისმსახურებით. ანუ ე.წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილები დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით, რომელთა ადმინისტრაციისა და კულტურულ-საეკლესიო ენას, ვიდრე მე-8 ს. შუა წლებამდე, წარმოადგენდა სომხური ენა. გადაგვარების გზაზე მდგომი ქართველობა ეროვნულად გამოფხიზლდა და ეროვნულ-საეკლესიო იდენტობა აღიდგინა 726 წლის მანასკერტის სომხური საეკლესიო კრების შემდეგ, რომელმაც ანათემას გადასცა ქალკედონიტები, შესაბამისად, ტაოს მკვიდრი მოსახლეობა. ის, ასეთი ვითარების გამო, „ანტიოქიური ქრონოგრაფისა“ და სხვა ცნობებით 750-იან წლებში სრულებით გამოეყო სომხურ ეკლესიას და დაუბრუნდა დედაქართული ეკლესიის წიაღს. აქაურ ეთნიკურ ქართველებს ამჟამად არასწორად უწოდებენ „სომეხ-ქალკედონიტებს“ მაშინ, როცა ისინი, მათივე წიაღიდან გამოსული წყაროების თანახმად, თავიანთ თავს უწოდებდნენ „ნათესავით ქართველებს“. მხოლოდ მე-20 საუკუნეში უწოდეს ამ ქართველებს „სომეხი ქალკედონიტები“, რაც არასწორია. წიგნში ეს და სხვა მრავალი საეკლესიო საკითხია განხილული.

გამოცემა დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ.

რედაქტორი: **თ. ჯაფარიძე**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ლ. მოსეშვილი**

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ISBN 978-9941-8-6332-5

შესავალი

ტაოს, იბერიის თემისა და ლაზიკის საეპისკოპოსოთა იურისდიქცია ერთმანეთთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ტაოს სამეფოს გაუქმების შემდგომ დაარსებული „იბერიის თემისა“ და მიმდებარე რეგიონების ქართული საეპისკოპოსოები ბიზანტიის იმპერიამ მე-11 საუკუნეში შეიყვანა ლაზიკის ეპარქიაში.

დაახლოებით მე-11 საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ ყოფილი ტაოს სამეფოს მიწა-წყალზე დააარსა თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემი“, ამავე საუკუნეების 40-იან წლებში მას შეუერთა გაუქმებული ანისის სამეფოს მიწა-წყალი.

ამ ვრცელ ოლქს საქართველოში ზოგჯერ „აღმოსავლეთს“ უწოდებდნენ, რომელზეც უამრავი ქართული საეპისკოპოსო არსებობდა, მათ შორის იბერიის თემის დედაქალაქებში – თეოდოსოპოლისსა (არზრუმი) და ანისში.

ბიზანტიის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობისა და იბერიის თემის დაარსების შემდეგ ქართველი მღვდელმთავრები, მათ შორის კი განსაკუთრებით ზაქარია ვალაშკერტელი, ძალზე ცდილობდნენ როგორმე ქართულენოვნება შეენარჩუნებინათ აქაურ ეკლესიებში, მაგრამ თანდათანობით ბიზანტიამ ისინი შეიყვანა ლაზიკის ეპარქიაში და მათთვის დაინერგა ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება.

იბერიის თემის ამ საეპისკოპოსოთა მრევლს ამჟამად სომეხ-ქალკედონიტებს უწოდებენ, მაგრამ ნაშრომში ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ისინი (ე.წ. „სომეხი ქალკედონიტები“) ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ქართველები, რომლებიც ე.წ. „დიდ არმენიაში“ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ უძველესი ეპოქებიდანვე.

ამ მხარეებში, რომელთაც სტარბონი უწოდებს პარიადრეს კალთებს, ხორძენასა და გოგარენას, ჯერ კიდევ არმენიელების შემოსვლამდე ქართველობა მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდა, ხოლო უფრო ადრე, აქემენიდების ეპოქაში, ისინი (ქართული ტომები), მე-18 და მე-19 სატრაპიებში ცხოვრობდნენ.

სტრაბონი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ძვ.წ. მე-2 საუკუნეში არმენიის მეფეებმა დაიპყრეს იბერების ოლქები, ქართული ტომების მიწა-წყალი (აღნიშნული პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა, ასევე კარენიტიდა და ქსერქსენე) დაიწყო მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია (სტრაბონი, 11,14,5).

შემდეგ, კერძოდ, I-II საუკუნეებში ეს ოლქები უკანვე დაუბრუნებია იბერიის სამეფოს, მაგრამ შემდგომ კვლავაც სომხეთის შემადგენლობაში აღმოჩენილა, რაც გრძელდებოდა შემდეგაც, ამის გამო უკვე არმენიის შემადგენლობაში აღმოჩენილ ქართველთა ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით არზრუმის ოლქში (სტრაბონის კარენიტიდა), ტაოსა და ბასიანსა და მიმდგომ უკვე „არმენიულ“ მხარეებში მკვიდრი ქართული ანუ იბერიული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა. არმენიზაციის პროცესმა სტარაბონის მიერ ნახსენე-

ბი დაპყრობილი იბერიული და ზოგადად ქართული ოლქების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მთლიანად შეუცვალა ეთნიკურ-ეროვნული თვითშემეცნება (მაგ., არმენოხალიბები), მხოლოდ მცირე ნაწილი ტაოს და ბასიანსა და მომიჯნავე ოლქებში (თეოდოსიპოლის-ავანამდე) გარკვეულწილად შედარებით ინარჩუნებდნენ ხსოვნას თავიანთი ქართული წარმოშობის შესახებ, მაგრამ იყო დიდი გამონაკლისი, მაგალითად, ტაოსა და აღნიშნულ ე.წ. არმენიის იბერიული ზოლის (აღნიშნული თეოდოსიოპოლისიდან ვიდრე ავანამდე) მკვიდრი მოსახლეობა, განსაკუთრებით ტაოში, არა თუ მკაფიოდ ინარჩუნებდა ქართულ თვითშემეცნებას, პირიქით, ელოდა პოლიტიკურ-რელიგიური შესაბამისი მომენტის დადგომას, რათა დაუფარავად განეცხადებინა ეროვნულ-ქართული ვინაობის თვითგამორკვევა და რელიგიური გათავისუფლება სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან.

როგორც ითქვა, არმენიის იბერიის ხალხის ქვეყნების დაპყრობის გამო არმენიზაციის პროცესში შესული იბერების ადმინისტრაციული და საეკლესიო ენა სომხური იყო მე-8 საუკუნის შუა წლებამდე.

არმენიის იბერი სასულიერო პირების განათლების ენაც, ცხადია, სომხური იყო, ანუ აქაური, ეთნიკურად ქართველი, სასულიერო პირები სომხურად იღებდნენ სასულიერო განათლებას და ეკლესიებშიც სომხურ ენაზე აღავლენდნენ წირვა-ლოცვას (მაგალითად, კირიონ I კათალიკოსი მცხეთის ტახტზე ასვლამდე, არმენიის მთავარ ტაძრებში, სომხურ ენაზე აღავლენდა ლოცვებს).

ასე გაგრძელდა მე-8 საუკუნის შუა წლებამდე, მათი ანუ არმენიაში მცხოვრები იბერების ეროვნული გამოფხიზლების ნიშანსვეტად იქცა 726 წლის სომხური ეკლესიის მანასკერტის საეკლესიო კრება.

ამ სომხურმა კრებამ ანათემას გადასცა და მკაცრი წყევლითა და სხვადასხვა ამკრძალავი ადმინისტაცული სასჯელებით დასაჯა არმენიაში მცხოვრები ქალკედონიტები და სომხური ეკლესიისა და სომეხი ხალხის ერთადერთ სარწმუნოებად მონოფიზიტობა გამოაცხადა, რომელსაც ამჟამად მიაფიზიტობას უწოდებენ.

სინამდვილეში კი ეს იყო იგივე წყევლა ქართველთა მიმართ, რაც ერთი საუკუნით ადრე იკადრა სომეხთა პატრიარქმა აბრაამმა, დაახლოებით 608 წელს, როდესაც მან სომხებს აუკრძალა ქალკედონურ ქართულ ეკლესიებში ლოცვა და აკრძალა ქართველებთან სომხების რაიმე ურთიერთობა ვაჭრობის გარდა.

ახლა, უკვე, ერთი საუკუნის შემდეგ, 726 წელს ანათემას გადაცემული ქალკედონიტები რეალურად ნიშნავდა ტაოელებისა და მიმდგომი ოლქების იბერების დაწყევლასა და მათ მიმართ სხვადასხვა აკრძალვას, რადგანაც ტაოელები და მიმდგომი ოლქების ქართველები მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ.

ამ პროცესმა, როგორც ითქვა, გამოაფხიზლა არმენიის იბერები, მათი უკმაყოფილების ცენტრად გადაიქცა ტაო, სადაც მათი დიდი ნაწილი ცხოვრობდა.

ამის გამო არმენიის ქართველმა ქრისტიანებმა გადაწყვიტეს ეკლესიურად გამოყოფოდნენ უკვე მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და საეკლესიო კავშირი დაემყარებინათ ქალკედონურ ანტიოქიის ეკლესიასთან.

საქმე ის იყო, რომ ამ მხარეებში იქამდეც ანტიოქიას გააჩნდა თავისი საეპისკოპოსოები, რაც განხილულია ქვემოთ. ასევე აღსანიშნავია, რომ მათ (ტაოელ ქართველებს) იმჟამად არ შეეძლოთ იერარქიული კავშირი დაემყარებინათ მცხეთის საკათალიკოსოსთან, რადგანაც არაბობის გამო, როგორც მემატიანე ამბობს, „გარყვნილ იყო საყოფელად მცხეთა“ ანუ მცხეთა საცხოვრებლად უვარგისი იყო, რადგანაც არაბებმა დაანგრიეს.

ამის გამო ქართლის მეფე-მთავრებმა სტეფანოზმა და მისმა ძეებმა არჩილმა და მირმა თავი ეგრისს შეაფარეს, ჩანს, მცხეთელმა კათალიკოსმაც დატოვა მცხეთა და თავი ჯავახეთს შეაფარა, ყოველ შემთხვევაში, მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ დროს ქართველთა საეკლესიო კრებები ტარდებოდა არა მცხეთაში, არამედ ჯავახეთში, ღრტილასა და სხვა პუნქტებში, გრიგოლ ხანძთელის დროსაც ასეთი კრება ჯავახეთში შედგა, რომელსაც თვითონ ესწრებოდა ეს წმიდა მამა.

მეორე მხრივ, მოღწეულია საბუთი, ე.წ. ანტიოქიური ქრონოგრაფი, რომლიდანაც ჩანს, რომ მე-8 საუკუნის შუა წლებში ანტიოქიაში ჩავიდნენ იბერიელი ბერები, რომელნიც ენობრივ საკითხს შეეხნენ, რომ იდევნებოდა მათი მშობლიური ენა (იკრძალებოდა ეკლესიებში მათი მშობლიური ანუ ქართული ენა) და ითხოვეს ივერიის (ტაოს ეკლესიის) ანტიოქიურ საეკლესიო იურისდიქციაში შეყვანა, ანუ ანტიოქიის მიერ დამტკიცება მათი თხოვნისა, რომ გამოსულიყვნენ სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და მის ნაცვლად შესულიყვნენ ანტიოქიურში ავტოკეფალიის ნიშნით. მართლაც, მოღწეული საბუთებით, რომელნიც ქვემოთაა განხილული, ანტიოქიის პატრიარქმა ხელი დაასხა ივერიის ანუ ტაოს კათალიკოსს სომეხი პატრიარქის ნაცვლად, ანუ ტაო ეკლესიურად ოფიციალურად გამოვიდა სომხური ეკლესიის წიაღიდან და დაუბრუნდა მსოფლიო ეკლესიის წიაღს.

ისინი (ანუ არმენიის მკვიდრი ქართველობა), თავდაპირველად, IV-VII საუკუნეებში სომხური საკათალიკოსოს იურისდიქციაში შეიყვანეს, მაგრამ შეძლეს მისგან გათავისუფლება ანტიოქიის საპტრიარქოს დახმარებით მე-8 ს. შუა წლებში.

მას შეიძლება ვუწოდოთ ტაოს „იბერთა საკათალიკოსო“. ტაოს იბერთა საკათალიკოსო ჩამოყალიბდა VIII ს. შუა წლებში (750-იანი წლებისათვის) და გაუქმდა ბასილი II-ის ივერიაში შეჭრის გამო დაახლოებით 1025 წლისათვის.

სომხურ იურისდიქციაში ყოფნისას IV-VII სს. მიმდინარეობდა ტაოს ძლიერი არმენიზაცია, მაგრამ ტაოელებმა შეძლეს ეროვნული ვინაობის შენარჩუნება, რაც საბოლოოდ გადაიქცა მათი გათავისუფლების საფუძვლად სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და ასევე სომხური პოლიტიკური სფეროდან, რაც ეროვნული „ქართველთა სამეფოს“ დაარსებით დასრულდა. ამ სამეფოს ცენტრი ტაო იყო.

ტაოს სამეფოში სხვადასხვა წყარო (ასოღიკი, იაჰია ანტიოქიელი) ტაოს მეფის კარზე ასახელებს ადგილობრივ კათალიკოსსა და პატრიარქს. მოღწე-

ულია კიდეც პარხლის ეკლესიის წარწერა, რომელშიც მოხსენიებული არის იოანე ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი. როგორც ცნობილია, ტაოს სამეფოს „ქართველთა სამეფო“ ერქვა, ხოლო ქვეყანას – ქართლი.

ჯერ კიდევ 1906 წელს პეტერბურგში გამართულ საეკლესიო კრების წინამოსამზადებელ თათბირზე ქართველმა მღდელმთავარმა კირიონმა წარადგინა მოხსენება, რომელშიც გამოკვლეული იყო, რომ ჩვენთვის საინტრესო ეპოქაში, ანუ მე-8 - მე-11 საუკუნეებში „ქართლი“ (ივერია) ეწოდებოდა არა მხოლოდ მცხეთის ქვეყანას, არამედ ასევე ტაოს სამეფოს მიწა-წყალს,

ტერმინით „ივერია“ უცხოელები მოიხსენებდნენ არა მხოლოდ მცხეთის ქვეყანას, არამედ ტაოს ქვეყანასა და მის რეგიონს.

ანუ კავკასიაში არსებობდა ორი ივერია. პირობითად მათ შეიძლება ვუწოდოთ მცხეთის ივერია და ტაოს ივერია.

წმ. კირიონის მტკიცებით ამ ორივე ივერიას გააჩნდათ საკუთარი ავტკეფალური ეკლესიები პირველიერარქებით, კათალიკოსებითა და პატრიარქებით.

ორივე ამ ივერიის ეკლესიათა ავტოკეფალობის დამადასტურებელი დოკუმენტები ერთმანეთში აირია დროთა განმავლობაში, რამაც მკლევართა დაბნეულობა გამოიწვია.

კირიონის მოსაზრებით მცხეთის ივერიის ეკლესია თავდაპირველადვე იყო ავტოკეფალური და მირონიც ძველთაგანვე საკუთარი გააჩნდა, ხოლო ტაოს ივერიის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა მე-8 საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოს სინოდის დადგენილებით, რომლის შესახებაც ცნობები აქვს ეფრემ მცირეს, ნიკონ შავმთელს და სხვებს.

ანტიოქიის მიერ ტაოს ივერიის ეკლესიისათვის მინიჭებული ავტოკეფალია სრული არ ყოფილა. კერძოდ, ტაოს ივერიის ეკლესია ვალდებული იყო წმინდა მირონი შეეძინა ანტიოქიასა და იერუსალიმში, შემდგომ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს ეფრემს მირონის კურთხევის უფლება მოუპოვებია ადგილზევე (ანუ ტაოს ივერიაში, ტაოს ქართლში), მცხეთის ივერიაში კი წმიდა მირონი სვეტიცხოვლის ფესოდან გამოედინებოდა, რომელსაც ურევდნენ მე-5 საუკუნეშივე არჩილ I მეფის მიერ დაწესებულ მირონის კურთხევის ცერემონიალის დროს მოხარშულ მირონში.

მირონის კურთხევის დოკუმენტში ნათქვამია:

„დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეფისკოპოსთა ცილობისაგან და ღმრთივ-გვირგვინოსანმა მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად. და გვიბრძანა გაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და ხელ-ვყავით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმიდაი მირონი...“

დოკუმენტში მოხსენებულია მეფე არჩილი და კათალიკოსი მიქაელი. პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიერ გამოცემული სიის თანახმად, საქართველოს XV საუკუნემდე სულ ორი არჩილი ჰყავდა მეფედ – არჩილ I (410-434), პაპა ვახტანგ გორგასლისა და არჩილ II (668-718 წწ.). ამ პერიოდში ჩნდება ორი კათალიკოსი ერთი და იგივე სახელით მიქაელი: მიქაელ I (459-467 წწ.), რომელმაც ვახტანგ გორგასალს კბილები ჩაუმტვრია და მიქაელ II (774-780 წწ.). მართალია, აღნიშნულ სიაში დადასტურებული მეფობის თარი-

ღები მიახლოებითია, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ჯერ არჩილ I მეფობს, შემდეგ კათალიკოსობს მიქაელ I, ასევე არჩილ II-ის მოღვაწეობის წლები უსწრებს მიქაელ II-ის კათალიკოსობის თარიღს. დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „მირონის კურთხევის წესი“, მეფე არჩილი დავალებას აძლევს საეკლესიო პირს მიქაელს, შეადგინოს მირონის კურთხევის განგება, რასაც მიქაელი გარკვეული დროის შემდეგ ასრულებს. ის იძიებს, ირკვევს მირონის კურთხევის წესს და ადგენს განგებას მირონის კურთხევის ძველი „ნიშნის“ შესაბამისად, ხოლო დოკუმენტის გამოცემის დროს ის უკვე კათალიკოსია.

ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში მირონის კურთხევა სახელმწიფო ცერემონიათა რიგს განეკუთვნებოდა უკვე მე-5 საუკუნის დასაწყისიდან, ამიტომაც მცხეთის კათალიკოსს აღარ ესაჭიროებოდა სხვა ეკლესიებისაგან ნებართვის მიღება, არამედ, მირონის კურთხევის ნებართვა მოიპოვა სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან თავდახსნილმა ტაო-ბასიანის კათალიკოსმა.

ბუნებრივია, რადგანაც ტაოს ივერიაში არსებობდა ადგილობრივი საკათალიკოსო მე-8 ს. შუა წლებიდან, შესაბამისად, მას მრავალი ქართული საეპისკოპოსო ჰყავდა თავის იურისდიქციაში, კერძოდ, ვალაშკერტის საეპისკოპოსო, ანისის საეპისკოპოსო, კარის საეპისკოპოსო, დადაშენის საეპისკოპოსო, იშხანის საეპისკოპოსო, ბანას საეპისკოპოსო, არზრუმის საეპისკოპოსო და სხვანი.

ყოველივე აღნიშნული საკითხი შეეხებოდა ტაოს. მაგრამ სულ სხვაა კლარჯეთის საეკლესიო საკითხი, რადგანაც კლარჯეთი ქართული სახელმწიფოებრივი სისტემის ნაწილად რჩებოდა რთულ პერიოდებშიც, ტაო კი, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, სომხური სახელმწიფოებრივი სისტემის ნაწილი გახდა მე-8 ს. შუა წლებამდე.

ტაო თვით ვახტანგ გორგასლის დროსაც მის სამეფოში არ შედიოდა, რადგანაც მის საერისთავოთა ჩამონათვალში არ შედის ტაო, ხოლო კლარჯეთი მუდამ ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა, მაშასადამე, კლარჯეთი მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალ ქვეყნად რჩებოდა, ტაო კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ვიდრე მე-8 ს. შუა წლებამდე.

ამ საუკუნეში მან (ტაოს ივერიის ეკლესიამ) ავტოკეფალია მე-8 ს. შუა წლებში მოიპოვა ანტიოქიისაგან, ამას აღნიშნავს ეფრემ მცირეს წყარო.

ტაოს ერქვა ოფიციალური სახელი – „ივერია“. ისაა ე.წ. არმენიის ივერია, რომელიც ტაოს გარდა ზოგიერთ მეზობელ ოლქსაც მოიცავდა.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, მცხეთის ივერიის ეკლესია ავტოკეფალური იყო თავდაპირველადვე, ანუ მოციქულთა ეპოქიდანვე, და მირონიც ადგილობრივ ჰქონდა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ხოლო ტაოს ივერიის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა მე-8 საუკუნის შუა წლებში ანტიოქიისაგან და ვალდებული იყო, მირონიც იქვე შეეძინა, ანტიოქია-იერუსალიმში, რისთვისაც 1000 კომლის გადასახადს იხდიდა. შემდგომში მისი ავტოკეფალია უფრო სრული გახდა.

რაც შეეხება კლარჯეთს, ეს ქვეყანა მე-9 საუკუნემდე მიიჩნეოდა არა „ტაოს ივერიის“ ნაწილად, არამედ „მცხეთის ივერიის (ქართლის)“ ნაწილად.

კლარჯეთში ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს დაუარსებია საეპისკოპოსო ცენტრი რამდენიმე მონასტერთან ერთად. კერძოდ, მის საეპისკოპოსოთა სიაში პირველ ნომრადაა ჩაწერილი „ახიზის საეპიკოპოსო კლარჯეთში“, ხოლო ტაოში ვახტანგი საეპისკოპოსოს ვერ დააარსებდა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

ეს იმას ნიშნავს, ვითარცა სომხურ და ბერძნულ ეკლესიებს ჰქონდათ რამდენიმე დამოუკიდებელი საკათალიკოსო (საპატრიარქო) ერთეული, მსგავსადვე საქართველოს ეკლესიასაც გააჩნდა რამდენიმე საკათალიკოსო, კერძოდ, ქართული ეკლესიის საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქები იყო – 1. მცხეთის საკათალიკოსო, 2. აფხაზეთის საკათალიკოსო, 3. ტაოს ივერიის საკათალიკოსო, რომელიც მე-11 ს. დასაწყისში გაუქმდა ბასილი კეისრის მიერ ტაოს „ქართველთა სამეფოს“ მიწა-წყლის დაპყრობის შემდეგ. ხოლო ქართველთა სამეფოს ადგილზე ჩამოყალიბებული იბერიის თემის სამრევლოები კონსტანტინოპოლმა დაუქვემდებარა ლაზიკის ეპარქიას, 4. ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელიც თემურ ლენგის ლაშქრობამდე არსებობდა.

ზოგადად ტაოს ივერიას ჯერ კიდევ იბერიის თემის დაარსებამდე უწოდებდნენ „აღმოსავლეთს“ (ანუ ბიზანტიის იმჟამინდელი იმპერიის აღმოსავლური მიწა-წყალი, მოიაზრებოდა ანატოლიის ნაწილად). აქ უფრო იგულისხმებოდა ის მიწა-წყალი რომელიც შემდგომ მოიცვა იბერიის თემმა, კერძოდ, როგორც ცნობილია, ტაოს სამეფო ვანის ტბამდე აღწევდა, ხოლო იბერიის თემი უფრო აღმოსავლეთით იყო განფენილი ანისის მიმართულებით, იბერიის თემსაც ზოგჯერ უწოდებდნენ აღმოსავლეთს.

როგორც აღინიშნა, ეს ქართული საეპისკოპოსოები იბერიის თემის დაარსების შემდეგ აღმოჩნდა კოსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ისინი შეიყვანა ლაზიკის ეპარქიის შემადგენლობაში.

ნაშრომში მრავალი პარაგრაფი ეძღვნება მტკიცებას იმისა, თუ როგორ ცდილობდა ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია ვალაშკერტელი როგორმე შეენარჩუნებინა ბიზანტიურ იურისდიქციაში გადასულ ქართულ ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის უფლება, მაგრამ ამაოდ. იბერიის თემის ყველა ყოფილ ქართულ ეკლესია-მონასტერში XI ს-ის 30-50-იანი წლებიდან დაინერგა ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება, გარდა ერთეული ლავრებისა, მაგალითად, ოშკში ქართულენოვნება არ შეუზღუდავთ.

მათ გარდა დაარსებულ იქნა სხვა ბერძნულენოვანი საეპისკოპოსო ცენტრები (ივერიის თემში), რომელნიც ჩამოთვლილნი არიან იმ ნოტიციებში, რომელიც შეეხება ლაზიკის ეპარქიას, მათი რიცხვი იყო საკმაოდ დიდი და მრავალი და მათ ახლა ამჟამად არასწორად უწოდებენ „სომხურ ქალკედონურ კათედრებს“, ამის მიზეზი არის შემდეგი:

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების რუსულ ენაზე გამოცემის დროს ნიკო მარმა გაავრცელა არასწორი თეორია, რომლის მიხედვით, ტაო თავდაპირ-

ველად დასახლებული იყო სომხური მოსახლეობით და მხოლოდ არაბობის დროს თითქოს ტაოში ჩასახლდა ქართული მოსახლეობა ქართლიდან მე-9 საუკუნიდან.

ამ არასწორ თეორიაზე დაყრდნობით შემუშავდა მეორე ასევე არასწორი თეორია, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, ტაოს მკვიდრი სომხური მოსახლეობა „გაქართველდა“ იქ მე-9 საუკუნიდან ჩასახლებული ქართველების სარწმუნოების (ქალკედონიტობის) გათავისების შემდეგ. ამ თეორიით ტაოელები თითქოსდა არიან „ქალკედონიტი სომხები“.

ანუ, თითქოსდა, ქართული მოსახლეობისა და საქართველოს ეკლესიის ძალისხმევით მოხდა ტაოელი სომხების გაქართველება.

შესაბამისად, მიიჩნევა, რომ იქაური ეკლესია-მონასტრები აგებულია ეთნიკური სომხების მიერ, ხოლო იქაური მოსახლეობის კულტურა არის ეთნიკური სომხების კულტურა. ხოლო მათი საეპისკოპოსოები იწოდებიან „სომხურ ქალკედონურ კათედრებად“.

ჩვენი კვლევით კი, ტაოში ქართული მოსახლეობა არ ჩასახლებულა არც მე-9 საუკუნიდან და არც იქამდე, რადგანაც ტაოელები იყვნენ იქაური მკვიდრი ქართველები იქ მცხოვრებნი ჯერ კიდევ ტაოხების ეპოქიდან. მართალია, ტაო მე-6 და მე-7 საუკუნეებში, ჩვენთვის საინტერესო საეპისკოპოსათა ჩამოყალიბების პერიოდში, შედიოდა არმენიის შემადგენლობაში, მაგრამ, ამ დროსაც, როგორც ითქვა, უძველესი ხანიდან, ის დასახლებულია ეთნიკური ქართველებით, რომელთა ქვეყანა დაპყრობილი იყო არმენიის მიერ.

სტარბონის ცნობიდან გამომდინარე, არმენიის მიერ დაპყრობილი იყო არა მხოლოდ ტაო (მას კარენიტიდას უწოდებს სტრაბონი), არამედ მისი მეზობელი სხვა იბერიული ოლქები, ისინი დაპყრობის შემდეგ შეიყვანეს ე.წ. დიდი და მცირე არმენიების შემადგენლობაში.

ჩვენ მრავალჯერ ვიმეორებთ სტრაბონის ამ ცნობას, რადგანაც მე-19 და მე-20 საუკუნეებში მიზანმიმართულად ხდებოდა ამ შესანიშნავი ცნობის უგულებელყოფა და მიფუჩეჩება, დაინტერესებული სომეხი და რუსი მკვლევრები გაცილებით ენერგიულნი, შრომისმოყვარენი და გავლენიანები იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე ქართველები, რომელთა ხმა არც ისმოდა და არც ისმის.

ე. წ. დიდ არმენიაში მკვიდრი იბერიული მოსახლეობის საცხოვრის მიწა-წყალს სტრაბონი, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, უწოდებს „პარიადრეს კალთები, ხორძენა, გოგარენა, კარენიტიდა და ქსერქსენე“.

ეს ოლქები არმენიზებული ქართველების განსახლების მიწა-წყალს შეადგენდა ე.წ. დიდ და მცირე არემნიებში. მათ შორის საინტერესოა კარენიტიდა, მის მთავარ ქალაქს ქართული წყაროები „კარნუ ქალაქს“ უწოდებდნენ, ეს იყო შემდგომი ბიზანტიური თეოდოლიოპოლისი, ანუ არზრუმი. იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი საგანგებოდ რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი (თეოდოსიოპოლი), მისი ქვეყანა და იქაური ხალხი, ძლიერ უყვარდათ ქართველებს და მუდამ იცავდნენ ბიზანტიელთა აგრესიისაგან (იხ. ქვემოთ), ეს იყო სიყვარული საკუთარი ხალხის მიმართ.

კარენიტიდა, როგორც ითქვა, სტრაბონის ცნობით იყო ქალდების მიწა-წყალი, შესაბამისად, დასახლებული ქალდებით, ანუ ქალდუელებით, ქართუელებით. ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქართუელი“ მომდინარეობს სიტყვა „ქალდუელისაგან“.

ტაო ნაწილი იყო კარენიტიდას ქვეყნისა. ის, მომიჯნავე იბერიულ ოლქებთან ერთად, სტრაბონისავე ცნობით დაიპყრეს არმენიის მეფეებმა არტაქსიამ და ზარიადრემ ქრისტეს შობამდე მე-2 საუკუნეში, კერძოდ, ეს დაპყრობილი ივერიული ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა კარენიტიდასთან ერთად შეიყვანეს დიდი არმენიის შემადგენლობაში, სადაც თვით სტრაბონისავე სიტყვით, მიმდინარეობდა მკვიდრი მოსახლეობის არმენიზაცია. ეს ნიშნავს რომ იქაური მკვიდრი ქართველობა იდგა დენაციონალიზაციის ანუ არმენიზაციის გზაზე, იმდენად, რომ სტრაბონის დროს მთელ ამ ოლქებში სომხურენოვნება იყო გავრცელებული.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, არმენიის მიერ დაპყრობილი ყოფილი ქართული მიწა-წყალი განფენილი იყო ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე პარიადრეს მთიანეთიდან ვიდრე გოგარენას ჩათვლით (ამჟამად მიიჩნევა, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები გოგარენა არის გუგარქი ანუ პროვინცია სევანის ტბიდან თითქმის ამჟამინდელ ერევნამდე და მტკვრამდე). ეს არის ეგრეთ წოდებული დიდი არმენიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ცნობილი მეცნიერი ნიკოლოზ ადონცი დიდი არმენიის ამ ნაწილს უწოდებდა „არმენიის იბერიულ ზოლს“ და მიიჩნევდა, რომ ეს იყო არმენიზებული იბერების საცხოვრისი, ესე იგი, ესაა არმენიის მთიანი მხარეები, სადაც ამ გეოგრაფიული გარემოს სირთულის გამო ქართველთა არმენიზაციის პროცესი შედარებით შენელებული იყო.

კვლავ გავიმეოროთ, რომ არმენიის გაქრისტიანების შემდგომ არმენიის იბერიული ზოლის მოსახლეობა, იგულისხმება ტაოსა და მიმდებარე ქართული მოსახლეობა შეიყვანეს სომხური ეკლესიის იურისდიქციაში. ასე გრძელდებოდა ვიდრე მერვე საუკუნემდე.

მე-6 საუკუნეში არმენიის იბერიული ზოლის მოსახლეობა, ანუ მკვიდრი ქართველობა, მიემხრო ქალკედონურ აღმსარებლობას, ხოლო სომხეთის ძირითადი მოსახლეობა, ანუ ეთნიკური სომხები, უმეტესად იყვნენ მონოფიზიტები ანუ მიაფიზიტები.

726 წელს შედგა მანასკერტის სომხური საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ არმენიაში ერთადერთი სარწმუნოება მონოფიზიტობა უნდა ყოფილიყო. ამ დროს, როგორც ითქვა, ქართველი ქალკედონიტებით მასობრივად დასახლებული ტაო და სხვა ქართული ოლქები იმჟამად არმენიაში შედიოდა.

726 წლის ამ კრების ძალით არმენიაში იგმობოდა ქალკედონიტობა, უფრო მეტიც, კრებამ ანათემას გადასცა ქალკედონიტები, რაც ტაოელებმა მიიღეს როგორც მათი დაწყევლა, მსგავსი 608 წლის წყევლისა (საუკუნით ადრე არმენიის პატრიარქმა აბრაამმა 608 წელს საჯაროდ დაწყევლა ქართველები და თავის მრგვლადმოსავლელ ეპისტოლეებით გამოაქვეყნა).

726 წლის დადგენილებამ ძალიან გააღიზიანა სომხეთის იბერული ზოლის ქართველობა, რადგანაც ისინი მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ, არ გაიზიარეს, არ მიიღეს და არ აღასრულეს 726 წლის სომხური ეკლესიის დადგენილება, რომ არმენიის ყველა ქრისტიანი მონოფიზიტი უნდა ყოფილიყო, პირიქით, მათში (ტაოელებში და არმენიის მკვიდრ ქართველებში) დაიწყო სარწმუნოებრივი დუღილი, რომელიც გაგრძელდა მრავალი ათეული წელი. ტაოელმა ქართველებმა გადაწყვიტეს საერთოდ გამოყოფოდნენ მათთვის უკვე მწვალებლურ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას ანტიოქიის საპატრიარქოს დახმარებით. ამისათვის ტაოს იბერიიდან ანტიოქიაში გაიგზავნა სასულიერო პირთა დელეგაცია, რომელმაც საჩივრით მიმართა ანტიოქიის საპატრიარქოს წმიდა სინოდს. ამ უკანასკნელმა მიიღო დადგენილება ეცნო იბერიის (ანუ ტაოს იბერიის) საეკლესიო თავისთავადობა და იქ გაბატონებული სომხურ ენის ნაცლად ღვთისმსახურება აღევლინათ მშობლიურ ენაზე. ამ ცნობას იძლევა მიქაელ ბრეკი, ანტიოქიური ქრონოგრაფი, ეფრემ მცირე, ნიკონ შავმთელი და სხვა წყაროები. ანუ ანტიოქიამ 750-იან წლებში ცნო არა მცხეთის იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია, არამედ არასრული ავტოკეფალია მიანიჭა ტაოს ეკლესიას, ეს უკანასკნელი დაავალდებულა, რომ წმიდა მირონი ეყიდა ანტიოქია-იერუსალიმში და ამავე დროს მოეხსენებინა ლოცვების დროს ანტიოქიის პატრიარქის სახელი, ასევე მიეღო სასულიერო ზედამხედველი განსაკუთრებულ შემთხვევაში. რაც შეეხება მცხეთის ივერიის ეკლესიას, ის თავისთავადი და ავტოკეფალური იყო უკვე მოციქულთა დროიდან და წმიდა მირონიც საკუთრად გააჩნდა.

ჩვენი ვარაუდით, 780 წელს ტაოში შედგა კრება, რომელმაც დაადგინა, რათა არმენიის ქართველობა სრულიად გაშორებოდა სომხური ეკლესიის წიაღს და ეკლესიებში სომხური ენის ნაცვლად ქართულენოვანი ღვთისმსახურება დაენერგა, შესაბამისად, ეს წელი მიღებულ იქნა ქართული წელთაღრიცხვის დასაწყისად.

ამის შემდგომ არმენიის იბერიული ზოლის ქართველობა განშორდა სომხური ეკლესიის წიაღს. როგორც ითქვა, იქამდე მათ გააგზავნეს კიდეც ანტიოქიაში თავიანთი წარმომადგენლები, მოითხოვეს აღიარება თავიანთი ეკლესიის ავტოკეფალიისა და ანუ აღიარება სომხური ეკლესიისაგან განთავისუფლებისა.

ასე რომ, ამჟამინდელი მტკიცება, თითქოსდა ტაოში გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ჩასახლდნენ ქართველები არ შეესაბამება სტრაბონის ცნობებს და სხვა მონაცემებს. იქაური ქართველობა იყო არა ე.წ. „სომეხი ქალკედონიტები“, არამედ ის ეთნიკური ქართველები, რომლებიც აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ.

ამჟამად წერენ კიდეც, რომ აღნიშნული ეგრეთწოდებული სომეხი ქალკედონიტები თავიანთ თავს არასდროს უწოდებდნენ „სომხებს“, მათი თვითსახელწოდება იყო „ივერი“ ან „ქართველი“, რადგანაც ისინი სინამდვილეში ეთნიკური ქართველები იყვნენ.

ტაოს ქართველობა, მაშინაც კი, როდესაც მათი სამრევლოები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მე-8 საუკუნის შუა წლებამდე, სარწ-

მუნოებრივად მუდამ ქალკედონიტი და ეთნიკურად იბერი იყო და ელოდნენ თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებას და სულიერ გამოღვიძებას, ანუ ეროვნულ-ეკლესიური სუვერენიტეტის დაბრუნებას.

სუვერენიტეტის დაკარგვის IV-VII საუკუნეებში მრავალათასობით აქაური (ტაო-თეოდოსიოპოლისელ-ბასიანელი და სხვა) ქართველი გახდა სომხური ეკლესიის წევრი და გადაგვარდა, ისევე, როგორც ალბანელი ხალხის ნაწილი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ გასომხდა. ყველას მათ „სარწმუნოებით სომეხს“ უწოდებდნენ.

ტაოს ეროვნული გამოღვიძების შემდგომ ანუ მე-8 საუკუნიდან თითქმის მე-11 საუკუნემდე მრავალი ასეთი ეთნიკური ქართველი, ხოლო სარწმუნოებით სომეხი უბრუნდებოდა ქართული ეკლესიის წიაღს ხელახალი მონათვლის შედეგად. ერთი ასეთი ყოფილა მაგალითად წყაროებში ცნობილი გვირპელი, რომელიც „სარწმუნოებით სომეხი“, ანუ მონოფიზიტი იყო და მოინათლა, რადგანაც ეთნიკური ქართველი იყო და დაუბრუნდა მშობლიური ეკლესიის წიაღს.

როგორც ითქვა, XI ს-ში იბერიის თემის დაარსების შემდეგ მთელი მოსახლეობა შეიყვანეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, კერძოდ კი ლაზიკის ეპარქიაში.

ეგრეთ წოდებულ „აღმოსავლეთის“ მკვიდრ მოსახლეობას რთული ბედი ჰქონდა, ეკლესიურად ისინი შემდგომში სხვადასხვა იურისდიქციაში აღმოჩნდნენ. მე-11 ს-დან საქართველოს გაერთიანების შემდგომ მათი ერთი ნაწილი მცხეთის იურისდიქციას დაუბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი, მე-12 ს-დან თამარ მეფემ ჩააბარა ზაქარია მხარგრძელს, ამის გამო ანისის ოლქის ქართველობა კვლავ მიიდრიკა მონოფიზიტობისაკენ.

XIV ს.-ში სამცხე-საათაბაგოს სამთავროს დაარსების შემდეგ ამ ოლქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულ იურისდიქციაში დარჩა, მაგრამ ოსმალების დაპყრობის შემდგომ ქართული ეკლესია, ქართული სასულიერო წოდება აკრძალეს. ამ ოლქის ანუ არზრუმის, ტაოსა და მიმდებარე ოლქების ქართველობა ოსმალეთმა გადაანაწილა სხვადასხვა სარწმუნოებრივ მილეთებში, XVI ს-დან. კერძოდ, ქართველობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს იურისდიქციაში, ხოლო ზღვისპირეთის ქართველობა – კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში. ამან გამოიწვია დენაციონალიზაცია.

კერძოდ, სომხურ მილეთში შემავალი არზრუმის, ტაოს, ახალციხისა და მიმდებარე ოლქების ქართველები გასომხდნენ, ხოლო პონტოსპირეთის, ლაზიკისა და სხვა მიმდებარე ოლქების ქართველები, რომლებიც შეიყვანეს ბერძნულ მილეთში, გაბერძნდნენ.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, გამაჰმადიანდა. ჯერ კიდევ ვახუშტი წერდა, რომ ოსმალეთის იმპერიის ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ქართველები „როგორც პირუტყვები უმწყესოდ არიან დარჩენილებიო“ ანუ ქართულ ეკლესიას აქ მუშაობის უფლება არ გააჩნდა, ხოლო უცხო ეკლესიებში გადასული ქართველები გაუცხოვდნენ, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი (კარნისხევი), კარის (ყარსის) რეგიონი და სპე-

რი, ვიდრე არზრუმამდე და ზღვამდე. ქართულ იდენტობას მხოლოდ მუსლიმი ქართველებიღა ინარჩუნებდნენ.

მე-17 საუკუნეში ეს მხარეები, თვით ოსმალო ისტორიკოსების ცნობით, კვლავ ქართული იყო, მაგალითად, ჩელები კარის ქვეყანას „ქართველთა მხარეს“ უწოდებს. ოსმალეთის იმპერიის კანონებით აქაური ქრისტიანები გადაუნაწილდათ კონსტანტინოპოლის სომეხ და ბერძენ პატრიარქებს, ვინც არ გამაჰმადიანდა და ქრისტიანობა შეინაჩუნა, აღმოჩნდნენ სომეხი ანდა ბერძენი სამღვდელოების ხელში.

ოსმალეთის სომეხი და ბერძენი სამღვდელოება თავიანთ მილეთებში (სახელმწიფო კანონის შესაბამისად) იყვნენ არა მხოლოდ რელიგიური ლიდერები, არამედ სამოქალაქო მოხელე-მმართველები და მოსამართლეები.

მკვლევარი წერს – „თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიაში სამი ძირითადი არამუსლიმი მილეთი არსებობდა – ესენი იყვნენ

1. მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მეთაურობდა და იმპერიის ყველა მართლმადიდებელ ქვეშევრდომს აერთიანებდა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად,

2. ებრაელები, რომელთაც ხახამბაში მეთაურობდა და

3. სომხები, რომელთაც კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქი ედგათ სათავეში.

მილეთის სისტემა საშინაო საქმეებში რელიგიურ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა; ისეთი საკითხები როგორიც იყო ქორწინება, მემკვიდრეობის გადანაწილება და სხვა…

მილეთის წევრობა და რელიგია უმნიშვნელოვანესი იყო პიროვნების ეროვნული კუთვნილების განსაზღვრებაში და რელიგიის შეცვლა, როგორც წესი, ეროვნების შეცვლასაც გულისხმობდა“.

http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2020/04/მილეთიდან-ერამდე-ისლამი-და-თურქული-იდენტობა.pdf

ჩამოყალიბდა „ბერძნული მილეთი“ და „სომხურ მილეთი“, რომელთაც გადაუნაწილეს ისმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ქართული მრევლი, რადგანაც, საუბედუროდ, „ქართული მილეთი“ ოსმალეთის იმპერიაში არ ჩამოყალიბებულა.

ოსმალებმა თავიანთ მილეთებში ბერძენ და სომეხ სასულიერო პირებს დაუქვემდებარეს სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის როგორც სულიერი, ისე საერო მმართველობა, ამის გამო თითქმის 300 წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს დაარსებიდან, 1461 წლიდან, ვიდრე მე-19 საუკუნემდე და შემდეგაც, აქაური ქართველები მთლიანად გასომხდნენ. მათ სალაპარაკო ენად გადაიქცა ამ დროს ჩამოყალიბებული ე.წ. „სომხური დიალექტი“ , რომელიც, ნ. მარის თანახმად, უფრო კავკასიურ-ქართველურ ენათა ჯგუფს უახლოვდებოდა, ვიდრე ინდოევროპულად წოდებულ სომხურს, ნ. მარი მას არაინდოევროპულს უწოდებდა. ჩანს, რაღაც ნაზავი იყო უმეტესად ქართული, ასევე, თურქული და სომხური ენებისა.

როგორც ითქვა, ოსმალური ოკუპაციის შემდეგ ამ რეგიონის (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, კარის რეგიონი და სპერი,

ვიდრე არზრუმამდე და ზღვამდე) ქართული მოსახლეობა შეიყვანეს ოსმალეთის იმპერიის ე.წ. „სომხურ მილეთში“ ანუ სტამბოლის სომეხი პატრიარქის იურისდიქციაში, რამაც დაასრულა აქაურ ქართველთა არმენიზაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ იქამდე უკვე არსებული სომხური საპატრიარქოებისა და საკათალიკოსოების იურისდიქცია თითქმის ფარავდა მთელ ოსმალეთს, ამიტომ თავდაპირველად გაჭირდა ახლად შექმნილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსათვის სამრევლოების მოძებნა, რომელზეც ის თავის იურისდიქციას განახორციელებდა, ამიტომაც მას (სტამბულის სომხურ საპატრიარქოს) ოსმალეთის მთავრობამ იურისდიქციისათვის გადასცა მის მიერ ახალდაპყრობილი ქართული მიწები ანუ ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, ყარსის რეგიონი და სპერი , ვიდრე არზრუმამდე და ზღვამდე.

აქ დაწყებული ქართველობის ისლამიზაცია და არმენიზაცია საუკუნეები გრძელდებოდა.

ქართულენოვნების შენარჩუნება მხოლოდ აქაურმა გამუსლიმანებულმა ქართველებმა შეძლეს.

იგივე დენაციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ლაზიკა-პონტოშავი ზღვისპირეთის იმ ნაწილში, რომელიც ბერძენი პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. შედეგად, აქაური ქართველური წარმოშობის მოსახლეობა ბერძნულენოვანი გახდა, უფრო ზუსტად, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა ე.წ. პონტოური დიალექტი ბერძნული ენისა, სინამდვილეში კი ის „განცალკევებულია ბერძნულისგან. პონტოური ბერძნულისა და ტიპური ბერძნულის მოლაპარაკეებს, როგორც წესი, არ ესმით ერთმანეთის“.

https://ka.wikipedia.org/wiki/პონტოური_ბერძნული. მას ზოგჯერ მიიჩნევენ არა ბერძნული ენის დიალექტად, არამედ ცალკე ენად. რადგანაც, ჩვენი აზრით, ამ ენის ბირთვი ქართველური დიალექტებია.

рассматривается либо как диалект греческого языка, либо как отдельный язык. https://ru.wikipedia.org/wiki/Понтийский_язык

აქაც, პონტო-ლაზისტანში, ლაზური ენის შენარჩუნება მხოლოდ გამუსლიმანებულმა ლაზებმა შეძლეს, ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში შეყვანილი აქაური ქართველები (მათ შორის ლაზები) ე.წ. „პონტოელ ბერძნებად“ ჩამოყალიბდნენ.

აღსანიშნავია, რომ ლაზიკის ზოგიერთ ნაწილში სომხური ეკლესიაც მუშაობდა, კერძოდ, ერთ პერიოდში გუმუშხანელი ლაზები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ, შემდეგ ისინიც გამუსლიმანდნენ, ამჟამად „მუსლიმან სომხებსაც“ უწოდებენ.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ დაიპყრო არზრუმის რეგიონი, რის შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა 1832 წლისათვის ერზრუმიდან საქართველოში, კერძოდ, სამცხესა და ჯავახეთში (ახალციხესა და ახალქალაქის რაიონებში) ჩამოასახლა 100 000 (ასი ათასი) სომეხი. https://nazarnews.org/posts/pereselenie-armian-iz-osmanskoi-imperii-na-zemli-severnogo-azerbaidzhana.

ჩემი ფიქრით, ისინი (პასკევიჩის მიერ ჩასახლებული სომხები სამცხესა და ჯავახეთში) იყვნენ ის არმენიზებული ქართველები ტაო-არზრუმის მი-

წა-წყლიდან, რომელნიც იქამდე ოსმალეთის იმპერიამ შეიყვანა ე.წ. „სომხურ მილეთში“, რის გამოც მათი თვითშემეცნება კარდინალურად შეცვალა სომხურმა ეკლესიამ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ არ იცოდნენ სომხური ენა, უმეტესად ოსმალურ თურქულ დიალექტზე საუბრობდნენ, მათ სომხური ენა საბჭოთა ოკუპაციის დროს ისწავლეს (მე-20 საუკუნეში) საბჭოთა სკოლებში სამცხესა და ჯავახეთში. მათი ქართული ფუძეები იქიდანც ჩანს, რომ, როდესაც ჯავახეთის ერთმა ნაწილმა (ბავრა, ტურცხი, კარტიკამი და სხვა სოფლები) მე-19 ს-ში მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა, მათი გვარების ნაწილი ჯერ კიდევ ქართული იყო, ოქროპირიძე და სხვა, ხოლო შემდეგ, როდესაც ეთნოთვითშემეცნების ელემენტები განუვითარდათ, მთავრობისადმი გაგზავნილ თხოვნებში ისინი თვითონვე უთითებდნენ, რომ ყოფილი ქართველები იყვნენ. ეს საკითხი კარგად აქვს გამოკვლეული ისტორიკოს შოთა ლომსაძეს თავის წიგნში „სამცხე ჯავახეთი“. ოსმალეთიდან ამ დროს გადმოსახლებულთა შორის იყვნენ ასევე ე. წ. ბერძნები, რომელნიც უმეტესად წალკის რაიონში ცხოვრობდნენ. ისინი ძირითადად გუმუშხანეს ქალდეადან იყვნენ თრიალეთში ჩამოსახლებულნი. ბოლო დრომდე წალკის რაიონში მდებარეობდა გადასახლებულთა მთელი სოფლები. როგორც თვითონ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, მათი ერთი ნაწილი იყვნენ ლაზები. მათაც არ იცოდნენ ბერძნული ენა და თურქულად საუბრობდნენ, ისინი რომ იდესღაც ქართველები და საქართველოს ეკლესიის წევრები იყვნენ, შეიძლება იქიდანაც ჩანდეს, რომ ოსმალეთიდან ჩამოიტანეს ქართული სახარება, რომელიც ჯავახეთის სოფელ იმირაში ინახებოდა (ასეთი სახელის სოფელი გუმუშხანესთანაც არის), ჩანს, ეს ლაზი-ქალდები ოსმალთა ბატონობის დროს ე.წ. ოსმალეთის „ბერძნულ მილეთში“ შეიყვანეს, რამაც მათში ბერძნული თვითშემეცნება დაბადა. სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებული სომხების რაოდენობა განსაკუთრებით გაზრდილა 1877-1878 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. ზოგიერთი კვლევით ამ დროს ოსმალეთიდან კავკასიაში ჩამოსახლდა 400000 სომეხი, მათი ნახევარი საქართველოში, ახალციხე-ახალქალაქის რიონებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქართულ რაიონებს რატომღაც ზოგიერთი მკვლევარი ამჟამად აზერბაიჯანელთა მიწა-წყლად მიჩნევს, თითქოსდა, სომხების აქ ჩასახლებამდე სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა აზერბაიჯანული იყო, სინამდვილეში კი იყვნენ მუსლიმანი ქართველები – მათ შორის, მაგალითად, ჯაყელები, მაჩაბლები თუ ხერხეულიძეები, აღნიშნული მკვლევრები წერენ – „Переселенные в Грузию армяне в основном были размешены в регионах, населенными азербайджанцами“.

https://nazarnews.org/posts/pereselenie-armian-iz-osmanskoi-imperii-na-zemli-severnogo-azerbaidzhana

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ საქართველოში, რომლის უდიდესი ნაწილი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაშია, უკვე ქსენოფონტეს ეპოქაშიც, ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, წყაროების მიხედვით ქართველებით იყო დასახლებული, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, ძვ. წ. მე-2 ს-ში მათი მიწა-წყალი – პარიადრე, ხორძენა, გოგარენა, კარენიტიდა და სხვა დაიპყრეს და შეიყვა-

ნეს ე.წ. დიდი და მცირე არმენიების შემადგენლობაში, რის შემდეგაც დაიწყო იქაური ქართველების არმენიზაციის პროცესი, მაგრამ მათმა ერთმა ნაწილმა, უმეტესად ტაოსა და არზრუმის ოლქში მცხოვრებმა, შეძლო ქართული თვითშემეცნების შენარჩუნება, რაც გამოიხატა იმით, რომ მათ გაითავისუფლეს თავი სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან მე-8 საუკუნის შუა წლებში, ხოლო მე-9 საუკუნეში დააარსეს საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც ისინივე უწოდებდნენ „ქართველთა სამეფოს“ (და არა ტაო-კლარჯეთის სამეფოს). ამჟამად, განსაკუთრებით რუსულ ლიტერატურაში, მათ სამეფოს არა თავის სახელს „ქართველთა სამეფოს“, არამედ ტაო-კლარჯეთის სამეფოს უწოდებენ და მის მოსახლეობას კი – „სომეხ-ქალკედონიტებს“, სინამდვილეში კი ისინი, როგორც ითქვა, იყო იქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა. მათი ეროვნული კუთვნილების შესახებ პირველად ნიკო მარმა მოიფიქრა და გაავრცელა თეორია, თითქოსდა, ტაოში, არაბთა შემოსევებამდე, მხოლოდ ეთნიკური სომხები ცხოვრობდნენ და არა ქართველები. თითქოსდა, ქართველები ტაოში მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ჩასახლდნენ. ეს თეორია ამჟამად საყოველთაოდაა აღიარებული უცხოეთში და ნაწილობრივ საქართველოშიც. ამასთანავე, ამ არასწორი მტკიცების წყაროდ უთითებენ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ მაშინ, როცა ამ შესანიშნავ წყაროში მსგავსი ცნობა არ არსებობს.

სამხრეთელ ქართველთა ბედი კვლავ შეიცვალა ოსმალთა ბატონობისას. ოსმალებმა დაპყრობის შემდეგ აქაური ქართველები შეიყვანეს ე.წ. „სომხურ მილეთში“, ხოლო ლაზები „ბერძნულ მილეთში“. საუკუნეთა მანძილზე მე-16-მე-18 საუკუნეებში ხდებოდა მათი გასომხება და გაბერძნება, მილეთებში მათ დაივიწყეს მშობლიური ენა, კერძოდ, სომხურ მილეთში მოქცეულმა გასომხებულმა ქართველებმა თითქმის მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, ხოლო ბერძნულ მილეთში გაბერძნებულმა ლაზებმა – ლაზური ენა.

ოსმალეთში მშობლიური ქართული ენის შენარჩუნება მხოლოდ მუსლიმანმა ქართველებმა შეძლეს, მათი მცირე რაოდენობა, უფლის შეწევნით, ამჟამად კვლავ ცხოვრობს მშობლიურ მიწაზე ტაოსა და ართვინში, ხოლო ისტორიული სამხრეთ ქართული რეგიონებიდან (არზრუმიდან და სხვა) საქართველოში ჩამოსახლებულთ, მე-19 და მე-20 საუკუნეებში სკოლებში შეასწავლეს სომხური და რუსული ენები. საქართველოში ცხოვრებისას მათ საბოლოოდ დაივიწყეს მცირეოდენი შემორჩენილი ცოდნა ქართული ენისა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოში თვით ქართველებს არ გააჩნდათ ცოდნა ჩამოსახლებულთა ქართული ფესვების შესახებ და მათ, ბერძნებს ანდა სომხებს უწოდებდნენ.

ნაშრომი შედგება 3 კარისაგან (I კარი – ტაო, II კარი – ლაზიკა, III კარი – წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა) და მრავალი თავისაგან. თან ერთვის წიგნის საბოლოო დასკვნა.

კარი I

ტაო

თავი 1

ტაოს იბერია

ტაოს იბერთა მოკლე ისტორია

ანტიოქიის პატრიარქის ამჟამინდელი ტიტულატურა ასეთია:

„მათი ღვთაებრივი უნეტარესობა, უნეტარესი იოანე მე-10, პატრიარქი დიდისა ღმრთისა ქალაქისა ანტიოქიისა, სირიისა, არაბეთისა, კილიკიისა, ივერიისა, შუამდინარეთისა და სრულიად აღმოსავლეთისა“.

ანტიოქიის პატრიარქის ტიტულატურაში ტერმინით „ივერია“ მოიხსენიება არა მცხეთის ქართლის ქვეყანა ანუ თანამედროვე საქართველო, არამედ ტაოს ქართლის ანუ ტაოს ივერიის ქვეყანა, რომელიც ვრცლად იყო განფენილი არზუმიდან ვიდრე ვანის ტბამდე და ბასიანიდან ანისამდე.

ეს „ივერია“ იყო ისტორიული ამიერ და იმიერტაო, შემდეგ კი „იბერიის თემი“ სრულად, ანუ მიწა-წყალი არზრუმიდან ავანამდე. ამ მიწა-წყალს სასანიდების ბატონობისას და შემდეგაც „არმენიის ივერია“ ერქვა.

სასანიდური სპარსეთის ბატონობისას ტაო-ავანის ივერია სომხური ეკლესიის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა, ასევე გაგრძელდა მე-7 ს.-ში ბიზანტიის

იმპერატორ ჰერაკლეს უნიის, ანუ სომხურ ეკლესიასთან გაფორმებული შეთანხმების წყალობით, და ასევე არაბთა ბატონობის პირველ საუკუნეებში.

მსგავსად, ამავე მიზეზების გამო ალბანეთის დიდი ქვეყნის მოსახლეობა, ანუ ალბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ბატონობის ქვეშ მოექცა.

ამ ტერმინს „სომხური ეკლესიის ბატონობა“, ანდა „მათზე გაბატონებული სომხური ეკლესია“, ივერებთან (ტაოს ივერებთან) დაკავშირებით მიქაელ ბრეკის ცნობით ხმარობდა კედრენე.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა მე-8 საუკუნეში, აქაური მონოფიზიტებისა და ქალკედონიტების მკვეთრი გამიჯვნის შემდეგ, ამას ხელი შეუწყო სომხური ეკლესიიის მანასკერტის 726 წლის საეკლესიო კრებამ, მისმა ანათემებმა, რომლითაც სომხეთის ქალკედონიტები დაიწყევლა და ქალკედონური აღმსარებლობა უკანონობად გამოცხადდა, კრებამ მოითხოვა, რომ სომხეთში მცხოვრები ყველა ქრისტიანი მონოფიზიტი ყოფილიყო.

ამ ანათემებმა ძლიერ გააღიზიანა ტაოს ივერიის ქართული მოსახლეობა, რომელიც მტკიცედ იცავდა ქალკედონურ აღმსარებლობას.

როგორც ითქვა, მათ გადწყვიტეს დაკავშირებოდნენ ანტიოქიის საპატრაიარქოს და მისი დახმარებით გათავისუფლებულიყვნენ სომხური ეკლესიის ბატონობისაგან და თავიანთ ეკლესიებში სომხური ენა ჩაენაცვლებინათ მათთვის მშობლიური ქართული ენით.

ეს მოხდა მე-8 ს. შუა წლებში, მაგრამ აქაური ანუ სომხეთის ივერები წინა საუკუნეებშიც ცდილობდნენ სომხური ეკლესიის ბატონობისაგან გათავისუფლებას,

ცოტა ადრე, კერძოდ მე-6 ს. ბოლოს, არმენიის ივერების სარწმუნოებრივი ცენტრი მდებარეობდა ავანში, მათი კათალიკოსი მე-6 ს. ბოლოს იყო იოანე ბაგარანელი, რომელიც, ჩვენი აღნიშნული კვლევით, პირადად ჩავიდა თავისი დელეგაციით ანტიოქიის საპატრიარქოში, წარდგა პატრიარქ ანასტასი მღვდელმოწამის წმიდა სინოდში და ითხოვა დახმარება სომხური ეკლესიისაგან გასათავისუფლებლად.

ავანელმა ანუ იბერმა იოანემ მიიღო კათალიკოსის სტატუსი და ეკლესიური თავისუფლება, მაგრამ სასანიდურმა ირანმა ის სასტიკად დასაჯა სომხური ეკლესიის მოთხოვნით, ხოლო, რაც შეეხება ავანის ივერიის საეკლესიო ცენტრს, ის სრულად განადგურდა. ამის შემდეგ არმენიის ივერების საეკლესიო ცენტრებმა გადაინაცვლა ტაოს ივერიის ქვეყანაში. აქედანაც, ოღონდ მე-8 ს-ში, ანტიოქიაში კვლავ გაიგზავნა საეკლესიო დელეგაცია იმავე საჩივრითა და თხოვნით.

მაშასადამე, ასეთი დელეგაციები ანტიოქიაში ტაო-ავანის ივერიიდან ორჯერ ჩავიდა აღნიშნული მოთხოვნით, პირველად ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის დროს, მე-6 ს. ბოლოსა და მე-7 ს. დასწყისში, ხოლო მეორედ მე-8 ს. შუა წლებში.

ავანის ივერიის ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქმა ანასტასიმ მე-6 საუკუნის ბოლოს მიანიჭა ავტოკეფალია, კერძოდ კი ავანის ივერიის საკათალიკოსო (რომელსაც ამჟამად „სომხურ-ქალკედონური ავანის საკათალიკოსო“

ეწოდება), როგორც ითქვა, მე-7 ს. დასაწყისში გააუქმა სპარსეთმა სომხური ეკლესიის მოთხოვნით.

მისი გაუქმების შემდეგ ტაო-ავანის ივერიის ქართველობას აღარ გააჩნდათ თავიანთი ეროვნული ეკლესია და სომხური ეკლესიის იურისდიქციაში ჩარჩნენ, ანუ სომხურენოვანი წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ჰქონდათ, ასევე სომხურენოვანი განათლების სისტემა, რაც მოუთმენელი იყო.

ამის გამო მე-8 ს. შუა წლებში ტაოს ივერიიდან ანტიოქიაში კვლავ ჩავიდა დელეგაცია ენობრივი ჩაგვრის აღმოფხვრის სურვილითა და ავტოკეფალიის მოთხოვნით.

ამ დროსაც, მე-8 ს. 50-იან წლებში კვლავ მიანიჭა ანტიოქიამ ივერიის ეკლესიას (ანუ ტაოს ივერიის ეკლესიას) ავტოკეფალია და გაათავისუფლა სომხური ეკლესიის ენობრივი ბატონობისაგან. ამჟამად შეცდომით მიიჩნევა, თითქოსდა, მე-8 ს-ში ანტიოქიის პატრიარქმა ავტოკეფალია მიანიჭა მცხეთის იბერიის ეკლესიას. სინამდვილეში, ანტიოქიურ ქრონოგრაფსა და სხვა წყაროებში იგულისხმება ტაოს ივერია (იბერია).

ამის შემდეგ, ანუ მე-8 ს. შუა წლებიდან, ტაოს ივერიის ეკლესიებში აიკრძალა სომხურენოვნება და აღორძინდა ქართულენოვანი ღვთისმსხაურება განსაკუთრებით მე-8 ს. შუა წლებიდან და მე-9 ს. დასაწყისიდან.

ანტიოქიის საპატრიარქოს ეს გადაწყვეტილებები იყო ანტიოქიის უფლება, რადგანაც ეს მხარეები, ანუ ეს „ივერია“ (მიწა-წყალი არზრუმამდე და კალმახის ციხემდე) ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ტაო-ავანის ივერიის ვრცელი ქვეყნები ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-2 საუკუნეში მიიტაცა არმენიამ, იქაური ივერები არმენიზაციის პროცესში შევიდნენ, მაგრამ მთიან ოლქებში (იგულისხმება ტაობასიანი და მიმდებარე ოლქები) ეს პროცესი ივერების ასიმილაციისა შედარებით შენელებული იყო, მით უფრო, რომ ეს რეგიონი თავისუფალი იბერიის ანუ მცხეთის ივერიის სახელმწიფოს საზღვარზე მდებარეობდა.

I-II საუკუნეებში ის დაიბრუნა ქართლის სამეფომ, მაგრამ არმენიის გაქრისტიანების შემდეგ ტაოს ივერია სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა. აქაურ ივერთა შორის თანდათანობით დაინერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, განსაკუთრებით მე-6 ს. დასაწყისიდან, სხვა ვითარება იყო მე-5 საუკუნეში.

მაშტოცის ეპოქაში (სომხური ანბანის შექმნის დროს) არმენიის იბერიის ეთნიკურ განსხვავებულობას ეგუებოდა სომხური ეკლესია და პირიქით, ცდილობდა კიდეც ქართულენოვანი ანბანის განვრცობას და ქართულად განათლებული ღვთისმსახურების სასულიერო პირებად დანიშვნას არმენიის ქართველთა შორის, ამ შემთხვევაში, ტაოს ივერიაში.

ამ ქვეყნის ანუ არმენიიის ივერიის (ტაოს ივერიის) მე-5 საუკუნის შესაძლო ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო მაშტოცის მოწაფე კორიუნი. ამის შესახებ ის თვითონ წერს, კერძოდ, კორიუნი წერდა, რომ ის ეთნიკური ქართველია, დაბადებული და აღზრდილი ქართლში, შემდეგ კი სასულიერო პირი არმენიაში, ჩვენი აზრით, ტაოს ივერიაში ეპსკოპოსის თანამდებობაზე. ის ქართლში

მიღებული განათლების შესაბამისად იყო შესანიშნავი მცოდნე ქართულენოვანი მწიგნობრობისა.

კორიუნის ქართველი მკვლევარი ნ. გაფრინდაშვილი წერს – „მაშტოცის ცხოვრების“ იმ ვერსიაში, რომელშიც ქართლთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი, ვკითხულობთ კორიუნის სიტყვებს, მის ავტობიოგრაფიას. ის იხსენებს, თუ როგორ შეაგროვა ქართლის მეფემ თავის ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ქართველი ჭაბუკები ქართულენოვანი განათლების მისაღებად ქართული ანბანის გამოყენებით, კორიუნი წერს, რომ ქართული დამწერლობის შექმნისა და ქართველ ჭაბუკთა დამოწაფების შემდეგ მაშტოცმა ისინი „ერთი ღვთიური მცნებით ერთ ხალხად შეკრა და ერთი ღმრთის მადიდებლად აქცია, რომელთაგან მეც უღირსს წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება...“ (Աբեղյան 1981: 112-113). წერს გაფრინდაშვილი და აგრძელებს –

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა, რომლებიც კორიუნის ვინაობის საკითხებს არკვევდნენ, ამ ცნობის საფუძველზე სხვადასხვა თეორია ააგეს.

არაერთი გამოკვლევა და პუბლიკაცია დაიწერა კორიუნის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ.

მკვლევართა ერთი ნაწილი (გ. ტერმკრტჩიანი, გ. ფნტგლიანი, ღ. ალიშანი, ო. თოროსიანი, ა. სარუხანი, ს. ვებერი) კორიუნის ქართველობას ამტკიცებდა, ან უკეთეს შემთხვევაში, იგი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი სომეხი უნდა ყოფილიყო (აფციაური, 1987, 41-54); ადგილიც კი დაასახელეს (ტაო-კლარჯეთის მხარე), სადაც კორიუნი ეპისკოპოსად დაუნიშნავთ, როგორც ადგილობრივი მკვიდრი (Սարուխան 1939: 233-245).

სომეხ მეცნიერთა მეორე ნაწილმა არ გაიზიარა კორიუნის ქართული წარმომავლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და სხვადასხვა არგუმენტი წამოაყენა მათ გასაბათილებლად. ამ მხრივ თავი გამოიჩინა ნორაირ ბიუზანდაცი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა კორიუნის ავტობიოგრაფიული ცნობის ჭეშმარიტება. მკვლევარმა ეს ადგილი გადამწერთა დამახინჯებად ჩათვალა და შესწორება შეიტანა კორიუნის ტექსტში, წინადადება: «յորոց և իմ անարժանիս եղեալ ի կարգ եպիսկոպոսության վիճակ» [რომელთაგან მეც უღირსს წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება...“] ამგვარად გაასწორა: «յորոց և գտան արժանիք ելանել ի կարգ եպիսկոպոսութեան վիճակի» [`მათ შორის მოიძებნენ ღირსეულნიც, რომელთაც წილად ხვდათ ეპისკოპოსობის წოდება...“] (Բիւզանդացի 1900: 385-386). ნ. ბიუზანდაცის ამ შესწორებით, შეიძლება ითქვას, დასრულდა მცდელობა კორიუნის საქართველოსთან დაკავშირებისა.

ამის მიუხედავად, ასეთი დამახინჯების გარეშე თუ წავიკითხავთ კორიუნის ავტობიოგრაფიულ ცნობას, როგორც თვით ზოგიერთმა სომეხმა მკვლევარმა გამოიკვლია, კორიუნი ტაოს ერთ-ერთი პირველი ქართველი ეპიკოპოსი იყო, – წერს გაფრინდაშვილი.

https://digitallibraro.tsu.ge/book/2021/apr/dissertations/garpindashvili-disertacia.pdf

შესაძლოა, არმენიის ივერიის მხარეების მეორე ქართველ ეპისკოპოსად მივიჩნიოთ იოანე ბაგარანელი – ავანის ქალკედონიტი კათალიკოსი.

ამ საკითხს შეეხება ჩვენი სტატია – „იბერიელი“ იოანე ბაგარანელის დელეგაცია ანტიოქიაში და მისი ტაძარი ავანში.

აქ ნათქვამია – „არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ივერია მდებარეობდა არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ მის დასავლეთით, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მისი პერიოდის სომხურ საისტორიო გეოგრაფიაში „ივერია“ ძირითადად ერქვა ტაოსა და ბასიანს. VI ს-ში „ივერთა მთავარი“ ტაოს მფლობელს ერქვა. რაც შეეხება შიდა ქართლისა და ანისის ჩრდილოეთის რეგიონს, VII-X სს-ში, არაბთა შემოსევების შემდეგ, ანისის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ოფიციალურად ეწოდებოდა არა „ივერია“, არამედ თბილისის საამირო და ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, ხოლო შიდა ქართლი სადავო ქვეყნად იყო აფხაზეთის, კახეთის, სომხეთისა და თბილისის საამირო-სამთავროთა შორის. ამ დროსაც სახელი „ივერია“ ძველებურადვე ერქვა ტაოს მიწა-წყალს (ბასიანთან ერთად) და ტაოს მომიჯნავე მხარეებსაც, ანისის დასავლეთით. ამ მიზეზის გამო, როგორც აღინიშნა, XI ს-ში, იმიერტაოს სამეფოს მიწა-წყალს ბიზანტიელებმა მისი დაპყრობის შემდეგ, „ივერიის თემი“ უწოდეს და მასში ანისიც შეიყვანეს. ბიზანტიელები „ივერიას“ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქამდეც უწოდებდნენ ტაოს ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებს. X ს-ში აღნიშნული იმპერატორის ცნობით ივერიელებს არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები ეკუთვნოდა. კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს საუბრობს ამის შესახებ. მაშასადამე, არაქსის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნები, სადაც მდებარეობდა თვით დედაქალაქებიც კი სომხური ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაინც „ივერიად“ იწოდებოდა და ეს წოდება (ივერია) ამ მხარეებისათვის არ იყო უსაფუძვლო: ამის მიზეზი იყო ის, რომ როგორც მრავალგზის აღინიშნა, ისტორიულადაც ივერიელებით დასახლებული მიწები ძვ.წ. II საუკუნისათვის, სტრაბონის ცნობით, არმენიამ მიიტაცა. სტრაბონის ხორძენა სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ. სომხური ეკლესიის ჩამოყალიბების შემდეგ აღნიშნული მხარეების არმენიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი. ჩანს, ამ მიზეზის გამო, ავანის საკათალიკოსო გამოეყო სომხური ეკლესიის მთავარ ცენტრს – დვინს. ამ გამოყოფის მიზეზად მიიჩნევა სარწმუნოებრივი მომენტი, მაგრამ მას უფრო მეტად ეთნიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა. კერძოდ, 588 წლიდან (სხვა აზრით 591 წლიდან) ძველ სოფელ ავანში (თანამედროვე ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რეზიდენცია დაიდო არმენიის მართლმადიდებელმა (ქალკედონიტმა) პატრიარქმა. მიიჩნევა, რომ ამას საფუძველი დაუდო იმპერატორ მავრიკეს (582-602) საზავო ხელშეკრულებამ სპარსეთთან, რის შედეგადაც ავანი და ტაო ბიზანტიის იმპერიაში მოექცა. ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო საფუძველი (და არა მიზეზი), რამაც გააბედინა ადგილობრივ, მეტწილად ქართული წარმოშობის ტაოელ-ბასიანელ და ავანელ მოსახლეობასა და სამღვდელოებას მიეღოთ იმ სარწმუნოებრივი მიმართულების საპირისპირო აღმსარებლობა, რომელსაც დვინის სომხური საკათალიკოსო აღიარებდა.

ცნობილი კანონისტი კარტაშევი, თავის წიგნში „საეკლესიო კრებები“ (პარიზი, 1963, რუს. ენაზე) წერს, რომ VI საუკუნეში ეგვიპტელებმა, სირიელებმა და სომხებმა მონოფიზიტური აღმსარებლობა ძირითადად მიიღეს არა სარწმუნოებრივი, არამედ ეთნიკური ნიშნის გამო. კერძოდ, მათ სურდათ ბიზანტიის ცენტრისაგან თავიანთი ეთნიკური განსხვავებულობის სარწმუნოებრივი სახითაც გამოხატვა. ამიტომაც, როცა ბიზანტიის ცენტრმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქალკედონიტობას, პერიფერიებმა მის საპირისპიროდ – მონოფიზიტობა აღიარეს. თუ კარტაშევის ამ მოსაზრებას მივუსადაგებთ ეთნიკურად ისეთ რთულ რეგიონს, როგორიც იყო ტაო-ბასიან-ავანის მხარეები, შეიძლება მსგავსი სურათი დავინახოთ. ეთნიკური განსხვავება ედო საფუძვლად სარწმუნოებრივ არჩევანს. ტაო და ბასიანი იყო არასომხური მხარეები, მისი მოსახლეობა „ივერებად“ ძველთაგანვე იწოდებოდა, თუმცა კი სომხური საეკლესიო და ადმინისტრაციული უღელის ქვეშ. აირარატის პროვინციაშიც მრავალი მკვიდრი ქართველი ცხოვრობდა და სომეხთა იქ დამკვიდრებამდე ძველი ტომის – ალაროდიელების სამშობლოდ იწოდება. ქსენოფონტის ცნობით, აქ ცხოვრობდნენ ფასიანები, ხალიბები და ტაოხები, ქართული ტომები, ალაროდიელები ქართველთა ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, აირარატის პროვინციაშიც VII ს-ის დასწყისში უამრავი ქალკედონიტი ცხოვრობდა, რომელნიც მიემხრნენ ავანის ქალკედონიტ კათალიკოსს. ამის შესახებ მიუთითებს არსენ საფარელიც თავის თხზულებაში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“. ის წერს: „უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსე ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ კონსტანტინოპოლში და კვლავ გამოწვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ. ხოლო მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს: არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდს აფუებულ პურს ეწოდებდა, თერმონს, წყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელნიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ ინებეს წასვლა. ხოლო ტაოს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე. ყველამ ერთობით აღიარა ქრისტეს ჭეშმარიტი ორი ბუნება. დაწერეს ფიცი ბერძნებთან ერთობის შესახებ და წამოვიდნენ. როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეიწყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელნიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ. გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად. ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად იოანე კოგოვიტელი (590-611). ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს, კირიონ კათალიკოსმა (591-615), ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა

(552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა (საბერძნეთის) სარწმუნოება აქვთო. ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნერსე II-ის დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც. ამ დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. სთხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა არარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ“ (არსენ საფარელი, განყოფისათვის...).

არსენ საფარელის თხზულებიდან ჩანს, რომ ავანის კათალიკოსის იურისდიქციაში ტაოსთან ერთად აირარატიც შედიოდა, ამიტომაც სპარსელთა მხარდაჭერით დვინის კათალიკოსმა აბრაამმა აირარატის ქალკედონიტი სამღვდელოებაც დასაჯა, ამიტომაც მოუხმო აბრაამმა არარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: „ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ“. აირარატის პროვინცია, ჩანს, მიუხედავად მისი ღრმა არმენიზაციისა, მაინც განსხვავებულ ოლქად დარჩენილა, ეს უნდა ყოფილიყო ნაკვალევი იმისა, რომ სულ რამდენიმე საუკუნის წინ ის იბერთა მიწას წარმოადგენდა. მას (აირარატს) სტრაბონი ხორძენას უწოდებდა. სტრაბონის ცნობით, ხორძენა, პარიადრესა და გოგარენასთან ერთად, არმენიის მეფეებმა ძვ.წ. II საუკუნეში იბერებს წაართვეს და არმენიას შეუერთეს. რადგანაც გოგარენას სტრაბონი ათავსებდა „მტკვრის იქით“, ანუ მარცხენა სანაპიროზე, ამიტომაც ხორძენა მდებარეობდა პარიადრედან ვიდრე მტკვრამდე, ანუ შემდგომდროინდელი აირარატი სტრაბონის ეპოქაში ხორძენად იწოდებოდა. მისი მოსახლეობა, მიუხედავად თითქმის 500 წლოვანი არმენიზაციისა, ჩანს, კვლავ გრძნობდა თავის თავში იბერიულ საწყისებს, ამიტომაც მის რეალიზებას ცდილობდა სარწმუნოებრივ სფეროში, მიჯნავდა თავისთავს დვინის სომხურნაციონალური ეკლესიიდან და ცდილობდა დაახლოებოდა მცხეთის ქართულ ეკლესიას. ტაო-ბასიან-აირარატმა ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე, ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით, მყისვე შექმნეს დვინის საწინააღმდეგოდ საეკლესიო ცენტრი ავანში, ქალკედონიტური საკათალიკოსოს სახით, მკვეთრად გამოხატული ქართული არქიტექტურით აგებული ეკლესიებითა და ჩანს, ასევე სხვა მრავალი ქართული ნიშნით. ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რა თქმა უნდა, ავანის არქიტექტურას არ აკავშირებს ქართულთან და მიიჩნევს, რომ „მას აქვს ეჩმიაძინის, ბიზანტიური მარტირიუმების და კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის“ გავლენა („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, ტ 1. მოსკოვი, 2000, გვ. 74). ავანის „არქიტექტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მიღწევაა, მის გვერდით მდებარე სასახლესთან ერთად აგებულია 588-597 წლებში კათოლიკოს იოანეს მიერ“ (იქვე, გვ.74). თითქოს-

და, ჯერ ის აუგიათ და შემდეგ მისი გეგმით მცხეთის ჯვარი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ქართულ წყაროებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღო საუკუნეთა მანძილზე მცხეთის ჯვარმა თავისი ჩამოყალიბებული საბოლოო სახე, ავანის აგების შესახებ ასეთი ცნობები არ არსებობს. კერძოდ, მცხეთის ბორცვზე წმინდა ნინოს მიერ ჯერ აღიმართა დიდი ზომის ჯვარი, შემდეგ კი ეს ჯვარი გუმბათით გადაახურინა რევ მეფემ IV ს-ის ბოლოს, ამავე დროს ჯვარს გარშემო გაუკეთეს „კუბო“. ანუ ის შემოსაზღვრეს კედლებით. ე.ი. მას ჰქონდა კედლებიც და სახურავიც (გუმბათი). ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლე განსაზღვრა იმ ხემ, რომელიც მოკვეთეს წმინდა ნინოს დროს და რომლისგანაც შეამზადეს ჯვარი. მატიანეში მოთხრობილია: „ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და ... ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა... აუწყეს ეპისკოპოსსა ხისა მისთვის, ხოლო ეპისკოპოსმან თქვა... „მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცეს ყოველმა სიმრავლემან ქართლისამან... მოჰკვეთეს ხე იგი... მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა... სასწაულითა ზეცისათა ჩვენებით ჯვარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა და მივედით ბორცვსა მას ქვეშე... ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა... მუნ აღიმართა ჯვარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხვი და თაყვანი სცეს ჯვარს... რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტვილისა უკან, იხილეს სასწაული დიდი... სვეტი ნათლისა, სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტნი იგი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა, გარემოს მისა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს... მერე კუალად იხილნეს სხვა სასწაული ჯვარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისა, შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი ზედა დაადგრა მას და, ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღავლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღვთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა, ხოლო ბორცვი იგი იძვროდა ძლიერად... იქმნებოდეს სასწაული იგი წლითი წლად და ყოველი ერი... მოვიდოდეს თაყვანისმცემად გულსმოდგინედ. და მას ჟამსა რევის ძესა მეფისასა, ესვა ყმაწვილი მცირე და იყო სნეულ და მიწევნულ იყო სიკვდილად ... და მოიღო და დადგა იგი წინაშე ჯვარისა და ცრემლით იტყოდა: „უკუეთუ მიბოძო ყმა ესე ცოცხალი აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“ და მუნქვესვე განიკურნა ყრმა იგი... მოვიდა (რევი) აღნათქვამისა აღმასრულებლად... და გულმოდგინებით აღაშენა კუბო ჯვარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან... გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა... ამან იწყო ეკლესია ჯვარისა პატიოსნისა და აქამომდე ჯვარი ველსა ზედა იყო და ქმნა ეკლესია წელიამდის ოდენ... გუარამ კურაპალატსა ესხნეს ძენი... სტეფანოზ და დემეტრე. ...ძმა სტეფანოზისი სახელით დემეტრე აღაშენებდა ეკლესიასა ჯვარისა პატიოსნისა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა“ (ქ. ც., I, გვ. 120-140). სტეფანოზი და დემეტრე ბაგრატიონები ჰერაკლე კეისარმა პროსპარსული ორიენტაციისათვის ტახტიდან გადააყენა, მის ნაცვლად ქართლის

ტახტი მისცა ადარნასე ხოსროიანს „...მაშინ მოუწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა, ქართველთა მეფისასა ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე“. მატიანედან ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა დაიწყო IV ს-ის ბოლოს რევ მეფემ, მან „კუბო“ ანუ კედლები და სახურავი (გუმბათი) აუშენა ჯვარს, რომელმაც საბოლოოდ ტეტრაკონქის სახე მიიღო ანუ ტეტრაკონქის მშენებლობა განსაზღვრა ტაძრის ცენტრში აღმართულმა ჯვრის ფორმამ. იმდენად მისაღები ყოფილა ქართული ეკლესიისათვის ჯვრის ტაძრის ფორმა, რომ უკვე VI ს-ის შუა წლებში მის შესაბამისად ააგეს ნინოწმიდის ეკლესია. VI ს-ის ბოლოს კვლავ აღდგა ჯვრის ტაძრის მშენებლობა, მაგრამ არა ნებისმიერი არქიტექტურით, არამედ იმ ფორმით, რომელიც ახსოვდა მოსახლეობას და ბორცვზე აღმართული ამ ჯვრისათვის უკვე ტრადიციული იყო. VII ს-ის ჯვრის ტაძრის არქიტექტურა გაიმეორეს ჭყონდიდში. ასე, რომ, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი საუკუნეთა მანძილზე შენდებოდა და მან თავისი არქიტექტურული სახე თანდათანობით მიიღო. აქედან გამომდინარე, IV-VI სს-ში ჩამოყალიბდა ჯვრის ტაძრის არქიტექტურა, რომელიც გაიმეორეს ავანის არქიტექტორებმა, რადგანაც ქართულეთნიკური წარმომავლობის გამო ცდილობდნენ ავანის არქიტექტურაშიც ქართული ელემენტები შეეტანათ. როგორც ითქვა – ტაო-ბასიანს და მის მიმდებარე მიწებს – სომხებიც და ბიზანტიელებიც „ივერიას“ უწოდებდნენ. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონის მომცველი ავანის ქალკედონური საკათალიკოსო – „ივერიის ეკლესიად“ იწოდებოდა საერთაშორისო საეკლესიო წრეებში. ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქო ავანის საკათალიკოსოს და მის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს – „ივერიის ეკლესიას“ უწოდებდა. საქმე ისაა, რომ თეოდოსიოპოლის-არზრუმის რეგიონში ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ იყო რამდენიმე ქალკედონური საეპისკოპოსო, საერთოდ, ეს მიწა-წყალი ანტიოქიას თავისი საპატრიარქოს იურისდიქციად მიაჩნდა. ამიტომაც, შესაძლოა, ავანის ანუ „იბერიის საკათალიკოსო“ მას შემდეგ, რაც განშორდა დვინს, თავდაცვის მიზნით შეუერთდა ძლიერი ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციას (ანდა ის რომელიმე სხვა ეკლესიას უნდა მიკედლებოდა ავტოკეფალიის საერთაშორისო დადასტურებამდე). არაბების შემოსევების შემდეგ კავშირი ანტიოქიასა და ავანის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს შორის გაწყვეტილა, შემდეგ კი, ჩანს, ანტიოქიაში კვლავ განუხილავთ ამ ე.წ. მეორე „ივერიის ეკლესიის“ საკითხი. საქმე ისაა, რომ მართალია, ავანის ერთადერთი კათალიკოსის იოანე ბაგარანელის (+609/10) შემდეგ გაუქმდა ავანის კათედრა, მაგრამ მისი ქალკედონური მემკვიდრეობა მიიღო ტაომ, სადაც VII საუკუნეში ქალკედონური საეპისკოპოსო ცენტრი იშხნისა და სხვა ჩამოყალიბდა. სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში უკანვე შეიერთა ქალკედონური კათედრები, რითიც ჩანს, ანტიოქიაც გაანაწყენა. ანტიოქიას მიწა-წყალი არზრუმამდე თავის იურისდიქციაში შემავალ „იბერიად“ მიაჩნდა. სომხური ეკლესია VII ს-ში თავის საეკლესიო მთლიანობას იმით ინარჩუნებდა, რომ გარკვეულ კომპრომისზე მიდიოდა და სომხურ საეკ-

ლესიო ტახტზე ქალკედონიტ კათალიკოსებსაც სვამდა, რჩეული მათ შორის ნერსე III ტაოელი, ჩანს, ეთნიკური ქართველი იყო, ისევე, როგორც, ვთქვით, იქამდე სომხურ ეკლესიაში მოღვაწე აირარატის ქორეპისკოპოსი კირიონი. 726 წელს მანასკერტის მონოფიზიტური კრების შემდეგ ქალკედონური ტაო-ბასიანი განშორდა სომხურ ეკლესიას.

ამ დროს, აქ, ანუ „ივერიაში“, კვლავ გაიხსენეს ანტიოქიის ეკლესია და მისგან მოითხოვეს ავტოკეფალია, საეკლესიო თავისთავადობის საერთაშორისო დასტური. ამ დროს არა მხოლოდ ტაო-ბასიანში, არამედ მის გარეთაც ქართველი ქალკედონიტები აარსებდნენ თავიანთ კათედრებს, მაგალითად, ვალაშკერტში. ვალაშკერტის მღვდელთმთავრის წოდება „მამამთავარი“ შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ის ერთ პერიოდში იქცა „ივერიის ქალკედონური“ ეკლესიის მემკვიდრედ, რომელსაც სათავე, ჩანს, ასევე ქართული წარმოშობის იოანე ბაგარანელმა დაუდო. ე.წ. ანტიოქიური ქრონიკების ნაწყვეტები იძლევა კიდეც ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საფუძველს – „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი უნდა ეხებოდეს ავანის ანუ ივერიელთა (ქართველთა) ქალკედონურ ეკლესიასა და ანტიოქიას შორის ურთიერთობას და არა მცხეთისა და ანტიოქიისა: „და წარგზავნეს ანტიოქიას მონაზონი ერთი საკურთხეველად, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერღარავის ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა... ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი.. და მიუთხრეს... დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისათა (VII ს-ის დასაწყისი) არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრბებოდნენ ეპისკოპოსნი სიმრავლისა მისისანი და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად ... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა“ (ქ.ც. I, გვ. 226). „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მოწყობას, ვ. გოილაძის აზრით კი, აქ გადმოცემულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების ცნობა. მისგან განსხვავებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის ქართლის ცხოვრების სხვა ჩანართი – „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (IX ს-ში). ე.ი ზემოთ აღნიშნული პირველი ჩანართი ქართლის ცხოვრების მიხედვით არ უკავშირდება აფხაზეთს, ამიტომაც სწორი უნდა იყოს კირიონ II, რომ ეს ჩანართი უკავშირდებოდა ტაო-ბასიანის (შესაბამისად, ავანის) საეკლესიო მოწყობის საკითხს. ჩანართში ნახსენებია „ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი“ (ქ. ც., I, გვ. 226). „ქართველთა“ პროვინცია ერქვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაო-ბასიანის მხარეებს და მის ირგვლივ ტერიტორიას, რომელიც დროებით, არმენიაში მდებარეობდა. ამ ჩანართში ამიტომაც განმარტავს ანტიოქიის პატრიარქი, რომ საქმე შეეხება „ქართველთა სოფლების მკვიდრთ“. ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურადაც

უფრო დალაგებულია მსჯელობა – ანასტასი ანტიოქიელი პატრიარქი თითქმის თანამედროვე იყო ავანის ქალკედონიტი კათალიკოსის იოანე ბაგარანელისა, რომელიც 609 თუ 610 წელს გარდაიცვალა. ამის შემდგომ, არაბობის შემოსევების გამო, რთული იქნებოდა ანტიოქიისა და ტაო-ავანის საეკლესიო ურთიერთობა. ავანის კათედრა მართლაც უმღვდელმთავროდ დარჩა და ამიტომ მისი ქალკედონიტი ეპისკოპოსები დასაჯა სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში, მაგრამ ეს მდგომარეობა, ანუ ეთნიკური მღვდელმთავრის გარეშე ყოფნა, არ აკმაყოფილებდა ტაო-ბასიანის ქართული ქალკედონიტური სოფლების მრევლს. მათ, ჩანს, სურდათ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით გამოეხსნათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან. მაგალითად, მოღწეულია იშხნის ტაძრის მინაწერი, სადაც ადგილობრივი მღვდელმთავარი ტრაპეზუნტში ჩავიდა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაესხა მისთვის ხელი. ამით იშხნის მღვდელმთავარს სურდა თავის დახსნა სომხური იურისდიქციისაგან. არზრუმ-თეოდოსიოპოლი, ტრადიციულად, ანტიოქიელი პატრიარქის სამწყსოს განეკუთვნებოდა და იქვე მდებარეობდა კიდეც ავანის მემკვიდრე ტაო-ბასიანის ქალკედონიტური ვრცელი ქართული სამრევლო. იბერიის ეკლესიის პირველიერარქად ანტიოქიამ დანიშნა ქართველი მონაზონი სახელით იოანე. ასევე, იოანე ერქვა VIII ს-ში აღდგენილ ივერიის ავტოკეფალური პირველი ეკლესიის მეთაურსაც. ეს ნიშნეულია, რადგანაც ავანის პირველ კათალიკოსსაც იოანე ერქვა. ასე რომ, ავანის ქალკედონიტური კათედრის წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ეთნიკური განსხვავებულობის გამო ქართული მრევლის გამოყოფა სომხური ეკლესიისგან და დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბება. ასეთ თვალსაზრისამდე მივალთ, თუკი აღნიშნულ ჩანართს დავუკავშირებთ სამხრეთ საქართველოს – ტაო-ბასიანის მხარეებს. სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე – დავით III კურაპალატის ეპოქაში, მრავალი უცხოელი ავტორი ახსენებს ქართველ კათალიკოსს თუ ქართველ პატრიარქს. სამხრეთ საქართველოს ამ საეკლესიო ერთეულს მართლაც მიანიჭა ანტიოქიამ ავტოკეფალია, შემდეგ ათასწლეულში ეს ცნობები მცხეთის ეკლესიას დაუკავშირეს და მიიჩნიეს მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ტაოს (იბერიის) სამეფოს ადგილზე დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაუფლების შემდეგ, როგორც ითქვა, ბიზანტიამ ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემის“ სახელწოდებით – XI ს-ს დასაწყისში. მაშასადამე, შესაძლებელია, ავანის საკათალიკოსო უცხოელთათვის, კერძოდ კი ანტიოქიის ქალკედონიტებისათვის წარმოადგენდა არა სომხურ, არამედ ქართველთა, ანუ „ივერიელთა“ ეკლესიას. მიზეზი ამისა იყო მისი მრევლის უმეტესი ნაწილის (ტაო-ბასიანის) ქართველობა. როგორც ითქვა, იოანე ბაგარანელის დროს, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას გამოეყო ქალკედონიტური ფრთა, რომელმაც დამოუკიდებელი საკათალიკოსო დააარსა. ისმის კითხვა: ეცდებოდა თუ არა ეს ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ანდა დაკავშირებას უცხოეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან, როგორც თავისთავადი ეკლესია? ჩანს, ასეთი ურთიერთობა მათ

დაუმყარებიათ ანტიოქიის საპატრიარქოსთან ნეტარი ანასტასი მღვდელმოწამის ზეობისას, მაგრამ შემდეგ ავანის ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა. ტაო-ბასიანის ივერიელმა მოსახლეობამ მოითხოვა კვლავ ეძებნათ თავისთავადი ეკლესიის ჩამოყალიბების გზები და მისი საერთაშორისო აღიარება. ეს მოუხერხებიათ ანტიოქიის პატრიარქ ნეტარი თეოფილაქტეს დროს. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ტაო-ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის სამეფოს საეკლესიო სამამამთავრო, უკვე ქართული საეკლესიო ერთეული. ამით იქამდე სომხურენოვანმა ავანის საკათალიკოსოს მემკვიდე ეპარქიებმა აღადგინეს ქართულენოვანება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ III მსოფლიო კრებაში (431 წ.) მონაწილე იბერიელი (ურჰაელი) ქართველი ეპისკოპოსი იერემია უნდა ყოფილიყო ისტორიული ქართლის მიწაზე მცხოვრები იბერიელების ეპისკოპოსი, ანუ ის შედიოდა არა მცხეთის (ქართლის) ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ ე.წ. სპარსული ქართლის საეპისკოპოსოთა იურისდიქციაში. ეს ე.წ. სპარსული ქართლი მდებარეობდა ძირითადად არაქსის ხეობასა და ვანის ტბისაკენ მიმართულ მიწა-წყალზე. ეს იყო ქართველთა ისტორიული საცხოვრისი. 431 წელს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადებაში მონაწილე ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსი იერემია (ვ. გოილაძე, ქართლის სამეფო. ავტორეფერატი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 1998 წ., გვ. 20). როგორც მას უწოდებენ, „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი (კ. კეკელიძე, ეტიუდები I. 51, 62). წმ. გრიგოლ ფერაძის ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა „დიდაქეს“, ანუ „12 მოციქულთა მოძღვრების“ კანონიკური მწერლობის ერთ-ერთი ადრინდელი ძეგლის თარგმანი, გადაღებული 1923 წელს ვინმე ფეიქრიშვილის მიერ. ფერაძის აზრით, იგი გადმოთარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე V ს-ში იერემია იბერიელის მიერ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული“ (კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე V საუკუნისა, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, №9, 1928 წ. გვ. 187, 198). „სპარსული იბერიიდან“ წარმოშობილი იერემია ქ. ურჰაში იყო გადასული სამოღვაწეოდ. შესაძლოა, იერემია იბერიელის სამშობლო „სპარსული იბერია“ ის ტერიტორიაა, სადაც შემდგომ ავანის საკათალიკოსოს იურისდიქცია განივრცო, როგორც ვთქვით, ეს იყო იბერიელების საცხოვრისი. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აქ მრავლად ცხოვრობდნენ იბერიელები, რომელთა გამალებული არმენიზაცია მიმდინარეობდა IV-V სს-ში, მას შემდგომ, რაც ამ მიწა-წყალზე მძლავრი სომხური ეკლესია ჩამოყალიბდა. სომხეთში მცხოვრები იბერიელები მუდამ ცდილობდნენ ეკლესიურად როგორმე გამოყოფოდნენ სომხურ ეკლესიას, რაც მხოლოდ VI ს-ის შემდგომ, საბოლოოდ კი VIII ს-დან გახდა შესაძლებელი.

მე-6 ს-ში არმენიის ივერიის მესამე ქართველ ეპისკოპოსად შეიძლება ჩაითვალოს კირიონ I, ქართლის კათალიკოსის ტახტზე ასვლამდე.

კირიონ I თავისი ახალგაზრდობის წლებში იყო არმენიაში აირარატის ოლქის ანუ არმენიის ივერიის ცენტრალური ოლქის – აირარატის გავარის

ქორეპისკოპოსი და ასევე დვინის მთავარი ეკლესიის წინამძღვარი (ამ ოლქებში „სომხურენოვანი“). ის არმენიის ივერიაში მოღვაწეობდა ანუ მღვდელმთავრობდა 5 წლის მანძილზე, ქართლის კათალიკოსად არჩევამდე. მის მოღვაწეობას ეძღვნება ჩვენი ერთ-ერთი ნაშრომი.

მე- 7 ს-ში არმენიის ივერიის, ამ შემთხვევაში ტაოს, შემდეგ ქართველ (არმენიზებულ ანუ „სომხურენოვან“) ეპისკოპოსად უნდა ჩაითვალოს ცნობილი საეკლესიო ტაოელი მოღვაწე წმიდა ნერსე იშხნელი. ის ტაოს ეპისკოპოსობის შემდეგ აირჩიეს არმენიის ივერიის ანუ არმენიის ქალკედონური ნაწილის კათალიკოსად, შემდეგ სრულიად სომეხთა კათალიკოსად (მალავდა თავის ქალკედონიტობას).

ის (ნერსე მე-3) დიდად მოყვარული იყო ქართულ-ქალკედონური ანუ მცხეთის ჯვრის არქიტექტურული სტილისა, რომელიც გააღრმავა და განავრცო სხვადასხვა მიგნებით.

მე-8 ს. შუა წლებში ტაოს ივერიამ, ანუ არმენიის ივერიამ, ანტიოქიის საპატრიარქოს დახმარებით შეძლო და თავი გაითავისუფლა სომხური ეკლესიის ბატონობისაგან და ამასთანავე, დაიბრუნა ქართულენოვნება იქაურ ეკლესია-მონასტრებში.

ამ დროს, ანუ მე-8 ს. შუა წლებში, ანტიოქიის პატრიარქმა ივერიის ანუ ტაოს ივერიის პირველ ქართულენოვან კათალიკოსად დაამტკიცა იოანე (მე-3). ის შეცდომით, ამჟამად მიიჩნევა მცხეთის ივერიის ანუ საქართველოს კათალიკოსად, მაგრამ იყო არა მცხეთის, არამედ ტაოს ივერიის კათალიკოსი.

ის (ტაოელი იოანე) კათალიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ (744-751). ანტიოქიური ქრონოგრაფის თანახმად, რომელიც ეფრემ მცირემ შემოგვინახა –

„ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაკტესსა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა არიან ქრისტიანენი მკჳდრნი ქართველთა სოფლებისანი. რამეთუ დღითგან ანასტასი მღვდელთმოწამისა ანტიოქელ პატრიარქისა, არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარ-ეპისკოპოსი. სიძნელისათჳს გზისა. რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჭობითა კრებისაჲთა, მთავარ-ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თჳსთათანა, მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გაჴსნითი. რათა თჳთ მათისა საზღურისა ეპისკოპოსთაგან ჴელნი დაესხმოდინ ჟამადჟამადსა კათალიკოზსა ქართლისასა. რომელიცა საღმრთომან მადლმან უჩუჷნოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა. თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაჲთა, წესებრ საეკლესიოთა — და შეუქმნა მათ აღწერით მოსაჴსენებელი თავისა თჳსისათჳს და მუნ შემოკრებულისა კრებისაჳს და ჴელდასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი: სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა“.

მე-9 საუკუნეში, 888 წელს, არაბულმა სახალიფომ ნება დართო ამიერტაოს მმართველს ადარნასეს მიეღო „ქართველათა მეფის“ ტიტული, რადგანაც იმჟამად ტაოს ამ ნაწილს სახალიფო განგებდა.

ადარნასეს ბაგრატიონთა ოჯახი ასევე მართავდა კლარჯეთსა და საქართველოს სხვა ზოგიერთ მხარეს,

კლარჯეთი ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა, ასე რომ, ამ ოჯახმა გააერთიანა ტაოსა და იქაური ივერიის არაბული და ბიზანტიური ნაწილები.

ისინი, შესაბამისად, ატარებდნენ ტიტულს „მეფე“ (თავდაპირველად სახალიფოს მიერ ნაბოძები ტიტული) და კურაპალატი (ბიზანტიური ტიტული).

იმჟამად ეკლესიურად ტაოს ივერია უკვე გათავისუფლებული იყო სომხური ეკლესიის ბატონობისაგან და სამეფოში ქართული ენა ყვაოდა, რადგანაც აღმატებით გამოიყენებოდა ადმინისტრაციულ, საეკლესიო და სამოქალაქო სფეროებში.

მე-10 საუკუნეში, დავით კურაპალატის დროს, ტაოს ივერიის ანუ „ქართველთა სამეფოს“ საზღვარი არაქსზე გადიოდა. სამხრეთით კი მიუახლოვდა ვანის ტბას.

მეფე დავით კურაპალატი ფლობდა სამხრეთ ანუ იმიერტაოს, ბასიანსა და ასევე არმენიზებულ ისტორიულ ქართულ ოლქებს, მათ ამჟამად შეცდომით უწოდებენ „სომხურ თემებს“, ისინი იყო ეთნიკურ ქართველთა ისტორიული მიწები, იმ ადგილობრივი მოსახლეობისა, რომელიც მეფე დავითში ხედავდა თავისი ეთნიკური ფესვების ანუ ივერიელობის, ქართველობის აღორძინების იმედს, ამიტომაც გვერდით ედგნენ მას.

სწორედ მათი დახმარებით, ანუ არმენიის ივერების დახმარებით შეძლო დავით კურაპალატმა უძველესი ქართული, თუმცა არმენიზებული, იმჟამად უკვე მუსლიმანთა ხელში ჩავარდნილი მიწა-წყლის გათავისუფლება ვიდრე ვანის ტბამდე.

მანასკერტში მეფე დავითმა ქართველები ჩაასახლა. ასეთ შორეულ ქვეყანაში დასასახლებლად მეფეს ქართველები ტაოდან კი არ ჩაუყვანია, არამედ მოკრიბა ვანის ტბის მიმდებარე დაბა-სოფლებში, ისინი, თანამედროვე სიტყვებით თუ ვიტყვით, ის არმენიზებული ქართველები იყვნენ, რომელნიც აღფრთოვანებით ემორჩილებოდნენ დავით კურაპალატს, ვითარცა არმენიზაციისა და მუსლიმანური უღლისაგან განმანთავისუფლებელს.

ამ ფაქტს აღნიშნავს კიდეც ასოღიკი, ის წერს, რომ დავით კურაპალატის მოლაშქრენი, ანუ ადგილობრივი ვაჟკაცები, სომხურ ეკლესიებს ცხენის თავლებად იყენებდნენ და ამ ფაქტით გაოცებულ მუსლიმებს უცხადებდნენ, „ჩვენ მეჩეთებსა და სომხურ ეკლესიებს ერთნაირად ვუყურებთ, ისინი ერთნაირად მიუღებელნი არიან ჩვენთვისო“ (ასოღიკი, გვ. 193, ნარკვ. II, გვ. 487).

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ასოღიკის ცნობითაც, არმენიზებული ქართველები უბრუნდებოდნენ თავიანთ ეროვნულ ქართულ საწყისებს დიდი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით, რაც საფუძველი გახდა დავით მე-3 -ის სამხედრო წარმატებებისა არა ე.წ. „სომხურ თემებში“, არამედ არმენიზაციის ბურუსისაგან გათავისუფლებულ ივერთა ისტორიულ მიწა-წყალზე ტაოდან ვიდრე ვანის ტბამდე.

ასოღიკისა და იაჰია ანტიოქიელის ცნობებით დავით კურაპალატის კარზე მოღვაწეობდნენ ადგილობრივი ანუ ტაოს ივერიის კათალიკოსიები, რომელთაც ასევე პატრიარქებსაც უწოდებდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის ანუ მე-10 საუკუნეში არსებობდა მცხეთისა და ტაოს სხვადასხვა საკათალიკოსო ანუ მცხეთისა და ტაოს საპატრიარქოები, ორივე ეს საეკლესიო ერთეული ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილები იყო.

მე-11 საუკუნეში, იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის მიერ ტაოს სამეფოს გაუქმებისა და „იბერიის თემის" დაარსების შემდეგ, ერთხანს, იბერიის თემის ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე გრძელდებოდა წირვა-ლოცვა. მაგრამ მალევე, უკვე მე-11 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, იმპერიამ თანდათანობით იბერიის თემში აკრძალა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და დააკანონა ბერძნულენოვნება.

ქართული ენის შენარჩუნებისათვის იბერიის თემის ეკლესია-მონასტრებში იღწვოდნენ ქართველი სასულიერო პირები, ათონელი მამები, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსი ზაქარია ვალაშკერტელი. მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ.

ბიზანტიამ იბერიის თემი სამრთავად გადასცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიას.

ცხადია, არც იმპერატორებისათვის იყო ადვილი იბერიის თემის ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვნების აკრძალვა, ეს საკითხი, ასე ვთქვათ, პოლიტიკურად მოაგვარა ბასილი მეორემ.

ამ იმპერატორმა ქართველთა გულის მოგების მიზნით, რათა დაემტკიცებინა, რომ ის არ ებრძოდა ზოგადად ქართულ ეკლესიას, ყურადღება მიაპყრო მცხეთის საპატრიარქო ცენტრის, ანუ სვეტიცხოვლის აღორძინების საკითხს, მისი გამშვენების საქმეს პატრიარქ მელქისედეკის ანდერძის ცნობით.

კერძოდ, არაბული შემოსევების გამო მე-8 საუკუნიდან მცხეთელი კათალიკოსები უმეტესად იმყოფებოდნენ არა მცხეთაში, არამედ ჯავახეთსა და სამცხეში, თრიალეთის მთებში იყვნენ გადასულნი, ამ მხარეებში ტარდებოდა კიდეც ქართული საეკლესიო კრებები, იმ ეპოქაში ძირითადად აქაურ ქართველებს ირჩევდნენ საპატრიარქო ტახტზე, მაგალითად, ჯავახეთის კრებამ განიხილა ადგილობრივ დიდებულთა შვილების საკათალიკოსო ტახტზე აყვანის საკითხი გურამ მამფალისა და გრიგოლ ხანძთელის მონაწილეობით,

ამ მიზეზის გამო შეძლო სამცხის მთავარმა მირიანმა კათალიკოს ილარიონ I-ის (დაახლ. 850-860) გარდაცვალების შემდეგ, სამცხელი დიდებულების მხარდაჭერით, საკათალიკოსო ტახტზე აეყვანა თავისი ძე არსენ I (დაახლ. 860-887). სამცხე-ჯავახეთელი უნდა ყოფილიყო მისი მეტოქე ქართლის საკათალიკოსო ტახტზე მირიანი.

ამის მიზეზი, როგორც ითქვა, იყო ქართლის საკათალიკოსო ტახტის გადატანა სამცხე-ჯავახეთში, რადგანაც მემატიანის სიტყვით, არაბთა შემოსევების გამო „მცხეთა საყოფელად უვარგისი" იყო („განრყვნილ იყო საყოფელად მცხეთა" – წერდა მემატიანე) ანუ საცხოვრებლადაც არ გამოდგებოდა, მით უფრო საკათალიკოსო ტახტისათვის, ჯავახეთში კი ის დაცული იყო ადგილობრივი ქართველი დიდებულების მიერ.

ჩანს, ეს ვითარება იცოდა იმპერატორმა ბასილი მეორემ, მან გადაწყვიტა დახმარებოდა მცხეთელ პატრიარქს მელქისედეკს, მისცა მას საჭირო თანხები, რათა აღედგინა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული სვეტიცხოვლის დიდებული ბაზილიკა, ამ თანხებით მან ტაძარს აუშენა სტოვები, ანუ დასავლეთიდან და სამხრეთიდან დიდებული კარიბჭე-შესასვლელები, გრანდიოზული თაღებით, ოქრო-ვერცხლით მოჭედა კანკელი და სხვა. მცხეთა ნამდვილ საპატრიარქო ქალაქად კვლავ აღორძინდა ბასილის წყალობით. სანაცვლოდ, ბასილი მეორემ დაამცრო ტაოს ივერიის საკათალიკოსო, ის გაუქმებულ იქნა. ტაოს ივერიის ადგილას ჩამოყალიბებული იბერიის თემი კი გადაეცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიას, როგორც ითქვა, იქ ბერძნულენოვნება დაინერგა.

მე-11 ს. შუა წლებში ამ მდგომარეობას იბერიის თემში ვერ ურიგდებოდნენ ქართველი წმიდა მამები, ამიტომაც შედგა კიდევ ერთი სასულიერო დელეგაცია, რომელიც საჩივრით ჩავიდა ანტიოქიის საპატრიარქოში წმიდა გიორგი მთაწმიდელის მეთაურობით, მართალია, ანტიოქიამ აღიარა, რომ ეს მიწა-წყალი იყო ივერიის სამოციქულო-ავტოკეფალური ეკლესიის კანონიერი ნაწილი, მაგრამ ამ აღიარებამ ვერაფერი გააწყო კონსტანტინოპოლის გადაწყვეტილების შესაცვლელად, ივერიის თემი მას დარჩა.

იქამდეც, ბიზანტიელები დაუნდობლად ანადგურებდნენ ბასიანსა და შემდეგ იბერის თემის ხალხს ექსპლოატაციითა და სამხედრო ქმედებებით. ამასთანავე, იბერის თემიდან გაჰყავდათ ადგილობრივი ანუ იბერი ჭაბუკებით დაკომპლექტებული 50. 000 კაციანი ლაშქარი. მეორე მხრივ, იბერიის თემის ხალხისათვის ამ ლაშქრის მეომრების გასამჯელო მნიშვნელოვანი შემოსავალი იყო. შემოსავლის ეს წყარო იბერის თემს შეუწყვიტა იმპერატორმა კონსტანტინე მე-9-მ, რომელმაც გააუქმა „იბერიული არმია“ და ამ შემოსავლის ნაცვლად დაუწესა ახალი გადასახადები, რომლიც მძიმე დარტყმა იყო მკვიდრი მოსახლეობისათვის.

იბერიის თემი ძალზე დასუსტდა, ამ ფაქტმა კი გზა გაუხსნა უკვე სპარსეთში გაბატონებულ თურქ-სელჯუკებს ბიზანტიური ცენტრებისაკენ,

საბოლოოოდ, შესაძლოა, ბიზანტიის იმპერატორები მიხვდნენ, რომ იბერიული არმია, სინამდვილეში, იყო მძლავრი ჯებირი თურქ-სელჯუკების შესაკავებლად. ეს ჯებირი კი თავადვე მოარღვიეს.

ამის გამოც 1071 წელს მანასკერტის ბრძოლაში დამარცხდა იმპერიის ჯარი.

ბიზანტიამ მიატოვა იბერიის თემი და ის უკან დაუბრუნა თავის ნამდვილ პატრონს ანუ საქართველოს სახელმწიფოს გრიგოლ ბაკურიანის ხელით 1074 წელს.

ამის შემდეგ, ეკლესიურადაც, ეს მხარე კვლავ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა.

როგორც ითქვა, იბერიის თემის ძირითადი მოსახლეობა (იბერები) იყვნენ არმენიზებული ქართველები, ოღონდ მათი არმენიზაციის ხარისხი სხვა-

დასხა სახისა იყო, მე-8 ს. შემდეგ მათ აღიდგინეს ეკლესიებში ქართულენოვნება და თვითშემეცნება.

მათი წინაპრების არმენიზაცია საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, მაგრამ მე-8 საუკუნის შემდეგ მათში ეროვნულ-იბერიული ანუ ქართული თვითშემეცნების გამოღვიძებამ, სომხური ეკლესიის ბატონობისაგან გათავისუფლებამ, საბოლოოდ კი ტაოს ქართველთა სამეფოს დაფუძნებამ იბერიული იდენტობა კვლავ ააღორძინა აქაური მოსახლეობისა.

შემდგომშიც კი იბერიის თემის ნაწილები – კარენიტიდა (ქარნუ-ქალაქის ოლქი), ტაო, ბასიანი, აირარტი და შირაკიც კი იბერიულ იდენტობას იბრუნებდა ანდა ბიზანტიის მიერ დაპყრობის მიუხედავად იქაურთა შორის მტკიცდებოდა ქართულ-ნაციონალური თვითშემეცნება.

მე-12-მე-13 საუკუნეებში, ასეთ ფონზე, საქართველოს სახელმწიფომ დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც მის შემადგენლობაში შესული ყოფილი იბერიის თემის დიდი ნაწილი (შირაკი, თავისი ქალაქ ანისით) სამამულეს-სამფლობელოდ გადასცა მონოფიზიტ ზაქარია მხარგრძელს. მხითარ გოშის ერთგულ მოწაფეს, მისი მოძღვარი, დიდი თეორეტიკოსი, გამძაფრებით ავრცელებდა სომხური ეკლესიის გავლენას ქართველთა შორის, შესაბამისად, აქაური იბერები კვლავ სომხური ეკლესიის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდნენ, თუმცა ეს არ იყო ტოტალური მოვლენა, რადგანაც ზაქარია მხარგრძელი საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელე იყო, ხოლო სახელმწიფო, საბოლოო ჯამში, ქალკედონიტური. ამის გამო ანისში, ვალშკერტსა, ყარსსა და ჩანს, არზრუმშიც კვლავ განაგრძობდა არსებობას ქართული საეპიკოპოსოები, ლასტივერტეცის ცნობით, ვალაშკეტრში ქართველი ეპიკოპოსი მე-10 საუკუნეშიც კი იჯდა, მე-11 ს. მისი მღვდელმთავარი ზაქარია ვალაშკერტელი ბასილი მეორესთანაც ურთიერთობდა და ეს საეპიკოპოსო შემდეგ საუკუნეებში უფრო გაძლიერდა ისევე, როგორც სხვები, სხვა აქაური ქართული საეპისკოპოსოები.

მე-12 საუკუნეში ყოფილი იბერიის უმთავრეს ნაწილს, ტაოსაც ნაკლებად გაუმართლა, რადგანაც მისი მთავარი გუზან აბუსალანის ძე ტაოელი შეუერთდა თამარის წინააღმდეგ გიორგი რუსის აჯანყებას, რის გამოც დაისაჯა ის და მისი ოლქი, თუმცა აქაურ ეკლესიებში, რომელიც მცხეთელი პატრიარქის მიერ იმართებოდა, გაჩაღებული იყო ქართული წირვა-ლოცვა.

თამარმა რუქნადინზე გამარჯვების შემდეგ სრულად გაათავისუფლა ოშკი, ბანა და ხახული,

XII-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბებულა ტაოს საერისთავო ფანასკერტელების ერისთავობით. თუმცა ის მე-13 ს. ბოლოდან სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შედიოდა. ეს სამთავრო კი, მემეტიანის ცნობით, წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოების მხურვალე მცველი იყო.

თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დაიშალა, ტაო სამცხე-სათაბაგოს ერგო.

სამცხე-საათაბაგო იყო დიდი და მძლავრი სამთავრო, მისი საზღვრები არზრუმამდე და ტრაპეზუნტამდე აღწევდა, მისი დედაქალაქი ახალციხეს-

თან ერთად ოლთისიც იყო. მის მთავრებთან დამოყვრებას ტრაპეზუნტელი იმპერატორებიც კი ცდილობდნენ.

ამის მიუხედავად, ის მე-16 საუკუნის მეორე ნახევარშო ოსმალეთმა დაიპყრო.

ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ვრცელი სამთავროს მკვიდრი მოსახლეობა ანუ ქართველობა კვლავ სომხურ საეკლესიო ყულფში მოექცა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ოსმალეთის მთავრობამ გადასცა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს იურისდიქციას. ანუ ამ დიდი სამთავროს ქართული მოსახლეობა სომეხთა საპატრიარქოს დაუმორჩილეს, როგორც ეს გაარკვია შოთა ლომსაძემ თავის წიგნში „სამცხე-ჯავახეთი“.

კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქო ამ ქალაქის დაპყრობის-უმალვე დააარსა სულთანმა მეჰმედ მე-2-მ 1461 წელს, თავის მხრივ, კონსტანტინოპოლის სომხური საპტრაიარქო იყო სომხური სამოციქულო ეკლესიის ავტონომიური საეკლესიო ერთეული (მაგალითად, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტონომიური საეკლესიო ერთეულები იყო აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები).

თუმცა სომეხთა ოსმალურ საკათალიკოსოს გაცილებით მეტი უფლებები გააჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ საეკლესიო ერთეულს.

საზოგადოდ, ოსმალეთის იმპერიაში ოფიციალური სახელმწიფო აღიარება და ავტონომია მიიღო ბერძნულმა და სომხურმა საპატრიარქოებმა.

ოსმალეთში სომხურ და ბერძნულ რელიგიურ საზოგადოებებს მილეთები ერქვათ.

რეალურად, ბერძნული და სომხური მილეთები აკმაყოფილებდნენ თავიანთი წევრების რელიგიურ მოთხოვნებს, ასევე იცავდნენ შინაგან წესრიგს, ამასთანავე, მილეთებს ევალებოდათ გადასახადების აკრეფა.

თანდათანობით ტერმინი მილეთი გადაიქცა „ხალხის“, „ნაციის“ აღმნიშვნელად.

ოსმალეთში კითხვა „რა მილეთისა ხარ“ ? ნიშნავდა – „რომელ ნაციას ეკუთვნი“. ასეთი კი ოსმალეთში ოფიციალურად ქრისტიანთა შორის სულ ორი იყო – „ბერძენი“ ანდა „სომეხი“. ანუ ოსმალეთში ოფიციალურად ნებისმიერი ეთნოსის ადგილობრივი ქრისტიანი ვალდებული იყო სახელმწიფოს წინაშე თავისი თავი ბერძნად ანდა სომხად წარედგინა. მართლაც, ბულგარელები და ვლახელებიც კი ხელისუფლებისათვის ბერძნები იყვნენ, რადგანაც ბერძნულ მილეთში შედიოდნენ, ხოლო რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის ქრთველობას, ისინი სულთნის საგანგებო ბრძანებით სომხურ მილეთში შეიყვანეს და კონსტანტინოპოლის სომეხ პატრიარქს დაუმორჩილეს.

როგორც ითქვა, ოსმალეთში ნაციონალური კუთვნილების ნიშანს წარმოადგენდა მილეთისადმი კუთვნილება, ანუ ქრისტიანებისათვის არსებობდა სომხური და ბერძნული მილეთები, თავიანთი ენით (ანუ ბერძნული და სომხური ენებით), რეგიონებით.

მილეთებისადმი კუთვნილება იძლეოდა მოქალაქეობასაც და თავის წევრებს უნერგავდა შესაბამის მენტალიტეტს.

ანუ ბერძნულ მილეთში შემავალი ნებისმიერი ეთნიკური წარმოშობის ადამიანი სახელმწიფოსათვის იყო კანონიერი მოქალაქე, ოღონდ ეროვნებით ბერძენი, ასევე სომხურ მილეთში შემავალი ქართველები სახელმწიფოსათვის ეროვნებით „სომხები“ იყვნენ, მათ ამ მილეთში საუკუნოვანი ცხოვრებისას სომხური თვთშემეცნება და სომხურენოვნება უმკვიდრდებოდათ.

ამის გამო, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის ვრცელ ქვეყანაში ოსმალთა ბატონობისას ქართულენოვნება შეინარჩუნეს მხოლოდ მუსლიმმა ქართველებმა, ქრისტიანი ქართველები სომხურენოვნებად იქცნენ.

მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შეყვანის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები კათოლიკე ქართველების ნაწილმა შეძლო ქართულენოვნების შენარჩუნება, ისიც თავდადებული მოღვაწეების – თამარაშვილის, გვარამაძისა და სხვათა გასაოცარი ღვაწლით.

უნდა ითქვას, რომ დუნაისპირზე რუსეთის იმპერიის ლაშქრობებმა და ოსმალეთისაგან ამ მიწა-წყლის გათავისუფლებამ კვლავ ააღორძინა იქაურთა ნამდვილი თვთშემეცნება და ბერძნული ეთნოცნობიერებისაგან გაათავისუფლა ბულგარელი და რუმინელი ქრისტიანები.

აღნიშნული მიზეზების გამო ოსმალეთში მე-15 საუკუნიდან მე-19 ს. ჩათვლით, სომეხ და ბერძენ პატრიარქებს ეთნარქები, ანუ ნაციის მამები ეწოდებოდათ (სომეხი ნაციის ეთნარქი, ბერძენი ნაციის ეთნარქი). ისინი ერთდროულად იყვნენ მილეტბაშები და ეთნარქები.

მილეტბაში ნიშნავდა, რომ ისინი (სომეხი და ბერძენი პატრიარქები ოსმალეთში) რეალურად იყვნენ ავტონომიური ადმინისტრაციული დაწესებულების ანუ მილეთის მეთაურები, მათ ხელში იყო (თავის მილეთის ფარგლებში) სასამართლო ხელისუფლება, სამართლებრივი საქმიანობის წარმართავა, განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემები და სხვა. მისი წარმომადგენლები სოფლებსა და ქალაქებში (ანუ სასულიერო პირები ადგილებზე) იყვნენ სასამართლოს მეთაურები, მსაჯულები, ადმინისტრაციული მმართველები თუ მამასახლისები, მათ ხელში იყო გადასახადების აკრეფისა საქმე, ამიტომაც უფლება ჰქონდათ წევრთა ქონების განკარგვისა და დამნაშავისათვის სათანადო განაჩენის (მათ შორის სასიკვდილი) გამოტანისა შესაბამისი სასამართლო პროცედურის შემდეგ, რომელსაც თვითონ წარმართავდნენ. სასამართლო წარმოებისათვის შემუშავდა სათანადო სამართლებრივი ბერძნული და სომხური კოდექსები (თავთავიანთი მილეთებისათვის).

ასეთი სრული ძალაუფლება მილეთებს გააჩნდათ მე-15 საუკუნიდან თითქმის მე-20 საუკუნემდე.

საბოლოოდ, XIX ს-ში ოსმალურ მილეთებში აღორძინდა სომხური და ბერძნული ნაციები, რომელთაც შემდგომში სრული პოლიტიკური თავისუფლება მოითხოვეს. ეს კი გახდა საფუძველი ოსმალეთში შიდაომების გაჩაღებისა, დაიწყო სომეხთა გენოციდი, უნდა ითქვას, რომ გენოციდის მსხვერპლი გახდა ასევე სომხური მილეთის ეთნიკური წარმოშობით ქართული მოსახლე-

ობა, ანუ ყოფილი სამცხე-საათაბაგოს იმჟამად ოსმალეთში შემავალი ნაწილის ხალხი, რომელნიც სომხური მილეთის წევრობის გამო სახელმწიფოსათვის სომხები იყვნენ. მათაც ერგოთ გენოციდის უბედურება.

ასევე, ოსმალეთიდან საბერძნეთში გადასახლებულ ბერძული მილეთის წევრთა შორის მრავლად იყო ეთნიკური წარმოშობით ქართველი, კერძოდ, გაბერძნებული ლაზები, რომელთაც ლაზური ენა უკვე დავიწყებული ჰქონდათ.

ლაზისტანშიც ლაზური ენის ცოდნა მხოლოდ მაჰმადიანმა ლაზებმა შეინარჩუნეს.

დაახლოებით ასე წარიმართა ჯერ კიდევ სტრაბონის მიერ მოხაზული იბერთა და მათი ისტორიული მიწა-წყლის (პარიადრე, ხორძენა, გოგარენა), ასევ ტაო-კარენიტიდასა და ქსერქსენეში მცხოვრებ ქართველთა ათასწლოვანი ცხოვრება. ეროვნულ სახელწიფოებრივ ერთეულებში ტაოს ქართველთა სამეფოსა და ასევე სამცხე-საათაბაგოში საქართველოს ეკლესიის თანადგომით მათ დიდ წარმატებასაც მიაღწიეს, სომხურ სამეფოებსა და ოსმალეთში კი ასიმილირდნენ და გაუქრათ ეროვნული თვითშემეცნება.


X საუკუნე
№ 89
დავით კურაპალატის ანუ სამხრეთ ივერიის „ქართველთა სამეფო“
პირობითი აღნიშვნები
ჩრდილო ივერიის „ქართველთა სამეფო“
სამხრეთ ივერიის „ქართველთა სამეფო“
მასშ: 3.000.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ბედია
ტრაპეზუნტი
ოინია
ოლი
ბორჩკა
ბასიანი
ხუფათი
ულარეული
ბაბერი
ბერეთი
ანჩა
ერეშეთი
ბერეთი
ბერეთი
ბერ

„სომხურენოვანი“ ქართველები და ალბანელები

ვინაიდან ჩვენში ტერმინი „სომხურენოვანი ქართველი“ დამამცირებლად აღიქმება, ამიტომაც თავდაპირველად შევეხოთ სომხურენოვანი ალაბანელების ისტორიას,

ალბანელები კავკასიის უდიდესი ხალხი იყო ქართველებთან და სომხებთან ერთად. ალბანელებს ჰქონდათ საკუთარი ენა, დამწერლობა, მდიდარი ალბანური ლიტერატურა, საკუთარი სახელმწიფო და საკუთარი ავტოკეფალური ალბანურენოვანი ეკლესია, მაგრამ ყველაფერი დაკარგეს და თვითონაც გაქრნენ.

ალბანელთა ნაციონალური გაქრობის უმთავრესი მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად იყო ის, რომ ისინი მე-6 საუკუნიდან სომხური ეკლესიის სამრევლოდ გადაიქცნენ, მე-6 ს. დასარულსა და მე-7 ს. დასაყწისში დაკარგეს საეკლესიო ავტოკეფალია და მათ ეკლესიებში აიკრძალა ალბანურენოვანი ღვთისმსხაურება, ბარდავის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული დადგენილების ძალით ალბანეთში დამკვიდრდა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ამის შესახებ არსებობს პირდაპირი პირველხარისხოვანის წყარო, ესაა მოვსეს კალანკატუაცის წიგნი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“.

ხოლო ალბანთა სახელმწიფოებრიობა მოსპო სასანიდურმა ირანმა, რომელიც მხარს უჭერდა და აძლიერებდა სომხური ეკლესიის ბატონობას დაპყრობილ კავკასიაში, ისევე, როგორც მათ შემდგომ გაბატონებული მის ადგილას მოსული არაბული სახალიფო. ეს საკითხიც შესანიშნავად აქვს აღწერილი ამ ეპოქის ისტორიკოსს მოვსეს კალანკატუაცის, რომლის ნაშრომსაც ქვემოთ მრავალჯერ ვაანალიზებთ და ვიმეორებთ.

ვინ იყვნენ ეთნიკურად ალაბანელები? ყველა მხარე თანხმდება, რომ ისინი ადგილობრივი კავკასიური ეთნოსი იყო, თუმცა ამჟამად პოლიტიკური მოსაზრებით დაინტერესებული მხარე ალბანელებს აზერბაიჯანელების წინაპრებად მიიჩნევს, მაგრამ სინამდვილეში, როგორც ეს გარკვეულია თვით აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მიერ, ყიზილბაშების თურქმენული ტომების შთამომავლები, მე-16 საუკუნის შემდეგ სრულად მართავდნენ მთელ ირანს და მათი მოსახლეობა განფენილი იყო ავღანეთიდან აზერბაიჯანის ჩათვლით, ამიტომ ტერმინი ყიზილბაში მათთვის საამაყოა. მათი კავკასიაში დამკვიდრების დროისათვის ალბანელები, ვითარცა ეთნოსი და ხალხი, უკვე აღარ არსებობდა.

საქმე ისაა, რომ VI-VIII საუკუნეებში ჩვენი მეზობელი დიდი ხალხი – ალბანელები, დამპყრობლების ნებით, თანდათანობით ჩამოაშორეს ქალკედონიტობას და აიძულეს, მიეღო სომხური აღმსარებლობა ანუ მონოფიზიტობა სომხურენოვანი ღვთისმსახურებით. რასაც კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი, ამავე ეპოქის ცნობილი ისტორიკოსი.

ამის ძირითადი მიზეზი იყო ქალკედონიტურ ბიზანტიასთან მებრძოლი სასანიდური ირანისა და არაბთა სახალიფოს პოლიტიკური ნება.

ისინი (სპარსეთი და სახალიფო) ქალკედონურ ეკლესიებს მიიჩნევდნენ თავიანთი იმპერიების მტრებად, ამიტომაც დაპყრობილ ქართლსა და ალბა-

ნეთში სპარსები და არაბები ებრძოდნენ ქართულ და ალბანურ ეკლესიებს, მაგრამ, ამავე დროს, მხარს უჭერდნენ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას, რომელსაც გაცხადებული ანტიბიზანტიური ანუ ანტიქალკედონური მიმართულება ჰქონდა.

სომხური ეკლესია მე-6 საუკუნიდანვე მძაფრად ებრძოდა ქალკედონიზმს ანუ ქრისტეს ორბუნებიანობას.

არსენ საფარელი თავის წიგნში „განყოფისათვის ქართველთა და სომეხათა", მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორიში" და უფრო ადრე „ეპისტოლეთა წიგნი" იძლევა ცნობებს სომხური ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ.

ტერმინ „პროზელიტიზმის" ქვეშ იგულისხმება დამპყრობელ იმპერიათა მხარდაჭერით სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მიერ ალბანური და ქართული ეკლესიების იურისდიქციაში შეჭრა, ქართული და ალბანური მრევლის „სომხურ სარწმუნოებაზე" გადაყვანისათვის მძაფრი ბრძოლა დამპყრობელთა მხარდაჭერით,

შეძლეს კიდეც კირიონ კათალიკოსის ანუ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი გუგარქის ეკლესიებში სომხურენოვნების დანერგვა, მაგრამ კირიონმა თავდადებული ღვაწლით აღუდგინა გუგარქის ანუ გუგარეთის მრევლს ქართულენოვანი ღვთისმსახურება, რამაც სასტიკად განარისხა სომხური ეკლესიის მეთაურები. ისინი, ეპისტოლეთა წიგნის თანახმად, მოუწოდებდნენ კიდეც ირანული ხელისუფლების წარმომადგენლებს სისხლისღვრით დაესაჯათ ქართველთა გაბედული მეთაურები. კირიონი მართალაც გადააყენეს ტახტიდან, ანუ ირანის ხელისუფლებამ დასაჯა ქალკედონიტური მიმართულების აღმსარებელნი.

ამიტომ, დამპყრობელთა ნებით, ალბანეთსა და ისტორიულ ტაოს ივერიაში სომხური ეკლესია გაბატონდა და აქაურ ეკლესიებში სომხურენოვნება დაინერგა. რაც ნიშნავს იმას, რომ ალბანელებისა და ტაოს ივერების ეკლესიებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება და განათლების სისტემა დამკვიდრდა.

ჩვენ უნდა განვმარტოთ ტერმინი „სომხურენოვნება", ეპისტოლეთა წიგნში ძალზე ხშირად იხმარება ტერმინი „სომხურენოვანნი", „სომხურენოვანი მრევლი".

ჩვენამდე მოღწეულია წერილები, ეპისტოლეები და მიმართვები, რომელთაც სომხეთის იერარქები და გავლენიანი პირები უგზავნიდნენ გუგარქის „სომხურენოვანთ".

ვინ იყო გუგარქის „სომხურენოვანი" მრევლი?

ეს კითხვა არსებითია ჩვენი თემისათვის. მაშასადამე, სომხეთიდან მიმართვებს უგზავნიდნენ არა გუგარქის ეთნიკურ სომხებს, არამედ სომხურენოვან მრევლს.

ამ ტერმინის მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული არ არის და მის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაც არსებობს, რაც დაკავშირებულია ზოგადად კირიონ I-ის მოღვაწეობის არასწორ გააზრებასთან. კერძოდ, ჩვენში მყარად დამკვიდრებულია მცდარი თვალსაზრისი, რომ გუგარ-

ქის მოსახლეობა იყვნენ ეთნიკური სომხები, რომელთაც ქართულენოვანი ღვთისმსახურება დაუნერგა კირიონ კათალიკოსმა და ამ ქმედებით, თითქოსდა, გუგარქის სომხური მოსახლეობა „გააქართველა“.

ნიკო მარისაგან გამოსული ე.წ. ქართიზაციის თეორია უფრო ეფუძნება ჩვენში გამჯდარ სიამაყეს და არა მე-6 საუკუნის ბოლოსა და მე-7-ის დასაწყისში რეალურად არსებულ პოლიტიკურ და მასზე მიბმულ საეკლესიო ვითარებას.

სინამდვილეში, საქმე სრულიად პირიქით იყო. ამ ეპოქაში მიმდინარეობდა ალბანური და ქართული მოსახლეობის ტოტალური არმენიზაცია.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ამ პროცესს შესანიშნავად აღწერს ამავე ეპოქის მოღვაწე მოვსეს კალანკატუაცი, კერძოდ, თუ როგორ გააუქმა არაბული ჯარის მხარდაჭერით სომხურმა ეკლესიამ ალბანეთის საეკლესიო ავტოკეფალია და კავკასიის ეს უდიდესი ხალხი გადააქცია სომხური ეკლესიის მრევლად, „სომხურენოვან“ მოსახლეობად.

არაბული ჯარის დახმარებით გამარჯვებულმა სომხურმა ეკლესიამ ალბანეთში დანერგა სომხურენოვანი წირვა-ლოცვა, რაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ნიშნავდა ალბანეთში იქამდე არსებული ალბანურენოვანი წირვა-ლოცვის ოფიციალურ აკრძალვას, რის სადემონსტრაციოდაც ალბანეთში ჩასულმა სომეხმა პატრიარქმა ალბანეთის დედაქალაქთან გამდინარე მდ. ტრტუტში ალბანურენოვანი წიგნები გადაყარა, შემდეგ კი თვით ალბანელების საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც არაბული ჯარის შიშით თავადვე გამოიტანა დადგენილება ალბანეთის ეკლესიებში ღვთისმსახურებისას სომხურენოვნების დანერგვისა.

ეს ნიშნავდა, რომ ეკლესიურად, უკვე ოფიციალურ დონეზე, ალბანელები „სომხურენოვან“ ხალხად გადაიქცა.

ერთი საუკუნით ადრე მსგავსი ვითარება იყო ქართულ ოლქში, რომელიც ამჟამად უფრო „გუგარქის“ სახელითაა ცნობილი.

ეს იყო ვრცელი ოლქი, განფენილი ქვემო ქართლიდან ვიდრე ტაომდე, ის შედიოდა საქართველო ეკლესიის იურისდიქციაში და, შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ ეპარქიას, სადაც მცხეთის კათალიკოს კირიონ პირველს თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა დანიშნული.

საერთოდ, ეტიმოლოგიურადაც, როგორც ივ. ჯავახიშვილის მიერაა გარკვეული, სიტყვა ფუძით „გუგარ“, „გოგარ“ – ქართველი, ქართველთა ქვეყანს აღინიშნებოდა, „გრ“ ფუძე-ძირით მრავალი ქართული ოლქის სახელია ცნობილი. მაგალითად, მარგვეთი, ეგრისი, გურია და სხვა .

ალბანეთის ქვეყანას ესაზღვრებოდა ქართული ოლქი გუგარქი, რომლის არმენიზაცია, უკვე ეკლესიურად, დაიწყო VI საუკუნეში, რაც შეაფერხა კირიონ კათალიკოსმა. საზოგადოდ კი, უკიდურესი სამხრეთის ქართული ოლქების (პარიადრე, ხორძენა და სხვ.) არმენიზაცია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო.

ტერმინით „ისტორიული ივერია“ ან „ტაოს ივერია“ აღინიშნება სტრაბონის წიგნიდან ცნობილი იბერების მიწა-წყალის ნაწილი (პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა) და ასევე სხვა ქართული ტომების ოლქები

(კარენიტიდა (შემდგომი არზრუმ-ტაო) და ქსერქსენე), რომელნიც არმენიის მეფეთა მიერ იქნა დაპყრობილი (ძვ.წ. 190 წ.) და შემდგომ კი, მე-4 საუკუნიდან, ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდნენ.

სტრაბონი წერდა, რომ ამ უკვე დაპყრობილ იბერიულ ოლქებში გავრცელდა ერთენოვნება. „Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке“ https://ancientrome.ru/antlitr/t.htm?a=1260110000#11-5 – წერს სტრაბონი.

სტრაბონი წერს: „მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მდ. კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

5. Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. Они были первоначально полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, стали царями (первый – царем Софены, Акисены, Одомантиды и некоторых других областей, а последний – царем страны вокруг Артаксаты); они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду; у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью; у катаонов – Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев – Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке.

http://ancientrome.ru/antlitr/t.htm?a=1260110000#14-4

Страбон. География, 1964. 1994.XIV,4

სტრაბონის ამ ცნობის შესაბამისად, მეზობელი, მათ შორის იბერი ხალხის მიწა-წყლის ხარჯზე ჩამოყალიბდა ძვ. მე-2 საუკუნეში ე.წ. დიდი არმენია, მისი ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დასახლებული იყო პარიადეს კალთებზე, ხორძენასა და გოგარენაში მცხოვრები იბერებით, დაპყრობის მიუხედავად ისინი კვლავ ინარჩუნებდნენ მეტ-ნაკლები ხარისხით ქართულ თვითშემეცნებას. ასევე სხვა ქართული ჯგუფები ცხოვრობდა კარენიტიდასა და ქსერქსენეში.

კარენიტიდას (შემდგომი არზრუმის ოლქის) მოსახლეობას ასევე მესხები ეწოდებოდა, ის კოლხეთს ემეზობლებოდა. აღინიშნება კიდეც სტრაბონის ცნობაში, რომ I საუკუნეში მესხეთის ერთი მესამედში ბატონობდნენ სომხები, ხოლო დანარჩენი ნაწილები იბერიის სამეფოსა და კოლხიდას შორის იყო გაყოფილი. ასეთი ყოფილა I საუკუნის მდგომარეობა, მაგრამ მოღწეულია ძვ. წ. მე-5 ს. ავტორის ცნობა, რომელშიც კოლხები და მოსხები ერთიან ეთნოსად მოიაზრება.

კერძოდ, ჰეკატოს მილეტელი (Гекатей Милетский, около 550-490 до н. э.) წერდა – „Мосхи, племя колхов, соседнее с матиенами“, http://simposium.ru/ru/node/12704

ჰეკატოს მილეტელი, ძველი ბერძენი ისტორიკოსი ძვ. წ. მე-5 საუკუნისა მესხებს კოლხურ ტომს უწოდებდა, ეს ნიშნავს, რომ მის დროს კოლხიდისა და მესხეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ დაუშლელ ზანურ-ქართული ენის მატარებელი იყო. ჩანს, ეს ენა დაედო კიდეც საფუძვლად საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლების მოღვაწეობას, და ეს ენა შემდგომში გადაიქცა ქართული წმიდა წერილის ენად, ამ ენას ამჟამად ეწოდება „ძველი ქართული ენა“.

188. St. Boz. Мосхи, племя колхов, соседнее с матиенами. Гекатей в описании Азии http://simposium.ru/ru/node/12704



არმენიის მიერ დაპყრობილი მესხეთის ნაწილი (ტაო და სპერი) სტრაბონის დროს

ჰეკატოს მილეტელის ნაშრომების გადარჩენილი ფრაგმენტებიდან მოღწეული 188-ე ფრაგმენტი გადმოგვცემს ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის ფაქტს, რომ იმჟამად მესხები (მოსხები) და კოლხები ერთი ეთნოსი იყო. ჩვენ შეიძლება მას ვუწოდოთ ზანურ-ქართული ჯერ კიდევ დაუყოფელი ჯგუფი, ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებად დიფერენცირებული ქართველი ხალხისა. ანუ გვაძლევს ძვ. წ. მე-5 ს. სურათს.

სტრაბონის ცნობით, როგორც აღინიშნა, ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნეში ქართველი ხალხის მიწა-წყალი გაცილებით უფრო ვრცლად იყო განფენილი შავი ზღვისპირა პარიადრეს კალთებიდან, ვიდრე „მტკვრის იქით“ გოგარენას ჩათვლით ხორძენასა, კარენიტიდასა და ქსერქსენეს დამატებით.

ყველა ეს ქართული ოლქი არმენიამ მიიტაცა და მათ შეადგინეს ე.წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქართული ოლქები, რომელნიც არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდნენ.

მათი არმენიზაცია კიდევ უფრო გამძაფრდა არმენიის გაქრისტიანების შემდეგ, რადგანაც ეს ქართული ოლქები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა და აქაურ ქართველთა საეკლესიო ენა სომხური გახდა.

არმენიზაციის პროცესი მეტ-ნაკლები ხარისხისა იყო სხვადასხვა რეგიონში, მათ ტოტალურ არმენიზაციას აფერხებდა იბერიის ძლიერი სახელმწიფოს არსებობა, რომლის დედაქალაქ მცხეთიდან, მაგალითად I საუკუნეში მთელი არმენია იმართებოდა.

ამ საუკუნეში მცხეთის იბერიის სამეფოს ჯარმა დაიჭირა არმენიის სამეფოს დედაქალაქები – არტაშატი და ტიგრანაკერტი.

ფარსმან I-მა არმენიაში გაამეფა თავისი ძმა მითრიდატე, მის შემდეგ კი თავისი შვილი რადამისტი, გარკვეულ წლებში კი არმენია უშუალოდ შეიყვანა მცხეთის იბერიის სამეფოს შემადგენლობაში, რადგანაც იმჟამინდელ არმენიას იბერიის მეფე უშუალოდ მართავდა. არმენიაში ქართული ჯარი ამარცხებდა თვით პართიის ჯარს.

ასეთ დროს, ცხადია, არმენიის იბერიის მიწა-წყალი მცხეთის იბერიასთან უშუალოდ იქნებოდა მიერთებული და იქაური ქართველობის არმენიზაციის პროცესი – შეწყვეტილი.

მსგავსი პირობების გამო, როგორც ითქვა, მცხეთის იბერიის სამეფოს საზღვრებთან ახლოს არზრუმის ოლქის (ტაოს) ქართველებმა შეძლეს ეროვნული ვინაობის შენარჩუნება. მაგრამ, როგორც ითქვა, მათი არმენიზაციის ხარისხი გაიზარდა არმენიის გაქრისტიანების შემდეგ, რადგანაც მათ ეკლესიებში სომხურენოვნება დაინერგა. ამის მიუხედავად არმენიის იბერები ყოველმხრივ ცდილობდნენ კულტურულად გამოყოფოდნენ სომხურ ერთობას, ისინი მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ, თუმცა კი არმენიაში ცხოვრობდნენ, მაშინ როცა ეთნიკური სომხების უმეტესობა მონოფიზიტობას ერთგულებდა.

არმენიიის ქალკედონიტები უმეტესად ეთნიკური ქართველები იყვნენ. არმენიის ეთნიკურ ქართველებს არმენიის ძირითადი ხალხისაგან ოფიციალური გამოყოფის საშუალება მიეცათ მას შემდეგ, რაც მანასკერტის 726 წლის საეკლესიო კრების დადგენილების ძალით სომხეთის (არმენიის) ხალხი ვალდებული გახდა მხოლოდ „სომხური სარწმუნოება“ ანუ მონოფიზიტობა

ეღიარებინა, ასეთ დროს არმენიის იბერებმა მხარი გულმხურვალედ დაუჭირეს ქალკედონიტობას, განსაკუთრებით 780-იან წლებში.ამ დროისათვის გაშორდნენ სომხურ საეკლესიო წიაღს და დაუბრუნდნენ დედაქართულ ეკლესიას.

თითქმის საუკუნით ადრე ტრულის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო მონოფიზიტობა, ხოლო აღნიშნულ 780-იანი წლებიდან არმენიის იბერებმა სრულად უარყვეს სომხურ ეკლესიასთან თავისი დამოკიდებულების ყველა ნიშანი, კერძოდ, აკრძალეს თავიანთ ეკლესიებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება და დაიბრუნეს საეკლესიო ქართულენოვნება, ანუ აღიდგინეს ეკლესიებშიც ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

ფაქტი იმისა, რომ ტაოსა და არზრუმის ოლქის ქართველებმა 780-იანი წლების შემდეგ შეძლეს თავიანთ ეკლესიებში ქართულენოვნების დაბრუნება, ეფუძნებოდა წინა საუკუნეებში აქაურ ქართველთა ფარულ ბრძოლას თავიანთი თვითშემეცნების, ეროვნულ-ქართული ვინაობის შესანარჩუნებლად.

ასეთ შემთხვევაში არაა სწორი ნიკო მარის მიერ წამოყენებული დებულება, რომ თითქოსდა, გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით აქ განვრცობილმა ქალკედონიტობამ ჩანერგა აქაურ მოსახლეობაში ქართული შემეცნება.

საქმე ისაა, რომ გრიგოლ ხანძთელამდე გაცილებით ადრე ტაოსა და არზრუმის ოლქის მოსახლეობა ისედაც აღიარებდა ქალკედონიტობას, განსაკუთრებით ტაოში, ეთნიკურად ტაოელი ანუ წარმოშობით ქართველი ეპისკოპოსი იშხნის მაშენებელი წმიდა ნერსე იშხნელი ქალკედონიტი იყო და შემდეგ სომხეთის სომხურენოვან ქალკედონურ საეკლესიო ფრთას ჩაუდგა სათავეში კათალიკოსის წოდებით.

ასე რომ, ქალკედონიტობა აქ გრიგოლ ხანძთელამდეც იყო დამკვიდრებული.

ასევე, არასწორია ნიკო მარისვე მოწოდებული თეზა, რომ აქ (ტაოში) ქართული სულისკვეთება თითქოსდა შემოიტანა არაბთა გამო ქართლიდან ლტოლვილმა მოსახლეობამ.

ამის დასამტკიცებელ წყაროდ უთითებენ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, მაგრამ, სინამდვილეში, ამ თხზულებაში არავითარი მინიშნებაც კი არაა, რომ ტაოში არაბობის დროს მასობრივად ჩასახლდა ქართული მოსახლეობა, აქ აღნიშნულია, მხოლოდ ის, რომ კლარჯეთში (და არა ტაოში) ჩავიდა გრიგოლ ხანძთელი თავისი ორიოდე ბერით, სულ ესაა, ასევე, ცნობილია, რომ თბილისიდან მმართველი დინასტია ჩავიდა თავის ისტორიულ მამულში – კლარჯეთში, სადაც ადგლობრივი ანუ ქართული მოსახლეობა სიხარულით დახვდა.

ასე რომ, ტაო (და საერთოდ არზრუმის ოლქი) ძველთაგანვე, ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-2 საუკუნეში, დიდი არმენიის დაარსებამდე, დასახლებული იყო ქართველებით, როგორც აღინიშნა ეს ოლქები იყო კარენიტიდა, შემდგომი არზრუმის ოლქი, პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა. მათმა პირდაპირმა შთამომავლებმა ტაოელებმა სხვა აქაური ოლქების იბერებთან ერ-

თად, მიუხედავად ხანგრძლივი დევნისა, შეძლო თავის ქართულენოვნების შენარჩუნება და ეს ენა ეკლესიებშიც აღიდგინა მე-8 ს. შუა წლებიდან.

ეს იმას ნიშნავს, რომ ივერების ერთმა ნაწილმა (ტაო-არზრუმის ოლქის ქართველებმა), საქართველოს საზღვართან ახლოს, შეძლო თავისი იბერიული იდენტობის შენარჩუნება.

ეს განსაკუთრებით ძნელი იყო ამ რეგიონში ჯერ სასანიდური ირანისა და შემდგომ სახალიფოს გაბატონების შემდეგ, ორივენი, არაბებიცა და სპარსელებიც, გამოკვეთილად უჭერდნენ მხარს სომხურ ეკლესიას ანუ მონოფიზიტობას.

მე-6 და მე-7 საუკუნეებში პროზელიტური სომხური ეკლესია სპარსელთა და შემდეგ არაბთა მხარდაჭერით ალბანელებსა და არმენიის იბერებს სომხურენოვნებას აიძულებდა, რასაც მიუთითებენ მოვსეს კალანკატუაცისა და ეპისტოლეთა წიგნის ცნობები.

ზოგადად, „სომხურენოვანთ“ უწოდებდნენ ეთნიკურად ალბანურ ანდა გუგარქელ ქართულ მრევლს, რომელნიც, თავიანთი ეთნიკური კუთვნილების შესაბამისად, ფლობდნენ მშობლიურ ქართულ ენას, მაგრამ ეკლესიებში სომხურენოვანი ლიტურგია და წირვა-ლოცვა ჰქონდათ დანერგილი პოლიტიკური მიზეზების გამო.

მაგალითად, ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობა თავიანთ სამშობლოშივე „სომხურენოვნები“ იყვნენ, რადგანაც მათ ეკლესიებში (მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, მე-7 ს-ში) ალბანურენოვანი წირვა-ლოცვა აკრძალა არაბულ ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე სომხურმა ეკლესიამ არაბული ჯარის გამოყენებით.

სომხეთის პატრიარქი არაბული ჯარით შევიდა ალბანეთის დედაქალაქ პარტავში, დააპატიმრა ალბანელი პატრიარქი და ალბანეთში ალბანურენოვანი წირვა-ლოცვის აკრძალვის შემდეგ მის ნაცვლად შემოიღო სომხურენოვანი. ამის გამო ალბანური მრევლი „სომხურენოვათა“ კატეგორიას შეემატა (იხ. „მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“(1985, გვ. 139-143).

კალანკატუაცი წერს, რომ მე-7 საუკუნეში არაბი ამირა სომეხთა კათალიკოსს „ღვთის კაცს“ უწოდებდა და შეატყობინა, რომ მან ქალკედონურ ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც უბრძანა, რათა „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე მოაქციონ“ (იქვე, გვ. 139).ანუ ალბანეთში სომხური სარწმუნოება ანუ მონოფიზიტობა გაებატონებინათ.

აქედან ჩანს, რომ არაბებს ქალკედონიტები მიაჩნდათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური სარწმუნოების“ მქონენი – ერთგულ ღვთის კაცებად.

კალანკატუაცის ცნობით, არაბებმა სასტიკად დასაჯეს ალბანეთის ქალკედონიტი სამღვდელოება, ხოლო ალბანთა კათალიკოსი ნერსესი ტანჯვით მოკლეს, მის ნაცვლად კი ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე სომხურენოვანი მღვდელმთავარი აიყვანეს.

ის ეხება ალბანელთა შორის „სომხურენოვნების“ კიდევ უფრო განვრცობის საკითხს ამ დროს, ეს მომხდარა არაბთა ჯარის დახმარებით.

კერძოდ, არაბებმა ქალკედონიტური, ანუ ამ შემთხვევაში, ალბანურენოვანი ლიტერატურა გაანადგურეს და ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომხებმა ალბანთა კათალიკოსის ნერსესის ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს.

„... ნერსესის „წვალებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში ჩაყარეს...“ (მოვსეს კალანკატუაცი, დასახ. ნაშრ., გვ. 140). მისი ცნობით ეს ფაქტი, ანუ ალბანური წიგნების საჯარო, ოფიციალური განადგურება, მომხდარა სომხური წელთაღრიცხვით 148, ანუ 699 წელს სომეხთა კათალიკოს ელიას ინიციატივით.

აქედან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს როგორ შეძლო სომხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „სომხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში. ეროვნული ეკლესიის გარეშე დარჩენილი ალბანელთა დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა და ასიმილირდა სხვადასხვა ხალხში.

არაბებმა VII-VIII საუკუნეებში ისე, როგორც ადრე (VI საუკუნეში) სპარსელებმა, „სომხური სარწმუნოება“ სავალდებულოდ აქციეს დაპყრობილი კავკასიელი ხალხებისათვის.

ამ ფაქტს, როგორც აღინიშნა, კარგად აღწერს ამავე ეპოქის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი, მაგალითად, ის წერს, თუ როგორ სჯიდნენ სიკვდილით ყველას, მათ შორის დიდებულებს, ქალკედონიტური სარწმუნოების აღიარებისათვის და ამით აიძულებდნენ დაპყრობილ კავკასიელ ხალხებს, რათა მათ მიეღოთ „სომხური სარწმუნოება“ ანუ მონოფიზიტობა სომხური საეკლესიო ენით. ქალკედონურ სარწმუნოებას ისინი უწოდებდნენ „ორბუნებიანობას“.

ის თავისი წიგნის „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ X თავში წერს, რომ არაბი ამირას სამდივნოში მოათავსეს სია ალბანელი დიდებულებისა, – „იმისათვის, რომ თუ ვინმე მათგანი აღიარებდა ორბუნებიანობას, სიკვდილით დაესაჯათ“ (მოვსეს კალანკატუაცი „იქვე, გვ. 144).

აქედან ჩანს, თუ რა სასტიკად დევნიდნენ არაბები ქალკედონიტებს და აძლიერებდნენ „სომხურ სარწმუნოებას“. თვით ქვეყნის მფლობელი მთავრებიც კი სიკვდილით ისჯებოდნენ ქალკედონიტობისათვის. დაბალი ფენები კიდევ უფრო სასტიკად დაისჯებოდნენ, თუ გაბედავდნენ და „სომხურ სარწმუნოებას“ არ აღიარებდნენ. სასტიკად იდევნებოდა ქალკედონიტი სამღვდელოებაც.

ქართლშიც ასეთივე ვითარება იყო. ქართლის მფლობელი ხოსროიანი მეფეები თავიანთი ქალკედონური სარწმუნოებისათვის სასტიკად დაისაჯნენ VIII საუკუნის დასაწყისში. იდევნებოდა ქართული ქალკედონიტური ეკლესიაც. იმჟამად მხოლოდ დასავლეთ საქართველო, ქართლ-კახეთის მთიანეთი და მესხეთის ნაწილი – ბიზანტიის მფარველობის წყალობით, გადარჩა „სომხური სარწმუნოების“ იძულებას.

მოვსეს კალანკატუაცი, დასახ. ნაშრ.
https://meufeanania.info/kalankatuaci/

მაშასადამე, დაპყრობილ მხარეებში ქალკედონიტობა აიკრძალა პოლიტიკური მიზეზებით, მონოფიზიტობა კი სომხურენოვნებას ნიშნავდა, მაგალითად „სომხურენოვანი“ იყო გუგარქის მკვიდრი ქართველი მრევლი მე-6 საუკუნეში, როცა მათ ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსხურება ასევე პოლიტიკური მიზეზებით აიკრძალა, თუმცა მათ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქართულენოვნება აღუდგინა კირიონ I-მა კათალიკოსმა.

შესაბამისად, როგორც „ეპისტოლეთა წიგნისა“ და მოვსეს კალანკატუაცის ცნობების მიხედვით, სომხურენოვან წირვა-ლოცვასა და, შესაბამის განათლებას, ანუ სომხური წერა-კითხვის ცოდნას ფლობდა სომეხთა გარდა ალბანელთა და ქართველთა (გუგარქელთა) ნაწილიც, ამის მიზეზი კარგადაა აღწერილი თანადროულ წყაროებში.

ს. ჯანაშიაც მიუთითებდა, რომ ქართული და ალბანური სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ დამპყრობელი ირანის იმპერია დაუკავშირდა ანტიბიზანტიურ (ანტიქალკედონურ) პლატფორმაზე მდგომ სომხურ ეკლესიას და მისი მეშვეობით სურდა სამხრეთ კავკასიაში ანტიბიზანტიური სარწმუნოების – მონოფიზიტობის განვრცობა. ამის გამო დამპყრობელი აქ აბატონებდა მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და მისი საშუალებით ებრძოდა ქალკედონურ ქართულ და ალბანურ ეკლესიებს. მსგავსადვე იქცეოდა მალევე აქ გაბატონებული არაბთა სახალიფოც.

პრაქტიკულად ეს ნიშნავდა სომხურენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვას იქამდე ქართულ და ალბანურენოვან რეგიონებში.

ეპისტოლეთა წიგნის მიხედვით, მართლაც, სომხურმა ეკლესიამ სპარსელთა ხელშეწყობით შეძლო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ გუგარქის ეპარქიაში სომხურენოვნების დანერგვა მე-6 საუკუნეში. ხოლო ტაოში, კიდევ უფრო ადრიდანვე, უკვე მე-4 საუკუნიდან, ანუ სომხეთის გაქრისტანების შემდეგ, ქართველთა შორის სომხურენოვნება, ანუ ეკლესიებში სომხურენოვნება იყო დანერგილი. გუგარქმა ქართულენოვნება აღიდგინა მე-7 ს. დასაწყისში კირიონ კათალიკოსის დროს, ხოლო ტაომ – მე-8 საუკუნის შუა წლებში ანტიოქიის საპატრიარქოს დახმარებით, როდესაც მან ტაოს ივერიას ავტოკეფალია მიანიჭა, ანუ გამოიყვანა სომხური საეკლესიო არეალიდან, ამის შესახებ ცნობას იძლევა მიქაელ ბრეკი კედრენეს ცნობაზე დაყრდნობით.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე მე-6 ს. ბოლოს, მიუხედავად სპარსთა ბატონობისა, სომხური ეკლესიის აღნიშნული პროზელიტიზმი (ანუ ქართული ეკლესიის საზღვრებში შემოჭრა) არ მოითმინა კირიონ კათალიკოსმა და მან ქართულენოვნების, ანუ წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულებაც კი შეძლო გუგარქში, რომელიც ვრცელი პროვინცია იყო გადაშლილი ამჟამინდელი ბოლნისი-ქვემო ქართლიდან ვიდრე ტაომდე.

ამის გამო სპარსეთმა კირიონი ტახტიდან ჩამოაგდო და ქვეყნიდან გააძევა. თუმცა ამ დროისათვის ქართლი ანუ საქართველო უკვე მტკიცე, სანიმუშოდ მართლამადიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა. ცოტა უფრო ადრე

ქართველთა სანიმუშო მართლმადიდებლობას პროკოფი კესარიელიც მიუთითებდა.

სომეხთა მონოფიზიტმა პატრიარქმა ამ მიზეზის გამო ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელ ანუ ქალკედონურ ეკლესიასთან და აუკრძალა სომხებს ქართველებთან ურთიერთობაც კი. ასეთ დროს კირიონის მიერ ნაკურთხი, მის დროს დასრულებული, მცხეთის ჯვრის ტაძარი ქალკედონიზმის ბუდე-ცენტრად მოიაზრებოდა. ამიტომაც აქ ლოცვაც კი აუკრძალა სომეხთა პატრიარქმა თავის ხალხს, სომეხ მრევლს.

ამ მიზეზის გამო მცხეთის ჯვრის ტაძრის სპეციფიკური გეგმა-არქიტექტურა უკვე ქალკედონური ტაძართმშენებლობის ნიმუშს წარმოადგენდა მთელ კავკასიაში.

ამის შემდეგ კავკასიის ქალკედონიტები თავიანთი რელიგიური აღმსარებლობის დემონსტრირების ანუ სომეხ-მონოფიზიტებისაგან განსხვავებულობის წარმოჩენის მიზნით მხოლოდ ქალკედონური არქიტექტურით სარგებლობდნენ, რომელიც დაეფუძნა მცხეთის ჯვრის იერ-სახეს. ამის უმთავრესი მიზეზი იყო მისი მაკურთხეველი დიდი კირიონ I კათალიკოსის გმირობა, როცა მან გაბედულად დაიცვა ქალკედონური სარწმუნოება და მართლმადიდებელ მრევლს აჩვენა სომხური ეკლესიის პროზელიტური სახე. ამის გამო კირიონის მიერ ნაკურთხი მცხეთის ჯვრის ტაძარი მთელი კავკასიის ქალკედონიტებისათვის სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისაგან განმასხვავებელ ხატებად, თავიანთი აღმსარებლობის ანუ ქალკედონიტობის საჩვენებელ და მისაბაძ ნიშან-ძეგლ ეკლესიად მიიჩნეოდა.

მალევე უდიდესი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა კავკასიაში, ჰერაკლე კეისარმა მე-7 ს. დასაწყისში დაამარცხა ირანის ჯარები და მოსპო სპარსული სახელმწიფოებრიობა. ამით განსაკუთრებით ისარგებლა სომხეთში მცხოვრებმა მკვიდრმა ქართველობამ (ტაოს ივერებმა და ლაზებმა) და მათ მხარი დაუჭირეს არა მონოფიზიტობას, არამედ ქართველთათვის უკვე ეროვნულად მიჩნეულ სარწმუნოებას – ქალკედონიტობას.

იმჟამად ტაო და საერთოდ არზრუმის მთელი ოლქი, ტაო-ბასიანი, სომხეთში შემავალ ოლქებს წარმოადგენდა. რომლის ძირითადი მოსახლეობა იყო იქ მკვიდრი ივერები (ქართველები). მათ, როგორც ითქვა, ალბანელების მსგავსად სომხურმა ეკლესიამ დაუნერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ტაოელ იბერებს პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, იმედი მიეცათ, რომ გუგარქის მსგავსად ეკლესიებში დაიბრუნებდნენ ქართულენოვან ღვთისმსახურებას. იქაურ ქართელთა შორის ფარულად დაიწყო ისეთი აპოკრიფული ლიტერატურის გავრცელება, რომლებშიც ქართული ენა განიდიდებოდა, სახარებისა და ღვთისმსახურებისთვის სათნო ენად მიიჩნეოდა, ასეთი იყო მაგალითად, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორი დაფარული („დამარხული“) იყო იმჟამად ტაოს ივერიაში ღვთისმსახურებისას ქართული ენა, შესაბამისად, გამოუყენებელი („მკვდარი“, „მძინარე“), აკრძალული, დამდაბლებული და დაწუნებული სომხური იერარქიის მიერ („მდაბალი და დაწუნებული“).

იმავე ცნობას ივერიელთა ენის აკრძალვის შესახებ იძლევა კედრენეზე დაყრდნობით მიქაელ ბრეკი – კერძოდ, კედრენეს ცნობით ანტიოქიის პატრიარქთან ენობრივი საკითხის ანუ ქართული ენის აკრძალვის გამო შეწუხებული ტაოს იბერიის სამღვდელოება მივიდა საჩივრით, რომ მათ ქვეყანაში ანუ ტაოს ივერიის ეკლესიებში გაბატონებულია სომხური ენა, ხოლო ქართული ენა არის აკრძალული, კედრენე წერს, – „ისინი (ქართველები) გაჭირვებას განიცდიან და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან“ ანუ სომხური ენისაგან.

ამის მიზეზია სომეხი პატრიარქი, რომლის გავლენის სფეროშიც ვართო, – ჩიოდნენ ტაოს ქართველები ანტიოქიის საპატრიარქოში.

ეს საკითხი განიხილა ანტოქიის პატრიარქის სინოდმა, მიანიჭა ტაოს ივერიის ეკლესიას არასრული ავტოკეფალია და გაათავისუფლა სომხური ეკლესიისა და ენის ბატონობისაგან.

კედრენე წერს, რომ ანტიოქიის პატრიარქმა „მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებელი დოგმატის უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო“.

კედრენეზე დაყრდნობით მიქაელ ბრეკი წერს, – „როცა მასთან მივიდნენ ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის შესაბამისად, მაგრამ მან რომ გაიგო, რომ ისინი (ქართველები) გაჭირვებას განიცდიან და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან, მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებელი დოგმატის უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი მოეხსენიებინათ, როგორც ამას აკეთებდნენ ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული იბერიელთა პირველი კათალიკოსიდან მოყოლებული“ (Труди киевскои Дух. Акад, 1874:416).

ეკლესიის ისტორიის მკვლევრებს აბნევს კედრენესა და მიქაელ ბრეკის ეს ცნობა და გაოცებულნი სვამენ კითხვას – „გაუგებარია, გიორგი კედრენე რას გულისხმობდა ,,გაბატონებულ ენებში"? ან გაბატონებულ ენაში?

ვ. გოილაძის აზრით, საქართველოში ამ დროს გაბატონებული ენები არ არსებობდა. მართალია, იმ დროს საქართველოში კვლავ არსებობდა თბილისის საამირო, მაგრამ მას საქართველოში გაბატონებულ ხალხად ვერ მივიჩნევთ. არასოდეს არ ყოფილა, და მით უმეტეს, XI ს-ში, საქართველო „ქრისტიანული დოგმატის უარმყოფელ“ სომეხ კათალიკოსს დამორჩილებოდა. ამ მხრივ მ. ბრეკის ცნობები საქართველოსთვის სრულიად მიუღებელია (გოილაძე, 1991:140)“. (იხ. ლევან ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები) https://www.academia.edu/34897142/.

ამ შემთხვევაში ვ. გოილაძე ცდება, რადგანაც, კედრენეს ცნობა ასახავს არა მცხეთის ქართლში, არამედ VI-VIII საუკუნეებში ტაოს ივერიის ქართველთა ენის დამცირება-აკრძალვასა და მის აღდგენას ტაო-ავანის ვრცელი იბერიული ოლქების ქართველ მამათა ღვაწლითა და ბრძოლით.

ქართული ენის დამცირება-აკრძალვას ტაო-ავანის ივერიის ვრცელ ოლქში, როგორც ითქვა, გამოხატავს აპოკრიფული ტექსტი შედგენილი ამავე VI-VIII საუკუნეებში, რომელსაც ეწოდება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. შეიძლება ითქვას, რომ ის არის კედრენეს ცნობის დადასტურება.

„ქებაჲ და დიდებჲ ქართულისა ენისაჲ
დამარხულ არს ენაჲ ქართული ...
და ესე ენაჲ მძინარჷ არს დღესამომდე,
და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი
და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა ...“

მაშასადამე, ეს ძეგლი ასახავს ტაოს ივერიაში ქართული ენის აკრძალვისა და მისი აღორძინების იმედს (ტერმინ „ტაოს ივერიაში“ იგულისხმება ვრცელი ქართული ოლქი ტაოდან ავანამდე, რომელსაც საუკუნეთა შემდგომ ბიზანტიელებმა „ივერიის თემი“ უწოდეს, ის დასახლებული იყო სომხური ეკლესიის გაბატონების გამო შეწუხებული მკვიდრი ქართული მოსახლეობით, რომელიც მე-6 საუკუნის შემდეგ არ კარგავდა იმედს ქართული ენის გათავისუფლება-ამაღლებისა).

როგორც ითქვა, მანასკერტის 726 წლის საეკლესიო კრების შემდეგ, მისი დადგენილებისა და ანათემების შესაბამისად, ეთნიკური სომხები მხოლოდ მონოფიზიტურ აღმსარებლობას მისდევდნენ, ხოლო სომხეთში მცხოვრები ივერები – ქალკედონიტურს.

იქამდე კი ტაო-არზრუმის ოლქის ივერები, მხურვალე ქალკედონიტები, სომეხებისაგან (მონოფიზიტებისაგან) თავიანთი აღმსარებლობითი მიმართულების სადემონსტრაციოდ აგებდნენ მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრებს.

მათ შორის, მე-7 საუკუნეში ყველაზე გამორჩეული პირი იყო წმიდა ნერსე იშხნელი, ტაოელი ქართველი ეპისკოპოსი, მხურვალე ქალკედონიტი. მან მოახერხა მე-7 საუკუნეში სომხეთში მცხოვრები ქართველების შეკავშირება, იმდენად, რომ მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა სომხური ეკლესიის ქალკედონიტური ფრთა, რომლის პატრიარქიც გახდა.

ამ ეკლესიას ამჟამად, ჩვენს დროში, „სომხურ-ქალედონიტურს“ უწოდებენ, მაგრამ მისი მრევლის წევრები თავიანთ თავს ქართველებად თვლიან, სომხები და ბიზნატიელები კი – ივერებად, ისინი იყვნენ ქართველი ერისა და საქართველოს გულმხურვალე მოყვარულები, არა ეთნიკური სომხები, არამედ, სინამდვილეში, ეკლესიურად სომხურენოვანი, ეთნიკურად კი ქართველი ქალკედონიტები, მათი საეკლესიო ერთობის ცენტრად მე-7 ს-ში ტაო გადაიქცა.

780-იანი წლების შემდეგ მათ დიდი ღვაწლის შედეგად მოახერხეს ეკლესიებში სომხურენოვნების უარყოფა და ქართულენოვნების აღდგენა და მალევე, მათ მიერვე ამ რეგიონში (ტაო-არზრუმის ოლქში) ქართული სახელმწიფოებრიობის, ე.წ. „ქართველთა სამეფოს“ ჩამოყალიბება, რაც საქართველოს გაძლიერების საფუძველი გახდა.

იგივე პროცესი რომ გაევლო ალბანეთის დიდ ხალხსაც, ის არ გაქრებოდა ისტორიის ასპარეზიდან.

ეს იმას ნიშნავს, რომ ალბანელმა ხალხმა ვერ შეძლო თავიანთ ეკლესიებში სომხურენოვნების აკრძალვა და მის ნაცვლად მშობლიური ალბანურენოვნების დაბრუნება. ალბანელი ხალხი ამის გამო გასომხდა, მოხდა მისი არმენიზაცია, ხოლო ვინც ეს პროცესი არ მიიღო გამუსლიმანდა.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, სომხეთში მცხოვრები ქალკედონიტები, რომელთაც მე-7 ს. დასაწყისში ეკლესიებში ჯერ კიდევ სომხურენოვანი ლიტურგია ჰქონდათ, იქამდე არსებული ტრადიციის შესაბამისად, ქალკედონური არქიტექტურის პირველი ნიმუშის – მცხეთის ჯვრის ტაძრის გეგმის შესაბამისად აგებდნენ თავიანთ ქალკედონურ ტაძრებს, სომეხი მონოფიზიტებისაგან თავიანთი განსხვავებულობის წარმოსაჩენად. როგორც ითქვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამავე დროს 620-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ დაამხო სპარსეთის ძლიერება და სომხეთში ქალკედონიზმი უკვე ნაკლებად იკრძალებოდა.

ამის პარალელურად კვლავინდებურად ძლიერი იყო სომხური მონოფიზიტური ეკლესია, რომელიც თავის სასარგებლოდ იყენებდა ჰერაკლე კეისართან დადებულ ხელშეკრულებას (ე.წ. უნიას).

ეს ნიშნავს, რომ მე-7 საუკუნეშიც ამ რეგიონში (იგულისხმება ამჟამად თურქეთში შემავალი ყოფილი ქართული ოლქები) კვლავინდებურად გრძელდებოდა ქართველთა შორის სომხურენოვნების დანერგვა.

როგორც ითქვა, სომხურენოვნების დანერგვა უმეტესად ხდებოდა ანტიბიზანტიურად ანუ ანტიქალკედონიტურად განწყობილ დამპყრობელ სპარს და არაბ ხელისუფალთა ნებით.ზოგჯერ კი თვით ბიზანტიაც დიდ ანგარიშს უწევდა გაძლიერებულ სომხურ ეკლესიას და მასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებასაც დებდა, რაზეც, როგორც ითქვა, ჰერაკლე კეისრის უნიაც მიუთითებს.

თუ მივუბრუნდებით მე-7 ს. დასაწყისს, ამ დროს სომეხ მორწმუნეებს სომეხი კათალიკოსის ბრძანებით აეკრძალათ მცხეთის ტაძარში მისვლა, რადგანაც კირიონის მიერ ნაკურთხი მცხეთის ჯვრის საეკლესიო ნაგებობა თავისი გარეგნული სახით და გეგმით – ქალკედონიზმის იდეის ბუდედ მოიაზრებოდა იმ ქართველ-ქალკედონიტთა მიერ, რომელნიც იმჟამად სომხური საეკლესიო გავლენის სფეროში ცხოვრობდნენ, იგულისხმება მე-7 საუკუნის ტაო-ბასიანის ქართველობა. მათი საეკლესიო ენა იმჟამად, ალბანელთა მსგავსად, იყო სომხური ენა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, რაც როგორც ითქვა, ნიშნავდა, რომ მაგალითად, ტაო-ბასიანელ ქართველებს ეკლესიებში სომხურენოვანი ლოცვები ჰქონდათ, თუმცა კი ოჯახებში ქართულ ენას იყენებდნენ, მაგრამ იყვნენ გულმხურვალე ქალკედონიტები და მცხეთის ჯვრის ტაძრის იერსახე მათ აღმსარებლობით ნიშან-სიმბოლოს წარმოადგენდა, ამიტომაც აგებდნენ მსგავს ტაძრებს.

აღსანიშნავია, რომ მათ ამჟამად, არასწორად ოფიციალურად უწოდებენ „სომეხ-ქალკედონიტებს“ და მიაჩნიათ ეთნიკურ სომხებად, რომელნიც თითქოსდა გაქართველდნენ და ამიტომ იწოდნენ ივერებად, სინამდვილეში კი, ისინი ამ რეგიონში ძველთაგანვე მცხოვრები ის ქართველები იყვნენ, რომელთა წინაპრებიც, სტრაბონის ცნობით, იბერიულ ოლქში, პარიადრეს

კალთებსა, ხორძენესა და გუგარქში, ასევე კარენიტიდასა და ქსერქსენეში ცხოვრობდნენ.

ეს ქართული ოლქები სტრაბონისავე ცნობით არმენიის მეფეებს მიუტაცნიათ და ე.წ. დიდი არმენიის შემადგენლობაში შეუყვანიათ. ასევე გაგრძელდა ვიდრე თითქმის აღნიშნულ მე-6 და მე-7 საუკუნეების ჩათვლით.

არმენიაში მცხოვრებ ამ ივერებს სურდათ თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის წარმოჩენა ქალკედონიტური აღმსარებლობითა და შესაბამისი არქიტექტურული სტილითა და გეგმით ნაგები ტაძრების მეშვეობით, რომელთა უპირველს ნიმუშს, სახეს, როგორც ითქვა, კირიონის მიერ ნაკურთხი მცხეთის ჯვრის ტაძარი წარმოადგენდა.

გუგარქის ქართულენოვნების აღდგენისათვის კირიონ კათალიკოსის დიდმა ბრძოლამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ტაო-არზრუმ-ბასიანის სომხურენოვან ქართველთა შორის დაბადა მისწრაფება ქალკედონიზმის მხურვალე მხარდაჭერისა, რასაც მართლაც მოჰყვა დიდი შედეგი – როგორც გუგარქში აღდგა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა მე-7 ს. დასაწყისში, ასევე, მალევე, მე-8 საუკუნეში ტაოს ქართველებმა ანუ იბერებმა მოიკრიბეს ძალა და უარყვეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება და გუგარქელთა მსგავსად დაიბრუნეს ქართულენოვნება.

ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს „ეპისტოლეთა წიგნში“ მრავალჯერ გამეორებულ ტერმინს „სომხურენოვანი მრევლი“, „სომხურენოვანნი“.

მაგალითად ასე – „სომხურენოვანნი“ – ეწოდება სომეხთა პატრიარქის მიერ კირიონისადმი მიწერილ ეპისტოლეში გუგარქის მრევლს. როგორც ითქვა, ამ ტერმინით „სომხურენოვანნი“ აღინიშნებოდა ეთნიკურად ქართველი ანდა ალბანელი მრევლი, რომელთა დედაენა იყო ქართული ანდა ალბანური, მაგრამ ისინი ეკლესიებში სომხურენოვან ლიტურგიას ისმენდნენ და შესაბამისად, განათლებაც სომხური ჰქონდათ, ანუ მათ სომხურენოვანი წერა-კითხვა უკეთ იცოდნენ, ვიდრე მშობლიური, მაგალითად, მსგავსად ისევე, როგორც მე-19 საუკუნეში რუსულ სემინარიებში განათლებამიღებულმა ქართველმა მღვდლებმა შესანიშნავად იცოდნენ რუსული წერა-კითხვა, ზოგჯერ ქართულზე უკეთ, რაზეც მივუთითე სხვა ნაშრომში.

მსგავსადვე, მე-6 საუკუნის შემდეგ, რაც სპარსეთმა გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ის, ქალკედონურ ბიზანტიასთან ბრძოლის გამო გადაიქცა მფარველად მონოფიზიტური სომხური ეკლესიისა, შესაბამისად, მდევნელად ქართული ქალკედონური ეკლესიისა, საქართველოს დაპყრობილ მხარეებში სომხური ეკლესიის ნებით განივრცო „სომხურენოვნება“ ანუ განათლების სისტემა გახდა სომხურენოვანი და ეკლესიებში დაინერგა სომხურენოვანი ლიტურგია – წირვა-ლოცვა.

კირიონის თავდადებულმა ბრძოლამ, რათა გუგარქში აღედგინა ქართულენოვნება, იმდენად გააღიზიანა სომეხთა კათალიკოსი აბრაამი, რომ მან სასტიკი ბრძანება გასცა, რითაც სომხებს აუკრძალა ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა ვაჭრობის გარდა, ასევე აუკრძალა მისვლა და ლოცვა ჯვრისა და მანგლისის ტაძრებში.

მაგრამ ბრძანებას არ ექვემდებარებოდნენ ე.წ. „სომხურენოვანი“ ქართველები და ალბანელები.

როგორც აღინიშნა, სომხურენოვანი ლიტურგია, წირვა-ლოცვა და შესაბამისად, განათლება იმჟამად ჰქონდათ არა მარტო ეთნიკურ სომხებს, არამედ ალბანელებისა და ქართველების ერთ ნაწილს (გუგარქელებს, ტაოელებსა და სხვა), იმჟამინდელი დამპყრობლის (სასანიდების სპარსეთის) ანტიქალკედონური პროსომხური ორიენტაციის გამო.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ალბანეთში სომხურენოვნების დანერგვას კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი.

მაშასადამე, მონოფიზიტ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის (პატრიარქის) აკრძალვას არ ექვემდებარებოდა იმჟამად სომხეთში მცხოვრები ქალკედონიზნისაკენ მიდრეკილი „სომხურენოვანი“ ალბანელები და გუგარქ-ტაო-ბასიან-არზრუმის ქართველები.

მათ, სარწმუნოებრივი მხურვალებით გაძლიერებულებმა, მცხეთის ჯვრის ასლები გადაიტანეს თავიანთ ოლქებში, ვითარცა ქალკედონიტური ტაძრის კანონიკურ-სანიმუშო პროტოტიპი და მის მიხედვით ააგეს ავანსა და სხვა ოლქებში ქალკედონიტური ტაძრები.

მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში (ქართული წყაროს თანახმად), უკვე არსებობდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის გეგმა და ამოყვანილი იყო მისი კედლები. წყაროს ცნობით, ის უკვე აშენებული იყო „წელამდე“ ანუ 1-1,5 მეტრ სიმაღლემდე, გურამ კურაპალატის გარდაცვალების გამო ტაძრის მშენებლობა შეჩერდა და გაგრძელდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მისი შვილების – სტეფანოზისა და დემეტრეს დროს, ასე რომ, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის გეგმა უკვე ცნობილი იყო მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში.

პროტოქართული ეთნოსიდან ვიდრე ტაოს „ქართველთა სამეფომდე“

პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა (ჯერ კიდევ ე.წ. „დიდი არმენიის“ ჩამოყალიბებამდე) იბერებისა იყო, რის შესახებაც სტრაბონმა მიუთითა (**სტრაბონის ეს ცნობა ჩვენი კვლევის ძირითადი დასაყრდენია, ამიტომაც მას ძალზე ხშირად ვახსენებთ**).

რაც შეეხება ზოგადად ქართულ (ქართველურ) ეთნოსს, მისი ფორმირება გაცილებით ადრე დაწყებულა ხორძენას, გოგარენას, პარიადრესა და მიმდებარე ოლქებში, რომელთა ტერიტორია ემთხვევა ქალდებისა და იმ ქართული ტომების ვრცელ საცხოვრისს, რომელიც ქსენოფონტემ აღწერა თავის ნაშრომში.

როგორც ითქვა, **ხორძენა პარიადრედან მტკვრამდე იყო მოქცეული, არაქსისპირეთში. მას შემდგომ აირარატი ეწოდა (მართალია, ამჟამად ხორძენად მიიჩნევა მცირე ოლქი არზრუმის რეგიონში, მაგრამ სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობილი ჩვენი მტკიცებით, ის დიდ ტერიტორიაზე, მდ. მტკვრამდე იყო განფენილი. პარიადრეს კალთებიდან მტკვრამდე**

განვრცობილი იბერების ისტორიული მიწა-წყალი არაქსის ხეობასა და ჭოროხ-ევფრატის სათავეებს მოიცავდა. ის პროქართული ტომების, მათ შორის ხალიბ-ქალდებისა და ფასიანების სამშობლო იყო, იქვე ცხოვრობდნენ ტაოხებიც. ამ მიწა-წყალზე ქსენოფონტეს დროს სხვადასხვა ქართული ტომი სახლობდა ხალიბების საერთო ჰეგემონობით).

ჩანს, კიდევ უფრო ადრე, ძვ.წ. IX-VI სს-ში კოლხებისა და ხალიბების ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ერთიანი, დაუნაწევრებელი პროტოქართული ეთნოსი და **მის საფუძველზე** ძვ.წ. VI-V სს-ში **– ქართველი ხალხი**. მისი სახელმწიფო არიან-ქართლი არმენიელთა შემოსევების გამო საბოლოოდ დაიშალა პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას დაკარგვის შემდგომ.

ამ ერთიანი ქართული სახელმწიფოს (არიან-ქართლის) დაშლა-გაუქმებამ სათავე დაუდო ქართველი ხალხის კიდევ ახალ ტომებად დაქუცმაცებას, ჩამოყალიბდა ზანებისა და სვანების ჯგუფები ძვ.წ. II-I სს-ში. ამ მოსაზრებას ეხმიანება ის ფაქტი, რომ ამ ტომების შესახებ წყაროები ცნობებს ამ დროიდან იძლევიან.

როგორც აღინიშნა, ქართული ეთნოსის დეზინტეგრაციის პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო არმენიული ტომების ჩასახლებას მათ მიწა-წყალზე, რაც საბოლოოდ დასრულდა ძვ.წ. II საუკუნეში, როცა არმენიელთა მეფეებმა პარიადრე, ხორძენა და გოგარენა იბერებს წაართვეს.

ეს იყო არიან-ქართლს სამეფოს საბოლოო გაქრობა.

იქამდე ერთი საუკუნით ადრე, როგორც ითქვა, არიან-ქართლის მეფის ძემ, ჩანს, გამოუვალი მდგომარეობის გამო თავისი სახელმწიფოს ხერხემალი, სამხედრო ელიტა და ზედა ფენის ერთი ნაწილი, უფრო ჩრდილოეთით გადაანაცვალა და ჩაასახლა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისწყლიდან-ჰერეთ-ალბანეთამდე.

ძვ.წ. III-I ათასწლეულებში, ჩანს, რამდენჯერმე შედგა და ჯგუფებად დაიშალა ე.წ. **პროტოქართული ეთნოსი** მატარებელი ფუძექართული ენისა, მასში შემავალი ტომების კონსოლიდაცია-ინტეგრაციისა და პირუკუ პროცესების შედეგად. ამ ეთნოსის შიგნით, ჩანს, მუდამ მიმდინარეობდა ახალი ტომების წარმოქმნისა და ძველების გაქრობის პროცესი, თუმცა მთლიანობაში ის თავის იდენტობას ინარჩუნებდა. როგორც აღინიშნა, ძვ.წ. IX-VI სს-ში ის კიდევ ერთხელ შედგა.

პონტოსპირეთში იბერების ცხოვრებას ადასტურებს ძვ.წ. IV-III ს-ის ავტორის მეგასთენეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ლიბიის მეზობელი იბერების ერთი ნაწილი VI ს-ში მეფე ნაბუქოდონოსორმა აყარა და დაასახლა პონტოსპირეთში.

„ლიბიის“ ქვეყნის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბისპირეთში, მცირე აზიაში მდებარე ქვეყანა „ლუვია“. ის იყო პროტოქართველთა ქვეყანასთან, მდ. ყიზილ-ირმაკის (კელკიტის) ახლოს მდებარე ქვეყანა.

ლურსმულ ეპოქაში მცირე აზიის ლუვია ცნობილი სახელმწიფო იყო, რომელიც მდებარეობდა ახლოს იმ არეებთან, სადაც შემდგომი ავტორები კარდუხების საცხოვრისს მიუთითებენ.

თუ მეგასთენეს წყაროს „ლიბია“ იგივე ქვეყანა „ლუვიაა“, **მაშინ, ჩანს, ძველი ავტორები მიუთითებდნენ, რომ ნაბუქოდონოსორმა იბერები პონტოსპირეთში ჩაასახლა არა აფრიკის ანდა დასავლეთის ლიბიიდან, არამედ მცირე აზიის ლუვიიდან, რაც რეალობასთან უფრო ახლოა**.

„ლუვია-ლუბარის“ ქართველებთან კავშირის შესახებ წერენ ეპიფანე და არქანჯელო ლამბერტი.

(არქანჯელო ლამბერტის მოჰყავს ძველი ცნობა, რომ „ლუბარი“ ერქვა ქვეყანასა და მთას არარატის რეგიონში, ანუ ძველ ურარტუში. ის წერს – „გრიგოლ კედრენე ამტკიცებს, რომ კოლხიდელები ნოეს მესამე შვილის იაფეტის ჩამომავლობისანი არიანო, ეს აზრი მე სარწმუნოდ მიმაჩნია, რადგან სომხეთის მთები, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა, მხოლოდ რამდენიმე დღის სავალზეა კოლხიდას დაშორებული... ეს ამბავი შეიძლება დავასაბუთოდ წმიდა ეპიფანეს მოწმობით. ეს წმიდანი თავისი წიგნის – „პანარიონის“ დასაწყისში, შემდეგს წერს – „როცა **ნოეს კიდობანი არარატის მთებზე, სომეხთა და ქართველთა (კარდიენსიუმ) ქვეყნის შუა, ლუბარად წოდებულ მთაზე გაჩერდა,** *გაჩნდა ადამიანთა პირველი საცხოვრებელი, და იქ დარგო წინასწარმეტყველმა ნოემ ვენახი და შეიქმნა იქაური ბინადარი“. აქ შესანიშნავია შემდეგი სიტყვები ეპიფანესი:* **ლუბარის** *მთიანეთი* **„სომეხთა და ქართველთა ქვეყნის შუა“** *(არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 28).*

ლუბარი – *არარატის მახლობელ მთას ერქვა კარდიენთა ანუ ქართველთა ქვეყანაში ვანის ტბისპირეთში, ჩანს, ლუვია-ლიბია ქვეყანასთან ახლოს.*

ამჟამად მიჩნეულია, რომ ქალდეა ერქვა ტრაპეზუნტის სამხრეთ მთიან რეგიონს, ისტორიულად კი ეს ქსენოფონტეს ნაშრომებიდანაც ჩანს. ქალდეები აღნიშნულის გარდა გაცილებით დიდ ტერიტორიას ფლობდნენ, გადაშლილს კარდუხებიდან ვიდრე შავ ზღვამდე. ამ მიწა-წყალს (ტრაპეზუნტიდან) ვუწოდებთ ჩვენ ქალდეას, ხალიბების ქვეყანას (შესაბამისად, ჩვენი ქალდეას ქვეშ არ იგულისხმება მესოპოტამიის ქალდეა).

პროტოიბერი ხალხის ტომები კარდუხები, ქალდები და ხალიბები (ქალიბები) ჩანს, ნათესაურად უკავშირდებოდნენ ურარტუს სამეფოში დასახლებულ ხურიტებსა და ასევე იმ ფრიგიულ-მესხურ ტომებს, რომელთაც ბრიგების სახელითაც იცნობდნენ, *ეტიმოლოგიურად სახელი „იბერი“ წარმოშობილი უნდა იყოს სახელისაგან „ბრიგი“ (ბრიგი-ბერიგი-ბერი-იბერი; ბრიგი-რიგ-**რგ** (მა-**რგ**-უელი, მა-**რგ**-ალი) – **გრ** (ე-**გრ**-ისი, მე-**გრ**-ელი, **გურ**-ული), ბრიგი-გრიგი-გეორგი-გეორგიენ; ან ბრიგი-გრიგი-გოგარ/ენა/-გუგარგი (გუგარქი), გარგარი, გაგარი და სხვა).*

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „ქალდეველები“ – ქალდები (ხალდები) ცნობილი კოლხების თანამეტომენი იყვნენ, ხოლო, როგორც აღინიშნა, ჰეკატოს მილეტელის ძალზე მნიშვნელოვანი ცნობით – **„კოლხები – მოსხური (მესხური) ტომია“**.

გ. მელიქიშვილის აზრით – **ხალიბი „ქართუს დიალექტური ვარიანტი ყოფილა და მომდინარეობდა უძველესი, ჯერ კიდევ დაუნაწევრე-**

ბელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან“ (Г. Меликишвили, Наири – Урарту, с. 411).

მათ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს სასპერებიც, რომელთაც პროტოქართველებადაც მიიჩნევენ, კოლხებთან ერთად. ჰეროდოტეს ცნობით, შავი ზღვიდან მიდიელებამდე მხოლოდ ისინი (კოლხები და სასპერები) ცხოვრობდნენ. მაშასადამე, **ძვ. წ. V საუკუნეში ამ არეალში სომხები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ (იგულისხმება არაქსისპირეთი, ჭოროხ-ევფრატის სათავეები, პარიადრეს მთისწინეთიდან მტკვრამდე (გოგარენამდე) მდებარე მიწა-წყალი), არმენიული ტომების ჩასახლება ამ მიწა-წყალზე აქემენიდების ეპოქისათვის დაიწყო და ალექსანდრე მაკედონელის დროისათვის იქაური ქართული სახელმწიფოსათვის საფრთხეს ქმნიდა, რამაც, ჩანს, აიძულა აქაური მეფის ძე აზონი სახელმწიფოს ხერხემალი (ჯარის, დიდებულებისა და ხალხის ერთი ნაწილი) უფრო ჩრდილოეთში გადაეყვანა და ახალი ქართული სახელმწიფო ჩამოეყალიბებინა. ამ დროს უნდა დაეკარგა არიან-ქართლს არაქსის ხეობა (ძვ.წ. IV ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში, ხოლო პარიადრე, ხორძენა და გოგარენა შემდეგ, ძვ. წ. II ს-ში დაუკარგავს).**

მეგასთენესა და სტრაბონის ცნობების ურთიერთშეჯერება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **სომხების ჩასახლებამდე ტრაპეზუნტიდან ვანის ტბისპირეთამდე მცხოვრებ ტომებს კრებითად იბერები ერქვათ**, რადგანაც, **მეგასთენეს ცნობით, აღმოსავლეთ პონტოსპირეთი** (ე.ი. ისტორიული მხარეები კოლხეთისა) **იბერებით იყო დასახლებული, ხოლო სტრაბონის ცნობით, პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა იბერებისა იყო.**

იბერებით ძალზე დიდი არეალი ყოფილა დასახლებული – ეს იყო აღნიშნულ არეალთან ერთად სამხრეთ კავკასია მიმართული ვანის ტბისაკენ.

ამ რეგიონში მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტები მიუთითებს ერთიანი კულტურის არსებობის შესახებ, რაც ყარსის, თრიალეთის, სამთავროს, ანისისა თუ არტაანის მიდამოებში მოპოვებული მასალიდან ჩანს. ხალიბების ეპოქის არქეოლოგიური მასალა ამაზე მიუთითებს – **„ქ. ყარსის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისა, რომელშიც დასავლურ და აღმოსავლურქართული არქეოლოგიური კულტურებისათვის დამახასიათებელი საგნები ერთადაა თავმოყრილი**“ (დ. მუსხელიშვილი, აღმოსავლურქართველ ტომთა გაერთიანებანი... მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2. გვ. 31).

ეს მიუთითებს, რომ იმჟამად, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის ეს ერთიანი კულტურის მქონე ხალხი ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი ე.წ. აღმოსავლურქართულ და დასავლურქართულ ჯგუფებად, დაყოფის პროცესი უნდა დაწყებულიყო გაცილებით გვიან, ნაწილობრივ ძვ. წ. II საუკუნიდან ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალზე. მაგრამ მათი დიფერენციაციის ხარისხი დიდი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც მალევე შეძლეს ერთიანი ქართული საეკლესიო კულტურის ჩამოყალიბება, I-V სს-ში, ისტორიული მცხეთის ქართლის მიწებზე (შავი ზღვიდან ალბანეთამდე). დიფერენციაციის

ახალი პროცესი უნდა დაწყებულიყო VI საუკუნიდან, ერთიანი ქართული საეკლესიო კულტურის ჩამოყალიბების შემდგომ ერთიანი სახელმწიფოებრიობის (დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ქართლის სამეფოს) რღვევის კვალდაკვალ.

სხვა პროცესები ვითარდებოდა უკვე არმენიად წოდებულ ყოფილ იბერიაში, ძვ.წ II საუკუნის შემდგომ, პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენაში მცხოვრებმა იბერებმა, **თავისუფლების დაკარგვის პირობებშიც კი, უკვე არმენიად წოდებულ თავის ქვეყანაში (სომხეთში), საუკუნეთა მანძილზე, გარკვეულწილად შეძლეს ქართულ-ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება**.

ქრისტიანობის განმტკიცების ეპოქაში არმენიაში მცხოვრები იბერები IV საუკუნიდანვე მოექცნენ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რაც მათ არმენიზაციას აპირობებდა, საბოლოო არმენიზაციისაგან თავის არიდებას ისინი იმით ცდილობდნენ, რომ ისწრაფოდნენ, მიეღოთ ის სარწმუნოებრივი ორიენტაცია, რომელიც ისტორიულად ზოგადქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად იქცა, ეს იყო ქალკედონიტობა ანუ მართლმადიდებლობა.

ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, ახ.წ. VI ს-ში, იბერებით დასახლებულმა ტაო-ბასიან-ავანის ანუ „მეორე ივერიის“ ოლქმა ეკლესიური თავისთავადობა გამოაცხადა, გამიჯნა რა თავისი თავი მონოფიზიტური დვინის საკათალიკოსოსაგან და თავის სარწმუნოებად აღიარა ქალკედონიტობა.

ამ რეგიონის (უკვე არმენიის) მღვდელმთავარმა, „ავანის კათალიკოსად“ სახელდებულმა იოანემ შექმნა ქალკედონიტური საკათალიკოსო, თვითგამოცხადებული, ახლა უკვე თავისთავადი საეკლესიო ოლქი (სომხეთის ივერია ანუ არმენიის ივერიული ზოლი) ჩამოაშორა **დვინის** მონოფიზიტურ ეკლესიას და სანაცვლოდ **შეეცადა ანტიოქიის ეკლესიასთან დაკავშირებით სამართლებრივი სახე მიეცა თავისი ქმედებისათვის, რაც ასახა ანტიოქიურმა წყარომ. ჩვენთვის ნათელია, რომ ანტიოქიურ ქრონოგრაფში ავანის საკათალიკოსოს „ივერიის საკათალიკოსო“ ეწოდება, და იგულისხმება მეორე ივერიის ანუ ტაო-ბასიან-არარატ-შირაკის მიმდებარე ოლქების ანუ სომხეთის ივერიული ზოლის ქართული (ივერიული) მოსახლეობის ეკლესია.**

„...დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა (ე.ი. მეორე ივერიის) სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისათა (VI ს-დან) არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი-მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან (თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქმა VIII ს.) ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრბებოდნენ ეპისკოპოსნი სამრევლოსა მისისანი (მეორე ივერიისანი) და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა“ (ქ. ც., I, გვ. 226). იგულისხმება, რომ ანასტასი მღვდელმოწამის თანამედროვე იოანე კოგოვიტელის შემდეგ ავანის (მეორე ივერიის) საკათალიკოსო ტახტი დაქვრივებული იყო, მისი აღდგენა აღარც მიიჩნეოდა საჭიროდ, რადგანაც სომხური ეკლესია VII საუკუნეში კვლავ დაუბრუნდა

ქალკედონიტობას და მხოლოდ VIII საუკუნეში, 726 წლის სომხურ-მონოფიზიტური კრების შემდეგ „მეორე ივერიის“ ივერები კვლავ გაემიჯნენ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას და სთხოვეს ანტიოქიას დახმარება, რათა მას კვლავ აღედგინა ივერთა (ე.ი. მეორე ივერიის) ქალკედონიტური საკათალიკოსო. აღსანიშნავია, რომ ამ დროს კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესი მძვინვარებდა, ხოლო ანტიოქიიდან ქრისტიანებს ხატთაყვანისცემისაკენ მოუწოდებდა იოანე დამასკელი. მნიშვნელოვანია სახელი „იოანე“, ეს ავანის პირველი კათალიკოსისა და „მეორე ივერიის“ აღდგენილი საკათალიკოსოს პირველი მღვდელმთავრის სახელი იყო. აქედანაც ჩანს, რომ ანტიოქია ცნობდა „მეორე ივერიის“ საკათალიკოსოს მემკვიდრეობითობას ავანის საკათალიკოსოსაგან.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მოწყობას. მისი წყაროა ეფრემ მცირეს ნაშრომში („უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“,1959) გამოყენებული ცნობა ამოღებული „ხრონოგრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა“. შავ მთაზე არსებული ამ ანტიოქიური ქრონოგრაფით უსარგებლია XI საუკუნეშივე ნიკონ შავმთელსა და უფრო ადრე VI ს. ისტორიკოსს იოანე მალალას (ეპისკ. ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 1998, გვ. 93).

ეფრემ მცირეს ქრონოგრაფიდან გადმოუწერია – **„დღეთა კონსტანტინე სკორის (741-775) მოსახელისასთა, ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა (744-751) მოვიდნენ ქართლით (მეორე ივერიიდან) მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა („მეორე ივერიის“) სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა (561-599) არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი-მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერავინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჭობითა კრებისათა – მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა მისცა ქართველთა („მეორე ივერიას“) პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რათა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდინ ჟამითი-ჟამად კათალიკოსსა ქართლისასა (ე.ი. მეორე ივერიის კათალიკოსს)... და ხელთ-დასხმულ ყო ერთი ამათ ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამსა კათალიკოსად მათდა“ (ეფრემ მცირე, „უწყება მიზეზსა“... 1959, გვ. 9). „მეორე ივერია“ ანუ ტაო-ბასიანი და მიმდებარე ოლქები.**

სომხეთის ივერიული ნაწილის საეკლესიო თავისთავადობისაკენ სწრაფვა, მართალია, შეანელა არაბთა შემოსევებმა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ ჩაკლა. VII-VIII სს-ში ტაო-ბასიან-აირარატის ქალკედონიტობა დაუფარავი იყო.

VIII საუკუნეში ამ მხარის, ანუ „მეორე ივერიის“ ავტოკეფალობა კიდევ ერთხელ აღიარა ანტიოქიამ, რაზეც წერდა კირიონ II 1906 წელს.

ჩვენმა თანამედროვე ისტორიკოსმა ვ. გოილაძემ წამოაყენა თვალსაზრისი, რომ ის „ივერია“, რომელსაც VIII საუკუნეში ანტიოქიამ ავტოკეფალია მიანიჭა იყო „აფხაზეთის საკათალიკოსო“, ამ მოსაზრებას გარკვეულ ეტაპამდე მეც ვუჭერდი მხარს, მაგრამ შემდგომმა ძიებამ დამარწმუნა, რომ ამ საკითხის კვლევისას სწორი იყო არა ვ. გოილაძე, არამედ წმ. კირიონ II.

VIII საუკუნეში ანტიოქიამ აღიარა არა აფხაზეთის ანდა მცხეთის, არამედ „მეორე ივერიის“ საეკლესიო ავტოკეფალია. XVII საუკუნეში ამავე ანტიოქიური ცნობით უსარგებლია ანტიოქიელ პატრიარქ მაკარიოსს, ოღონდ მას ივერიის მეფე დავით კურაპალატი მიაჩნია აფხაზეთის მეფედ. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელ აფსუა-ჩერქეზთა გაბატონებამდე სიტყვები „აფხაზეთი“ და „ივერია“ სინონიმებად მიიჩნეოდა და ზოგადქართველთა სამყაროს ეწოდებოდა. მაგალითად, ბიზანტიელი ავტორის მაკარიოსის ცნობით – „ანტიოქიელ პატრიარქ თეოფილაქტეს დროს მეფე დავითმა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ხელდასასხმელად გაგზავნა მრავალი პიროვნება. გაგზავნილების დიდი ნაწილი გზაში ყაჩაღებმა დახოცეს. ორი მათგანი გადარჩა... თეოფილაქტემ მოიწვია კრება, რომელზეც გადაწყდა აფხაზეთისათვის (საქართველოსათვის, ე.ი. მეორე ივერიისათვის) დაენიშნათ დამოუკიდებელი კათალიკოსი...იმ პირობით, რომ იგი მოიხსენიებდა ანტიოქიის პატრიარქებს... ერთი მათგანი იოანე პატრიარქმა კათალიკოსად აკურთხა“ (ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 204). სხვადასხვა, მათ შორის იაჰია ანტიოქიელის ცნობით, მეფე დავით კურაპალატის კარზე ნამდვილად იყვნენ პირველმღვდელმთავრები კათალიკოსისა და პატრიარქის წოდებით. შემდეგში მეორე ივერიის კათალიკოსს პატრიარქის წოდება ჰქონია, მისი სახელიც, ტრადიციულად, იოანე ყოფილა, მართლაც, ჩვენამდე მოაღწია წარწერამ ეკლესიის კედელზე, რომელშიც ქართლისა და აღმოსავლეთის პატრიარქი იოანე იხსენიება. მეორე ივერიას ასევე „აღმოსავლეთი“ ერქვა.

IX-X სს-ში „მეორე ივერიის“ ქართველობამ მთლიანად აღიდგინა ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისთავადობა, რასაც ამ მხარეებში მოჰყვა ქართული კულტურის აღორძინება და ტაოს „ქართველთა“ სამეფოს დაარსება, მისი გაერთიანება დანარჩენ საქართველოსთან და საბოლოოდ კი საქართველოს სახელწიფოებრივი აღმავლობა.

საქართველოს სიძლიერის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ „ქვემო ივერიას“, ხოლო ტაო-ბასიანის მიმდგომ ვრცელ რეგიონს – „ზემო ივერიას“, „ზემო ქვეყნებს“, „აღმოსავლეთს“. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ის მათ შორის (ე.ი. „ქვემო“ და „ზემო“ ივერიებს შორის) მოქცეული ცენტრალური რეგიონი იყო და სწორედ მასთან შეფარდებით ერქვათ ამ ქვეყნებს „ზემო“ და „ქვემო“.

ქართული ტერიტორიების ეს გეოგრაფიული სახელები შეიცვალა XV-XVI საუკუნეთა შემდეგ, საქართველოს დანაწევრების შესაბამისად.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა „მეორე“ ანუ „ზემო ივერია“, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დაერქვა „ზემო“ (ზემო ქვეყანა, ზემო

მამულები, ზემო ქართლი (მესხეთთან ერთად), ხოლო „ქვემო ქართლი“, დაახლოებით XV-XVI სს-ში, თბილისის ქვემოთ მდებარე მიწებს ეწოდა (იქამდე, IX-XIV სს-ში, როგორც აღინიშნა, „ქვემო მამულები“, „ქვემო ქართლი“, „ქვემო საქართველო“ დასავლეთ საქართველოს ერქვა).

გაქრისტიანების შემდეგ (მეოთხე საუკუნიდან) დასავლეთ საქართველო ქართლის საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა.

თუკი დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო IV-X საუკუნეებში, მაშინ „საქართველოს ეკლესიის **უძველესი** ავტოკეფალია“ **მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ყოფილა კანონიკური.**

ასეთი თვალსაზრისიც კი უცნობი იყო, მაგალითად, XX ს-ის დასაწყისში კირიონ მეორისა და პატრიარქ ლეონიდეს ეპოქაში, მაშინ რუსეთის სინოდს ასეთი კუთხით დავაც არ დაუწყია, მხოლოდ საბჭოთა ათეისტურმა ეპოქამ შვა ეს პრობლემა, კერძოდ კი, **კითხვის ნიშანი დაისვა ქართული ეკლესიის უფლებებზე დასავლეთ საქართველოს მიმართ IV-X საუკუნეებში.**

როგორც აღინიშნა, კირონ II-ის თვალსაზრისით, VIII ს-ში ანტიოქიამ ავტოკეფალია მიანიჭა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ **„მეორე ივერიას“, შესაბამისად, მისი აზრით,** დასავლეთ საქართველო IV საუკუნის შემდეგ არა კონსტანტინოპოლის, ანდა ანტიოქიის, არამედ მცხეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

რაც შეეხება ე.წ. „**მეორე ივერიას**“, მისი აზრით, ის გარკვეულ პერიოდამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა თავის მომცველ რეგიონთან ერთად.

ამის გამო VI-VII საუკუნისათვის ბასიან-აირარატად წოდებულ პროვინციაში შემორჩენილმა ძველმა იბერებმა ინებეს თავის დაღწევა სომხური საეკლესიო დამოკიდებულებისაგან, გაემიჯნენ სომხური ეკლესიის გულის – დვინის საკათალიკოსოს და დამოუკიდებელი საკათალიკოსო ჩამოაყალიბეს ცენტრით ავანში.

მისი ანუ ავან-აირარატ-ტაოს „ივერიის“ ეკლესიის ავტოკეფალია ანტიოქიის საპატრიარქომ პირველად VI ს-ში აღიარა, მართალია, მას დვინმა მალევე შეუწყვიტა დამოუკიდებლობა, მაგრამ საეკლესიო თავისუფლების იდეა აღორძინდა და არაბობის დროს, VIII საუკუნეში, ანტიოქიამ კიდევ ერთხელ მიანიჭა მას (ამ „ივერიას“) ავტოკეფალია (ახლა უკვე მისი ცენტრი იყო არა ავანი, არამედ იმიერტაო). სწორედ **მის ავტოკეფალიას შეეხება ჩვენამდე მოღწეული ე.წ. ანტიოქიური ცნობები ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ.**

სტრაბონის ცნობა
არმენიელების მიერ იბერიელთა მიწების მიტაცების შესახებ
(პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა)

სტრაბონი წერს: „**მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები**“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

ანტიოქოს დიდის სარდლები არტაქსია და ზარიადრი მაგნეზიის ბრძოლაში ქრისტეშობამდე 188 წელს ანტიოქოსის დამარცხების შემდეგ მეფეები გახდნენ და ბრძოლებით გააფართოეს თავიანთი სამფლობელო, კერძოდ, **იბერებისაგან მიიტაცეს** პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე ანუ ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალი, აზონის მამის მამული. პარიადრეს ადგილსამყოფელი ცნობილია, ხოლო ცნობას გოგარენეს ადგილსამყოფელის შესახებ თვითონ იძლევა სტრაბონი. გოგარენა და გუგარქი არ იყო ერთი და იგივე ქვეყანა, კერძოდ, გუგარქი სომხურ წყაროებში ერქვა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგადად, უფრო ხშირად კი ქვემო ქართლს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მისგან განსხვავებით გოგარენე მდებარეობდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროზე, ანუ მტკვრის იქით, „მეორე მხარეს“ – როგორც ამბობს სტრაბონი – „საკასენას შემდეგ“.

გოგარენა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე უნდა ვეძიოთ, ამ ძიების დროს ჩვენ გამოგვადგება სტრაბონის ცნობა „შუა იბერიის“ შესახებ. შუა იბერია შემოსაზღვრული იყო კავკასიიდან გამომავალი სამხრეთისაკენ მიმართული ქედებით. ჩვენი კვლევით სტრაბონის „შუა იბერია“ ქართლის ცხოვრების „შუა ქართლია“, იგივე შიდა ქართლი შემოსაზღვრული სურამისა და ქართლის სამხრეთისაკენ მიმართული ქედებით. თუ არსებობდა ტერმინი შუა იბერია, ცხადია, არსებობდა აღმოსავლეთი და დასავლეთი იბერია, რომელთა მიმართაც მათ შორის მოქცეული ქვეყანა შუად, ანუ შუა იბერიად იწოდებოდა. აქედან გამომდინარე, „აღმოსავლეთ იბერია“ უნდა რქმეოდა შიდა ქართლის მომიჯნავე კახეთის რეგიონს. გოგარენა – მის იქით, ანუ კახეთის მომიჯნავე მტკვრის იქით მდებარე მიწა-წყალს, ანუ შაქისა და ყაბალას რეგიონებს, დღევანდელ შაქისა და ოგუზის (ვართაშენის) რაიონებს, მინგეჩაურის წყალსაცავის იქით. ჩვენ ეს კვლევა გვესაჭიროება, რათა განვსაზღვროთ ხორძენას ადგილსამყოფელი, რომელიც არიან-ქართლის გული, ცენტრალური ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ხორძენა, როგორც სტრაბონის ცნობიდან ჩანს, პარიადრეს მთისწინეთსა და გოგარენას შუა მდებარეობდა. ანუ პარიადრესა და მტკვარს შუა, რადგანაც მტკვრის იქით უკვე გოგარენა იყო. აქედან გამომდინარე, ხორძენა ძი-

რითადად არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ერქვა მტკვრამდე, არაქსის სათავესთან გვიანობამდე შემორჩა სახელი მცირე პროვინციისა – ხორძიანა.

ძვ.წ. II საუკუნეში ხორძენა ვრცელი ქვეყანა იყო, არაქსის სათავიდან მტკვრამდე გადაჭიმული. მაშასადამე, პარიადრედან მტკვრამდე – ხორძენას მთიანი ქვეყანა მდებარეობდა.

მართლაც, არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა დიდხანს იყო ქართველებით დასახლებული. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით საზღვრად იბერებსა და ბიზანტიელებს შორის X ს-შიც კი არაქსი იდო.

ერევნის ქვეყანას შუა საუკუნეებშიც კი ზოგიერთი სომეხი მწერალი „საქართველოს“ უწოდებდა, ბასიანისა და ტაოს ქართველობის შესახებ თვით სომხური წყაროები მიუთითებენ, რომლებიც ქვემოთაა მოცემული.

მაშასადამე, არტაქსიასა და ზარიადრეს იბერებისაგან მიუტაცნიათ პარიადრეს კალთების გარდა, არაქსისპირეთი მტკვრამდე ანუ ხორძენე, მტკვრის იქით კი – გოგარენე.

ეს ქვეყნები ქმნიდნენ არიან-ქართლს.

მიტაცების შემდგომ ამ მხარეებში დაიწყო ქართველების არმენიზაცია, სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა დონისა.

არმენიზაციის პროცესი შენელდა IX-X საუკუნეებში. განახლდა XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორების, ბასილი II-ისა და სხვების იბერიაში ომების შემდეგ (იმ ეპოქაში ამ მხარეებს იბერია ერქვა, ხოლო დღევანდელ საქართველოს იმ ეპოქაში აფხაზეთად მოიხსენებდნენ).

შავი ზღვისპირეთის რეგიონი (იგულისხმება როგორც დასავლეთ საქართველო, ისე ქალდეა-არზრუმის რეგიონი) ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეთა ცნობებით – ქართველებით ყოფილა დასახლებული ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის დროიდან (ძვ. წ. 604-562).

ამ ინფორმაციას იძლევა მეგასთენე – IV-III სს. ძველი ბერძენი მწერალი.

ის წერს პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს ნაბუქოდონოსორის მიერ იბერთა დასახლების შესახებ.

იბერები ნაბუქოდონოსორს ლიბიიდან შავი ზღვისპირეთში გადმოუსახლებია (მეგასთენე, ინდიკა, ფრაგმენტი 49).

როგორც ეს მრავალჯერ აღინიშნება ამ ნაშრომში, ლიბიის ქვეყნის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ვანის ტბისპირა ქვეყანა ლუვია, რომელიც გაძლიერებული იყო ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში, ეს ქვეყანა ამ დროისათვის ფრიგიულ-მესხური ტომებით იყო დასახლებული, რომელნიც, ჩანს, IV-III საუკუნისათვის უკვე იბერებად მიიჩნეოდნენ.

იქამდეც, საუკუნეებით ადრე, დ. მუსხელიშვილის დასკვნით, ეს არეალი, რომლის გულსაც არზრუმის პლატო წარმოადგენდა, ქართველებით იყო დასახლებული, სადაც მათი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს ცვლიდა.

ის წერს, ტაოელების ცნობილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება – დიაოხი (დაიანე), რომელმაც იარსება ძვ. წ. XII-VIII სს-ში, VII საუკუნისათვის შეცვალა ხალიბების ხალიტუმ და შემდეგ VI ს-ში სასპერ-იბერებმა (დ. მუს-

ხელიშვილი, აღმოსავლელ ქართველ ტომთა გაერთიანებანი ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე, მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2, გვ. 32).

მათი მემკვიდრე იყო არიან-ქართლი, რომელიც IV-III სს-ში არმენიელთა შეტევის ობიექტად იქცა. ჩანს, ამის გამო მეფის ძე აზონმა თავისი სამხედრო ელიტით ქართველებითვე დასახლებულ ჩრდილოეთის მხარეებში გადაიტანა სახელმწიფოს ცენტრი (არმაზში).

არიან-ქართლის ქართველობისათვის რთული დრო დადგა, თუმცა ისინი თავიანთ ეროვნულ ვინაობას საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდნენ. არზრუმ-ტაო-ბასიანის რეგიონი ივერიად იწოდებოდა I ათასწლეულში და დიდხანს შემდეგაც.

აზო-ფარნავაზის შიდადინასტიური ბრძოლა

მოქცევაი ქართლისაის მიხედვით, აზონის (აზოს) ეპოქაში არსებობდა ორი ქართლის სამეფო, ერთი მცხეთის სამამასახლისოს სახით, ხოლო მეორეს ერქვა არიან-ქართლი.

აზო-ფარნავაზის ეპოქის ორი ქართლის სამეფოდან არიან-ქართლს უფრო განვითარებული სახელმწიფოებრიობა ჰქონია და უფრო ძლიერი ყოფილა სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე მცხეთის ქართლი.

ჩრდილოეთ ანუ მცხეთის ქართლსაც ჰქონია გარკვეული სახელმწიფოებრიობის ჩანასახები: „მცხეთელი მამასახლისის“ სახით, რომლის უზენაესობას ცნობდნენ სხვა ადგილობრივი დიდებულები.

მცხეთის ქართლის დაპყრობის შემდეგ აზონს მტკიცედ ჩამოუყალიბებია ჩრდილოეთის ქართველთა სახელმწიფო, მაგრამ შემდგომ იქ დაწყებულა დინასტიური ომი.

მიიჩნევა, რომ **აზო-ფარნავაზის ომი შიდადინასტიური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა, და რომ ფარნავაზი და აზო საერთო დინასტიური სახლის სხვადასხვა განშტოებებს განასახიერებდნენ, რომელთა შორის უფროს-უმცროსობის პრინციპით უფლებები და სამართავი ტერიტორია იყო დანაწილებული** (მ. სურგულაძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლი, 1995, გვ. 19). ამავე სახლის წევრი უნდა ყოფილიყო ასევე ეგრისის ერისთავი ქუჯი.

არიან-ქართლი მოიცავდა მათ შორის კლარჯეთსაც, ეს თვით წყაროშია ნათქვამი, რადგანაც კალარჯეთი, ამ წყაროს მიხედვთ, აზონის პირადი მამული იყო. ანუ რაც იგივეა აზონის მამისაგან დანატოვარი, მისი მამისმიერი მემკვიდრეობა. აზონის მამა კი არიან-ქართლის მეფე იყო, ანუ კლარჯეთი არიან-ქართლის ნაწილი იყო.

ვახუშტის მიხედვით, ძველი კლარჯეთი ძველად უფრო დიდი ქვეყანა იყო, ის მოიცავდა ჭოროხის ხეობას მის შესართავთან ერთად, შემდგომდროინდელ ტაოსა და მიწებს „ქართლის ყელამდე“ (გურჯი ბოღაზამდე, არზრუმამდე).

ისტორიული მესხეთის უფრო დიდი ნაწილი ბიზანტიამ და არმენიამ დაინაწილეს, ამ ქვეყანას სტრაბონი მესხეთს უწოდებს. მისი ცნობით, მესხეთი

სამ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი (არტაანი) ქართლის სამეფოში შედიოდა, ბიზანტიის მიერ მიტაცებული მეორე ნაწილი (არტანუჯი) – კოლხიდაში, ხოლო მესამე ნაწილი (ტაო) – არმენიის მიერ იყო მიტაცებული. კლარჯეთის ნაწილი (არტანუჯის მხარე) შემდეგ უკან დაიბრუნა ვახტანგ გორგასალმა.

მესხეთის გარდა, არიან-ქართლის ნაწილი უნდა ყოფილიყო სტარბონის მიერ ნახსენები მიწა-წყალი იბერებისა, ესენია პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა, რომელნიც არმენიამ მიიტაცა ქართველებისაგან ძვ. წ. მე-2 საუკუნეში. მათ შესახებ მსჯელობა ძალზე ხშირად მეორდება ჩვენს ნაშრომში, რადაგანც ამ კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია.

ამ მიტაცებულ მხარეებს ჩვენ ვუწოდებთ „სამხრეთ ქართულ ქვეყნებს“ ან „მეორე ივერიას“ (ესენია, აღნიშნული პარიადრე, ხორძენა, გოგარენა, ასევე კარენიტიდა და ქსერქსენე) და აღვწერთ ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ომებს მათ დასაბრუნებლად.

ფარნავაზი და ვახტანგ გორგასალი ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალზე

მსგავსად ფარნავაზისა, ვახტანგ გორგასალმაც ილაშქრა ისტორიულ სამხრეთ იბერიაში, „აზონის მამულში“. ჩანს, ვახტანგის მიზანი იყო იბერიისათვის დაებრუნებინა ის მიწა-წყალი, რომელიც სტრაბონის ცნობით ძვ.წ. II საუკუნეში არმენიამ ჩამოაცალა იბერიას (გოგარენა, ხორძენე და პარიადრეს კალთები).

ქართლის ცხოვრების ცნობით, ფარნავაზმა ქრისტეშობამდე III საუკუნეში ილაშქრა „აზონის მამულ“ კლარჯეთში და უფრო სამხრეთითაც ანძიანძორასა და ეკელეცში.

ვახუშტის ცნობით, როგორც ითქვა, კლარჯეთი მოიცავდა არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ უვრცელეს რეგიონს ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე.

ანძიანძორა ისტორიული საქართველოს საზღვარზე მდებარეობდა.

საზღვარს ისტორიულ იბერიასა და საბერძნეთს შორის მემატიანე ათავსებს ანძიანძორასთან (იგივე ანძორეთთან) – **„წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეციით შემოიქცა“** (ქ. ც., I, გვ. 23).

სად მდებარეობდა ანძიანძორა? გ. მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს – „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განვრცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების ანძიანძორისა და ეკელეცის (ანტიკ. წყაროების აკილესენა, სოფენას ჩრდილოეთით ევფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 455).

მაშასადამე, წყაროს ცნობით, ფარნავაზის დროს იბერიის (ქართლის სამეფოს) საზღვარი გადიოდა ანძიანძორასთან, ისტორიულ **ხორძენესთან**,

ამით ჩვენი წყარო (ქ.ც.) ამართლებს სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. II საუკუნემდე იბერიაში (ე.ი. ფარნავაზის სამეფოში) შედიოდა ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები.

ფარნავაზის შემდეგ იბერიის სამეფოს დაუკარგავს ეს ტერიტორიები, მაგრამ მათ დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდებოდა. ამაზე მიუთითებს ვახტანგ გორგასლის იქ ლაშქრობა: „**წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა**“ (ქ. ც., I, გვ. 160).

ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის დროს აღნიშნული ადგილები უკვე სომხეთსა და პონტოში შედიოდა, მაშინ როცა ფარნავაზის დროს „საზღვარი“ ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის ანძიანძორასთან გადიოდა. მაშასადამე, ეს ტერიტორიები იბერიას დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა ვახტანგის დროს, მაგრამ იქაურ (ე.ი. ხორძენესა და პარიადრეს კალთების) მოსახლეობას ქართული ეთნოიდენტობა და ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული რომ ჰქონდა სხვა გამოკვლევებიდან ჩანს:

VII ს-ის სომხეთში ოლქი სახელწოდებით „ხორძიანა“ (ეს უნდა იყოს „ხორძენე“) მდებარეობდა კარინთან (კარახპოლ-კარნუქალაქ-არზრუმთან), მის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებოთ 70 კმ დაშორებით.

ხორძიანასა და კარინს შუა მდებარეობდა მანანაღის (მანრალის) ოლქი მარდაღის (მარდალიის) გვერდით.

ხორძანასთან ახლოს, მის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 40 კმ-ში მდებარეობდა ოლქი სახელწოდებით – **ანძიტი.** ეს უნდა იყოს ქართული **ანძორეთი-ანძიანძორა** (სადაც ილაშქრეს ფარნავაზმა და ვახტანგმა). პროვინცია ანძიტში ტბასთან ახლოს იყო ციხესიმაგრე ეგეღი (ეგერი). ამავე სახელის ქალაქი ეგეგი (ეგერი) კარინ-არზრუმთანაც იყო. ამ ქალაქის სახელი (ეგეგი) ეგრისის სახელს უნდა ირეკლავდეს. ისტორიული სამხრეთ ეგრისი ამ არეალს მოიცავდა ტრაპეზუნტის ჩათვლით.

ოლქ ხორძიანაში გაედინებოდა ამავე „ეგრ“ სახელის მქონე მდინარე „ეგეგიკი“ (მიუს გაილი). ხორძიანაში იყო ცნობილი პუნქტი – არტალესი. პროვინცია „ტურუბერანი“ – ირეკლავს სახელს „იბერი“.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ თურქეთში ძველი ოლქის ანძიტის ადგილას მდებარეობს ადმინისტრაციული ოლქი – **ელაზიგი**. სიტყვაში „ელაზიგი (**ელაზი**ღი)“ ვფიქრობ, შესაძლებელია გამოიყოს ფუძე-ძირი „**ლაზი**“. სახელი „ლაზი“ ამ მხარეებისათვის უცხო არ იყო. XI ს-ის დასაწყისში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია ამ მხარეებსაც მოიცავდა. აქ ახლოს იყო ლაზიკის ეპარქიის კერჩანისის, ხახის, ბიზანასა და სხვა საეპისკოპოსო კათედრები.

მაშასადამე, ფარნავაზმაც და ვახტანგ გორგასალმაც ილაშქრეს ანძიანძორა-ანძორეთსა და ეკელეცში. ჩანს, იქაური ქართული მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. ეკელეცის ადგილმდებარეობა ცნობილია.

ანძიტი მდებარეობდა ცოპკის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთით, ის მცირე არმენიას ესაზღვრებოდა. მცირე არმენია კი იმ ქართული ტომებით

იყო დასახლებული, რომელთა მიწა-წყალი მიიტაცეს სომეხთა მეფეებმა ზარიადრემ და არტაქსიამ სტრაბონის სიტყვით. ანუ ის მიტაცებულ ივერიულ მიწებზე მდებარეობდა, ამიტომაც აქ ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა უნდა მივიჩნიოთ იქაური ქართული მოსახლეობის მხარდაჭერად.

სტრაბონი ახსენებს ქვეყანა ქსერქსენეს, რომელიც იბერებისაგან მიუტაცნიათ სომეხთა მეფეებს ძვ. წ. მე-2 საუკუნეში.

ქსერქსენე შეიძლება იყოს ე.წ. „სომეხი ქსერქსეს“ ქვეყანა. ის ცხოვრობდა ძვ. წ. მე-3 საუკუნეში, მართავდა სოფენას (ცოპკის) სამეფოს, ანუ ანძიტი-ანძიაძორა აქ მდებარეობდა. ანუ ქსერქსენე შეიძლება იგივე სოფენა იყოს, სადაც ულაშქრიათ (ანძიანძორაში) ფარნავაზსა და გორგასალს, ჩანს, იქაურ ქართველთა დაცვის მიზნით, რომელიც თანდათან არმენიზაციის ჭაობში ეფლობოდნენ და გარედან დახმარება ესაჭიროებოდათ.

ბიზანასა და არზრუმს შორის მდებარეობდა ოლქი **მანანაღი** ანუ **მანრალია (მანარალი)**, მას მარდაღის (მარდალის) ოლქისაგან ყოფს „მეგედუხგის მთები“, ამ მთებს ნ. ადონცი ხალხალის მთებს უწოდებს, რომელიც მანრალიასა და მარდალიას ერთმანეთისაგან ყოფდა.

როგორც ჩანს, ამ მხარეებში ეგულებოდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს „საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“, სომხურად ბიზანას ოლქს ეწოდება – „ეკეგიაცი“, ეს უნდა იყოს ვახტანგის ცხოვრების **ეკლეცი**. ამ ოლქში რუკებზე მონიშნულია ეკლესია სახელწოდებით – „სურბ გრიგორ“.


V საუკუნე
№ 45
ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები აფხაზეთისა და კლარჯეთის გასათავისუფლებლად
პირობითი აღნიშვნები
ბიზანტიელთა მიერ ოკუპირებული სამეფოს მიწები ვერსწყლიდან ციხე-გოჯამდე და კლარჯეთი
აფხაზეთის გასათავისუფლება, (ციხე-გოჯიდან – ვერსწყლამდე ტერიტორიის გასათავისუფლება)
ლაშქრობა კლარჯეთის საერისთოს გასათავისუფლებლად
იბერების ისტორიული საცხოვრისის საზღვარი ხორძენასა და პარიადრეს მხარეებში
მასშ: 1:3.500.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
(ანაკოფია)
(ცხუმი)
ბედია
ციხე-გოჯი
ქუთაისი
ქვაბლიანი
არარგვის ყარი
(ოქსიოკარი)
არქეოპოლისი
(ციხისძირი)
ფაზისი (გონიო)
(ხუფსიოი)
(ათინა)
ეროვნული
(ოფი)
(რიზეა)
ბიზანა
(თონია)
(ტრაპეზუნტი)
ფანასა
(ქალდა)
(ბუმბანე)
დრაკონისი
ეროპოლისი
(ერზინჯანი)
ერზიჯა
ერზა
(ერზრუმი)
(ყარნუ ქალაქი)
ეკეგიაცი
(ბინისი)
(ვარტა)
(ბინგოლი)
(ლიჯე)
(მუში)
(ბოზატი)
ეკელეცი?
(ბერტეკი)
(ცლაზელი)
ანძიტი
ანძიანძორა?
ანძორეთი?
(ბიზანტიელთა ოკუპაციის ზონა)
(ბიზანტიელთა ოკუპაციის ზონა)
(ბიზანტიელთა ოკუპაციის ზონა)

ხორძენა, როგორც ითქვა, სტრაბონს იბერების ისტორიულ ქვეყნად მიაჩნდა, რომელიც არმენიამ მიიტაცა. იქაური მკვიდრი იბერების არმენიზაციას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ამ მხარეში სომხური ეკლესიის გაძლიერებამ. საბედნიეროდ, ვახტანგის დროს ქართული თვითშემეცნება ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა ამ მხარის სასულიერო პირთა შორისაც კი, რაც კარგად ჩანს ვახტანგის ცხოვრებაში.

სხვათა შორის, ხორენაცის ისტორიაშიც არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ხორძენასა და ტარონის სამღვდელოებამ იცოდა ქართული ენა. მაგალითად, მოვსეს ხორენაცი წერს – **„რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდამო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი – ტერ ხორძენაცი და მუშე ტარონაცი“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 224). მაშასადამე, ქართველი ბავშვები დაყვეს ორ ჯგუფად, რათა მათ შეესწავლათ ქართული ანბანი ქართული წმიდა წერილის საკითხავად. მათ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები ესაჭიროებოდათ, ასეთნი კი ყოფილან ხორძენელი მღვდელი (ტერ ხორძენაცი) და ტარონელი მუშე.

ხორძენე-ტარონის ახლო მხარეებში ქართული ენის ცოდნას ისიც მიუთითებს, რომ ვ. გოილაძის კვლევით იქვე, არც თუ დაშორებით, ქ. ედესა-ურჰაში ყოფილა დიდი ქართული კოლონია თავისი საგანმანათლებლო კერებით. რუკაზე ქალაქი ედესა-ურჰა მდებარეობს ოლქ ანდზიტთან ახლოს, მის სამხრეთით 70-80 კმ დაშორებით. ვახტანგ გორგასალს „დიდი მოძღვრის გრიგოლის“ საფლავის მლოცველი მღვდლები ძალზე დაეხმარნენ სარწმუნოებრივი და პოლიტიკური საკითხების რკვევისას.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ არმენიის მიერ მიტაცებულ მხარეებში დიდხანს დარჩა ქართული ენის ცოდნა და ქართული ტოპონიმები (ეგრი-ეგრისი, იბერია და სხვა).

წმ. გრიგოლ პართელის, სომეხთა განმანათლებლის, ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ მის მიერ ქრისტიანობა განივრცო მთელ არმენიაში, ქალაქ სატალადან, ხალდიისა და კლარჯეთის სიახლოვიდან – მასქუთებამდე, კასპიის საზღვარ პაიტაკარანამდე, სომეხთა ქალაქამდე, ამიდიდან, ნიზიბინის სიახლოვიდან კორდუენას ჩათვლით მიდიამდე.

კერძოდ, გაუნათლებია 16 სამთავრო – ანგელთა სახლის მთავარი, ალზნიქთა დიდი პიტიახში, **კორდუქის** ქვეყნის მთავარი, გარგარის ქვეყნის პიტიახში, უტიელთა ქვეყნის მთავარი, ზარავანდისა და ჰერის მხარეთა მთავარი და სხვები.

ამ სიიდან ჩანს, რომ გრიგოლს უღვაწია ისტორიულ არიან-ქართლის მიწაზეც, რადგანაც ეს მიწა-წყალი გრიგოლის დროს უკვე დიდი ხნის მიტაცებული იყო არმენიის მიერ (ძვ.წ. II ს-დან) და ამიტომ მის მიერ განათლებული მთელი მოსახლეობა არ იყო ეთნიკური სომეხი, თუმცა კი მათი ოლქები არმენიაში იყო მოქცეული.

მაგალითად, უტიელები – ალბანელები იყვნენ სხვა წყაროების მიხედვით, ჰერის მთავრის ქვეშ თუ იგულისხმება ჩვენი ისტორიული მხარე ჰერეთი – არც მისი მოსახლეობა იყო სომხური. ასევე ქსენოფონტე კარდუხებს არ მიიჩნევდა სომხებად, პირიქით, ისინი სხვა ავტორების მიერ ქართველთა წინაპრებად მიიჩნეოდა. ეტიმოლოგიურად გარგარი და გუგარქი მსგავსია და ალბათ, ეთნიკურადაც გარგარელები თავდაპირველად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ფუძე „გრგ“ – ქართველთა ეთნოფუძეა, მისგანაა ნაწარმოები არა მარტო სიტყვა გუგარქი, არამედ „გურზენ“, „გურჯ“, „გეორგიენ“ და ქართველთა სხვა ეთნოსახელები.

„ანგელთა“ ფუძეშიც ქართული ეთნოფუძისეული თანხმოვნებია – „გლ“ (გრ) – რაც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, მით უმეტეს, რომ ის სიტყვების – მანგლისის, ალგეთის და სხვა ფუძეებშიც გვაქვს.

ივ. ჯავახიშვილს „კარდუ“ და ტომის სახელი „კარდუხი“ ერთი ეტიმოლოგიისად მიაჩნდა. „კარდუ“, „ქართუ“ – სიტყვა „ქართუელის“ საფუძველია. მისგანვე უნდა იყოს მცხეთის სამეფოს სახელი „ქართლი“.

ეპისკოპოსი იბირბზხუა, რომელიც აგათანგელოზის ცნობით წმ. გრიგოლს ივერიელთათვის უკურთხებია, უნდა ყოფილიყო არა მცხეთის ივერიის ეპისკოპოსი, არამედ ეპისკოპოსი არმენიის ივერიისა, ტაო-არზრუმის მომიჯნავედ მდებარე მიწა-წყლისა ანუ ისტორიული არიან-ქართლის ნაწილისა. მის გვერდით ტრაპეზუნტის მიმართულებით მდებარეობდა ლაზების ქვეყანა, რომლის ეპისკოპოსიც, ამ ცნობით, მასვე (წმ. გრიგოლს) უკურთხებია, ხოლო კლარჯეთი, თავისი ზღვისპირით, არა წმ. გრიგოლის, არამედ, წმიდა ნინოს საგანმანათლებლო არეალს წარმოადგენდა სომხური წყაროების ცნობებითვე.

დასავლეთ არმენიის ხალხში ეთნოიდენტობის ძიების შედეგები (IX–Xსს.)

კვლევა ეროვნული იდენტობისა რთული საქმე იყო შუა საუკუნეებში.

ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ერთ რომელიმე ხალხში იკვეთებოდა ჯგუფი, რომელიც საბოლოოდ იქცეოდა ხოლმე სხვა ხალხად და შორდებოდა ძველ ერს. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო. შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება. ოსმალეთის უზარმაზარი სახელმწიფოს მოსახლეობა „ბერძნებს“ უწოდებდა სლავური წარმოშობის ხალხებსაც (მათ შორის, ვთქვათ, ბულგარელებს, ვლახებს და ა.შ.). მიზეზი ამისა იყო ის, რომ ჩამოყალიბების შემდეგ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ოსმალეთის იმპერიამ თავისი კანონების თუ ადათის შესაბამისად „ბერძნულ თემში“, მილეთში, გააერთიანა ყველა მართლმადიდებელი და ისინი ერთ ცენტრს – კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქოს დაუქვემდებარა. საბოლოოდ, პუშკინის ეპოქაში, რუსული წრეები (XIX ს. დასაწყისში) საერთაშორისო ასპარეზზე ავრცელებდნენ მტკიცებულებებს, რომ, სინამდვილეში, ოსმალეთის „ბერძნების“ უმრავლესობა იყვნენ

არა ეთნიკური ბერძნები, არამედ „სლავები“ . შემდგომში კი მართლაც მოხდა ამ სლავების თვითგამორკვევა და ამ რელიგიური „ბერძნებიდან“ თანდათან გამოიკვეთნენ ბულგარელები, სერბები თუ ვლახები.

ამჟამადაც, როგორც ცნობილია, ქრისტიანი ლაზები თავიანთ თავს „ბერძნებს“ უწოდებენ, მაგრამ თუკი რაიმე მიზეზის გამო მათში დაიწყება ეთნიკური იდენტობის ძიების პროცესი, შესაძლოა, ბერძნების ამ ნაწილისაგან ახალი „ლაზი ხალხი“ ჩამოყალიბდეს, მით უმეტეს, რომ არსებობენ მუსლიმანი ლაზები, რომელნიც საერთოდ არ თვლიან თავიანთ თავს ბერძნებად.

მსგავსადვე, შესაძლებელია, ამჟამინდელი ლათინური ამერიკის ქვეყნებში შიდა იდენტობის ძიების შედეგად გამოიკვეთოს ინდიელთა ახალი ხალხები ანდა ეთნოჯგუფები, რომელნიც შემდგომში წარმოჩნდებიან, როგორც დამოუკიდებელი ნაციონალური ხალხები.

დაახლოებით მსგავსადვე „დასავლეთ არმენიის“ მკვიდრმა მოსახლეობამ IX-X საუკუნეებში ეთნოძიების შედეგად დაასკვნა, რომ ისინი იყვნენ არა ეთნიკური სომხები, არამედ იბერიელები, ენით, კულტურით, წარსულით და სხვა ეროვნული თვისებებით. ტაო-ბასიანისა და ახლო მხარეების მოსახლეობამ ეთნოთვითგამორკვევით აღიდგინა ქართულ-ეროვნული ეთნოიდენტობა და არა ე.წ. „ქართიზაციის“ შედეგად.

VIII-IX სს-ში ტაო-ბასიანისა და მიმდებარე კუთხეთა მცხოვრებთ ქართული იდენტობა ჩამოუყალიბდათ არა ე.წ. ქართიზაციის პროცესის შედეგად, როგორც მიიჩნევა საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის გავლენით, არამედ იქამდე მინავლებული ეროვნული თვითშემეცნების აღორძინების შედეგად. ქართველები ტაო-ბასიანსა და ე.წ. დასავლეთ არმენიაში არმენიელების დასახლებამდეც ცხოვრობდნენ, ამას, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მიუთითებს სტრაბონის ცნობილი ცნობა პარიადრეს, ხორძენასა და მტკვრისიქით მდებარე გოგარენას იბერიულობის შესახებ.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა, ის წერს: „**ამბობენ, რომ ძველ დროს მცირე ქვეყანა არმენია გაიზარდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად... მათ ერთობით გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო იმით, რომ ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ჩამოაჭრეს ოლქები, კერძოდ მიდიელებს წაართვეს კასპიანა, ფავრიტიდა და ბასოროპედა, იბერებს – პარიადრის მთისწინეთი, ხორძენა და გოგარენა, რომელიც მდებარეობს მდ. კირის მეორე მხარეს. ხალიბებსა და მოსინიკებს – კარენიტი და ქსერქსენა, რომელიც ესაზღვრება მცირე არმენიას და მისი ნაწილია...**“ (სტრ. XI, 14, 5), (სტრაბონი, გეოგრაფია, გამომცემლობა „ნაუკა“, 1964, რუს. ენაზე, გვ.498).

უკვე არმენიაში მცხოვრებ ამ ქართველებს, მართალია, ძალზე შეუსუსტდათ ეროვნული ცნობიერება მათი არმენიზაციის პროცესის გამო, მაგრამ არა საბოლოოდ. საქართველოს მახლობლად (ტაო-კარინ-ვანანდ-ბასიანში) მცხოვრებმა ქართველებმა ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისას თავი დააღწიეს სომხურ კულტურულ-საეკლესიო გავლენას და აღიდგინეს ქართული ცნობიერება. პატკანოვ-მარის თეორიის თანახმად კი, თითქოსდა, ისინი ქალკედონიტი სომხები იყვნენ და მოხდა მათი ქართიზაცია. ამ თეორიის საწინააღმდეგოდაა დაწერილი ჩვენი მთელი ნაკვლევი.

მ.თამარაშვილი წერს – „ძალიან გვწყდება გული... უნდა მოგახსენოთ: ნ. მარი ყველაფრის არმენიზაციას ახდენს, საქართველოს მიწის, მისი ძეგლების, ენის, ლიტერატურისა და სხვა... ისერიგად, რომ არმენიზაციაში ბევრათ აჭარბებს სომეხ პატრიოტებს, თვით ყველაზე გადამეტებულთაც კი“ (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია, 1995, გვ. 275).

ლაზიკის ეპარქია – პერსარმენიაში შემავალი პერსიბერიის (ისტორიული ყოფილი არიან-ქართლის) ქართველობის გამაერთიანებელი

თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მდებარე ისტორიული არიან-ქართლის ვრცელი მიწა-წყალი ანუ მიწა-წყალი სინოპიდან და ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე ქართული ტომებით ყოფილა დასახლებული როგორც ქსენოფონტეს დროს, ისე მის შემდგომ. ამ ტერიტორიების დიდ ნაწილს მოიცავდა ლაზიკის ეპარქია XI ს-ში. ქართული ტომები იქ არმენიელთა დასახლებამდე ცხოვრობდნენ.

კიროს დიდის ეპოქამდეც ქართული ტომები – კარდუხ-გორდიენები, ფასიანები, ხალიბ-ქალდები და სხვანი ამ ტერიტორიისმომცველ XVIII და XIX სატრაპიებში ცხოვრობდნენ, ხოლო არმენია სხვა, XIII სატრაპიას ერქვა მათ მეზობლად.

შემდგომში არმენიული ტომები შეჭრილან კარდუხთა, ფასიანთა, ხალიბთა, ასევე სხვა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე და მათგან საუკეთესო ადგილები, სახნავ-სათესად ვარგისი მიწები მიუტაცებიათ, ამიტომაც ქსენოფონტეს ანაბაზისიდან შეიძლება გავიგოთ, რომ მტრობა და ბრძოლები იყო გაჩაღებული არმენიელთა და ამ ქართულ ტომებს შორის. იგივე ქსენოფონტე თავის სხვა ნაშრომში „კიროპედია“ აღწერს, რომ თვით კიროსს გამოუკვლევია, თუ რა იყო ამ გაუთავებელი ომების მიზეზი და მისულა დასკვნამდე, რომ ხალიბებს სახნავ-სათესი მიწები არ ჰქონდათ, ხოლო არმენიელები საუკეთესო მიწებზე ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებით მრავალი ქართული ტომი აღწერა ამ მხარეების ზღვისპირეთში სტრაბონმა, ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობა, რომ სწორედ **ამ მხარეთა ერთი ნაწილი, რომელთაც შემდგომ დასავლეთ არმენია და პერსარმენია ეწოდათ, თავდაპირველად იბერთა მიწა-წყალი იყო** და ეს ტერიტორიები, კერძოდ კი პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა ძვ.II ს-ში არმენიამ მიიტაცა იბერიელთაგან.

მართალია, შემდგომ ამ მიტაცების გამო ამ ტერიტორიებს არმენია ეწოდა, მაგრამ ის კვლავ დიდხანს ყოფილა დასახლებული იბერიელებით ანუ ქართველებით, რომელთა არმენიზაციის პროცესი სხვადასხვა ოლქში სხვადასხვა ხარისხის იყო. მიუხედავად ამისა, X ს-ში მრავალი უცხოური წყაროს, მათ შორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, საზღვარი იბერიასა და არმენიას შორის მაინც მდ. არაქსზე იყო გავლებული.

ქართველები რომ ცხოვრობდნენ არა მხოლოდ არაქსის დასავლეთ ნაწილში (მათ შორის დვინის და ავანის სანახებამდე), არამედ აღმოსავლეთ ნაწილშიც – ვანის ტბის მიმართულებით, მიუთითებს ის, რომ თვით ბიზანტიელთა მიერ ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე ეწოდა **„ეპარქია ლაზიკაში“,** ხოლო ვრცელ მიწა-წყალს თეოდოსიოპოლ-არზრუმიდან ყარსისა და ანისის მიმართულებით – **„იბერიის თემი**“.

მას შემდეგ, რაც სომხეთის სახელმწიფოებრიობა დაემცრო, განსაკუთრებით X ს-იდან არმენიის მკვიდრ ქართველობას საშუალება მიეცა ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება დაუფარავად განეცხადებინა.

არაბთა შემდგომ ეპოქაში ამ მხარეებში ქართველთა რიცხვის მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო არა „სომეხ-ქალკედონიტთა“ გაქართველებით, როგორც ამ ფაქტს ხსნის ოფიციალური ისტორიოგრაფია, არამედ იქაური მოსახლეობის იქამდე დაფარული ქართული ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებით.

„ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მოიცავდა ყოფილი რომაული არმენიის მიწა-წყალს და ასევე ყოფილი პერსარმენიის ნაწილსაც, რომელიც მნიშვნელოვნად ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული. ეს მიწა-წყალი IX-XI სს-ში არაბთაგან გაათავისუფლა იმპერიამ და იქ თავისი საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა – ლაზიკის ეპარქიის სახელით, ხოლო თვით ქვეყანას კი იბერიის თემი ეწოდა, რაც, როგორც აღინიშნა, იქაური მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-ქართული თვითშემეცნების აღორძინების შედეგი იყო.

იქამდე ქართველი ხალხი, მცხოვრები ისტორიულ ხორძენასა და გუგარქში იძულებული იყო, შეგუებოდა სომხურ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას, ისინი საუკუნეთა მანძილზე ერთგულებით ატარებდნენ მათ ქვეყანაში გაბატონებულთა უღელს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტის დადგომის შემდეგ აღიდგინეს ეროვნულ-ქართული ვინაობა. მათი ქვეყანა – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა ხომ, როგორც მრავალჯერ ითქვა, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II საუკუნეში ჩამოაჭრა არმენიამ იბერიას, რის გამოც იბერიის ამ ყოფილ ოლქებში დომინანტ ეთნოსად სომხები გადაიქცნენ, სომხური ენითა და კულტურით, **ქართული ენა ამ მხარეებში, ჩანს, მხოლოდ საშინაო, ოჯახურ ენად გადაიქცა, და ის იყო, როგორც ერთი წყარო წერს დამალული („დამარხული“) და „დაწუნებული“.**

ამ მხარეებიდან გამოსულ ზოგიერთ ქართველ სახელოვან მეომრებსა და ცნობილ ადამიანებს უცხოელები „არმენიელებს“ უწოდებდნენ, მათ ქვეყანას კი არმენიას, თუმცა კი ასეთი „არმენიელები“, სინამდვილეში, იბერები ანუ ქართველები იყვნენ, რაც კარგად გამოჩნდა IX, X, XI საუკუნეებში, როცა მათმა შთამომავლებმა გაბედეს და ეროვნული ვინაობა დაუფარავად გამოაცხადეს.

560 წლის პოლიტიკური რუკის მიხედვით, საზღვარი ბიზანტიის იმპერიასა და სპარსეთს შორის ორად ყოფდა „არმენიად“ სახელდებულ ქვეყა-

ნას. დასავლეთ, ანუ რომაულ არმენიაში, ჭანურ და ლაზურ ოლქებთან ერთად მოექცა მესხური მოსახლეობის ნაწილი და ისინი ბერძნულ საეკლესიო იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. სპარსულ არმენიაშიც მრავალი ქართული ოლქი მოექცა. 591 წლის ხელშეკრულებით, ტაო, ჭოროხის ხეობის ერთი მონაკვეთი (დასავლეთ სანაპიროც), გუგარქი, ბასიანის დიდი ნაწილი და, ე.წ. ზემონი ქვეყანანი სპარსულ არმენიად სახელდებულ მხარეში აღმოჩნდა.

სპარსულ არმენიაში საეკლესიო-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სხვა ვითარება იყო, განსხვავებული დასავლეთ არმენიისაგან. კერძოდ, სპარსულ არმენიაში IV-V საუკუნეებიდანვე იდევნებოდა ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება. ამის გამო პერსარმენიის ქრისტიანული მოსახლეობა სპარსულმა ხელისუფლებამ დაავალდებულა ღვთისმსახურება სომხურ ენაზე ჰქონოდათ, ან ასურული შემოეღოთ. ამის შედეგად სომხურენოვანი ღვთისმსახურება ჩამოყალიბდა და გაძლიერდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს **პერსარმენიის ქართველობამ ერთგვარი იძულებით მიიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება, მაგრამ მაინც ადგილობრივ ქართველებს შენარჩუნებული ჰქონდათ სომხებისაგან ეროვნული განსხვავებულობის შეგნება**. ეს გამოჩნდა განსაკუთრებით გუგარქში, როცა მკვიდრმა ქართველობამ კირიონის მოწოდების შემდეგ გაბედა ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება სომხურთან გაეთანაბრებინა. ყოფილი პერსარმენიის მკვიდრ ქართველობას შენარჩუნებული და ზოგჯერ კი, დევნის გამო, გამძაფრებულიც კი ჰქონდა ეროვნული თვითშემეცნება, რაც გამოჩნდა შესაბამისი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე გუგარქის, ტაო-კლარჯეთისა და მიმდებარე მხარეების მკვიდრი მოსახლეობის ქართული ცნობიერების განსაკუთრებული გამოვლენით.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთ არმენიაშიც იდევნებოდა ქართული ენა ეკლესიური თვალსაზრისით, ამიტომ აქაური ქართველობა განათლებას იღებდა ბერძნულად, ასევე, ზოგჯერ სომხურად. ასეთი წარმომავლობის სომხურენოვანი ქართველები ბერძნულ მონასტრებშიც კი ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის საეკლესიო წარსულისადმი პატივი ეცათ. როგორც ითქვა, ამის ერთი მაგალითია ის, რომ ბერძნული მონასტრის „სომეხ-ქალკედონიტ“ ბერებს წმიდა ნინოს შესახებ ცნობები შეჰქონდათ თვენში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო (ფიდანიანი).

ქართული კულტურისადმი აღნიშნული მოსახლეობის ლტოლვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ **სარწმუნოებრივი ძიებისას არმენიის მკვიდრი ქართველობა მიემხრო ქალკედონიტობას, ანუ თავისი ეროვნული ქვეყნის (საქართველოს) სარწმუნოებრივ მიმართულებას და შეეცადა თავისი დამოკიდებულება საეკლესიო არქიტექტურაშიც კი გამოეხატა – ამის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ქალკედონიტური საეკლესო ცენტრის – ავანისა და რიფსიმეს ეკლესიის არქიტექტურა – გამეორება მცხეთის ჯვრის ტიპისა.**

უცხოური წყაროები მეგრელთა და სვანთა იბერიელობის შესახებ

(„ივერთა ავტოკრატორი“ ანუ ტრაპეზუნტის იმპერატორი და „ივერთა ხელმწიფე“ ანუ სამეგრელოს მთავარი (ლევან II დადიანი)

ცნობილია, ტრაპეზუნტის ვრცელ რეგიონს XI ს. ქართულ წყაროებში ეწოდებოდა „სოფელი მეგრელთა“, ხოლო ბერძნული წყაროები ტრაპეზუნტის იმპერატორს **„ივერთა ავტოკრატორს“** უწოდებდნენ, მოსახლეობის სახელის მიხედვით, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობას ერთდროულად ერქვა მეგრელებიცა და ივერებიც.

1282 წლიდან ტრაპეზუნტის იმპერატორის ტიტული იყო – **„ქრისტე ღმერთის მიერ მეფე და ავტოკრატორი სრულიად აღმოსავლეთისა, ივერებისა და ზღვისიქეთისა, დიდი კომნინი“** (დიდი კომნინები, მართლმადიდებლური ენციკლოპედია, VII, გვ. 444, რუს. ენაზე).

აღსანიშნავია, რომ 1282 წლამდე ტრაპეზუნტის იმპერატორებს სხვა ტიტულატურა ჰქონდათ – ისინი თავიანთ თავს მოიხსენიებდნენ მსგავსად ბიზანტიის იმპერატორებისა, – **„მეფე და ავტოკრატორი რომეებისა“.**

1182 წლიდან მიხეილ VIII პალეოლოგთან კომპრომისის შემდეგ მათ (ტრაპეზუნტის იმპერატორებმა) მიიღეს აღნიშნული ტიტული **„მეფე აღმოსავლეთისა და ავტოკრატორი ივერებისა“.**

В сент. 1282 г. в результате компромисса с Михаилом VIII Палеологом В. К. приняли титул: „Во Христе Боге верный царь и автократор всего Востока, иверов и Заморья (Ператии) Великий Комнин“ (იქვე).

საზოგადოდ ბერძნული სიტყვა ავტოკრატორი შესატყვისია ლათინური სიტყვისა „იმპერატორი“.

„С 629 г. использовался наряду с титулом василевс **(ბასილეუზ)** в офиц. языке Византии, обозначая главного правящего императора в отличие от императора-соправителя. В X в. возрождается **широкое употребление этого титула, окончательно утвердившегося в офиц. титулатуре визант. императоров**“ (მართლმადიდებლური ენციკლოპედია, I, გვ. 202).

ბიზანტიისა და ტრაპეზუნტის იმპერატორებს ოფიციალურად „ავტოკრატორი“ ერქვათ, მაგრამ პირველი რომაელი ხალხის, მეორე კი ივერთა იმპერატორად ანუ ავტოკრატორად იწოდებოდა.

ზოგადად, იმპერატორთა ტიტულატურებში იხსენიებოდა ის ხალხები, რომელთა ქვეყანასაც მართავდნენ.

კონსტანტინოპოლის იმპერატორები თავიანთ თავს „რომაელთა (რომეების) მეფეებად“ მიიჩნევდნენ, ამიტომაც არ სურდათ ასეთივე ტიტულატურა ჰქონოდათ ტრაპეზუნტის იმპერატორებს.

ამიტომაც ტრაპეზუნტის იმპერატორები იძულებულნი გახდნენ, თავიანთ ტიტულატურაში იმ ხალხის სახელი მოეხსენებინათ, რომელთა ქვეყანასაც რეალურად მართავდნენ – ეს ხალხი იყო ივერები ანუ იბერები.

ტრაპეზუნტის ანუ ივერთა იმპერატორები (ავტოკრატორები) მართავდნენ ქალდეასა და მიმდებარე ოლქებს.

მაშასადამე, ჩანს, ტრაპეზუნტის იმპერატორები თავიანთ თავს იმიტომ უწოდებდნენ „ივერების თვითმპყრობელს“, ავტოკრატორს, რომ მიაჩნდათ, მათი იმპერიის მოსახლეობის საზოგადო სახელი იყო – „ივერები“.

ეს ფაქტი იმითაა საინტერესო, რომ მათ იმპერიაში ძირითადად ცხოვრობდნენ ქალდეველები, ჭანები და სხვადასხვა ტომი, მათ შორის მაკრონთა, სანთა და სხვათა შთამომავლები, მათი ზოგადი სახელი – „ივერები“ ყოფილა მათი იმპერატორის ტიტულის მიხედვით. ქართული წყაროები ამ ქვეყანას უწოდებდნენ „სოფელი მეგრელთა“ ანუ ზოგადქართველთათვის ისინი იბერი (ქართველი) ხალხის მეგრული ჯგუფი იყო, იწოდებოდნენ – უცხოელთათვის იბერებად, ხოლო ქართველთათვის მეგრელებად.

ასევე ეს ფაქტი საინტერესოა იმითაც, რომ უცხოელები ტრაპეზუნტის იმპერატორს ხან კოლხთა მეფეს, ხანაც კი „ქალდეველთა მეფეს“, „მეგრელთა მეფეს“ ანდა „ლაზთა მეფეს“ უწოდებდნენ. მაშასადამე, კოლხებიც, ლაზებიცა და ქალდები „ჭანები“ – ყველანი საიმპერატორო სახლის განსაზღვრებით – „ივერები“ იყვნენ. ასეთი მოსაზრება გამონაკლისი რომ არაა და მეგრელთა ხელისუფალთ ოფიციალურად „ივერთა მეფეებს“ უწოდებდნენ ჩანს სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის მაგალითითაც. მას თვლიდნენ „ივერიის მეფედ“ ანდა „ივერიის ხელმწიფედ“ (იხ. რუსეთის მეფის ალექსი მიხაილოვიჩის მიმართვები).

ტრაპეზუნტის „სამეგრელოს“ იმპერატორსა და შემდგომი ეპოქის სამეგრელოს მთავარს – ერთნაირი ტიტულები ჰქონდათ. ორთავეს ერთნაირად უწოდებდნენ – „ივერთა ავტოკრატორი“, „ივერიის მეფე“.

ფაქტების ურთიერთშეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეგრელებს – ივერებს უწოდებდნენ თვით მათი მმართველი ოფიციალური წრეები. ამ მხრივ ნიშნეულია, რომ ნ. მარი, გრ. ყიფშიძე და სხვები – მეგრელებს ივერიელებს უწოდებდნენ, მეგრულს კი ივერიულს.

„მეგრელები“ – ივერიელები არიან ამ თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას სვანების შესახებაც. სტრაბონი წერდა, რომ სვანებს „**ზოგიერთები იბერიელებს უწოდებენ**“, ზოგიერთების ქვეშ ის ძველი მსოფლიოს ისტორიკოსებს გულისხმობდა.

სტრაბონი წერს სვანების იბერიელობის შესახებ:

„იმ ხალხთა შორის, რომელნიც თავს იყრიან დიოსკურიადაში არიან ფტიროფაგებიც, რომლებმაც ეს სახელი მიიღეს უსუფთაობის და ჭუჭყის გამო. მათ ახლოს ცხოვრობენ სოანები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან მათ უსუფთაობით, მაგრამ სჯობნიან ძლიერებით, და შეიძლება ითქვას, რომ ისინი თითქმის ყველაზე კარგი მეომრები და ძლიერები არიან ყველასთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში ისინი ბატონობენ ყველა ხალხზე, რომელთაც კავკასიის მაღლობები უჭირავთ დიოსკურადის გარშემო. მათ ჰყავთ მეფე და საბჭო 300 კაცისაგან, როგორც ამბობენ შეუძლიათ 200 000 კაცისგან შემდ-

გარი ჯარის გამოყვანა, მართლაც მთელი ხალხის მასა ბრძოლისუნარიანია, თუმცა არაორგანიზებული ძალა, მათ ქვეყანაში, როგორც გადმოსცემენ, მთის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები იჭერენ ფაცერით და ბეწვიანი ტყავით. აქედან, ამბობენ, წარმოიშვა მითი ოქროს საწმისზე. **ზოგიერთები მათ აგრეთვე უწოდებენ იბერიელებს** – დასავლეთელების მსგავსად, ოქროს სილის გამო, რომელიც ორივე ქვეყანაშია“ **(სტრაბონი, XI, II, 19)**.

„Некоторые называют их также **иберийцами** – одинаково с западными – от золотых россипей, находяшихся в обеих странах“ **(სტრაბონი, XI, II, 19)**.

მათ ასევე იბერიელებს უწოდებენ – „называют их также **иберийцами**“.

მაშასადამე, ორი ათასი წლის წინაც კი სვანებს იბერიელებს უწოდებდნენ, იმ დროს საერთოდ, ცხადია, ფუძე, საერთო ქართული ენა არ იყო ისე დიფერენცირებული და დაშლილი იმ ხარისხით, როგორც ამჟამად, შესაბამისად, სტრაბონის ეპოქაში სვანური და იბერიული დიალექტები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდა, ამის გამო, ჩანს, სტრაბონის ეპოქის ისტორიკოსების ერთი წყება სვანებს იბერიელებად მიიჩნევდა.

იგივე, ოღონდ უფრო მეტი ხარისხით ითქმის ეგრისელების შესახებ, ამიტომაც ტრაპეზუნტის ლაზიკის მოსახლეობას ანუ ეგრისელებს იბერებს უწოდებდნენ, ამიტომაც უნდა ჰქონოდა ტრაპეზუნტის იმპერატორს „ივერთა ავტოკრატორის“ ანუ ივერთა იმპერატორის ტიტული. ერთი სიტყვით, სვანებიცა და ეგრისელებიც („სოფელი მეგრელთას“ ანუ ტრაპეზუნტის ოლქის მცხოვრებნი) ზოგად იბერებად იწოდებოდნენ, ისინი ქართველებად განიხილებოდნენ ძველი ქართული წყაროების მიერაც, რისი მტკიცებანიც მრავლადაა ჩვენს ნაშრომში.

ტრაპეზუნტის იმპერატორის ტიტულში ნახსენებია ერთადერთი ხალხის – „ივერების“ სახელი, რაც მიუთითებს, რომ ტრაპეზუნტის ოლქის მრავალი სხვადასხვა ტომი, მათ შორის ჭანები და ქალდები – ზოგადად ივერები იყვნენ ბიზანტიის სამეფო სასახლის პოლიტიკოსებისათვის.

ტრაპეზუნტის იმპერიის გაქრობის შემდეგ XVI საუკუნეში „სრულიად აღმოსავლეთისა და ივერიის ხელმწიფეს“ თავის თავს უწოდებდა სამცხის მთავარი მზეჭაბუკი. მართლაც, ის ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის „წიგნის“ ქართულ თარგმანში მოხსენიებულია, როგორც „ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფე“ (მ. ზალდასტანიშვილი, „კიდევ ერთხელ ათაბაგთა განკერძოების შესახებ“, მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2, გვ. 57), ამავე „წიგნში“ მზეჭაბუკი იხსენიება, როგორც „მთელი ზემო იბერიის თვითმპყრობელი“ (იქვე, გვ. 58).

მაშასადამე, „აღმოსავლეთი“ და „ივერია“ ერქვა ტაო-ბასიან-სამცხესა და მის მიმდებარე ვრცელ რეგიონს X-XVI საუკუნეებში.

ცნობილია, რომ დავით კურაპალატის ეპოქით (1001 წ.) თარიღდება პარხლის ეკლესიის წარწერა „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“.

პარხლის ეკლესიის კედლის წარწერაში ნახსენები „აღმოსავლეთის პატრიარქი“ უნდა იყოს არა მცხეთელი მამამთავარი, არამედ სასული-

ერო პირველიერარქი ტაო-ბასიანისა და იმ „აღმოსავლეთისა“, რომელიც გამოვიკვლიეთ. ეს „აღმოსავლეთი“ იხსენიება XI ს. ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც. ესაა, როგორც აღინიშნა, ტაო-ბასიანი და მისი მიმდებარე ქვეყნები ქალდეა-ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, იბერების ის საცხოვრისი „ხორძენა, გოგარენა და პარიადრეს კალთები“, რომელსაც სტრაბონიც იხსენებს. ასევე არაქსისპირა ის მიწები, რომელნიც არა მხოლოდ იბერებით იყო დასახლებული, არამედ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით იბერიის სახელმწიფოს გამგებლობაშიც იყო (კერძოდ, არაქსის მარცხენა სანაპიროს მიწები). ალბათ, აქ შესაძლებელია შენიშვნის სახით ითქვას, რომ თავიანთ თავს მეგრელები ივერებს უწოდებდნენ არა მხოლოდ ლევან II დადიანის ეპოქაში, არამედ XIX საუკუნეშიც, საბჭოთა საისტორიო სკოლის იდეების დამკვიდრებამდე, რომელმაც მეგრელებში ჩანერგა აზრი, რომ ისინი არა იბერები, არამედ კოლხები არიან, მაგალითად, XX ს-ის დასაწყისში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ღირსი მამა ალექსი შუშანია წერდა: უფრო სწორად კი ევედრებოდა ღვთისმშობელს ეხსნა მისი წილხვედრი საქართველო, ივერია – **„ივერთა დედავ, შენია, შენი, შენდა აღრჩეულ ქართველთა ერი, ამათ გარგებდა წილთ-განაჩენი, პიროვან ერი, შენ შესაფერი. მოხედე დედავ ივერიისა, ზამთარი დიდი ადგია ჭირად... შენ მოუვლინე ხსნა და საშველი ... ჩვენი ნათესავ ქალწული ნინა, შენგან ნუგეშად ქართლს მოევლინა... შენი შეწევნის გვაღირსე სმენა, ერსა ახარე უკვდავებანი...“** (მიტროპოლიტი შიო, „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თაყვანისცემისათვის სენაკის სავანეებში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2014, 3-10 მაისი).

მიტროპოლიტ შიოს მოჰყავს სიტყვები ქადაგებისა წმ. ალექსი შუშანიასი, რომელიც მან წარმოთქვა სამეგრელოს სოფელ სენაკის თეკლათის მონასტერში ღვთისმშობლის ხატის წინ – „**ხატი დედისა ღვთისა მოსრული ათონით, მის წილხდომილ ივერიაში**“. ესაა თეკლათის ღვთისმშობლის ხატი. ალექსი შუშანიას ამ სიტყვიდან ჩანს, რომ **ივერიის ნაწილია სამეგრელო, ივერია ერთიანი ქვეყანაა, მისი ერთი ნაწილია სამეგრელო, ივერია იგივე ქართლია, სამეგრელო ქართლის ერთი ნაწილია** – ასე ესმოდათ ეს საკითხი ათეისტური ისტორიოგრაფიის გაბატონებამდე. იქვე ამბობს ხატის წინ წმიდა ალექსი შუშანია – **„ჩვენ საწყალნი ივერიელნი“**.

„საწყალი ივერიელები“ მთელი ქართველი ხალხი იყო, იმ დროს, ავტოკეფალიისა და ქვეყნის თავისუფლების აღდგენამდე.

ბრძოლა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად „ზემო ქვეყნებში“ (X–XVI სს.)

ქართული ტერმინი „ზემო ქვეყნები“ შესაძლოა გამოყენებული იყო იმ მიწა-წყლის აღსანიშნავად, რომელსაც რუსულად ეწოდება „Высокая Армения“, რომელიც მოიცავდა კარნუ-ქალაქ-კარინ, თეოდოსიოპოლს, ტაოს, ბასიანს, ეკელეცს, მანანაღს, სპერს, დერჯანს და სხვა. ისინი იმთავითვე ქართული ტომებით იყო დასახლებული, რასაც მიუთითებს პირდაპირი და უშუალო თვითმხილველის მიერ შედგენილი წყარო ძვ.წ. მე-5 საუკუნეში, ესაა ქსენოფონტეს ანაბაზისი, აგრეთვე, უშუალო წყარო, ჰეროდოტეს მიერ აღწერილი აქემენიდების იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიებში, ანუ ჩვენს საკვლევ მიწა-წყალზე მოსახლე ქართული ტომები, სტრაბონის შესანიშნავი ცნობა, სწორედ ამ მხარეების, კერძოდ კარენიტიდას, ქსერქსენეს, პარიადრეს კალთების, ხორძენასა და გოგარენას თავდაპირველი იბერიულობის, იბერებით დასახლებული ამ ტერიტორიების არმენიის მიერ მიტაცების შესახებ ძვ. წ. II ს-ში, ამ მიტაცების შემდგომ ეწოდა ამ იბერიულ მხარეებს „მაღალი არმენია“, რაც აგრეთვე „ზემოთ მყოფ ქვეყანასაც“ აღნიშნავს, რადგანაც, სინამდვილეში, ყველა მიწა-წყალზე მაღლაა, ამიტომაც მისგან გამოედინება ყველა მდინარე, ჭოროხი, არაქსი თუ ევფრატი. აქ შექმნა ბიზანტიის იმპერიამ სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ „ქართველთა სამეფოს“ ანექსიის შემდეგ. ამ ქვეყნების ანუ „ზემო ქვეყნების“ იბერების მხოლოდ ერთმა ნაწილმა, მე-9 საუკუნის შემდეგ, თანდათანობით აღიდგინა ეროვნული ვინაობა, რადგანაც იქამდე სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში ყოფნისას არმენიზაციის დენაციონალიზაციის ბურუსში იყო ჩაძირული ისევე, როგორც მეზობელი არმენიზებული ალბანელი ხალხი.

ახლა სომეხი ავტორების ნაწილი ისეთ სურათს ხატავს, თითქოსდა, ე.წ. მაღალი არმენია თავდაპირველად, ძვ. წ. პირველი ათასწლეულისათვის შედიოდა ჰაიასას სახელმწიფოში, რომელსაც სომხურ სახელმწიფოდ სახავენ, სინამდვილეში, კი ჩვენი აზრით, ჰაიასა, იგივე ცნობილი „აია“, არის აია-კოლხიდა, იმთავითვე ქართული და არა სომხური სახელმწიფო. ის ინდოევროპული სახელმწიფო ყოფილა, მაგრამ შეიძლება გავიხსენით, რომ ტაციტუსს იბერები ინდოევროპელ ხალხად მიაჩნდა, კერძოდ კი თესალიელთა შთამომავლებად, ხოლო ლეონტი მროველი ასევე ბალკანურ ეთნარქ თარშს უკავშირებდა ქართველთა დიდ წინაპარ თარგამოსს, ანუ ინდოევროპულობის იდეა არ იყო უცხო. ერთი სიტყვით, არ არსებობს პირდაპირი წყარო, რომელიც ამ მიწა-წყლის თავდაპირველ სომხურობას დაადასტურებდა. თუმცა ფაქტია, რომ განსაკუთრებით სასანიდურ ეპოქაში სპარსი შაჰებისათვის სასურველმა სომხურმა ეკლესიამ შეძლო ამ მხარეების იბერიული მოსახლეობის სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში შეყვანა, რისგანაც თავი გაითავისუფლა მე-8 ანდა მე-9 საუკუნიდან.

არაბთა ძლიერება შესუსტდა IX-X საუკუნეებში, რამაც ტაო-ბასიან-კარინისა და მიმდებარე მხარეების მკვიდრ ქართულ მოსახლეობას შედარე-

ბით თავისუფალი ცხოვრების საშუალება მისცა, ამ დროს მათ ქალაქებსა და სოფლებში თვითმმართველობის უფლება მოუპოვებიათ.

ერთი ასეთი ქალაქი, ჩანს, თეოდოსიოპოლის – კარინი იყო.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში, როცა ამ მხარეებში არაბთა ნაცვლად ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს გაბატონება, მკვიდრმა ქართველობამ დიდი წინააღმდეგობა გაწია.

X საუკუნის II ნახევარში საზღვრად ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაიდო მდინარე არაქსი.

კონსტანტინე პორფიროგენეტი აღგვიწერს ზავის შედეგს – „**იყვეს თანახმად იბერიელთა მოთხოვნისა და ფასიანის საზღვრად მდ. ერაქსი ანუ ფასისი (ფაზისი) და მარცხენა მხარე იბერიისკენ მიმართულ ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები, იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, მაშასადამე, ორივე საზღვრად მდინარე იქნება**“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 272).

კონსტანტინე პორფიროგენეტი დაწვრილებით წერს, თუ ბიზანტიელები გამუდმებით როგორ არბევდნენ თეოდოსიოპოლისის შემოგარენის სოფლებსა და ქალაქებს, თვითონ ეს მთავარი ქალაქი გარემოცული ჰყავდათ და სურსათ-სანოვაგე არ შეჰქონდათ, რათა ქალაქის მოსახლეობა დამშეულიყო.

იმპერატორი წერდა: „თეოდოსიოპოლელთა ყველა ეს სოფლები ჩვენი სამეფოს ჯარებმა ტყვევნეს და ცეცხლს მისცეს, იბერებს არ გაუნადგურებიათ იგი, არამედ მუდამ ჰყავდათ მეგობრებად და მათთან ერთად მოქმედებდნენ“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 272).

ეთნიკურ-ეროვნული სოლიდარობის გამო ქართველთა ჯარი ცდილობდა პროდუქტით მოემარაგებინა ბიზანტიელთა მიერ შიმშილით სასიკვდილოდ გამეტებული ეს სოფელ-ქალაქების მოსახლეობა (იქვე, გვ. 265), იმპერატორი ხშირად წერს: ჩვენმა ჯარებმა „**მოარბიეს მთელი ფასიანი... მოარბიეს მისი მიდამოები... ციხეები მოისრა**“ (იქვე, გვ. 262-265).

კიდევ უფრო სასტიკი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი და შემდეგ კეისარი კონსტანტინე, ხოლო შემდეგ კი რომანოზი.

ამ მხარეების ქართველთა მხარდაჭერით საქართველოს მეფე გიორგი I შეებრძოლა ბასილი კეისარს და თავდაპირველად გაიმარჯვა კიდეც.

„**კუალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს და ითხოვდა ქვეყანათა და ციხეთა**“ (ქ. ც., ტ. I, 282).

ქართულმა ჯარმა, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, გაათავისუფლა ვრცელი მიწა-წყალი ბასიანიდან ვანის ტბამდე, ქართველთა გამარჯვებით გულმოკლულმა იმპერატორმა, მემატიანის სიტყვით, ჯვრის თაყვანისცემაზეც კი უარის თქმა გადაწყვიტა, თუ ქართველებს არ დაამარცხებდა.

მან უბრძანა „**მოყვანებად ძელისა ცხოვრებისა და მანდილი წმიდა დადვა ქვეყანისა ზედა და თქუა: „უკუეთუ მიმცე ხელთა მტრისითა, არღარა ვიყო თაყვანისმცემელ შენდამი უკუნისამდე**“ (ქ.ც. I, გვ. 287).

მეორე ომში გამარჯვების შემდეგ ბასილი II-მ – **„კუალად უბოროტესად შურისგებით მოაოხრა ქვეყანანი იგი“,** ანუ იბერია**.**

XI საუკუნეში საქართველომ ეს მხარეები დაკარგა, აქ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაც დაემცრო და აღნიშნული მხარე ეკლესიურად დაექვემდებარა კონსტანტინოპოლს, რომელმაც აქ **„ლაზიკის სამიტროპოლიტო“ დააარსა, ცენტრით ტრაპიზუნტში.**

„ზემო ქვეყნების“ მოსახლეობა საქართველოს გამოეთიშა, სახელმწიფოებრივად ბიზანტიაში შეიყვანეს, მაგრამ, ჩანს, თვით ხალხს თავისი ეროვნული ვინაობა კარგად შეუნახავს, რაც გამოჩნდა თურქ-სელჯუკთა შემოსევების შემდეგ. ამ დროს დამარცხებულმა ბიზანტიამ ეს ქვეყანა დატოვა, მაგრამ მკვიდრმა, მუსლიმანებთან მებრძოლმა მოსახლეობამ, შეძლო კვლავ აღედგინა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობა და ის შევიდა სამცხე-საათაბაგოს სამთავროში, კერძოდ, საქართველოში კვლავ შევიდა ბასიანის, ტაოს, ისპირის, არტაანის, შავშეთისა და სხვა ოლქები. ამის გამო ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას კვლავ ახორციელებდა ვალაშკერტის, ანისისა, ყარსისა და სხვა ადგილობრივი მოსახლეობის საეპისკოპოსოებზე, რომელნიც, ცხადია, ქართულენოვანნი იყო. თვით თურქულ დოკუმენტებში ამ ოლქებისმომცველ ქვეყანას „საქართველო“ ეწოდება.

მაგალითად, 1515 წლის დოკუმენტით, როცა ოსმალეთის დიდ ვეზირს სინან ფაშას ადგილობრივი, ე.ი. აღნიშნული ქვეყნების დალაშქვრა დაევალა, ამ ქვეყნებს (ე.ი. ბასიანს, ტაოს ჩათვლით) გურჯისტანი ეწოდებოდა („თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის“, 1983, გვ. 9).

იმავე 1515 წლის ოსმალური დოკუმენტი სამცხე-საათაბაგოს მთავრის შესახებ აღნიშნავს – **„სერაქირი მანუჩარი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი ფადიშაჰი“** (იქვე, გვ. 11). ამ „საქართველოში“ (ანუ სამცხე-ტაო-ბასიანში) მრავალი ციხე და სოფელი იყო, რომელთა რიცხვი ათასს აღწევდა (იქვე, გვ. 32). მათი დიდი ნაწილი **„აზონის შვილებად ცნობილი აზნაურებისაა“** – წერს თურქული დოკუმენტი (იქვე, გვ. 34). ტაო-ბასიანისა და მიმდებარე **ქართული მხარეების აზნაურებს „აზონის შვილები“** ერქვათ, რადგანაც **იყვნენ შთამომავლები ფარნავაზ მეფის წინა აზონ მეფის დიდებულებისა. მათ ეს ხსოვნა XVI ს-მდე ჰქონიათ შენარჩუნებული**.

ეს მხარეები დამპყრობელთა ცვალებადობის მიუხედავად ქართული ქვეყნები იყო, რომელთა ეროვნულ თვითშემეცნებას ჯერ კიდევ აზონ-ფარნავაზის დროს ჩაეყარა საფუძველი, ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში.

როგორც ადრე არმენიელებმა და ბიზანტიელებმა, ოსმალებმაც დაიპყრეს თორთუმი, ფანასკერტი, არზრუმი, არტაანი და სხვა მხარეები, ბანასა და ხახულის ეკლესიების ოლქები, ქართველთა დენაციონალიზაცია კვლავ გაგრძელდა. ოსმალური წყაროს ცნობით, ამ პროცესს აადვილებდა ის, რომ როგორც ოსმალური წყარო წერდა – ქართველები **„ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვაში არიან გამუდმებით“** (იქვე, გვ. 48).

„არმენიის“ ქართველთა სარწმუნოება და წმიდა ნინო

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, როგორც აღინიშნა, XI ს-ში მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ამიტომაც ცხადია, მის საეპისკოპოსოებში წირვა-ლოცვის ენა იყო ბერძნული. ეპარქიის მოსახლეობა ე.წ. „ბერძნულ ქრისტიანობას“ ეზიარა. ნიკო ბერძნიშვილი წერდა – **„ბერძნებთან დაპირისპირება დიდი ეროვნული საქმე იყო... ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნიშანია ქართული ქრისტიანობა, რომელიც სომხურს (აღმოსავლურს) გამოეთიშა და დასავლურს (ბერძნულს) არ შეუერთდა**“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბ., 1990, გვ. 252).

ნ. ბერძენიშვილი წერს საქართველოს საეკლესიო ენის შესახებაც: **„უეჭველია ენისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიცემა დიდი კულტურული ბრძოლისა და ძლიერი კულტურის მაჩვენებელია. ეს ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლიდან ჩანს, როცა კულტურულად დაწინაურებულმა იბერიამ ქართული ქრისტიანობა მოიწყო (ბიზანტიამ ამის საშუალება არ მისცა ლაზიკას...), მან შემდგომაც დაიცვა ის და კიდევ მეტი: შეეტოქა ბერძნულ ქრისტიანობას (ლაზიკაში) და არა მარტო ბერძნულს, არამედ სომხურს (სომხეთში, ტაოში, სპერში, შირაკში), ალბანურს (ჰერეთში)**“ (იქვე, გვ. 415).

„ქართული ქრისტიანობის“ ერთ-ერთი უმთავრესი საძირკველი იყო საეკლესიო ქართული ენა – გასაგები ყველა ქართული ტომისათვის, რადგანაც ამ ენის გამოყენების საწყის ეპოქაში ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული ყოფილა ფუძე-ქართული ენა. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე – ანუ I-II სს-ში თ. გამყრელიძე-გ. მაჭავარიანის ცნობით, ჯერ კიდევ არსებობდა ე.წ. „ზანურ-ქართული“ ენობრივი მთლიანობა, რაც, როგორც ჩანს, საფუძვლად იქცა საეკლესიო, ანუ ძველი ქართული ენისა.

კ. კეკელიძე წერს – „ქართული საეკლესიო მწერლობა დაწყებულა ბიბლიური წიგნების გადმოცემით... მთარგმნელები იძულებულნი ხდებოდნენ შეეგუებინათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო და გამოეყენებინათ **მარაგი წარმართული საკრალური ენისა. ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გადმოიცემიან ამ თარგმანში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, ისეთი ფორმებითა და სახეებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროებიდან მოდიან და რომელნიც პირველყოფილ ქართულ ქრისტიანობას სინკრეტულ ხასიათს აძლევენ“** (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 1956, გვ. 186).

XI ს-ში სამხრეთ ტაოს ყოფილი სამეფოს მოსახლეობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მოექცა, იქამდე ის ქართულ საეკლესიო იურისდიქცი-

აში იმყოფებოდა. ამიტომაც ცდილობდა ბერძნულ ეკლესიაშიც შეენარჩუნებინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. ეპისკოპოს ზაქარია ვალაშკერტელისა და ათონელი მამების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მათ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს.

ვახტანგ გორგასლის ანძიანძორში და კარნუ-ქალაქში ლაშქრობის მიუხედავად, იბერიამ ვერ შეძლო ხორძენესა და პარიადრის, იბერების ისტორიული ტერიტორიების, უკან დაბრუნება, რადგანაც ორი იმპერია – სპარსეთი და ბიზანტია ერთმანეთს ეცილებოდა უკვე არმენიად სახელდებულ ამ მიწა-წყალს. საბოლოოდ მათ არმენია ერთმანეთს შორის გაიყვეს.

ბიზანტიურ ანუ დასავლეთ არმენიაში მოექცა პარიადრე ხორძენეს ერთ ნაწილთან ერთად, მეორე ნაწილი კი ხორძენა-გოგარენისა პერსარმენიაში დარჩა.

დაპყრობილ არმენიის ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით ბიზანტია ცდილობდა სომეხი ხალხის გულის მოგებას და მის იმ პრეტენზიებს აკმაყოფილებდა, რომელიც ხელს არ უშლიდა იმპერიის უშიშროებას.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ არმენიაში მცხოვრები ქართველები იძულებულნი იყვნენ ჩართულიყვნენ შიდასაქვეყნო საქმიანობაში და თანდათანობით უფრო ღრმავდებოდა მათი არმენიზაციის პროცესი, მაგრამ დასავლეთ არმენიაში მცხოვრებ ქართველებს ეროვნული ცნობიერება მთლიანად რომ არ დაუკარგავთ, კარგად ჩანს იმ სასოების გამოხატვით, რომელიც მათ ჰქონდათ წმიდა ნინოსა და მისი ჯვრის მიმართ.

წმიდა ნინო ერთგვარად მათი ეროვნულობის საყრდენი ღუზა იყო, რომელიც გულებში ღრმად ჩამარხულ ეროვნულ ვინაობას ანარჩუნებინებდა.

სომხეთის ქართველთა განსაკუთრებული სიყვარული საქართველოს მიმართ გამოიხატებოდა წმიდა ნინოს ჯვრის პატივისცემით.

მათ ისიც კი **შეძლეს, რომ წმიდა ნინოს ჯვარი მოეპოვებინათ. ის სასოებით გადაასვენეს ე.წ. არმენიის მხარეებში (სინამდვილეში კი ქართველთა ისტორიულ სამშობლოში, ვანანდის მხარეში, ყარსში და მახლობელ მხარეებში).**

არმენიის ამ ნაწილში წმიდა ნინოს ჯვარი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინახებოდა – ის კი თავისი მადლით თითქოს იყო შუქურა არმენიის ქართველთა ეროვნულობის გამოსაბრწყინებლად არმენიზაციის ბურუსიდან.

წმიდა ნინოს ჯვარი VI ს-ში სამხრეთ საქართველოდან ანუ გუგარქიდან ტარონში წაუსვენებიათ და წმ. ლაზარეს ტაძარში დაუსვენებიათ, იქიდან კი სპერში, საიდანაც ის ქართული წარმოშობის (ჭან) სომხეთის ერისთავს გრიგოლ მამიკონიანს კაპუეტის ანუ ლურჯ ციხეში გადაუსვენებია, რითაც მან გამოხატა სიყვარული თავისი მამულების (სპერისა და ტაოს) განმანათლებლის მიმართ. მართლაც, მოვსეს ხორენაცი წმიდა ნინოს კლარჯეთის მქადაგებელს უწოდებს „**იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე**“ – წერდა ის. ვახუშტის ცნობით ტაო-სპერი კლარჯეთის ნაწილს წარმოადგენდა.

ისტორიული კლარჯეთი კი, ვახუშტის ცნობით, მოიცავდა სხვა მხარეებთან ერთად სპერ-ტაო-თორთომსაც, რომელთაც იმჟამად მამიკონიანთა ოჯახი მართავდა. მათ, ჩანს, კარგად იცოდნენ თავიანთი ქართული წარმოშობა (რასაც მიუთითებს ადონცი) და ამიტომაც უვლიდნენ და მტკიცე შემართებით იცავდნენ წმიდა ნინოს ჯვარს.

წმიდა ნინოს შესახებ ბერძნულ-ქალკედონურ მონასტრებში შეკედლებული ის კულტურულად არმენიზებული ქართველი ბერებიც კი წერდნენ, რომელთაც წერა-კითხვა იცოდნენ სომხურად და შესწავლილი არ ჰქონდათ ქართული მწიგნობრობა. მათ მოვსეს ხორენაცისეული ცნობა წმიდა ნინოს შესახებ შეჰქონდათ ეკლესიის საკითხავ თვენში. ისინი ქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას მიკედლებული ეთნიკური ანუ არმენიზებული ქართველები იყვნენ, თუმცა კი ამჟამად სომეხი ისტორიკოსები „სომეხ-ქალკედონიტებს“ უწოდებენ.

როგორც აღინიშნა, ცნობილი სომეხი მკვლევარი „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ ერთ-ერთ სტატიაში წერს: На одном из (ე.ი. XI ს. თვენის) его листов записана „история Нуне», что свидетельствует об участии Арм-Халк. В Арм. Литератури. (ПЭ. III, ц. 32).

სინამდვილეში კი ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ როგორ გაფაციცებით ჰკრეფდნენ გასომხების პირას მისული დასავლეთ არმენიის ქართველები (თუმცა კი წევრები სომხურ-ქალკედონური ეკლესიისა) ცნობებს წმიდა ნინოსა და ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ და ისინი სომხურ-ქალკედონურ საეკლესიო წიგნებშიც შეჰქონდათ, რადგანაც არავითარი საშუალება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში, ამასთანავე იმ მხარეებში იმჟამად ქართული ეკლესია-მონასტრები არც არსებობდნენ.

IX-X სს-ში, სომხური ეკლესიისაგან თავის დახსნის ეპოქაში, „ზემო ქვეყნებიდან“ და ტაო-კლარჯეთიდან გამოსული წმიდა მამები ძალზე ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდნენ წმიდა ნინოს ღვაწლს და მის მიმართ თავიანთ მადლიერებას.

XX ს-ში ქართულ მეცნიერებაში ის აზრიც კი წარმოიშვა, რომ თითქოსდა, „**ნინოს კულტი ქართველთა შორის ჩამოყალიბდა IX-X სს-დან**“ (ასეთი იყო იმჟამინდელი ტერმინოლოგია). სინამდვილეში არა მთელ ქართულ ეკლესიაში, არამედ მხოლოდ იმ ქართულ მხარეებში, რომელნიც IX-X სს-მდე არმენიაში იყვნენ მოქცეულნი, დაიწყეს მითითება წმიდა ნინოს ღვაწლის შესახებ. ამით ქართველები, ანუ ყოფილ არმენიაში მცხოვრები ქართველები, თავიანთ თავს ეთნიკურად მიჯნავდნენ იქვე, მათ გვერდით მცხოვრებ სომეხ ქალკედონიტებისაგან.

რაც შეეხება სომეხ ქალკედონიტებს, მათ თავიანთი თავი მიაჩნდათ არა წმიდა ნინოს, არამედ თავიანთი ეთნიკური საეკლესიო წინაპრების მემკვიდრეებად. ამის შესახებ სრულიად სამართლიანად მიუთითებს ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რომელიც წერს – „Армяне – халкидониты, считали себя

наследниками Саака Партева, Месропа Маштоца и Нерсеса Великого. Арм. Язык был богослужебным языком Арм. халк.-ов даже в тех случаях, когда они подвизались в Греч. монастырях (Православная Энциклопедия, Т.3, 2001, стр. 328).

არუთინოვა-ფიდანიანი სამართლიანად წერს, რომ სომეხი ქალკედონიტები თავიანთ თავს გრიგოლ განმანათლებლის და საჰაკ პართელის, მაშტოცის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ და არა წმიდა ნინოსი, რომ მათი საღვთისმსახურო ენა მუდამ იყო სომხური.

მათგან გამოცალკევების, ე.ი. **სომეხ-ქალკედონიტებისაგან გამიჯვნის მიზნით ქართველი ქალკედონიტები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს მემკვიდრეებად და არა აღნიშნული გრიგოლ სომეხთა განმანათლებლისა, საჰაკ პართელისა თუ სხვა სომხური ეკლესიის დამაარსებლებისა.**

ამიტომაც წმიდა ნინოს ხსენება ერთგვარი ნიშანი იყო ეთნიკურობის გამოვლენისა.

წმ. ნინო ლაზიკაში (IV ს.) (სოტიროპოლი, ლაზია, ალანია)

ლაზეთის მიტროპოლიტმა გერმანემ მოსკოვში XVII ს-ში რუსეთის ხელმწიფეს წერილობით მოახსენა, რომ მისი საკათედრო ტაძარი ქალაქ ოფში (ხოფში) აგებულია ივერთა მიწების განმანათლებლის მიერ – „строила святая Ирина, ею же Иверская земля приводена во святое крещение“ (პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 262). ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ძველი ეპოქის საეკლესიო იერარქთა მიერ ლაზეთი **ივერიის** ერთ-ერთ ნაწილად მიიჩნეოდა და ლაზეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ სამხრეთ-დასავლეთს.

პ. ინგოროყვას მიერ მოსკოვის მთავარი არქივიდან ამოღებული ამ მასალიდან ჩანს, რომ ხოფას ეკლესია აუგია ივერიელთა მიწების გამაქრისტიანებელ ქალს ირინას, ცხადია, იგულისხმება წმ. ნინო. პ. ინგოროყვაც წერს, რომ წმიდა ნინო ამ დოკუმენტში ირინად იწოდება.

ამ დოკუმენტის შედგენამდე დიდი ხნით ადრე იგივეს, რომ ამ მხარეების, ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამაქრისტიანებელი იყო წმ. ნინო, მიუთითებდა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მ. ხორენაცი:

ის წერდა – „**წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე**“, მაშასადამე, კლარჯეთში V ს. ამ ავტორის ცნობით, წმიდა ნინოს უქადაგია.

ხოფა კლარჯეთის ნაწილი იყო, რადგანაც წყაროებში იხსენიება – „**ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი**“, ხოფა – კლარჯეთის ბოლო ანუ ზღვისპირა ნაწილის დასაწყისში მდებარეობდა.

ეს მიწა-წყალი იგივე ლაზეთია, ლაზიკაა. ამიტომაც ჰქონდა ხოფას ეპარქიის ხელმძღვანელს ტიტული „ლაზეთის მიტროპოლიტისა“, მასში შედიოდა მიწა-წყალი ოფ-რიზედან ვიდრე მდ. ჭოროხამდე.

პ. ინგოროყვას რუკის მიხედვით, აღნიშნული ხოფი ანუ ოფი (იგივე სოტიროპოლი – სოტრაპელა) მდებარეობდა ტრაპეზუნტიდან აღმოსავლეთ ზღვისპირზე, მისგან დაახლოებით 25 კმ დაშორებით, რომელსაც მოსდევდა ქ. რიზე.

ოფსა და რიზეს შუა პუნქტი „ახალი ბანაკები“ („კენე პარამბოლე“) ყოფილა.

რიზედან ათენამდე პუნქტი კორდვილი, ხოლო ათენადან ბიწემდე ტამბური (ზღვის პირი ჰამამაშენი).

ბიწეს მოსდევდა არქაბი, ხუფათი, აფსაროსი და გონია (იხ. პ. ინგოროყვას რუკა, გვ. 272).

ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ ქ. ოფი (და რიზე) IV ს-ში შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, რომლის განმანათლებელი იყო წმ. ნინო და რომელსაც აუგია ოფის ტაძარი, რადგანაც IV ს-ში ზღვისპირეთის ეს ტერიტორია იბერიის ანუ ქართლის სამეფოში შედიოდა (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ბერძნულ-რომაული წყაროებითაც ამ ადგილებში მცხოვრები ძიდრიტების ტომი I ს-ში იბერიის მეფე ფარსმანს ემორჩილებოდა).

იბერიის სამეფოს V ს-ში, ე.წ. ბიზანტია-ლაზიკის ომის დროს დაუკარგავს ზღვისპირეთის ტერიტორიის ნაწილი ოფიდან-ხუფათამდე.

კლარჯეთის ერისთავი გუბაზ I, რომელსაც ბიზანტიელები „ლაზთა მეფეს“ უწოდებენ, იძულებული გამხდარა დაედო ბიზანტიასთან ზავი, რომლის შემდეგაც საზღვარმა ოფიდან ხუფათში გადმოიწია.

წმიდა ნინოს ლაზიკაში მოღვაწეობის შესახებ წერს გელასი კესარიელი, V ს-ის ავტორი. ის წერს **„ტყვე ქალმა იქადაგა იბერთა და ლაზთა შორის“**, ხოლო მოვსეს ხორენაცი ასევე V ს-ში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთში (კლარჯეთიდან მასქუთებამდე), კლარჯეთი კი ბერძნული წყაროების ლაზიკა ანუ სამხრეთ ეგრისია.

სოტიროპოლის კათედრის სახელი უკავშირდება ასევე ალანიის სამიტროპოლიტოს.

იმის გამო, რომ გაქრისტიანებულ ალანებს ესაჭიროებოდათ თავიანთი ეპისკოპოსი, მაგრამ მათ (ალანებს) არ გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ნომადური (მომთაბარული) ცხოვრების გამო, კონსტანტინოპოლს გადაუწყვეტია კავკასიის ზღვისპირა რომელიმე თავის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქალაქში დაესვა ალანებისათვის საჭირო ეპისკოპოსი. ეს ყოფილა **„ქ. სოტიროპოლისი** პ. ინგოროყვას კვლევით (დასახ. ნაშრ. გვ. 259).

მართლაც, სოტიროპოლისის ჩრდილოეთით მთელი შავი ზღვისპირეთი ვიდრე ნიკოფსიამდე საქართველოს საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო ნიკოფსიას იქით შავი ზღვისპირეთში არ იყო მშვიდობიანი ცხოვრება. ამიტომაც კონსტანტინოპოლი იძულებული იყო ალანებისაგან ძალზე მოშორებით დაეარსებინა ალანიის კათედრა.

კონსტანტინოპოლური დოკუმენტი იუწყება – **„ალანიის მიტროპოლიას სრულიად არ აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა, რადგან აქა-**

ური ხალხი მომთაბარეობას, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“ (დასახ. ნაშრ. გვ. 259).

აი, ეს ყოფილა მიზეზი, რომ ალანიის მიტროპოლია XII საუკუნეში გაუერთიანებიათ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქთან, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

აქ, სოტიროპოლის ზონაში იყო ამ ეპოქაში „საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის“ (იქვე, გვ. 260).

XIII ს-ში საქართველოს (მესხეთის სამთავროს) შეუერთებია ტრაპიზონის აქეთი ქვეყნები, მათ შორის, სოტიროპოლისი.

ამის გამო კონსტანტინოპოლს **სოტიროპოლის კათედრა გადაუტანია ტრაპიზონში.**

ალანიის სამიტროპოლიტო XIII-XVI სს-ში, ოსმალების გაბატონებამდე, შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ქ. სოტიროპოლის მხარე დაუკავშირდა საქართველოს სამეფოს მესხეთის სამთავროს მე-13 საუკუნიდან, ეკლესიურადაც ის შევიდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში და შეადგინა ქართული საეკლესიო ოლქი – ოფის ანუ ლაზიის მიტროპოლიტის მეთაურობით, რომლის კათედრა XVI ს-ში გურიაში – სატრაპელაში მდებარეობდა. მას ალანიის მიტროპოლიტის ტიტულიც ჰქონდა. მაგალითად, აფხაზთა კათალიკოსის მიერ 1646 წ. ნაკურთხ ლაზიის მიტროპოლიტს გერმანეს (გვ. 263).

ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტიდან გამომდინარე, **ალანიისა და ლაზიის სამიტროპოლიტოების სულიერი მემკვიდრეობა ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას** და არა რუსეთის ეკლესიას, რადგანაც სწორედ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში შემოვიდა ალანიისა და ლაზიის სამიტროპოლიტოები კონსტანტინოპოლისა და ტრაპეზუნტის იმპერიების დაცემის შემდეგ.

ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგანაც „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ მიიჩნევს, რომ ალანიის ეპარქიის მემკვიდრე არის რუსეთის ეკლესია, რადგანაც ალანიის ეპარქიის იურისდიქციის ქვეშ მდებარე მიწები ამჟამად რუსეთშია.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ფაქტებით არ მტკიცდება ამჟამად ოფიციალურად მიღებული დებულება, რომ დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიის ხელქვეშ იყო და აქ ბერძნული წირვა-ლოცვა იყო გავრცელებული.

ნუმიზმატიკური და არქეოგრაფიული მასალა სხვას მიუთითებს – დასავლეთ საქართველო იყო ქართლის სამეფოს საფინანსო და ეკლესიური ნაწილი.

შეუძლებელია, ამ მხრივ კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ სომხური წყაროს ცნობა, რომ კირიონი „**ძველი წესის შესაბამისად ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო**“.

По сведениям арм. историка католикоса Ованнеса Драсханакертци, в к. VI в. К., „согласно прежним законам», был возведен в сан католикоса „иверов, гугаров и эгров [лазов в визант. источках. – Авт.]“ (*Ованнес Драсханакертци* „История

Армении», Ереван, 1984. Перевод с древнеармянского М.О. Дарбинян-Меликян. Глава XVI, ст. 55).

X საუკუნეში სომეხთა კათალიკოსმა იოანემ სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების უდიდესი დაძაბვის დროს, მკითხველს მიაწოდა ცნობა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში ეგრისის შემავლობის შესახებ, „მცხეთის კათალიკოსი კირიონი ეგრსის არქიეპისკოპოსიც იყო წინანდელი წესის თანახმადო“.

კირიონის „წინანდელი დროის წესების“ ქვეშ, ალბათ, VI საუკუნეში არსებული ვითარება იგულისხმება.

კიდევ უფრო ადრე, V ს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (კლარჯეთში) ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ წერდა მოვსეს ხორენაცი.

როგორც ითქვა, ხორენაცი წერს – „**წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთედამდე თავისი ადვილად გასაგები ენით**“.

მაშასადამე, წმიდა ნინოს კლარჯეთშიც უქადაგნია, დასტურდება თუ არა ეს ცნობა სხვა რომელიმე ცნობით?

ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე ადასტურებდა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ლაზეთში.

როგორც აღინიშნა, ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე 1651 წელს რუსეთის მეფისადმი წარდგენილ ანგარიშში წერს, რომ ლაზეთის მიტროპოლიტის სამყოფელი ქ. ოფის ტაძარი წმიდა ნინოს დაუარსებია და მის ეპოქაში საზღვრად საქართველოსა და ბიზანტიას შორის მიიჩნეოდა ოფი, რიზესთან ახლოს. ამ ოფსაც – ხოფი ერქვა. აქ ყოფილა აღმართული ქვის სასაზღვრო დიდი სვეტი. ამ ადგილებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაუარსებია წმიდა ნინოს ოფის ანუ ხოფის კათედრა. ამიტომაც შემდგომში, ხელსაყრელი მომენტის დადგომისას აღდგა თავდაპირველი მდგომარეობა და აქაური ლაზეთის მიტროპოლიტი დაბრუნდა ქართული ეკლესიის იერარქიაში.

როგორც აღინიშნა, გელასი წერდა – წმიდა ნინოს მიერ „**ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა**“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227).

IV საუკუნეში, წმიდა ნინოს დროს, რიზე-ხუფათის რეგიონს ლაზიკა რომ ერქვა, როგორც ითქვა, მიუთითებს ლაზეთის მიტროპოლიტ გერმანეს 1651 წელს რუსეთის მეფისადმი წარდგენილი ანგარიში, რომ ლაზეთის მიტროპოლიტის სამყოფელი ქ. ოფის ტაძარი წმიდა ნინოს დაუარსებია.

ლაზეთს ჩვენც იმ ქვეყანას ვუწოდებთ, რომელსაც ქართულ წყაროებში ეწოდება „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“. სწორედ აქ დაუარსებია წმიდა ნინოს ოფის კათედრა – ლაზეთის მიტროპოლიტის ცნობით, ხოლო ხორენაცის ცნობით წმ. ნინომ კლარჯეთშიც იქადაგა, ამიტომაც, ჩანს, წმიდა ნინოს მოსვლის პერიოდში ხსენებული მხარე კლარჯეთის ერისთავს ექვემდებარებოდა.

წმიდა ნინოს ლაზიკაში მოღვაწეობის შესახებ არსებული ბერძნული წყაროები რატომღაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიუღებელია. გელასი კესარიელის ცნობით ხომ ტყვე ქალის მიერ მიიღეს ქრისტიანობა იბერებმა და

ლაზებმა, რაც მიტროპოლიტ გერმანეს მიერ ნახსენებ მხარეს გულისხმობს, სადაცაა ოფის (ხოფას) კათედრა.

ლაზეთი, ბერძენი ავტორის თქმით, მდებარეობდა „პონტოს გასწვრივ“.

პონტოს საზღვართან მდებარე მიწა-წყალი, რომელიც იწოდებოდა ლაზიკად (ოფის რეგიონი), იგივეა, რაც ქართული წყაროს „კლარჯეთის ზღვის პირი“, მაშასადამე, ხორენაცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთშიც ადასტურებს ასევე V საუკუნისვე ბერძნული წყაროები და ლაზთა მიტროპოლიტი XVII საუკუნისა. ამ ცნობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ კლარჯეთი იგივე ლაზიკაა.

აღსანიშნავია, რომ ხორენაცის გარდა წმიდა ნინოს კლარჯეთში მოღვაწეობის შესახებ ცნობა ჰქონია აგათანგელოზსაც, ამის შესახებ თვით ხორენაცი წერს.

რატომ არ აისახა ქართულ წყაროებში ცნობა წმიდა ნინოს ლაზეთში მოღვაწეობის შესახებ?

უნდა ითქვას ისიც, ქართლის სამეფოს დაშლის შემდეგ, რაც მის ტერიტორიებზე სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ერთეული ჩამოყალიბდა (თბილისის საამირო, ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, აფხაზთა და ქართველთა, კახთა და ჰერთა სამეფოები), ჩანს, მოხდა ახალი რედაქტირება წმიდა ნინოს ცხოვრებისა (ალბათ, VIII-X საუკუნეებში) ეპოქის სულისკვეთების გათვალისწინებით.

ახალ, არაბთა ეპოქაში ნარედაქტირევ, ანუ ჩვენამდე მოღწეული წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით, ის არ ქადაგებდა არც ლაზეთ-კლარჯეთში, არც კასპიისპირა ვრცელ მხარეში „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ (როგორც წერდა მ. ხორენაცი), ის ახლა უკვე იმ პატარა ქართლის განმანათლებელია, რომელიც არაბთა ბატონობის შედეგად წარმოიქმნა „ყოველი ქართლის“ დამცრობის შემდეგ, ამ პატარა ქართლის საზღვრებიც დამცრობილია, ის **ჯავახეთიდან ბოდბემდე** თუღა აღწევს.

ახალი რედაქტირების ნაკვალევი ჩანს სხვა მხრივაც. მაგალითად, ახალ რედაქტორებს უკვე აღარ სჯერათ წმიდა ნინოს ქართულენოვნება.

თუკი წმიდა ნინოს ეპოქის **მოვსეს ხორენაცისათვის წმიდა ნინო ქართველი ხალხისათვის ადვილად გასაგებ ენაზე, ე.ი. ქართულ ენაზე, ქადაგებდა**, ახალი IX-X-XI საუკუნეთა რედაქტორებისათვის წმიდა ნინოს უკვე თარჯიმანი – ბერძნული ენის მცოდნე ესაჭიროება ქართველებთან ურთიერთობისათვის, კერძოდ „**სეფექალმა შროშანამ იხილა იგი (ნინო) ხესა მას ქვეშე, განკვირდა და მოიყვანა ბერძნულად მეტყველი დედაკაცი და ჰკითხა გზა მისი“** (ქართული მწერლობა, 1987, გვ. 78).

თუკი **ხორენაცს V საუკუნეში არ ეეჭვებოდა წმიდა ნინოს ეპოქაში ქართული ენის არეალის განფენა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირას მდებარე მასქუთებამდე,** ახლა, არაბობის შემდეგ, ქართული ენის არეალი შემცირებული ჩანს. **გელასი კესარიელსაც არ ეეჭვებოდა წმიდა ნინოს ქადაგება იბერთა და ლაზთა შორის, რადგანაც აქაც ერთიანი ენობრივი არეალი უნდა ყოფილიყო.**

საფიქრებელია, რომ **ერთიანი ქართლის სახელმწიფოს რღვევამ** (რაც განსაკუთრებით გაგრძელდა არაბობის დროს) **გამოიწვია ასევე იქამდე ერთიანი საერთო – ფუძე ქართული ენის დიფერენციაციაც**. ალბათ, წარმოიქმნა კიდეც ახალ სახელმწიფო ერთეულებში იქამდე ერთიანი ენის კილოები თუ დიალექტები.

უნდა აღინიშნოს ჩვენი წყაროების მითითება, რომ იქამდე საერთო ქართულ ენას თითქმის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ჰქონდა. შემთხვევითი არაა მემატიანის ნათქვამი, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მპყრობელ ფარნავაზის ეპოქაში „**არღარა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა**“, ანუ კლარჯეთ (ლაზეთ), დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ენა – საერთო-სახალხო ქართული ენა ფუნქციონირებდა.

ქართული წყაროებისავე ცნობით ფარნავაზის შემდეგ ქართლის სამეფოში ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან თითქმის ყოველთვის შედიოდა კლარჯეთი და ასევე, დასავლეთ საქართველო ვიდრე VI ს-ის ბოლომდე, ამიტომ **ქართულ ენას განვლილი ჰქონია საერთო სახელმწიფოებრივ-კულტურული ცხოვრების თითქმის ათასი წელი. ამიტომაც არაბობის ეპოქაში მისი (საერთო სახალხო ქართული ენის) დაშლა-დიფერენციაციამ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა და ის კვლავ საერთო-საეკლესიო-კულტურის ენად დარჩა ახალ სახელმწიფოებრივ ერთეულებში – აფხაზთა სამეფოში, კახეთის საქორეპისკოპოსოში, ჰერთა სამეფოში, ტაო-კლარჯეთში – თუმცა უკვე დაბალი სოციალური ფენები ალბათ უკვე იწყებდნენ დიალექტურ დონეზე მეტყველებას.**

არმენიის იბერიული ზოლის საუნჯენი („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და წმიდა ნინოს ჯვარი)

ა. არმენიის ქართველთა საუნჯე (VI-X სს.)

VI-VIII სს-ში, მას შემდეგ, რაც გუგარქსა, ტაოსა თუ ბასიანში მცხოვრები მკვიდრი ქართველები პოლიტიკურად აღმოჩდნენ პერსარმენიასა თუ რომაულ არმენიაში და მოექცნენ სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში, ამ მხარეებში დაიწყო ქართული ენის ტოტალური დევნა – ეს განსაკუთრებით ითქმის პერსარმენიაში მცხოვრებ ქართველთა შესახებ.

დაიწყო ქართველთა არმენიზაციის თითქმის შეუქცევადი პროცესი.

ქართველთა არმენიზაცია შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა „რომაულ“, ანუ დასავლეთ არმენიაში იმის გამო, რომ აქ ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულენოვანი იყო. ამის გამო აქ მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი ვერ დასრულდა.

მახლობლად მცხოვრებმა (ე.ი. ტაოს, კოლას, ბასიანისა და სხვა კუთხეების) ქართველებმა იცოდნენ, რომ ისინი ეროვნულად ქართველები იყვნენ,

მაგრამ როგორც ბიზანტიურ (ბერძნულ-რომაულ), ასევე სომხურ (სპარსულ, შემდეგ არაბულ) ოლქებში მათ მშობლიურ ქართულ ენას დევნიდნენ, ავიწროებდნენ, არ აძლევდნენ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ენის ფუნქციას. ამის გამო VI-VIII საუკუნეებში არმენიის იბერიულ ზოლში ქართული ენა იქცა **„მდაბალ და დაწუნებულ ენად“**, მხოლოდ იმედი ასულდგმულებდათ იქაურ ვინაობაშენარჩუნებულ ქართველებს. იცოდნენ, ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, როცა ქართული ენა თავის უფლებებს აღიდგენდა. ამ კუთხის ქართველების იმედი სინას მთის ბერმა შეგვინახა იქ დაცული ქართული ხელნაწერით – **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“** ანუ ის დაწერილია პერსარმენიასა და არმენიის მიერ ხელდებულ ტაოში იმჟამად ენობრივად დევნილ ქართველ სასულიეროთა წრეში.

მაშასადამე, ქართული ენა მცხეთის ქართლში ეროვნული და საეკლესიო ენა იყო, ხოლო პერსარმენიასა და რომაულ არმენიაში აკრძალული და გამოყენებული საზოგადო საჭიროებისათვის, ამ ოლქებში კი ქართველობა მრავლად იყო.

ბ. „ქებაჲ და დიდებაჲს“ საეკლესიო საფუძვლები (VI-X სს.)

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცული პირველი ათასწლეულის ქრისტიანული ძეგლი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მკვეთრად განსხვავდება მსოფლიო ეკლესიაში დანერგილ კანონიკური ტექსტებისაგან და უფრო აპოკრიფულს ემსგავსება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას აქვს თავისი საეკლესიო საფუძვლები ქართულ ენასთან დაკავშირებით.

„ქებაჲ და დიდებაჲს“ ქრისტიანი ავტორი საეკლესიო საფუძვლის გარეშე არ მისცემდა თავის თავს ნებას განეცხადებინა ტექსტში ნათქვმი სიტყვები, რომ ქართული **ენა „შემკულია და კურთხეულია უფლის სახელით“**.

ასეთი საფუძველი კი გახლდათ ძალზე ამაღელვებელი მომენტები ასურელი მამების ცხოვრებიდან, როცა მათ უფლის მიერ მიიღეს ცოდნა ქართული ენისა (მსგავსად იმისა, როგორც წმიდა მოციქულებმა სულთმოფენობისას მიიღეს სხვადასხვა ენის ცოდნა), რაც მიუთითებდა ქართული ენის საზეპუროობას,

ძველ საქართველოში განუზომლად დიდი იყო ავტორიტეტი ასურელი მამებისა, მათ წმიდა ნინოს შემდეგ ქართლის ანუ საქართველოს ახალ განმანათლებლებად მიიჩნევდნენ (ჩანს, VI საუკუნეში მონოფიზიტებისა და ცეცხლთაყვანისმცემლების მძლავრობის გამო, რომელთა წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ).

ისინი იყვნენ პირველი ათასწლეულის ქართული ეკლესიის უდიდესი წმიდანები. სინას მთაზე, იქ, სადაც პირველ ათასწლეულში „ქებაისა და დიდებაის“ მრავალი ტექსტი გადაიწერა, მოულოდნელად, XX საუკუნეში, აღმოჩნდა იქამდე დავიწყებული სინას მთის ბერების უძველესი ხელნაწერები, რომელთა შორისაა ასურელი მამების ცხოვრებანი, „მოქცევაჲ ქართლისაჲსთან“ ერთად.

ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ ასურელი მამები ქალკედონიტები და ეკლესიის წმიდანები იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ათასწ-

ლეულის მსოფლიო მნიშვნელობის მართლმადიდებელთა ცენტრში – სინას მთის მონასტერში მათ „ცხოვრებებს“ არ გამოიყენებდნენ საეკლესიო პრაქტიკაში (კ.კეკელიძე მათ მონოფიზიტებად მიიჩნევდა).

ასურელი მამები იყვნენ არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდანები, არამედ ქართული ენის აღორძინების მამები, მისი უფლისმიერი დამცველ-მეპატრონენი.

არსებობს ქართული ენის დასაცავად მათზე გარდამოსული ზეგარდამო მფარველობის ფაქტები და გვაქვს შესაბამისი უეჭველი და უძველესი წყაროები, ესაა თვით ამ წმიდათა „ცხოვრებანი“.

ვინ იყვნენ ასურელი მამები და რა კავშირი ჰქონდათ მათ ქართულ ენასთან? წარმოშობის მიხედვით არავითარი, მათ თავდაპირველად საერთოდ არც იცოდნენ ქართული ენა და არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ. ამას მოგვითხრობენ თვით ამ წმიდათა ცხოვრებანი.

იოანე ზედაზნელი, რომელიც იყო მეთაური ასურელი მამებისა, ეროვნებით ასური იყო, ასურეთში მცხოვრები და იქ დაბადებული. მას გაგონილიც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ არსებობდა ქართველთა ქვეყანა და ქართული ენა. გამოხდა ხანი, მას მიეცა უფლისმიერი ბრძანება, რომ უნდა ექადაგა ქართველების ქვეყანაში. მართლაც, ის მოწაფეებთან ერთად შემოვიდა ქართლში და ქართული ენით დაიწყო ხალხის დამოძღვრა.

როგორ? მან შეისწავლა ქართული ენა? არა, მას საგანგებოდ არ შეუსწავლია ქართული ენა და არც დრო დაუხარჯავს მის შესასწავლად. მოხდა დიდი სასწაული ამ ენასთან დაკავშირებით, ისეთი სასწაული და თანაც ყველასათვის გასაგები, რომ მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ სასწაულით დიდად შეშინდნენ და ამასთანავე გაკვირდნენ კიდეც.

რა მოხდა? წმიდანის ცხოვრების თანახმად, უფალმა ინება, რომ როგორც წმიდა მოციქულებს მიეცათ სულთმოფენობისას ენების ცოდნა (საქმე, 2-14), ასევე **სულიწმიდის მიერ „ერთ წამში“ ანუ ელვისებური სისწრაფით ასურელ მამა წმიდა იოანე ზედაზნელს მიეცა ქართული ენის ცოდნა**: მისი მემატიანე წერს – **„მოეცა იოანეს ენაჲ ქართულად მეტყველი... ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა ენათასა ცეცხლისასა... სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყვითა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არათუ ესწავა ... რომელნი მაშინ მუნ იყვნეს ყოველნი ზარგანხდილნი და განკვირვებულნი ადიდებს ღმერთსა, მოქმედსა საკვირველებათასა“** („ცხორება და მოქალაქობა ღირსთა მამათა ჩუენთა შიოსი და ევგარესი“, 2005, გვ. 29).

მაშასადამე:

1. სულიწმიდის მიერ იოანე ზედაზნელი ქართულად ამეტყველდა;

2. მას ქართული ენის ცოდნა მიეცა „წამსა შინა“, ანუ მყისიერად;

3. იოანეს იქამდე არასოდეს უსწავლია ქართული ენა და არც კი სმენოდა მის შესახებ;

4. იოანემ მაშინვე დაიწყო „სიტყვათა ზრახვად“ ანუ ის უკვე ქართული ენით წარმოთქვამდა ფრაზებს და საერთოდ, ის ქართულად სრულყოფილად ამეტყველდა, მაშასადამე, უნარი მიეცა ქართულად ქადაგებისა;

5. ეს უდიდესი სასწაული მოხდა სხვების თანდასწრებით, რამაც მათ შიშის ზარი დასცათ და ამავე დროს გაუკვირდათ;

6. იქ მყოფმა ადამიანებმა მაშინვე დაიწყეს ღმერთის დიდება, რადგანაც სწორედ ისაა (ე.ი. ღმერთია) – „მოქმედი საკვირველებათა“, ანუ სასწაული მხოლოდ მისგან მომდინარეობდა.

7. სასწაული თავისი არსით იდენტური იყო სულთმოფენობისას „ცეცხლის ენათა განყოფისას“ მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლისა და მათი სხვადასხვა ენებზე ამეტყველებისა (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, გვ. 29).

აღსანიშნავია, რომ იოანე ზედაზნელის აღნიშნული სასწაულის დროს მის გვერდით იყო მისი მოწაფე შიო მღვიმელი.

სასწაულის მნიშვნელობა გაორკეცდა იმით, რომ **შიო მღვიმელზეც გადმოვიდა მადლი სულიწმიდისა და ისიც ამეტყველდა ქართულად.**

შიო მღვიმელის ცხოვრების აღმწერი წერს, რომ წმ. შიო „**იყო ნათესავით ასური... ოდეს იოვანე, მოძღვარი მისი უწყებითა ღმრთისაითა ქვეყანად ქართლისა მიიწია, ესეცა ნეტარი მის თანავე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულებრივი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი**“ („ხსენებაი საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შიოსი“, 2005, გვ. 113).

მაშასადამე:

1) შიო მღვიმელი იყო ეთნიკურად ასური;

2) მისი მოძღვარი იოანე „ღმრთის უწყებით“ მოვიდა საქართველოში;

3) იოანემ და შიომ აღასრულეს მოციქულებრივი ქადაგება;

4) მათ ღმერთმა უბოძა ქართული ენის ცოდნა – „**რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი**“.

აღნიშნულთა გარდა არსებობს აგრეთვე შიო მღვიმელის მოკლე ცხოვრებაც, რომელშიც კერძოდ ნათქვამია – „წარმოემართნენ წმიდანნი და მოვიდნენ ქართლად.... კათალიკოზსა ევლაბიოზს გამოეცხადა ანგელოზი უფლისაი და აუწყა მოსვლა მათი და წინა მიეგებოდა... **ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“** (ცხორებაი შიო მღვიმელისა მოკლედ ნათქვამი, 2005, გვ. 107).

წმ. შიოს „მოკლე ცხოვრებაც“ იმასვე იმეორებს, რაც აღნიშნულია სხვაგანაც, რომ იოანე ზედაზნელმა „**წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულის მიერ წმიდისა**“.

ამ ცხოვრებათა შეჯერებით ნათელი ხდება, რომ იოანე ზედაზნელმა, შიო მღვიმელმა და ჩანს, სხვა მამებმაც ღმრთის ნებით, სულიწმიდის მიერ მყისიერად მიიღეს ცოდნა ქართული ენისა და ღმერთის უწყებით გამოემართნენ საქართველოში, ხოლო „ანგელოზი უფლისა“ აფრთხილებდა და ამზადებდა სათანადო პირებს მათთან შესახვედრად.

მართლაც, სრულიად გამორჩეული, უნიკალური და ალბათ, ერთადერთია მსგავსი სასწაული – რაც გამეორებაა წმიდა მოციქულებზე სულიწმიდის მადლით ენათა დაუფლებისა, ოღონდ ამ შემთხვევაში, ქართულ ენაზეა ღვთის მადლი დაშვებული.

ცხადია, ეს მომენტი ანცვიფრებდა ძველ ქართველ მამებს და უნერგავდა მათ თვალსაზრისს ქართული ენის განსაკუთრებულობის შესახებ, მით უმეტეს ისეთ რეგიონებში, სადაც ქართული ენა „**დაწუნებული**“ იყო ღვთისმსახურებისათვის საეკლესიო სფეროში და არ გამოიყენებოდა ეკლესია-მონასტრებში (იგულისხმება ყოფილი პერსარმენიის რეგიონი, ტაო-ბასიანის მხარეები) თითქმის IX-X საუკუნემდე და შემდეგაც.

ასურელ მამათა აღნიშნული ცხოვრებანი წარმოადგენდა ოფიციალურ საკითხავებს, რომელნიც ეკლესიებში ხმამაღლა იკითხებოდა წირვა-ლოცვების სათანადო მომენტების დროს. მრევლს ოდნავადაც კი ეჭვი არ ეპარებოდა მოსმენილის სინამდვილეში.

ეს ამბავი ნამდვილად რომ არ მომხდარიყო არც აღწერდნენ და არც მიიჩნევდნენ ღმრთის სადიდებელ საკვირველ სასწაულად.

საზოგადოდ, ლოცვის ენას ძველ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც „ახალი აღთქმის“ ქადაგებით ენა ღვთიური ნიშნით იყო აღბეჭდილი. ეს საგანგებოდ ეუწყათ სულთმოფენობისას მოციქულებსა და შესაბამისად, პირველქრისტიანებს, როცა „**აღივსნენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად**“ (საქმე, 2, 4).

ამით მოიხსნა ის ენობრივი ბარიერი, რომელიც პირველმქადაგებელ მოწაფეებს შესაძლოა შეხვედროდათ, როცა ისინი წავიდნენ დასამოძღვრად წარმართებისა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ენობრივი ბარიერი ელოდათ ასურელ მამებსაც საქართველოში, მაგრამ, როგორც ითქვა, სულიწმიდის მიერ **მათ (ასურელ მამებს) მიეცათ არა ზოგადად ცოდნა სხვადასხვა ენისა, არამედ კონკრეტულად, მხოლოდ ქართული ენისა.**

ქართული ენის ასეთი გამორჩევა უფლის მიერ, რაც იყო თვალხილული ფაქტი არა მხოლოდ ასურელი მამების გვერდით მდგომთათვის, არამედ ქართველი ერისათვისაც, ცხადია, ბუნებრივი სიამაყით ავსებდა ქართველ მამებს.

აღიწერება ისეთი მომენტიც, როცა მაგალითად, ქართლის კათალიკოსი შეეგება ასურელ მამებს ასურული ენით, მაგრამ მათ ქართულად უპასუხეს.

ასურელი მამები ქართულენოვანი მქადაგებლები იყვნენ, უფრო მეტიც, ქართულენოვანი მწერლებიც კი, მხედველობაში გვაქვს შიო მღვიმელის ქართულენოვანი ლექსები.

ასურელ მამებზე უფლის მიერ გარდამოვლენილი ეს ენობრივი მომენტი, ჩანს, აძლიერებდა კირიონ I კათალიკოსს თავისი ენობრივი რეფორმის გატარებისას გუგარქში.

როგორც ცნობილია, გუგარქი, თვით „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვითაც, წარმოადგენდა მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში შემავალ ეპარ-

ქიას, სადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობისათვის IV საუკუნიდანვე ქართულ ენაზე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა (ამას ბოლნისის სიონის წარწერები და სხვა ეპიგრაფიკული მასალაც აჩვენებს), ამის მიუხედავად VI ს-ში სპარსელთა მყრობელობისას (რომელიც სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას ძლიერ უჭერდა მხარს), გუგარქში ქართული მრევლისათვის ეკლესიებში დანერგეს სომხურენოვანი მსახურება ისევე, როგორც ტაოსა და ბასიანში.

სპარსთა ძლიერების შესუსტებისთანავე, **როცა ბიზანტიის საზღვარმა გადმოიწია და მოადგა თბილისს, კირიონმა გაბედა და ინება ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღდგენა გუგარქის ქართული მრევლისათვის, რამაც ძალზე აღაშფოთა** სომხური ეკლესიის მესვეურები, მათ მაშინვე დააბეზღეს კირიონი სპარსთა წინაშე, რომლებმაც კირიონი ტახტიდან ჩამოაგდეს და უცხოეთში განდევნეს.

როგორც ითქვა, **კირიონის ამ დიდი ბრძოლის მამხნევებელი იყო ქართული ენის უფლისმიერი მფარველობა, რომელიც ასურელ მამებზე გაცხადდა.** კირიონს უფალი ამხნევებდა ასურელ მამებზე მოვლენილი სასწაულით.

საფიქრებელია, რომ ქართული ენის ასეთი გამორჩეულობა უფლის მიერ (რაც, როგორც ვთქვით, ფაქტი იყო), წარმოადგენდა ერთ-ერთ საეკლესიო წყაროს წინასწარმეტყველებისა, რომელსაც „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ეწოდება.

მას, როგორც ჩანს, სხვა საეკლესიო წყაროებიც ჰქონდა უფლისმიერი ნიშნით აღბეჭდილნი.

ერთ-ერთი უნდა იყოს ილარიონ ქართველის ცხოვრების ეპიზოდი.

IX საუკუნეში წმიდა ილარიონს აუკრძალეს ქართულენოვანი ლოცვა-ღვთისმსახურება ბერძნებმა ოლიმპოს მთის მონასტერში.

მაშინვე, ბერძენ მამასახლისს გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და განუცხადა „**მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყველნი და ცხონებად არიან და რომელნი მათ არ შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან**“ (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, 1946, გვ. 172). აქ „მათისა ენა“, ნიშნავს ქართულ ენას, რადგანაც ამბავი ქართველებს ეხებოდა. „მათი ენით“ ანუ ქართული ენით ლოცვით ცხონება შესაძლებელია, ეს იყო საღმრთო ბრძანება – გადმოცემული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ.

ყოვლადწმიდამ მიუთითა ცხონების შესახებ, ეს კი იყო ყოველი ქრისტიანის, მათ შორის განსაკუთრებით მონასტრის ბერთა საბოლოო მიზანი და ამავე დროს მიუთითა, რომ ქართული ენით ლოცვით შესაძლებელია ცხონება.

ღვთისმშობლის ეს სიტყვები, ცხადია, უდიდესი სტიმული იყო ქართველი მამებისათვის, მათ კიდევ ერთხელ ირწმუნეს ქართული ენის უფლისმიერი გამორჩეულობა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განცხადებამ, რომ ქართული ენა ცხონების ენაა („მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყველნი და ცხონებად არიან, და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“), **ცხადია, სულიერი სასიცოცხლო სტიმული მისცა და კიდევ უფრო**

განუმტკიცა ქართველ მორწმუნეებს (მათ შორის ჩვენს შემთხვევაში ქართველ ბერებს) თვალსაზრისი, რომ ქართული ენა უფლისმიერაა რჩეული.

ამასთანავე, კიდევ **უფრო ამაღლდა მათ თვალში არა მხოლოდ ქართული ენის სულიერი მნიშვნელობა, არამედ განმტკიცდა ეროვნული იდენტობაც** (ღვთისმშობლის განცხადებამ, „ვინც არ შეიწყნარებს ქართულად მეტყველებს, ისინი ჩემი მტრები არიან“), საერთოდ, ღვთისმშობელის ეს ჩვენება, მისი სიტყვები განსაკუთრებული მნიშვნელობის დატვირთვისაა ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

საფიქრებელია, რომ IX-X საუკუნეთა ქართული ხელოვნებისა და კულტურის აყვავებას, ასევე **ქართველთა იდენტობის საოცარ განმტკიცებისა და გამოღვიძებას ტაო-ბასიანის ვრცელ ქვეყნებში ამ გამოცხადებების სულიერმა მნიშვნელობამაც დაუდო საფუძველი (ასურელი მამებიდან ექვთიმე მთაწმიდელამდე).**

მაშასადამე, ჩვენს ხელთაა I ათასწლეულის ორი საეკლესიო დატვირთვის მქონე წყარო, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა „ქებაჲ და დიდებაჲს“ ფრაზას – **„ესე ენაჲ შემკული და კურთხეული არს სახელით უფლისათა“.**

საფიქრებელია ისიც, რომ აღნიშნული წყაროების თავისებური გაგება საფუძვლად უნდა დადებოდა ფრაზას – რომ ქართული ენით მეორედ მოსვლისას ყველა ენას (ე.ი. ერს) ამ ენით „ამხელს“ ანუ განიკითხავს უფალი – „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ცხადია, „ქებაი და დიდებაის“ უთუოდ გააჩნდა სხვა წყაროებიც (ვთქვათ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა რქმეოდა ქართულ ენას სახარებაში „ლაზარე“, მათეს სახარების დასაწყისის (თავის) მნიშვნელობის შესახებ ქართულ ენასთან დაკავშირებით და სხვ.), მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულთა გარდა ამ ტექსტის სხვა ფრაზების საეკლესიო წყაროთა შესახებ – ესენია შემდეგი ფრაზები

1) „დამარხულ არს ენაჲ ქართული“;

2) „ესე ენაჲ მძინარე არს“;

3) „მეგობრობაჲ ამისთვის თქვა“;

4) „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“;

5) „ესე ენაჲ... მდაბალი და დაწუნებული“.

ამ ფრაზების მიხედვით „ქებაჲს“ ტექსტის შედგენის დროს ქართული ენა სავალალო მდგომარეობაში ყოფილა, ის ტექსტის ავტორის ქვეყანაში იყო „მდაბალი და დაწუნებული“, „მძინარე“, „დამარხული“ და ა. შ.

რომელი ქვეყანა იყო ეს?

სად იდევნებოდა ქართული ენა, სად არ ჰქონდა მას სახელმწიფოებრივი ფუნქცია, საეკლესიო და სამოქალაქო დატვირთვა?

რომელი იყო ასეთი ქართული ქვეყანა VIII-X სს-ში და უფრო ადრე?

აფხაზთა სამეფოში ქართული ენა დიდად პატივცემული იყო იმით, რომ ის იქ იყო ერთადერთი სახელმწიფო, საეკლესიო და სამოქალაქო-ადმინის-

ტრაციული ენა, ისევე კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ სულ **სხვა მდგომარეობაში იყო ქართული ენა** ტაოსა, გუგარქსა და ბასიანში.

წინა საუკუნეებში იქ **(გუგარქსა, ტაოსა თუ ბასიანში)** მცხოვრები მკვიდრი ქართველები პოლიტიკურად აღმოჩდნენ პერსარმენიასა თუ რომაულ არმენიაში და მოექცნენ სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში, რის გამოც, როგორც აღვნიშნეთ, **იქ დაიწყო ქართული ენის ტოტალური დევნა როგორც დასავლეთ არმენიაში, ისე პერსარმენიაში და ეს პროცესი შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა.**

ასეთ დროს იქაურ ქართველთა შორის **(გუგარქსა, ტაოსა თუ ბასიანში)** გავრცელდა ცნობა, რომ დაწუნებული ენა, თურმე კურთხეული ყოფილა უფლის სახელით – **„ესე ენაჲ შემკული და კურთხეული არს სახელით უფლისათა**“, რამაც დაბადა გრძნობა – მართალია, ამჟამად ჩვენი ქართული ენა გაძევებულია საეკლესიო და საზოგადოებრივი მოქმედების სფეროდან, ის „დაწუნებული და დადაბლებულია“, „დამარხულია“ იმით, რომ მხოლოდ საოჯახო და საშინაო მოხმარების სფეროები დარჩა საასპარეზოდ, მაგრამ ეს დროებითია, რადგანაც „დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ქართული ენის მნიშვნელობა და ტაო-ბასიანის ქართველების ეროვნული იდენტობა ამ მომენტმა კიდევ უფრო გამოკვეთა.

ალბათ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ VIII-IX საუკუნეებში დაწყებული დიდი მოძრაობა ტაოელთა და მახლობელ კუთხეთა ქართველების ეროვნული იდენტობის აღორძინებისათვის მსგავსი სულისკვეთებით გამსჭვალული პატრიოტულ-ეკლესიური თხზულებების შედეგიც იყო.

მართლაც, ტაო-ბასიანელ ქართველთა ეროვნული იდენტობის აღორძინებამ მათ ქვეყანაში და უფრო ჩრდილოეთით (ჰერეთსა და გუგარქში) იქამდე „მდაბალი და დაწუნებული“ ქართული ენაც ააღორძინა X საუკუნისათვის, თუმცა ამ მხრივ ყოფილ ხორძენესა და პარიადრეს ქართველებს არ გაუმართლდათ.

გ. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს“
დაწერის დრო და ადგილი (X ს.)

ჩვენამდე მოღწეულია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს“ ოთხი ხელნაწერი ე.წ. სინურ ძეგლებში – ყველა არის X საუკუნისა, კერძოდ კი X საუკუნის მეორე ნახევრისა.

რით იყო აღსანიშნავი ხელნაწერის დაწერის დრო?

იმით, რომ **ახლოვდებოდა ქრისტესშობიდან ათასი წელი**, სამყაროს ცვლილებისა და საშინელი სამსჯავროს ჟამი.

ამ თარიღს მთელი ქრისტანული მსოფლიო ელოდა შიშითა და იმედით, კერძოდ, ქრისტესშობიდან **მეათასე წლისთავზე ელოდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას**.

ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი თარიღი, არა მხოლოდ საეკლესიო წრეები, არამედ საზოგადოდ მთელი ხალხი, მრევლი, მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი,

ახალგაზრდა, პატრონები თუ ყმები, სენიორები და ვასალები, ერთი სიტყვით, ყველა სოფელი თუ ქალაქი ელოდა ქრისტეშობის მეათასე წლისთავს.

ამის შესახებ მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ლოცულობდნენ და ასე გრძელდებოდა თაობათა მანძილზე მთელი მეათე საუკუნის განმავლობაში, შესაბამისად, წარმოიშვა მრავალი მითი, თეორია, მოსაზრება, იდეა თუ წინასწარმეტყველება მათი სამომავლო ბედისწერის შეცვლის შესახებ მეორედ მოსვლისას, რომლის ხმაც უკვე ისმოდა, მეათასე წლისთავი ახლოვდებოდა.

არმენიაში, ყოფილი ხორძენას, პარიადრესა და გუგარქის ქართველთა ჩაგრული ფენა მეორედ მოსვლას იმედით შესცქეროდა, რომ მათი მდგომარეობა შეიცვლებოდა და სიხარულით აივსებოდა, უფრო მეტიც, მათი „დაწუნებული და დამდაბლებული“ ენა ანუ ეროვნება სხვებზე ამაღლდებოდა წმიდა სიტყვათა შესაბამისად „უკანანი წინა და წინანი უკან“.

მას შემდეგ, რაც სტრაბონის ცნობით, არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა ხორძენას, პარიადრესა და გოგარენას ქართველი ხალხით დასახლებული ვრცელი მიწა-წყალი, იქ დაიწყო ქართული ენის დევნა და შევიწროება.

მოვსეს ხორენაცი თავის ისტორიაში აღნიშნავს, თუ როგორ დევნიდნენ სამხრეთიდან ჩასახლებული არმენიელთა მეფეები მკვიდრი მოსახლეობის ენას. ისინი კრძალავდნენ სომხურის გარდა სხვა ენის გამოყენებას. ასეთ გარემოში ქართული ენაც იდევნებოდა. მაგრამ იქაურ (მკვიდრ) ქართველობას მხნეობა შეუნარჩუნებია და დევნის საპირისპიროდ წამოუყენებია იდეა ქართული ენის შემდგომში განდიდების შესახებ და ის დაუკავშირებია მეორედ მოსვლასთან.

არმენიის მიერ მიტაცებულ იბერიის ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულა წინასწარმეტყველება ჩაგრული ქართული ენის საბოლოო განდიდების შესახებ.

ასეთ წინასწარმეტყველებათა რიგში უნდა ჩავაყენოთ ჩვენამდე მოღწეული თხზულება – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც შესაძლოა წინა საუკუნეებში დაიწერა, მაგრამ განსაკუთრებულად პოპულარული იქაურ ქართველთა შორის გახდა მეათე საუკუნეში.

რას ეხებოდა წინასწარმეტყველება? რომ მალე, ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს, რამდენიმე წელიწადში (მეათასე წლისთავზე) ქრისტე განიკითხავს მთელ კაცობრიობას და განკითხვის ენა კი იქნება ქართული!

რატომ ქართული? ამ კითხვის პასუხით ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ამ თხზულების შეთხზვის ადგილი.

რას ელოდნენ პირველი ათასწლეულის ბოლოს ანუ მეორედ მოსვლის ჟამს?

ღარიბები – ხსნასა და სიხარულს,
ჩაგრულები – ტვირთის ახსნას,
ცუდი მდიდრები – დამდაბლებას,
გლახაკები – მათზე ამაღლდებას.

ყველა ჩაგრული გათავისუფლდებოდა და გამოჩნდებოდა მთელი თავისი შინაგანი სიკეთით.

რადგანაც წინასწარმეტყველება შეეხებოდა ქართულ ენას, მის მიმართაც იგივე უნდა აღსრულებულიყო – ანუ ეს ენა („ენის“ ქვეშ მისი მატარებელი ხალხიც იგულისხმება) არმენიის იბერიაში ჩაგრული, „მდაბალი და დაწუნებული“ უნდა წარმოჩინებულიყო და განდიდებულიყო. ამიტომაც დაიწერა, რომ ისიც, ისევე როგორც სხვა ჩაგრულები, „მოელის“ მეორედ მოსვლას.

ქართული ენა (და ქართული იდენტობა) იქამდე დამდაბლებული იყო ვრცელ მიწა-წყალზე თეოდოსიოპოლისიდან თბილისამდე და ვანის ტბამდე.

ტაო და ბასიანი ამ ქვეყნის მთავარი ნაწილები იყო – მის სამხრეთით (ე.ი. ყოფილ ხორძენას, პარიადრსა და გუგარქში) ცხოვრობდნენ ის თითქმის არმენიზებული ქართველები, რომელთაც **ვერაფრით შეძლეს სომხური საეკლესიო უღლისაგან თავის არიდება და ახლა მხოლოდ მეორედ მოსვლის ჟამისათვის ელოდნენ ქართული ენისა და ქართველობის ღვთაებრივ აღორძინებას**.

მოახლოებული 1000 წელი ზოგადად ქრისტიანებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ის გულისხმობდა არა ახალი ათასწლეულის დასაწყისს, ანდა პირველი ათასწლეულის ბოლოს, არამედ ჰქონდა გაცილებით უფრო ღრმა სარწმუნოებრივი დატვირთვა. კერძოდ, იოანეს გამოცხადების თანახმად, წმიდა წერილი მორწმუნეებს აუწყებდა, რომ მხოლოდ 1000 წლის მანძილზე იქნებოდა დედამიწაზე გამეფებული ამქვეყნიური ტანჯვა-ვაებანი, რომელიც მომდინარეობდა ღვთის მტრისაგან, რომ 1000 წლის შემდგომ ის დასრულდებოდა და დადგებოდა სასუფევლის ეპოქა. ალბათ, ასე ესმოდა იოანეს გამოცხადება იმ ეპოქაში მორწმუნეთა ერთ ნაწილს. მართლაც, იოანე თავის გამოცხადებაში გამოკვეთილად მიუთითებს 1000 წლის შესახებ. ძველი ქართულით მისი ტექსტი ასეთია:

„1. და ვიხილე ანგელოზი, გარდამომავალი ზეცით, და აქუნდა კლიტე უფსკრულისაჲ და ჯაჭჳ დიდი ჴელსა მისსა.

2. და შეიპყრა ვეშაპი იგი – გუელი დასაბამისაჲ, რომელ არს ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა, და შეკრა იგი **ათას წელ.**

3. და შთააგდო იგი უფსკრულსა შინა და დაჰჴშა კარი და დაჰბეჭდა მის ზედა, რაჲთა ვერღარა აცთუნებდეს წარმართთა, ვიდრემდე აღესრულოს **ათასი წელი.** შემდგომად ამისა ჯერ-არს განსნაჲ მისი მცირედ ჟამ.

4. და ვიხილენ საყდარნი, და დასხდეს მათ ზედა, და სასჯელი მიეცა მათ და სულნი იგი მოკლულთანი წამებისათჳს იესუჲსა და სიტყჳსათჳს ღმრთისა, და რომელთაცა არა თაყუანის-სცეს ხატსა მას მჴეცისასა და არცა მიიღეს ბეჭედი მისი შუბლთა ზედა, ანუ ჴელთა მათთა, და ცხოვნდეს და სუფევდეს ქრისტეს თანა **ათასსა მას წელსა.**

5. და სხუანი იგი მკუდარნი არა ცხოვნდეს **ათასსა მას წელსა.** ესე არს აღდგომაჲ იგი პირველი.

6. ნეტარ არს და წმიდა, რომელსა აქუნდეს ნაწილი აღდგომასა მას შინა პირველსა. მათ ზედა მეორესა მას სიკუდილსა არა აქუს ჴელმწიფებაჲ, არამედ იყვნენ მღდელ ღმრთისა და ქრისტესა, და სუფევდენ მის თანა **ათასსა მას წელსა.**

7. და შემდგომად **ათასისა მის წლისა** განიჴსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა“.

(ახალი აღთქმა, იოანეს გამოცხადება, თავი მეოცე)

ახალი ქართულით იოანეს გამოცხადების ტექსტი 1000 წლის შესახებ ასეთია:

1. ვიხილე ზეცით ჩამომავალი ანგელოზი, რომელსაც ხელთ ეპყრა უფსკრულის გასაღები და გრძელი ჯაჭვი.

2. და შეიპყრო ურჩხული, დასაბამიერი გველი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შეკრა იგი **ათასი წლით.**

3. უფსკრულში ჩააგდო და შიგ გამომწყვდეული ბეჭდით დაბეჭდა, რათა აღარ აცთუნებდეს ხალხებს, **ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი**, რის შემდეგაც მცირედი ხნით დაიხსნის თავს.

4. ვიხილე ტახტნი და მათზე მსხდომარენი, რომელთაც მიეცა ხელმწიფება მსჯავრის აღსრულებისა, და იესოს მოწმობისა და ღვთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებიც არც მხეცს ეთაყვანენ, არც მის ხატებას, და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა თუ ხელზე; ამიტომაც **გაცოცხლდნენ და ქრისტესთან ერთად სუფევდნენ ათას წელიწადს.**

5. დანარჩენი მკვდრები კი არ გაცოცხლებულან **ათასი წლის** გასრულებამდე. ეს არის პირველი აღდგომა.

6. ნეტარი და წმიდაა ყველა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილის ხელმწიფება არ ვრცელდება მათზე, არამედ იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი, ვისთან ერთადაც **იმეფებენ ათას წელიწადს.**

7. ხოლო **ათასი წლის** გასრულების შემდეგ სატანა თავს დაიხსნის საპყრობილედან.

თავი 2

„მეორე ივერიის“ ქართული მრევლი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში IV-VIII სს-ში

სომხური ეკლესიის თავდაპირველი იურისდიქცია (IV–V სს.)

ისტორიული არიან-ქართლის უმთავრესი ნაწილები – ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები, არაქსის ხეობასთან ერთად ქრისტეშობამდე არმენიის შემადგენლობაში მოექცა, როცა ისტორიულ საქართველოს, სტრაბონის ცნობით, აღნიშნული მხარეები ჩამოაშორეს, უკვე არმენიაში მცხოვრები ამ მხარეთა მკვიდრი ქართველები გაქრისტიანების შემდეგ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდნენ. ყოფილ იბერიაში სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ქართველები, საეკლესიო თვალსაზრისით, სომხურენოვანნი იყვნენ, იმ მხრივ, რომ წირვა-ლოცვისა და ლიტურგიის ენა მათ ეკლესიებში სომხური იყო, შესაბამისად, მათი განათლებისა თუ ადმინისტრაციის ენაც სომხური იყო. სომხურ ეკლესიაში იმჟამად, IV-VII სს-ში აღნიშნულ მხარეთა ქართველთა გარდა ალბანელების ნაწილი და სხვა ეთნოჯგუფებიც იყო მოქცეული. ქართველები სომხური ეკლესიის ერთგული და აქტიური მრევლი იყო სარწმუნოებრივი სიწმიდის სიყვარულის გამო. როგორც კი გავრცელდა ხმა, რომ სომხურმა ეკლესიამ გადაუხვია სარწმუნოებრივ სიწმიდეს მონოფიზიტობის აღიარების გამო, ქართველთა შორის ზოგმა მყისიერად, ზოგიერთმა ქართულმა რეგიონმა კი ოდნავ მოგვიანებით გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან და შეუერთდა დედა ქართული ეკლესიის წიაღს VII-VIII საუკუნეებში. ამ დროისათვის ამ მხარეთა არმენიზაციის ხარისხი იმდენად ღრმა იყო, რომ მხოლოდ საშინაოდ მოსახმარადღა თუ გამოიყენებოდა ქართული ენა. საბედნიეროდ, ისტორიული არიან-ქართლის ერთმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა – ტაო-ბასიანმა და მიმდებარე არემ, მანასკერტის ცნობილი 726 წელს შემდგარი კრების რეზონანსით გამოფხიზლებულმა, თავი დააღწია არმენიულ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას და თავადვე აღიდგინა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია IX-X სს-ში. იქამდე მათ გამოფხიზლებას საფუძველი დაუდო დიდი კირიონ კათალიკოსის მიერ მომზადებულმა სომხური ეკლესიისაგან ე.წ. „განყოფამ“ VII ს-ის დასაწყისში.

იქამდე, როგორც აღინიშნა, ამ მხარეთა ქართული მრევლი ყოფილ იბერიაში ანუ ისტორიული არიან-ქართლის ყოფილ მიწაზე ცხოვრობდა, რომელსაც იმჟამად უკვე არმენია ერქვა.

ნ. ადონცი წერს – „არმენია, IV ს-ის დასაწყისიდან მეზობელ იმპერიათა მიერ მის დაყოფამდე (IV ს. ბოლომდე), უმეტესწილად იმპერიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ სომხურ-ბიზანტიური საეკლესიო ურთიერთობაც მჭიდრო იყო. გრიგოლი იყო იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფი სომხეთის სახელმწიფოს ეპისკოპოსი. წმ. გრიგოლს, კესარიაში ხელ-

დასხმულს, კესარიის ტახტთან ისეთივე იერარქიული დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც სხვა ეპისკოპოსებთან, მაგალითად, მელიტენის, სევასტიის და სხვა ქალაქების კათედრებთან ხელდასხმის გამო კესარიას მასთან უფრო მეტი ფორმალური ურთიერთობა ჰქონდა“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 360).

მას შემდეგ რაც სომხეთი ერთმანეთს შორის გაინაწილეს სპარსეთმა და ბიზანტიამ გაჩნდა ორი საეკლესიო მიმართულება – ერთი ბიზანტიური, მეორე კი ეროვნულ-ნაციონალური.

ნ. ადონცის ცნობით, სპარსულ სომხეთში აღორძინდა ეროვნულ-ნაციონალური ეკლესია, ხოლო დასავლეთ არმენიაში – იმპერიულ-ბიზანტიური.

ნ. ადონცი წერს – „გაყოფის შემდეგ აღმოსავლეთ სომხეთი დაადგა ეკლესიის ნაციონალიზაციის გზას მტკიცედ, კერძოდ, ავტონომიური იერარქიის დაფუძნებით (ე.ი. ბერძნულ-ბიზანტიური იერარქიისგან გათავისუფლდა), ხოლო დასავლეთი სომხეთი რჩებოდა იმპერიულ პოლიტიკაზე დამოკიდებული“ (იქვე, გვ. 361).

ეროვნული ეკლესიური სახე სომხურმა ეკლესიამ მოიპოვა ბიზანტიის ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ პაპის მეფობის დროს, ეპისკოპოს ნერსესის შემდეგ.

მეფე პაპმა მის ადგილზე დანიშნა ეპისკოპოსი უსიკი, სპარსული ორიენტაციის პირი ძალზე გავლენიანი ალბიანის ოჯახიდან.

კესარიის მიტროპოლიტი (მას ნ. ადონცი პატრიარქს უწოდებს) გაანაწყენა სომეხთა მეფის თვითნებურმა გადაწყვეტილებამ.

ამის გამო შედგა კესარიის ეპარქიის ეპისკოპოსთა კრება და კრებამ მისდწერა მრისხანე წერილი მეფე პაპს.

ამ წერილში კესარია მოითხოვდა, რომ სომხეთში აღარავის გაებედა ეპისკოპოსის კურთხევა, არამედ ეპისკოპოსი მხოლოდ კესარიაში ან რომელიმე მეზობელ ბერძნულ საეპისკოპოსოში უნდა კურთხეულიყო, კერძოდ მასში, რომელიც სომხეთის ბერძნულ ნაწილთან ერთად ბიზანტიის იმპერიის შესაბამის ადმინისტრაციულ ოლქში შედიოდა (ე.ი. რადგანაც სომხეთის ბიზანტიური ნაწილი ადმინისტრაციულად პონტო-კესარიაში შედიოდა, ამიტომაც მხოლოდ აქ (პონტო-კესარიაში) უნდა კურთხეულიყო ეპისკოპოსი).

მართლაც, ბიზანტიურ სომხეთში დამკვიდრდა კიდეც ეს წესი და იქაური სომეხი ეპისკოპოსი კურთხევას ბერძნულ სამიტროპოლიტოში (საპატრიარქოში) იღებდა.

ნ. ადონცი წერს – **„მტკიცება, რომ სომეხი ეპისკოპოსები ეკურთხებოდნენ კესარიაში, სწორია, მაგრამ ის ეხება მხოლოდ ბიზანტიურ, ანუ დასავლეთ ნაწილს სომხეთისას**“ (იქვე, გვ. 363).

სულ სხვა მდგომარეობა იყო **სპარსულ სომხეთში (პერსარმენიაში), იქ სომხური საკათალიკოსო სისტემა არსებობდა და შესაბამისად, ეპისკოპოსთა კურთხევა ადგილზევე ხდებოდა.**

პერსარმენიის სომეხ კათალიკოსს დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ, ამიტომაც V საუკუნის ცნობილ სომხურ მოვლენებში დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ მონაწილეობდნენ (იქვე, გვ. 363).

ბასიანის სომეხი ეპისკოპოსები

ბასიანში სომხურ ეკლესიას თავისი ეპისკოპოსები ჰყავდა იმ ეპოქაში, როცა ის (ბასიანი) სომხეთის პოლიტიკური და ეკლესიური გავლენის ქვეშ იყო. მაგალითად, ნახარარ ორდუნების სამკვიდრებელი მათი ამოწყვეტის შემდეგ დარჩა ბასიანის ოლქის ეპისკოპოსს (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში. 1908, რუს. ენაზე, გვ. 312).

აგათანგელოზის – გრიგოლ განმანათლებლის ისტორიკოსის ცნობით, წმ. გრიგოლმა ხელი დაასხა სომხეთის სხვადასხვა კუთხეების 400 ეპისკოპოსს. სხვა ცნობით, მან მხოლოდ 30 საეპისკოპოსო ტახტი დააარსა. მათ შორის, ორბელიანის ცნობით, პირველი იყო ბასიანის ეპისკოპოსი. ის იჯდა გრიგოლის გვერდით (იქვე, გვ. 328).

გრიგოლს ბასიანის ეპისკოპოსად გაუგზავნია ევთალი.

ბასიანის საეპისკოპოსო ნახსენებია 450 წლისა და ასევე 505 წლის ნუსხებში (გვ. 330).

იმპერიის მოსაზღვრე სომხეთის მხარეებში – ვანანდში, ბასიანსა და მარდალიაში 505 წლისთვისაც ნახსენებია საეპისკოპოსოები (იქვე, გვ. 332).

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ვერსიის არასწორი თარგმნა ნ. მარის მიერ

(არა „აფხაზეთი“, არამედ „არზანენა“)

აგათანგელოზის თხზულება „წმ. გრიგოლის ცხოვრება“ სომხურიდან არაბულად უთარგმნიათ VII-VIII სს-ში.

არაბულად შემორჩენილი ეს რედაქცია გარკვეულწილად განსხვავდება ამჟამად არსებული სომხური რედაქციისაგან.

კერძოდ, სომხური რედაქციით, წმ. გრიგოლმა მხოლოდ სომხეთში იქადაგა და იქვე დანიშნა ეპისკოპოსები, არაბული რედაქციით კი, წმ. გრიგოლმა ეპისკოპოსები ივერიასა და სხვა ქვეყნებშიც დანიშნა.

აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრება, ჩანს, არაბულად თარგმნილია სომხეთში მცხოვრები ქართველი არმენიზებული ქალკედონიტის მიერ, რადგანაც მასში უამრავი ქართული სიტყვაა, ვთქვათ, ისეთი სიტყვაც კი, როგორიცაა „გოჭი“ და სხვა. ის თარგმნილი უნდა იყოს 726 წლამდე.

საზოგადოდ, იქამდე, ე.ი. 726 წლამდე, ტაოს, ბასიანის, სპერისა და კლარჯეთის გასომხებული ქართველი იერარქები და საეკლესიო მწერლები, როცა ვერ მალავდნენ თავიანთ ნამდვილ ეთნიკურ წარმომავლობას, ანუ ქართველობას, საჭიროდ მიიჩნევდნენ თავიანთი ყოფნა სომხურ ეკლესიაში გაემართლებინათ იმით, რომ თითქოსდა გრიგოლ განმანათლებელმა ქრისტიანობა გაავრცელა ქართულ ქვეყნებშიც და, აქედან გამომდინარე, სომ-

ხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ ქართველთა ქვეყნების (მაგ., ტაოს ან ბასიანის) ყოფნა გამართლებული იყო.

მაგალითად, აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრების სომხური ვერსიით, გრიგოლმა გააქრისტიანა სომხეთი კიდიდან-კიდემდე. ქალდეას ახლოს მყოფი ქ. სატალიდან (კლარჯეთის ახლო ადგილებიდან) – ალანთა კარამდე, კასპიის საზღვრამდე – პაიტაკარანის ჩათვლით, ქ. ნიზიბინის ახლოს მდებარე აგადიდან – მიდიამდე, ატროპატენამდე.

იმავე ცხოვრების არაბული ვერსიით, წმ. გრიგოლმა აღნიშნულ მხარეთა გარდა ეპისკოპოსები გაგზავნა არა მხოლოდ სომხეთის მიწებზე, არამედ ივერიაში, დურზუკების მხარეში და ალანებში.

ნ. მარის მიერ გამოცემული არაბული ვერსიით – „ივერიაში გააგზავნა იბირბზხუა, აბხაზეთში – სოფრონი, ალანიაში – თომა, ასევე სომხეთის მიმდებარე, სამხრეთის მხარეებში“ (ნ. ადონცი, არმენია... გვ. 327-328).

ნ. ადონცი წერს, რომ ნ. მარის მიერ გამოცემულ არაბულ ვერსიაში ნ. მარის მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგანაც დედანში ნახსენებია არა „აბხაზეთი“ („გაუგზავნა აბხაზებს“), არამედ არზანენა. ნ. ადონცის კვლევით არაბული ტექსტის არასწორმა წაკითხვამ გამოიწვია ეს შეცდომა (იქვე, გვ. 328, შენიშვნა 2).

ამასთან დაკავშირებით ნ. ადონცი წერს: **„აფხაზები სომხეთიდან დაშორებით ცხოვრობდნენ და არაფერი აკავშირებდათ სომხეთთან“** (იქვე, გვ. 328).

ასე რომ, გრიგოლს არა აფხაზეთში, არამედ არზანენაში, იბერიაში და ალანიაში გაუგზავნია მოციქულები.

იბერიის ქვეშ ამ „ცხოვრებაში“, ჩანს, მოიაზრება არა მცხეთის ქართლი, არამედ ტაო-ბასიანი და მისი მიმდებარე მხარეები.

ჩანს, აქაურმა ქართველებმა თარგმნეს კიდეც არაბულად გრიგოლის ცხოვრება, ამიტომაცაა მასში მრავალი ქართული სიტყვა.

მაშასადამე, დედანშია – „იბერიაში გააგზავნა იბირბზხუა, არზანენაში – სოფრონი, ალანიაში – თომა“, ალანიის ნაცვლად ალბანიასაც კითხულობენ.

კირიონისმიერი ეროვნული გამოფხიზლება დასავლეთ არმენიის ქართველობისა

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების აზრით გუგარეთი (ანუ გუგარქი) მოიცავდა მიწა-წყალს ჯავახეთიდან ხუნანამდე და მტკვრის მარცხენა შენაკად ძეგამჩაიმდე, სომეხი ისტორიკოსების ცნობით კი იბერიის ნაწილი **გუგარქი** იწყებოდა **ჭოროხის მარჯვენა სანაპიროდან. მასში შედიოდა მიწები ტაოს ზემო ნაწილიდან (იშხანისა და ბანას ახლოს ჩრდილოეთიდან) არცახამდე. მაშასადამე, კლარჯეთიც გუგარქში მოიაზრებოდა.**

ეს მომენტი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ ქვემო ქართლში (გუგარქის ერთ ნაწილში) კირიონის ცნობილი ღვაწლი ქართული ენის თავის ძველ

უფლებებში დასაბრუნებლად, უთუოდ მთელი გუგარქის (მათ შორის ტაოსა და კლარჯეთის) ქართველებისათვის იმპულსის მიმცემი იქნებოდა.

გუგარქი რომ ჭოროხის აღმოსავლეთ სანაპიროდან იწყებოდა, ამის შესახებ წერს ნ. ადონცი. ის არმენიის იბერიულ ზოლს უწოდებს იმ მიწა-წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში „ზემონი ქვეყანანი“ ეწოდება.

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის გადიოდა ჭოროხიდან ნიზიბინამდე ისე, რომ ტაო და გუგარქი სპარსეთში მოექცა, შესაბამისად, ისინი ე.წ. პერსარმენიის ნაწილად მიიჩნეოდა, ამდენად, იბერიის ეს მიწები სპარსულ არმენიაში მოექცა.

VI ს-ში ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ, სპარსეთი ყოველმხრივ ავიწროებდა ბიზანტიური ორიენტაციის (ე.ი. ქალკედონური მიმართულების) ქართულ ეკლესიას, შესაბამისად, ტაო-კლარჯეთ-გუგარქში შეიზღუდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად ქართველთა შორის დაინერგა საეკლესიო-სომხურენოვანი ღვთისმსახურება. **გუგარქის ქართველობას კლარჯეთიდან უტიკამდე თავისი ქვეყნის ბედის თანახმად ეკლესიებში აუკრძალეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება და მის ნაცვლად სომხურენოვანი წირვა-ლოცვა დაუნერგეს.**

ქართველებს არავითარი პროტესტის გამოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, იმდენად მჭიდრო იყო სომხურ-სპარსული კავშირი (იხ. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I).

საბედნიეროდ, 591 წლის შეთანხმებით შეიცვალა სასაზღვრო ხაზი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, იმდენად, რომ საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის მცხეთასა და თბილისს შორის გადავიდა, მცხეთა ბიზანტიურ ნაწილში მოექცა, თბილისი კი – სპარსულში. ბიზანტიელთა მხარდაჭერით გაძლიერებულმა მცხეთელმა კათალიკოსმა კირიონ I-მა გაბედა და თავის მრევლს, გუგარქ-ქვემო ქართლში მცხოვრებთ, აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება, რაც მოუთმენელი იყო სომხური ეკლესიისთვის, თუმცა საბოლოოდ **კირიონის ღვაწლის შედეგად, თანდათანობით, ჯერ (VI-VII სს-ში) ქვემო ქართლის, შემდეგ კი (VIII-X სს-ში) ტაოსა და ასევე ჩრდილოეთ არმენიის მკვიდრი ქართველობა დაუბრუნდა საეკლესიო ქართულენოვნებას**.

ქართული ენა – ქალკედონიტობის სიმბოლო და ქართველთა ეროვნული ცნობიერების საყრდენი გახდა.

ენობრივი ვითარება გუგარქში

როგორც ცნობილია, VI საუკუნის შემდეგ VII-VIII-IX და X საუკუნეებში საქართველო სხვადასხვა ქვეყნად ანუ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაშლილი, ქართველი ხალხის არცთუ მცირე ოდენობა ცხოვრობდა არაეროვნულ პოლიტიკურ ერთეულებში. მაგალითად, თბილისელი ქართველები – არაბულ საამიროში, ქვემო ქართლის ქართველები – ტაშირ-ძორაკერტის სომხურ სამეფოში და სხვა.

კირიონამდე, VI საუკუნის სპარსეთის მიერ დაპყრობილ ქვემო ქართლში, როგორც ითქვა, ქართველ მრევლში დანერგეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება.

მაგრამ ქვემო ქართლი მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ძალზე ვრცელი ქვეყნისა, რომელსაც სომხები „გუგარქს“ (ქართველთა ქვეყანას) უწოდებდნენ. როგორც ითქვა, გუგარქი, სომხური წყაროების მიხედვით, გადაჭიმული იყო ჭოროხიდან ვიდრე თბილისამდე და ბარდვამდე, გუგარქის ვრცელ ქვეყანას სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ტაო. აღსანიშნავია, რომ ტაო დიდი ხნის მანძილზე შედიოდა სომხურ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო სისტემაში. 726 წლის მანასკერტის კრებამ თითქოსდა გამოაფხიზლა ტაოელი ქართველები, რადგანაც ამ კრებაზე სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტური პლატფორმა და ნაციონალური სახე, ანუ ის ეთნიკური სომხების ეკლესიად იქცა.

ხშირად ყოფილი პერსარმენიული მხარეებიდან წარმომავალმა ქართველების ერთმა ნაწილმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, რადგანაც მათ განათლება სომხურად ჰქონდათ მიღებული, მაგრამ წმიდა ნინოს აღიარებითა და მისი ღვაწლის წარმოჩინებით აჩვენებდნენ თავიანთ ეთნიკურ ვინაობას.

კირიონ I

კირიონ I ქართლის (საქართველოს) კათალიკოსი იყო დაახლოებით 599-614 წლებში.

დაიბადა ჯავახეთის სოფელ სკუტრში. ბავშვობიდანვე იზრდებოდა და განათლება მიიღო ტრაპეზუნტის მახლობელ კოლონიის პროვინციის ქალაქ ნიკოპოლისში. ამ რეგიონის ძირითად მოსახლეობას ბერძნებთან ერთად შეადგენდნენ მკვიდრი ქართველები – ლაზები, ქალდები (ხალიბები) და სხვა ქართული ჯგუფები, ქართველთა მრავალრიცხოვნობის გამო, შემდგომში, ტრაპეზუნტის იმპერიის მეთაურს – „ივერთა ავტოკრატორს“ უწოდებდნენ (დიდი კომნინები, მართლმადიდებლური ენციკლოპედია, VII, გვ. 444. რუს ენაზე).

ქართველები ასევე შეადგენდნენ ძირითად მოსახლეობას მეზობლად მდებარე ტაოს, ბასიანისა და სხვა რეგიონებისა დვინის მიმართულებით (ამიტომაც შემდგომში ამ ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიამ „იბერიის თემი“ ჩამოაყალიბა). ჩანს, ეთნიკურ ქართველთა სიჭარბის გამო, განათლების მიღების შემდეგ კირიონმა ამ რეგიონში ინება მოღვაწეობა, მან დაიკავა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის მთავარი „კათოლიკე“ მონასტრის წინამძღვრის ხარისხები.

მცხეთის საკათალიკოსოს გარეთ, უცხოეთში, აღნიშნულ რეგიონებში (პონტო, იმიერტაო-ბასიანი, აირარატი) მცხოვრები ქართული მრევლი იმჟამად (VI-VII საუკუნეებში) გაყოფილი იყო ორ ნაწილად ბერძნულ და სომხურ ეკლესიათა შორის. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ამ ტერიტორიას იბერთა უძველეს საცხოვრისად მოიხსენიებს.

არტაქსია და ზარიადრი ქრისტეშობამდე 188 წელს მეფეები გახდნენ და ბრძოლებით გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, კერძოდ, ხალიბების ჩამოაჭრეს კარენიტი – კარინის (კარნუ ქალაქის, ანუ არზრუმის) ოლქი, **იბერებისაგან მიიტაცეს** პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე.

პარიადრეს ადგილსამყოფელი ცნობილია, ის ახლოს მდებარეობდა კოლონიას პროვინციასთან, სადაც აღიზარდა **კირიონ I**, ხოლო ცნობას გოგარენეს ადგილსამყოფელის შესახებ თვითონ სტრაბონი იძლევა.

გუგარქი, რომლის კათალიკოსი შემდგომში გახდა **კირიონი**, და გოგარენე არ იყო ერთი და იგივე ქვეყანა, კერძოდ, გუგარქი სომხურ წყაროებში ზოგადად ერქვა აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო ხშირად კი ქვემო ქართლს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. გოგარენე, მისგან განსხვავებით, სტრაბონის ცნობით, მდებარეობდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროზე, ანუ მტკვრის იქით, „მეორე მხარეს“.

პარიადრესა და გოგარენეს შუა (ანუ პარიადრედან მტკვრამდე) აირარატი, ისტორიული ხორძენე მდებარეობდა. ამ მიწა-წყლის იბერიული მოსახლეობა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ VIII-IX სს-მდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა (იგულისხმება იმიერტაოს, ბასიანისა და აირარატის მკვიდრი იბერები. **კირიონის** ეპოქაში, VI-VII სს-ში მათი არმენიზაციის პროცესი გრძელდებოდა და ძირითადად ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). ამ მიზეზის გამო ქართველები სომხური ეკლესიის წევრები და ზოგჯერ იერარქებიც იყვნენ. როგორც აღინიშნა, **კირიონიც** ქალაქ ნიკოპოლისიდან დვინში გადავიდა და, თავისი დამსახურების შესაბამისად, აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე (მთავარი საკრებულო) ეკლესიის წინამძღვრის ხარისხით დაჯილდოვდა.

VI ს-ის ბოლოს (აირარატსა და დვინში მოღვაწეობის მეხუთე წლისთავზე), თავისი გამორჩეულობის გამო **კირიონი** ქართლს დაუბრუნდა და იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე აიყვანეს.

ივ. ჯავახიშვილი წერს: კირიონის დროს „ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: დასავლეთ-სამხრეთით იგი კლარჯეთსაც მოიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოზო ყოფილა, რომელიც ამ დროს სომხეთის ეკლესიას კუთვნებია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 340).

დასავლეთის მიმართულებით ქართული ეკლესიის საზღვარი შავ ზღვამდე აღწევდა – „სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი წინანდელი წესის თანახმად, ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქმნა ხელდასხმული. გუგარეთი ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა. კირიონის მეგრელთა კათალიკოსადაც აღნიშვნის ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ლიხთ იმერეთშიც იყო გადაწეული. იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი“ (იქვე, გვ. 341-342).

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი VI საუკუნის ბოლოს დაუსვამთ „ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად, ისევე როგორც წინანდელი წესი მოითხოვდა“. აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე, არა მხოლოდ VI საუკუნეში, არამედ ადრეც, ე.ი. V საუკუნეში – „წინანდელი წესის თანახმად“.

ქართული ეკლესიის წიაღში მყოფ ეგრისში (დასავლეთ საქართველოში), მალევე, აფხაზეთის სამეფოს დაარსებისას, ჩამოყალიბდა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი სამიტროპოლიტო ოლქი აფხაზეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით. ეს დაადასტურა სახელმწიფო ხელისუფლებამ. წყარო წერს – „ამან ბაგრატ 830 წ-ს განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ, 72).

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V ს-ს შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის საქართველოში 21 საეპისკოპოსო ყოფილა. „ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს შემდეგ საეპისკოპოსოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში ახიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში წუნდისას, ქართლში ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში რუსთავისას, ნინოწმინდისას, უჯარმოისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას, ანუ ხუნანისას. ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის, მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 339).

ივ. ჯავახიშვილი ამ სიას უმატებს ცურტავისა და სამეფო სახლის ეპისკოპოსებს, აგრეთვე რუისის ან ურბნისის, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოებს. „...მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V ს-ის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოვებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია V ს-ის დამლევისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად სულ 24 ეპისკოპოზი დასწრებია... რადგან შესაძლებელია, ამ კრებას ყველა ვერ დაესწრო, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ VI ს-ის დამდეგს ქართული ეკლესია სულ ცოტა 24 საეპისკოპოზოს შეიცავდა. მართლაც, ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს-ის დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი. მაშასადამე, VI ს-ის დამდეგს აღმ. საქართველოში 33 ეპისკოპოზი ყოფილა“ (იქვე, გვ. 339-340).

„ქართული ეკლესიის შედგენილობის შემდეგი ცნობა VII ს-ის დამდეგისაა, სახელდობრ, **607 წელს დაწერილ თავის მეორე საპასუხო ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა, ქართლის საკათალიკოსოში სულ 35 ეპისკოპოზი არისო**. ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას მოჰმატებია 2 საეპისკოპოზო. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნებოდეს...“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 341).

გამოკვლეულია, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმ დროისათვის ტაოც შედიოდა, თუმცა ის სომხურ საეპისკოპოსოთა სიაშიცაა. შესაძლებელია, ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი შედიოდა ქართულ ეკლესიაში, ხოლო მეორე ნაწილი სომხურში.

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყოფისათჳს ქართ-

ველთა და სომეხთა“. ავტორობა მიეწერება IX ს-ის მოღვაწე არსენი მცხეთელ კათალიკოსს.

„**განყოფაი სომეხთა ქართლისაგან უეჭველად აღვწერე წიგნსა ამას შინა**“ – წერს ავტორი (არსენი საფარელი, განყოფისათჳს, გვ. 78).

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ავტორის იდეოლოგიურ პოზიციას – არა ქართლი და ქართველები განშორდნენ სომხებს, არამედ პირიქით, სომხები განშორდნენ ქართლს – მართლმადიდებლობას, არამართლმადიდებლები გახდნენ. საქართველო მართლმადიდებელი იყო და ისეთივე დარჩა.

არსენი საფარელი წერს:

„სპარსთა მეფემ (იგულისხმება ხოსრო I) განუცხადა სომხებს: „ერთი ორთაგან გამოირჩიეთ – ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა. სომხები ძლიერ შეწუხდნენ, მათ არც სარწმუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება. ამ საქმის გადაწყვეტა მიანდეს ნერსე კათალიკოსს (548-557), რომელსაც მიჯინი ერქვა. მოიწვიეს კრება ქალაქ დვინში 551 წ., მიიღეს ხაჩეცარი და განდგნენ მართალი (ბერძნული) და ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან. ამის გამო ისინი მოწყვეტილ იქნენ წმიდა დიდებულ კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისგან. იქვე დვინს განაწესეს არაჯორი, და თქვეს – ეს არის პირველი დღე ჩვენი სარწმუნოებისაო (სომხური წელთაღრიცხვა იწყება დვინის ამ კრებით 551 წელს). სომხეთი განშორდა ბერძნულ სჯულსა და იერუსალიმს. ამის გამო ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყენენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ (ყოველი ქართლი აქ ეწოდება ტაო-ბასიანსა და მიმდებარე რეგიონს, სომხეთის მეოთხედის ქვეშ იგულისხმება – აირარატი და მიმდებარე რეგიონები, რომლებიც მიდრეკილი იყვნენ ქალკედონიზმისადმი). ნერსე II კათალიკოზმა და აზნაურებმა ბრძანეს მეორე დიდი კრების ჩატარება დვინში – მეორე წელს (553-54 წლებში). **ამ კრებაზე შეაჩვენეს ქალკედონის კრება, უწოდეს ნესტორიანული, მიიღეს ერთბუნებიანობა და ხორცითა და უკვდავი ბუნებით ქრისტე ჯვარცმულად იქადაგეს. განსაზღვრეს შეჩვენებით განდგომა მართალი სარწმუნოებისგან.** ამ კრებამ სომხური ეკლესია ჩამოაცილა ოთხ მსოფლიო საპატრიარქოს, ამით კი დაირღვა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი**.** ქართველმა კათალიკოსმა **კირიონ მცხეთელმა** (591-615) და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა, ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ქართველნი ამბობდნენ, რომ საბერძნეთიდან მოგვეცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენით. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა სარწმუნოება აქვთო. დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც ისევე, როგორც ნერსე

II-ის დროს. ამ დროს განდევნა **ქართლის კათალიკოსმა კირიონმა** მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. **თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია**, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად კომიტასი (607-629), უფრო მეტად მოძულე ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები, გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს (არსენ საფარელი „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, 1980, გვ. 22).

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია ასევე თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ეპისტოლეთა წიგნი“. მასში შემონახულია კირიონ კათალიკოსის წერილები, რომელნიც მან საეკლესიო დავისას მისწერა სომხური ეკლესიის მეთაურებსა და სხვა პირებს, იქვეა პასუხები და მიმართვები. „წიგნი“ სომხურ ენაზეა შემონახული. ქართული დაკარგულია.

ეპისტოლეთა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსე ცურტავის ეპისკოპოსს.

ცურტავი და მისი საეპარქიო ოლქი – გუგარქი (ქვემო ქართლი) მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა. აქ თავდაპირველადვე (IV-V საუკუნეებში) ქართულ ენაზე მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა, რაც დასტურდება ბოლნისის სიონის ეკლესიის კედლებზე ამოტვიფრული V საუკუნის ქართული წარწერებითა და სხვა მსგავსი მასალით.

VI საუკუნეში ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევამ, დამპყრობელი სპარსეთის მიერ ბიზანტიური მიმართულების, ანუ ქალკედონიტური ქართული ეკლესიის დევნამ, ამავდროულად კი, მის მიერვე ანტიბიზანტიური სარწმუნოებრივი მიმართულების მქონე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო სპარსეთის მოსაზღვრე ქართულ რეგიონებში (მათ შორის ცურტავში) „ქალკედონიტური“ (ამ შემთხვევაში ქართული) წირვა-ლოცვის აკრძალვასა და მის ნაცვლად სომხურენოვანის შემოღებას. ცურტავის ეპარქიაში სომხურენოვანი ღვთისმსახურება პირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში დანერგილა. ცურტავის საეპარქიო მმართველობა მონოფიზიტობის მხურვალე მხარდამჭერად იქცა, ამიტომაც მოსე ცურტაველმა ეპისკოპოსმა მიატოვა თავისი ეპარქია, როცა შეიტყო კირიონის (ქართული ეკლესიის) მტკიცე ქალკედონიტობის შესახებ და თავი სომხეთს შეაფარა. ამ დევნის მიზეზად მოსეს მიაჩნია ის, რომ მან „ამხილა“ ქართლში არსებული სარწმუნოებრივი მიმართულება.

ძალზე საყურადღებოა, რომ მოსემ ერთ რეგიონში (ცურტავში) „ამხილა“ ქალკედონიტობა და მას მყისიერად დაემუქრნენ სრულიად ქართლის მთავ-

რები და ეპისკოპოსები, ამას თვითონვე აცხადებს – „...ხმა ავიმაღლე, მტერი გავხდი კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე“ („ეპისტოლეთა წიგნი“, 1968, გვ. 2). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ცურტავი ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო.

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოყვანილია ქართლიდან ლტოლვილი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლე ცურტავის ეკლესიის „სომხურენოვანი“ თემისადმი, ის გმობს ქალკედონიტობას და აფრთხილებს თავის „სომხურენოვან“ მრევლს, ფრთხილად იყოს. „ქურდულად შემოაცოცეს და შემოიღეს მწვალებლობა...“ (იქვე, გვ. 11) – წერს ის. „აწ ესე ყოველი ვიცით რა, საყვარელნო, ვიაროთ სამეუფეო გზით, ნურც მარჯვნივ გადავუხვევთ და ნურც მარცხნივ“ (იქვე, გვ. 12).

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია მეორე ეპისტოლე, სადაც **მოსეს „ქართველთა ეპისკოპოსი**“ ეწოდება (იქვე, გვ. 15). (ამ ეპისტოლეს სრული სათაურია „მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, **მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“).** ამ სათაურიდანაც ჩანს, რომ მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი არის **ეროვნებით ქართველთა** ეპისკოპოსი. მას უწოდებენ „მოსე ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს“. „ეპისტოლეთა წიგნში“ „მართლმადიდებლებად“ მონოფიზიტებს მოიხსენიებდნენ. მოსე „მართლმადიდებელი“ ანუ მონოფიზიტია და, ამავე დროს, არის ქართველთა ეპისკოპოსი. ამ ეპისტოლეს მიხედვითაც მოსეს ეპარქია ქართველებითაა დასახლებული.

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავის „სომხურენოვანი“ თემი ქართველების თემია, ოღონდ ამ ქართველებს სომხური ტიპიკონი აქვთ მიღებული, ისინი საეკლესიო დანიშნულებისთვის სომხურ წიგნებს ხმარობენ, ამიტომაც „სომხურენოვანნი“ არიან. თვით სომხური ეკლესია მათ ქართველებად მიიჩნევს და არა სომხებად, ამიტომაც მათი ეპისკოპოსი მოსე „ქართველთა“ ეპისკოპოსია. ეს არის უეჭველი ფაქტი, დადასტურებული პირველხარისხოვან წყაროში – „ეპისტოლეთა წიგნში“, ამიტომაც ამ ფაქტის იგნორირება არ შეიძლება.

საბედნიეროდ, პოლიტიკური ვითარება VI-VII სს-თა მიჯნაზე კავკასიაში შეიცვალა, აქ გამავალ საომარ ფრონტზე ბიზანტიამ შეძლო სპარსელებზე გამარჯვება და საზღვარი ამ ორ იმპერიას (ბიზანტიასა და სპარსეთს) შორის დაიდო თბილისთან ახლოს. ამ პოლიტიკური მომენტით მარჯვედ ისარგებლა კირიონმა და გუგარქ-ცურტავის მრევლს ეკლესიებში აღუდგინა ქართულენოვანი მსახურება. ამ მომენტმა კიდევ უფრო აღაშფოთა მეორე მხარე, რაც შემდეგმა ეპისტოლემ ასახა.

კირიონისადმი გაგზავნილ თავის ეპისტოლეში სომეხთა კათალიკოს აბრაამს სიკვდილზე უარესად მიაჩნია სომხურენოვანი საეკლესიო მსახურების ნაცვლად ქართულენოვანი მსახურების დანერგვა ქვემო ქართლის ცენტრ ცურტავში. **„...სომხური მსახურება წმიდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ, ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“** („ეპისტოლეთა წიგნი“, გვ. 67).

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავში სომხურენოვანი მსახურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ე.ი. IV საუკუნიდან კი არ იყო დანერგილი, არამედ V

საუკუნის ბოლოდან, ან VI საუკუნის დასაწყისიდან, წმიდა შუშანიკის საფლავზე ეკლესიის აშენების შემდგომ. ყოველ შემთხვევაში, ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურება წმიდა შუშანიკის შემდგომ დადგენილად ითვლებოდა. მაგრამ აბრაამის ეპისტოლე შეეხება არა მხოლოდ ცურტავის ეკლესიას, არამედ მთლიან ქართულ ეკლესიას (იქვე, გვ. 67).

კირიონთან ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ თავისი წარუმატებლობით იმედგაცრუებული აბრაამი საყოველთაო მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეს აგზავნის მთელ სომხეთში, რომელშიაც გადმოსცემს სარწმუნოების მონოფიზიტურ მრწამსს და გმობს ქალკედონიტობას. ქალკედონიტობა მთელ ქვეყანაზე გავრცელდაო, წერს ის, – „...**მიაღწია ქართლს და ალბანეთს, რომელთაც მყრალი თესლი დიდებით შეიწყნარეს, თვის შორის დაამტკიცეს. კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო... წმიდა შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ...**“ (იქვე, გვ. 120).

შემდეგ წერს „...ჩვენც ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში. არც მეგობრობაში, არც დედამძუძუობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებითაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს, იგივე ბრძანება უცვლელად რჩება ალბანელთათვისაც...“ (იქვე, გვ. 122).

ასე დამთავრდა ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა ქალკედონური სარწმუნოების დასაცავად სპარს დამპყრობთა ძალადობის პერიოდში (როგორც აღინიშნა, სპარსელები მონოფიზიტობას ანტიბიზანტიურ სარწმუნოებად მიიჩნევდნენ და მტკიცედ უჭერდნენ მხარს). კირიონმა შეძლო იმ ეტაპზე ქართულენოვანი ტიპიკონი აღედგინა თავის ერთ-ერთ ეპარქიაში – ცურტავსა და მის ოლქში.

XX საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში, ჩამოყალიბდა და გავრცელდა უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა, კირიონმა ცურტაველ და საზღვრისპირეთში მცხოვრებ სომხებს ეკლესიებში ქართულენოვანი მსახურება დაუნერგა და ამით ისინი „გააქართველა“. ეს მოსაზრება წყაროების პირდაპირი ჩვენებით არ დასტურდება, პირიქით, როგორც ვაჩვენეთ, წყაროები მიუთითებს, რომ კირიონმა ცურტავის ეკლესიებში აღადგინა ქართულენოვანი მსახურება, რადგანაც სპარსთა იძულებით მის ნაცვლად ამ რეგიონში სომხურენოვანი მსახურება იყო დანერგილი, ის თავდაპირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში შემოიღეს, შემდეგ კი სხვაგანაც. საფიქრებელია, რომ რადგანაც წმ. შუშანიკის საფლავს პოლიტიკურ-რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭა და მას მონოფიზიტობის ცენტრად აყალიბებდნენ, ამიტომაც ეს რომ არ მომხდარიყო, წმ. შუშანიკის გვამი თბილისში იქნა გადასვენებული, ქალკედონიტობის ცენტრში.

ქართიზაციის საბჭოური თეორიის სქემა არც ამ მიმართულებითაა მართებული. VI-VII საუკუნეებში, სპარსთა მპყრობელობისას, შაჰები სომხურ

ეკლესიას სახელმწიფოებრივ დონეზე უჭერდნენ მხარს, მათ მიერ დევნილ ბიზანტიური ორიენტაციის ქართულ ეკლესიას პოლიტიკურად არახელსაყრელი გარემოს გამო არ შეეძლო სხვა, მით უმეტეს იმჟამად გამარჯვებულ-გაბატონებული სომხური ეკლესიის სამწყსოს მისაკუთრება, თავის წიაღში შეყვანა, პირიქით, იმჟამად ქართველთა არმენიზაციის პროცესი იყო გაღრმავებული, მათ შორის ტაო-ბასიანსა და ქვემო ქართლშიც. იმჟამინდელი შაჰი სპარსეთისა ხოსრო II ფარვიზი (გ. 628 წ.) განსაკუთრებით მფარველობდა სომხურ ეკლესიას, მან იერუსალიმისაკენ ლაშქრობისას მოიწვია მთელი თავისი იმპერიის ქრისტიანულ ეკლესიათა ე.წ. „სპარსული კრება“ და დაავალდებულა ისინი მიეღოთ „სომხური სარწმუნოება“ ანდა იმპერიის საზღვრები დაეტოვებინათ (მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. II, 2012, გვ. 126). სპარს დიდებულთა ერთი გავლენიანი ნაწილიც კი უკმაყოფილო იყო და შეშფოთდა სომხურ ეკლესიასთან ხოსროს უკიდურესი დაახლოების გამო, ამიტომაც მათ ისარგებლეს ჰერაკლე კეისრის სპარსეთში შეჭრის მომენტით – ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს 628 წელს, მაგრამ იქამდე, კირიონ II სასტიკად დაისაჯა სომხურ ეკლესიასთან დავისათვის, მას, როგორც ჩანს, 614 წლისათვის დაატოვებინეს საკათალიკოსო ტახტი. კირიონი თავისი ბრძოლის დროს ეფუძნებოდა წმიდა მსოფლიო ეკლესიის ერთიანობის ძალასა და ავტორიტეტს, ამის გამო მას უწყვეტი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო საეკლესიო ცენტრებთან. მიმოწერა ჰქონია იერუსალიმისა და სხვა ეკლესიების მეთაურებთან, რომის პაპთან.

კირიონ I საქართველოს წმიდა ეკლესიის უდიდესი მოღვაწეა, თუ არა მისი თავდადება და თავგანწირული ბრძოლა ქალკედონიტობის დასაცავად, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ქართული მრევლის დიდი ნაწილი დაკარგავდა ეროვნულ იდენტობას და არმენიზდებოდა სომხურ ეკლესიაში ისევე, როგორც მოხდა არმენიზაცია ალბანური მოსახლეობისა VII-VIII სს-ში, მას შემდეგ, რაც ისინი სომხურ ეკლესიაში გაერთიანდნენ და მათ ალბანურ ეკლესია-მონასტრებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება დაინერგა.

არმენიის ქართველთა დიდი გამოფხიზლება

კირიონმა აანთო პირველი ნაპერწკალი ეროვნული გამოფხიზლებისა, რომელიც აიტაცა ე.წ. დასავლეთ არმენიის მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ გუგარქში, კოლაში, ტაოში და კიდევ უფრო სამხრეთით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, რომლის სანაპიროსთან ახლოს მცხოვრებმა ქართველებმა ვალაშკერტის საეპისკოპოსო დააარსეს. ტაო ცენტრად იქცა.

ტაოს გარეთაც, ეროვნებაღორძინებულმა ქართულმა მრევლმა ჩამოაყალიბა სხვა ქართული საეპისკოპოსოებიც – ანისისა, კარისა (ყარსისა), დადაშენისა და სხვა ქალაქებისა, თვითშემეცნებულმა, ანუ სომხური ასიმილაციისაგან გათავისუფლებულმა ქართველებმა მიიწვიეს თავიანთ მი-

წა-წყალზე ტაოს მეფე დიდი დავით კურაპალატი, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული „ქართველთა საკურაპალატო“ განავრცო ვანის ტბამდე მცხოვრები ამ მკვიდრ ქართველთათვის.

სიხარული და ეროვნული სიამაყე ვინაობააღდგენილი ქართველებისა განუზომელი იყო, რაც გამომჟღავნდა განსაკუთრებით ათონის მთაზე ამ მხარეებიდან წამოსული ივერიელების მიერ. მათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეწეოდა იმით, რომ ქართულ ენასა და ქართულ სიტყვას მფარველობდა. სწორედ ასეთი სასწაულებრივი გამოცხადების შემდგომ მიეცა მყისიერად ქართული ენის ცოდნა პატარა ექვთიმე მთაწმიდელს.

ეროვნული იდენტობის აღორძინების სიხარულმა ააგებინა საოცარი ტაძრები ტაოსა და კლარჯეთში მკვიდრ ქართველებს, ესენი იყვნენ ნიშანსვეტები მათი ეროვნული გამოფხიზლებისა, სომხური ეკლესიისაგან დიდი გაქცევისა, მისი უარყოფისა და ვინაობის აღდგენისა. ამ გათავისუფლების დიდმა ძალამ ააგო სწორედ ამ კუთხეებში არქიტექტურის ეს შედევრები.

როგორც დაგუბებულ წყალში გროვდება დიდი ძალა და ენერგია, რომელიც ვლინდება მისი გათავისუფლების შემდეგ, ასეთი ძალით აფეთქდა ქართული კულტურა სამხრეთ საქართველოში.

კირიონის „გამოფხიზლების“ პროექტი

ქართული ენის დასაცავად კირიონის ცნობილმა კამათმა სომხურ ეკლესიასთან და ამ საკითხის გამო **განხეთქილებამ გამოაფხიზლა სამხრეთ კავკასიის პროვინციათა ის ქართველობა, რომელნიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ.**

სად განხორციელდა კირიონის გამოფხიზლების პროექტი? ანუ რომელ პროვინციებში გათვითცნობიერდნენ იქამდე სომხური წირვა-ლოცვის ქვეშ მყოფი ქართველები და აღიდგინეს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა?

გუგარქის გარდა, **ბასიანსა, კლარჯეთსა და ტაოში ქართული ენის აღდგენას რომ მისტიროდნენ სომეხი ღვთისმეტყველები, ეს ჩანს უხტანესის წიგნიდან**, რომელმაც უზარმაზარი შრომა, სავსე მოთქმა-ვაებითა და წუხილით მიუძღვნა ამ საკითხს (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975).

კირიონის მიერ „გამოფხიზლება“ მხოლოდ ქვემო ქართლს არ შეხებია, აქ უხტანესის დროს ისედაც **სომხური ტაშირ-ძორაკერტის** სამეფო ყვაოდა სომხური საეკლესიო ენით, **უხტანესი მისტირის კირიონის მიერ ბასიანის, ტაო-კლარჯეთისა და მეზობელ ოლქთა ქართველების ეროვნული იდენტობის აღდგენას.**

გამოფხიზლების ორი მთავარი სტიმული (IV-X სს.)

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ ისტორიული სომხეთის მიწა-წყალი არმენიელების შემოსვლამდე ქართული ტომებით იყო დასახლებული. მას ფაქტობრივად ეთანხმება ნ. ადონცი, რომელიც მრავალ წყაროზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისტორიულად **ქართველების საცხოვრისი ვანის ტბიდან ქართლამდე შუაზე გაჰკვეთეს არმე-**

ნიელებმა, ამიტომ არმენიელების როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით ქართველთა ქვეყნები მოექცა.

მაგალითად, ნ. ადონცის აზრით, ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ქვეყანა კორდუენი და ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველთა ქვეყნები იყო.

რაც შეეხება ქართველების დასახლებას არმენიის დასავლეთით, ის ხელუხლებლად იქნა შენარჩუნებული – იგულისხმება ქალდეველთა ანუ ჭანთა ქვეყანა.

ქალდუ ანუ „კარდუ“ – ივ. ჯავახიშვილის კვლევითაც ქართველთა ისტორიული სამშობლო ყოფილა, რომლის სახელი ქართველთა სამივე შტოს – სვანებს, მეგრელ-ლაზებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს ჰქონიათ შემონახული.

დასავლეთ და ჩრდილოეთ არმენიაში მოქცეულ იბერიის ყოფილ მიწებზე – ხორძენასა, პარიადრესა და გოგარენაში ქართველთა არმენიზაციის პროცესმა გაქრისტიანების შემდეგ რელიგიური სახე მიიღო, რაც იმით გამოიხატა, რომ ამ ქართველთა საოჯახო ენა კვლავ ქართული იყო (ან მისი დიალექტები), მაგრამ სომხური მათთვის ღვთის სადიდებელი და საღვთისმსახურო ენად იქცა (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილი, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნნი – ბერძნულენოვანნი გახდნენ საეკლესიო თვალსაზრისით).

არმენიის ქართველები სომხური ენის, ეკლესიის, შემეცნებისა და კულტურის ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

ქართველთა არმენიზაციის პროცესი სომხეთის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეებში ვერ დასრულდა არაბთა შემოსევების გამო.

სომხური კულტურული ცენტრების ძლიერების მორყევისას – არაბთა შემოსევების ეპოქაში, აღმოჩნდა, რომ დასავლეთ არმენიასა და ასევე ბასიანს, ტაოსა და მიმდებარე მხარეებში ქართველების ერთ ნაწილს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ეროვნული ცნობიერება, ნაწილობრივ კი ცოდნა ქართული ენისა და საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებისა – ერთი სიტყვით, კულტურული თავისთავადობა, რაც საფუძვლად გადაიქცა ტაოსა და ბასიანში ქართველთა თვითშემეცნების აღორძინებისა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისთვის ქართული სახის მინიჭებისა.

ასეთ ეპოქაში ქართულ ენას სიწმინდის ფუნქცია მიენიჭა.

ეს მოვლენა იყო ნამდვილი კულტურული რევოლუცია ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის.

ტაო-ბასიანის მხარეებში ქართული შემეცნებისა და ენის აღორძინების საფუძველი უნდა ყოფილიყო

1) კირიონის მიერ ქართული ენის აღორძინება გუგარქში და

2) 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრება, რამაც სომხური ეკლესია მონონაციონალურ ეკლესიად აქცია, სადაც აღარ იყო ეთნიკურ ქართველთა (ქალკედონიტთა) ადგილი და რამაც ეკლესიურად გამოაფხიზლა ქართველობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონოფიზიტურის გვერდით უფრო გამოიკვეთა სომხურ-ქალკედონური ეკლესია, რომელშიც

ქართველები მრევლად იყვნენ გაერთიანებულები, სომხური ქალკედონიტური ეკლესიის ქართული ფრთა მნიშვნელოვანი იყო, აქედანაც ქართველთა ერთი ნაწილი ეთნიკური ნიშნით განშორდა სომხურ-ქალკედონურ ეკლესიას და შეუერთდა მცხეთის დედაეკლესიას.

ეროვნულად იდენტობააღორძინებულმა ქართველობის ერთმა ნაწილმა მალე ზურგი შეაქცია სომხურ ქალკედონურ ეკლესიასაც და დედა ქართულს დაუბრუნდა.

წმ. დავით და ტარიჭანი, ისააკი და იოსები

წმ. დავით და ტარიჭანი, ქართული ეკლესიის წმიდანები, უწამებიათ VII საუკუნეში, ტაოს ქვეყანაში, ნერსე სომეხთა კათალიკოსის სამწყსოში, სოფელ დუვში. „ცხოვრების“ მიხედვით, მათ კავშირი ჰქონდათ სომეხთა ქვეყანასთან. მიუხედავად ამისა სომხური ეკლესიისათვის ისინი უცნობები არიან, ისინი არ არიან სომხური ეკლესიის წმიდანები, და არიან, როგორც აღინიშნა, ქართულისა. რა იყო ამის მიზეზი?

არსებობს მეორე მსგავსი მაგალითიც, მიჩნეულია, რომ არზრუმი, ყოფილი თეოდოსიოპოლი, რომელიც ქართულად კარნუ ქალაქად იწოდებოდა, სომხეთის ქვეყანაში მდებარეობდა, 808 წელს აქ უწამებიათ ისააკი და იოსები, მათი ეთნიკური ვინაობის შესახებ გვაუწყებს ზედწოდება „ქართველნი“.

საქართველოს საეკლესიო კალენდარში 16 სექტემბერს იხსენიებიან **„მოწამენი ისააკ და იოსებ ქართველნი, კარნუ ქალაქის წამებულნი 808 წელს“.** უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კარნუქალაქელნი იყვნენ, ეთნიკური ქართველები, რომელნიც IX ს-ში არაბებმა აწამეს. XI ს-ში კონსტანტინე პორფირგენეტის ცნობით კარნუქალაქელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიელებს, რის გამოც ალყაში მოაქციეს და მოქალაქეები შიმშილით სიკვდილისათვის გაიმეტეს, ქართველთა ჯარი კი მათ იცავდა ბიზანტიელთა ალყით გამოწვეული შიმშილობისას, ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით.

აქედანაც ჩანს, რომ როგორც IX ისე X საუკუნეში არზრუმი (კარნუ-ქალაქი) ქართველებით იყო დასახლებული, არზრუმი „კარინის“ ქვეყნის მთავარი ქალაქი იყო. ამ ქვეყანაში ჰქონდა მამულები თორნიკე ერისთავს, სომეხი ისტორიკოსების აზრით, თორნიკე ამქვეყნელი იყო, აქვე მდებარეობდა ცნობილი ქართული სკრიპტორიუმი ერთ-ერთ ქართულ მონასტერთან.

მაშასადამე, ისააკი და იოსები ქართველ წმინდანთა რიგში მოხვდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობის (ქართველობის) წყალობით, მსგავსადვე, დავით და ტარიჭანი წამების შემდეგ ქართველ წმინდანთა რიგში ჩაწერეს, ისინიც ეთნიკური ქართველები, ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ, რადგანაც არა მხოლოდ ტაო, არამედ კარინი და ბასიანიც ქართველთა ქვეყნებად მიიჩნეოდა IX-X სს-ში.

ახალი ერა სომხეთის ეკლესიის ისტორიაში

726 წელს შედგა მანასკერტის კრება იოანე ოძუნელის დროს. ამ კრებამ ახალი ერა შექმნა სომხური ეკლესიის ისტორიაში (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში. 1908, რუს. ენაზე, გვ. 338) და ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (იქვე). **„აღადგინა სომხური საეკლესიო ტრადიციები დარღვეული VII ს-ში ქალკედონიტების მიერ“** (იქვე, გვ. 338).

მეორე მხრივ, რაც ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, **ამ კრებამ გამოაფხიზლა სომხეთის ქართველობა**.

კირიონის დაუვიწყარი ღვაწლი საეკლესიო მსახურებისას ქართული ენის გამოყენების შესახებ კვლავ გაიხსენეს ამ კრებით შეშფოთებულმა ქართველებმა.

ისინი, ტაოსა და ბასიანის ქართველობა, ძირითადად ქალკედონიტები იყვნენ და ამიტომ მათ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნდათ დასაშვებად, თუკი სომხური ეკლესია ქალკედონიტური მიმართულებისა იქნებოდა, 726 წლის კრებამ კი ამ ეკლესიის მონოფიზიტური მიმართულება დაადგინა. ამიტომაც მათ **დაიწყეს გზების ძიება სომხური ეკლესიისაგან თავის დასახსნელად**.

კირიონის ბრძანებანი ქართული ენის გამოყენების შესახებ წინაპრის მოწოდებად იქცა – მოწოდებად, რათა **სომხეთის ქართველობა განშორებოდა უკვე არაქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას და დაბრუნებოდა ეროვნულ ქართულს – მართლმადიდებლურს**.

არსენი საფარელი ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობებს შესახებ VI–VII საუკუნეებში

(„განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“)

უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსეს ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ კონსტანტინოპოლში და კვლავ გამოწვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ. ხოლო მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს: არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდი აფუებულ პურს ეწოდებდა, თერმონი წყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელნიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ ინებეს წასვლა. **ხოლო ტაოს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე. ყველამ ერთობით აღიარა ქრისტეს ჭეშ-**

მარიტი ორი ბუნება. დაწერეს ფიცი ბერძნებთან ერთობის შესახებ და წამოვიდნენ. როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეიწყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელნიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ და გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად. ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად იოანე კოგოვიტელი (590-611).

V მუხლი – ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელიც აბდიშო ასურის ხელით ჩაატარეს და რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. ამ კრებამ სომხური ეკლესია ჩამოაცილა ოთხ მსოფლიო საპატრიარქოს, ამით კი დაირღვა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი კესარიის ეკლესიისადმი, რომ სომხური ეკლესია უკუნისამდე არ განშორდებოდა კესარიის ეკლესიაში სომეხი ეპისკოპოსების ხელდასხმას (სომხეთი კი კესარიის ეკლესიაში ხელდასხმას განშორდა იმის გამო, რომ სპარსთა მეფისგან მიიღო ბრძანება, თვით სომხეთშივე ხელი დაესხათ ეპისკოპოსებისათვის). როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა (591-615), ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ქართველნი ამბობდნენ, რომ წმიდა გრიგოლმა საბერძნეთიდან მოგვცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, მისი წმიდა ანდერძი უარყავით და აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენითო. ამ მხილების შემდეგ **სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს საბერძნეთის სარწმუნოება აქვთო. ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნერსე II-ის დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც. ამ დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა არარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ.**

VI მუხლი – აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად კომიტასი (607-629), რომელიც ძალზე მდიდარი იყო, შესამოსლის მოყვარე, ბივრილის პატიოსანი თვლებით ამკობდა კვერთხის თავებს. ეს უფრო მეტად მოძულე იყო ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ. გამოძებნა ვინმე დაწყევლილი იოანე მაირაგომელი, აღჭურვა ქალკედონიანობის საწინააღმდეგო წიგნებით და აღუთქვა მის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები,

გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს. ყველაფერი ეს კომიტას კათალიკოსმა განცოფებული იოანე მაირაგომელის ხელით გააკეთა. შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ქრისტეფორე დაჯდა (628-630), რომელიც მაირაგომელის მტერი იყო. გამწარდა სულით იოანე, შემდეგ კი გაიხარა, რადგანაც კათალიკოსი გადააყენეს, მაგრამ მას მაინც არ მისცეს საკათალიკოსო ტახტი. კათალიკოსად ეზრა (630-641) დაჯდა. უფრო შეწუხდა მაირაგომელის მზაკვარი სული. ასეთი მზაკვარება პირველად მოხსენებული კომიტასის გამო მოხდა, შედეგად მაირაგომელის წვალების სწავლებით აივსო მთელი სომხეთი.

აქედან ჩანს, რომ სომხურ ეკლესიას აირარატის ოლქიც განშორდა VII ს-ის დასაწყისში, ჩანს, ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით, რადგანაც, იმ ეპოქაში არარატის ანუ არაქსის ხეობის მკვიდრ ქართველთა არმენიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული (შესაბამისად, ქართველი კირიონი არარატის ოლქის საეკლესიო მმართველი იყო), თუმცა მალევე ეს პროცესი დასრულდა.

არასწორი თეორიები იბერებისა და სომეხი ქალკედონიტების შესახებ

ვიკიპედიასა და, ზოგადად, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ამჟამად დამკვიდრებულია უმართებულო, არასწორი თვალსაზრისი, თითქოსდა, ივერები (ივირები) ეწოდებოდათ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ სომეხ ქალკედონიტებსაც და ამასთანავე, იბერიის თემის მცხოვრებთაც (იბერიის თემის მცხოვრებლებად ეთნიკურ სომხებს მიიჩნევენ). როგორც წესი, აღნიშნული მოსაზრების წყაროებად უთითებენ არა ძველ ავტორებს, არამედ ძირითადად ვ. არუთინოვა-ფიდანიანის შრომებს (მაგალითად, მის გრიგოლ პაკურიანის ტიპიკონს, ერევანი, 1978, ანდა ნინა გარსოიანს, რომელმაც 1977 წელს ნიუ-იორკში გამოსცა თავისი წიგნი).

სომეხი ქალკედონიტების ივერებად მოხსენიებას საფუძველი დაედო XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როცა ნიკო მარმა პირველად უწოდა ეგრეთწოდებული სომეხ ქალკედონიტებს ივერები. ვ. ფიდანიანის სიტყვით ნიკო მარმა სომეხი ქალკედონიტები გამოიყვანა ლეგენდების სფეროდან, კერძოდ, თითქოსდა, ნიკო მარს მოუგროვებია ყველა ცნობა, ასევე ეპიგრაფიკული და არქეოლოგიურ მონაცემები და ასე დაუწერია სომეხი ქალკედონიტების შესახებ თავისი ნაშრომი, რომლის საფუძველზეც ტაოს, მისი მიმდებარე რეგიონების, ასევე კლარჯეთის მკვიდრი ქართველობა ცხადდება სომეხ ქალკედონიტებად, შესაბამისად, ამ მხარეთა ქართული კულტურა, ეკლესია-

მონასტრები – სომხურად. და ამ მხარეებიდან გამოსული წმინდა მამები და მოღვაწეები ეთნიკურ სომხებად (იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები, თორნიკე ერისთავი და მისი საგვარეულო ჩორდვანელებისა. გრიგოლ ბაკურიანის ძე და სხვა ქართველი დიდებულები ეთნიკურ სომხებად ცხადდებიან. მათი მტკიცებით, ისინი ქართველები იყვნენ არა ეთნიკურად, არამედ მხოლოდ საეკლესიო-კულტურული თვალსაზრისით მათი მართლმადიდებლური აღმსარებლობის გამო). ცხადია, ეს არის თეორია, რომელიც ამჟამად იწოდება „ქართიზაციის თეორიად". ყველა სტატიაში, რომელიც კი სომეხ ქალკედონიტებს ეძღვნება საინტერნეტო სფეროში აღნიშნულია, რომ ნიკო მარმა თავისი ეს აღნიშნული თეორია პირველად წამოაყენა სტატიაში – „аркаун Монголъское Название христиан в связи с вопросом об армянах – халкидонитах" (1906 წ.). ამ სტატიაზე დაფუძნებით შესაბამის ცნობარში წერენ – „სომეხი-ქალკედონიტების ფენომენი პირველად აღმოაჩინა აკადემიკოსმა ნ.ი. მარმა" („სომეხი-ქალკედონიტები", ფონდ „ჰაიაზგის" ენციკლოპედიის მასალა).

იქვე აღნიშნულია, – „გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ (ნ.მარმა) თავის ამ ნაშრომში გამოიკვლია, რომ სომხეთში ქალკედონიზმი იყო ცოცხალი, პროგრესული რელიგიურ-კულტურული მოძრაობა და სომეხი ქალკედონიტები აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სომხეთში მართლმადიდებლური თემის ისტორიისა და კულტურის შესწავლა გაგრძელდა მთელი XX საუკუნის მანძილზე სხვადასხვა მკვლევრების მიერ. სომეხ-ქალკედონიტების შესახებ წერდნენ, ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, პ. ხარანისი, რ. ბარტიკიანი, პ. მურადიანი. ნ. მარის მრავალი შრომა მიეძღვნა სომხურ-ქალკედონიტურ ძეგლებს, რომელნიც სომხურიდან ქართულად ითარგმნა. სომეხ ქალკედონიტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ წერდნენ ი. აბულაძე, ნ. აკინიანი, პ. მურადიანი, ა. კაზარიანი. არსებობს შრომები ნ. ადონცისა და ი. აკინიანისა ჩორდვანელის, ვარაზ ვაჩეს, თორნიკესა და საერთოდ ტაოელ სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ და ასევე სასუნელი თორნიკიანების შესახებ" (იქვე, გვ. 2/2).

საბოლოოდ, მთელი მსჯელობანი და მოსაზრებანი ჩამოთვლილი ავტორებისა მიდის იქამდე, რომ თითქოსდა, ტერმინი „ივირი" გამოიყენებოდა არა მხოლოდ ეთნონიმად, არამედ ივერიის თემის მცხოვრებთა აღსანიშნად და ასევე გამოიყენებოდა კონფესიონალურად, კერძოდ კი, ივირებად (ივერებად) იწოდებოდა „როგორც წესი, ქართულ ეკლესიას მიკედლებული სომეხი ქალკედონიტები". ამის თვალსაჩინოდ მოჰყავთ შემდეგი მაგალითები –

„1. ანა კომინა არაორაზროვნად უწოდებს გრიგოლ ბაკურიანს სომეხს, დიდებულთა გვარიდან, ხოლო მათეოს ურჰაეცი – მას ქართველს უწოდებს, ამავე დროს, თვითონ (გრიგოლ ბაკურიანის) მიერ შედგენილი ბაჩკოვის მონასტრის წესდებაში ის თავის თავს ეთნიკურ ივერს უწოდებს, მაშინ, როცა იქვე ნათქვამია, რომ ეს წესდება შედგენილია რომაელთა, ივერთა და სომეხთა ენებზე და მან ხელი მოაწერა სომხური ასოებით.

2. ანისის ტაძრის წარწერაში ბაგრატ ვხკაცი – ივერად იწოდება, ამავე დროს, ბერძენ ავტორთა მიერ ის სომხად იწოდება. ამავე დროს, მის (ბაგ-

რატის) შვილს სმბატს მათეოსი სომეხად მოიხსენიებს, ჩანს, მხედველობაში ჰქონდა სმბატის დაბრუნება სომხური ეკლესიის მიმდევართა რიგებში.

3. მათეოს ურჰაეცი ამბობს, რომ, როცა ვასილ აპუკაპი დაბრუნდა ედესაში, სომხები ხარობდნენ, აქედან ჩანს, რომ ის სომეხი იყო, მაგრამ ის (მათეოს ურჰაეცი) ვასილს პირდაპირ რომაელს უწოდებს, მხედველობაში ჰქონდა ან მისი ადმინისტრაციული ფუნქციები, ანდა ქალკედონიტობა.

4. ამ აღნიშნული ვასილის ძმა – ფარსმანი ივერად იწოდება სიკლიცას მიერ, ხოლო ატალაიტეტი მას სომეხს უწოდებს“ (სომხური ფორუმი „ვარდანანქი“, გვერდი „ივერები“).

ამ მაგალითებიდან უმართებულოდ ასკვნიან, რომ, მაგალითად „მათეოს ურჰაეცი მრავალ წმინდა სისხლის სომეხს „რომაელს“ ანდა „ივირს“ უწოდებს, ამ დროს მხედველობაში აქვს, რომ ისინი სომეხი ქალკედონიტები არიან, მიკედლებულნი ან ბერძნულ, ანდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას“ (იქვე, გვ. 2/3).

იქვე ამ გვერდზე ამატებენ შემდეგს – „ეთნიკონმა „ივირმა“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოაძევა ტერმინი „სომეხი“ (იქვე, გვ. 2/3). მაგალითად კვლავ გრიგოლ ბაკურიანის ძე მოჰყავთ, თითქოსდა, ის იყო სომეხი, რომელმაც ქართული იცოდა. მათ მიერ სრულად გაბათილებულია მათეოს ურჰაეცის ცნობა, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს ტომით ქართველს უწოდებდა და, რაც მთავარია, თვით გრიგოლისავე ცნობა, რომელშიც ის თავის თავს ივერთა ბრწყინვალე გვარიშვილს უწოდებს, და მას თავი მოჰქონდა, რომ ის მთელი ცხოვრების მანძილზე მხნე ქართველი მეომარი იყო.

სამხრეთ საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში, ძირითადად ტაოკლარჯეთში მცხოვრები ქართველების სომეხ-ქალკედონიტებად გამოცხადება გაამყარა ძალზე დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ორგანომ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“. ვიკიპედიის სტატია „სომეხი-ქალკედონიტები“ ამის შესახებ მიუთითებს ამონარიდს ამ ორგანოდან – „საქართველოს მოსაზღვრე სომხეთის რაიონებში მცხოვრები სომეხი მართლმადიდებლები ხდებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური დაქვემდებარების ქვეშ“ – „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ (ტ. III, მოსკოვი, 2001, გვ. 326).

აქვე აღნიშნულია, „XI ს-ის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკების შემოსევებმა, რომლებმაც ბიზანტიურ ყოფნას არმენიაში ბოლო მოუღო, აიძულა სომეხი ქალკედონიტები თანდათანობით გადასულიყვნენ საქართველოს საკათალიკოსოში და XIII ს-ში მათი საეპისკოპოსო კათედრები უკვე „ქართულად“ მიიჩნეოდნენ“ (იქვე, გვ. 327).

ამ თვალსაზრისის უმართებულობა თუნდაც ა. ლასტივერტეცის შრომიდან ჩანს. ის (ლასტივერტეცი) ამბობს, რომ როცა საეკლესიო სიწმინდეები ანუ „ანისის ჯვრის ლურსმნები“ ბასიანელმა ქართველებმა შეურაცხყვეს, ეს გახდა მიზეზი მათი სასტიკი დასჯისა, მათ დამსჯელად მოევლინათ ბასილი ბულგართმმუსვრელი. ის შეიჭრა მათ ქვეყანაში ანუ იბერიაში (ე.ი. ტაო-ბასიანში) და სასტიკად დასაჯა ანისის ეკლესიის შეურაცხმყოფელი ხალხი, დახოცა დიდძალი მოსახლეობა და დაანგრია იქამდე აყვავებული ივერთა ქვეყანა (ტაო-ბასიანი, საერთოდ დავით კურაპალატის ყოფილი სამეფო),

თვით ამავე ავტორის, ლასტივერტეცის სიტყვით, თურქ-სელჩუკებამდე თეოდოპოლიოს ბასიანის რეგიონში მრავალი ქართველი ცხოვრობდა და მათ შესაბამისი ქართული საეპისკოპოსოებიც ექნებოდათ, თუმც კი წყაროები მათ შესახებ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ეს ხელს არ უშლის ამ ორგანოს (პრავოსლავნაია ენციკლოპედიას), რათა ოშკი სომეხ-ქალკედონიტთა მონასტრად წარმოადგინოს, ხოლო ფოტოზე, რომელსაც მიწერილი აქვს სიტყვები – „ავანის ეკლესია“, სინამდვილეში, მცხეთის ჯვრის ეკლესიაა გამოსახული. პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში სომეხ-ქალკედონიტების შესახებ დასტამბული სტატიის ავტორია ვ. არუთინოვა-ფიდანიანი.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სტატიაში „სომეხი-ქალკედონიტები“ თვითვე აღნიშნავს – „სომეხ-ქალკედონიტთა შესწავლის სირთულე აიხსნება წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიძნელეებით: სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვაენოვან (სომხურ, ბერძნულ, ქართულ, სირიულ და არაბულ) წყაროებში და ასევე სხვადასხვა ჰეტეროგენურ წყაროებში (ისტორიულ ქრონიკებში, წმიდათა ცხოვრებებში, საღვთისმეტყველო და პოლემიკურ ტრაქტატებში, ეპიგრაფიკასა და ა.შ). თუმცა კი არც ერთ მათგანში არ არსებობს რაიმე პირდაპირი ანდა ობიექტური ინფორმაცია სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ. საერთოდ სომეხ-ქალკედონიტთა კუთვნილი ნაწარმოებები ცოტა შემორჩა, ესენია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ანტიმონოფიზიტური საღვთისმეტყველო დოკუმენტები, ისტორიულ პოლემიკური თხზულება „თხრობა სომეხთა შესახებ“, სომეხი ანონიმი ავტორისა (VII ს. I ნახევარი) და გრიგოლ ბაკურიანის (XI ს.) ტიპიკონი და სხვა ნაწარმოებების რიგი“ (ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, სომეხი-ქალკედონიტები, პრავოსლავნაია ენციკლოპედია).

აქედან კარგად ჩანს, რომ თვით ყველაზე ტენდენციური ვ. ფიდანიანის აღიარებითაც კი სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ არ მიუთითებს არც ერთი წყარო. ამ მიზეზის გამო წყაროთა საოცარ არქონას ავსებენ მაგალითად, ისეთი თხზულებით, როგორიცაა პეტრიწონის ტიპიკონი, რომელიც სომხურ ქალკედონიტურ თხზულებად ცხადდება უსაბუთოდ.

ა. ფიდანიანის ტენდენციურობისა და არაკორექტულობის შესახებ კარგად მიუთითა თავის რამდენიმე ნაშრომში ისტორიკოსმა სტეპანენკომ „ბიზანტიისკიი ვრემენიკის“ 59-ე ტომში. ამ ტომში დაბეჭდილია ვ. სტეპანენკოს ნაშრომი, რომლის სათაურია: „სომეხი-ქალკედონიტები XI ს-ის ბიზანტიის ისტორიაში (ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნის გამო)“.

ამ ნაშრომში სტეპანენკომ მკაცრად გააკრიტიკა ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნი „სომხურ-ბიზანტიური საკონტაქტო ზონა (X-XI სს.). კულტურათა ურთიერთქმედებათა შედეგი“ (მოსკოვი, 1994, რუს. ენაზე).

სტეპანენკო წერს – „ფიდანიანის ამ ნაშრომმა უფრო მეტი კითხვა წარმოშვა, ვიდრე გასცა პასუხები, მისი მიზეზია, არა მხოლოდ მკვლევარის საკუთარი შეცდომები, რომელნიც ნათელია, არამედ ის, რომ არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული გასაგები აპარატი ეთნოკულტურული პროცესების შესასწავლად, საჭიროა სხვა მიდგომები, სხვა მეთოდიკა და არა ის, რაც

დემონსტრირებულია ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნში“ (В.П. Степаненко, Армяне-халкедониты в истории византи XI в. Византииский временик. Т. 59, с. 60).

სტეპანენკო აგრძელებს – „საჭიროა მონაცემთა ბაზის შექმნა სომეხი ქალკედონიტების შესახებ ბიზანტიასა და საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ტერიტორიების ნაწილი X ს-ში აღმოჩნდა იმპერიის შემადგენლობაში. ეს მკვეთრად შეამცირებს ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობას. ფესვები ეთნოპოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც შეიქმნა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან X ს-ში, უნდა ვეძიოთ მისი ისტორიის უფრო ადრინდელ პერიოდებში“ (ვ. სტეპანენკო, დასახ, ნაშრ, გვ. 61) .

IX-XI სს-ში იმპერიის აღმოსავლეთით (ისტორიული საქართველოს სამხრეთში) შექმნილი ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული სიტუაციის ფესვებს პირადად ჩვენ ვეძებთ არა მხოლოდ VI-VIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით ადრეულ პერიოდში. ამ საკითხების რკვევას ეხება ჩვენი წიგნი „არიან-ქართლი“. საჭიროა წინა საუკუნეთა პერიოდების კვლევა აღნიშნულ ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ საკითხის შესასწავლად. სამწუხაროა, რომ ქართველი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ელიტამ მთლიანად გაითავისა ნ. მარის „ქართიზაციის“ თეორია. ისინი, როგორც თუნდაც ვ. სტეპანენკო, დარწმუნებულები არიან, რომ იმპერიის აღმოსავლეთის ე.წ. „საკონტაქტო“ ზონა ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული, რომელთა გაქალკედონიტებით, თითქოსდა, მათი გაქართველება ხდებოდა. ასეთი მოსაზრება კი წარმოიქმნება „ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მანიპულირებით“.

როგორც აღინიშნა, თვითონ ვ. არუთინოვა-ფიდანიანი წერს, რომ არ არსებობს რაიმე წყარო, რომელშიც პირდაპირი და ობიექტური ინფორმაცია იყოს იმის შესახებ, რომ ივერები (ივირები) ეთნიკურად სომხები იყვნენ. სინამდვილეში, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ქართველები ანუ ივერები სომეხ-ქალკედონიტებად გამოაცხადეს ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მანიპულირების შედეგად, პირველი მაგალითი მათ ნიკო მარმა მისცა, როცა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობილი ფრაზა („ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების“, სადაც ქართული ენით წირვა-ლოცვა ხდება), გააუკულმართა მასში იმ აზრის ჩადებით, თითქოსდა, ვინცკი ქართული ეკლესიის წევრი ხდებოდა, ყველას ქართველს უწოდებდნენ. ასევე ესმის ეს ფრაზა ამჟამინდელი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების დიდ ნაწილს. სინამდვილეში, კი ჯერ კიდევ ბიზანტიელთა მიერ იმიერტაოსა და მიმდებარე ქართული მიწების ანექსიამდე, იქ ჩამოყალიბდა ქართული საეკლესიო ერთეული, რომლის სახელწოდებაც იყო „აღმოსავალის“ ანუ „მეორე ივერიის საკათალიკოსო“, რომელსაც თავისთავადი კათალიკოსი ჰყავდა. ამ უკანასკნელთ ქართულ სამყაროში „აღმოსავალის კათალიკოსებს“ უწოდებდნენ, „აღმოსავალს“ არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ ანტიოქია-იერუსალიმის საპატრიარქოებიდან ჰქონდათ თავისთავადობა მინიჭებული და შესაბამისად, მათ მირონს იქიდან უგზავნიდნენ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ ეფ-

რემმა იზრუნა და იღვაწა, რათა ამ მეორე ივერიის ანუ „აღმოსავალის“ კათალიკოსებს მირონი მიეღოთ არა ანტიოქია-იერუსალიმიდან, არამედ თვითვე, ადგილზევე ეკურთხებინათ, რადგანაც ეს ქვეყანაც იგივე ქართლია. მეორე ივერიაც ქართლია, ქართველების ქვეყანაა, აქაც ქართულად აღევლინება წირვა-ლოცვა, როგორც მცხეთის ქართლის ვრცელ ქვეყანაში. ალბათ, ასე უნდა გავიგოთ ეს აღნიშნული ცნობილი ფრაზა. თვით ვ. ფიდანიანიც ეხება საკითხს, რომ „ივერიის თემს“ – „აღმოსავლეთს“ უწოდებდნენ – „Сведения нарративных источников приводит к тому что востоком объявляется фема иверя“ (К. Юзбашян, Армианское государства... с. 185.193).

მაშასადამე, ივერიის თემს ანუ იმ მიწა-წყალს, სადაც ეს თემი (ფემა) წარმოიქმნა „აღმოსავლეთი“ ერქვა ქართულ წყაროებში, შესაბამისად, მის ქართველ კათალიკოსებს „კათალიკოსნი აღმოსავალისანის“ უწოდებდნენ. აღმოსავალის ქართული საკათალიკოსოს საეკლესიო თავისთვადობა VIII ს-ში აღიარა ანტიოქიამ (ეს საკითხი განხილულია ამ წიგნის სხვა თავებში), მას შეეხება გრიგოლ ხანძთელის ცნობა „ქართლის ქვეყნის ფრიადობის“ ანუ სიდიდის შესახებ. მცხეთის ივერია ამ მეორე ივერიასთან ერთად მართლაც დიდი ქვეყანა იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ისიც (მეორე ივერიაც) ქართლია, ისიც დიდი ქართლის ნაწილია, ამის მაგალითად გიორგი მერჩულეს მოჰყავს ის, რომ აქაც ქართულად აღევლინება წირვა-ლოცვა. ასეთი უნდა იყოს ნ. მარის მანიპულირების შედეგად სასტიკად დამახინჯებული ცნობილი ფრაზის პათოსი და არა ის, რომ სომხები ქართველდებოდნენ ანუ ივერიელებად იქცეოდნენ ქალკედონიტობის აღიარებით. ეს მოსაზრება იმდენად არის გამჯდარი, რომ სამწუხაროდ, ვ. სტეპანენკოც კი მიიჩნევს, ამ მხარის მოსახლეობას წარმოშობით სომხურად, რომელნიც შემდეგ მთლიანად გაქართველდა, მის მიერ არუთინოვა-ფიდანიანის კრიტიკა კი იმით გამოიხატება, რომ ამ უკანასკნელს უწუნებს კვლევის მეთოდებს, ამჩნევს მის შეცდომებს, არაკორექტულობას, სიცრუეს სხვადასხვა ფაქტების გადმოცემისას და სხვა. საბოლოოდ კი ცდილობს უფრო მაღალ სიმაღლეზე აიყვანოს „სომეხ-ქალკედონიტთა“ ისტორიის კვლევის საქმე. შესაბამისად, სტეპანენკო ვ. ფიდანიანის მიმართ ხშირად ხმარობს ფრაზებს – „მისი მტკიცება დაუსაბუთებელია, „бездоказательно“ (იქვე, გვ. 48), „ავტორს პასუხი არა აქვს“ – „ответа на даннии вопрос автор не дает“ (იქვე, გვ. 50). კერძოდ, საკითხი შეეხება ვ. ფიდანიანის მტკიცებას, თითქოსდა, არსებობდა „სომეხ-ქალკედონიტთა ეთნოსი“. სინამდვილეში, ეს ეთნოსი იყო ივერები ანუ ქართველები, რომელნიც იქამდე, ანუ ტაოს სამეფოს დაარსებამდე, შეადგენდნენ მრევლს სომხური ეკლესიისა და მანასკერტის 726 წლის კრების შემდეგ კი დაუბრუნდნენ დედაქართულ ეკლესიას. სტეპანენკო აგრძელებს ფიდანიანის კრიტიკას ასეთი სიტყვებით – „მცდარია“ – ошибочно“ (იქვე, გვ. 51), ანდა „დაუსაბუთებელია – „представлятся необоснованным“ (იქვე, გვ. 53). (კერძოდ, საკითხი შეეხება იმას, რომ თითქოსდა, ე.წ. ბიზანტიურ „საკონტაქტო“ ზოლში „ძირითადად ერთმანეთს ხვდებოდა ორი ეთნიკური მასა – სომხებისა და ბერძნების“. სტეპანენკოს აზრით აქ იყო მესამე ეთნიკური მასაც – ქართველებისა). ასევე უწოდებს ფიდანიანს – „არაკორექტულს“ და წერს – „К сожалению пред-

ложенное иследователъницои решение проблемы: Армяне-халкидонити историко-културный феномен контактной зоны, представляется нам некорректным“.

ფიდანიანი თავის გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ იქამდე საგანგებოდ არ იყო გამოკვლეული ეთნიკური თვითშემეცნება სომეხი-ქალკედონიტებისა, რომ სომეხ-ქალკედონიტთა განმასხვავებელი ნიშანია მათი მართლმადიდებლობა, მაგრამ ავიწყდება, რომ მართლმადიდებლობა ძირითადად ბიზანტიური ფენომენია, ამიტომაც ისმის კითხვა, მართლმადიდებელი სომხები ბიზანტიაში, მართლმადიდებელთა უმთავრეს სამყაროში, რატომ უწოდებდნენ თავიანთ თავს „ტომით, წარმოშობით, ნათესავით ქართველს“! თუ მართლმადიდებელი მრწამსი განსაზღვრავდა ეთნიკურ ვინაობას, მაშინ მართლმადიდებელ სომხებს ბიზანტიაში თავიანთი თავი ბერძნებად უნდა წარმოედგინათ და არა ქართველებად. ფიდანიანი ამტკიცებს, თითქოსდა, სომეხი-ქალკედონიტები „უარყოფდნენ სომხურ ენასა და ღვთისმსახურებას“, თუმცა სხვა ნაშრომში აღნიშნავს, რომ სომეხი ქალკედონიტები ამაყობდნენ თავიანთი (სომხური) წარმომავლობით, სად არის მართალი ამ შემთხვევაში მკვლევარი, სომეხი ქალკედონიტები უარყოფდნენ თუ არა სომხურ ენასა და კულტურას? სინამდვილეში კი სომხურ ენას მხოლოდ ამ მხარეთა ის ეთნიკურად იბერიელი ანუ ქართველი პირები უარყოფდნენ, რომელთაც 726 წლის შემდეგ გადაწყვიტეს შეერთებოდნენ მშობლიურ-ქართულ ეკლესიას, ხოლო ეთნიკური სომხები ან შეუერთდნენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას, ანდა შეინარჩუნეს სიყვარული თავიანთი სომხური წარსულის მიმართ, რასაც შენიშნავს კიდეც მკვლევარი.

სამწუხაროდ, 1071 წლის შემდეგაც, რაც მათი მიწა-წყალი თურქ-სელჩუკების ხელში გადავიდა, მრავალი ქართველი (ანუ ეთნიკური ივერი), ყოფილი იბერიის თემიდან გადასახლდა კილიკიაში, სადაც კვლავ გაგრძელდა მათი არმენიზაციის პროცესი (აქ ბაკურიანისძეების ნაწილიც კი გადასახლებულა), ამასთანავე ადგილზევე (ყოფილ იბერიის თემის მიწაზე) დარჩენილი ეთნიკური ივერებიც კვლავ მოიქცნენ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში, რასაც მათი საღვთისმსახურო წიგნებიც მიუთითებს, რასაც იკვლევდა, ოღონდ თავისებურად, რ. ბარტიკიანი. მიუხედავად ამისა ამ წიგნებში ამ კიდევ ერთხელ არმენიზებული ივერების ქართული ფესვები თურმე მაინც ნათლად ჩანს. ასევე მიუთითებენ ევფრატისპირეთში იბერების ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ ედესაში ქართული კოლონიის არსებობა დასტურება ვ. გოილაძის კვლევებით. ფიდანიანის აზრით იბერიის თემში წირვა-ლოცვა, თითქოსდა, ქართულ ენაზე აღესრულებოდა ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ შორის, და მხოლოდ ამის გამო ეწოდებოდათ მათ „ივერები“. სინამდვილეში, როგორც ჩვენი გამოკვლევა აჩვენებს, იბერიის თემში წირვა-ლოცვა იყო არა ქართულ ენაზე, არამედ ბერძნულად, თუმცა ძალიან ეცადნენ ქართველი მამები და დიდხანს იბრძოლეს, რათა ბიზანტიას ნება დაერთო, ივერიის თემში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ყოფილიყო. ამისთვის იღვწოდა ზაქარია ვალაშკერტელი, ათონის მთის მამები, მაგრამ უშედეგოდ, ივერიის თემში, საბოლოოდ, წირვა-ლოცვა ბერძნულად იყო. მიუხედავად ამისა, ივერიის თემის მოსახლეობა თავის თავს „ივერებს“ უწოდებდა. როგორც ეს

მრავალი მხრიდან ჩანს, ფიდანიანის თვალსაზრისი ამ მხრივ უსაფუძვლოა. ბიზანტიაშიც ცნობილ იბერებს, მაგალითად, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, წირვა-ლოცვა თავისი მრავალი ლაშქრობისას, ცხადია, ბერძნულად ჰქონდა, მაგრამ ის მაინც თავის თავს „ქართველს“ უწოდებდა. ფიდანიანის აპელირება მხოლოდ წირვა-ლოცვის ენაზე უსაფუძვლოა. ამ ხალხს დიდი ქართული წარსული ჰქონდა, მათ თავადვე კარგად იცოდნენ ეს, თუმცა კი „არმენიაში ცხოვრობდნენ“. აღნიშნავენ, რომ მრავალი ასეთი „ივირი“ იყო ბიზანტიურ არისტოკრატიაში, ცხადია, მათი საეკლესიო ენა ბერძნული იყო, მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთ თავს ქართველებს უწოდებდნენ, მათი მემატიანეებიც მათ „ივერებს“ ეძახდნენ. ივერიის თემიდან ბიზანტიაში ჩასულთ, თითქოსდა, ყველას „ივირი“ ერქვა. ივერიის თემი ამ ოლქს მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, ეთნიკური ივერიელობის გამო ეწოდა. ისინი იყვნენ ვინაობააღდგენილი, იქამდე არმენიზებული მოსახლეობა. ცხადია, მათ ივერები ერქვათ ეთნიკური წარმომავლობის გამო.

სტეპანენკო წერს, რომ ფიდანიანი ფაქტებით უმართებულოდ მანიპულირებს (იქვე, გვ. 57). კერძოდ, საქმე ეხება ჩორდვანელთა საგვარეულოს, თორნიკე ერისთავს, ასევე გრიგოლ ბაკურიანის ძეს (მასალა ფაქტობრივად არც კი გააჩნიათ, მაგრამ ფაქტების გაყალბებით საერთაშორისო ასპარეზზე დანერგეს თავიანთი თვალსაზრისი).

ჩორდვანელების საკითხი (სხვა სტატიაში) საგანგებოდ გამოიკვლია ვ. სტეპანენკომ. არუთინოვა-ფიდანიანის დასკვნით გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო ეთნიკურად სომეხი, რადგანაც მან, თითქოსდა, თავის ტიპიკონს ხელი სომხური ასოებით მოაწერა, ამასთანავე, ტიპიკონი სომხურ ენაზეც დაიწერა, თუნდაც ასე იყოს, ეს მაინც ეთნიკური ვინაობის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი (მისი ცოლი) ერთმანეთს წერილებს რუსულ ენაზე წერდნენ და ამის გამო ისინი რუსებად უნდა ჩაითვალონ? ანდა თავის საბანკო წესდებას იგივე ილია ჭავჭავაძე, რადგანაც რუსულ ენაზე წერდა ის ამის გამო რუსია?

სომხური წერა-კითხვის ცოდნასთან დაკავშირებით, ჩვენ ამ ნაშრომში გამოვიკვლიეთ, რომ VII-VIII სს-ში, როცა აღნიშნულ მხარეთა ივერები აღმოჩნდნენ სომხურ-ქალკედონურ საეკლესიოს სამრევლოში, ცოდნა-განათლებას იღებდნენ სომხურად, ამის გამო მათ კარგად იცოდნენ სომხური წერა-კითხვა, მაგრამ თანდათანობით სწავლობდნენ ქართულსაც. 726-იანი წლების პირველ ხანებში და IX-X საუკუნეებშიც ამ მხარეებიდან გამოსულმა მრავალმა ქართველმა იცოდა და ზოგჯერ ქართულზე უკეთესადაც სომხური წერა-კითხვა, ისევე როგორც მაგალითად, XIX საუკუნის ქართველმა სასულიერო პირების ერთმა ნაწილმა რუსული წერა-კითხვა უფრო უკეთ იცოდა ვიდრე ქართული, ამის მიზეზი იყო ამ დროს შექმნილი საგანმანათლებლო და პოლიტიკურ-ეკლესიური ვითარება. ასევე იყო იბერიის თემის მიწაზეც მის დაპყრობამდე და შემდეგაც – ეს არეალი სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის უძლიერესი ზეგავლენის ქვეშ იყო, იქაურმა ქართველებმა მხოლოდ ერთ პერიოდში შეძლეს თავის გათავისუფლება მისგან, ეს იყო დავით კურაპალატის ეპოქა, ახალი მიწების შესვლა ქართულ სახელმწიფოებრიობაში, ამით აღფ-

რთოვანებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თავისი ეთნოეროვნული ვინაობის მყისიერად გამოვლენა, დაუოკებელი სიხარული სომეხთაგან ეკლესიური გათავისუფლების გამო, რაც აღწერილია ჩვენს წიგნში.

ნ. მარიც და ვ. ფიდანიანიც არა მხოლოდ ტაოს და ივერიის თემს ეხებიან, კლარჯეთიც კი სომეხ-ქალკედონიტთა ქვეყნად წარმოადგინეს, რაც თვით ვ. სტეპანენკოსაც კი აღაშფოთებს, რადგანაც ფიდანიანი დასკვნებს აკეთებს წყაროების პირდაპირი ჩვენებების გარეშე. ფიდანიანის აზრით, მთელი მმართველი ზედაფენა სამხრეთ საქართველოს სახელმწიფოებში, თითქოსდა, სომხური იყო. თუ ეს ასეა, მაშინ ხალხი უნდა გასომხებულიყო, ის კი „სომეხთა გაქართველების“ შესახებ საუბრობს.

იბერიის თემისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოსული ცნობილი პირების ქართველობის შესახებ ნათლად წერენ სომეხი ქრონისტები (ე.ი. სომხური წყაროები), როგორც ამას ვ. სტეპანენკო მიუთითებს. სომხური წყაროები მათ ეთნიკურ „ქართველებს“ უწოდებენ. აღნიშნული მკვლევრები ამ წყაროებს „არასაკმარისად მიიჩნევენ“ და მათ პირდაპირ ჩვენებებს განგებ ამახინჯებენ და აბუნდოვანებენ.

ვ. სტეპანენკომ საგანგებო შრომა მიუძღვნა თორნიკე ერისთავისა და მისი ჩორდვანელთა ოჯახის ეთნიკური ვინაობის კვლევას (В. П. степаненко. Чортванели Торники и Торониты в бизантии (к вопросу о сушествовании Т. Н. Таикскои ветви Торникианов), 1999).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ახალი ქართული ისტორიოგრაფიით თორნიკე ქართველია, ხოლო სომხურით (ნ. ადონცი, ნ. აკინიანი, ვ. არიუთინოვა) – სომეხი. მათგან ერთნი „თორნიკიანებს“ მიიჩნევენ სომეხი ბაგრატიდების შთამომავლებად, სხვანი კი მამიკონიანებად. მათი აზრით, სომხური საგვარეულო – ჩორდვანელები ფლობდნენ ხალტოი-არიჭს და ჩორმაირს, იყვნენ მთავრები დერჯანისა და ტარონისა“.

ვ. სტეპანენკო მსჯელობს – „VIII ს-მდე ტაო (ტაიქი) შედიოდა არმენიის შემადგენლობაში, დომენი იყო მამიკონიანების ნახარარული საგვარეულოსი. მის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, თითქოსდა, სომხები იყვნენ, მისი აზრით, ტაოს სომხური წარსული შემოინახა ტოპონიმიკამ და არქიტექტურის ნაშთებმა, მაგალითად, ბანა და იშხნის ეკლესიის აბსიდა, იშხნის აგება უკავშირდება ნერსე კათალიკოსს (სტეპანენკოს ცნობით ჩუბინაშვილი ბანას სომხურ VII-VIII სს. არქიტექტურასთან აკავშირებდა (რადგანაც აქ „ქართველები უფრო გვიან გამოჩდნენ“). მაშინ როცა სუმბატ დავითის ძით ბანა ააგო აშოტ კუხმა 918 წლამდე, „შესაძლოა აღადგინა ძველი სომხური ძეგლი“).

ვ. სტეპანენკოს აზრით, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, თითქოსდა, ადასტურებს, რომ ტაო მოსახლეობისაგან დაცლილი იყო, როცა იქ ქართველები ჩასახლდნენ. ასეთი თვალსაზრისი საყოველთაოდ გაავრცელა ნ. მარმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ასეთ ცნობას თვით გიორგი მერჩულე არ იძლევა, ტაო ქართველებით ოდითგანვე იყო დასახლებული და აქ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი ქართველები ცხოვრობდნენ, რადგანაც VII-VIII ს-ში, 726 წლამდე, სომხური ეკლესია ქალკედონური იყო და მის მრევლად ყოფნა ქართველებს შეეძლოთ (როგორც, მაგალითად, XIX

ს-ში საქართველოში ქართველობა იყო რუსული ეკლესიის მრევლი მისი მართლმადიდებლობის გამო). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ მტრის მიერ ტაოს ეკლესია-მონასტრების დადუმების შემდგომ აქ ღვთისმსახურების რიცხვი ძალზე დამცრობილი იყო. ცხადია, ხალხის რაოდენობაც შემცირდებოდა, მაგრამ ქართველთა იქ ჩასახლების შესახებ არაფერია აღნიშნული, აქ მხოლოდ ქართველი ერთეული მამები მიდიან, რადგანაც 726 წლის შემდეგ ადგილობრივ ქართველებს მათთან სურდათ ურთიერთობა და არა უკვე მონოფიზიტ სომხებთან.

ფიდანიანის მიღებული დასკვნით, თითქოსდა, ტაოში ცხოვრობდა სომეხ-ქალკედონიტთა ეთნიკური, განცალკევებული ჯგუფი, ივერებად სახელდებული, ასეთი ეთნოჰიბრიდის არსებობა ძველი ქართული და სომხური წყაროებისათვის უცნობია.

სტეპანენკო კარგად ამხელს ნ. ადონცისა და ნ. აკინიანის შეცდომებს, რომლის მიხედვითაც თორნიკესა და მისი ოჯახის სომხობას, თითქოსდა, მიუთითებდეს ანისსა და კარინში მდებარე სომხური ხაჩკარები.

ანისის სომხურ ხაჩკარზე, ადონცის სიტყვით, თითქოსდა, წერია სიტყვა „ვარაზვაჩე“, სტეპანენკომ გამოიკვლია თვით ამ ხაჩკარის ტექსტი და დაასკვნა, რომ ნ. ადონცმა დაუშვა შეცდომა, ამ ხაჩკარზე ეს სახელი არ წერია, შესაბამისად, ამ ხაჩკარის გამოყენება თორნიკეთა ოჯახის სომხობის სამტკიცებლად მიუღებელია. ამის მიუხედავად, არუთინოვა-ფიდანიანი მაინც ამ ხაჩკარს მიუთითებს თორნიკე ერისთავის საგვარეულოს სომხობის სამტკიცებლად. მსგავსადვე, ვ. სტეპანენკომ კარინ-თეოდოსიოპოლისის შემოგარენში მდებარე სომხური ხაჩკარი გამოწვლილვით გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ეს ხაჩკარი არაფერს უთითებს თორნიკე ერისთავის შესახებ.

აქედანაც ჩანს, რომ სომეხი-ქალკედონიტების „ივერებად“ სახელდებას ცდილობენ სხვადასხვა უკადრისი მეთოდებით, არარსებული და გამოგონილი წარწერებით. სტეფანოზ ტარონელი, ცნობილი სომეხი ავტორი თორნიკე ერისთავის ეპოქისა, პირდაპირ წერს, რომ თორნიკე – ქართველი, ივერიელი იყო ეროვნებით, და მან ივერთა ჯარი შეკრიბა საიმპერიო საჭიროებისათვის (Степанос Таронеци, Всеобшая история, с. 134).

სტეპანენკოს დასკვნით „თორნიკიანების ტაოს შტოს არსებობის მტკიცება არის შეცდომა ნ. ადონცისა“ (გვ. 143). (საერთოდ სომხეთსა და ბიზანტიაში ცხოვრობდა ე.წ. „ტორნიკიანების“ საგვარეულო, რომელთანაც სტეპანენკოს დასკვნით თორნიკე ერისთავს არაფერი აკავშირებდა – ის ჩორდვანელთა საგვარეულოდან იყო). თორნიკეს „სომხობის“ მტკიცებები ფაქტობრივი სიყალბეა ანდა შეცდომის შედეგია, წერს სტეპანენკო (გვ. 144), თუმცა კი სტეპანენკო ცდება, როცა მიიჩნევს, რომ თორნიკე მართალია, ქართველი იყო, მაგრამ მას და მის საგვარეულოს „სომეხი წინაპრები ჰყავდა“ (იქვე, გვ. 144). ეს დასკვნაც არ ეყრდნობა არავითარ წყაროს და მხოლოდ მკვლევრის ანალიზის შედეგია. ამ ანალიზის დროს კი არ არის გათვალისწინებული, რომ ტაო-ბასიანი და მთელი არაქსისპირეთი ეთნიკური იბერების ქვეყანა იყო, რომელიც მხოლოდ ქრისტეშობამდე II საუკუნეში შევიდა არმენიის შემადგენლობაში, როცა არტაქსიამ და ზარიადრემ იბერებისაგან

მიიტაცეს ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები, ხოლო ხალიბებისაგან კარინის ქვეყანა. აქ, ამ მიწა-წყალზე მიტაცების შემდეგაც, ცხადია, საცხოვრებლად დარჩნენ იბერები ანუ ქართველები, თუმცა კი IV საუკუნიდან სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რომლის უღელი გადაიგდეს 726 წლის კრების შემდეგ. ასეთ იბერთა წრიდან იყვნენ თორნიკე ერისთავის წინაპრები, შესაბამისად, ეთნიკური ქართველები და არა ეთნიკური სომხები.

სტეპანენკოს აზრით, აქაურ ქართველებს სომეხი წინაპრები ჰყავდათ, ამ მოსაზრებას უარყოფს ჩვენი ნაშრომი „არიან-ქართლი“.

ივერების სომეხ-ქალკედონიტებად გამოცხადება შეცდომაა, რის გამოსწორებაზეც უნდა იზრუნოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ამჟამად „ქართიზაციის თეორიას“ ემხრობა, რაც მისი დაბრკოლების ლოდია.

სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ქართული ფრთა

(ქართველები სომხეთში)

ისტორიულ სომხეთში ძალზე დიდი რაოდენობის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ცხოვრება, როგორც აღინიშნა, გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II საუკუნეში იბერებისაგან არმენიამ მიიტაცა – ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები. ცხადია, ეს რეგიონები ქართველებით იყო დასახლებული.

სომხური ეკლესიის დაარსების შემდეგ **სომხეთის მკვიდრი ქართველობა გადაიქცა სომხური ეკლესიის მრევლად**, მაგრამ მათ ქართული ეთნოშემეცნება შენარჩუნებული ჰქონდათ, განსაკუთრებით სომხეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში.

კირიონ კათალიკოსის მოძრაობამ მე-6 ს.-ის ბოლოს ქართული ენის დასაცავად ერთგვარად შეანჯღრია და გამოაფხიზლა გუგარქისა და ტაოს ქართველობა.

ა. კარაშევი თავის წიგნში „მსოფლიო საეკლესიო კრებები“ აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთში, ზოგჯერ, აღმსარებლობის გათავისება ხდებოდა ეთნიკური ნიშნით, მაგალითად, მისი აზრით, ბერძნებისაგან აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხები განცალკევებას ცდილობდნენ იმით, რომ იღებდნენ ანტიბიზანტიურ საეკლესიო აღმსარებლობას. ამის გამო მიიღო თითქოს ეგვიპტის, სირიისა და არმენიის მოსახლეობამ მონოფიზიტობა, რითაც გაბერძნებისგან დაიცვეს თავი.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ არმენიის ქართველებიც ცდილობდნენ ძლიერი სომხური კულტურული გავლენისგან თავის დაცვას მსგავსი ქმედებებით.

შეიძლებოდა ალბათ ამითაც აგვეხსნა ქართველთა სურვილი სომხური ეკლესიისაგან განცალკევებისა ჯერ კიდევ VI საუკუნეში სპარსთა მმართველობისას. მონოფიზიტურ არმენიაში ქალკედონური სარწმუნოება ქართველ-

თა ბუნებრივი საფარი იყო ეროვნულობის შესანარჩუნებლად VI საუკუნეში და VII ს-ის დასაწყისში.

მალე ვითარება შეიცვალა, ჰერაკლე კეისრის სპარსეთში ლაშქრობის შემდეგ თვითონ სომხური ეკლესიის ცენტრმა შეკრა „უნია“ ბიზანტიურ ეკლესიასთან. სომხეთში მრავალი ქალკედონური საეპისკოპოსო წარმოიქმნა. სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოების რიცხვი ძალზე დიდი იყო (70-ზე მეტი) და ისინი განფენილნი იყვნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ვანისა და ურმიის ტბებიდან ტრაპეზუნტამდე და ანტიოქიამდე.

ამის გამო სომხეთის ამ მხარეების **ქართულ-ქალკედონური მრევლი VII ს-ში მოექცა სომხურ-ქალკედონურ ეკლესიაში**, ისინი ძირითადად დასავლეთ არმენიასა და გუგარქში (ჭოროხიდან თბილისამდე) ცხოვრობდნენ.

ქართველი მოღვაწეები თავიანთი განსწავლულობისა და შრომისმოყვარეობის გამო სომხური ეკლესიის უმაღლესი იერარქებიც კი ხდებოდნენ. ჰერაკლე კეისრამდე ასეთი იყო აირარატის ქორეპისკოპოსი, შემდეგ კი ქართველი კათალიკოსი კირიონი, ასევე ეთნიკური ქართველი უნდა ყოფილიყო სომეხი-ქალკედონიტი კათალიკოსი ნერსეს III მშენებელი. მან მონოფიზიტებისაგან დევნილობის დროს თავი შეაფარა თავის მშობლიურ კუთხეს ტაოს, სადაც საეპისკოპოსო ცენტრი დააარსა იშხანში. სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ეთნიკურ ქართული ფრთა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მითითება ტაო-ბასიანის ქართველთა და ასევე ალბანელთა შესახებ (X ს.)

(წყაროს ჩვენებით, დასავლეთ საქართველო (მდ.კლისურამდე) არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში)

კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, იმპერატორ ლეონ VI-ის (886-912) დროს, ტარონის სამთავროს ბაგრატუნი მმართველები ცდილობდნენ ბიზანტიასთან დაკავშირებას.

X საუკუნის 20-იანი წლებიდან ბიზანტიამ შეძლო არაბების (მაჰმადიანების) წინააღმდეგ შეტევა ზემო ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე მიწაწყალზე. ბიზანტიის ჯარმა იოანე კურკუასის მეთაურობით დააპირა დვინის აღებაც, მაგრამ მას წინააღმდეგობას უწევდა სომეხთა მეფე **აშოტ II ერკათი (914-929)**, რომელიც დვინის ამირას უჭერდა მხარს. **აშოტმა ხალიფასგან მიიღო შაჰინშას ტიტული**.

დვინთან წარუმატებლობის შემდეგ იოანე კურკუასმა მაჰმადიანებისგან გაათავისუფლა ქალაქი ხლათი და 931 წელს ბიზანტიელთა ჯარები შევიდნენ ხლათსა და ბერკრში, ვასპურაკანის სამეფო ბიზანტიელთა გავლენის სფეროში აღმოჩნდა.

978 წელს ბარდა სკლიაროსის დამარცხების ჯილდოდ დავით კურაპალატს სხვა რეგიონებთან ერთად გადაეცა ჰარკის და აპაჰუნიქის ოლქები ქ. მანასკერტთან ახლოს. ეს ქალაქი ამ დროისათვის მაჰმადიანი ამირას ხელში იყო.

990 წელს დავით კურაპალატმა დალაშქრა მანასკერტი და ალყის შემდეგ აიღო. აქ მას ჩაუსახლებია **დიდი რაოდენობით ქართველები** და სომხები. ამის გამო თავრიზის ამირას დიდძალი ჯარები დაუძრავს დავით კურაპალატის წინააღმდეგ. დავითს გვერდით ამოუდგნენ ქართველთა მეფე ბაგრატ II, ანის-შირაკის მეფე გაგიკი და ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი. დავითი და მისი მოკავშირეები ქ. ვალაშკერტში დაბანაკებულან.

997-998 წლებში ქართველები იბრძოდნენ ხლათთან, მაგრამ ვერ აიღეს, თუმცა სასტიკად დაამარცხეს თავრიზელი ამირა და მისი მოკავშირეები.

ეკლესიურად, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ეწინააღმდეგებოდა ქართველების საეკლესიო იურისდიქციის გავრცელებას ტაოდან ვანის ტბამდე – დავით კურაპალატის მიერ გათავისუფლებულ მიწა-წყალზე, მაგრამ თვითონ ამ პერიოდში ვერ ახერხებდა თავისი იურისდიქციის განვრცობას ან შენარჩუნებას ამ რეგიონში, ალბათ, ამიტომ თანახმა ყოფილა იქ სომხური ეკლესიის უზენაესობა ეცნო. ეს ჩანს იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომიდან, სადაც შემონახულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი.

ბერძენი პატრიარქი წერდა სომეხ კათალიკოსს: „**შენი ღვთისმოყვარეობისათვის ვგონებ არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსოსათვის ჭირის გამო, რომელიც თავს დაგატყდათ სარკინოზ ისმაიტელ მოძალადეთაგან. აწ თუ თქვენი უწმიდესობა მართებულად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ღმრთის მოხილვის და შებრალებისათვის მთელი გულით ყოვლისმპყრობელი ღმრთის მიმართ ვედრება. სომეხთა, ქართველთა, ალვანელთა შენი სამწყსოსთვის, აღარ შეეგუო მათ დაღუპვას და იზრუნე, რომ განსწავლო ისინი ყველაფერში საღმრთო მეტყველებით. ჩვენ წერილი გამოვუგზავნეთ მაგ კურაპალატსაც და აფხაზთა მეთაურსაც და ვურჩევდი, რომ მათ ესმინოთ თქვენი დარიგება**“ (იოანე დრასხნაკერტელი, სომხეთის ისტორია, ცაგარეიშვილის გამოცემა, 1965, გვ. 189-193).

თუ ეს წერილი სანდოა, მასში ჩანს, რომ პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (852-925) სომხურ ეკლესიას არ მიიჩნევს ეთნიკური ნიშნით შექმნილ სამამამთავროდ, რადგანაც მის მრევლად სომხებთან ერთად მიიჩნეოდა **ქართველებიც** და ალვანელებიც. ამ წერილში ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს კიდეც – **„სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი კუთვნილი სამწყსო“.**

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა – „**ქართველთა**“ ქვეშ ამ წერილში იგულისხმება სრულიად საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ეს ასე არაა, რადგანაც თანამედროვე საქართველოს იმჟამად „**აფხაზეთს**“ უწოდებდნენ, შესაბამისად, „ქართველთა ქვეყანას“ უწოდებდნენ ტაოსა და მის მიმდებარე რეგიონებს, მის მოსახლეობას კი – „**ქართველებს**“.

ამ წერილში „ქართველთა“ ქვეშ იგულისხმება იმ მიწა-წყლის მრევ-ლი, რომელიც იმჟამად ბიზანტიის ინტერესს წარმოადგენდა, კერძოდ, ტაო-ბასიანის, თეოდოსიოპოლის (კარინ-არზრუმის) ქრისტიანები, ვიდ-რე ვასპურაკანამდე – შემდგომი ივერიის თემის მოსახლეობა.

კარინ-ევფრატის მოსახლეობა, VII ს-ში ტაოს მრევლიც კი სომხური ეკ-ლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. იგივე ითქმის ამავე რეგიონის მო-მიჯნავე ალბანურ ოლქებზეც. ასე რომ, ნიკოლოზ მისტიკოსის ამ საქმიანი წერილით კონსტანტინოპოლი ცნობდა არა სრულიად საქართველოს მრევლ-ზე სომხური ეკლესიის უზენაესობას, არამედ მხოლოდ არზრუმ-ვანის ტბის ქართულ სეგმენტებზე. **მიზეზი უნდა ყოფილიყო სურვილი, რათა ძლიერ სომხურ ეკლესიას ხელი არ შეეშალა ბიზანტიური ჯარების წინსვლისათ-ვის ვანის ტბისკენ. ანტიოქიის საპატრიარქო კი პირიქით, ის ცნობდა აქ ქართველთა ავტოკეფალური ეკლესიის არსებობას და ანტიოქიის წმიდა სინოდში მას მიანიჭა თავისუფლება და გამოიყვანა სომხური ეკლესიის დაქვემდებარებიდან, იგულისხმება ტაოს რეგიონი 750-იან წლებში.**

ამ დამამშვიდებელი წერილით კონსტანტინოპოლი აცხადებდა, რომ ის არ იყო სომხური ეკლესიის მეტოქე ამ რეგიონში, ე.ი. თეოდოსიოპოლიდან – ვასპურაკანამდე.

მართლაც, ამავე წერილში ნახსენებია კურაპალატი (ე.ი. ქართველთა კურაპალატი) და აფხაზთა მეთაური (ე.ი. აფხაზთა მეფე), რომელთაც თით-ქოსდა, მოუწოდებდა, რომ მათ ესმინათ სომხური ეკლესიის მეთაურის და-რიგება, მაგრამ ეს ალბათ დიპლომატიური ჩანართია, თუმცა ამ სიტყვები-დან ჩანს, რომ ბიზანტიურ იურისდიქციაში არასდროს ყოფილა დასავლეთ საქართველო, ხოლო ტაო საჭიროებდა ზეწოლას, რათა იქ სომხური საეკლე-სიო დამოკიდებულება აღდგენილიყო.

თუკი დასავლეთ საქართველო იყო ბიზანტიის იურისდიქციაში და ამ იურისდიქციისაგან სწორედ ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქაში (IX-X სს-ში) გამოვიდა (როგორც ამტკიცებს ქართიზაციის თეორია), მაშინ კონსტან-ტინოპოლის პატრიარქი სომხური ეკლესიის მეთაურს იმას კი არ მისწერ-და – „შენი დარიგება ისმინოს აფხაზთა მეფემ“, არამედ ალბათ – „ჩემი საეკლესიო მიწა-წყალია დასავლეთ საქართველო და აფხაზთა მეფემ აქ ჩემი უფლებამოსილება არ უნდა შებღალოსო“.

ამ წერილიდანაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო არასოდეს ყო-ფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ამ წერილიდან დასტურდება, რომ „ქართველთა ქვეყანა“ ტაო-კარინი, ასევე ვასპურაკანის სეგმენტები, ანუ „ზემო ქვეყანათა“ მეტი ნაწილი სომხებ-თან ერთად დასახლებული იყო ქართველებით და ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ წინათაც იმყოფებოდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს მეორე არაპირდაპირი, თუმცა მნიშვნელოვანი ცნობაც, რომელიც ასევე კონ-სტანტინოპოლის პატრიარქს ეხება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქ წმიდა ფოტის (857-867, 877-886) მიაკუთ-ვნებენ ცნობას კეისარ ბასილი I-ის (867-886) სომეხ არშაკუნთაგან წარმო-მავლობის შესახებ. ა. აბდალაძის სიტყვით, ამ თვალსაზრისს არ უარყოფდ-

ნენ ბასილ I-ის მემკვიდრეები, რადგანაც ერთ-ერთ მათგანს, კონსტანტინე პორფიროგენეტს (912-959) ეს აზრი შეუტანია თავის თხზულებაში „ბასილის ცხოვრება“. ჩვენი აზრით, მართალი უნდა ყოფილიყო წმიდა ფოტი ასეთი ცნობის გავრცელების დროს, ერთი ქართული წყაროც ამ თვალსაზრისს ამართლებს, კერძოდ, წმიდა ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ნაბრძანებია, რომ ბასილი კეისარმა (866-886) თავისი შვილების მოძღვრებად დააყენა წმიდა ილარიონის მოწაფეები, რომელთაც დაავალა იმპერატორის ვაჟებისთვის ქართული ენა ესწავლებინათ. წმიდა ილარიონ ქართველის მოწაფეებს **„მოჰგვარა მეფემან ორნი ძენი ლეონ და ალექსანდრე და რქუა – „ლოცვა ყავთ ამათთვის წმიდანო მამანო და ასწავეთ ამათ ენაი და წიგნი თქვენი“** (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 175).

ვფიქრობ, აქედან ჩანს შემდეგი – ბასილი I კეისარი ან მისი წინაპარები წარმოშობით იყვნენ „არმენიიდან“, ანუ იმ მხარედან მცირე აზიისა, რომელიც არმენიად იწოდებოდა, მაგრამ ბასილი I კეისრის წინაპრები ეთნიკურად არა სომხები, არამედ ქართველები იყვნენ, რადგანაც ბასილიმ ბრძანა თავისი შვილებისთვის, მომავალი იმპერატორებისთვის, ესწავლებინათ ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა (და არა სომხური). სხვა საქმეა ის, რომ ამ მხარეებს, მიუხედავად მისი მოსახლეობის ქართული წარმომავლობისა, ერქვა არმენია. ბასილის წინაპრები აქედან მაკედონიაში გადასახლებულან, მაგრამ ბასილის, ჩანს, ჰქონია ცნობა თავისი ქართული წარმომავლობის შესახებ და ამიტომაც დაავალა ქართველ მამებს მისი შვილებისათვის ქართული ენა და მწიგნობრობა ესწავლებინათ.

ბასილის მემკვიდრეების, კერძოდ, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს, ამ არმენიის იბერიული მხარეების არაბებისაგან გასათავისუფლებლად ბიზანტიელებთან ერთად ყველაზე აქტიურად ქართველები იბრძოდნენ.

ამ მხარეთა მკვიდრმა ქართველობამ გათავისუფლების შემდეგ (X-XI საუკუნეებიდან) – გაიმყარა ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება და ცდილობდა ეკლესიურადაც განშორებოდა სომხურ ეკლესიას, თუმცა ნიკოლოზ მისტიკოსს ეს სადავო მრევლი, პოლიტიკური მოსაზრებით, სომხური ეკლესიისათვის მიუკუთვნებია შემდეგი სიტყვებით: „შენდამი რწმუნებული სომეხთა, **ქართველთა** და ალვანთა სამწყსო“.

ასეთი ვითარების გამო ბიზანტიაში არმენიის იბერიულ მხარეთა მკვიდრი ქართველები ყველას არწმუნებდნენ, რომ ისინი ეთნიკური წარმომავლობით, გვარ-ტომობით ქართველები იყვნენ. ერთი ასეთი იყო ამ მხარეთა მკვიდრი, ტაოელი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ის, ჩანს, იყო ასევე ვანანდის ოლქის მემამულეც, ანუ ის უფრო ვანანდელი (კარელი) იყო, ვიდრე ტაოელი. საბოლოოდ მან კარის (ყარსის) ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს გადასცა.

არმენიაში მცხოვრებ იბერიელთა თვითშემეცნების აღორძინების პროცესმა გამოიწვია იქამდე პოლიეთნიკური სომხური ეკლესიის დაშლა. სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეულმა ქართველების ნაწილმა ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით დატოვა სომხური ეკლესია და ქართული ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

წმიდა მამები – ექვთიმე მთაწმიდელი, სტეფანე მტბევარი და სხვანი სომხური ეკლესიის მძლავრობის შესახებ

ეროვნულ-ეკლესიური გათავისუფლება, რაც ჯერ კიდევ კირიონმა დაიწყო (გუგარქის ქართველთა შორის) გაგრძელდა შემდეგ საუკუნეებშიც ე.წ. „არმენიის იბერიაში“.

ტაო-ბასიანისა და სხვა რეგიონების ქართველობა VIII-IX საუკუნეებში თავს ითავისუფლებდა სომხური ეკლესიის უღლისაგან, რომლის ქვეშაც მათი წინაპრები აღმოჩდნენ ისტორიული კატაკლიზმების შედეგად.

„ზემო ქვეყნების“ მკვიდრ ქართველთა ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას კარგად გამოხატავენ ძირითადად ამ მხარეებიდან გამოსული სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლებული ქართველები, კერძოდ, ის ბერები, რომლებიც შეადგენდნენ უმრავლესობას ათონისა ან სინას მთის ქართული საძმოებისას.

მათი გულანთებული ეროვნულობა მათი ლოცვებიდანაც ჩანს, მაგალითად, სინას მთის ქართველი ბერები შესთხოვენ უფალს – „**ქრისტე შეინწყალე... ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართველნი**“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 86).

მათი ლოცვა შესმენილ იქნა, რასაც ასახავს XII ს-ის სომეხი მოღვაწე: „**შეხედეთ ჩვენგან გამოყოფილი ქართველთა ნათესავი დღითი დღე როგორ ბრწყინდება ქრისტეს მიმართ**“ (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 87).

სომხური ეკლესიის უღლისაგან გათავისუფლების შედეგად ქართულმა ეკლესიამ დიდ ბრწყინვალებას მიაღწია გათავისუფლებულ მხარეებში.

საბჭოთა ეპოქაში აღორძინდა XIX ს-ში პეტერბურგის უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრაზე ჩამოყალიბებული თეორია, რომლის მიხედვითაც ტაო-ბასიანის მკვიდრი სომხური მოსახლეობა, თითქოსდა, „გაქართველდა მათი გაქალკედონიტების შედეგად“, სინამდვილეში კი ამ რეგიონში სომხური ეკლესია მძლავრობდა როგორც ბიზანტიის იმპერიის, ისე არაბთა ბატონობისას. ამის გამო ძლიერი იყო როგორც სომხურ-ქალკედონური, ისე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია.

VII ს-ში ჰერაკლე კეისრის შემდეგ სომხური „უნიატური“ ეკლესია მრავალი ქალკედონიტი კათალიკოსის მიერ იმართებოდა, რაც მასში ქალკედონიტი მრევლის სიჭარბეს გულისხმობს.

არაბთა შემოსევებმა გარკვეულწილად გააძლიერა სომხური მონოფიზიტური ეკლესია, მაგრამ იქ მაინც არ გამქრალა ქალკედონიტი მრევლი, ქალკედონურ სარწმუნოებაზე მოქცეულა სომეხთა კათალიკოსი ვაჰან I (968-69) და სხვანი, რომელთა რიცხვი ისე დიდი ყოფილა, რომ ასოღიკის ცნობით, ჯერ კიდევ ვაჰან I-მდე, კათალიკოს ანანიას (946-68) დროს სომხურ ეკლესიაში დაუდგენიათ „ქალკედონანთა წესით მონათლულის ხელახლა მონათვლა“ (იქვე, გვ. 91).

ქალკედონიტ სომეხთა დიდი რიცხვის გამო ნ. მარის მოსაზრება, რომ ხდებოდა მათი დენაციონალიზაცია-გაქართველება, არასწორია, რადგან **ქალკედონიტი სომეხი კათალიკოს-პატრიარქები ქართველებად არ გადაქცეულან, ისევე, როგორც მათი სამწყსო. სინამდვილეში, მრავალეროვანი სომხური ეკლესია VIII საუკუნის შემდეგ დაიშალა ეთნიკური ნიშნით** (ისიც მხოლოდ ნაწილობრივ), კერძოდ, ქალკედონიტური აღმსარებლობის ეთნიკური სომხების ნაწილი მშობლიური სომხური (ე.ი მონოფიზიტური) ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა, ხოლო **ეთნიკური ქართველები, რომელნიც სარწმუნოებით ქალკედონიტები იყვნენ, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ არამშობლიური სომხური ეკლესიისაგან** და შეერთებოდნენ დედაქართული ეკლესიის სამწყსოს.

უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქაშიც კი ქართველთა უმრავლესობამ, მიუხედავად ხელსაყრელი ვითარებისა, მაინც ვერ შეძლო სომხური ეკლესიის დატოვება და დარჩა ამ ეკლესიის წევრად, საბოლოოდ კი გასომხდა.

სომხურ საეკლესიო წიაღში ქართველთა არმენიზაციით დიდად დაზიანდა და დაზარალდა რაოდენობრივად და ზნეობრივად ქართველი ხალხი.

აღნიშნული ადგილებიდან, კერძოდ, ტაოდან იყო წარმოშობით **ექვთიმე მთაწმიდელი**.

ტაო სომხური საეკლესიო ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ამიტომაც აქაურმა წმიდა მამამ, **ექვთიმე მთაწმიდელმა**, კარგად იცოდა იმ ეროვნული გადაგვარების საფრთხის შესახებ, რაც ელოდა სომხური ეკლესიის წევრ ქართველობას.

ექვთიმე მთაწმიდელი ამიტომაც შეაგონებდა ამ მხარეთა (ტაო-ბასიანვალაშკერტის) მამებს, სასულიერო ქართველობას – „**სომეხთა ეკრძალე, ნუ ასვინდიკოზებ, ნურც ამზახებ ქართველთა – უკანონო არს**“, ანუ „**სომეხთა ეკრძალე, ნუ მოანათვლინებ და ნუ დაუნათესავებ ქართველებს – უკანონო არის**“ (იქვე).

ქართველთა მასობრივი გასომხებით შეძრწუნებულ ექვთიმე მთაწმიდელს იმისთვის, რათა შემდგომშიც არ გაგრძელებულიყო ეს პროცესი, გრიგოლ ნაზიანზელის ერთ-ერთ თხზულებაში ნათქვამი სიტყვები სომეხთა შესახებ ასე უთარგმნია – „**არს ნათესავი იგი სომეხთა არა წრფელი, არამედ მზაკვარი და გულარძნილი და ბოროტი... სხვაჲ უც გულსა და სიწრფოება მათ თანა არა არს**“ (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 106). სიტყვა „ნათესავი“ ეთნიკურ წარმოშობას გულისხმობს და არა სარწმუნოებრივ აღმსარებლობას.

სტეფანე მტბევარიც თავისი გამოცდილებით, რათა თავიდან აიცდინოს ქართველთა კვლავ არმენიზაცია, გრიგოლ ნაზიანზელის მსგავსად აფასებს სომხებს. ამის საშიშროება კი რეალური იყო. მაგალითად, როცა ეთნიკურმა ქართველმა „ტაშირის მამფალმა“ „ქართული რჯული“ აღიდგინა, ის სასტიკად დაუსჯია ტაშირ-ძორაკერტის მეფეს დავითს (996-1049) (იქვე, გვ. 109).

ამავე პერიოდში წმიდა დინარა დედოფალმა შეძლო თავისი ჰერეთის სამეფოს გამოყვანა სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან, რითაც ჰერეთის ქართველობა გასომხების საფრთხეს გადაარჩინა.

ბასიანის მხარე და მიმდებარე ოლქები მკვიდრი ეთნიკური ქართველებით (და არა გაქალკედონიტებული სომხებით) რომ იყო დასახლებული, თვით სომხური წყაროებიდანაც ჩანს. მაგალითად, ასოღიკის ცნობით, X ს-ის ბოლოს ცნობილი სომეხი ვარდაპეტი (მოძღვარი) ჰოვჰანესი სიცოცხლეს გამოესალმა **„გაცოფებული ქართველთა ტომისაგან მახვილით და დაიმარხა სავანეში, რომელსაც ასკიგომი ეწოდება, ბასიანის გავარში“** (იქვე, გვ.110).

ასოღიკი წერს – „ქართველთა ტომი“, და გულისხმობს იმ ბასიანელებს, რომელთაც სომეხი მოძღვარი მოკლეს, ე.ი. მიუთითებს ეთნიკური ქართველების შესახებ. ისინი ქალკედონიტი სომხები რომ ყოფილიყვნენ, მიუთითებდა კიდეც. არისტაკეს ლასტივერტეცი კი წერს ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოსა და ამ ეპარქიის მღვდელმთავრის ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ (არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 45-51).

ზაქარია (ეპისკოპოსი) ეთნიკური სომეხი რომ ყოფილიყო, ლასტივერტეცი ამას უთუოდ მიუთითებდა.

ამ მხარეთა მფლობელ სომეხთა მეფე აშოტ I-ს IX ს-ის ბოლოს არაბთა ხელისუფლებამ მიანიჭა: **„სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავარი“, ხოლო 922 წელს სომეხთა მეფე აშოტ ერკათს არაბებმა უბოძეს ტიტული – „სომეხთა და ქართველთა შაჰინშა“. ამ ტიტულში მოხსენიებულ ქართველთა ქვეშ ტაო-ბასიანის ქართველობა იგულისხმება**.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, სომხეთის მეზობელი მაჰმადიანი მმართველები უკმაყოფილონი იყვნენ იმის გამო, რომ მათ ქვეყნებში და მათ **სამთავრო კარზეც კი** სომხური ეკლესია დიდი ქრთამის გაღებით ახერხებდა „**სომხური ქრისტიანობის გავრცელებას**“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, 1905, გვ. 92-94), მით უმეტეს, სომხური ეკლესიისათვის გაცილებით ადვილი იქნებოდა მათი სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროში, კერძოდ **ტაშირ-ძორაგერტის სამეფოსა და ტფილისის საამიროში მოქცეულ ქართულ მხარეებში (ქვემო ქართლი, ტაშირი, გუგარქი და ასევე კარინიდან ვანის ტბამდე) ქართველთა შორის სომხური ქრისტიანობის გავრცელება.**

შიდა ქართლიც გარკვეულ დროს ამ სფეროში მოქცეულა.

იოანე დრასხანაკერტელის სიტყვით, სომეხთა მეფე სმბატის საბრძანებელში შედიოდა ტაო-კლარჯეთი და სხვა ქართული მხარეები და მას ტაოს „ქართველთა მეფედ“ დაუდგენია ადარნასე.

დრასხანაკერტელი ტაოს „ძველისძველ ქართულ“ პროვინციად, „ქართველთა მეფის“ ადარნასეს მამულად თვლიდა (იქვე, გვ. 90), ამასთანავე, ძველი სომხური სახელმწიფოს ნაწილად მიჩნევდა, ე.ი. მისი აზრით – ტაო არმენიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ის ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, ისევე, როგორც ტაშირ-ძორაკერტის

სამეფო, ეთნიკური ქართველების ქვეყანა, რომელსაც სომხური ეკლესიის წევრი მმართველები ჰყავდა.

ვანანდის სომხურ, ანუ ყარსის სამეფოში ქართველთა წილი მნიშვნელოვანი იყო. **ქართველთა მკვიდრობის შესახებ ანის-შირაკის სომხურ სამეფოში მიუთითებს ანისში ქართული საეპისკოპოსოს არსებობა, ქართველთა პატრიარქს აქ, ანისის ახლოს, სხვა ქართული ეკლესიებიც უკურთხებია და ისინი ნაკურთხნი იყვნენ არა „გაქართველებული სომხებისათვის", როგორც მიიჩნევს საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ იმ მკვიდრ ქართველთათვის, რომელნიც საერთოდ აქ, ისტორიულად მდ. არაქსის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ.**

სომხურ ქვეყნებში ცხოვრებისას (იგულისხმება ბიზანტიური არმენია, პერსარმენია და შემდეგ არაბული არმენია) მკვიდრი ქართველები მასობრივად რომ სომხდებოდნენ სომეხი ისტორიკოსების მიერაც დადასტურებულია, მაგალითად, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ა. ალპოაჭიანი წერს – „**სელჩუკების ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის საქართველო სანახევროდ გასომხებული მხარე იყო**" (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 242).

გასომხებისაგან თავისი ერის დასაცავად იყო მიმართული სტეფანოზ მტბევარის, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, გიორგი მცირეს, ღრტილის კრების მამებისა და სხვათა გამონათქვამები სომეხთა ეკლესიის „მტაცებლობის" შესახებ, ყველანი ისინი აღნიშნული მხარეებიდან იყვნენ და კარგად იცნობდნენ თავიანთი მხარეების ცხოვრებას.

ყოფილი არმენიის ეროვნებით ქართველი ქალკედონიტური მრევლი, რომელმაც თავი დააღწია სომხურ ეკლესიას, დიდწილად ვერ დაუბრუნდა მშობლიურ ქართულ ეკლესიას, რადგანაც მათი ქვეყნის მპყრობელმა ბიზანტიამ მათთვის ე.წ. ლაზიკის სამიტროპოლიტო დააარსა (ცენტრით ტრაპეზუნტში). ანუ ისინი შეიყვანა არა ქართულ, არამედ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ყოფილი არმენიის ქალკედონიტური მრევლი ბერძნულ საეპისკოპოსოებში გააერთიანეს (Ш. Диль, Основные проблемы Византиискої истории, М., 1947, с. 31, 58).

საფიქრებელია, რომ მალევე თურქ-სელჯუკების შემოსევის გამო უკანდახეულ ბიზანტიელთაგან უპატრონოდ მიტოვებული ლაზიკის სამიტროპოლიტოს მართლმადიდებელი მრევლის ერთი ნაწილი კვლავ სომხურმა ეკლესიამ მიისაკუთრა, რისი ძლიერი უნარიც მას შესწევდა საუკუნეთა მანძილზე, ერთი ნაწილი კი დედაქართულ ეკლესიას დაუბრუნდა.

როგორც ითქვა, ამ მხარეებიდან, „ზემო ქვეყნებიდან" და ტაოდან გასული ქართველები IX-X-XI სს-ის უცხოეთის ქართული მონასტრების ბერების მნიშვნელოვან რიცხვს წარმოადგენდნენ, მაგრამ რადგანაც ამ მიწა-წყალს ბიზანტიაში არაბობამდე „არმენია" ეწოდებოდა, ზოგჯერ ამ ადგილებიდან გამოსულებს ასევე „სომხებს" უწოდებდნენ. თუმცა კი, ასეთი „სომეხი" ბერები თავიანთ თავს „გვარ-ტომობით ქართველებად" თვლიდნენ.

ამ ვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო გიორგი მცირეს ცნობაში ასახული ფაქტი იმისა, რომ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე „სომხები“ უწოდეს შავი მთის მონასტრის ქართველ ბერებს – **„არ ვიცით, ისინი სომხები არიან თუ ქართველებიო“**, იჩივლეს მათ პატრიარქთან, რასაც გიორგი მთაწმიდელმა სათანადოდ უპასუხა. საქმე ისაა, რომ თურმე ეს ქართველი ბერები საკუთარი სამოსით, ე.ი. საგანგებო სამღვდელო შესამოსელის გარეშე აღასრულებდნენ ზოგიერთ წესს, ეს კი ცოტაოდენი ხნით ადრე აიკრძალა საეკლესიო კრების მიერ, ცნობა აკრძალვის შესახებ ამ „სოფლურ მამებამდე“ მიღწეული არ ყოფილა. **„ქვეყანასა მას სომხითისასა თვინიერ შესამოსელისა ხუცესნი აღასრულებენ წირვასა თვისივე შესამოსელითა და ესე დიდი წვალება არს“** – წერდა ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე „მცირე სჯულის კანონში“ ექვთიმე მთაწმინდელი (მცირე სჯულის კანონი, 1972, გვ. 33-77). ე.ი. „ქვეყანასა მას სომხითისასა“ უწოდებდა საეკლესიო კრება ქართველთა იმ უძველეს საცხოვრისებს, რომელნიც იმჟამად არმენიაში იყო მოქცეულნი.

XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის ბიზანტიელების ხელში იყო მთელი ე.წ. ისტორიული სომხეთის მიწა-წყალი, მასში შემავალი ქართული „ზემო ქვეყნები“ ლაზიკის ეპარქიის ცენტრალურ ნაწილად იქცა.

იქამდე ანის-შირაკის მეფემ თავისი სამფლობელო XI ს-ის I ნახევარში ანდერძით გადასცა ბიზანტიელებს ისევე, როგორც უფრო ადრე დავით კურაპალატმა. ბიზანტიელთა ხელში ყარსის (ვანანდის) სამეფოც მოექცა. ამ მხარეებში ბიზანტიური მფლობელობა დაკანონდა იმპერატორ ბასილი II-ის შემოსვლისას, რომელმაც XI ს-ის დასაწყისში საქართველოს მეფე გიორგი I დაამარცხა და ჩამოართვა მისი სამეფოს სამხრეთი მხარეები, თუმცა ბიზანტია ანისისთვის 1045 წელსაც იბრძოდა. ტაშირ-ძორაკერტის მეფეც კი თავის თავს ბიზანტიის ვასალად მიიჩნევდა.

საქართველოს სახელმწიფოც იბრძოდა ანისისა და ტაშირ-ძორაკერტისათვის, 1045 წელს ის დაკარგა ბაგრატ IV-მ, მაგრამ 1064 წელს ანისიდან ბიზანტიელები განდევნეს თურქ-სელჩუკებმა. იქამდე, ტარონი (966 წლიდან), ტაო (1001 წლიდან), ვასპურაკანი (1021 წლიდან), ანის-შირაკი (1045 წლიდან), ვანანდი (ყარსი) (1065 წლიდან) – ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ.

სომხური ეკლესიის მრავალეროვნულობა და მისი ბატონობა არასომხურ მოსახლეობაზე მიზეზი უნდა ყოფილიყო იმ მწვალებლობათა წარმოშობისა, რომელნიც აღმოცენდა ისტორიულ არმენიაში X-XI საუკუნეებში (იქამდეც და მას შემდეგაც), თონდრაკელობა, პავლიკიანობა და სხვა.

სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას სასტიკად ებრძოდნენ თონდრაკელები. ისტორიკოს ლასტივერტეცის ცნობით, თონდრაკელობა აღმოცენდა ჰარკის გავარში და მრავალნი შეაცდინა. ჰარკი მდებარეობდა ბასიანის სამხრეთით ვანის ტბისაკენ. თონდრაკელთა მიერ სომხური ეკლესიის წესჩვეულებების სრული სიძულვილი გვაფიქრებინებს, რომ **თონდრაკელობა გავრცელდა იმ არასომხურ მოსახლეობაში, რომელთაც სურდათ გასვლა სომხური მონოფიზიტური ეკლესიიდან, მაგრამ ამის საშუალება მათ არ მისცა ძლიერმა სომხურმა ეკლესიამ.**

საპასუხო პროტესტი, ჩანს, გამოიხატა იმით, რომ წარმოიშვა სექტა, რომელიც სწორედ სომხურ ეკლესიას უარყოფდა. სექტანტები განსაკუთრებით მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და მის წეს-ჩვეულებებს არ ცნობდნენ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, 1974, გვ. 114-125). სომხეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ X-XI საუკუნეებში ვერ შეძლო თონდრაკელობის აღმოფხვრა, იმდენად მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი იყო ის (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 92).

ამ პერიოდში, ანუ XI საუკუნეში, უნდა დაარსებულიყო და, ჩანს, ამავე საუკუნეშივე (თურქ-სელჩუკთა შემოსევის გამო) გაქრა კიდეც აღნიშნული არეებიდან ლაზიკის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო, თუმცა მაჰმადიანურ გარემოში ტერიტორიულად დამცრობილი სახით ის შესაძლოა შემდგომაც ახერხებდა არსებობას.

„სომეხ-ქალკედონიტთა“ ნამდვილი ვინაობა (აღმსარებლობა და ენა)

ნ. ადონცი წერს: „ლაზიკის მთავარი ქალაქები იუსტინიანემ I არმენიაში შეიყვანა“. ადონცისათვის ლაზიკა იყო არა დასავლეთ საქართველო, არამედ ძირითადად ტრაპეზუნტის რეგიონი, მიმდებარე მხარეებით, ქალდეა-ჭანეთით. ბიზანტიაში შემავალ ამ მიწა-წყალზე საიმპერატორო კარმა კიდევ რამდენიმე „არმენია“ დააფუძნა. **თუმცა ტრაპეზუნტის მთებში მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკური ქართული ტომები იყვნენ და არა სომხები.**

ნ. ადონცი ჩივის, რომ დასავლეთ არმენიაში სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოების მრევლი ბერძნულენოვანი ღვთისმსახურების დანერგვის შედეგად ბერძნდებოდა, ეს შეიძლება სადავო იყოს, რადგანაც **სომხები ახერხებდნენ ბერძნული იურისდიქციის ქვეშაც წირვა-ლოცვის ენა სომხური ყოფილიყო,** ამის შესახებ ადონცი თავადვე მიუთითებს. თუმცა კი სამართლიანად წერს – „**ნაციონალური იდეისა და გრძნობებისათვის კონფესიონალური საკითხები არცთუ მცირე საფრთხეს წარმოადგენდნენ, რომელნიც დროის მსვლელობასთან ერთად ისე იძაბებოდნენ, რომ შეეძლოთ ეროვნული ინტერესების ჩახშობა. აღმსარებლობითი განსხვავებების მიხედვით იმ დროისთვის ისაზღვრებოდა ენის გამოყენება“** (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 202).

როგორც აღინიშნა, ნ. ადონცი წერდა – „**აღმსარებლობითი განსხვავებულობა იმ დროს განსაზღვრავდა ენის გამოყენებას არა მხოლოდ ღვთისმსახურებისას, არამედ საეკლესიო სულისკვეთებით გამსჭვალულ ლიტერატურაშიც. ამის შესაბამისად სომხები, რომლებიც მიეკედლნენ საიმპერიო ეკლესიას, უნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული განათლებისა და ლიტერატურის არარსებობისას, ენის ბედი და ეროვნული ცნო-**

ბიერება ხდებოდა არამყარი. სომხობა, სომხური ცნობიერება შეიძლება ჩახშობილიყო მცირე არმენიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ორომტრიალში, რომ არა ახალი სასიცოცხლო ძალების მოზღვავება მეზობელი სომხეთის კუთხეებიდან მას რომ არ განეახლებინა ახალი სულით და არ გაეღვიძებინა მცირე არმენიაში ეროვნული თვითშემეცნება" (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 202).

ნ. ადონცი ძალზე წუხს, რომ დასავლეთ ანუ მცირე არმენიაში ბერძნულ ეკლესიას „**მიკედლებულ სომხებს**" ეროვნული ძალა არ შესწევდათ შეექმნათ სომხურენოვანი ლიტერატურა და ისინი სომხურ ენას ივიწყებდნენ, სამწუხაროდ, არ წარმოაჩენს სინამდვილეს, რომ **იმპერიამ მცირე არმენიის ოლქში შეიყვანა სხვადასხვა წარმოშობის არასომხური ტომები. სინამდვილეში, დასავლეთ არმენიის, ანუ ტრაპეზუნტის აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთისა და მის იქით მთებში მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკური ქართული ტომები იყვნენ და არა სომხები. შესაბამისად, არც იცოდნენ სომხური ენა და არც ინტერესი გააჩნდათ მის მიმართ.**

თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე ვრცელი რეგიონი ჭანებითა და სხვა ქართული ტომებით იყო დასახლებულნი. ისინი VI-VII საუკუნეებში იმპერიამ „არმენიის" ერთ-ერთ ოლქში შეიყვანა, იქ არსებობდა მრავალი საეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებში დასავლეთ არმენიის ოლქში მდებარე ცნობილი ქალაქების **ბიზანის, ლერიონის თუ პაიპერტის საეპისკოპოსოები უმიზეზოდ არ იწოდებოდა „ლაზიკის ქვეყანაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოებად"**.

ნ. ადონცი ხშირად ახსენებს ამ საეპისკოპოსოებს, მაგრამ არასოდეს მიუთითებს, რომ **ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია ამ საეპისკოპოსოების მომცველ ქვეყანას ლაზიკას უწოდებს**, თუმცა კი ადმინისტრაციულად ისინი ნამდვილად იმყოფებოდნენ ერთ-ერთ „არმენიაში". ნ. ადონცის წუხილი, რომ დასავლეთ არმენიაში სომხები არ იყენებდნენ სომხურ დამწერლობასა და ლიტერატურას, რომ მათში სომხური ეროვნული ცნობიერება მიმქრალი იყო, არაა გულწრფელი, რადგანაც, სინამდვილეში, **დასავლეთ არმენიის მკვიდრი მოსახლეობა ვერ ფლობდა სომხურ ენას და მათში სომხური ნაციონალური გრძნობები არ იყო იმიტომ, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ ამ ერის შვილები (ე.ი. სომხები)** .

ჭოროხის, ევფრატისა და არაქსის სათავეებში და მის ჩრდილოეთით, (დასავლეთ არმენიის ოლქში), მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა არა სომხობა, არამედ ადგილობრივი მკვიდრი, ეთნიკური ქართველი ტომები (ჭანები, ლაზები, მესხები), რომლებსაც ნ. ადონცი სომხებს უწოდებს, რომელნიც, თითქოსდა, „მიეკედლნენ საიმპერიო (ე.ი. ბერძნულ) ეკლესიას და ამის გამო უნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა (ნ. ადონცის აზრით, სომხური) მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული (ნ. ადონცის აზრით – სომხური) განათლებისა და ლიტერატურის არარსებობის გამო ენის ბედი და ეროვნული ცნობიერება ხდებოდა არამყარი". თითქოსდა, დასავლეთ არმენიის მოსახლეობაში აღნიშნულის გამო (ე.ი. ბერძნუ-

ლი ეკლესიისადმი დაქვემდებარების გამო) სომხური ცნობიერება არამყარი ხდებოდა, სინამდვილეში კი ადგილობრივთა უმრავლესობას შინაგანად არც არასდროს ჰქონია სომხური (ე.ი. მათთვის უცხო) ცნობიერება. მათ კერძოტომობრივი (ჭანური, ლაზური ან მესხური) ცნობიერება ჰქონდათ. სამწუხაროდ, მათი ნამდვილი ანუ ქართული ცნობიერება დიდი ხნის შერყეული იყო (იგულისხმება ჭოროხის, არაქსისა და ევფრატის სათავეებში მცხოვრები ქართული მოსახლეობა, ასევე მათი მეზობელი რეგიონების მკვიდრი ქართველობა), მიზეზი ამისა იყო ის, რომ მათი სამშობლო ქვეყანა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ჩამოაჭრა არმენიამ იბერიას, სტრაბონის ცნობით, შემდეგ კი, რომაულ-ბერძნული მპყრობელობის დროს, იმპერიამ ისინი ერთ-ერთ სომხურ პროვინციას მიაკუთვნა. ამ ფაქტმა ქართული და არა სომხური ცნობიერება შეარყია მათში. მათი დიდი ნაწილი მართლმადიდებელი იყო, ამიტომაც ბერძნულ ეკლესიას მიეკედლნენ კიდეც (იბერიის სამეფო საკმაოდ დაშორებული იყო მათგან, განსაკუთრებით იუსტინიანეს ეპოქაში), თუმცა მაინც ისინი თავს ქართველებად, არასომხებად რომ თვლიდნენ, გამოჩნდა VIII-IX სს-დან, როცა ბედის წაღმა შემოტრიალების შედეგად მათი განსახლების ახლოს ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო. ამ პოლიტიკურმა მოვლენამ არმენიის მოსახლეობის შესაბამის ნაწილს გაუღვიძა მინავლებული ეროვნულ-ქართული ცნობიერება და უსწრაფესად, ერთბაშად სიამაყით განაცხადეს ქართველი ერისადმი თავიანთი კუთვნილების შესახებ და ეროვნულ-ქართული ეკლესიის უერთგულეს მრევლად გადაიქცნენ. ასე რომ, ხდებოდა არა ე.წ. „სომეხი ქალკედონიტების“ გაქართველება, როგორც ეს მიღებულია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, არამედ მკვიდრი, იქამდე სომხურ-ბერძნული ეკლესიის (ანუ სომხურ-ქალკედონიტური) ეკლესიის წიაღიდან თავდაღწეული ქართველები დაუბრუნდნენ მშობლიურს.

აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის (თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე) საცხოვრისს ნ. ადონცი სომხეთს მიაკუთვნებს, ხოლო **ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია – ლაზიკას (აქ იყო ლერიონის, ბიზანის, პაიპერტისა და ლაზიკის სხვა საეპისკოპოსოები).** ამ მოსახლეობის ეთნოისტორია ძალზე წააგავს XVII-XIX სს-ში სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი კათოლიკე ქართველებისას. კერძოდ, ეს უკანასკნელნი (ახალციხის რეგიონის ქართველობა) ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრების დროს სარწმუნოებრივად იყვნენ ე.წ. „ფრანგები“ (კათოლიკეები), ეკლესიებში სომხურენოვანი წირვა-ლოცვა (რიტი) უტარდებოდათ, ხოლო სახელმწიფოებრივად მაჰმადიანურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ასე რომ, ამ უკანასკნელთ, ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ქართველებს, ოსმალეთის იმპერიაში არავითარი ქართული ინსტიტუტი არ გააჩნდათ, შესაბამისად, ისინი (ეს ქართველები) **ერთდროულად იყვნენ ფრანგებიც, სომხებიც და ოსმალებიც**. სამცხელი კათოლიკეების ეთნოცნობიერებაც, შესაბამისად, შერყეული იყო, მათი ქართველობა სამმაგი შრის იქით იყო ჩამალული, გასომხდნენ კიდეც, რადგანაც კათოლიკური სარწმუნოება მათში სომხურენოვნებით იყო შემოფარგლული, განათლებაც, შესაბამისად, სომხური გააჩნდათ, სამცხელთაგან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქართულ ცნობიერებას მას შემდეგ, რაც რუსებმა ოსმალები

განდევნეს ახალციხიდან. XIX ს-ის ბოლოს მათგან გამოსულმა რამდენიმე სასულიერო პირმა, იგულისხმება გვარამაძე, თამარაშვილი და სხვ. გაიხსენა თავისი ბუნებრივი ეროვნული ვინაობა.

საუკუნეებით ადრე ასეთივე ვითარებაში იმყოფებოდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოების მრევლი **„ლაზიკაში“**. ისინი VI ს-ში და VII ს-ის დასაწყისში (იქამდეც და შემდეგაც) ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხური რეგიონისადმი იყვნენ მიკედლებულნი, თუმცა ეკლესიებში ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონდათ, შესაბამისად, სომხდებოდნენ ანდა ბერძნდებოდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე გამოავლენდა უფრო მეტ დაინტერესებას მათ მიმართ.

თუ რა სახისა იყო მცირე არმენიის მკვიდრ მოსახლეობაზე სომხური კულტურული ძალადობა, თავისდაუნებლიედ, კარგად აღწერს ნ. ადონცი – **„სომხური ცნობიერება მცირე არმენიაში საბოლოოდ ჩაკვდებოდა, თუ არა ახალი ძალების მოზღვავება მეზობელი სომხური ოლქებიდან. ისინი ანახლებდნენ მკვიდრი მოსახლეობის სულისკვეთებას და აცოცხლებდნენ მათში ეროვნულ (ე.ი. სომხურ) შემეცნებას**“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 202). ე.ი. მცირე არმენიის ქართული ტომების საბოლოო არმენიზაციას სომხეთიდან ახალი მიგრაცია აპირობებდა.

როგორც ითქვა, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა რომაულ-ბიზანტიური ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად სომეხი ერის ჰეგემონობის ქვეშ აღმოჩდა, რასაც მუდამ თან სდევდა, როგორც ნ. ადონცი უწოდებს, აქ შიდა სომხური ოლქებიდან სომხურ-ნაციონალური სულისკვეთების გავრცელება, რის შედეგადაც ბიზანტიის იმპერიის ხელქვეშ მყოფი ქართველობა უცხო-სომხური კულტურის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩდა, ამავე დროს, ამ ქართველებს არც ეროვნული ეკლესია გააჩნდათ.

ეს პროცესი კი ნ. ადონცს მიაჩნია „აღორძინების დასაწყისად“. სინამდვილეში კი, ქართველთა შორის სომხური თვითშემეცნების დასაწყისად. ის წერს – **„ის გარემოება, რომ იუსტინიანეს პროვინციალური რეფორმისას მცირე არმენიის მიწებმა არა მხოლოდ არმენიის სახელი შეინარჩუნეს, არამედ ეს სახელი გავრცელდა მათ მეზობელ მიწებზეც, გვიმტკიცებს, რომ აღორძინების პროცესი იქამდეც დაწყებული იყო**“ (იქვე).

მაშასადამე, ნ. ადონცის თანახმად, „აღორძინების“, ანუ ქართველთა გასომხების პროცესი იუსტინიანემდეც საკმაო ხნის დაწყებული იყო, და ამიტომაც მათი მიწა-წყალი მოექცა კიდეც „მცირე არმენიის“ პროვინციაში.

აქედან ჩანს, რომ სტრაბონის მიერ აღწერილ ფაქტს იბერიის მიწების – პარიადრეს, ხორძენესა და გოგარენის მიტაცებას (არმენიის მიერ) უკვალოდ არ ჩაუვლია.

იუსტინიანეს ეპოქამდე ამ ქართულ მიწა-წყალზე უკვე დაწყებულა მკვიდრი ქართული მოსახლეობის გასომხების პროცესი, რაც დაუფიქსირებია იუსტინიანეს თავისი ადმინისტრაციული რეფორმით, როცა იბერიის ეს ყოფილი მიწები (ხორძენე და პარიადრე) არმენიას მიაკუთვნა.

ნ. ადონცი, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ ე.წ. მცირე და დიდი არმენიების დასავლეთ პერიფერიებზე მცხოვრები მოსახ-

ლეობა ქართველთა ეთნოჯგუფს წარმოადგენდა. მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ საიმპერიო დაყოფის შემდეგ კაპადოკიაც სომხურ მიწა-წყალს მიაკუთვნა იუსტინიანემ, ამ ფაქტის გამო ნ. ადონცს ახსენდება მოვსეს ხორენაცი, რომელიც აღნიშნავდა, რომ პონტოს მიწა-წყალი სომხეთის საზღვრებში შედიოდა. აქ ისიც უნდა გახსენებოდა ნ. ადონცს, რომ **პონტო-მაჟაქის მიწა-წყლის მმართველად ივერიელი მთავარი იქნა დანიშნული.** საერთოდ კი, **მ. ხორენაცის თანახმად, აღნიშნული მიწა-წყალი საერთოდ ქართველებით (ივერიელებით) იყო დასახლებული, მას თავისი თეორიაც ჰქონდა ამ ფაქტის ასახსნელად. პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთში ქართველები ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე ნაბუქოდონოსორს დაუსახლებია. ამის გამო ტერიტორია პონტო-კაპადოკიიდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით ქართველებით ყოფილა დასახლებული. ამ ორივე ქართულ მხარეს (ე.ი. პონტო-კაპადოკია-ლაზიკას და დასავლეთ საქართველოს) ერთი მმართველი დინასტიაც – მირდატიანები ჰყოლია.** მ. ხორენაცი გუგარქის პიტიახშებს პონტოს მეფეების ნათესაურ მახლობლებად მიიჩნევს – „**შარას ნაშიერს, გუშარს ერგო კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი ჰნაკერტის ციხე-სიმაგრე. აშოცის უფლად და ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განამწესა, ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას. ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი და მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა“ (ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს). ბასიანის დიდ ხევში ხელისუფლად დაადგინა ორტუნი, ჰაიკის თესლ-ტომი**“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 406).

მ. ხორენაცი ჩამოთვლის ქართულ ქვეყნებს – **ჯავახეთს, კოლბს, წოფს, ძორს, აშოცს, ტაშირს, „ჩრდილეთს“, „პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს“, ბასიანს**, მათ რიცხვში, ჩანს, ის პონტო-კაპადოკიასაც მიიჩნევდა, რადგანაც პონტო-კაპადოკიისა და მისი დედაქალაქის მაჟაქის მმართველად ქართველთა სამთავრო სახლის შვილი მიჰრდატი იქნა დანიშნული – სომხეთის მეფე ტიგრანმა „მიჰრდატს მიანდო მაჟაქი“ (იქვე, გვ. 114).

შემდგომ ტიგრანმა მას „**აღარ მისცა არც თავისი სამფლობელო, არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა**“ (იქვე, გვ. 116).

„ქართველთა ქვეყანა“ კავკასიის მთებთან მდებარე გუგარქი და დასავლეთ საქართველოა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთთან ერთად, სადაც ნაბუქოდონოსორმა ჩაასახლა ისინი, ხოლო პონტო-კაპადოკია, მართალია, სომხური ადმინისტრაციული ერთეულია მ. ხორენაცის მიხედვით, მაგრამ მისი მართვა ქართული სამთავრო სახლის წევრის მიერ, მიუთითებს, რომ

ალბათ, მ. ხორენაცის პონტო-კაპადოკიაც ქართველი ხალხით დასახლებულ მხარედ მიაჩნია და ამიტომაც მის ქართველ მმართველს რაღაც მხარდაჭერა ექნებოდა მოსახლეობის მხრიდან.

ხორენაციდან ერთი საუკუნის შემდეგ იუსტინიანეს პონტო-კაპადოკია არმენიის ადმინისტრაციულ ერთეულში შეუყვანია. ის წერს – **„იუსტინიანემ გააფართოვა მცირე არმენიის მიწები მეზობელი მხარეების ხარჯზე და მათ მიიჩნევს არმენიად, იმპერიის ნაწილ დიდი არმენიის თანასწორად“** (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 203).

მ. ხორენაცის თანახმად, როგორც ითქვა, მთელი პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთი მხარე ქართველებით იყო დასახლებული უძველესი დროიდანვე, ყოველ შემთხვევაში, ნაბუქოდონოსორის დროიდან. მაგრამ იმდენად ძლიერ შერყეულა იქაურ ქართველთა ცნობიერება აღმოსავლეთიდან შემოსული სომხური სულისკვეთებით, რომ VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიას აქ ჩამოუყალიბებია „არმენიაკონის თემი“ – ახალი ადმინისტრაციული ერთეული (იქვე).

„არმენიაკონის თემი“ განვრცობილი ყოფილა კესარია-კაპადოკიიდან შავ ზღვამდე – სინოპიდან **ფაზისამდე** და ევფრატამდე (იქვე).

აღსანიშნავია, რომ არმენიაკონის თემის სასაზღვრო მდინარე „ფაზისი“ (ფასისი) იყო არა რიონი, არამედ ჭოროხი. ხუფათი – სასაზღვრო პუნქტი ისტორიულ საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ახლოს მდებარეობდა ჭოროხთან, ანუ „ფაზისთან“, ჩანს, აქამდე აღწევდა ეს თემი.

ადონცის მიხედვით მთელ ამ მხარეებში გაძლიერებულა სომხური ელემენტი, სომხური სულისკვეთება. ის ამას ხსნის იმით, რომ ამ მხარეებში შიდა სომხეთიდან გადასახლდა სომხური მოსახლეობა. შესაძლოა, ეს მართლაც ასე მოხდა და პონტო-ზღვისპირეთში მართლაც გადასახლდნენ სომხები, მაგრამ ეს მიწა-წყალი ხომ არ იყო უკაცრიელი მხარე, იქ ხომ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა. სომხების გადასახლების გამო მათ მიატოვეს თავიანთი მიწა-წყალი? ცნობები ადასტურებს ასეთ მიგრაციას?

სომეხთა მიმართ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს შავშეთის ეპისკოპოსი მტბევარი სტეფანოზი, რომელიც წმიდა გობრონის ცხოვრებაში აღწერს იმ მძიმე სურათს, რომლიც ამ დროს ქართველებს გასჩენიათ სომეხთა მიმართ. მეორე მხრივ, გაბატონებულ სომხებსაც ჩამოუყალიბდათ აზრი ქართველთა შესახებ – მათი აზრით, ქართველები, როგორც მდაბალი და დაჩაგრული ფენა, „უგუნურები“ არიან. მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი **XIII საუკუნისა ვარდან არეველცი ქართველებს „უგუნურებს“ უწოდებს, მიუხედავად დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წარმატებისა, – „ის ძლიერ ზრუნავდა უგუნურ ქართველ ხალხზე“** (ვ. არეველცი, მსოფლიო ისტორია, თბ., 2002, გვ. 140).

ქართველები შავი ზღვისპირსა და შიდა მხარეებში იმყოფებოდნენ ბიზანტიელთა და არაბთა ხელქვეშ, ორივე დამპყრობლის ეპოქაში ისინი იყვნენ **პასიური, ინერტული, შესაბამისად, უუნარო და „უგუნური“, რომელიც აქტიური და უნარიანი სომხური მხარის მიერ დენაციონალიზაციის პროცესში იმყოფებოდა (კარგავდა ეროვნულ ვინაობას და თვითშემეცნებას).**

ქართველები, როგორც მონოფიზიტები, ისე ქალკედონიტები სომხური ეკლესიის წიაღში სომხურენოვნები ხდებოდნენ. ეს პოლიტიკური ბედუკუღმართობის შედეგი იყო.

საბედნიეროდ, კლარჯეთ-შავშეთში და შემდეგ ტაოშიც ქართველობამ, უცხო პოლიტიკური უღლისაგან გათავისუფლებისთანავე, გაიცნობიერა დენაციონალიზაციის საფრთხე და შესაბამისი შეფასებაც მიეცა სომხურ სულიერ მპყრობელობას, რომელიც პოლიტიკურზე უფრო მძიმეა – „რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითაა სავსე“ (სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი, წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი, ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 175). ქართველები თვლიდნენ, რომ სომხების ქმედება, რომელიც ქართველთა დენაციონალიზაციისაკენ იყო მიმართული, ბოროტებას წარმოადგენდა, ამიტომაც წერდა ქართველი ეპისკოპოსი – „სცოდა ბოროტი დიდმან სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქვა იერემია, „სიტყვითა გმობისათა შეაწუხეს სული წმიდა და საქმითა ბილწებისათა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი“ (იქვე, გვ. 174).

სომეხთა, ანუ უფრო ზუსტად, სომეხ-ქალკედონიტთა თუ სომეხ-მონოფიზიტ საეკლესიო მესვეურთა სულიერი ძალადობა – უწყალოებად და უყვარულობად ფასდებოდა ქართველ ეპისკოპოსთა მიერ. ასე აფასებდა მათ არსენ დიდი კათალიკოსი წიგნში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“ და ეპისკოპოსი სტეფანე (მტბევარი) ნაშრომში „წამება წმიდისა გობრონისი“ – „უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტეისი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა“ (იქვე).

რა იგულისხმება სიტყვებში „მისთვის ქრისტე ცუდად მოკვდა“. ესაა ისეთი კაცი თუ საზოგადოება, რომლისთვისაც აშკარა ფაქტი, ჭეშმარიტება – არაფერს ნიშნავს, რომელიც რეალობას სიცრუით ამრუდებს. ასეთნი ყოფილა არა მხოლოდ სტეფანე მტბევარის აზრი, ასევე სხვა მისი თანამედროვის აზრით, ზოგიერთი სომეხი იერარქი და სწავლული.

სომეხ სწავლულთა ნაწილის მიერ იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები და გრიგოლ ბაკურიანის ძე სომხებად ცხადდებიან, თუმცა კი ეს ქართველი მოღვაწეები სხვადასხვაგვარი ხერხით და მინიშნებით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ წერდნენ, რომ ისინი არიან ნათესავით (ე.ი. ეთნიკური) ქართველები გვარ-ტომობით, შთამომავლობით, სულისკვეთებით, ცხოვრების წესით, ამასთანავე, ისინი გმობდნენ სომეხთა თუ ბერძენთა ძალადობას ქართველთა მიმართ.

სომეხ-ქალკედონიტთა იერარქიული დამოკიდებულება იმპერიის ეკლესიასთან (VI–VIII სს.)

ნ. ადონცი წერს, რომ სპარსეთს და ბიზანტიას შორის გაყოფილ სომხეთში წარმოიქმნა სხვადასხვა იერარქიული დამოკიდებულება.

კესარიაში შემდგარი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, წმიდა ბასილი დიდის ეპოქაში, ბიზანტიური სომხეთის ეპისკოპოსთა კურთხევა უთუოდ უნდა მომხდარიყო კესარიის სამიტროპოლიტოში. ხოლო სპარსულ სომხეთში სომხურმა ეკლესიამ მიიღო ეროვნული საეკლესიო ხასიათი იმით, რომ იქ ჩამოყალიბდა საკათალიკოსო – იერარქიულად დამოუკიდებელი ავტონომიური სისტემა.

ბიზანტიაზე საეკლესიო დაქვემდებარება გაღრმავდა VI-VII სს-ში.

იმპერიას შეუერთდა შიდასომხეთიც. შემოღებული წესის მიხედვით, აქაური სომხური საეპისკოპოსოებიც დამოკიდებულნი გახდნენ იმპერიის ეკლესიაზე იმით, რომ მისგან (ე.ი. ბიზანტიური სამიტროპოლიტოებიდან) იღებდნენ კურთხევას (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში. 1908, რუს. ენაზე. გვ. 364). კერძოდ კი, მახლობელი უმაღლესი ტახტისაგან (წინა საუკუნეებში ასეთი იყო კესარიის ეკლესია), შესაბამისად, დასავლეთ და შუა სომხეთის საეპისკოპოსოები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს (იქვე).

არაბების შემოსევის შედეგად, რაც ბიზანტიის იმპერიამ დაკარგა გავლენა სომხეთის შუა ნაწილზე, და, ნაწილობრივ დასავლეთ სომხეთზე (რომელშიც ეთნიკურად ქართველთა პროვინციებიც შედიოდა), სომხური ეროვნული (მონოფიზიტური) ეკლესია არაბთა ხელშეწყობით თანდათან გაძლიერდა და მისი იერარქიული ავტონომიურობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ბიზანტიამ VIII ს-სათვის თანდათანობით შეძლო არაბების მიერ დაპყრობილი მიწების გათავისუფლება და კვლავ მოითხოვა ძველი იერარქიული დამოკიდებულების განახლება, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, 726 წლის მანასკერტის კრებაზე გაიმარჯვა სომხურ-ეროვნულმა საეკლესიო მიმართულებამ, ამის შედეგად იქამდე სომხურ-ქალკედონური ეკლესიები უარს ამბობდნენ ბიზანტიასთან იერარქიული დამოკიდებულების განახლებაზე და უერთდებოდნენ სომხურ-ეროვნულ ეკლესიას, ანუ სომხურ საკათალიკოსოს.

ამ საყოველთაო, სომხურ-ეროვნულ ეკლესიასთან დაბრუნების პროცესს თავი აარიდეს ბიზანტიის სომხეთის არასომხურმა ქალკედონიტურმა ეპარქიებმა, კერძოდ კი, ქართველი მრევლის საეპისკოპოსოებმა.

იმჟამინდელი სომხეთის ეთნიკურად ქართველი მრევლის ერთი ნაწილი ტაო, ბასიანი და სხვ. ახალ ვითარებაში შეუერთდა არა სომხურ, არამედ ქართულ, მათთვის ეროვნულ, ეკლესიას, იმავდროულად, საქართველოს მოშორებით მცხოვრები ბიზანტიური სომხეთის ქართველი მრევლის უმეტესმა

ნაწილმა უმჯობესად მიიჩნია ბერძნულში დარჩენა და კატეგორიულად არ შევიდა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში.

მიზეზი ამისა ის იყო, რომ ქართული ეკლესიის ძალა ვერ წვდებოდა მათ არეალს – საცხოვრებელ ოლქს, რომელსაც ბერძნები „ლაზიკის ქვეყანას“ უწოდებდნენ. ისინი იყვნენ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტის იურისდიქციის ქვეშ. სომხები მათ ამჟამად „სომეხ-ქალკედონიტებს“ უწოდებენ და სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ნაწილად მიიჩნევენ. სინამდვილეში კი ისინი, როგორც ითქვა, იყვნენ ეთნიკურად ქართველი ქალკედონიტები, ზოგჯერ სომხური ლიტურგიკული ენით, ოღონდ კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ (როგორც აღინიშნა, სომხური ეროვნული ეკლესია მონოფიზიტობას მიემხრო).

სომხურ-ქალკედონური ეპარქიები ლაზიკაში

ე.წ. „სომეხი-ქალკედონიტები“ ლაზიკას უკავშირდებიან. ქართული ისტორიოგრაფიის ორი გადაუჭრელი და, ამასთანავე, საკვანძო საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა. პირველია ე.წ. სომხურ-ქალკედონური ეპარქიების საკითხი, მეორე კი არის ის, თუ სად მდებარეობდა ლაზიკა.

ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისით, ლაზიკა დასავლეთ საქართველოს ერქვა, მაგრამ ნოტიციების მიხედვით, „ლაზიკის“ ეპარქიაში მდებარეობდა პაიპერტის, ლერიონის, ბიზანის, ოლნუტის და სხვა საეპისკოპოსოები (იხ. გეორგიკა, IV, ნაკვეთი II, 1952, გვ. 185, ნოტიციები Xა და III).

აღნიშნული საეპისკოპოსოების ადგილმდებარეობის საკითხი განხილულია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ სტატიაში „სომეხი-ქალკედონიტები“ და მათი ადგილმდებარეობა იქვე დართულ რუკაზეა დატანილი (იხ. П. Э., 2001, ტ. III, გვ. 328). ამ რუკიდან ჩანს, რომ ლერიონის, ბიზანას, ოლნუტის და პაიპერტის (ბაიბერდის) და სხვა საეპისკოპოსოები მოქცეული იყო ტრაპეზუნტ-ვანის ტბის შემაერთებელ გზაზე, კერძოდ, ტრაპეზუნტ-გიუმიშხანე-არზრუმ-მანასკერტ-ვანის ტბის შემაერთებელ გზაზე. ამ ქვეყანას სომხები უწოდებდნენ „დასავლეთ არმენიას“, ამიტომაც თანამედროვე სომეხ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საეპისკოპოსოები იყო ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ კათედრები. ამ ქვეყანას ნოტიციებში ეწოდება „ლაზიკა“. ესაა ისტორიული ჭანიკა (ჭანეთი), ასევე, ბასიანის ზოლი, ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, უძველეს ხანაშივე ქართველთა მოდგმის ტომების საცხოვრისი.

ასე რომ, „ლაზიკა“, ბერძნული საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით, ამ დროს ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ჭანეთ-ბასიანის მხარეს, ამჟამად, საკმაოდ დაშორებულს საქართველოდან, ამიტომაც ამ ერთიან ეკონომიკურ და, შეიძლება ითქვას, ერთიან გეოგრაფიულ არეალზე თანამედროვე ქართველებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ ისტორიულად, როგორც ბერძნული ნოტიციების მითითება აჩვენებს, ეს ყოფილა ქართველებით დასახლებული ქვეყანა, რომლის საეპისკოპოსოებიც

ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს, მას ბერძნები ეკლესიურად „ლაზიკას“ უწოდებდნენ. თუმცა ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ეს მხარე, ბიზანტიური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, „არმენიად“ იწოდებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის მოსახლეობა, ეთნიკური ლაზები და იბერები, მრევლი ე.წ. სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოებისა, იყვნენ არა „სომეხი-ქალკედონიტები“, არამედ ეთნიკური „ლაზები“ და იბერები.

წმიდა ნერსე იშხნელი

ნერსე იშხნელის შესახებ მისი ეპოქის სხვადასხვა ავტორი წერდა, ესენია:

„დავით და ტარიჭანის ცხოვრების“ ავტორი, რომელმაც აღწერა VII ს-ის ამბები, ის ნერსე იშხნელს „წმიდას“ უწოდებს.

„იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისასა, ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისა, ...ხევსა ბასიანისასა, დაბასა ონკომ“ (საქ. სამოციქ. ეკლ. ისტორია, 2009, გვ. 531).

ბასიანიდან დედა და შვილები „წარმოივლტოდა ჩრდილოით კერძო ქვეყანად ტავოისა“ „**ნერსე სრბით მიიწია დივრის**“.

„ეუწყა საქმე ესე წმიდასა მამასა ჩვენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხითისასა“ (გვ. 698).

ვალაშკერტში ნერსე სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერტეცის ცნობით, აქ X ს-ში „იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 24).

არსენ საფარელი წერს – „**ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა ნერსე იშხნელი. კაცი ღირსი და მართლმორწმუნე**“ (სსეი, გვ. 378).

გიორგი მერჩულე – „**ნებითა ღვთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულისა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისისა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო**“ (იქვე, გვ. 459).

ქართული წყაროები ნერსეს უწოდებენ – „წმიდას“, „ნეტარს“, „ღირსს“ და „მართლმორწმუნეს“.

იმპერატორი კონსტანს II მე-7 საუკუნის შუა წლებში აკონტროლებდა სომხეთს და ცდილობდა სომხური ეკლესიის ქალკედონური ფრთის გაძლიერებას. სომეხთა კათალიკოსი ნერსე III ტაოელი (641-661) იყო მისი მოძღვარი, ძალზე დაახლოებული სასულიერო პირი ბიზანტიის ამ იმპერატორისა, რომელიც თავის მოძღვრისათვის არ იშურებდა სახსრებს. კონსტანს II-ის სახსრებით ნერსე ტაოელმა ააშენა ცნობილი ზვარტნოცის ტაძარი წმიდა გრიგოლის სახელზე (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში, 2008, გვ. 40).

სომეხ ისტორიკოს სებეოსის ცნობით სომეხთა კათალიკოსი ნერსე სოფელ იშხნიდან იყო წარმოშობით, ახალგაზრდობაში შეისწავლა რომაელთა ენა და მწერლობა, რადგანაც ბიზანტიაში აღიზარდა, შევიდა სამხედრო სამსახურში, გაეცნო მრავალ ქვეყანას, იყო მართლმადიდებელი ქალკედონიტი, მაგრამ თავის ამ სარწმუნოებას უმალავდა სომხებს. სომხეთში მიაღწია საეპისკოპოსო ხარისხს და მიწვეულ იქნა საპატრიარქო ტახტზე (იქვე, გვ. 41).

661 წელს კათალიკოსმა ნერსემ დაასრულა ზვარტნოცის ტაძრის მშენებლობა და მის კურთხევას დაესწრო იმპერატორი კონსტანს II, ამ ტაძრის მშენებლობა 20 წელს გაგრძელდა.

ვალაშკერტში ნერსეს მიერ აგებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ წერს ნ. ადონცი. როგორც ითქვა, ვალაშკერტში ნერსეს სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერცის ცნობით, აქ X ს-ში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“ (ნ. ადონცი, გვ. 24).

ვ. გოილაძის ვარაუდით, სომეხთა კათალიკოსი ნერსე შესაძლოა ყოფილიყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42).

გიორგი მერჩულეს ცნობით, ნერსეს ტაოში – იშხნის ეკლესია აუშენებია, რომელიც შემდეგ არაბთა შემოსევების დროს დაქვრივებულა (იქვე, გვ. 43).

რა იძლევა საფუძველს იმისა, რომ ვივარაუდოთ ნერსე იშხნელის, სომეხთა კათალიკოსის, ეთნიკური ქართველობა?

ამის მიზეზი მრავალია, ერთ-ერთია ის, რომ ე.წ. სომეხთა და ქართველთა განყოფის შემდეგაც სომხურ ეკლესიაში მრავალი ეთნიკურად არასომეხი ეთნოსი იყო გაერთიანებული (მაგალითად, ეთნიკური ალბანელები სომხურ ეკლესიაში ძლიერ ფრთას ქმნიდნენ). ამ გაყოფის შემდეგაც სომხური ეკლესიის ერთგულ მრევლს VII ს-სათვის წარმოადგენდნენ ტაოელი, ბასიანელი, სპერელი და თეოდოსიოპოლელი ქართველები, იმ ეპოქაში მათი საცხოვრებელი არე (ე.ი. ტაო, ბასიანი, სპერი და თეოდოსიოპოლის მხარეები) იწოდებოდა „ივერიად“ (IX-X სს-ში) და არა აღმოსავლეთ საქართველო.

საქმე ის იყო, რომ აფხაზთა სამეფოს გაფართოების შედეგად IX-X საუკუნეებში, რაც აფხაზთა სამეფომ თავისი საზღვრები მიიტანა თბილისამდე, შიდა ქართლი მის ნაწილად, ე.ი. „აფხაზეთად“ იქცა, ამავე დროს თბილისის საამიროს ერთ დიდ ნაწილში (ქვემო ქართლში) ე.წ. „სომეხთა სამეფო“ (ტაშირ-ძორაკერტისა) ჩამოყალიბდა. მაშასადამე, შესაბამისად, ამ მხარეს სომხითი ეწოდა, ხოლო თბილისის აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა კახეთის საქორეპისკოპოსო.

შესაბამისად, IX-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველო, პოლიტიკური თვალსაზრისით, „აფხაზეთად“, „სომხითად“ და „კახეთად“ იწოდებოდა, ხოლო ივერია ანუ „ქართველთა ქვეყანა“ იმ ეპოქაში ტაო-ბასიან-სპერ-თეოდოსოპოლისს ერქვა.

ამ პოლიტიკურმა ტერმინოლოგიამ ასახვა პოვა ბიზანტიაში. კერძოდ, კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარმა „იბერიის თემი“ უწოდა სწორედ ტაო-სპერ-ბასიან-თეოდოსიოპოლისს, ხოლო იმავე ეპოქის ბიზანტიელი ისტორიკოსები იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ „საქართველოს სამეფოს“ ვუწო-

დებთ, უწოდებდნენ არა ივერიას, არამედ „აფხაზეთს“, მის მეფეებს კი „აფხაზთა მეფეებს“.

მაშასადამე, იმ ეპოქაში იმჟამინდელ საქართველოს ერქვა „აფხაზთა სამეფო“, ხოლო „ივერია“ ეწოდებოდა ტაო-ბასიან-სპერსა და თეოდოსიოპოლისის ოლქს.

როგორც ითქვა, იქამდეც, ე.ი. VII და VIII საუკუნეებში, იბერები (ე.ი. ტაო-ბასიან-სპერელები) და ალბანელები სომხური ეკლესიის მრევლად ითვლებოდნენ.

სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ალბანელები ისევე, როგორც იბერები, ცხადია, არ იყვნენ ეთნიკური სომხები. სომხეთში მცხოვრები იბერების ეთნიკურ ქართველობაში მხოლოდ პატკანოვ-მარის მომხრე ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შეჰქონდათ ეჭვი XX ს-ში.

VIII ს. შუა წლებამდე ტაო იყო იბერიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, თუმცა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მხოლოდ ნერსე კათალიკოსის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ, თანდათანობით გაუჩნდათ ტაოელებს სურვილი გასულიყვნენ სომხური ეკლესიის წიაღიდან და შეერთებოდნენ თავიანთი ეთნიკური თანამოძმეების, ე.ი. ქართველების ეკლესიას.

საბაბი ამისა იყო ის, რომ მანასკერტის კრებამ დაგმო ქალკედონიტობა და აღიარა მონოფიზიტობა.

ეს კარგი საბაბი იყო ტაოელი ქართველებისათვის მხურვალედ შეენარჩუნებინათ ქალკედონიტური სარწმუნოება და ქართული ეკლესიის წიაღს შეერთებოდნენ.

მაშასადამე, **„განყოფა“ სომხური და ქართული ეკლესიებისა, რომელიც კირიონის დროს დაიწყო გუგარქში, დასრულდა VIII ს-ის 20-50-იან წლებში ტაოსა და ბასიანში.**

კირიონის ეპოქაში „განყოფის“ პირველმა ეტაპმა მოიცვა მხოლოდ ქვემო ქართლი, ე.ი. გუგარქის ვრცელი ქვეყნის ერთი ნაწილი, ხოლო განყოფის II ეტაპმა VIII ს-ში მოიცვა ტაო, ბასიანი და ივერიის ვრცელი მხარეები არაქსამდე, ევფრატის სათავეებამდე, არზრუმამდე და შეიძლება ვანის ტბამდეც კი, რადგანაც ეს ვრცელი მხარეები იბერების ბუნებრივ საცხოვრისს წარმოადგენდა ქრისტეშობამდეც. ამის ახსნა შემდეგია – ზოგადად, როგორც მრავალჯერ ითქვა, იბერია ანუ „იბერიის თემი“ მოიცავდა ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალს ანუ ტაო-კლარჯეთ-ბასიან-კარინ-ვანანდს. ეს იყო ყოფილი ე.წ. „დიდი იბერიის“ ის ნაწილი, რომელიც, სტრაბონის ცნობით, არმენიამ წაართვა იბერიას. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე II ს-ში.

იქამდეც, ძვ. წ. IV-III სს-ში აზონის მამის (იარედოსის) ეპოქაშიც, ჩანს, შემოჭრილი სომხების სამხედრო წარმატებამ არიან-ქართლში აიძულა აზონი ახალი პოლიტიკური ცენტრი ეძებნა უფრო ჩრდილოეთით – თანამედროვე საქართველოში.

მართალია, შემდეგ ამ მხარეებს, ანუ არიან-ქართლის ერთ ნაწილს, დასავლეთ არმენია უწოდეს, მაგრამ იქ დარჩენილა ძველი იბერების დიდი ნაწი-

ლი, რომელთაც შეძლეს და შემდგომში, ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, ტაოს ანუ „ქართველთა სამეფო“ დააარსეს.

ხელსაყრელი მომენტის დადგომისას აღნიშნულ „სომხეთის მიწა-წყალზე“ ტაოში ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“, რომელიც სწრაფად გაიზარდა.

აქედან ჩანს, რომ სინამდვილეში, VII-VIII საუკუნეებშიც დიდი დაპირისპირება იყო ე.წ. დასავლეთ სომხეთის ქართველებსა და შიდა სომხეთის სომხებს შორის. ამან ასახვა პოვა სხვადასხვა ცნობაში. მაგალითად, როცა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანს II ნერსე კათალიკოსის მიწვევით მივიდა სომხეთში ზვარტნოცის ტაძრის კურთხევაზე მონაწილეობის მისაღებად, ის ჯერ, გზის შესაბამისად, შევიდა თეოდოსიოპოლში (კარინში). აქ მასთან შესახვედრად მივიდნენ ამ ქალაქის ირგვლივ მდებარე ივერთა მიწების დიდებულები, კერძოდ, „სპერელები, ბაგრატუნი თავადები, დიდებულები ტაოსა და ბასიანის პროვინციიდან, ასევე სხვა მხარეთა დიდებულები ჯარებითა და თავიანთი ნათესავებით. იმპერატორთან შესახვედრად ტაოდან ჩავიდა კათალიკოსი ნერსეც“ (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44).

იმპერატორის ირგვლივ შეიკრიბნენ ბიზანტიელთა მიერ „სომხეთად“ სახელდებული ქვეყნის ქართველი დიდებულები, რომელთაც, როგორც ჩანს, მტრობდნენ სომეხი დიდებულები, ეს მტრობა გამოიხატებოდა სხვადასხვა სახით, მაგალითად, იმპერატორთან მისული ქართველები სომხეთის იმ სარდლის მხარეს იყვნენ, რომელსაც მხარდაჭერა არ ჰქონდა თანამემამულე სომხების მხრიდან, მაგრამ, როცა მან ეს მხარდაჭერა მოიპოვა, მას ქართველები განუდგნენ (იგულისხმება სარდალი თეოდოროს რშტუნი).

მაშასადამე, სომხეთში მნიშვნელოვან თანამდებობებზე ქართველები და სომხები ერთმანეთს ედავებოდნენ.

სომხეთში სომეხთა და ქართველთა ურთიერთქიშპი გადაიზარდა სარწმუნოებრივ ურთიერთბრძოლაში, რაც ბოლოს დასრულდა საეკლესიო განხეთქილებით – ტაოელებმა და საერთოდ **სომხეთის ქართველებმა, როგორც ითქვა, შეინარჩუნეს ქალკედონიტობა, ხოლო ეთნიკური სომხები, მათ შორის ქალკედონიტებიც (ერთი ნაწილი), შეუერთდნენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას**.

სომხეთის ქართველებისა და ეთნიკური სომხების ამ მტრობა-დავის დროს ნერსე კათალიკოსის მხარეს ყოველთვის ქართველები იდგნენ.

მაგალითად, აღმოსავლეთში თავისი ერთ-ერთი ყოფნისას იმპერატორმა ანგარიში გაუწია სომეხ დიდებულებს (რომელნიც ძალზე დიდ ძალას წარმოადგენდნენ) და თანამდებობიდან გადააყენა თეოდოროს რშტუნი (რომლის მოკავშირეები იყვნენ ქართველები და ალბანელები).

კონსტანს II-მ სომხეთის ცხენოსანი ჯარის სარდლად დანიშნა მუშელ მამიკონიანი, ამავე დროს, საგანგებო მაცნეები გააგზავნა იბერიასა, ალბანეთსა და სივნიეთში, რათა მათ თეოდოსოს რშტუნთან კავშირი გაეწყვიტათ (იქვე, გვ. 44).

კონსტანს II ამ დროს შეჩერდა ქ. დვინში, კათალიკოს ნერსეს სახლში.

ნერსე III-მ ისარგებლა ამ მომენტით, მოიწვია საეკლესიო კრება და გამოაცხადა თავისი ქალკედონიტური რწმენა, მართალია, იმპერატორის იქ ყოფნისას ზოგიერთმა სომეხმა თავი შეიკავა, მაგრამ უმეტესი ნაწილი აღშფოთდა.

ამის გამო შეშფოთებული ნერსე III თან გაჰყვა დვინიდან უკან დაბრუნებულ იმპერატორს.

ნერსემ თავი შეაფარა ტაოს, სადაც მისი დამცველები იყვნენ ტაოელი ქართველები.

სებეოსის თხრობით, ნერსეს ქალკედონიტობით აღშფოთდა სომხეთის ჯარი, მათ მიემხრო თეოდოროს რშტუნი, მიიღო არაბებისაგან დამხმარე ძალა, დაიწყო ომი ბიზანტიელთა წინააღმდეგ და აიღო ტრაპიზონი.

როგორც ითქვა, კათალიკოსი ნერსე იმპერატორთან ერთად გამგზავრებულა კონსტანტინოპოლში, დაბრუნდა უკან ტაოში და იქ დარჩა თეოდოსოს რშტუნის გარდაცვალებამდე.

6-წლიანი დევნის შემდეგ ქართველებისა და იმპერატორის შეწევნით ნერსე კვლავ ავიდა სომხეთის საპატრიარქო ტახტზე და დაამთავრა ზვარტნოცის ქალკედონიტური ტაძრის მშენებლობა, რომლის კურთხევასაც იმპერატორი დაესწრო („ისტორია ეპისკოპოს სებეოსისა“ (რუსულ ენაზე), ერევანი, 1939, გვ. 119-127). სომეხ მონოფიზიტებს ეს ტაძარი უცხოდ, არაეროვნულად მიაჩნდათ.

მაშასადამე, ნერსე ტაოელს მტრობდნენ სომეხი დიდებულები და ის იმჟამინდელი სომხეთის ქართველების მხარდაჭერით სარგებლობდა. მის დროს სომხეთის მრავალმა ეთნიკურმა ქართველმა აღიარა ქალკედონიტობა ტაოს გარეთაც.

როგორც ითქვა, ტაოში ნერსეს, კერძოდ იშხანში, ეპისკოპოსობისას VII ს-ის 30-იან წლებში აუგია იშხნის იმჟამად მრგვალი ტაძარი (ბანასა და ზვარტნოცის ტიპისა).

საერთოდ, როგორც ავანის, ისე ზვარტნოცის ქალკედონიტური და სხვა ქალკედონიტური ტაძრები სომხეთის ქართველთა თავშესაფარს, მათი ეთნოიდენტობის სადგურებს წარმოადგენდა. სომხურ ეკლესიაში თავიანთი ყოფნის დროს ქართველები ცდილობდნენ საეკლესიო არქიტექტურითაც განსხვავებული ყოფილიყვნენ ეთნიკური სომხებისაგან.

ქალკედონიტური ტაძრები ავანისა და ზვარტნოცისა წარმოადგენდა სომხეთში მცხოვრები ქართველების საეკლესიო თვითგამოყოფის, ეთნოიდენტობის წარმოჩინების ნიშან-ტაძრებს, ამიტომაც უწოდებდნენ ზვარტნოცის მშენებელ ნერსეს ქართველები „წმიდას“.

ნერსეს გარდა ქალკედონიტური სარწმუნოება სომხეთის სხვა კათალიკოსებსაც ჰქონდათ, მაგრამ ქართველ მამებს ისინი წმიდათა რიგში არ შეუყვანიათ, მათგან ნერსე გამორჩეული იყო თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ის ქართველი იყო ტაოელთა მსგავსად და ამიტომაც მუდამ დაცული და პატივცემული თანამემამულეების (ე.ი. სომხეთში მცხოვრები ქართველების) მიერ.

სომეხ-ქართველთა დავის ეპოქაში მცხოვრები არსენ საფარელი, გიორგი მერჩულე, დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და სხვები წმიდას და „ღვთის კაცს“ არ უწოდებდნენ სომეხთა არაქართველ კათალიკოსს.

არსენ საფარელის ცნობით, საკათალიკოსო ტახტზე ნერსე „**ღვთის ნებით**“ ავიდა, ის იყო „**ღირსი და მართლმორწმუნე**“, ხოლო გიორგი მერჩულე მას „**ნეტარს“** უწოდებს. უფრო მეტად განადიდებს მათ დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და უწოდებს „**ჩვენს წმიდა მამას**“.

სომხეთში, როგორც აღინიშნა, IV-VIII სს-ში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა. მათ შორის, ჩვენთვის ცნობილია კირიონ კათალიკოსი – სომხეთის ცენტრალური ნაწილის, აირარატის ეპისკოპოსი, მოსე გუგარქელ ქართველთა ეპისკოპოსი (თუმცა მონოფიზიტი), წმიდა გრიგორის ცხოვრების არაბულად მთარგმნელი და ალბათ სხვებიც, რომელთაც მომავალი მკვლევრები გამოავლენენ.

სომხურ ეკლესიაში შემდგომშიც, კერძოდ, XVII-XVIII სს-შიც, უამრავი ქართველი მონოფიზიტი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რაც ჩანს მატენადარანში დაცული მათი ქართულენოვანი წერილებიდან, ზოგიერთის ქართული გვარიც ცნობილია. ერთ-ერთი ასეთია სომხურ ეკლესიაში დროებით მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი, ცნობილი არქიმანდრიტი იოანე ხელაშვილი. იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ აღწერილი აქვს ასეთი ამბავი: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით ანუ ქართველთა უმოქმედობითა და უთავბოლობით ისე აღშფოთდა იოანე ხელაშვილი, რომ მან დატოვა ქართული ეკლესია და გადავიდა სომხურ ეკლესიაში. მაშინვე, ერთ-ერთ სომხურ მონასტერში მას გაუჩინეს ულუფა და მისცეს თავისი სენაკი, სადაც მის ლოცვას აღწერს კიდეც მწერალი (იოანე ბატონიშვილი), შემდგომ იოანე ხელაშვილი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ეკლესიას. ასე რომ, **ქართველები IV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით მრავლად იღვწოდნენ სომხურ ეკლესიაში**.

როგორც ითქვა, VII-VIII სს-ში სომხურ ეკლესიაში გაერთიანებული იყო რამდენიმე ქართული თემი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაოა. მხოლოდ ქართველთა თვითშემეცნების გამოღვიძების შემდეგ დაუბრუნდა ეს მხარე დედასამშობლოს ეკლესიურადაც.

ვფიქრობ, არზრუმ-ლაზისტანის ქართველთა ეთნიკური თვითგამოღვიძების პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა, კერძოდ, ქრისტიანი ლაზები XVI-XIX საუკუნეებში შეერივნენ „ურუმებსა“ და „რომეოსებს“ (ბერძნებს), ხოლო მაჰმადიანი ლაზები – ოსმალო-თურქებს. შესაძლოა, თვითშემეცნების გამოღვიძების შემთხვევაში ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ეთნოიდენტობას.

გუგარქელი, ტაოელი, ვანანდელი და არზრუმელი აზნაურები სომხური ეკლესიის წინააღმდეგ

მკვიდრი მოსახლეობის თვალსაზრისსა და ნებას, როგორც წესი, შუა საუკუნეებში გამოხატავდა მოსახლეობის თავისუფალი ფენა, ანუ აზნაურები. დაბალი ფენა – გლეხები უუფლებონი და ძირითადად უიდენტონი იყვნენ. აზნაურები – მეპატრონენი იყვნენ და ქვეყნის ეთნიკურ სახესაც წარმოაჩენდნენ.

საბედნიეროდ, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით, გუგარქში სომხური ეკლესიის გაძლიერებისას, მის აგრესიულ სურვილს თავის მრევლად გადაექცია ქართული მოსახლეობა, წინ აღუდგა მკვიდრი აზნაურობა ანუ **გუგარქელმა აზნაურებმა ქართულ ეკლესიას დაუჭირეს მხარი კირიონ კათალიკოსის დროს** (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II).

თუ არა მათი (მკვიდრი აზნაურების) მხარდაჭერა, სომხური ეკლესიის შემოტევას იმჟამად დასუსტებული ქართული ეკლესია ვერ დაუპირისპირდებოდა.

ქართული ეკლესიის დასუსტება კი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი სპარსეთის შაჰების პროსომხურმა მიკერძოებამ, კერძოდ, მათმა მონოფიზიტურმა საეკლესიო ორიენტაციამ.

სპარსელები ქართული ეკლესიის დიოფიზიტიზმს პრობიზანტიურ ორიენტაციად მიიჩნევდნენ და დევნიდნენ.

როცა მავრიკე კეისარმა შეძლო ბიზანტია-სპარსეთის საზღვრის თბილისამდე მოტანა, ამით ზურგგამაგრებულმა კირიონმა გაბედა და ნაბიჯი გადადგა გუგარქის მკვიდრ ქართველებისათვის წირვა-ლოცვის ქართულენოვნების ასაღორძინებლად, რამაც სასტიკად გააღიზიანა სომხური ეკლესია.

გუგარქი კირიონის სამწყსო იყო. ამ **ქვეყნის ნამდვილი მფლობელები კი, როგორც ითქვა, მკვიდრი აზნაურობა**, ამიტომაც სომეხთა კათალიკოსმა საგანგებო ეპისტოლით მიმართა გუგარქის აზნაურებს მხარი დაეჭირათ სომხური ეკლესიისათვის, კირიონის ნების საწინააღმდეგოდ იქაური მოსე კვლავ ეპისკოპოსად დაებრუნებინათ, ის იმჟამად თავს სომხეთს აფარებდა. სწორედ ამ **გადამწყვეტ მომენტში გუგარქელმა აზნაურებმა მხარი დაუჭირეს ქართულ ეკლესიას,** რითაც ძლიერ განაწყენდა სომეხი კათალიკოსი. „ჩვენ ეს სარწმუნოებაც გვაქვს და ეგეც, თუ უნდა მოსე ეპისკოპოსს, მოვიდეს და კირიონს დაემორჩილოს“, ასეთი იყო გუგარქელ აზნაურთა პასუხი. იხ. სსეი, I ეპისტოლეთა წიგნის მოკლე შინაარსი. აქედან კარგად ჩანს მათი ეთნიკური ვინაობა – ისინი საეკლესიო მთლიანობას ანუ ქართული ეკლესიის გაუბზარველობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სომეხი კათალიკოსის მოწოდებას.

ლასტივერტეცის თანახმად, არზრუმელმა, ტაოელმა და ბასიანელმა აზნაურებმა გუგარქელ აზნაურთა მსგავსად დაუჭირეს მხარი ქართულ ეკლესიას **(ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 44).**

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ეთნიკურ სომხურ ოლქებში აზნაურები მხარს სომხურ ეკლესიას უჭერდნენ. მაგალითად, „ეპისტოლეთა წიგნში“ კარგად ჩანს, რომ ვრკანის მარზპანი დევნიდა ქართულ ეკლესიას და მხარს უჭერდა სომხურს, ხოლო ეთნიკურ ქართულ რეგიონებში აზნაურები, როგორც ითქვა, მხარს ქართულ ეკლესიას უჭერდნენ. ამ ფაქტის კარგი გამოხატულებაა მაგალითი ტაოელ-ვანანდელ-კარელი დიდებულებისა: ბაკურიანისძეებისა, ჩორდვანელებისა, ვანანდელი აზნაურებისა, თორნიკე ერისთავისა და მისი თანამოსაგრე ქართველი დიდებულებისა – ისინი იყვნენ ერთგული მრევლი ქართული ეკლესიისა.

გუგარქელმა, ტაოელმა, ვანანდელმა და არზრუმელმა აზნაურებმა კარგად იცოდნენ, რომ **თუ ისინი მხარს დაუჭერდნენ ქართულ ეკლესიას ქვეყანა შეინარჩუნებდა ქართველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გასომხდებოდა.**

ბასიანის სოფელი ოკომი და ანისის სომხური ჯვარი

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, ბასიანი და 12 ახლო გავარი დასახლებული იყო ქართველებით, რომელნიც ებრძოდნენ სომხურ ეკლესიას. მათ ანისის სომხურ ეკლესიას ჯვრის ლურსმნები მოაძვრეს და გაიძახოდნენ „**ამ ლურსმნებისგან ცხენის ნალებს გავაკეთებთო**“. ქართველები, ავტორის აზრით, ამის გამო დაისაჯნენ ბასილი იმპერატორის ხელით.

ბასილი იმპერატორმა ქართველთა ქვეყნები და სოფლები მოაოხრა, მათ შორის იყო ბასიანის ერთ-ერთი ცენტრი ოკომი და მთელი მხარეები – „**მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები, აოხრდა მიწის სავარგულები, რომლებიც იმ მხარეში იყო, ხოლო ტყვეები წაეყვანათ ქალდიის გავარში, თვითონ კი ბასიანისაკენ გაემართა და მიაღწია ვანანდის გავარს... მეფემ ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც ასაკოვანი, არც კაცი, არც ქალი და საერთოდ არცერთი ასაკისა, ამგვარად, მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი... გადაიწვა, დაინგრა, განადგურდა, მათი პატრონები მახვილით ამოწყდნენ... ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ: ცხენებისთვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ თავს დაატყდათ უბედურება.. ვაი მეფის შეუბრალებელ ბრძანებას... გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა და დაცარიელდა. მაგრამ არ ვიცი რისთვის შეემთხვა მათ ყოველივე ეს, ჭკუის დარიგებისთვის თუ ქვეყნის**

მოსახლეობის აღვირახსნილობის გამო“ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 47).

აქედან ჩანს, რომ დაბა-ქალაქი ოკომი, ბასიანი და მის ირგვლივ 12 სხვა მხარე ქართველებით იყო დასახლებული, რომელნიც ანისის „ჯვრის ლურსმნების“ უპატივცემულობის გამო დაისაჯნენ – წერს ა. ლასტივერტეცი, ე. ი. არ იყვნენ სომხები, ამიტომაც არ სცემდნენ პატივს სომხურ ნიშნებს.

ანისის ჯვრის ლურსმნები

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, ტაოელ და ბასიანელ ქართველ აზნაურთა ჯარმა, რომელიც თან ახლდა აფხაზთა მეფე გიორგი I-ს, პატივი არ სცა ანისის ჯვარს, მისი ლურსმნები დააძვრეს და წაიღეს.

„შაჰინშად წოდებული ანისის მეფის გაგიკის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობისთვის ერთმანეთს წაეკიდნენ მისი შვილები სუმბატი და აშოტი, საჭირო შეიქმნა სასამართლო, მათთან ვითარცა მოსამართლე მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი, სუმბატს მისცა ანისის ციხე გავარებითურთ, ხოლო აშოტს ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“ (არისტაკეს ლასტივერტეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 44).

მალევე სუმბატმა გიორგი I-ის ეს სასამართლო გადაწყვეტილება დაარღვია, ამიტომაც გიორგი I კვლავ შევიდა ანისში დამნაშავის დასასჯელად. ანისიდან გამოსვლისას გიორგის მხლებლებმა გაძარცვეს საკათედრო ტაძრის მოკაზმულობა, მოგლიჯეს ჯვრის ლურსმნები და თან ლანძღვით გაიძახოდნენ „მიგვაქვს, რათა ცხენების ნალი გავაკეთოთო“ (იქვე).

არისტაკეს ლასტივერტეცი შემდგომ უფრო დაწვრილებით წერს, რომ სუმბატს ერგო ქალაქი ანისი თავისი შემოგარენით, ხოლო მის ძმას აშოტს შიდა მხარე სომხეთისა, ანუ ანისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც აღმოსავლეთით სპარსეთი, ხოლო დასავლეთის მხრიდან „საქართველო“ ესაზღვრებოდა. ამ შემთხვევაში ის საქართველოს უწოდებს ტაო-ბასიან-ვანანდ-კარინის მხარეებს, რომელთაც ბიზანტიელები ივერიას უწოდებდნენ. მაშასადამე, არისტაკეს ლასტივერტეცისათვის „საქართველოა“ არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ ამ ქალაქის დასავლეთით მდებარე ქვეყანა. მართლაც, ანისის ჩრდილოეთით თბილისის საამირო იყო, ხოლო დასავლეთით – ტაო-ბასიანის მხარეები, კარინის (არზრუმის) ველი და ვანანდის ნაწილი – საქართველოს მეფის საგამგეო ქვეყანა. ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამ ივერიას – საქართველოს შემოესია იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი, და დადგა „კარინის ფართო ველზე“, შემდეგ გადავიდა ბასიანიში და ვანანდში (ყარსის მხარეს).

ა. ლასტივერტეცის ცნობით, ბასილი ბულგართმმუსვრელმა ამ ქართული ქვეყნების, ე.ი. კარინის, ტაოს, ბასიანისა და ვანანდის „**ოთხივე მხარეს**

ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა არ დაენდოთ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც ასაკოვანი, არც კაცი და არც ქალი არცერთი ასაკისა, ამგვარად მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი... ამ დროის ბოროტმოქმედებანი: სისხლში ამოსვრილი მოხუცთა საპატიო ჭაღარა, მახვილით ამოწყვეტილი ახალგაზრდები, ურიცხვი ბრმები, რომელთაც თვალები დაუბნელეს, ვფიქრობ, ყოველივე ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ: ცხენებისათვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ თავს დაატყდათ უბედურება, რაც საზარელ სანახაობს ქმნის – აზნაური ქალები მოედანზე გამოიყვანეს, მოხადეს თავსაბურავები, ძუძუმწოვარა ყრმებს ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით და დედის რძეს ყრმების სისხლს ურევდნენ, სხვებს გზაჯვარედინებზე ცხენების ჩლიქებში აგდებდნენ და მით ხოცავდნენ... ვაი მეფის (ბიზანტიის იმპერატორის) შეუბრალებელ ბრძანებას, მაგრამ არ დაცხრა მისი რისხვა, კვლავ აღმართა ხელი, რათა ყველა ბოროტებისათვის გადაეჭარბებინა, ასეთი საქმიანობით გაუკაცრიელდა ქვეყანა, ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაცარიელდა ირგვლივ ყოველივე“ (იქვე).

ბასილმა დასაჯა ტაო-ბასიანის საქართველოს მეფის ერთგული მოსახლეობა, ეთნიკური ქართველები, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი არ აღიარებდნენ სომხურ სარწმუნოებას და ამიტომ, ლასტივერტეცის სიტყვით, შეურაცხყვეს ანისის სომხური ტაძარი. ისინი ეთნიკურად უცხონი იყვნენ ლასტივერტეცისათვის, ის ტაო-ბასიანის ვანანდის ამ ქართველებს მიიჩნევს არა თავისი ერის, არამედ სხვა ერის ნაწილად, არა „ჩვენ“ ჯგუფის იდენტური ნაწილად, არამედ სხვა „იმათი“ ერისა, ამიტომაც წერს – „**არ ვიცი რისთვის შეემთხვათ მათ ყოველივე ეს, ჭკუის დარიგებისათვის, თუ ქვეყნის მოსახლეობის აღვირახსნილობის გამო**“ (იქვე, გვ. 47).

მაშასადამე, ბასიანის, ტაოს, ვანანდისა და კარინის მოსახლეობა სომეხ ისტორიკოსს მიაჩნდა **სხვა ეთნოჯგუფად – ქართველებად, რომელნიც დაისაჯნენ აღვირახსნილი ცხოვრებისა და სომხური ანისის ეკლესიის გაძარცვის გამო**. ბასილმა სასტიკად დასაჯა ჯერ დიდი დაბა-ქალაქის ოკომის მოსახლეობა და მის გარშემო სოფლები „ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით“ (გვ. 45), შემდეგ კი 12 ვრცელი ქართული ქვეყანა ბასიანსა და მიმდებარე ქვეყნებისა.

ოლთისის (ანუ სომხურად უხტიქის) შენობები კი ოკომის სანაცვლოდ საქართველოს მეფეს გიორგის გადაუწვავს.

ოლთისის მოსახლეობის ქართველობას მიუთითებს იქვე ლასტივერტეცი – გიორგიმ „**უბრძანა ჯარებს გადაეწვათ ლამაზი ნაგებობები, იავარეყოთ მისი მთელი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყენებიათ**“ (იქვე, გვ. 45).

ხალხს რატომ არ უნდა მიაყენოს ქართველმა ჯარმა ვნება? იქნებ იმის გამო, რომ მოსახლეობა ქართულია. ნაგებობებში შენახული ქონება კი

მტერს არ უნდა გამოეყენებინა, ამ მიზეზით გადაწვა ოლთისი გიორგი მეფემ. ამ დროს, ჩანს, რამდენიმე ეკლესიაც დაიწვა, რამაც საფუძველი მისცა საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებს განეცხადებინათ, რომ თითქოსდა, **„გიორგი მეფემ გადაწვა სომხური ეკლესიები“.**

რაც შეეხება ანისის ჯვრის ლურსმნების მომენტს, ისინი დააძრვეს არა სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო, არამედ იმიტომ, რომ ლურსმნებზე ამოტვიფრული ყოფილა ანისის მფლობელის, დამნაშავე სუმბატის ნიშანი, მას დიდისდიდებით შეუმკია ეს ჯვარი ამ ნიშნებით, სუმბატის დასასჯელად შესულ ქართველთა ჯარს, ჩანს, სადაც კი უნახავს სუმბატის ნიშანი, მოუხსნია და თან წაუღია, მათ შორის ჯვრის ლურსმნებიც. **„მოგლიჯეს ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმანი**“, გასაგებად წერს მემატიანე. ვფიქრობთ, ამ საკითხშიც არასწორი იყვნენ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები, მაგალითად, ი. აბულაძე, რომელიც ოლთისის ეკლესიების გადაწვისა და ანისის ჯვართან დაკავშირებულ ამბებს ისე აღწერდა, თითქოსდა, ეს ძალადობა გამოიწვია ქართული ეკლესიის ძალადობრივმა შეჭრამ სიმხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში, ის წერს – „**ერთი ეკლესია იჭრება მეორეში, ეკლესიათა წვა და ჯვრების მსხვრევა ამას მიუთითებს“** (იხ. სსეი, შესავალი), თითქოსდა, ქართული ეკლესია შეიჭრა სომხურში, დაწვა სომხური ეკლესიები და ამათ ტაოელი და ბასიანელი სომხები **„გააქართველა**“, ასეთ ყალბ საფუძველზე აიგო ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია.

მაშასადამე, ანისის ჯვრის ლურსმნები არ მოუხსნიათ სარწმუნოებრივი განსხვავების გამო და არც ეკლესიები დაუწვავთ ამ ნიშნით. ამ მხრივ, საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების ნააზრევს ეწინააღმდეგება არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობები.

აღსანიშნავია, რომ იმპერატორმა ბასილიმ ტაო-ბასიანის ივერიის განადგურებით ფაქტობრივად ხელი შეუწყო თურქ-სელჯუკების მიერ ტაო-ბასიანვანად-კარინისა და სხვა ქვეყნების დაპყრობას, რადგანაც მან ამ ქვეყნების მკვიდრი ქართველი მოსახლეობა სასტიკად დაასუსტა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებებით, რომელთაც ლასტივერტეცი „**ბოროტმოქმედებებს**“ უწოდებს (გვ. 46).

თავი 3

„აღმოსავლეთის“ საკათალიკოსო

„ივერთა“ (ავანის) საკათალიკოსო (VII ს-ის დასაწყისი)
(„კათალიკოსნი აღმოსავალისანი“)

X-XVI სს-თა ქართულ სამყაროში „აღმოსავლეთი“ ერქვა სამხრეთ ტაო-ბასიანსა და მათ მომიჯნავე მხარეებს. წინა საუკუნეთა მსგავსად სიტყვა „აღმოსავლეთი“ ამ მნიშვნელობით გვხვდება XVI ს-ის დოკუმენტებშიც.

საქართველოს დაშლის შემდეგ სამცხელი მთავრის სეპარატიზმის გამართლების მიზნით კონსტანტინოპოლში ბერძნულ ენაზე შეიქმნა თხზულება, ე.წ. „მანუელის გარდამოცემა“. „ის ასახავს მზეჭაბუკის სულისკვეთებას – მეფობის სურვილს სამცხის მიწა-წყალზე“ (მ. ზალდასტანიშვილი, კიდევ ერთხელ ათაბაგთა განკერძოების შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2. გვ. 57).

სამცხის მთავარი იმჟამად დიდ ტერიტორიას ფლობდა **ბასიანიდან ტრაპეზუნტის რეგიონამდე**.

სეპარატისტი მთავრის დაკვეთით ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსსაც გამოუცია საგანგებო „წიგნი“. „მასში მზეჭაბუკი მოხსენებულია, როგორც „**ყოვლისა აღმოსავლეთისა** ხელმწიფე“ (ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), 1961, გვ. 96).

ორივე დოკუმენტში მზეჭაბუკს „მთელი **ზემო იბერიის** თვითმპყრობელი“ ეწოდება. მაშასადამე, დოკუმენტებში **„აღმოსავლეთის“ ქვეშ მოიაზრება – „ზემო იბერია**“ ანუ **სამცხე, ტაო და ბასიანი მიმდგომი მხარეებით ვიდრე ტრაპეზუნტის რეგიონამდე**.

ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა სიტყვა „აღმოსავლეთი“ წინა საუკუნეებშიც.

მას შემდეგ, რაც „ზემონი ქვეყანანი“ დავით კურაპალატმა თავის ქართველთა სამეფოს შეუერთა, მის პოლიტიკურ მემკვიდრეთა ტიტულატურაში გაჩნდა წოდება – „**ყოვლისა აღმოსავლეთისა** კურაპალატი“, რაც აღნიშნული ქვეყნების ფლობის მემკვიდრეობითობას მიუთითებდა. ამ ტიტულს ფლობდნენ ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV (ვ. გოილაძე, „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ წოდება, ბიზანტია, ქართული წყაროები, 2010. გვ. 129).

„აღმოსავლეთი“ ქართველთათვის, როგორც აღინიშნა, იმ პერიოდში ტაო-ბასიანის რეგიონს ერქვა, გადაშლილს ვიდრე ავანამდე, იმ ქვეყნებს, სადაც შემდგომ ბიზანტიამ დააარსა იბერიის თემი.

შესაბამისად, „აღმოსავლეთის კათალიკოსნი“ და „აღმოსავლეთს პატრიარქი“ ერქვა იმ რეგიონის ქართველ მამამთავარს, რომელიც შემდგომ **„იბერიის თემმა“ მოიცვა.**

ჯერ კიდევ კირიონ II-მ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ საქართველოს „**აღმოსავლეთის**“ პროვინციას, ანუ იმიერტაო-ბასიანსა და მიმდებარე ოლქებს ჰყავდა თავისი ქართველი კათალიკოსი. მას „**ივერთა კათალიკოსსაც**“ უწოდებდნენ, ქვეყნის სახელის შესაბამისად, ივერია კი, როგორც სომხურ, ისე ბერძნულ წყაროებში იმჟამად (VIII-X სს-ში) ტაო-ბასიანის რეგიონს ერქვა და ამიტომაც აქ XI ს-ში ბიზანტიამ „იბერის თემი“ ჩამოაყალიბა.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში, უკვე თითქმის IX საუკუნიდან, მცხეთა-თბილისის რეგიონის დასავლეთით მდებარე რეგიონს უკვე „აფხაზეთს“ მიაკუთვნებდნენ, რადგანაც შიდა ქართლი აფხაზ მეფეთა მისწრაფების რეგიონად იქცა. რაც შეეხება ტერმინ „ივერია“-ს, იმჟამად ის ტაო-ბასიანსა და მის მიმდებარე მხარეებს ერქვა.

VI ს-ის ბოლოს (VII ს-ის დასაწყისში) ავანის საკათალიკოსო სარწმუნოებრივი ნიშნით გამოეყო დვინის საკათალიკოსოს. ის თავის იურისდიქციას ძირითადად ავრცელებდა ქართველებით დასახლებულ მიწა-წყალზე, ტაო-ბასიანსა და აგრეთვე გუგარქად წოდებულ ტერიტორიაზე. გუგარქი, ქართველთა ქვეყანა, სომხური გეოგრაფიის მიხედვით ჭოროხამდე ვრცელდებოდა. ამ რეგიონს, როგორც ითქვა, ერქვა როგორც „აღმოსავლეთი“, ისე „ივერია“, მას „ქართველები“ აღმოსავლეთს უწოდებენ, უცხოელები კი „ივერიას“. **ეს ოლქები, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე იყო მიტაცებული და სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა VI-VII საუკუნეებში, ავანის საკათალიკოსოს არსებობისას, რომელიც მალევე გააუქმეს.**

იქაური ქართველობა იმჟამად სომხური კულტურისა და ეკლესიის გავლენის ქვეშ იყო, თუმცა ეთნიკურ-ეროვნული (ქართული) იდენტობა ბოლომდე დაკარგული არ ჰქონდათ. ავანის, ვითარცა ქართველთა კონსოლიდაციის ცენტრის, დაკნინების შემდეგ ქართველთა უმთავრეს რეგიონად ტაო გადაიქცა.

ავანის საკათალიკოსო, რომ დასცლოდა, ასევე მიიღებდა საეკლესიო და კულტურული საჭიროებისათვის ქართულ ენასაც. იგი მალევე გააუქმა სომხურმა ეკლესიამ. ავანის საკათალიკოსოში ტაო-ბასიან-აირარატი მოიაზრება.

შემდგომში, როგორც აღინიშნა, იქ დაწყებული საქმე მაინც გაგრძელდა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, გუგარქის მსგავსად, ტაოსა და ბასიანის ქართველობამ თანდათანობით აღიდგინა ქართულენოვნება, ანუ თუკი იქამდე მათი წირვა-ლოცვისა და ლიტერატურის ენა იყო სომხური, ახლა ის უარყოფილ იქნა და მის ნაცვლად მოსახლეობამ ქართულენოვნება დაიბრუნა საეკლესიო საჭიროებისას (ე.ი. მათი საშინაო-საოჯახო (ქართული) ენა ახლა უკვე საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალებად, კულტურის ენად იქცა).

„იბერიელი“ იოანე ბაგარანელის დელეგაცია ანტიოქიაში და მისი ტაძარი ავანში

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ივერია მდებარეობდა არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ მის დასავლეთით, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მისი პერიოდის სომხურ საისტორიო გეოგრაფიაში „ივერია“ ძირითადად ერქვა ტაოსა და ბასიანს.

VI ს-ში „ივერთა მთავარი“ ტაოს მფლობელს ერქვა.

რაც შეეხება შიდა ქართლისა და ანისის ჩრდილოეთის რეგიონს, VII-X სს-ში, არაბთა შემოსევების შემდეგ, ანისის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ოფიციალურად ეწოდებოდა არა „ივერია“, არამედ თბილისის საამირო და ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, ხოლო შიდა ქართლი სადავო ქვეყნად იყო აფხაზეთის, კახეთის, სომხეთისა და თბილისის საამირო-სამთავროთა შორის.

ამ დროსაც **სახელი „ივერია“ (ძველებურადვე) ერქვა ტაოს მიწაწყალს (ბასიანთან ერთად) და ტაოს მომიჯნავე მხარეებსაც, ანისის დასავლეთით**.

ამ მიზეზის გამო, როგორც აღინიშნა, XI ს-ში იმიერტაოს სამეფოს მიწაწყალს ბიზანტიელებმა მისი დაპყრობის შემდეგ „ივერიის თემი“ უწოდეს და მასში ანისიც შეიყვანეს.

ბიზანტიელები „ივერიას“ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქამდეც უწოდებდნენ ტაოს ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებს.

X ს-ში აღნიშნული იმპერატორის ცნობით ივერიელებს არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები ეკუთვნოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს საუბრობს ამის შესახებ.

მაშასადამე, არაქსის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნები, სადაც მდებარეობდა თვით დედაქალაქებიც კი სომხური ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაინც „ივერიად“ იწოდებოდა და ეს სახელწოდება (ივერია) ამ მხარეებისათვის არ იყო უსაფუძვლო:

ამის მიზეზი იყო ის, რომ როგორც მრავალგზის აღინიშნა, ისტორიულადაც ივერიელებით დასახლებული მიწები ძვ.წ. II საუკუნისათვის, სტრაბონის ცნობით, არმენიამ მიიტაცა. სტრაბონის ხორძენა სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ.

სომხური ეკლესიის ჩამოყალიბების შემდეგ აღნიშნულ მხარეების არმენიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი.

ჩანს, **ამ მიზეზის გამო ავანის საკათალიკოსო გამოეყო სომხური ეკლესიის მთავარ ცენტრს – დვინს**.

ამ გამოყოფის მიზეზად მიიჩნევა სარწმუნოებრივი მომენტი, მაგრამ მას უფრო მეტად ეთნიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

კერძოდ, **588 წლიდან (სხვა აზრით 591 წლიდან) ძველ სოფელ ავანში (თანამედროვე ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რეზიდენცია დაიდო არმენიის მართლმადიდებელმა (ქალკედონიტმა) პატრიარქმა.**

მიიჩნევა, რომ ამას საფუძველი დაუდო იმპერატორ მავრიკეს (582-602) საზავო ხელშეკრულებამ სპარსეთთან, რის შედეგადაც ავანი და ტაო ბიზანტიის იმპერიაში მოექცა.

ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო საფუძველი (და არა მიზეზი), რამაც გააბედინა ადგილობრივ, მეტწილად ქართული წარმოშობის ტაოელ-ბასიანელ და ავანელ მოსახლეობასა და სამღვდელოებას მიეღოთ იმ სარწმუნოებრივი მიმართულების საპირისპირო აღმსარებლობა, რომელსაც დვინის სომხური საკათალიკოსო აღიარებდა.

ცნობილი კანონისტი კარტაშევი თავის წიგნში „საეკლესიო კრებები" (პარიზი, 1963, რუს. ენაზე) წერს, რომ VI საუკუნეში ეგვიპტელებმა, სირიელებმა და სომხებმა მონოფიზიტური აღმსარებლობა ძირითადად მიიღეს არა სარწმუნოებრივი, არამედ ეთნიკური ნიშნის გამო. კერძოდ, მათ **სურდათ ბიზანტიის ცენტრისაგან თავიანთი ეთნიკური განსხვავებულობის სარწმუნოებრივი სახითაც გამოხატვა. ამიტომაც, როცა ბიზანტიის ცენტრმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქალკედონიტობას, პერიფერიებმა მის საპირისპიროდ – მონოფიზიტობა აღიარეს.**

თუ კარტაშევის ამ მოსაზრებას მივუსადაგებთ ეთნიკურად ისეთ რთულ რეგიონს, როგორიც იყო ტაო-ბასიან-ავანის მხარეები შეიძლება მსგავსი სურათი დავინახოთ.

ტაო და ბასიანი იყო არასომხური მხარეები, მისი მოსახლეობა „ივერებად" ძველთაგანვე იწოდებოდა, თუმცა კი სომხური საეკლესიო და ადმინისტრაციული უღელის ქვეშ. აირარატის პროვინციაშიც მრავალი მკვიდრი ქართველი ცხოვრობდა, რომელნიც მიემხრნენ ავანის ქალკედონიტ კათალიკოსს. ამის შესახებ მიუთითებს არსენ საფარელიც თავის თხზულებაში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა". ის წერს: „უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსე ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ კონსტანტინოპოლში და კვლავ გამოწვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ. ხოლო მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს: არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდი აფუებულ პურს ეწოდებოდა, თერმონს წყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელნიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ ინებეს წასვლა. ხოლო ტაოს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე. ყველამ ერთობით აღიარა ქრისტეს ჭეშმარიტი ორი ბუნება. დაწერეს ფიცი ბერძნებთან ერთობის შესახებ და წამოვიდნენ. როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეიწყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელნიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ. გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად. ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად **იოანე კოგოვიტელი (590-611).** ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კა-

თალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა (591-615), ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა (საბერძნეთის) სარწმუნოება აქვთო. ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნერსე II-ის დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც. ამ დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. სთხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა **აირარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ“** (არსენ საფარელი, განყოფისათვის... სსეი. ტ. 2).

არსენ საფარელის თხზულებიდან ჩანს, რომ ავანის კათალიკოსის იურისდიქციაში ტაოსთან ერთად **აირარატიც** შედიოდა, ამიტომაც სპარსელთა მხარდაჭერით დვინის კათალიკოსმა აბრაამმა **აირარატის** ქალკედონიტი სამღვდელოებაც დასაჯა, ამიტომაც მოუხმო აბრაამმა **აირარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: „ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ“**.

აირარატის პროვინცია, ჩანს, მიუხედავად მისი ღრმა არმენიზაციისა, მაინც განსხვავებულ ოლქად დარჩენილა, ეს უნდა ყოფილიყო ნაკვალევი იმისა, რომ სულ რამდენიმე საუკუნის წინ ის იბერთა მიწას წარმოადგენდა. ჩანს, მას (აირარატს) სტრაბონი ხორძენას უწოდებდა (იქვე).

სტრაბონის ცნობით, ხორძენა, პარიადრესა და გოგარენასთან ერთად, არმენიის მეფეებმა ძვ.წ. II საუკუნეში იბერებს წაართვეს და არმენიას შეუერთეს. რადგანაც გოგარენას სტრაბონი ათავსებდა „მტკვრის იქით“, ანუ მარცხენა სანაპიროზე, ამიტომაც ხორძენა მდებარეობდა პარიადრედან ვიდრე მტკვრამდე, ანუ შემდგომდროინდელი **აირარატი** სტრაბონის ეპოქაში ხორძენად იწოდებოდა. მისი მოსახლეობა, მიუხედავად თითქმის 500 წლოვანი არმენიზაციისა, ჩანს, კვლავ გრძნობდა თავის თავში იბერიულ საწყისებს, ამიტომაც მის რეალიზებას ცდილობდა სარწმუნოებრივ სფეროში, მიჯნავდა თავის თავს დვინის სომხურ-ნაციონალური ეკლესიიდან, რათა დაახლოებოდა მცხეთის ქართულ ეკლესიას. **ტაო-ბასიან-აირარატმა** ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე, ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით, მყისვე შექმნეს დვინის საწინააღმდეგოდ საეკლესიო ცენტრი ავანში ქალკედონიტური საკათალიკოსოს სახით, **მკვეთრად გამოხატული ქართული არქიტექტურით** აგებული ეკლესიებითა და, ასევე სხვა მრავალი ქართული ნიშნით.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რა თქმა უნდა, ავანის არქიტექტურას არ აკავშირებს ქართულთან და მიიჩნევს, რომ „მას აქვს ეჩმიაძინის, ბიზანტიური მარტირიუმების და კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის“ გავლენა („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ ტ 1. მოსკოვი, 2000, გვ. 74). ავანის „არქიტექტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მიღწევაა, მის გვერდით მდებარე სასახლესთან ერთად აგებულია 588-597 წლებში კათალიკოს იოანეს მიერ“ (იქვე).

თითქოსდა, ჯერ ის აუგიათ და შემდეგ მისი გეგმით – მცხეთის ჯვარი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ქართულ წყაროებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღო საუკუნეთა მანძილზე მცხეთის ჯვარმა (დიდმა ტაძარმა) თავისი ჩამოყალიბებული საბოლოო სახე. ავანის აგების შესახებ ასეთი ცნობები არ არსებობს.

კერძოდ, მცხეთის ბორცვზე წმინდა ნინოს მიერ ჯერ აღიმართა დიდი ზომის ჯვარი, შემდეგ კი ეს ჯვარი გუმბათით გადაახურინა რევ მეფემ IV ს-ის ბოლოს, ამავე დროს ჯვარს გარშემო გაუკეთეს „კუბო“. ანუ ის შემოსაზღვრეს კედლებით. ე.ი. მას ჰქონდა კედლებიც და სახურავიც (გუმბათი).

ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლე განსაზღვრა იმ ხემ, რომელიც მოკვეთეს წმინდა ნინოს დროს და რომლისგანაც გააკეთეს ჯვარი.

როგორც უკვე აღინიშნა, მატიანეში მოთხრობილია: **„ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და ... ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა... აუწყეს ეპისკოპოსსა ხისა მისთვის, ხოლო ეპისკოპოსმან თქვა... „მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცეს ყოველმა სიმრავლემან ქართლისამან... მოჰკვეთეს ხე იგი... მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა... სასწაულითა ზეცისათა ჩვენებით ჯვარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა და მივედით ბორცვსა მას ქვეშე... ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა... მუნ აღიმართა ჯვარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხვი და თაყვანი სცეს ჯვარს... რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტვილისა უკან, იხილეს სასწაული დიდი... სვეტი ნათლისა, სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტნი იგი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა, გარემოს მისა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს... მერე კუალად იხილნეს სხვა სასწაული ჯვარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისა, შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი ზედა დაადგრა მას და, ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღავლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღვთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა, ხოლო ბორცვი იგი იძვროდა ძლიერად... იქმნებოდეს სასწაული იგი წლითი წლად და ყოველი ერი... მოვიდოდეს თაყვანისმცემად გულსმოდგინედ. და მას ჟამსა რევის ძესა მეფისასა, ესვა ყმაწვილი მცირე და იყო სნეულ და მიწევნულ იყო სიკვდილად ... და მოიღო და დადგა იგი წინაშე ჯვარისა და ცრემლით იტყოდა: „უკუეთუ მიბოძო ყმა ესე ცოცხალი აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“ და მუნქვესვე განიკურნა ყრმა იგი... მოვიდა (რევი) აღნათქვამისა აღმასრულებლად... და გულმოდგინებით აღაშენა კუბო ჯვარისა**

მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან... გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა... ამან იწყო ეკლესია ჯვარისა პატიოსნისა და აქამომდე ჯვარი ველსა ზედა იყო და ქმნა ეკლესია წელიამდის ოდენ... გუარამ კურაპალატსა ესხნეს ძენი... სტეფანოზ და დემეტრე. ...ძმა სტეფანოზისი სახელით დემეტრე აღაშენებდა ეკლესიასა ჯვარისა პატიოსნისა, რამეთუ ესენიცა იყო მის თანა და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა" (ქ. ც., I, გვ. 120-140).

სტეფანოზი და დემეტრე ბაგრატიონები ჰერაკლე კეისარმა პროსპარსული ორიენტაციისათვის ტახტიდან გადააყენა, მათ ნაცვლად ქართლის ტახტი მისცა ადარნასე ხოსროიანს „...**მაშინ მოუწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა, ქართველთა მეფისასა ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე**".

მატიანედან ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობა დაიწყო IV ს-ის ბოლოს რევ მეფემ, მან „კუბო" ანუ კედლები და სახურავი (გუმბათი) აუშენა ჯვარს, ეს „კუბი" იყო ღია თაღებიანი ტეტრაპილონი სასანურ ე.წ ჩაჰართაღის მსგავსი. გუარამ კურაპალატის დროს VI ს-ის ბოლოს დაიწყო მისი ოდნავი გაფართოვება და კედლების ამოშენება, საბოლოოდ ეკლესიის სახე მისი შვილების დროს მიიღო. ესაა ჯვრის დიდი ტაძარი.

ჯვრის ეკლესიას უკვე მეოთხე საუკუნის ბოლოსვე ექნებოდა ჯვრის ორი ფრთის შესატყვისი კედელი, რომელმაც საბოლოოდ ტეტრაკონქის სახე მიიღო, ანუ ტეტრაკონქის მშენებლობა განსაზღვრა ტაძრის ცენტრში აღმართულმა ჯვრის ფორმამ. ეს განახორციელა გურამ კურაპალატმა, შემდგომ მისმა შვილებმა განასრულეს. გურამ კურაპალატმა ააგო ჯვრის დიდი ტაძარი, ანუ რევის „კუბს" მისცა ეკლესიის ფორმა, ტეტრაკონქის სახისა, კერძოდ, მან გეგმა მისცა ამ ნაგებობის მშენებლებს და კედლები ამოუშენა. ამჟამად, მას, შეცდომით, მცირე ტაძრის ამგებს უწოდებენ, მაგრამ გურამ კურაპალატმა დიდ ტაძარს დაუდო საფუძველი, იმით, რომ რევის კუბს კედლები ამოუშენა და გააფართოვა.

იმდენად მისაღები ყოფილა ქართული ეკლესიისათვის ჯვრის ტაძრის ფორმა, რომ უკვე VI ს-ის შუა წლებში მის შესაბამისად ააგეს **ნინოწმიდის** ეკლესია. VI ს-ის ბოლოს კვლავ აღდგა ჯვრის ტაძრის მშენებლობა, მაგრამ არა ნებისმიერი არქიტექტურით, არამედ იმ ფორმით, რომელიც ახსოვდა მოსახლეობას და ბორცვზე აღმართული ამ ჯვრისათვის უკვე ტრადიციული იყო. VII ს-ის ჯვრის ტაძრის არქიტექტურა გაიმეორეს **ჭყონდიდში.**

ასე რომ, მცხეთის ჯვრის ტაძარი საუკუნეთა მანძილზე შენდებოდა და მან თავისი არქიტექტურული სახე თანდათანობით მიიღო, ფორმა სასანიდური ჩაჰართაღისა და რომაული ტეტრაპილონისაგანაა აღებული, ასევე ქართული ხალხური არქიტექტურისაგანაა გადმოღებული.

სოფლის სახლებში მცხეთის ჯვრის გუმბათის მსგავს გუმბათებს XX ს-ის დასაწყისშიც კი აგებდნენ. მაგალითად, ის (გუმბათი) გამოყენებულია ლეჩხუმში სოფელ საირმის საცხოვრებელი სახლების გადახურვის სისტემაში.

აქედან გამომდინარე, IV-VI სს-ში ჩამოყალიბდა ჯვრის ტაძრის არქიტექტურა, რომელიც გაიმეორეს ავანის არქიტექტორებმა, რადგანაც ავანელები

ქართულ-ეთნიკური წარმომავლობის გამო ცდილობდნენ ავანის არქიტექტურაშიც ქართული ელემენტები შეეტანათ.

როგორც ითქვა – **ტაო-ბასიანს და მის მიმდებარე მიწებს – სომხებიც და ბიზანტიელებიც „ივერიას“ უწოდებდნენ**.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონის მომცველი ავანის ქალკედონური საკათალიკოსო „**ივერიის ეკლესიად**“ იწოდებოდა საერთაშორისო-საეკლესიო წრეებში.

ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქო ავანის საკათალიკოსოს და მის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს – „**ივერიის ეკლესიას**“ უწოდებდა.

ე.წ. ანტიოქიური ქრონიკების ნაწყვეტები იძლევა კიდეც ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საფუძველს – „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი უნდა ეხებოდეს ავანის ანუ ივერიელთა (ქართველთა) ქალკედონურ ეკლესიასა და ანტიოქიას შორის ურთიერთობას და არა მცხეთისა და ანტიოქიისა: „**და წარგზავნეს ანტიოქიას მონაზონი ერთი საკურთხეველად, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერღარავის ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა... ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი.. და მიუთხრეს... დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისათა** (VII ს-ის დასაწყისი) **არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრბებოდნენ ეპისკოპოსნი სიმრავლისა მისისანი და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად ... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა**“ (ქ.ც. I, გვ. 226).

„ქართლის ცხოვრების“ ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მოწყობას, ვ. გოილაძის აზრით კი, აქ გადმოცემულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების ცნობა. მისგან განსხვავებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის ქართლის ცხოვრების სხვა ჩანართი – „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (IX ს-ში).

ე.ი ზემოთ აღნიშნული პირველი ჩანართი ქართლის ცხოვრების მიხედვით არ უკავშირდება აფხაზეთს, ამიტომაც სწორი უნდა იყოს კირიონ II, რომ ეს ჩანართი უკავშირდებოდა ტაო-ბასიანის (შესაბამისად, ავანის) საეკლესიო მოწყობის საკითხს.

ჩანართში ნახსენებია „ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი“ (იქვე).

„ქართველთა“ პროვინცია ერქვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაო-ბასიანის მხარეებს და მის ირგვლივ ტერიტორიას, რომელიც დროებით არმენიაში მდებარეობდა.

ამ ჩანართში ამიტომაც განმარტავს ანტიოქიის პატრიარქი, რომ საქმე შეეხება „ქართველთა სოფლების მკვიდრთ“.

ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურადაც უფრო დალაგებულია მსჯელობა – ანასტასი ანტიოქიელი პატრიარქი თანამედროვე იყო ავანის ქალკედონიტი კათალიკოსის იოანე ბაგარანელისა, რომელიც 609 თუ 610 წელს გარდაიცვალა.

ამის შემდგომ, არაბობის შემოსევების გამო, რთული იქნებოდა ანტიოქიისა და ტაო-ავანის საეკლესიო ურთიერთობა.

ავანის კათედრა, მართლაც, უმღვდელმთავროდ დარჩა და ქალკედონიტი ეპისკოპოსები შეიერთა სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში, მაგრამ ეს მდგომარეობა, ანუ ეთნიკური მღვდელმთავრის გარეშე ყოფნა, არ აკმაყოფილებდა ტაო-ბასიანის ქართული ქალკედონიტური სოფლების მრევლს.

მათ ჩანს, სურდათ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით გამოეხსნათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან.

მაგალითად, მოღწეულია იშხნის ტაძრის მინაწერი, სადაც ადგილობრივი მღვდელმთავარი ტრაპეზუნტში ჩავიდა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაესხა მისთვის ხელი. ამით იშხნის მღვდელმთავარს სურდა თავის დახსნა სომხური იურისდიქციისაგან.

არზრუმ-თეოდოსიოპოლი, ტრადიციულად, ანტიოქიელი პატრიარქის სამწყსოს განეკუთვნებოდა და იქვე მდებარეობდა კიდეც ავანის მემკვიდრე ტაო-ბასიანის ქალკედონიტური ვრცელი ქართული სამრევლო.

იბერიის ეკლესიის პირველიერარქად ანტიოქიამ VIII ს. დასაწყისში დანიშნა ქართველი მონაზონი სახელად იოანე. ასევე, იოანე ერქვა VIII ს-ში აღდგენილ ივერიის ავტოკეფალური პირველი ეკლესიის მეთაურსაც.

ეს ნიშნეულია, რადგანაც ავანის პირველ კათალიკოსსაც იოანე ერქვა.

ასე რომ, ავანის ქალკედონიტური კათედრის წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ეთნიკური განსხვავებულობის გამო ქართული მრევლის გამოყოფა სომხური ეკლესიისგან და დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბება. ავანის ეკლესიური მემკვიდრე, მე-8 საუკუნიდან იყო ტაოს ივერთა ეკლესია.

ასეთ თვალსაზრისამდე მივალთ, თუკი აღნიშნულ ჩანართს დავუკავშირებთ სამხრეთ საქართველოს – ტაო-ბასიანის მხარეებს.

სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე – დავით III კურაპალატის ეპოქაში, მრავალი უცხოელი ავტორი ახსენებს ქართველ კათალიკოსს თუ ქართველ პატრიარქს. შესაძლოა, სამხრეთ საქართველოს ამ საეკლესიო ერთეულებს მართლაც მიანიჭა ანტიოქიამ ავტოკეფალია, შემდეგ ათასწლეულში კი ეს ცნობები მცხეთის ეკლესიას დაუკავშირეს და მიიჩნიეს მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ტაოს (იბერიის) სამეფოს ადგილზე დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაუფლების შემდეგ, როგორც ითქვა, ბიზანტიამ ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემის“ სახელწოდებით – XI ს-ს დასაწყისში.

მაშასადამე, შესაძლებელია, ავანის საკათალიკოსო უცხოელთათვის, კერძოდ კი, ანტიოქიის ქალკედონიტებისათვის წარმოადგენდა არა სომხურ, არამედ ქართველთა, ანუ „ივერიელთა“ ეკლესიას. მიზეზი ამისა იყო მისი მრევლის უმეტესი ნაწილის (ტაო-ბასიანის) ქართველობა.

როგორც ითქვა, იოანე ბაგარანელის დროს სომხურ მონოფიზიტურ ეკ-

ლესიას გამოეყო ქალკედონიტური ფრთა, რომელმაც დამოუკიდებელი საკათალიკოსო დააარსა. ისმის კითხვა: ეცდებოდა თუ არა ეს ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ანდა დაკავშირებას უცხოეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან, როგორც თავისთავადი ეკლესია?

ჩანს, ასეთი ურთიერთობა მათ დაუმყარებიათ ანტიოქიის საპატრიარქოსთან ნეტარი ანასტასი მღვდელმოწამის ზეობისას, მაგრამ შემდეგ ავანის ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა. ტაო-ბასიანის ივერიელმა მოსახლეობამ მოითხოვა კვლავ ეძებნათ თავისთავადი ეკლესიის ჩამოყალიბების გზები და მისი საერთაშორისო აღიარება.

ეს მოუხერხებიათ ანტიოქიის პატრიარქ ნეტარი თეოფილაქტეს დროს – შესაბამისად, ჩამოყალიბდა ტაო-ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის სამეფოს საეკლესიო სამამამთავრო, უკვე ქართული საეკლესიო ერთეული.

ამით იქამდე სომხურენოვანმა ავანის საკათალიკოსოს მემკვიდრე ეპარქიებმა აღიდგინეს ქართულენოვანება. მიწა-წყალს არზუმიდან ავანამდე ჩვენ ისტორიულ არიან-ქართლის ნაწილად მივიჩნევთ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ III მსოფლიო კრებაში (431 წ.) მონაწილე იბერიელი (ურჰაელი) ქართველი ეპისკოპოსი იერემია უნდა ყოფილიყო ისტორიული აქაური ანუ არიან-ქართლის მიწაზე მცხოვრები იბერიელების ეპისკოპოსი, ანუ ის შედიოდა არა მცხეთის (ქართლის) ეკლესიის, არამედ ე.წ. სპარსული ქართლის საეპისკოპოსოთა იურისდიქციაში. ეს ე.წ. სპარსული ქართლი მდებარეობდა ძირითადად არაქსის ხეობასა და ვანის ტბისაკენ მიმართულ მიწა-წყალზე. ეს იყო ქართველთა ისტორიული საცხოვრისი.

431 წელს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადებაში მონაწილე ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსი იერემია (ვ. გოილაძე, ქართლის სამეფო. ავტორეფერატი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 1998 წ., გვ. 20), როგორც მას უწოდებენ, „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი (კ. კეკელიძე, ეტიუდები I. 51, 62). წმ. გრიგოლ ფერაძის ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა „დიდაქეს“, ანუ „12 მოციქულთა მოძღვრების“ კანონიკური მწერლობის ერთ-ერთი ადრინდელი ძეგლის თარგმანი, გადაღებული 1923 წელს ვინმე ფეიქრიშვილის მიერ. ფერაძის აზრით, იგი გადათარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე V ს-ში იერემია იბერიელის მიერ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული“ (კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე V საუკუნისა, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, #9, 1928 წ. გვ. 187, 198).

„სპარსული იბერიიდან“ წარმოშობილი იერემია ქ. ურჰაში იყო გადასული სამოღვაწეოდ.

შესაძლოა, იერემია იბერიელის სამშობლო „სპარსული იბერია“ ის ტერიტორიაა, სადაც შემდგომ ავანის საკათალიკოსოს იურისდიქცია განივრცო, როგორც ვთქვით, ეს იყო იბერიელების საცხოვრისი. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აქ მრავლად ცხოვრობდნენ იბერიელები, რომელთა გამალებული არმენიზაცია მიმდინარეობდა IV-V სს-ში, მას შემდგომ, რაც ამ

მიწა-წყალზე მძლავრი სომხური ეკლესია ჩამოყალიბდა. სომხეთში მცხოვრები იბერიელები მუდამ ცდილობდნენ ეკლესიურად როგორმე გამოყოფოდნენ სომხურ ეკლესიას, რაც მხოლოდ VI ს-ის შემდგომ, საბოლოოდ კი VIII ს-დან გახდა შესაძლებელი.

მამამთავარ-პატრიარქი
დავით კურაპალატის კარზე (X ს.)

ასოღიკის ცნობით დავით კურაპალატის კარზე იყო პიროვნება პატრიარქის წოდებით. მაგალითად, 1001 წელს, როდესაც დავითის გარდაცვალების შემდეგ ბასილი II საომრად მივიდა ქართველთა ქვეყანაში, ერთ-ერთი შიდა შებრძოლების დროს დაიხოცნენ ტაოს დიდებულები, მათ შორის იყვნენ: **„დიდი მთავართმთავარი პატრიარხი, ოჩოპენტრეს ორი შვილი გაბრიელი და იოანე, აბულხაბრის შვილიშვილი ჩორდვანელი და სხვა მრავალნი“** (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 76).

ასოღიკის ცნობით გარდაცვლილი **პატრიარქი** ტაოს დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა.

იაჰია ანტიოქიელიც ასევე იძლევა ცნობას, რომ დავით კურაპალატის კარზე ნამდვილად იყო კათალიკოსი, რომელიც ამავე წრეს განეკუთვნება.

იაჰია ანტიოქიელის ცნობით, იქამდე რამდენიმე ხნით ადრე **„დამარცხებულმა დავით კურაპალატმა კათალიკოსი და დიდებულები გაგზავნა ბიზანტიაში, რათა მათ ერთგულების ფიცი მიეცათ ბასილ კეისრისათვის“** (იქვე, გვ. 307).

მაშასადამე, სხვადასხვა წყარო მიუთითებს, რომ **დავით კურაპალატის კარზე ნამდვილად იყო უმაღლესი სასულიერო პატივის მქონე პირი პატრიარქის ან კათალიკოსის წოდებით** ადგილობრივი წარმოშობისა.

ის ბასილი II-სთან მოლაპარაკებისათვის ბიზანტიაში გამგზავრებულა, ხოლო მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ტაოში შემოსულ მტერს მოუკლავს.

დავით კურაპალატის კარზე მცხეთელი კათალიკოს-პატრიარქი იმყოფებოდა თუ ადგილობრივი, ტაოში ჩამოყალიბებული ახალი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქის, ახალი ქართული საკათალიკოსოს მეთაური?

იქნებ დავით კურაპალატმა თავის სამეფოში ადმინისტრაციულად ახალი ქართული სამიტროპოლიტო ოლქი შექმნა, რომლის მეთაურსაც მამამთავრის წოდება ჰქონდა აფხაზთა სამეფოში ჩამოყალიბული აფხაზეთის კათალიკოსის მსგავსდ?

მისი მემკვიდრე ხომ არ იყო საკათალიკოსო ტახტზე ზაქარია ვალაშკერტელი? ქართული წყარო მიუთითებს, რომ ზაქარია ვალაშკერტელსაც ჰქონია **„მამამთავრის“** წოდება, რაც, როგორც ითქვა, სიტყვა **პატრიარქის** შესატყვისია და შეესაბამება სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს.

ზაქარია მამამთავარი (ისევე, როგორც 1001 წელს მოკლული ტაოელი პატრიარქი) განეკუთვნებოდა ტაოს (ანუ იბერიის) უბრწყინვალეს საგვარეულოს, კერძოდ, ზაქარია იყო გრიგოლ ბაკურიანის ბიძის თევდრატეს ნათესავი, ასევე ფერის ჯოჯიკის ძის ნათესავი.

მართლაც, წყაროები იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ დავუშვათ ვარაუდი ტაოში საკათალიკოსო (სამიტროპოლიტო)-საეკლესიო ოლქის ჩამოყალიბებისა, ამის ვარაუდს ეხმიანება ფაქტი იმისა, რომ დავით კურაპალატს თავისი სამეფო სრულყოფილი სამოხელეო სისტემით აღუჭურვია: დავით კურაპალატის კარზე იყვნენ ისეთი იშვიათი მოხელეთმთავრები, როგორიცაა – „მწერალთა მთავარი“, ან „მეგანძურთა უხუცესი“. ასევე მის სამეფო კარზე ყოფილა პირი „მთავართამთავრის“ წოდებით.

ვ. კოპალიანს გარკვეული აქვს, რომ „სომხეთის სამეფო კარზე მთავართამთავრის ტიტულს ის პირი ატარებდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე ყველა ვასალის მოქმედებაზე“ (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 34). მასვე ექვემდებარებოდნენ საგადასახადო მოხელეები, იგივე პირი ნიშნავდა ციხისთავებს. ფარნავაზის დროს ასეთი მოხელე ქართლის სამეფოში იყო სპასპეტი, მას ერისთავები ემორჩილებოდნენ. ასეთი მოხელე (მთავართამთავარი) დავით კურაპალატის კარზე ყოფილა ცნობილი დიდებული ჯოჯიკი, მას თავისი საკუთარი „მეგანძურთა უხუცესი“ – გვირპელი ჰყოლია.

ასეთი სრულყოფილი სამოხელეო იერარქიის არსებობა სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ ზაქარია ვალაშკერტელის ტიტული – „მამამთავარი“ არ იყო შემთხვევითი სახელი, რომ როგორც მთავართამთავრის მიმართ ვასალებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, ასევე ზაქარიას (ვითარცა მამამთავრის) მიმართ ეპისკოპოსებს გააჩნდათ პასუხისმგებლობა, ანუ ის ეპისკოპოსთა მთავარი, ანუ სამხრეთ ტაოს ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ოლქის მმართველი იყო. მისი წინამოსაყდრენი უნდა ყოფილიყვნენ ტაოს მეფის კარზე მყოფი პატრიარქი და კათალიკოსი, ერთ-ერთი ასეთი პატრიარქი უნდა ყოფილიყო იოანე (შესაძლოა, მისი სახელია წარწერილი X ს-ის პარხალის ეკლესიის კედელზე, ის ქართლის ანუ ივერიის პატრიარქი ყოფიდლა, ანუ ტაოს სამეფოში არსებული სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური). საფიქრებელია, რომ ბასილ II-ის მიერ მოკლული ტაოელი „პატრიარქი“ ბოლო კათალიკოსი იყო ტაოს საკათალიკოსოსი. ის 1001 წელს მოკლეს.

ტაოს სამამამთავროს საზღვრები (X ს.)

აშოტ დიდი ბაგრატიონი – ტაო-კლარჯელ ბაგრატიონთა წინაპარი – „**ნებითა ბერძენთა მეფისათა**“ ფლობდა ტერიტორიებს ვიდრე ქსნამდე, სუმბატ დავითის ძის მატიანით კი – ვიდრე ბარდვამდე.

მისი შთამომავლობა ორ სამთავრო სახლთა შორის გადანაწილდა – ტაოსა და კლარჯეთისა.

ტაოს შტო რეზიდენციად ირჩევს ბანას უკვე ადარნასე I კურაპალატის დროიდან (888-923), ის იყო პირველი „ქართველთა მეფე“ (ნარკვ. II, გვ. 455), კლარჯეთის შტო – არტანუჯის ციხესიმაგრეს.

როგორც აღინიშნა, ტაოს (ანუ ქართველთა) სამეფოც ორ ნაწილად იყოფოდა, ერთს X ს-ის მეორე ნახევარში „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II რეგვენი მართავდა, მეორეს კი დავით კურაპალატი.

საფიქრებელია, რომ ბაგრატ II რეგვენის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ წოდება დავით კურაპალატმა მიიღო, ვითარცა „საგვარეულოში უხუცესმა“, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ კი „ქართველთა მეფის“ წოდება მიიღო „უხუცესმა“ გურგენ მაგისტროსმა (ბაგრატ II-ის ძემ, ჩანს, 1001 წელს), მისგან კი მისმა შვილმა – ბაგრატ III-მ, რომელიც იქამდე უკვე იყო აფხაზთა მეფე.

ამიერტაო **ბაგრატ ქართველთა მეფეს** ეკუთვნოდა, ხოლო იმიერტაო, ჩრდილო ბასიანითურთ, თორთომი და სპერი X ს-ის 60-იანი წლებიდან **დავით დიდი კურაპალატ**ის სამფლობელოს შეადგენდა“ (ვ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 111).

იმიერტაოს სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო ისევე, როგორც ამიერტაოს სამეფო და აფხაზთა სამეფო და მას ყველაზე დიდი ძლიერების დრო დავით კურაპალატის ჟამს დაუდგა X საუკუნის მეორე ნახევარში. მისი საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი – ტაოს ეპარქია – უშუალოდ ემიჯნებოდა ლაზიკის ეპარქიას, ტაო ქართული ეკლესიის ნაწილი იყო, ხოლო ლაზიკის ეპარქია – ბიზანტიურისა.

„სამხრეთ-დასავლეთიდან **ტაოს სამეფო უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებს ემიჯნებოდა და მისი საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა“** (გეორგიკა IV, გვ. 271-272).

სამხრეთ-აღმოსავლეთით ტაოს სამეფოს თურქული მოდგმის ხალხით დასახლებული სომხეთის მიწა-წყალი ემიჯნებოდა, სადაც ამ დროს მაჰმადიანური საამიროები იყო შექმნილი.

ტაოს ქართველთა სამეფო ეკლესიურ-ეპარქიალურადაც ორ ნაწილად იყო გაყოფილი თავიანთი საკუთარი მმართველებით.

ამიერ ანუ ჩრდილოეთ ტაოში ორი უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა – იშხნისა და ბანასი, ხოლო სამხრეთ ტაომ თავისი საზღვრები ვრცლად გადასწია არაქსისა და ვანის ტბის მიმართულებით, რაც ასევე მისი მომცველი ეპარქიის საზღვრების ზრდასაც განაპირობებდა. ის თანდათანობით სამამამთავროდ ყალიბდებოდა **ქ. ვალაშკერტის კათედრის მეთაურობით**.

ტაოს სამეფოს ნაწილად იქცა ე.წ. ბიზანტიის „ზემონი ქვეყანანი“, კარინის ოლქი, იქამდე ბიზანტიასთან სადავო სამხრეთ ბასიანი, ჩორ-მაირის თემი ჭოროხის სათავეებთან, ციხე სევუკი არაქსთან, აპაპუნის პროვინცია. **ამ პროვინციებსვე მოიცავდა სამხრეთ ტაოს ქართული სამამამთავრო, რომელიც ისეთივე დამოუკიდებელ ქართულ სამიტროპოლიტო ოლქად ყალიბდებოდა დავით კურაპალატის დროს, როგორიც იყო, მაგალითად, აფხაზეთის საკათალიკოსო.**

თუკი სამხრეთ ტაოს ეპარქია ჩამოყალიბდა ვითარცა სამიტროპოლიტო ოლქი, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ტაოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, მისი საზღვრები, საეკლესიო წესების თანახმად, უნდა დამთხვეოდა კიდეც სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს.

მაშასადამე, **ტაოს სამამამთავრო მოიცავდა იმ პროვინციებს, რომელნიც შედიოდა ტაოს სამეფოში. ესენი კი, როგორც აღინიშნა, იყო თვით „ტაო, ორივე ბასიანი (ზემო და ქვემო), კარინის ოლქი არზრუმითურთ, ჩორმაირის თემი, სევუკი არაქსის სათავეებთან, ჰაქსისა და აპაპუნის პროვინცია აღმოსავლეთ ევფრატის ზემო ხეობაში** (საქ. ისტ. ნარკვევები, II, გვ. 478). მას სახელმწიფო საზღვრების გაფართოებასთან ერთად კიდევ უნდა შემატებოდა ახალი ტერიტორიები ვანის ტბის დასავლეთ სანაპირომდე.

სამიტროპოლიტო ოლქის (ანუ ქართულად სამამამთავროს) არსებობა თავისთავად გულისხმობს საეკლესიო ოლქის მეთაურ მღვდელმთავარს, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება თავისი ეპისკოპოსები. ასეთი სამამამთავრო ოლქები ქართულ ეკლესიაში კიდევ სხვებიც არსებობდა, ასეთები იყო მაგალითად, აფხაზთა საკათალიკოსო და ქართლის საკათალიკოსო. აფხაზთა საკათალიკოსოში ადგილობრივ კათალიკოსს უშუალოდ ექვემდებარეობდნენ საკუთარი ანუ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ქართლის კათალიკოსს კი – აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, შესაბამისად, კლარჯეთის საეპისკოპოსოები მცხეთელ კათალიკოსს ექვემდებარებოდა, ჩანს, ასევე გაგრძელდა შემდგომაც.

ტაოში დამოუკიდებელი სამეფოს წარმოქმნამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ ამ, ე.წ. ბიზანტიური „ზემო ქვეყნების“ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ეკლესიურად დაქვემდებარებოდა არა ბერძნულ-ბიზანტიურ ანდა სომხურ ქალკედონურ ცენტრებს, არამედ მათი სახელმწიფოს – იმიერ ანუ სამხრეთ ტაოს საეკლესიო ოლქს, რასაც საეკლესიო კანონებიც მოითხოვდა. ალბათ, ამ პოლიტიკურმა სიახლემ ჩაუყარა საფუძველი ტაოს სამამამთავროს. მისი უმთავრესი კათედრა იყო ბანაში, შემდეგ კი ვალაშკერტის საეპისკოპოსო იყო. ჩვენი კვლევით ვალაშკერტის კათედრა მდებარეობდა არა სოფელ ჩანგლში, არამედ ამჟამინდელ ქალაქ ვალაშკერტში, საერთაშორისო სავაჭრო გზაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტაოს სამამამთავრო თავისთავადი სამიტროპოლიტო ოლქის სახით არსებობდა ფრიად მცირე ხნის მანძილზე, („ზემო ქვეყნების“ ტაოს სამეფოში ყოფნის პერიოდში).

როგორც ვიცით, ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“ ბიზანტიამ დავით კურაპალატს გადასცა დაახლოებით 979-980 წლებში, ხოლო 20-22 წლის შემდეგ მისი დამოუკიდებლობა შეწყდა და ბასილი II-მ ამ მიწების ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება შეძლო. ამის შემდეგ, ცხადია, შემცირდა ტაოს საზღვრები, „ზემონი ქვეყანანი“ დაიკარგა.

უნდა ვიფიქროთ, ამ მიწების სუვერენიტეტის დაკარგვის შემდეგ მისი ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობა ბიზანტიამ ლაზიკის ეპარქიაში შეიყვანა.

ასე რომ, ალბათ, ტაოს ქართული სამამამთავრო დაახლოებით 20-22 წელი არსებობდა, ტაოს სუვერენულ სამეფოში ბასილისა თუ რომანოზ კეისრების დროს მისი მრევლის დიდი ნაწილი ლაზიკის ეპარქიაში მოექცა.

როგორც ცნობილია, ბასილი II-ის შემდეგ ლაზიკის ბერძნული ეპარქიის (ანუ სამიტროპოლიტო ოლქის) საზღვრები განივრცო ტრაპეზუნტიდან

ვიდრე ვანის ტბამდე. ტაოს ქართული სამამამთავროს ადგილი ამ მიმართულებით ბიზანტიურმა ლაზიკის ეპარქიამ დაიჭირა (იშხნის წარწერით მისი ერთ-ერთი პირველი მღვდელმთავრისათვის ხელი დაუსხამს არა მცხეთელ კათალიკოსს, არამედ ტრაპეზუნტში სტუმრად ჩასულ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ალბათ, სომხურ ეკლესიასთან დავის გამო თუ მიიჩნიეს საჭიროდ ტაოს მესვეურებმა ასეთი დემონსტრაციული ცერემონიალი, ამასვე მიუთითებს ოშკის წარწერა ბასილი II-ის მოხსენიებით).

„აღმოსავლეთის კათალიკოსნი“

რომელ ქვეყანას ერქვა ძველ საქართველოში „აღმოსავლეთი“, რომელსაც თავისთავადი საეკლესიო ხელისუფალი ჰყავდა კათალიკოსის ტიტულით?

გვხდება თუ არა წყაროებში ტიტული „აღმოსავლეთის კათალიკოსი“ ანდა „აღმოსავლეთის პატრიარქი“?

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთში პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებულია მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს (X საუკუნის 80-იან წლებში) მოხსენიებული არის „**ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე**“ (ვ. სილოგავა, პატრიარქი X ს-ის საქართველოში, გვ. 302).

ამავე პერიოდში ზაქარია ვალაშკერტელი თავის ანდერძში ახსენებს „პატრიარქ ასათს“, რომელიც ბანელი პირველიერარქი ანუ ტაოს უპირველესი მღვდელმთავარი ყოფილა ე. მეტრეველის აზრით (ე. მეტრეველი, ნარკვევი ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, 1996, გვ. 177).

აღმოსავლეთის პატრიარქის გარდა წყაროში ჩვენ გვხვდება ტიტული „**აღმოსავლეთის კათალიკოსი**“. წყაროთა მონაცემები აშკარად მიუთითებს რომ სიტყვა „აღმოსავლეთის“ ქვეშ ჩვენი წინაპრების მიერ იგულისხმებოდა ქართველი ხალხით დასახლებული „ზემონი ქვეყანანი“, ანუ სამხრეთ ტაო, ბასიანი და სხვა მიმდგომი მხარეები.

ვ.გოილაძის კვლევითაც „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ წოდება გულისხმობდა ფლობას ანდა პრეტენზიას იმ მიწებზე, რომელიც დავით კურაპალატის სამეფოში შედიოდა მისთვის ე.წ. „ზემო ქვეყნების“ გადაცემის შემდეგ (ვ. გოილაძე, ათასწლოვანი სვეტიცხოველი, 2011, გვ. 196).

ამავე ტერიტორიას მოიცავდა თავის იურისდიქციაში **„აღმოსავლეთის კათალიკოსი“** ბასილი II-ის შემოსევებამდე.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენები ცნობილი ფრაზა, რომ „**აღმოსავალისა კათალიკოსთა წმ. მირონი იერუსალიმით მოჰყვანდათ**“, გულისხმობდა არა მცხეთის ქართლის ანდა აფხაზეთის საკათალიკოსოს, არამედ იმიერტაო-ბასიან-ზემოქვეყანათა საკათალიკოსოს. ჩამოთვლილი მხარეებისაგან შედგენილ ქვეყანას ერქვა აღმოსავლეთი, რომელსაც თავისი ქართველი კათალიკოსი მართავდა. მას შეიძლება ვუწოდოთ ქართული „აღმოსავლეთი“. მაშასადამე, ტაო-ბასიანის კათალიკოსებს მოჰქონდათ წმიდა მირონი იერუსალიმიდან.

ქართველ „აღმოსავლეთის კათალიკოსებს“ მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდათ თავიანთ ეკლესიებში, ეპისკოპოს ეფრემის ღვაწლით ქართველი

„აღმოსავლეთის კათალიკოსები“ შემდგომში მირონს იღებდნენ არა იერუსალიმში, არამედ მცხეთის ქართლში, მირონის კურთხევა ქართლს განეწესა, რადგანაც ქართლია ტაო-ბასიანი და ყველა ის მხარეც, სადაც ქართულ ენაზე აღესრულება წირვა-ლოცვა.

კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა – რომელ ქვეყანას ერქვა ქართველთა სამყაროში „**აღმოსავლეთი**“?

როგორც ითქვა, უფრო მეტად ტაო-ბასიანის მხარეებსა და აგრეთვე იმ ქვეყნებს, რომელნიც დავით კურაპალატმა შემოუერთა თავის სამეფოს.

ამ ქვეყნებს ბიზანტიაში „ზემონი ქვეყანანი“ ერქვა, მაგრამ იმჟამად ჰეგემონ აფხაზთა სამეფოში მცხოვრებ ქართველთათვის ეს ქვეყნები რეალურად აღმოსავლეთში მდებარეობდა, ამიტომაც ჩანს, „აღმოსავლეთს“ უწოდებდნენ კიდეც, უფრო დასავლეთით მდებარე აფხაზთა სამეფო კი იმჟამად, თბილისის არაბთაგან პყრობის გამო, ქართული სახელმწიფოებრიობისა და შემეცნების ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ მასთან შედარებით, მის აღმოსავლეთით მდებარე მხარეს ერქვა „აღმოსავლეთი“.

აღნიშნული ქართული წყაროების გარდა, უცხოური წყაროებიც მიუთითებენ ტაოს სამეფოში პატრიარქისა და კათალიკოსის წოდების მქონე პირების შესახებ.

იაჰია ანტიოქიელისა და ასოღიკის ცნობებით მეფე დავით კურაპალატის კარზე იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირი პატრიარქისა და კათალიკოსის წოდებით. შემდგომში ვალაშკერტელ ეპისკოპოსსაც „მამამთავრის“ წოდება ჰქონდა.

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ დავით კურაპალატის სამეფოში ერთ პერიოდში ჩამოყალიბდა თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსოს მსგავსი, რომელსაც თავისი მმართველი უმაღლესი სასულიერო პირი ჰყავდა. ჩანს, სწორედ მას უწოდებდნენ ქართველები „აღმოსავლეთის საკათალიკოსოს“.

დავით კურაპალატის დროის პარხლის ეკლესიის წარწერაში ნახსენები „აღმოსავლეთის პატრიარქი იოანე“ – უნდა იყოს არა მცხეთის პატრიარქი, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფი ტაოს სამეფოს მართლმადიდებელთა მამამთავარი ანუ „პატრიარქი“. მისი სახელი იყო იოანე.

უფრო სავარაუდოა, რომ „ქართლი“ ანუ მცხეთის სამწყსო და აღნიშნული „აღმოსავლეთი“ ანუ ტაოს სამეფოს სამწყსო, ამ პერიოდში გაერთიანდა და ერთიანი მმართველობის ქვეშ მოექცა. თითქოს ამას მიუთითებს წარწერა:

როგორც ითქვა, პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებულია მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს, მოხსენიებული არის „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“. მაშასადამე, „ქართლისა და ყოველი აღმოსავლეთის“ სამწყსოები იოანეს დროს გაერთიანებულია, თუმცა ამ წარწერაში „ქართლი“ და „ყოველი აღმოსავლეთი“ შეიძლება სინონიმური მნიშვნელობითაც იხსენიებოდეს.

„მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავლეთის“ ქართულ საკათალიკოსოს ავტოკეფალობა მოუპოვებია არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ ანტიოქიიდან

VIII საუკუნეში. მისი თავისთავადობა რეალობად იქცა X საუკუნეში მეფე დავით კურაპალატის დროს და გაუქმდა XI საუკუნის დასაწყისში იმიერტაოს სამეფოს გაუქმების კვალდაკვალ ბასილი II ბულგართმმუსვრელის მიერ.

დავით კურაპალიტის სამეფოს გაუქმების შემდეგ ტაოს ანუ აღმოსავლეთის ყოფილი ეკლესიის ტერიტორია იმპერიამ ლაზიკის ეპარქიას ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს მიუერთა.

ამის შემდგომ ტაოს სამღვდელოება ზაქარია ვალაშკერტელის მეთაურობით ცდილობდა მიეღწია, რომ ყოფილი ტაოს სამეფოს მიწა-წყალზე მდებარე ეკლესიებში, რომელნიც უკვე ბიზანტიის საეკლესიო ცენტრებს ექვემდებარებოდა, წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება არა ბერძნულ, არამედ ქართულ ენაზე მაინც ყოფილიყო.

ამ იდეის აღსრულების საქმეს ემსახურებოდა ის დიდი მუშაობა, რაც გასწიეს იმჟამად ათონის წმიდა მთასა და იმპერიაში მცხოვრებმა მამებმა ბერძნულიდან ქართულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნისას. ვ. სილოგავას კვლევით დავით კურაპალატის დროს ტაოში თავისთავადი ქართული საეკლესიო ერთეული ჩამოყალიბდა, რომლის მეთაურის ძირითადი რეზიდენცია ბანაში იყო, მისი ტიტულები იყო „მამამთავართა მთავარი“ და პატრიარქი. „ტაოს მფლობელმა დავით კუროპალატმა, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ბანას ეპარქია, ბანის ეპარქიის მმართველისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა“ – წერს ვ. სილოგავა (ვ. გოილაძე, ათასწლოვანი სვეტიცხოველი, 2011, გვ. 158).

ვ. სილოგავას წყაროთა მრავალი ჩვენება უფლებას აძლევდა, ევარაუდა ტაოში თავისთავადი ეკლესიის არსებობა, თუმცა ამ ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო არა X ს-ში კონსტანტინოპოლიდან, არამედ VIII ს-ში ანტიოქიისაგან, მას ავტოკეფალობა ესაჭიროებოდა სომხური ეკლესიისაგან თავის დასაცავად. თუმცა „მეორე ივერია“ ავტოკეფალობის მიღების შემდეგ ვალდებული იყო მირონი მიეღო ანტიოქიიდან და იერუსალიმიდან. დავით კურაპალატის ეპოქაში ის ამ ვალდებულებისაგანაც გათავისუფლდა. ამის შემდეგ მირონის კურთხევა ივერიაში ანუ ქართლშივე განწესდა.

აღმოსავლეთის საკათალიკოსოს მიწა-წყალი ანუ იგივე „ზემონი ქვეყანანი“, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ VIII ს-მდე, როგორც ითქვა, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, მისგან გათავისუფლების შემდეგ ის წმ. მირონს იერუსალიმიდან იღებდა თითქმის საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ქართველი მამების მეცადინეობით IX ს-დან ახლა უკვე „ქართლს“ (ე.ი. მეორე ივერიაში) განეწესა მირონის კურთხევა, რადგანაც ეს ე.წ. „აღმოსავლეთი“ თვითონაც ქართლის ნაწილს წარმოადგენდა იქაურ ტაძრებსა და მონასტრებში გაჩაღებული ქართულენოვანი წირვა-ლოცვის გამო. პირველ ივერიაში ანუ მცხეთის ქართლში მირონი უძველესი ხანიდანვე, ამ ამბებისაგან დამოუკიდებლად, იკურთხეოდა. ტაოს ანუ ივერიის ეკლესიის პატრიარქები ყოფილან 1. იოანე; 2. ასათი; 3. სავარაუდოდ, ზაქარია ვალაშკერტელი. ასათი ერთ-ერთი შებრძოლებისას მოუკლავთ ბიზანტიელებს.

„ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“

(პარხლის მონასტრის წარწერა მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროისა)

ეფრემ მცირემ XI საუკუნის ბოლოსთვის გამოაქვეყნა ნაშრომი „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 75-76). მისმა ცნობებმა ერთგვარად გაუგებარი გახადა გიორგი მთაწმიდელის მიერ დალაგებული ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

კირიონ მეორის აზრით VIII-XI საუკუნეებში ავტოკეფალიისათვის იბრძოდა არა მცხეთის საკათალიკოსო, არამედ ე.წ. სამხრეთ ივერიის ეკლესია ანუ ტაო-ბასიანისა და მიმდებარე ოლქების მომცველი ეკლესია, რომელმაც მოიპოვა კიდეც ავტოკეფალია იმ დროს. ჩანს, ამ ავტოკეფალიას აღწერდა ეფრემ მცირე.

წმ. კირიონ მეორემ 1906 წელს გაარკვია, რომ **ეფრემის ცნობები ეხებოდა არა მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის, არამედ „მეორე ივერიის“ ეკლესიის ავტოკეფალიას.**

მეორე ივერია მდებარეობდა იქ, სადაც შემდგომ ბიზანტიამ „იბერიის თემი“ დააარსა, ის მოიცავდა მიწა-წყალს ავანიდან (ანისისა და აირარატის ნაწილის ჩათვლით) ბასიან-ტაომდე, ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალს.

ავანი ქალკედონიტური თავისთავადი ეკლესიის ცენტრი იყო VII ს-ის დასაწყისში.

ავანი პუნქტია ამჟამინდელ ერევანთან, სომხეთში.

იმ ეპოქაში, კერძოდ, VII ს-ის დასაწყისში, სპარსეთის იმპერიის სრულიად განსაკუთრებული მხარდაჭერით სომხურმა ეკლესიამ შეძლო ალბანელებისა და ტაო-ბასიან-გუგარქის იბერების ეკლესიური დამორჩილება და ისინი გადააქცია სომხური ეკლესიის მრევლად.

ამ დროს მრავალეთნიკური სომხური ეკლესიის ერთ-ერთმა იერარქმა იოანემ გაბედა და ეკლესიურად გამოეყო სომხეთის საპატრიარქოს. სომხური ეკლესია ორად გაიყო. მისი ერთ-ერთი ცენტრი გახდა აღნიშნული პუნქტი ავანი, არაქსის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ვრცელ ქვეყანაში, რომელიც ყოველთვის და მათ შორის კონსტანტინე პორფიროგენეტის დროსაც იბერებით იყო დასახლებული.

იქამდე სომხურმა ეკლესიამ სწორედ ეს იბერები ანუ ჭოროხიდან ავანამდე მცხოვრები ქართველი მოსახლეობა გადააქცია სომხური ეკლესიის მრევლად.

ავანის საკათალიკოსოს უცხოელები, ჩანს, ივერთა საკათალიკოსოს უწოდებდნენ მისი სამწყსოს ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ეს საკათალიკოსო VII საუკუნეშივე გაუქმდა, მისი მრევლის დიდი ნაწილი მალევე დაუბრუნეს სომხური ეკლესიის წიაღს, სადაც ისინი საბოლოოდ გასომხდნენ ალბანელების მსგავსად.

არა მხოლოდ ქართველები, ალბანელებიც VII ს-ში (განსაკუთრებით არაბთა შემოსევების შემდგომ) კიდევ უფრო ღრმად დაუქვემდებარეს სომეხ სასულიერო მმართველებს, მაგრამ საბედნიეროდ, ტაო-ბასიანის ქართველობამ VIII ს-ის შემდეგ, ძირითადად IX-X სს-ში გადაიგდო სომხური ეკლესიის ბატონობის უღელი და დაუბრუნდა ეროვნულ, ე.ი. ქართულ საეკლესიო წიაღს, ალბანელებმა კი ეს ვერ შეძლეს, მათი ეროვნული ეკლესია სომხურმა ეკლესიამ შთანთქა, ალბანურენოვანი წირვა-ლოცვა გაუქმდა და არმენიზებული ალბანელები უფალს სომხურ ენაზე ადიდებდნენ. სომხურენოვნება მთელ ალბანეთში განივრცო.

როგორც აღინიშნა, ივერების ანუ ქართველების ერთმა ჯგუფმა, რომლებიც ბასიანიდან ავანამდე სახლობდა, ალბანელების მსგავსად, ვეღარასოდეს შეძლო სომხური სასულიერო მმართველობის წიაღიდან თავის დაღწევა, რამაც საბოლოოდ ეს ხალხი სომხებად აქცია.

ამ პროცესს პატკანოვ-მარის გუნდი საპირისპიროდ სახავდა – თითქოსდა, ამ საუკუნეებში მიმდინარეობდა სომხების ე.წ. ქართიზაცია და ამჟამადაც მათ მიერ შემუშავებული „ქართიზაციის თეორია“ ბატონობს პოსტსაბჭოურ საისტორიო და ფილოლოგიურ სივრცეში.

ეფრემ მცირეს ეს ცნობა, რომელიც მას ანტიოქიის ქრონიკებში უნახავს, შეეხებოდა იმ ივერებს, რომელთაც VII ს-ის დასაწყისში გაბედეს და ავანის საკათალიკოსო დააარსეს სომხური ეკლესიისაგან გამოყოფის მიზნით.

ავანის კათალიკოსმა იოანემ სომხური ეკლესიისგან გამოყოფა შეძლო მხოლოდ სარწმუნოებრივი ნიშნით.

კერძოდ, ავანის კათალიკოსი იოანე მხარს უჭერდა ქალკედონიტურ აღმსარებლობას, მის იერარქებთან და მისი სამრევლოს მორწმუნეებთან ერთად მაშინ, როცა სომხური საპატრიარქო ძველებურად მონოფიზიტურ პლატფორმაზე იდგა.

ავანის კათალიკოსებმა ისიც კი მოახერხეს, რომ VII ს-ის დასაწყისში დაუკავშირდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს და მისგან მოითხოვეს აღიარება ივერიის ამ საკათალიკოსო ეკლესიის თავისუფლებისა. მაგრამ შემდგომ ავანის საკათალიკოსომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. მალე არაბები შემოესივნენ კავკასიას, სიტუაციის ერთგვარი დაწყნარების შემდეგ, დაახლოებით, VIII საუკუნისთვის აღნიშნული მხარის ივერიელების ნაწილმა, ყოფილი ავანის საკათალიკოსოს მრევლმა, კერძოდ, ტაოსა და ბასიანის ივერებმა, კვლავ შეძლეს ქალკედონიტურ ნიადაგზე განცალკევებოდნენ სომხურ საპატრიარქოს და დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქად ჩამოყალიბდნენ. ამ დროს მათ, ჩანს, გაიხსენეს ანტიოქიის საპატრიარქო და მისგან კვლავ მოითხოვეს აღიარება თავიანთი თავისთავადობისა.

აი, ეს ანტიოქიური ცნობა ჩავარდნია ხელში ეფრემ მცირეს და გამოუქვეყნებია. ის წერს – იოანე „წარგზავნეს ანტიოქიას და მისთანა მონაზონი ერთი მოციქულადცა და საკურთხეველადცა [ე.ი. VII ს-ის დასაწყისში], რამეთუ განწესებული იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა. და ვეღარავის ხელეწიფებოდა სლვად გზასა ანტიოქიისასა [არაბობის გამო]. ამისთვის დიდი ზრუნვა აქუნდა ქართველთა. ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ

პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი და მივიდეს წინაში თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა (745-751) და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსაშინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი [იგულისხმება ტაო-ბასიან-ვალაშკერტ-ავანის ივერიელები], რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასისა (602-610) მღვდელმოწამისათა არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო საზოგადო კრება და განაჩინა ბჭობითა კრებისათა, მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა რათა შეკრბებოდეს ეპისკოპოსნი სამრევლოსა მისისანი და აკურთხევდენ კათალიკოსსა ჟამითი ჟამად, რომელთაცა საღმრთომან მადლმან უჩვენოს მათ და რომელნი გამოირჩიონ და თნდეს მეფესა და ეპისკოპოსთა [იგულისხმება ტაოს მეფეები] და ერსა მოყვასთა მის ეკლესიისასა და შეუქმნა მათ აღწერილი მოსახსენებელი თავისა თვისისათვის – მუნ შემოკრებულისა კრებისათვის და ხელდასხმულ ჰყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთან მონაზონთაგან, სახელით იოანე, მის ჟამისა კათალიკოსად მათდა. ხოლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და გათავისუფლდა მათგან კათალიკოსი, რამეთუ ხელქვეით აღარ არის პატრიარქთა, აღარც აკურთხევდენ, არამედ თვისნი ეპისკოპოსნი აკურთხევდნენ, და მიერითგან განეფინა ქვეყანასა ზედა ვითარმედ გათავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქიისასა“ (ქ. ც., I, გვ. 226).

ამ ცნობაში არ იხსენიება სიტყვები „ქართლი და მცხეთა“, იხსენიება „იბერიელნი“. იბერიელები, როგორც ცნობილია, ცხოვრობენ არა მხოლოდ „ქართლში“, არამედ მის სამხრეთითაც. როგორც ითქვა, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროსაც კი მდინარე არაქსი ერთმანეთისაგან ყოფდა იბერიელებისა და ბიზანტიელთა მიწებს.

ყველა ერი ტაოს სამეფოს „იბერიას“ უწოდებდა, ხოლო მის ახლო მცხოვრებ ქართველებს იბერიელებს. ეს არეალი ანისიდან არზრუმამდე იბერიელების ისტორიული საცხოვრისი იყო, ამას მიუთითებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბიზანტიელებმა XI ს-ში სწორედ ამ მიწებზე – ანისიდან არზრუმამდე დააარსეს სახელმწიფოებრივი ერთეული „იბერიის თემის“ სახელწოდებით, ამას მიუთითებს სტრაბონის ცნობაც, რომ ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში არმენიამ იბერიელებს წაართვეს ხორძენა, გოგარენა და პარიადეს კალთები. ანტიოქიას სწორედ ტაოს, ანისსა და არზრუმს შუა მდებარე ქვეყნის ივერიელებისათვის მიუნიჭებია ნება საკუთარი მღვდელმთავრის ყოლისა, რომელიც აღარ იქნებოდა ვინმეს ხელქვეით და მიუღწევიათ შედეგებისათვის. როგორც ითქვა, იჰაია ანტიოქიელი და არისტაკეს ლასტივერტეცი ადასტურებენ ტაოს სამეფოში დავით კურაპალატის კარზე „პატრიარქისა“ და „კათალიკოსის“ ყოფნას.

რა დამოკიდებულება იყო მცხეთასა და ავანს შორის? მიუხედავად სარწმუნოებრივ-ეთნიკური მთლიანობისა, მცხეთას VII ს-ის დასაწყისში, ისევე როგორც VI ს-ში არ შეეძლო დახმარებოდა ავანს რამე საკითხის გადაჭრისას, რადგანაც თვითონვე იყო სპარსელების თუ არაბების მიერ სასტიკად დევნილი ამ დროს. ამიტომაც ავანს ანტიოქიის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა.

ავანის სამხრეთი მხარეები ოდესღაც, პირველქრისტიანთა ეპოქაში, ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა როგორც პროვინცია „აღმოსავლეთი“.

ჯერ კიდევ კირიონ კათალიკოსმა განაცხადა 1906 წელს „წინასაკრებო სასინოდო შეკრებაზე“, რომ იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ეფრემისეული ცნობა ეხებოდა არა ზოგადქართულ ეკლესიას, არამედ „აღმოსავლის“ ანუ ტაო-ბასიანის მხარეების ქართულ საეკლესიო ერთეულს.

ავანის საკათალიკოსოს დამხობის შემდეგ ივერიის ანუ ტაო-ბასიანის მხარეების ეკლესიას, ჩანს, „აღმოსავლის საკათალიკოსოს“ უწოდებდნენ, რადგანაც მას აღარ გააჩნდა გამოკვეთილი საეკლესიო ცენტრი. ეს იყო ივერებით დასახლებული ვრცელი რეგიონები, რომელთა იერარქები ზოგჯერ ვალაშკერტში, უფრო კი იშხანსა და ბანა-ოლთისში ცხოვრობდნენ.

XI ს-ის „ვალაშკერტელი მამამთავარი“ ზაქარია ერთ-ერთი ბოლო „კათალიკოსი“ უნდა ყოფილიყო ივერიის ამ მხარეებისა, რომლის პირველიერარქი ოდესღაც იყო ანტიოქიაში ნაკურთხი ზემოაღნიშნული „იოანე“.

იოანედან ზაქარიამდე ბევრჯერ ივერიის ანუ „აღმოსავლის“ (ასე ერქვა ამ ქვეყანას პოლიტიკურადაც) საკათალიკოსო ტახტი დაქვრივებული იყო. ეს ივერიელები ერთ-ერთ მათ იერარქად მოიაზრებდნენ ნერსე მაშენებელ-ქალკედონიტ კათალიკოსსაც VII ს-შივე.

მცხეთასა და „აღმოსავლის საკათალიკოსოს“ შორის ურთიერთობის საკითხი დადგა გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში.

ამ წმიდა მამის სულიერმა შვილებმა გადაწყვიტეს წმიდა მირონით გაერთიანებინათ ივერიის ორი დიდი ეკლესია – მცხეთა და „აღმოსავალი“.

მას შემდეგ, რაც 726 წლის მანასკერტის საეკლესიო კრების შემდეგ სომხური ეკლესია საბოლოოდ დაუკავშირდა მონოფიზიტობას, კვლავ აღორძინდა იდეა ივერიელების, ანუ ქართველების სომხური ეკლესიისგან გათავისუფლებისა ქალკედონური აღმსარებლობის საფუძველზე. მართლაც, ტაო-ბასიანისა და მიმდგომი მხარეების ივერიელები კიდევ ერთხელ განშორდნენ სომხეთის ეკლესიას, ტაოს სამეფოს დაარსებამ მათი მცდელობა გამარჯვებულ საქმედ აქცია – ჩამოყალიბდა „აღმოსავლის საკათალიკოსო“, ჩანს, მაშინვე დასმულა კითხვა, თუ ვისგან უნდა მიეღო მას მირონი კანონიერი გზით.

ეს რთული საკითხი იერუსალიმსა და ანტიოქიაში გადაუჭრიათ – „აღმოსავლეთის“ ივერიელები წინათ მათგან ყიდულობდნენ მირონს, მათგან მოჰქონდათ მირონი.

გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებმა ამ საქმეს სხვა, ეროვნული კუთხით შეხედეს.

მათ იბრძოლეს და ანტიოქია-იერუსალიმისაგან მიიღეს კანონიკური უფლება, რათა ამ ივერიელთა ეკლესიის „აღმოსავლისა კათალიკოსებს“ არა ანტიოქია-იერუსალიმიდან, არამედ მცხეთიდან მიეღოთ მირონი: „რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰქონდათ, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მირონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა“ (გიორგი მერჩულე).

ანუ „აღმოსავლის“ ივერიელთა ქვეყანაც „ქართლია“, რადგანაც აქ წირვა-ლოცვის ენა ქართულია და არა სომხური. შესაბამისად, მირონიც აქ ქართ-

ლიდან უნდა ყოფილიყო მიღებული. „არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება).

ეფრემ მცირესეული ცნობით, მირონის კურთხევის საქმე ასე ყოფილა: **„მირონის შესასყიდად ქართველებს ანტიოქიისათვის უნდა ეძლიათ ათასი კომლის გადასახადი.**

მცირე ხნის შემდეგ ანტიოქიამ ათასი კომლის გადასახადის ნაცვლად ითხოვა ათასი დრაჰკანი ყოველწლიურად.

მალევე ანტიოქიამ, ბერძენთა მეფის შუამავლობით, ქართველების 1000 დრაჰკანი გადასცა იერუსალიმის საპატრიარქოს, ახლა უკვე მირონის შესასყიდად თანხა ქართველებს იერუსალიმისთვის უნდა ეძლიათ“ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 2009, გვ. 509).

ეფრემის წყაროში ნახსენებია იერუსალიმის პატრიარქი ორესტი და მეფე ბასილი – VIII-X საუკუნეთა მოღვაწენი.

მაშასადამე, რეალური ვითარება, ჩანს, ასეთი ყოფილა – ავანის, ანუ ივერთა საკათალიკოსოს თავისთავადობა აღიარა ანტიოქიელმა პატრიარქმა ანასტასი მღვდელმოწამემ (602-610). არაბთა პირველი ტალღისა და 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრების შემდეგ ხელგახსნილი ქალკედონიტობის მომხრე იბერიელები მთლიანად განშორდნენ სომხურ ეკლესიასა.

ამ ივერებმა VIII ს-ის შუა წლებში ანტიოქიელი თეოფილაქტე პატრიარქისაგან მიიღეს კიდევ ერთი ახალი დადასტურება საეკლესიო თავისთავადობისა, მაგრამ ერთი პირობით – მირონი ანტიოქიაში უნდა შეეძინათ 1000 დრაჰკანის საფასურისა.

ეს თანხა შემდეგ იმპერატორმა იერუსალიმს გადასცა, ხოლო გრიგოლ ხანძთელის მონაფის ეფრემის დროს ქართველებს, იერუსალიმისავე ნებით, უფლება მიეცათ მირონი მიეღოთ მცხეთიდან, ანუ ადგილზევე ეკურთხებინათ. სახელი „იოვანე“ მემკვიდრეობით გადაეცემოდათ აღმოსავლეთის კათალიკოსებს და მათთვის ნიშნეული იყო. მაგალითად, აფხაზეთის მრავალ კათალიკოსს ერქვა სახელი იოვაკიმე, ასეთი სამემკვიდრეო სახელი აღმოსავლეთის ივერთა ეკლესიაში იყო იოანე. სახელი იოანე ერქვა ავანის პირველ კათალიკოსს იოანე ბაგარანელს, ეფრემის ცნობით, იოანე იყო VII ს-ის დასაწყისში ანტიოქიაში ნაკურთხი ივერთა კათალიკოსი. ასევე, იოანე იყო VIII ს-ში ნაკურთხი კათალიკოსი და ასევე, იოანე იხსენიება დავით კურაპალატის ეპოქის პარხლის ეკლესიის წარწერაში.

ეფრემ მცირეს შესახებ ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 403-404) წერს – „ეფრემ მცირე თავის ცნობილ გამოკვლევაში „უწყებათა მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ სხვა საკითხთა შორის იმ პრობლემასაც შეეხო „თუ ოდეს იწყეს ხელდასხმად, ვითარმედ არა თვინიერ წესისა და ბრძანებისა“. ცნობა ამ საკითხის შესახებ მას უპოვია „ხრონოგრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა“ – ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ VII ს-ის დამდეგიდან მოყოლებული VIII ს-ის შუა წლებამ-

დის ქართულ ეკლესიას და ანტიოქიის ეკლესიას შორის კავშირი შეწყვეტილი ყოფილა. ამ განცხადების თანახმად, საფიქრებელი ხდება, რომ მანამდე, VII საუკუნის დამდეგამდე, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი ხელდასხმისთვის ანტიოქიაში მიდიოდა იქაურ პატრიარქთან" (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია I, გვ. 40). ამ „ანტიოქიურ ხრონოგრაფიაში" შემდეგი ყოფილა მოთხრობილი: VIII ს-ის ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტესა (745-751) და იმპერატორ კონსტანტინე სკორის (741-775) დროს იბერიიდან ანტიოქიაში ჩასულმა ორმა მონაზონმა განაცხადა, რომ ანასტას პატრიარქის (ანასტასი II (602-610) შემდეგ მათ აღარ უკურთხებიათ იბერიის საყოველთაო ეპისკოპოსი (კათალიკოსი).

თეოფილაქტემ (745-751) მოიწვია საეპისკოპოსოთა კრება, რომელმაც გამოსცა წერილობითი ნებართვა იმისა, რომ ამის შემდეგ იბერთა ეკლესიის ეპისკოპოსების მიერვე ხელი დასხმოდა იბერთა კათოლიკოსს და იქვე აკურთხეს იბერთა ახალი კათალიკოსი.

ეს ცნობა მრავალ გაუგებრობას იწვევს მკვლევართა შორის. თუ ამ წყაროს ვენდობით თვით VIII საუკუნის შუა წლებშიც კი ქართული ეკლესია ავტოკეფალური არ ყოფილა.

სინამდვილეში კი, „ანტიოქიური ქრონოგრაფის ცნობა" ეხება არა მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას, არამედ ავან-ბასიან-ტაოს ივერთა ეკლესიას, რომელიც თავს ითავისუფლებდა სომხური ეკლესიისაგან.

უფრო ადრე, წინა წლებში, ვფიქრობდით, რომ ეს ცნობა ეხებოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ეკლესიის ისტორია, 2009, გვ. 333), მაგრამ ჩვენი ახალი კვლევა აჩვენებს, რომ ანტიოქიური ქრონოგრაფი შეეხება ავანის ანუ იბერთა საკათალიკოსოს, ე.ი ტაო-ბასიან-ვალაშკერტ-ავანის ეკლესიას. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოყვანილი ფრაზა, რომ „აღმოსავლეთისა კათალიკოსთა მირონი იერუსალიმით მოჰყვანდა" – უნდა გავიგოთ ასე, რომ მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების გარდა არსებობდა კიდევ ერთი ქართული საკათალიკოსო – „აღმოსავალის – აღმოსავლეთისა". აღმოსავლეთის ანუ ავან-ვალაშკერტ-ტაოს კათალიკოსებს ანტიოქია-იერუსალიმის საპატრიარქოსთან ჰქონიათ კავშირი, მირონსაც მათგან იღებდნენ გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ეპისკოპოს ეფრემამდე, რომლის დამსახურებითაც ანტიოქია-იერუსალიმს უცვნია „აღმოსავლეთის" ქართულ საეკლესიო სივრცეში დაბრუნება, ანუ მას უკვე წმ. მირონი მცხეთიდან უნდა მიეღო.

იშხანი – ავანი

სოფელი ავანი მდებარეობდა ერევნის ახლოს, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ამჟამად ერევნის საზღვრებშია), ხოლო დვინი – ერევნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ავანი მართლმადიდებლური სომხური ეკლესიის ცენტრი იყო, ხოლო დვინი – მონოფიზიტურისა.

588 (591) წლიდან ავანში მდებარეობდა ცენტრი ქალკედონური სომხური საკათალიკოსოსი. ის შეიქმნა იმპერატორ მავრიკეს (582-602) მხარდაჭერით, სომხეთის იმ ნაწილისთვის, რომელიც ბიზანტიის შემადგენლობაში შევიდა.

ერთადერთი კათალიკოსი ავანისა იყო იოანე ბაგარანელი (+609), სპარსთა შემოტევის შემდეგ ავანის კათედრა გააუქმეს (602-603 წწ.).

ავანის არქიტეტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის მიღწევად მიიჩნევა. მისი მთავარი ნაწილი, თუ დავუჯერებთ მის მკვლევარს არუთინოვა-ფიდანიანს, არის ჯვრის ტიპის ეკლესია (588-597), ტეტრაქონქი (მსგავსია – მცხეთის ჯვარი და რიფსიმე ეჩმიაძინში). მიიჩნევა, რომ კომპოზიციაში აქვს გავლენა ეჩმიაძინის ტაძრის არქიტექტურისა და ბიზანტიური მარტირიუმებისა (ოქტაგონებისა), ასევე კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრისა. აქ არის **ქალკედონიტი კათალიკოსის ეზრა I-ის (630-641) ბერძნულ-სომხური წარწერები, 1219 წლის „სომხებისა და ქართველების ათაბაგებისა“ ივანესი (მხარგრძელისა), 1285 წლის ქართველი დავით უფლისწულის, 1287 წ. ათაბაგ ხუტლუბუღასი, ავანის მოსახლეობა XIII ს-ის ბოლომდე მართლმადიდებლური იყო** (პრავ. ენციკლ., I, გვ. 74).

ავანი, ისევე როგორც იშხანი, მდებარეობდა მხარეში, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო არმენიზებული ქართველებით. ამიტომაც ავანისა და იშხნის „ქალკედონიტობის“ საფუძველი იყო ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, რომელიც ცდილობდა თავის ძირითად ერს – ე.ი. ქართველობას სარწმუნოებითაც დამსგავსებოდა. ასე რომ, **ავანის ქართული წარწერები და ქართული არქიტექტურა, ისე, როგორც იშხნისა – ქართული და არა სომხური მოვლენაა**. **მიმდინარეობდა არა „სომხების გაქალკედონიტება-გაქართველება“, არამედ „არმენიზებული ქართველების“ დაბრუნება „ეროვნულ-სარწმუნოებრივ“ წიაღში**.

მცხეთის ჯვრის არქიტექტურა იქმნებოდა თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე. მაგალითად, მირიანის ძემ რევმა მის ჯვარს დაადგა „გუმბადი“, რაც გაიმეორეს ალბათ შემდგომმა არქიტექტორებმა. მათ შორის ავანის არქიტექტორმა, რადგანაც მისთვის ყოველივე ქართული ქალკედონიტობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ავანს არ ჰქონდა სარწმუნოებრივი წარსული, ანუ ის არ წარმოადგენდა ქრისტიანული სიწმიდის მქონე სარწმუნოებრივ ადგილს. აქ იგულისხმება ის, რომ მცხეთის ჯვრის ისტორია წმიდა ნინოსთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, IV ს-ში ჯვრის აღმართვის შემდეგვე, მოხდა უდიდესი სასწაული, ჯვარს დაადგა დიდი ნათელი, მცხეთის მოსახლეობა ხედავდა ჯვარზე გადმოსულ ანგელოზებს, ამავე დროს მთა ირყეოდა მიწისძვრის მსგავსად და იდგა საკმევლის სუნი. ამ სასწაულმა ხელი შეუწყო ქართლის მოსახლეობის მასობრივ გაქრისტიანებას. ამ ჯვარს მიენიჭა დიდი სასწაულთმოქმედი ძალა – აღადგენდა ავადმყოფებს, აცოცხლებდა მკვდრებს – წმ. ნინოს ცხოვრების თანახმად. ყოველივე ეს ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ამ ჯვარზე არქიტექტურული ნაგებობების შენება დაიწყო IV საუკუნიდანვე, კერძოდ, მეფის ძე რევს ჯვარმა მკვდარი შვილი გაუცოცხლა. ამიტომაც მან აღასრულა თავისი აღნათქვამი ღვთისადმი და იქამდე ღია ცის ქვეშ მდებარე ჯვარი გუმბათით გადახურა. სიტყვა გუმბათს თვით წყარო ახსენებს. ჯვარზე მთხვევა და შეხება, უშუალოდ მის წინ ლოცვა – ხალხს შეეძლო, რადგან შეხებით იღებდნენ ჯვრის მადლს ანუ გუმბათით და მისი დამჭერი კედლებით ჯვარი კი არ და-

იფარა მლოცველთათვის, არამედ მასზე დაიდგა ეკლესიის მსგავსი ნაგებობა თავისი გუმბათით. გუმბათის აღმართვას კი ითხოვდა ჯვრის შთამბეჭდავი სიმაღლე. წყაროსვე ცნობით ჯვარი დაამზადეს მთელ არემარეში ყველაზე გამორჩეული ხისაგან, ასე რომ, ის მაღალი იქნებოდა და მისი გუმბათიც შესაბამისი იყო. ბუნებრივია, ქრისტიანობის განმტკიცებისა და მისი სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე აყვანის კვალდაკვალ მცხეთის ჯვარზე დადგმული არქიტექტურული ნაგებობა იხვეწებოდა, თანდათან უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ხის კედლები ქვით შეიცვლებოდა და მასზე დადგმული გუმბათის ფორმაც გაუმჯობესდებოდა. ეს პროცესი კი ორ – V და VI საუკუნეებს მოიცავდა.

ასე რომ, მცხეთის ჯვრის თავისთავადი და ორიგინალური არქიტექტურა ავანის ტაძრის აშენებამდე სამ საუკუნეს მოიცავდა და მის ფორმას სამასწლოვანი საეკლესიო ტრადიცია ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც არსენ საფარელის ცნობით, VI საუკუნის შუა წლებში ნერსე მიჯინის დროს სომხური ეკლესია განშორდა მართლმადიდებლობას, ქართული ეკლესია და შესაბამისად, მისი არქიტექტურა ქალკედონიტური სარწმუნოების სიმბოლოდაც გადაიქცა.

მაშასადამე, მცხეთის ჯვრის არქიტექტურა უკვე VI ს-ის ბოლოს ქალკედონიტობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ამ დროიდან ამ ტაძრის აღდგენა და მის ქვის ერთიან ანსამბლად გადაქცევა სამეფო ოჯახის ზრუნვის საგნად იქცა. მისი უკვე ტრადიციული ქალკედონური არქიტექტურა გაიმეორეს ავანის, მარტვილის, ნინოწმიდისა თუ რიფსიმეს ქალკედონიტმა მშენებლებმა.

ქართულ ხელნაწერებში სომხური განმარტებითი წარწერები

არმენიის მიერ იბერიის ტერიტორიების მიტაცების გამო ხორძენასა და პარიადრეს მკვიდრი იბერიული (ქართული) მოსახლეობა გაქრისტიანების შემდეგ თანდათან სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა სომხური საეკლესიო ენით.

მათმა ერთმა ნაწილმა ამის მიუხედავად შეძლო ქართული იდენტობის შენარჩუნება, **726 წლის შემდეგ არმენიის ამ ქართველებმა შეადგინეს სომხურ-ქალკედონური ეკლესიის რაოდენობრივად ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი,** ხოლო უფრო ჩრდილოეთით, ბასიან-ტაოსა და მიმდებარე მხარეების ქართველობა დედაქართული ეკლესიის მრევლად იქცა. ახლა ისინი ეკლესიებში უკვე არა სომხურ, არამედ ქართულ წირვა-ლოცვას ისმენდნენ. ყოფილ საეკლესიო სომხურენოვან ქართველთა მიერ ქართულენოვნების დაბრუნება თავის ეტაპებს მოიცავდა. არსებობს რამდენიმე საინტერესო მაგალითი:

დავით გარეჯის ერთ-ერთ მონასტერში ფრესკებზე აღმოჩნდა სომხური განმარტებითი წარწერები, მსგავსი სომხური მინაწერები აღმოაჩინა ი. აბულაძემ მიქაელ მოდრეკილის კრებულში და სხვაგანაც.

ქართული საეკლესიო კულტურის ამ ძეგლებზე აღმოჩენილმა სომხურმა განმარტებითმა წარწერებმა აღაფრთოვანა „**ქართიზაცია-გაქართველების**“ თეორიის სკოლის წარმომადგენლები, მათი თვალსაზრისით ასეთი სომხური წარწერების არსებობა ფაქტია იმისა, რომ ეთნიკური სომხები ქართველდებოდნენ.

ჩვენი აზრით, ეს ძეგლები აჩვენებს, რომ მიმდინარეობდა პირიქითა პროცესი – ყოფილი არმენიის ეთნიკური ქართველები იბრუნებდნენ ეროვნულ ანუ ქართულ-კულტურულ იდენტობას, რაც ქვემოთაა აღწერილი.

ი. აბულაძე განმარტავს, თუ როგორ „ქართველდებოდნენ“ სომხები ტაოკლარჯეთში. ის წერს, რომ ეფრემ მცირე „**წარმოშობით იმ კუთხიდან ითვლება სადაც სომხური ენა და ამ ენაზე არსებული მწერლობა მისი მოღვაწეობის ხანაზე უწინარეს ერთ დროს გავრცელებული იყო გარკვეულ წრეებში. ეს კუთხეა ტაო, სადაც საკუთარი ენით და მწერლობით არსებობდა IX საუკუნემდე სომხური მოსახლეობა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ამ საუკუნიდან დაადგა გაქართველების გზას ენითაც და კულტურითაც“** (ი. აბულაძე, შრომები. ტ. II, 1971, გვ. 115).

ი. აბულაძე ხმარობს სიტყვა „გაქართველებას“.

ი. აბულაძის სკოლის თვალსაზრისით, ტაოს სომხებმა IX-X საუკუნეებში დაივიწყეს მშობლიური სომხური ენა, რის შედეგადაც „გაქართველდნენ“. თუმცა ამ სკოლის აზრით, „გაქართველებულ“ სომხებს მაინც სცოდნიათ სომხური ენა და მწერლობა, რომელსაც იყენებდნენ კიდეც, მაგალითად, მიქაელ მოდრეკილის ნაშრომის გადაწერის დროს.

მიქაელ მოდრეკილის იადგარის გადაწერის დროს (სავარაუდოდ, 978-988 წლებში) სხვადასხვა გვერდზე საგალობელთა მუხლების უკანასკნელ სტრიქონზე, ადგილ-ადგილ მიუწერიათ სომხური სიტყვები ან ფრაზები, ე.ი. ზოგიერთ ქართულ საგალობელს მიწერილი აქვს რამდენიმე სიტყვიანი სომხური წარწერა. როგორც ვიცით, საგალობლები უამრავია, ხსენებული სომხური წარწერები კი სულ 29 დაითვალა ი. აბულაძემ (ი. აბულაძე, სომხური დიალექტური ფორმები, შრომები, ტ. II, 1976, გვ. 276).

„ეს სომხური სიტყვები ზოგიერთი ქართული საგალობლის ბოლოს მიუწერიათ მათ, ვინც გადაწერა მიქაელ მოდრეკილის იადგარი. სომხური მინაწერები განმარტავენ, თუ რომელ დღესასწაულს ეძღვნება ესა თუ ის საგალობელი. აღნიშნული 29-დან 15 მინაწერი პირდაპირ განმარტავს, თუ რომელი დღესასწაულის ქართული ტექსტია მინაწერის წინ.

მაგალითად, მინაწერი ნომერი 8, „შობაი ქრისტესი“ (სომხურად), აღნიშნავს, რომ ამ სიტყვების წინა ტექსტი ქართული საგალობელია ქრისტეშობისა.

ნომერი 11 მინაწერი, სომხურად, არის „ტრანსლიტერაცია იმავე სტრიქონზე მის წინ მდგომი ქართული სიტყვისა – „ბრწყინვალესა“.

დანარჩენი 19 მინაწერი, ამ უკანასკნელის მსგავსად, მათ წინ უშუალოდ მდგომი ქართული ტექსტის ბოლო სიტყვას გადმოსცემს, მხოლოდ არა

ტრანსლიტერაციით, არამედ თითქმის ზედმიწევნითი სომხური თარგმანით“ (იქვე, გვ. 277).

მაშასადამე, 29 მინაწერიდან 20 აშკარად წარმოადგენს განმარტებას იმისა, თუ რა ქართული საგალობელია ამ სომხური მინაწერის წინ.

მსგავსივეა დანარჩენი 9 მინაწერიც.

სომხური მინაწერების დანიშნულებაა განუმარტოს სომხური ანბანის მცოდნე მკითხველს, თუ რა სახის ქართული საგალობელია მის წინ. მაშასადამე, ზოგიერთი საგალობლის სომხური მინაწერი განუმარტავს სომხური წერა-კითხვის მცოდნეს, თუ რა სახისაა ქართული საგალობელი.

ვისთვის იყო საჭირო სომხური განმარტებითი წარწერების არსებობა?

პასუხი ასეთია: საჭირო იყო იმ ეთნიკურ ქართველთათვის, რომელთაც აინტერესებდათ ქართული საგალობლები, მაგრამ არ შეეძლოთ ქართულენოვანი ტექსტების ადვილად წაკითხვა, რადგანაც მათ სიყმაწვილიდანვე ტაოსა და ზოგიერთ მიმდებარე მხარეში შეასწავლეს არა ქართული, არამედ სომხური წერა-კითხვა და ამიტომ უჭირდათ ქართული ნაწერის წაკითხვა-გაგება.

შესაძლებელია თუ არა ყოფილიყო ასეთი მკითხველი?

დიახ, შესაძლებელია, ჩვენს ისტორიაში იყო იდენტური მაგალითები.

მაგალითად, მე პირადად მიხილავს XIX საუკუნის ქართული კონდაკები, რომლებსაც ჰქონდათ ამ კონდაკთა თავდაპირველ მეპატრონე ქართველ მღვდელთა მიერ გაკეთებული რუსული განმარტებითი მინაწერები შესრულებული მელნით ან ფანქრით.

ვისთვის იყო ისინი საჭირო? იმ ქართველი სასულიერო პირებისათვის, რომელთაც XIX საუკუნეში დაამთავრეს რუსულენოვანი სემინარია, ისწავლეს რუსული წერა-კითხვა და შემდეგ სამსახური მიიღეს ქართული სოფლების ეკლესიებში. ეს ქართველი მღვდლები გაჭირვებით კითხულობდნენ ქართულ, მით უფრო ხუცურ ტექსტებს, მათ რუსული უფრო ეხერხებოდათ, ამიტომაც, ისინი წირვა-ლოცვისას, დროის დაზოგვის მიზნით წინდაწინ რუსულ განმარტებით წარწერებს უკეთებდნენ ვრცელ ნაბეჭდ ქართულ ტექსტებს, სადაც წირვის მოქმედებათა წესები იყო გადმოცემული.

ასეთი ქართული წიგნები რუსულენოვანი მინაწერებით უამრავი იყო საბჭოთა ეპოქაში. ჩვენ, XX ს-ის ქართველი სასულიერო პირები, ათეისტურ ანუ საბჭოთა ეპოქაში, ძველ, XIX საუკუნეში ნაბეჭდ წიგნებს ვხმარობდით.

იმის გამო, რომ იმჟამად აღარ იბეჭდებოდა სასულიერი წიგნები, ჩვენ ვსარგებლობდით XIX საუკუნის ნახმარი წიგნებით. როგორც ითქვა, ისინი იმ ქართველი მღვდლებისა იყო, რომლებიც რუსული წერა-კითხვის უკეთ მცოდნენი იყვნენ ვიდრე ქართულისა რუსულენოვან სემინარიაში განსწავლის გამო.

ავტოკეფალიის აღდგენისა და ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დაკანონების შემდეგ ათეისტური ეპოქაც დადგა, ამ დროს უკვე ძველი, ნახმარი ქართული წიგნები გამოიყენებოდა, მათ კი რუსული განმარტებითი წარწერები ჰქონდა. ძველი სამღვდელოება გარუსებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მათთვის რუსული წერა-კითხვა ბუნებრივი იყო, ქართული კი შემდეგ

ნასწავლი. მათ, რუსულ სემინარიაში ნასწავლ ქართველ მღვდლებს, რთული ქართული ტექსტების წაკითხვა უჭირდათ.

კიდევ ერთი მაგალითი, ახლახან ბატონმა აკაკი ბრეგაძემ გამოსცა XIX-XX სს. ქართველ მღვდელმთავართა ქადაგებანი („მწიგნობრობა ქართული", ტ. 16, 2013), მასშია XIX ს-ის ერთ-ერთი ქართველი მღვდელმთავრის (იმჟამად არქიმანდრიტ ალექსანდრე ოქროპირიძის 1861 წლის) ჩანაწერები, რომელიც დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა. ის თავად იხდის ბოდიშს თავისი ძალზე ცუდი ქართულისათვის, ენის ცუდ ცოდნას აბრალებს რუსულ სემინარიას. მაშასადამე, ამ ქართველმა სასულიერი პირმა რუსული კარგად იცოდა, ქართული კი ცუდად. რუსულის უცოდინარს იმჟამინდელ საქართველოში მღვდელმთავრად არც დანიშნავდნენ, რადგანაც მისი ქართული ქვეყანა რუსული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ჩანს, მსგავსი ვითარება იყო IX-X საუკუნეთა ტაოში, იქამდე ეს ქართული ქვეყანა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. გათავისუფლების ეპოქაში, ანუ IX-X სს-ში, ქართველი სასულიერო პირები სომხურენოვანი სასწავლებლების დასრულების შემდეგ ქართულ წიგნებში რთავდნენ სომხურ განმარტებით წარწერებს, რადგან მათ უკვე ქართულენოვანი ლიტურგია მოეთხოვებოდათ, ამ ქართველებს კი სომხურენოვანი ქალკედონური სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული, და ალბათ, ქართულზე უკეთ სომხური წერა-კითხვა ეხერხებოდათ.

VI-VIII საუკუნეებში სომხეთში მრავალი ქართველი ცხოვრობდა და ისინი იქვე სწავლობდნენ. ერთი მაგალითია კათალიკოსი კირიონ I, ცხადია, მან სომხური ბრწყინვალედ იცოდა.

ისმის კითხვა, რომელ ენაზე იღებდნენ სწავლა-განათლებას ტაოელი ქართველები, ვთქვათ, VII საუკუნეში, როცა იქ, ტაოში, იშხანში, სომხური საეპისკოპოსო კათედრა მოქმედებდა?

ცხადია, მკვიდრი ქართველობა იყო ბუნებითი მრევლი ტაოს მართლმადიდებლური სომხური საეპისკოპოსოსი, რომლის ერთ ყველაზე ცნობილ მღვდელმთავარს, კათალიკოს ნერსე იშხნელს ნეტარად მოიხსენიებდნენ თითქმის მისი თანამედროვე ქართველი სასულიერო პირები.

ნეტარი ნერსე იშხნელი მართლმადიდებელი სომხურენოვანი იშხანის ტაძრიდან მწყსავდა ტაოელ ქართველებს სხვადასხვა კუთხის სამწყსოსთან ერთად. ასეთ ვითარებაში წირვა-ლოცვის ენა, ცხადია, იყო სომხური, ამიტომაც, შესაბამისად, მთელ ტაოს სასწავლებლებში ქართველი ყმაწვილები სწავლობდნენ არა ქართულ, არამედ სომხურ წერა-კითხვას, ემზადებოდნენ სომხურ ეკლესიაში სამოღვაწეოდ, რომელიც იმჟამად მათთვის სრულიად მისაღები იყო ამ ეკლესიის მართლმადიდებლობის გამო ისევე, როგორც XIX ს-ში ქართლ-კახეთის ქართველობისათვის თბილისის სიონის ტაძარში რუსულენოვანი წირვა-ლოცვა იყო მისაღები.

ვითარება, როგორც მრავალგზის აღინიშნა, მკვეთრად შეიცვალა 726 წლიდან, მას შემდეგ, რაც სომხური ეკლესია საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებლობას და მტკიცედ მიიღო მონოფიზიტური მრწამსი. ამ მომენტმა გამოაფხიზლა ტაოელი ქართველები და არა მარტო ისინი, საერთოდ, იქამ-

დე სომხური ეკლესიის ომფორის (იურისდიქციის) ქვეშ მოქცეული ქართველობა.

726 წლიდან დაიწყო მტკიცე ნაციონალიზაცია სომხური ეკლესიისა ანუ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის წევრი ეთნიკური სომხები შეუერთნენ მათთვის უკვე დედასომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას, ხოლო იქამდე სომხური ეკლესიის მრევლი ეთნიკური ქართველები ცდილობდნენ გამოსულიყვნენ მათთვის უკვე არაეროვნული სომხური ეკლესიიდან და მიკედლებოდნენ საკუთარს – ქართულეროვნულს.

მართლმადიდებლობის მოყვარულ ქართველებს ახლა საშუალება ეძლეოდათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დამკვიდრებულიყვნენ. მთელი ტაო – ქართულ ეკლესიად იქცა.

დედაქართულ ეკლესიასთან დაბრუნების პროცესი, როგორც ითქვა, აღმტაცი და სიხარულის მომგვრელი იყო ქართველებისათვის ორმაგად, რადგანაც ისინი უკვე როგორც ეროვნული, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები იყვნენ. მათ იქამდე ეს სიხარული აკლდათ. ჩანს, კარგად გრძნობდნენ, რომ იქამდე, VI-VIII სს-ში მართალია, იყვნენ ქართველები, მაგრამ სომხური საეკლესიო კულტურის სფეროში იმყოფებოდნენ, აღელვებდათ ის, რომ მათი მშობლიური ქართული ენა კულტურული და სახელმწიფოებრივი სფეროებიდან განდევნილი იყო, რასაც მიუთითებს, სწორედ აღნიშნული ქართველი მხარეებიდან გამოსული ქართველი ბერების მიერ ნალოლიავები და გადაწერილი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ქართული ენა წარმოჩენილია, როგორც მდაბალი, დაწუნებული და დამარხული (შენახული, მოუხმარებელი), როგორც მართლაც იყო ქართული ენა ტაოში VI-VIII სს-ში.

ერთი სიტყვით, VI-IX საუკუნეებში, ტაოდან და მიმდებარე ქართული პროვინციებიდან გამოსულმა ქართველების ნაწილმა ქართული ენა კი იცოდა, მაგრამ ნაკლებად იცოდა ქართული წერა-კითხვა, სამაგიეროდ ნასწავლი და შეთვისებული ჰქონდათ სომხური მწიგნობრობა, ამიტომაც, ჩანს, მათთვის IX და შემდგომ საუკუნეებშიც ქართულ წიგნებში რთავდნენ სომხურ განმარტებით წარწერებს, რათა ადვილად გაეგოთ შინაარსი, ანდა არსი რომელიმე ვრცელი ქართული ტექსტისა. ვთქვათ, ვრცელი საგალობლის გვერდით კეთდებოდა სომხური განმარტებითი წარწერა, რომ ესაა ამა და ამ წმიდანის საგალობელი, ანდა ამა და ამ დღესასწაულისა. ეს აადვილებდა მათთვის ღვთისმსახურებას. ჩვენ პირადად მსგავსი ქართული წიგნები რუსული განმარტებითი მინაწერებითაც გვინახავს, რაც ზემოთ აღინიშნა. ასე რომ, მსგავსი პრაქტიკა მიღებული იყო.

მსგავსია დავით გარეჯის ერთ-ერთი მონასტრის ფრესკების სომხური განმარტებითი წარწერებიც. ჰერეთელმა ქართველებმა, ტაოელი ქართველების მსგავსად, სომხური ეკლესიის უღლიდან ასევე X საუკუნეში დაიხსნეს თავი. მათ, ტაოელი თანამოძმეების მსგავსად, იცოდნენ სომხური წერა-კითხვა, რადგანაც სიყრმიდანვე ნასწავლი ჰქონდათ და ამავე დროს, აღნიშნულ გარდამავალ მომენტში ნაკლებად იცოდნენ ქართული წერა-კითხვა. ამ ეთნიკური ქართველებისათვის გაკეთდა კიდეც დავით გარეჯის ერთ-ერთი მო-

ნასტრის ფრესკებზე წარწერები. მაგალითად, ჯვარცმაზე წააწერეს სომხურად „ესაა ჯვარცმა“ და ა.შ.

საბოლოოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართიზაცია-გაქართველების“ თეორიის მომხრეების, მათ შორის ილია აბულაძისა და სხვათა ანალიზი არ ასახავს რეალობას. ამ სომხურ წარწერებს ე.წ. გარდამავალ პერიოდში აკეთებდნენ **არა გაქართველებული სომხები, არამედ სომხურენოვანი ეთნიკური ქართველები.**

მათ ქართველობას ისიც მიუთითებს, რომ ზოგიერთი სომხური წარწერა შეცდომით, არაგრამატიკულადაა დაწერილი.

ამ ბოლო ფაქტმა ილია აბულაძეს აღუძრა ფანტაზია, რომ ტაოში ცხოვრობდნენ უცნობი სომხური დიალექტის მქონე სომხები, რომლებიც ქართველდებოდნენ და თავიანთ დიალექტზე წერდნენ სომხურად. სომხური კულტურის ისტორიისათვის ფაქტი სომხური დიალექტის შესახებ უცნობია თვით სომეხ მეცნიერთათვისაც კი.

ი. აბულაძე წერს – „იადგარის სომხური მინაწერების ენის გაცნობა უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ სომხურის ფორმა ის მაინც არაა, რაც მაშინდელი სალიტერატურო სომხურისათვის იყო დამახასიათებელი. მინაწერების ენა უფრო ცოცხალი სამეტყველო სომხური ენის თვისებებს ამჟღავნებს, ვიდრე სამწერლო ენისას. მისი გადახვევანი სალიტერატურო სომხური ენის გრამატიკული ნორმებისაგან დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებზე მიგვითითებენ ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგში. რამდენადაც ეს მინაწერები ტაო-კლარჯეთში სრულდება, იმდენად დიალექტური მოვლენები, რომლებიც მათში შეინიშნება, შეიძლება მივიჩნიოთ სომხური ენის ტაოს დიალექტის დამახასიათებლად X საუკუნისათვის“ (ი. აბულაძე, შრომები, II, გვ. 278).

ი. აბულაძე ასკვნის, რომ X საუკუნისათვის ტაოში ცხოვრობდნენ სომხები, რომელთა ენაც იყო სომხურის ერთ-ერთი დიალექტი, რადგანაც მათ მიერ შესრულებული სომხური მინაწერები არაგრამატიკულადაა შესრულებული.

სინამდვილეში კი ამ მინაწერებს ის ქართველი ბერები ასრულებდნენ, რომელთაც სურდათ სომხური წერა-კითხვის მცოდნე ქართველი ბერებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მათ წინ მდებარე ქართული ტექსტის შინაარსის შესახებ. მაშასადამე, ტერმინი „სომხურენოვანი ქართველი“ ეწოდება ისეთ ქართველს, რომელმაც იცის ქართული ენა, მაგრამ განათლება მიიღო სომხურ სასწავლებელში, ისწავლა სომხური წერა-კითხვა, თუმცა კი სომხური ენა მაინც ვერ აითვისა სრულყოფილად. მათთვის კეთდებოდა პრაქტიკული დანიშნულების განმარტებითი წარწერები.

ქართველთა მიერ შესრულებული მინაწერების ავტორებს არც ჰქონდათ მიზნად ლიტერატურული ნორმების დაცვა, მათი მიზანი იყო, როგორმე იქამდე სომხური ეკლესიის წიაღში მოღვაწე ქართველებისათვის გაეცნოთ ქართული ტექსტები, რომელთაც გამოიყენებდნენ პრაქტიკული დანიშნულებისათვის მოცემულ მომენტში.

ტაოს მოსახლეობა სომხური რომ არ იყო და ამიტომ მათ VI-VIII სს-ში კარგად რომ არ იცოდნენ სომხური ენა, ამას მიუთითებს VIII ს-ის სომეხი

ავტორის სტეფანოს სივნიელის ცნობა, რომ „ტაოში არსებობს თავისებური მეტყველება“ (იქვე, გვ. 281). ჩვენ ეს ცნობა მიგვაჩნია დასტურად იმისა, რომ ტაოში ქართველები ცხოვრობდნენ, რომელნიც, მართალია, იმჟამად სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ მაინც „თავისებურად“, ე.ი. ქართულად, მეტყველებდნენ.

დიდი გაქცევა სომხური ეკლესიიდან
(გვირპელის საკითხი)

ვინც გაეცნობა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, გიორგი მცირესა და სხვათა ღვაწლს, რათა ქართული წმიდა წერილიდან აღმოფხვრილიყო სომხურის ყოველგვარი ნაკვალევი, რის შესახებაც მიუთითებდა კიდეც გიორგი მცირე, მისთვის მაინცდამაინც ძნელი არ იქნება წარმოდგენა იმისა, რომ ე.წ. ყოფილი „არმენიის“ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველების მიზანი იყო როგორმე განეშორებინათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან, სომხური კულტურისაგან, სომხური ტრადიციებისაგან, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული ვინაობა. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მათ თვალწინ კვლავ გრძელდებოდა საუკუნეთა წინ დაწყებული მასობრივი პროცესი სომხებში ქართველთა ასიმილაციისა.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ იბერიაში იმძლავრა ძლიერმა პატრიოტულმა პოლიტიკურმა დასმა, რომლის სათავეში იმიერტაოს მეფე დავით კურაპალატი იდგა, ქართული ენის, ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის დიდი მოამაგე. მართალია, ის უშვილო იყო, მაგრამ მისი იდეები და მისწრაფებები მისი ქვეყნის თაობებმა აიტაცა, და საბოლოოდ განახორციელეს კიდეც. „წყაროები აშკარად მიუთითებენ, რომ დავითის ქვეშევრდომები, საერო თუ საეკლესიო პირები, სამშობლოში თუ ბიზანტიურ სამყაროში, მტკიცედ ატარებდნენ დავითის იდეებს“ – წერს ვ. კოპალიანი (ვ. კოპალიანი, ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობა, 1969, გვ. 64).

ტაოსა და სამხრეთ იბერიის მხარეებიდან გამოსული მოღვაწეები მხურვალე შემართებით აშენებდნენ ქართულ კულტურას, თავიანთ თავს „ქართველებად“ მოიხსენებდნენ და ამასთანავე მტკიცე თანმიმდევრულობით უარყოფდნენ ყოველივე სომხურს. მიუხედავად ამისა, ნ. მარის შემდეგ, მათ მაინც სომხებად მოიხსენიებენ, განსაკუთრებით სომეხი ავტორები ზოგიერთ მეორეხარისხოვან ცნობაზე დაყრდნობით.

ერთი ასეთია ცნობა: „**მოვიდა გვირპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა უხუცესი და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო და არსენი უწოდეს**“ (ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი, გვ. 112).

ამ ცნობაზე დაყრდნობით, წერენ, რომ ეთნიკურად სომეხი გვირპელი მონათვლის შედეგად „გაქართველდა“, ამით თითქოს ეთნიკურ სომეხს უწო-

დეს ქართველი. სინამდვილეში კი ასეთი რამ წყაროში არ წერია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ანუ IX-XI საუკუნეებში ტაოსა და მიმდებარე მხარეებში არ არსებობდა „ქართული სარწმუნოება“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირიქით, ქართველების სარწმუნოება იყო ბერძნული, ანუ ქალკედონიტურ-მართლმადიდებლური. ქალკედონიტობა ამ რეგიონში, საზოგადოდ, გაიდენტებული იყო ბერძნულ ეთნოსთან და არა ქართულთან, მაშინ, როცა აღნიშნული დროისათვის ამ რეგიონში სომხური ეკლესია წარმოადგენდა მონოფიზიტური სარწმუნოების ყველაზე სახელოვანსა და ცნობილ უმძლავრეს კერას, შესაბამისად, არსებობდა „სომხური სარწმუნოება“.

იმ დროს „სარწმუნოებით სომეხი“ ნიშნავდა სომხური ეკლესიის წევრს. სომხური ეკლესიის წევრები კი სამხრეთ კავკასიაში მრავალი არასომეხი იყო, ასევე ქართველები.

როგორც ცნობილია, სპარსელებიცა და არაბებიც ბიზანტიური ორიენტაციის ქართველებს გაცილებით უფრო მეტად დევნიდნენ, ვიდრე მონოფიზიტ სომხებს, რომელნიც ბერძნული სარწმუნოების საწინააღმდეგოდ ყველგან და ყოველი შემთხვევისას ღაღადებდნენ.

აქედან გამომდინარე, სპარსელთა და არაბთა მიერ სომხური სარწმუნოების მქონე პირები უფრო დაცულები იყვნენ, შესაბამისად, ამ რეგიონის (ყოფილი პერსარმენიის) ქართველთათვის სომხური სარწმუნოება მიმზიდველი იყო. პოლიტიკურ-სოციალური ვითარებისა და იძულების გამო ამ რეგიონში მრავალი ქართველი იღებდა სომხურ სარწმუნოებას. ეთნიკურ ქართველს, რომელიც სომხური ეკლესიის წევრს წარმოადგენდა, „სომეხს“ უწოდებდნენ. ერთი ასეთი პირი ანუ „სარწმუნოებით სომეხი“ ეთნიკურად კი ქართველი უნდა ყოფილიყო ტაოელი გვირპელი.

ჩანს, ზემოთ აღნიშნული ცნობის ავტორს სურდა დაეწერა „მოვიდა გვირპელი და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო სარწმუნოებით“ ანუ გვირპელი იყო ეთნიკური ქართველი, რომელსაც ჰქონდა სომხური სარწმუნოება, მსგავსად იმისა, როგორც ეკლესიურად იყვნენ იმიერტაოელი ქართველები წინა რამდენიმე საუკუნე იმ ეპოქაში, როცა იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ სომხურ სახელმწიფოში.

სომხური სარწმუნოებისგან გათავისუფლება და ეროვნული ეკლესიის წიაღში დაბრუნება ტაოელთა და სამხრეთელ იბერიელთა დიდი ნაწილის ოცნება იყო, რომელიც მათ აღუსრულდათ დავით კურაპალატისა და მისი წინაპრების დროს.

სამხრეთ იბერიელ ქართველთაგან ქართული წერა-კითხვა ყველამ არ იცოდა, რადგანაც ისინი სომხური ეკლესიის ზეგავლენის წიაღში აღიზარდნენ, თუმცა კი ძალზე ცდილობდნენ ამ ნაკლის შევსებას. გრიგოლ ბაკურიანისძის მონასტერში ამ ცოდნას ყურადღება ექცეოდა – „ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნე“ ბერები, ტიპიკონის მიხედვით, სრული წევრები იყვნენ მონასტრისა. უცოდინარებს კი სასწავლებელში ასწავლიდნენ.

გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შემუშავებული ტიპიკონიდან ჩანს, რომ ის კარგად არჩევდა ერთმანეთისაგან ეთნიკურ კუთვნილობასა და სარწმუნო-

ებას. მაგალითად, როცა აღნიშნავს, რომ **ჩვენ ქართველები ვართ მხნე მებრძოლები** და იქვე აღნიშნავს – „არასოდეს დამიზოგავს სისხლი ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებისათვის არც ჩემთან მყოფ ნათესავებისა, რომ კარგად ყოფილიყო მათი მეფობის ძალაუფლება... ე.ი. ბიზანტიელი იმპერატორებისა. იშვიათად თუ ვინმე **ჩვენი ტომისაგანი** საკუთარ სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა, ყველამ სისხლი დაღვარა საბერძნეთის მტერთა მახვილითა და ხელითო“ (გეორგიკა, V, 119). ამ ჩანაწერში ლაპარაკია არა სარწმუნოებრივ ორიენტაციაზე, არამედ ეთნიკურ ვინაობაზე და გრიგოლი ახსენებს კიდეც შესაბამის ტერმინს „ტომს“, ჩვენი ტომის ქვეშ „**ჩვენ ქართველებს“** – ეთნიკურ ქართველს გულისხმობს და არა სომეხს.

სამხრეთ იბერიის, მათ შორის ტაო-ბასიანის მოსახლეობა ამტკიცებდა, რომ ისინი „ნათესავით ქართველნი“ იყვნენ და არა „ქალკედონიტი სომხები“, როგორც სურთ მათი წარმოდგენა.

მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი, როცა ანტიოქიის პატრიარქს ეკამათებოდა და ამბობდა „უგუნურად შეგირაცხიეს **ნათესავი ქართველთა** და თავნი თქვენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიანო“, ცხადია, სიტყვა „ნათესავის“ ქვეშ გულისხმობდა ეროვნებით ქართველს და არა „სომეხ ქალკედონიტებს“.

კარინელმა თორნიკე ერისთავმა და ტაოელმა იოანე მთაწმიდელმა ივერთა მონასტერი „ქართველთა ნათესავისათვის“ ააგეს და არა „ქალკედონიტი სომხებისათვის“, ამ უკანასკნელთ ისედაც მრავალი საეპისკოპოსო და მონასტერი ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიაში, სადაც განადიდებდნენ კიდეც სომხურ ეთნოსს.

VII საუკუნეში, ისევე როგორც იქამდეც, მრავალი სომეხი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, მაგრამ ისინი სომხები იყვნენ და არა ქართველები. ტაოელ დიდებულთა წრეს განეკუთვნებოდა პატარა „უფლისწული“ ექვთიმე, რომელსაც თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჩვენებით დაუბრუნდა ქართული ენის ცოდნა, რადგანაც მას ის დაავიწყდა ბიზანტიაში მძევლად ყოფნის წლებში. მაშასადამე, მისი მშობლიური სიყრმის ენა იყო ქართული და ამ ენის ცოდნა დაუბრუნდა მას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბიზანტია და მისი იმპერატორები არ სწყალობდნენ ქართულ ეკლესიას, ისევე, როგორც ადრე სპარსელები და არაბები. მაგალითად, იბერიასთან ომის დროს, როგორც აღვნიშნეთ, იმპერატორები განარისხა ქართული ეკლესიის პატრიოტიზმმა. შესაბამისად, ისინი სჯიდნენ კიდეც ქართულ ეკლესიას, აუქმებდნენ ქართულენოვან საეპისკოპოსოებსა და სამრევლოებს იბერიის თემში, მაშინ, როცა იმავე დროს სწყალობდნენ სომხურ ეკლესიას. ლასტივერტეცის აღწერილი აქვს, როცა ქართველ ეპისკოპოსებს ბიზანტიაში ასახლებდნენ და სხვა ქართველი ეპისკოპოსები სახალხო ომს მეთაურობდნენ ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, იმ დროს სომეხთა პატრიარქები დიდად აღზევებულნი იყვნენ კეისართა მიერ.

ვ. კოპალიანი წერს: „ანისის წარჩინებულთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის პირველი კათალიკოსი პეტროსი იყო ბიზანტიის იმპერიის აგენტის როლში გამოვიდა, კეისარს მხარი დაუჭირა და მისი სურვილის დაკმაყოფილება მოითხოვა“ (იქვე, გვ. 106). კეისრის სურვილი კი ანისის სომხური სამე-

ფოს დაპყრობა იყო. ცხადია, რადგანაც სომეხი პატრიარქი ასეთ მძიმე დროს მხარს უჭერდა ბიზანტიას, კეისარიც ლოიალურად იყო განწყობილი სომხური ეკლესიის მიმართ. საერთოდ ჰერაკლე კეისრიდან, ვიდრე ბასილი II-მდე და მის შემდეგაც, ბიზანტიის იმპერატორები არც თუ იშვიათად სომხური ეკლესიის მფარველებად წარმოჩნდებოდნენ კიდეც. ამიტომაც სომხეთში მიიჩნეოდა, რომ მრავალი იმპერატორი იყო სომხური წარმოშობისა, მათ შორის ჰერაკლე კეისარი და მაკედონელთა დინასტიაც, რომლის წარმომადგენელნი იყვნენ ბასილი მეორე და კონსტანტინე VIII, მათ ფაქტობრივად მოსპეს სამხრეთ იბერიის ქართული სახელმწიფო, რითაც ხელი შეუწყვეს პოლიტიკური თვალსაზრისით თურქ-სელჯუკების წინსვლას ბიზანტიისაკენ, ხოლო სარწმუნოებრივი თვალსაზრისით იბერიის თემში დარჩენილი ქართველების კვლავ არმენიზაციას, ანუ მათ უკან, კვლავ სომხური ეკლესიის წიაღში დაბრუნებას. ბიზანტიელებმა ქართული საეკლესიო ინსტიტუტები ამ რეგიონში მოსპეს (არსებობს მოსაზრება, რომ თონდრაკელობა სწორედ იმ ოლქებში ჩამოყალიბდა, სადაც ეროვნულ ეკლესიას მოწყვეტილი ქართველები ცხოვრობდნენ, რომელთაც აიძულებდნენ გამხდარიყვნენ სომხური ეკლესიის წევრები, მათ კი ირჩიეს რაღაც სხვა სარწმუნოებრივი გზის გამონახვა. ჯერ კიდევ IX ს-დან ეს მოძრაობა დაწყებულა აპაჰუნიკის მხარეში. საფიქრებელია, რომ მას შემდეგ რაც ეს რეგიონი შევიდა დავით III კურაპალატის ქართველთა სამეფოში, ალბათ, მოძრაობა შენელდა, რადგანაც შესაძლოა, აქ ქართულმა ეკლესიამ შეძლო მოღვაწეობის წარმართვა, მაგრამ მალევე აქ ბიზანტია გაბატონდა, მოძრაობა ალბათ, კვლავ განახლდა. თონდრაკელები არ ერიდებოდნენ არც არაბებთან და არც ბიზანტიელებთან ომს, რადგანაც ორივენი მხარს უჭერდნენ მათთვის მიუღებელ სომხურ ეკლესიას).

„ქართველთა სამეფოს“ დაარსება (IX–X სს.)

(იოანე დრასხანაკერტელი, სომეხთა ისტორია, 1965)

იოანე დრასხანაკერტელი გვაუწყებს – „**ქართველთა დიდი კურაპალატი ადარნასე სმბატ მეფესთან ყველაფერში ერთობის, სიყვარულისა და მშვიდობის მტკიცე პირობას იცავდა. იგი მთელი თავისი შეგნებითა და ძლიერებით, დიდი მოკრძალებით, როგორც მამას, ანდა ამაზე უფრო მეტადაც ემორჩილებოდა მას... თვალს არ აშორებდა მეფეს... და საკუთარი თავიც მიანდო. ამის გამო სმბატ მეფე მეტად კმაყოფილი იყო ადარნასეთი და მოსწონდა იგი. მან დიდი მზრუნველობით ადარნასე თავისთან მიიყვანა და გაამხნევა. შემდეგ დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა მას, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფის წესის თანახმად, – ქართველთა ქვეყნის მეფედ დაადგინა და მის შემდეგ, თავისი სამფლობელოს მეორე პირად დაამტკიცა იგი. მიიღო რა სამეფო პატივი, და მიაღწია წარმატებას, ადარნასე კი არ გამედიდურე-**

ბულა, არამედ მუდამ თავმდაბლად ექცეოდა სმბატს“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომეხთა ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამ. თბ., 1965, გვ. 89-90).

თანამედროვე ისტორიკოსების თვალსაზრისით თავდაპირველი „ქართველთა სამეფო“ მოიცავდა არტანუჯის კლარჯეთის ტერიტორიას.

მაგრამ ეს ასე არ იყო.

სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ „ქართველთა ქვეყანა“ VI-VII სს-ში მოიცავდა „სომეხთა მეფის“ იმ ტერიტორიებს, რომელნიც ქართველებით იყო დასახლებული, პირველ რიგში, იმიერტაოს (საერთოდ ტაოს) და მომიჯნავე მხარეებს. თუ ეს ასე იყო, და „ქართველთა ქვეყანა“ თავდაპირველად ერქვა იმჟამინდელ სომხეთის სამეფოში (ანუ ყოფილ არიან-ქართლში) მდებარე ტაოს, მაშინ შედარებით გასაგები ხდება სომეხთა სმბატ მეფის ქმედება. იმჟამად სომხეთის სამეფო და მასში შემავალი იმიერტაო, რომელსაც ასევე „ივერია“ ერქვა, არაბთა გავლენის სფეროში შედიოდა, ხოლო მისი მეზობელი კლარჯეთი – ბიზანტიის გავლენის სფეროში. კლარჯეთს ქართველი ბაგრატიონები მართავდნენ – ბიზანტიის ვასალები (კლარჯეთს ქართველთა საკურაპალატო ერქვა). სომეხთა მეფეები კი არაბთა ვასალები იყვნენ, იმჟამად არაბთაგან მიიღეს კიდეც „მეფის“ ტიტული და დიდი უფლებები.

როგორც ითქვა, ტაო და მისი მომიჯნავე მხარეები ანუ „ივერია“ იმჟამად სომხეთის მეფეთა სამეფოში შედიოდა, ამიტომაც მათ (სომხეთის მეფეებს) „სომეხთა და ქართველთა მეფეებიც“ ერქვათ. მაშასადამე, კლარჯეთის ქართველთა ქვეყანა ბიზანტიის, ხოლო ტაოს ქართველთა ქვეყანა არაბთა გავლენის სფეროში იყვნენ.

თავდაპირველად სმბატს ტახტზე ასვლაში დაეხმარა ადარნასე, მეზობელი კლარჯეთის ერთ-ერთი მფლობელი, სამაგიეროდ, მადლიერების ნიშნად, მას სმბატმა სამფლობელოდ გადასცა თავისი სამეფოს ქართული ნაწილი (ტაო) და ამავე დროს, დაადგინა „თავისი სამეფოს მეორე პირად“ ანუ სომხეთის ვრცელ სამეფოში ტაოს მმართველი ადარნასე გახდა სომეხთა სახელმწიფოს მეორე პირი. მაშასადამე, კლარჯეთის ქართველთა საკურაპალატოს გვერდით ამოუდგა ტაოს ქართველთა სამეფო.

აღსანიშნავია, რომ ძველ დროსაც, ბაგრატუნები არშაკუნიანების სამეფოში მეორე პირები იყვნენ. შემდეგშიც ვაშდენ ქართველთა (ე.ი. ტაოს) მთავარი სომხეთის უფალთა შორის ერთ-ერთი უპირატესი პირი იყო.

ტერმინი „ქართველთა სამეფო“ იმჟამად, IX-X სს-ში, მხოლოდ ტაოს გულისხმობდა, „ქართველთა საკურაპალატო“ კი – არტანუჯ-კლარჯეთს. რაც შეეხება შიდა ქართლს, ის იმჟამად დანაწილებული იყო აფხაზეთისა და კახეთის სამეფოთა შორის, მისი ერთი ნაწილი თბილისის საამიროსაც ეკუთვნოდა, ამიტომაც ის თავისთავადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის სახით არ არსებობდა, აქედან გამომდინარე, მას არც გააჩნდა პოლიტიკური სახელი: იმჟამად „ივერია“ ერქვა არა შიდა ქართლს, არამედ ტაოს ადმინისტრაციულ ოლქს, რომლის მმართველობა (მეფობა) აღმოჩნდა კლარჯეთის კურაპალატის ხელში. ეს ორივე თანამდებობა – მეფობა და კურაპა-

ლატობა ახლა უკვე ერთი პირის, ადარნასეს ოჯახის ხელში გაერთიანდა და გადაეცემოდა კიდეც მემკვიდრეობით.

იმხანად „კურაპალატობა“ – ბიზანტიის ვასალობას გულისხმობდა, „ქართველთა მეფობა“ კი – არაბი ხალიფასაგან მომდინარეობდა.

არაბთა ხალიფამ IX-X საუკუნეებში სომეხთა მეფეებს უწყალობა ტიტული „სომეხთა და ქართველთა მეფე“. ამ ტიტულში **„ქართველთა სამეფოს“ ქვეშ იგულისხმებოდა არა შიდა ქართლი, არამედ სომხეთის სამეფოში შემავალი ქართველებით დასახლებული ტაო-ბასიანი**. ტაოს მმართველებს იქამდე უკვე ჰქონდათ „ივერთა მთავრის“ ტიტული, ახლა კი არაბთა მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ტარების უფლება მიენიჭა სომეხთა მეფეს, რაც მას უდასტურებდა, რომ შეეძლო ქართველთა აღნიშნული მხარეების ავტონომიური მართვა. ერთ-ერთი ბოლო „სომეხთა და ქართველთა“ მეფე იყო სმბატი, მან კი ქართველთა მეფის ტიტული გადასცა ადარნასე ქართველთა კურაპალატს.

სომეხ მეფეთაგან ამ ტიტულს ატარებდნენ:

აშოტ I 884 – სომეხთა და ქართველთა მეფე;

სმბატ I 914 – ჯერ სომეხთა და ქართველთა მეფე, მერე სომეხთა მეფე;

აშოტ ერკათი 918/922/ – სომეხთა და ქართველთა მეფე (საფიქრებელია, რომ აშოტ ერკათმა ქართველთა მეფის ტიტული მიიღო საოჯახო-დინასტიური გზით, კერძოდ, მისი მეორე სიმამრი ყოფილა **„ქართველთა დიდი მთავარი საჰაკი**“, რომელსაც, ი. დრასხანაკერტელის სიტყვით, აშოტი თავის მემკვიდრედ გამოუცხადებია).

მაშასადამე, **ქართველთა მეფის ტიტული ტაოს მფლობელობას გულისხმობდა.**

ბაგრატ აშოტის ძე ბაგრატიონმა „**ქართველთა მეფის**“ ტიტული მიიღო ცოლის მზითვის სახით.

ბაგრატის ცოლი იყო „**სომეხთა და ქართველთა**“ მეფის აშოტ I ბაგრატუნის დაი, მას მზითვის სახით გააყოლეს ქართველებით დასახლებული იმიერტაო-ბასიანი, რომელიც იმჟამად სომეხთა სამეფოში შედიოდა.

ტაოს – ივერიას ანუ „ქართველთა ქვეყანას“ უწოდებდნენ სომხები, ბიზანტიელები და არაბები.

იმიერტაოს ქართველთა ქვეყანა იმჟამად, როგორც აღინიშნა, სომხეთის სამეფოში შედიოდა, ამიტომაც არმენიის (სომხეთის) მეფეს არაბთა ხალიფამ, როგორც ითქვა, „**სომეხთა და ქართველთა მეფის**“ ტიტული მიანიჭა.

მალე სომეხთა ამ სამეფოს გამოეყო „ქართველთა“ ანუ ტაოს სამეფო.

მისი მეფეები ატარებდნენ ტიტულს „**ქართველთა მეფე**“, ამავე ოჯახის წევრები კიდევ უფრო ადრიდან ატარებდნენ ტიტულს „**კლარჯი ხელმწიფეები“**. როგორც ითქვა, კლარჯეთთან ერთად ტაო ქართველთა ქვეყნის სახელს ატარებდა.

ტაო, სამთავროს სახით, კიდევ უფრო ადრიდან არსებობდა. ბაგრატი, შესაძლოა, თავდაპირველად „**ქართველთა მთავრის**“ ტიტულს ატარებდა, რაც ტაოს მფლობელობას უდრიდა (ეს უფლება მან, როგორც აღინიშნა, ცო-

ლის გზით მიიღო), ჩანს, ასევე მისი ვაჟი – დავითიც, ხოლო დავითის შვილი ადარნასე II „**ქართველთა მეფედ**“ უკვე ოფიციალურად იქნა აღიარებული.

წინა საუკუნეებში „**ქართველთა მთავარის**“ ტიტული შესაძლოა ტაოს სხვა საგვარეულოს ჰქონდა, მაგრამ ახლა უკვე ეს ტიტული კლარჯმა ბაგრატიონებმა მოიპოვეს აშოტ კურაპალატის ძის ბაგრატისა და შვილიშვილების დროს.

ამ სქემიდან ჩანს, რომ ადარნასე მეორემ „**კურაპალატის**“ ტიტული მიიღო აშოტ ბაგრატიონის ხაზით, ხოლო „**ქართველთა მეფის**“ ტიტული – აშოტ ბაგრატუნის ხაზით.

მართლაც, კურაპალატები იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის ვასალები, ხოლო ბაგრატუნები არაბთა ხალიფას ემორჩილებოდნენ, მათ „**ქართველთა და სომეხთა მეფის**“ ტიტული მიიღეს არაბი ხალიფასაგან, ვითარცა ხალიფების ვასალებმა. „**ქართველთა მეფის**“ ტიტული გულისხმობდა ტაო-ბასიანის ანუ ივერიის მიწის მფლობელობას.

მეფეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

„ქართველთა სამეფოს“ სახელწოდება და „ქართველთა მეფის“ ტიტული დაკავშირებულია ტაოსთან და ბასიან-კარინთან.

მაგალითად, სუმბატ დავითისძის თხზულება „ქართველთა მეფედ“ პირველად ახსენებს ადარნასეს, დავით I-ის ძეს – „**ამან ადარნასე აღაშენა ბანა, ხელითა კვირიკე ბანელისათა“ („ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა**“, 1990, გვ. 48). ეს მოხდა IX საუკუნის ბოლოს.

ადარნასე (მეფობდა 888-923) იყო შვილიშვილი ბაგრატ I კურაპალატისა (+876) და, როგორც აღინიშნა, შვილი დავით I-ისა (+881). მას ჰქონდა „ქართველთა მეფის“ წოდება.

ადარნასე I ეკუთვნოდა აშოტ I-ის (786-826) შთამომავალთა ტაოს შტოს (მხოლოდ ამ შტოს ჰქონდა „ქართველთა მეფის“ ტიტულის ტარების უფლება).

აშოტ I-ის შთამომავალთა მეორე, კლარჯეთის შტო ამ ტიტულს არ ატარებდა. ბიზანტიური კარიც განასხვავებდა ამ შტოებს და ტაოს შტოს წევრებს უფრო მაღალ ტიტულს „კურაპალატისას“ ანიჭებდა მაშინ, როცა კლარჯული შტოს ზოგიერთ წევრს „მაგისტროსობით“ აკმაყოფილებდა.

923 წლიდან 958 წლამდე ადარნასე I-ის შვილებს – დავით II-ს, ბაგრატ I-ს, აშოტ II-სა და სუმბატ I-ს მორიგეობით გადაეცათ „ქართველთა მეფის“ ტიტული, ანუ ისინი (ძმები) ჩანს, ასაკის უფროსობის შესაბამისად, ერთიმეორის შემდეგ ატარებდნენ ამ ტიტულს. მათ შვილებსაც (შთამომავლობასაც) ასაკით უფროსობის მიხედვით მიენიჭათ უფლება „ქართველთა მეფის“ წოდებისა.

კერძოდ, სუმბატ I-ის შვილი ბაგრატ II რეგვენი 958-994 წლებში იყო „ქართველთა მეფე“, მის შემდეგ კი მათი დიდი ოჯახის (სახლის) შვილი ბაგრატ პირველის ძე დავით III კურაპალატი 994-1001 წლებში იყო „ქართველთა მეფე“.

აქედან ჩანს შემდეგი, „ქართველთა მეფის“ ტიტული გადაეცემოდა არა მამიდან უფროს ძეს (როგორც მცხეთელ მეფეებს ჰქონდათ ასეთი წესი), არამედ სამეფო სახლის (სამეფო ოჯახის) წევრებს უფროსობის მიხედვით, ეს უფროსობა, ალბათ, განისაზღვრებოდა ასაკით, ხნოვანებით.

„ქართველთა სამეფო სახლის“ თანაბარუფლებიანი წევრები იყვნენ ადარნასე I-ის შვილები და შვილიშვილები, ე.ი. დავით II, ბაგრატ I, აშოტ II და სუმბატ I, მათი შვილები – ბაგრატ II რეგვენი, დავით III კურაპალატი და სხვა ის წევრები ამ სამეფო ოჯახისა, რომელნიც იმჟამად ყველაზე უფროსები იყვნენ ხნოვანებით. როცა მათ შორის რომელიმე გარდაიცვლებიდა „ქართველთა მეფის“ ტიტული სამეფო ოჯახის იმ წევრს გადაეცემოდა, რომელიც ასაკით ყველაზე უფროსი იყო.

ძველი იბერიის სამეფო სახლში ასეთივე წესის არსებობის შესახებ მიუთითებდა სტრაბონი.

ეს წესი, ჩანს, ასახულია ფარნავაზის ცხოვრებაში, როცა ქუჯი უცხადებს ფარნავაზს, რომ „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი“, ანდა „მე ვარ მონა შენი“, აქედან ჩანს, რომ ქუჯი და ფარნავაზი ერთი სამეფო სახლის წევრები იყვნენ, მაგრამ ამ დროს სახლის უფროსობა, ალბათ ასაკის შესაბამისად, ფარნავაზს ეკუთვნოდა. რადგანაც ფარნავაზის და ქუჯიმ შეირთო, შესაძლოა, მართლაც ქუჯი ასაკით ფარნავაზზე უმცროსი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი წესის არსებობა ტაოს ანუ ქართველთა სამეფოში ცხადია.

როგორც აღინიშნა, „ქართველთა მეფობა“ გადაეცა ადარნასე I-ს და შემდეგ მის შვილებს მორიგეობით. კერძოდ, ჯერ ქართველთა მეფე გახდა დავით II მაგისტროსი (923-937 წლებში), მის შემდეგ 937-945 წლებში ქართველთა მეფე იყო მისი ძმა ბაგრატ I მაგისტროსი, ამის შემდეგ, აშოტ II კურაპალატი 945-954 წლებში, 954-958 წლებში კი, სუმბატ I ერისთავთერისთავი, ამ უკანასკნელის ძე ბაგრატ II რეგვენი გახდა ქართველთა მეფე 958-994 წლებში, 994-1001 წლებში კი „ქართველთა მეფე“ იყო დავით III კურაპალატი, რომელიც იყო ბაგრატ II რეგვენის მამის „სახლის“ წევრი, ანუ ბაგრატ II რეგვენის მამის ძმის („ქართველთა მეფის“) ბაგრატ I მაგისტროსის შვილიშვილი.

ბაგრატ II-ის შემდეგ ასაკის მიხედვით, ჩანს, „ქართველთა მეფობა“ უნდა მიეღოთ ბაგრატ II-ის ძმათა შვილებს უფროსობის მიხედვით და რადგანაც ადარნასე II გარდაცვლილი იყო, ეს ტიტული და ტახტი ერგო მის ძეს დავით III კურაპალატს (ძმათა შორის სამეფო ტახტის გადაცემის წესი აღდგენილა შემდეგ მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახში. მაგალითად, გიორგი XI-ის შემდეგ ქართლის ტახტი მის ძმას ერგო, შემდეგ კი სხვა ძმებს. ამ წესის აღდგენას, როგორც ფიქრობენ, ცდილობდა დარეჯან დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე, რათა უფროსობის წესით, ძმათა შემდეგ ტახტი მის შვილებსაც რგებოდა).

ისმის კითხვა, რატომ მიიღო აშოტ I დიდის შთამომავალთაგან მხოლოდ ერთმა შტომ „ქართველთა მეფის“ ტიტული? ეს ტიტული მხოლოდ ტაოს ქვეყ-

ნის მფლობელებს ენიჭებოდათ და იმავდროულად ტაოს მეფობას ნიშნავდა. საერთოდ, **„ქართველთა მეფის“ წოდება ტაოსთანაა დაკავშირებული**.

აშოტ I-ის შთამომავალთა ტაოს შტოს ეს ტიტული უნდა მიეღო ან მცხეთელი ხოსროიანი მეფეების მემკვიდრეობით, ანდა სხვა გზით.

ფიქრობენ, რომ მცხეთის ხოსროიანი მეფეები ტაოს არ ფლობდნენ, მაშასადამე, საძებნია სხვა გზა.

სავარაუდოდ, „ქართველთა მეფის“ ტიტული აშოტის ოჯახში მზითვის სახით შეიტანა აშოტის ძის ბაგრატ I-ის მეუღლემ, სომეხთა მეფის სუმბატ აღმსარებლის ასულმა. მისი ძმა, აშოტ I ბაგრატუნი ნამდვილად ფლობდა ტიტულს – „სომეხთა და **ქართველთა მეფე**“.

ტაოს „ქართველთა სამეფოს“ ლეგიტიმაციის შესახებ ჩვენ ცნობები შესაძლოა მოვიძიოთ არმენიის ბაგრატუნი მეფეების IX-X სს-ის ტიტულატურიდან**: „სომეხთა და ქართველთა მეფე“.**

უფრო ადრე მათ ჰქონდათ ტიტული **„სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავი“.**

ცნობილია, რომ XII ს-დან გაერთიანებული საქართველოს მეფეებსაც ჰქონდათ მსგავსი ტიტული „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფეები, შაჰინშა და შირვანშა“, მაგრამ არმენიის მეფეებს გაცილებით ადრე, არაბობის დროს ჰქონდათ წოდება **„სომეხთა და ქართველთა მეფე“**. ეს ტიტული თავისთავად გულისხმობს, რომ **მისი მფლობელი აერთიანებდა სომხებისა და ქართველების ქვეყნებს**.

სად მდებარეობდა ის „ქართველთა ქვეყანა“, რომელსაც იმჟამად არმენიის მეფე ფლობდა? ცხადია, ეს იყო საქართველოს რომელიღაც მხარე.

ჩვენთვის საინტერესოა, ის თუ IX-X სს-ში არმენიის მეფეთა ტიტულატურაში რომელ ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული ერთეული იგულისხმებოდა „ქართველთა ქვეყნის (ქართველთა საერისთავოს, ქართველთა სამეფოს)“ ქვეშ?

თუ ვიტყვით, რომ აქ იგულისხმებოდა მცხეთის ქართლის სამეფო, უნდა ითქვას, რომ არაბობის შემდეგ ასეთი სამეფო აღარ არსებობდა, პირიქით, თბილისში ჩამოყალიბდა არაბული საამირო, რომელშიც მცხეთაც მოიაზრებოდა ტერიტორიულად, ასე რომ, თანამედროვე შიდა ქართლში IX-X საუკუნეებში სახელმწიფოებრივი ერთეულის – „ქართველთა სამეფოს“ სახით არ არსებობდა. არაბთა საამიროს დასუსტების შემდეგ შიდა ქართლი „აფხაზეთის“ ნაწილად მოიაზრებოდა. უხტანესთან მცხეთის და თბილისის მიმდებარე ქართლს „აფხაზთა ქვეყანა“ ეწოდება. მას „აფხაზთა“ მეფეები მართავდნენ და არა „ქართველთა“ მეფეები. მაშასადამე, არმენიის მეფეთა ტიტულატურა „ქართველთა მეფე“ არ გულისხმობდა შიდა ქართლის მმართველობას.

„ქართველთა სამეფოს“, როგორც წესი, ამ პერიოდში (X ს-დან) უწოდებდნენ ტაო-კლარჯეთის სამეფოს, უფრო ზუსტად, ტაოს სამეფოს. მას ბაგრატიონი მეფეები მართავდნენ კლარჯეთთან ერთად.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, „ქართველთა სამეფოს“ ქვეშ იგულისხმებოდა ტაოს სამეფო.

იქნებ არმენიის მეფეთა ტიტულატურაშიც „ქართველთა მეფე“ გულისხმობდა ტაოს და ასევე მიმდებარე ქართული პროვინციების (ბასიანის, კარინის ან ვანანდის) მფლობელობას?

მართლაც, არმენიის მეფეების ტიტული „სომეხთა და ქართველთა მეფე“ არ გულისხმობდა შიდა ქართლის ფლობას, რადგანაც ის სადავო ტერიტორია იყო, განსაკუთრებით საამიროს დასუსტების შემდეგ იქცა სადავოდ.

არმენიის მეფეების ტიტული „ქართველთა მეფე“ რეალურ ადმინისტრაციულ ერთეულს გულისხმობს და ეს უნდა ყოფილიყო „ტაო-ბასიანი“.

მართლაც, ეს ასე ჩანს არისტაკეს ლასტივერტეცის ნაშრომის მიხედვით. არისტაკეს ლასტივერტეცისთვის „ქართველთა ქვეყანა“, „საქართველო“ მდებარეობდა არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ ანისის დასავლეთით. მისთვის „ქართველთა ქვეყანა“ და „საქართველო“ მოქცეული იყო ბერძენთა და სპარსელთა ქვეყნებს შორის. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მართლაც, ანისის ჩრდილოეთით ტაშირ-ძორაკერტის „სომხური სამეფო“ მდებარეობდა, ხოლო მის მაღლა, როგორც ითქვა, თბილისის საამირო, რომელიც ებჯინებოდა „კავკასიელი მთიელების“ ქვეყნებს.

ჩვენ გვაინტერესებს, როგორც ითქვა, IX-X საუკუნეებში რომელ ქვეყანას უწოდებდნენ სომხები „ქართველთა ქვეყანას“, „საქართველოს“ და „ქართველთა სამეფოს“. არისტაკეს ლასტივერტეცი გამჭვირვალედ წერს იმის შესახებ, რომ „ქართველთა“ ქვეყნები მოქცეული იყო ანისის დასავლეთით, კარინის (არზრუმის) მხარეს და მასში ტაოსთან ერთად ბასიანიც იგულისხმებოდა.

მაგალითად, როგორც უკვე განვიხილეთ, ა. ლასტივერტეცი გადმოგვცემს ასეთ ამბავს, გიორგი აფხაზთა მეფემ შეარიგა ანისის მეფის გაგიკის შვილები – **„მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. სუმბატს ასაკით უფროსობის გამო გიორგიმ მისცა წილი – ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა. სუმბატი დათანხმდა და დაბრუნდა თავის ქალაქში“** (ა. ლასტივერტეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 44).

ამ ისტორიიდან ჩანს, თუ სად მდებარეობდა იმ ეპოქის სომხებისათვის „საქართველო“: სუმბატს მიეცა ანისის ქვეყანა, მის ძმას – აშოტს, ანისის ქვეყნის სამხრეთით მდებარე არმენიის „შიდა მხარე“, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრებოდა „საქართველო“ (ის „საქართველოს უყურებდა“), აღმოსავლეთით კი „სპარსეთი“ („სპარსეთს უყურებდა“). ანუ „საქართველო“ („ქართველების ქვეყანა“) შიდა სომხეთის დასავლეთით იყო, იმ შიდა სომხეთისა, რომელსაც ჩრდილოეთით ანისის მხარე ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით კი სპარსეთი (შიდა სომხეთს ჩრდილოეთიდან ანისის მხარე ესაზღვრება, დასავლეთიდან საქართველო – ქართველთა მხარე (ტაო-ბასიანი), აღმოსავლეთიდან – სპარსეთი).

მაშასადამე, არისტაკესის მიერ იგულისხმებოდა, რომ „შიდა სომხეთის“ დასავლეთით მდებარე ბასიანი, ტაო და სხვა მხარეები იყო „საქართველო“.

გიორგი I-ის სამფლობელო კი იყო ანისის ჩრდილოეთით მდებარე „აფხაზეთი“ ანუ ის, **რასაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ „საქართველოს“ არისტაკესისათვის იყო „აფხაზეთი“, ხოლო ბასიანი (და ტაო) მისთვის იყო „საქართველო“**.

არისტაკესი მუდამ წერს, რომ ბასიანი ქართველთა ქვეყანაა, მაგალითად, ბასიანის აღმოსავლეთით მდებარე შირიმნის ბრძოლის შესახებ ა. ლასტივერტეცი გადმოგვცემს ასეთ ამბავს, შირიმნის (სომხურად შღფა) ბრძოლაში ქართველთა დამარცხების შემდეგ მოხდა ბუნების სასწაული, კერძოდ, დაიჭირა ძალზე დიდი ყინვები, ისეთი, რომ ყინვის გამო ბასილის ჯარი უკუიქცა და მათი ქონება ადგილობრივ მოსახლეობას დარჩა. საბოლოოდ, ბიზანტიის იმპერატორი „**აშკარად მიხვდა, რომ მხოლოდ უფლის ხელს შეუძლია მისთვის ქართველების ქვეყნის გადაცემა, როგორც მეფეთა წიგნში წერია: „ვერ უძლოს ძლიერმან კაცმან, უფალმან უძლურ ყოს მხდომი თვისი“, მეფე დაიძრა ჯარით, განვლო მრავალი ადგილი, წავიდა და მიაღწია თავის ქალაქ კონსტანტინოპოლს. სამი წლის შემდეგ მან დიდი ძღვენით გაგზავნა აფხაზის შვილი, თვითონ კი იგი სასიკვდილო სენმა შეიპყრო**“ (ა. ლასტივერტეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 53).

მაშასადამე, მართალია, ბასილი ბულგართმმუსვრელმა დაამარცხა ქართველები ტაო-ბასიანში, მაგრამ მაინც ქართველთა ქვეყანა საბოლოოდ მას არ მისცა უფალმა, რადგანაც უფლის მიერ მოვლინებული ყინვის გამო ბასიანიდან იძულებით დაბრუნდა კონსტანტინოპოლში და მძევლად წაყვანილი „აფხაზი“ მეფის გიორგი I-ის ძე 3 წლის შემდეგ უკან დააბრუნა.

აქ ჩვენთვის მთავარია, თუ რომელი ქვეყანა იყო **ქართველთა ქვეყანა, არისტაკეს ლასტივერტეცის მიხედვით ესენი იყო – ტაო, ბასიანი და თვითონ შღფას ანუ შირიმნის ქვეყანა, რომელიც აირარატის არშარუნიქის გავარში, არშავირში, არაქსისა და აშურიანის შესართავში მდებარეობდა**. ამ არეალში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთაც უფალი შეეწიათ ბასილი II-ის კონსტანტინოპოლში უკანდახევის დროს ყინვის სახით, ამიტომაც წერს არისტაკეს ლასტივერტეცი – ამ ადგილებიდან ყინვის გამო გაქცეული ბასილი მიხვდა, რომ „**მხოლოდ უფლის ხელს შეუძლია მისთვის ქართველთა ქვეყნის გადაცემა**“ (იქვე).

მაშასადამე, „**ქართველთა ქვეყანა“ (ივერთა ქვეყანა) ქალაქ ანისის დასავლეთით მდებარეობდა.**

ამიტომაც დააარსა აღნიშნულ ტერიტორიაზე (ანისის დასავლეთით) ბასილი II-ის ძმამ იმპერატორმა კონსტანტინემ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული **„იბერიის თემი“.**

იბერიის თემში ანისიც კი შეიყვანეს. მართლაც, ანისსა და მის გარშემო მრავალი ქართული ეკლესია და ქართული საეპისკოპოსოც არსებობდა, რასაც ჩქმალავდნენ საბჭოთა ისტორიკოსები.

ამ უკანასკნელთა აზრით „პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ“ დაიწყო აღნიშნულ ქვეყნებში (ე.ი. ტაო-ბასინ-კარინ-აირარატ-შირაქში) სომხების „გაქართველება“ ქალკედონიტობის მიღებით. სინამდვილეში, ქართულ ეკლესიას ასეთი ქმედების სურვილი არასოდეს ჰქონია, მისი გამარჯვება ემ-

ყარებოდა მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკურ ქართულ თვითშემეცნებას, მათ ეროვნულ გამოფხიზლებას არაბთა უღლის გადაგდების შემდეგ.

ისტორიული იბერიის მიწა-წყალზე (გუგარქში, ხორძენასა და პარიადრეში) მცხოვრები ქართველები, მართალია, თითქმის ათასი წელი სომხურ-ბიზანტიურ-სპარსულ და არაბულ გარემოში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ეროვნულ-ეთნიკური ვინაობის შენარჩუნება I ათასწლეულში, ამიტომაც შექმნეს კიდეც მალევე „**იბერიის თემი**“, ადმინისტრაციული ერთეული ბიზანტიის იმპერიაში. არზრუმ-ტაო-ბასიან-ვალაშკერტში ქართველობა კიდევ დიდხანს ცხოვრობდა, მათ საბოლოო გამუსლიმანებამდე, ანუ XVII-XVIII საუკუნეებამდე (ერთი-ორი ქართველი მღვდელი აქ XIX საუკუნეშიც მოღვაწეობდა).

ტაო-ბასიანის მფლობელ სომეხ მეფეებს IX-X სს-ში (ამ ტერიტორიაზე ქართველთა ცხოვრების გამო) ასევე ჰქონდათ ტიტული „ქართველთა მეფისა“, უფრო ადრე კი „სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავებისა“. ეს ტიტული გულისხმობდა სომხეთის სამეფოში შემავალ ქართველებით დასახლებულ ტაო-ბასიან-კარანის ფლობას.

არმენიაში შემავალი „ქართველთა სამეფოს“ ქვეშ, როგორც ითქვა, არ იგულისხმებოდა შიდა ქართლი და მცხეთა, არამედ ტაო და ბასიანი მიმდებარე მხარეებითურთ.

პ. ინგოროყვას კვლევით უფრო ადრე, დაახლოებით VII ს-სათვის, ტაოს მფლობელს ჰქონია „ქართველთა მთავრის“ ტიტული. მისი სახელი ვაშდენი ყოფილა. მაშასადამე, ტაო-ბასიანი „ქართველთა სამთავროდ“ VI-VII სს-შიც იწოდებოდა, თუმცა არმენიაში იყო მოქცეული, შემდეგ ის „ქართველთა სამეფოდ“ იწოდა კვლავ არმენელი მეფეების მფლობელობის ქვეშ.

შესაძლოა, არმენიის მეფე სუმბატ აღმსარებელმა, რომელიც ალბათ ასევე იწოდებოდა „სომეხთა და ქართველთა მეფედ“, თავის ქალიშვილს მზითვად გაატანა „ქართველთა სამეფო“ (ანუ ტაო-ბასიანი), ეს ქალიშვილი კი შეირთო აშოტ I კურაპალატის ძემ ბაგრატ I-მა, რომელიც 876 წელს გარდაიცვალა. ბაგრატ I-ის ძეებს ეწოდათ „ტაოს შტო“ და ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ამის შემდეგ იწოდებოდნენ „ქართველთა მეფეებად“. მაშასადამე, თუ ასეთი მოსაზრება სწორია, ბაგრატ I-ის შთამომავლებს „ქართველთა მეფის“ ტიტული ერგოთ დედისაგან, ანუ ბაგრატ I-ის მეუღლისაგან, რომელიც სომეხთა მეფის სუმბატ აღმსარებლის ქალიშვილი იყო. შესაძლოა, მან მზითვის სახით ქმრის, ბაგრატ I-ის ოჯახში შეიტანა ტაო-ბასიანის მფლობელობა ტიტულ – „ქართველთა მეფესთან“ ერთად და ეს ტიტული მისმა შვილებმა და შთამომავლებმა დაინარჩუნეს. I ათასწლეულში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

აშოტ კურაპალტის ძის ბაგრატ I ბაგრატიონის ცოლი იყო „სომეხთა და ქართველთა“ მეფის აშოტ I ბაგრატუნის დაი (შვილი სუმბატ აღმსარებლისა“).

ქართველთა მეფის ტიტული

„სომეხთა და ქართველთა“ მეფის აშოტ I ბაგრატუნის დაᲘ (შვილი სუმბატ აღმსარებლისა) შერთეს ბაგრატ აშოტის ძე ბაგრატიონს და მას მზითვის სახით გააყოლეს „ქართველთა ქვეყანა“ ანუ ტაო-ბასიანი.

მოყვანილი სქემიდან ჩანს, რომ ადარნასე მეორემ „კურაპალატის“ ტიტული მიიღო აშოტ ბაგრატიონის ხაზით, ხოლო „ქართველთა მეფის“ ტიტული აშოტ ბაგრატუნის ხაზით.

მართლაც, კურაპალატები იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის ვასალები, ხოლო „ქართველთა და სომეხთა მეფის“ ტიტული ბაგრატუნებმა მიიღეს არაბ ხალიფასაგან, ვითარცა ხალიფების ვასალებმა. „ქართველთა მეფის“ ტიტული გულისხმობდა ტაო-ბასიანის ანუ ივერიის მიწის მფლობელობას.

სხვა საკითხია ის, თუ IX-X სს-მდე რატომ ჰქონდა სომხეთის მეფეს ტიტული „ქართველთა მეფე“?

ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ არმენიამ ადრიდანვე ხელში ჩაიგდო ის მიწა-წყალი, რომელსაც ოდესღაც „არიან-ქართლი“ ერქვა. მის მეფეს, არსენ ბერის სიტყვით, არიან-ქართველთა მეფის ტიტული ჰქონდა, ანუ მას „ქართველთა მეფე“ ეწოდებოდა.

„ქართველთა სამეფო“ ანუ არიან-ქართლი მოიცავდა ტაო-ბასიანის ნაწილსა და მიმდებარე არზრუმის რეგიონის მხარეს.

შემდგომში სომხეთში შემავალი „ქართველთა სამთავრო“ ძირითადად ამავე ოლქს მოიცავდა, ახლა უკვე მის მფლობელ სომხეთის მეფეს, შესაბამისად, ეწოდა – „ქართველთა მეფე“, რაც ამ ქვეყნის (ტაო-ბასიანის) მფლობელობას გულისხმობდა.

როგორც აღინიშნა, ეს „ქართველთა სამეფო“ IX საუკუნიდან არტანუჯელი კურაპალატების ხელში გადავიდა და ამის შესაბამისად მიიღეს კიდეც „ქართველთა მეფის“ ტიტული კლარჯმა ხელმწიფეებმა. ე.ი. მათ ხელში გადავიდა ტაოც.

„სომეხთა და ქართველთა მეფე“

870-880 წლებისათვის „სომხეთშიაც მოიკრიბეს ძალა ადგილობრივმა ერისთავებმა. სხვებზე უფრო ძლიერი იყო ერისთავთერისთავი აშოტ ბაგრატუნი... მას „**სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავის**“ სახელი მიუღია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი II, 1983, გვ. 102).

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით აშოტ ბაგრატუნმა „**სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავის**“ სახელი ალბათ იმის გამო მიიღო, რომ მას შიდა ქართლში ულაშქრია, სადაც აფხაზთა მეფეს შებრძოლებია და კიდეც გაუმარჯვნია, როგორც აღნიშნული ტიტული აფიქრებინებს მეცნიერს.

მაშასადამე, შიდა ქართლი სომეხთა მეფის ხელში გადასულა. როგორც ითქვა, ესაა ვარაუდი, რაიმე წყარო ამას არ მიუთითებს. ივ. ჯავახიშვილს

მხოლოდ აშოტის „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ ტიტული აფიქრებინებდა ამას.

ჩვენი აზრით, კი „**ქართველთა ერისთავთერისთავის“ თუ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიუთითებდა არა შიდა ქართლის, არამედ ტაო-ბასიანის მფლობელობას, მართლაც, „ქართველთა მეფის“ ტიტული მალევე, შემდგომში ტაოს მფლობელებს ჰქონდათ.**

მეორე მაგალითიც გვაქვს, რომელიც ჩვენს მოსაზრებას გარკვეულად აძლიერებს. ეს მაგალითია ტიტული ტაო-ბასიანის მფლობელებისა VI-VII სს-ში. როგორც ითქვა, პ. ინგოროყვა ძველ სომხურ წყაროზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ამ მხარეების მფლობელს VI-VII სს-ში **„ქართველთა მთავრის“ ანუ „ივერთა მთავრის ტიტული“ ჰქონდა.**

მაშასადამე, ამ ტიტულის შესაბამისად ტაო-ბასიანის მხარეებში VI-VII სს-ში არსებობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული „ქართველთა სამთავრო“ (შევადაროთ, რომ IX-X სს-ში იქ იყო „ქართველთა სამეფო“).

აღნიშნული „ქართველთა სამთავრო“ არსებობდა ქვეყანაში, რომელსაც ხან „ბიზანტიური არმენია“, ხან კი „პერსარმენია“ ერქვა. VI-VII სს-ში ტაო-ბასიანის უფალს „ქართველთა მთავარი ვაშდენი“ ერქვა. ვაშდენ „ქართველთა მთავარს“ თავის დისწულ ჰამამთან დავა ჰქონია.

ჰამამი ქალდეა-ჭანეთ-ზღვისპირეთის მფლობელი ყოფილა. ვაშდენი კი, როგორც ითქვა, მის ზემოთ, ზეგანზე გადაშლილი და ვრცელი ქვეყნისა, ტაო-ბასიანისა.

მაშასადამე, მართალია, ეს ქვეყანა არმენიის ნაწილად ითვლებოდა (იგულისხმება ტაო-ბასიანი), მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური თვითსახელის შესაბამისად „ქართველთა სამთავრო“ ერქვა VI-VII სს-ში.

„ქართველთა სამთავრო“, ჩანს, IX საუკუნეში სომეხთა მთავრის ანუ ერისთავთერისთავის აშოტის ხელქვეშ მოქცეულა. მაშასადამე, შესაბამისად, მას მიუღია წოდება „სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავისა“, შემდეგ კი წოდება „სომეხთა და ქართველთა მეფისა“ (დაახლოებით IX საუკუნის 70-იან წლებში).

ერთი თაობის შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიენიჭა ადარნასე I კურაპალატს, ქართველ ბაგრატიონთა შტოდან, ქართველი აშოტ I დიდი კურაპალატის შვილთაშვილს, ადარნასე ამავე დროს იყო ტაოს ერთპიროვნული მფლობელი. მაშასადამე, ტაოს მფლობელობა მის მეპატრონეს აძლევდა უფლებას ჰქონოდა ტიტული „ქართველთა მთავარი“ ანდა „ქართველთა მეფე“, ამავე დროს უფლებას აძლევდა „ქართველთა ერისთავთერისთავის“ წოდებაც ჰქონოდა.

თუ დავუბრუნდებით ქართველ ბაგრატიონებს შეიძლება დაისვას კითხვა, როგორ გახდა ადარნასე I ტაოს მფლობელი?

ტაოს მფლობელობა მას უფლებას აძლევდა „ქართველთა მეფის“ ტიტული ეტარებინა. იყო თუ არა მისი მამა დავით I ტაოს მფლობელი?

თუ დავით I, რომელიც 881 წელს მოკლეს, არ იყო ტაოს მფლობელი, უნდა ვიფიქროთ, რომ მისმა შვილმა ადარნასე I-მა აშოტ სომეხთა მეფის მემკვიდრეებისაგან მიიღო სამართავად ტაოს (ე.ი. „ქართველთა“) ქვეყანა, ხომ

არ მიათხოვა აშოტ სომეხთა მეფის მემკვიდრემ თავისი ქალიშვილი ადარნასე I-ს და მზითევის სახით მიიღო ტაო სიძემ? დიახ, ეს ასე ყოფილა, რაც ზემოთაა აღწერილი.

ასევე საკითხავია, იყო თუ არა სომეხი ბაგრატიონი აშოტი ვაშდენ „ივერთა მთავრის“ უფლებრივი მემკვიდრე, ვაშდენ ივერთა მთავრის სამართლებრივი მემკვიდრენი იქნებ ქართველი ბაგრატიონები – ადარნასე, დავით I და მისი მამა ბაგრატ I იყვნენ?

ბაგრატიონთა ლეგიტიმაცია

გრიგოლ ხანძთელი – „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულსა შვილად წოდებულო ხელმწიფეო მეფობა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისთვისცა ამას მოგახსენებ:

არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“.

კონსტანტინე პორფიროგენეტი – „კურაპალატის იბერები ამბობენ, რომ ისინი ურიას (ხეთელის) ცოლის შთამომავლები არიან, რომელიც დავით წინასწარმეტყველმა შეაცდინა, **მისი შვილისგან შთამომავლობენ, დავითისგან რომ შეეძინა, ისინი ღვთისმშობლის ნათესავები არიან, რადგან ისიც დავითისაგანაა“.**

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება – მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და **ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხისათა,** და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალიტისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქვეყანა.“ და მისცა არტანი“.

ლატავრი იყო აშოტ მეფის დაი, რომელიც მიათხოვეს ფარნავაზიან არჩილ მეფის ძეს ჯუანშერს.

ქართლის ცხოვრება – გურამ ბაგრატიონი (ქართლის მეფე მე-6 საუკუნეში – **„ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი. და ესე ბაგრატოანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“.**

ამბავი ბაგრატოანთა, სუმბატ დავითის ძე – „და ვიწყოთ ყოველივე ამბავი ბაგრატოანთა, თუ ვითარ არიან **ნათესავნი დავით წინასწარმეტყუელისანი და სოლომონისნი,** ანუ ვითარ მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა. ვიწყოთ ადამითგან, და წარმოვთქუათ ყოველი ნათესაობა მათი“.

...და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომისანი, მოიწივნეს **ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ-იღეს.**

და **დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხისითისათა,** და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მთავრობენ სომხითს.

და **ოთხნი მათნი ძმანი მოვიდეს ქართლს.** ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამაი ბაგრატიონთა. და ესე ბაგრატონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან გუარამისნი.

ხოლო ძმაჲ მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს.

და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათ, სახელით ასამ და ვარზავარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს მუნ იგინი ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა.

ესენი წარმოვიდეს ეკლეცით, რომელნი **მონათლა რაქაელ დედოფალმა, ძმანი შვიდნი ჰურიანი, ტყუეობით მოსრულნი ქუეყანით ფილისტიმით,** და ნათელ იღეს ეკლეცს ხელითა რაქაელ დედოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი, რამეთუ ერთსა სახელ-სდვა მუშელ, და ერთსა **ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატიონთა,** ერთსა აბგავარ, ერთი შემოიყვანა სიძედ, და ორნი მათგანი ამზახნა სომეხთ მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვახსენეთ, და გურამ განაჩინეს ერისთავად“.

მირდატის ძენი და ბაგრატიონები კლარჯეთში

ვახტანგ გორგასალს მეორე ცოლისაგან, ელენესაგან შეეძინა ძე, მირდატი და ასევე ასული, რომელსაც წყაროებში „დაჲ მირდატისა“ ეწოდება. შემდგომში „დაჲ მირდატისა“ შერთეს გურამ ბაგრატიონს.

სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა კეისრის ასულისაგან შეძენილი შვილების სამყოფელად დაადგინა ქართლის სამეფოს ის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ეგრისწყალსა და კლისურას შუა, რადგანაც ეს ტერიტორია მზითვის სახით მოჰყვა მათ დედას, კეისრის ქალიშვილს ქართლის მეფეთა ოჯახში შესვლისას, კეისარმა ბიზანტიის ეს ტერიტორია ქართლს გადასცა კეისრის ასულის ხელით.

ვახტანგ მეფის ანდერძი უფლისწულ დაჩისადმი (მომავალი მეფისადმი) ასეთი იყო – **„საზღვარი აფხაზეთისა, რომელიც მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურას შუა, იგი თვით ძმათა შენთა დედისა არს – იგი აქუნდეს მათ**“ (ქ.ც. I, გვ. 204). დაჩის ძმათა (გერთა) დედა იყო კეისრის ასული ელენე, მისი მზითვი იყო ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა.

მართლაც, როგორც ითქვა, კეისრის ასულს ტერიტორია კლისურასა და ეგრისწყალს შუა მზითვად მოჰყვა და ის შეუერთდა ქართლის სამეფოს. ეს ტერიტორია (კლისურასა და ეგრისწყალს შორის მოქცეული) ერგო საერისთავოს სახით ელენეს შვილებს. ამ მიწა-წყალს ეწოდა „დასავლეთი ქართლისა“, რადგანაც მდ. კლისურა ქართლის სამეფოს უკიდურესი საზღვარი იყო დასავლეთით.

ვახტანგის ანდერძის აღსასრულებლად – „**ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი წარიყვანეს ერისთავთა და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა**“ (ქ. ც., I, გვ. 204), ე.ი. ფაქტობრივად დაეუფლნენ ტერიტორიას ეგრისწყალსა და კლისურას შუა.

როგორც ითქვა, ეგრისწყალსა და კლისურას შუა მოქცეულ ტერიტორიას „**დასავლეთი ქართლისა**“ ეწოდებოდა (იქვე). მათი ერისთავები იყვნენ ვახტანგის შვილები ლეონი და მირდატი.

ლეონის გარდაცვალების შემდეგ დაჩი მეფემ გადაწყვიტა ეთხოვა ამ მირდატისათვის, რათა მას გაეცვალა ტერიტორია, ე.ი. მოენაცვლებინა თავისი საერისთავო. მართლაც – „**დაჩი მეფემან გაუცვალა ქვეყანა და აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისურას შუა მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ტასისკარიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ**“ (ქ. ც., I, გვ. 205).

ე.ი. ტერიტორია ეგრის-წყალსა და კლისურას შორის თვით ქართლის მეფე დაჩიმ დაიჭირა, როგორც სამეფო მიწა-წყალი, სანაცვლოდ იქაურ მირდატ ერისთავს უფრო სამხრეთით – ტაშისკარიდან ზღვამდე მოქცეული ტერიტორია გადასცა საერისთავოდ.

კლარჯეთში იქამდე ერისთავები იყვნენ არტავაზის შთამომავლები. მათ ახლა დაემატათ ახალი ერისთავები – ვახტანგ მეფის შთამომავლები, მათ „შვილნი მირდატისნი“ ერქვათ.

VI ს-ში „შვილნი დაჩისანი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“ (იქვე, გვ. 207).

VI ს-ში, ქართლის სპარსთაგან დაპყრობის ჟამს – ქართველ მეფეთა სახლის შვილები – „შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“ (იქვე, გვ. 217).

ამ უმეფობის ჟამს „რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე“ (იქვე).

„მაშინ კეისარმა მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს, მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“ (იქვე, გვ. 218).

ბაგრატიონები ვახტანგ გორგასლის ბერძენი მეუღლის შთამომავლების – მირდატისა და მისი დის გენეტიკური და ლეგიტიმური მემკვიდრეები იყვნენ, კერძოდ, მირდატის დის ძე იყო იბერიის ანუ ქართლის სამეფოს პირველი კურაპალატი გუარამ I ბაგრატიონი –

„ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. ესე ბაგრატოანნი შვილის-შვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“ (იქვე). „ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა“ (იქვე, გვ. 221).

მემატიანის ცნობით, საზოგადოდ, ვახტანგ გორგასლის ძეებიდან ორი შტო ჩამოყალიბდა – ბაქარიანები და მირდატიანები.

ბაქარიანები მართავდნენ ქვეყანას VI ს-ში, როცა სპარსელებმა ქართლი დაიპყრეს. ბაქარიანებმა მეფობა დაკარგეს. ქვეყანა უმეფოდ დარჩა. სპარსეთში არეულობის დაწყებით ისარგებლეს ქართველმა დიდებულებმა და ბიზანტიის კეისარს, სთხოვეს მათთვის მეფე დაენიშნა.

მართლაც, კეისარმა ქართლის მეფედ დანიშნა „მირდატის დის“ შვილი – გუარამ ბაგრატიონი.

აქ შეუსაბამობა ქრონოლოგიურად ისაა, რომ მირდატი V ს-ში ცხოვრობდა, ხოლო გუარამ კურაპალატი – თითქმის ასი წლის შემდეგ. ასე რომ, „მირდატის და“ უშუალოდ გუარამ I კურაპალატის დედა ვერ იქნებოდა.

საფიქრებელია, რომ „მირდატის დაი“ კლარჯეთში შეირთო ადგილობრივმა დიდებულმა და ამ ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი შემდგომში შერთეს გუარამ კურაპალატს.

ყოველ შემთხვევაში, კლარჯეთიდანაა წარმომავლობით გუარამ კურაპალატი და მისი ოჯახი. მემატიანის ცნობით, კურაპალატი გუარამ II ბაგრატიონი იყო – „ოცდამეცხრამეტე მეფე ქართლისა“.

თუ ლიგან-კლარჯეთი ლაზიკაა, ბერძნული წყაროებით ცნობილია მათი „ბასილევსების“ სახელები – ესენი იყვნენ გუბაზი და წათე. ხოლო ქართული წყაროებით კლარჯეთის ერისთავი იყო არტავაზი.

ამ ადგილობრივი დიდებულების (წათეს, გუბაზის და არტავაზის) ოჯახებიდან უნდა ყოფილიყო გუარამ კურაპალატის დედა, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ოჯახები თავის დროზე მირდატთან, ვახტანგის ძესთან იყვნენ დამოყვრებულნი (შეიძლება „მირდატის დის“ წყალობით შევიდა გუბაზისა და წათეს ოჯახში „ბასილევსად“ წოდების ლეგიტიმური უფლება).

შემდეგ კი ამ ოჯახის სიძემ – გუარამმა (შესაძლოა, ასევე „ბასილევსმა“) მიიღო ქართლის მეფის წოდება, თუმცა იმპერატორმა მხოლოდ „კურაპალატობა“ აკმარა. არაბობის დროს კი ეს ოჯახი მცხეთიდან კვლავ კლარჯეთს დაუბრუნდა.

ძველი ლაზიკის მეფეების წარმომავლობა ჭანეთ-ტაოს სამეფოდან

ლაზები და ჭანები ზოგჯერ ერთ ტომად, ზოგჯერ კი ერთმანეთის მეზობლებად წარმოდგებიან ბიზანტიელ მწერალთა მიერ, ლაზიკა ჭანეთს მოიცავდა და უფრო ზოგადი ერთეული იყო.

ლაზთა რამდენიმე მეფეა დასახელებული წყაროებში IV-V საუკუნეებისა, თუმცა კი იქვეა ნათქვამი, რომ არსებობდა წინანდელ ლაზთა მეფეთა გენეალოგიური სიები.

ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ლაზთა მეფეების ქვეშ იგულისხმება ჭანთა მეფეები და ჭანეთის სამეფო, რომელიც IV საუკუნეშიც არსებობდა.

ძველი ლაზეთის სამეფო მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიული ქართლის სამეფოს გარეთ და მოიცავდა ჭანეთს, მიმდებარე ზოგიერთ მხარესთან ერთად, მისგან განსხვავებით, ახალი ლაზეთის სამეფო კლარჯეთ-ლიგანს მოიცავდა.

კერძოდ, ფავსტოსი წერს, რომ IV ს-ში სომხეთის მეფეს მიმართა **ტაოს მფლობელმა მანუელ მამიკონიანმა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენი წინაპრები ჭენასტანის მეფეები იყვნენ... სისხლისღვრის გამო დავტოვეთ სამშობლო და მოვედით თქვენს კარზე მშვიდობის საძებნელად**“, ე.ი ჭენისტანის მეფეები ტაოს მფლობელები იყვნენ.

პ. ინგოროყვა იმოწმებს ნ. ადონცს, რომ „ჭენასტანი“ არის ჭანეთი, ტაოს გვერდით.

ფავსტოსის ცნობით, ჭანეთის, ანუ ლაზეთის ძველი სამეფო, ჩანს, ერთ პერიოდში იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი მეფეების ღირსება არანაკლები ყოფილა სომეხთა მეფეებისაზე.

ამასთან დაკავშირებით მანუელი სომეხთა მეფის წინაშე ამბობს – **„ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თქვენი მსახურნი** (ე.ი. ჭანეთის სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო), **არამედ ვიყავით თქვენი ამხანაგი** (ანუ ღირსებით თანასწორი) **და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანნიც“.**

ამ ცნობიდან ჩანს, რომ **ძველ ლაზეთს, ანუ ჭანეთს** IV საუკუნემდე ჰყავდა სახელოვანი სამეფო დინასტია.

ამ დინასტიიდან უნდა ყოფილიყვნენ ლაზთა მეფეები წათე, გუბაზი და სხვები, შემდეგ მათ სამმართველოდ კლარჯეთ-ლიგანიც გადაეცათ (ისტორიული ჭანეთის გარეთ VI ს-ის ლაზიკაში შედიოდა ფაზისის ანუ მდ. ჭოროხის შესართავი და მისი დასავლეთი სანაპირო, აღმოსავლეთის ერთ ნაწილთან ერთად ჭოროხის სათავეების ჩათვლით).

პ. ინგოროყვა, სომხურ წყაროებზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ III საუკუნისათვის ჭანეთის სამეფო ჭანეთთან ერთად მოიცავდა ტაოსაც.

III საუკუნეში სამეფო სახლის შიგნით შინაური შფოთის გამო ტაო იქაურმა მმართველმა (ჭანეთის სამეფო ოჯახის ტაოს შტომ) გადასცა სომეხთა სამეფოს, ანუ ტაო დაპყრობის გარეშე შევიდა სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 490) და ასევე დაპყრობის გარეშე (დაახლოებით 500 წლის შემდეგ) ტაო სომხეთის მეფემ უკან გადასცა საქართველოს – აშოტ I კურაპალატის ძეს ბაგრატ I-ს.

ჭანეთს – ქალდეა/ქართეა ერქვა, ტაოს კი – „ქართველთა“ სამეფო. მაშასადამე, ორივე ამ ქვეყანას – ჭანეთსა და ტაოს ანუ „ქალდეასა“ და „ქართველთა“ სამეფოს თვითსახელწოდება – „ქალდეა“ – „ქართუ“ ერთი ფუძიდან ამომავალი სიტყვებია. აქედან გამომდინარე, ეს ორი ქვეყანა ალბათ ოდესმე ერთ მთლიან სამეფოს შეადგენდა „ქართუ“ სახელის მქონეს („არიან-ქართლი“-კოლხეთი სახელთა ფუძეებიც /ქართ-კოლ/ იდენტურები არიან).

როგორც აღინიშნა, ფავსტოს ბიზანტიელის საისტორიო თხზულებაში მანუელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს სომხეთის მეფეს ვარაზდატს (374-377წწ.) „ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თქვენი მსახურნი, არამედ ვიყავით

თქვენი ამხანაგნი და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანიც, რადგან ჩვენი წინაპარნი იყვნენ მეფენი ჭენასტანში, მაგრამ ძმათა შორის განხეთქილების გამო მოხდა დიდი სისხლისღვრა, ჩვენ დავტოვეთ სამშობლო და მოვედით აქ მშვიდობის საძებნელად“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 489).

როგორც აღინიშნა, ჭანისტანს, ანუ ჭანეთს თავისი მეფეები ჰყოლია უკვე III საუკუნეში, რადგანაც მანუელს მეფისათვის მიუმართავს 228-297 წლებში (იქვე, გვ. 490).

ფავსტოს ბიზანტიელის ეს ცნობა ეთანადება სხვა ბერძენ-ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს, რომლებიც ლაზთა, ანუ კოლხთა მეფეებისა და ტომის შესახებ ამბობდნენ: „ისინი ძალზე ამაყები არიან და ქედმაღლობენ კოლხეთის ძველი დიდების გამო“, ფავსტოსის ცნობითაც, ჭანების მეფეთა შთამომავალი არმენიის მეფესთან ამბობს: „ჩვენი დინასტია თქვენზე მეტად სახელოვანიც შეიძლება იყოს“. ეს ორი ცნობა ერთმანეთის იდენტურია და მიუთითებს კოლხეთ-ლაზეთის ძველი სამეფოს შესახებ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი ლაზიკის ანუ ჭანეთის დინასტიის ერთი ფრთა, ჩანს, შიდაარეულობის გამო იძულებული გამხდარა თავი სომხეთისათვის შეეფარებინა და თავისი სამეფოს ერთი ნაწილის (ტაოს) გადაცემით სომეხთა მხარდაჭერა მოუპოვებია, ხოლო მეორე ფრთას ჭანეთის ძირითადი ნაწილი დაუკარგავს V საუკუნეში. ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი მოლაპარაკებია ლაზთა მეფე გუბაზ I-ს და მისთვის სამეფოს ერთი ნაწილი ჩამოურთმევია. ამ დროს საზღვარი პუნქტ ხუფათზე გადებულა. სანაცვლოდ, VI საუკუნეში იუსტინიანეს დროს ლაზთა მეფეებისათვის მმართველობაში გადაუციათ კლარჯეთ-ლიგანი. ასე ჩამოყალიბებულა „ახალი ლაზიკის“ სამეფო „ძველი ლაზიკის“ სახელოვანი დინასტიის მმართველობით.

ბაგრატიონები ბაიბერდიდან კლარჯეთში

ბაგრატიონების საგვარეულო (თავდაპირველი) ციხესიმაგრე ყოფილა ბაიბერდი – ისტორიულ სპერში. ნ. ადონცი წერს „ვიცით, რომ კანტონი სპერი ეკუთვნოდა ბაგრატიდ მთავრებს“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 122).

ნ. ადონცი ცნობებს იმის შესახებ, რომ სპერი ბაგრატიონების თავდაპირველი მამული იყო, იღებს ძველი სომხური წყაროებიდან და წყაროდ მიუთითებს – „ფაუსტი“, V, 44; სებეოსი, 139.

პონტოს ზღვისპირეთში ჩამოსახლებული ქართველებისათვის ნაბუქოდონოსორს, ხორენაცის მიხედვით, უფლად დაუდგენია მიჰრდატის შთამომავლები – დარეჰისაგან (დარიოსის) (მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.107).

ეს „პონტოსპირეთი“ მოიცავდა ვრცელ მხარეს სინოპიდან დასავლეთ საქართველოს მდ. ფაზისამდე, ტრაპეზუნტის ოლქს ბაიბურდისა და შემდგომი

არზრუმის ჩათვლით. ბაგრატიონთა თავდაპირველი საცხოვრისი, როგორც ითქვა, ბაიბერდი ყოფილა.

ბაიბერდი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ აქ ყოფილა პაიპერტის საეპისკოპოსო, შემავალი ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში. ეს სამიტროპოლიტო კი, ნოტიციების მიხედვით, ლაზიკაში იყო.

აქვე, სპერთან მდებარეობდა ჭანეთის მთიანეთი. მათი საერთო ბერძნული სახელი „ლაზიკა“ ყოფილა, VI ს-ში იუსტინიანემ დაიპყრო ტრაპეზუნტის ჩრდილო შავიზღვისპირეთი და იქ დააარსა ქალაქი პეტრა, რამაც საფუძველი დაუდო სპარს-რომაელთა ომებს პეტრასათვის.

გ. მელიქიშვილის თანახმად, კოლხეთის ბარში ჩასახლებულა ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა – ჭანები (სანები?), ბერძნები მათ, ჩანს, ლაზებს უწოდებდნენ. მათ, ალბათ, ბაგრატიონების ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლებიც წაჰყვნენ (ჭანიკა ბაიბერდთან ახლოს მდებარეობდა). ეს საგვარეულო VI საუკუნეში იბერიაში გამეფდა დროებით, IX საუკუნიდან კი ცნობილია ბაგრატიონ მეფეთა კლარჯულ-არტანუჯული და ტაოური სახლები. საფიქრებელია, რომ ისინი ყველანი მომდინარეობდნენ სპერის (ბაიბერდის) ფუძე-საგვარეულო სახლიდან.

კიდევ ერთხელ მივუთითებთ ადონცის ფრაზას – „კანტონი სპერი ეკუთვნოდა ბაგრატიდ მთავრებს“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 122) და ის წყაროდ მიუთითებს „ფაუსტი“, V, 44; სებეოსი, 139.

ბაგრატიონებს თავიანთი გვარი აღებული ჰქონდათ დედის მხრიდან

„გადმოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველის, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე და ბერძენთა მიერ დადგინებული იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისათა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა „უკუეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქუეყანა“ და მისცა შულავერი და არტაანი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 243).

ქვემოთ შევეცადოთ ავხსნათ, რომ ადარნასე მთავარი, რომელიც მივიდა მეფე არჩილთან, იყო დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი მამის მხრიდან, ხოლო დედის მხრიდან ის იყო ბაგრატონიანი (ბაგრატიონი), ანუ თვითონ ამ მთავარს და მის მამასაც ბაგრატონიანი ქალები ჰყავდათ შერთული, მათი შვილები დედით ბაგრატიონები, ხოლო მამით **„ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა“ ანუ ებრაელები იყვნენ.**

ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს წყაროში ნახმარი სიტყვიდან **„მზახალი“.** „დამზახება“ – ნიშნავს „დამოყვრებას“ („ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“, 2008, გვ. 102). მძახალი ახლაც ცოლის (რძლის) ნათესავია.

„**რომლისა მამა მზახებელ იყო ბაგრატონიანთადვე**“ – ნიშნავს, რომ ადარნასე მთავრის მამასაც და თვით ადარნასესაც ბაგრატიონების ქალები ჰყავდათ შერთული, ანუ **ბაგრატიონები ადარნასეს „მზახლები“ – ანუ ნათესავები იყვნენ დედისა და ცოლის მხრიდან.**

„ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო არეთა სომხითისათა“ ნიშნავს, შემდეგს – არტაანი არჩილის სამეფოში შედიოდა, კლარჯეთი „ბერძენთა“ უფლების ქვეშ იყო, ხოლო დანარჩენი ქვემო მხარეები (ტაო, თორთომი, სპერი და ა.შ.) – იმ მომენტში „სომხეთის არედ“ ითვლებოდა (ჰერაკლე კეისრის წყალობით), სადაც ბიზანტიელთა ნებით მთავრობდა ადარნასე, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი.

არაბთა შემოსევების შემდეგ ის (ადარნასე) მორიდებია არაბებს და კლარჯეთში გადასულა, სადაც დარჩენილა საცხოვრებლად.

აღმოსავლეთ საქართველოში არჩილ ქართლის ხოსროიანი მეფის დაბრუნების შემდეგ კი, მისულა მასთან და მისთვის უთხოვია, რათა მიეღო ქვეყნის მკვიდრად და ჩაერიცხა სამეფო ერისთავთა წრეში.

არჩილმა შეუსრულა თხოვნა და მისცა სამფლობელოდ ქართლის სამეფოს არტაანისა და შულავრის პროვინციები.

მაშასადამე, ადარნასეს უკვე უფლება გააჩნდა სამ ქართულ პროვინციაზე; 1. მისი იმჟამინდელი მამულები ბიზანტიის ხელდებულ კლარჯეთში იყო; 2. ამავე დროს ის იყო ქართლის სამეფოს ერისთავი; 3. ხოლო მისი ძირიმამული ტაო-სპერის მხარეები იყო.

კლარჯეთი, არტაანი და ტაო – ბაგრატიონთა ქვეყნებად იქცა.

მაშასადამე, ადარნასე მთავარი, თავდაპირველად, დადგენილი იყო „სომხეთის არეთა ერისთავად“ (იგულისხმება იმჟამად არმენიის ქართული მხარეები – ტაო-სპერი და ბასიანი), აქედან შემდეგ არაბობის გამო გადასულა კლარჯეთში (ბიზანტიელთა ხელდებულ ქვეყანაში).

კლარჯეთის მეზობელი არტაანისა და შულავერის „ქვეყნები“ არჩილის სამეფოში შედიოდა. შემდგომში ისინი (ეს ქვეყნები) გადაეცა ადარნასე ბაგრატიონს არჩილის მიერ.

(აქედანაა ტიტულები „არტანუჯელი ხელმწიფე“, „კლარჯელი ხელმწიფე, „ტაოელი ანუ ქართველთა მეფე“, რადგანაც ტაო ივერიად იწოდებოდა როგორც სომეხთა, ისე ბიზანტიელთა მიერ).

ბერძნული საკარისკაცო ტიტულები

ბერძნული საკარისკაცო ტიტულები არ ჰქონდათ ფარნავაზიან-ხოსროიან მეფეებს, მაგრამ VI ს-დან ის დამკვიდრდა ქართულ სამეფო კარზე. ამ ტიტულის მქონეთაგან პირველი იყო კლარჯეთის ერისთავი გურამ ბაგრატიონი, ვახტანგ გორგასლის სიძე, რომელიც ავიდა სამეფო ტახტზე. მის შემდგომ ეს ტიტულები („კურაპალატი“ და სხვა) ვიდრე XII ს-მდე ჰქონდათ ქართველ მეფე-ერისთავებს.

ჩემი აზრით, ეს ტიტული იქამდე ჰქონდათ ლაზიკის (ე.ი. კლარჯეთის) ბასილევსებს (ერისთავებს) და ქართლში გამეფების შემდეგ (იგულისხმება გურამ ბაგრატიონი VI ს-ში) ის (ტიტული) შეინარჩუნეს.

შესაძლოა, ასეთი ბიზანტიური ტიტულები აბაზგ ერისთავებსაც ჰქონდათ (ე.ი. VI-VII სს.) და როცა საქართველოს ტახტზე ავიდნენ ძველი ტიტულებიც დაინარჩუნეს).

შესაძლოა, პირველი ბაგრატიონები იყვნენ ლეგიტიმური მემკვიდრეები ლაზთა ანუ „კლარჯთა“ „მეფეებისა“, ანუ იმ „ლაზთა მეფეებისა“, რომელთაც ბერძნულ-ბიზანტიური სამეფო კარი ანიჭებდა სამეფო ტიტულებსა და სიგელებს (ამას უნდა მიუთითებდეს პირველი ბაგრატიონი მეფეების ტიტულატურა „კლარჯელი ხელმწიფე“).

(ჩანს, ამ „ლეგიტიმური“ უფლებით აღჭურვილ-გამშვენიერებული გუარამ I ბაგრატიონი შევიდა ხოსროიანთა სამეფო ოჯახში ვითარცა სიძე ვახტანგ გორგასლის დროს, ხოლო შემდგომში ბაგრატიონებმა არჩილ მეფის სამეფო სახლის მემკვიდრეობა მიიღეს).

ტაოელები „არიან-ქართველთა“ მემკვიდრეები

ტაოსა და „ზემო ქვეყანათა“ მკვიდრი მოსახლეობა ოდესღაც „არიან-ქართველებად“ იწოდებოდა და ამ მხარეებში ძველთაგანვე ცხოვრობდა.

გ. მელიქიშვილის მტკიცებით, არიან-ქართლის სამეფო მდებარეობდა იმ მიწებზე, რომლებიც არმენიამ ძვ.წ. II საუკუნეში მიიტაცა იბერიისაგან.

I საუკუნეში, როცა გაძლიერდა მცხეთის იბერიის სამეფო იმდენად, რომ სომხეთის სამეფო ტახტზე ქართველები ადიოდნენ, ალბათ, ეს „ზემო ქვეყნებიც“ გათავისუფლდნენ სომეხთა ბატონობისაგან.

ყოველ შემთხვევაში, VI-VII საუკუნეებში აქ ყოფილა „ივერთა სამთავრო“ ვაშდენის მეთაურობით, მალევე აქ ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“.

ფაქტი იმისა, რომ სწორედ ტაოსა და მიმდებარე რეგიონებსა და მის მოსახლეობას უწოდებდნენ უცხოელები „იბერიასა“ და „იბერებს“, თანამედროვე საქართველოს კი – „აფხაზეთს“, მიუთითებს, რომ უცხოელებისათვისაც

ტაოელები ქართველები იყვნენ. ამიტომაც ეწოდა კიდეც აქ ჩამოყალიბებულ სამეფოს „ქართველთა სამეფო“. ჩანს, აღნიშნულ მიწა-წყალზე მცხოვრებ „არიან-ქართველებს“ იბერიელების სახელით იცნობდნენ უცხოელები. ეს ეთნოსი ცხოვრობდა აქ ისტორიულად და მათ X-XI სს-მდეც მიუღწევიათ.

ამის თქმის საჭიროება გამოწვეულია ჩვენში გაბატონებული აზრის გამო, რომლის მიხედვითაც ამ მხარეთა ძირითადი მოსახლეობა, თითქოსდა, ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც „გაქართველდნენ“ და ამით შეადგინეს ამ რეგიონის ქართული მასა.

არაა სწორი მტკიცება, რომ ტაოში ჩასახლდნენ ქალკედონელი სომხები, „გაქართველდნენ“ და შემდეგ კი, ასე ვთქვათ, ჯაჭვური რეაქციის სახით „გაქართველდა“ ზემო ქვეყნების ქალკედონური სომხური მოსახლეობაც.

სინამდვილეში, პროცესი იყო პირიქით – იქამდე არმენიაში (ბიზანტიურ თუ პერსარმენიაში) მოქცეული ქართველობა, რომელიც სომხურმა ეკლესიამ დაიქვემდებარა, არაბობის ეპოქაში ნაწილობრივ გათავისუფლდა სომხური ეკლესიის უღლისაგან, არაბობის გამო სომხების ძალის შესუსტების შემდეგ იქაურმა ქართველობამ აღიდგინა თავისი იდენტობა, დაიბრუნა ეროვნული სახე.

სტეფანოს ტარონცი (ასოღიკი) წერს: „ლმობიერებით დავით კურაპალატი ყველას აღემატებოდა, მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა სომხეთსა და იბერიაში“ (Асохик, ნარკვ. II, გვ. 486). აქ, ცხადია, იბერიის ქვეშ ტაოს ანუ „ქართველთა“ სამეფო იგულისხმება.

მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება (X ს.)

დავით კურაპალატის მიერ „ზემო ქვეყანათა“ ფლობა მიუთითებს, რომ ამ ქვეყანათა აზნაურ-დიდებულები და, შესაბამისად, მკვიდრი მოსახლეობა წარმოადგენდა ამ „ფლობის“ პოლიტიკურ საყრდენს.

იმჟამინდელი სოციალური ვითარების გამო რომელიმე ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლეობის ერთგულების გარეშე არავის შეეძლო პოლიტიკური ნების განხორციელება. მაგალითად, როცა ბაგრატ IV-ის სიყმაწვილის წლებში დიდებული ტაოელი აზნაურები „წარვიდეს საბერძნეთს,“ ანუ კეისრის მხარეზე გადავიდნენ („განდგეს კუალად აზნაურნი“, „წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა“ და ასევე სხვები) – ამის შედეგად ტაოში შეირყა ბაგრატ IV-ის მმართველობა, მით უმეტეს, რომ დიდებულებმა „ერიც ააღელვეს და აამოძრავეს“, ანუ ტაოს მკვიდრი მოსახლეობაც ბერძენთა მხარეს გადაიხარა. ამან, ცხადია, შეარყია მეფის მმართველობა (თუ არა საბა მტბევარისა და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსების გმირული თავდადება, ქვეყანა დაიკარგებოდა), შესაბამისად, მსგავსადვე, თუ არა „ზემო ქვეყანათა“ ხალხის ერთგულება ქართველთა მეფის მიმართ, დავით კურაპალატი ამ ქვეყნებს ვერ დაიჭერდა.

მართალია, ბიზანტიამ დავით კურაპალატს დაუთმო „ზემონი ქვეყანანი“, მაგრამ დავითმა ეს ქვეყნები რეალურად დაიჭირა არა ბიზანტიელთა დახმარებით, არამედ მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა და საოცარი ერთგულება კარგად აქვს აღწერილი არისტაკეს ლასტივერტეცის. მაგალითად, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ამ ქვეყნებში გაბატონება ინებეს ბიზანტიელებმა, მკვიდრმა მოსახლეობამ მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ისინი დაუნდობლად და მასობრივად ხოცავდნენ ხალხს, არ ინდობდნენ არც მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს თუ ბავშვს, მოსპეს უამრავი სოფელი, დაბა და ქალაქი, დაანგრიეს მთელი მხარეები და ქვეყნები.

ცხადია, „ზემო ქვეყანათა“, მკვიდრ მოსახლეობას შეეძლო იმთავითვე მიმხრობოდა ბიზანტიელებს, განეცხადებინა ერთგულება კეისრის მიმართ, გამოეხატა ორგულობა ქართველთა მეფის მიმართ, ბოლოს შეეძლო ბიზანტიური ჯარის იმედით აჯანყებულიყო კიდეც ქართველთა წინააღმდეგ, მაგრამ არა, მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება და თავდადება ქართული სახელმწიფოს მიმართ მტკიცე იყო. და, პირიქით, როცა ბიზანტიელებმა შემდგომ შეძლეს ამ მხარეთა დაპყრობა, საკმაოდ ხშირ აჯანყებებს კეისრის წინააღმდეგ ქართველები ედგნენ სათავეში, მაგალითად, ფერის ჯოჯიკის ძე, ზაქარია ვალაშკერტელი და სხვები.

რით იყო განპირობებული ქართველთა მიმართ ე.წ. „ზემო ქვეყანათა“ მოსახლეობის ერთგულება? ჩვენი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ზემო ქვეყანათა მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ და მათი ერთგულება ნაციონალურ საფუძველს ეყრდნობოდა.

არსებობს სხვა თვალსაზრისი, რომელიც გაბატონებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, რომ მკვიდრი მოსახლეობა იყო არა ეთნიკური ქართველები, არამედ ე. წ. ქალკედონიტი სომხები. თუ ისინი ქართველები არ იყვნენ და მხოლოდ სარწმუნოების გამო დებდნენ თავს ქართველობის მიმართ, განა უფრო ძველ მართლმადიდებლებად ბერძნები არ მიიჩნეოდა? ზემო ქვეყნებს ხომ ქართველი მეფეები სულ რამდენიმე ათეული წელი მართავდნენ, ისიც დიდი გაჭირვებით, მათ ხან მაჰმადიანებთან, ხან კი ბერძნებთან უხდებოდათ ბრძოლა. ამიტომაც ისმის კითხვა, როგორ მოხდა, რომ მიუხედავად ბერძენთა მიერ „ზემო ქვეყნების“ დაპყრობისა და მოსახლეობის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შესვლისა, მაინც ამ მოვლენათა შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე, აღნიშნულ ქვეყნათა მკვიდრი მოსახლეობა მტკიცედ ქართველობდა და საეპისკოპოსოებიც, მაშასადამე, ეკლესიებიც ქართული ჰქონდათ? ერთი ასეთია, ვთქვათ, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო, რომელიც თითქმის XVII საუკუნემდე არსებობდა.

განმათავისუფლებელი ლაშქრობა ვიდრე ვანის ტბამდე ხალხის მხარდაჭერით (X ს.) და სომხური ეკლესიების თავლებად გადაქცევა

989 წელს ბარდა ფოკას აჯანყების დაცხრომის შემდეგ აჯანყების თანამონაწილე დავით კურაპალატი იძულებული გახდა თავისი სამფლობელოები ბასილი II-ისათვის ეანდერძებინა. მაგრამ ამის შემდეგაც მან ილაშქრა ვანის ტბის მიმართულებით და 990 წელს აიღო ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქ მანასკერტი, რომელიც, ასოღიკის ცნობით, ქართველებითა და სომხებით დაასახლა, რადგანაც ის დამარცხებულ მაჰმადიანებს მიუტოვებიათ.

ქართველთა ხელში ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნები XI ს-ის პირველ ათეულ წლებამდე იყო.

ამ ქვეყნებში (არმენიის ივერიულ ზოლში) მრავალი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთაც თავიანთი სამრევლოები, ეკლესიები და საეპისკოპოსოებიც კი ჰქონდათ, ჩანს, სწორედ ისინი იყვნენ გაერთიანებულნი ტაოს სამამამთავროში. ერთ-ერთი უდიდესი საეპისკოპოსო ამ მხარეებში იყო ვალაშკერტისა.

ეპისკოპოსი ვალაშკერტელი ქართული ეკლესიის იერარქიაში საუკუნეთა მანძილზე შედიოდა.

„მართალია, იმ პოლიტიკური მარცხის გამო, მას რომ 989 წელს შეემთხვა, დავით კურაპალატი იძულებული შეიქმნა თავისი სამფლობელო ბიზანტიის იმპერიისთვის ეანდერძა, მაგრამ ალბათ, მაინც ფიქრობდა ამ მდგომარეობის გამოსწორებას და ამის საკომპენსაციოდ 90-იან წლებში იწყებს იმ დიდ დაპყრობით ომებს, რომელთა შედეგად ხელთ იგდებს მთელ რიგ სომხურ პროვინციებს“ (ნარკვ. II, გვ. 487).

საბჭოური ეპოქის ისტორიკოსებს ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით, რომ თითქოს ქართველთა ომები ამ მიმართულებით იყო „დაპყრობითი“ ომები „სომხური პროვინციებს ხელში ჩასაგდებად“.

დავით კურაპალატის ომები ვანის ტბის მიმართულებით იყო არა დაპყრობითი, არამედ განმათავისუფლებელი.

ის იმ თურქულ ტომებს ებრძოდა, რომელთაც მიწა-წყალი ვანის ტბის მიდამოებში დაიპყრეს.

ეს ტერიტორიები ქართველთა ისტორიული სამშობლოს ნაწილი იყო, ამ ადგილებთან იხილა ქსენოფონტემ ქართველთა ტომები, სტრაბონის ცნობით, ამ მხარეებთან ახლოს მდებარეობდა ხორძენა, იქვე გოგარენა და პარიადრეს კალთები, რომელნიც არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა.

მიტაცების მიუხედავად იქ დარჩნენ და საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ აქაურ ქართულ ტომთა შთამომავალნი, რომელთაც დავით კურაპალატის ქართველთა სამეფოს გაფართოებამ ეროვნულ-ქართული იდენტობა გამოუცოცხლა. ასე რომ, ამ ე.წ. „სომხურ პროვინციებში“ ძირძველი ქართველებიც ცხოვრობდნენ და ამ მხარეებში ქართველთა გამარჯვებები აჩვენებს, რომ მათი რიცხვი მცირე არ ყოფილა.

დავითის ტრიუმფალური, მოულოდნელი გამარჯვებების ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მხარდაჭერა.

ქართული წარმოშობის მოსახლეობა ორმაგად იყო აღფრთოვანებული ქართული ჯარის მათ ქვეყანაში შესვლით, რადგანაც სომხური ეკლესიის უღლისაგანაც თავისუფლდებოდნენ და ქართულ სახელმწიფოებრიობასაც იბრუნებდნენ.

ისინი იყვნენ არა ე. წ. „სომეხი ქალკედონიტები", არამედ ეთნიკური ქართველები, სომხურ-ქალკედონური ეკლესიის არასომხური მრევლი, რომელიც ელოდა ხელსაყრელ მომენტს რელიგიურ-ეკლესიური თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს მომენტი კი მათ დავით კურაპალატის დროს დაუდგათ.

თუ რა უთანასწორო იყო ქართველთა ბრძოლა მანასკერტის, ხლათის, ბერკრისა თუ არჭეშის გასათავისუფლებლად იქიდანაც ჩანს, რომ მაგალითად, მანასკერტისა და ხლათის გათავისუფლების შემდეგ მაჰმადიანებმა 100 000-იანი ლაშქარი შეკრიბეს ქართულ ჯართან საომრად, ქართველებმა კი მათ სძლიეს სულ რამდენიმე ათასი ჯარისკაცით (6000 მხედარი გაიგზავნა ფერის ჯოჯიკის ძის სარდლობით).

ვანის ტბასთან მტრის 100 000-იან ჯართან ასეთ გამარჯვებას ქართული ჯარი ვერ შეძლებდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე.

ამ საოცარი გამარჯვების წყარო იყო ადგილობრივი ანუ ქართული მოსახლეობის მხარდაჭერა. ისინი ნაწილობრივ არმენიზებულები იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ მძაფრად გააჩნდათ თავიანთი ქართველობის თვითშემეცნება, ამიტომ ქართულ ჯარში ხედავდნენ განმათავისუფლებელს როგორც სომხური ეკლესიის, ისე მუსლიმანთაგან.

ასოღიკი (სტეფანოზ ტარონელი), მე-10, მე-11 ს. სომეხი ისტორიკოსი, თითქმის თვითმხილველი ამ ამბებისა, წერს კიდეც, თუ როგორი ზიზღით მოიხსენიებდნენ იქაური ქართველებისაგან შემდგარი ჯარის მებრძოლები სომხურ ეკლესიას, სომხური საეკლესიო შენობები ჯარმა ცხენის თავლებად გამოიყენა, ამით გაოცებულ მუსლიმანებს კი უპასუხეს, რომ მათთვის მეჩეთი და სომხური ეკლესია თანაბრად მიუღებელია, ეს ფაქტი დადასტურებულია პირველადი წყაროს, ასოღიკის მიერ. მაშასადამე, ქართული ჯარი ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას განმანთავისუფლებლად მიაჩნდა, მათი მხარდაჭერით შეძლო ქართულმა ჯარმა იბერთა ისტორიული მიწების (სტრაბონის მიერ მოხსენიებული) უკან დაბრუნება. სამწუხაროდ, მალევე ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ თავისი თავდასხმებით იბერიის სამეფოში ჩაკლა ეს სულისკვეთება.

ვალაშკერტში, სადაც ქართული საეპისკოპოსო კათედრა იდგა, მნიშვნელოვანი ოდენობის ქართული მრევლის ცხოვრებაზე შეიძლება ის ფაქტიც მიუთითებდეს, რომ მანასკერტის ბრძოლების დროს დავით კურაპალატის ლაშქარი ვალაშკერტში დაბანაკდა, მკვიდრი მოსახლეობის კეთილგანწყობის გამო, აქ თავს დაცულად გრძნობდა, რადგანაც სომხური მოსახლეობა ქართული ჯარის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო.

სომხურ მოსახლეობაში ნერგავდნენ აზრს, თითქოსდა, ქართული ჯარი მათ სომხურ საეკლესიო სიწმინდეებს ბილწავდა.

სტეფანოს ტარონელმა (ასოღიკი) გაავრცელა ცნობა, რომ ქალაქ ხლათის აღებისათვის გაცხარებული ომის დროს ქალაქგარეთ მდებარე **სომხური ეკლესიები ქართველმა ჯარისკაცებმა „გადააქციეს თავლებად და სადგომებად იბერიელთა ლაშქრისათვის**“ (ასოღიკი, გვ. 193, ნარკვ. II, გვ. 487).

ქართველები ამ ცხარე განმათავისუფლებელი ომის დროს, ჩანს, მაინც და მაინც არ ენდობოდნენ სომხებს, პირიქით, ისინი არ მიაჩნდათ მყარ დასაყრდენად, ეს დასტურდება იქიდან, რომ ქ. ხლათის სომხური ეკლესიების თავლებად გადაქცევის შემდეგ ქართველი ჯარისკაცები ამბობდნენ – **„ჩვენ ერთნაირ მნიშვნელობას ვაძლევთ მუსულმანურ და სომხურ სალოცავებს“** (იქვე, გვ. 193).

ეკლესიების თავლებად გამოყენებით გაოცებული მაჰმადიანები ქალაქის კედლებთან მიმდგარ ქართველებს უყვიროდნენ – **„ასე სცემთ ქრისტიანები პატივს ქრისტიანულ სალოცავებს? ამაზე იბერიელები პასუხობდნენ – „ჩვენ ერთნაირად ვუყურებთ სომხურ ეკლესიას და თქვენს მეჩეთს“** (ასოღიკი, გვ. 193, ნარკვ. II, გვ. 487).

აქედან ჩანს, რომ **ქართული ჯარისა და ქართული განმანთავისუფლებელი მოძრაობის დასაყრდენი ვანის ტბის ქვეყნებში იყო არა სომხური, არამედ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა**.

ასოღიკი წერს, რომ დავით კურაპალატი „სომეხთა მოწყალე“ ხელმწიფე იყო, რადგანაც ის ქრისტიანების ქვეყანას დამპყრობლისაგან ათავისუფლებდა.

თავის მხრივ მაჰმადიანთაგან გათავისუფლებული მხარეების ქართველობა თავისუფლდებოდა არა მხოლოდ მაჰმადიანებისგან, არამედ სომხური ეკლესიის ბატონობისაგანაც.

ვანის ტბის მიმართულებით მცხოვრები ქართველებისათვის დავით კურაპალატი ორმაგი განმათავისუფლებელი იყო.

მკვიდრი ქართველების რიცხვი კი ამ მხარეებში ძალზე დიდი იყო, რაზეც, როგორც ითქვა, ამ მხარეებში ქართული საეპისკოპოსოს არსებობა მიუთითებს, იგულისხმება ჩვენთვის ცნობილი ვალაშკერტის კათედრა. სავარაუდოდ, აქ ჩვენთვის უცნობი სხვა ქართული კათედრებიც უნდა ყოფილიყო.

სომხური და მაჰმადიანური ზეწოლისაგან გათავისუფლების შემდეგ აქაური ქართველები უდიდესი ენერგიით ავსებდნენ დავით კურაპალატის ლაშქარს, ეს აპირობებდა ქართველთა სწრაფ მარშს ვანის ტბის სანაპირო ქვეყნებში.

ასოღიკი წერს, და მას ეთანხმებიან ისტორიკოსები, რომ დავით კურაპალატი ვანის ტბის მიმდებარე გათავისუფლებულ და შემოერთებულ ქალაქებში „**ქართველებსა და სომხებს ასახლებდა**“.

ისმის კითხვა, საიდან უნდა მოეყვანა დავითს ქართული მოსახლეობა ასეთ შორეულ ქვეყანაში? ტაოდან?

ტაო თვითონ იყო მცირე ქვეყანა, უნდა ვიფიქროთ, რომ მაჰმადიანთაგან გათავისუფლებულ ქალაქებში დავით კურაპალატი ასახლებდა ამ ქალაქე-

ბის ირგვლივ მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართულ და სომხურ მოსახლეობას, ქართველები და სომხები კი იქვე ცხოვრობდნენ, გათავისუფლებული ქალაქების მიმდებარე სოფლებში.

იქამდე ეს ქართველები არ ჩანდნენ, რადგანაც ისინი სომხური ეკლესიის მრევლში ირიცხებოდნენ, კურაპალატის ლაშქრობებმა კი მათი იდენტობა წარმოაჩინა, ამით გულმოცემულებმა უკვე დაუფარავად განაცხადეს, რომ ისინი არა სომხები, არამედ ეთნიკური ქართველები იყვნენ, ამით უნდა აიხსნას ქართველთა რიცხოვნობის საოცარი ზრდა ტაოს მიმდებარე ქვეყნებში და არა ე.წ. **„სომეხთა გაქალკედონიტებით", ე.წ. გაქართველებით**.

ვანის ტბისპირა ქართველობის ბედი საქართველოს პოლიტიკურ წრეებს დიდხანს აღელვებდა და მის გადაჭრას ცდილობდნენ ყოველი ხელსაყრელი მომენტის დროს. მაგალითად, საქართველოს გაძლიერებამ XIII საუკუნის დასაწყისში კვლავ გააააქტიურა ეს საკითხი და გადაწყდა ვანისტპისპირეთში სამხედრო ექსპედიციის მოწყობა. **„1204-1210 წლებში ქართველთა სამხედრო ექსპედიციები უმთავრესად მიმართული იყო ვანის ტბის რეგიონისაკენ"** (ა. თვარაძე, V ჯვაროსნული ლაშქრობა..., მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2. გვ. 37).

შემდგომ საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს სამთავრომაც მიაღწია ვალაშკერტამდე, ჩანს, ამავე მიზეზის გამო, თუმცა ამ დროისათვის ვანის ტბისპირეთის ქართველობას ძირითადად მთლიანად ჰქონდა დაკარგული იდენტობა და გასომხებული იყო.

არმენიის იბერიული ზოლის ქართველობის არმენიზაცია კიდევ უფრო დააჩქარა თამარ მეფის ეპოქაში ჭყონდიდელობის ინსტიტუტის დამარცხებამ და ძალოვანი სტრუქტურების სომეხ მხარგრძელთა ხელში გადასვლამ.

მხარგრძელთ მიეცათ კიდეც არმენიის იბერიული ზოლის მთავარი ნაწილები სამართავად. ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არაქსისპირა და ვანის ტბისპირა იბერიელების საბოლოო არმენიზაციისას.

თავი 4

ლაზიკის ეპარქიის იურისდიქციის განვრცობა იბერიის თემში

იბერიის თემი

1021-1023 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი სათავეში ჩაუდგა თავის ჯარს, რომლიც ტრაპეზუნტიდან შევიდა და ბასიანში შეებრძოლა საქართველოს მეფე გიორგი I-ს. ამ ომში დამარცხების გამო საქართველომ დაკარგა „ზემო ქვეყანანი“.

„ამ ტერიტორიებიდან შეიქმნა ორი „თემი“ (ოლქი) ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში: ერთი – თეოდოსიოპოლის თემი, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე ზონას (არზრუმის მხარე), მეორე ოლქი, რომელსაც ბიზანტიელებმა დაარქვეს „იბერიის თემი“, აერთიანებდა თავის ფარგლებში სამხრეთ ტაოს სამფლობელოს, ბასიანის მხარეს და არაწანის ხეობის მიმდგომ რაიონებს“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 526).

თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ იბერიის თემის დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლისი, მაშასადამე, ის იბერიის თემში შედიოდა.

როგორც ითქვა, არაწანის (აღმოსავლეთ ევფრატის) სათავე ვანის ტბასთან ახლოა.

იბერიისა და თეოდოსიოპოლის (ერზრუმის) თემებს შორის მოქცეული იყო ბიზანასა და ოლნუტის საეპისკოპოსოები, აქვე (ბიზანასა და ოლნუტს შუა) იყო ხორძენა, ისტორიული მხარე. ის ტარონის პროვინციის ჩრდილოეთ საზღვართან მდებარეობდა. ხორძენას ჩრდილოეთით კი მანრალია იყო. მანრალია, სომხური VII ს. გეოგრაფიით, სამხრეთ ეგრისის ქვეყნის მხარეს ერქვა.

„იბერიის თემი“ ბიზანტიის შემადგენლობაში 1023-1074 წლებში იყო, 1068 წელს იბერიის თემს შეუერთდა კარის მხარე (ის კარის სომეხმა მეფემ გაგიკმა დაუთმო ბიზანტიას), იბერიის თემს შეუერთდა ანისიც. ანდაკის საეპიკოპოსო კარიდან 60-ოდე კმ-ით იყო დაშორებული.

ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიულ სამხრეთ ეგრისს (შემდგომ ქალდეას თემს), ასევე თეოდოსიოპოლისისა და იბერიის თემებს.

იბერიის თემი „ბიზანტიის ისტორიის“ მიხედვით

1967 წ. მოსკოვში დასტამბულ „ბიზანტიის ისტორიის“ II ტომში ნათქვამია: „იმპერატორმა ბასილი ბულგართმმუსვრელმა მნიშვნელოვნად გააფართოვა იმპერიის საზღვრები ჩრდილო-აღმოსავლეთით მცირე აზიაში – არმენიასა და ივერიაში. 990 წელს მან ილაშქრა კავკასიაში ივერიის მმართველ დავითისა და ბაგრატიდების წინააღმდეგ, რომლებიც დაეხმარნენ ბარდა ფოკას. ბაგრატიდებისა და დავითის გაერთიანებული ჯარი დამარცხდა. და-

ვითმა აღიარა ბიზანტიაზე დამოკიდებულება და მისი ძალაუფლების ქვეშ მდებარე მიწები იმპერატორს უანდერძა. 1001 წელს დავითი გარდაიცვალა. ივერიის ზოგიერთმა დიდებულმა არ ინება დავითის ანდერძის ცნობა და ბასილი სასწრაფოდ კავკასიაში გაემგზავრა. ტაოს ოლქის დიდებულები ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ, **შიდა ივერიის** არხონტმა უარი განაცხადა ეცნო ეს ანდერძი.

მაგრამ იმპერიის პოზიციების განმტკიცება ივერიასა და არმენიაში ბასილმა მხოლოდ თავისი მეფობის დასასრულს შეძლო, 1021-1024 წლების ლაშქრობისას ბასილი II-მ რამდენჯერმე დაამარცხა აფხაზეთის მმართველი გიორგი, შეძლო აღეკვეთა მისი მცდელობა, შეეკრა სამხედრო კავშირი ალხაკიმთან და აჯანყებულ სამხედრო დიდებულებთან, გიორგი იძულებული გახდა, ეცნო იმპერიისადმი დამოკიდებულება, მძევლად მისცა იმპერატორს თავისი ძე ბაგრატი.

ამ ლაშქრობების დროს ვასპურაკანის მმართველმა გადასცა ბასილს თავისი მიწები. 1020 წელს გარდაცვლილი ანისის მეფის გაგიკ I-ის ძემ, სმბატმა ასევე დადო ბასილთან ხელშეკრულება, იმის მსგავსად, რომელიც ბასილთან ადრე დადო დავითმა.

ამ შემატებათა შედეგად იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით წარმოიშვა ახალი თემები: ვასპურაკანი, ივერია და თეოდოსიოპოლისი“ (История Византии, стр. 225).

მანრალია და მარდალია – იბერიის თემის ძირითადი ნაწილები

ნ. მარი ჭან-ლაზებს იბერებს უწოდებდა, მეგრულს კი ივერიულ ენას. სომხური გეოგრაფიით, სამხრეთ ეგრისში შემავალი ოლქები მანრალია და მარდალია (ბასიანის სამხრეთ-დასავლეთით) იბერიის თემის ნაწილებს შეადგენდა.

სომხური გეოგრაფიით, სამხრეთ ეგრისის ანუ „ეგრის“ ქვეყანა მოიცავდა ჭანიკას, ლაზეთს, მანრალიას და ეგრივს. ნ. ადონცი, ისტორიული გეოგრაფიის საყოველთაოდ აღიარებული მცოდნე, მანრალიასა და მარდალიას ოლქების მდებარეობას თეოდოსიოპოლის-არზრუმის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განსაზღვრავდა (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე). როგორც უკვე აღინიშნა, ეს მხარეები (ოლქები) XI ს-ის ბიზანტიური იბერიის თემის ცენტრალურ ნაწილებს წარმოადგენდა, ანუ ეგრი და სამხრეთ იბერია ერთმანეთს ფარავდა. იქვე იყო იბერიის თემის სხვა ნაწილები, ანუ სამხრეთის ამ მხარეებში იბერია და ეგრი (ეგრისი) ერთმანეთს ფარავდა. იბერიისა და ეგრისის იგივეობა ძველ ეპოქაში, ალბათ, არც იყო გასაკვირი, რადგანაც პროტოქართული ენის და შემდეგ მისგან მიღებული ე.წ. ზანურ-ქართული ენის დიფერენციაცია გამყრელიძისა და მაჭავარიანის მიხედვით დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში („წელთაღრიცხვათა მიჯნაზე“, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, „სონანტთა სისტემა“), ანუ ეგრისელთა და იბერთა ენა ერთი და იგივე ყოფილა ჯერ კიდევ ახალი წელთაღ-

რიცხვის დასაწყისში. შესაძლოა, ისინი I ათასწლეულში ერთმანეთის მიმართ ძალზე ახლო მდგომ დიალექტებს წარმოადგენდა, იმდენად ახლოს მყოფ, რომ მათ ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის შემოიღეს ორივე ტომისათვის საერთო ენა, რომელსაც ამჟამად „ძველი ქართული ენა“ ეწოდება.

ენობრივი მთლიანობის გამო ტაოს სამხრეთით იბერიის თემი და ეგრის ოლქი ერთ მთლიანობას შეადგენდა არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ეთნიკურადაც.

ბასიანელნი ანუ მესხნი ქართლის ცხოვრების მიხედვით (IX-XI სს.)

IX-XI საუკუნეების საქართველოს ყოველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში მცხოვრებ ქართველობას სახელი საკუთარი კუთხის მიხედვით ჰქონდა მიღებული. მაგალითად, აფხაზეთის სამეფოს ხალხს ერქვა – აფხაზები, კახეთისას – კახელნი, ტაოს და ქართლის „ქართველთა სამეფოს“ ხალხს – „ქართველნი“, ვის ერქვა მესხნი IX-XI სს-ში?

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საუკუნეთა წყაროებში „მესხი“ გვხვდება მას შემდეგ, რაც ბასიანის პროვინცია შემოვიდა ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. პირველად ეს მოხდა ტაოს მეფის დავით კურაპალატის დროს, რომელმაც „ზემონი ქვეყანანი“, ანუ თეოდოსიოპოლ-ბასიანის მხარეები შემოიერთა. როგორც ცნობილია, „მესხი“ ამ დროს პირველად იქნა მოხსენიებული მატიანე ქართლისაისაში – **„გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს და დადგა მარგის მერეს, უხმობდა მესხთა აზნაურთა“ (ქ.ც., I, გვ. 270).**

სიტყვა „მესხი“ სახელ „ბასიანთან“ უნდა იყოს დაკავშირებული ეტიმოლოგიურადაც. როგორც ცნობილია, „ხი“ ვინაობა-სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსია – კოლხი, კახი და სხვა. ბასიანის ანუ ფასიანის მცხოვრებს „ბასხი“ – მესხი უნდა რქმეოდა (როგორც ეს დაამტკიცა პ. ინგოროყვამ აფხაზეთის მხარეთა განხილვის დროს).

შემდეგ სიტყვა „მესხი“ იხსენიება ბაგრატ IV-სთან კავშირში, როცა ის საბერძნეთიდან დაბრუნდა, მოვიდა ჯერ არზრუმ-ბასიანის ქვეყანაში, რადგანაც ტრაპეზუნტიდან გზა ჯერ იქ ადიოდა. აქ მას დახვდნენ – **„დიდებულნი, ერისთავნი, აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი“ (ქ. ც., I, გვ. 284)**.

აქ „ქართველი“ ნიშნავს ყოფილი „ქართლის სამეფოს“ ხალხს, ტაოელნი ნიშნავს ყოფილი „ტაოს სამეფოს“ ხალხს (ტაოს ბოლო მეფე იყო დავით დიდი კურაპალატი), ხოლო მესხნი კი უნდა ნიშნავდეს ბასიანის ქვეყნის ხალხს, ანუ ამ შემთხვევაში ბასიანელ დიდებულებს.

რატომ უნდა შეხვედროდნენ ბაგრატ IV-ს ბასიანელები, ეს პროვინცია ხომ მის მამას, გიორგი I-ს იმპერიამ ჩამოართვა?

საქმე ისაა, რომ მიუხედავად დამარცხებისა, გიორგი I-ს იმპერატორმა ბასილიმ, შეთანხმების შესაბამისად, დაუტოვა ცალკეული ადგილები და სოფლები „ზემო ქვეყნებში“.

მატიანე წერს – **„ყვეს მშვიდობა და დაიზავნეს და მისცა გიორგი მეფემან... ქვეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსა, ბასიანს, კო-**

ლა-არტანთა და ჯავახეთს. ხოლო რომელიმე ამა ქვეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა“ (ქ. ც., I, გვ. 288).

მაშასადამე, ბაგრატ IV-ის მმართველობის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა ტაოს, ბასიანსა და კოლა-არტაან-ჯავახეთში ზოგიერთი ეკლესია, სოფელი და ადგილი. ამ სოფლებისა და ადგილების, ასევე ეკლესიების რიცხვი, ცხადია, არც თუ მცირე იქნებოდა, რადგანაც ისინი თვით ბასილი იმპერატორმა „დაულოცა გიორგი მეფეს“, ანუ ლოცვა-ფიცით მიართვა. სწორედ ამ ადგილების დიდებულები, ერისთავები და აზნაურები (თავიანთი თანმხლები ლაშქრით) შეხვდნენ ბაგრატ IV-ს ბიზანტიიდან დაბრუნებისას.

ეს ადგილები ყოფილა ტაოში, ბასიანსა და კოლა-არტაან-ჯავახეთში, აქაურებს კი ერქვათ „**ტაოელნი, მესხნი და ქართველნი**“, ანუ **ტაოდან – ტაოელები, ბასიანიდან – მესხები, კოლა-არტაან-ჯავახეთიდან – ქართველები,** ანუ ამ ქართველობას სახელები ერქვათ თავიანთი მხარეების მომცველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების სახელების მიხედვით. იმჟამად, ჩანს, ეს სამხარეო სახელწოდებანი ჯერ კიდევ არ ატარებდა ჩამოყალიბებულ ეთნოგრაფიულ ნიშანს, არამედ აღნიშნავდა მხოლოდ ქვეყნის მცხოვრებლებს, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში ამ სახელებმა კუთხურ-ეთნიკური ნიშანი შეიძინა.

საუკუნეთა პოლიტიკური საზღვრების ცვლილებების შესაბამისად კუთხეთა მცხოვრებლების სახელებიც იცვლებოდა. შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც დაიშალა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, „ქართველნი“ დაერქვათ ქართლის სამეფოს მცხოვრებთ, ხოლო მესხნი – სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებთ, მაგრამ X ს-ის დასაწყისში ასე არ ყოფილა, ჩვენს წყაროებში, როგორც ითქვა, „ქართველი“ იყო კოლა-არტაან-ჯავახელი, ე.ი. ქართველთა სამეფოში მცხოვრები, ხოლო „მესხი“ – ბასიანელნი.

XI-XII სს-ში, რაც გაუქმდა ე.წ. „ქართველთა სამეფო“, „მესხის“ მნიშვნელობა გაიზარდა იმით, რომ „მესხებს“ ახლა უწოდებდნენ სამცხე-ტაო-ბასიანის მცხოვრებთ ბაგრატ IV-ის დროსვე – „გამოიყვანა მაწყვერელმან მესხნი შველად მეფისა... ლიპარიტ შეკრიბნა კახნი“ (ქ. ც., I, გვ. 300).

აქ „მესხი“ სამცხე-ტაოელ-ჯავახელია, კახი კი – კახეთის მცხოვრები.

მესხნი არიან კალმახისა და არტანუჯის, მისი მიმდებარე ქართული ქვეყნების მცხოვრებნი. „სულა ერისთავმან კალმახისაგან, გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისაგან შეაერთეს სიტყვა და შეიწვივნეს მათ თანა სხვანიცა აზნაურნი მესხნი“ (იქვე, გვ. 301).

ერთიან სახელმწიფოში „ქართლი“ მხოლოდ შიდა ქართლს ეწოდებოდა, ამიტომაც სამხრეთ საქართველოს მცხოვრებნი მესხებად იწოდნენ. „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს“ (ქ. ც., I, გვ. 306) – იგულისხმება სულთან ალფარსლანის შემოსევების დრო. გიორგი II „გარდმოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი“ (გვ. 316).

დავით აღმაშენებლის დროს, როცა თურქებმა ტაო-ბასიანი დაიჭირეს, მათ წინააღმდეგ უბრძანა, ანუ „აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დაუხვდნენ პაემანსა“ (ქ.ც., I, გვ. 333). თვითონ კი ქუთაისიდან ლაშქ-

რით განვლო ზღვისპირი, ხუფათის გზით შევიდა კლარჯეთში და შეებრძოლა თურქებს ბასიანში.

მაშასადამე, სახელი მესხი IX-XII სს-ში ჯერ კიდევ არ ატარებდა სატომოეთნიკურ ნიშანს, არამედ ეწოდებოდა სხვადასხვა რეგიონალურ-ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით მცხოვრებთ ზოგადად მესხეთის საზღვრებში.

ანისი – იბერიის თემის ერთ-ერთი დედაქალაქი, ერევანი – „საქართველოს ქალაქი“

„იბერიის თემში“, ანუ იბერიის საკატეპანოში შედიოდა იმიერტაო, ჩრდილოეთ ბასიანი, ოლთისი, თორთომი, კოლა, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი და ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“ – არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული, რომელშიც მრავალრიცხოვნობის გამო დომინანტურ ეთნოსს იბერები ანუ ქართველები შეადგენდნენ. ამ თემს ქართველთა სიჭარბის გამო „ივერიის ფემა“ ანუ თემი უწოდეს ბიზანტიელებმა. ამ სახელის მინიჭების დროს ბიზანტიელები გააფთრებით ებრძოდნენ იბერებს დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის. ეს ბრძოლა ისე იყო გამძაფრებული, რომ თვით იმპერატორები წინამძღვრობდნენ იბერიაში მებრძოლ თავიანთ ჯარებს. მრავალი მარცხითა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობით გამწარებულ ბასილი II კეისარს ისიც კი უკადრებია, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, რომ ძელიცხოვლის წმიდა სასწაულთმოქმედი ჯვრის მიმართ უპატივცემულობა გამოუჩენია, მიწაზე დაუსვენებია და საჯაროდ განუცხადებია – „არღარა თაყვანის გცე უკუნისამდე“, თუკი ამ ომში ქართველები (ივერები) გაიმარჯვებენო“. უფრო მეტიც, ბასილი II-ის საფლავის წარწერაში იმპერიისათვის ყველაზე საძულველ ხალხთა შორის იბერები ყოფილან დასახელებული. იბერთა სახელი იმჟამად არცთუ კარგად ჟღერდა ბიზანტიელ ხელისუფალთა ყურში. ამის მიუხედავად, ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი იმპერიის ერთ-ერთი ნაწილისათვის მაინც „იბერიის თემი“ ეწოდებინათ და საბოლოოდ, დაპყრობილ იბერიას ბიზანტიელებმა „იბერიის თემი“ უწოდეს.

იმჟამად მათთვის მიუღებელ სახელს ბიზანტიელები თავიანთ თემს არ დაარქმევდნენ, თუ არა იძულება იმისა, რომ ეს მიწა-წყლი იბერებისად, ანუ ქართველებისად, იწოდებოდა საყოველთაოდ და ძირითადად იბერებით იყო დასახლებული, რადგანაც ადგილობრივმა მკვიდრმა მოსახლეობამ ამ ურთულეს ეპოქაში მოახერხა თვითიდენტიფიკაცია, დაუფარავად აღიარა თავისი ვინაობა, რომ ის ეთნიკურად იყო არა სომეხი, არამედ ქართველი ანუ იბერი, მართალია, კულტურულად გარკვეულწილად არმენიზებული, მაგრამ არა იმ დონით, რომ თავისი ეთნიკური ვინაობა ვერ გაერკვია. უფრო მეტიც, იბერებთან მებრძოლ ბიზანტიელებს ადგილობრივი მოსახლეობა ებრძოდა ვითარცა ეთნიკური იბერები და არა ვითარცა ე.წ. „სომეხი-ქალკედონიტები“. ბიზანტიელებისათვის ეს ომი იბერ ხალხთან ომი იყო და არა ომი მართლმადიდებლებთან, როგორც ხატავენ არუთინოვა-ფიდანიანი და სხვანი. ამ ომი-

სას ბიზანტიელთა წინაშე მკვიდრი მოსახლეობა, თუკი ეთნიკურ სომხებად წარადგენდა თავს ხოცვა-ჟლეტასა და ოჯახის აოხრებას გადაურჩებოდა. ამ ეპოქის ომების მომსწრე ა. ლასტივერტეცი კარგად აღწერს ამ იბერიაში სოფელ-ქალაქების რბევა-აოხრებას ბიზანტიელთა მიერ.

მოგვიანებით იბერიის თემის შემადგენლობაში შევიდა კლარჯეთის მიწა-წყალი, ხოლო კონსტანტინე X მონომარქოსის დროს (1042-55) – შირაქის სამეფო და ქალაქი ანისი, რომელიც იბერიის თემის დედაქალაქად იქცა 1045 წლისათვის. აქაც რთული ვითარების მიუხედავად ქართველებმა ანუ იბერებმა კარგად გაარკვიეს, რომ ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ. ასეთი ვინაობააღორძინებული ხალხი მოსახლეობის ძირითად ნაწილად იქცა, ამიტომაც მათი ოლქებიც შეუერთეს იბერიის თემს. იბერიის თემს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქართველთა და ვანანდის სამეფოები (ქართველთა სამეფოსთან საზღვარი ბანის წყალზე გადიოდა), დასავლეთით ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული – ქალდიის თემი, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ტარონისა და ვასპურაკანის ოლქები. თემმა არსებობა შეწყვიტა სელჯუკთა შემოსევების შედეგად 1072-1074 წლებში (ქსე, 5, 1980, გვ. 68).

იბერიის თემის დიდი ნაწილი იყო „დავით კურაპალატის მემკვიდრეობა“, ანუ ის მიწა-წყალი, რომელიც დავით III-მ უანდერძა კეისარს. დავით III-ის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა იმიერტაო ჩრდილოეთ ბასიანითურთ. 979 წელს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბიზანტიამ დავითს გადასცა „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავის სიცოცხლესა ჰქონდინ“ (გ. მთაწმიდელი).

XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკი) ცნობით, ეს ქვეყნები იყო: ციხე ხალტოᲲ-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა დასავლეთ ევფრატის ხეობაში, ჩორმაირის თემი მდ. ჭოროხის სათავეებთან, კარინი ანუ თეოდოსიოპოლი თავისი თემით, ციხე სევუკი მარდალიის კანტონში, მდ. არაქსის სათავეებთან, ჰარკისა და აპაუნიკის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში (ქსე, 3, 1978, გვ. 340).

მოსკოვში დასტამბული „ბიზანტიის ისტორიის“ თანახმად, XI ს-ში ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე ბიზანტიამ დააარსა ახალი ადმინისტრაციული ერთეულები – „ვასპურაკანის თემი, იბერიის თემი და თეოდოსიოპოლის თემი“. იქამდე არსებობდა „ქალდეას თემი“. ლაზიკის სამიტროპოლიტოდ წოდებული ბიზანტიური საეკლესიო ერთეული, შესაბამისად, მოიცავდა აღნიშნულ მხარეთა დიდ ნაწილს და ისიც XI ს-ში უნდა გაფართოებულიყო ამ თემებზე საეკლესიო იურისდიქციის განვრცობის შედეგად. როგორც აღინიშნა, ოლნუტის საეპისკოპოსო მარდალიაში, ხორძენა და ბიზანა მანრალიასთან ახლოს, ტარონის მიმართულებით, ანდაკი – ვანანდში (ყარსის ოლქში) მდებარეობდა. ეს ყოფილი არიან-ქართლის მხარეები კიდევ დიდხანს იწოდებოდა ივერიად და საქართველოდ.

მაგალითად, არსებობს საკმაოდ მრავალი სომხური წყარო, რომლებშიც ერევანი საქართველოს ქალაქად იწოდება. XIV ს-ის სომეხი პოეტი და ხელნა-

წერთა გადამწერი ტერტერ ერევანცი, იმჟამად ყირიმში მცხოვრები, თავის მშობლიურ ქალაქ **ერევანს უწოდებს „საქართველოს ქალაქს**“, ის წერს: **„მე, ტერტერი, უღირსი მწერალი... მოვედი საქართველოდან, ხორ-ვირაპისა და ეჩმიაძინის მეზობელი შესანიშნავი ქალაქიდან – ერევანიდან“** (სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, 1978, გვ. 23).

აქედან კარგად ჩანს, რომ ერევანი საქართველოს ქალაქად მიიჩნეოდა თვით ერევნელი სომხების მიერ. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ერევნის მხარე, არამედ ვრცელი მიწა-წყალი არაქსის რეგიონში.

მხოლოდ ერევნელები მიიჩნევდნენ თავიანთ ქალაქს საქართველოში მდებარედ, თუ ამავე სამხრეთის რეგიონის სხვა ქალაქთა მცხოვრებნიც?

ამ კითხვას თითქოს პასუხობს ქალაქ **ბაიბურდში მცხოვრები XIV ს-ის სომეხი მწერალი, ის არზუმიდან ანისისაკენ მიმართულ ტერიტორიას „ქართველთა ქვეყანას“ უწოდებს.**

ქართველთა ამ ქვეყანას მისი სიტყვით ასევე ერქვა „აღმოსავლეთი“.

ის წერს **– „თეოდოსიოპოლი დაცარიელდა. ასევე გაუდაბურდა აღმოსავლეთი, ე.ი. ქართველთა ქვეყანა, სადაც ბევრი ამოწყდა“** (იქვე, გვ. 24). ის ასახავს იმ რეალობას, როცა ეს მხარეები ივერიად იწოდებოდა.

იქამდე, XI ს-ში ამ რეგიონს (თეოდოსიოპოლ-არზრუმისა და ანისის ჩათვლით) XI საუკუნისათვის „იბერიის თემი“ ერქვა, შემდგომ კი, XII-XIV საუკუნეებში, ერევანი და სხვა ახლო ქალაქები საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ავანი (ამჟამად ერევნის ერთ-ერთი უბანი) XI-XV საუკუნეებში, როგორც ბიზანტიის იმპერიის დროს, ისე შემდეგაც შედიოდა იბერიის თემის ანდა საქართველოს შემადგენლობაში.

ერევნის მეზობლად მდებარე ოლქი სიუნქი (სისკანი) საქართველოში შედიოდა, რაც იმჟამინდელი სომხური წყაროდან ჩანს.

სომხურ XIV საუკუნის ხელნაწერის მინაწერშია – **„დაიწერა სისკანში, სომეხთა და ქართველთა დიდი მხედართმთავრის ბურთელის მბრძანებლობისას**“ (იქვე, გვ. 23).

სანაინის მონასტერი, XIV ს-ის სომეხი მწერლის ცნობით, საქართველოში მდებარეობდა. ის წერს: **„გვქონდა შესაძლებლობა აქ, სანაინად ხმობილი სალხინებლის კარზე დამკვიდრებისა გიორგის მეფობაში, მის დროს დიდი მშიდობიანობა იყო საქართველოში**“ (იქვე, გვ. 26). ე.ი. სანაინი საქართველოში მდებარეობდა.

ასეთივე ვითარება იყო შემდეგ საუკუნეშიც.

ავანი დიდხანს იყო საქართველოს შემადგენლობაში და საქართველოს ქალაქად მიიჩნეოდა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მისი რეგიონი ქართველებით იყო დასახლებული, რომელნიც საბოლოოდ სომხური ეკლესიის მრევლად იქცნენ. ავანის ეკლესიის არქიტექტურა, ისევე როგორც ქალკედონური რიფსიმეს მონასტრისა, ქართული სტილითაა აშენებული, მკვიდრი ქართული მოსახლეობის გემოვნებისა და ეროვნული მიდრეკილებების შესაბამისად.

გოგარენა – „ჰერეთი“

სომეხთა კათალიკოსი იოანე X ს-ში გოგარენას უწოდებდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს, მის მოსახლეობას კი ივერებს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 463).

ეს რამდენადმე ეთანადება სტრაბონის ცნობას, რომ გოგარენა მდებარეობდა მტკვრის „იმიერ“, ე.ი. მარცხენა სანაპიროზე (სტრაბონი, XI, XIV, 5).

სტრაბონი გარკვევით წერს, რომ „გოგარენა მტკვრის იქით“ მდებარეობდა და ის „არმენიელებმა წაართვეს იბერებს“, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გოგარენას გარდა, სტრაბონისავე ცნობით, ასევე მდებარეობდა „შუა იბერია“, ანუ „შუა ქართლი“ (შიდა ქართლი). მაშასადამე, მტკვრის იქით მდებარეობდა თავისუფალი იბერიის ერთ-ერთი ნაწილი, ე.წ. „შუა იბერია“ და მისი მეზობელი აღმოსავლეთით, დაპყრობილი იბერიის გოგარენა, ისინი სტრაბონის დროს სხვადასხვა ოლქები იყო.

გოგარენა „შუა იბერიის“ მეზობლად მდებარეობდა მტკვრის იქით. რეალურად ასეთი ტერიტორია იყო კახეთის გვერდით მდებარე ე.წ. ჰერეთი. ანუ შემდგომი შაქი, რომლის იქითაც ალბანეთი იყო.

„საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის, სტრაბონის ცნობათა მიხედვით, იწყებოდა ტაოს სამხრეთით, ნაწილობრივ გასდევდა არაქსს (ბასიანის ზონაში), შემდეგ მიჰყვებოდა „მოსხის მთებს“ (ე.ი. წყალგამყოფ მთებს, რომელიც გაჰყოფს მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მტკვარს (გოგარენის სექტორში)“ – წერს პ. ინგოროყვა (დასახ. ნაშრ. გვ. 467).

მისი სიტყვით, ამ საკითხში სტრაბონს ეთანხმებიან პლინიუს სეკუნდე (23-79), რომლის მიხედვითაც, იბერიაში შედიოდა ტაშირი და თრიალეთი პარიადრეს (ანუ ბამბაკის) მთებამდე, პლუტარქე (46-126), რომლის მიხედვით, მტკვრის სათავე იბერიის მთებში იყო, კლავდი პტოლემე, რომლის მიხედვითაც იბერიის საზღვრებში შედიოდა არტაანი (არტანისა) და ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის მიხედვით IV ს-ში მეფე მირიანის დროს საეკლესიო მშენებლობა დაიწყო არტაანის მხარეში – ერუშეთში.

მ. ხორენაცი ქართლის პიტიახშს არშუშას უწოდებს „გოგარენის პიტიახშს“. **სომხური გეოგრაფიის ცნობით, გოგარენი შეიცავდა ტაშირს, გარდაბანს (ძორს, კოლბს, წოფს და კანგრს), თრიალეთს, ჯავახეთს, არტაანსა და კლარჯეთს**“ (იქვე, გვ. 405-465). აქედან ჩანს, რომ გოგარენა – ზოგადი სახელი იყო ქართული ტერიტორიებისა როგორც მტკვრის ერთ, ისე მეორე მხარეს. სტრაბონის დროს ის მტკვრის იქითა მხარეს ერქვა, იოანე კათალიკოსის დროს კი – ორივე მხარეს.

ზოგადად ჩანს, რომ გოგარენა არის ქართლი, იბერია, ზოგჯერ მტკვრის ორივე სანაპირო. მართლაც, სიტყვა „გოგარენაში“ ფუძისეული თანხმოვნები „**გგრ**“ ეთნიკური ქართველის გამომხატველი სიტყვების საერთო ფუძეა არა მარტო ქართულში, არამედ უცხოურშიც. მაგალითად, გეორგიენ (**გრგ**), გურჯ (**გრჯ**), ჯურზან, გურზან (**გრზ**), საიდანაც მიღებულია ქართველთა აღმნიშვნელი ყველა დასახელება სხვადასხვა ენებში – გეორგია (გრგ), გრუზია (გრზ) და სხვა. ამავე სიტყვათა რიგშია გუგარი (ggr), ქართული თვით-

დასახელებები გურია, ეგრისი, არგვეთი (გრ, რგ). საერთოდ, ჩანს, ფუძით გრ (რგ) და ასევე გგრ(გრგ) გამოიხატებოდა სახელები ეთნიკური ქართველებისა და მათი ქვეყნების; ერთი ასეთი ყოფილა გუგარქი. კლარჯეთი, ძორი თუ კოლში და სხვა რეგიონები გუგარქში შედიოდა. შემდგომში გუგარქი სომხურ სამყაროში მხოლოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მომცველ ქვეყანას ერქვა, მისგან განსხვავებით კი სტრაბონის გოგარენა მტკვრის „იქით“, ანუ მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა.

მაშასადამე, სხვადასხვა ქვეყნები იყო გოგარენა და გუგარქი. ეტიმოლოგიურად კი ორივე ქართველთა ქვეყანას აღნიშნავდა.

„იბერიის თემის“ ოლქები და გზები

არაბთა შემოსევების შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ მიატოვა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სახალიფოს მოუძლურებისას IX-X სს-ში კვლავ განაცხადა პრეტენზიები თავისი ყოფილი ტერიტორიების მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ბიზანტიას არ ყოფნიდა ძალები მუსლიმების წინააღმდეგ საბრძოლველად, ასეთ დროს, ჯერ კიდევ მტრის ხელქვეშ მყოფ ტერიტორიებს, დროებითი სარგებლობის სახით აძლევდა ქართულ სამთავროებს.

ბიზანტიამ, მაგალითად, სამხრეთ ტაოს მეფეს დავით კურაპალატს ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას დახმარების სანაცვლოდ გადასცა ვრცელი მიწა-წყალი, რომელიც განფენილი იყო ოლთისიდან თითქმის ვანის ტბამდე, მეტი წილი ამ მიწა-წყლისა მუსლიმთა ხელში იყო.

ამ მიწა-წყლით დაინტერესებული იყო ქართველობა, რადგანაც მიაჩნდათ, რომ იქ მათი თანამეტომენი (ეთნიკური, თუმცა არმენიზებული ქართველები) კომპაქტურად ცხოვრობდნენ.

საუბარია ტერიტორიებზე, სადაც ქსენოფონტემ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე V საუკუნეში აღწერა მრავალი ქართული ტომი, მათ შორის ტაოხებისა, ფასიანებისა, ხალიბებისა და კარდუხებისა.

ტაოხებისა და ფასიანების საცხოვრის ადგილზე, როგორც ფიქრობენ, ჩამოყალიბებულა პროვინციები ტაო და ბასიანი. სომეხი ავტორის ლასტივერტეცის ცნობით, ბასიანი X ს-სათვის ქართველებით იყო დასახლებული. ტაო, ბასიანი და თორთომი ძირითადი ტერიტორიები იყო სამხრეთ ტაოს ქართული სახელმწიფოსი, რომელსაც X ს-ის 60-იანი წლებიდან დავით მესამე კურაპალატი მართავდა. ამ სახელმწიფოს უცხოელები, მათ შორის ბერძენი და სომეხი ავტორები, უწოდებდნენ „იბერიას (ივერიას)“, ქართველები კი „ტაოს სამეფოს“. მისი დედაქალაქი იყო ოლთისი.

ზოგადად, ტაოს ვრცელი ქვეყანა ორ ნაწილად, ორ სამეფოდ იყო გაყოფილი.

სამხრეთ ტაოს სახელწიფოს ჩრდილოეთით არსებობდა ტაოს მეორე ქართული სახელმწიფო. ქართველი მწერლები, როგორც ჩანს, მას უწოდებდნენ

„ქართველთა სამეფოს“, მისი დედაქალაქი იყო ბანა. ამ სამეფოში შედიოდა ჩრდილოეთ ტაო და მიმდებარე ტერიტორიები. X საუკუნის 50-იან წლებიდან მას მართავდნენ ბაგრატ მეორე „რეგვენი“ და შემდეგ გურგენი – მასაც „იბერიის მეფე“ერქვა.

იბერიის ანუ ტაოს ეს ორი სამეფო, ორი ივერია, ორი „ქართველთა სამეფო“ იმიერტაო და ამიერტაო ერთმანეთისაგან იყოფოდა მდინარე ბანასწყლით.

სხვა სამთავრო იყო კლარჯეთი, რომელსაც ადარნასე აშოტის ძის შთამომავლები მართავდნენ.

ზოგადად, ამ ქართული პოლიტიკური ერთეულების საზღვრები ბიზანტიასთან მტკიცედ იყო დადგენილი, მაგ., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ბიზანტიის საზღვარი იბერიასთან გადიოდა მდინარე ფაზისზე ანუ არაქსზე. მეორე სასაზღვრო ხაზი იდო შავი ზღვისპირზე პუნქტ ხუფათთან (ხოფა).

საზღვარზე იდო ხუფათი, პარხალი, თორთომი, ბასიანი, ტაო და არაქსის მიწები.

ქართული მიწები არაქსის სამხრეთითაც იდო, ჯერ კიდევ სკლიაროსის აჯანყებამდე გაცილებით ადრე, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს. **„აბნიკის ციხე ფასიანის ანუ არაქსის სამხრეთით იყო და, ამრიგად, აშოტ IV კურაპალატი არაქსის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს მოითხოვდა“** (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 18). ეს ხდებოდა X ს-ის დასაწყისში, რადგანაც აშოტ IV 954 წ. გარდაიცვალა.

საერთოდ, ქართველები მუდამ მიისწრაფვოდნენ მდ. არაქსის და ევფრატის სათავეების მომცველ ტერიტორიებისაკენ, ქ. თეოდოსიოპოლის (არზრუმის) მიმდებარე მხარეებისაკენ, რადგანაც ისინი მათი ისტორიული სამშობლოს ნაწილებად მიაჩნდათ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი გაოცებული წერს კიდევაც, რომ **ქართველებს არ უნდოდათ ბიზანტიის „ხელში გადასულიყო თეოდოსიუპოლი ამ ქალაქის „სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ თეოდოსიპოლის ციხე არ განადგურებულიყო**“ (გეორგიკა, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 266).

არაბთა მოუძლურების შემდეგ, როგორც მრავალგზის აღინიშნა, ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ უძველესი ქალაქი თეოდოსიოპოლი (კარნუ-ქალაქი) თავისი მიმდებარე ქვეყნით, მაგრამ ახლა უკვე ქალაქის მკვიდრები უწევდნენ სასტიკ წინააღმდეგობას მტრებს. ბიზანტიელები თითქმის ნახევარი საუკუნე იბრძოდნენ ქალაქის ხელში ჩასაგდებად, მათ შორის უსასტიკესი ხერხებითაც, მაგალითად, ალყა შემოარტყეს ქალაქს და გადაწყვიტეს შიმშილით ამოეხოცათ მოქალაქეები, მიზანს ვერ მიაღწიეს, მათ აღმოაჩინეს, რომ ქართველები თავიანთი ქაჯის (კეჯეს) ციხიდან ფარულად სურსათით ამარაგებდნენ ქალაქს. ბიზანტიელებმა ხანგრძლივი მოლაპარაკებით სცადეს ქართველთა ინტერესების განელება. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ქართველებს „უყვარდათ ქალაქი“, მისი მოქალაქეები და საერთოდ კარინის ანუ კარნუ-ქალაქის მხარის მოსახლეობა.

ეს საინტერესო მომენტია იმით, რომ სწორედ ამ მხარეებში ივარაუდება ისტორიული არიან-ქართლის არსებობა. ეს მხარეები, ჩანს, IX-X საუკუნეებში ჯერ კიდევ ქართველებით იყო დასახლებული, სწორედ ამის გამო „უყვარდათ“ ქართველთა ლაშქარსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს და თეოდოსიოპოლის მოქალაქეები ენანებოდათ მტრის მიერ დასახოცად. სხვაგვარი „სიყვარული“ ძალზე უცნაურად გამოჩნდებოდა, იმდენად ბუნებრივი იყო შუა საუკუნეებში ხალხის ხოცვა-ჟლეტა და მიწათა დაპყრობანი, მათ შორის დაპყრობაც ბიზანტიელთა მიერ.

სხვადასხვა ავტორის მიერ არიან-ქართლის ქვეყნად მოიაზრება ტაო, ბასიანი და მათ სამხრეთით მდებარე ქვეყანა, კერძოდ, აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიების ერთი ნაწილი.

როგორც ითქვა, ეს ის ქვეყნებია, სადაც ქსენოფონტემ ქართული ტომები ნახა არაქსის ხეობის გაყოლებით, ევფრატის სათავეების ჩათვლით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე.

ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ამ ქვეყნების მიმართ გააჩნდათ ინტერესი და სწორედ ისინი გადასცა ბიზანტიამ დავით III კურაპალატს.

კერძოდ ეს ქვეყნები ყოფილა**:**

1. დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე კლისურა და მისი ციხე ხალტოᲂ-არიჭი; 2. არაქსის სათავეებთან მარდალიის კანტონის ციხე სევუკი; 3. ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში ჰარკისა და აპაჰუნის პროვინციები; 4. სამხრეთ ბასიანი; 5. თეოდოსიოპოლი (არზრუმი) თავისი თემით, ანუ კარინი; 6. ჭოროხის სათავეებთან ჩორმაირის თემი (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 38).

როგორც აქედან ჩანს, დავით III კურაპალატს გადაეცა ვრცელი ტერიტორიები ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე ვანის ტბამდე. ეს იყო ისტორიული მიწა-წყალი ქართული ტომებისა, სავარაუდოდ, ისტორიული არიან-ქართლი.

ამ ქვეყნებს XI ს-ის ქართული წყარო უწოდებს „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი“.

ვ. კოპალიანის თვალსაზრისით ის დავით კურაპალატს გადაეცა არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა წლებში, კერძოდ, პირველად 965 წელს ერთი ნაწილი გადასცა „ბერძენთა მეფემ“, მეორედ კი გადასცეს „ბერძენთა მეფეებმა“ 979 წ.

ეს მეფეები ყოფილან ჯერ კიდევ ბავშვები – ბასილი და კონსტანტინე.

გადაცემა, როგორც ითქვა, გულისხმობდა იმასაც, რომ ამ მიწა-წყლის ერთი ნაწილის მუსლიმანთაგან განთავისუფლების შემდგომ ქართველებს უფლება ჰქონდათ ემართათ ის დროებით, დავით კურაპალატის სიცოცხლის პერიოდში, შემდეგ კი უკან უნდა დაბრუნებოდა ბიზანტიას.

მართლაც, ხანგრძლივი ომების შემდგომ ბიზანტიამ უკან დაიბრუნა აღნიშნული მიწა-წყალი. მის ქართულობას სხვადასხვა წყაროთა გარდა მიუთითებს ისიც, რომ ქართველებით ძალზე განაწყენებულმა ბიზანტიამ ამ მხარეებს მაინც **„იბერიის თემი“** უწოდა.

ამ დროისათვის ბიზანტიაში იყო მრავალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეული, მათ შორის XI ს-ის 20-30 წწ. ჩამოყალიბდა ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული **იბერიის თემი**.

აღნიშნული ტერიტორიების გარდა მასში შევიდა ასევე **სამხრეთ ტაო, ჩრდილოეთ ბასიანი და თორთომი**, ანუ ის ტერიტორიები, რომლებსაც იქამდე იბერიის ანუ სამხრეთ ტაოს მეფე დავით კურაპალატი ფლობდა.

„იბერიის თემს" იმდროინდელი ავტორები უბრალოდ **იბერიას** უწოდებდნენ, მასში მოიაზრებოდა, როგორც ითქვა, ტერიტორიები მდებარენი ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე.

იქამდე თავისუფლების შენარჩუნების მიზნით იბერიის თემის მოსახლეობა მედგრად ებრძოდა ბასილი II ბულგართმმუსვრელს და შემდეგ იმპერატორებს – კონსტანტინესა და რომანოზს.

ათეულობით წლის მანძილზე მკვიდრი ქართველობის წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, რომ ლასტივერტეცის ცნობით ბიზანტიელები დაუნდობლად ხოცავდნენ იბერიელ ქალებსა და ბავშვებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ანადგურებდნენ მთელ სოფლებსა და ქალაქებს ისე, რომ დიდი ნაწილი აღგავეს პირისაგან მიწისა. სამხრეთ ტაოს დაპყრობის შემდეგ ახლად მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე ბიზანტიის ხელისუფლებამ, როგორც ითქვა, დააარსა **იბერიის თემი, ანუ იბერიის საკატეპანო,** და იქ მმართველად დანიშნა თავისი მოხელე წოდებით – კატეპანი.

იბერიის თემის მმართველი („კატეპანი") სამხედრო პატივით იყო აღჭურვილი. მას ზოგჯერ **იბერიის მთავარსაც** უწოდებდნენ. მისი სამმართველო ქვეყანა, როგორც ითქვა, ვრცლად იყო გადაჭიმული ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე. **მისი დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლი ან ოლთისი**.

დასავლეთით იბერიის თემს ესაზღვრებოდა ასევე ქართველებით დასახლებული ხალდიის თემი (ანუ ტრაპეზუნტის ოლქი).

ბიზანტიის ეს ოლქები სასაზღვროდ ითვლებოდა და იქ ბიზანტიური ჯარი იყო განლაგებული, კერძოდ, მათ ამ თემებში ვარიაგების ჯარი ჰყოლიათ (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 239).

არაბობის ეპოქაში იბერიის თემი მოიცავდა ასევე ყოფილი სომხეთის სამეფოში შემავალ ე.წ. „ივერთა სამთავროს" (VII ს-ში, როგორც ითქვა, ივერთა მთავარი ყოფილა ვაშდენი). აღსანიშნავია, რომ დაპყრობის შემდეგ ბიზანტიელებმა ანისიც იბერიის თემს შეუერთეს, ჩანს, იმის გამო, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით საზღვარი ბიზანტიასა და იბერებს შორის X ს-ში მდ. არაქზე იდო, ბიზანტიური დაპყრობების შემდეგ მათ არაქსის დასავლეთიც, ე.ი იბერების მხარეც მოიცვეს. ამ მხარეს მდებარეობდა ანისი.

1047-49 წლებში იბერიის თემის მმართველი ყოფილა კატაკალონ კეკავმენოსი (იქვე, გვ. 245).

1054 წელს თურქ-სელჯუკები მესამედ შეესივნენ იბერიის თემს. გარკვეული მოსაზრებით ბიზანტია ხელს უწყობდა თურქ-სელჯუკების მიერ იბერიის თემის დასუსტებას.

გიორგი კედრენეს გადმოცემით, ბიზანტია იბერიის თემს იმითაც ასუსტებდა, რომ იქ დიდძალ გადასახადს აკრეფინებდა **„უღვთო გადასახადის ამკრებლებს, მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროები-**

დან“ (იქვე, გვ. 262). ასე ვთქვათ, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარე (იბერიის თემი) თვით ბიზანტიელების წინასწარგანზრახული თუ უგუნური პოლიტიკის წყალობით თურქ-სელჯუკების ხელში მოექცა.

აღმოსავლეთის პროვინციების და კერძოდ, იბერიის თემის შესახებ გიორგი კედრენე წერდა: „**განუწყვეტელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო ყველაფერი ნადგურდებოდა, ამიტომ იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდაო**“ (გეორგიკა V, გვ. 82).

ვ. კოპალიანი აღნიშნავს, რომ იმდენად გაწამებულები იყვნენ იბერიელები ბიზანტიელების მიერ, რომ წყაროს ცნობით ისინი თავიანთ მტრებად თვლიდნენ რომაელებსო, ანუ ბიზანტიელებსაო (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 263).

იმპერატორ კონსტანტინე დუკას (1059-1067) დროს ბიზანტიის აღმოსავლეთში „**ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმების და ძალადობის გამო, იბერიის მდიდარი ქვეყანაც განადგურდა**“ (იქვე, გვ. 275). ე.ი. მას ბიზანტიელებიცა და თურქებიც ანადგურებდნენ.

მაშასადამე, იბერიის თემი მდიდარი ქვეყანა ყოფილა, დადგენილია მისი სიმდიდრის წყაროებიც, უპირველესი იყო მასზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელიც, ბასილი II-ის სიტყვით, ბიზანტიას სპარსეთთან აკავშირებდა.

იბერიის თემის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო ის, რომ იბერიელები (ვითარცა მხნე მხედრები) დაქირავებული ჯარისკაცების სახით მსახურობდნენ ბიზანტიურ არმიაში და მათ ქირა ეძლეოდათ. მათი რიცხვი დიდი იყო. მაგალითად, კედრენეს ცნობით, იმპერატორ კონსტანტინე მონომახის დროს 1053 წელს ბიზანტიის „**იბერიული ჯარი**“ 50000 (ორმოცდაათი ათასი) კაცისაგან შედგებოდა, როგორც ითქვა, ისინი იყვნენ იბერიის თემიდან ანუ ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე ვანის ტბამდე გადაშლილი ქვეყნის მოსახლეობიდან გამოსულნი. მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რადგანაც აღნიშნული მხოლოდ ის რიცხვია ჯარისკაცებისა, რომელნიც იმპერატორმა სამსახურიდან დაითხოვა აღნიშნულ წელს (იქვე, გვ. 262). იბერიის თემიდან გამოსულ ლაშქარს ბიზანტია ზოგჯერ საქართველოს წინააღმდეგაც იყენებდა (იქვე).

ქსენოფონტეს ცნობითაც ფასიანიდან და მიმდგომი ქართული ქვეყნებიდან დაქირავებულ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე V ს-ში იყენებდნენ სპარსულ არმიაში, ამიტომაც არაა საკვირველი, რომ ბასიანიდან და მიმდგომი ქვეყნებიდან (ე.ი. იბერიის თემიდან) დაქირავებულ ჯარისკაცებს IX-X საუკუნეებშიც იყენებდნენ უცხო ქვეყნები.

მაგალითად, იმპერატორ ნიკიფორე ფოკას 964 წელს იბერიულ ჯართან ერთად კილიკიაში ულაშქრია – „**თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში, რომელიც კი ამ პერიოდში ბიზანტიას აღმოსავლეთის ფრონტზე (მესოპოტამიაში, სელევკიაში და სხვ.) უწარმოებია ქართველთა ლაშქარი იღებდა მონაწილეობას**“ (იქვე, გვ. 23).

ქართველები არა მხოლოდ იმპერატორის, არამედ იმპერატორობის მოწინააღმდეგე აჯანყებული ბიზანტიელი მხედართმთავრების ჯარშიც მნიშ-

ვნელოვან ძალას შეადგენდნენ. მაგალითად, კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ბარდა ფოკას აჯანყებისას, **„ქართველთა ქვეითი ჯარი შეადგენდა საუკეთესო ლაშქარს“** (იქვე, გვ. 76).

მკვლევარი ვასილევსკი აღნიშნავს, რომ ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ **„ბიზანტიის არმიაში ქართველების ადგილი რუსებმა დაიკავეს“** (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 77).

საერთოდ, ბარდა ფოკასადმი მხარდაჭერა გახდა მთავარი მიზეზი სამხრეთ ტაოს სახელმწიფოს განადგურებისა და მის ადგილზე იბერიის თემის დაარსებისა.

დავით კურაპალატის სამეფო ბიზანტიამ შეიერთა, თუმცა ამის შემდეგაც გაჰყავდათ იბერიის თემიდან ჯარისკაცები ბიზანტიურ არმიაში, როგორც ითქვა, კონსტანტინე მონომახს მარტო 1053 წელს 50000 იბერიელი ჯარისკაცი დაუთხოვია სამხედრო სამსახურიდან.

მოქირავნე ჯარისკაცების ქირა იბერიის თემის სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო იყო, უმთავრესი კი იყო ის შემოსავალი, რომელსაც იღებდა მასზე გამავალი საერთაშორისო გზით მოსარგებლე ვაჭრებისაგან.

იქამდეც, იბერიის თემის დაარსებამდე, მაშინ, როცა აღნიშნული ტერიტორიები სამხრეთ ტაოს ანუ დავით კურაპალატის სამეფოში შედიოდა, იქ გაჩაღებული იყო ძალზე მნიშვნელოვანი აღებ-მიცემობა უმეტესად ამ გზის წყალობით.

სამხრეთ ტაოს სამეფო იქამდეც მდიდარი ქვეყანა იყო, მაგრამ X ს-ის ბოლოდან ახალი ოლქების შემოერთებამ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუმჯობესა.

ამ მიწა-წყალზე (ჭოროხიდან და ტრაბზონიდან ვანის ტბამდე) გადიოდა **„სახალიფოდან წამოსული უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიასა და პონტოში მიემართებოდა. ამ გზაზე მრავალი სავაჭრო ცენტრი იყო და მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი – არცნი და კარნუ ქალაქი, იგივე თეოდოსიოპოლი, დღევანდელი არზრუმი. არცნი თეოდოსიოპოლის ახლოს მდ. ევფრატის უკიდურეს სათავეში მდებარეობდა, სადაც არისტაკე ლასტივერტეცის ცნობით, უდიდესი სიმდიდრე მოდიოდა „ზღვითა და ხმელეთით“** (იქვე, გვ. 43).

არცნი (არწე) უდიდესი და ძლიერი სავაჭრო ცენტრი იყო. ის იდგა მთავარ სავაჭრო გზაზე, რომელიც კონსტანტინოპოლიდან (და ტრაპეზუნტიდან) – ყარსის, ანისისა და დვინის გავლით ირანში მიემართებოდა, მის შესახებ კედრენეც წერდა: არცნში ვაჭრობდნენ ირანიდან, ინდოეთიდან და სხვადასხვა მხრიდან შემოსული აზიური საქონლით.

არანაკლები სავაჭრო ქალაქი იყო არზრუმი.

სახალიფოდან და სპარსეთიდან კონსტანტინოპოლისკენ მიმავალი გზა ჯერ გაივლიდა დვინს, ანისსა და ყარსს. ამის შემდეგ ყარსის რაიონში გზა ორად იყოფოდა. ერთი, **ჩრდილოეთის შტო შედიოდა არტანუჯში**, რომელიც უდიდესი სავაჭრო კვანძი იყო, ხოლო მეორე, გზის **სამხრეთი შტო – არზრუმში**, შემდეგ ორივე ეს შტო ისევ ერთიანდებოდა. მათი შეერთების პუნქტი იყო **ტრაპიზონი**.

„ეს ანიჭებდა ტრაპიზონს უდიდეს მნიშვნელობას. აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის ყველაზე უდიდესი ქალაქი ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ტრაპიზონი. მას მხოლოდ კონსტანტინოპოლი აღემატებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 44).

არზრუმისაკენ მიმავალი გზის გასაღები იყო ყარსი, ხოლო თავის მხრივ არზრუმი იყო კონსტანტინოპოლის გასაღები, რადგანაც წარმოადგენდა ანატოლიის სტრატეგიული და სავაჭრო გზების ცენტრალურ პუნქტს (იქვე).

თითქმის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდა არტანუჯს, სადაც ასევე ყარსიდან შედიოდა გზა არტაანის გავლით.

ყარსში კი, როგორც ითქვა, გზები შედიოდა დვინიდან, ანისიდან, არტანუჯიდან და არზრუმიდან.

ამ ქალაქთა შორის კონსტანტინოპოლის სტრატეგიულ გზაზე არზრუმი იდგა, რომელსაც X ს-ში დავით კურაპალატი აკონტროლებდა.

იბერიის სამეფოს შემადგენლობაში გადმოსულ ოლქებს ბიზანტიის იმპერიისათვის უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

„პოლიტიკურმა გაჭირვებამ აიძულა ბიზანტიის მთავრობა დროებით დავით კურაპალატის მფლობელობაში ეცნო ეს ოლქები, მაგრამ მოძლიერების შემდეგ გააფთრებით დაიწყო ბრძოლა ამ მიწის ისევ მისატაცებლად“ (იქვე, გვ. 45).

მაშასადამე, **საერთაშორისო გზები ასეთი იყო:**

1) დვინი-ანისი-ყარსი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი-შავი ზღვა;

2) დვინი-ანისი-ყარსი-არზრუმი-ტრაპეზუნტი.

ამ გზებით ზღვისპირა პორტები უერთებოდა დვინს, იქიდან კი – სპარსეთსა და სახალიფოს.

პირველ ანუ დვინი-არტანუჯ-შავი ზღვის საერთაშორისო გზის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს კლარჯი ხელმწიფეები აკონტროლებდნენ, ხოლო მეორე – დვინი-ტრაპეზუნტის საერთაშორისო გზისას – ტაოს მეფეები, რადგანაც მათ ხელში იყო არზრუმის შესასვლელები.

ამ გზათა ბაჟით მათ დიდი სიმდიდრე დააგროვეს, შეძლეს გრანდიოზული მშენებლობების წამოწყება და დასრულება, მათ შორის ბანასა და ოშკის სახელოვანი ტაძრებისა.

ბიზანტიაში ამ გზის გაკონტროლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას „გზა სპარსეთისა“ ერქვა, რადგანაც აერთებდა ტრაპეზუნტს სპარსეთთან.

ეს გზა, ვითარცა სტრატეგიული ობიექტი, ყველაზე მეტად აინტერესებდა ბიზანტიას და ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. რადგანაც ამ გზას ბასილი კეისრამდე ქართველები აკონტროლებდნენ, ამიტომ არისტაკეს ლასტივერტეცის სიტყვით სთხოვდა კიდეც იმპერატორი ბასილი II მეფე გიორგი I-ს – „**სპარსეთის გზაზე ნუ მეღობები**“, ანუ ითხოვდა მისგან სწორედ ამ სტრატეგიული გზის გადაცემას, რაც ცხადია, მიმდებარე ქვეყნების გადაცემასაც ითვალისწინებდა.

გაძლიერების შემდეგ ბასილი კეისარს სურდა ამ გზის მთლიანად გაკონტროლება, ამიტომაც, როდესაც ბასიანის ქვეყანაში თავისი ჯარებით შევიდა, საქართველოს მეფეს გიორგი პირველს, როგორც აღინიშნა, ელჩად გაუგზავნა ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია და **„ტკბილი სიტყვებით მიწერა... ნუ გადამეღობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდისო“** (ა. ლასტივერტეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 51).

ეს გზები მოქმედი იყო XIX საუკუნემდე. გერმანელი მოგზაურის, მეცნიერის გუსტავ რადეს აღწერიდან კარგად ჩანს, რომ ჭოროხის ხეობაში გამავალი საერთაშორისო გზა აერთებდა ყარსს ბათუმთან და შავ ზღვასთან.

ამ გზამ საერთაშორისო მნიშვნელობა დაკარგა რუსების ბატონობის დროს XIX-XX სს-ში.

გუსტავ რადე წერს: *„ართვინმა, როგორც სავაჭრო ცენტრმა, რომელიც უწინ ერთთმანეთთან აკავშირებდა ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონს, მეორე მხრივ, ყარსსა და არდაგანს, რუსების გაბატონების შემდეგ თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება, სავაჭრო ბრუნვა ადგილობრივი მცხოვრებლების მასობრივი გადინების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა“* **(გ.საითიძე, ი.აღლაძე, გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გუსტავ რადე, მაცნე, ისტორიის სერია, 2012, 2, გვ. 121).**

ის XIX ს. 70-90 წლებში მოგზაურობდა.

(ჭოროხის ხეობის მისეული აღწერა სრულიად ეთანადება სტრაბონის, პროკოფი კესარიელისა თუ აგათიას მიერ ლაზიკის აღწერას. მაგალითად, ერთნაირად აღიწერება ის ფაქტი, რომ ცხენების საკვები ძალზე მცირეა, ამის გამო ლაზიკაში სპარსელებს 20000 ცხენი დაეღუპათ, გუსტავ რადე წერს – *„ცხენებისათვის საკვების შეძენა გვინდოდა, მაგრამ ვერსად ვიშოვეთ“* **(იქვე, გვ. 117), ანდა ის წერს –** *„ჭოროხის ხეობაში საკვების შოვნა უჭირთ“* **(იქვე, გვ. 120). ეს სიტყვები გვაგონებს ცნობას, რომ სარაპანასა და აკანდაში ღვინო, პური და საკვები უჭირდათ. მისი აღწერით ხალხით დატვირთული ნავი (კატარღა) ართვინიდან ბათუმში 5 საათში ჩადიოდა. რომ ჭოროხი წყალუხვი იყო და ართვინთან ძალზე** *„ყურისწამღებად“ ხმაურობდა* **(იქვე, გვ.122), ისევე როგორც ფაზისი სარაპანასთან სტრაბონის ცნობით. ხალიბთა „ქალდუს ქვეყანა“ არიან-ქართლის საფუძველი).**

საერთოდ, დავით კურაპალატის სამფლობელო, ანუ „ქართველთა სამეფოს“ დიდი ნაწილი (ანუ ტაოს სამეფო) ძალზე მომგებიანი და შემოსავლიანი საერთაშორისო გზებით იყო დასერილი. კლარჯეთის ზღვისპირეთში ის საზღვაო პუნქტი, სადაც მთავრდებოდა არტანუჯ-დვინისაკენ მიმავალი საერთაშორისო გზა X საუკუნეში შეიძლება ყოფილიყო ხუფათი (ხოფა), რადგან მის ახლოს მდგარი ძველი პეტრას ცნობილი სიმაგრე უკვე VI საუკუნეშივე დაინგრა.

„ზემონი ქვეყანანის“ შემოერთებამ აღამაღლა ტაოს სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა. როგორც ითქვა, შემოერთებულ ქვეყანაზე გადიოდა იმდროინდელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქები არცნი, კარნუ ქალაქი (იგივე თეოდოსიოპოლი, არზრუმი).

ეს სავაჭრო გზა სახალიფოდან არტანუჯის გავლით დვინზე გადადიოდა და ტრაპეზუნტამდე მიემართებოდა. ამ სავაჭრო გზიდან და ქალაქებიდან სამეფოს დიდი შემოსავალი შემოსდიოდა“ (ნარკვ. II. გვ. 484, А. Манандян. О торговле в городах Армении, გვ. 215).

წინა თავებში აღინიშნა, რომ არტანუჯ-დვინის დამაკავშირებელი გზა შავი ზღვისპირა პორტებს პერსარმენიასთან აერთებდა VI საუკუნეში, რითაც ინტერესდებოდნენ როგორც ბიზანტიის, ისე სპარსეთის იმპერიები. შაჰი ხოსრო სწორედ დვინი-არტანუჯის გზით უნდა შესულიყო ლაზიკაში პეტრას ციხესთან (პროკოფის ლაზიკა ჭოროხის ხეობას მოიცავდა ზღვისპირეთთან ერთად).

პროკოფი კესარიელის დროს, შესაძლოა, არტანუჯს სხვა სახელი ერქვა. ამ სავაჭრო გზას გულისხმობდა კონსტანტინე პორფიროგენეტიც, როცა არტანუჯის სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ წერდა.

დავით კურაპალატის დროსაც ა. მანანდიანისა და ქართველი ისტორიკოსების კვლევით არტანუჯ-დვინის მაგისტრალი ერთ-ერთი მთავარი მონაკვეთი ყოფილა, რომელიც სახალიფოს ტრაპეზუნტთან აკავშირებდა.

ბასილი II-ისა და სხვა იმპერატორების ომები იბერიის წინააღმდეგ (1001-1054 წწ.)

1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი, ამ ცნობის მიღებისთანავე იმპერატორი ბასილი II თავისი ლაშქრით სწრაფი მარშით გამოეშურა ტაოს სამეფოს დასაპყრობად, რადგანაც დავითი ანდერძით მას უტოვებდა თავის ვრცელ სამფლობელოებს.

დავით კურაპალატის სამეფო, რომელსაც უცხოელები იბერიას (ივერიას) უწოდებდნენ, როგორც ითქვა, მოიცავდა **სამხრეთ ტაოს, ჩრდილოეთ ბასიანსა და თორთომს**, ამის გარდა კი მას დროებით სარგებლობაში ჰქონდა ვრცელი მიწა-წყალი თითქმის ვანის ტბამდე – **დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე კლისურა და მისი ციხე ხალტოი-არიჭი; არაქსის სათავეებთან მარდალიის კანტონის ციხე სევუკი; ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში ჰარქისა და აპაჰუნის პროვინციები; სამხრეთ ბასიანი; თეოდოსიოპოლი (არზრუმი) თავისი თემით, ანუ კარინი; ჭოროხის სათავეებთან ჩორმაირის თემი.**

მთლიანად ეს მხარეები ახლა უკვე ბასილი II-მ დაიკანონა.

„დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“ – წერს სუმბატ დავითის ძე, ამასთანავე, აიძულა ქვეყნის აზნაურები თავიანთი საკუთარი ციხეები ბიზანტიელებისთვის გადაეცათ, დიდგვარიანთაგან ყველაზე გამოჩენილი პატრიოტები კი ბიზანტიაში გადაასახლა.

კედრენე წერს: „იბერიაში რომ ჩავიდა, მიცემული მემკვიდრეობა დაიდგინა... თან წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყ-

ვნენ **ბაკურიანი, თევდრატე და ფერსი** – ღვიძლი ძმები, რომელნიც პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა“ (გეორგიკა, V, გვ. 45).

როგორც ითქვა, ტაოში ორი სახელმწიფო იყო.

ჩრდილოეთ ტაოს სახელმწიფოს მეფე გურგენს ბასილმა შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა, უფრო მეტიც, შეკრა მასთან ზავი, რომლის პირობითაც გურგენს თავისი ლაშქრით არ უნდა ებრძოლა სამხრეთ ტაოს გასათავისუფლებლად, მას იმპერატორმა მაგისტროსობა უბოძა. ბასილს შეეგება ასევე გურგენის ვაჟი ბაგრატი, რომელიც უკვე იყო აფხაზთა მეფე, მას უფრო მეტი პატივი – კურაპალატობა უბოძა.

კედრენე **ჩრდილოეთ ტაოს სამეფოს** – „**შიდა იბერიას**“ უწოდებს (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 46).

„შიდა იბერიის“ ანუ ჩრდილოეთ ტაოს მეფე გურგენი ვერ შეურიგდა უდიდეს დანაკლისს, რაც ქვეყანას სამხრეთ ივერიის დაკარგვით მიადგა, ამიტომაც მთელი თავისი ლაშქრით შეიჭრა ოლთისში – სამხრეთ ტაოს დედაქალაქში, მაგრამ ბასილი II-მ მას დიდი ჯარი დაახვედრა და კიდევ ერთხელ დაუზავდა.

ქვეყნის დაკარგვა განსაკუთრებით აშფოთებდათ სამხრეთ ივერიის აზნაურებსა და დიდებულებს, ამიტომაც ბასილს მალევე დასჭირდა ხელმეორედ ლაშქრობა ქვეყნის დასაუფლებლად. ქართველი აზნაურები ბიზანტიაში გადაასახლეს და იქ მამულები დაურიგეს (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 81).

როგორც ითქვა, დაპყრობილ **სამხრეთ ივერიაში ბიზანტიამ ე.წ. იბერიის თემი – საკატეპანო დააარსა.**

სამხრეთ იბერიის მოსახლეობა, მკვიდრი ქართველობა, ვერ ურიგდებოდა სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას, ესენი იყვნენ არა მარტო, როგორც მემატიანე უწოდებს, მამაცი ტაოელები, ბასიანელები, არამედ არზრუმის ქვეყნის (ანუ კარინის) და სხვა მხარეების ქართველები. მაგალითად, უფრო ადრე კარინში მამულები და მონასტრები ჰქონია თორნიკე ერისთავს, და იქ, კარინის ქართულ მონასტრებში, მრავალი ქართული წიგნი იწერებოდა. კარინის მიმდებარე მხარეებიდან იყვნენ ის ქართველი დიდებულები, რომლებმაც იბერიის დამოუკიდებლობისათვის თავი დადეს.

ლასტივერტეცის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ არა მხოლოდ ქართველი დიდგვაროვნები და აზნაურები იბრძოდნენ ბიზანტიელთა წინააღმდეგ, არამედ უბრალო ადამიანებიც. ამიტომაც მთელ მათ სოფლებსა და ქალაქებს მტერი სასტიკად ანადგურებდა.

სამხრეთ იბერიის მოსახლეობის განწყობილებამ და პატრიოტიზმმა ერთგვარი სტიმული მისცა ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (ბაგრატ III-ის ძეს) ესარგებლა იმით, რომ როცა ბასილი II დაკავებული იყო ბულგარელებთან ომით, გაეფართოებინა თავისი საზღვრები და დაახლოებით 1013-1020 წლებში ბიზანტიელებს ხელიდან გამოგლიჯა ყველა ის ციხესიმაგრე, რომლებიც ადრე დავით III კურაპალატს ეკუთვნოდა.

ბულგარელების დამარცხების შემდეგ ბასილი II-მ ეპისტოლე გაუგზავნა

გიორგი I-ს და მოითხოვა აღნიშნული ციხესიმაგრეების დაცლა. უარის მიღების შემდეგ ბიზანტიური ლაშქარი გააგზავნა ქართველ მეფესთან საომრად.

„ბიზანტიელთა წინააღმდეგ, ა. ლასტივერტეცის ცნობით, ტაოელები მამაცურად იბრძოდნენ და უხტიგის (ოლთისის ახლოს) ბრძოლიდან ბიზანტიელთა ლაშქარი გააქციესო“ (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 91).

თავისი ლაშქრის ამ დამარცხებამ განარისხა ბასილი II და ის 1021 წ. პირადად შემოუძღვა თავის საიმპერიო ჯარს.

თავის მხრივ, საქართველოს მეფემ გიორგიმ შეკრიბა დიდი ლაშქარი ბიზანტიის იმპერატორთან საბრძოლველად.

ბიზანტიური და ქართული ლაშქარი ერთმანეთს შეხვდა ბასიანის ქვეყანაში და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ რამდენიმე დღის მანძილზე, ბრძოლის გარეშე. ამ დროს ქართულმა სარდლობამ, როგორც ჩანს, შეცდომა დაუშვა და უკან დახევის ბრძანება გასცა. ამან მტერი უფრო გააქტიურა, ის ქართველთა ლაშქარს უკან დაედევნა.

სასაწყობო შენობები, სურსათისა და იარაღის სათავსოები ქართულ ლაშქარს ქ. ოლთისში გადაუწვავს, რათა მტერს არ ესარგებლა ამით.

უკან დახეული ქართული ლაშქრის ბოლო ნაწილებს წამოეწია ბიზანტიის მოწინავე ლაშქარი, ბრძოლა გაიმართა პალაკაციოს ტბასთან სოფელ შირიმნთან.

ომის შესახებ ხმა გიორგი მეფეს საკმაოდ გვიან მიუვიდა. ის მივიდა ომის ადგილას, სადაც ამ დროს ბასილი მეფეც მოვიდა – ქართლის ცხოვრების ცნობით, „იქმნა ბრძოლა დიდი, და მოსრნეს ბერძენნი ფრიად და წარმოიღეს ავარი, ეგზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე“ მაგრამ, სამწუხაროდ „სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს“.

მტერმა გაიმარჯვა. ბასილიმ გაგზავნა ჯარები სხვადასხვა მიმართულებით და უბრძანა მათ არავინ შეებრალებინათ, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ბავშვი, არც ქალი. ასე დაანგრია და მოსპო თორმეტი ქართული ქვეყანა.

იაჰია ანტიოქიელის ცნობით **ბასილმა თვალები დათხარა ორასი ათასზე მეტ ქართველ მამაკაცს** (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 95).

ამასობაში კახეთისა და ჰერეთის ლაშქრით გაძლიერდა გიორგი I, ბასილი იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო და ტრაპიზონში გამოიზამთრა.

ქართულ მიწა-წყალზე კვლავ, ხელმეორედ შემოსულ მტერს შეებრძოლა საქართველოს ლაშქარი 1022 წლის 11 სექტემბერს არზრუმთან ახლოს, შერფთან – ლასტივერტეცის ცნობით, მაგრამ ქართველები კვლავ დამარცხდნენ.

დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც, დავით კურაპალატის მთელი მიწა-წყალი მტერმა მიითვისა.

ერთ დროს აყვავებული სამხრეთ იბერია განადგურდა, 1025 წ. ბასილი II გარდაიცვალა, მაგრამ მან მოასწრო და მძევლად წაყვანილი მეფე გიორგის ძე ბაგრატი უკან დააბრუნა.

ყოფილი **სამხრეთ იბერიის ადგილას, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა ბიზანტიაში შემავალი იბერიის თემი**. მიუხედავად ამისა ქართველები ამ

თემში მაინც განაგრძობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამიტომაც 1025-1028 წლებში იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მაც თავისი ლაშქარი კვლავ აომა იქ მოჯანყეთა წინააღმდეგ. ეს ომი გრძელდებოდა იმპერატორ რომანოზის დროსაც, 1028-1034 წლებში.

ვალაშკერტი და თორმეტი ქართული გავარი (XI ს.) ა. ლასტივერტეცის ცნობით

1021 წელს იმპერატორი ბასილი II დიდი ჯარით შემოვიდა კარინის ქვეყანაში ქართველთა ქვეყნის ასაღებად, თავდაპირველად ელჩი გაუგზავნა საქართველოს მეფე გიორგი I-ს. ეს ელჩი იყო „**ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც ქალაქ ვალარშაკერტში იჯდა, შეეგება მეფეს (ე.ი. იმპერატორს) და დააიმედა იგი, რომ როგორც კი ეკელეაცში (ე.ი. ეკელეცში) ან კარინში ამოხვალ, გიორგი შენ გეახლებაო. მეფემ დაიჯერა ეპისკოპოსის სიტყვები და დარჩა გიორგის მოსვლის მოლოდინში, ხოლო გიორგიმ ვერ გაბედა წასულიყო მეფის დაძახილზე... როცა ჩაიშალა ელჩობა, მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები, აოხრდა მიწის სავარგულები, ბრძანა ტყვეები წაეყვანათ ქალდიის გავარში, თვითონ კი ბასიანისაკენ გაემართა და მიაღწია ვანანდის გავარს, ხოლო გიორგიმ მიაღწია ქალაქ უხტიქს (ე.ი. ოლთისს), უბრძანა ჯარებს დაეწვათ ლამაზი ნაგებობები, იავარეყოთ მათი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყენებინათ (!), ეს რომ შეიტყო მეფემ (იმპერატორმა) უფრო განრისხდა... ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა არ დაენდოთ არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც სრულასაკოვანი, არც კაცი, არც ქალი და საერთოდ არც ერთი ასაკისა. ამგვარად მან დაანგრია და ააოხრა თორმეტი გავარი... ვფიქრობ, ყოველივე ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ – ცხენებისათვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ (!) თავს დაატყდათ უბედურება, რაც საზარელ სანახაობას ქმნის... ძუძუმწოვარა ყრმებს, ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით... ცხენის ჩლიქებში აგდებდნენ... გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა**“ (ა. ლასტივერტეცი, **დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 47**).

ა. ლასტივერტეცის ცნობიდან ძალზე კარგად ჩანს, რომ ბასიანის, კარინის, ტაოსა და ვანანდის მოსახლეობა **ქართულია,** რადგანაც ისინი, მისი სიტყვით, სამართლიანად დაისაჯნენ ანისის ეკლესიის ჯვრის შეურაცხყოფისათვის. **ანისის სომხური ეკლესიის ჯვარი ქართველებმა შეურაცხყვეს, რისთვისაც მწარედ დაისაჯნენ. ეს „სამართლიანად“ დასჯილები კი**

ოკომისა და მიმდებარე 12 გავარის მცხოვრებნი იყვნენ. ანუ ოკომისა და მიმდებარე 12 გავარის მოსახლეობა ქართულია, აქ უპირველესად იგულისხმება კარინ-ტაო-ბასიან-ვანანდის დასჯილი ქართველობა. ასე აღწერს ისტორიკოსი.

ქალაქი ვალაშკერტი მდებარეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, ბასიანის აღმოსავლეთ მხარეს.

ამ ქალაქზე გამავალი გზა ერთმანეთთან აერთებდა ტრაპეზუნტსა (ბიზანტიასა) და სპარსეთს. X საუკუნის ბოლოსათვის აღმოჩნდა, რომ ამ გზის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველთა ხელში იყო, რადგანაც ისინი აქ სახლობდნენ – ბასიანში, ტაოში, ვალაშკერტიდან თეოდოსიოპოლამდე ანუ არზრუმამდე, ჩანს, არაქსსა და მურად-სუს შუაც.

გიორგი I-ისათვის აღნიშნული ტერიტორია არ იყო შორეული მხარე, ის იყო ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი, რომლისაგანაც იღებდა კიდეც დიდ ძალას, განსაკუთრებით მკვიდრი დიდებულების (აზნაურების) მხრიდან. მაგალითად, მომიჯნავე, კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე ტურუბერანის გავარის მმართველობა ჯოჯიკ ერისთავთერისთავის საგვარეულოს ხელში იყო მოქცეული, ისინი იქ მკვიდრები იყვნენ, ამ ქართველ პატრიოტთა სახლის წევრი იყო ცნობილი ფერსი ჯოჯიკის ძე. ის იყო მემამულე ვრცელი მიწებისა ზემო არაქსსა და მურად-სუს შუა, რომელსაც ტვარწატაფი ერქვა (ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კერის ისტორიიდან, 1996, გვ. 32). იქ, სადაც ქსენოფონტეს ქართული ტომები შეხვდა (არაქსსა და მურად-სუს შუა). ფერსი ჯოჯიკის ძე მუდამ საქართველოს ინტერესების დამცველი იყო, უშიშარი მებრძოლი ბიზანტიელების წინააღმდეგ,

ჯერ კიდევ 1001 წელს იბერიაში თავისი პირველი ლაშქრობის შემდეგ იმპერატორმა ბასილიმ კონსტანტინოპოლში გადაასახლა ფერსი (ფერის) ჯოჯიკის ძე და მისი ძმა თევდრატი სხვა დიდაზნაურების ოჯახებთან ერთად, იმედი ჰქონდა, რომ ისინი იქ დაივიწყებდნენ სამშობლოს, მაგრამ არა. ფერსი 1019 წელს დაბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალზე და დაიწყო აჯანყება იმპერიის წინააღმდეგ, იმდენად შთამბეჭდავი, რომ იმპერატორის ტახტი საგრძნობლად შეირყა, კერძოდ, ქართველთა ქვეყნის სიღრმეში (ბასიანში) ბასილი II-ის ჯარის დაბანაკების შემდეგ მის ზურგში მომზადდა დიდი აჯანყება იმპერატორის წინააღმდეგ. კეისრის სპასპეტმა და ბარდა ფოკას ძე წარვეზიმ ისეთი დიდი ჯარი შეკრიბეს, რომ იმპერიის აღმოსავლეთი მათ ხელში მოექცა „**დიდად შეძრწუნდა ამისთვის ბასილი**“ (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება ბაგრატიონთა, 1990, გვ. 55). მოჯანყეთა ერთ-ერთი ძირითადი ძალა ქართველი აზნაურები რომ იყვნენ, იქიდანაც ჩანს, რომ გამარჯვების შემდეგ ბასილი II-მ უპირველესად ფერის ჯოჯიკის ძე დაასჯევინა სიკვდილით.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ა. ლასტივერტეცის ცნობით, ბასილი II-ს უპირველეს საქმედ მიუჩნევია ფერსის და მისი სიძის ანდრონიკეს შეპყრობა – „**მოიყვანეს ხაღტოიარიჭის ციხესიმაგრემდე, კარინის საზღვარზე, მათ მიაღწიეს ციხესიმაგრის პირდაპირ მდებარე მინდორს, იქ შეჩერდნენ, მოიყვანეს ფერსი და ანდრონიკე და თავები მოჰკვეთეს, ეს მეფისაგან იყო ნაბრძანები, რადგანაც ფერსი და ანდრონიკე თავიანთი აჯანყე-**

ბის დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე მთელი ტერიტორიის მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს ადგილები დავით კურაპალატს ეპყრა“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 50).

მაშასადამე, „ქართველთა მთავარი“ ფერსი ანუ ფერის ჯოჯიკის ძე სხვა პატრიოტებთან ერთად მიიყვანეს კარინის ანუ თეოდოსიოპოლის ქვეყანაში, რადგანაც ამ ქვეყნის გადაცემა სურდათ მათ „აფხაზთა“ მეფისათვის, გიორგი I-სათვის, და სწორედ ამიტომ ბასილი II-მ საგანგებოდ აქვე დასაჯა ისინი.

როგორც ითქვა, რომ არ ყოფილიყო კარინელი ქართველების დიდი მხარდაჭერა ფერსი ჯოჯიკის ძე ვერ გადასცემდა ამ მიწა-წყალს საქართველოს (აფხაზთა) მეფეს.

ამ ქვეყანაში მხოლოდ ორი ძალა ჩანდა (ბიზანტიური და ქართული), სომეხი პატრიოტის ა. ლასტივერტეცის ნაშრომში ოდნავი მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ იყო მესამე – სომხური ძალა, რომელსაც თავისი პოლიტიკური ნება ან ზრახვები ჰქონოდა კარინსა თუ ბასიანში. მაშასადამე, როგორც ჩანს, **ფერის „ქართველთა მთავარი“ არზრუმის (კარინის) დასაბრუნებლად იბრძოდა, რათა საქართველოს შემოერთებოდა ის, ვითარცა კიდევ ერთი ქართული მხარე.**

როგორც ითქვა, „**ქართველთა მთავრის**“ ტიტული ჰქონდა ასევე VII საუკუნეში ვაშდენს („**ქართველთა მთავარს**“), რაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მის ოჯახს. შესაძლოა, ამ ოჯახის მემკვიდრე იყო ფერის ჯოჯიკის ძე, თუმცა იმჟამად მისი ქვეყანა (ანუ ტაო და მიმდებარე მხარეები) სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული. სომხური ეკლესიის უდიდესი ნაწილი VII ს-ში ქალკედონიტური იყო, ამიტომაც სომხური ეკლესიის მრევლისა და იერარქიის ერთ ნაწილს მაშინ ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, განსაკუთრებით ტაოსა და მიმდებარე მხარეებში.

საეკლესიო იურისდიქციათა ცვლილება (XI ს.)

ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – ივერიის ანუ იბერიის თემი დააარსა იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელიც რომანოზის შემდეგ მეფობდა.

„**ბაგრატ IV-ის თანამედროვე კეისარმა კონსტანტინემ ბიზანტია-საქართველოს საზღვრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დაუცხრომლად ცდილობდა თანდათანობით როგორმე გამოეგლიჯა საქართველოსათვის მონაპირე ქვეყნები. მან დააარსა ივერიის თემი – საკატეპანო, რომელიც თავდაპირველად დავით კურაპალატის სამფლობელოსაგან შედგებოდა, მაგრამ მერე სხვა მიწებიც მიემატა**“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983, გვ. 137).

ამ მომენტიდან, თუ უფრო ადრიდან არა, მთლიანად შეიცვალა საეკლესიო იურისდიქციაც. კერძოდ, ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის ივერიის თემის დაარსება თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ამ მიწაზე

ქართული ეკლესიის ადგილს იჭერდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. მაშასადამე, ვალაშკერტის ან ბანას ქართული სამამამთავრო უკვე ეკლესიურად აღარ იყო უფლებამოსილი ივერიის თემის მიწა-წყალზე, მის ადგილს ახლა დაიჭერდა კონსტანტინოპოლის რომელიმე სამიტროპოლიტო.

ივერიის თემი, როგორც აღინიშნა, მოიცავდა დავით კურაპალატის სამფლობელოებს, კერძოდ, იმიერტაოს, ბასიანს, მის მიმდებარე ვრცელ ქვეყნებს ვიდრე ვანის ტბამდე, მათ შორის ვალაშკერტსაც, დასავლეთით კი ალბათ, არზრუმსაც. ამ მიწა-წყალზე მართლაც მრავალი ქალკედონური საეპისკოპოსო იყო, რომელნიც კონსტანტინოპოლმა დაუქვემდებარა „ლაზიკის ეპარქიას“.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის ცენტრი ტრაპეზუნტი იყო, ახლა მისი საზღვრები გაიზარდა, მოიცვა იბერიის თემიც, ანუ ვრცელი მიწა-წყალი ვიდრე ვანის ტბამდე.

იმერტაოს ტერიტორიების მეტი წილი „იბერიის თემში“ შევიდა, შესაბამისად, გამოიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და დაუქვემდებარეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

იბერიის თემის ჩამოყალიბებამ შეცვალა ბიზანტიური იურისდიქცია, კერძოდ, ეს ახალი ადმინისტრაციული ერთეული ეკლესიურად გადაუციათ ლაზიკის ეპარქიისათვის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოსათვის.

შესაბამისად, **იბერიის თემის დაარსების შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიაში შევიდა ვრცელი მიწა-წყალი მრავალი საეპისკოპოსოთი ვანის ტბის მიმართულებით, იქამდე ისინი შედიოდა დავით კურაპალატის სამეფოს ტაო-ვალაშკერტის ქართულ სამამამთავროში**.

საბა მტბევარი, ეზრა ანჩელი, ბანელი იოანე და ზაქარია ვალაშკერტელი (XI ს.)

(ქართულენოვანი სამიტროპოლიტო ოლქი ბიზანტიის იმპერიის იბერის თემში) (1001-1025 წწ.)

ქართველი მღვდელმთავრები, ეპისკოპოსები და თვით კათალიკოს-მამამთავრებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბიზანტია-საქართველოს ომისას მხარეთა დასაზავებლად.

1021 წელს ტრაპეზუნტში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულმა ბასილიმ და საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტეს დაზავება, კერძოდ, გიორგი I დათანხმდა დაეთმო დავით III კურაპალატის სრული მემკვიდრეობა. ბიზანტიას დაზავება სურდა, გიორგი I ზავს დათანხმდა იძულებით.

ზავის გარანტორებად ბასილიმ აირჩია საქართველოს ეკლესიის მეთაურები.

იმპერატორმა გიორგი I-ის ელჩებს თან გააყოლა თავისი წარმომადგენლები, რათა მათი თანდასწრებით ქართველთა ეკლესიის მეთაურებს პირობა

ჩამოერთმიათ გიორგი I-ისათვის, რომ ის აღარ იბძროლებდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის.

მალევე ბასილი II-ის წინააღმდეგ ბიზანტიაში მოეწყო დიდი აჯანყება ბარდა ფოკას შვილის ნიკიფორესა და ანატოლიის მმართველ ქსიფეს მეთაურობით. საქართველოს მთავრობა მიემხრო აჯანყებულებს. მაშასადამე, მიღწეული ზავი დაირღვა.

რადგანაც ზავის გარანტორი ქართული ეკლესია იყო და ზავის დარღვევის გამო ბასილი II აღარ ენდობოდა მას, მით უმეტეს, რომ უფრო ადრე, იბერიაში შემოსვლის წინ არისტაკეს ლასტივერტეცის თქმით კეისარმა მეფე გიორგისთან გააგზავნა ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია, წინადადებით, ხელი აეღო დავით III-ის მემკვიდრეობაზე – „**ტკბილი სიტყვებით წერდა მას, რომ რაც მემკვიდრეობით შენი არაა, ხელი აიღე იმაზე, ნუ დამიბრკოლებ გზას სპარსეთისკენო**“.

ვალაშკერტელმა ეპისკოპოსმა ზაქარიამ დაარწმუნა მეფე გიორგი I დათანხმებოდა ბასილის მოთხოვნებს, ჩამოართვა მეფეს ხელწერილი, რომ ის უთმობდა ბასილის თავისი წინაპრის დავით კურაპალატის მემკვიდრეობას და სიხარულით წავიდა იმპერატორთან, მაგრამ გზაში მას დაეწია მეფე გიორგის მალემსრბოლი და მოითხოვა წერილის უკან დაბრუნება.

ხელმოცარული ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი არც იმპერატორმა შეიწყნარა, პირიქით, ცილიც დასწამა, თითქოს ის აჯანყებულებს ემხრობოდა. საბოლოოდ კი ნაწყენმა ბასილი მეორემ დასაჯა ქართველი ეპისკოპოსი იმით, რომ ჩამოაცილა ვალაშკერტის კათედრას, თავის ქვეყანას და საცხოვრებლად კონსტანტინოპოლში გაამგზავრა.

ლასტივერტეცის ცნობით ზაქარიას იმპერატორის ბრძანებით ენაც ამოგლიჯეს, სხვა ცნობით კი ზაქარიას ენა მოკვეთეს არა 1021 წელს, არამედ შემდეგ, დაახლოებით 1025 წელს სხვა აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

გარდა ბასილისა არც სხვა იმპერატორები სწყალობდნენ იმჟამად ქართულ ეკლესიას.

იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით 1027 (1028) წელს იმპერიის ლაშქარმა მოარბია სამხრეთ იბერიის ქვეყანა და ზოგადად დიდი საფრთხე შეუქმნა საქართველოს სახელმწიფოებრიობას – მემატიანეს სიტყვით – „**განდგეს კვალად აზნაურნი და წარვიდეს იგინი საბერძნეთს**“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის დიდებულებისა და აზნაურების ერთმა ნაწილმა ბიზანტიის სახელმწიფოს გადასცა საკუთარი მამულები, მიწა-წყალი და ციხესიმაგრეები, რომელთა სანაცვლოდაც იმპერიაში მიიღეს სხვა მიწა-წყალი და სასახლეები, ასე რომ, ქვეყნის შუაგულშიც ბიზანტიის იმპერიას სამართლებრივად გაუჩნდა საკუთარი მიწა-წყალი, მამულები და ციხესიმაგრეები. სუმბატ დავითის ძის ცნობით ბიზანტიელებს წვრილი ერის ერთი ნაწილიც, ანუ გლეხობაც მიმხრობია, ხოლო საქართველოს მეფემ თავისი ლაშქარი მოარიდა მტერს, **საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ასეთ უმძიმეს დროს ქვეყნის დაცვის წმინდა საქმე თავის ხელში აიღო ქართულმა ეკლესიამ**, კერძოდ, შავშეთის ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა და მეორე ეპისკოპოსმა, ასევე ძალზე სახელოვანი კათედრის მღვდელმთავარმა ეზრა ანჩელმა.

ეპისკოპოსებმა საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა თავიანთ ხელში აიღეს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საქმე, ააშენეს თავდაცვის ცენტრი, დიდი ციხესიმაგრე, ე.წ. „სვეტი“, და მართლაც, ღვთის შეწევნით, შეიძლება ითქვას, მოხდა ნამდვილი სასწაულებრივი მოვლენა – ბიზანტიის ლაშქარმა და მათმა მეთაურმა ნიკიტა პარაკიმანოსმა, რომელსაც კონსტანტინე კეისრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა, ვერ შეძლეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ მოწყობილი თავდაცვითი ხაზის გარღვევა.

მტერმა ვერ დაიმორჩილა „სვეტი“, ანუ როგორც აღვნიშნეთ, ვერ შეძლეს ეპისკოპოსების მიერ აღმართული ციხესიმაგრის დამორჩილება.

სუმბატ დავითის ძე წერს, რომ სვეტსა მას შინა მყოფნი „**ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი საღმრთონი თავთა თვისთა განწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს სიტყვისაებრ მოციქულთასა და განძლიერდებოდეს**“.

საბა მტბევარი ასე ამხნევებდა თავის მებრძოლებს „**ნუმცა შეგვიტყუებენ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლწარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვანებისა**“. აქედან ჩანს, რომ არა მხოლოდ უბრალო მებრძოლებსა და „წვრილ ერს“, არამედ თვითონ ეპისკოპოსებსაც კი ბიზანტიელი აგენტები ჰპირდებოდნენ დიდ სიმდიდრეს ღალატის სანაცვლოდ, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული აზნაურები და დიდებულები მოხიბლეს ბიზანტიაში ქონების მიცემით.

საბედნიეროდ, ამჯერად ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა და ბიზანტიელები იძულებულები გახდნენ, დაეთმოთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა **ბასილი კეისარი, შემდეგ კი კონსტანტინე VIII და საერთოდ ბიზანტიური მთავრობა განაწყო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა ქართული მონასტრების ბერების დევნით ბიზანტიის იმპერიაში XI ს-ის I ნახევარში.**

ქართული ეკლესია და ქართული სასულიერო პირები განსაკუთრებულად იდევნებოდნენ ბიზანტიის მიერ დაპყრობილ დავით III კურაპალატის ეგრეთწოდებულ სამემკვიდრეო მიწა-წყალზე, ანუ არზრუმიდან ვიდრე ვანის ტბამდე, ამის მაგალითია ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსის დევნა და ამის მაგალითი უნდა იყოს ასევე ბანელი ეპისკოპოსი იოვანეს საბერძნეთში წასვლა. **ბანელი ეპისკოპოს იოვანეს ბიზანტიაში მიწვევა ემსგავსება XIX ს-ში ქართლის კათალიკოსის ანტონ II-ის რუსეთში მიწვევას და გადასახლებას.**

როგორც აღინიშნა, XI საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიელებმა დავით კურაპალატის სამემკვიდრო მიწა-წყალზე, მისი დაპყრობის შემდეგ, დააარსეს იბერიის თემი.

იქამდე, როგორც ცნობილია, ტაოში და მის ხელდებულ მიწებზე არსებობდა ქართული სამრევლოები, ქართული მონასტრები და ქართული საეპისკოპოსოები – ამიერტაოში ბანას ცნობილი სამღვდელმთავრო კათედრა, იმიერტაოს სამეფოში, როგორც ჩანს, მსგავსი ღირსებისა და დიდებულების მქონე ქართული სამღვდელმთავრო კათედრა იყო ქალაქ ვალაშკერტში.

ქალაქი ვალაშკერტი (თანამედროვე ელაშკერტი) მდებარეობდა ბასიანის საზღვართან ახლოს, ერთ-ერთ უმთავრეს საერთაშორისო სავაჭრო გზაზე, უფრო მეტიც, ამ ქალაქთან იკვრებოდა სავაჭრო გზების კვანძი. ქ. ვალაშკერტში, მაგალითად, დაიბანაკა დავით კურაპალატმა, როდესაც ის ვანის ტბისაკენ გაემგზავრა მანასკერტისა და არჭეშის გასათავისუფლებლად მაჰმადიანთა ბატონობისაგან.

ვალაშკეტელი ეპისკოპოსი ზაქარია ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე იყო. როგორც აღვნიშნეთ, ის 1021 წელს ბასილი II-მ გააგზავნა გიორგი I-თან მოსალაპარაკებლად.

წყაროებში საკმაოდ ხშირად ვალაშკერტელ ეპისკოპოსს ეწოდება ასევე მამამთავარი. ის ასევე ყოფილა ბანელი სვინგელოზი.

მამამთავარი, საეკლესიო სამართლის ტერმინია და არის თარგმანი სიტყვისა პატრიარქი.

„მამამთავარის“ მაღალი სასულიერო წოდება ტაოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემთხვევაში, ჩანს, გულისხმობდა სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურობას.

როგორც ვიცით, სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს, ანუ მიტროპოლიტს თავის ხელქვევით ჰყავდა ეპისკოპოსები, რომელთა კურთხევის უფლებაც მას ჰქონდა. ასეთი იყო პირველქრისტიანული ეკლესიის მოწყობის წესი.

ასეთი გაგებით საქართველოს საპატრიარქოში, ძირითადად, ორი სამიტროპოლიტო ოლქი არსებობდა: ქართლის საკათალიკოსო და აფხაზეთის საკათალიკოსო, ოღონდ მათ მეთაურებს არა მიტროპოლიტი, ანდა არქიეპისკოპოსი, არამედ კათალიკოსი (საყოველთაო ეპისკოპოსი) ეწოდებოდა.

IX-X სს-ში, საქართველოს ეკლესიის საზღვრების ზრდის კვალდაკვალ, ახალწარმოქმნილ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებში ქართული სამიტროპოლიტო ოლქებიც ყალიბდებოდა. მაგალითად, ერთი ასეთი იყო აფხაზეთის საკათალიკოსო – თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული. როგორც ჩანს, XIV-XV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანში ჩამოყალიბებულა მეორე ასეთი საეკლესიო ერთეული ხუნძეთის საკათალიკოსო, მოღწეულია მისი მეთაურის სახელი – „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“. მას დაქვემდებარებაში საკუთარი საეპისკოპოსოებიც ჰყავდა, ალბათ, წახურისა, ანწუხისა და სხვა, ანუ ხუნძეთის საკათალიკოსო, აფხაზეთის საკათალიკოსოს მსგავსად, წარმოადგენდა ბერძნული გაგებით სამიტროპოლიტო ოლქს.

ჩვენ გამოვთქვამთ თვალსაზრისს, რომ შესაძლოა, დავით III კურაპალატის ვრცლად გადაშლილ მიწა-წყალზე ოლთისიდან არზრუმამდე და ვანის ტბამდე, ვითარცა დამოუკიდებელ სამეფოში, ჩამოყალიბდა ახალი ქართული საეკლესიო ერთეული, სამიტროპოლიტო ოლქის სტატუსის მქონე, ისეთივე როგორებიც იქამდეც იყო, ვთქვათ, ქართლის საკათალიკოსო, ანდა აფხაზეთის საკათალიკოსო, ხოლო ამ ახალი სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს გააჩნდა არა წოდება კათალიკოსისა, არამედ მამამთავრისა.

ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი ხანმოკლე რომ არ ყოფილიყო დავით კურაპალატის სამხრეთ ტაოს სამეფოს არსებობა, აღნიშნული ქართული სამიტროპო-

ლიტო ოლქი არზრუმიდან ვანის ტბამდე, ალბათ, რეალურ სახეს მიიღებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი არსებობა გაგრძელდა სულ რამდენიმე ათეული წელი და ზაქარია ვალაშკერტელთან ერთად გაქრა ასპარეზიდან.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, როგორც ვთქვით, შემდეგ ბიზანტიური „იბერიის თემი“ ჩამოყალიბდა, რომლის მიწა-წყალზე, დავით კურაპალატის ყოფილ სამეფოში **იქამდე არსებული ქართული მართლმადიდებლური საეპისკოპოსოები ბიზანტიამ შეუერთა ლაზიკის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ოლქს.**

ალბათ, იბერიის თემის დაარსებამდე ატარებდა ზაქარია ვალაშკერტელი მამამთავრის ტიტულს, ე.ი XI ს-ის 20-25-იან წლებამდე.

ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილ და ზაქარია ვალაშკერტელისათვის გადაწერილ სჯულისკანონის მინაწერებში იკითხება **„უფალო იესო ქრისტე ადიდე წმიდა მამამთავარი ზაქარია ვალაშკერტელი**“, და „**ღმერთო ადიდე ზაქარია მამამთავარი აქა და საუკუნესა“** (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 155).

თ. ჟორდანიას ცნობით ყოფილა ასევე სხვა წიგნის მინაწერი „**ქრისტე ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ზაქარია მამამთავარი, ბანაელი სვინგელოზი**“ და აღნიშნავს, რომ ზაქარია ვალაშკერტელი უნდა გამხდარიყო ბანელ სვინგელოზადო. შესაძლოა, ზაქარია ვალაშკერტელი და ბანელი სვინგელოზი სხვადასხვა პირი იყო.

ვ. კოპალიანი წერს „თუ ზაქარია ვალაშკერტელი იყო მაშინ, როცა მას ენა მოჰკვეთეს, ამის შემდეგ ის ბანელი სვინგელოზი ვერ გახდებოდა. როგორც ჩანს, ზაქარიას ენა მოჰკვეთეს არა 1021 წელს, არამედ 1025 წელს, რადგანაც სკილიცე ზაქარიას 1025 წლის შეთქმულების მონაწილედ და ამის გამო დასჯილად თვლის (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 115). შესაძლოა, ვალაშკერტელი ზაქარია 1025 წლამდე ბანელი სვინგელოზი გახდა, ალბათ, კონსტანტინოპოლში მისცეს მას ეს საპატიო წოდება მას შემდეგ რაც იოვანე ბანელმა ეპისკოპოსმა ბანას კათედრა დატოვა.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვ. კოპალიანის მოსაზრება – „**შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ზაქარია არა საქართველოს სამეფოში შემავალი საეკლესიო ობიექტის მამამთავარი, არამედ ქართული პროვინციის, მაგრამ ბიზანტიის იმპერიის მიერ დაპყრობილი რომელიღაც საეკლესიო ცენტრისა და მისი მრევლის მამამთავარია**“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 116). ის მამამთავარი იყო ტაოს სამეფოსა და მისი გაუქმების შემდეგ დაარსებულ იბერიის თემში. ამ თემის უამრავი ქართული ეკლესია-მონასტერი ერთხანს კვლავ ქართულენოვნად რჩებოდა ზაქარია ვალაშკერტელისა და სხვა მამების წყალობით.

ჩვენ ვეთანხმებით ვ. კოპალიანის ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ზაქარია იყო მამამთავარი დავით კურაპალატის სამეფოს მართლმადიდებელი მრევლისა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1001 წელს ეს სამეფო დაიპყრო ბიზანტიამ და იქ დააარსა იბერიის თემი, **ბიზანტია ერთხანს კიდევ ითმენდა ამ**

დაპყრობილ ქვეყანაში ქართული საეკლესიო ოლქის არსებობას, თუმცა კი მისი მამამთავარი კონსტანტინოპოლში იყო გადასახლებული, ხოლო 1025 წლიდან, ზაქარიას დასჯის შემდეგ, ქართული სამიტროპოლიტო ოლქი გაუქმდა და იბერიის თემის მართლმადიდებელი მრევლი გადაეცა ტრაპეზუნტის, ანუ ლაზიკის მიტროპოლიტს.

ამ გადაცემამდე, ანუ 1001 წლიდან 1025 წლამდე, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბიზანტიაში მოღვაწე **ქართველი სასულიერო პირები ყოველი ღონისძიებით თავდადებული შრომით ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ ტაოს ყოფილ ტერიტორიაზე (ანუ ახლა უკვე იბერიის თემში) ეკლესიის ქართულენოვნება**, რათა აღნიშნული მიწა-წყლის ეკლესიებსა და საეპისკოპოსო კათედრებში წირვა-ლოცვა ყოფილიყო კვლავ ქართულენოვანი. როგორც ჩანს, ბერძენთა მხრიდან ეს წამოწყება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ბერძნებს არ შეეძლოთ პირდაპირი უარით ქართველი მრევლისათვის ქართულენოვანი წირვა-ლოცვის აკრძალვა, ამიტომაც ეძებდნენ საბაბს. გამოჩენილან „მაყვედრებლები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქართული წმინდა წერილი არ იყო სწორად თარგმნილი, რომ მას რაღაც მონოფიზიტური ბიწი გააჩნდა, რადგანაც სომხური რედაქციებიდან იყო თარგმნილი.

გიორგი მცირე თავის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ აღნიშნავს კიდეც, რომ ქართული საეკლესიო ლიტერატურის ნაწილი ნამდვილად იყო თარგმნილი სომხურიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ ათონის მთის წმიდა მამათა მთელი შემართება, რათა ბერძნულიდან ეთარგმნათ საეკლესიო ლიტერატურა მიზანმიმართულად ემსახურებოდა იბერიის თემში ქართულენოვანი ღვთისმსახურების შენარჩუნების საქმეს, რათა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა არ აეკრძალათ რაიმე მომიზეზებით და მის ნაცვლად არ დაენერგათ ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა.

გიორგი მცირეს სიტყვით, ბრალდებათა გამო ივერთა მონასტერში, ათონის წმინდა მთაზე, ექვთიმე მთაწმიდელმა წამოიწყო დიდი შრომა, რათა ქართული წმინდა წიგნები შეეჯერებინათ და გაესწორებინათ იმჟამად მიღებული ბერძნული რედაქციების მიხედვით. ამ შრომას ეწეოდა რადენიმე თაობა, მაგრამ, პირველი, ექვთიმე მთაწმიდელისა და ზაქარია ვალაშკერტელის თაობის შემართება ამ მხრივ გასაოცარი იყო.

საბოლოოდ მაინც, სამხრეთ ტაოს ქართული სამეფო იქცა ბერძნულ „იბერიის თემად“, საიდანაც გაძევებულ იქნა ქართული საეკლესიო იერარქია და ის ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის ნაწილად იქცა.

ზაქარია მამამთავარი აქტიურად თანამშრომლობდა ათონის მთის მთარგმნელ მამებთან, რათა თავისი ეპარქიის მრევლისათვის „უბიწო“ ქართულენოვანი ლიტურგიკული ლიტერატურა შეეთავაზებინა, რომ ამით ბერძენ „მაბრალობელთა“ გული მოეგო, მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო მისი შრომა ამაო აღმოჩნდა, მის მრევლს ქართულის ნაცვლად ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა დაუწესეს.

ჩანს, ჩრდილოეთ ტაოს უმთავრესი საეკლესიო ცენტრი ბანაც იბერიის თემმა შეიერთა.

ამ დიდი საეკლესიო მარცხის შემდეგაც, როცა ქართველმა მამებმა ვერ შეძლეს „იბერიის თემში“ ქართულენოვანი ეპარქიის შენარჩუნება (თუნდაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში), ისინი უკვე იღვწოდნენ, რათა დანარჩენი საქართველოს მრევლს მაინც შეენარჩუნებინა ეროვნულ-ეკლესიური თავისთავადობა.

უნდა ითქვას, რომ XI ს-ის 20-50-იანი წლებში ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის მტრულად განაწყობდა ბიზანტიის სახელმწიფო და საეკლესიო ცენტრებს მის მიმართ.

მთელ ბიზანტიის იმპერიაში დაწყებული დევნა ქართული სასულიერო პირებისა და მონასტრებისა გაგრძელდა 1054-1057 წლებამდე და ძირითადად შეწყდა ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მოლაპარაკებათა დამთავრების შემდეგ.

„იბერიის თემში“ ქართულენოვანი ეპარქიის გაუქმება (XI ს.)

საეკლესიო იურისდიქცია, როგორც წესი, ასახავს პოლიტიკურ ცვლილებას. შესაბამისად, ტაოს სამეფოს გაუქმებამ და მისი ტერიტორიების ბიზანტიის იმპერიაში შეყვანამ საეკლესიო იურისდიქციაც შეცვალა.

იქამდე ტაოს ქართული ეპარქია თავისი ქართულენოვანი საეპისკოპოსო კათედრებითა და მონასტრებით ბრწყინავდა მთელ ქართულ ეკლესიაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტაოს „ქართველთა სამეფო“ გააუქმა ბიზანტიის იმპერიამ და მის ტერიტორიაზე თავისი ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ დააარსა, შეიცვალა საეკლესიო იურისდიქციაც.

ახლა უკვე ტაოს ყოფილ სამეფოში, რომელიც ვრცელ „იბერიის თემად“ გადაიქცა, ქართული ეკლესიის ადგილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაიჭირა.

„იბერიის თემის“ ქართული ეკლესია-მონასტრები კონსტანტინოპოლის იურისდიქციას, კერძოდ, ლაზიკის სამიტროპოლიტოს დაექვემდებარა.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ყოფნა, ცხადია, ითვალისწინებდა ბერძნულენოვან წირვა-ლოცვას, მაგრამ ეს მკაცრად სავალდებულო არ იყო პირველ ეტაპზე მაინც.

როგორც მასალა მიუთითებს, ქართველი მამები XI საუკუნის 20-30-იან წლებში (და შემდეგაც) იბრძოდნენ იმისათვის, რათა ბიზანტიაში შემავალი „იბერიის თემის“ ეპარქია ყოფილიყო ქართულენოვანი, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შესულ ამ მიწა-წყალზე ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა შენარჩუნებულიყო შესაბამისი ქართულენოვანი წიგნებით, გალობითა და სხვა წესებით.

ერთი სიტყვით, **ქართველ მამებს სურდათ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს „იბერიის თემის“ ეპარქია ქართულენოვანი ყოფილიყო**. ამ იდეის მთავარი სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია. მართალია, იგი კონსტანტინოპოლში იყო გადასახლებული იმპერატორ ბასილი II-ის მიერ, მაგრამ ინარჩუნებდა საეკლესიო თანამდებობებსა და ხარისხებს, ჩანს, ის სვინგელოზადაც იწოდებოდა.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის მეკარე ბერი – სვინგელოზი მაღალი წოდება იყო და, როგორც წესი, ენიჭებოდა სხვებთან ერთად იბერიელ დიდგვაროვნებს (პატრიკიოსმა თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსთან გამარჯვების შემდეგ სვინგელოზის წოდება მიიღო). ჩანს, ზაქარია ვალაშკერტელი იბერიელი დიდგვაროვანი იყო და დაიმსახურა ეს წოდება.

ზაქარია ვალაშკერტელი კონსტანტინოპოლში დიდად იღვწოდა, რათა იბერიის თემის ეპარქია ქართულენოვანი ყოფილიყო და მან დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ XI ს-ის 30-იან წლებში იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა, რისთვისაც დაისაჯა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზაქარია ვალაშკერტელის დასჯის შემდეგ, ე. ი. XI ს-ის 30-50-იანი წლებიდან „იბერიის თემის“ ეპარქია უკვე უშუალოდ დაექვემდებარა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს და გაერთიანებულ იქნა ლაზიკის ბერძნულენოვან ეპარქიაში. ამით **„იბერიის თემის“, ასე ვთქვათ, კულტურული ავტონომიურობა გაუქმდა.**

მაგრამ ამას ძნელად ეგუებოდნენ ქართველი მამები და XI საუკუნის პირველ ნახევარში, გარდამავალ ეტაპზე, ბიზანტია-საქართველოს ზავის დადებამდე (1054-1057 წლებამდე), თავდაუზოგავად იღვწოდნენ „იბერიის თემის“ საეკლესიო ქართულენოვნებისათვის.

მათ წინააღმდეგ „იბერიის თემის“ ბერძნულენოვნების მოსურნე **ბიზანტიელ სასულიერო პირებს ნამდვილი ომი ჰქონდათ გაჩაღებული კულტურის სფეროში. კერძოდ, ბიზანტიელი მამები მოითხოვდნენ ქართულენოვანი წიგნების, წმიდა წერილის ამოღებას იბერიის თემის საეკლესიო პრაქტიკიდან, რადგანაც, მათი მტკიცებით, ქართული წიგნები არასწორად იყო თარგმნილი, მიუთითებდნენ, რომ ისინი თარგმნილნი იყო სომხური რედაქციების, ე. ი. ბიწიერი, არასწორი, შერყვნილი ტექსტებიდან, ამის შესახებ ვრცლად წერენ ათონის მთის მამათა ღვაწლის აღმწერი მწერლები.**

ამის გამო XI საუკუნის მთელი პირველი ნახევარი მიეძღვნა ქართული რედაქციების ბერძნულის მიხედვით ჩასწორებას. მთარგმნელობითი მუშაობის სათავეებთან იდგნენ ტაოელი, ზოგადად, „იბერიის თემიდან“ გამოსული ქართველი მამები. ბერძნულის მიხედვით თარგმნა-რედაქტირების ეს პროცესი დაიწყო განსაკუთრებით კეისარ ბასილის ტაო-ბასიანში 1001 წელს ლაშქრობის შემდეგ, რადგანაც მაშინ უკვე შეერყა ტაოს ქართულ ეპარქიას საფუძველი.

სამწუხაროდ, დიდი, გრანდიოზული შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების მიუხედავად ვერ მოხერხდა შენარჩუნება „იბერიის თემის“ ეპარქიის ქართულენოვნებისა. მართალია, მისი ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი კვლავ ქართულენოვანი ტიპიკონით მოქმედებდა, მაგრამ საბოლოოდ „იბერიის თემის“ ეპარქია მთლიანად ბერძნულენოვანი გახდა.

„იბერიის თემის“ მიწა-წყალი, როგორც ითქვა, მიუერთეს ლაზიკის ბერძნულ ეპარქიას, რომლის სამიტროპოლიტო ცენტრი ტრაპეზუნტში მდებარეობდა. ე.ი. **1001 წლიდან 1030-იან წლებამდე ეს ეპარქია ქართულენოვანი იყო, ხოლო 30-70-იან წლებში თანდათან ბერძნულენოვნად იქცა**.

იქამდე, ბასილი II-ის შემოჭრამდე, 1001 წლამდე, იმიერტაოს „ქართველთა სამეფოში“ შემავალი მიწა-წყლის სასულიერო ცენტრად გამოცხადდა ქ. ვალაშკერტი (პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 67-68) და ვალაშკერტელი ეპისკოპოსი ფაქტობრივად მიტროპოლიტს წარმოადგენდა, რომელიც მეთაურობდა ტაოს მიერ ახლად შემოერთებული ქვეყნების ქართულ ეკლესია-მონასტრებს. თავის მხრივ, ეს ქართული ეპარქია მცხეთას ექვემდებარებოდა უკვე X ს-ის 70-იანი წლებიდან. ვალაშკერტის ეპარქიის იურისდიქციაში, ჩანს, შედიოდა ქართველთა მიერ გათავისუფლებული მიწა-წყალი – „ზემონი ქვეყანანი“ შესულნი ტაოს სამეფოში.

ამ ვრცელი მხარეების მკვიდრმა ქართველმა მოსახლეობამ გათავისუფლებისთანავე გადაიგდო სომხური საეკლესიო უღელი და დაუბრუნდა დედა-ქართულ ეკლესიას, რომელსაც მოწყვეტილი იყო საუკუნეთა მანძილზე.

მათი სულიერი მამები, ეთნიკურად ასევე ქართველები, იქამდეც, გათავისუფლებამდეც, ზრუნავდნენ, რათა მათ მრევლს არ დაეკარგა ეროვნულ-ქართული იდენტობა, თვითშემეცნება და ქალკედონური სარწმუნოება. ასე, უკვე შემზადებულმა ქართულმა მრევლმა შეადგინა მთელი სისავსე ვალაშკერტის ეპარქიის მრავალრიცხოვანი სამწყსოსი.

ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა მრევლის საოჯახო ქართულენოვნება და მათი დიდი სურვილი დაბრუნებოდნენ დედაეკლესიას. დავით კურაპალატმა მათი დიდი ხნის ოცნება აღასრულა. მის დროს ისინი ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებად იქცნენ, იქ მოღვაწე სულიერმა ქართველმა მამებმა კი განაგრძეს იქამდე დიდი ხნით ადრე დაწყებული საქმე.

საუბედუროდ, ეს დიდი ეროვნულ-ეკლესიური აღტკინება უმოწყალოდ ჩაკლა ბიზანტიის ჯარმა და იმპერატორმა ბასილი II-მ, რომელიც 1001 წელს შევიდა ტაოში დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მისაღებად.

1018 წელს ბასილი II მეორედ შემოიჭრა საქართველოში კიდევ უფრო დიდი ჯარით, ქართული ჯარი უკუიქცა, მტერმა კოლა-არტაანი და ჯავახეთი გაანადგურა ბასიანთან და ტაოსთან ერთად. **1022 წელს დაიდო ქართველთათვის მძიმე ზავი. იმპერიაში დაიწყო ქართველი ბერების, საერთოდ ქართველების დევნა. ე. ხინთიბაძის სიტყვით, საიმპერატორო კარზე იბერთა სახელი იმპერიის ორგულ მტერთა საძულველ სახელებს შორის იხსენიებოდა.**

ბასილი II-ს ამ დაპყრობილ ივერიის მიწებზე შეუქმნია სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის საკატეპანო“, იგივე „იბერიის თემი“, მის ერთ-ერთ მმართველს „მატიანე ქართლისა“ უწოდებს „**აღმოსავლეთის** კატაპანს“, რომელსაც იქამდე მძევლად წაყვანილი ყრმა ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან ამიერტაოში დაუბრუნებია.

„იბერიის თემში“, ანუ ე.წ. „**აღმოსავლეთში“,** ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისით, შედიოდა – იმიერტაო, ჩრდილოეთ ბასიანი, ოლთისი, თორთომი და ასევე კოლა, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი და ის ვრცელი მიწა-წყალი, რომელიც მდებარეობდა არაქს-ევფრატის ხეობებში.

ვ. გოილაძის აზრით, ამ ქვეყნების მიერთებისთანავე იმპერიის ეკლესიამ თავისი იურისდიქცია გაავრცელა მათზე, ამის გამო, მისი აზრით, ოშკის ცნობილი ტაძარიც კი ამ პერიოდში იმპერიის ეკლესიაში შედიოდა (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპოგრაფიკაში, 2008, გვ. 122).

ბიზანტიის იმპერიის ეკლესიაში შესულა დავით კურაპალატის სამეფოს მთელი ტერიტორია (იქვე, გვ. 125).

იმპერიის შემადგენლობაში ეს ქართული ტერიტორიები დარჩენილა 1001 წლიდან 1072-74 წლებამდე – თურქ-სელჩუკების მიერ მათ დაპყრობამდე.

ვალაშკერტი, რომელიც იქამდე იმიერტაოს სამეფოს სასულიერო ცენტრი იყო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას დაექვემდებარა ოშკის ტაძართან და სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებთან ერთად (იხ. იქვე, გვ. 137). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1018 წლამდე ბიზანტიის ბატონობა ამ მიწაზე არ იყო მყარი, აქ ისევ იგრძნობოდა ქართული სახელმწიფოს ხელი.

XI საუკუნის 30-იან წლებამდე, როგორც ითქვა, ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ბიზანტიის იმპერიაში შესული ამ მიწა-წყლის ეკლესიების ქართულენოვნება. ქართული წმიდა წერილის ხელახალმა რედაქტირებამ, ბერძნულ რედაქციებთან შედარებამ, თითქმის ნახევარი საუკუნე მოიცვა.

საბოლოოდ კი მაინც იბერიის თემის ეპარქია ბერძნულენოვანი გახდა ზოგადი თვალსაზრისით, თუმცა ეკლესია-მონასტრების არცთუ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ქართულენოვნება.

დავით კურაპალატის ყოფილი სამეფოს ქართული საეპისკოპოსოების მრევლი შემდგომ საუკუნეებშიც ქართული ეკლესიის წევრად დარჩა თურქ-სელჩუკებისა და ოსმალების ბატონობის დროსაც კი, ასეთები იყვნენ არა მხოლოდ ოშკის, ბანასა თუ ხახულის, არამედ ვალაშკერტის არზრუმისა და სხვა ქართული საეპისკოპოსოების მრევლიც.

ვალაშკერტის სამამამთავრო და ლაზიკის სამიტროპოლიტო (XI ს.)

ძირითადი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის – სამიტროპოლიტოს მეთაურს ანუ მიტროპოლიტს, როგორც ცნობილია, თავის უშუალო დაქვემდებარებაში ჰყავს საკუთარი ეპისკოპოსები. ასეთი საეკლესიო ერთეულები საქართველოში, როგორც ითქვა, იყო ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები (კათალიკოსი ისეთივე საეკლესიო ხელისუფალი იყო, როგორიც ბერძნულ ეკლესიაში არის მიტროპოლიტი).

საზოგადოდ, მსოფლიო პირველქრისტიანულ ეკლესიაში სამიტროპოლიტო ოლქთა იურისდიქცია ვრცელდებოდა მის მომცველ ადგილობრივ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებზე, ესენი იყვნენ თავის დროზე რომაული პროვინციები, შემდეგ ბიზანტიური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულები.

საქართველოშიც აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა აფხაზთა სამეფოს ფარგლებში, მცხეთისა – დანარჩენი საქართველოს ფარგლებში.

ვალაშკერტის სამამამთავროს, ანუ ვალაშკერტის „სამიტროპოლიტო ოლქის“ იურისდიქცია, ჩანს, ვრცელდებოდა ტაოს სამეფოს (იმიერტაოს) ფარგლებში. ტაოს სამეფო თავდაპირველად მოიცავდა იმიერტაოს. შემდგომ, დავით კურაპალატის დროს, მას მიუერთდა ვრცელი მიწები; ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“, გადაჭიმული თითქმის ვანის ტბამდე. მაშასადამე, ამ მიწა-წყლისმომცველი **„ტაოს სამეფო“ იყო ვალაშკერტის „მამამთავრის“ იურისდიქციის ქვეშ.**

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს ეკლესიაში იყო იმდენი საკათალიკოსო ერთეული, რამდენი პოლიტიკური ერთეული ანუ „სამეფოც“ არსებობდა ქვეყანაში, თუმცა კახეთის სამეფოს შიგნით არსებობდა თუ არა ასეთი „სამიტროპოლიტო“ ჩვენთვის უცნობია, აქ შეიძლება იყოს გამონაკლისი, რადგანაც კახეთს თავდაპირველად ქორეპისკოპოსები მართავდნენ ვითარცა საერო-საეკლესიო ხელისუფალნი, ქორეპისკოპოსები კი მცხეთელი კათალიკოსის ხელქვეითები იყვნენ. ჩანს, კახეთის საქორეპისკოპოსო ძველი ქართლის სამეფოს საეკლესიო იურისდიქციაში იყო. აფხაზეთში, ვითარცა თავისთავად სამეფოში, საეკლესიო იურისდიქციას ადგილობრივი მიტროპოლიტი, ანუ კათალიკოსი ახორციელებდა. აფხაზეთის გარეთ მსგავსი პოლიტიკური ერთეულები, როგორც ითქვა, იყო ქართლისა და ტაოს სამეფოები. მაშასადამე, ჩვენი აზრით, ტაოს საზღვრებში ჩამოყალიბდა ტაოს ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული – ტაოს სამამამთავრო (ტაო-ვალაშკერტის), რომლის იურისდიქცია თითქმის ვანის ტბამდე განივრცო.

„ნათესავით ქართველნი“ (გრიგოლ ბაკურიანის ძე)

რუსეთის აკადემიის ამ საიტზე, გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ ნათქვამია, რომ ის დაიბადა სომეხ დიდებულთა ოჯახში, და შესაბამისად, სომეხი იყო, ესაა სიცრუე და მისი ოჯახის შესახებ წყაროს გაყალბება, რადგანაც თვით გრიგოლის მიერ შედგენილი ტიპიკონით, ის იბერ დიდებულთა ოჯახში დაიბადა, იყო ეთნიკური ქართველი და თავისი ერის მიმართ უმეტეს სიყვარულს გამოხატავდა.

Григорий Бакуриани – (на армянском: Գրիգոր Բակուրյան, на греческом: Γρηγόριος Παχουράνος) армянин халкедонит [1][2][3], армянский и грузинский политический деятель[4][5], византийский военачальник, умерший в 1086. Биография Он родился в благородной армянской семье … *Википедия*

https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/420222#.D0.91.D0.B8.D0.BE.D0.B3.D1.80.D0.B0.D1.84.D0.B8.D1.8F

მიუხედავად საერთაშორისო საინტერნეტო სივრცეში გავრცელებული მსგავსი არასწორიი მტკიცებისა, მაინც, ფაქტობრივად, არაა ქართული საისტორიო საზოგადოების მხრიდან სათანადო რეაქცია, თუმცა კი არის ადგილობრივ დონეზე, უფრო მინიშნებითი, ვიდრე პირდაპირი პასუხით.

ბაკურიანთა დიდი ოჯახი საუკუნეთა მანძილზე სისხლს ღვრიდა და იბრძოდა იბერიისათვის, რათა ბიზანტიისაგან დაეხსნა.

იბერიაში მოსვლისას ბასილი კეისარმა ზავი შეკრა შიდა იბერიის მმართველთან და ბიზანტიაში მძევლებად **„წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, თევდრატე და ფერსი, ღვიძლი ძმები“** – წერს კედრენე (გეორგიკა, V, გვ. 45).

შემდეგში ცნობილი დიდებული, იბერიელი დიდგვაროვანი **გრიგოლი** შვილი იყო ერთ-ერთი ამ გადასახლებულისა, ამიტომაცაა – **ბაკურიანის ძე.**

გრიგოლი თვითონვე აღნიშნავს, თუ ვინ იყო ის – **„ვარ ღვიძლი შვილი ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთერისთავისა, წარმოშობით ვარ აღმოსავლეთის მხარეებიდან იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“** (გეორგიკა, V, გვ. 99).

თავის ეროვნული წარმომავლობის, თავისი ქართველობის შესახებ გრიგოლი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში აღნიშნავს – ჩვენ ვართ მამაცი ქართველები და გამოვლილი გვაქვს ყოველგვარი სამხედრო ცხოვრებაო – **„რომელნი ესე მკვიდრ ვართ მონასტერსა ამას შინა... ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი“.**

გრიგოლ ბაკურიანის ძე ამაყობდა თავისი ქართული წარმოშობით, ქართველებს მხნე ანუ მამაც ერს უწოდებდა, სამხედრო საქმეში დახელოვნებულს (შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ გრიგოლმა, მხედართმთავარმა, თავის მონასტერში შეკრიბა უკვე მოხუცებული (დემობილიზებული) ქართველი ჯარისკაცები, რომელთაც ბერობა გადაწყვიტეს).

თანამედროვე სომეხი მეცნიერები გრიგოლს ეთნიკურ სომხად მიიჩნევენ, რომელსაც, თითქოსდა, „ნათესავით ქართველი“ მართლმადიდებლობის გამო ერქვა.

პეტრიწონის ტიპიკონში, ისევე, როგორც ყველგან, სიტყვა „ნათესავი“ ეროვნულ ვინაობას, ეთნიკურ წარმომავლობას აღნიშნავს და არა სარწმუნოებრივ ორიენტაციას.

გრიგოლი წერს – „**ვართ ქართველნი ნათესავით მხნენი**“. ის მხნე ანუ გმირული, ჰეროიკული სულისკვეთების მქონე ერის, „ქართველთა ნათესავის“ წევრია და არა **ჰეროიკული კონფესიისა**. კონფესიას „მხნეს“ არავინ უწოდებს, რაც შეეხება ერებს, ზოგი ჰეროიკული, მეომრული სულისკვეთებისაა, ზოგი კი არა.

ვ. კოპალიანი აღნიშნავს, რომ გრიგოლს (მაშასადამე, ასევე თევდრატეს, ფერსს, ბაკურიანს, ზაქარია ვალაშკერტელსა და სხვებს) ქართველად მიიჩნევდნენ თვით მათი თანამედროვე სომეხი ავტორები – სტეფანოზ ტარნელი, მათე ედესელი, არისტაკეს ლასტივერტეცი (ის გრიგოლის ნათესავ ზაქარია ვალაშკერტელს „ქართველს“ უწოდებს), სხვა ავტორებიდან იაჰია ანტიოქიელი, სკილიცე, კედრენე და სხვები (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 307).

ანა კომნენე გრიგოლს სომეხს უწოდებს, ჩანს, იმის გამო, რომ გრიგოლის მამულს – ტაოს, ბასიანს, ვანანდს თუ კარინს ზოგადად „არმენიის“ ოლქებად მიიჩნევდნენ უკვე მას შემდეგ, რაც პარიადრე, ხორძენა და გოგარენა არმენიის მეფეებმა იბერებისაგან მიიტაცეს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე. გრიგოლი იმ იბერთა ღირსეული შთამომავალი იყო, რომელნიც უკვე არმენიად წოდებულ რეგიონში ცხოვრობდნენ.

გრიგოლის ოჯახის ყველა წევრი საქართველოსათვის თავდადებული იყო.

ერთ-ერთი იყო ბიზანტიაში გადასახლებული ფერის ჯოჯიკის ძე, ის ცდილობდა როგორმე ჩამოეშორებინა საიმპერატორო ტახტიდან ბასილი, რომელმაც დაიპყრო სამხრეთ ტაო და მოსპო იქ ქართული სახელმწიფოებრიობა. ფერისს უნარი შესწევდა და შეძლო კიდეც ბასილის საწინააღმდეგო დიდ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ის მართლაც აჯანყდა. გრიგოლის ბიძას, ფერის ჯოჯიკის ძეს სამშობლოსათვის თავგანწირვის გამო „თავი წარეკვეთა“ ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, დაახლოებით 1022 წელს, ფერის ჯოჯიკის ძე ბასილმა დაასჯევინა თავის საკუთარ მამულთან ახლოს კარინის ქვეყანაში. აჯანყება ისეთი დიდი მასშტაბის იყო, რომ ბასილის სამხედრო ბანაკი „შიშმა და ძრწოლამ მოიცვა“.

1025 წელს სამშობლოს გასათავისუფლებლად მოწყობილ სხვა აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასაჯეს გრიგოლის ოჯახის წევრი ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი. თავის მხრივ, ის იყო ასევე იბერიის თავისუფლებისათვის დასჯილი – „თევდრატე პატრიკიოსის ნათესავი“. ამავე ოჯახიდან იყვნენ თევდრატეს ძმისშვილები, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შემდგომში აჯანყებული ცნობილი პირები გიორგი და ვარაზვაჩე. თევდრატეს, როგორც ვიცით, ორი ძმა ჰყავდა – ბაკურიანი და ფერისი, ბაკურიანის შვილების სახელები ცნობილია, ამიტომაც ფიქრობს ვ. კოპალიანი „იქნებ

ფერსის შვილები არიან გიორგი და ვარაზვაჩე“ (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 174).

იმპერატორი რომანოზ არგვიროსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, კედრენეს სიტყვით, 1028 წ. „თეოდოსი პატრიკის ძმისშვილები გიორგი და ვარაზვაჩე გაროზგეს და სახალხოდ გამოყვანილნი გადაასახლეს“ (იქვე, გვ. 172).

კოპალიანი ეთანხმება ნ. სკაბალანოვიჩს და მიიჩნევს, რომ კონსტანტინე VIII-ს მიერ დასჯილი ზაქარია ვალაშკერტელი ნათესავი უნდა ყოფილიყო გიორგისა და ვარაზვაჩესი.

აღსანიშნავია, რომ რომანოზის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასაჯეს აგრეთვე მესამე წინამძღვარი ივერთა მონასტრისა გიორგი მაშენებელი (გიორგი უკეთური). კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ზემოთ აღნიშნულ გიორგი და ვარაზვაჩე არა ორი, არამედ ერთი პირი იყვნენ, იგივე გიორგი მაშენებელი, რასაც არ ეთანხმებიან სხვა მკვლევრები, რადგანაც მათ მიიჩნევენ არა სასულიერო, არამედ საერო პირებად.

იბერიის თავისუფლების ძიებისათვის ასე დაისაჯნენ მრავალგზის აჯანყებული სახელოვანი ქართველი დიდებულები, გრიგოლის ნათესავები.

დაპყრობის შემდგომ ბიზანტიამ ვერ უპატრონა და მტრისაგან ვერ დაიცვა სამხრეთ იბერია.

პირიქით, „მხნე იბერიელთა“ დამარცხებამ თურქ-სელჯუკებს გზა გაუხსნა კონსტანტინოპოლისაკენ.

სამხრეთ ტაოს სამეფოს ყოფილი მიწა-წყალის აოხრებით მტერს გზა გაეხსნა ტრაპეზუნტისა და ბიზანტიის სიღრმეებისაკენ.

ასეთ დროს, ჩანს, ბიზანტიაში მაღალი თანამდებობის ქართველები ცდილობდნენ დაეთანხმებინათ საიმპერატორო კარი, რათა კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებულიყო სამხრეთ იბერიის ნაწილი მაინც.

ერთი ასეთი მოღვაწე ყოფილა **გრიგოლ ბაკურიანის ძე**, რომელიც პირადად ეახლა ბანაში საქართველოს მეფე გიორგი II-ს და მას ბიზანტიის სახელით გადაეცა ქალაქი კარი (ყარსი).

მემატიანის ცნობით, **გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელში ყოფილა იმჟამად ოლთისი (სამხრეთ ტაოს ყოფილი დედაქალაქი) და ასევე არზრუმი (კარნუ ქალაქი).**

გიორგი II-ს კარი (ყარსი) გადაეცა მისი მიმდგომი ქვეყნით ანუ ვანანდით.

უფრო ადრე, დავით კურაპალატის ეპოქაში, ქართველთა სამეფო საოცარი სისწრაფით გაიზარდა, მისი საზღვრები თითქმის ვანის ტბამდე გადაიწია, როგორც ითქვა, ეს შეუძლებელი იქნებოდა ევფრატის სათავეებისა და ვანის ტბის დასავლეთით მცხოვრები მოსახლეობა რომ არ ყოფილიყო ეთნიკური ქართველობა, რომელთაც სურდათ და ნატრობდნენ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებას.

ქართველების რიცხვი აღნიშნულ რეგიონებში ძალზე დიდი რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ამ მოვლენის ახსნას ჩვენი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები იმით უძებნიან, რომ ისინი ე.წ. „ქალკედონიტი სომხები“ იყვნენ, რომელნიც, თითქოსდა, „გაქართველდნენ“. სინამდვილეში კი, ისინი იყვნენ

პირდაპირი შთამომავალნი ფასიანების, ქალდებისა და ტაოხების იმ ქართული ტომებისა, რომელნიც ქსენოფონტემ ამ ადგილებში იხილა ქრისტეშობამდე 400 წლით ადრე და რომელთა ეროვნულ-ეთნიკური ქართული იდენტობა მკვეთრად გამოიკვეთა დავით კურაპალატის ეპოქაში, რაც გრიგოლ ბაკურიანის დროსაც გრძელდებოდა.

ქართული საეპისკოპოსოები ყოფილი მესხეთის მიწებზე

(XII-XVI ს. „ქრონიკების“ მიხედვით)

სამხრეთ იბერიის დიდმა ნაწილმა XI-XII სს-ში შეძლო იმ დიდი ჭრილობების მოშუშება, რომელიც მიადგა ბიზანტიის იმპერატორებისა და თურქ-სელჯუკების შემოსევათა შემდეგ. ქართველობა კვლავ გამრავლდა და მრავალი საეპისკოპოსო ჩამოაყალიბა. საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით ესენია:

1. „**იშხნელის** სამწყსო გურჯიბოლაზის აქეთ სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯის თავი (საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი), დაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძეო-საკავკასი(ძ)ო, ისპირი, ტრაპიზონის მთის გადმოღმა.

2. **ანჩელის** სამწყსო, სამწყალს აქეთი ხანცხას (ხანცთას) და ოპიზას შუა დახატულა, ამის ქვემოთი ნიგლის-ხევი, გადაღმა და გამოღმართი, გონიის სამძღურამდინ.

3. **მტბევარის** სამწყსო, დახატულას ზედათი, ანკერთს აქეთი, სულა შავშეთი, მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოსის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა.

4. **წურწყაბელის** სამწყსო, ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხევი, ხერთვისის ქვეითი, – მისია.

5. **წყاროსთველის** სამწყსო, ზევთი, და იმას ზეით პალაკაციო კოლის სამძღვრამდინ, მტკუარს აქეთი არტანი.

6. **ერუშნელის** სამწყსო, ტალაშოს ზეითი, სულა არტანა, კოლის სამძღვრამდინ.

7. **ვალაშკერტელის** სამწყსო, ყაზევანს ზეითი, ვალაშკეთის აქათ, ხინუსი და დევაბონის აქეთი (თ. ჟორდანიას შენიშვნა – ხინუსი – ბაიბურთის ახლოს).

8. **ანელი**ს სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირვოინი და ბაღასბერეთი.

9. **კარელის** სამწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოღმა ggეჩვიანი და კაღზევანი.

10. **ბანელის** სამწყსო სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნამურაკანი.

11. **დადაშნელის** სამწყსო სულა კოლა და ხორტევანი, ყარასალზედ მიდგომამდინ.

ამ ეპისკოპოსთა მწყემსი და უპირატესი საქართველოს კათალიკოსი ამის ხელათ ყოფილან“ (ქრონიკები, II, 1897, გვ. 53-54).

ყოფილი იბერიის თემის მემკვიდრე ქართული საეპისკოპოსოები (XIV–XVII სს.)

ყოფილი „იბერიის თემის“ ქართველობა აირარატში, შირაკში, ვანანდში, ტაოსა, კოლასა და არტაანში XIV-XV საუკუნეებში კვლავ აღორძინდა და ეკლესიურად მრავალი ქართული საეპისკოპოსო დაარსდა ამ მხარეებში, კერძოდ, XIV-XV საუკუნეების ხელნაწერის მიხედვით ესენი იყო – ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით – ყოფილ იბერიის თემში, ისტორიულ არიან-ქართლის მიწაზე:

1. აირარატში **ვალაშკერტის** ქართული საეპისკოპოსო. მისი საზღვრები იყო – „ყაღზევანს ზევით, ვალაშკეთს აქეთ ხინური, დევაბოინის აქეთი;

2. შირაკში – **ანელი** – ანისის ქართული საეპისკოპოსოს საზღვრები იყო: „სულა ზირიშტიანი და შირავონი და მაღასბერეთი“;

3. ვანანდში **კარელი** (ყარსის) ქართული საეპისკოპოსოს სამწყსო იყო: „სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი“;

4. ტაოში **ბანელი** ეპისკოპოსის სამწყსო იყო ფანასკერტი, პარიზის ხეობა, ოლთისის ქვეყანა და ნარუმაკანი;

5. კოლაში **დადაშნელი** ეპისკოპოსის – „კოლა, ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდი“;

6. არტაანში **ერუშნელი** ეპისკოპოსისა – არტაანი ტალოშიდან კოლას საზღვრამდე;

7. პალაკაციოში **წყاროსთაველისა** – პალაკაციოს ტბიდან არტაანი კოლამდე.

ქართველთა მკვიდრობას და ძირეულობას ყოფილ „იბერიის თემში“ მიუთითებს ის, რომ მიუხედავად მტრების გამანადგურუბელი შემოსევებისა **კარინის (არზუმის), თორთომის, ტაოს, ვანანდის (კარის), ბასიანისა და მიმდებარე მხარეების კუთხეებში ტრაპიზონიდან – ვანის ტბამდე (ვალაშკერტი) ქართული საეპისკოპოსოები უწყვეტად არსებობდა XV- XVII საუკუნეშიც კი. აღნიშნულთა გარდა** მ. თამარაშვილის ცნობით სხვებიც არსებობდა:

ა) ა. ლამბერტის ცნობით ქართული საეპისკოპოსო XVII საუკუნეში მდ. **ევფრატთან** იყო, მისი საკათედრო ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა ყოფილა, „არქანჯელო ლამბერტი 1633-1653 წლებში წერდა: „**არზრუმის** ქალაქის მახლობლად ახლაც ქართული სოფლებია. თვით ამ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი – არზრუმელად წოდებული“ („მოამბე“, 1900, 4).

ბ) **ართვინშიც** იყო ქართული საეპისკოპოსო, მისი საკათედრო ტაძარი მოციქულ ბართლომეს სახელზე ყოფილა ნაკურთხი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთში სამხრეთ საქართველოს განმანათლებლად მოციქული ბართლომე მიაჩნდათ.

გ) **სპერშიც** იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მისი მთავარი ტაძარი მოციქულ ანდრიას სახელობის იყო.

დ) განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ XVII საუკუნეში **არზრუმში და მის რეგიონში, ჩანს, მეორე ქართველი ეპისკოპოსიც იჯდა**, მისი ტაძარი მოციქულ თომას სახელობის იყო.

ე) **ოლთისში,** რომელსაც სომხები უხტიკს უწოდებდნენ, ამავე საუკუნეში კვლავ იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მისი ტაძარი მოციქულ პეტრეს სახელს ატარებდა.

ვ) ა. ლამბერტის ცნობით მის დროს საეპისკოპოსოები იყო **ერუშეთში**, **კუმურდოში, იშხანში, დადაშენში, კარში (ყარსში), ანისში (ანში), ტბეთში**. ის ჩამოთვლის ასევე ამავე რეგიონის სხვა საეპისკოპოსოებს, რომელთა სახელები დამახინჯებულია, ესენი იყო **სხალტელი, აზიკიელი, ანჟელი, სხალტბელი, წურწყაბელი, ისემელი** და სხვა (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 469). ცხადია, ყველა ისინი სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შევიდა, ზოგი კი მის გარეთ იყო. ერთი სიტყვით, იმ მიწა-წყალზე, რომელიც XI ს-ში „იბერიის თემად“ იწოდებოდა, ჩანს, სხალთელი, აძიკველი, სხალტბელი, წურწყაბელი.

ა. ლამბერტის ცნობით გურიაში **ნინოწმიდელი** ეპისკოპოსი მჯდარა, თუმცა აქ ალბათ ხონოწმიდელს გულისხმობდა.

ა. ლამბერტი საქართველოში იმყოფებოდა 1630-1649 წლებში. მის გარდა გელასი კესარიელიც წერს, რომ წმიდა ნინოს მიერ და მის დროს იბერიელებმა და ლაზებმა ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა, მას ეთანხმება მოვსეს ხორენელი, რომელიც წერს, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან – მასქუთებამდე“. XVII ს-ში დევნილი ლაზიკის იერარქები წერდნენ, რომ ლაზეთში ივერთა განმანათლებლის სახელობის ეკლესიაც იყო. ლაზთა მიტროპოლიტი ივერთა განმანათლებელს ლაზეთის განმანათლებლადაც მიიჩნევდა, თუმცა იქ მოციქულების ბართლომესა და ანდრიას ავტორიტეტი ძალზე მაღალი იყო, რადგანაც მათ მოუვლიათ ეს მხარეები. ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობით, წმიდა ნინოს ოფ-რიზეს კათედრა დაუარსებია.

უნდა ითქვას ისიც, რომ ივერიის თემის დაარსებამდეც. კონსტანტინოპოლი აკონტროლებდა ნაწილობრივ ტაოსაც, ეს იქიდან ჩანს, რომ გიორგი I-ის სიკვდილისთანავე, როცა ძალზე მცირეწლოვანი ბაგრატ IV ტახტზე ავიდა, ამით ისარგებლეს ტაოელმა ორგულმა დიდებულებმა „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს, ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (მატიანე ქართლისა, გვ. 254).

ეს წასვლა გულისხმობდა იმას, რომ ციხესიმაგრეთა მქონე აზნაურები ამ თავიანთ ქონებასა და მიწა-წყალს აძლევდნენ იმპერატორს, სანაცვლოდ კი მისგან იღებდნენ მამულებს იმპერიის შიდა პროვინციებში.

მათ შორის ყოფილა ბანელი ეპისკოპოსი იოანეც.

მისი წასვლა გულისხმობდა თუ არა ბანას ტაძრისა და მისი ეპარქიის გადაცემას იმპერიისათვის ეს გაურკვეველია, ეს მომხდარა 1027-1028 წლებში.

ბანას ტაძარში, თითქმის მალევე, ჯვარი თვით მეფეს ბაგრატ IV-ს დაუწერია. ბაგრატს იქ სამეფო გვირგვინი დაუდგამს.

თუ ბანა მართლაც „წაღებული“ იყო ანუ თუ ის ბიზანტიის საეკლესიო იურისდიქციაში გადაიყვანეს, ის მალევე უკან დაუბრუნებიათ ქართველებისათვის, უკანვე დაუბრუნებიათ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციაში. იმპერატორის ნათესავი ელენე დედოფალი ბაგრატ IV-ს მიათხოვეს, ქორწილი და გვირგვინის კურთხევა აღსრულდა ბანას დიდებულ ტაძარში 1029-1030 წლებში.

ბანას და ვალაშკერტის კათედრები სწორედ ამ ეპოქაში, ბიზანტია-საქართველოს ომიანობის დროს გაერთიანებული ყოფილა და მას ერთი მღვდელმთავარი ზაქარია ვალაშკერტელი, იგივე ბანელი მართავდა, თუკი ზაქარია ნამდვილად იყო ბანელი სვინგელოზი.

ვალაშკერტი, როგორც ითქვა, დიდ საერთაშორისო გზაზე იდგა. საფიქრებელია, რომ ბასიანში გიორგი I-სა და ბასილი II-ს ჯარებს შორის შებრძოლება აღნიშნული გზის კონტროლის მოსაპოვებლადაც მოხდა (არშარუნიქის გავარის პუნქტ შღფაში, მატიანე ქართლისაის შირიმნში). სავაჭრო გზა დიდი შემოსავლის წყარო იყო ქართველთათვის, ბიზანტიელებისათვის კი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ბასილი II სპარსეთის მიმართულებით აფართოებდა თავის იმპერიას.

სომეხი ქალკედონიტების ენა

ბიზანტიის იმპერიაში სომეხ-ქალკედონიტთა მონასტრებსა და ეკლესიებში წირვა-ლოცვა და საერთოდ ღვთისმსახურება მიმდინარეობდა სომხურ ენაზე. ამის შესახებ არსებობს წყაროები. მაგალითად, წმიდა საბა განწმედილის მონასტერში, რომელიც სომხეთიდან შორს, ანტიოქიაში მდებარეობდა, ღვთისმსახურების ენად სომხებისათვის სომხური იყო ნებადართული.

სომეხი-ქალკედონიტები სომხეთის პატრიოტები იყვნენ და მათთვის ძალზე ძვირფასი იყო ეროვნული კულტურა და სომხური ეკლესიის ტრადიციები. ამიტომაც მტკიცება მათი ე.წ. „გაქართველებისა“ მათი პატრიოტიზმის შეუფასებლობაა.

„გაქართველების“ თეორია მხოლოდ პოლიტიკური მიზნით ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში სომხური ნაციონალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის შესახებ თვით სომეხი ავტორები წერენ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“:

„**სომეხი ქალკედონიტები თვითონ თავიანთ თავს თვლიდნენ სააკ პართევის, მესროპ მაშტოცის და ნერსე დიდის მემკვიდრეებად** (და არა ფარნავაზისა, კირიონისა და გრიგოლ ხანძთელისა, მიტრ. ანანია). **სომხური ენა**

სომეხ-ქალკედონიტთა საღვთისმსახურო ენა იყო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი შეკედლებულნი იყვნენ ბერძნულ მონასტრებს (მაშ როგორ-ღა ხდებოდა მათი „გაქართველება“? მიტრ. ანანია), **მაგალითად, „სომეხთა საქმეების მოთხრობების“ თანახმად, VI საუკუნეში საბა განწმედილის მონასტერში სომხებს ნებას რთავდნენ ღვთისმსახურება მშობლიურ ენა-ზე ჰქონოდათ, იმის შემდეგაც კი, რაც სომხეთში გაიმარჯვა ანტიქალ-კედონურმა მიმართულებამ, სომეხი-ქალკედონიტები მაინც ინარჩუნებ-დნენ მშობლიურ ენას და მას იყენებდნენ სამისიონერო მიზნებისათვის** (ამის შედეგად შეძლეს მათ VI-VII სს-ში ტაოსა და სხვა ქართულ თავისუფლე-ბადაკარგულ ოლქებში გაბატონება და იშხნის კათედრის დაარსება ქართ-ველ-ქალკედონიტთა შორის. მიტრ. ანანია). **მაგალითად, იოსები, კონსტან-ტინოპოლის მართლმადიდებლური სომხური თემის წევრი, რომელმაც კონსტანტინოპოლშივე შეისწავლა სომხური ენა და მწიგნობრობა, 991წ. თარგმნა ბერძნულიდან მოკლე წლიური სვინაქსარი კონსტანტინოპო-ლის ეკლესიისა, რომელიც მან შეავსო სომხური წყაროების ცნობებით და გაგზავნა სომხეთში. სომეხ-ქალკედონიტთა წრეებიდან გამოვიდა ასევე ბერძნულიდან გამომავალი თვენი XI ს-სა, სომეხი-ქალკედონიტები მონაწილეობდნენ სომხური ლიტერატურის შესწავლასა და განვითარე-ბაში“**, – წერს პრავოსლავნაია ენციკლოპედიის სტატიაში ვ. არუთინოვა-ფი-დანიანი (პრავოსლავნაია ენც. ტ. III, 2001, გვ. 328).

აღსანიშნავია, რომ ქართულადაც ითარგმნებოდა სომეხ-ქალკედონიტ-თა მდიდარი სომხურენოვანი ლიტერატურა, ასევე სომეხ-ქალკედონიტთა დოგმატურ-საღვთისმეტყველო პოლემიკური ტრაქტატების შემცველი წიგ-ნებიც (ითარგმნებოდა ქართულ ენაზე) (იქვე, გვ. 328). სომხურ-ქალკედო-ნური აგიოგრაფიული, ეგზეგეტიკური და ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულად თარგმნა მიმდინარეობდა როგორც V-VIII, ისე IX-X სს-შიც (იქვე, გვ. 328).

ქართულთან შედარებით, სომხურ-ქალკედონიტური ლიტერატურა სიღ-რმითა და სისავსით გამოირჩეოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბერძნული და სირიული ქალკედონური ტექსტები სომხურ ენაზე ძველთაგანვე ფუნდამენ-ტურად იყო გადმოღებული.

ათონის მთის ბერები აღნიშნავდნენ კიდეც, თუ რა მწირად მიაჩნდათ თა-ვიანთი ეპოქის მშობლიური ლიტერატურა და იღწვოდნენ ეთარგმნათ სხვა-დასხვა ენიდან.

არმენიის იბერიული ზოლის მოსახლეობის ერთი ნაწილი სომხურ-ქალ-კედონური ეკლესიის მრევლი იყო, მათი არმენიზაცია მიმდინარეობდა და არა ქართიზაცია.

აქედანაც ჩანს, რომ სომეხი ქალკედონიტები სომხებადვე დარჩნენ და შეუერთდნენ მათთვის მშობლიურ სომხურ ეკლესიას, ხოლო იმჟამინდელ სომხეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ყოველ გზას ეძებდნენ, რათა მშობლიურ ქართულ ეკლესიის წიაღს დაბრუნებოდნენ.

არაქსის ხეობისა და მისი მთიანეთის (შემდგომი აირარატის) არმენიზაცია

ლ. გუმილიოვი, როგორც აღინიშნა, მიიჩნევს, რომ არიან-ქართლი შესაძლოა **მე-18** სატრაპიაში მდებარეობდა და იქ (მე-18 სატრაპიაში) მცხოვრები ტომები – **ალაროდები (ურარტუელები), მატიენები (ხურიტები)** და **სასპერები** – არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდნენ ელინიზმის ეპოქაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლ. გუმილიოვს **მე-19** სატრაპიის ტომები **ხალიბები, მოსხები და ხალდები** – ერთ პროტოქართულ ეთნოსად მიაჩნია.

ჩვენი აზრით, **ქალდები და კოლხები ერთი ხალხი იყო**, რადგანაც ტერმინები „ქალდი“ და „კოლხი“ ერთი ეტიმოლოგიისაა, ამასთანავე, ქალდებისა და კოლხების განსახლების არეალები ერთმანეთს კვეთენ ისტორიულად. **სასპერებიც ლ. გუმილიოვს იბერებად მიაჩნია, რომელმაც არმენიზაცია განიცადა XVIII სატრაპიაში.**

მე-18 სატრაპია ძირითადად მოიცავდა ურარტუს ყოფილი სამეფოს ტერიტორიას, ვანის ტბისპირეთს, ურმიის ტბისკენ და ასევე არაქსის ხეობისკენ მიმართულ ტერიტორიებს. ურარტუს სამეფოს დაშლისთანავე მის როგორც სამხრეთით, ასევე ჩრდილოეთით – (არაქსის ხეობასთან) ფიქსირდებიან ქართული ტომები – **კარდუხები და ქალდები (ხალიბები).**

შესაბამისად, ჩამოყალიბდა თეორია, რომ **ქალდებიცა და კარდუხებიც ერთი ხალხი იყო**,

მიიჩნეოდა, რომ ქალდები (ხალდები) ერთ-ერთი ძირითადი მმართველი ტომი იყო ურარტუს სამეფოსი, რომლის ღმერთიც – ქალდუ (ხალდუ) ურარტუს უზენაეს ღვთაებად იწოდებოდა და, რომ, საერთოდ, ურარტუს უნდა ეწოდოს ქალდუს ქვეყანა. ამ თეორიის საფუძველზე XIX ს-ში ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა კიდეც, რომ ურარტუელები ქართველთა წინაპრები იყვნენ.

ეს თეორია XX საუკუნეში უკუგდებულ იქნა და ამჟამად შეცდომად მიიჩნევა. ძირითადად ეს თეორია უარყოფილ იქნა სომეხი მეცნიერების კვლევების საფუძველზე, რომელთაც შემდგომში ჰაიასას (და არა ქალდუს) ქვეყნად დასახეს ურარტუ.

მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუკი ურარტუში ქალდების ტომი არ ცხოვრობდა, მისი ნგრევისთანავე როგორ აღმოჩნდა როგორც მის ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში ტომები „ქალდ“ სახელწოდებით (ქალდები და კარდუხები)? ეს კითხვა უპასუხოა, ანდა პოლიტიზირებული.

ნ. ადონცი მიიჩნევდა, როგორც აღინიშნა, რომ ურარტუს მთიანეთი არაქსისპირეთთან ერთად ქართული ტომების საცხოვრისი იყო, რომელიც შემდგომში შუაზე გაიკვეთა სომხური ტომების მიერ, ამიტომაც **ჩრდილოეთში ქალდები**, **სამხრეთში კი კარდუხები აღმოჩნდნენ.**

საერთოდ ურარტუელი **ალაროდების**, **სასპერებისა** და **მატიენების** არმენიზაციის პროცესი დაიწყო და დიდხანს გაგრძელდა. ახლა არის მცდელობა და უამრავი გამოკვლევა კეთდება იმის სამტკიცებლად, რომ **მატიენე-**

ბი და **მუშქებიც** კი, თითქოსდა, პროტოსომხური ტომები იყვნენ. ახლა ეს თვალსაზრისი მთლიანადაა გაზიარებული.

ახლა მუშქები პროტოსომხებად, ხოლო მოსხები – პროტოქართველებად მიიჩნევა.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ქართული ტომების არმენიზაცია ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე დაიწყო და შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა.

სტრაბონის ეპოქაში არაქსი ჯერ კიდევ ითვლებოდა საზღვრად იბერებსა და სომხებს შორის. ასევე, არაქსი ითვლებოდა საზღვრად იბერიასა და ბიზანტიას შორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში. XI ს-ში ბიზანტიამ არაქსისპირეთი „იბერიის თემს“ მიაკუთვნა.

ქრისტეშობამდე III საუკუნე იყო პერიოდი სელევკიდების ძლიერებისა, ანტიოქოს III-მ სამხრეთ კავკასიის ნაწილზეც კი თავისი გავლენა გაავრცელა.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ერამდე 190 წელს ანტიოქოს III რომაელებმა დაამარცხეს მაგნესიასთან, არმენიის აქტიურობა მაშინვე გაძლიერდა.

სტრაბონის ცნობით 189 წელს არმენიამ შექმნა საკუთარი პატარა სამეფო, რომლის მეფე იყო არტაშეს I (იქამდე არმენიის სელევკიდის სტრატეგი), მისი მამა იყო ცნობილი **ზარიადრე**. ამავე დროს სოფენაში აღდგა სამეფო, რომელსაც **სხვა ზარიადრე** მართავდა (ასევე ყოფილი სელევკიდის სტრატეგი), რომელიც ის ზარიადრე უნდა იყოს, **არტაქსიასთან** ერთად იბერებს რომ წაართვა ვრცელი მიწა-წყალი **პარიადრეს კალთებიდან, ხორძენასა და გოგარენას** ჩათვლით.

ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული სომხური სამეფოები ჩამოყალიბდა იბერიელთა მიწებზე.

უფრო ადრეც იბერიელთა მიწების ნაწილი ყოფილი ერვანდიდების სამფლობელოში შედიოდა.

აღნიშნული არტაშესის სამეფო მოიცავდა არარატის დაბლობს შუა არაქსზე, ესეც ერთ-ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო იბერების იმ მიწა-წყლისა, რომელიც, სტრაბონის ცნობით ზარიადრემ და არტაქსიამ წაართვეს იბერებს. მაშასადამე, როგორც ჩანს, არარატის ხეობა შედიოდა ხორძენას ხეობაში, რომელიც სტრაბონისავე ცნობიდან გამომდინარე, მდებარეობდა პარიადრესა და გოგარენას შუა, გოგარენა კი მტკვრის იქით იყო. მაშასადამე, ხორძენა მოქცეული იყო პარიადრესა და მტკვარს შუა. გოგარენას ადგილმდებარეობის შესახებ სტრაბონი თავისი შრომის ორ ადგილას იძლევა ერთსა და იმავე ცნობას, პირველის მიხედვით გოგარენა მდებარეობდა არაქსის ნაყოფიერი ხეობის ბოლოს, საკასენას იქით – მტკვრის მეორე სანაპიროზე ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მეორე ცნობაშიც სტრაბონი წერს, რომ გოგარენა მტკვრის იქით, ანუ მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. რაც შეეხება ხორძენას, ის გოგარენასა და პარიადრეს შუა, მთიან-თოვლიან რეგიონში იყო. მაშასადამე, მტკვარსა და პარიადრეს შუა, აქედან ჩანს, რომ ხორძენა ერქვა არაქსისპირა, მის ჩრდილოეთ მთიანეთს, მტკვარ-არაქსის ხეობათა გამყოფ მთიან ზოლს, გადაშლილს პარიადრედან მტკვრამდე (და

არა კლარჯეთთან მდებარე მცირე ტერიტორიას, როგორც ამჟამად მიიჩნევა). თუ ასე იყო, მაშინ არაქსის ხეობის მთიანეთი (ჩრდილოეთ მთიანეთი) იბერებს მხოლოდ ძვ. წ. 188 წელს დაუკარგავთ.

სტრაბონის ცნობა, რომ გოგარენა „მტკვრის იქით“ მდებარეობდა ამჟამად უგულებელყოფილია, ანდა მიიჩნევა, რომ აქ მტკვრის ქვეშ იგულისხმება მისი მონაკვეთი სათავესთან, მაგრამ სტრაბონი გარკვევით ამბობს, რომ გოგარენა „მტკვრის იქით“ მდებარეობდა.

აქ მტკვრის ქვეშ იგულისხმება არა მტკვრის სათავე, არამედ შემდგომი ხუნანის ქვემოთ მტკვრის მონაკვეთი არცახთან. **მტკვრის ამ მონაკვეთის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა გოგარენა, ქართული წყაროები მას** (ამ რეგიონს) **ჰერეთს უწოდებდნენ**. მაშასადამე, პარიადრედან გოგარენამდე ანუ ჰერეთამდე ხორძენა იყო. შესაბამისად, არაქსი (მისი ნაწილი) უნდა ყოფილიყო იბერებით დასახლებული.

მდინარე არაქსზე არტაშესს აუგია თავისი პირველი დედაქალაქი არტაშატი, აირარატის სამეფოს ძირითადი ნაწილი აქ იყო, აქ მრავალ ქალაქს ერქვა ზარიადრეს სახელი, ანუ იმ პირის, რომელმაც იბერებს ხორძენა წაართვა პარიადრესა და გოგარენასთან ერთად.

არტაშეს I-მა, ზარიადრეს მამამ, გააფართოვა თავისი სამფლობელო იმ ოლქების ხარჯზე, რომელნიც ადრე ატროპატენასა და ივერიას ეკუთვნოდა, გუმილიოვი წერს, რომ **მისი სამფლობელო გასცდა იმ ტერიტორიას, რომელზეც სომხურეონოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა**.

მისი მითითებით მოკლეს ივერიის მეფე, ფარნავაზის მემკვიდრე და ტახტზე სომეხი უფლისწული აიყვანეს, შემდგომ არტაშესმა კიდევ უფრო გაფართოვა თავისი საზღვრები დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით.

არტაშეს I-ის სიკვდილის შემდეგ დაიწყო პართია-არმენიის ომები, პართიამ თავისი გავლენა გაავრცელა ატროპატენასაკენ, მართალია, ის იყო სუსტი სამეფო, მაგრამ შეძლო სომხეთთან გამარჯვება და მძევლად წაიყვანა მეფის ძე ტიგრანი.

ის მალევე გათავისუფლდა და ქრისტეშობამდე 95 წელს ტიგრან II დიდის სახელით ავიდა არმენიის ტახტზე, მან სომხეთს შეუერთა ატროპატენაში ცნობილი 70 უხვმოსავლიანი ველი (ალბათ,არაქსის ხეობაში) და შემდგომ შეიერთა სოფენა.

ტიგრანი დაუზავდა მითრიდატეს, პონტოს მეფეს, შეირთო ცოლად მისი ქალიშვილი. მოლაპარაკების შემდგომ მათ შუაზე გაიყვეს კაპადოკია.

ტიგრანმა შეიერთა ასევე სირია და ფინიკია.

კაპადოკია, მოვსეს ხორენაცის ცნობით, იბერებით იყო დასახლებული, ის წერს, რომ კაპადოკიის მთავარი ქალაქი მაზაკა ექვემდებარებოდა იმ მთავარს, რომელიც პონტოსპირეთში მცხოვრები იბერების მმართველად დაადგინა სამხრეთის მეფემ, შესაბამისად, პონტოსპირეთი და კაპადოკიაც იბერებით იყო დასახლებული, თავის მხრივ აქ იბერები გადმოუსახლებია ნაბუქოდონოსორს.

არმენიის გაძლიერება ტიგრან II-ის დროს, გუმილიოვის აზრით, გამოუწვევია იმ ფაქტს, რომ რომი და პართია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო

გახვეული, ამ ომების დამთავრებისთანავე ტიგრანის სამეფოს სტაბილურობა შეირყა. ტიგრანის სამეფო იყო არამდგრადი, არამყარი, დროებითი და შემთხვევითი პოლიტიკური მოვლენა, ტიგრანის არმენიას ძალა არ შესწევდა დაპყრობილი ხალხის დამორჩილებისა, შესაბამისად, ჩანს, მან გადაწყვიტა სახელმწიფოს შემოსავლის მთავარ წყაროდ ექცია სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების, ქალაქების გამრავლება.

ტიგრანმა დააფუძნა ახალი დედაქალაქი ტიგრანაკერტი, ალზის ოლქში. ეს ოლქი ისტორიულად მუშქებით იყო დასახლებული და ძველი მესხების საცხოვრებელს წარმოადგენდა, ამიტომაც ერთ-ერთი ანტიკური ცნობის თანახმად, ტიგრანმა თავისი ქალაქი დააფუძნა იბერიასა და ზევგმას შორის. ჩანს, მესხებით დასახლებული ალზის ოლქი და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები იბერების მიწა-წყლად მიიჩნეოდა. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მთელი ეს არეალი ვანის ტბისპირეთიდან და კარდუხებიდან ტრაპეზუნტამდე და ქალდებამდე იბერების – ქართველების ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნეოდა, რომელიც შუაზე გაკვეთეს არმენიულმა ტომებმა.

რომაელებთან დამარცხებული მითრიდატე გაიქცა ტიგრანთან, მას დაედევნა რომაელი სარდალი ლუკული და მიადგა ტიგრანაკერტს, ტიგრანაკერტის მოსახლეობა აჯანყდა სომხების წინააღმდეგ, რომაელებს დარჩათ ქალაქი და სამეფო საგანძური.

არმენიამ დაკარგა სირია, ფინიკია და მცირე აზიის ნაწილი, მაგრამ ძვ.წ. 68 წელს ლუკული დამარცხდა არტაშატთან არაქსზე, ხოლო მითრიდატე პონტოში დაბრუნდა.

ძვ.წ. 68 წელს პომპეუსმა მითრიდატე დაამარცხა და ტიგრანი დაუზავდა რომაელებს.

არტაშატიდან პომპეუსი გაემართა ივერიისაკენ, ვითარცა ტიგრანის მოკავშირისაკენ და შემდგომ ის, გუმილიოვის აზრით, ივერიიდან ფაზისისკენ უკან დაბრუნდა სურამის უღელტეხილის გზით. ჩვენი აზრით, პომპეუსი უკან დაბრუნდა არტაან-არტანუჯ-ჭოროხის სამდინარო გზით, რომლის შესართავთანაც (ამჟამინდელ გონიოსთან) მდებარეობდა ქალაქი ფაზისი, ფაზისთან პომპეუსს ელოდა რომაული ფლოტი, აქედანვე და ამავე გზით პომპეუსი ადვილად შევიდა უკან სომხეთში და სამხრეთის გავლით გაემართა ალბანეთში, სადაც უწყლო ბასკანის უდაბნოში კასპიის ზღვასთან ახლოს დაამარცხა ალბანელი ჯარი.

იბერია და ალბანეთი რომაელთა მოკავშირეებად იქცნენ. რომთან მეგობრობამ ორივე ეს სახელმწიფო გააძლიერა.

პომპეუსმა კოლხიდა გამოყო პონტოსგან და იქ დასვა ვინმე არისტარხი, რომლის მონეტებიც მოღწეულია, ამასთანავე, პონტოს ნაწილი და მცირე არმენია გადასცა გალატის (კელტ) ბელადს დეიოტარს.

ჩვენს ერამდე 55-34 წლებში არმენია და პართია შეკავშირდნენ რომის ჯარის მარცხის გამო. არმენია კვლავ გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით. ჩვენს ერამდე 36-34 წლებში რომისა და პართიის ომი გადაიზარდა

არმენიასთან ომში, რომს ესაჭიროებოდა მეზობელი სახელმწიფოების დახმარება.

არმენიისთვის იბრძოდა ანტონიუსი კლეოპატრას დახმარებით, ქალაქი არტაშატი დაანგრიეს, მეფეების შეცვლის შემდეგ (არტაშესი, ტიგრან III, ტიგრან IV, ერატო) ტიბერიუსმა არმენია გადასცა პონტოელ უფლისწულს და შემდეგ შეპირდნენ ივერიელ უფლისწულს.

არმენიისთვის იბრძოდნენ რომაელები, პართელები და იბერიელები, საბოლოოდ **ამ ასპარეზზე გაიმარჯვა იბერიამ.** იბერიელმა მეფეებმა **მითრიდატე I-მა და ფარსმან I-მა თავიანთი შვილები არმენიის მეფეებად დასვეს.**

არმენიისთვის იბერიელების გამარჯვება პართელებთან და რომაელებთან ასპარეზისას მიუთითებს, რომ ეთნიკური იბერიელებით ჯერ კიდევ იყო დასახლებული არმენიის ვრცელი ოლქები, არაქსის ხეობასა, ეგრეთწოდებულ დასავლეთ არმენიასა და სხვა მიწა-წყალზე ყოფილ პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენაში. ამ ფაქტორის გარეშე პატარა ივერია ვერ შეძლებდა წინ აღდგომოდა რომისა და პართიის იმპერიების ძალებს.

ჩანს, არმენიაში მცხოვრებ იბერებს უსარგებლიათ ხელსაყრელი მომენტით, როცა არმენიელთა ძირითადი ძალები დამარცხებული იყო რომაელებისა და პართელების მიერ, აჯანყებულან არმენიელთა ბატონობის წინააღმდეგ და არმენიის სამართავად მოუწვევიათ მცხეთის იბერიის მეფე და უფლისწულები. მხოლოდ ამ მოსაზრებით თუ შეიძლება აიხსნას მცხეთის ივერიის პატარა სახელმწიფოს გამარჯვება იმ ასპარეზზე, რომელიც გაიმართა არმენიის დასაუფლებლად რომაელებისა და პართელების საუკეთესო მხედართმთავრების მეთაურობით და არა იმით, თითქოსდა, იბერებს ეხმარებოდნენ ალბანები და სარმატები, როგორც მიიჩნევს გუმილიოვი, მისი აზრით, ალბანეთიც იბერიის გავლენის ქვეშ შედიოდა.

არმენიაში იბერების ჰეგემონობა მიუღებელი აღმოჩნდა რომისათვის, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე იბრძოდა არმენიისთვის (კორბულონის დროს არტაშატიც კი გადაწვა). 64 წელს (ახალი წელთაღრიცხვით) რანდეეში, მდინარე არაწანზე დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება რომსა და არმენიაშივე მოძიებულ იმ ძალას შორის, რომელიც მისაღები აღმოჩნდა რომისათვის, თრდატი ჩაიყვანეს რომში, უბოძეს „დამოუკიდებელი მეფის“ ტიტული ნერონის ხელით. ნერონმა მას დიდი თანხა უბოძა დანგრეული არტაშატის აღსადგენად. ასე რომ, **იბერიული მიწები არაქსსა, პარიადრესა, ხორძენასა და გოგარენაში იბერიული სახელმწიფოსათვის დაიკარგა**. **იქ მცხოვრებ იბერებს მეორეჯერ, მხოლოდ არაბობის ეპოქაში (IX-X საუკუნეებში) მიეცათ თავიანთი ეროვნულობის (იდენტობის) აღორძინების საშუალება, აქ კიდევ ერთხელ ჩამოყალიბდა ქართული სამეფო (ტაოს სამეფო), რომლის საზღვრებმა კვლავ ვანის ტბამდე მიაღწია.**

აქაური იბერიელების არმენიზაციის ნაშთი აღმოჩენილა თვით სომხურ ენაში.

გუმილიოვის მტკიცებით, სომეხი ხალხი და მისი საზოგადოება წარმოადგენდა გაგრძელებას ხურიტი ურარტუელებისა. მაგალითად, სომხურში „მონას“ აღნიშნავდნენ ხურიტულ-ურარტული სიტყვით გლახა (სინამდვილე-

ში, გუმილიოვი იმეორებს ნიკო მარის აზრს, რომ სომხურსა და დაბალი ფენის ქართულში სიტყვა „გლახაკი“, თითქოსდა, აღნიშნავდა ძველი კოლხების შთამომავლობას, თუ ეს ასეა, მაშინ გუმილიოვს მიაჩნია, რომ ქალდები და კოლხები ხურიტო-ურარტუელები იყვნენ).

სომხურში სხვა ქართულენოვანი ტერმინებიცაა შემორჩენილი.

გუმილიოვს მიაჩნია, რომ ატროპატენაში, არმენიასა და ივერიაში ჩამოყალიბდა საერთო სახალხო კოინე ენები – საშუალო მიდიური, სომხური და ქართული. დასავლეთ საქართველოში, გუმილიოვის მტკიცებით, კოინე არ იყო, ამით ის იმეორებს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მტკიცებას, რომ თითქოსდა, ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა ქართიზაციის პროცესის შედეგად IX-X საუკუნეებში მაშინ, როცა ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, აზო-ფარნავაზის დროს დასავლეთ საქართველო მათ მიერ დაფუძნებულ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო, რომლის საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. შესაბამისად, დასავლეთ საქართველო აზო-ფარნავაზის დროიდანვე ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სფეროში შედიოდა, სადაც ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არ იზრახებოდა აქ სხვა ენა თვინიერ ქართულისა“. მაშასადამე, ქართული კოინე ენის სფერო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს. ეს იყო ენა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ივერიაში (ყოფილ არიან-ქართლის სამეფოში) იყო შემუშავებული, რაზეც მიუთითებს არა მარტო არსენ ბერის ცნობა, რომ „ჩვენ არიან-ქართველთა ენა ვუწყით“, არამედ ის ფაქტიც, რომ მიუხედავად არმენიის სახელმწიფოში ტაოს, ბასიანისა და მიმდებარე მხარეების მრავალსაუკუნოვანი ყოფნისა, IX-X საუკუნეებშიც კი ადგილობრივი მოსახლეობა შესანიშნავად მეტყველებდა კოინე ქართული ანუ ძველი ქართული ენით, რასაც მიუთითებს ათონის მთაზე ამ მხარეებიდან გამოსული ბერების მიერ დაფუძნებული სალიტერატურო სკოლაც, ასევე ამ მხარეში არსებული ქართული საეპისკოპოსოების საეკლესიო ქართული ენა (მათ შორის ყველაზე სამხრეთით ვალაშკერტის საეპისკოპოსო მდებარეობდა აირარატის ოლქთან და არაქსთან).

ავანი და „ივერთა აღმოსავალის საკათალიკოსო“

წმიდა კირიონ II წერდა: „ივერიის (ქართლის) უძველესი სამეფოს გარდა (რომლის დედაქალაქებიც მცხეთა და თბილისი იყო), არსებობდა ასევე **მეორე ივერიაც**, რომელიც უფრო მოგვიანებით VII-VIII საუკუნეებში გამოჩნდა“ (ეპისკოპოსი კირიონი, რომელ ივერიას მიენიჭა ავტოკეფალია XI საუკუნეში? 1906, გ. ბურდული, კირიონ II, 2011, გვ. 53).

სად მდებარეობდა **მეორე ივერია**?

კირიონ მეორემ გამოიკვლია ეს საკითხი და დაადგინა, რომ ის მდებარეობდა ტაოს სამხრეთით, ვანის ტბის მიმართულებით. „მეორე ივერიის“ ანუ ტაოს სამეფოს ვრცელი ქვეყანის დაპყრობის შემდეგ, კირიონ II-ის კვლევით,

ბიზანტიამ მის მიწა-წყალზე ცნობილი „**ივერიის თემი**“ ჩამოაყალიბა XI ს-ში, იქამდე მის მართლმადიდებელ (ქალკედონურ) ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვებია ანტიოქიისაგან. ანტიოქიის საპატრიარქო თავის იურისდიქციას არზრუმამდე (თეოდოსიოპოლამდე), მცხეთის ივერიამდე და აფხაზეთის სამეფომდე (აბაზგიამდე) ავრცელებდა. მეორე ანუ სამხრეთის ივერია იქამდე მის იურისდიქციაში შედიოდა.

კირიონი წერს: „**ასე რომ, XI საუკუნეში მეორე ავტოკეფალია, რომელიც ბევრს აღელვებდა, მიანიჭეს არა მცხეთის ივერიის კათედრას, არამედ ტაო-კლარჯელ ბაგრატიონთა ივერიას, რომლის დიდი ნაწილი შემდგომში ივერიის თემად გარდაიქმნა. ივერიის თემს ქალდიის თემის დაცემის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა**“ (იქვე, გვ, 56).

მაშასადამე, მცხეთის ივერიის გარდა არსებობდა სხვა, მეორე ანუ სამხრეთის ივერია, რომელსაც საკუთარი ავტოკეფალური ეკლესია გააჩნდა.

განვიხილოთ ჩვენი მოსაზრებანი სამხრეთის ანუ მეორე ივერიის ეკლესიის წარმოქმნის, მისი მრევლის ვინაობის, ამ ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებისა და მისი შემდგომი ბედის შესახებ.

მეორე ივერიის ეკლესია თავის იურისდიქციას იმ მიწა-წყალზე ახორციელებდა, რომელიც ჩრდილოეთ არმენიადაა ცნობილი.

ივერიის თემში შედიოდა ტაოს, ანისის, არზრუმისა და ყარსის სანახები, ბასიანი და უფრო სამხრეთით მდებარე მიწები.

დავით კურაპალატის სამეფოს ტერიტორია შემდგომში ივერიის თემში აღმოჩნდა, ქართველთა ეს სამეფო კი ვანის ტბისპირეთიდან ტაომდე იყო გადაშლილი და თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და სიმდიდრით იყო სახელგანთქმული. ის მეორე ივერიის ძირითადი ნაწილი იყო.

XIX საუკუნეში ქ. პატკანოვის საისტორიო სკოლამ წამოაყენა თეორია, რომელიც XX ს-ში საბჭოთა კავშირში საისტორიო დოგმად გადაიქცა, თითქოსდა, სამხრეთ ივერიის ანუ ე.წ. ჩრდილოეთ სომხეთის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომლებიც IX-X სს-ში გაქალკედონიტდნენ, ამის შედეგად „გაქართველდნენ“ და ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ სომეხი-ქალკედონიტები.

ეს თეორია ამჟამადაც გავრცელებულია თვით საქართველოს საისტორიო და ფილოლოგიურ წრეებში და აღიარებულია უცხოეთშიც. მაგალითად, „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ მტკიცებით ოშკი, ბანა, ხახული, ოთხთა ეკლესია და სხვა მრავალი, თითქოსდა, სომხური ეკლესიებია მაშინ, როცა ამ ეკლესიათა „ქვებიც კი ღაღადებენ“ ქართულობას თავიანთი ურიცხვი ქართული წარწერებით.

ამჟამადაც გაუგებრობას ბადებს ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მაგალითად, საეკლესიო სამართლის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიცაა ვ. ციპინი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიისაგან ავტოკეფალია VIII საუკუნეში მიიღო. ასევე ცნობილი ისტორიკოსი ბ. ლომინაძე მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია სამჯერ მოიპოვა V, VIII და XI სს-ში, ჯერ

ვახტანგ გორგასლის დროს, შემდეგ თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქის დროს (VIII ს.) და ასევე XI ს-ში (ბალსამონის ცნობის შესაბამისად).

ამჟამად ოფიციალურად მიიჩნევა, რომ ბალსამონის ცნობა აღწერს V ს-ში ანტიოქიელი პატრიარქის პეტრეს (რომელსაც პეტროს მკაწვრალად იცნობენ ძველი წყაროები) მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას, მაგრამ მაშინ რა უნდა ვუყოთ ეფრემ მცირესა და ნიკონ შავმთელის ანტიოქიურ ქრონოგრაფზე დამყარებულ იმ წყაროებს, რომელნიც ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებას VIII ს-ში მიუთითებენ? ეს დილემა თავის დროს შესანიშნავად ახსნა კირიონ კათალიკოსმა, მაგრამ ის დავიწყებულ იქნა. კირიონის გამოკვლევით VIII ს-ში ავტოკეფალია მიანიჭეს არა მცხეთის ივერიის, არამედ „მეორე ივერიის“ ეკლესიას, როგორც აღვნიშნეთ.

სამწუხაროდ, ჩვენში დავიწყებულია არა მხოლოდ თითქმის ჩვენი თანამედროვე კირიონის ნააზრევი, არამედ თვით სტრაბონის ცნობები სამხრეთ ივერიის შესახებ, რომელიც, ჩვენი კვლევით, იყო ზემოთ აღნიშნული მეორე ივერია.

სტრაბონის ამ ცნობიდან კი კარგად ჩანს, თუ სად მდებარეობდა მეორე ივერია, ვინ იყო მისი მოსახლეობა და როგორ აღმოჩნდა მეორე ივერიის ქართველობა არმენიის სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით.

სტრაბონის ეს დავიწყებული ცნობა კარგად ხსნის ეთნიკურ-ეროვნულად ვინ იყო ჩრდილოეთ არმენიის, ანუ რაც იგივე სამხრეთ ივერიის მოსახლეობაა.

როგორც მრავალგზის აღინიშნა, სტრაბონი წერს: **„მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ... იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).**

მაშასადამე, სტრაბონის ცნობით, ქრისტეშობამდე II საუკუნეში იბერებს არმენიის სახელმწიფომ ჩამოართვა ის მიწა-წყალი, რომელსაც სამხრეთის ანუ მეორე იბერია ეწოდება – ესენია პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე (მტკვრის მეორე მხარეს), მათ გარდა ასევე ხალიბებისა და მოსინიკების მიწები – კარენიტი (არზრუმის რეგიონი) და ქსერქსენე. ასე რომ, სამხრეთის იბერია ვრცლად გადაშლილი ქვეყანა იყო ქალდეაჭანეთიდან მტკვრამდე და თითქმის ვანის ტბამდე.

არმენიელთაგან ამ მიწების მიტაცების შემდეგ მკვიდრი იბერიული მოსახლეობა დიდხანს ინარჩუნებდა საოჯახო სფეროში ქართულენოვნებასა და ქართულ იდენტობას, მაგრამ ის იძულებული იყო არმენიულ საზოგადოებრივ ასპარეზს შერწყმოდა, თუმცა ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტში თავის იბერიელობას სრულ უპირატესობას ანიჭებდა.

ეკლესიურად ჩრდილოეთ არმენიის იბერიული მოსახლეობა ყოველ ხელსაყრელ მომენტში ემიჯნებოდა სომხურ ეკლესიას.

ერთი ასეთი მომენტი არმენიის იბერიული მოსახლეობისათვის დამ-დგარა VII ს-ის დასაწყისში, როცა ავანის საკათალიკოსო დვინს გამოეყო.

VI ს-ის ბოლოს (VII ს-ის დასაწყისში) ავანის საკათალიკოსო სარწმუნოებ-რივი ნიშნით გამოეყო დვინის საკათალიკოსოს.

ის თავის იურისდიქციას ძირითადად ავრცელებდა ქართველებით და-სახლებულ მიწა-წყალზე, ტაო-ბასიანსა და აგრეთვე გუგარქად წოდებულ ტერიტორიაზე, რომელიც სომხური გეოგრაფიის მიხედვით ჭოროხამდე ვრცელდებოდა.

ეს ოლქები, ზემოთ აღნიშნული მეორე ივერიის ტერიტორია, ისტორიული ხორძენა, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე სომხეთის მიერ იყო მიტაცებული და სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა, ძირითადად ასე იყო VI-VII საუკუნეებშიც, ავანის საკათალიკოსოს არსებობისას.

იქაური ქართველობა სომხური კულტურისა და ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა ეთნიკურ-ეროვნული (ქართული) იდენტობა ბოლომდე და-კარგული არ ჰქონდა.

ამ მოსახლეობამ ანუ ავანის საკათალიკოსოს ქართულმა მრევლმა (თა-ვის ასევე ეთნიკურად ქართულ იერარქიასთან ერთად) შემდგომში, მაგრამ უკვე ტაოს ჰეგემონობით, VIII საუკუნიდან წამოიწყო უდიდესი მნიშვნელო-ბის საქმე: როგორც კი ეს შესაძლებელი გახდა განერიდა სომხური საეკლე-სიო ცენტრის მონოფიზიტურ აღმსარებლობას და ქალკედონიტობა აღიარა თავის სარწმუნეობრივ მიმართულებად.

იქამდე ავანის საკათალიკოსო სარწმუნოებრივი ნიშნით, თავისი არასომ-ხურობის (ანუ ქართველობის) გამო განშორდა სომხურ ეკლესიას და თავის სარწმუნოებად ქალკედონიტობა ანუ საქართველოს ეროვნული აღმსარებ-ლობა გამოაცხადა, ასევე მიიღო ქართული ეკლესიისათვის სხვა დამახასი-ათებელი ნიშნებიც (მაგალითად, საეკლესიო არქიტექტურა).

ავანის საკათალიკოსო ასევე აღიდგენდა საეკლესიო და კულტურული საჭიროებისათვის ქართულ ენასაც, რომ დასცლოდა. ის მალევე გააუქმა სომხურმა ეკლესიამ.

შემდგომში, როგორც აღინიშნა, ეს დაწყებული საქმე მაინც გაგრძელდა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ გუგარქის, ტაოსა და ბასიანის ქართვე-ლობამ აღიდგინა ქართულენოვნება, ანუ, თუკი იქამდე მათი წირვა-ლოცვისა და ლიტერატურის ენა იყო სომხური, ახლა ის უარყოფილ იქნა და მის ნაცვ-ლად მოსახლეობამ ქართულენოვნება დაიბრუნა საეკლესიო საჭიროებისას (ე.ი. მათი საშინაო-ოჯახური (ქართული) ენა ახლა უკვე საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალებად, კულტურის ენად იქცა).

ძველ სომხურ საისტორიო გეოგრაფიაში „ივერია“ ძირითადად ერქვა ტა-ოსა და ბასიანს.

VI ს-ში **„ივერთა მთავარი“** ტაოს მფლობელს ერქვა.

VII-X სს-ში, არაბთა შემოსევების შემდეგ, ანისის ჩრდილოეთით მდებარეობ-

და თბილისის საამირო და ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, ხოლო შიდა ქართლი სადავო ქვეყნად იყო აფხაზეთის, კახეთისა და თბილისის საამირო-სამთავროთა შორის. ამ დროს სახელი „ივერია“ ძველებურადვე ერქვა ტაოს მიწა-წყალს (ბასიანთან ერთად) და ტაოს მომიჯნავე მხარეებსაც, ანისის დასავლეთით.

ამიტომაც XI ს-ში იმიერტაოს სამეფოს მიწა-წყალს ბიზანტიელებმა მისი დაპყრობის შემდეგ **„ივერიის თემი“** უწოდეს და მასში ანისიც შეიყვანეს.

ბიზანტიელები **„ივერიას**“ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქამდეც უწოდებდნენ ტაოს ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებს.

X ს-ში აღნიშნული იმპერატორის ცნობით **ივერიელებს** არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები ეკუთვნოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს საუბრობს ამის შესახებ.

მაშასადამე, არაქსის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნები, სადაც მდებარეობდა თვით დედაქალაქებიც კი სომხური ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაინც **„ივერიად“** იწოდებოდა და ეს წოდება (ივერია) ამ მხარეებისათვის არ იყო უსაფუძვლო.

ამის მიზეზი იყო ის, რომ ისტორიულადაც ეს მიწები ივერიელებით იყო დასახლებული, კერძოდ, ძვ.წ II საუკუნისათვის, როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობით **იბერებისაგან არმენიამ მიიტაცა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა,** ამიტომ არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები (თუ უფრო მეტი არა) იბერების ისტორიული საცხოვრისი იყო, რადგანაც სტრაბონის ხორძენა და სომხების მიერ გუგარქად სახელდებული ქვეყანა სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ.

არმენიელებმა მიტაცებულ მხარეების ზედა ფენებში გაავრცელეს სომხური კულტურა.

დაბალი ფენები კვლავ იბერიული იყო.

სომხური ეკლესიის ჩამოყალიბების შემდეგ აღნიშნული მხარეების არმენიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი, როგორც ეს შემდგომმა საუკუნეებმა აჩვენა.

ვფიქრობთ, ძირითადად ამ მიზეზის გამო, ავანის საკათალიკოსო გამოეყო სომხური ეკლესიის მთავარ ცენტრს – დვინს.

ამ გამოყოფის მიზეზად მიიჩნევა სარწმუნოებრივი მომენტი, მაგრამ მას უფრო მეტად **ეთნიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა**.

კერძოდ, თანამედროვე ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით 588 წლიდან (სხვა აზრით, 591 წლიდან) ძველ სოფელ ავანში რეზიდენცია დაიდო არმენიის მართლმადიდებელმა (ქალკედონიტმა) პატრიარქმა.

მიიჩნევა, რომ ამას საფუძველი დაუდო იმპერატორ მავრიკეს (582-602) საზავო ხელშეკრულებამ სპარსეთთან, რის შედეგადაც ავანი და ტაო ბიზანტიის იმპერიაში მოექცა.

ტაო და ბასიანი იყო არასომხური მხარეები, მისი მოსახლეობა „ივერებად“ ძველთაგანვე იწოდებოდა, თუმცა კი სომხური საეკლესიო და ადმინისტრაციული უღელის ქვეშ.

ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე მათ მყისვე შექმნეს დვინის საწინააღმდეგოდ საეკლესიო ცენტრი ავანში, ქალკედო-

ნიტური საკათალიკოსოს სახით, მკვეთრად გამოხატული ქართული არქიტექტურით აგებული ეკლესიებითა და ჩანს, ასევე სხვა მრავალი ქართული ნიშნით.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რა თქმა უნდა, ავანის არქიტექტურას არ აკავშირებს ქართულთან და მიიჩნევს, რომ „მას აქვს ეჩმიაძინის, ბიზანტიური მარტირიუმების და კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის“ გავლენა („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ ტ 1. მოსკოვი, 2000, გვ.74), მაგრამ მცხეთის ჯვრისა და ავანის ტაძრის არქიტექტურა თითქმის იდენტურია.

დამტკიცებულად მიიჩნევა, რომ ავანის „არქიტექტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მიღწევაა, მის გვერდით მდებარე სასახლესთან ერთად აგებულია 588-597 წლებში კათოლიკოს იოანეს მიერ“ (იქვე, გვ. 74).

თითქოსდა, ჯერ ის აუგიათ და შემდეგ მისი გეგმით მცხეთის ჯვარი, მაგრამ **ქართულ წყაროებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღო საუკუნეთა მანძილზე მცხეთის ჯვარმა თავისი ჩამოყალიბებული საბოლოო სახე**, ავანის აგების შესახებ ასეთი ცნობები არ არსებობს.

კერძოდ, მცხეთაში ჯერ აღიმართა წმინდა ნინოს მიერ დიდი ზომის ჯვარი, ეს ჯვარი გუმბათით გადაახურინა რევ მეფემ IV ს-ის ბოლოს, ამ ჯვარს გარშემო გაუკეთეს „კუბო“. ანუ ის შემოსაზღვრეს კედლებით. ე.ი. მას ჰქონდა კედლებიც და სახურავიც (გუმბათი).

ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლე განსაზღვრა იმ ხემ, რომელიც მოკვეთეს წმინდა ნინოს დროს და რომლისგანაც შეამზადეს ჯვარი.

თავისი დიდი მნიშვნელობის გამო კიდევ ერთხელ გავიმეოროთ წყაროს ცნობა, მატიანეში მოთხრობილია: „ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და ... ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა... აუწყეს ეპისკოპოსსა ხისა მისთვის, ხოლო ეპისკოპოსმან თქვა... „მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცეს ყოველმა სიმრავლემან ქართლისამან... მოჰკვეთეს ხე იგი... მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა... სასწაულითა ზეცისათა ჩვენებით ჯვარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა და მივედით ბორცვსა მას ქვეშე... ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა... მუნ აღიმართა ჯვარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხვი და თაყვანი სცეს ჯვარს... რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტვილისა უკან, იხილეს სასწაული დიდი... სვეტი ნათლისა, სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტნი იგი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა, გარემოს მისა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს... მერე კუალად იხილნეს სხვა სასწაული ჯვარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისა, შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი ზედა დაადგრა მას და, ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღავლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღვთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა, ხოლო ბორცვი იგი იძვროდა ძლიერად... **იქმნებოდეს სასწაული იგი წლითი წლად და ყოველი ერი... მოვიდოდეს თაყვანისმცემად გულსმოდგინედ**. და მას ჟამსა რევის ძესა მეფისასა, ესვა ყმაწვილი მცირე და იყო სნეულ და მიწევნულ იყო სიკვ-

დილად ... და მოიღო და დადგა იგი წინაშე ჯვარისა და ცრემლით იტყოდა: **„უკუეთუ მიბოძო ყმა ესე ცოცხალი აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“ და მუნქვესვე განიკურნა ყრმა იგი... მოვიდა (რევი) აღნათქვამისა აღმასრულებლად... და გულმოდგინებით აღაშენა კუბო ჯვარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან...** გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა... ამან იწყო ეკლესია ჯვარისა პატიოსნისა და აქამომდე ჯვარი ველსა ზედა იყო და ქმნა ეკლესია წელიამდის ოდენ... გუარამ კურაპალატსა ესხნეს ძენი... სტეფანოზ და დემეტრე. ...ძმა სტეფანოზისი სახელით დემეტრე აღაშენებდა ეკლესიასა ჯვარისა პატიოსნისა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა (ქ. ც., I, გვ.120-140).

სტეფანოზი და დემეტრე ბაგრატიონები ჰერაკლე კეისარმა პროსპარსული ორიენტაციისათვის ტახტიდან გადააყენა, მათ ნაცვლად ქართლის ტახტი მისცა ადარნასე ხოსროიანს „...მაშინ მოუწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა, ქართველთა მეფისასა ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე“.

როგორც აღინიშნა, მატიანედან ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა დაიწყო IV ს-ის ბოლოს რევ მეფემ, მან სასანური ჩაჰართალის კუბური ფორმის ნაგებობა შემოაშენა წმ. ნინოს მიერ აღმართულ ხის ჯვარს, მას წყაროებში „კუბო“ ეწოდება.

ჩანს, რომ რევ მეფის მიერ აშენებული „კუბოს“ ფორმა ეთანადებოდა ჯვრის ფრთების ფორმას და ის გაიმეორა გურამ კურაპალატმა იმით, რომ უკვე აშენებულ ტეტრაპილონის მსგავს ღიათაღებიან კუბს შესაბამისი კედლები ამოუშენა.

რევის კუბის გაფართოებისას გურამ კურაპალატის დროს ჯვრის ეკლესიას უკვე VI საუკუნის ბოლოსვე ექნებოდა ჯვრის ორი ფრთის შესატყვისი კედელი, რომელმაც საბოლოოდ ტეტრაკონქის სახე მიიღო, ანუ ტეტრაკონქის მშენებლობა განსაზღვრა ტაძრის ცენტრში აღმართულმა ჯვრის ფორმამ.

იმდენად მისაღები ყოფილა ქართული ეკლესიისათვის ჯვრის დიდი ტაძრის ფორმა, რომ უკვე VI ს-ის შუა წლებში მის შესაბამისად ააგეს ნინოწმიდის ეკლესია. VI ს-ის ბოლოს გურამ კურაპალატის მემკვიდრეების მიერ კვლავ აღდგა ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა მაგრამ არა ნებისმიერი არქიტექტურით, არამედ იმ ფორმით, რომელიც ახსოვდა მოსახლეობას და ბორცვზე აღმართული ამ ჯვრისათვის უკვე ტრადიციული იყო. VII ს-ის ჯვრის ტაძრის არქიტექტურა გაიმეორეს ჭყონდიდში.

ასე რომ, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი საუკუნეთა მანძილზე შენდებოდა და მან თავისი არქიტექტურული სახე თანდათანობით მიიღო.

ხალხი მცხეთის ჯვრის გუმბათის მსგავს გუმბათებს XX ს-ის დასაწყისშიც კი აგებდა. მაგალითად, ის გამოყენებულია ლეჩხუმში სოფელ საირმეში საცხოვრებელი სახლების გადახურვის სისტემაში.

აქედან გამომდინარე, IV-VI სს-ში ჩამოყალიბდა ჯვრის დიდი ტაძრის არქიტექტურა, რომელიც გაიმეორეს ავანის არქიტექტორებმა, რომელნიც ქართულ-ეთნიკური წარმომავლობის გამო ცდილობდნენ ავანის არქიტექტურაშიც ქართული ელემენტები შეეტანათ.

როგორც ითქვა, ტაო-ბასიანს და მის მიმდებარე მიწებს – სომხებიც და ბიზანტიელებიც „ივერიას“ უწოდებდნენ.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონის მომცველი ავანის ქალკედონური საკათალიკოსო – „ივერიის ეკლესიად“ იწოდებოდა საერთაშორისო-საეკლესიო წრეებში.

ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქო ავანის საკათალიკოსოს და მის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს – „ივერიის ეკლესიას“ უწოდებდა.

საქმე ისაა, რომ თეოდოსიოპოლი-არზრუმის რეგიონში ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ იყო რამდენიმე ქალკედონური საეპისკოპოსო, საერთოდ, ეს მიწა-წყალი ანტიოქიას თავისი საპატრიარქოს იურისდიქციად მიაჩნდა. ამიტომაც, შესაძლოა, ავანის ანუ „იბერიის საკათალიკოსო“ მას შემდეგ, რაც განშორდა დვინს, თავდაცვის მიზნით შეუერთდა ძლიერი ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციას (ანდა ის რომელიმე სხვა ეკლესიას უნდა მიკედლებოდა ავტოკეფალიის საერთაშორისო დადასტურებამდე).

არაბების შემოსევების შემდეგ კავშირი ანტიოქიასა და ავანის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს შორის გაწყვეტილა, შემდეგ კი, ჩანს, ანტიოქიაში კვლავ განუხილავთ სამხრეთის ამ ე.წ. „ივერიის ეკლესიის“ საკითხი.

საქმე ისაა, რომ მართალია, ავანის ერთადერთი კათალიკოსის **იოანე** ბაგარანელის (+609/10) შემდეგ გაუქმდა ავანის კათედრა, მაგრამ მისი ქალკედონური მემკვიდრეობა მიიღო ტაომ, სადაც VII ს-ში ქალკედონური საეპისკოპოსო ცენტრი იშხნისა და სხვა ჩამოყალიბდა.

სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში უკანვე შეიერთა ქალკედონური კათედრები, რითიც ჩანს, ანტიოქიაც გაანაწყენა.

სომხური ეკლესია თავის საეკლესიო მთლიანობას იმით ინარჩუნებდა VII საუკუნეში, რომ გარკვეულ კომპრომისზე მიდიოდა და საერთო სომხურ საეკლესიო ტახტზე ქალკედონიტ კათალიკოსებსაც სვამდა (რჩეულები მათ შორის: მაგალითად, ნერსე III ტაოელი, ჩანს, ეთნიკური ქართველი იყო, ისევე, როგორც, ვთქვათ, იქამდე სომხურ ეკლესიაში მოღვაწე აირარატის ქორეპისკოპოსი კირიონი).

726 წელს მანასკერტის მონოფიზიტური კერების შემდეგ ქალკედონური ტაო-ბასიანი განშორდა სომხურ ეკლესიას. ამ დროს აქ, ანუ „ივერიაში“, კვლავ გაიხსენეს ანტიოქიის ეკლესია და მისგან მოითხოვეს ავტოკეფალია, საეკლესიო თავისთავადობის საერთაშორისო დასტური. ამავე დროს არა მხოლოდ ტაო-ბასიანში, არამედ მის გარეთაც ქართველი ქალკედონიტები აარსებდნენ თავიანთ კათედრებს, მაგალითად, ვალაშკერტში.

ვალაშკერტის მღვდელთმთავრის წოდება „მამამთავარი“ შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ის ერთ პერიოდში იქცა „ივერიის ქალკედონური“ ეკლესიის მემკვიდრედ, რომელსაც სათავე ასევე ქართული წარმოშობის იოანე ბაგარანელმა დაუდო.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ე.წ ანტიოქიური ქრონიკების ნაწყვეტები იძლევა კიდეც ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საფუძველს – **„ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი უნდა ეხებოდეს ავანის ანუ ივერიელთა (ქართველთა) ქალკედონურ ეკლესიასა და ანტიოქიას შორის ურთიერ-**

თობას და არა მცხეთისა და ანტიოქიისა – „და წარგზავნეს ანტიოქიას მონაზონი ერთი საკურთხეველად, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერღარავის ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა... ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი.. და მიუთხრეს... დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისათა არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრბებოდნენ ეპისკოპოსნი სამრევლოსა მისისანი და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად ... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა“ (ქ. ც., I, გვ. 226).

„ქართლის ცხოვრების“ **ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მოწყობას.** ვ. გოილაძის აზრით კი, აქ გადმოცემულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების ცნობა. აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის ქართლის ცხოვრების სხვა ჩანართი – „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (IX ს-ში).

ე.ი. ზემოთ აღნიშნული პირველი ჩანართი ქართლის ცხოვრების მიხედვით არ უკავშირდება აფხაზეთს, ამიტომაც სწორი უნდა იყოს კირიონ II, რომ ეს ჩანართი უკავშირდებოდა ტაო-ბასიანის (შესაბამისად, ავანის) საეკლესიო მოწყობის საკითხს.

ჩანართში ნახსენებია „ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი“ (ქ. ც., I, გვ. 226).

„ქართველთა“ პროვინცია ერქვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაო-ბასიანის მხარეებს და მის ირგვლივ ტერიტორიას, რომელიც დროებით არმენიაში მდებარეობდა.

ამ მხარეში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურად ისინი „სომხებად“ იწოდებოდნენ.

ამიტომაც განმარტავს ანტიოქიის პატრიარქი, რომ ამ ჩანართში საქმე შეეხება „ქართველთა სოფლების მკვიდრთ“.

ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურადაც უფრო დალაგებულია მსჯელობა – **ანასტასი ანტიოქიელი პატრიარქი თითქმის თანამედროვე იყო ავანის ქალკედონიტი კათალიკოსის იოანე ბაგარანელისა, რომელიც 609 თუ 610 წელს გარდაიცვალა.**

ამის შემდგომ, არაბობის შემოსევების გამო, მართლაც, რთული იქნებოდა ანტიოქიისა და ტაო-ავანის საეკლესიო ურთიერთობა.

ავანის კათედრა მართლაც უმღვდელმთავროდ დარჩა და ქალკედონიტი ეპისკოპოსები შეიერთა სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში, მაგრამ ეს მდგომარეობა, ანუ ეთნიკური მღვდელთმთავრის გარეშე ყოფნა, არ აკმაყოფილებდა ტაო-ბასიანის ქართული ქალკედონიტური სოფლების მრევლს.

მათ ჩანს, სურდათ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით გამოეხსნათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან.

მაგალითად, მოღწეულია იშხანის ტაძრის მინაწერი, სადაც ადგილობრივი მღვდელმთავარი ტრაპეზუნტში ჩავიდა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაესხა მისთვის ხელი.

არზრუმ-თეოდოსიოპოლი, ტრადიციულად, ანტიოქიელი პატრიარქის სამწყსოს განეკუთვნებოდა და იქვე მდებარეობდა კიდეც ავანის მემკვიდრე ტაო-ბასიანის ქალკედონიტური ვრცელი ქართული სამრევლო.

იბერიის ეკლესიის პირველიერარქად ანტიოქიამ დანიშნა ქართველი მონაზონი სახელით იოანე.

ეს ნიშნეულია, რადგანაც ავანის პირველ კათალიკოსსაც იოანე ერქვა.

ასე რომ, ავანის ქალკედონიტური კათედრის წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ეთნიკური განსხვავებულობის გამო ქართული მრევლის გამოყოფა სომხური ეკლესიისგან და დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბება.

ასეთ თვალსაზრისამდე მივალთ, თუკი აღნიშნულ ჩანართს დავუკავშირებთ სამხრეთ საქართველოს – ტაო-ბასიანის მხარეებს.

სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე – დავით III კურაპალატის ეპოქაში, მრავალი უცხოელი ავტორი ახსენებს ქართველ კათალიკოსს თუ ქართველ პატრიარქს. შესაძლოა, სამხრეთ საქართველოს ამ საეკლესიო ერთეულს, მართლაც, მიანიჭა ანტიოქიამ ავტოკეფალია, შემდეგ ათასწლეულში კი ეს ცნობები მცხეთის ეკლესიას დაუკავშირეს და მიიჩნიეს მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ტაოს (იბერიის) სამეფოს ადგილზე დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაუფლების შემდეგ, როგორც ითქვა, ბიზანტიამ ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემის“ სახელწოდებით XI ს-ის დასაწყისში.

მაშასადამე, შესაძლებელია, **ავანის საკათალიკოსო უცხოელთათვის, კერძოდ კი ანტიოქიელი ქალკედონიტებისათვის, წარმოადგენდა არა სომხურ, არამედ ქართველთა, ანუ „ივერიელთა“ ეკლესიას. მიზეზი ამისა იყო მისი მრევლის უმეტესი ნაწილის (ტაო-ბასიანის მოსახლეობის) ქართველობა.**

როგორც ითქვა, იოანე ბაგარანელის დროს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას გამოეყო ქალკედონიტური ფრთა, რომელმაც დამოუკიდებელი საკათალიკოსო დააარსა. ისმის კითხვა: ეცდებოდა თუ არა ეს ეკლესია, როგორც თავისთავადი ეკლესია, თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ანდა დაკავშირებას უცხოეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან?

ჩანს, **ასეთი ურთიერთობა მათ დაუმყარებიათ ანტიოქიის საპატრიარქოსთან ნეტარი ანასტასი მღვდელმოწამის ზეობისას, მაგრამ შემდეგ ავანის ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა. ტაო-ბასიანის ივერიელმა მოსახლეობამ მოითხოვა კვლავ ეძებნათ თავისთავადი ეკლესიის ჩამოყალიბების გზები და მისი საერთაშორისო აღიარება**.

ეს მოუხერხებიათ ანტიოქიის პატრიარქ ნეტარი თეოფილაქტეს დროს. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ტაო-ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის სამეფოს საეკლესიო სამამამთავრო, უკვე ქართული საეკლესიო ერთეული.

ამით იქამდე სომხურენოვანმა ავანის საკათალიკოსოს მემკვიდრე ეპარქიებმა აღიდგინეს ქართულენოვანება.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენებია – **„რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებით მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებით და წამებითა სიხარულით, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხვების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 182).

ქართველთა სამყაროში რომელ ქვეყანას ერქვა „აღმოსავლეთი“? – უფრო მეტად ტაო-ბასიანის მხარეებსა და აგრეთვე იმ ქვეყნებს, რომელნიც დავით კურაპალატმა შემოუერთა თავის სამეფოს. ამ ქვეყნებს ბიზანტიაში „ზემონი ქვეყანანი“ ერქვა.

მართლაც, აფხაზთა სამეფოსათვის, რომელიც იმჟამად თბილისის არაბთაგან პყრობის გამო ქართული სახელმწიფოებრიობისა და შემეცნების ცენტრს წარმოადგენდა, და დასავლეთით მდებარეობდა, ეს ქვეყნები რეალურად აღმოსავლეთში მდებარეობდნენ, ამიტომაც, ჩანს, მას „აღმოსავლეთს“ უწოდებდნენ კიდეც.

იაჰია ანტიოქიელისა და ასოღიკის ცნობებით მეფე დავით კურაპალატის კარზე იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირი პატრიარქისა და კათალიკოსის წოდებით. შემდგომში ვალაშკერტელ ეპისკოპოსსაც „მამამთავრის“ წოდება ჰქონდა. ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ დავით კურაპალატის სამეფოში ერთ პერიოდში ჩამოყალიბდა თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსოს მსგავსი, რომელსაც თავისი მმართველი უმაღლესი სასულიერო პირი ჰყავდა. ჩანს, სწორედ მას უწოდებდნენ ქართველები „აღმოსავლეთის საკათალიკოსოს“.

აღმოსავლეთის საკათალიკოსოს მიწა-წყალი ანუ იგივე „ზემონი ქვეყანანი“, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ იქამდე, როგორც ითქვა, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, მისგან გათავისუფლების შემდეგ ის წმ. მირონს ჯერ ანტიოქიიდან, შემდეგ კი იერუსალიმიდან იღებდა, მაგრამ ქართველი მამების მეცადინეობით, ახლა უკვე „ქართლს“ ანუ მცხეთას განეწესა მირონის კურთხევა, რადგანაც ეს ე.წ. „აღმოსავლეთი“ თვითონაც ქართლის ნაწილს წარმოადგენდა იქაურ ტაძრებსა და მონასტრებში გაჩაღებული ქართულენოვანი წირვა-ლოცვის გამო. იოანე – სახელი ყოფილა აღმოსავალის პირველი კათალიკოსისა (იოანე ბაგარანელი) და ბოლო (პარხლის ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული დავით კურაპალატის დროინდელი) კათალიკოსისა.

აღმოსავალის, ანუ მეორე ივერიის ეს ქართული საკათალიკოსო, ჩანს, გაუქმდა ბიზანტიის იმპერატორების – ბასილი მეორის, რომანოზისა და კონსტანტინეს ივერიაში ლაშქრობათა შემდეგ, რაც მათ ეს ქვეყნები მოწყვიტეს ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას და ბიზანტიურს მიუერთეს. აქ მათ შექმნეს ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“, ხოლო ეკლესიურად ის ლაზიკის ეპარქიას მიუერთეს, რომლის საეკლესიო ცენტრი ტრაპეზუნტი იყო.

ეთნოკულტურული სიტუაცია

სომეხ-ქალკედონიტების შესახებ წერდნენ ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, პ. ხარანისი, რ. ბარტიკიანი, პ. მურადიანი. ნ. მარის მრავალი შრომა მიეძღვნა სომხურ-ქალკედონიტურ ძეგლებს, რომელნიც სომხურიდან ქართულად ითარგმნა. სომეხ ქალკედონიტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ წერდნენ ი. აბულაძე, ნ. აკინიანი, პ. მურადიანი, ა. კაზარიანი. არსებობს შრომები ნ. ადონცისა და ი. აკინიანისა.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სტატიაში „სომეხი-ქალკედონიტები“ თავადვე აღნიშნავს – „სომეხ-ქალკედონიტთა შესწავლის სირთულე აიხსნება წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიძნელეებით: სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვაენოვან (სომხურ, ბერძნულ, ქართულ, სირიულ და არაბულ) წყაროებში და ასევე ჰეტეროგენურ წყაროებში (ისტორიულ ქრონიკებში, წმიდათა ცხოვრებებში, საღვთისმეტყველო და პოლემიკურ ტრაქტატებში, ეპიგრაფიკასა და ა.შ), თუმცა კი **არცერთ მათგანში არ არსებობს რაიმე პირდაპირი ანდა ობიექტური ინფორმაცია სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ“.**

აქედან კარგად ჩანს, რომ თვით ყველაზე ტენდენციური ვ. არუთინოვა-ფიდანიანის აღიარებითაც კი სომეხ-ქალკედონიტთა ე.წ. „იბერიელობას“ არ მიუთითებს არც ერთი წყარო. ამიტომაც დაინტერესებული პირები წყაროთა საოცარ სიმწირეს ავსებენ, მაგალითად, ისეთი თხზულებით, როგორიცაა პეტრიწონის ტიპიკონი, რომელიც უსაბუთოდ ცხადდება სომხურ ქალკედონიტურ თხზულებად.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს საერთოდ აღიარებული გასაგები აპარატი აღნიშნულ რეგიონში ეთნოკულტურული პროცესების შესასწავლად, საჭიროა სხვა მიდგომები, სხვა მეთოდიკა და არა ის, რაც დემონსტრირებულია ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნში (В.П. Степаненко, Армяне – халкедониты в истории византии XI в. Византииский временик. Т. 59. с. 60).

„საჭიროა მონაცემთა ბაზის შექმნა სომეხი ქალკედონიტების შესახებ ბიზანტიასა და საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ტერიტორიების ნაწილი X ს-ში აღმოჩნდა იმპერიის შემადგენლობაში. ეს მკვეთრად შეამცირებს ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობას**. ფესვები ეთნოპოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც შეიქმნა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან X ს-ში, უნდა ვეძიოთ მისი ისტორიის უფრო ადრინდელ პერიოდებში“ (ვ. სტეპანენკო, დასახ, ნაშრ, გვ. 61) .**

პირადად ჩვენ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთით (ისტორიული საქართველოს სამხრეთში) შექმნილი ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული სიტუაციის ფესვებს ვეძებთ არა მხოლოდ VI-XI საუკუნეებში, არამედ გაცილებით ადრეულ პერიოდში.

ამ რეგიონში (ტრაპეზუნტის პონტოს ზღვისპირეთიდან ვანის ტბამდე) ქართველ ტომთა ცხოვრებას მიუთითებს მრავალი წყარო – მეგასთენედან და ქსენოფონტედან, ვიდრე კონსტანტინე პორფიროგენეტამდე.

წიგნში განხილულია უფრო ადრინდელი პერიოდებიც.

მრავალი პარაგრაფი მიეძღვნა იმის კვლევას, რომ მაგალითად, ძვ.წ. XIV-XIII სს. ხეთური წყაროებიდან ცნობილი ჭოროხის სათავეებისა და ზღვისპირეთის მომცველი ქვეყანა „ჰაიასა“ იყო არა არმენიელების ქვეყანა, როგორც ამჟამად მიიჩნევა სომხურ ისტორიოგრაფიაში, არამედ იმ დროისათვის ამ მხარეების მომცველი ცნობილი აია-კოლხიდა. ასევე ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მიუხედავად ნ. მარის სკოლის მიერ უარყოფისა მართალი იყო წმიდა ილია ჭავჭავძე, როცა ის ურარტუს ქალდუელთა (ანუ ძველ ქართველთა) ქვეყნად მიიჩნევდა, ამის სამტკიცებლად წიგნში მრავალი მასალაა დამოწმებული (დადგენილია, რომ მცირე აზიაში გავრცელებული რწმენა-შეხედულებები და მითები იდენტურია ანტიკურ სამყაროში ცნობილი ზოგიერთი მითისა. ჩვენი თვალსაზრისით იასონისა და მედეას მითი გარკვეულწილად იდენტურია ამირანისა და ყამარის თქმულებისა, რომელიც, ჩანს, მცირე აზიის მკვიდრ ქართველთა წინაპრებში იყო გავრცელებული, ანუ **აია-კოლხიდის** ვრცელ სამყაროში, რომლის ერთი ნაწილი შემდგომ ურარტუმ მოიცვა).

„**მოსხები – კოლხური ტომია**“ – წერდა ამ ეპოქასთან ყველაზე ახლოს მდგომი, ქრისტეშობამდე VI საუკუნის ავტორი ჰეკატოს მილეტელი. ასევე, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ცნობას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605-562 წწ.) ეპოქაში პონტოსპირეთში (ჩვენთვის საინტერესო რეგიონში) იბერთა ცხოვრების შესახებ, რომელიც, თვით კლასიკური ხანის მწერალთა მითითების თანახმად, მიეწერებოდა მცირეაზიელ ბერძენს, ისტორიკოსს, გეოგრაფოსსა და დიპლომატს, „ინდიკის“ ავტორს მეგასთენეს (დაახლ. ძვ. წ. 350-290 წწ.).

ჩვენი კვლევით, **„მოსხები“ იგივე კოლხები, იგივე ქალდები იყვნენ, ის ეთნოსუბსტრატი, რომლითაც ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი ქრისტეშობამდე VI-V სს-ში აღნიშნულ მიწა-წყალზე, რომელსაც „მეორე იბერიას“ უწოდებდა წმ. კირიონ კათალიკოსი.**

სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. II ს-მდე იბერებისა იყო აღნიშნული ვრცელი მიწა-წყალი, იქამდე, სანამ მათ სომეხთა მეფეებმა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა არ წაართვეს. ეს ოლქები არიან-ქართლის ძირითადი ნაწილები უნდა ყოფილიყო.

კვლევა აჩვენებს, რომ **არიან-ქართლის უმთავრესი ნაწილი მოიცავდა კლარჯეთს, ტაო-ბასიანს, ყარსისა და არზრუმის ოლქებს, იმ მიწა-წყალს, რომელზეც შემდგომ ბიზანტიამ ჩამოაყალიბა „იბერიისა“ და „ქალდეას“ თემები, ვანის ტბისპირეთიდან და ავან-ანისიდან ტრაპეზუნტამდე.**

მთლიანად კი, არიან-ქართლი მოიცავდა პარიადრეს არეებს, ასევე „მტკვრის იქით“ მდებარე გოგარენასა და მათ შორის მოქცეულ ხორძენას, იბერების იმ საცხოვრისს, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში მიიტაცა არმენიამ.

ხორძენა განვრცობილი იყო პარიადრედან გოგარენამდე, ანუ მტკვრამდე. ჩვენი აზრით, უმართებულოა ამჟამად მიღებული თვალსაზრისი გოგარენასა და ხორძენას მდებარეობის შესახებ. სტრაბონი მიუთითებს, რომ გოგარენა „მტკვრის იქით“ ანუ მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა ძვ.წ. I

საუკუნისათვის, ამიტომ ის არაა „გუგარქი“. სტრაბონი თავის ნაშრომში ორჯერ აღნიშნავს, რომ გოგარენა მტკვრის იქით, მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა ოლქ „საკასენას“ შემდეგ.

საკასენა, მისივე ცნობით, არაქსის დაბლობის ბოლოში, მტკვართან მდებარეობდა.

გოგარენას მარჯვნიდან მტკვარი საზღვრავდა, სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, აქამდე ანუ მტკვრამდე აღწევდა ხორძენა, ის პარიადრედან მტკვრამდე ვრცელდებოდა.

(ხორძენა არიან-ქართლის უმთავრესი ნაწილი ყოფილა, ის უნდა იყოს „ხორასმიონი“ (ხორაზმი), რომლის მეფე ფარასმანესი ალექსანდრე მაკედონელს ეწვია შუა აზიაში მწერალ არიანეს ცნობით, – „**ალექსანდრესთან მოვიდა ფარასმანეც ხორაზმელთა (დედანშია „ხორმასიონ“) მეფე 1500 მხედრით, მან თქვა, რომ ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმისა და ამაზონი ქალების მეზობლად**“ (არიანე, ალექსანდრეს ანაბაზისი, IV,15, 1-7, „ანტიკური კავკასია“, I, 2010, გვ. 310). სტრაბონი წერს – „ხორძენა“, მწერალი არიანე კი წერს – „ხორასმიონ“, ფუძეები „**ხორძ**“ და „**ხორას**“ იდენტური ჩანს). თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლოა ფარასმანესი იყოს აზოს (ანუ აზონის) წინაპარი, „არიან-ქართლის“ მეფე).

ძვ.წ. III-II სს-ში არაქსის ხეობისა და მისი მთიანეთის არმენიზაციის მიუხედავად ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა მკვიდრმა ქართველებმა ძირითადად შეძლეს ეროვნულ-ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება. ხოლო გაქრისტიანების შემდეგ ამ დიდ საქმეს უპირველესად ხელს უწყობდა მათი მხურვალე სარწმუნოება და ქალკედონური აღმსარებლობა.

როგორც აღინიშნა, იმის შემდეგ, რაც 726 წლის კრებამ სომხური ეკლესია მონოფიზიტობას სრულად დაუბრუნა, „მეორე იბერიის“ ქართველობამ თავი გაითავისუფლა სომხური ეკლესიისაგან და აღიდგინა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობაც ტაოს ქართველთა სამეფოს სახით, რაც, შეიძლება ითქვას, უძველესი არიან-ქართლის სამეფოს აღორძინება იყო. შესაბამისად, ამ რეგიონში აყვავდა ქართული ეკლესია და კულტურა, სამწუხაროდ, ე.წ. დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ომის დროს ბიზანტიის იმპერიამ XI ს-ის 20-30-იან წლებში სასტიკად გაანადგურა „მეორე ივერია“ და მისი საკათალიკოსო, რითაც თავისდაუნებლიეთ მოსპო ის ჯებირი, რომელიც ბიზანტიის აღმოსავლეთს თურქ-სელჯუკებისაგან იცავდა. მათ ამით მყისვე ისარგებლეს და ამავე საუკუნის 70-იან წლებში უკვე ბიზანტიის სიღრმეებში შეიჭრნენ (თურქ-სელჯუკები).

წიგნში აღიწერა არაქსისპირეთსა და ჭოროხის სათვეებში ქართველთა (ივერთა) ცხოვრება უძველესი ეპოქიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე.

ფიდანიანისა და სტეპანენკოს არასწორი თეორიების კრიტიკა

საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ამჟამად დამკვიდრებულია უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა, ივერები (ივირები) ქართველების გარდა ასევე ეწოდებოდათ ეთნიკურ სომხებს, სომეხ ქალკედონიტებს. შესაბამისად, მათი შექმნილია მე-9-მე-10 საუკუნეების დიადი ქართული კულტურა, და როგორც ილია მართალი ამბობდა, ამით ისინი „ხელს იწვდიან ტაოსკარზე“.

როგორც წესი, აღნიშნული მოსაზრების წყაროებად უთითებენ არა ძველ ავტორებს, არამედ ძირითადად ვ. არუთინოვა-ფიდანიანის შრომებს (მის გრიგოლ პაკურიანის ტიპიკონს, ერევანი, 1978, ანდა, ნინა გარსოიანს რომელმაც 1977 წელს ნიუ-ორკში გამოსცა თავისი წიგნი).

სომეხი ქალკედონიტების ივერებად მოხსენიებას საფუძველი დაედო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როცა ნიკო მარმა პირველად უწოდა ეგრეთწოდებულ სომეხ ქალკედონიტებს ივერები.

ამ თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დამამკვიდრებელი და მიმდვარი არის ვ. ფიდანიანი სტეპანენკოსთან ერთად.

ფიდანიანის სიტყვით ნიკო მარმა სომეხი ქალკედონიტები გამოიყვანა ლეგენდის სფეროდან, კერძოდ, თითქოს, ნიკო მარს მოუგროვებია ყველა ცნობა, ასევე ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები და ასე დაუწერია სომეხი ქაკლკედონიტების შესახებ თავისი ნაშრომი, რომლის საფუძველზეც ტაოს, მისი მიმდებარე რეგიონების, ასევე კლარჯეთის მკვიდრი ქართველობა ცხადდება ეთნიკურ სომხებად (თუმცა ქალკედონიტებად). შესაბამისად, ამ მხარეთა ქართული კულტურა, ეკლესია-მონასტრები – სომხურად და ამ მხარედან გამოსული წმინდა მამები და მოღვაწეები სომხებად. ამდენად, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები, თორნიკე ერისთავი და მისი საგვარეულო ჩორვანელებისა, გრიგოლ ბაკურიანის ძე და სხვა ქართველი დიდებულები ეთნიკურ სომხებად ცხადდებიან. მათი მტკიცებით ისინი ქართველები იყვნენ არა ეთნიკურდ, არამედ მხოლოდ საეკლესიო-კულტურული თვალსაზრისით მათი მართლმადიდებლური აღმსარებლობის გამო. ცხადია, ეს არის თეორია, რომელიც ამჟამად იწოდება „ქართიზაციის თეორიად“. ყველა სტატიაში, რომელიც კი სომეხ ქალკედონიტებს ეძღვნება საინტერნეტო სფეროში აღნიშნულია, რომ ნიკო მარმა თავისი ეს აღნიშნული თეორია პირველად წამოაყენა სტატიაში – „Аркаун Монголское Название Христиан в связи с вопросом об Армянах-Халкидонитах“ (1906წ.) ამ სტატიაში, დაფუძნების შესაბამის ცნობარში წერენ – „სომეხი-ქალკედონიტების ფენომენი პირველად აღმოაჩინა აკადემიკოსმა ნიკო მარმა (სომეხი-ქალკედონიტები, ფონდ „ჰაიაზგის“ ენციკლოპედიის მასალა). იქვე აღნიშნულია – „გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ (ნ. მარმა) თავის ამ ნაშრომში გამოიკვლია, რომ სომხეთში ქალკედონიტები იყო ცოცხალი, პროგრესული რელიგიურ-კულტურული მოძრაობა და სომეხი ქალკედონიტები აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სომხეთში მართლმადი-

დებლური თემის ისტორიისა და კულტურის შესწავლა გაგრძელდა მთელი XX საუკუნის მანძილზე სხვადასხვა მკვლევრების მიერ. სომეხ ქალკედონიტების შესახებ წერდნენ ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, პ. ხარანისი, რ. ბარტიკიანი, პ. მურადიანი. ნ. მარი. მრავალი შრომა მიეძღვნა სომხურ ქალკედონიტურ ძეგლებს, რომელნიც სომხურიდან ითარგმნა. სომხურ-ქალკედონიტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ წერდნენ ი. აბულაძე, ნ. აკინიანი, პ. მურადიანი, ა. კაზარიანი. არსებობს შრომები ნ. ადონცისა და ი. აკინიანის ჩორდვანელის, ვარაზვაჩეს, თორნიკე და საერთოდ ტაოს სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ და ასევე სასუნელი თორნიკიანების შესახებ (იქვე, გვ. 2/2).

საბოლოოდ, მთელი მსჯელობანი და მოსაზრებანი ჩამოთვლილი ავტორებისა მიდის იქამდე, რომ თითქოსდა, ტერმინი „ივირი“ გამოიყენებოდა არა მხოლოდ ეთნონიმად, არამედ ივერიის თემის მცხოვრებთა აღსანიშნად, და ასევე გამოიყენებოდა კონფესიონალურად, კერძოდ კი, ივირებად (ივერებად) იწოდებოდა „როგორც წესი, ქართულ ეკლესიას მიკედლებული სომეხი-ქალკედონიტები“. ამის დამადასტურებლად მოჰყავთ შემდეგი მაგალითები –

1. ანა კომინა, არაორაზროვნად უწოდებს გრიგოლ ბაკურიანს სომეხს დიდებულთა გვარიდან, ხოლო მათეოს ურჰაეცი – მას ქართველს უწოდებს. ამავე დროს თვითონ მის მიერ შედგენილ ბაჩკოვის მონასტრის წესდებაში ის ივერად იწოდება მაშინ, როცა იქვე ნათქვამია, რომ ეს წესდება შედგენილია რომაულად, ივერთა და სომეხთა ენებზე და მან ხელი მოაწერა სომხური ასოებით.

2. ანისის ტაძრის წარწერაში ბაგრატ ვხკაცი – ივერად მოიხსენიება, ამავე დროს, ბერძენ ავტორთა მიერ ის სომეხად იწოდება. მის (ბაგრატის) შვილს სუმბატს მათეოსი სომეხად მოიხსენიებს, ჩანს, მხედველობაში ჰქონდა სუმბატის დაბრუნება სომხური ეკლესიის მიმდევართა რიგებში.

მისივე მტკიცებით ის იყო არა სომეხი, არამედ ივერი. ბაგრატ ვხკაცი 1060 წელს დაინიშნა „აღმოსავლეთის კატეპანად“ და ივერიის თემის (ფემის) მმართველად, ცენტრით ანისში (1060-1064), მან ანისის ტაძარზე გააკეთა წარწერა, რომ ის იყო ტომით ივერი.

ის იყო ბიზანტიაში იმპერატორების მიერ გადასახლებული ქართველი (ტაოელი) დიდებულების ბრწყინვალე საგვარეულოს წევრი.

ასეთივე იყო ბიზანტიაში გადასახლებული ბაკურიანების დიდი ოჯახი.

ვხკაცების საგვარეულოს, წყაროებში ივერები ეწოდებათ. საქართველოში ანუ ტაო-ივერიის თემში ისინი იყვნენ ქართული ეკლესიის ერთგული წევრები, ხოლო ბიზანტიაში – ბერძნულისა. სხვათა შორის, ასეთ ქართველებს გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონიდანაც ჩანს, არ უყვარდათ ბერძნები და უმეტესად უარყოფით გრძნობებს გამოხატავდნენ სომხების მიმართ. რასაც რატომღაც ჩქმალავენ.

ბიზანტიაში გადასახლებულ დიდ ქართულ საგვარეულოთა რიცხვში შედის ასევე აპოკაპები, ამ დიდი ქართული სახლის წევრები იყვნენ გამოჩენილი ბიზანტიელი მხედართმთავრები და სახელმწიფო მოხელეები. აპოკაპების ამ ოჯახის წევრთა შორის მრავალს ერქვა ძველი ქართული სახელი ფარსმანი, რითაც იმეორებდნენ იბერიის მეფეთა ოჯახის საგვარეულო სახელს.

3. მათეოს ურჰაეცი ამბობს, რომ როცა ვასილ აპუკაპი (აპოკაპი) დაბრუნდა ედესაში „მათი ხალხი“ ხარობდა.ფიდანიანის აზრით, თითქოსდა, აქედან ჩანს, რომ ის სომეხი იყო, მაგრამ ის (მათეოს ურჰაეცი) ვასილს პირდაპირ რომაელს უწოდებს, მხედველობაში ჰქონდა ან მისი ადმინისტრაციული ფუნქციები, ანდა ქალკედონიტობა.

4. ამ აღნიშნული ვასილის ძმა – ფარსმანი ივერად იწოდება სკილიცას მიერ, ხოლო ატალიატი მას სომეხს უწოდებს. ამ მაგალითებიდან უმართებულოდ ასკვნიან, თითქოსდა, ცდებოდა მათეოს ურჰაეცი, რომელიც ამ ივერებს წმიდა სისხლის ქართველებად მოიხსენიებდა, ანუ იმათ, რომელთაც, ფიდანიანები „სომხებს“ უწოდებენ.

იქვე, ამ გვერდზე ამატებენ შემდეგს – „ეთნიკონმა „ივირმა“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოაძევა ტერმინი „სომეხი“ (იქვე, გვ. 2/3). სამაგალითოდ კვლავ გრიგოლ ბაკურიანისძე მოჰყავთ, თითქოსდა, ის იყო სომეხი, რომელმაც ქართული იცოდა. მათ მიერ უარყოფილია მათეოს ურჰაეცის ცნობა, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს ტომით ქართველს უწოდებდა და, რაც მთავარია, თვით გრიგოლისვე ცნობა, რომელშიც ის თავის თავსვე ივერიის ბრწყინვალე გვარიშვილს უწოდებს, თავი მოაქვს, რომ ის ქართველი მხნე მეომარი იყო.

ის უმართებულოდ წერს – „საქართველოს მოსაზღვრე სომხეთის რაიონებში მცხოვრები სომეხი მართლმადიდებლები ხდებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური დაქვემდებარების ქვეშ“ – „პრავოსლავნია ენციკლოპედია“ (ტ.III, მოსკოვი, 2001, გვ. 326).აქვე ნათქვამია – „XI ს. მე-2 ნახევარში თურქ-სელჯუკების შემოსევებმა, რომელმაც ბიზანტიურ ყოფნას არმენიაში ბოლო მოუღო, აიძულა სომეხი-ქალკედონიტები თანდათანობით გადასულიყვნენ საქართველოს საკათალიკოსოში და XIII ს-ში მათი საეპისკოპოსო კათედრები უკვე „ქართულად მიიჩნეოდა“ – „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, გვ. 327).

ეს არასწორი თვალსაზრისია, რაც თუნდაც ა. ლასტივერტეცის შრომიდან ჩანს.

ამ ძველი სომეხი ავტორის სიტყვით, ბასილი კეისარი შეიჭრა ივერიაში (ე.ი. ტაო -ბასიანში) და სასტიკად დასაჯა, დაურიდებლად დახოცა დიდძალი მოსახლეობა, დაანგრია იქამდე აყვავებული ივერია (არა მცხეთის ივერია, არამედ ტაოსა და მიმდებარე ოლქების ივერია).

ტაო-ბასიანის ქვეყანა და საერთოდ, ქართველთა ყოფილი სამეფო, ლასტივერტეცის სიტყვით, გაანადგურა ბასილი მე-2-ის შემოჭრამ, ეს იყო ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები, შესაბამისი ქართული საეპისკოპოსოებით.

ეს ხელს არ უშლის ამ ორგანოს (პროვასლავნია ენციკლოპედიას), რათა ფოტოზე ოშკი სომეხ-ქალკედონიტთა მონასტრად წარმოადგინოს, ხოლო ფოტოზე, რომელსაც მიწერილი აქვს სიტყვები „ავანის ეკლესია“, სინამდვილეში, მცხეთის ძველი ფოტოა გამოსახული.

„პროვასლავნაია ენციკლოპედიაში“ სომეხ-ქალკედინოტების შესახებ დასტამბული სტატიის ავტორია ვ. არუთინოვა-ფიდანიანი.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი „ პროვოსლავნაია ენციკლოპედიას“ სტატიაში „სომეხი-ქალკედონიტები“ აღნიშნავს, რომ „სომეხ-ქალკედონიტთა შესწავლის სირთულე აიხსნება წყაროთმცოდნეობითი სიძნელეებით: სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვაენოვან (სომხურ, ბერძნულ, ქართულ, სირიულ და არაბულ წყაროებში (ისტორიულ ქრონიკებში, წმიდათა ცხოვრებებში, სახვთისმეტყველო და პოლემიკურ ტრაქტატებში, ეპიგრაფიკასა და აშ.)“.

სინამდვილეში, არც ერთ მათგანში არ არსებობს რაიმე პირდაპირი ანდა ობიექტური ინფორმაცია სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ.

აქედან კარგად ჩანს, რომ თვით ყველაზე ტენდენციური ვ. ფიდანიანის აღიარებითაც კი სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ არ არსებობს არც ერთი წყარო.

მაგრამ არსებობს მხოლოდ ვარაუდებზე დაფუძნებული მტკიცებანი მისი მსგავსი მკვლევრებისა, რომელნიც წყაროთა ამ საოცარ არქონას ავსებენ, მაგალითად, ისეთი თხზულებით, როგორიცაა პეტრიწონის ტიპიკონი, რომელიც სომეხ-ქალკედონიტურ თხზულებად ცხადდება უსაბუთოდ.

ა. ფიდანიანის ტენდენციურობისა და არაკორექტულობის შესახებ კარგად მიუთითა თავის რამდენიმე ნაშრომში ისტორიკოსმა სტეპანენკომ.

ვ. სტეპანენკომ „ბიზანტიისკი ვრემენიკის“ 59-ე ტომში დაბეჭდილ თავის ნაშრომში „სომეხი-ქალკედონიტები XIს. ბიზანტიის ისტორიაში („ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნის გამო“), საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნი „სომხურ-ბიზანტიური საკონტაქტო ზონა (X-XI), მოსკოვი, 1994. რუსულ ენაზე).

სტეპანენკო წერს – „ ფიდანიანის ამ ნაშრომმა უფრო მეტი კითხვა წარმოშვა, მიზეზებია არა მხოლოდ მკვლევრის საკუთარი შეცდომები, რომელნიც ნათელია, არამედ ის, რომ არ არსებობს საერთოდ აღიარებული გასაგები აპარატი ეთნოკულტურული პროცესების შესასწავლად, საჭიროა სხვა მიდგომები და სხვა მეთოდიკა და არა ის, რაც დემონსტრირებულია ვ. არუთინოვა-ფიდანიანის წიგნში“ (В.П. Степаненко, Армяне-холкедонаты в истории Византии XI в .Византииискии временик. Т.59. с.60).

სტეპანენკო აგრძელებს – „საჭიროა მონაცემთა ბაზის შექმნა. ეს მკვეთრად შეამცირებს ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობას. ფესვები ეთნოპოლოტიკური სიტუაციისა, რომელიც შეიქმნა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან X ს/ში, უნდა ვეძიოთ მისი ისტორიის უფრო ადრინდელ პერიოდებში“ (ვ. სტეპანენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 61)

X-XI სს-ში იმპერიის აღმოსავლეთით (ისტორიული საქართველოს სამხრეთით) შექმნილი ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული სიტუაციის ფესვებს ჩვენ ამიტომაც ვეძებთ არა მხოლოდ VI-VIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით ადრეულ პერიოდში, ამ საკითხების რკვევას ეხება ჩვენი წიგნი „არიან ქართლი“.

ამ მხრივ საჭიროა წინა საუკუნეთა პერიოდების კვლევა აღნიშნულ ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ საკითხის შესასწავლად.

სამწუხაროა, რომ ქართველი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ელიტამ მთლიანად გაითავისა ნ. მარის „ქართიზაციის“ თეორია. ისინი, როგორც თუნდაც ვ. სტეპანენკო, დარწმუნებულები არიან, რომ იმპერიასთან ე.წ. „საკონტაქტო“ ზონა ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული, რომელთა გაქელდონიტებით, თითქოსდა, მათი გაქართველება ხდებოდა. და კვლევა „ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მანიპულირებით“ ხდება.

როგორც აღინიშნა, თვითონ ვ. ფადანიანი წერს, რომ არ არსებობს რაიმე წყარო, რომელშიც პირდაპირი და ობიექტური ინფორმაცია იყოს იმის შესახებ, რომ ივერები (ივირები) ეთნიკურად სომხები იყვნენ.

სინამდვილეში, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ქართველები ანუ ივერები სომეხ-ქალკედონიტებად ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მანიპულირების შედეგად გამოაცხადეს.

პირველი მაგალითი მათ ნიკო მარმა მისცა, რომელმაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობილი ფრაზა (ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, სადაც ქართული ენით წირვა-ლოცვა ხდება) გააუკუღმართდა მასში იმ აზრის ჩადებით, თითქოსდა, ვინც კი ქართული ეკლესიის წევრი ხდებოდა, ყველას ქართველს უწოდებდნენ.

ასევე ესმის ეს ფრაზა ამჟამინდელ ფილოლოგებსა და ისტორიკოსების დიდ ნაწილს.

ეს მოსაზრება იმდენად არის გამჯდარი, რომ სამწუხაროდ, ვ. სტეპანენკოც მიიჩნევს, რომ ამ მხარის მოსახლეობა წარმოშობით სომეხი იყო, რომელნიც შემდეგ მთლიანად გაქართველდნენ, მის მიერ არუთინოვა-ფიდანიანის კრიტიკა კი იმათ გამოიხატება, რომ ამ უკანასკნელს უწუნებს კვლევის მეთოდს, ამჩნევს მის შეცდომებს, არაკორექტულობას, სიცრუეს სხვადასხვა ფაქტის გადამეტებით და სხვა. საბოლოოდ კი ცდილობს უფრო მაღალ სიმაღლეზე აიყვანოს „სომეხ-ქალკედონიტთა“ ისტორიის კვლევის საქმე. შესაბამისად, სტეპანენკო ვ. ფიდანიანის მიმართ ზომიერად ხმარობს ფრაზებს – დაუსაბუთებელი „бездоказательно“ (გვ.48), „ავტორს პასუხი არ აქვს“ – „ответа на данный вопрос автор не даёт“ (გვ. 50) კერძოდ, საკითხის შესახებ ვ. ფიდანიანის მტკიცებას, თითქოსდა, არსებობდა „სომეხ-ქალკედონიტთა ეთნოსი“. სინამდვილეში, ეს ეთნოსი იყო ივერები ანუ ქართველები, რომელნიც იქამდე ანუ ტაოს სამეფოს დაარსებამდე შეადგენდნენ სომხური ეკლესიის მრევლს და მანასკერტის 726 წლის კრების შემდეგ დაუბრუნდნენ დედა ქრისტიანულ ეკლესიას.

სტეპანენკო აგრძელებს ფიდანიანის კრიტიკას ასეთი სიტყვებით „მცდარი – ошибочно“ (გვ. 51), ანდა „დაუსაბუთებელი – представляется на необоснованным“ (გვ. 53) (კერძოდ, საკითხი შეხება იმას, რომ თითქოსდა, ე.წ. აღმოსავლურ ბიზანტიურ „საკონტაქტო ზონაში“ „ძირითადად ერთმანეთს ხვდებოდა ორი ეთნიკური მასა – სომხებისა და ბერძნებისა“. სტეპანენკოს აზ-

რით, აქ იყო მესამე ეთნიკური მასა – ქართველებისა, იქვე უწოდებს ფიდანიანს – „არაკორქტულს“ და წერს – „К сожалению предложенное следоватедьницой решение проблемы \Армение-халкедониты – историко-культурный феномен контактной зоны\ представляется нам некорректным“.

ფიდანიანი ამტკიცებს, თითქოსდა, სომეხი-ქალკედონიტები „უარყოფდნენ სომხურ ენას და ღვთისმსახურებას“, თუმცა სხვა ნაშრომში ის აღნიშნავს, რომ სომეხი ქალკედონიტები ამაყობდნენ თავიანთ სომხური წარმომავლობით, სად არის მართალი ამ შემთხვევაში მკვლევარი, სომეხი ქალკედონიტები უარყოფდნენ თუ არა სომხურ ენასა და კულტურას?

სინამდვილეში კი, სომხურ ენასა და კულტურას ეთნიკურად იბერიული ანუ ქართველი პირები უარყოფდნენ, რომელნიც იქამდე სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში იმყოფებოდნენ, ამიტომ ეკლესიებში იქამდე ლოცვის ენაც სომხური ჰქონდათ, რომელთაც 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ გადაწყვიტეს შეერთებოდნენ მშობლიურ ქართულს, ქართულ ეკლესიას, რადგანაც სომხურმა ეკლესიამ ამ კრების ძალით მკაცრად მოითხოვა ყველა სომეხი მხოლოდ მონოფიზიტი ყოფილიყო და ქალკედონიტები კი დაწყევლა, ეს იყო წყევლა ტაოს იბერებისა და არმენიის ივერიული ზონის ქართველებისა, ამიტომაც ისინი განშორდნენ მათ მაწყევარ ეკლესიას, ხოლო ეთნიკური სომხები შეუერთდნენ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას.

სამწუხაროდ, 1071 წლის შემდეგ იბერიის თემის მიწა-წყალი თურქ-სელჯუკების ხელში გადავიდა, მრავალი ქართველი, ანუ ეთნიკური ივერი ყოფილი იბერიის თემიდან გადასახლდა კილიკიაში, სადაც კვლავ გაგრძელდა მათი არმენიზაციის პროცესი (აქ ბაკურიანისძეების ნაწილიც კი გადასახლებულა). ამასთანავე, ადგილზევე (ყოფილი იბერიის მიწაზე) დარჩენილი ივერებიც კვლავ მოექცნენ სომხური-მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში, ამაზე მიუთითებს მათი საღვთისმეტყველო წიგნები, რასაც იკვლევენ, ოღონდ თავისებურად. მათ ნაკვლევშიც ქართული ფესვები მაინც ნათლად ჩანს.

XI ს-ში იბერიის თემში წირვა-ლოცვა იყო თავდაპირველად ქართულ ენაზე, შემდეგ კი ბერძნულად აღესრულებოდა, თუმცა ძალიან ეცადნენ ქართველი მამები და დიდხანს იბრძოდნენ, რათა ბიზანტიას ნება დაერთო, ივერიის თემში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ყოფილიყო. ამისთვის იღვწოდა ზაქარია ვალეშკერტელი, ათონის მთის მამები, მაგრამ უშედეგოდ, ივერიის თემში საბოლოოდ წირვა-ლოცვა ბერძნულად დამკვიდრდა.

ივერიის თემის მოსახლეობა თავის თავს „ივერებს“ უწოდებდა, როგორც ეს მრავალი მასალიდან ჩანს.

ამ მხრივ ფიდანიანის თვალსაზრისი უსაფუძვლოა. თითქოსდა, ეთნიკური სომხები მხოლოდ ქართულენოვანი ლიტურგიის გამო უწოდებდნენ თავიანთ თავს „ქართველს“.

ბიზანტიაში ცნობილ იბერებს, მაგალითად, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, წირვა-ლოცვა თავისი მრავალი ლაშქრობისას ბერძნულად ჰქონდა, მაგრამ ის მაინც თავის თავს „ქართველს“ უწოდებდა.

ფიდანიანის აპელირება მხოლოდ წირვა-ლოცვის ენაზე უსაფუძვლოა.

არმენიის იბერიული ზონის ხალხს დიდი ქართული წარსული ჰქონდა, მათ ეს კარგად იცოდნენ, თუმცა კი არმენიაში ცხოვრობდნენ. თვითონვე აღნიშნავდნენ, რომ მრავალი „ივირი“ იყო ბიზანტიურ არისტოკრატიაში. ცხადია, მათი საკუთარი ენაც ბერძნული იყო, თავიანთ თავს კი ქართველს უწოდებდნენ ისინიც და მემატიანეებიც.

არასწორია ასევე მკვლევარი, რომ ივერიის თემიდან ბიზანტიაში ჩასულთ, თითქოსდა, ყველას „ივირი“ ერქვა.

ივერიის თემის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს „ივირი“ ეთნიკური ივერიელების გამო ეწოდა. ისინი იყვნენ არმენიზაციის ბურუსიდან თავდახსნილი, ეროვნულად გამოღვიძებული, ვინაობაააღდგენილი, არმენიაში მცხოვრები ქართველობა. ცხადია, მათ ეთნიკური წარმომავლობის გამო ივერები ეწოდებათ.

სტეპანენკო წერს, რომ ფიდანიანი ფაქტებით უმართებულოდ მანიპულირებს (გვ. 57). კერძოდ, საქმე ეხება ჩორდვანელთა საგვარეულოს, თორნიკე ერისთავს, ასევე გრიგოლ ბაკურიანის ძეს.

სხვა მასალები არც კი გაჩნიათ, მაგრამ ფაქტების გაყალბებით, სამწუხაროდ, საერთაშორისო ასპარეზზე დანერგეს თავიანთი თვალსაზრისი.

ჩორდვანელების საკითხი სხვა სტატიებში საგანგებოდ გამოიკვლია ვ. სტეპანენკომ. არუთინოვა-ფიდანიანის დასკვნით გრიგოლ ბაკურიანის ძე ეთნიკურად სომეხია, რადგანაც მან, თითქოსდა, თავის ტიპიკონს ხელი სომხური ასოებით მოაწერა, ამასთანავე, ტიპიკონი სომხურ ენაზეც დაიწერა. თუნდაც ასე იყოს, ეს მაინც ეთნიკური ვინაობის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი (მისი ცოლი) ერთმანეთს წერილებს რუსულ ენაზე წერდნენ, ანდა თავის საბანკო წესდებას იგივე ილია ჭავჭავაძე ხელს რუსულად აწერდა.

არმენიული იბერიული ზონის მოსახლეობა, ანუ ეთნიკური ქართველები, მათი სასულიერო პირები (იბერები), მე-8 ს. შუა წლებამდე და შემდეგაც, მცირე ხნით, სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში ყოფნისას, ცოდნა-განათლებას იღებდნენ სომხურად, ამის გამო კარგად იცოდნენ სომხური წერა-კითხვა IV-VII სს-ში, მაგრამ თანდათანობით სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვასა და საეკლესიო წესრიგს.

726-იან წლების პირველ ხანებში ამ მხარეებიდან გამოსულმა ქართველმა მრევლმა იცოდა სომხური წერა-კითხვა ისევე, როგორც, მაგალითად, XIX საუკუნის ქართველმა საეკლესიო პირების ერთმა ნაწილმა რუსული წერა-კითხვა უკეთ იცოდა ვიდრე ქართული. რადგანაც ქართული ეკლესიის მრევლისათვის რუსებმა რუსულენოვანი ღვთისმსახურება და განათლების სისტემა დანერგეს. ასევე იყო არმენიის მიერ დაპყრობილ პარიადრეს, ხორძენასა, გოგარენას თუ კარენიტიდას ქართულ ოლქებშიც (ამ რეგიონების ნაწილი იყო ტაო და ბასიანი), რომელთა მკვიდრი ქართული მოსახლეობა არმენიის საეკლსიო იურისდიქციაში აღმოჩნდა, განათლება მათ სომხურ ენაზე ჰქონდათ და საეკლესიო მსახურებაც, არმენიზაციის ამ ბურუსიდან კი განთავი-

სუფლდნენ მე-8 საუკუნეში, მაგრამ შესაბამისი განათლების გამო სომხურიც კარგად იცოდნენ.

ამის მიზეზი იყო ამ დროს შექმნილი პოლიტიკურ-ეკლესიური ვითარება.

არმენიზაციის უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ აღფრთოვანებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მყისიერად მოხდა თავისი ეთნო-ეროვნული ვინაობის აღდგენა, ახალი ძალით განავითარეს ქართული მწერლობა, არქიტექტურა და კულტურა.

ნ. მარიც და ვ. ფიდანიანიც არა მხოლოდ ტაოს ივერიის თემს ეხებიან, კლარჯეთიც კი სომეხ-ქალკედონიტთა ქვეყნად წარმოადგინეს, რაც თვით ვ. სტეპანენკოსაც კი აღაშფოთებს, რადგანაც უდიდეს დასკვნებს აკეთებენ წყაროების პირდაპირი ჩვენების გარეშე.

ფიდანიანის აზრით, ტაოს მეფეთა და დავით კურაპალატის მმართველობა სომხური იყო. თუ ეს ასე იყო მისი ხალხი უნდა გასომხებულიყო, ის კი „სომეხთა გაქართველების“ შესახებ საუბრობს.

იბერიის თემისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოსული ცნობილი პირების ქართველობის შესახებ ნათლად წერენ სომეხი ქრონისტები (ე.ი. სომხური წყაროები), ისინი კი მათ „ ქართველებს“ უწოდებენ და არა სომეხ-ქალკედონიტებს. აღნიშნული მკვლევრები ამ წყაროებს „არასაკმარისად მიიჩნევენ“ და მათ პირდაპირ ჩვენებას განგებ ამახინჯებენ და აბუნდოვანებენ.

ვ. სტეპანენკომ საგანგებო შრომა მიუძღვნა თორნიკე ერისთავისა და ჩორდვანელთა ოჯახის ეთნიკური ვინაობის კვლევას (В.П. Степаненко, Чортванели, Торники и Таронити в Византии к вопрос о сушествавании Т.Н.Таикской ветви Торникянов, 1993). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართული ისტორიოგრაფიით თორნიკე ქართველია, ხოლო სომხურით (ნ. ადონეცი, ნ. აკინიანი, ვ. არუტინოვა) – სომეხი, მათგან ერთნი „თორნიკიანებს“ მიიჩნევენ სომეხი ბაგრატიდების შთამომავლებად, სხვანი კი მამიკონიანებად. მათი აზრით, სომხური საგვარეულო – ჩორდვანელები ფლობდნენ ხალტოი-არიჭსა და ჩორდმაირს, იყვნენ მთავრები დერჯანისა და ტარონისა“.

ვ. სტეპანენკო მსჯელობს, რომ VIII ს-მდე ტაო (ტაიქი) შედიოდა არმენიის შემადგენლობაში, მამიკონიანების ნახარარულ საგვარეულოში.

მისი მცდარი აზრით ტაოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სომხები იყვნენ. თითქოსდა, ტაოს სომხური წარსული შემოინახა ტოპონიმებმა და არქიტექტურულმა ნაშთებმა, მაგალითად, ბანამ და იშხანმა. მართლაც, იშხნის აგება უკავშირდებოდა ნერსე კათალიკოსს, მაგრამ ის დაინგრა და სუმბათ დავითის ძის ცნობით ბანა ააგო ქართველმა მთავარმა აშოტ კუხმა 918 წლამდე.

ვ. სტეპანენკოს აზრით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, თითქოსდა, ადასტურებს, რომ ტაო მოსახლეობისგან დაცლილი ადგილი იყო, როცა იქ ქართველები ჩასახლდნენ. მართალია, ასეთი თვალსაზრისი საყოველთაოდ გაავრცელა ნ. მარმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ასეთ ცნობას გიორგი მერჩულე არ იძლევა.

ცხადია, აქ მტერთა შემოსევებმა მოსახლეობა შეათხელა, მაგრამ ტაოში დარჩა უამრავი სოფელი, თუმცა შეთხელებული, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობით, რომლის ერთ-ერთი მდიდარი მეპატრონე, გაბრიელ დაფანჩული, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის მეცენატი მასპინძელიც იყო.

უნდა ითქვას ისიც, რომ გრიგოლ ხანძთელი (5 ოქტ.759-861) ახალი დაბადებული იყო, ანდა ჯერ არც კი იყო დაბადებული, როდესაც ტაოს იბერ სასულიერო პირთა დელეგაციამ მე-8 ს. შუა წლებში ანტიოქიიდან ჩამოიტანა დადგენილება ტაოს იბერიის ავტკეფალური საკათალიკოსოს აღიარებისა და მისი სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან გათავისუფლების შესახებ. ტაოს ეკლესიებში აღდგენილა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, ამიტომაც ამ მხრივ, მაგალითად, ძალზე ცდება ქართველი მეცნიერების გამოჩენილი ნაწილი, როცა ფაქტობრივად იმეორებენ ნიკო მარის მიერ გავრცელებულ მტკიცებას, თითქოსდა, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვნების აღდგენა გრიგოლ ხანძთელთანაა დაკავშირებული და მისი ცხოვრების წიგნი წარმოადგენს წყაროს ტაოს მკვიდრი სომხების „გაქართველების“ შესახებ. თითქოსდა, ეს წიგნი გადმოგვცემს არაბულ ეპოქაში გაუკაცრიელებულ სომხურ ტაოში ქართველთა მასობრივი ჩასახლების ამბავს, რაც ასე არაა.

ტაო ქართველებით ოდითგანვე იყო დასახლებული და აქ მე-8 ს-მდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი ქართველები ცხოვრობდნენ, რომელნიც ეროვნულად გამოაფხიზლა და მათი ეროვნული თვითშემეცნება გამოაცოცხლა 726 წლის სომხური საეკლესიო კრების ანათემებმა, რომლითაც ტაოს ქართველობა დაიწყევლა ისევე, როგორც საუკუნით ადრე სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა დაწყევლა ქალკედონიტები.

აქედან ჩანს, რომ „ივირების“ სომეხ-ქალკედონიტებად სახელდებას ცდილობენ არარსებული და გამოგონილი წარწერებითა და სხვადასხვა უკადრისი ხერხით.

მაგალითად, თორნიკე ერისთავის ეპოქის ცნობილი სომეხი ავტორი – სტეფანოზ ტარონელი წერს, რომ თორნიკე – „ქართველი, ივერიელი იყო ეროვნებით, და მან ივერთა ჯარი შეკრიბა საიმპერატორო საჭიროებისათვის“ (Степанос Таронеци, Всеовая история), ამის მიუხედავად ეს მკვლევრები თორნიკეს სომხად მიიჩნევენ.

სტეპანენკოს დასკვნით, თორნიკეს „სომხობის“ მტკიცებები ფაქტობრივი სიყალბე ანდა შეცდომის შედეგია (გვ.144), თუმცა კი სტეპანენკო ცდება, როცა მიიჩნევს, რომ თითქოსდა, თორნიკე, მართლია, ქართველი იყო, მაგრამ მას და მის საგვარეულოს „სომეხი წინაპრები ჰყავდა“ (გვ.144). მისი წინაპრები ეთნიკური ქართველები იყვნენ სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში მე-8 ს-მდე, შემდეგ კი გათავისუფლდნენ ამ დაქვემდებარებისაგან.

ივერთა სომეხ-ქალკედონიტებად გამოცხადება შეცდომაა, რომლის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

დასკვნა (ე.წ. სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ)

საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ამჟამად დამკვიდრებულია უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა, ივერები (ივირები) ეწოდებოდათ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ სომეხ-ქალკედონიტებსაც („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, გვ. 326, 327, ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, გრიგოლ პაკურიანის ტიპიკონი, ერევანი, 1978, რუს. ენაზე, მისი დამოწმებანი ვიკიპედიის შესაბამის და სხვა საენციკლოპედიო სტატიებში, მაგ., „სომეხი-ქალკედონიტები“, ფონდ „ჰაიაზგის“ ენციკლოპედია და სხვა).

იბერიის თემის, ტაოსა და ასევე, მისი მიმდებარე რეგიონების მოსახლეობა ცხადდება სომეხ-ქალკედონიტებად, ამ მხარეებიდან გამოსული წმინდა მამები და ქართველი დიდებულები კი ეთნიკურ სომხებად (მაგ., თორნიკე ერისთავი და საგვარეულო ჩორდვანელებისა, გრიგოლ ბაკურიანის ძე და სხვანი), შესაბამისად, ამ მხარეთა ქართული კულტურა, ეკლესია-მონასტრები – სომხურად.

საქართველოს სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ქართველები ანუ ივერები სომეხ-ქალკედონიტებად გამოაცხადეს ისტორიული კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მანიპულირების შედეგად, მტკიცებით, რომ თითქოსდა, ისინი არა ეთნიკურად იყვნენ ქართველები, არამედ მხოლოდ საეკლესიო-კულტურული თვალსაზრისით და მას შემდეგ იწოდნენ ქართველებად, რაც ქალკედონური აღმსარებლობა მიიღეს. ცხადია, ეს არის თეორია, რომელიც ამჟამად იწოდება „ქართიზაციის თეორიად“.

სინამდვილეში, ტაო-ბასიანი, მიმდებარე ოლქები და საერთოდ „იბერიის თემის“ ტერიტორია წარმოადგენდა ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს იქ სომხების დასახლებამდეც.

სტრაბონის ცნობით აღნიშნული სამხრეთის ტერიტორიები (პარიადრედან გოგარენას ჩათვლით) იბერიამ დაკარგა ძვ.წ. II ს-ში არმენიის მეფეთა ექსპანსიის შედეგად. ამ მიწა-წყლის მკვიდრი ქართველები (იბერები) მიუხედავად იმისა, რომ უკვე არმენიის სახელმწიფოს მცხოვრებლები იყვნენ, გაქრისტიანების შემდეგ IV-V საუკუნეებში მტკიცედ იცავდნენ მართლმადიდებლობას. შემდგომში, VI-VII საუკუნეებში, ეს მიწა-წყალი (არაქსის ხეობა, ჭოროხის სათავეები, ვანის ტბისაკენ მიმართული ტერიტორიები) აღმოჩნდა ბიზანტიის შემადგენლობაში, მას ბიზანტიური სომხეთი ეწოდა და აქ მრავალი ქალკედონიტური საეპისკოპოსო დააარსა მკვიდრმა, ანუ ქართულმა მოსახლეობამ. ამ პერიოდში სომხური ეკლესია ლოიალობას გამოხატავდა ბიზანტიური ეკლესიის მიმართ და თითქოსდა, ქალკედონიტობა აღიარა კიდეც, რაც არმენიის მკვიდრი ქართველობისათვის მთლიანად მისაღები იყო, რადგანაც ქართველობა მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას.

ბიზანტიელებთან არაბების გამარჯვებისას სომხურმა ეკლესიამ სარწმუნოებრივი ორიენტაცია მკვეთრად შეიცვალა. არაბობის ეპოქაში სომხურ-ეროვნული ანუ მონოფიზიტური ეკლესია გაძლიერდა, ისარგებლა რა ამ რეგიონში არაბებთან ომისას ბიზანტიის დასუსტებით, შეავიწროვა ქალკედონიტური, ანუ საეპისკოპოსოები.

726 წლის მანასკერტის კრებაზე გაიმარჯვა სომხურ-ეროვნულმა საეკლესიო მიმართულებამ, ამან გამოიწვია იურისდიქციის საზღვრების ცვლილება. კერძოდ, ადგილობრივი სომხურ-ქალკედონური ეკლესიები უერთდებოდნენ სომხურ-ეროვნულ ეკლესიას, ანუ სომხურ საკათალიკოსოს.

სომხურ-ეროვნულ ეკლესიასთან დაბრუნების ამ საყოველთაო პროცესს თავი აარიდეს ბიზანტიის სომხეთის არასომხურმა ქალკედონიტურმა ეპარქიებმა, კერძოდ კი, ქართველი მრევლის საეპისკოპოსოებმა.

750-იან წლებში ადგილობრივმა ქართულმა მრევლმა ტაო-ბასიანსა და მიმდებარე ოლქებში ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა სომხურ ეკლესიასთან და დაუბრუნდა დედაქართული ეკლესიის წიაღს, რადგანაც სომხური ეკლესია საბოლოოდ გამონოფიზიტდა, ხოლო ქართული მრევლი, როგორც აღინიშნა, მტკიცედ იცავდა ქალკედონიტობას.

საბოლოოდ, როგორც ითქვა, ბიზანტიური სომხეთის ეთნიკურად ქართული მრევლის დიდი ნაწილი ახალ ვითარებაში შეუერთდა არა სომხურ, არამედ ქართულ, მისთვის ეროვნულ ეკლესიას.

ქართული საეპისკოპოსო – ვალაშკერტისა, არზრუმისა, კარისა, ანისისა და სხვა, ზოგიერთი XVI-XVII სს-შიც კი ფუნქციონირებდა.

ივერების სომეხ-ქალკედონიტებად გამოცხადება შეცდომაა, რომლის გამოსწორებისთვისაც უნდა იზრუნოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ამჟამად „ქართიზაციის თეორიას“ ემხრობა, რაც მისი დაბრკოლების ლოდია.



VI ს. № 72

ლაზთა ეპისკოპოსების სამწყსო და ლაზთა სამეფო VI ს-ში

პროკოფი კესარიელი წერს – ტრაპეზუნტელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობს ერთი ხალხი, ის არც რომაელებს და არც ლაზთა მეფეს ექვემდებარება, მაგრამ „ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწყესებენ მათ მღვდელმსახურებს“ მათი ქვეყნის „მარჯვნით აღმართულია მეტად ციცაბო მთები... ამის გადაღმა ცხოვრობენ ე.წ. პერსარმენიელები და არმენიელები“. ისინი ლაზიკის ომებამდე კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ, შემდეგ კი „ლაზთა ეპისკოპოსებს“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 125).

ლაზთა ეპისკოპოსების ქვეშ იგულისხმება ნოტიციებში მოხსენიებული პეტრას, ზიგანას, საისინისა და როდოპოლისის ეპისკოპოსები.

ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას კათედრები ბერძნული რუკებისა და ნ. ადონცის კვლევით მდებარეობდნენ გიუმიშხანე-ათინას რეგიონში ტრაპეზუნტის სამხრეთით და ისინი კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდნენ. ლაზთა სამეფო კი – მის ჩრდილოეთით მდებარეობდა და ტრადიციულად მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა. აპელირება იმისა, რომ ეს საეპისკოპოსოები დასავლეთ საქართველოში მდებარეობდნენ არასწორ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეწინააღმდეგება ძველ ქართულ საისტორიო და საეკლესიო წყაროებს.

მასშ: 1:1.600.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
ლაზთა ეპისკოპოსების სამწყსო
ზიგანას კათედრა
როდოპოლისის კათედრა
საისინის კათედრა
პეტრას კათედრა
„ერთი ხალხი“
Fasidos
Sarapans
ბედია
(ცაიში)
ციხე-გოჯი
(ფოთი)
(ვანი)
(ქობულეთი)
ციხისძირი
(ბათუმი)
ფაზისი (გონიო)
ბიზიერი
ნესოსი
ხუფათი (ხოფა)
უქიმერიონი
ბორჩხა
(ოპიზა)
(ანჩა)
(ართვინი)
(არტანუჯი)
სკანდა (ბაგდათი)
ფანასკერტი
ბანა
ოლთისი
(ოშკი)
(ხახული)
ანდაკი
ხორასანი (ხორასმიონი)
ელეშკერტი (ვალაშკერტი)
აბნიქის ციხე
ხინისი
(ეგერი)
(თეოდოსიოპოლი) ერზრუმი
ფასიანი
საისინი?
სევუკი
ერზინკა
(ზემო ბასიანი)
(ქვემო ბასიანი)
(ბასიანადი)
(ბასიანალი)
ბიზანა
ხორძენა
ოლნუტი
(ბაიბურტი (ბაიბერტი)
(ხარტონი)
(სინორია)
(ბაზარიოლუ)
(სპერი)
(ბაიბერტი)
(ბაილ)
(ბაილეტ)
(ბაიბურტ)
(ბაიბურტ)
(ბაიბურ

კარი II

ლაზიკა

შესავალი

ლაზიკა ერქვა ერთმანეთის უშუალო მოსაზღვრე ორ რეგიონს, ამიტომაც სახელი (ლაზიკა) იხმარება ორი მნიშვნელობით:

1. ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც იცნობენ ასევე „ლაზიკის სამეფოს“ სახელითაც (ე.წ. ზემო ანუ ჩრდილოეთ ლაზიკა, დასავლეთ საქართველოს ლაზიკა);

2. სამხრეთით მისი მეზობელი ისტორიული მხარე, ამჟამინდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ე.წ. „ლაზისტანი“), სადაც მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს „ლაზიკის ეპარქიები“ – როდოპოლისი, საისინი, პეტრა და ზიგანა (ე.წ. ქვემო ანუ სამხრეთ ლაზიკა, პონტოს ლაზიკა).

ლაზები თავიანთ თავს უწოდებენ „ლაზონებს“, თავიანთ ქვეყანას კი „ლაზონას“

ეს სახელები („ლაზონა“, „ლაზონი“), მომდინარეობს სტრაბონის მიერ ნახსენები, ამ რეგიონში მცხოვრები ტომის სახელისაგან – „ალაზონები“.

სტრაბონი იკვლევს, თუ რომელ ტომს ერქვა სახელი „ალაზონები“ და წერს, რომ ეს სახელი ერქვა ქალდეების ანუ ხალიბების ტომს და მიუთითებს მათ საცხოვრისს, იმ ტერიტორიას, სადაც ამჟამად ლაზები ცხოვრობენ (სტრაბონი,12,3,21).

სტრაბონი წერს – „ახლანდელი ქალდები, ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია. მისი შემოსავალია თევზ პელამიდებს ჭერა და ასევე ლითონების (ახლა რკინის, ძველად ვერცხლის) ამოღება. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონით სავსე ტყიანი მთები...ჰომეროსი ხალიბებს უწოდებს ალიზონებს“ (სტრაბონი,12,3,20). სტრაბონი იქვე ამატებს – „ზოგნი წერენ ალაზონებს“ (სტრაბონი, 12,3,21).

მაშასადამე, ალაზონები (ალიზონები) ერქვათ ქალდებს, მცხოვრებთ იქ, სადაც შემდგომ, ბიზანტიურ ეპოქაში მდებარეობდა „ქალდეას ფემა (თემი)“. ჭანებს ასევე ლაზებს უწოდებდნენ. სახელი ლაზები, როგორც ითქვა, მომდინარეობს სახელისაგან – ალაზონები, აქედანაა ლაზების ქვეყნის სახელი – ლაზონა და ლაზიკა.

მიხეილ პანარეტი, ლაზიკის მკვლევარი, ლაზიკის (ლაზისტანის, სამხრეთ ლაზიკის) გეოგრაფიულ გარემოს აღწერს ისევე, როგორც სტრაბონი ქალდ-ალაზონების საცხოვრისს –

სტრაბონი წერს – „საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონით სავსე ტყიანი მთები (სტრაბონი, 12,3,21).

იმავეს წერს მიხეილ პანარეტი – „ლაზისტანი გეოგრაფიულად ქმნის ვიწრო მიწის ზოლს შავი ზღვისპირზე, პონტოს ანუ ლაზისტანის ქედის დასავლეთ მხარეს კემერის კონცხიდან ზღვისპირა პუნქტ მაკრიალამდე“

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm,

მის მთავარ ქალაქს ვერცხლის მოპოვების გამო არგიოპოლისი ერქვა. სტრაბონი ამ ადგილებში ვერცხლის მოპოვებას მიუთითებს, აქვე ახსენებს ქალაქ ზიგანოპოლისს, ჩანს, ზიგანას უღელტეხილთან ტრაპეზუნტ-თეოდოპოლისის შემაერთებელ გზაზე, სადაც შემდგომში ნ. ადონცის კვლევით ლაზიკის სამიტროპოლიტოს ზიგანას(ზიგანონ, ზიგანევი) საეპისკოპოსო არსებობდა.

ლაზები ამჟამად ცხოვრობენ საქართველოსა და თურქეთში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარსულში შეადგენდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. კერძოდ, მათი მცირე ნაწილი ცხოვრობს ბათუმის სამხრეთით მდებარე რამდენიმე სოფელში, ხოლო დიდი ნაწილი – თურქეთში, ე.წ. ლაზისტანში, შავი ზღვისპირეთში ბათუმიდან ტრაპეზუნტის მიმართულებით, მათი საერთო რაოდენობა შეიძლება იყოს 100000-მდე, ხოლო მათ ენას მიაკუთვნებენ ქართველურ ენათა ჯგუფს.

საქართველოში ლაზიას (ლაზიკას) უწოდებდნენ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რიზეს მიმართულებით, რომელიც ხშირად ბიზანტიის ნაწილი იყო:

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, თამარ მეფემ თავისი ლაშქრით ტერიტორია „ლაზიიდან სინოპამდე“ ჩამოართვა ბიზანტიის იმპერატორს, – ცნობის ანალიზიდან ჩანს, XII-XIII საუკუნეებში ლაზია ერქვა რიზეს მხარეს, მდებარეს ბიზანტია-საქართველოს სასაზღვრო ციხის – ხუფათის სამხრეთით.

ლაზია დასავლეთ საქართველოს რომ რქმეოდა, მაშინ დასავლეთ საქართველო არა თამარის სამეფოში, არამედ, ბიზანტიაში შემავალ ტერიტორიად უნდა მიგვეჩნია, რომელიც თამარმა შეუერთა თავის სამეფოს, რაც არასწორია,

ვახუშტი ბატონიშვილი ლაზიას უწოდებს ბაიბურდსა და ფორჩხას შუა მოქცეულ ტერიტორიას შავი ზღვისპირეთში – „ხოლო ბაიბურდსა და ფორჩხას სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე – გონიოდან ტრაპიზონის სამზღვრამდე“ (ქ.ც., IV, 68).

ლაზიკის ადგილმდებარეობის შესახებ ამჟამად ძირითადად ორი სხვადასხვა თვალსაზრისია გავრცელებული.

ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად ლაზიკა (ლაზია) მოიცავდა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომელსაც წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ეწოდება. უმეტესად მთიანი ნაწილი ქვეყნისა ტრაპეზუნტიდან ჭოროხის ხეობის ჩათვლით – ამჟამინდელი ლაზისტანი. ექვთიმე მთაწმიდელი მის მთავარ მდინარე ჭოროხს ფაზისს უწოდებს „წმ. ანდრია მოციქულის მიმოსვლის“ თარგმანში.

მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბებული და ამჟამად გაბატონებული მტკიცებით ლაზიკა მოიცავდა დასავლეთ საქართველოს შუა ნაწილს. ამჟამად გაბატონებული მტკიცებით, თვით ვახტანგ გორგასლის სამეფოში თურმე არ შედიოდა დასავლეთ საქართველო, რადგანაც მიიჩნევა, რომ მის დროს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა ლაზიკა, ლაზთა სამეფო, რომელსაც ეგრესის სამეფოსაც უწოდებენ ისინი. ესაა შეცდომა, რადგანაც მაგალითად თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ბიზანტიოლოგი შარლ დილლი (შაერლ-მიშელ დილლი, 1859-1944) წერს, რომ ბიზანტიის იმპერიის საზღვარი აღწევდა მდინარე ფასისამდე, ე.ი. არ მოიცავდა რიონის მარჯვენა სანაპიროს მხარეს. ანუ ეგრისი, სამეგრელო, არ შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში. არც იმ შემთხვევაში თუ ფასისი არის რიონი და მით უმეტეს იმ შემთხვევაში თუ ფასისი არის ჭოროხი. ქართული წყაროებით ეგრისი პირველ ათასწლეულში მუდამ შედიოდა ქართლის სამეფოში, მით უფრო ვახტანგ გორგასლის დროს, ხოლო ლაზიკა, ანუ ბიზანტიური ოლქი, იყო არა სამეგრელო, არამედ უმეტესად მდინარე ჭორიხიდან – ტრაპეზუნტამდე განფენილი ქვეყანა იგივე „სოფელი მეგრელთა“. შესაბამისად, ქართული წყაროების მტკიცება, რომ ვახტანგ გორგასლის სამეფოში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ეგრისი არ ეწინააღმდეგება ბიზანტიურ წყაროებს.

განვიხილოთ ისინი მომდევნო თავებში.

თავი 1

I ლაზიკა (ლაზიკის სამეფო)

ზემო ანუ ჩრდილოეთ ლაზიკა (დასავლეთ საქართველოს ლაზიკა)

ლაზიკის სამეფო მე-6 საუკუნისათვის მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის სანაპიროდან ვიდრე პეტრამდე (ხუფათამდე), (გვიანდელი გურია, აჭარა და შავი ზღვის სანაპიროს მომცველი მხარე ხოფამდე).

ამ მხარეს მ. პანარეტის თქმით, ლაზიკა მას შემდეგ ეწოდა, რაც ის იუსტინიანემ დაიმორჩილა და მასზე განავრცო მის სამხრეთით მდებარე რეგიონის სახელი. „ტრაპეზუნტის ოლქი აღმოსავლეთი მხრიდან ესაზღვრებოდა ფაზისის ხეობაში განლაგებულ კოლხიდას, რომელმაც ლაზიკის სახელი მიიღო იუსტინიანეს დროიდან“ – Михаил Панарет, Трапезунтская хроника

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm.

ე.ი. იუსტინიანემ ფასისის ხეობაში მდებარე მხარე შეუერთა უფრო სამხრეთით (ტრაპეზუნტისკენ) მდებარე მიწა-წყალს, ე.წ „პონტოს ლაზიკას“, და მისი სახელი (ლაზიკა) განავრცო ახალ ტერიტორიაზე. სამხრეთ ლაზიკის გვერდით იუსტინიანეს ეპოქაში გაჩნდა ახალი ანუ ჩრდილოეთ ლაზიკა, ამ ლაზიკას ბიზანტიელი ავტორების ცნობებით მართავდა ავტონომიური უფლებების მქონე ხელისუფალი – „ბასილევსი“, რომელსაც ევალებოდა ბიზანტიის იმპერატორის მორჩილება, მას ამჟამად უფრო „ლაზიკის მეფეს“ უწოდებენ.

ლაზიკის სამეფოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა იბერია (მე-6 ს.-ში საზღვარი იბერიასა და ლაზიკას შორის გადიოდა არსიანის ქედზე), დასავლეთით ესაზღვრებოდა შავი ზღვა. მისი სანაპირო ხაზის სიგრძე იყო 550 სტადიონი (დაახლ. 100 კმ), ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრებოდა აფსილია, ჩრდილო-აღმოსავლეთით – მისიმიელთა ტომი, სვანია და სკვიმნია, ლაზთა სამეფოს სამხრეთით ესაზღვრებოდა „რომაელთა ქვეყანა“ (ამჟამინდელი „ლაზისტანი“ ანუ სამხრეთ ლაზიკა), რომაელთა ქვეყანასა და ლაზეთის სამეფოს შორის საზღვარი გადიოდა პეტრასთან (თურქეთში მდებარე თანამედროვე ხოფასთან) დედაქალაქი – არქეოპოლისი, მდებარეობდა ამჟამინდელ ფიჭვნართან (ქობულეთი), სადაც აღმოჩენილია მდიდარი არტეფაქტები, დიდი ნაქალაქარი და სასაფლაოები.

პეტრა, ამჟამინდელი ხუფათი, ხოფა თურქეთში, ერთმანეთისაგან ყოფდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ლაზიკას. პროკოფი და სხვა ავტორები სამხრეთ ლაზიკას „რომაელთა ქვეყნის“ სახელით მოიხსენიებენ, ჩრდილოეთ ლაზიკას კი უბრალოდ ლაზიკას უწოდებენ. პეტრა იყო ლაზიკის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი სასაზღვრო პუნქტი, ზღვისპირას მდებარე. ნ. ადონცის კვლევით

პეტრას ცნობილი საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა არა ამ ციხესიმაგრეში, არამედ ქ. ბაიბურდთან ახლოს გუმუშხანეს რეგიონში (ნ.ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, რუს.ენაზე. 1908, გვ. 100).

ჩრდილოეთ ლაზიკის ტერიტორიის ნაწილი ამჟამად საქართველოშია, მცირე ნაწილი კი თურქეთში, ტრაპეზუნტის რეგიონში, ზღვისპირა პუნქტ ხოფას აღმოსავლეთით, რომელიც ძველ პეტრად მიიჩნევა (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 97).

პროკოფი კესარიელის სიტყვით ძველად ლაზიკას კოლხიდა უნდა რქმეოდა (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга I, Г. XI. 19-30).

პროკოფი კესარიელისავე თხზულებიდან ჩანს, რომ ლაზიკა(ლაზიკის სამეფო) ტრაპეზუნტიდან დაშორებული იყო „ექვსი დღის გზით“ (დაახლოებით 200 კილომეტრით).

ამის შესახებ პროკოფი კესარიელი ზუსტად მიუთითებს.

კერძოდ, ის, ლაზიკის (ლაზიკის სამეფოს) ადგილმდებარეობას ასე აღწერს – ტრაპეზუნტიდან ქალაქი რიზე დაშორებული იყო ორი დღის გზით („Границы Трапезунта простираются до поселка Сусурмен и до местечка, носящего название Ризей, которое отстоит от Трапезунта на расстоянии двух дней пути вдоль берега по направлению к Лазике“ (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга IV. 2).

რიზედან აფსარუსამდე (აფსარუნტამდე) იყო სამი დღის გზა („старинный город Апсарус, отстоит от Ризея приблизительно на три дня пути“). თავის მხრივ, აფსარუნტი ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე მდებარე პეტრას ციხესიმაგრიდან დაშორებული იყო ერთი დღის გზით („От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, пути один день“). სულ ტრაპეზუნტიდან ლაზიკა (პეტრა) დაშორებული იყო დაახლოებით ექვსი (6) დღის გზით (ტრაპეზუნტიდან რიზემდე – 2 დღის გზა, რიზედან აფსარუნტამდე – 3 დღის გზა, აფსარუნტიდან (ანუ აფსარუსიდან) პეტრამდე ანუ ლაზიკამდე – 1 დღის გზა). ცნობილია, რომ ჯარისკაცს ერთი დღის გზა, დაახლოებით 29-32 კილომეტრი, უნდა გაევლი 5 საათში. дорога измерялась в днях пути (inter pedestre), – приблизительно 28725 м.

(http://www.home-edu.ru/user/uatml/00000732/dlina/dlinaives.html).

„день пути“	• итер педестр (лат. iter pedestre)	• **28 725 м**

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D1%8B_%D0%B8%D0%B7%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F#.D0.9C.D0.B5.D1.80.D1.8B_.D0.B4.D0.BB.D0.B8.D0.BD.D1.8B.

ექვს დღეში მგზავრს უნდა გაევლო 6-ჯერ 28725 მეტრი ანუ 172,350 კმ.

ექვსი დღის გზის სიგრძე ტრაპეზუნტიდან ლაზიკამდე დაახლოებით 180-200 კმ-მდე იქნებოდა. ამ მანძილზე, ტრაპეზუნტიდან 180-200 კმ-ში მდებარეობს თანამედროვე თურქეთში ზღვისპირა პუნქტი ხოფა (ძველი ხუფა-

თი), რომელსაც, როგორც ითქვა, პროკოფის ეპოქაში ეწოდებოდა პეტრა და წარმოადგენდა ლაზიკის სამეფოს ყველაზე სამხრეთ პუნქტს ბიზანტიის იმპერიის საზღვართან.

ბუნება (გეოგრაფიული გარემო):

წყაროების მიხედვით ლაზიკა ძალზე კლდოვანი ქვეყანა იყო, პროკოფი კესარიელი ხშირად აღნიშნავს ლაზიკის კლდოვანობას.

პროკოფი ამის შესახებ წერს–

– „Ибо, как я уже говорил, Лазика – страна труднопроходимая и состоящая сплошь из отвесных скал“. (27) (Прокопий Кесарийский, Тайная История, Г. XXX 12-16).

პროკოფის სიტყვით ლაზიკის კლდოვანობას აღნიშნავდა სპარსეთის შაჰი ხოსროვიც –

„Он сказал, что слышал раньше из многих рассказов, будто страна эта и для легковооруженного воина труднопроходима, будто горы ее необыкновенно крутые и на большом пространстве она покрыта густыми лесами из громадных деревьев“ (33) (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XV. 31-34).

სპარსთა ჯარი, პროკოფის სიტყვით, შევიდა ლაზიკაში, რომელიც კლდოვანი ქვეყანა იყო.

– XVII. (1) Хосров же и мидийское войско, пройдя Ивирию, оказались в пределах Лазики...они рубили деревья, которые росли в этих скалистых местах сплошным, огромным, высоким лесом (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 1-2).

კლდოვანი იყო მდ. ფაზისის სანაპიროებიც ზღვამდე.

ლაზიკის მთავარი მდინარის (ფაზისის) სანაპიროების კლდოვანობის შესახებ წერს პროკოფი – „(24) Ибо Лазика и с той, и с другой стороны реки одинаково труднопроходима. (25) По обеим сторонам этой местности поднимаются очень высокие скалы, на большом пространстве образующие здесь ущелья. Римляне, говоря по-гречески, называют такие проходы клисурами. (26) (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 14-26).

მაშასადამე, პროკოფის ცნობათა თანახმად, ლაზიკის მთელი სანაპირო და ასევე მდ.ფაზისის სანაპიროები სათავიდან შესართავამდე კლდოვანი იყო. ასეთია არა მდ. რიონი და მის შესართავთან ზღვის სანაპირო, არამედ მდ. ჭოროხის სანაპიროები.

კლდოვან და ვიწრო სანაპიროებში მოქცეული ფაზისი მთების სიმაღლეებიდან ზღვაში ძალზე სწრაფად შეედინებოდა, ასეთია ჭოროხი და არა რიონი.

Река Лазики – Фазис была очень быстрой (она могла судно (лодку) с 30-ю пасажирами переместить настолько быстро что по сведениям историка 30 воинов (т.е. сильных и опытных моряков) с трудом удерживали судно или маневрировали).

კლდოვანობის გამო ლაზიკის ზღვისპირეთში, მდ.ფაზისის ახლოს უღელტეხილები იყო – პროკოფი ამის შესახებ წერს –

(27) Теперь же Гуваз, узнав о походе персов, наказал Дагисфею послать туда кого-нибудь с тем, чтобы они тщательно охраняли ущелье, расположенное ниже реки Фасис, но ни в коем случае не снимая осады до тех пор, пока не захватят и Петру, и находящихся в ней персов (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 27-32). ზღვასთან ახლოს მდ.ჭოროხზეა უღელტეხილები და არა მდ. რიონზე, რომელიც ზღვისპირა ვრცელ ბარზე მიედინება.

ასეთივე კლდოვანი იყო ლაზიკის მეორე, იბერიისაკენ მიმართული მხარეც –

პროკოფი ამის შესახებ წერს – „У лазов возле самых границ Иберии были два укрепления, Сканда и Сарапанис. Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны. В прежнее время лазы с большим трудом охраняли их, потому что в этих местах не растет никаких злаков, и люди доставляли сюда продовольствие, неся его на плечах. В начале этой войны император Юстиниан удалил отсюда лазов и поставил гарнизон из римских воинов. Немного спустя, из-за недостатка продовольствия, они покинули эти крепости, так как питаться, подобно колхам, долгое время местным пшеном, к которому они не привыкли, они совершенно не могли, того же продовольствия, которое приносили им лазы, совершая длинный путь, им совершенно не хватало (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 13).

კლდოვანობისა და მაღალმთიანობის გამო, როგორც ითქვა, ლაზიკა, გარდა მისი ერთი მახრისა – მოხერისისა, უმოსავლო ქვეყანა იყო, სადაც არ ხარობდა ვაზი და ხორბლეული – პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს–

(27) Лазике совсем нет соли, равно как и хлеба, вина и других земных благ{412}. (28) Все это ввозится к ним на судах римлянами, живущими у морского побережья, и лазы приобретают эти товары не за золото, а за кожи, рабов и все то, что у них здесь в излишке (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXVIII. 5-30).

ლაზიკა, რადგანაც კლდოვანი ქვეყანა იყო, მოსავლიანი იყო მხოლოდ მისი ერთი მხარე მოხერეზისი (მოხირისი), ნაყოფიერი მოხირისი კარგად დასახლებულიც იყო – პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს –

– В этой области много многолюдных поселков. Из [63] всех земель Колхиды это самая лучшая. Тут выделывается вино и растет много хороших плодов, чего нет нигде в остальной Лазике (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 63).

კლდოვანი იყო ლაზიკის ზღვის სანაპიროც.

ლაზიკის ზღვისპირა სანაპიროზე მდებარე კლდეები ზღვის დენას აფერხებდა – პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს –

„Но в Лазике берег по всей линии удерживает дальнейшее продвижение моря и заставляет море как бы вздыбиться на натянутых возжах, впервые только здесь ставя ему преграду. явно, что творец мира здесь поставил ему пределы. Коснувшись берега в этих местах, море уже не двигается дальше и не поднимается больше вверх, хотя отовсюду в него вливается бесчисленное количество очень больших рек, но уходит назад н вновь туда же возвращается: сохраняя свою собственную, ему свойственную высоту, оно держится в своих границах, как бы свято соблюдая какой-то закон, как будто связанное точными его предписаниями и как бы остерегаясь нарушить каким-либо образом эти предписания. Все остальные берега этою моря лежат не против него, но по

окружности. Но обо всем этом пусть рассуждает каждый, как он хочет“ (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 4).

მაშასადამე, პროკოფის მიხედვით, ლაზიკის ზღვისპირეთის მთლიანი სანაპირო ზოლი (Лазике берег по всей линии), ისეთი კლდოვანი იყო, რომ ის ზღვის დენას აჩერებდა (удерживает дальнейшее продвижение моря и заставляет море как бы вздыбиться на натянутых возжах, впервые только здесь).

ლაზიკის სანაპიროს კლდეები ზღვისთვის შემაჩერებელ ზღუდეს წარმოადგენდა. – პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს –

ставя ему преграду. явно, что творец мира здесь поставил ему пределы. Коснувшись берега в этих местах, море уже не двигается дальше н не поднимается больше вверх.

თუკი მდ. ფაზისი არის მდ. რიონი, მაშინ მის დაბლობზე უნდა იყოს აღმართული კლდოვანი სანაპიროები . მაგრამ ასე არ არის, პირიქით, ქუთაისიდან ვიდრე ფოთამდე, რიონი მოედინება ვრცელ დაბლობზე რაიმე კლდეების გარეშე. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება პროკოფის ცნობებს.

თუ ლაზიკის მთელი სანაპირო კლდოვანი იყო, მაშინ ლაზიკა არ ყოფილა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რიონის დაბლობი, როგორც ამჟამად მიიჩნევა. რადგანაც საქართველოს ზღვისპირეთი ჩაქვიდან ენგურამდე არ არის კლდოვანი, პირიქით, ტერიტორია ჩაქვიდან ენგურამდე და ფოთიდან ქუთაისამდე, რომელსაც დღეს არასწორად ლაზიკას უწოდებენ, წარმოადგენს ვრცელ ვაკეს, პროკოფის ცნობათა საწინააღმდეგოდ – აქ, ამ დაბლობზე არ არის კლდეები. ეს რეალური ფაქტი ეწინააღმდეგება პროკოფის ცნობებს, რომ ლაზიკის ზღვისპირა სანაპიროზე და სიღრმეში წამომართული იყო უზარმაზარი კლდეები, რომელნიც აჩერებდა ზღვის დენას – „явно, что творец мира здесь поставил ему пределы. Коснувшись берега в этих местах, море уже не двигается дальше н не поднимается больше вверх“. მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს შუა ნაწილი, რიონის დაბლობი, რომელიც ამჟამად ლაზიკად მიიჩნევა – წყაროთა საპირისპიროდ – ვრცელი ვაკეა,რომლის ზღვის სანაპირო არა თუ კლდოვანი, პირიქით, აქ სანაპირო ზღვის ნულოვან დონეზეა ვრცლად გადაშლილი.

ასეთი კლდოვანი სანაპირო, მართალია, არ არსებობს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა სანაპიროზე, მაგრამ ის არის მაგალითად, ბათუმ-ხოფას მიმართულებით, ამიტომაც აქ უნდა ვეძიოთ პროკოფი კესარიელის ლაზიკა.

ამ რეგიონს ძველქართული წყაროებით „ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი“ ეწოდებოდა.

წყაროები ნათლად გადმოგვცემს, რომ ლაზიკა ისეთივე ძალზე კლდოვანი ქვეყანა იყო, როგორიცაა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჭოროხის მაღალმთიანი ხეობის ქვეყანა, მოხერისისი კი – დაბლობში მდებარე თანამედროვე ბათუმის, ხელვაჩაურისა და მიმდებარე ტერიტორიის უხვმოსავლიანი სუბტროპიკული რეგიონი (ისტორიული ერგე-ლიგანი) უნდა იყოს. ლაზიკის ძირითადი ტერიტორია განფენილი უნდა ყოფილიყო ჭოროხის ხეობის ორივე მხარეს – ბორჩხის, ართვინის, არტანუჯის ტერიტორიები,

ვიდრე არსიანის მაღალ ქედამდე. აქ ამჟამადაც გადის წარსულში საერთაშორისო მნიშვნელობის გზა (არტანუჯის ანუ კლარჯეთის გზა), რომელიც შავი ზღვისპირეთს აკავშირებდა სპარსეთთან, სომხეთთან და სირიასთან, როგორც ამის გვაუწყებს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს. ბიზანტიის იმპერატორის) ცნობით „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბათიც და დაბა-ქალაქიც, და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის მიწა-წყალი – ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ (გეორგიკა 2, ნაკვეთი II, გვ. 278-279).

თუ ჩვენ მივიღებთ მდ. ფაზისად მდ.ჭოროხს, მაშინ ლაზიკა იქნება არა დასავლეთ საქართველოს ბარი, არამედ ერგე-ლიგანი, კლარჯეთი,გურია და აჭარა და მათ წინ გადაშლილი შავი ზღვის სანაპიროსმომცველი მხარე.

წყაროებში გადმოცემული გეოგრაფიული აღწერილობის მიხედვით ლაზიკა მთიან-კლდოვანი მხარე იყო და ამიტომ ის ლიგან-კლარჯეთია და არა დასავლეთ საქართველოს ბარი.

კლარჯეთის გეოგრაფიული აღწერა, რომელიც ეკუთვნის ამ ქვეყნის თვითმხილველ და იქ მოღვაწე ქართველ წმიდა მამებს, მთლიანად ეთანადება ლაზიკის გეოგრაფიულ აღწერას, რომელსაც გვაძლევს პროკოფი კესარიელი. კერძოდ, წმიდა მამათა აღწერით კლარჯეთი კლდოვან-კლდოვანობის გამო ძალზე ნაკლებ მოსავლიანი მხარე იყო. მხოლოდ საჭმელად ვარგისი მხალეულ-ბალახით, წყაროს წყლებითა და სუფთა ჰაერით იყო მდიდარი (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1954, გვ.197).

გიორგი მერჩულე თავის ნაშრომში ხშირად მიუთითებს ჭოროხის ხეობის მთათა მკვეთრი კლდოვანობის შესახებ კლარჯეთში, მაგალითად, კლდოვანობის გამო გაძნელებული იყო ეკლესიათა მშენებლობა და ამიტომ სამშენებლო მასალები მუშებს შორიდან მოჰქონდათ მხრებით. ეს ცნობა თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა პროკოფის ცნობას, რომ ლაზიკის ციხე სარაპანაში კლდოვანობისა და უგზოობის გამო საკვებიც კი მხრებით აჰქონდათ („материалы рабочие довольно далеко доставляли „на плечах“ Несколькими веками ранее Прокофий Кесарийский писал буквально тоже самое, что в крепости Лазики – Сканду и Сарапана продукты доставляли „на плечах“).

პროკოფის მიერ აღწერილი სკანდასა და სარაპანას ციხეები მდებარეობდა უმოსავლო ადგილებში,ძალზე მაღალ მთიანეთში, ალბათ, ალპურ ზონაში, სადაც არ მოდიოდა ხორბლეულის მოსავალი და არ ხარობდა ვაზი. სადაც, როგორც ითქვა, უგზოობისა და კლდიანობის გამო საჭაპანო პირუტყვსაც კი ვერ იყენებდნენ და მათ ნაცვალად ადამიანებს მხრებით აჰქონდათ საჭიროებანი.

სწორედ ასევე აღიწერება, როგორც ითქვა, კლარჯეთის გეოგრაფიული გარემო მამათა მიერ.

მაშასადამე, კლარჯეთისა და ლაზიკის გეოგრაფიული გარემო ერთნაირად აღიწერება წყაროებში. ისინი ორივენი კლდოვან-მთიანი ქვეყნები იყო დიდი მდინარის ხეობაში.

ბერძნულ და ქართულ წყაროთა ცნობები ლაზიკისა და კლარჯეთის აღწერის საკითხში ერთნაირია.

სულ სხვა გეოგრაფიული გარემოს სურათი იხატება რიონის დაბლობზე, სადაც ზღვისპირას არც მთებია და არც კლდეები, ამიტომაც მათ არ შეუძლიათ ზღვის დენის შეჩერება, როგორც ლაზიკის ზღვისპირს აღწერს პროკოფი. რიონის ძალზე ვრცელი დაბლობი გადაშლილი ვაკეა, სწორი ზედაპირის მქონე, სადაც ზღვას მთის მჩქეფარე მდინარეები კი არ ერთვის, პირიქით, ზოგჯერ ზღვიდან დაბერილი ქარების გამო რიონისა და სხვა მდინარეთა წყლები უკან ბრუნდება და ვაკეს ტბორავს, აქ მდინარეები, პროკოფის აღწერისაგან განსხვავებით, მდორედ ერთვის ზღვას, რადგანაც მდინარის ვრცელი დაბლობი ზღვის ნულოვან დონეზეა ვრცლად გადაშლილი, ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე ჭაობდებოდა ვრცელი ტერიტორია, ე.წ. რიონის დაბლობი.

ამიტომაც გეოგრაფიული გარემოს და ბუნების მიხედვით ლაზიკა უფრო კლარჯეთია და არა დასავლეთ საქართველო.

საბოლოოდ ლაზიკის კლდოვანებასთან დაკავშირებით შეიძლება დასკვნის სახით ითქვას:

პროკოფის სიტყვით, როგორც აღინიშნა, ლაზიკა არ იყო ბარის ქვეყანა, (როგორიცაა, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, რიონის დაბლობი), პირიქით, მთიან-კლდოვანი.

კლდოვან-მაღალმთიანობის გამო ლაზიკის მხოლოდ ერთ მცირე კუთხეში, მოხირისში, იღებდნენ ხორბლის, ყურძნისა და სხვა მოსავალს, ხოლო მისი სხვა კუთხეები ძალზე ნაკლებ მოსავლიანი და უმოსავლო იყო.

ასეთივე ბუნებისა და გეოგრაფიული გარემოს მქონეა ჭოროხის ხეობისმომცველი რეგიონი, რომლის მხოლოდ ერთი მცირე კუთხე – ერგე-ლიგანხელვაჩაურია მოსავლიანი. უნდა დავასკვნათ, რომ ლაზიკა ჭოროხის ხეობის მომცველი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე იყო, რიონის დაბლობი და დასავლეთ საქართველოს მიმდებარე ზღვისპირეთი დიდი ვაკე-დაბლობია, ამიტომაც მისი გეოგრაფიული გარემო და ბუნება არ ეთანადება წყაროთა ცნობებს ლაზიკის მაღალმთიანობისა და კლდოვანობის შესახებ.

ლაზიკის მთავარი მდინარე ფაზისი

ლაზიკის მკვლევრის მიხეილ პანარეტის სიტყვით – ფაზისის ხეობაში მდებარე კოლხიდამ ლაზიკის სახელი მიიღო იუსტინიანეს დროიდან (Михаил Панарет, Трапезунтская хроника, http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm.

ბიზანტიელი ავტორების ცნობებით ლაზიკის მთავარი მდინარე იყო ფაზისი.

რომელ მდინარეს ერქვა ფაზისი?

ფაზისის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

ქართველი წმიდა მამები მდ. ფაზისის შესახებ

ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია მიიჩნევდა, რომ ფაზისი იყო მდ. ჭოროხი. საქართველოს ეკლესიის წმიდა მამების ბერძნულ ტექსტებში ნახსენები მდ. „ფასისი“ ჭოროხად აქვთ გადმოცემული, რაზეც მიუთითებს ს. ჯანაშია (ს. ჯანაშია, შრომები, VI, 1979, გვ. 254).

მართლაც, წმ. ექვთიმე მთაწმიდელი წმიდა მოციქულ ანდრიას ცხოვრების აღმწერელი ბერძნული ტექსტის თარგმნისას სიტყვა „ფასისს“ ჭოროხს უფარდებს. მან შესაბამისი ადგილი ასე თარგმნა:

„ხოლო დიდებული ანდრეა სხვათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მოიწინეს ქვეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა“ (მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, 2008, გვ. 189).

აქ დედანში ჭოროხის ადგილას ფაზისია მოხსენიებული (იქვე, გვ. 189).

სტრაბონი რამდენჯერმე ფაზისს და მის სათავეს არმენიიასთან აკავშირებს (სტრაბ. XI, თავი XIV, 7).

სტრაბონის მიერ ფაზისის სათავედ არმენიის მიიჩნევა აჩვენებს, რომ ფაზისის ქვეშ ჭოროხი მოიაზრება, რომლის სათავეც, სტრაბონის ეპოქაში, არმენიაში მდებარეობდა, რადგანაც, სტრაბონისავე ცნობით, ძვ.წ. მე-2 საუკუნეში არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა **(სტრაბ. XI, II, 17).**

ჭოროხის სათავე ისტორიულ ხორძენასთანაა საძებნი, რომელიც სტრაბონის ეპოქაში არმენიის მიერ იყო მიტაცებული.

რადგანაც სტრაბონი რამდენჯერმე ფაზისს და მის სათავეს არმენიასთან აკავშირებს (სტრაბ. XI, თავი XIV, 7), ამიტომ სტრაბონი მდ. ფაზისად ჭოროხს მიიჩნევდა.

მე-8 საუკუნის ავტორის, წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობით წმ. ანდრია მოციქული თავდაპირველად მივიდა ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტში, იქიდან კი მიაღწია მდ. ფაზისამდე, ანუ ჭოროხამდე, ქართველი ათონელი მთარგმნელების თანახმად.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი ლაზიკას უწოდებს თანამედროვე ლაზისტანს ტრაპეზუნტიდან მდ. ფაზისამდე, ის წმ. ანდრიას შესახებ ცნობის მოცემისას მიუთითებს მე-4 საუკუნის ავტორს ეპიფანე კვიპრელს (გეორგიკა, IV, I, 57).

ეს ფაქტი უფლებას იძლევა მოსაზრების გამოთქმისა, რომ მე-4 – მე-8 საუკუნეებში ლაზიკა ასევე ერქვა ტრაპეზუნტიდან ფაზისამდე მოქცეულ რეგიონსაც. ტრაპეზუნტი, მისი (წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის) აზრით, არის ლაზიკის ქალაქი, ტრაპეზუნტის მახლობელი ქვეყანა კი იბერიაა.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელმა კრიტიკულად მიმოიხილა თავისი წყაროები და ფეხითაც მოიარა ის ადგილები, სადაც ანდრია მოციქული მოღვაწეობდა. აქ ყველგან იბერები ცხოვრობდნენ.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი წერს: „დიდ სებასტოპოლისში, აფსარის ციხესთან, ჰისოს ნავსადგურთან და მდინარე ფაზისთან მოსახლეობდნენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“ (გეორგიკა, IV, I, 57).

მისი აზრით, ტრაპეზუნტი არის ლაზიკის ქალაქი, ხოლო ტრაპეზუნტის ზემოთ მდებარე ქვეყანა კი უკვე იბერიაა. მისი ცნობით, ანდრია მოციქულმა განანათლა ტრაპეზუნტი ლაზიკაში, იბერია და ზღვის პირას მცხოვრებნი.

წმიდა ანდრია მოციქული „ამისოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში, იქიდან ის წავიდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, გეორგიკა, IV, I, გვ. 58).

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი თავის წმიდა ანდრიას ცხოვრების სხვა ადგილასაც ერთად ახსენებს იბერიასა და ფაზისს, ისინი ერთ რეგიონში არიან. „მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში“ (გეორგიკა, IV, I, 57).

სუსანია (ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით კი – სუანია) ქართული წყაროების მიხედვით, აჭარის მთიანეთსა და ოძრხე-სამცხეში იყო, სადაც ანდრიამ იქადაგა ტრაპიზუნტიდან მდინარე ჭოროხის გადმოკვეთის შემდეგ.

ამ ქართულ და უცხოურ წყაროთა მიხედვით მდ. ფაზისი ჭოროხია.

სტრაბონი და პროკოფი კესარიელი მდ. ფაზისის შესახებ

პროკოფის ცნობით, ლაზიკის საზღვართან იბერთა ქვეშევრდომი მესხების მახლობელი მთიანეთიდან მოედინებოდა ფაზისი (ამ რეგიონში იბერია პერსარმენიამდე იყო განვრცობილი. აქ მდებარე ძალზე მაღალი მთები კავკასიის მთებამდე იყო გადაჭიმული, რომლის უკან, აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარეობდა იბერია. კავკასიის ამ მთებში სათავეს იღებდა მდ.ფაზისი.

პროკოფი წერს – „В областях, граничащих с этой страной, главным образом вдоль самой Иберии, живут месхи, издревле являющиеся подданными иберов. Живут они в горах, но горы месхов не кремнисты, не страдают от бесплодия... В этой стране поднимаются очень высокие горы, покрытые лесом и труднодоступные. Они тянутся до самых Кавказских гор. позади же них по направлению к востоку лежит Иберия, простирающаяся до пределов персо-армян. Через эти горы, уходящие высоко в небо, течет река Фазис, начинаясь с гор Кавказа и впадая в середину этого „полумесячного“ залива Понта“).

„ამ ქვეყნის მოსაზღვრე ოლქებში ცხოვრობენ მესხები (ძირითადად იბერიის გასწვრივ, არც თუ უნაყოფო მთებში), ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომები. ამ ქვეყანაში აღმართულია ძალზე მაღალი, ტყით დაფარული, ძნელად მისასვლელი მთები, ისინი გადაჭიმულია თვით კავკასიის მთებამდე. მის უკან, აღმოსავლეთის მიმართულებით დევს იბერია, გადაჭიმული პერსარმენიელების საზღვრამდე“.

„მესხების მაღალი, ძნელად მისასვლელი მთიანეთის“ ქვეშ იგულისხმება არა დასავლეთ საქართველო, არამედ, როგორც სწორად გამოიკვლია

აკად. ნ. ხაზარაძემ, ჭოროხის სათავის მიმდებარე მაღალმთიანეთი, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა იბერიის მნიშვნელოვანი რეგიონი კოლა-არტაანი, და იქვე მდებარეობდა რეგიონი (საერისთავო) საკავკასიძეო.

არსიანის ქედის სამხრეთით მდებარე საკავკასიძეოს, მაღალი მთების რეგიონს, მცირე კავკასიას, ანდა უბრალოდ კავკასის მთებს უწოდებდნენ.

ლაზიკასა და იბერიას ამ რეგიონში ერთმანეთისაგან არსიანის ქედი ყოფდა. ქედის იქით მდებარეობდა იბერიის ოლქები – კოლა და არტაანი, მათ იქით კი – პერსარმენია. პროკოფის ამ აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ მისთვის მდ. ფაზისი არის მდ. ჭოროხი, ხოლო მისი ლაზიკის მთიანეთის იბერიისაკენ მიმართული მხარე არის არტანუჯის ოლქი.

მთელი ეს რეგიონი მესხებით იყო დასახლებული.ამ სურათს ხატავს პროკოფი კესარიელი.

მაშასადამე, ოლქში სადაც თავს იყრიდა იბერიისა და პერსარმენიის საზღვრები, მესხების საცხოვრისთან, სათავე ჰქონდა ფაზისს. ასეთია სპერის რეგიონი, სადაც მდ.ჭოროხის სათავეა. ესაა ე.წ. „მცირე კავკასიის“ მაღალმთიანეთი, რომელსაც უერთდება არსიანის მთიანეთი – მესხების საცხოვრისი, აქ მდებარეობდა ძველქართული რეგიონი „საკავკასიძეო“. პროკოფისათვის, ამ შემთხვევაში, „гор Кавказа“ მცირე კავკასიის მაღალმთიანეთია.

აქედან ჩანს, რომ ფაზისის სათავე ისტორიულ რეგიონ „საკავკასიძეოსთან“ მდებარეობდა, ე.წ. „მცირე კავკასიის“ ძალზე მაღალ მთიანეთში, აქვე იყო მესხების საცხოვრისი არტანუჯის, არტაანის, კოლასა და სპერის ოლქები (ისტორიულ იბერიაში, პერსარმენიის მეზობლად), ამ შემთხვევაში ფაზისი მდ. ჭოროხია.

ფაზისის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ფაზისს უწოდებს მდ. რიონს მის შენაკად ყვირილასთან ერთად დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება პროკოფის ცნობები.

პროკოფი გარკვევით წერს, რომ მდ.ფაზისი, რომელსაც სათავეში ბოა ეწოდებოდა, სათავეს იღებდა არმენიელთა საზღვრებში, პუნქტ ფარანგიასთან და ჭანეთთან ახლოს –

– პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს – Река Воа вытекает из пределов армян, живущих около Фарангия (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29).

პუნქტი ფარანგია მდებარეობდა მცირე კავკასიის მთიანეთში მდ.ჭოროხის სათავესთან ახლოს, თანამედროვე თურქეთში ლაზისტანის ჩრდილოეთით, აქედან იღებდა სათავეს მდ. ბოა, რომელსაც შუა წელიდან უწოდებდნენ ფაზისს,

– პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს – ...получив отсюда название Фасиса вместо Воа (იქვე) 23-29).

სტრაბონიც იმავეს აღნიშნავს,როცა წერს – „ფაზისის სათავე არმენიაშია“. (XI, II, 17), „Колхиду протекает Фасис – большая река, берущая начало в Армении“ (Страбон, География, кн. XI, II, 17).

სტრაბონი რამდენჯერმე ფაზისს და მის სათავეს არმენიასთან აკავშირებს (სტრაბ. XI, თავი XIV, 7).

სტრაბონის მიერ ფაზისის სათავედ არმენიის მიიჩნევა აჩვენებს, რომ ფაზისის ქვეშ ჭოროხი მოიაზრება (ასევე პროკოფთანაც).

სტრაბონის ცნობა, რომ ფაზისის სათავე არმენიაშია – შესაძლოა ასე უნდა განიმარტოს: მას შემდეგ, რაც არმენიამ, სტრაბონისავე ცნობით, იბერიას წაართვა ვრცელი ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა (სტრაბ. XI, II, 17), ცხადია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი გეოგრაფიული პუნქტი და მდინარე აღმოჩნდა არმენიის ხელში. ამიტომაც სათავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარე ფაზისისა (ე.ი. ჭოროხი) მოექცა არმენიაში და შესაბამისად, ამ არმენიიდან იღებდა ის სათავეს.მდ. ფაზისს სათავეში ბოა ერქვა, პროკოფის სიტყვით.

პროკოფი წერს – (14) Река Воа вытекает из пределов армян, живущих около Фарангия, недалеко от пределов цанов. Сначала она довольно долго течет направо, будучи неширокой и для кого угодно легко преодолимой, вплоть до того места, где по правую сторону находятся границы Ивирии, а прямо – заканчивается Кавказский хребет (ფარანგია – შემდგომი ქალდეას თემის რეგიონში მდებარეობდა, შესაბამისად, ჭოროხის სათავესთან ახლოს).

ფაზისს ზემოწელში ბოა ერქვა და მისი სათავის დადგენისათვის მნიშვნელოვანია პროკოფის მიერ დასახელებული ადგილი – ფარანგია. ფარანგია მდებარეობდა თანამედროვე თურქეთში, ლაზისტანის ახლოს, სპერისაკენ. ფარანგია ჭანეთის მახლობლად მდებარეობდა. მის მახლობლად იღებდა სათავეს ბოა – იგივე ფაზისი. ამ მდინარის დინების აღწერა ისეთივეა, როგორც ამჟამად მიედინება ჭოროხი, კერძოდ, სათავეში ჭოროხი მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ამ მიმართულებას პროკოფი ასე უწოდებს – течет направо), შემდეგ ის მკვეთრად უხვევს, და ახლა უკვე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინება ართვინამდე და კარჩხალის მთებამდე. მისი ამ მიმართულებით დინების მახლობლად, მარჯვნივ, იბერიის ოლქები მდებარეობდა (где по правую сторону находятся границы Ивирии).

აქვე ასახელებს პროკოფი „კავკასიის მთებს“, რომელშიც მცირე კავკასიის მთიანეთი იგულისხმება.

აქ „კავკასიის ქედის“ ქვეშ მიიჩნევა ე.წ. მცირე კავკასიის მაღალმთიანეთი, სადაც ჭანთა ქვეყნიდან გამოედინება მდ.ჭოროხი. ის მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, შეედინება იბერიის საზღვართან, არტანუჯ-ართვინის ოლქში, სადაც გზაზე ეღობება კარჩხალის ძალზე მაღალი, 3000 მეტრ სიმაღლეზე აჭრილი მთიანეთი, ამის გამო ის მკვეთრად იცვლის მიმართულებას, აქვე მას ერთვის წყალუხვი მდ. იმერხევი და შავშეთისწყალი და გზას განაგრძობს დასავლეთის მიმართულებით. ასევე აღიწერება ფაზისის მდინარება პროკოფის მიერაც –

(16) Когда же река доходит до того места, где находятся границы Ивирии и Кавказа, то тут в нее вливается много других водных потоков и она становится много шире и течет, получив отсюда название Фасиса вместо Воа; с этого места она судоходна вплоть до так называемого Понта Эвксинского, куда она и впадает.

Тут по обеим ее сторонам расположена Лазика... (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 14-25).

„როცა მდინარე მივა იმ ადგილამდე, სადაც არის იბერიისა და კავკასიის საზღვარი, აქ მასში ჩაედინება სხვა წყალთა ნაკადები, უფრო განიერდება და მიედინება, აქედან უკვე ფაზისის სახელით, ბოას ნაცვლად. აქედან ის სანაოსნოა ზღვამდე, აქ მის ორივე ნაპირზე მდებარეობს ლაზიკა“.

ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ წერს მრავალი ავტორი, ვაიდანბაუმი, ბაქრაძე და სხვები. ნაოსნობა იწყებოდა ართვინთან.

ართვინთან ჭოროხს უერთდება წყალუხვი იმერხევი და არტანუჯისწყალი, იქვე ახლოა არტაანისა და კოლას ოლქები – იბერიის ნაწილები. არსიანის ქედი ითვლებოდა არტაანისა და არტანუჯის საზღვრად, პროკოფის დროს ის იბერიისა და ლაზიკის საზღვარი იყო. ჩანს, ართვინამდე ჭოროხს ბოა ერქვა, ხოლო ართვინიდან ზღვამდე – ფაზისი. აღსანიშნავია, რომ ყვირილა ერქვა გ. ყაზბეგის დროს იმერხევის ერთ-ერთ შენაკადს, მაგრამ პროკოფის დროს ბოა ერქვა ჭოროხს ართვინამდე, აქ ის არ იყო წყალუხვი და ასეთი ართვინის სანახებში ხდებოდა.

პროკოფი კვლავ იმავეს იმეორებს – В этой стране поднимаются очень высокие горы, покрытые лесом и труднодоступные. Они тянутся до самых Кавказских гор (ესაა ქართული კარჩხალ-არსიანის მთიანეთი „საკავკასიძეოს“ მახლობლად). позади же них по направлению к востоку лежит Иберия (იგულისხმება იქვე, არსიანის ქედს იქეთ მდებარე კოლა-არტაანის ოლქი, იბერიის ნაწილები, რომელთაც აღმოსავლეთიდან პერსარმენია ესაზღვრებოდა). простирающаяся до пределов персо-армян. Через эти горы, уходящие высоко в небо, течет река Фазис, начинаясь с гор Кавказа и впадая в середину этого „полумесячного» залива Понта (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).]]

ფაზისი აქ, ივერიის საზღვართან ახლოს (თანამედროვე ართვინთან), მიმართულებას იცვლიდა (კარჩხალის ქედის ძირში), ხდებოდა წყალუხვი სანაოსნო მდინარე, გაედინებოდა ლაზიკის შუა ქვეყანაში და შავ ზღვას ერთვოდა დიდი სისწრაფით, ისეთი სიჩქარით, რომ ის ზღვის ზედაპირზე ქმნიდა ცალკე ნაკადს, ჭავლს, ასეთი მდინარება აქვს ჭოროხს. პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს –

„Когда же река доходит до того места, где находятся границы Ивирии и Кавказа, то тут в нее вливается много других водных потоков и она становится много шире и течет, получив отсюда название Фасиса вместо Воа; с этого места она судоходна вплоть до так называемого Понта Эвксинского, куда она и впадает. Тут по обеим ее сторонам расположена Лазика. (17) Но только лежащая по правому ее берегу страна заселена местным населением, вплоть до пределов Ивирии (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29).

აღწერილის მიხედვით ფაზისი შესართავთანაც იყო მთის მდინარე (ასეთია ჭოროხი). მისგან განსხვავებით მდ. რიონი შესართავთან არის დაბლობის, ჭაობის მდინარე, ამიტომაც ის მდორედ ერთვის ზღვას და უჭირს თავისი წყლების შეტანა ზღვაში მაშინ, როცა ფაზისი იყო ძალზე სწრაფი ზღვასთან, და მისი ასეთი დიდი სიჩქარის გამო შედინების შემდეგ ის ზღვაში კი არ იკარგებოდა,

არამედ ზღვის ზედაპირზე ჭავლს ქმნიდა – Течение ее настолько стремительно, что, впадая в море, она долго течет, не смешиваясь с морской водой.

მისგან განსხვავებით, ცხადია, მდორე რიონი ჭავლს არ ქმნის ზღვის ზედაპირზე. ფაზისი ძალზე სწრაფი იყო ზღვასთან, როგორიცაა ჭოროხი.

პროკოფი კესარიელი ამის შესახებ წერს –

(25) Эта река здесь глубже любой другой и необычайно широка. (26). Плавающие в этих местах могут иметь совершенно пресную воду даже в открытом море (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29).

პროკოფის მიხედვით რიონი და ფაზისი სხვადასხვა მდინარეებია, ამის შესახებ ის წერს – Повернув назад и захватив проходы из Иберии в Колхиду, там где Фазис представляет возможность переправы, он перешел его вброд, равно как и реку по имени Рион, которая тоже в этом месте была несудоходной;

მდ. ფასისის ხუთი განსაკუთრებული თვისება წყაროთა მიხედვით

ფლავიუს არიანემ საგანგებოდ მოიარა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი და აღწერა მდ. ფაზისი.

არიანე და სტრაბონი, სხვა ავტორებთან ერთად, გადმოგვცემს მდინარე ფაზისის ხუთ განსაკუთრებულ თვისებას, რითაც ის განსხვავდებოდა სხვა მდინარეებისაგან –

ფაზისი გამოედინებოდა არმენიიდან, ჰქონდა განსაკუთრებული ფერი. შესართავთან სასმელად ვარგისი იყო, ჰქონდა მსუბუქი კუთრი წონა და ძალზე ჩქარი იყო (ასევე შესართავთან).

ამ ხუთი განსაკუთრებული თვისებით ფაზისი არის მდ. ჭოროხი და არა მდ. რიონი.

არიანე ასე აღწერს მდ. ფაზისს –

„Отсюда мы приплыли к Фасису, ...из всех известных мне рек имеющему самую легкую воду и притом необыкновенного цвета. ...По цвету вода Фасиса кажется окрашенной свинцом или оловом, но, устоявшись, она делается очень чистой. ...Вода Фасиса не гниет и остается неиспорченной даже более десяти лет, разве только делается еще преснее“ (§ 10).

Античная лоция Черного моря. Путешествие Арриана

http://budetinteresno.info/kraeved/pont_arrian.htm

ზღვის შესართავთან არიანემ აღწერა, რომ ფაზისს ჰქონდა რამდენიმე განსაკუთრებული თვისება, ესენია – მსუბუქი კუთრი წონა (მასში ნაკლები ლამი იყო), განსაკუთრებული ფერი (მოტყვიისფრო), სასმელად საუკეთესო ხარისხი ჰქონდა (უფუჭებადობა) – (имеющему 1.самую легкую воду, 2. вода Фасиса кажется окрашенной свинцом или оловом, 3. Вода Фасиса не гниет и остается неиспорченной), სხვა თვისებებს ფაზისისა ამატებენ სხვა ავტორებიც.

1. ფაზისის სათავე არმენიაშია“ (სტრაბონი,XI, II, 17)

სტრაბონი თავის გეოგრაფიაში რამდენჯერმე ფასისის სათავედ მიიჩნევს არმენიას (სტრაბ. XI, თავი XIV, 7).

„კოლხიდაში მიედინება ფაზისი – დიდი მდინარე, რომელიც სათავეს არმენიაში იღებს“(სტრაბონი,XI, II, 17).

„Колхиду протекает Фасис – большая река, берущая начало в Армении“ (Страбон, География, кн. XI, II, 17).

სტრაბონის მიერ ფაზისის სათავედ არმენიის მიჩნევა, როგორც აღინიშნა, აჩვენებს, რომ ფაზისის ქვეშ ჭოროხი მოიაზრება (ასევე პროკოფთანაც).

სტრაბონის ცნობა, რომ ფაზისის სათავე არმენიაშია, როგორც აღინიშნა, შესაძლოა ასე უნდა განიმარტოს: მას შემდეგ, რაც არმენიამ, სტრაბონისავე ცნობით, იბერიას წაართვა ვრცელი ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა (სტრაბ. XI, II, 17), ცხადია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი გეოგრაფიული პუნქტი და მდინარე აღმოჩნდა არმენიის ხელში. ამიტომაც სათავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარე ფაზისისა (ე.ი. ჭოროხისა) იმჟამად მოექცა არმენიაში და შესაბამისად, ამ არმენიიდან იღებდა ის სათავეს. მდ. ფაზისს სათავეში ბოა ერქვა, პროკოფის სიტყვით.

ჭოროხი გამოედინება სპერ-ჭანეთის რეგიონიდან, რომელიც, სტრაბონის ეპოქაში, არმენიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, ამიტომაც წერდნენ, რომ ფაზისი არმენიაში იღებდა სათავეს.

2. ფაზისის ფერი

არიანეს სიტყვით, ფერის მიხედვით ფაზისის წყალი ჰგავს ტყვიით ან თუთიისფრად შეღებლს (Античная лоция Черного моря. Путешествие Арриана) http://budetinteresno.info/kraeved/pont_arrian.htm

„По цвету вода Фасиса кажется окрашенной свинцом или оловом“.

ამჟამადაც ჭოროხის ფერი ასეთივეა, მოცისფრო-მოტყვიისფრო, სწორედ ასეთი ფერის მდინარედ ხატავენ ფაზისს ძველი ავტორები. სხვაგვარია რიონის ფერი შესართავთან – ის მოყავისფროა, რადგანაც შეიცავს დიდი ოდენობით სილას, მიწასა და შლამს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაზისის მოცისფრო ფერის შესახებ, შესართავთან, სხვა ავტორებიც მიუთითებენ, მაგალითად, რუფუს ფესტუს ავიენუსი, მე-4 საუკუნის ავტორი, ფაზისს „ლურჯ მდინარეს“ უწოდებს. ის წერს ლურჯი ფაზისის დასავლეთით ცხოვრობენ ბიძერებისა და ბექირების ტომები (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 595), მაშინ როცა რიონის ფერი შესართავთან, როგორც ითქვა, არის მუქი მოყავისფრო.

3. ფაზისი შესართავთან სასმელად ვარგისია

შესართავთან ჭოროხის სასმელად გამოყენება ამჟამადაც კია შესაძლებელი, მაგრამ შესართავთან რიონის სასმელად გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც დაბლობის ეს ადგილები, სადაც რიონი მიედინება ძლიერ დაჭაობებულია, გაჯერებული სიცოცხლისათვის საშიში ბაქტერიებით, ამასთანავე რიონი აქ მიწა-შლამისა და ჭაობის წყლის ნაზავს წარმოადგენს.

4. ფაზისის წყლის სიმსუბუქე-სიწმინდე

მდინარის წყლის კუთრ წონას მისი შენარევები განსაზღვრავს.

შენარევების, ანუ სილა-მიწისა და შლამის გარეშე მდინარის წყალი მსუ-

ბუქია, რაც შეუმჩნევია არიანეს და ის წერს ფაზისის წყლის სიმსუბუქის შესახებ.

ასეთია ჭოროხი, რადგანაც ის კლდეთა შორის, მუდმივი, უცვლელი კალაპოტით მიედინებ და მიწა-შლამის ნაკლები შენარევი აქვს.

რიონის წყალი შესართავთან, როგორც აღინიშნა, მძიმეა, დიდი სილამიწიანობის გამო აქ რიონი სასმელად სავსებით უვარგისია, ხოლო ჭოროხი შესართავთანაც მთის მჩქეფარე მდინარეა, საჭიროების შემთხვევაში მისი დალევა ახლაც, 20 საუკუნის შემდეგაც კი, შესაძლებელია.

5. ფაზისის სიჩქარე

მდ.ფაზისს ჰქონდა ერთი განსაკუთრებული თვისება, რითაც ის სხვა მდინარეებისაგან განსხვავდებოდა, და ამ თვისებით აოცებდა მოგზაურებსა და ისტორიკოსებს – ეს იყო ის, რომ დიდი სიჩქარის გამო ზღვაში შედინების შემდეგ არ ერეოდა ზღვის წყალს, არამედ კარგა მანძილზე ზღვის ზედაპირზე მტკნარი წყლის ნაკადის სახით მიედინებოდა.

ახლაც კი ჭოროხი ზღვაში აღნიშნული აღწერის მსგავსად შეედინება, მიუხედად იმისა, რომ ამჟამად ჭოროხის წყლის სიჩქარე შემცირებულია მასზე წყალსაცავების მშენებლობის გამო. ამჟამადაც ჭოროხი დიდი სისწრაფით ერთვის ზღვას და მის ზედაპირზე შორ მანძილზე ჭავლის სახით მიედინება, და ასეთი არაა რიონი, რომელიც მდორედ ერთვის ზღვას და მასში იკარგება.

გ. გრიგოლიამ ძველ წყაროთა მიმოხილვით დაადგინა, რომ მდინარე ფაზისი ძირითადად არის არა მდინარე რიონი, არამედ მდინარე ჭოროხი. მაგალითად, ის იხილავს პროკოფის ნაშრომს და მდინარე ფაზისთან დაკავშირებით წერს, რომ პროკოფი მდინარე ჭოროხს უწოდებს ბოასს, რომელიც მის დროს გამოდიოდა ჭანეთის ახლო მდებარე „არმენიელთა ადგილებიდან“, იქვე ყოფილა პუნქტი ფარანგიონი. ეს მდინარე სათავეში ყოფილა თხელი წყალი, ფონების მქონე, ვიდრე იმ ადგილებამდე, „სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა მთავრდება“. გ. გრიგოლიას აზრით სათავეებიდან ჭოროხის კალაპოტი ფართოა და დინებაც შედარებით მდორეა დიდ მანძილზე. „ართვინთან კი იგი ექცევა ვიწროებში, მთებთან – აჯირახსა და მეზლასთან იცვლის მიმართულებას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ და დიდი სისწრაფით მიექანება ზღვისაკენ“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 33).

გ. გრიგოლიას კიდევ სხვა მრავალი რეალურად არსებული ფაქტი უმტკიცებს თვალსაზრისს იმისას, რომ პროკოფისეული ფაზისი არის მდინარე ჭოროხი. მაგალითად, პროკოფის ცნობა, რომ „ლაზიკე ყველგან მდინარე ფასისის, როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია, რადგან ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან“ აფიქრებინებს, რომ ამ ცნობაში ნამდვილად ჭოროხი იგულისხმება და არა რიონი. რადგანაც რიონის სანაპიროებზე მდინარის მთელ პერიმეტ-

რზე ვიდრე ზღვამდე კლდეები არ არის, ხოლო ჭოროხის ნაპირებზე დიდ მანძილზე ნამდვილად წამომართულია უზარმაზარი კლდეები, რომლებიც იქ ნამდვილად ქმნიან ვიწროებს. პროკოფის ცნობით ასეთ გზას რომაელები კლისურებს უწოდებენ.

კვლევის შედეგად გ.გრიგოლიამ დაასკვნა, რომ პროკოფის მიერ ნახსენები ბოა-ფასისის მარჯვნივ მდებარე იბერია არის კლარჯეთ-კოლა-არტაანი და წერს – „როგორც ჩანს სწორედ ართვინთან გულისხმობს პროკოფი იბერიის საზღვრებს და სწორედ აქედან მოყოლებული ღებულობს ფაზისის სახელს ჭოროხი ანუ ბოასი. იგი წყალუხვია და ართვინიდან ქვემოთ მდინარეზე მთელი წლის მანძილზე მიმოდიან დიდი ზომის ნავები ანუ კიუკები, გარდა ზაფხულის დამდეგისა, როდესაც იწყება წყალდიდობა“ (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 33).

პროკოფის ფრაზა – „აქ ფაზისს სხვა ბევრი წყალიც ემატება და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისათაა წოდებული“ – გ. გრიგოლის აზრით გულისხმობს ართვინის სანახებს და წერს, რომ ართვინამდე ჭოროხს ერქვა ბოასი, ართვინის ქვემოთ ფაზისი, ხოლო პროკოფის მიერ ნახსენები „კავკასიის მთა“ გულისხმობს კარჩხალის მთიანეთს და იქვე მდებარეობდა პროკოფის მიერ ნახსენები „კავკასიისა და იბერიის საზღვრები“.

პროკოფი წერს – „ნაოსნობისათვის ფაზისი გამოსადეგია ვიდრე ზღვამდე და მის ორივე მხრით ლაზიკე არის, მაგრამ მარჯვნივ ის ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით. ლაზთა სოფლები ხომ აქ მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, სებასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე ღირსშესანიშნავი ქალაქები კი აქ არის – როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ ერთი დღის სავალზე ლაზიკის საზღვარია. ეს მხარე ნაკლებ დასახლებულია და ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ“ (გეორგიკა II, გვ. 100-102). გ. გრიგოლიას კვლევით, ამ ფრაზაში იგულისხმება მდ. ჭოროხის სანაპიროები, კერძოდ, მარცხენა სანაპირო ისტორიულად მართლაც თითქმის დაუსახლებელი იყო და ამ მხარეს მხოლოდ ზღვისპირა ციხესიმაგრე ხუფათი ანუ პეტრა მდებარეობდა, ხოლო ჭოროხის მარჯვენა სანაპირო მართლაც მჭიდროდ იყო და ახლაც არის დასახლებული, რადგანაც ამ მხარესაა უხვმოსავლიანი ხელვაჩაურისა და ბათუმის რაიონები.

გ. გრიგოლიას კვლევით, მდინარე აკამფსისი ეწოდებოდა ზღვასთან ჭოროხის შესართავთან აღმოსავლეთ ტოტს, დასავლეთ ტოტს კი – აფსაროსი. იმოწმებს პროკოფის ცნობას აკამფსისთან დაკავშირებით (გეორგიკა II, გვ. 122-123).

გ. გრიგოლია წერს, რომ პროკოფისმიერი ფასის-ბოას-აკამფსისის აღწერილობა სავსებით წააგავს მე-19 საუკუნის მოგზაურების ოსმან ბეისა და დ. ბაქრაძის ცნობებს ჭოროხის შესახებ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფო, გვ. 32).

ლაზიკის საერთაშორისო გზა

ლაზიკაზე გამავალი სპარსეთ-ბიზანტიის მაკავშირებელი გზა

ლაზიკა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, მოიცავდა ჭოროხის ვრცელ ხეობას, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით ამ ვრცელ რეგიონში გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზით (არტანუჯის გავლით) ტვირთი მოძრაობდა სირიას, იბერიას, არმენიას (სპარსეთსა) და ბიზანტიას შორის.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (X ს. ბიზანტიის იმპერატორი) წერს – „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბათიც და დაბა-ქალაქიც, და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის მიწა-წყალი – ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ (გეორგიკა 2, ნაკვეთი II, გვ. 278-279).

მაშასადამე, IX-X სს-ში ჭოროხის ხეობაში მდებარე არტანუჯის გზაზე მოძრაობდა საქონელი შავი ზღვისპირეთიდან (ტრაპეზუნტიდან და მიმდებარე რეგიონებიდან) არმენიის, იბერიისა და სირიისაკენ, და პირიქით, ამ გზით არმენიისა და სირიის საქონელი გაჰქონდათ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში – ტრაპეზუნტსა და აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში). ქ. ართვინთან, რომელიც არტანუჯის გზაზე მდებარეობდა, ჭოროხი ხდებოდა სანაოსნო, ვიდრე შავ ზღვამდე. გარდა ამისა ართვინიდან ჭოროხისპირა საჭაპანო (სახმელეთო) გზა უერთდებოდა შავ ზღვას.

მეორე მიმართულებით არტანუჯი არსიანის ქედის გავლით უერთდებოდა იბერიის ქალაქ არტაანს (არდაგანს), იქიდან კი არმენიასა და პერსარმენიას, შემდეგ კი სპარსეთს, სირიასა და სხვა ქვეყნებს. „არტანუჯის მეშვეობით უკავშირდებოდნენ სომხეთის ქალაქები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს“ (Я. Манандян, О торговле и городах Армении, стр. 233-234).

არტაან-ართვინის გზით გაჰქონდათ თბილისური და დვინის საქონელი ზღვაზე და პირიქით, ეს გზა იყო ძველთაგანვე არსებული. ეს იქიდან ჩანს, რომ, მართალია, VIII ს-ში არტანუჯი და მისი მხარეები არაბებმა ააოხრეს, მაგრამ უკვე X ს-ში ამ გზას მაინც საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით. „არტანუჯის დაწინაურების მთავარი მომენტი მისი სტრატეგიული მდებარეობა უნდა ყოფილიყო (საქ. ისტ. ნარკვ. II, 1973, გვ. 347), არტანუჯი მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზათა შესაყარზე.

არტანუჯზე გადიოდა ტრასა, რომელიც თბილისს ბიზანტიის ქალაქებთან აკავშირებდა: სამშვილდე-ფარავანი-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯი (იქვე). სამშვილდე-გუდარეხი-მანგლისი-კლდეკარი-ფარავანი-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი-ხოფა (პეტრა).

ამ გზით, ქართული წყაროების ცნობებით, ისარგებლა პონტოს ლაშქრობიდან დაბრუნებისას მეფე ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში (ქ.ც. I, გვ. 177-178).

ეს გზა, ამავე წყაროებით, მოქმედი იყო წინა საუკუნეებიც. ქართული წყაროს ცნობით ის მოქმედებდა პირველ საუკუნეშიც, მოციქულთა ეპოქაშიც ამ გზას ასევე ეწოდებოდა – „გზა კლარჯეთისა“.

[წმ.ანდრია მოციქული, მისი ცხოვრების თანახმად, თავდაპირველად შებრძანდა ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტში, ამ ქვეყანას ქართული წყაროს მიხედვით ეწოდებოდა „სოფელი მეგრელთა“, მოსახლეობას, ანუ ლაზებს კი „მეგრელნი“, რომელთა ნაწილიც მას მოუქცევია.

„ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 38). ეს გზა აერთიანებდა ჭოროხს არტაანთან.

„ქართლის ცხოვრება“ წერს: ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, ნიგალას, კლარჯეთსა და არტაან-კოლას, სადა იგი დაყო ჟამი ფრიად მრავალნი“. მაშასადამე, არტაან-კოლა იბერიის ანუ ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო, ართვინი ლიგანის ანუ ნიგალის ქალაქად ითვლებოდა.

ნიგალის ანუ ლივანის მთავარი ქალაქი ართვინია. აქედან წმიდა მოციქული ანდრია შესულა არტანუჯში, იქიდან კი გადასულა არტაან-კოლაში. ყველა ამ რეგიონში დაყო, როგორც ითქვა, „ჟამი ფრიად მრავალნი“.

მაშასადამე, წმიდა მოციქულს უვლია იმ გზით, რომელიც ათასი წლის შემდეგაც, კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაშიც, მნიშვნელოვანი იყო და რომელმაც არტანუჯი დიდ სავაჭრო ცენტრად გადააქცია. ეს გზა მნიშვნელოვანი იყო მე-11 საუკუნეშიც, მეფე ბაგრატ მე-4-ის დროს. მან ქუთაისი-ხუფათი-არტანუჯი-ჯავახეთი-თბილისის გზით გადაიყვანა ლაშქარი დასავლეთ საქართველოდან მტკვრის პირზე და დაამარცხა მტერი (ქ.ც. I, 338).

VI საუკუნეში ლაზიკა ყურადღებას იქცევდა თავისი სამხედრო-სტატეგიული მდებარეობითა და მასზე გამავალი სპარსეთ-ბიზანტიის დამაკავშირებელი გზით. მისი ხელში ჩაგდებით კი ორივე მხარე იყო დაინტერესებული. ესაა ჭოროხის ხეობაში გამავალი გზა, რომელსაც, როგორც რამდენჯერმე აღინიშნა, ერქვა „გზა კლარჯეთისა“.

თითქმის 1500 წლის შემდეგ რუსეთის იმპერიაც დაინტერესდა ამ გზით მე-19 საუკუნის 70-იან წლებში (გ. ყაზბეგი, 3 თვე თურქეთის საქართველოში, 1875 წ.რუს. ენაზე).

იმჟამად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ჭოროხის ხეობაში გ. ყაზბეგმა თავისი ძირითადი ყურადღება მიაპყრო ძველთაგანვე არსებულ ბათუმ-ართვინ-არდაგანის გზას, რომელსაც იმჟამად ოსმალეთის იმპერია აწესრიგებდა.

აღნიშნული გზა ბათუმიდან ართვინამდე მიუყვებოდა მდინარე ჭოროხს, ართვინიდან არდაგანს უერთდებოდა არსიანის ქედზე გადამავალი უღელტეხილით. არდაგანიდან ანუ არტაანიდან ეს გზა უერთდებოდა ყარსს, არზრუმსა და ახალციხეს. როგორც გიორგი ყაზბეგი, ასევე მის შემდგომ ლაზიკაში რუსეთიდან გაგზავნილი მეცნიერი ე. ვეიდენბაუმი თავიანთ მთავრობას არწმუნებდნენ, რომ აღნიშნულ ბათუმ-არდაგანის გზას გააჩნდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგანაც ის სპარსეთს ევროპასთან აერთებდა უმოკლესი გზით.

გ. ყაზბეგი პირდაპირ წერდა, რომ გაფართოების შემდგომ შესაძლოა „ეს გზა სპარსეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო მაგისტრალადაც გადაიქცეს“ (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 108).

(გ. ყაზბეგი, ამ გზასთან დაკავშირებით წერს, რომ ბათუმ-არტაან-ყარსის გზატკეცილის სამუშაოების შესასრულებლად ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიამ შექმნა კომისია, რომელმაც პრაქტიკულად უცვლელად დატოვა საუკუნეების წინათ არსებული გზის მარშრუტი. ეს იყო „ერთადერთი ხაზი მდინარე ჭოროხზე არტანუჯისაკენ, შემდეგ ყარსისაკენ ან არტაანის გავლით, არტანუჯ-ჩაის გაყოლებით... ცხენები უწყვეტად მიემართებოდნენ ართვინისაკენ, მათ ყარსის პური გადაჰქონდათ. პური აქ ცხენებით გადმოაქვთ ართვინის ნავმისადგომთან, აქედან კი ჭოროხით ბათუმში ჩააქვთ (იქვე, გვ. 104-106).

როგორც გ. ყაზბეგი, ისე ე. ვეიდენბაუმი თავიანთ ნაშრომებში გამოხატავდნენ იმ ინტერესს, რომელიც რუსეთის იმპერიას გააჩნდა აჭარა-ლაზისტანში. კერძოდ, ყაზბეგი პირდაპირ წერდა: „ამ ინტერესს აძლიერებს ჭოროხის აუზის ისტორიული მნიშვნელობა წარსულში და რაც მთავარია ის როლი, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს მომავალში“ (გ. ყაზბეგი. დასახ. ნაშრ. გვ. 29).თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჭოროხის აუზს წარსულში, ამის შესახებ, გ. ყაზბეგის აზრით, ევროპელებმა იცოდნენ სტრაბონისა და არიანეს მონათხრობის მიხედვით, ხოლო სამომავლოდ გზის შესაძლებლობათა შესახებ თვითვე წერდა (იქვე). ეს იყო ჭოროხზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომლის ხელში ჩაგდებითაც რუსეთის იმპერია გააკონტროლებდა ერზრუმის, ყარსისა და მიმდებარე რეგიონების ეკონომიკას (აქედან ჩანს, რომ გ.ყაზბეგის აზრით სტრაბონისა და არიანეს კოლხიდა და ფაზისი ჭოროხის ხეობაში უნდა ვეძიოთ).

[გ. ყაზბეგი ძალზე იყო დაინტერესებული ამ გზის მდგომარეობით და თავის ნაშრომში აღწერს კიდეც ამ გზის სხვადასხვა მონაკვეთს. მაგ., ერთ ადგილას წერს: „საჭიროა ბათუმიდან არტანუჯამდე აშენდეს სამასი ქვის ხიდი და გვირაბი“ (იქვე, გვ. 108). ეს ფრაზა გვაგონებს სტრაბონის ცნობას, რომლის მიხედვითაც ფაზისზე მსგავსი რაოდენობის ხიდები (120 ხიდი) იყო გადებული. მათი ნაშთები არსებობდა მე-19 საუკუნეშიც, მათ შორის კარგად შემორჩენილი ხიდები.

ყაზბეგი და ვეიდენბაუმი გაოცებით აღწერენ ჭოროხსა და მის შენაკადებზე გადებულ უამრავ ძველ ხიდსა და მათ ნანგრევებს. ძველი ქვისთაღოვანი ხიდებისა და მათი ნაშთების რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავი იყო. ვეიდენბაუმი აღნიშნავდა კიდეც, რომ ხიდების ეს რაოდენობა, ასევე კლდეებზე გაყვანილი ძველი გზატკეცილების ნაშთები მიუთითებდა ჭოროხის აუზში გამავალი გზის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ.

ჭოროხის როგორც მარჯვენა სანაპიროზე გადიოდა დიდი მნიშვნელობის გზა, ასევე მარცხენაზეც, ის წერს: „მურღულის წყლისა და ხატილა-სუს ხიდების ნარჩენებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველად ჭოროხის მარცხენა ნაპირზე არსებობდა გზა და მასზე საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ყოფილიყო, თუკი საჭირო გამხდარა ორი ხიდის აშე-

ნება მარცხენა ნაპირზე, ართვინისა და მურღულის-წყალს შორის. ერთ ადგილას შეიმჩნეოდა კედლის ნარჩენები, რომლებსაც ეყრდნობდა გზა კლდის ციცაბო ფერდობზე. ხიდებისა და კედლის აშენების თარიღი, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ყველა ხიდი კონსტრუქციით ართვინის ხიდის მსგავსია (ეს უკანასკნელი აშენებულია დიდი ხნის წინათ), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საგზაო ნაგებობები ძალიან ძველია და იმ დროს უნდა მიეკუთვნებოდეს, როდესაც ჭოროხის აუზში წესრიგი და სიმშვიდე იყო, აქედან გამომდინარე – თურქეთის ბატონობამდე“ (ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 76).

ხიდების კოლოსალური რაოდენობა მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე, ცხადია, როგორც აღინიშნა, მოგვაგონებს სტრაბონის ცნობას, რომ მდინარე ფასისზე იბერიისაკენ მიმავალ გზაზე 120 ხიდი იყო გადებული. ქვის თაღოვანი ხიდების გარკვეული რაოდენობა დღემდე არსებობს.

ეს გზა ისტორიული ბათუმის რეგიონიდან (ძველი პეტრადან) ჭოროხის ხეობის გავლით მიემართებოდა არტაანში. არტაანი, შემდგომდროინდელი არდაგანი, იბერიაში შედიოდა (არა მხოლოდ ქართული, არამედ სომხური წყაროების მიხედვითაც).

თუკი ჭოროხის ხეობა მიიჩნეოდა ლაზიკის ნაწილად, მაშინ ცხადია, აქ გადიოდა ლაზიკიდან იბერიაში (არტაანში) შემავალი ისტორიული გზა, რომლითაც სარგებლობდნენ სპარსელები ბიზანტიასთან ლაზიკისათვის ომის დროს. ამ გზას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მე-19 საუკუნეშიც.

ყაზბეგი წერდა – ამ გზით, მე-19 ს-ში, სარგებლობდნენ „რუსი, ინგლისელი და ფრანგი სოვდაგრები“ (გ. ყაზბეგი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 108).

დიდი ყურადღება ექცეოდა ჭოროხის სამდინარო გზით ტვირთზიდვასაც.

გ. ყაზბეგი წერს: „ართვინის ვაჭრობის გამოცოცხლების ერთადერთი საშუალება ჭოროხის სამდინარო გზაა. მიმდინარე წელს ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მეორე წელია, რაც ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსისა და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ჭოროხის გზით გაგზავნა. ართვინამდე პურის დიდი ნაწილი ქურთებს გადმოაქვთ ჯორებითა და ცხენებით და შემდეგ კი ნავებით მიაცურებენ. მიმდინარე 1874 წელს ერთი კომპანიის აგენტმა ართვინიდან 44 ათასი ფუთი ხორბალი გაგზავნა. ყარსიდან ბათუმამდე ერთი ფუთი ხორბლის ჩატანა მის ფასთან ერთად ერთი მანეთი ჯდება“ (იქვე, გვ. 115).

ვეიდენბაუმიც აღნიშნავს ბათუმ-არდაგანის გზით უცხოელების მიერ გაჩაღებული ვაჭრობის შესახებ. ამ გზასთან დაკავშირებით ის წერს: „ბათუმი მთებზე გადამავალი საპალნე გზით დაკავშირებულია ქალაქ არდაჰანთან. გზის სიგრძე 191 ვერსს შეადგენს. იგი თავდაპირველად ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიუყვება მდინარე იმერხევის შესართავამდე, შემდეგ მდინარე არტანუჯ-ჩაის ხეობით ადის იალნიზჩამის უღელტეხილზე (8442 ფუტი ზღვის დონიდან) – ესაა ქედი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს მტკვრისა და ჭოროხის აუზებს. იალნიზჩამის უღელტეხილიდან გზა არდაჰანისაკენ მიემართება. ამ გზაზე ყურადღების ღირსია შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ართვინი, თურქთა ბატონობის პერიოდში მას ლიგანეს უწოდებდნენ. ესაა მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე გაშენებული პატარა ქალაქი, ბათუმიდან 80 ვერსში. აქ არის ართვინის ოკრუგის უფროსის რეზიდენცია... ბათუმსა და ართვინს შორის კავშირი უპირატესად მდინარე ჭოროხზე მოცურავე კაიუკების (ბრტყელძირა ნავების) მეშვეობით მყარდება. არტანუჯი მდებარეობს არტანუჯ-ჩაის (ჭოროხის შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. ამჟამად უმნიშვნელო სოფელია... არდაჰანი საპალნე გზებით დაკავშირებულია ბათუმსა და ყარსთან. არდაჰანის სამხრეთ-დასავლეთით 99 ვერსში მდებარეობს ოლთისი. ამ დასახლებულ პუნქტებს ერთმანეთთან საფოსტო გზა აკავშირებს, რომელიც გაივლის ზღვის დონიდან 7728 ფუტ სიმაღლეზე მდებარე პანჟურეთის უღელტეხილს (ეს უკანასკნელი ერთმანეთისაგან ყოფს ჭოროხისა და მტკვრის აუზებს) და კანლი-სუს ხეობით ეშვება ოლთუ-ჩაის ველზე. არდაჰან-ოლთისის გზაზე არაერთი ძველი ციხესიმაგრისა და ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი“ (ე. ვეიდენბაუმი. დასახ. ნაშრ. გვ. 79-86).

ბათუმ-არდაგანის გზა სტრაბონისა და პროკოფის მიერ აღწერილი ფასის-იბერიის შემაერთებელი გზა რომ უნდა ყოფილიყო იქიდანაც ჩანს, რომ ამ გზის მონაკვეთებზე დასტურდება იმ ძველი სახელების არსებობა, რომლებთაც აღწერდნენ ეს ავტორები, მაგ., გ. ყაზბეგი წერს – „მათ შორის შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ, რომ ჭოროხის ერთ-ერთი მაღალი შენაკადის სახელი იყო ყვირილა... მდინარე ყვირილამ სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვისაგან ყვირილი და შეესიტყვება მდინარის ხასიათს, ზემო წელში კი ხმაურით მიექანება ქვიან ფსკერზე, თანაც რეცხავს თიხოვანი ქანების ფენებს“ (გ. ყაზბეგი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75). ყვირილი იგივეა, რაც ბოას.

ჩვენს მეცნიერთა აზრით, მდინარის ბერძნული სახელწოდება ბოასი ყვირილას თარგმანი უნდა ყოფილიყო.

პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკა ჩვენ მხოლოდ ყაზბეგის, ვეიდენბაუმისა და სხვა მკვლევართა მიერ აღწერილ ლაზისტან-ლიგან-არტანუჯს მოგვაგონებს, თავისი კლდიანობით და მასზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზის უამრავი ხიდით.

ე. ვეიდენბაუმი, ისევე, როგორც გ. ყაზბეგი, ხაზგასმით აღნიშნავს ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსის გზის დიდ საერთაშორისო სავაჭრო მნიშვნელობას. ([მაგ., აღნიშნავს, რომ ართვინის მოსახლეობა მისდევდა საგარეო ვაჭრობას. უცხოეთიდან შემოჰქონდათ საქონელი ბათუმის ნავსადგურში, იქიდან კი ნავებით ჭოროხის გზით შეჰქონდათ ართვინში. შემდეგ კი არდაგანსა და ყარსში ეს საქონელი გადაჰქონდათ სატვირთო ცხენებითა და ჯორებით: „ართვინელი სომხები ძირითადად საგარეო ვაჭრობას მისდევენ, მათ მოჰქონდათ საზღვარგარეთიდან და კონსტანტინოპოლიდან სხვადასხვა სახის უცხოური საქონელი, ბათუმიდან ნავებით გადაჰქონდათ ართვინში და შემდეგ საპალნით – არდაგანში, ყარსში და სხვა ადგილებში“ (ე. ვეიდენბაუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 68). კერძოდ, ვეიდენბაუმის ცნობით, ართვინელ ვაჭრებს ერთი მხრივ შეჰქონდათ არტაანსა და ყარსში უცხოური საქონელი, მაგრამ სამაგიეროდ იქიდან „გამოჰქონდათ პური და მდინარე ჭოროხით აცურებდნენ

ბათუმში“ (იქვე, გვ. 69). ამ ფაქტის გამო საერთაშორისო ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით ვეიდენბაუმი ურჩევდა მთავრობას გაეკეთებინა გზა თურქეთის გზატკეცილიდან ართვინის ხიდამდე, სადაც იყო მდინარე ჭოროხის ნავმისადგომი: „ეჭვიც კი არ მეპარება – წერდა ის, რომ ყარსიდან ბათუმამდე გზატკეცილის საბოლოო გაყვანის შემდეგაც საქონლის გადაზიდვა ნავებით ჭოროხზე არათუ შეწყდება, პირიქით, გაიზრდება. აქედან გამომდინარე გზატკეცილიდან მდინარისაკენ დაღმართის გაყვანა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სავაჭრო მიმოსვლის გაზრდისათვის. რა კარგიც არ უნდა იყოს გზატკეცილი, ისეთი საქონლის მიწოდება, როგორიცაა ხორბალი, ქერი და ა.შ. მოსახერხებელი იქნება ნავებით, ვიდრე ოთხთვალათი. ამბობენ, რომ ყარსის ოლქს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის პურის მოცემა შეუძლია. თუ უნდათ ამ პროდუქტის გატანა, გზა ართვინის ნავსადგურამდე აუცილებელია, რადგანაც ჭოროხით გადაზიდვა გაცილებით მომგებიანია დროისა და მიწოდების ღირებულების თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 69).

ხორბლის გარდა ართვინიდან ბათუმში ჭოროხის სამდინარო გზით ნავებით გადაჰქონდათ 30 ტონამდე ზეთისხილი (იქვე, გვ. 70).

თანამედროვე ისტორიკოსის გ. გრიგოლიას კვლევით ლაზიკაში საომრად მიმავალი სპარსელთა შაჰი და მისი ჯარი ჭოროხის ხეობისა და არტანუჯის გზის გავლით შედიოდა პეტრაში, თუმცა არსებობს ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მათი გზა პეტრასაკენ აღმოსავლეთ საქართველოს, ლიხის ქედისა და დასავლეთ საქართველოს გავლით მიემართებოდა პეტრაში.

გ. გრიგოლიას აზრით კი, როგორც ითქვა, სპარსთა ჯარი ჭოროხის ხეობის გავლით შევიდა პეტრაში. ის წერს – „რათა უფრო იოლი გახდეს ამ გზის მიმართულების გარკვევა, პროკოფი კესარიელი დეტალურად აღწერს გზაზე დამხვედრ მდინარეებს, მოგვითხრობს მათ ფიზიკურ თვისებებზე, მიმართულებაზე, საიდან იღებენ ისინი სათავეს, სად არის მათი შესართავი, რომელ ქვეყნებსა თუ ტომების დასახლებათა მახლობლად მიედინებიან და სხვა. ყოველივე ეს ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა ლაზიკის სამეფოსა და ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, გვ. 29). შემდეგ მკვლევარი განაგრძობს – „ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას ბორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელისაკენ მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ჭოროხის გაყოლებით მიემართება ყარსი, არდაგანი და სომხეთისაკენ, საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო ანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ, კერძოდ, როგორც პროკოფის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით ჭოროხის ზემო წელი – წერს გ. გრიგოლია) და „ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ“ (იქვე, გვ. 64).

გ. გრიგოლია თვლის, რომ ის მდინარე ფასისი, რომელიც სპარსელებმა ამ დროს გადალახეს არის მდ. ჭოროხი, ხოლო პეტრა კი ერქვა ხოფას (ძველ ხუფათს) (იქვე, გვ. 65).

გ. გრიგოლიას აზრით, ხოფადან ჭოროხისაკენ და აქედან იბერიისაკენ, არმენიისა და პერსარმენიისაკენ მიმავალი გზა ძველთაგანვე არსებობდა.

ამ გზაზე ზამთრითაც კი მოძრაობა არ წყდებოდა – „გზა ხუფათიდან და იბერიიდან ჭოროხისაკენ იმდენად ყოფილა გაკვალული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა“ (იქვე, გვ. 65).

„ბოას-ფასისი რომ ნამდვილად მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, როგორც ეს ადრე იყო გაგებული, ამას კიდევ ერთხელ მოწმობს პროკოფი კესარიელის შრომის არაერთი ადგილი. ეს ეხება ლაზებისა და მისი მეზობელი ტომების განსახლებას, ლაზების ქალაქებისა და ციხეების დახასიათებას თუ სპარსეთის ჯარის სალაშქრო მარშრუტების აღწერილობას პეტრასთან დაკავშირებით“ (იქვე, გვ. 42).

მკვლევრებს განსაკუთრებით აღელვებთ პროკოფის ცნობის ის ადგილი, სადაც საუბარია მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც „მოსახლეობას მოკლებული ჩანს და ამ ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი“. თუ პროკოფისეული ფასისი თანამედროვე რიონია, საქმე ეხება იმერეთის დიდ ნაწილს, მთელ გურიასა და აჭარას, ე.ი. ისტორიული კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, სადაც, როგორც უკანასკნელი დროის არქეოლოგიური ძიების შედეგები მოწმობენ, აღმოცენდნენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქური ცენტრები: ვანი, დაბლა გომი, ფასისი, ფიჭვნარი და აფსაროსი“ (გ. გრიგოლია, „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო პრობლემები“, გვ. 32).

გ. გრიგოლია დაასკვნის – „ერთი სიტყვით პროკოფის ყველა ცნობა, რაც გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგოა რიონ-ფასისთან კავშირში, სავსებით ნათელი და ლოგიკურია ფასის-ჭოროხთან მიმართებაში“ (იქვე, გვ. 53).

ხოლო სპარსეთ-პეტრას გზასთან დაკავშირებით წერს – „პროკოფი კესარიელი პეტრას ყოველთვის მდ. ფასისთან კავშირში იხსენიებს და მისი ნიშანდობლივი ლოკალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ფასისთან მიმართებაში არის შესაძლებელი...“ (იქვე, გვ. 55). მდ. ფასისი კი ჭოროხია, სპარსელთა ომები მის ხეობაში იმართებოდა. აქ გადიოდა ის მნიშვნელოვანი გზა, რომელიც პეტრას დვინთან აკავშირებდა.

ჩვენ დავადგინეთ, რომ სპარსული ჯარი ჯერ შაჰ ხოსროს, ხოლო შემდგომ მისი მხედართმთავრების მეთაურობით ლაზიკასა და ქ. პეტრაში ჩადიოდნენ თანამედროვე არტაანიდან არსიანის ქედის გადამკვეთი გზით.

დვინი ქ. პეტრას აღნიშნული (არტაან-არტანუჯის) გზით უერთდებოდა. დვინი – პერსარმენიის ის ქალაქი იყო, რომლის სანახებშიც ისვენებდა ლაზიკის ომების დროს დაქანცული სპარსული ჯარი (გეორგიკა, II, გვ. 115).

გ. გრიგოლიას მოსაზრებას ეს ცნობა აძლიერებს – სპარსთა ლაშქრის მოსასვენებელი მთავარი ბანაკი მდებარეობდა პერსარმენიაში – დვინში. აქედან მიემართებოდნენ ისინი პეტრასა და ლაზიკაში, იქიდან კი უკან ბრუნდებოდნენ მოსასვენებლად – პროკოფი კესარიელის ცნობით (იქვე).

პროკოფი კესარიელის ცნობით, პერსარმენიიდან დასვენებული სპარსული ლაშქარი შედიოდა ლაზიკაში, იღებდა მონაწილეობას პეტრასა და მისი მიმდებარე ადგილების დალაშქვრაში, ამის შემდეგ კი ეს ლაშქარი უკანვე ბრუნდებოდა დასასვენებლად და ძალების მოსაკრებად ქ. დვინის სანახებ-

ში, როგორც ამაზე პროკოფი რამდენჯერმე წერს: პერსარმენიაში ქ. დვინის სანახები წარმოადგენდა სპარსული ლაშქრის დასავანებელ და ძალების მოსაკრებ ადგილს ლაზიკისაკენ ლაშქრობისას (იქვე).

„მერმეროემ ლაზიკაში 5000 კაცი დატოვა, ხოლო დანარჩენი 25.000 კაცით სომხეთში გადავიდა და დვინის ახლოს დაიბანაკა“. მერმეროე პეტრადან „დანარჩენი ჯარით მივიდა პერსარმენიაში და დაისვენა დვინის მახლობელ სოფლებში“ (იქვე).

ამჟამად მიღებული აზრით, პეტრასაკენ მიმავალი ლაშქარი გაივლიდა ქ. თბილისს, შემდეგ სურამის ქედის გადალახვით შედიოდა ყვირილას ხეობაში, გადავიდოდა მდ. რიონის ვაკეზე, შემდეგ კი გაივლიდა თანამედროვე გურიასა და აჭარას და შევიდოდა პეტრას სიმაგრეში.

გზის ასეთი მარშრუტი არ ეთანადება პროკოფის აღწერას, რადგანაც პროკოფის ცნობით, პეტრას ბრძოლებში დაღლილი ლაშქარი ძალების მოსაკრებად მიდიოდა ქ. დვინში ანუ პერსარმენიაში, ის მალევე, დასვენებისა და ძალების მოკრების შემდეგ უკან ლაზიკაში უნდა დაბრუნებულიყო. თუკი პეტრადან დასასვენებლად უკან, პერსარმენიაში მიმავალი ჯარი გაივლიდა ასეთ უგრძელეს გზას: მთელ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ კი თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, შემდეგ სომხეთს და მივიდოდა დვინში, ეს ლაშქარი სრულიად ძალაგამოცლილი იქნებოდა. სამხედრო თვალსაზრისით, ასეთი გზის გავლა დასასვენებლად არაეფექტურია და შეუძლებელიც არის. მაშასადამე, ხოსროს და მისი სარდლის მერმეროეს მიერ გავლილი გზა დვინიდან პეტრამდე უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, ჩვენ ვიცით, რომ ეს გზა გაივლიდა იბერიის ერთ ნაწილს, გადალახავდა ძალზე მაღალი ქედის უღელტეხილს და ჩავიდოდა ფასისის ხეობაში იქ, სადაც ფასისი წყალმცირეა. აქ ჯარი ფეხით გადავიდოდა მდინარეზე და გაუყვებოდა პეტრასაკენ მიმავალ გზას ისე, რომ მდ. ფასისი მარჯვენა მხარეს ჰქონოდათ. ამასთანავე, ამ გზაზე ისინი არ გაივლიდნენ არც ერთ ლაზურ სოფელს.

მართლაც, არსებობდა მოკლე გზა, რომელიც დვინიდან შედიოდა პეტრაში იბერიის გავლით. ეს იყო – აღწერილი დვინი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი-პეტრას გზა, რომელიც გადადის არსიანის ქედის ერთ მაღალ უღელტეხილზე. ეს არის უძველესი გზა, ამასთანავე უმოკლესი და ადვილად სავალი პეტრადან დვინამდე.

ამ გზის ყველაზე მოუხერხებელი ადგილი ჯარისათვის იყო მაღალმთიანეთის უღელტეხილი, რომლის გასწორებაც სპარსელებმა შეძლეს.

არტაან-არტანუჯ-ართვინის შემაერთებელი გზა, როგორც ვთქვით, გაივლიდა არსიანის ქედს, რომლის უღელტეხილი მდებარეობს ზღვის დონიდან 2687 მ. სიმაღლეზე.

მაშასადამე, სპარსული ჯარი პეტრაში ჩავიდა არა თბილისის, ლიხის ქედისა და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით (ამ გზით ჯარი ძალზე დაიქანცებოდა და ბრძოლისუნარიანობას დაკარგავდა), არამედ სპარსეთ-პეტრას დამაკავშირებელი უმოკლესი გზით, რომელიც როგორც პროკოფი ხშირად აღნიშნავს: გაივლიდა პერსარმენიას (დვინის ქვეყანას), შემდეგ იბერიას (ეს იყო კოლა-არტაანი) და მდ. ჭოროხის გაყოლებით სწრაფად შევი-

დოდა პეტრას რეგიონში. ეს გზა, როგორც აღინიშნა, არსებობდა საუკუნეთა მანძილზე და მათ შორის, ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ძვ. წ. მე-5 საუკუნეშიც, მეფე ფარნავაზის დროს –

ფარნავაზ მეფე გაემართა აზონთან საბრძოლველად – „მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქ.ც. I, გვ. 23).

აზონის დამარცხების შემდეგ ფარნავაზი შევიდა საბერძნეთში, იქიდან „მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრო კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“ (იქვე). საქმე ისაა, რომ აზონი იქამდე კლარჯეთში იყო გამაგრებული და მას ბერძენთა ჯარი ეხმარებოდა. აზონის საბოლოოდ დასამარცხებლად ფარნავაზმა კლარჯეთიც შემოიერთა და მცხეთაში დაბრუნდა, თითქოსდა, ცხადი უნდა იყოს – იმ ერთადერთი გზით, რომელიც კლარჯეთს არტაანთან აერთებდა და ჯავახეთის გავლით მცხეთაში შედიოდა. ესაა ის გზა, რომელიც შემდგომ გამოიყენა ვახტანგ გორგასალმა, რომელზეც ააგო არტანუჯის ციხესიმაგრე.

ბიზანტია-იბერიის დამაკავშირებელ გონიო-ართვინ-არტანუჯ-მცხეთის საერთაშორისო გზისპირას შედარებით განვითარებული იყო ადგილობრივი ეკონომიკა, წარმოქმნილა ქალაქური ტიპის დასახლებები. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ IV-IX საუკუნეთა ქართული საეპისკოპოსოების ერთი ნაწილი აქ იყო განლაგებული. საეკლესიო წესების თანახმად, ეპისკოპოსი ქალაქში იჯდა, მას კათედრა ქალაქში უნდა ჰქონოდა. ჩანს, აღნიშნული გზისპირა ქალაქური ტიპის დასახლება იძლეოდა საშუალებას საეპისკოპოსო კათედრების დაარსებისა, კერძოდ, ამ გზისპირზეა შემდეგი საეპისკოპოსოები შემდეგ პუნქტებში:

1. ახიზა;
2. ანჩი;
3. ერუშეთი;
4. წყაროსთავი;
5. კუმურდო;
6. წუნდა;
7. წალკა;
8. მანგლისი.

შეიძლება დავასკვნათ – ქ. არტანუჯზე X საუკუნემდეც, შემდგომაც და კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვითაც, გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც არტანუჯს აკავშირებდა იბერიასთან, არმენიასთან და სირიასთან, ხოლო, თავის მხრივ, არტანუჯი აღნიშნული ჭოროხისპირა გზით (და თვით ჭოროხით) უერთდებოდა შავი ზღვისპირა სავაჭრო პორტებს. აი, ამ საერთაშორისო სავაჭრო გზაზე მდებარეობდა ლაზიკა, რომლითაც ისარგებლა სპარსეთის შაჰმა ხოსრომ ლაზიკისათვის ომისას მე-6 ს-ში.

ლაზიკის ზღვისპირა სანაპირო ხაზის სიგრძე

ლაზიკის ზღვისპირა სანაპირო ხაზის სიგრძე მოქცეული იყო პეტრასა და აფსილიას შორის, რომელნიც ლაზიკის სამხრეთ და ჩრდილოეთ ზღვისპირთან მდებარეობდნენ, პეტრა ლაზიკასა და ბიზანტიას შორის საზღვარზე იდგა ლაზიკაში,

პეტრა მდებარეობდა ლაზიკასა და ევქსინის პონტოს პროვინციათა შორის, ზედ საზღვარზე. პეტრადან ბიზანტიურ ქალაქ აფსარუნტამდე ერთი დღის გზა ანუ 28-30 კმ იყო. პეტრადან ლაზიკის სანაპირო ხაზის სიგრძე იყო 550 სტადიონი ანუ დაახლოებით 100 კილომეტრი.

პროკოფი წერს – „От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, пути один день. Упираясь в эти места, Понт образует береговую линию в виде полумесяца. Длина пути при переезде по этому заливу – полумесяцу составляет приблизительно пятьсот пятьдесят (550) стадий, а все, что лежит за этой береговой линией, является уже страной лазов и носит название Лазики“ (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

პეტრადან ლაზიკის სანაპიროს ხაზის სიგრძე 550 სტადიონი ანუ დაახლოებით 100 კილომეტრი ყოფილა (თუ ერთ სტადიონად ვიანგარიშებთ 178 მეტრს, როგორც ეს მიღებულია, მივიღებთ 97900 მეტრს, ანუ დაახლოებით 100 კილომეტრს).

• стадий (др.-греч. στάδιον) 1. аттический 2. олимпийский 3. эллинистический	• 178,6 м 1. 177,6 м 2. 192,27 м 3. 185 м
• стадий (лат. stadIum)	• 185 м

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D1%8B_%D0%B8%D0%B7%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F#.D0.9C.D0.B5.D1.80.D1.8B_.D0.B4.D0.BB.D0.B8.D0.BD.D1.8B

თუ ძველი პეტრადან – ამჟამინდელი ხოფადან გადავთვლით 100 კილომეტრს, მივალთ მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს მხარეს, რაც აჩვენებს, რომ ლაზიკა მდინარე რიონის დასავლეთ სანაპიროს მხარეს მდებარეობდა ხოფამდე.

ხოფას, ქართულ წყაროთა ცნობით ხუფათი ერქვა. რიონსა და ხუფათს (ხოფას, ძველი პეტრას) შუა მოქცეულ მიწა-წყალზე მთავარი მდინარე ჭოროხი – ძველი ფაზისია.

მაშასადამე, ლაზიკის ზღვისპირა სანაპირო ხაზის სიგრძე იყო დაახლოებით 100 კმ.

კოლხიდისა და ლაზიკის ქალაქები

1. პეტრა

ქ. პეტრა იუსტინიანემ გადააქცია ციხე-ქალაქად, იგივე სახელი პეტრა ერქვა ასევე ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრას ქ. ბაიბურდთან ახლოს, კლდოვან ადგილას.

პროკოფი კესარიელი წერდა, რომ ევქსინის პონტოდ წოდებულ რომაულ პროვინციასა და კოლხიდას შორის ზედ საზღვარზე, უმნიშვნელო ადგილას მდებარე ზღვისპირა ქალაქი პეტრა იუსტინიანემ გადააქცია კედლით შემოსაზღვრულ მნიშვნელოვან სიმაგრედ.

პროკოფი წერს – „Есть в Колхиде приморский город Пéтра у так называемого Понта Эвксинского. Ранее это было ничтожное местечко; василевс Юстиниан укрепил его стеной, другим снаряжением и вообще сделал его видным (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3-17).

ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მე-5-მე-6 საუკუნეებში დადებული ზავი ხშირად ირღვეოდა. სპარსეთის შაჰ ხოსროს აზრით, ზავის მიხედვით, მიწაწყალი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში (მათ შორის – შემდგომი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია რომაულ პროვინცია პონტომდე (პეტრამდე) სპარსეთის ეკუთვნოდა, ამიტომაც პეტრაში იუსტინიანეს მშენებლობები მან ზავის დარღვევად მიიჩნია. ხოსრომ ჩათვალა, რომ პეტრა მიიტაცა იუსტინიანემ – Хосров, узнав, что здесь находится римское войско во главе с Иоанном, послал войско и стратига Аниаведа с тем, чтобы они взяли их при первом же натиске (იქვე, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3-17).

პეტრა მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ამ ზღვისპირა ციხესთან გამავალი საერთაშორისო გზა ფაზისის ხეობის გავლით ზღვისპირა პორტებს აერთებდა პერსარმენიასთან და, შესაბამისად, სპარსეთთან. ამ გზის ფლობას ძალზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე იმპერიისათვის – სპარსეთისა და ბიზანტიისათვის.

პეტრა იყო მიუდგომელი – „Город Пéтра недоступен частью из-за моря, частью из-за обрывистых скал, которые возвышаются здесь повсюду. Из-за этого он и получил свое название{342}. (28) Имущество Иоанна, которое было довольно большим, он по обнаружении забрал, ни у кого же другого ни он, ни кто-либо из персов ничего не взяли. Римляне, сохранив, что у них было, присоединились к мидийскому войску (იქვე, გვ. 18-28).

პეტრასთან გადიოდა რომაელთა ქვეყნის საზღვარი –

„К югу от города Петры сразу же находятся границы римлян. Здесь расположены весьма многолюдные места: так называемый Ризей, Афины и многие другие вплоть до Трапезунда. (23) Когда лазы вели Хосрова, они, перейдя реку Воа и имея по правую сторону Фасис, подошли таким образом к Петре, поступая так якобы из опасения, что придется переходить реку Фасис с большим трудом и огромной тратой времени, на самом же деле – из-за нежелания показывать персам свои жилища (იქვე).

გ. გრიგოლიას კვლევით, პეტრა ერქვა არა ციხისძირს, არამედ ხოფას (ხუფათს) (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994წ., გვ. 96).

გ. გრიგოლია წერს, რომ „პეტრას კათედრა პირველად ს. ყაუხჩიშვილმა დაუკავშირა პეტრას ციხე-ქალაქს“ (იქვე, გვ. 15).

ასეთი დაკავშირება საფუძვლიანი არ იყო, რადგანაც ბიზანტიურ სამყაროში, როგორც წესი, საეპისკოპოსო კათედრები არსდებოდა მხოლოდ ხალხმრავალ, მნიშვნელოვან ქალაქებში (და არა ისეთ ადგილას, სადაც იყო მოსახლეობის სიმცირე).

პეტრას ციხე, თვით პროკოფის ცნობით, იუსტინიანამდე უკაცურ, დაუსახლებელ ქვეყანაში მდებარეობდა (ფასისის მარცხენა დაუსახლებელ სანაპიროზე), აქ ციხე-ქალაქი დააარსა იუსტინიანემ 530-იან წლებში, მაგრამ რამდენიმე წელიწადში თვითონ ბერძნებმა დაანგრიეს, ამიტომაც, ბიზანტიური წესების შესაბამისად, ის არ იყო საეპისკოპოსო კათედრისათვის შესაფერისი ადგილი.

პეტრას ციხესიმაგრე ჩვენ არ უნდა მივიჩნიოთ პეტრას საეპისკოპოსო კათედრად, ნ. ადონცი პეტრას კათედრას ბაიბურდის მთიან რეგიონში ათავსებდა.

წყაროები არ მიუთითებს, რომ პეტრას საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა პეტრას ციხესიმაგრეში, ზღვის პირას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზანტიასა და ლაზიკაშიც მრავალი პეტრა, პეტრონი თუ პეტროღალი არსებობდა.

იუსტინიანეს ნოველაში 535 წელს ნახსენები პეტრა იყო ციხესიმაგრე და არა საეპისკოპოსო ცენტრი (მაშასადამე, პეტრას სიმაგრე სხვაა, ხოლო პეტრას კათედრა სულ სხვაგან). ნ. ადონცის კვლევით პეტრას კათედრა ბაიბურდთან, მთიან და კლდოვან რეგიონში მდებარეობდა.

ხოფასთან და ბიზანტია-ლაზიკის საზღვართან დაკავშირებით გ. გრიგოლია აღნიშნავს, რომ II საუკუნეში რომის იმპერიამ ლაზიკას ჩამოაჭრა ტერიტორია სამხრეთიდან და ის შეიყვანა კაბადოკიის პონტოს შემადგენლობაში – (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 130). შემდეგ საუკუნეებში კიდევ უფრო შემცირებულა ლაზიკის ტერიტორია.

დანიელ მესვეტის ცხოვრების მიხედვით, V საუკუნეში, საზღვრად იმპერატორ ლეონ I-ის (457-474) დროს ბიზანტიასა და ლაზიკას („მეგრელთა აფხაზეთის სამეფოს“) შორის ციხე ხუფათი იყო დადგენილი (მეფე გუბაზ I-ის დროს) (იქვე, გვ. 138).

ხუფათი დღევანდელი ხოფაა, მაშასადამე, აქ გადიოდა საზღვარი ლაზიკასა და ბიზანტიას შორის მე-5 საუკუნეში (იქვე, გვ.138).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, სწორედ ხუფათში აუშენებიათ ბიზანტიელებს (VI საუკუნეში) ქ. პეტრა.

ციხესიმაგრე პეტრა ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთის კარი ყოფილა (იქვე, გვ. 25).

პეტრა, პროკოფი კესარიელის ცნობით, მდებარეობდა საშინელ კლდოვან-ქარაფოვან ადგილას, ამიტომაც გ. გრიგოლია მიიჩნევს, რომ პეტრა არ

არის ციხისძირი, მისი აზრით, როგორც ითქვა, პეტრა-ხოფა – ძველი ხუფათია, რომლის კლდეები ერთგვარი გეოგრაფიული საზღვარია ტრაპეზუნტიდან დასავლეთ საქართველოსაკენ მიმართულ დადაბლებული არესაკენ. ამიტომაც ამ ბუნებრივ ჩამკეტ საზღვართან იჯდა იოანე-ციბე – სავაჭრო მონოპოლისტი, რომელმაც პეტრას მეშვეობით ხელში ჩაიგდო მთელი ჭოროხის ხეობის (იმჟამინდელი ლაზიკის) მონოპოლია.

გ. გრიგოლიას დასკვნით, პეტრას ომები იმართებოდა არა ყვირილა-რიონის, არამედ ჭოროხის ხეობაში, ხუფათთან (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 56).

პეტრასთან იწყებოდა ბიზანტია-სპარსეთის დამაკავშირებელი საერთაშორისო გზა ჭოროხის ხეობის გავლით.

ამ გზასთან დაკავშირებით გ. გრიგოლია იმოწმებს ახ.წ. V ს. ავტორს პრისკე პანიონელს და ასკვნის, რომ სომხეთსა და ლაზიკას შორის უფრო ადრეც არსებობდა უმოკლესი გზა (იქვე, გვ. 126).

პრისკე პანიონელი თავის ისტორიაში, 433-474 წლების ამბების აღწერისას, შეეხო რომაელების უშედეგო ლაშქრობას ლაზიკაში, მათ უკან დაბრუნებისას გადაწყვიტეს დაეგეგმათ ლაზიკაზე ახალი თავდასხმა – „ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის გზით დაეწყოთ ომი, ზღვით კი შეუძლებელი იყო ცურვა, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო და ძნელსავალი ადგილები ჰქონდა მისადგომად (იქვე, გვ. 127).

პრისკე პანიონელის ცნობათა ანალიზის შედეგად გ. გრიგოლიამ დაასკვნა: 1) კოლხეთი (ლაზიკა) „უმოკლესი გზით“ უერთდებოდა არმენიას. 2) ლაზიკა და არმენია მეზობლები იყვნენ, საერთო საზღვარი ჰქონდათ, 3) კოლხეთის ზღვისპირი იყო კლდოვან-ქარაფოვანი.

გ. გრიგოლიას დასკვნით კოლხეთის ქვეშ პრისკე პანიონელი არ გულისხმობს თანამედროვე დასავლეთ საქართველოს.

პრისკე პანიონელის მიერ ნახსენები კოლხიდის, ე.წ. „არმენიის გზა“ უნდა იყოს ართვინ-არტანუჯ-არტაანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც არტაანიდან უშუალოდ შედიოდა სომხეთში და მიემართებოდა დვინისაკენ. მის ერთ მონაკვეთს ქართულ წყაროებში „გზა კლარჯეთისა“ ერქვა. ესაა დვინი – ართვინის დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალი (იქვე, გვ. 127). ეს გზა ბიზანტიურ სამყაროს აერთებდა სპარსულთან.

გზა იწყებოდა ხოფა-ხუფათში, რომელსაც გ. გრიგოლია პეტრად მიიჩნევს.

გ. გრიგოლია წერს – „ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას სოფ. ფორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელიდან მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ტოტი ყარს, სომხეთისაკენ მიემართება, ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო ანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ. როგორც პროკოფის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჭოროხის ზემო წელი) „...და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ“. სპარსელებს ჭოროხი უნდა გადაელახათ ართვინის ზემოთ, 10-15 კმ მოშორებით, იქ სადაც იმერხევისა და ჭოროხის შესართავია. შემდეგ ფასისის მარცხენა ნაპირით ქვემოთ ეშვებიან ფორჩხამდე და აქედან, უმოკლესი გზით,

უღელტეხილის გადავლითა და მდ. ხოფას ხეობით, მიდიან პეტრაში. ჩანს, რომ იგივე გზა გაიარეს ლაზიკაში მეორედ შემოსულმა სპარსელებმა, ამჟამად უკვე მერმეროეს მთავარსარდლობით რომ მიემართებოდნენ რომაელების მიერ ალყაშემორტყმული პეტრას დასახმარებლად. პროკოფის ცნობით, „იმან (მერმეროემ – გ. გ.) არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა“, და ისე იარა პეტრამდე, რომ „ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭოროხის სახით გაგვაჩნია ის მყარი, საიმედო ნიშანსვეტი, რომელიც საძიებო ქალაქ პეტრას არსებობას ხოფას სანახებში მიგვითითებს“ – წერს გ.გრიგოლია (იქვე).

მაშასადამე, გ. გრიგოლიას დასკვნით, პეტრა თანამედროვე ხოფაა.

2. ტრაპეზუნტი, ისულმენი, კენე პარამბოლე, სებასტოპოლი

გ. გრიგოლია იხილავს ცნობილ NotItIa DIgnItatum-ს, რომელსაც ქართულად ეწოდება – „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“ (გ. გრიგოლია – „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, გვ. 120). ეს არის V საუკუნის ძეგლი, რომლის მიხედვითაც „არმენიის სარდალს ექვემდებარება პონტოს სასაზღვრო ხაზი – ტრაპეზუნტი და პითია, ისულმენი, კენე პარამბოლე, სებასტოპოლი, ზიგანა, მოხორა“.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით არმენიის სარდალს ექვემდებარებოდა არა აფხაზეთის სებასტოპოლისი, პითია და ზიგანა, არამედ ტრაპეზუნტის ოლქისა.

გ. გრიგოლია იმოწმებს ნ. ადონცს, პ. ინგოროყვას, ვ. ლექვინაძეს, ნ. ლომოურს და ასკვნის, რომ ნოტიციის 11 პუნქტიდან ათი მდებარეობდა არა თანამედროვე დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტთან. კერძოდ, ტრაპეზუნტსა და სატალას შუა მდებარეობდნენ ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავიძა, ხოლო ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით ჭოროხის შესართავამდე – ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი), ვალენტია (აფსაროსი), ხოლო მეთერთმეტე – სებასტოპოლისი კი, მისი აზრით, არის ციხისძირი (იქვე, გვ. 123).

„ამრიგად, არმენიის სამთავარსარდლოში ნოტიციის მიხედვით დასახელებული 11 პუნქტიდან ხუთი – ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავაძა – თავსდებიან ტრაპიზონის სამხრეთით, ტრაპიზონსა და სატალას შორის. დანარჩენი ხუთი – ტრაპიზონი, ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი) და ვალენტია (აფსაროსი) – ტრაპიზონიდან ჩრდილოეთით – სამხრეთ შავი ზღვისპირზე (იქვე).

გ. გრიგოლიას დასკვნები ცვლის ამჟამად არსებულ წარმოდგენებს დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ, ისინი ძალზე მნიშვნელოვანია ეკლესიის ისტორიისათვის, ეწინააღმდეგება XX ს-ში ჩვენში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ კონსტანტინოპოლის ფასისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები, თითქოსდა, დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა.

გ. გრიგოლიას დასკვნით ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისი ეყრდნობა პროკოფი კესარიელისა და სხვა ძველი ავტორების ცნობებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და არ შეეფარდება სინამდვილეს. ამით გ. გრიგოლიას თვალსაზრისი ეთანადება ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც საერთოდ არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობას, ნ. ადონცი ლაზიკის საეპისკოპოსოების მდებარეობას ტრაპეზუნტისაკენ მიუთითებდა.

გ. გრიგოლია ეთანხმება პტოლემაოსს, რომ სებასტოპოლისი იყო აფსაროსსა და ფაზისს (ჭოროხს) შუა და ამავე აზრისა იყო პ. ინგოროყვაც (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 96).

3. პითია-პიტიუსი (პიტიუნტი)

გ. გრიგოლია ეთანხმება პ. ინგოროყვას, რომ პითია-პიტიუნტი რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სინამდვილეში მდებარეობდა რიზესთან (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 89).

V ს. ძეგლის ნოტიცია დიგნიტატუმის მიხედვით – „არმენიის სარდალს ექვემდებარება პონტოს სასაზღვრო ხაზი – ტრაპეზუნტი, პითია, ისულმენი, კენიე პარამბოლე, სებასტოპოლისი და სხვა“ (იქვე, გვ.120).

თუ პითია ბიჭვინთაა, ხოლო სებასტოპოლისი – ცხუმი (როგორც ამჟამად მიიჩნევა) – მაშინ ისინი (ბიჭვინთა და სოხუმი) არმენიაში ყოფილან მოქცეულნი ამ წყაროს მიხედვით.

გ. გრიგოლიას მიაჩნია, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის პიტიუნტი – ბიჭვინთა აღარ წარმოადგენდა სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს (არქეოლოგიური მასალების მოწმობით, იქ, სადაც იყო გარნიზონის მთავარი სადგომი, IV ს-ში გაუმართავთ კერამიკული ქურა). ამის გამო გ. ლორთქიფანიძე საერთოდ გამორიცხავს V საუკუნეში ბიჭვინთაში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას (გვ. 121).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით IV-V სს-ში დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იდგა ბიზანტიური გარნიზონები (გვ. 122).

გ. გრიგოლია იმოწმებს ნ. ადონცს, რომ ნოტიციის შედგენისას აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი არ ეკუთვნოდათ რომაელებს, საერთოდ სხვაა აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი და სხვა, ნოტაციას პითია და სებასტოპოლისი – (იქვე).

სად მდებარეობდა პითია-პიტიუსა-პიტიუნტი?

გ. გრიგოლია წერს: „დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 253) ვარაუდი პითიას შესახებ, რომ პტოლემაიოსის მიხედვით პითია მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა და ერქვა პიტიუსა (პიტიუსი) – იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს – (იქვე).

„ამ ვარაუდის სისწორეს მხარს უბამს IV ს. ავტორის ამიანე მარცელინეს ცნობა: ტრაპეზუნტის გვერდით არსებობს სახელოვანი ქ. პიტიუნტი“ – (იქვე, გვ. 123).

მაშასადამე, ამ ლაზიკის პიტიუნტიდან იყვნენ მიწვეულნი ეპისკოპოსები I მსოფლიო კრებაზე და არა აფხაზეთიდან, ბიჭვინთის საეკლესიო სიდიადე მხოლოდ ქართულ ეკლესიასთანაა დაკავშირებული და არა ბერძნულთან.

ამრიგად, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში, ლაზიკის ახლოს, ტრაპეზუნტის მიმართულებით პონტოს ოლქში. მაშასადამე, ბიჭვინთა არ არის პიტიუნი, რაც შეეხება ბიჭვინთას ის არის ქართული ეკლესიის შრომის ნაყოფი, აქ 1000 წელი ქართულ ენაზე იყო წირვა-ლოცვა – მე-10 საუკუნიდან.

4. ზიგანა, მოხორა, არდასი

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მე-7-მე-10 საუკუნეების სამიტროპოლიტოთა ნუსხებში (ე.წ. ნოტიციებში) მოხსენიებულია ლაზიკაში ფასიდის სამიტროპოლიტოს ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრები.

ლაზიკის, პონტოსა და არმენიის ისტორიული გეოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა, სახელოვანმა მეცნიერმა ნ.ადონციმ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაადგინა, რომ ისინი მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონის ლაზიკაში, იგივე ჭანეთში, სადაც ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – ქალდეას თემი (ფემა) ჩამოყალიბდა (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 97-104). სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა საქართველოში იმავე საუკუნის 30-იან წლებში. ამ მეორე თვალსაზრისის მიხედვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეს კათედრები დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე და შემდეგ ისინი თითქოსდა საქართველოს ეკლესიის საეპისკოპოსო კათედრებმა ჩაანაცვლა. ეს თვალსაზრისი გავრცელებულია.

გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს, რომ ნოტიციის ზიგანა, რომელსაც ზიგანევს უწოდებს ს. ყაუხჩიშვილი, მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ტრაპეზუნტიდან არდასაში მიმავალ გზაზე (ზიგანას უღელტეხილის (6640 ფუტი) სამხრეთ გვერდზე მდებარე თანამედროვე ზიგანას მახლობლად, გუმუშხანესთან ახლოს) (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 122).

ხოლო მოხორა – ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც (იქვე, ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 100).

გ. გრიგოლიას აზრით, ზიგანა და მოხორა ისტორიულ ჭანეთშია (გ. გრიგოლია, გვ. 122) და არა დასავლეთ საქართველოში.

კერძოდ, თუკი ზიგანა, რომელზეც წერენ ძველი ავტორები, მდებარეობდა ტრაპეზუნტთან, ზიგანას („ზიგანევის“) საეპისკოპოსოც იქვე იყო და არა დასავლეთ საქართველოში.

გ. გრიგოლია არ ეთანხმება დღემდე არსებულ, ძირითადად ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ ზიგანა (ზიგანეოსი), პიტია, სებასტოპოლისი და სხვა პუნქტები მდებარეობდა ცხუმთან, მოხორა – ქუთაისთან.

გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს (ნ.ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 100), რომ ნოტიციის ზიგანა ტრაპეზუნტიდან არდასში მიმავალ გზაზეა, ზიგანას

უღელტეხილთან (6640 ფუტ სიმაღლეზე), რომელსაც დღესაც ასე ეწოდება. ხოლო მოხორა – ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 31, გვ. 122).

მისი აზრით, ზიგანას საეპისკოპოსო, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი ზიგანევისას უწოდებს, მდებარეობდა არა ცხუმთან (გუდაყვაში), როგორც მიჩნეულია ს. ყაუხჩიშვილის შემდეგ, არამედ ტრაპეზუნტთან.

გ. გრიგოლია არ ეთანხმება ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ მაგალითად, ზიგანა იყო – გუდაყვა, პითია – ბიჭვინთა, სებასტოპოლისი და დიოსკურია – ცხუმი, მოხორა კი – მუხურისი.

თურქეთის ქალაქ გუმუშხანეს ტურისტული ბუკლეტების მიხედვით, შთამბეჭდავი კათედრალები, საეპისკოპოსო ეკლესიები დღესაც დგას ზიგანას უღელტეხილის რეგიონში, მათ ამჟამადაც ასევე უწოდებენ კიდეც „სამიტროპოლიტო კათედრებს“ (ასეთი სულ ორია) და დღესაც იქ ტურისტული მარშრუტები გადის.

ზიგანას უღელტეხილი ისტორიულ კოლხიდაში, ლაზიკაში მდებარეობდა, ტრაპეზუნტიდან 70 კმ დაშორებით

5. აფსარუ – აფსაროსი (აფსარუნტი)

პროკოფი აფსარუს არქაბესთან ათავსებდა.

გ. გრიგოლია იმოწმებს პროკოფის ცნობას, რომ „აფსარუ“ მდებარეობდა ათინასთან, ხოლო აფსარუს (აფსაროსის) გვერდით არქაბი მდებარეობდა.

არქაბი დღესაც ეწოდება პუნქტს რიზესთან.

პროკოფი რიზეს ტრაპეზუნტის ოლქის საზღვართან ათავსებს – „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსარმენამდე და რიზემდე, რომელიც ორი დღის საზღვაო გზითაა დაშორებული ტრაპეზუნტს... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომლებიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობენ. იქ მდებარეობს ათინა, არქაბე და აფსარუ (სამი დღის გზითაა დაშორებული რიზეს), ის ძველად აფსურტად იწოდებოდა“ (გეორგიკა, II, გვ. 121-123, იქვე, გვ. 58).

მაშასადამე, ცნობილი აფსაროსი არქაბესთან და რიზესთანაა საძებნი.

გარდა ამისა, ცნობილია, თუ რა მანძილით იყო ერთმანეთს დაშორებული ქალაქი აფსაროსი (აფსარუნტი, აფსარუ) ქალაქ პეტრას, კერძოდ, აფსაროს-აფსარუნტიდან ვიდრე პეტრამდე იყო ერთი დღის გზა.

ამის შესახებ პროკოფი წერს – От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, пути один день. Упираясь в эти места. Понт образует береговую линию в виде полумесяца. Длина пути при переезде по этому заливу – полумесяцу составляет приблизительно пятьсот пятьдесят стадий, а все, что лежит за этой береговой линией, является уже страной лазов и носит название Лазики. За этими местами внутри страны лежат области Скимния и Суания. Живущие здесь племена являются подчиненными лазам.

ამ ანგარიშით, რადგანაც პეტრად მიიჩნევა ხოფა, თანამედროვე თურქეთში, ხოლო აფსარუნტი პეტრადან ერთი დღის გზა ანუ დაახლოებით 30 კმ იყო, ამიტომაც აფსარუნტი უნდა ვეძიოთ ხოფადან ახლოს ტრაპეზუნტის

მიმართულებით. ხოფადან დაახლოებით 30 კილომეტრში მდებარეობს ცნობილი პუნქტები ათინა და არდაშენი. აფსარუნტი აქ უნდა ყოფილიყო ზღვის პირას. პროკოფი გარკვევით წერს, რომ აფსარუნტი არ ეკუთვნოდა ლაზიკას, ის პონტოს ბიზანტიურ ნაწილში შედიოდა,ხოლო პეტრა იყო ლაზიკის პირველი ქალაქი, მდებარე ზედა საზღვარზე ბიზანტიასა და ლაზიკას შორის.

ბიზანტიურ წყაროებში პიტიას ასევე ეწოდება პიტიუსი და პიტიუნტი, მსგავსადვე სინონიმებს წარმოადგენდა ერთი და იგივე პუნქტის აფსაროსის, აფსარუნტისა და აფსარუს სახელები. მაგალითად, შევადაროთ სახელები: პიტია – აფსარუ; პიტიუსი – აფსაროსი; პიტიუნტი, – აფსარუნტი.

როგორც ერთი პუნქტი იყო პიტია-პიტიუსი-პიტიუნტი, ასევე ერთი პუნქტი იყო აფსარუ-აფსაროსი-აფსარუნტი.

6. ფასისი-სებასტოპოლისი

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, კასტორიუსის რუკის ანუ ტაბულა პევტენგერიანას მიხედვით (სეგმენტი XI-XII) მნიშვნელოვანი გზა სომხეთის ძველ დედაქალაქ არტაშატიდან მიემართებოდა სებასტოპოლისაკენ.

ი. მანანდიანის მიხედვით, ეს გზა გაივლიდა ფარავნის ტბასთან სოფელ ფოკას (პაგას), აქედან აბულის მთას (აპულუმ), სოფ. ხოსპიოს (ჩასპია), შემდეგ უცნობ პუნქტ „ად მერცურიუმ“-ს, შემდეგ „ად ფონტენ ფელიცემ“-ს და შედიოდა სებასტოპოლისში (გ. გრიგოლია, „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, 1994, გვ. 106).

დაშორება ასეთი იყო: ად ფონტენ ფელიცემიდან სებასტოპოლისამდე იყო 90 კმ ანუ 60 რომაული მილი (იქვე).

ჩვენი ქართველი ისტორიკოსების მითითებით ად ფონტენ ფელიცემ – არის ვარციხე (როდოპოლისი), მაგრამ ვარციხე სებასტოპოლისად მიჩნეულ ცხუმს არა 90 კმ-ით, არამედ სამჯერ მეტი მანძილით 165 კმ არის დაშორებული! – წერს გ. გრიგოლია.

ე.ი. ვარციხის განსაზღვრება არასწორია – აქედან გამოსავალს ი. მანანდიანი ხედავს იმით, რომ ემხრობა პროფ. ერემიანის აზრს (კიპერტზე დაყრდნობით) – „ქ. ფასისი ტრაიანეს დროიდან (98-117) სებასტოპოლისად იწოდება“ – (იქვე, გვ. 107).

ზოსიმეს ცნობით (გეორგიკა I) იმპერიის საზღვარი აღწევდა მდ. ფასისამდე, აქვე, მახლობლად მდებარეობდა გ. გრიგოლიას თვალსაზრისით სებასტოპოლისი. ფასისი – სებასტოპოლისია (ერემიანი) – (იქვე, გვ. 107).

ჩვენი კვლევით, აღნიშნული ბიზანტიელი ავტორები მდ.ფაზისად ჭოროხს მოიაზრებდნენ, ამიტომაც ქ. ფაზისი უნდა ვეძიოთ ჭოროხის შესართავთან ზღვისპირას, მის დასავლეთ სანაპიროზე, იქ სადაც ამჟამად მდებარეობს გონიოს ცნობილი და შთამბეჭდავი რომაული ციხესიმაგრე. სტრაბონის ცნობით, ქ. ფაზისს დასავლეთის მხრიდან ზღვა ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთიდან – მდ. ფაზისი, ხოლო სამხრეთიდან – ტბა. მართალია, მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ქ. ფოთს, მაგრამ რუსი მკვლევრის ვეიდენბაუმის ცნობით, რომელიც ამ ადგილებს სახელმწიფოს დავალებით საგანგებოდ იკვლევდა მე-19 საუკუნეში, მდ. ჭოროხის შესართავთან, ზღვის

პირას, მის მარცხენა სანაპიროზე პატარა ტბები იყო (გონიოსა და ჭოროხს შუა). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ, ტბასა და ჭოროხს შუა მოქცეული იყო ქ. ფაზისი, რომლისგანაც საბოლოოდ გონიოს რომაული, გრანდიოზული ციხესიმაგრე დარჩა. აღსანიშნავია, გადმოცემით ქ. ფაზისის ძიებას ცნობილი შლიმანი ჭოროხის შესართავთან აპირებდა.

ამ ფაზისს სახელი შეცვლია და მას სებასტოპოლისი უწოდეს („ქ. ფასისი ტრაიანეს დროიდან (98-117) სებასტოპოლისად იწოდება“ – (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 107).

აღსანიშნავია, რომ პიტიუნტი ასევე დაერქვა ფაზისთან ახლოს მდებარე პუნქტსაც. შესაძლოა, ქობულეთის ფიჭვნარს ეწოდა პიტიუნტი, ანუ სახელ „ფიჭვნარის“ ბერძნული თარგმანი, ალბათ, ფიჭვნარი ჭოროხთან უფრო ახლოს მდებარეობდა. ამჟამადაც ამ არეალზე ფიჭვის ხის დიდი კორომებია. იქვე, ქობულეთთან, უნდა ვეძიოთ არქეოპოლისიც, ჩანს, არქეოპოლისი ფიჭვნარის გაგრძელებას წარმოადგენდა.

პროკოფის მიხედვით, სებასტოპოლის-პიტიუნტი ლაზიკაში იყო ფაზისთან ახლოს (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 30). არსებობდა პონტოს რეგიონში მდებარე სხვა პიტიუნტი და ასევე სხვა სებასტოპოლისი.

სებასტოპოლისი იგივე ქალაქი ფაზისია, დღევანდელ გონიოსთან, ჭოროხის მარცხენა მხარეს, სადაც ვეიდენბაუმის აღწერით მე-19 საუკუნეშიც კი პატარა ტბები არსებობდა, შესაბამისად, ის მოქცეული იყო ტბას, ზღვასა და მდინარეს შორის, როგორც ფაზისს ახასიათებს სტრაბონი.

სებასტოპოლისს პიტიუნტთან ახსენებს იუსტინიანე, ოღონდ მას ეს ქალაქები შეჰყავს პოლემონოს პონტოში და არა ლაზიკაში. მისი სიტყვით, ეს პუნქტები არ მდებარეობდა ლაზიკაში, არამედ ლაზიკა პიტიუნტისა და სებასტოპოლისის იქით იყო.

იუსტინიანე წერდა – პოლემონოს პონტოს ქალაქებია – ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონიონი, პიტიუნტი და სებასტოპოლისი – „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელიც ჩვენ ვაქციეთ ქალაქად და დავარქვით ჩვენი სახელი – იუსტინიანე“ (გეორგიკა II, გვ. 33-35).

ე.ი. „ლაზიკე“ მდებარეობდა პიტიუნტ-სებასტოპოლისის შემდეგ, ჯერ არის სებასტოპოლისი და შემდეგ ლაზიკა. „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე“ – წერდა ის. ანუ პიტიუნტი, რომელსაც ახსენებს იუსტინიანე, ხოფასა და რიზეს შორის მდებარეობდა, სხვა პიტიუნტი ფაზისთანაც ყოფილა.

რომის იმპერიასა და ბიზანტიაში ქალაქების სახელების ხშირი ცვლა და მათთვის ახალი სახელების დარქმევა-გადარქმევა უჩვეულო არ ყოფილა. ამის შესახებ იუსტინიანეც მიუთითებს თავის აღნიშნულ ნოველაში, მან სახელი გადაარქვა პეტრას და ახალი სახელი– იუსტინიანე უწოდა, მაშინ, როცა ბიზანტიაში სხვა ქალაქიც იყო ამავე სახელის მქონე. იგივე უნდა ითქვას ფაზისის სახელის მქონე ქალაქების შესახებაც, ასეთი სახელი – „ფაზისი“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ქალაქს უნდა რქმეოდა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სახელი ფაზისი ასევე სხვადასხვა მნიშვნელოვან მდინარეს ერქვა, მაგალითად, არაქს, რომლის სანაპიროზე ახლაცაა ქალაქი ფასინლე-

რი, მდ. კელკიტს, რომლის ზღვასთან შესართავთან ასევე უნდა ყოფილიყო ქალაქი ფაზისი, ამჟამად აქვეა ქალაქი ფატსა, რიონსა და ჭოროხს შორის, რომელთა შესართავებთან ასევე ამავე სახელის მქონე ქალაქების არსებობა ივარაუდება.

როგორც ითქვა, არსებობდა რამდენიმე სებასტოპოლისიც.

კლავდიოს პტოლემაიოსის წიგნში – „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, წიგნი V, თავი VI – ჩამოთვლილია კაბადოკიის ადგილები, კერძოდ, მდ. აფსაროსისა და მისი შენაკადი ლიკოსის შემდეგ დასახელებულია სებასტოპოლისი. ის დასახელებულია ქალაქების ჩამონათვალთა ბოლოში – ის, ჩანს ითვლება კაბადოკიის უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად – (გ. გრიგოლია, იქვე, გვ. 128).

ცხუმის სებასტოპოლისი შეუძლებელია ყოფილიყო კაბადოკიის სასაზღვრო პუნქტი.

პტოლემაიოსის მიხედვით მდ. აფსაროსი არაა მდ. ფაზისი, თუმცა ორივეს ერთი და იგივე დასახელების შენაკადი აქვს, ის აფსაროსსა და ფასისს შორის ათავსებს ქ. სებასტოპოლისს (იქვე, გვ. 141).

სებასტოპოლისი, პტოლემაიოსის მიხედვით, მდებარეობდა კოლხეთის სამხრეთით. კოლხეთი მდებარეობდა კაბადოკიის შემდეგ, იწყებოდა დიოსკურია-სებასტოპოლისით და მთავრდებოდა მდ. ფასისით. ჩრდილოეთიდან „კოლხეთი მთავრდება ფაზისით“, „სამხრეთიდან ესაზღვრება კაბადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი“ (იქვე, გვ. 128).

7. ნოქალაქევი, ფოთი

გ. გრიგოლიას სიტყვით, კასტორიუსის რუკის ანუ ტაბულა პევტენგერიანას მიხედვით (სეგმენტი XI-XII) მნიშვნელოვანი გზა – მაგისტრალი, – არ შედიოდა ნოქალაქევში, გავრცელებული მოსაზრებით, რუკის შედგენის დროს (III-IV ს-ში), ნოქალაქევი „ლაზიკის დედაქალაქი“ იყო.

გ. გრიგოლიას აზრით „ძნელი წარმოსადგენია, რომ გზას გვერდი აევლო დედაქალაქისათვის, ანდა კასტორიუსს იგი გამორჩენოდა“ (გ. გრიგოლია, „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, 1994, გვ. 108).

გ. გრიგოლიას თქმით რუკაზე ფოთშიც არ შედის გზა და ასევე გზაზე არ ჩანს კუტაია – ქუთაისი – (იქვე, გვ. 109).

აღნიშნულიდან გამომდინარე – ტაბულა პევტენგერიანას რუკის გზები ასახავს არა დასავლეთ საქართველოს მონაკვეთს, არამედ უფრო სამხრეთით გამავალ გზას, შესაძლოა, არტაშატიდან – ჭოროხის შესართავის ოლქამდე, სადაც უნდა ვეძიოთ არქეოპოლისი, კუტაია და სხვა ქალაქები.

გ. გრიგოლია წერს, რომ ტაბულა-პევტენგერიანას გზა შედიოდა სებასტოპოლისში – (იქვე, გვ. 113).

რადგანაც კასტორიუსის რუკაზე გზა არ შედის ნოქალაქევში, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს თვალსაზრისს, რომ სებასტოპოლისი და არქეოპოლისი – ლაზიკის დედაქალაქი სხვაგანაა საძებნი.

კასტორიუსის რუკაზე ეს გზა არც თანამედროვე ქუთაისში შედის, ესეც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ქართლის ცხოვრების მიხედვით ქუთაისი და

ციხეგოჯი მუდამ ქართლის სამეფოსთან, ანუ ისტორიულ ზოგადქართულ სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული და არა ბერძნულ-ბიზანტიურთან.

ისინი მუდამ ქართლის სამეფოში შედიოდა, ლაზიკა კი ბიზანტიის ხელდებული ქვეყანა იყო, თუმცა ქართველი ხალხით დასახლებული. ამიტომაც სხვაა ქართლის ქალაქები და სხვა ბიზანტიური ლაზიკისა, მაგრამ რადგანაც ისინი ერთი ხალხითაა დასახლებული, ამიტომაც ამ ტერიტორიებზე ერთნაირი სახელის მქონე მრავალი პუნქტი არსებობდა.

8. არქეოპოლისი

არქეოპოლისი უნდა იყოს ქობულეთის რეგიონის პუნქტი ფიჭვნარი (ან მისი უშუალო გაგრძელება ქობულეთის მიმართულებით), რომლის მდიდარი არქეოლოგიაც ადასტურებს ამ ვარაუდს. არქეოპოლისიდან ერთი დღის გზით, ანუ 32 კილომეტრით იყო დაშორებული კუტაია. ამ მანძილითაა ხელვაჩაურ ლიგანის უხვმოსავლიან რეგიონში მდებარე ცნობილი სოფელი მარადიდი, რომლის ერთ-ერთ უბანს, „ტბეთის სულთა მატიანეს“ მიხედვით, იგივე სახელი – „ქუთურეთი“ ერქვა. შესაძლოა, კუტაია – ქუთათისი აქ, ჭოროხის ხეობაში მდებარეობდა.

მართლაც, პროკოფის აღწერიდან ჩანს, რომ ხოსროს ჯარი ისე შევიდა ლაზიკაში, რომ მათ ფასისი მარჯვენა მხარეს დარჩათ. ამ ადგილას პროკოფი მდ. ფასისში მდინარე ჭოროხს გულისხმობს და იქვე ასახელებს მეორე მდინარეს – რეონს. პროკოფი წერს: „მდინარე ფასისის იქეთა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ. ის გავიდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხეთში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფასისზე გადასვლა ფონით შეიძლებოდა. ეს მდინარე, ასევე მეორე მდინარეც ფეხით გადალახა, სახელად რეონი (არც ეს არის სანაოსნო) და ფასისის მარჯვენა მხარეზე რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის – არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი ქალაქი ლაზიკის ქვეყანაში“ (გვ. 182).

ჩანს, რეონი VI ს-ში ასევე ერქვა ჭოროხის შესართავ მდინარეს თანამედროვე სოფელ მარადიდთან ახლოს – მდ. ღრემშიღელეს, იგივე ღრეონს. ამ ადგილიდან არც თუ მოშორებით არსებობდა ძველი ქალაქი არქეოპოლისი, ჩვენი რკვევით, თანამედროვე ფიჭვნარი, ქობულეთთან, სადაც შესაბამისი არტეფაქტები მრავლად აღმოაჩინეს არქეოლოგებმა. ის ჭოროხის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა, რომელზეც პროკოფიც მიუთითებს, რომ მჭიდროდ იყო დასახლებული. მარცხენა მხარე კი დაუსახლებელი იყო.

პროკოფისა და სხვა ავტორების ცნობებით, მდ. ფაზისის მარცხენა მხარე დაუსახლებელი იყო. ჭოროხის მარცხენა სანაპირო, მართლაც დაუსახლებელი იყო, ხოლო რიონის მარცხენა სანაპირო, ისტორიულად, მჭიდროდ იყო დასახლებული, როგორც არქეოლოგია, კერძოდ კი ქობულეთთან ფიჭვნარის გათხრებიც აჩვენებს

„იბერიიდან კოლხეთში გადასასვლელის“ ქვეშ იგულისხმება იბერიის ქ. არტაანიდან არტანუჯთან დამაკავშირებელი გზის უღელტეხილები არსიანის ქედზე, 2600 მ. სიმაღლეზე. ეს გზა იბერიის გავლით პერსარმენიასა და

კოლხეთს (ლაზიკას) ერთმანეთთან აკავშირებდა. ეს იყო ჭოროხის ხეობაზე გამავალი სპარსეთ-ლაზიკის მაკავშირებელი გზა. სპარსულ ჯარს აქ, ჭოროხის ანუ ფაზისის მარცხენა სანაპიროზე შეხვდა მდინარე რეონი.

პროკოფის მიხედვით, სხვადასხვა მდინარეები იყო ფაზისი და რეონი. თუკი ფაზისია დღევანდელი მდინარე რიონი, მაშ რომელია მდ. რეონი?

მდ. რეონი ფაზისის მარცხენა შენაკადი იყო, ყოველ შემთხვევაში, ის ფაზისის მარცხენა მხარეს გაედინებოდა. როგორც აღინიშნა, პროკოფი წერს, რომ სპარსელთა ჯარის მეთაურმა – „ეს მდინარე, ასევე მეორე მდინარეც ფეხით გადალახა, სახელად რეონი (არც ეს არის სანაოსნო) და ფასისის მარჯვენა მხარეზე რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის – არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი ქალაქი ლაზიკის ქვეყანაში“.

რეონი – ფაზისის მარცხენა მხარეს გაედინებოდა, მის მარჯვენა მხარეს კი არქეოპოლისი მდებარეობდა.

თუკი ფაზისია ძირულა-ყვირილა, მაშინ რეონი მის მარცხენა მხარეს უნდა ვეძიოთ, ასეთი მდინარე არ არსებობს. რაჭიდან მომდინარე რიონი ძირულა-ყვირილას არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხრიდან უერთდება, თუკი ფაზისი ჭოროხია, მაშინ რეონი ყოფილა მისი მარცხენა შენაკადი დაახლოებით სოფელ მარადიდთთან, სადაც მართლაც ჭოროხს მდინარე ღრემშილელე (ღრეონი) უერთდება.

მარადიდს ესაზღვრება ხელვაჩაურის რაიონი, რომელსაც ჩვენ მოხირისად მივიჩნევთ. აქ მიედინება მდინარე რეონი. ძველად აქ ვაკეზე ააშენეს ციხესიმაგრე კოტაიონი-კუტაისი, ქუთაისთან ახლოა უფიმერი (უქიმერიონი).

სოფელ მარადიდის ერთ-ერთი უბანს (პირველ ათასწლეულში, ტბეთის სულთა მატიანეს მიხედვით) ერქვა „ქუთურეთი“, იგივეა რაც ქუთაისი – ქუთათისი, ამ სახელებს ერთი ფუძე-ძირი – „ქუთ“ აქვთ, ამ ფუძის სახელის მქონე ქალაქები და პუნქტები მცირე აზიაში, ს.ყაუხჩიშვილის სიტყვით, მრავალი იყო.

აქვე, ქუთაისთან, მდინარისპირა ვაკეზე მდებარეობდა უფიმერის ანუ უქიმერიონის ციხე. ამჟამადაც აჭარული დიალექტით, მდინარისპირა ვაკე (მოვაკებულ, სწორ) ადგილს „მერი“, „მერე“ ეწოდება, ბიზანტიელ მწერალთა ცნობით ეს ციხე, მართლაც, მდინარისპირა ვაკე ადგილას ანუ „მერე ადგილზე“ ყოფილა აგებული. აქედან, სიტყვა „მერე“-დან უნდა იყოს ამ ციხის სახელი – „უქი-მერი“ ანუ „უფიმერი“.

გ. გრიგოლია წერს – „ბოას-ფასისი რომ ნამდვილად მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, როგორც ეს ადრე იყო გაგებული, ამას კიდევ ერთხელ მოწმობს პროკოფი კესარიელის შრომის არაერთი ადგილი. ეს ეხება ლაზებისა და მისი მეზობელი ტომების განსახლებას, ლაზების ქალაქებისა და ციხეების დახასიათებას თუ სპარსეთის ჯარის სალაშქრო მარშრუტების აღწერილობას პეტრასთან დაკავშირებით“ (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 42).

პროკოფის ფასისი რიონი არ არის – წერს გ. გრიგოლია. ის აგრძელებს – საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს განსაკუთრებით აღელვებთ პროკოფის ცნობის ის ადგილი, სადაც საუბარია მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც „მოსახლეობას მოკლებული ჩანს და ამ ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი“. თუ

პროკოფისეული ფასისი თანამედროვე რიონია, საქმე ეხება იმერეთის დიდ ნაწილს, მთელ გურიასა და აჭარას, ე.ი. ისტორიული კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, სადაც, როგორც უკანასკნელი დროის არქეოლოგიური ძიების შედეგები მოწმობენ, აღმოცენდნენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქური ცენტრები: ვანი, დაბლაგომი, ფასისი, ფიჭვნარი და აფსაროსი“ (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 32).

გ. გრიგოლია დაასკვნის – „ერთი სიტყვით პროკოფის ყველა ცნობა, რაც გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგოა რიონ-ფასისთან კავშირში, სავსებით ნათელი და ლოგიკურია ფასის-ჭოროხთან მიმართებაში“ (იქვე, გვ. 53).

შესაბამისად, ჭოროხის ხეობაში უნდა ვეძიოთ ლაზიკის ცნობილი ქალაქები.

მოხერეზისი არქეოპოლიდან ერთი დღის გზაზეა, აქ ბევრი დასახლებაა, კოლხიდაში ყველაზე უკეთესი ადგილია, არის ღვინო და ნაყოფიერია, რაც არსად არ არის დანარჩენ ლაზიკაში, ახლოა სვანეთი და სკიმნია.

პროკოფი წერს – Мохерезис отстоит от Археополя на один день пути. В этой области много многолюдных поселков. Из [63] всех земель Колхиды это самая лучшая. Тут выделывается вино и растет много хороших плодов, чего нет нигде в остальной Лазике. По этой стране протекает река по имени Рион; в древности колхи построили здесь укрепление, большую часть которого впоследствии они сами разрушили до основания, так как оно было расположено на равнине и, по их мнению, давало легкий доступ и возможность его завоевать. На греческом языке в то время это укрепление называлось Котиаион, теперь же лазы называют его Кутаисом, изменяя произношение букв в этом имени вследствие незнания греческого языка. Так передал это Арриан в своей истории {715}. Другие же говорят, что в древности в этих местах был городок и назывался он Койтайос. Отсюда происходил и двинулся походом Ээт, и вследствие этого поэты называют его самого Койтайеем, а колхидскую землю Койтаидой. Очень близко от Кутаиса находится весьма сильное укрепление, называвшееся Уфимерей (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 15).

სვანეთი მე-6-მე-7 სს-ში, როგორც გამოკვლეულია, ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შორის რიონის დაბლობის, უშუალოდ ლაზიკის მომიჯნავე მხარეს.

9. სკანდა და სარაპანისი

სკანდა და სარაპანისი – ლაზური სიმაგრეები, მდებარეობდა იბერიის საზღვართან, ძნელსავალ ადგილებში, ძალზე მაღალმთიანეთში, კლდოვან ადგილზე. ისინი მტრისათვის მიუწვდომელი იყო. ამ ადგილებში არ იზრდებოდა არავითარი საკვები მცენარეულობა და აქ ადამიანებს საკვები პროდუქტი მხრებით აჰქონდათ. ომის დასაწყისში იუსტინიანემ იქიდან გაიყვანა ლაზები და რომაელთა გარნიზონი ჩააყენა, მაგრამ მალევე დაცალეს სურსათ-სანოვაგის არქონის გამო, რადგანაც ვერ შეეგუენ კოლხების მსგავს კვებას ადგილობრივი მარცვლეულით, ხოლო მხრებით შორი გზიდან მოტანილი არ ყოფნიდათ. სპარსელებმა ეს სიმაგრეები აიღეს, ზავის დადებისას ისინი კვლავ რომაელებმა დაიჭირეს ბოლის ციხისა და ფარანგიის სანაცვლოდ. სა-

ბოლოოდ, ლაზებმა ეს სიმაგრეები საფუძვლიანად დაანგრიეს, რათა სპარსელებს მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ. მაგრამ ამ ორი სიმაგრიდან სპარსელებმა ხელახლა ააშენეს სკანდას ციხე და იქ გარნიზონი ჩააყენეს.

პროკოფი წერს – „У лазов возле самых границ Иберии были два укрепления, Сканда и Сарапанис. Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны. В прежнее время лазы с большим трудом охраняли их, потому что в этих местах не растет никаких злаков, и люди доставляли сюда продовольствие, неся его на плечах. В начале этой войны император Юстиниан удалил отсюда лазов и поставил гарнизон из римских воинов. Немного спустя, из-за недостатка продовольствия, они покинули эти крепости, так как питаться, подобно колхам, долгое время местным пшеном, к которому они не привыкли, они совершенно не могли, того же продовольствия, которое приносили им лазы, совершая длинный путь, им совершенно не хватало. Персы захватили эти укрепления и владели ими; во время перемирия римляне вновь получили их в обмен на крепость Бол и Фарангий, как я сообщал об этом в прежних книгах. Лазы уничтожили эти крепости до основания, чтобы персы не могли воспользоваться этими укреплениями против них. Но из этих двух укреплений персы вновь отстроили и заняли гарнизоном то, которое называется Скандой. После этого Мермероес повел войско мидийцев дальше (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 13).

ლაზებმა დაანგრიეს სარაპანისი და სკანდა, სკანდა ხელახლა ააშენეს სპარსელებმა, არ არის საკვები, შორსაა ლაზიკიდან. პროკოფის აღწერით, რადგანაც ისინი იყვნენ – Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны, ამიტომაც ციხეებამდე მიღწევა მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა და აქ მყოფი მეციხოვნეებისათვის საკვები ზურგით აჰქონდათ.

ეს ციხესიმაგრეები იყო მაღალმთიან ალპურ ზონაში, სადაც არ მოდიოდა არავითარი მოსავალი მაღალმთიანობის გამო. მაშასადამე, ისინი ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე უფრო მაღლა მდებარეობდა.

ამჟამად მიჩნეულია, რომ სარაპანა და სკანდა მოიაზრება თანამედროვე იმერეთში, დასვლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონში ზღვის დონიდან 150-200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ადვილად მისასვლელ პუნქტებში შორაპანსა და სკანდეში, რომელთა სახელები მართლაც მსგავსია სარაპანისა და სკანდისა, მაგრამ ისინი სულ სხვა გეოგრაფიულ გარემოში იმყოფებიან, მათ ირგვლივ მდებარე უხვმოსავლიან სუპტროპიკულ რეგიონში კარგად ხარობს არა მხოლოდ ვაზი, არამედ ყოველგვარი ხილი თუ ბოსტნეული. ისინი არც კლდოვან ადგილას და არც მაღალმთიანეთში მდებარეობენ. ამიტომაც წყაროთა ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ და ჩვენს მიერ პირადად ადგილზე ჩატარებული საველე მუშაობის შედეგად მივიჩნიეთ, რომ პროკოფის მიერ ნახსენები სკანდა მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ამჟამინდელ თურქეთში), არსიანის ქედის უღელტეხილთან, ზღვის დონიდან 2600 მეტრ სიმაღლეზე, თანამედროვე სოფელ ბაგდასენთან ახლოს.

აქ ამჟამადაც გადის რეგიონისათვის ძალზე მნიშვნელოვანი გზა, რომელიც ჭოროხის ხეობასა და შავი ზღვისპირეთს თურქეთის მაღალმთიან ოლქებთან (ატდაგანთან და ყარსთან) აკავშირებს.

აქ ძველადაც გადიოდა საერთაშორისი მნიშვნელობის გზა, რომელიც ჭოროხის ხეობის გავლით ზღვისპირა პორტებს აკავშირებდა არტაანის ოლქთან (იბერიასთან), ასევე დვინთან (პერსარმენიასთან) და მისი გავლით სპარსეთთან.

თანამედროვე არტანუჯი არდაგანს (არტაანს) უერთდება საავტომობილო გზით, რომლის შუა მონაკვეთს, არსიანის ქედის გადაკვეთის ადგილს, წარმოადგენს უღელტეხილი იალნიზჩამ ზღვის დონიდან 2657 მეტრ სიმაღლეზე. თვითონ გზა არტანუჯიდან უღელტეხილამდე ფაქტობრივად გადის უზარმაზარი ქედის ძირში, რომლის მწვერვალის სიმაღლე არის 3068 მეტრი ზღვის დონიდან.. აღნიშნულ უღელტეხილს სხვადასხვა რუკაზე ეწოდება „კანდრიდი“, „ქინძოტამალი“, იქვე ახლოსაა მწვერვალი „კანდილის“ სახელწოდებით, ახლოა ნასოფლარი და ნამონასტრალი „კანდრიდი“ და ქინძის ციხე.

ქინძის ციხე, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მდებარეობს არსიანის ქედზე, არტაან-არტანუჯის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს (გზიდან 3-4 კმ-ითაა დაშორებული), სოფელ ქინძოტამალთან ახლოს (ქინძოტამალს თურქულად „ბაგდეჩენ“ ჰქვია). იქვე (ქინძოტამალიდან სამხრეთით 4-5 კმ-ში) მდებარეობს მსგავსი სახელის მქონე სოფელი – კანდრიდი (თურქულადაც ეს სახელი – „კანდრიტი“ ჰქვია, იქვეა ეკლესიის ნანგრევი). ჩვენი თვალსაზრისით, როგორც აღინიშნა, ერთი და იგივე ეტიმოლოგიის სამი პუნქტის ერთმანეთთან, თითქმის, მიჯრით არსებობა (ქინძის ციხე, ქინძოტამალი, კანდრიდი) მიუთითებს, რომ არსიანის ქედის ამ მონაკვეთზე „კანდ“, „ქინდ“ (ქინძ) ფუძის მქონე რაღაც მნიშვნელოვანი პუნქტი არსებობდა. ესაა, ჩვენი აზრით, „სკანდა“ – სახელგანთქმული ლაზური ციხე იბერიის საზღვართან. მისი ნაშთია სახელები – კანდრიტი, ქინძოტამალი და ქინძი (იხ. დიმიტრი დუნდუას 2007 წ. რუკა „შავშეთი“ და თ. ხუციშვილის 2004 წ. რუკა ტაო-კლარჯეთი).

როგორც ვიცით, სკანდას ციხესთან ახლოს მდებარეობდა მეორე ლაზური ციხე, ასევე იბერიის საზღვართან – სარაპანა.

მაშასადამე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბერძენი მწერლების მიერ ნახსენები ციხესიმაგრე „სკანდა“, რომელიც ისე მაღლა და მიუდგომელ ადგილას მდებარეობდა უნაყოფო რეგიონში, რომ მასზე მხოლოდ ზურგით აჰქონდათ სურსათი, არის არა იმერეთის „სკანდე“, არამედ არსიანის ქედის აღნიშნული უღელტეხილის გზაზე მდებარე პუნქტი „კანდრიდი“, მდებარე არტანუჯ-არდაგანის საავტომობილო გზაზე არსიანის ქედის უღელტეხილ „იალნიზჩამ“-ის მახლობლად. როგორც აღინიშნა, არსიანისავე ქედზე მდებარეობს ერთ-ერთი 2412 მ. სიმაღლის მთა (მწვერვალი) იმავე სახელწოდებით „კანდილი“ (გზიდან 20-30 კმ დაშორებით), ხოლო თვით გზაზე მდებარეობს სოფელი „კარადჯასუ“. ეტიმოლოგიურად იმითაა საინტერესო ეს სახელები, რომ ისინი ახლოა პროკოფის მიერ ნახსენებ „სკანდასთან“ – „სკანდა“, „კანდილი“ (ფუძეა სკანდ-კანდ), ამავე ფუძეთა წრეს უახლოვდება „კარად“ (კარადჟასუ), ამიტომ საფიქრებელია, რომ „სკანდას“ ცნობილი ციხესიმაგრე სწორედ თანამედროვე არტანუჯ-არდაგანის გზაზე მდებარეობდა. მით უმეტეს, რომ ეს გზა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, X ს-შიც საერთა-

შორისო მნიშვნელობისა იყო და ის შავ ზღვასთან აკავშირებდა არა მხოლოდ იბერიას, არამედ არმენიასაც.

შეიძლება დავასკვნათ, ამ უღელტეხილის სიახლოვეს მდებარე პუნქტების სახელები – ნამონასტრალი „კანდრიდი“, მთა „კანდილი, ციხე „ქინძი“, სოფელი „ქინძოტამალი“, ყველა სიტყვა – „კანდ-ქინდ“ ფუძით, ეტიმოლოგიურად ახლოა სიტყვა „სკანდას“ ფუძესთან.

დვინიდან (პერსარმენიიდან) გამავალი გზა თავდაპირველად, როგორც ითქვა, შედიოდა იბერიაში (ანუ არტაანში), აქედან კი გადიოდა ლაზიკაში ანუ კლარჯეთში ლიგანასა და ერგეში, ე.ი. ფასისის ანუ ჭოროხის ხეობაში, კლარჯეთის ქალაქ ართვინში. ერთადერთი მათი დაბრკოლება ამ გზაზე იყო აღნიშნულ სოფელ ბაგდასენთან, ჩვენი ვარაუდით, სკანდასთან ახლოს მდებარე არსიანის ქედის უღელტეხილი, თითქმის 3.000 მეტრი სიმაღლისა. ამ უღელტეხილის გეოგრაფია გვეხმარება განვსაზღვროთ, თუ სად იყო სკანდას ციხესიმაგრე.

პეტრაში სალაშქროდ წამოსულმა სპარსულმა ჯარებმა საგანგებო სამუშაო შეასრულეს, რათა გაესწორებინათ იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა. სპარსეთის მეფემ აღნიშნა ამ გზის უვარგისობის შესახებ, მაგრამ ის დაარწმუნეს, რომ ნაპრალებს ამოავსებდნენ. მართლაც, ამ გზით გამოიარა სპარსეთის ცხენოსანმა ჯარმა და მებრძოლმა სპილოებმა. პროკოფი წერს: „იბერიიდან კოლხეთში მიმავალი გზა ყველგან დაქანებული ნაპრალებით და ძნელ სავალი გზებითაა დასერილი, დაფარულია უღრანი ტყეებით, ისე, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც გაუჭირდებოდა სიარული, ახლა ისე გაესწორებინათ, რომ არა თუ მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ და ისე ილაშქრეს“ (იქვე, გეორგიკა, II, გვ. 182). ტყეები ამ გზისპირზე იწყება არტანუჯის მიმართულებით, როცა მაღლობიდან ხდება მკვეთრი დადაბლება.

არტაან-არტანუჯ-ართვინის შემაერთებელი გზა, როგორც ვთქვით, გაივლიდა არსიანის ქედს, რომლის უღელტეხილი მდებარეობს ზღვის დონიდან 2687 მ. სიმაღლეზე. „სკანდა“ უამრავი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ყველა კუთხეში (შრდ. სტრაბონის „სკანდისის მთები“).

სხვადასხვა პუნქტი უნდა ყოფილიყო სტრაბონის მიერ დასახელებული „სარაპანა“ და პროკოფის „სარაპანა“.

პირველი მდებარეობდა მდ. ფაზისის პირას, საიდანაც ფაზისი უკვე სამდინარო ტრანსპორტისათვის გამოიყენებოდა, ხოლო პროკოფის პუნქტი სარაპანა მაღალმთიანეთში მდებარეობდა, სადაც არ მოდიოდა მოსავალი.

მათთვის ერთი და იგივე სახელის დარქმევა იმით ყოფილა გამოწვეული, რომ სახელი „სარაპანა“ სპარსულად ერქვა საერთაშორისო ანდა მნიშვნელოვანი გზისპირას, ყოველ 30 კილომეტრში, განლაგებულ მგზავრთა მოსასვენებელ პუნქტებს (ციხესიმაგრეებს, დაბებსა და სხვებს).

სტრაბონის ცნობით, ფასისზე მდებარე სანაოსნო ქალაქი სარაპანა 37500 ნაბიჯზე იყო დაშორებული ზღვიდან, ჩვენი აზრით, ეს იყო ქალაქი ართვინი.

ბიზანტიური საზომი „ერთი ნაბიჯი“ დაახლოებით 1,5 მეტრია. 37500 ნაბიჯი უდრის 56250 მეტრს, ანუ დაახლოებით 50-60 კილომეტრს, ასეთივე

მანძილითაა დაშორებული ართვინი ზღვიდან, ის იყო ცნობილი სამდინარო პორტი ჭოროხზე. მას პროკოფის დროს უკვე საკუთარი სახელი ერქვა და ქალაქად იყო ქცეული, ამ დროს მას (ართვინს) ანდა იქვე მდებარე ბორჩხას სახელი როდოპოლისი უნდა რქმეოდა. მით უმეტეს, რომ „არდ“ ფუძე-ძირით ქართულში ვარდ-ყვავილოვანობა აღინიშნება. ართვინი–არდვანი ქართულში ვარდოვანი ვანი ანუ სავანე-ქალაქია.

ხოლო პროკოფის მიერ დასახელებული პუნქტი „სარაპანა“, როგორც აღინიშნა, სულ სხვაგან, მაღალმთიანეთში მდებარეობდა, ის უნდა ვეძიოთ არსიანის მთის ფერდზე გამავალ არტანუჯ-არტაანის გზისპირას.

გეოგრაფიული ფაქტების ერთობლიობა გვაფიქრებინებს, რომ შეუძლებელია პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი ლაზიკა იყოს დასავლეთ საქართველო მთლიანად, რადგანაც პროკოფი მუდამ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ლაზიკა“ არის კლდოვანი რეგიონი, სადაც არის მაღალი მთები, მოედინება ჩქარი მდინარეები. მაგალითად, იმდენად ჩქარი ფასისი, რომ ზღვის წყალსაც კი არ ერევა შესართავში. იმდენად კლდოვანია ლაზიკა, რომ ზღვა მის კლდეებს ეხეთქება და ეს კლდეები უშუალოდ ზღვას გადაჰყურებს. მრავალჯერ აღწერს ამას პროკოფი და იმეორებს ყველა თხზულებაში. მაგალითად, მისი ცნობით, სკანდასა და სარაპანის ციხეებთან არ მოდიოდა მოსავალი, იყო მაღალი მთები, არ ხარობდა ვენახი. თერჯოლის სკანდე, რომელიც ამჟამად სკანდად მიიჩნევა, ზღვის დონიდან სულ რაღაც 100-200 მეტრზე მდებარეობს და, როგორც ითქვა, ამ რეგიონში უხვი და ყოველი სახის მოსავალი მოდის. სარაპანაც მსგავსადვე უმოსავლო კლდეებში მდებარეობდა, მისგან განსხვავებით, ზესტაფონის შორაპანი კი ზღვის დონიდან 170 მეტრ სიმაღლეზეა და უხვმოსავლიანია. საერთოდ, როგორ შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოზე, რომ ის მიუვალი, ცამდე აწვდილი კლდეების ქვეყანაა, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს ვაკე ვრცლად გაშლილი უზარმაზარი დაბლობია და ის ზღვის დონიდან სულ რამდენიმე მეტრ სიმღლეზე მდებარეობს.

10. როდოპოლისი

წყაროს ცნობით, როდოპოლისი მდებარეობდა მოხირისთან და ის ფუძემდე დაანგრიეს ლაზებმა.

როდოპოლისი იდგა ვაკე ადგილზე იბერიიდან კოლხიდაში მიმავალ გზაზე, ადვილი ასაღები იყო, ამიტომაც ლაზებმა საფუძლიანად დაანგრიეს სპარსელთა შიშის გამო.

როდოპოლისი და, ასევე, ქალაქი არქეოპოლისი, მდ. ფაზისთან ახლოს იყო.

ეს იქიდან ჩანს, რომ ირანელებმა როცა შეიტყვეს როდოპოლისის დანგრევის ამბავი, მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ, მაგრამ მათმა მეთურმა გაიგო, რომ მტრის ერთი ბანაკი ფაზისთან ახლოს იდგა, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არქეოპოლისის ციხის გალავანთან იდგა, უკან გაბრუნდა, ფაზისისაკენ, რათა ჯერ ბანაკი აეღო, რომ ბანაკიდან ზურგში არ დასხმოდნენ.

როდოპოლისის შესახებ პროკოფი წერს – „Был на равнине город, по имени Родополис; для тех, кто идет из Иберии в Колхиду, он первым попадается на пути. Доступ к этому городу был легкий, и его очень не трудно было взять приступом. Поэтому за много времени до этого, боясь вторжения персов, лазы разрушили этот город до основания. Когда узнали об этом персы, они прямо двинулись к Археополю. Но Мермероес, узнав, что враги стоят лагерем около устья реки Фазиса, решил двинуться против них. Он думал, что для него будет лучше сначала покончить с ними, а потом приступить к осаде Археополиса с тем, чтобы они не могли зайти в тыл персидскому войску и тем причинить ему неприятности. Пройдя очень близко под стенами Археополя, он, издеваясь, приветствовал находящихся там римлян и задорно, по-мальчишески заявил им, что он скоро к ним вернется.

იბერიიდან ლაზიკაში შესასვლელი გზა მიუყვებოდა მდ, ჭოროხს, გაივლიდა არტანუჯს, თანამედროვე ართვინსა და ბორჩხას. ბორჩხასთან მაღალმთიანეთი მკვეთრად დაბლდება, მასზე გამავალი გზა იყოფა ორად, ერთი მიემართება ხოფასაკენ (პეტრასაკენ), მეორე კი მარადიდის გავლით ხელვაჩაურ-ბათუმისაკენ.

პროკოფის აღწერის მიხედვით როდოპოლისი უფრო ბორჩხა უნდა ყოფილიყო, ანდა რომელიმე პუნქტი თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონში, რომელიც, მართლაც, დაბლობში მდებარე ვაკეა.

ცნობილი მოხირისი ანუ მოხერეზისი უნდა იყოს ხელვაჩაურის ნაყოფიერი, ვრცლად გადაშლილი რაიონი სუბტროპიკულ ზონაში, სადაც უხვად მოდის ყოველგვარი მოსავალი, როგორც მოხირისის შესახებ წერს პროკოფი.

ამჟამად გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ვარციხე არის როდოპოლისი, მაგრამ, პროკოფის ცნობით, როდოპოლისი მდებარეობდა ფასისის მარჯვენა სანაპიროზე (ისევე, როგორც სკანდა და სარაპანი). თუკი ფაზისი მდ. რიონია, მაშინ როდოპოლისი რიონის მარჯვნივ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვარციხე მდებარეობს რიონის არა მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროს მხარეს.

თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონი ისტორიული მოხირისი – მოხერეზისი უნდა იყოს.

ხელვაჩაურის რაიონში დღემდეა შემორჩენილი პუნქტები ამავე სახელთან (მოხერეზისი) ეტიმოლოგიურად ახლოს მყოფნი – ესენია, მახო, მახინჯაური, მახუნცეთი, მახვილაური და სხვა ერთად თავმოყრილნი ხელვაჩაურის რაიონში ანუ ისტორიულ მოხირისში. აქ, ამ რაიონში შესაძლოა მდებარეობდა როდოპოლისი.

აღსანიშნავია, რომ ამავე სახელის მქონე ქალაქი – როდოპოლისი – მახლობელ პონტოს ოლქშიც იყო, სადაც არმენიის დუკას თავის რაზმი ჰყავდა განლაგებული, ის ჩანს, მდებარეობდა თანამედროვე სუმელას მონასტრის რეგიონში, ზიგანა-გუმუშხანესთან ახლოს, სუმელას ახლოს მდებარე როდოპოლისში ჰქონდა კათედრა ლაზიკის სამიტროპოლიტოს ერთ-ერთ ეპისკოპოსს. როდოპოლისის საეპისკოპოს კათედრა ჩამოყალიბდა ჭანების გაქრისტიანების შემდეგ მე-6 საუკუნის ბოლოსა ან მეშვიდე ს. დასაწყისში, ის, როგორც ითქვა, თანამედროვე გუმუშხანესთან ახლოს მდებარეობდა.

ლაზთა სამეფოს ისტორია

არიანე (95-175) თავის „პერიპლუსში“ წერს:

„ამჟამად ლაზებს უჭირავთ ტერიტორია ძიდრიტებიდან აბასკებამდე“ (თ.ყაუხჩიშვილი, არიანე,მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1976, გვ.100).

აღნიშნული ძიდრიტები, არიანეს ცნობით, მდ. არქაბესთან ცხოვრობდნენ, თანამედროვე რიზე-ათინას რეგიონში, ისინი, იბერიის მეფეს ემორჩილებოდნენ.

ამ რეგიონის შესახებ არსებობს მსგავსი სახის რამდენიმე ცნობა, ერთი ეკუთვნის მე-4 საუკუნის ავტორს გელასი კესარიელს. მის ცნობით, იბერები და ლაზები გააქრისტიანა წმ. ნინომ, იმავეს აცხადებს მე-17 საუკუნის „ლაზიკის მიტროპოლიტი“ გერმანე, რომელიც წერს, რომ მე-4 საუკუნეში აქ, ოფ-რიზესთან ივერთა განმანათლებელ ქალს დაუარსებია სამიტროპოლიტო კათედრა, შესაბამისად, ამ რეგიონში, ოფ-რიზესთან თავის იურისდიქციას წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ივერიის ეკლესია ახორციელებდა მე-4 საუკუნიდან, ალბათ, ბიზანტილთა მიერ ამ რეგიონის საბოლოო მიტაცებამდე,

პროკოფის მე-6 ს. ცნობიდან ჩანს, რომ ბიზანტიელებს მის დროს ამ რეგიონში ანუ რიზედან პეტრამდე თავიანთი ბატონობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამყარებული და ის ადგილობრივებს დამოუკიდებელ ტომებად მოიხსენიებს. ამ რეგიონის საბოლოო დაპყრობა ბიზანტიელთათვის მხოლოდ მე-6 საუკუნის 60-იანი წლებიდან, „ლაზიკისათვის სპარსელ-ბიზანტიელთა ომის“ დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ხალხს, მცხოვრებთ პეტრადან რიზემდე, პროკოფი კესარიელი ქრისტიანებად მოიხსენიებს, ოღონდ ბიზანტიას მოუხერხებია და ისინი იბერიის მეფის ქვეშევრდომობიდან გამოუყვანია, მაგრამ ვერც თვითონ დამკვიდრებულა იქ. როგორც ითქვა, იქაურ ხალხს არიანე ძიდრიტებად მოიხსენიებს.

ლაზები ამ ძიდრიტების ზემოთ, ზღვისპირას ცხოვრობდნენ, ჭოროხის მიმართულებით.

მემნონი (I ს.) ბერძნულ-რომაულ წყაროებში პირველად ახსენებს ლაზებს და მათ საცხოვრისად განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს („ჰერაკლეს ისტორია“) http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziۃa/istoriۃa/3255-bolshaۃa-vojna-v-egrisi.html

პტოლემაიოსი (100-178) კოლხიდას უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან მდ. ფასისამდე, სადაც ცხოვრობდნენ ტომები: ლაზები, მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი; ხოლო კოლხიდისჩრდილოეთით – სარმატიაში – ცხოვრობდნენ: აქაიები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 100, 160).

სვანოკოლხები დასავლეთ საქართველოში მკვიდრობდნენ სხვა ტომებთან ერთად და მათ ქვეყანას პტოლემაიოსი სარმატიას უწოდებს.

კორაქსის მთებად მიიჩნევა მცირე კავკასიის მაღალმთიანეთი, პროვინცია კოლასთან (კორა) და მდ. მტკვრის (კორა, კურა, კირი, კიროსი) სათავესთან ახლოს.

ჰეროდოტეს ცნობით, მეოტიის ტბიდან მდ. ფაზისამდე და კოლხიდელებამდე 30 დღის გზაა – „От Меотического озера до реки Фасиса и колхидиан считается 30 дней пути для доброго путника, от Колхиды же до Мидии не более того, и один только народ между ними, саспиры“. კოლხიდა ფაზისიდან და პიტიუსიდან ტრაპეზუნტამდე მდებარეობდა. Колхида простиралась от Питиуса до Трапезунда. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხიდა ფაზისთან მდებარეობდა ტრაპეზუნტამდე, კოლხიდიდან მიდიელებამდე 30 დღემდე სავალი გზა იყო და კოლხიდიდან მიდიელებამდე მხოლოდ ერთი ხალხი – სასპირები ცხოვრობდნენ. აქედანაც ჩანს, რომ კოლხიდად მოიაზრებოდა ჭოროხთან მდებარე ქვეყანა, ვინაიდან რიონიდან მიდიელებამდე გაცილებით უფრო დიდი მანძილია.

წყაროებში მტკვრისა და ჭოროხის სათავეების მთიანეთზეა საუბარი. როგორც ითქვა, ეს მთიანეთი მდებარეობდა კოლას რეგიონში და მას კორაქსის მთები ერქვა. კოლას რეგიონიდან გამოედინება მტკვარი. ის ისტორიულ კლარჯეთში, იბერიის ერთ-ერთ პროვინციაში შედიოდა არმენიის მეზობლად.

ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: იმპერატორი ვალენტი „დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა“; http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziѳa/istoriѳa/3255-bolshaѳa-vojna-v-egrisi.html

შაბურის „მოსვლით შეშინებულმა პაპმა და ასევე კილაკემ ...სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი.ბიზანტიელებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ“ (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128). იგულისხმება მცირე კავკასიის მაღალმთიანეთი,

აგათანგელოსი (IV ს.): „წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა იბერთა ქვეყანაში. ზოგს ლაზთა ქვეყანაში (ადონცის კვლევით, არაბულ თარგმანში იხსენიება არა ლაზიკა, არამედ – არზანენა) (ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 89).

პრისკე პანიონელი (V ს.): „მას შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა...“ (გეორგიკა, 1961, გვ.254).

(ამ ომს შეეხება ქართლის ცხოვრება, როცა აღწერს ბერძენთა შესევას კლარჯეთში და კლარჯეთის დაკარგვას ვარაზ ბაკურის დროს).

მე-8 საუკუნის ავტორის, წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობით წმ. ანდრია მოციქული თავდაპირველად მივიდა ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტში, წმიდა ანდრია მოციქული „ამისოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში, იქიდან ის წავიდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგიკა, IV, I, გვ. 58).

ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტიდან ანდრიამ მიაღწია მდ .ფაზისამდე.

ეს ავტორი (ეპიფანე კონსტანტინოპოლელი) ლაზიკას უწოდებს თანამედროვე ლაზისტანის ქვეყანას, მდებარეს ტრაპეზუნტიდან მდ. ფაზისისამდე, ის წმ. ანდრიას შესახებ ცნობის მოცემისას მიუთითებს მე-4 საუკუნის ავტორს ეპიფანე კვიპრელს.

ეს ფაქტი უფლებას იძლევა მოსაზრების გამოთქმისა, რომ მე-4-მე-8 საუკუნეებში ლაზიკა ასევე ერქვა ტრაპეზუნტიდან ფაზისამდე მოქცეულ რეგიონსაც. ტრაპეზუნტი, მისი (წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის) აზრით, არის ლაზიკის ქალაქი, ტრაპეზუნტის მახლობელი ქვეყანა კი იბერიაა. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი წერს: „ მდინარე ფაზისთან მოსახლეობდნენ იბერიელები...“, სხვა ტომებთან ერთად (გეორგიკა, IV, I, 57).

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი თავისი წმიდა ანდრიას ცხოვრების სხვა ადგილასაც ერთად ახსენებს იბერიასა და ფაზისს, ისინი ერთ რეგიონში არიან. „მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში“ (იქვე, გვ. 58).

ექვთიმე მთაწმიდელი წმიდა მოციქულ ანდრიას ცხოვრების აღმწერელი ბერძნული ტექსტის თარგმნისას სიტყვა „ფასისს“ ჭოროხს უფარდებს. მან შესაბამისი ადგილი ასე თარგმნა:

„ხოლო დიდებული ანდრეა სხვათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მოიწინეს ქვეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა“ (მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, 2008, გვ. 189), აქ დედანში ჭოროხის ადგილას ფაზისია მოხსენიებული (იქვე).

მე-9 ს. იოვანე საბანისძე აფხაზეთის სამხრეთ საზღვრად ტრაპზონსა და ქალდეას ასახელებს.

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელიც (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: „ირაკლიმ სცადა ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე – ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“ (გეორგიკა, ტ.3. 1952, გვ. 207-208).

აქედან ჩანს, რომ მეცხრე საუკუნეშიც ფაზისიდან ტრაპეზუნტამდე მდებარე ქვეყანას ლაზიკა ერქვა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1042 წელს ქართულად გადმოღებულ ამ ტექსტში ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ: „და მო“წია, რა ტრაპეზუნტედ სანახებთა სამეგრელო“სათა...“ (გეორგიკა, ტ.3. 1952, გვ. 207-208).

სომხური უსახელო გეოგრაფიის მიხედვით, VII-IX საუკუნეებში ლაზიკა (ეგრი) შედგებოდა ოთხი მცირე ქვეყნისაგან, ესენია– მანრალივი, ეგრევიკი (ერგე), ლაზივი და ჭანივი – „ეს არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმარტიამდე, და მდინარე დრაკონიდან (მდ. კელკიტჩაის ერთ-ერთი შენაკადიდან, არმენიის რუკის მიხედვით) ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე (მცირე კავკასიის მთიანეთამდე და არსიანის ქედამდე), რომელიც მას ჰყოფს ივერიიდან“. მაშასადამე, აღნიშნული მანრალივი, ეგრევიკი, ლაზივი და ჭანივი ერთ მთლიან ოლქს ქმნიდნენ, ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე, სადაც ახლაცაა მცირე ოლქი, რომლის სახელია ერგე. პროკოფისა და სხვა ავტორების ცნობებით, ევროპასა და აზიას ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე ფაზისი, ანუ აზია მდებარეობდა ფაზისის მარცხენა სანაპიროზე,

ხოლო ევროპა ფაზისის მარჯვენა სანაპიროს მხარეს. შესაბამისია სომხური გეოგრაფიის ცნობა, რომ, რადგანაც ლაზიკა იყო „ქვეყანა აზიისა“, ამიტომ ის (ლაზიკა) მდებარეობდა მდ. ფაზისის მარცხენა მხარეს, ანუ მანრალივი, ეგრევიკი, ლაზივი და ჭანივი მდებარეობდნენ ფაზისის მარცხენა მხარეს, ანუ სომხური გეოგრაფიის ლაზიკა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ მოიცავდა თანამედროვე ლაზისტანის მხარეებს, ე.ი. ტრაპეზუნტის ოლქს. ამ გეოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი მითითება არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.

სომხური ეგრი ანუ ლაზიკა გულისხმობას არა დასავლეთ საქართველოს, არამედ თანამედროვე ლაზისტანს, იგივე ლაზიკას, რომელსაც ქართულად „სოფელი მეგრელთა“, ერქვა, ის ჭოროხის დასავლეთ, მარცხენა სანაპიროს მხარეს წარმოადგენდა; მას სხვაგვარად სამხრეთ ეგრისი შეიძლება ეწოდოს, რადგანაც ჩრდილოეთ ეგრისი სხვა რეგიონში, ჭოროხის მარჯვენა სანაპირო მხარეს მდებარეობდა.

სომხურ გეოგრაფიაში ლაზიკა იწოდება „აზიის ქვეყნად“, აზიის ქვეყნად კი მდ. ფაზისის (ჭოროხის) მარცხენა სანაპიროს მხარის ნაწილი იწოდებოდა, როგორც ითქვა, პროკოფის მიხედვითაც.

ლაზიკისათვის ომის მიზეზად იქცა იუსტინიანეს მიერ პეტრაში ციხესიმაგრის მშენებლობა და იქ რომაელთა ჯარის ჩაყენება.

ვინაიდან პეტრა ლაზიკას ეკუთვნიდა, ხოლო, ზავის მიხედვით, ლაზიკა სპარსეთის გავლენის სფეროში შედიოდა, ამიტომაც აქ ბიზანტიელთა სამხედრო აქტიურობა ზავის დარღვევად შეფასდა. ასე ესმოდა ეს საკითხი ხოსროს – სპარსეთის შაჰს.

პროკოფი წერდა – (3) „Есть в Колхиде приморский город Пе́тра у так называемого Понта Эвксинского. Ранее это было ничтожное местечко; василевс Юстиниан укрепил его стеной и другим снаряжением и вообще сделал его видным{341}. (4) Хосров, узнав, что здесь находится римское войско во главе с Иоанном, послал войско и стратига Аниаведа с тем, чтобы они взяли их при первом же натиске (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3-17).

სპარსეთის შაჰმა ხოსრო პირველმა 542 წელს თავისი ჯარი დაძრა პეტრასთან საბრძოლველად, რათა უკანონოდ შესული ბიზანტიელები იქიდან გაეძევებინა.

ხოსროს, იგივე ხოსროვის ჯარმა ჯერ გაიარა დვინი და პერსარმენია, შემდეგ კი იბერია (კოლა-არტაანის ოლქი) და ასე მიადგა არსიანის ქედს (მისი მარშრუტი ასეთი იყო – დვინი-არზრუმი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი).

არსიანის ქედის მხრიდან შესულ ირანელებს შეხვდნენ ლაზები და შეიყვანეს ლაზიკაში

ლაზიკაში ერთმანეთთან მოილაპარაკეს ირანის შაჰმა და ლაზიკის მეფე გუბაზ მეორემ და გაერთიანებული ძალებით დაიძრნენ პეტრას ციხე-ქალაქისაკენ (პეტრა ამჟამინდელი ხოფაა თურქეთში).

პეტრას ციხე აღებულ იქნა.

სწორედ ამ დროს შაჰმა მიიღო ცნობა, რომ ბიზანტიელი მხედართმთავარი ველიზარი დიდძალი ჯარით შეიჭრა ირანში, ხოსრომ პეტრაში თავისი გარნიზონი ჩააყენა, თვითონ კი დაბრუნდა ირანში.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziۃa/istoriۃa/3255-bolshaۃa-vojna-v-egrisi.html

მაგრამ ახლა უკვე თვით ბიზანტიელებს გაურთულდათ მდგომარეობა. დასავლეთში ბარბაროსების შეტევათა გამო ბიზანტიელები იტალიის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ.

ასეთ ვითარებაში იმპერატორმა იუსტინიანემ ირანის შაჰს ზავი შესთავაზა. 545 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ხუთწლიანი ზავი დაიდო.

შაჰი ხოსრო 1-ლი მიისწრაფოდა ლაზიკაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში დასამკვიდრებლად, ამიტომ გადაწყვიტა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იქიდან გადაესახლებინა, მაგრამ ამაოდ.

ირანელების მზაკვრობამ და მათმა ბატონობამ ლაზიკის მთელი მოსახლეობა ააჯანყა მათ საწინააღმდეგოდ. ლაზებმა კვლავ შესთავაზეს ბიზანტიას კავშირი.

ამ დროს იმპერატორმა იუსტინიანემ გამოასწორა ვითარება იტალიაში მზად იყო განეახლებინა ომი ირანთან.

549 წელს ბიზანტიური ჯარები დაგისთეს ხელმძღვანელობით მიადგა პეტრას ციხეს.

თავის მხრივ ირანმა პეტრაში თავისი გარნიზონის დასაცავად გაგზავნა დიდი ჯარი მერმეროესის ხელმძღვანელობით.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziۃa/istoriۃa/3255-bolshaۃa-vojna-v-egrisi.html

ივერიის საზღვრის შემდეგ მერმეროემ თავისი სპარსული ჯარით წინ წაიწია ისე, რომ მის მარჯვნივ მიედინებოდა მდ.ფაზისი, რადგანაც არ სურდა ლაზიკის დასახლებულ პუნქტებთან გავლა, რათა არ დაბრკოლებულიყო თავის გზაზე. ის ისწრაფოდა გადაერჩინა პეტრა და იქ დაბანაკებული სპარსელები. ლაზების ყველა დასახლებული პუნქტი მდინარის მარჯვნივ მდებარეობდა.

პროკოფი წერს – Миновав границы Ивирии, Мермерой со всем персидским войском двинулся дальше, имея по правую руку реку Фасис, поскольку он не хотел идти мимо населенных пунктов Лазики, чтобы не встретить затруднений на своем пути. 2) Он спешил спасти Петру и находившихся в ней персов (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 1-7).

ბიზანტიელთა მხედართმთავარმა დაგისტემ შეცდომა დაუშვა იმით, რომ სათანადოდ არ გაამაგრა ლაზიკაში შესასვლელი, რომელიც არსიანის ქედზე მდებარეობდა, ამ შესასვლელიდან ლაზიკაში შედიოდა სპარსული ჯარი. პირველ რიგში ეს იყო არტანუჯ-არტაანის შემაერთებელი გზის დამცველი დიდი ციხესიმაგრე ძალზე მაღალ მთებში. მის დასაცავად მან მხოლოდ მცირე რაზმი გაგზავნა.

ირანის ჯარმა დაუბრკოლებლად გადალახა წინააღმდეგობა და შევიდა ლაზიკაში – ფაზისის ანუ ჭოროხის ხეობაში.

როგორც კი ამის შესახებ გაიგო დაგისტემ მაშინვე დატოვა პეტრას ციხე

და უკან დაიხია. მერმეროემ დაიჭირა პეტრა, გაამაგრა და შეუდგა ლაზიკის შიდა ოლქების აოხრებას.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziؚa/istoriؚa/3255-bolshaؚa-vojna-v-egrisi.html

ლაზებმა და მეფე გუბაზმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ლაზების ომში ჩართვამ ვითარება მთლიანად შეცვალა –

შედეგად, ირანელები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ლაზიკა და დბრუნებულიყვნენ დვინში, თავიანთ სამხედრო ბანაკში – პროკოფის თანახმად. 550 წელს შაჰმა ახალი ჯარი გაგზავნა ლაზიკაში.

ლაზებმა სურვილი გამოთქვეს, პირველები შებრძოლებოდნენ მტერს. ომში სასიკვდილოდ დაიჭრა ირანელი მხედართმთავარი. მტერი სასტიკად დამარცხდა.

ამასობაში ბიზანტიელებმა ხელახლა შეუტიეს პეტრას და აიღეს, აღარ გამოიყენეს ის ციხესიმაგრედ, ამიტომაც დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

ირანის დამარცხების მიუხედავად მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში მძიმე იყო. http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziؚa/istoriؚa/3255-bolshaؚa-vojna-v-egrisi.html

მისიმიელთა აჯანყება გამოიწვია ბიზანტიელთა სიმკაცრემ და უსამართლობამ 555 წელს. შაჰმა ხოსრომ კვლავ გაგზავნა ლაზიკაში მერმეროესი. როცა მან შეიტყო პეტრას დაცემის ამბავი, გადაწყვიტა აეღო არქეოპოლისი (ქალაქი თანამედროვე ქობულეთ-ფჭვნართან ახლოს), მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

ამ დროისათვის, ჩანს, ლაზების ერთმა ნაწილმა ხელახლა მიიღო პროირანული ორიენტაცია. მერმეროემ გუბაზსაც კი შესთავაზა ირანელთა მხარეს დამდგარიყო, მაგრამ გუბაზი ბიზანტიელებს ერთგულებდა.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziؚa/istoriؚa/3255-bolshaؚa-vojna-v-egrisi.html

ლაზიკა 553 წლისთვის ორად იყო გაყოფილი. ფრონტის ხაზი სპარსეთ-ბიზანტიას შორის გადიოდა დაახლოებით იქ, სადაც მდ. აჭარისწყალი უერთდება მდ. ჭოროხს, ზღვის ზემოთ 20-30 კმ-ის მანძილზე.

ეს ხაზი, ჩანს, გადიოდა შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად. როგორც აგათიას მონათხრობი აჩვენებს, მერმეროემ სპარსელთა ჯარით ორჯერ შეუტია არქეოპოლისს და უკუქცეულ იქნა მუხირისში.

ამ დროს ბიზანტიელები მზაკვრულად მოქმედებდნენ – ირანელებთან მარცხის მიუხედავად ისინი თავს ესხმოდნენ ლაზურ სოფლებს და ძარცვავდნენ. გუბაზმა იმპერატორს აცნობა ბიზანტიელთა სამარცხვინო ქმედებათა შესახებ. ამის საპასუხოდ ბიზანტიელთა მხედართმთავრებმა მზაკვრულად მოკლეს გუბაზი 554 წელს.

მეფე გუბაზის მკვლელობით შეძრული ლაზები საიდუმლოდ შეიკრიბნენ, სადაც კამათში გაიმარჯვა მხარემ, რომელიც იყო ბიზანტიის მომხრე, იმ პირობით, რომ იმპერატორს დაესაჯა მეფის მკვლელები. იმპერატორმა პირობა აღასრულა.

ტახტზე აიყვანეს გუბაზის მემკვიდრე – მისი ძმა წათე მეორე.

ამავე დროს გრძელდებოდა სამხედრო ქმედებანი, თუმცა ირანი და ბიზანტიაც უკვე ზავის დადებისკენ გადაიხარნენ.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziؤa/istoriؤa/3255-bolshaؤa-vojna-v-egrisi.html

საბოლოოდ, სპარსელები იძულებული გახდნენ, ლაზიკა დაეთმოთ ბიზანტიელებისათვის, მაგრამ დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, რომელსაც იმჟამად სვანეთს უწოდებდნენ, კვლავ სპარსელთა გავლენის სფეროში რჩებოდა.

562 წელს დაიდო ე.წ. ორმოცდაათწლიანი ზავი, რომელზეც სადავო იყო სვანეთის საკითხი.

საერთოდ, სვანეთი, ბერძენი ავტორების ცნობებით, იყო მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომლისთვისაც ორი იმპერია ერთმანეთს საუკუნის მანძილზე ედავებოდა.

თანამედროვე ისტორიკოსთა შრომებში სვანეთის ქვეყანა თითქმის არ ჩანს, მაშინ, როცა მას უნდა სჭეროდა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სად იყო სვანეთი?

ცხადია, სვანეთი ამჟამინდელი თანამედროვე ორი მთიანი რაიონი კი არ იყო, არამედ იმჟამად, მე-6 საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

562 წელს „დიდი ომი“ დასრულდა. ირანმა ბიზანტიას დაუთმო ლაზიკა, მაგრამ ცდილობდა შეენარჩუნებინა სვანეთი (დანარჩენი დასავლეთ საქართველო).

მე-6 ს. 70-იან წლებში ირანი იძულებული გახდა სვანეთიც დაეთმო.

ამრიგად, ლაზებისათვის ოცწლიანი ომი ფაქტობრივად უშედეგოდ დასრულდა, ლაზთა სამეფო ბიზანტიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩა.

http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziؤa/istoriؤa/3255-bolshaؤa-vojna-v-egrisi.html

თავი 2

II ლაზიკა (ლაზონა, ლაზისტანი, ქვემო ანუ სამხრეთ ლაზიკა)

პონტოს ლაზიკა

ლაზები თავიანთ თავს,როგორც ითქვა, უწოდებდნენ „ლაზონებს“, თავიანთ ქვეყანას კი „ლაზონას“ (Лазистан, Материал из Википедии – свободной энциклопедии). ამ ქვეყანას ასევე ლაზისტანს, ლაზიკას უწოდებენ Лазистан (лазск. ლაზონა – Lazona) – территория, занимаемая османской провинцией (санджаком), входившей в состав Трапезундского вилайета и граничащей с Батумским округом Кутаисской губернии, населённая лазами, или чанами.

ლაზიკას ასევე კოლხიდას სახელითაც იცნობენ და მას ისტორიკოსები ტრაპეზუნტის რეგიონთან ახლოს მდებარე ქვეყნად მოიხსენიებენ.

კოლხიდა – ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარე.

სტრაბონის ცნობით კოლხიდა ტრაპეზუნტიდან იწყებოდა, ის წერს – „ტრაპეზუნტი, მერე კოლხიდა, სადღაც აქვეა ზიგოპოლისად წოდებული პუნქტი“ (სტრაბონი, გეოგრაფია, 12,3,17).

მაგრამ, სტრაბონისაგან განსხვავებით, პროკოფი კესარიელი მიიჩნევდა, რომ ლაზიკა იწყებოდა არა ტრაპეზუნტის მახლობლად, არამედ პეტრასთან (ხოფასთან). მიზეზი ამისა არის ის, რომ პროკოფი ლაზიკად მოიხსენიებდა მხოლოდ ჩრდილოეთ ლაზიკას, ხოლო სამხრეთ ლაზიკას „რომაელთა ქვეყანას“ უწოდებდა, რადგანაც მას სუვერენიტეტი ჰქონდა დაკარგული, ხოლო ჩრდილოეთ ლაზიკა გარკვეული სუვერენიტეტით სარგებლობდა და მას ავტონომიური ბასილევსი მართავდა.

პროკოფი კესარიელი იძლევა ცნობას, რომ კოლხიდა (იგივე ლაზიკა) პეტრასთან იწყებოდა.

პროკოფი ედავება კიდეც ისტორიკოსებს, რომელნიც წერდნენ, რომ კოლხიდა (ლაზიკა) ტრაპეზუნტთან იწყებოდა, მაგრამ ასეთი ისტორიკოსების რიცხვი დიდი იყო, კოლხიდა რომ ტრაპეზუნტთან იწყებოდა, წერდა, როგორც აღინიშნა, სტრაბონი და გაცილებით ადრე – ჰეროდოტე.

მრავალი ისტორიკოსი მიიჩნევდა, რომ კოლხიდა ტრაპეზუნტის მახლობელი ოლქი იყო, პროკოფის სიტყვითაც კი, ლაზები პერსარმენიას უშუალოდ ემეზობლებოდნენ – „За ней живут так называемые персо-армяне и армяне, подданные римлян, занимающие пространство вплоть до самых пределов Иберии“ (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

პერსარმენიას უშუალოდ ესაზღვრებოდა არა ჩრდილოეთ ლაზიკა, არამედ სამხრეთ ლაზიკა. პერსარმენიასა და ჩრდილოეთ ლაზიკას შორის მდებარეობდა იბერიის ოლქები – კოლა და არტაანი, ხოლო სამხრეთ ლაზიკა

უშუალოდ ემეზობლებოდა პერსარმენიას, გუმუშხანე-ზიგანას (ზიგანოპოლისის) იქით უკვე პერსარმენია მდებარეობდა.

ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხიდა ფაზისიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე მდებარეობდა Колхида простиралась от Питиуса до Трапезунда. კოლხიდიდან მიდიელებამდე მხოლოდ ერთი ხალხი – სასპირები ცხოვრობდნენ. ჰეროდოტეს კოლხიდას შემდგომში სამხრეთ ლაზიკა ეწოდა.

ტრაპეზუნტის ოლქის ლაზიკა (სამხრეთ ანუ პონტოს ლაზიკა)

ტრაპეზუნტის ოლქს ლაზიკას უწოდებს მე-8 საუკუნის ავტორი წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი. ის წმიდა ანდრია მოციქულის ცხოვრებაში წერს – „მივიდა ანდრია ტრაპეზუნტში, რომელიც არის ლაზიკაში“ (გეორგიკა, IV, I, გვ. 58).

მე-8 საუკუნის ავტორი წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი ლაზიკას უწოდებს თანამედროვე ლაზისტანის ქვეყანას, მდებარეს ტრაპეზუნტიდან მდ. ფაზისისამდე, ის წმ. ანდრიას შესახებ ცნობის მოცემისას მიუთითებს მე-4 საუკუნის ავტორს ეპიფანე კვიპრელს.

ეს ფაქტი უფლებას იძლევა მოსაზრების გამოთქმისა, რომ მე-4 – მე-8 საუკუნეებში ლაზიკა ასევე ერქვა ტრაპეზუნტიდან ფაზისამდე მოქცეულ რეგიონსაც. ტრაპეზუნტი, მისი (წმ. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის) აზრით, არის ლაზიკის ქალაქი, ტრაპეზუნტის მახლობელი ქვეყანა კი იბერიაა.

წმიდა ანდრია მოციქული „ამისოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში, იქიდან ის წავიდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (იქვე).

წმ. ექვთიმე მთაწმიდელი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობის თარგმნისას, ლაზიკას – „სოფელი მეგრელთას“ უწოდებს. ის სიტყვა „ლაზიკას“ თარგმნის ასე „სოფელი მეგრელთა“.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი თავისი წმიდა ანდრიას ცხოვრების სხვა ადგილასაც ერთად ახსენებს იბერიასა და ფაზისს, ისინი ერთ რეგიონში არიან. „მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში“ (იქვე).

ექვთიმე მთაწმიდელი წმიდა მოციქულ ანდრიას ცხოვრების აღმწერელი ბერძნული ტექსტის თარგმნისას სიტყვა „ფასისს“ ჭოროხს უფარდებს. მან შესაბამისი ადგილი ასე თარგმნა:

„ხოლო დიდებული ანდრეა სხვათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მოიწინეს ქვეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა“ (მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, 2008, გვ. 189), აქ დედანში ჭოროხის ადგილას ფაზისია მოხსენიებული (იქვე, გვ. 189).

წმ. ანდრია მოციქული თავდაპირველად მივიდა ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტში, იქიდან კი მიაღწია მდ. ფაზისამდე. ეს ავტორი, ეპიფანე კონსტან-

ტინოპოლელი, წერს: „ მდინარე ფაზისთან მოსახლეობდნენ იბერიელები...“, სხვა ტომებთან ერთად (გეორგიკა, IV, I, 57).

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელიც (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: „ირაკლიმ სცადა ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე – ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“; (გეორგიკა, ტ.3. 1952, გვ.207-208).

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1042 წელს ქართულად გადმოღებულ ამ ტექსტში ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ:

„და მოიწია, რა ტრაპეზუნტედ სანახებთა სამეგრელოჲსათა...“ (პ. ინგოროყვა, 1957, გვ.214-215).

ლაზების ანუ ლაზონების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ აქ მცხოვრები ტომი „ალაზონები, ალიზონები“, რომელთა შესახებ ცნობას გვაძლევს სტრაბონი.

სტრაბონი წერს – „ეხლანდელი ქალდები, ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია. მისი შემოსავალია თევზ პელამიდების ჭერა და ასევე მიწიდან ლითონების (ახლა რკინის, ძველად ვერცხლის) ამოღება. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე, ტყიანი მთები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XII, 3, 19);

„ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად... ჰომეროსი ალიზონებს უწოდებს ხალიბებს“ (სტრაბონი, XII, 3, 20). ჰომეროსი წერს – ალიზონებს.

„ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი კი ამაზონებს“ (XII, 3, 21) – ამბობს სტრაბონი.

მათი მთავარი ქალაქის არგიოპოლისის (ვერცხლის საბადოების მქონე) ადგილსამყოფელი გუმუშხანეს რეგიონში მდებარეობდა, სადაც ვერცხლის საბადოები გვიანობამდე არსებობდა.

მიხეილ პანარეტოსი ლაზიკისა და ლაზების შესახებ
(МИХАИЛ ПАНАРЕТ, ТРАПЕЗУНТСКАЯ ХРОНИКА)

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm)

მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის იმპერატორის, ალექსი III კომნენოსის (1338-1390) სახელმწიფო მოხელე, სამეფო კარის წევრებს ახლდა საქართველოს სამეფოში. ავტორია „ტრაპიზონის ქრონიკისა“, მოიცავს 1204-1390 წწ. ამბებს.

მიხეილ პანარეტი (მიქაელ პანარეტოსი) თავის წიგნში იკვლევდა ლაზიკის ისტორიას და წერდა –

„ტრაპეზუნტის ოლქი აღმოსავლეთი მხრიდან ესაზღვრებოდა ფაზისის ხეობაში განლაგებულ კოლხიდას, რომელმაც ლაზიკის სახელი მიიღო იუსტინიანეს დროიდან“.

ბიზანტიური წყაროები [პროკოფი, აგათია და სხვ.] ამტკიცებენ, რომ კოლხებს შემდგომში ეწოდათ ლაზები, ხოლო მათ ქვეყანას – ლაზია ან ლაზიკა, რომელიც დღემდე დასახლებულია ქართული ტომის ხალხით.

ლაზები, ამ სახელით, ცნობილია უკვე 1-ლი საუკუნიდან. მემნონთან (ფრაგმენტი 16, 54) მითითებულია, რომ შიდა პონტოს სანაპიროსთან ცხოვრობენ სანეგები და ლაზები. სანეგებში უნდა დავინახოთ სანები ან ჭანები.

ქვეყანას ისინი ჭანეთს უწოდებენ.

ჭანები პლინიუსის (Hist Natur. VI, 4,3) მიერ პირველ საუკუნეში იწოდებოდნენ სანებად და ლაზებად, რომელნიც ზღვის სანაპიროსთან ცხოვრობდნენ.

მე-2 ს-ში სანებსა და ლაზებს იცნობს არიანე (Perlplus).

სანებზე ამბობდა, რომ ისინი ომისმოყვარულები არიან და მტრობენ ტრაპეზუნტელებს“ – წერდა პანარეტი (Михаил Панарет, Трапезунтская хроника, Предисловие. https://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm)

ამიანე მარცელინი იცნობდა სახელს „ლაზიკა“, ხოლო სტრაბონი (XII, 318), არიანე, ევსტაფი, დიონისე პერიეგეტის კომენტატორი – ტრაპეზუნტის მოსაზღვრე ხალხად ასახელებენ „სანებს“.

ლაზები რომ იგივე ხალხია, რომელსაც იქამდე კოლხები ერქვა, ამტკიცებენ პროკოფი, აგათია და სხვები.

ზემოთ მოყვანილი ცნობებით, ლაზები და სან-ჭანები მეზობლები იყვნენ და პონტოს სანაპიროზე ცხოვრობდნენ, რომაული ბატონობის ეპოქაში ლაზები ცხოვრობდნენ ჭანების მეზობლად, მდ. ჭოროხის ორივე ნაპირზე ანუ ჭანიკის (ანუ ჯანივის) მეზობლად.

მიქაელ პანარეტოსი ლაზებსა და ჭანებს ქართველებად მიიჩნევდა, მათ ენას – ქართულად.

ამ სახელებს (ლაზივი და ჭანივი, ანუ ლაზიკა და ჭანეთი) ასევე ერთად ახსენებს მე-7 ს. სომხური გეოგრაფია – „ეგერი იყოფა 4 პროვინციად: მანრალი, ეგრევიკი, ლაზივი, ჯანივი“.

მე-19 ს-შიც ისინი ერთად იხსენიებიან, ლაზიავის, იგივე ლაზიას ანუ ლაზისტანისა და ჯანიკის სანჯაყები სამსუნისა და ბაფრას კაზებთან ერთად შედიოდნენ ტრაპეზუნტის ვილაიეთში თურქეთის იმპერიისა (იქვე, Статист, таблицы вилайетов Турецкой империи, Тифл. 1888).

„ლაზისტანი გეოგრაფიულად ქმნის წვრილ მიწის ზოლს შავი ზღვისპირზე, პონტოს ანუ ლაზისტანის ქედის დასავლეთ მხარეს კემერის კონცხიდან ზღვისპირა პუნქტ მაკრიალამდე“.

მის (ლაზივის) ჩრდილოეთ მხარეს ჩამოყალიბდა „ლაზიკის სამეფო“, ის წარმოიშვა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მე-5 საუკუნეში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს (მე-4 ს. 70-80-იანი წწ.) კლარჯეთი ბიზანტიამ მიიტაცა.

ქართული ცნობით, კლარჯეთი, ჭოროხის ხეობის მომცველი ვრცელი საერისთავო, მიიტაცა ბიზანტიის იმპერიამ, ცნო მისი თავისთავადობა, მიანიჭა გარკვეული სუვერენიტეტი და ამ ახალ ერთეულს უწოდა ლაზიკის სამეფო.

(გაიმეორა უფრო სამხრეთით მდებარე მეზობელი პროვინციის „ლაზივის“ სახელი) და იქ განავრცო ბიზანტიის გავლენა.

შესაბამისად (ქართლის სამეფოსაგან კლარჯეთის საერისთავოს ჩამოშორების შემდეგ), ბიზანტიური ორიენტაციის კლარჯეთის ერისთავს ბიზანტიის სამეფო კარმა „ლაზიკის ბასილევსი“ უწოდა, რაც ქართული ერისთავის ტოლფარდი სახელია. ანუ ლაზიკის ბასილევსი იგივე კლარჯეთის ყოფილი ერისთავია.

თუ ლაზთა სამეფო ყოფილი კლარჯეთის საერისთავოა, რომელიც ბიზანტიამ წაგვარა ქართლის სამეფოს, მაშინ არასწორია მოსაზრება, რომ აფხაზთა სამეფო ლაზთა სამეფოს მონაცვლე -მემკვიდრეა.

აფხაზთა სამეფო, ქართლის ცხოვრების თანახმად, მემკვიდრეა ქართლის სამეფოსი, ვინაიდან აფხაზთა მეფეებმა სამეფო ტიტულის ტარების უფლება მიიღეს ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეებისაგან რამდენჯერმე, ბოლოს, მე-8 ს. დასაწყისში, ქართლის მეფის მირის ასულ გურნდუხტისაგან, რომელსაც სამმართველოდ გადაეცა დასავლეთ საქართველო მამის მიერ, http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm

მიქაელ პანარეტოსის მიერ მოწოდებული ცნობები არ შეესაბამება ამჟამად დამკვიდრებულ თეორიებს ლაზიკისა და აფხაზთა სამეფოების შესახებ.

მისი ცნობებით კი ლაზიკასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ამბავი არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ჭოროხის არეალში, ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხდებოდა.

სამხრეთ ლაზიკა და „ლაზთა სამეფო“
(ე.წ. „დამოუკიდებელი ტომები“ და ჭანები)

წყაროებში ნახსენები ლაზიკა ორ გეოგრაფიულ ერთეულს მოიცავდა – სამხრეთსა და ჩრდილოეთს, მათი გამყოფი იყო პეტრას ციხესიმაგრე სამხრეთ ლაზიკაში მოიაზრება პეტრას ანუ ხუფათის (თანამედროვე ხოფას) ქვემოთ, ტრაპეზუნტის მიმართულებით მდებარე ტერიტორია ჭანეთის ჩათვლით (ჭანიკა და ე.წ. დამოუკიდებელი ტომების, ანუ „ერთი ხალხის“ საცხოვრისი).

ამჟამად სამხრეთ ლაზიკას (ლაზების ისტორიულ ქვეყანას) ლაზისტანი, ლაზონა, ჭანეთი ეწოდება. მისი დიდი ნაწილი თურქეთშია (ძირითადად რიზეს ოლქში).

ლაზეთის ეს ქვეყანა პროკოფის დროს, ე.წ. „ლაზიკისათვის ომის“ დამთავრებამდე, რომაელთა იმპერიაში იყო მოქცეული, რომლის საზღვარი, პროკოფის სიტყვით, პეტრას ციხესიმაგრესთან გადიოდა.

ამ ომის წინ (მეექვსე საუკუნის სპარსული ხელისუფლების თვალსაზრისით) აქ გამავალი საზღვარი ერთმანეთისაგან ყოფდა სპარსელთა და რომაელთა იმპერიებს, ბიზანტიელებმა აქ პეტრას ციხესიმაგრე ააგეს.

მისი ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა ცნობილია „ლაზთა სამეფოს“ სახელით. ის გარკვეული ავტონომიურობით ხასიათდებოდა, მისი

მმართველი, ბასილევსის წოდებით, თავის თავს უფლებას აძლევდა მოკავშირის სახით ყოფილიყო ხან რომაელთა (ბიზანტიელთა), ხან კი სპარსელთა მხარეს. ამ მდგომარეობას ბოლო მოეღო მე-6 ს. შუა წლებში, როცა ლაზიკა და მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტიელთა ხელში აღმოჩნდა. იქამდე პროკოფი კესარიელის ეპოქის წყაროებში ამ ავტონომიურ ერთეულს „ლაზიკას“ უწოდებდნენ, ხოლო , როგორც აღინიშნა, მის სამხრეთით მდებარე ქვემო ლაზიკა უშუალოდ იმპერიის ნაწილად განიხილებოდა, თუმცა იქ ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი ტომები ცხოვრობდნენ.



პროკოფის ეპოქაში ისტორიული ლაზიკა (თანამედროვე ლაზებით (ჭანებით) დასახლებული რიზე-გუმუშხანეს რეგიონი ტრაპეზუნტის ოლქში) მიიჩნეოდა „რომაელთა ქვეყნაში“ შემავალ ტერიტორიად (პროკოფი კესარიელისდროინდელ წყაროებში).

მაშასადამე, ლაზიკის სამეფოს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა რომაელთა ქვეყნის საზღვრებში შემავალი ლაზონა ანუ ამჟამინდელი ლაზიკა.

ამდენად, ერთმანეთის მეზობლად მდებარეობდა ორი ლაზიკა, ერთი იყო „ლაზთა სამეფო“ („ლაზიკა“, „ლაზთა ქვეყანა“), ხოლო მეორე ლაზონა ანუ ამჟამინდელი ლაზების ქვეყანა ტრაპეზუნტის მიმართულებით (მიიჩნეოდა „რომაელთა ქვეყნის“ ნაწილად).

უკვე „რომაელთა ქვეყნად“ ქცეული ლაზიკა იყო „ლაზთა სამეფოს“ სამხრეთის მეზობელი: მაშასადამე, როგორც აღინიშნა, არსებობდა ორი ლაზიკა, ერთი იყო ე.წ. რომაელთა ქვეყნის ლაზიკა და მეორე – „ლაზთა სამეფო“.

რომაელთა ქვეყნის ლაზიკას, ამჟამინდელ ლაზისტანს, შეიძლება ასევე სამხრეთ ლაზიკა ვუწოდოთ.

ამ სამხრეთ ლაზიკის ტერიტორიაც პოლიტიკურად დაყოფილი იყო, მისი ერთი ნაწილი გუმუშხანედან რიზემდე უშუალოდ შედიოდა ბიზანტიის იმპერიის მმართველობით სისტემაში, ხოლო მეორე ნაწილი ლაზიკისა რიზედან პეტრამდე, მართალია, რომაელთა საზღვრებში იყო მოქცეული, მაგრამ მისი ტომები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაქვემდებარებული ბიზანტიის ხელისუფლებას.

სხვა იყო „ლაზთა სამეფო“ , ის, როგორც ითქვა, პეტრადან აფსილიამდე მოქცეულ მიწა-წყალს ერქვა და გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდა.


VI საუკუნე
№ 62
ლაზიკა - ზემოსაზღვრული მაღალი მთებითა და ციხე-სიმაგრეებით
პირობითი აღნიშვნები
ძველი პუნქტები
თანამედროვე პუნქტები
მთავარი პუნქტები
სასაზღვრო ციხეები
ხიდი
უღელტეხილი
მთის მწვერვალები
გზა
გზა
ლაზიკის სამეფოს საზღვარი
მასშტაბი 1:800.000
Apsilia
(ქობულეთი)
Sebastopolis II
(III-IV ss.)
(ქაჯთაციხე)
Arxeopolis
ბათუმი
ფაზისი
(გონიო)
Moxirs
Dokonis
Hipos
ხუფათი
აფსაროსი
ათინა
Sarapanis
2657
VI-X
2412
Gubazeuli
ბუკის ციხე
(bukloos)
ასპინძისი
მორაპანი
ტაოსკარი
ტაოსარი
ტაოსარის ქედი
ტაოსარის ქედ
ტაოსარის ქედ
ტაოსარის ქედ

Живущие ныне здесь люди не являются подданными ни римского императора, ни царя лазов: только в силу того, что они являются христианами, епископы лазов назначают им священников. Эти племена по доброй своей воле являются в силу договора друзьями и той и другой стороны, причем они согласились все время безотказно служить проводниками тем, кого обе стороны взаимно посылали друг к другу. Повидимому, они так поступали и до моего времени. Тех, которых оба властителя посылают друг к другу в качестве вестников. они перевозят на своих легких судах. Но до сего времени они еще никому не платили дани. Направо от этих мест поднимаются очень отвесные горы н на огромное пространство простирается пустынная страна.

„რიზეს იქიდან იწყება საზღვრები დამოუკიდებელი ტომებისა, რომელნიც რომაელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობენ“.

როგორც აღინიშნა, ლაზების ყველაზე სამხრეთი პუნქტი პეტრას ციხესიმაგრე იყო, ხოლო დამოუკიდებელი ტომების საზღვრები რიზესთან იწყებოდა, მაშასადამე, დამოუკიდებელი ტომები ცხოვრობდნენ რიზესა და პეტრას შუა, ანუ თანამედროვე ხოფასა და რიზეს შუა. პროკოფი, როგორც აღინიშნა, ლაზებს მხოლოდ ავტონომიური ანუ შედარებით თავისუფალი ჩრდილოეთ ლაზიკის („ლაზთა სამეფოს“ მცხოვრებთ უწოდებდა, მათსა და ჭანებს შუა ცხოვრობდნენ ე.წ დამოუკიდებელი ტომები ანუ „ერთი ხალხი“).

VI საუკუნე № 52


„პროკოფი ლაზიკის შესახებ“ (VI ს.)
პირობითი აღნიშვნები
საერთაშორისო გზა იბერიიდან და არმენიიდან შავ ზღვამდე
გზა
მასშტაბი 1:1.300.000
© მატროპოლიტ ანანია ჯაფარიძე, 2011
ბოსფორი
ბიზანტიელები
ბიზანტია
ბოსფორი
ბიზანტიელები
ბიზანტია
ბოსფორი
ბიზანტიელები
ბიზანტია

ქართული წყაროები ბიზანტიის მიერ მე-5 ს-ში რიზეს რეგიონის მიტაცების შესახებ

ვახუშტის ცნობით და ქართული წყაროებით, მეხუთე საუკუნის შუა წლებამდე რიზემდე მდებარე მიწა-წყალი იბერიის (ქართლის სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა.

მე-5 საუკუნემდე კლარჯეთისა და ოძრხის საერისთავოები მოიცავდა შემდგომდროინდელ აჭარას, გურიას, მიწა-წყალს ვიდრე რიზემდე და ორჯოხის მთებიდან დევაბოინუს ქედამდე, ანუ თითქმის არზრუმამდე.

ვახუშტის სიტყვით, ქართლის სამეფოს კლარჯეთის საერისთავოში მე-5 საუკუნის 20-იან წლებამდე შედიოდა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი (ქ.ც. ტ. 4, გვ.657).


IV-VI სს.
№ 37
საზღვრების ცვლილება IV-VI სს-ში
ბიზანტიის მიერ 465 წელს იოანეს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია (ბიზანტიის გადმოწვეს ბიზანტიის მიერ გუგუნა I-ის ფრონტს).
ოქტერნინეს მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია (ბიზანტიის გადმოწვეს ბიზანტიის მიერ გუგუნა II-ის ფრონტს).
სპარსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია
საზღვარი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 62 წლის ზაფთი
საზღვარი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 387 წლის ზაფთი
საზღვარი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 591 წლის ზაფთი
ოქტერნინეს მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის საზღვარი
მასშტ: 1:3.300.000
ПОНТОС ЗДВА
ანაკოფია
ბედია
ციხე
ქუთაისი
ფოთი
ბანანა
ბანძთა
ბარხალი
ბაიბურდი
ერზინკა
ერზრუმი (კარნუ ქალაქი)
(სუფეკი)
ანინის ციხე
387 წ.
62 წ.
ელაზიღი
ლოჯე
ტატვანი
ბითლისი
591 წ.
ნახჭევანი
ბოლნისი
ბოლნისი
ბიჯნისი
ანისი
ბანა
ბანა
ბანა

კერძოდ, მე-6 საუკუნეში იუსტინიანემ ოლქს პეტრადან (ხუფათიდან) აფსილიამდე მიანიჭა ავტონომიური სტატუსი, ცნო მისი მმართველი „ბასილევსის“ წოდებით, მას ამჟამად უწოდებენ ლაზთა სამეფოს.

ლაზიკის სამეფო მოიცავდა შემდგომდროინდელ გურიას, აჭარას, ჭოროხის ხეობას, ხოფამდე მდებარე ტერიტორიას,

„ლაზონა“ მოიცავდა ტერიტორიას უფრო მის სამხრეთით ხოფადან ე.წ. რიზეს „რკინის პალომდე“ და სხვა მიწა-წყალს,

ჭანეთი – ტერიტორიას რიზედან გუმუშხანეს რეგიონის ჩათვლით, შემდეგდროინდელ ქალდეას, სადაც მდებარეობდა კონსტანტინოპოლის ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები.

რიზე საქართველოს სახელმწიფოს (ქართლის სამეფოს) საზღვარი ყოფილა მე-5 საუკუნემდე, შემდეგ საზღვარი ხუფათთან გადიოდა.

ვახუშტი წერს – „რიზე არს მცირე ქალაქი, ამის დასავლეთით ჩამოვარდების მცირე მთა ვიდრე ზღვამდე, ჭანეთის მხრიდან, ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა, აქა არს რკინის პალო, აქავ არს სატყეპელა“ (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. მე-4, 1973, გვ. 507).

რიზეს ე.წ. რკინის პალომდე მდებარე ოლქი ვახუშტისა სხვა ქართული წყაროების ცნობით საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა კლარჯეთის საერისთავოს შემადგენლობაში. კლარჯეთის საერისთავო ზღვისპირთში იწყებოდა რიზესთან და გრძელდებოდა ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს ჩათვლით. ჭოროხის ხეობაში კლარჯეთის საერისთავო გადაშლილი იყო შავი ზღვიდან არსიანის ქედამდე.

რიზედან ხუფათამდე მდებარე ტერიტორია მე-5 ს-ში მიიტაცა ბიზანტიამ და ამის შედეგად ბიზანტიასა და საქართველოს შორის საზღვარი რიზეს ნაცვლად ხუფათთან იქნა გადატანილი.

ქართული წყაროს ცნობით კლარჯეთის საერისთავო ბიზანტიამ მთლიანად მიიტაცა, ბიზანტიური წყაროებიდან კი ჩანს, რომ ამ მიტაცებულ საერისთავოს ბიზანტიამ დაუტოვა ავტონომიის გარკვეულ ხარისხი, მაგრამ ჩამოაჭრა ტერიტორია ხუფათიდან რიზემდე, რომელიც უშუალოდ შეიყვანა იმპერიის შემადგენლობაში. შემდგომში აქ მცხოვრებ ხალხს პროკოფი უწოდებდა „დამოუკიდებელ ტომებს“.

ამ მიწა-წყლის პოლიტიკურ ვითარებას მე-5 ს-ში ასე აღწერს „ქართლის ცხოვრება“–

ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარის დროს ბიზანტიამ მიიტაცა კლარჯეთი, თავისი ზღვისპირით არსიანის ქედამდე, ანუ ლაზიკის ტერიტორია. მემატიანე წერს – „ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა...დაიპყრეს ბერძენთა ზღვითგან არსიანთამდე“ (ქ.ც.1.გვ.136-138).

მიტაცებულ კლარჯეთში ბიზანტიამ განადიდა ადგილობრივი ხელისუფალი, სავარაუდოდ, „განდგომილი“ ერისთავი და მას ბასილევსის წოდება მიანიჭა, რაც ერისთავის წოდების ეკვივალენტურია.

წყაროებში ამ ეპოქაში იხსენიება ლაზთა ბასილევსი (მეფე) გუბაზ პირველი 456 და 465-466 წლებში. ქართული „კლარჯთა ერისთავი“, ბიზანტიური

„ლაზთა ბასილევსი“ უნდა იყოს. მას სურდა ბიზანტიელებისაგანაც დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა, ამიტომაც გადაწყვიტა დაკავშირებოდა ირანს.


ძვ.წ. III სს.
№ 11
საერისთავოები ვახუშტის მიხედვით - კლარჯეთი, ოძრხე, წუნდა (ქ.ც. IV, გვ. 657-659)
პირობითი აღნიშნები
საერისთავოების საზღვარი
უფლისწყალი „ქართლის ჯვარ“
ძიზარკიასთან საქართველოს დამაკავშირებელი ე.წ. „ლაზ ქართველთა“
მასშ: 2.400.000
ეგრისი
ეგრისის საერისთავო
ეგრისი
ეგრისთავი
ეგრისი
ეგრისი
ეგრის

საზღვრები შეიცვალა, სუვერენული ლაზების მიწა-წყალი შემცირდა, საზღვარი რიზედან ხუფათთან (ხოფასთან) იქნა გადატანილი.

ხუფათთან ლაზთა მეფე გუბაზ პირველის დროს საზღვრის გადატანას სხვა წყაროც, დანიელ მესვეტის ცხოვრება, მიუთითებს.

ბიზანტიელებმა და ლაზების მეფემ „დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობა და სიყვარული“ (კ. კეკელიძე, დანიელ მესვეტის ცხოვრება, ეტიუდები, მე-7, 1961, გვ. 5).

ამავე საზღვრებს აღწერს პროკოფი კესარიელიც. თუ პეტრა ხუფათია, როგორც ამჟამად მიიჩნევა, მაშინ ქართლის ცხოვრებისა და პროკოფის ცნობები ერთნაირია. აღსანიშნავია, რომ ორივე წყარო პეტრასა და ხუფათს მართლაც სასაზღვრო პუნქტად მიიჩნევს.

როგორც ითქვა, „ლაზთა სამეფოს“ სამხრეთიდან, ანუ პეტრასთან ესაზღვრებოდა „რომაელთა ქვეყანა“ – (22) К югу от города Петры сразу же находятся границы римлян.

პეტრადან რიზემდე მოქცეულ მიწა-წყალზე მცხოვრები ხალხი, რომელთაც „დამოუკიდებელ ტომებს“ უწოდებს პროკოფი, აღნიშნულის მიუხედავად მაინც არ ემორჩილებოდა „რომაელთა“ ხელისუფლებას.

საუკუნეთა წინ მათ ძიდრიტებს უწოდებდა არიანე და იბერიის მეფე ფარსმანის ქვეშევრდომებად მიიჩნევდა, ახლა კი, მე-6 საუკუნეში ეს ხალხი აღარც იბერიის მეფეს ემორჩილებოდა და არც რომაელებს, თუმცა კი მთლიანობაში, მე-6 საუკუნეში, ეს მიწა-წყალი (ე.ი. ხუფათ-პეტრადან ვიდრე რიზემდე) უკვე ბიზანტიის მიერ იყო ხელდებული, ამის შედეგად პროკოფი კესარიელი ამ მიწა-წყალს „რომაელთა ქვეყანას“ უწოდებს და არა ლაზიკას.

ლაზების ქვეყანათაგან იმჟამად პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნება შეძლო ოლქმა, რომელიც პეტრასთან იწყებოდა და ზღვისპირას, დაახლოებით, 100 კმ-ზე იყო განვრცობილი. მას, როგორც ითქვა, „ლაზთა სამეფო“ ერქვა.

შესაბამისად, პროკოფი ახლა უკვე ლაზებს უწოდებდა ლაზთა სამეფოში მცხოვრებ ხალხს, ხოლო მათ ქვეყანას – ლაზიკას (როგორც აღინიშნა, ის რომაელებში მოიაზრებოდა რიზედან ტრაპეზუნტის მიმართულებით მცხოვრებ ხალხს, რიზესა და პეტრას შორის მცხოვრებ ხალხს კი სახელით არ მოიხსენიებს, მისი სიტყვით, ისინი „დამოუკიდებელი ტომები“ იყვნენ, თუმცა „რომაელთა საზღვრებში“ ცხოვრობდნენ).

პროკოფისა და სხვა ავტორების ცნობით რიზედან პეტრამდე ცხოვრობდა ტომი („დამოუკიდებელი ტომები“), რომელიც არც ლაზთა (იგულისხმება ლაზიკის სამეფო) და არც რომაელთა მორჩილებაში არ იყო, ის წერს–

„За Ризеем начинаются пределы независимых племен, которые живут между римлянами и лазами. Тут расположен некий поселок, по названию Афины... За Афинами лежит Архабис и старинный город Апсарус, который отстоит от Ризея приблизительно на три дня пути. В древности он назывался Апсиртом (Arrian. Peripl. гл. 6. (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга IV. 2).

მაშასადამე, პეტრასა და რიზეს შუა მდებარე ქალაქები ათინა და აფსარუსი ეკუთვნოდათ ე.წ. დამოუკიდებელ ტომებს, მართალია, ისინი უკვე

რომაელთა საზღვრებს შიგნით იყვნენ მოქცეულნი და მათ პონტოელ რომაელებსაც უწოდებდნენ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელნი იყვნენ. ჩანს, მათ თავიანთი კონკრეტული სახელები ჰქონდათ, რომელთაც არ ახსენებს პროკოფი, ზოგადად კი ისინიც ლაზები იყვნენ, რადგანაც ლაზები ზიგანოპოლისიდან და ტრაპეზუნტიდან აფსილებამდე იყვნენ განფენილნი, თუმცა, როგორც ითქვა, სხვადასხვა პოლიტიკური დაქვემდებარების ქვეშ.

ზოგადად კი მთელი ეს ტერიტორია, როგორც ითქვა, იყო ლაზიკა, ხალხი კი – ლაზები.

(აფხაზთა სამეფო ქალდეას თემამდე (ფემამდე) ყოფილა განვრცობილი აბო თბილელის ცხოვრების მიხედვით, მოგვიანებით კი, ოსმალური ძალაუფლების განვრცობამდე, ის გურიის სამთავროს შემადგენლობაში აღმოჩნდა).

საეპისკოპოსოები ლაზიკაში

ეკლესიური ლაზიკა

წმიდა ნინო ლაზიკაში ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით

ლაზების ტომი წყაროებში ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა, ერთნი უშუალოდ ზღვისპირეთსა და ფასისის ხეობაში ცხოვრობდნენ, მეორენი კი მაღალ მთაში – ტრაპეზუნტის სამხრეთ მთაგორებში, რომელსაც ასევე ჭანიკა-ჭანეთი ერქვა. ისინი სხვადასხვა დროს გაქრისტიანდნენ, სხვადასხვა საუკუნეში.

ჭანებს (ქალდებს) ადრიდანვე ერქვათ ალაზონები ანუ ლაზები – ჯერ კიდევ სტრაბონის დროისათვის. ამჟამადაც ლაზები თავიანთ თავს ლაზონებს უწოდებენ, ეს სახელი მომდინარეობს ამ რეგიონში მცხოვრები ტომის სახელისაგან – „ალაზონები“.

სტრაბონი იკვლევს, თუ რომელ ტომს ერქვა სახელი „ალაზონები“ და წერს, რომ ეს სახელი ერქვა ქალდების ანუ ხალიბების ტომს და მიუთითებს მათ საცხოვრისს, იმ ტერიტორიას, სადაც ამჟამად ლაზები ცხოვრობენ (სტრაბონი,12,3,21).

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, სტრაბონი წერს – „ახლანდელი ქალდები, ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია. მისი შემოსავალია თევზ პელამიდებს ჭერა და ასევე ლითონების (ახლა რკინის, ძველად ვერცხლის) ამოღება. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონით სავსე ტყიანი მთები...ჰომეროსი ხალიბებს უწოდებს ალიზონებს“ (სტრაბონი,12,3,20). სტრაბონი იქვე ამატებს –„ზოგნი წერენ ალაზონებს“ (სტრაბონი, 12,3,21).

მაშასადამე, ალაზონები (ალიზონები) ერქვათ ქალდებს (ჭანები), მცხოვრებთ იქ, სადაც შემდგომ, ბიზანტიურ ეპოქაში მდებარეობდა „ქალდეას ფემა (თემი)“, ჭანებს, ასევე ლაზებს უწოდებდნენ. სახელი ლაზები, როგორც ითქ-

ვა, მომდინარეობს სახელისაგან – ალაზონები, აქედანაა ლაზების ქვეყნის სახელი – ლაზონა და ლაზიკა.

ჭანიკა გააქრისტიანა მე-6 საუკუნეში იუსტინიანემ, შესაბამისად, ჭანიკა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა.

გაცილებით უფრო ადრე, მე-4 საუკუნეში გაქრისტიანდნენ ზღვიპირეთის ლაზები, ბიზანტიური წყაროებით (გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი) ამ ლაზების განმანათლებელი იყო იბერთა გამაქრისტიანებელი – წმ.ნინო. შესაბამისად, მე-4 საუკნისათვის ეს ლაზები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ.

მე-4 საუკუნის საეკლესიო ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი გელასი კესარიელი ეხება კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას და წერს, რომ ლაზები და იბერები მოაქცია ანუ გააქრისტიანა წმიდა ნინომ (http//www.world-historo.ro/countries about/581/2259.html).

IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს – იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც – „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

ამ ცნობას იმეორებს მრავალი სხვა ბერძენი და ლათინი ისტორიკოსი მე-5 საუკუნეში. წმიდა ნინო იყო მისიონერი, ეს ნიშნავს, რომ ლაზების გაქრისტიანებისათვის ის პირადად იმყოფებოდა ლაზიკაში. წმიდა ნინოს ლაზიკაში ყოფნისა და მის მიერ საეპისკოპოსო კათედრის დაარსების ცნობას იძლევა თვით ლაზიკის მიტროპოლიტი მე-17 საუკუნისა გერმანე.

იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV-V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23.), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე – „სანატრელი ნუნე წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწ-

ყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან – კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე, ხორენელის ცნობით ამ არეალზე იქადაგა წმ ნინომ.

რადგანაც ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესრიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც დასავლეთ საქართველო წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.

IV ს.-ში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი და უფლის შეწევნით მან ეს მოახერხა. სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა, ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ისევე როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ.545-546).

ჩვენი წყაროების ამ მითითებას, რომ წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ მთლიანად ეთანხმებიან IV-V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები –

კირიონ კათალიკოსი (VI-VII სს.) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს – კირიონ I იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

ქართული წყაროებით კი, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებიდანვე უწყვეტად საქართველოს (მცხეთის) საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა. ქართული წყაროები ამ კუთხით საგანგებოდ შეისწავლა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა – ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47). „ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ დადგენილი და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნება“ (იქვე, გვ. 97). ხოლო რაც

შეეხება ნოტიციებით ცნობილ საისინის, პეტრას, როდოპოლისისა, ზიგანასა და ფასიდის ეპარქიებს, ისინი განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმიშხანეს რეგიონში.

საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობებს, რომ წმიდა ნინო იყო ლაზიკის განმანათლებელი იბერიასთან ერთად, ბოლო საუკუნეში (ათეისტურ ეპოქაში) არ ექცეოდა ყურადღება. მიიჩნეოდა და ამჟამადაც მიიჩნევა, რომ ამ ცნობებს არ ეთანხმება წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ძველი არაბული (დაახლ.VII-VIII სს.) თარგმანი, რომლის მიხედვითაც ლაზიკა იყო წმ. გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის არეალი, სადაც მან დანიშნა კიდეც თავისი ეპისკოპოსი.

ნ. მარმა გრიგოლ განმანათლების არაბულ ხელნაწერში ამოიკითხა, რომ გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსი სოფრონი გააგზავნა ლაზიკაში, ამიტომ ლაზიკა წმ. გრიგოლის სამოღვაწეო არეალი იყო, ნ. მარის აზრით, და არა წმ. ნინოსი.

მაგრამ ნ. მარის ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მალევე გამოიცა ნ. ადონცის ცნობილი ნაშრომი აღნიშნული რეგიონის შესახებ, საიდანაც გამოჩნდა, რომ სინამდვილეში, წმ. გრიგოლის ცხოვრების არაბულ ხელნაწერებში წერია არა სიტყვა „ლაზიკა“, არამედ „არზანენა“.

ნ. ადონციმ გამოიკვლია, რომ ნ. მარმა ხელნაწერში არასწორად ამოიკითხა არაბული თანხმოვანთჯგუფი, რომელიც გადმოსცემს არა სიტყვა „ლაზიკას“, არამედ „არზანენას“. აქედან გამომდინარე, წმ. გრიგოლ განმანათლებელმა ეპისკოპოსი გააგზავნა არა ლაზიკაში, არამედ არზანენაში, ხოლო ლაზიკაში იღვაწა წმ. ნინომ, გელასი კესარიელის ცნობით, რომელიც მას იბერთა მეფე ბაკურისაგან მოუსმენია მე-4 საუკუნეშივე.

ასე, რომ, ლაზეთი არ იყო წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალი და აღნიშნული სოფრონი იყო არა ლაზიკის, არამედ არზანენას ეპისკოპოსი არმენიის სამხრეთ სასაზღვრო მხარეში. მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“, არ ეწინააღმდეგება აღნიშნული ხელნაწერი. ამდენად, ლაზეთი წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალია და არა წმიდა გრიგოლისა.

ამით მართლდება ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“, ე.ი. კლარჯეთი-ლაზიკა და მისი მიმდებარე ჩრდილოეთ რეგიონი მასქუთებამდე წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII ს-ში. 1651 წელს რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და, მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, მან

ლაზეთში, ოფში დააარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული.

მოგვიანო პერიოდის ლაზიკის მიტროპოლიტის ამ ცნობას, რომ ლაზიკის ქრისტიანები თავდაპირველად შედიოდნენ ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში, მთლიანად ეთანადება VI საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობა, რომ რიზე-ათინას რეგიონის ქრისტიანებს ლაზთა ეპისკოპოსები განაგებდნენ ეკლესიურად, მათი იურისდიქცია უფრო სამხრეთითაც ვრცელდებოდა და აფსაროსიდან რიზემდე მცხოვრებ ე.წ. ერთ ხალხსაც მოიცავდა. თავის მხრივ ლაზთა ეპისკოპოსები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ, მოგვიანებით აჭარის რეგიონს ქუთათელი და კათალიკოსი იყოფდნენ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ცნობით საქართველოს ეკლესიის მეთაურებს IV საუკუნიდანვე ჰქონდათ ტიტული „ეპისკოპოს-კათალიკოსი“, ხოლო V საუკუნიდან – „კათალიკოსი“.

პროკოფის მიერ ნახსენები ე.წ. „ერთი „ხალხი“, რომელიც ლაზთა ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდა, მოიცავდა რიზე-ათინას რეგიონს, რომელშიც ქ. ოფიც შედიოდა. როგორც ითქვა, ოფის საეპისკოპოსო კათედრა ივერთა განმანათლებლის, ე.ი. წმიდა ნინოს მიერ დაარსებულად მიიჩნეოდა. ის ლაზიკაში ანუ კლარჯეთის ზღვისპირეთში მდებარეობდა.

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერების მტკიცებით, IV საუკუნეში მდებარეობდა ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააქრისტიანა წმიდა ნინომ. შესაბამისად, ამ რეგიონში მდებარე პიტიუნტის კათედრა მისი დაარსებული ჩანს, ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობის გათვალისწინებით.

როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა IV ს. 10-20-იან წლებში.

ჩანს, ამ დროს დაუარსებია ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში.

ამჟამად მიიჩნევა, რომ სტრატოფილე აფხაზეთის ბიჭვინთიდან იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა აზრისა იყო ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი, ასევე პ. ინგოროყვა და სხვან. მათი აზრით, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა.

ნ.ადონცი თავისი აზრის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული „არმენიის დუქსს“, რომელიც იყო პონტო-მცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი, მაგრამ, ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და მით უმეტეს, მისი ისეთი შორეული რეგიონი, როგორიცაა ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი, აქ არმენიის დუქსს არ შეეძლო თავისი

საჯარისო დანაყოფის დაბანაკება (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ, 212).

პ.ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს, ამასთანავე უთითებეს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს (პ.ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 293).

მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტები იყო პიტიუნტი და ბიჭვინთა.

ქართული წყაროებით ბიჭვინთის საეპისკოპოსო ცენტრი და მისი ეპარქია მხოლოდ ქართული ეკლესიის დაფუძნებულია და ის მუდამ, ათასწლეულთა მანძილზე, მხოლოდ საქართველოს ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, მის ერთ-ერთ უმთავრეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო პიტიუნტი დაარსების შემდეგ, სიახლოვის გამო, უფრო პონტოს რეგიონის ეპარქიებთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

საქართველოს ეკლესიაში ეპისკოპოსთა რიცხვი ჯერ კიდევ წმიდა ნინოს დროს გაიზარდა. წმიდა ნინოს გარდაცვალების ჟამს „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურს უკვე მთავარეპისკოპოსის წოდება ჰქონდა, ხოლო ეპისკოპოსები უკვე მრავლად ყოფილან. ამიტომაც „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, წმიდა ნინომ თავისი ანდერძი გადასცა ამ ეპისკოპოსთა სიმრავლეს – „დახვედრა ეპისკოპოსთა“, მათ შორის წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ოფ-რიზეს კათედრის ეპისკოპოსიც შესაძლოა ყოფილიყო.

ლაზთა ეპისკოპოსები
(ზემო ანუ ჩრდილოეთ ლაზიკის ეპისკოპოსები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში)

პროკოფის ცნობით, ლაზები საუკეთესო ქრისტიანები იყვნენ –

ლაზები, ყველა ადამიანზე უფრო მეტად ერთგულებენ ქრისტიანობას – წერდა პროკოფი მე-6 საუკუნეში – „лазы более всех других людей преданы христианству, в то время как религия персов прямо противоположна их вере“ (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 18-28).

აღსანიშნავია, რომ გელასი კესარიელი ლაზებს კიდევ უფრო ადრე, მეოთხე საუკუნიდანვე გაქრისტიანებულ ხალხად ასახელებს, ის წერს, რომ ლაზები ივერთა განმანათლებელმა ქალმა მოაქცია (http//www.world-histor๏.r๏/countries about/581/2259.html, ასევე გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

გელასი კესარიელის მიერ ნახსენები „ივერთა და ლაზთა განმანათლებელი ქალი“, ცხადია, წმიდა ნინოა.

იბერთა და ლაზთა განმანათლებელი ქალის შესახებ, გელასი კესარიელის გარდა, წერს აგრეთვე გელასი კვიზიკელიც (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობების შესაბამისად, პროკოფის დროს ლაზებს უკვე საუკუნოვანი ქრისტიანობა ჰქონდათ და მათ თავიანთი ეპისკოპოსები უნდა ჰყოლოდათ კიდეც, რადგანაც მათი საც-

ხოვრისი დიდ ტერიტორიას მოიცავდა ზიგანას მთებიდან და არგიოპოლის – გუმუშხანედან ფაზისამდე. ქალაქ ზიგანოპოლისს ამ რეგიონში ასახელებს სტრაბონი.

პროკოფი თავის ნაშრომში ახსენებს „ლაზთა ეპისკოპოსებს“, რომელთა იურისდიქციაში მოქცეული იყო პეტრადან რიზემდე მცხოვრები „დამოუკიდებელ ტომები“, ანუ „ერთი ხალხი“. ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში („ნოტიციებში“) ნახსენებია „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“, სადაც ფასიდის სამიტროპოლიტოში დასახელებულია პეტრას, როდოპოლისის, საისინისა და ზიგანას საეპისკოპოსოები.

ისინი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის უშუალოდ მოსაზღვრე ტერიტორიებზე ახორციელებდნენ თავიანთ იურისდიქციას.

პროკოფის მიერ ნახსენები „ლაზთა ეპისკოპოსები“ თავის იურისდიქციას ახორციელებდნენ ლაზთა სამეფოს მიწა-წყალზე, ე. ი. პეტრადან (ხოფა–ხუფათიდან) აფსილიამდე, და ასევე, როგორც ითქვა, პეტრადან რიზემდე მცხოვრებ ხალხზე.

ხოლო „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მოიცავდა ჭანიკას – გუმუშხანედან რიზემდე მდებარე ტერიტორიას.

ლაზიკისა და არმენიის ცნობილი მკვლევრის პროფ.ნ. ადონცის თანახმად, საისინის, ზიგანას, როდოპოლისისა და პეტრას საეპისკოპოსოები მდებარეობდა ჭანიკა-ქალდეაში ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლისის (შემდგომი არზრუმის) დამაკავშირებელ გზისპირზე. ამ რეგიონსაც ძველთაგავე ლაზიალაზიკა ერქვა, რადგანაც აქ მცხოვრებ ხალხს, სტრაბონის სიტყვით, ალაზონები ერქვათ, ამ ტომის ქვეყანას ამჟამადაც ლაზონია ეწოდება. როგორც ითქვა, ამ რეგიონის ქალაქი იყო ზიგანოპოლისი.

ლაზიკის სამეფო ერქვა ფაზისის ხეობისა და მიმდებარე ზღვისპირეთის ქვეყანას. აქ მცხოვრები ხალხი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ და შესაბამისად, ეპისკოპოსებიც ჰყავდათ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, რადგანაც, წყაროთა თანახმად, მათმა (ე.ი. ლაზთა) გამაქრისტიანებელმა წმ. ნინომ საქართველოს ეკლესია დააფუძნა, შესაბამისად, მისი მრევლი იყვნენ წმიდა ნინოს მიერ მოქცეული ქართველთა ჯგუფები – იბერები და აქ მცხოვრები ლაზები. ხოლო ჭანიკის ლაზონია უფრო გვიან გაქრისტიანდა იუსტინიანეს მიერ და კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა.

ერთი სიტყვით – იუსტინიანეს მიერ გაქრისტიანებული ჭანები ანუ ლაზები კონსტანტინოპოლის მრევლში ირიცხებოდა, ხოლო წმიდა ნინოს მიერ მოქცეული ლაზები – ქართული ეკლესიისა. ლაზიკაში, შესაბამისად, ორი იურისდიქცია ხორციელდებოდა – ქართული და ბიზანტიური.

გელასი ლაზებსა და იბერებს ქართული ეკლესიის მრევლად მიიჩნევს, რადგანაც, მისი სიტყვით, ისინი ერთმა მქადაგებელმა, ივერიის ეკლესიის დამაარსებელმა ქალმა მოაქცია (გააქრისტიანა).

თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, მეექვსე საუკუნისათვის, ჭანებს, გაქრისტიანების შემდეგ, დაუნიშნეს ეპისკოპოსები, ოღონდ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, რადგანაც მათ ქრისტიანობა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის წყალობით მიიღეს.

ჭანების მე-6 საუკუნეში გაქრისტიანების შემდეგ მთელი ლაზი ხალხი ქრისტიანად გადაიქცა, რადგანაც ჭანეთიც ლაზიკად იწოდებოდა. როგორც ითქვა, ჭანებს (ქალდებს) ადრიდანვე უნდა რქმეოდათ ალაზონები, ლაზონები ანუ ლაზები – ჯერ კიდევ სტრაბონის დროისათვის.

შესაბამისად, მე-6 საუკუნისათვის, მას შემდეგ, რაც ჭანები გაქრისტიანდნენ, ჭანების ლაზიკაში – ვრცელ მიწა-წყალზე ჭანეთიდან რიზემდე, მრავალი ქრისტიანული სამრევლო და საეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

ლაზების მიწა-წყალზე რამდენიმე განსხვავებული საეკლესიო იურისდიქცია არსებობდა, კერძოდ, ისტორიული ზიგანოპოლისიდან (შემდგომი გუმუშხანედან) ვიდრე რიზემდე მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები – როდოპოლისისა, საისინისა, ზიგანასი და პეტრასი.

(როდოპოლისის კათედრა მდებარეობდა შემდგომი სუმელას მონასტერის მახლობლად), საისინისა – სისილონთან, ზიგანასი (ზიგანეონისა) – გუმუშხანესთან, პეტრას კათედრა კი – ბაიბურდთან ნ.ადონცის კვლევით). ამ პუნქტებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღიშნული საეპისკოპოსოები იყო განთავსებულნი.

რაც შეეხება რიზედან პეტრამდე (ხოფამდე) მდებარე ლაზიკის მიწა-წყალს, პროკოფის დროს, აქ მცხოვრებ ხალხს მღვდლებს ლაზთა ეპისკოპოსები უგზავნიდნენ. ლაზთა ეპისკოპოსებს კი პროკოფი, ჩანს, უწოდებდა მცხეთის ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ლაზთა სამეფოში მდებარე კათედრათა ეპისკოპოსებს, განვიხილოთ ეს იურისდიქციები:

პროკოფის ცნობით, ლაზებს თავიანთი ეპისკოპოსები ჰყავდათ. როგორც ითქვა, ის ლაზებს უწოდებს ლაზთა სამეფოს მცხოვრებთ, ამ სამეფოსა და ბიზანტიის საზღვარი გადიოდა პეტრასთან ანუ ხუფათთან (ხოფასთან), ამ მიწა-წყალზე მთავარი მდინარე ჭოროხი ანუ ფაზისი იყო. ქართული წყაროებით ჭოროხის ხეობის ეკლესია-მონასტრები და მრევლი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს და ნაწილი კი ქუთათელ ეპისკოპოსს, წყარო წერს –

„დახატულას ზედათი, ანკერთს აქეთი, სულა შავშეთი, მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოსის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა ... ამ ეპისკოპოსთა მწყემსი და უპირატესი საქართველოს კათალიკოსი ამის ხელათ ყოფილან“ (ქრონიკები, II, 1897, გვ. 53-54). შესაბამისად,ის „ლაზთა ეპისკოპოსები“, რომელნიც რიზედან ხუფათამდე მცხოვრებ ე.წ. „ერთ ხალხს“ უგზავნიდნენ მღვდლებს – ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ. თუმცა ვითარება შეცვლილა მე-6 საუკუნის შემდეგ, რაც ბიზანტიამ ამ მხარეებიდან (ლაზიკიდან) განდევნა სპარსეთი.

სამიტროპოლიტო ლაზიკაში

(სამხრეთ ლაზიკა (ჭანიკა) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში)

სტრაბონი კოლხიდასთან აკავშირებს ქ. ზიგანოპოლისს, სამხრეთ ლაზიკის ქალაქს.

სტრაბონის რუკაზე ზიგოპოლისი (ზიგანა, სადაც შემდგომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსო კათედრა იყო), მდებარეობს ტრაპეზუნტის მახლობლად გუმუშხანესთან, ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლის (არზრუმის) გზაზე და ის ბიზანტიურ პერიოდში ქალდეას თემში შედიოდა. ზიგანას ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ზიგანევს უწოდებს.

ზიგანა, ძველი ზიგანოპოლისი, ჭანების ქვეყანაში მდებარეობდა.

იუსტინიანეს დროს, მე-6 საუკუნეში, ჭანების გაქრისტიანების შემდეგ, ცხადია, ჭანეთში საეპისკოპოსოები უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგანაც ჭანები, ანუ ლაზები დიდი, ცნობილი ტომი იყო, ისინი ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ლაზურ ანუ ჭანურ ოლქთაგან ზოგიერთი ბიზანტიის მიერ იყო ხელდებული, ზოგიერთს კი არ ფლობდა ბიზანტია.

ძველთაგანვე ჭანები ლაზებად მიიჩნეოდნენ და მათ საცხოვრისსაც ლაზიკას უწოდებდნენ, ამიტომაც ამ ქვეყანაში არსებულმა საეკლესიო ოლქმა მიიღო სახელწოდება – „სამიტროპლიტო ლაზიკაში“.

ჭანების გაქრისტიანების შემდეგ მათ ქალაქებში – ზიგანაში, საისინსა, როდოპოლისსა და პეტრაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თავისი ეპისკოპოსები დააფუძნა. მათი საეკლესიო ცენტრი თავდაპირველად ფასიდი (ფაზისი) იყო (ამ სახელს რამდენიმე პუნქტი ატარებდა სხვადასხვა დროს, ერთ-ერთი, ჩვენთვის საინტერესო პუნქტი, ჩანს, რიზესთან მდებარეობდა), შემდეგ კი ტრაპეზუნტი.

როგორც აღინიშნა, სტაბონის მტკიცებით, ზიგანოპოლისი კოლხიდაში ანუ ლაზიკაში მდებარეობდა. ჭანეთის აღნიშნულ საეპისკოპოსოებს (როდოპოლისს, საისინს, ზიგანას, პეტრას) ერქვა „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“.

მაშასადამე, სტრაბონის კოლხიდა ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარე იყო, სადაც ზიგანოპოლისი, რიზე, ათინა და სხვა ქალაქები შედიოდა, რომელსაც ჰეროდოტეს დროიდანვე კოლხიდას უწოდებდნენ. მისი ადგილობრივი სახელია „ლაზონა“ (ამჟამინდელი ლაზისტანი). მე-7 საუკუნის ანონიმური ავტორის „სომხურ გეოგრაფიაში“ მას „ლაზივი“ ეწოდება. ამჟამადაც ამ რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას ლაზონები – ლაზები ჰქვია.

ჭანების ქვეყანა ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარეობდა, ტრაპეზუნტიდანვე, ზოგიერთი ავტორის ცნობით, იწყებოდა კოლხიდა, რომელსაც მე-5 საუკუნეში უკვე ლაზიკა ერქვა, მე-5 საუკუნის წყარო, ე.წ. ანონიმი წერს, რომ კოლხები ლაზებად იწოდებიან, ჭანების ქვეყანაც ამ დროს ლაზიკად იწოდებოდა – „От Диоскурии (которая также называется Себастополем) до р.Апсара раньше жил народ, который назывался колхами и затем перемеиновался в Лазы“. Аноним V века. აქ შემდგომ ქალდეას თემში მე-6 ს. ბოლოდან და მე-7

საუკუნეში ჭანების საყოველთაო გაქრისტიანების შემდეგ, კონსტანტინოპოლმა დააარსა საეპისკოპოსო კათედრები – ძირითადად ტრაპეზუნტ-ტეო დოსიოპოლის(არზრუმის) გზისპირას, რადგანაც ამ გზით გაცხოველებული საერთაშორისო ვაჭრობის გამო გზისპირა რეგიონი ეკონომიკურად განვითარებული იყო და ბიზანტია აქ აარსებდა კიდეც ქალაქებს, ერთი მაგალითია თეოდოსიოპოლი, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ იმპერატორები. ამ გზისპირას, ზიგანას უღელტეხილთან, ამავე სახელის მქონე ქალაქ ზიგანაში დაეფუძნა ერთ-ერთი კათედრა, ასევე ამ გზისპირას განლაგდნენ საისინისა (არდასასთან) და როდოპოლისის (შემდგომ სუმელას მონასტრის სიახლოვეს) კათედრები.

ეს ეპარქიები, ნ.ადონცის კვლევით, ისტორიულ მდებარეობდა ჭანეთში (შემდგომ ქალდეაში), გუმუშხანე, სუმელას რეგიონში, და ისინი უნდა ჩამოყალიბებულიყო მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ მე-6 საუკუნეში ჭანები გააქრისტიანა. იქამდე კი ზღვისპირეთში მცხოვრები „ერთი ხალხი“ ლაზთა ეპისკოპოსების მიერ დანიშნულ სამღვდელოებიდან იღებდნენ სულიერ საზრდოს, თავის მხრივ კი ლაზთა ეპისკოპოსები კათალიკოსს ექვემდებოდნენ. ერთი ხალხი მცხეთას ექვემდებარებოდა ეკლესიურად იქამდე, სანამ საბოლოოდ არ დაიმორჩილა ბიზანტიამ. ამის შესახებ ცნობა გვაქვს ლაზთა მე-17 ს. მიტროპოლიტისაგან, რომ ოფ-რიზეს რეგიონში ქრისტიანობა ივერთა განმანათლებელმა ქალმა გაავრცელა, ე.ი. მე-4 ს-დანვე ერთი ხალხის ტერიტორია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო.

„ფასიდის სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქიები ბიზანტიურ წყაროებში მე-7 საუკუნიდან იხსენიება“ (გეორგიკა,1952, ტ. 4, ნაკვ. 2, გვ. 130). იმავეს წერს მიხ.თარხნიშვილი.

ჭანების გაქრისტიანების (მე-6 ს.) შემდეგ ამ ჭანიკა-ლაზიკაში მე-7 საუკუნიდან (მ. თარხნიშვილი) კონსტანტინოპოლმა დააარსა ზიგანა-როდოპოლის – პეტრა-საისინის საეპისკოპოსოები. რიზედან პეტრამდე მცხოვრები „ერთი ხალხის“ ანუ „დამოუკიდებელი ტომების“ საეკლესიო იურისდიქცია.

პროკოფი წერს – „За Ризеем начинаются пределы независимых племен, которые живут между римлянами и лазами (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

Живущие ныне здесь люди не являются подданными ни римского императора, ни царя лазов: только в силу того, что они являются христианами, епископы лазов назначают им священников. Эти племена по доброй своей воле являются в силу договора друзьями и той и другой стороны, причем они согласились все время безотказно служить проводниками тем, кого обе стороны взаимно посылали друг к другу. Повидимому, они так поступали и до моего времени. Тех, которых оба властителя посылают друг к другу в качестве вестников. они перевозят на своих легких судах. Но до сего времени они еще никому не платили дани. Направо от этих мест поднимаются очень отвесные горы н на огромное пространство простирается пустынная страна.

„რიზეს იქიდან იწყება საზღვრები დამოუკიდებელი ტომებისა, რომელნიც რომაელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობენ. ლაზების ყველაზე სამხრეთი პუნქტი იყო პეტრას ციხესიმაგრე, ხოლო დამოუკიდებელი ტომების

საზღვრები რიზესთან იწყებოდა. მაშასადამე, როგორც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი ტომები ცხოვრობდნენ რიზესა და პეტრას შუა, ანუ თანამედროვე ხოფასა და რიზეს შუა.

როგორც აღინიშნა, ამ მიწა-წყლის საეკლესიო იურისდიქციას ეხება ლაზთა მიტროპოლიტი თავის ძვირფას ცნობაში. რუსეთში 1646-1652 წლებში ჩასული ლაზთა მიტროპოლიტი აცხადებდა, რომ მისი კათედრა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნიდან ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო. მისი კათედრა ოფ-რიზესთან მდებარეობდა. კერძოდ, ის აცხადებდა, რომ ოფ-რიზეს რეგიონში ქრისტიანობა ივერთა განმანათლებელმა ქალმა გაავრცელა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 226). იმავე ცნობას თითქმის 1300 წლით ადრე იძლეოდა გელასი კესარიელი, როგორც ეს უკვე აღინიშნა რამდენჯერმე.

ლაზიკის მიტროპოლიტის ეს ცნობა დასტურდება უფრო ძველი სხვა ცნობებით, როგორც რამდენჯერმე აღინიშნა –

Лазика – согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского – входила в ареал подвижничества св. Нины (Георгика, I, 1961, стр. 186). Сведениям Геласия Кесарийского о том, что Лазику обратила св. Нина, соответствует сведение митрополита лазского Германа (XVI в.), что женщина просветительница Иверии в Лазети (Лазика), в регионе Ризе основала митрополитскую кафедру города Офи (პ. ინგოროყვა, იქვე).

მე-17 ს. ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობიდან ჩანს, რომ მე-4 საუკუნიდან ოფ-რიზე-აფინას რეგიონი ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც ოფ-რიზეს საეპისკოპოსო კათედრა ივერთა განმანათლებელი ქალის მიერ იყო დაარსებული. ეს ცნობა ეთანადება რამდენიმე სხვა პირველხარისხოვან წყაროს. როგორ ითქვა, არიანეს მიხედვით არქაბეს რეგიონში ანუ ოფ-რიზესთან მცხოვრები ძიდრიტები იბერიის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, ამავე წრის წყაროა გელასი კესარიელის ცნობა, რომელიც გვამცნობს, რომ იბერები და ლაზები ივერთა მომაქცეველმა ქალმა გააქრისტიანა, შესაბამისად, ლაზთა ეპისკოპოსები ჯერ კიდევ პროკოფის დროს მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში უნდა ყოფილიყვნენ. პროკოფის ცნობით ეს ლაზთა ეპისკოპოსები, რომელთაც კათედრები, ჩანს, ჭოროხის ხეობაში, ლაზთა სამეფოში ჰქონდათ, უგზავნიდნენ მღვდლებს აღნიშნულ „დამოუკიდებელ ტომებს“ მცხოვრებთ რიზედან ვიდრე პეტრამდე.

„დამოუკიდებელი ტომების“, ე.წ. „ერთი ხალხის“ ქვეყანაში, ვინაიდან, პროკოფის თქმით, ბიზანტია ჯერ კიდევ ვერ ახორციელებდა სრულ პოლიტიკურ კონტროლს, შესაბამისად, არ ვრცელდებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქცია, ამიტომაც მათ ლაზთა ეპისკოპოსები უგზავნიდნენ მღვდლებს მე-6 საუკუნეში. მაგრამ ვითარება შეიცვალა სპარსეთის საბოლოო დამარცხების შემდგომ მე-6 ს. ბოლოდან და მე-7 ს. დასაწყისში. აქაური „დამოუკიდებელი ტომები“ სრულებით დაიმორჩილა ბიზანტიამ. ამის შემდეგ აქ (ოფ-რიზეს რეგიონში) ჩამოყალიბდა ბიზანტიური ფასიდის სამიტროპოლიტო, ხოლო ჭანეთ-სუმელას რეგიონში ოთხი საეპისკოპოსო – ზიგანა, პეტრა, საისინი და როდოპოლისი. ისინი ფასიდის სამიტროპოლიტოს დაუმორჩილეს.

აფსილები და სხვა ტომები ქრისტიანებია

Так вот река Фазис, протекая той дорогой, как я описал раньше, впадает в конечную часть Эвсинского Понта, на краях залива – полумесяца; на одной его стороне, принадлежащей Азии, находился город Петра, а на противоположной стороне берега, принадлежащего уже Европе, находится область апсилиев: они подданные лазов и с давних уже времен христиане, как и все остальные племена о которых я упоминал в этом рассказе (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга IV. 2).

აბაზგები

За Апсилиями и за вторым краем этого „полумесячного» залива по берегу живут абасги и, границы которых простираются [19] до гор Кавказского хребта, აბასგებს აუშენეს ღვთისმშობლის ეკლესია და დაუნიშნეს მღვდლები Тогда же император Юстиниан воздвиг у абасгов храм богородицы и, назначив к ним священников, добился того, чтобы они приняли весь христианский образ жизни. В скором [20] времени абасги, низложив своих царей, решили жить на свободе. Так шли дела здесь (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга IV. 3).

საეკლესიო იურისდიქცია ლაზიკაში

ლაზიკის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვსსაქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დასადგენად პირველ ათასწლეულში, რადგანაც ლაზიკაში – პეტრაში, როდოპოლისში, საისინსა და ზიგანაში, VI-X საუკუნეებში მოქმედებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის კათედრები.

საჭიროა გამოკვლევა იმისა მდებარეობდნენ თუ არა ისინი დასავლეთ საქართელოში თუ ქალდეა-ლაზისტანის რეგიონში ტრაპეზუნტის ოლქში (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, რუსულ ენაზე, 1908, გვ. 100).

ამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა წმიდა სინოდმა 2012 წლის 5 ივლისს და გამოიტანა საგანგებო სასინოდო დადგენილება –

„წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, – კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართ-

ველოისა“, ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545-546).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აღნიშნულ განსაზღვრებას, რომ დასავლეთ საქართველო ეკლესიურად მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ეთანადება უცხოურ წყაროებს.

კერძოდ, მე-4 ს. ისტორიკოსი გელასი კესარიელი წერს წმიდა ნინოს შესახებ – იმპერატორ კონსტანტინეს დროს „საღმრთო სჯული მიიღეს პონტოსპირეთში ივერებმა და ლაზებმა. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი ქალი, რომელიც მათთან ტყვედ იყო“ (გეორგიკა, 1,1961, გვ. 186). მართალია, გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორია არ შემორჩენილა, მაგრამ მისი ცნობები შემოინახა.http://world-histor.ru/coutries%20abut/581/2259.html

იმავეს წერს მე-5 საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელი – „ამავე დროს პონტოსპირეთში მცხოვრებმა ივერებმა და ლაზებმა, მიიღეს სიტყვა ღმრთისა“ (მიმომხილველი, 1,1961, გვ. 55).

ამრიგად, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის (ასევე სხვათა) ცნობების მიხედვით მთელმა ქართველმა ხალხმა, როგორც უშუალოდ ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა, რომელთაც ლაზებს უწოდებდნენ, ასევე ქვეყნის სხვა ნაწილში მცხოვრებმა ივერებმა ერთდროულად მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება წმიდა ნინოს მიერ, თითქმის ზუსტად იმავეს წერს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „ყოველმა სავსებამ ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ ნათელი მიიღო წმიდა ნინოს მიერ. ეს კრება იმასაც წერდა მე-12 საუკუნეში, რომ უფრო ადრე, თვით წმიდა ანდრია მოციქულმა იქადაგა სრულიად საქართველოში ანუ ივერთა და ლაზთა შორის.

აღსანიშნავია, რომ მე-5 საუკუნის სომეხი სიტორიკოსი მოვსეს ხორენაცი იმავეს წერს, რომ წმიდა ნინომ იქადაგა შავი ზღვისპირეთიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე, მან იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე, – „ნეტარმ ნუნემ იქადაგა სახარება ალანებამდე და კასპიამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას იუწყება აგათანგელოზი“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აქ ნახსენები ქართული პროვინცია კლარჯეთი შავი ზღვის ახლოს და მის პირეთში მდებარეობდა. როგორც წყარო წერს „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“, ხოლო მასქუთების ხალხი (ასაგეტები) იმჟამად კასპიისპირეთში ცხოვრობდნენ. მოვსეს ხორენაცის თანახმად, ამ არეალზე, ზღვიდან ზღვამდე მცხოვრები ქართველი ხალხი განანათლნა წმიდა ნინომ და მის დროს დაარსებული საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციაში ამ არეალს მოიცავდა მე-4 საუკუნეში, მე-4 ს. ბოლოს მეფე ვარაზ ბაკურის დროს კლარჯეთის ერთი ნაწილი ბიზანტიამ მიიტაცა, რომელიც დაიბრუნა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ შემდეგ, მე-6 საუკუნეში, იუსტინიანეს დროს ისტორიული კლარჯეთის სამხრეთი ნაწილი, ჭანეთი, ბიზანტიის ხელში აღმოჩნდა, ისინი მას ლაზიკას უწოდებდნენ და აქ იქნა დაარსებული ბიზანტიური ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები, ხოლო ლაზიკის ჩრდილოეთი ნაწილი და მთელი დასავლეთ საქართველო, რომელსაც იმჟამად ეგრისი ერქვა, შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამის შესახებ მიუთითებს სომხური

წყარო და ამ ცნობას იძლევა გამოჩენილი სომეხთა კათალიკოსი (898-929) და ისტორიკოსი იოანე იგივე ოვანეს დრასხანაკერტცი.

კირიონ, კირონ], католикос Картли (Мцхетский) (ок. 599-614/616)

მე-9 და მე-10 საუკუნეებში განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდნენ სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების ისტორიას, ამ საკითხს მე-10 ს. სომეხმა ისტორიკოსმა უხტანესმა დიდი ნაშრომი მიუძღვანა, რომელშიც განსაკუთრებით ხაზგასმითაა მითითებული ჯერ კიდევ მოვსეს ხორენაცის ეპოქიდან სომხურ საზოგადოებაში ფესვგადგმული თვალსაზრისი. კერძოდ, მიიჩნეოდა, რომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, ნაბუქოდონოსორის დროიდან, ქართველთა თავდაპირველი ბუდე იყო პონტოსპირეთი ანუ დასავლეთ საქართველო, სადაც გამრავლდა ქართველობა, იქცა დიდ ხალხად და ეს დიდი ხალხიო, დანანებით წერს უხტანესი, ჩვენ ჩამოგვაშორა კირიონ I კათალიკოსმაო. როგორც ის წერს, დასავლეთ საქართველოში გამრავლებულმა ქართველობამ „აავსო მიმდებარე მხარეები, ვიდრე სომხეთამდე და ალბანეთამდე... ქვეყანას ამჟამად ჰქვია აფხაზეთი, მაგრამ თვითონ ხალხს ქართველებს უწოდებენო“.

უხტანესი წერს – „А вот племя, обосновавшееся на берегу Понта, возродилось, разумножилось вдоль моря, овладело тем краем и распространилось до границ армян и албанцев; образовался довольно многочисленный народ, и то государство зовется Абхазией . Несметны имена каждого гавара, обитающего вокруг нее и других гаваров вокруг Тбилиси, как то: Цанарети, Джавахети, Триалети. Разумножились и увеличились и возникло племя, которого в своей первой стране называют Верней, а здесь называются грузинами“ (Ухтанес. История отделения грузин от армян, Тбилиси, 1975, с.66-67).

в своей первой стране называют Верней ანუ ვერია, ივერია.

უხტანესი უხსნის თავის მკითხველს, რომ მათი ეპოქის ქართველთა ქვეყანაა აფხაზეთი, რომლის მკვიდრი მოსახლეობა ქართველობა, დასავლეთ საქართველოს გარდა, ცხოვრობს წანარეთში (კახეთსა და მთიულეთში), თრიალეთში და ჯავახეთში ვიდრე ალბანეთამდე და სომხეთამდე, და ეს ხალხი, სომხურ ეკლესიას განაშორა კირიონ ქართლის კათალიკოსმა, ანუ მისი ცნობით კირიონის ეპოქაში და უფრო ადრეც პონტოსპირეთი, ბუდე ქართველობისა, დასავლეთ საქართველო შედიოდა ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. ამ ცნობას, რომ დასავლეთ საქართველო ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა კირონ კათალიკოსის დროს, უფრო პირდაპირ წერს იოანე დრასხანაკერტელი. ის წერს, რომ მე-6 ს. ბოლოს კირიონი, „ძველი, წინანდელი კანონების შესაბამისად მცხეთის ტახტზე აყვანილ იქნა „ივერთა, გუგართა და ეგრების“ კათალიკოსად.

По сведениям арм. историка католикоса Ованнеса Драсханакертци, в кон. VI в. К., „согласно прежним законам“, был возведен в сан католикоса иверов, гугаров и эгров (Ованесс Драсханакертци. История Армении / Пер. с древнеарм.: М. О. Дарбинян-Меликян. Ереван, 1984, с. 55).

ივანე ჯავახიშვილის აზრით (ივ. ჯავახიშვილი, ქეი, 1960, 341-342), იოანე დრასხანაკერტელის განსაზღვრება, რომ მცხეთელი კათალიკოსი იმავდროულად იყო არა მხოლოდ ივერთა, არამედ ასევე ეგერების ანუ სამეგრელოს ასევე გუგარეთის ანუ გუგარქის კათალიკოსი, საშუალებას იძლევა

მტკიცებისა, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში აღმოსავლეთ საქართველოს გარდა შედიოდა დასავლეთ საქართველო (ეგრისი) და ასევე ვრცელი მიწა-წყალი თბილისიდან ვიდრე ტაომდე (გუგარქი), (Митр. Анания (Джапаридзе), Кирион (ок. 599-614/616), Православная энциклопедия, т. 34).

შეიძლება ითქვას, რომ გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, უხტანესის, იოანე დრასხანაკერტელის და სხვა ცნობები და წყაროები ერთმანეთს ეთანადება და ერთგვარად ამტკიცებს რუის-ურბნისის ძეგლისწერის ცნობას, რომ დასავლეთ საქართველო ერთიანი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მისი ჩამოყალიბების დროიდანვე. როგორც ის განსაზღვრავს, წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანას საქართველოისასა, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ანუ ლაზები, ივერები, ეგერები, გუგარელები და სხვა. შესაბამისად, მათი აზრით, დასავლეთ საქართველო არ ყოფილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, არამედ ქართული ეკლესიისა უკვე მე-4 საუკუნიდანვე, ხოლო, როგორც მრავალჯერ ითქვა, კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქაღთველოს, არამედ მიტაცებული ჭანიკის მიწა-წყალს, აქ მდებარეობდა როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანევის ბერძნული კათედრები.

აღსანიშნავია, რომ გელასი კესარიელისა და სხვათა ცნობას (რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზები) ადასტურებს მე-17 საუკუნის ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე. მან 1651 წელს წერილობითი სახით რამდენჯერმე მოახსენა რუსეთის მეფე ალექსი მიხაილოვიჩს, რომ რიზეს რეგიონში ქალაქ ოფში პირველი საეპისკოპოსო კათედრა დააარსა წმიდა ნინომ და ეს რეგიონი თავდაპირველად ქართული ეკლესიიის (როგორც ის წერდა – ივერიის) იურისდიქციაში შედიოდა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 347).

აღსანიშნავია, რომ პროფ. ნ. ადონცი ამტკიცებდა, რომ ცნობილი პიტიუნტის კათედრა, რომლის ეპისკოპოსი სტრატოფილე I მსოფლიო კრებაში მონაწილეობდა, მდებარეობდა არა აფხაზეთში, ბიჭვინთაში, არამედ ოფ-რიზეს რეგიონში (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 203).

თუ ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ ოფის საეპისკოპოსო კათედრა წმიდა ნინომ დააარსა, და თუ სწორია ნ. ადონცის მტკიცება, რომ ცნობილი პიტიუნტის კათედრა ოფ-რიზესთან მდებარეობდა, მაშინ სტრატოფილე წმიდა ნინოს მიერ ანუ მისი რეკომენდაციით იქნა დადგენილი ოფის ანუ პიტიუნტის კათედრაზე (თუ ოფი არის იგივე პიტიუნტი ძველი წყაროებისა, როგორც ამას ნ. ადონცი ამტკიცებდა).

ვ. გოილაძის კვლევით, წმიდა ნინო 303 წელს შემოვიდა საქართველოში, ქართლში შესვლამდე ის, გელესი კესარიელის ცნობიდან გამომდინარე, ლაზთა შორის მოღვაწეობდა, ალბათ ამ დროს დააარსა მან ოფის კათედრა, ივერია კი 317-319 წლებში საბოლოოდ მოუქცევია და დაუარსებია ერთიანი ანუ ივერთა და ლაზთა ეკლესია, ამ ერთიანი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ 325 წლის ნიკეის კრებაზე სტარტოფილე პიტიუნტელი ანუ ოფელი, იმ შემთხვევაში, თუკი სწორია ლაზიკის ეპისკოპოს გერმანესა და ნიკოლოზ ადონცის ცნობები.

ზოგადად, ისტორიული ლაზიკა ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა, ეს იყო ტრაპეზუნტის მახლობლად პონტოს პროვინციაში შემავალი ჭანეთის მთიანი რეგიონი სამხრეთით, რომელიც უშუალოდ იმპერიაში შედიოდა (შემდეგ მოიცვა ქალდეას ფემა), სადაც განლაგებული იყო კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქიის კათედრები და მისი ჩრდილოელი მეზობელი ლაზიკა ანუ ავტონომიური ლაზთა სამეფო, მდ. ფაზისის ანუ ჭოროხის ზღვისპირეთის რეგიონი.

ლაზთა სამეფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა აფსილია, მდ. სუფსას ხეობაში, დასავლეთიდან – შავი ზღვა, აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა არსიანის ქედზე და აქ ესაზღვრებოდა ივერიას.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის ლაზიკებს ერთმანეთისაგან საზღვრავდა პეტრას ციხე-ქალაქი ზღვისპირზე (ამჟამინდელი ხოფა თურქეთში, ქართული ხუფათი). არსიანის ქედზე მდებარეობდა ცნობილი ლაზური ციხეები სკანდა და სარაპანისი, სკანდა 2600 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც პროკოფის ცნობით არ ხარობს ვენახი და არ მოდის არავითარი მოსავალი მაღალმთიანობის გამო.ისაა დღესაც მოქმედ არტანუჯისა და არტაანის შემაერთებელ გზაზე, ამ ადგილს ახლა იალნიზჩამი ეწოდება, აქაა ორი დიდი ციხის ნანგრევები ე.წ. ქინძოტამალის ზეგანზე. ეს გზა არტაანიდან მიდიოდა მტკვრამდე, აქ გზა იტოტებოდა, აქედან ეს გზა ჩრდილოეთის მართულებით შედიოდა ივერიის სიღრმეში, ასევე არტაანიდან მიემართებოდა აღმოსავლეთით დვინის გავლით სპარსეთისაკენ, ხოლო სამხრეთის მიმართულებით არტაანს აერთებდა ტრაპეზუნტთან. ანუ ეს გზა შავი ზღვის ნავსადგურ პეტრას (ხუფათს) აერთებდა სომხეთის გავლით სპარსეთთან და ასევე ივერიასთან, არტაანი ივერიაში შედიოდა, ხოლო არტანუჯი ლაზიკაში მე-6 საუკუნისთვის, ამ საერთაშორისო სავაჭრო გზამ გაამდიდრა ქალაქი არტანუჯი მე-10 საუკუნისათვის, როგორც იუწყება კონსტანტინე პორფიროგენეტი.

სარაპანისები, ვითარცა მგზავრთა და სავაჭრო ქარავანთა დამცველი და მოსასვენებელი მცირე ციხესადგური სასანიდური სპარსეთის გზებზე შენდებოდა ყოველ 30 კილომეტრში, აღნიშნულ ქალაქ პეტრას (ხოფას) ჭოროხზე (ფასისზე) გამავალი სანაოსნო გზით აერთებდა ართვინთან, შეიძლება მას ერქვა სარაპანა სტრაბონის ეპოქაში (და არა ზესტაფონის შოროპანს, ერთი ასეთი სახელის პუნქტი – შორაპანი გურიაშიც არის), ხოლო პროკოფი კესარიელის დროს სხვა ადგილას, ამავე გზაზე, არტანუჯსა და არტაანს შორის მაღალმთიანეთში.

ანუ სტრაბონის დროს ართვინ-არტანუჯ-არტაანის გზაზე ასეთი ერთ-ერთი სარაპანა უნდა ყოფილიყო ართვინი, მას უნდა ახსენებდეს სტრაბონი იბერიაში შემავალი ოთხი გზის აღწერისას, ერთ-ერთი იბერიაში შემავალი გზა იყო აღნიშნული ხოფა-ართვინ-არტანუჯ-არტაანის გზა.

სტრაბონი ამ გზის შესახებ წერდა – „ ფაზისი სანაოსნოა სარაპანამდე, ამ სიმაგრეში მთელი ქალაქის მოსახლეობა დაეტევა, აქედან უკვე სახმელეთო გზით, არსებული შარაგზით, მიდიან მდინარე მტკვრამდე (კირამდე)“.

Фасис судоходен до Сарапан – крепости, в которой может поместиться население целого города. Отсюда сухим путем по проезжей дороге доходят до Кира.

სპარსეთში გზები კეთილმოწყობილი იყო და ყველაზე უსაფრთხოდ ითვლებოდა, რადგანაც მას მუდმივად იცავდნენ

სპარსულ გზებს სამეფო გზასაც უწოდებდნენ, რადგანაც საგანგებოდ აშენებდნენ, მაგალითად, აგათიას ცნობით, პეტრასთან ომების დროს ფაზისამდე მისასვლელ საგანგებო გზას 2000 მუშა აგებდა. რადგანაც მდ. ფაზისის სანაპირო და თვით ქალაქის მისადგომიც სპარსეთის მხრიდან მეტად კლდოვანი იყო და, მისი ცნობით, სწორედ ამ კლდეებს ქალაქ ფაზისთან ანგრევდა 2000 მუშა. გზები ვაჭრობის განვითარებისა და ჯარის სწრაფი გადაადგილებისათვის იყო საჭირო, ამ გზით, ანუ არტაან-არტანუჯ-ართვინ (სარაპანა)-ხოფას (პეტრას) გზით თვით შაჰმა ხოსრომ იმგზავრა ლაზიკისათვის ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს.

ამ სპარსულ გზებთან აგებდნენ საგანგებო სადგურებს (გაჩერებებს) ყოველი ნახევარი დღის გზაზე, სხვა ცნობით, დაახლოებით ყოველ 30 კილომეტრში, ამ გზისპირა სადგურებში შეიძლებოდა ცხენების შეცვლა, მგზავრთა დასვენება და გამოკვება. ერთი ცნობით სწორედ ამ სადგურებს სპარსულად ერქვათ სარაპანა, სხვათა აზრით ესაა ქართული სიტყვა და აღნიშნავს იმავეს, მგზავრთა მოსასვენებელ ადგილს ან სიმაგრეს მგზავრების მოსვენების უზრუნველსაყოფად. ასეთი ერთ-ერთი სარაპანა უნდა ყოფილიყო ჭოროხისპირა ართვინი, რომელსაც სტრაბონის დროს სარაპანა ერქვა.

532 წელს ლაზიკისათვის ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დამთავრდა ზავით. თუმცა 540 წელს კვლავ წამოწყებული ომი 5 წელში ისევ ზავით დამთავრდა. სპარსელებს სურდათ ბიზანტიელთა მიერ შავ ზღვაზე საგანგებოდ აგებული საპორტო ციხე-ქალაქ პეტრას ხელში ჩაგდება, რადგანაც ვინც ფლობდა პეტრას, ის აკონტროლებდა აღნიშნულ საერთაშორისო სავაჭრო და სტრატეგიულ გზას შავ ზღვიდან სპასეთამდე, ასევე, იბერიისა და სომხეთის შესასვლელს. ამიტომ ხოსრო ცდილობდა ამ ნავსადგურისა და შავ ზღვაზე ბატონობის ხელში აღებას.

ასე, რომ, ლაზიკის სამეფოს, რომლის ქალაქიც იყო პეტრა (ხუფათი, ხოფა) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე იმპერიისათვის.

მაშასადამე, პეტრადან საქონელი გადაიტვირთებოდა ნავებში, რომელნიც ჭოროხის სანაოსნო გზით ადიოდნენ ამჟამინდელ ართვინში ანუ სარაპანაში, აქედან, სტარბონის ცნობის შესაბამისად, მაღალმთიანეთის გზით, სკანდას ციხის გავლით არტაანში და მტკვრამდე, საიდანაც ან დვინისაკენ ანდა ჯავახეთის გავლით თბილისისაკენ მგზავრობდნენ.

ჩვენი კვლევით, რომელიც სხვა წიგნშია მოცემული, მეფე მირიანის დროს ამ გზით უსარგებლია კონსტანტინოპოლიდან მცხეთაში მიმავალ სასულიერო პირთა დელეგაციას, რომელთაც ეკლესიების მშენებლობა წამოიწყეს იბერიაში, ერუშეთსა და მანგლისში და აქ დატოვეს უდიდესი სიწმიდეები, ფერხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისა.

ერუშეთი და მანგლისი აღნიშნული გზის გაგრძელებაზე მდებარეობდა იბერიაში, ამ გზით უსარგებლია ვახტანგ გორგასალს, რომელსაც არტანუჯის ციხეში წმ. პეტრეს ეკლესია აუგია, ბაგრატ მე-4-ს, რომელიც თბილისისაკენ სიჩქარით გაემგზავრა, ამიტომაც ისარგებლა უკვე არსებული კეთილ-

მოწყობილი გზით, ჯერ ქუთაისიდან ხუფათში ჩავიდა და აქედან ამ გზით ჯავახეთსა და თბილისში შევიდა (და სხვებს).

როგორც ითქვა, ლაზთა სამეფო მოიცავდა მიწა-წყალს ხუფათიდან ანუ პეტრადან ვიდრე მდ. სუფსამდე და რიონამდე (აფსილიას), ანუ ის იყო მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ვიდრე პეტრა-ხუფათამდე. მისი მთავარი მდინარე იყო, როგორც აღინიშნა, ფაზისი ანუ ჭოროხი.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების ციხესიმაგრე სკანდა ერქვა იმერეთის სოფელ სკანდეს თერჯოლის რაიონში, რომელიც სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს. ასევე, ამავე სიმაღლეზეა შორაპანიც, ზესტაფონის რაიონში, ორივენი დაახლოებით ზღვის დონიდან 170-250 მეტრ სიმაღლეზე, სადაც გაშენებულია ვენახები, სუბტროპიკული ხეხილის ბაღები, ხარობს დაფნა და სხვა სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეები, ამიტომაც მათი ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა არ ეთანადება და პირიქით, ეწინააღმდეგება წყაროთა დაჟინებულ მითითებას, რომ სკანდას ციხეში საჭაპანო ცხოველის გამოყენებითაც კი, მაღალმთიანობის გამო, ვერ აჰქონდათ პროდუქტები მეციხოვნეებისათვის და მას ზურგით ეზიდებოდნენ, რომ ციხე ისეთ სიმაღლეზეა მთიანეთში, რომ იქ არ ხარობს ვენახი და არ მოდის არავითარი მოსავალი. როგორც ითქვა, იმერეთის სკანდეში ყოველგვარი მოსავალი ხარობს, მით უფრო ვენახი, რომელიც აქ მამაპაპეული კულტურაა.

ამიტომაც სწორად მიგვაჩნია ჩვენი კვლევა და საკუთარი თვალითაც ვიხილე არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ გზის უღელტეხილზე 2600 მეტრ სიმაღლეზე დიდ-დიდ ციხეთა ნანგრევები, რომელიც უნდა იყო წყაროთა სკანდა და პროკოფის სარაპანა.

პროკოფი კესარიელი თავის ყველა წიგნში დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ლაზიკა კლდოვანი ქვეყანაა, რომ მისი კლდეები ზღვისპირზე ისეა წამომართული ზღვის დენას აჩერებს და სხვა, რომ მდ. ფაზისს კლდოვანი სანაპიროები აქვს და ამიტომ ვიწრო კალაპოტისაა, თვით ზღვისპირზე მისი სანაპირო კლდოვანია, მდინარე სიმაღლიდან შედის ზღვაში დიდი სიჩქარით, ლაზიკას ის ეხება წიგნში „ომი გოთებთან“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 139).

პროკოფი კესარიელი ლაზიკის კლდოვანობის შესახებ, როგორც ითქვა, წერს: „ლაზიკაში კი მიწა ყოველგნით ზღვიდანაა წარმოჩენილი და მის დენას აფერხებს. ამრიგად, ის ერთადერთია, რაც ზღვის საზღვარს ქმნის და ცხადად მოწმობს, რომ შემოქმედს აქ ზღვისთვის საზღვარი დაუდია, რადგან აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხეთქება. ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, თუმცა კი აქ ერთვის ურიცხვი მდინარეების ნაკადები. ზღვა აქ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. ის იცავს მიჩენილ საზღვარს” (პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, ტომი II, 1965, გვ. 142).

სხვა ადგილას, მაგალითად, პროკოფი კესარიელი ლაზიკას ასე აღწერს – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნის, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ 102).

მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, ის არის ჭოროხის სანაპიროებზე, ისტორიულ ლაზიკეში.

პროკოფის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ლაზიკაში არა მარტო ზღვის სანაპირო იყო კლდოვანი, არამედ მდინარე ფაზისისაც.

დასავლეთ საქართველოში არც ზღვის სანაპიროა კლდოვანი და არც რიონისა ქუთაისიდან ფოთამდე. აქ არც კლდეებს ეხეთქება ზღვის ტალღები, როგორც აღწერს პროკოფი, და არც მდინარე მიედინება კლდეთა შორის.

პირიქით, რიონის შესართავთან სანაპირო, როგორც ვიცით, არის ზღვის დონეზე გადაშლილი ვრცელი ვაკე და კლდოვანი არ არის.

ეს რეალური ფაქტი ლაზიკის აღწერას არ ეთანადება.

მაშასადამე, პროკოფისთვის ლაზიკა არის ჭოროხის რეგიონი – აჭარა კლარჯეთთან ერთად, სადაც ნამდვილად არის მეტ-ნაკლებად კლდეები ზღვის სანაპიროზე.

ამიტომაც წერდა პროკოფი – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ 102). როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, ის არის ჭოროხის სანაპიროებზე, პროკოფის ლაზიკეში.

ლაზიკის კლდეებისა და ვიწრო გასასვლელების შესახებ პროკოფი კესარიელი სხვაგანაც ლაპარაკობს. მაგალითად, მერმეროეს სპარსული ჯარი რომაელთა პეტრას მცველ რაზმს ფაზისის კლდეთა „ვიწროებში“ დახვდა.

პროკოფის მიერ მრავალჯერ გამეორებული ცნობა, რომ ლაზიკის მთელი ქვეყანა კლდოვანი იყო, გარდა მისი ერთი პროვინცია მოხირისისა, ჩემი აზრით, ნათლად გვიხსნის, თუ რომელ ქვეყანას უწოდებდა ის „ლაზიკას“ ანუ „კოლხიდას“.

ლაზიკა, ანუ ლაზიკე იყო კლდოვანი ქვეყანა. მსგავს კლდოვან – „ღრანტეებიან“ ქვეყად აღწერდნენ ქართული წყაროები „კლარჯეთს, ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირს“. მოხირისი უნდა ვეძიოთ თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონში, სადაც მსგავსი მრავალი ტოპონიმია, მაგალითად, ადგილი მახო, მახოს ხიდი, მახვილაური, მახინჯაური, მახუნცეთი.

პროკოფი სხვაგანაც წერდა, რომ მთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდიოდა ხორბლეული, ღვინო და სხვა რამ სიკეთე (იქვე, გვ. 96).

კლარჯეთი, აჭარის ერგე და მისი ზღვისპირი ოდესღაც ქმნიდა ერთ მთლიან რეგიონს, რომელსაც უცხოელები „ლაზიკას“ უწოდებდნენ, რადგანაც მიიჩნევდნენ დიდი ისტორიული ლაზიკის ნაწილად, რომელიც სინოპიდან იწყებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, პროკოფის ლაზიკის საზღვრები ჩრდილოეთით თითქმის აღწევდა სუფსამდე და რიონამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაზიკის ბუნებრივი საზღვარი იყო არსიანის უზარმაზარი, 3000 მეტრზე უფრო მაღალი მთაგრეხილი, სამხრეთით კი მისი საზღვარი მდ. ჭოროხიდან ერთი დღის გზაზე იყო, ანუ ხუფათამდე აღწევდა.

ამ ლაზიკის უმთავრესი მდინარე იყო ჭოროხი ანუ ფაზისი.

ყველაზე უმთავრესი, რაც ადასტურებს, რომ პროკოფის „ლაზიკა“ ჭოროხის ხეობაა ვიდრე ართვინამდე და არსიანის ქედამდე, ერგე-ლიგანთან ერთად, ის არის, რომ პროკოფის დაჟინებული მითითებით, ლაზიკაში არ მოდიოდა ღვინო, გარდა ერთი რეგიონისა – მოხირისისა. მართლაც, აქ არ მოდის კარგი მოსავალი (და მათ შორის ღვინო მაღალმთიანობის გამო), გარდა ლიგანის ზღვისპირისა, რომელიც ერგესთან ერთად ნაყოფიერი ადგილი იყო და ღვინოც მოდიოდა. ასე იყო წარსულშიც და ასეა ამჟამადაც. საერთოდ კლარჯეთი დაბალმოსავლიანია გარდა ერგე-ლიგანისა. ეს უკანასკნელი კი უხვმოსავლიანი ქვეყანაა.

პროკოფი კესარიელის თქმით მდ. ფაზისის სანაპიროების გარკვეულ მონაკვეთზე მდინარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროს ძალზე უახლოვდებოდა მთათა ქედები, რის გამოც მდინარის სანაპიროზე იქმნებოდა ბუნებრივი „ვიწროები“, რაც ძალზე მოსახერხებელი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. თუ ამ „ვიწრობებს“ დაიცავდა ჯარისკაცების თუნდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, მათ შეეძლოთ მტრის უფრო მეტი რაოდენობის შეჩერება.

ასეთი ბუნებრივი ანუ მთებისაგან (კლდეებისაგან) შექმნილი ვიწროები მდ. რიონის სანაპირო დაბლობში არ არის, მაგრამ მრავალი ასეთი „ვიწრობია“ მდ. ჭოროხის მთელ სიგრძეზე – ზღვის შესართავიდან ვიდრე ბორჩხამდე, ართვინამდე და კიდევ უფრო მაღლა.

მაგალითად, ასეთი „ვიწრობები“, რომელსაც კარჩხალისა და ორჯოხის ქედების გამონაზარდები ქმნის თითქმის მდინარემდე ჩადის.

ისინი ართვინის მაღლა, ასევე ართვინსა და ჭოროხ-ბერთას შესართავს შორისაა (ართვინსა და შაგაირას შუა), აქვე, მარცხენა მხრიდან მდინარესთან ახლოს ჩამოდის ორჯოხის ქედის ერთ-ერთი გამონაყოფი ქედი, ამ პატარა ქედის მწვერვალი 1984 მ. სიმაღლის მთაა. ამ ორ ქედს შუა მიემართება ჭოროხი. ესაა ბუნებრივი ვიწრობი. ამგვარი კი ჭოროხთან უამრავია.

სარაპანისა და სკანდას შესახებ პროკოფი, როგორც ითქვა, წერს: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა ვიწრობების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 110). აღსანიშნავია, რომ სტრაბონის ტერმინი სარაპანა და პროკოფის იგივე სიტყვა ნიშნავს სხვადასხვა ციხესიმაგრეს, სტრაბონის სარაპანა მდინარისპირას მდებარეობდა, პროკოფისა კი უკიდურეს მაღალმთიანეთში, ის უნდა იყოს ჩვენს მიერ აღნიშნული არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ გზაზე მდებარე უღელტეხილის მცველი ერთ-ერთი ციხე, ერთს, როგორც აღვნიშნეთ, მივიჩნევ სკანდას ციხესიმაგრედ, ხოლო მეორეს პროკოფის სარაპანად.

https://meufeanania.info/gotebi/

ვახუშტის ცნობით, მე-5 საუკუნემდე კლარჯეთისა და ოძრხის საერისთავოები მოიცავდა შემდეგდროინდელ აჭარას, გურიას, მიწა-წყალს ვიდრე რიზემდე და ორჯოხის მთებიდან დევაბოინუს ქედამდე ანუ თითქმის არზრუმამდე.

ვახუშტის სიტყვით, ქართლის სამეფოს კლარჯეთის საერისთავოში შე-

დიოდა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი (ქ.ც. ტ. 4, გვ.657).

ვახუშტისა და ქართლის ცხოვრების ცნობით ბიზანტიამ მე-5 საუკუნეში ქართლის სამეფოსაგან მიიტაცა ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოები, მაშასადამე, შემდგომდროინდელი აჭარა და გურია – ვიდრე რიზემდე, ისპირთან, ფორჩხასა, ბაიბურთან და ჭანეთთან ერთად. ჩამოაყალიბა იქ ბიზანტიური წესების შესაბამისი მმართველობა და დაყო რამდენიმე ერთეულად.

მე-6 საუკუნისათვის ამ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭირა ე.წ. 1. ლაზიკის სამეფოს, 2. ლაზონასა (ლაზისტანსა) და 3. ჭანეთს.

კერძოდ, მე-6 საუკუნეში იუსტინიანემ ოლქს პეტრადან (ხუფათიდან) აფსილიამდე უწოდა ლაზთა სამეფო.

ლაზიკის სამეფო მოიცავდა შემდგომდროინდელ გურიას, აჭარას, ჭოროხის ხეობას, ხოფამდე მდებარე ტერიტორიას.

„ლაზონა“ მოიცავდა ტერიტორიას ხოფადან ე.წ. რიზეს „რკინის პალომდე“ და სხვა მიწა-წყალს.

ჭანეთში შედიოდა ტერიტორია რიზედან გუმუშხანეს რეგიონის ჩათვლით, შემდგომდროინდელი ქალდეა, სადაც იყო განლაგებული კონსტანტინოპოლის ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები.

მე-6 საუკუნეში გაქრისტიანების შემდეგ ჭანების მრავალრიცხოვანი ხალხისათვის საეკლესიო ცხოვრება ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც სხვაგან, ბიზანტიაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მე-6 და მე-7 საუკუნეებში აქ დააარსა საეპისკოპოსო კათედრები. ამ მხარეთა უბადლო მკვლევრის ნ. ადონცის მტკიცებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს ეპარქიები როდოპოლისისა, ზიგანასი, საისინისა და პეტრასი მდებარეობდა ჭანიკაში, კერძოდ კი ისინი ძირითადად განლაგებულნი იყო თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტის მაკავშირებელი გზის პირას, ზიგანას ქედის რეგიონში, გუმუშხანეს არეში, შემდგომდოინდელ ქალდეაში. ეს საეპისკოპოსოები ქმნიდა ლაზიკის სამიტროპოლიტოს, რომელსაც ერქვა სამიტროპოლიტო ლაზიკაში, აქ მცხოვრებ ჭანებს ასევე ქალდებს უწოდებდნენ. ქალდებს ასევე ერქვა ალაზონები ანუ ლაზები. სტრაბონის ცნობით ქალდებს ალაზონები ერქვათ. ამიტომ ქალდების ქვეყანას ალაზონია ანუ ლაზონია ერქვა, ხოლო ხალხს ლაზები. მათ სამიტროპოლიტოსაც ლაზიკის სახელით იცნობდნენ.

აქედან გამომდინარე, სხვაა ლაზთა სამეფოს საეპისკოპოსოები და სხვა ლაზიკის სამიტროპოლიტო.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ის მე-4 საუკუნიდან, ამ მხარის გაქრისტიანების შემდეგ, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა და საყოველთაოდ გავრცელდა უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში, რიონის სანაპიროდან აფხაზეთის ჩათვლით. შესაბამისად, ჩამოყალიბდა უმართებულო აზრი, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა მე-10 საუკუნემდე, და მხოლოდ შემდეგ, ე.წ. ქართიზაციის პროცესის შედეგად დასავლეთ საქარ-

თველოში გაუქმდა აღნიშნული ბერძნული კათედრები და მათ ნაცვლად იქ დაფუძნებულ იქნა ქართული.

ამ მცდარი აზრის ჩამოყალიბება გამოიწვია მდ. ფაზისის არასწორმა განსაზღვრამ, მდ. ფაზისად ჩაითვალა მდ. რიონი, ნაცვლად ჭოროხისა.

ამასთანავე, ამავე შეცდომამ სათავე დაუდო ლაზიკის საეკლესიო იურისდიქციის არასწორ განსაზღვრას.

საქმე ისაა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ჩამონათვალში (ნოტიციებში) სხვა სამიტროპოლიტოთა შორის იხსენიება –სამიტროპოლიტო ლაზიკაში, თავისი საეპისკოპოსოებით (პეტრა, საისინი, ზიგანა, როდოპოლისი, ფასიდის სამიტროპოლიტოში). დაისვა კითხვა, თუ სად მდებარეობდა ეს საეპისკოპოსოები, მათი ლოკალიზება განხორციელდა შემდეგი სქემით – ისინი მდებარეობდა ლაზიკაში, თვითონ ლაზიკა კი – ფაზისის სანაპიროებზე. თუ ფაზისი რიონია, მაშინ ისინი (ეს საეპისკოპოსოები) მდებარეობდა რიონის ხეობაში. ამ სქემით, სახელთა მსგავსებათა შესაბამისად, როდოპოლისად იწოდა ვარციხე (ვარდციხე), პეტრად – ციხისძირი ზღვისპირას, საისინად – ცაიში (სახელის მსგავსების გამო), ხოლო ზიგანას უწოდეს ზიგანევი და, ის გუდაყვად მიიჩნიეს. მდ. ფაზისი ბიზანტიურ წყაროებში არის არა მდ. რიონი, არამედ ჭოროხი, რაც შეეხება აღნიშნულ საეპისკოპოსოებს (როდოპოლისი, საისინი, პეტრა,ზიგანა), ისინი ნ.ადონცის კვლევით მდებარეობდა ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლის (არზრუმის) შემაერთებელი გზისპირას, გუმუშხანესთან, ზიგანას უღელტეხილის ოლქში, ანუ სამხრეთ ლაზიკაში (ჭანეთში), ლაზისტანში. ალაზონების ანუ ლაზონების – ლაზების ქვეყანაში.

ვარციხის არქეოლოგთა მიერ გამოქვეყნებული მასალა სრულიად ნათლად მიუთითებს, რომ აქ არ აღმოჩნდა საეპისკოპოსო კათედრის არსებობის დამადასტურებელი სათანადო კულტურული ფენები, ასევე, აქ არ აღმოჩნდა როდოპოლისში დაბანაკებული ბიზანტიური სამხედრო შენაერთის (ალა) შესაბამისი რაიმე ნაგებობის ნაშთი. მსგავსია მოსალოდნელი ცაიშსა და გუდაყვაშიც. რაც შეეხება ციხისძირს, გ.გრიგოლიამ შესანიშნავად გამოიკვლია, რომ პეტრას ზღვისპირა ბიზანტიური ციხე-ქალაქი მდებარეობდა არა აქ, არამედ ქ. ხოფაში, ამჟამინდელ თურქეთში, როგორც აღინიშნა, ნ. ადონცის კვლევით პეტრას საეპისკოპოსო კათედრა იყო არა ზღვისპირა პეტრას ციხე-ქალაქში, არამედ მთებში, ბაიბურდთან. თუმცა ფიჭვნარ-ქობულეთის მდიდარი არქეოლოგია მიუთითებს, რომ ამ რეგიონში მდებარეობდა ცნობილი ლაზური ქალაქი არქეოპოლისი (და არა ციხე-გოჯში, სადაც ასევე არ არის არქეოლოგიური კულტურული ფენები).



ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲚᲐᲖᲘᲙᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲝᲔᲑᲘ „ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ ᲗᲔᲛᲨᲘ“

სად მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო?

XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს საკითხი თითქოსდა გარკვეული იყო, რაც ასახულია მრავალ გამოკვლევაში. აღიარებული აზრით, ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ უპირველესი წყაროს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების, ე.წ. ნოტიციების მონაცემები არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, ნოტიციების უმრავლეს ნუსხაში ჩამოთვლილია ლაზიკაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემდეგი კათედრები:

1. ხერიანი;
2. ხამაძური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური);
3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი);
4. პაიპერტი (პაიპერი);
5. კერამევი;
6. ლერიონი;
7. ბიზანა (ბიზანტი);
8. ხავიძიტი;

9. ხანძიორძი;
10. ოლნუტი;
11. ფასიანი;
12. (ტო)სერმანძი;
13. ანდაკი;
14. ზარინაკი.
(გეორგიკა, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185).

ეს სია ასახავს ძირითადად IX-X საუკუნეთა ვითარებას. მაშასადამე, მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლი უწოდებდა ლაზიკას, განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო თავისი 14 კათედრით და ჩვენი განხილვის საგანია მოვიძიოთ ამ კათედრების გეოგრაფიული განლაგება.

როგორც ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო ცენტრები ხალხმრავალ ქალაქებში არსდებოდა, შესაბამისად, ლაზიკის ჩამოთვლილი კათედრები, ალბათ, მნიშვნელოვან ქალაქებში მდებარეობდა.

აღნიშნულ ცხრილებში (ნოტიციებში) უცვლელად მეორდება ისეთი კათედრების სახელწოდებები, როგორიცაა ლერიონი, ოლნუტი, ანდაკი და სხვა.

ამ სახელის მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა ცნობილია. კერძოდ, ლერიონი იყო ტრაპეზუნტის მთიანეთში, მისგან დაახლოებით 70კმ-ით დაშორებული. ანდაკი თეოდოსიოპოლისსა და კარს (ყარსს) შუა იყო, ხოლო ოლნუტი – არაქსისა და ევფრატის სათავეებთან ახლოს.

ყველა ისინი განლაგებული იყო იმ ქვეყანაში, რომელსაც ბიზანტიელებმა მე-11 ს. დასაწყისში „იბერიის თემი უწოდეს“. ერთი საუკუნით ადრე ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი შედიოდა ტაოს „ქართველთა სამეფოში“, კიდევ უფრო ადრე, იუსტინიანეს ეპოქაში, ამ მიწა-წყალს რომაელები უფრო მეტად არმენიას უწოდებდნენ, მაგრამ იქვე, არაქსის იქით მიუთითებდნენ იბერიის საზღვარს. რაც შეხება ლაზიკის ეპარქიის აღნიშნულ საეპისკოპოსოებს, მათი უმეტესი ნაწილი იბერიის თემში იყო განლაგებული, თუმცა მის საზღვრებსაც სცილდებოდა, რაც, ქვემოთა განხილულია.

ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი საეპისკოპოსოები მდებარეობდა ვანის ტბასა და ტრაპეზუნტს შორის.

ხომ არ იყო ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსოებიც ლაზიკის ეპარქიისა?

ცხადია, აღნიშნული საეპისკოპოსოები ქალკედონური იყო, ამავე დროს, იბერიად, ზოგჯერ კი არმენიად სახელწოდებულ ქვეყანაში მდებარეობდა.

ამის გამო ჩვენმა ძიებამ მოითხოვა გავცნობოდით ისტორიულ სომხეთში ქალკედონური საეპისკოპოსოების განლაგებას, რაც აღმოჩნდა მოსკოვში დასტამბულ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ III ტომში. მართლაც, ამ ტომში სტატიაში „სომეხი ქალკედონიტები“ ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქიები, მათ შორის აღნიშნული ლერიონისა და სხვა კათედრები და აღნიშნულია, რომ ისინი მდებარეობდა „სომხურ მიწებზე”, აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის ნოტიციებში ანუ წყაროებში, მათ უწოდებდნენ „საეპისკოპოსოებს ლაზიკაში”, „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სტატიაში კი მათ ეწოდებათ „სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოები სომხურ მიწებზე”. „პრავოს-

ლავნაია ენციკლოპედიის“ სტატიას თან ახლავს რუკა, რომელზეც თითქმის ყველა იმ საეპისკოპოსოს მდებარეობაა აღნიშნული, რომლებიც ნოტიციებში „ლაზიკის სამიტროპოლიტოში“ იყო.

(Прав. Энц., Т. III, М. 2001) რუკაზე, როგორც ითქვა, აღნიშნულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის, ასევე ეკელესენის, ხორძენესა და ტარონის სამიტროპოლიტოების, ასევე ანტიოქიის საპატრიარქოს თეოდოსიოპოლისის (კარინის) ეპარქიის მართლმადიდებლური (ქალკედონური) კათედრები. რუკაზე აღნიშნულია ნოტიციებში ჩამოთვლილი ლერიონის, შარიანის (ხერიანის), ბიზანას, ბაიბერდის (პაიპერტის), ოლნუტის, ანდაკის, ხახის (ხახეის), ხანძიორძის (ან ხორძენა) და სხვა საეპისკოპოსოები, და ისინი განლაგებულია ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე.

ერთი სიტყვით, IX-X საუკუნეებში (X ს-ის დასაწყისიდან) ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, სადაც აღნიშნული საეპისკოპოსოები იყო განლაგებული.

ისმის კითხვა – რატომ უნდა ეწოდებინა ამ ვრცელი ტერიტორიისთვის (ვანის ტბის მომიჯნავე ქვეყნებიდან ტრაპეზუნტის ჩათვლით) კონსტანტინოპოლს ლაზიკა?

მართლაც, აღნიშნულ მიწა-წყალზე მრავალი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო იყო, მათ შორის ისეთებიც, რომელნიც მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. მაგალითად, არც თუ შორს ვანის ტბიდან, იყო ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ანდაკის კათედრიდან არც თუ მოშორებით იყო ანისისა და კარის ქართული საეპისკოპოსოები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი „ლაზიკას“ უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას, რომელიც ქართულ წყაროებში მოიხსენება ვითარცა „ზემონი ქვეყანანი”.

ქართული „ზემო ქვეყნებისა“ და მიმდებარე მიწა-წყალს რომ მოიცავდა კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტო ლაზიკაში, იქიდანაც ჩანს, რომ აქაა განლაგებული მისი საეპისკოპოსოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, ანდაკის კათედრა – მდინარე არაქსზე (მის ზემო წელში), მანასკერტთან ახლოს, ევფრატის სათავეში მდებარე ოლნუტის კათედრა. თითქმის „ზემო ქვეყნების“ მიწა-წყალზე მდებარეობდა ბიზანასა და ხორძენეს საეპისკოპოსოები, ხოლო ბაიბერდის, ხახის, კერჩანისისა, ხერიანისა და ლერიონის საეპისკოპოსოები ისტორიულ სპერს, ჭანეთსა და მიმდებარე მიწებზე მდებარეობდა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული „ზემო ქვეყნები”, ანუ ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული მიწა-წყალი ბიზანტიამ ჩამოართვა საქართველოს, მეფე გიორგი I-ის დროს, იქ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტოსთვის „ლაზიკის ეპარქია“ უწოდებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ მის ოდნავ ჩრდილოეთით ჩამოაყალიბეს ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი”, ანუ ის მიწები, რომლებიც არაბობამდე „არმენიად“ იწოდებოდა. X საუკუნის შემდეგ ლაზიკად და იბერიად იწოდა ტერიტორია ვანის ტბიდან ტრაპეზუნტ-ტაომდე.

ლაზიკის გეოგრაფია

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო IX-X საუკუნეებში ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები იყო განლაგებული. ამ ვრცელი მიწა-წყლის შუაგულში სათავეს იღებს ისეთი ცნობილი მდინარეები, როგორიცა არაქსი და ევფრატი. ეს მიწა-წყალი ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული, სწორედ ამის ანარეკლი, ანდა რეალური ვითარების გადმოცემის შედეგია ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ „ლაზიკა“ უწოდა აღნიშნულ მიწა-წყალს, ამით ხაზი გაესვა მის მცხოვრებთა ეთნიკურ ვინაობას. სახელწოდებები „ლაზიკის ეპარქია“ და „იბერიის თემი“ აღნიშნულ დროს წარმოაჩენს იმ რეალურ სურათს, რომ ბიზანტიამ ცნო ვანის ტბიდან (ჩრდილოეთით) ანისამდე და (დასავლეთით) ტრაპეზუნტამდე მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა – მათი ქართველობა, რადგანაც იქამდე, კერძოდ კი არაბობამდე, ამ მიწა-წყალს ბიზანტია ოფიციალურად „არმენიას“ უწოდებდა. არაბთა შემოსევების ეპოქაში, როცა სომხურ ეკლესიას უნარი აღარ შესწევდა თავისი ზეწოლა განეხორციელებინა მკვიდრ ქართველებზე, IX-X სს-ში გამოცოცხლდა იქამდე შესუსტებული ეთნიკური თვითშემეცნება მკვიდრი ქართველებისა, ამიტომაც არაბებისაგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე ბიზანტიელებს დახვდა სხვა სურათი. მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მცხოვრებნი ევფრატისა და არაქსის სათავეებში, ვიდრე ვანის ტბამდე და ანისამდე, მკვეთრად აცხადებდა, რომ ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ქართველები. იყო თუ არა ამისთვის საფუძველი? საქმე ისაა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი იმთავითვე ქართული იყო. მისი ისტორიული წარსულის შესახებ წერს პავლე ინგოროყვა – „ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე II-I სს-მდე ძველი წელთაღრიცხვისა, ქართული ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემოწელი, სახელდობრ, ხორძენე, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი… კარინი, დერჭანი, აკილესენი, მუძური (ანტიტავროსის მხარე, იხ. სტრაბონი, წიგნი XI, თავი XVI, 5, ქსენეფონტე, ანაბასისი, წიგნი IV, თავი VI, 5, VII, 8, 25). … სტრაბონის ცნობით, უმრავლესობა ამ პროვინციებისა საქართველომ დაკარგა პოლიტიკურად II-I სს-ში ძვ. წელთაღრიცხვისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ევფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე. თუმცა საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში, VII საუკუნემდე, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან) ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შერჩენილი ქართული სახე. საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის „ზემონი ქვეყანანი”, რომლის შემომტკიცებასაც ცდილობდა ქართველთა სამეფო X-XI საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან“ (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 517).

მაშასადამე, I-II საუკუნეებში აღნიშნული მიწა-წყალი, რომელზეც X საუკუნისათვის განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები – დასახლებული ქართული ტომებით, მართალია, შემდგომში ისინი მოექცა არმენიაში, შესაბამისად, იქაური მკვიდრი ქართველობა (იგულისხმება ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე მცხოვრები მოსახლეობა) განიცდიდა ეროვნულ და ენობრივ შევიწროებას და დაწყებულა კიდეც მათი არმენიზაცია, მაგრამ პ. ინგოროყვას კვლევით, მათ VII ს-მდე შეუნარჩუნებიათ ქართულენოვნება. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართული მოსახელობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა კიდევ უფრო დიდხანს შეინარჩუნა საკუთარი ეროვნება. ამაზე მიუთითებს:

1. კონსტანტინე პორფიროგენეტის ხაზგასმითი მითითებანი, რომ თეოდოსიოპოლისის (კარინის) მოსახლეობა (ქალაქი და მისი შემოგარენი) დიდ წინააღმდეგობას (თითქმის ნახევარი საუკუნე) უწევდა ბიზანტიურ ჯარებს, ქართველები კი მათ იცავდენ, არ ანებებდნენ მკვიდრი მოსახლეობის ქალაქებისა და სოფლების ბლოკადას, როცა ბიზანტიელები მოითხოვდნენ მათ ფაქტობრივად შიმშილით ამოხოცვას და სხვა, რომელსაც სხვა ადგილასაც ვეხებით;

2. აღნიშნულ მიწა-წყალზე ქართული საეპისკოპოსოების დაარსება;

3. ამ ადგილებიდან გამოსული ქართველი ბერების მუდმივი მითითებები იმის შესახებ, რომ ისინი ეთნიკურად არიან ქართველები, რომ ისინი არ არიან სომხები (მაგალითად, როცა გიორგი მთაწმიდელის ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს იქვე მდგომი მონასტრის ბერების შესახებ – „არა ვუწყით ქართველნი არიან თუ სომეხნი”);

4. ქართული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ბოლო დრომდე არსებობა;

1. აღნიშნული მხარეებიდან გამოსული ქართველების დიდი ძალისხმევა, რომ სომხური რედაქტირების ყოველგვარი ნაკვალევი აღმოეფხვრათ ქართული წმიდა წიგნებიდან;

2. ძლიერი ქართულენოვანი სამრევლოების არსებობა. მაგალითად, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი გავლენა და წონა ჰქონდა ვალაშკერტელ ეპისკოპოს ზაქარიას, რომ ის ბიზანტიის სამეფო კარზე იცავდა ქართველთა უფლებებს იმით, რომ ცდილობდა ბიზანტია-საქართველოს მორიგებას. ვფიქრობ, რომ ვალაშკერტის ქართველი მრევლი რომ არ ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი, მისი მღვდელმთავარიც არ იქნებოდა ისეთი გავლენის მქონე, როგორიც იყო ზაქარია, ანდა ანისის ქართული მრევლის სიძლიერე. ანისში ქართული მრევლი მრავალრიცხოვანი რომ იყო და მოიცავდა მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩანს ამ ქალაქის ეკლესიის კედლის წარწერიდან. ქართლის კათალიკოსი არ ჩათვლიდა საჭიროდ უმნიშვნელო მრევლისა და მისი სამღვდელოების მორიგებას. ამასთან, მან ამ რეგიონში მრავალი სხვა ეკლესიაც აკურთხა. მართალია, ანისი დაშორებულია ვალაშკერტს, მაგრამ აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომ იბერიელებსა და არმენიელებს ერთ დროს არაქსი ყოფდა, მაშასადამე, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, მათ შორის ანისში, ქართული მოსახლეობის ცხოვრება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. ალბათ, ამიტომ შეიყვანა ბიზანტიამ ანისი იბერიის თემში, ხოლო მისი სამხრეთი – ლაზიკის საეკლესიო თემში.

საბჭოთა პერიოდში სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თითქოსდა IX-X სს-ში მოხდა ქართიზაცია – გაქართველება მთელი ამ მხარეების, კლარჯეთისა და ტაოსი (მათი აზრით, ალბათ, ვალაშკერტის, ყარსისა და ანისის მოსახლეობისაც), ასევე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმჟამინდელი აფხაზეთისა) და ჰერეთ-ქვემო ქართლისა. რა ძალა უნდა ჰქონოდა არაბების საამიროს გავლენის სფეროში მოქცეულ შიდა ქართლს, რომ ასეთი ქართიზაციის პროცესი განეხორციელებინა მასზე 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დიდ მხარეებში კლარჯეთიდან – ვალაშკერტ-ვანის ტბამდე, ლიხიდან – ნიკოფსიამდე და ბოდბედან – შამახამდე მაშინ, როცა შიდა ქართლი არც კი იყო პოლიტიკური ერთეული, ხოლო აღნიშნული მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში, ამ დამოუკიდებლობის მოპოვების წყალობით მოხდა აღორძინება იქამდე მინავლებული ეროვნულ-ქართული თვითშემეცნებისა.

სამხრეთის იბერია და სამხრეთის ლაზიკა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკა თავის იურისდიქციას ახორციელებდა შავი ზღვისპირეთიდან ვიდრე ვანის ტბამდე, რადგანაც მისი უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრები – ლერიონი, პაიპერტი (ბაიბერდი), ბიზანია, ოლნუტი, ანდაკი და სხვანი აღნიშნულ ტერიტორიაზეა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლაზიკის ეპარქია X საუკუნისათვის მოიცავდა ჭოროხისა და ევფრატის სათავეებს ვანის ტბამდე. ჩვენი აზრით, ამ სამიტროპოლიტოს მიწა-წყლისთვის „ლაზიკის“ სახელწოდების მიცემა გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი მოსახლეობის, ანუ ამ სამიტროპოლიტოს მრევლის ქართული წარმომავლობით. „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ თითქმის ეთანადებოდა „იბერიის თემი”.

ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული იბერიის თემი, ანუ იბერიის საკატაპანო შეიქმნა ოდნავ მოგვიანებით, XI ს. დასაწყისში ტაოს მეფის დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1001) შემდეგ. მასში შედიოდა ჩვენთვის საინტერესო არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია, რომელიც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. იბერიის თემში არაქს-ევფრატის სათავეების აუზის გარდა შედიოდა იმიერტაო, ჩრდილოეთ ბასიანი, ოლთისი, შავშეთი, თორთომი, კოლა, არტაანი. იბერიის თემში კონსტანტინე X მონომარქოსის დროს (1042-55) – შირაქის სამეფო, თავისი მთავარი ქალაქით ანისით. ქ. ანისი იბერიის თემის დედაქალაქად იქცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბერიის თემის და ლაზიკის ეპარქიის ტერიტორიები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ, ცხადია, ეს დამთხვევა ზუსტი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ჭოროხისა და ევფრატის სათავეებისმომცველი ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე, თითქმის ერთსა და იმავე დროს შედიოდა როგორც ლაზიკის ეპარქიაში, ისე იბერიის თემში. რატომ უწოდეს მას ლაზიკა და იბერია ერთდროულად? როგორც ვთქვით, ეს გამოწვევული უნდა ყოფილიყო ქართული ეთნიკური თვითშემეცნების გამოცოცხლებით აღნიშნულ რეგიონში ანისიდან და ვალაშკერტიდან ვიდრე ანდაკამდე და კარინამდე (არზრუმამდე), ისე ჭოროხი-

სა და ევფრატის სათავეებში. ამ გამოცოცხლების შედეგი იყო, როგორც ითქვა, მცხეთის საპატრიარქოს ქართული საეპისკოპოსოების არსებობა ანისსა და კარში (ყარსში), ვალაშკერტსა და ბაიბერდში (პაიპერტში). იქამდე საუკუნეთა მანძილზე დევნილი ქართული ენა უკვე აღარ იდევნებოდა საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქართულენოვან გლეხებსა და აზნაურებს მეზობლები ვეღარ უკრძალავდნენ მშობლიური ენის მოხმარებას, თუმცა კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული კათედრები კი ბერძნულენოვანი იყო.

აკად. გრ. გიორგაძე მიუთითებს ქართველური ტომების უძველესი კერების არსებობის შესახებ მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე XII საუკუნეში, რადგანაც მისი აზრით, ასურული წყაროების მუშქაიას და დაიაენის (დიაოხის) ქვეყნები იქ – ევფრატ-ჭოროხის სათავეებთან არსებობდნენ. იქ მცხოვრებთ ბერძნული „მოსოხის“ სახელით იცნობდნენ (ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2002, გვ. 20).

ვ. გოილაძე წერს – ძვ. წ. XII ს-ში მუშქების პოლიტიკური გავლენა ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები დაუპყრიათ. როგორც ი. დიაკონოვი წერს, ესენი იყვნენ „აღმოსავლეთის მუშქები”. მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ევფრატთან მდ. არცანიის (მურად სუ) შესართავთან მდებარე ალზის სამეფო იყო. ასურული წყაროები, დასძენს დიაკონოვი – ალზის უწოდებდნენ აგრეთვე „მუშქთა ქვეყანას”. ი. დიაკონოვის თანახმად, ძვ. წ. X-IX საუკუნეებში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ტიგროსის ჩრდილოეთ შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. გრ. გიორგაძის თანახმად, „მუშქთა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო“ (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21).

მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ჩვენ ქვემოთ კიდევ მრავალჯერ შევეხებით, რომ ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიული ალზის მიწებს, ხოლო თვით ამ ეპარქიის არსებობის ეპოქაში იქ არსებობდა „ალზნიკის”, იგივე არზანენას ოლქი, რომელიც კორდუენას (კორჩაიკის) ოლქს ესაზღვრებოდა. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ „ალზ“ და „ლაზ“. ასევე „კორდუ“ და „ქართუ”. ნ. ადონცის მოსაზრებით, არმენიელების მოსვლამდე აღნიშნული მიწა-წყალი, კორდუენადან ვიდრე კავკასიის მთებამდე, ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ მოსულ არმენიელებს ეს ქართული მოსახლეობა ორ ნაწილად გაუყვია – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქართველებად, ხოლო მათ შუა თვით არმენიელები დასახლებულან. მართლაც, „კორდუენა“ ანუ „კორდუს ქვეყანა“ – მიგვანიშნებს ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ „ქართუ“ „კარდუ“ ქვეყანას, საიდანაც გამოსულან ყველა ქართული ტომები, მათ შორის მეგრულ-ჭანურიც. სხვა საკითხია ის, რომ ნ. ადონცს ქართველები სემიტური წარმომავლობის ხალხად მიაჩნდა ნ. მარზე დაყრდნობით, მაგრამ ის დაბეჯითებით, რამდენჯერმე აღნიშნავს თავის ნაშრომში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში”, რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საქმეში ქართ-

ველებს მიუღიათ მონაწილეობა იმით, რომ მომხდარა ქართული ტომების ტრანსფორმირება არმენიელებად. თუ ეტიმოლოგიურად „ლაზიკა“ „ლაზი“ დაკავშირებულია „ალზთან”, უნდა ვიფიქროთ, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა „ალზის ქვეყნის“ მომცველ ეპარქიას „ლაზიკისა”. თუმცა სხვა მოსაზრებაც შეიძლება არსებობდეს.

ნ. ადონცი კორდუენას ქვეყანას აკავშირებდა ქართველებთან და აკრიტიკებდა ერთ-ერთი მეცნიერის შეხედულებას, რომელიც კორდუენას ქურთებთან აკავშირებდა. ეს მოსაზრება განხილულია შესაბამის ადგილას.

მიწა-წყალი ლაზიკის ეპარქიისა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში, როგორც გაირკვა, მდებარეობდა მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, რადგანაც აქ იყო მისი კათედრები ანდაკისა, ოლნუტისა, ხორძენასი, ბიზანასი, პაიპერტისა (ბაიბერდისა), ლერიონისა და სხვა. როგორც თვით სამიტროპოლიტოს სახელი „ლაზიკა“ უჩვენებს, კონსტანტინოპოლს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. რამდენად შესაძლებელია, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე არეალი ქართველთა საცხოვრისი ყოფილიყო? პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ „საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ „აღმოსავლეთის“ ეს ტერიტორიები („ზემონი ქვეყანანი”), მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინი-თეოპოლისის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები), ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართველი ტომებით იყვნენ დასახლებულნი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მიზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში“ (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 65).

„აღმოსავლეთის ქვეყნებზე“, ანუ ტერიტორიებზე (თეოდოსიოპოლისიდან, არზრუმიდან ვანის ტბამდე) ბიზანტია რომ აღიარებდა ქართველთა უფლებებს, მიუთითებს ის ხელშეკრულებები, რომლებიც იდებოდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომელთა მიხედვითაც იბერიელებს შეეძლოთ არაბების მიერ დაპყრობილი თეოდოსიოპოლისის და „აღმოსავლეთის“ ყველა იმ ქალაქების დაჭერა, რომელთაც გაათავისუფლებდნენ (იქვე, გვ. 65). მალე ქართულმა ლაშქარმა დიდ წარმატებას მიაღწია, რადგანაც აღნიშნული მიწა-წყლის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა ქართულ ლაშქარს ყოველმხრივ ეხმარებოდა, ხოლო ეს მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიურ ჯარს, თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით. საბოლოოდ, ბიზანტიამ დაადგინა საზღვარი საქართველოსთან კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში (X ს-ის შუა წლებში). ის გადიოდა მდ. არაქსზე. იმპერატორი თავადვე წერს – „საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლისს, თავისი ციხეებითა და სოფლებით უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას). ასე რომ,

მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“ (იქვე, გვ. 66). მაგრამ ქართული მხარე ამით არ დაკმაყოფილდა და ეძებდა საშუალებას, რათა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებიც გაეთავისუფლებინა. ეს მიმართულება საოცნებო და საინტერესო იყო ქართველებისათვის, რადგანაც იქაურ მკვიდრ მოსახლეობას გაუმძაფრდა ეროვნული თვითშემეცნება, მათ უკვე ეძლეოდათ საშუალება დაუფარავად განეცხადებინათ, რომ ეთნიკურად და ეროვნულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც ქართულ ლაშქარსა და ქართულ სახელმწიფოს აქ ყველა გზა ეხსნებოდა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერის გამო. ბიზანტიამაც გადაწყვიტა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეს მხარეები გადაეცა საქართველოსათვის, კერძოდ კი, გადასცა დიდ დავით კურაპალატს – ქართველთა მეფეს. „სახელდობრ, საქართველოს X საუკუნის ბოლოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები: 1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს; 2. ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში; 3. ჩორმაირის თემი მდინარე ჭოროხის სათავეებთან; 4. სამხრეთ ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში; 5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან; 6. ჰარქისა და 7. აპაჰუნის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში (იხ. ასოღიკი, 1883, გვ. 192)”.

978-990 წლებში, ჩანს, იმის გამო, რომ ვალაშკერტისა და ბაგრევანდის ვინაობაგამოღვიძებულმა ქართველობამ მიიპატიჟა, საქართველომ შემოიერთა აღმოსავლეთ ევფრატის ხეობის მიწები.

990 წელს ამავე ხეობაში ქართველებმა აიღეს ქალაქი მანასკერტი და აქედან მუსლიმანები განდევნეს, ქალაქი არა მარტო სომხებით, არამედ, ჩანს, ადგილობრივი ქართველებითაც დაუსახლებიათ. ტაოდან, კლარჯეთიდან და, მით უმეტეს, შიდა ქართლიდან ისეთ დაშორებულ ვანის ტბასთან მდებარე ქალაქში ქართველებს ვერ ჩამოასახლებდნენ, ამიტომაც ასოღიკის ცნობა, რომ ქართველთა სამეფომ ქალაქი მანასკერტი ქართველებით დაასახლა, უნდა მიუთითებდეს მიმდებარე პროვინციებში მკვიდრი ქართველების მოსახლეობის შესახებ, თუმცა იქვე, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს არსებობა ამ ფაქტს ადასტურებს, მით უმეტეს, რომ ეს საეპისკოპოსო მრავალი საუკუნე არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ მისი მრევლი მახლობელ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობდა.

„X საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქ ხლათს, 998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსლიმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) (იქვე, გვ. 68).

ქართულმა ჯარმა X საუკუნეში გმირულად გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან ეროვნული ტერიტორიები ვანის ტბამდე, მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. მალე, მეფე გიორგი I-ის დროს, მან არაბებისა-

გან გათავისუფლებული აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოს ჩამოართვა და თავის იმპერიაში შეიყვანა, რამაც ასახვა პოვა საეკლესიო იურისდიქციაშიც, კერძოდ, როგორც აღინიშნა, ამ მიწა-წყალზე დაარსებულ იქნა კონსტანტინოპოლის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები (ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე). კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ რომ აღიარა ამ მიწა-წყლის მრევლის ეთნიკური ქართველობა, იქიდან ჩანს, რომ მან ამ ეპარქიას უწოდა „ლაზიკა“, ანუ „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ სახელწოდება „ლაზიკა“ მიუთითებს აღნიშნული რეგიონის მრევლის ქართველობის შესახებ.

ორი იურისდიქცია ვანის ტბამდე

ბერძნული წყაროების თანახმად, VI ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო იყო სპარსეთის ხელში. ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ სპარსეთის მეფე ხოსროს დასავლეთ საქართველოში არ ულაშქრია. ის პეტრას მიადგა არა ლიხის ქედის მხრიდან, არამედ არტაანი-არტანუჯის გზით, თეოდოსიოპოლის-დვინის მხრიდან. იგი მიადგა არსიანის ქედს, რომელიც გადალახა არტანუჯის გზით და შემდგომ ჭოროხის გაყოლებით მიადგა პეტრას. ეს გზა უმოკლესია იმ მიმართულებით, სადაც იდგა პეტრას ომის წის სპარსეთის ლაშქარი. ჯარისთვის არა მხოლოდ უსარგებლო იქნებოდა შორი ლიხის ქედის და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით შესულიყო პეტრაში, არამედ არარაციონალურიც. ამას ვერც აიტანდა სპარსული ლაშქარი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს ჭაობების ციებ-ცხელების გამო. ცნობილია, რომ ქვეყანა პეტრასთან, რომელიც სპარსულმა ლაშქარმა გაიარა, ლაზიკად იწოდებოდა. პროკოფი კესარიელის დაბეჯითებული ცნობებით, ეს იყო კლდოვანი მხარე, როგორიცაა, მართლაც, არტაანი.

(1) არტანუჯი სამხრეთ საქართველოშია, ერთ დროს დიდი სატახტო ქალაქი იყო. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მისი სახელწოდება კოლხურ(ლაზურ) მოსახლეობაზე მიგვითითებს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: არტაანიშ და ყუჯი. არტაანი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს ერქვა, ყუჯი კი „ყურ“ სიტყვის კოლხური ფორმაა. ამრიგად , არტანუჯი ნიშნავს „არტაანის ყურეს“ (რედ.).

არტანუჯ-ჭოროხის ის მხარეებია, სადაც გაიარა, ჩვენი აზრით, ხოსრომ და სწორედ ეს მხარე იწოდებოდა ლაზიკად სამხრეთით მიმდებარე (ხუფათრიზე) მხარესთან ერთად. ნ. ადონცის და ინგოროყვას კვლევითაც, აღნიშნული მხარე (ე.ი. კლარჯეთი და ე.წ. „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი”) ლაზიკას ეკუთვნოდა.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აღნიშნული არტანუჯ-არტაანის გზით ისარგებლა, X საუკუნეში კი არტანუჯი ამ გზის წყალობით, რომელიც შავი ზღვისპირეთს აერთებდა არმენიასა და იბერიასთან – კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, დიდ ქალაქად იქცა. ვახტანგ გორგასლის დროს საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ხუფათზე იდო (ხოფთან), რადგანაც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ საქართველოში შემოდიოდა. საქართველოს მეორე ჩრდილოეთის საზღვარი კი იდო მდინარე კლისურაზე (ცხუმთან).

VI საუკუნეში მთელი იბერია სპარსეთის ხელში აღმოჩნდა აღნიშნულ საზღვრებამდე. ამიტომაც იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში ბიზანტიის საზღვარი, ნ. ადონცის ცნობით, გადიოდა რიზეს ახლოს. იუსტინიანეს დასჭირდა ომი და ძალისხმევა, რათა ბიზანტიის საზღვარი გადაეტანა ჭოროხის შესართავამდე, სადაც მან პეტრას ციხე ააგო.

ყოველივე აღნიშნული გვესაჭიროება ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. იქამდე, ანუ იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში, როცა იმპერიის საზღვარი რიზე იყო, ლაზიკა ერქვა ტერიტორიას ტრაპეზუნტის მაღლა – ზიგანადან რიზემდე. ეს იყო ძველი ლაზიკა. მაგრამ იუსტინიანეს დროს გაჩნდა ახალი ლაზიკა. ეს იყო რიზედან ჭოროხამდე მოქცეული ახლადდაპყრობილი ტერიტორია კლარჯეთის ჩათვლით. ერთი სიტყვით, ლაზიკა დაერქვა ახალ მიწებსაც პეტრას ციხის სამხრეთით.

ეს ჩანს იუსტინიანეს ნოველიდანაც, სადაც ის ლაზიკისა და ჭანეთის შესახებ ამბობს. სწორი იყო ნ. ადონცი, რომ „ლაზიკაში“ ფაზისის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოები როდოპოლისის, საისინისა, პეტრასი და ზიგანასი მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მთიანეთში, ცნობილ ქალაქ ზიგანას რეგიონში. ამ ქვეყანას ერქვა კიდეც იმჟამად ლაზიკა, ე.ი. მხარეს ზიგანას ჩათვლით რიზეს გასწვრივ. ხოლო მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ რიზეს ჩრდილოეთით ვიდრე ჭოროხამდე ტერიტორიები მიუერთა თავის იმპერიას.

– ამ ახალ მიწებსაც „ლაზიკის“ სახელი მიეკუთვნა (ეს მიტაცება მიწისა სპარსეთმა თავის წინააღმდეგ მიმართულ საქმედ მიიჩნია, რადგანაც იბერიის პოლიტიკური მემკვიდრეობა დასაკუთრებული ჰქონდა. იბერიის საზღვარი კი ბიზანტიასთან, როგორც აღინიშნა, ხუფათთან (ხოფთან) გადიოდა. მისი გადალახვა სპარსეთის საწინააღმდეგო ქმედება იყო. არაბების შემოსევის შემდეგ ბიზანტიამ დაკარგა ტერიტორიები ე.წ. „მაღალ არმენიასა“ და, საერთოდ, „დიდ არმენიაში”. დასავლეთ არმენიაში გაერთიანებული იყო ძველი ქართული მიწები. არაბებისაგან გათავისუფლების შემდეგ ვრცელი მიწა-წყალი ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ეკლესიური თვალსაზრისით, „ლაზიკად“ იწოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მიტროპოლიტი „ტრაპეზუნტისა ლაზიკაში“ თავისი კათედრებით ამ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი (ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე). მაშასადამე, ეკლესიური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე. ამ ერთგვარი რკალის შიგნით მოქცეული იყო საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსოები. მაშასადამე, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ხორციელდებოდა ორი მართლმადიდებლური იურისდიქცია – კონსტანტინოპოლისა და მცხეთისა, ანტიოქიასაც, როგორც მიიჩნევა, აქ რამდენიმე ეკლესია ეკუთვნოდა.

ლაზიკა – ე.წ. სომხეთში

პ. ინგოროყვასა და მ. ჩხარტიშვილს განხილული აქვთ ის არეალი, სადაც იქადაგეს წმიდა გრიგოლ განმანათლებელმა და წმიდა ნინომ. კერძოდ, გრი-

გოლის ცხოვრებაში მოხაზულია არეალი, სადაც იქადაგა წმიდა გრიგოლმა ტაოდან – კასპიის კარამდე, ასევე, მოვსეს ხორენაცის მიერ მოხაზულია წმიდა ნინოს ქადაგების არეალი – კლარჯეთიდან მასქუთებამდე, ანუ კასპიის კარამდე. ეს ორი არეალი ერთმანეთს არ კვეთს, თუმცა ერთმანეთს უშუალოდ ემიჯნება, კერძოდ, განსაზღვრულია წმიდა ნინოს სამწყსო. ესაა კლარჯეთის ჩრდილოეთით, უფრო სწორად, იმ ხაზის ჩრდილოეთით მოქცეული მხარე, რომელიც იქმნება კლარჯეთისა და მასქუთეთის შეერთებით, ხოლო მის სამხრეთით მდებარე არეალი, ანუ ტაოდან იგივე მასქუთეთამდე, ანუ კასპიის კარამდე – გრიგოლის არეალია. ასე რომ, განსაზღვრული იყო სამწყსო ქართული ეკლესიისა. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ კლარჯეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარე, დასავლეთ საქართველო ვისი მოქმედების არეალშია, წმ. ნინოსი თუ წმიდა გრიგოლისა. ამ სქემის მიხედვით დასავლეთ საქართველო არ შეიძლება იყოს წმ. გრიგოლის მოქმედების არეალში, რადგან ის მდებარეობს კლარჯეთის ჩრდილოეთით (ჩრდილო-დასავლეთით), ე.ი. ის წმიდა ნინოს არეალია. ამ შემთხვევაში დგება საკითხი: წმ. გრიგოლის ცხოვრების მიხედვით, წმიდა გრიგოლმა ლაზეთში გააგზავნა თავისი ეპისკოპოსი, მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ლაზეთი არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ კლარჯეთის სამხრეთით ანდა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარე, ანუ ჭანიკა-ტრაპეზუნტის რეგიონი, რომელიც, სომხური ტრადიციის შესაბამისად, შედიოდა ე.წ. „დიდ არმენიაში", ან უშუალოდ სომხეთში და ეს მხარე ისევე მიიჩნეოდა არმენიის ხელდებულ ქვეყნად, როგორც აღმოსავლეთით ალბანეთი, ანუ სივნიეთის იქით ბარდავამდე მდებარე მხარე. ეს იყო გრიგოლის არეალი. მართლაც, სომხური წყაროებით ეგრის ქვეყანა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ მოიცავდა ტრაპეზუნტის მხარეებს. ეგრი, ჭანივი, მანრილი და ლაზივი – თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტს შუა მდებარეობდა და არა დასავლეთ საქართველოში.

შეიძლება დავასკვნათ, ბერძნული წყაროების ლაზიკა ქართული წყაროების კლარჯეთის საერისთავოა იმ საზღვრებში, რომელიც მას გააჩნდა მე-5 საუკუნემდე (ოძრხის საერისთავოს ზღვისპირეთთან ერთად), იქამდე, სანამ ბიზანტია მიიტაცებდა კლარჯეთის დიდ ნაწილს. ამას გარდა ლაზიკის სამიტროპოლიტოში შედიოდა ძველი ზიგანოპოლისის (ჭანეთის, შემდგომი გუმუშხანეს) რეგიონი, რომელსაც შემდგომ ქალდეას თემი ერქვა, აქ მდებარეობდა ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები – ზიგანა, როდოპოლისი და საისინი, ხოლო პეტრას კათედრა, ნ. ადონცის კვლევით, ბაიბურდთან იყო. XI ს-ში ლაზიკის სამიტროპოლიტოს საზღვრებმა იბერიის თემიც მოიცვა. ისტორიული ლაზიკა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. 1) ჭანეთის ანუ ტრაპეზუნტის ლაზიკა, სადაც ამჟამინდელ სუმელა-გუმუშხანეს რეგიონში, განლაგებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის კათედრები (როდოპოლისი, ზიგანეონი, პეტრა, საისინე), მე-11 საუკუნიდან მას მიუერთეს იბერიის თემი.

2) ე.წ (ლაზთა სამეფო მოიცავდა მდ. ჭოროხის (ფაზისის) ორივე მხარეს ხუფათიდან (პეტრადან) ვიდრე თითქმის მდ. რიონამდე, რომელიც საბოლოოდ საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საჯათალიკოსოს იურისდიქციაში მოექცა.

კარი III

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

შესავალი

ჩამოყალიბებულია მტკიცება, რომ ტაო და მიმდებარე ოლქები მე-8 საუკუნემდე დასახლებული იყო მხოლოდ ეთნიკური სომხებით და თითქოსდა, ქართული მოსახლეობა აქ ჩნდება მე-9 საუკუნიდან მიგრაციის შედეგად, არაბობის დროს. ამასთანავე, გავრცელებული აზრით, ტაოში მასობრივად ჩასახლებულმა ქართლიდან ლტოლვილმა მოსახლეობამ, თითქოსდა, მოახდინა მკვიდრი სომხების ასიმილირება და გადაყვანა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში,

მაგ., ტაოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევრად ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. სტეპანენკო დაბეჯითებით წერს – „შეგახსენებთ, რომ მე-8 საუკუნემდე ტაო შედიოდა არმენიის შემადგენლობაში. მისი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სომხები. სომხური წარსულიდან ტაომ შემოინახა ტოპონიმიკა და არქიტექტურული ძეგლების ნაშთები, მაგალითად, ბანა და იშხნის ეკლესიის აფსიდი...ქართველებით დასახლების დროს ტაოს შედარებით გაუკაცრიელებას მოწმობს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“. მე-9 საუკუნის დასაწყისში ის უკვე შედიოდა ქართველი ბაგრატიონების სამფლობელოების კონგლომერატში... ტაიკის ქართული კოლონიზაცია ჩვენთვის ცნობილია გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებით“, მის გადასვლას ბაგრატიდების საგვარეულოს ქართული განშტოების კონტროლის ქვეშ, შედეგად მოჰყვა ავტოქტონური სომხური მოსახლეობის ასიმილაციის პროცესის დასაწყისი...“

В. П. Степаненко / Античная древность и средние века: Том 30 / Изд-во Уральс-го гос. университета, 1999 г. с. 133-134.

„Напомним, что до VIII в. Тайк входил в состав Армении, будучи доменом нахарарского рода Мамиконян. Подавляющее большинство населения его составляли армяне. Следы армянского прошлого Тайка сохранила топонимика и остатки архитектурных памятников, как, например, храм в Бана и апсида церкви в Ишхани. Район подвергся тотальному разгрому во время похода арабского полководца Мервана Кру (735) и в ходе антиарабского восстания 774-775 гг. „Житие» Григория Хандзтели свидетельствует об относительном запустении Тайка ко времени его заселения грузинами.

К началу IX в. он уже входил в конгломерат владений грузинских Багратидов….

Преобладание здесь к концу X в. грузинского населения несомненно, как несомненно и присутствие значительного армянского.

Грузинская колонизация Тайка, известная нам по „Житию» Григория Хандзтели, переход его под контроль грузинской ветви рода Багратидов имели следствием начавшиеся процессы ассимиляции автохтонного армянского населения, затронувшие в основном представителей азатских родов, причастных к грузинской по преимуществу правящей верхушке…

Должны были иметь место и противоположные по направленности процессы, свойственные любой контактной зоне, а именно, усвоение переселенцами-грузинами определённых бытовых навыков и традиций армянского населения региона. Заимствования эти должны были отразиться и в языке. И отразились“. В. П. Степаненко / Античная древность и средние века: Том 30 / Изд-во Уральс-го гос. университета, 1999 г. с. 133-134.

სტეპანენკოსა და სხვათა ამ მტკიცებათა გასაბათილებლად ჩვენ ქვემოთ გამოწვლილვით მოგვყავს ქსენოფონტეს, სტარბონისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიდანაც კარგად ჩანს, რომ ისტორიულად ტაო და მიმდებარე ოლქები მუდამ დასახლებული იყო ქართული ტომებით, მათ ერთობლიობაში სტრაბონის დროს უკვე იბერები ერქვათ და მათი მიწა-წყალი, სტარბონისავე ცნობით, კერძოდ პარიადრე, ხორძენა თუ გოგარენა (რომელთა შორის უთუოდ მოიაზრება ტაო და მიმდებარე ოლქები), არმენიამ მიიტაცა იბერებისაგან. მისი მოსახლეობა, ცხადია, არ ამოწყვეტილა, თუმცა არმენიზაციის პროცესში იმყოფებოდა. მთიან მხარეებში არმენიზაციის პროცესი შედარებით შენელებული იყო, ასეთი ყველაზე მაღალი მთიანეთია ტაო-ბასიან-კარინის ოლქი და მისი მიმდებარე მხარეები.

ქვემოთ მოყანილია წყაროები იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისამდე ტაო დასახლებული იყო არა სომხებით, არამედ არმენიზაციის პროცესში მყოფი ქართველებით.

მე-9 ს-მდე ტაოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ არმენიზაციის პროცესში მყოფი ის ქართველები, რომელთაც იცოდნენ თავიანთი იბერიული წარმომავლობა და იბრძოდნენ, მათ შორის კანონიერი საეკლესიო მეთოდებითაც, რათა გადაეგდოთ მათთვის არასასურველი სომხური ეკლესიის იურისდიქცია და აღედგინათ კავშირი დედა-ქართულ ეკლესიასთან.

ამასთანავე აღნიშნული ვ. სტეპანანკო თითქმის ყოველ წინადადებაში იმეორებს არასწორ მტკიცებას, თითქოსდა, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრე-

ბა“ აღწერს ქართველებით დაცარიელებული ტაიკის კოლონიზაციას და მისი მკვიდრი სომხური მოსახლეობის ასიმილიზაცია-გაქართველებას, ის ბრმად იმეორებს ნ. მარის ამ თვალსაზრისს, რადგანაც ვფიქრობ, რომ დედანში მას ეს წყარო არ წაუკითხავს, იქ მსგავსი არაფერია მოთხრობილი.

რაც შეეხება ე. წ. სომეხ-ქალკედონიტებს (ნ. მარის შემოღებული ტერმინია), სინამდვილეში ტაო დასახლებული იყო არა სომეხი ქალკედონიტებით, არამედ მკვიდრი ქართული მოსახლეობით, რომელნიც სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ, თუმცა კი მუდამ, მათ შორის მე-7 საუკუნეშიც იყვნენ მტკიცე ქალკედონიტები. როდესაც 726 წლის სომხური ეკლესიის მანასკერტის კრებამ ანთემას გადასცა ქალკედონიტები, ეს ეროვნულ შეურაცხყოფად მიიჩნიეს ტაოს იბერებმა და საბოლოოდ გადაწყვიტეს სრულიად განშორებოდნენ სომხურ ეკლესიას და დაკავშირებოდნენ მშობლიურ ქართულს.

ასე რომ, სომეხი-ქალკედონიტები კი არ შეუერთდნენ ქართულ ეკლესიას, არამედ იქამდე სომხური ეკლესიის უღელქვეშ იმყოფმა იბერიულმა მოსახლეობამ ინება ეკლესიურად გათავისუფლება და დაუბრუნდა მშობლიურ წიაღს.

ამიტომ არასწორია განცხადება, თითქოსდა, „ტაოს უმრავლესობა, მისი მკვიდრი სომეხი-ქალკედონიტები იმყოფებოდნენ ქართული ეკლესიის ზეწოლის ქვეშ“, როდესაც წერენ –

„грузинская церковь также нашла здесь своих последователей, так как в Тайке проживало большое количество армян-халкидонитов. В результате, согласно В. Степаненко, демография провинции изменилась в пользу грузин, которые к концу X века уже составляли большинство, однако здесь также оставалось заметное армянское население. Согласно Р. П. Блэйк и С. Тер-Нерсесян, в X веке в Тайк произошла „деарменизация» из-за арабских разрушений, миграции грузин, и давления грузинской церкви. Армянское влияние уступило место грузинскому, а часть армян подверглась эллинизации или грузинизации.

https://ru.wlklpedla.org/wlkl/Тайк

იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ქართველთა მიერ ტაოს ოკუპაცია“, „ასიმილაცია“ და სხვა, ამასთანავე ამ თავიანთი მტკიცების წყაროდ ასახელებენ გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებას“.

უპირველეს ყოვლისა, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ისეთ შესანიშნავ წყაროში, როგორიცაა წმ.გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ ასეთი ცნობა არ არსებობს, აქ მხოლოდ აღწერილია, რომ წმიდა გრიგოლს კლარჯეთში (და არა ტაოში) თბილისიდან გაჰყვა სულ რამდენიმე ბერი, მათგან ნახევარი შემდეგ აფხაზთა სამეფოში გადავიდა. ტაოში კი მას ადგილობრივმა დიდებულმა (ქართული ეკლესიის წიაღში მყოფმა) უპატრონა, დაუახლოვა სამეფო სახლს და მისცა ქალკედონურ ტაოში მოღვაწეობის საშუალება. ტაოში მოსახლეობა რომ არ ყოფილიყო თავისი სოფლებითა და ქალაქებით, მაშინ იქ სამეფო სახლიც არ იარსებებდა და არც დიდებულთა შრე. თუმცა კი ცხადია, მისი მოსახლეობა ისევე იყო შემცირებული, როგორც მთელ ქართულ სამყაროში მურვან ყრუს შემდეგ.

ანუ ტაო წმ. გრიგოლ ხანძთელამდე უკვე იყო დაბრუნებული ქართული ეკლესიის წიაღში, ქართულენოვანი წირვა-ლოცვით, მაგ., მას იქ დახვდა ქართულად მლოცველი ბერი თავისი მონასტრით.

როგორც ითქვა, ტაო უკვე 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრების შემდეგ განშორდა სომხურ ეკლესიას.

ტაოს ოლქის ხალხის ანუ „იბერთა“ საეკლესიო მეთაურს, მიქაელ ბრეკის ცნობით, სომეხი კათალიკოსის ნაცვლად კათალიკოსად ხელი დაასხა ანტიოქიის პატრიარქმა 750-იან წლებში, ამ დროს წმიდა გრიგოლ ხანძთელი ჯერ დაბადებულიც არ იყო (759 წ.). მისი დაკავშირება ტაოს თითქოსდა ქართიზიასთან არასწორია.

სტეპანენკოს თანახმად, ტაიკის ქართული კოლონიზაცია იქცა საწყისად იქაური სომხური მოსახლობის ასიმილაციის პროცესისა,

მაგრამ ტაოში, როგორც ითქვა, ცხოვრობდა არა სომხური მოსახლეობა, არამედ, 726 წლამდე, სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი მკვიდრი ქართული მოსახლეობა სომხურენოვანი ღვთისმსახურებითა და განათლებით, ისევე, როგორც ამ ეპოქის ალბანეთის ვრცელ ქვეყანაში ალბანური მოსახლეობა იმყოფებოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ.

თუმცა კი, ალბანეთისგან განსხვავებით, ტაომ შეძლო სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლება. როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლება უფრო ადრე, კირიონ კათალიკოსის ღვაწლით შეძლო გუგარქმა სასტიკ სასანიდურ ეპოქაში, როდესაც სომხური ეკლესია სასანიდმა ხელმწიფეებმა გააბატონეს მეზობელ ხალხებზე.

ასევე იქცეოდნენ არაბებიც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით არაბთა ჯარით მხარდაჭერილი სომეხი კათალიკოსი შეიჭრა ალბანეთის დედაქალაქ


ძვ.წ. II
№ 15
იბერებისაგან მიტაცებული პარიადრე, ხორძენა და გოგარენა (ძვ.წ. II საუკუნე)
ტრაპეზუნტი
ქსერქსენი
ტაოს ოლქი
ტაოს ოლქი
(ტაოს ოლქი)
(ტაოს ოლქი)
(ტაოს ოლქი)

ბარდავში, დააპატიმრა ალბანელი კათალიკოსი და სიკვდილით დაასჯევინა, ხოლო ალბანურენოვანი ღვთისმსახურება აკრძალა და ამის შემდეგ მთელ ალბანეთში, საუკუნეთა მანძილზე, სომხურენოვანი ღვთისმსახურება განივრცო, რამაც გამოიწვია ალბანელი ხალხის სრული გაქრობა-არმენიზაცია. იგივე ბედი ელოდა ტაოს ქართველობას, რომ არა მათთვის სამაგალითო კირიონ კათალიკოსის გმირობა.

Согласно В. Степаненко, грузинская колонизация Тайка привело к началу процесса ассимиляции армянского населения. Так *Тайк* постепенно превращаться в Тао.-https://ru.wikipedia.org/wiki/Тайк

საინტერესოა, რატომ არ სვამენ კითხვას მაგალითად, ვ. სტეპანენკო და სხვები ასიმილაცია-არმენიზაციის იმ პროცესების შესახებ, რომელშიც იმყოფებოდნენ ტაოსა და მეზობელი ოლქების მომცველ ისტორიულ მიწა-წყალზე (პარიადრე-ხორძენა-გოგარენაში) მცხოვრები იბერები არმენიის მიერ მათი ქვეყნების ანექსიის შემდეგ, ნაწილობრივ მაინც ხომ არ შეინარჩუნეს მათ თავიანთი იბერიული წარსულის ხსოვნა, იქნებ სწორედ ეს იბერები ცხოვრობდნენ მე-9 საუკუნემდე ტაოში, იქნებ მათ იმიტომ უყვარდათ ქალკედონური სარწმუნოება, რომ რელიგიურადაც სწორად მიაჩნდათ მათი დედაქვეყნის, ქართლის ერის ერთგულება ქალკედონიზმის მიმართ, მაშინაც კი, როცა ისინი (ტაოელები და ბასიანელები) სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის უღელქვეშ იმყოფებოდნენ?


VI-VIII (და XIV-XVII) საუკუნეები
№ 65
სამხრეთ იბერიის (ტაო-ბასიან-მესხეთის) ქართული საეპისკოპოსოები
პირობითი აღნიშვნები
მასშ: 3.000.000
ქუთაისელის სამწყსო აჭარაში
კათალიკოსის სამწყსო აჭარაში
მტბევარის სამწყსო
ანჩელის სამწყსო
ერუშნელის სამწყსო
ოშხელის სამწყსო
ნურწყაველის სამწყსო
ბანელის სამწყსო
დადაშნელის სამწყსო
კარელის სამწყსო
ანელის სამწყსო
ვალაშკერტელის სამწყსო
საზღვარი ბიზანტის იმპერიისა და სპარსეთ შორის 591 წლის ხელშეკრულებით. ამ საზღვარს დასავლეთ ნაწილში მოქცეული იყო ისტორიული ძველი იბერია, დასახლებული ქალკედონიტი ქართული მოსახლეობით, რომელიც 591 წლის ავარის საკათალიკოსო დააარსეს. შემდგომ საუკუნეებში კი გაერთიანდნენ ვალაშკერტის ქართული სამამთავროში.
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
ᲞᲝᲜᲢᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
(ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ)
ᲘᲑᲔᲠᲘᲐ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲐᲠᲢᲐᲜᲘ
ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘ
ᲙᲐᲠᲘ
ᲐᲜᲘᲡᲘ
ᲐᲒᲐᲠᲘ (ᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ)
ᲛᲐᲚᲐᲨᲙᲔᲠᲢᲘ
ᲢᲐᲝᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ
ᲑᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ
ᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ
ᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ
ᲛᲔᲡᲮᲔᲗ

თავი 1

უცხოური წყაროები

სტარბონი ტაოელთა წინაპრების შესახებ წერს –

11,14,5. Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. Они были первоначально полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, стали царями (первый – царем Софены, Акисены, Одомантиды и некоторых других областей, а последний – царем страны вокруг Артаксаты); они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду; у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью; у катаонов – Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев – Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке.

სტარბონის მიერ ნახსენები არტაქსია არის არმენიის მეფე არტაშეს I (ძვ. წ. 189-160), რომელმაც ზარიადრესთან ერთად დაიპყრო იბერების მიწა-წყალი – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა. ამჟამად ცდილობენ ეს ვრცელი მიწა-წყალი დააკნინონ და მცირე პროვინციად წარმოსახონ კლარჯეთის მხარეს, მაგალითად, იმეორებენ აკადემიკოს ერემიანის აზრს, თითქოსდა, პარიადრე შეესაბამება პარხარს, ხორძენა კლარჯეთისა და არტაანის ოლქებს, გოგარენა გუგარქს. ჩვენი მტკიცებით პარიადრე ერქვა და ეწოდება მთიანეთს ტრაპეზუნტის სამხრეთ-დასავლეთით, გოგარენა, როგორც სტრაბონი აღნიშნავს, მტკვრის იქით, ანუ მარცხენა სანაპიროზე იყო, ხოლო ხორძენა ვრცელი ოლქი მათ შორის, აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი „იბერიის თემი“ შეიძლება ითქვას, მოიცავდა ისტორიულ ხორძენას.

უკვე I საუკუნეში სტრაბონი ტაოს მოსახლეობას მესხებს უწოდებს. მისი ცნობით მესხები არიან ასევე კლარჯები და არტაან-კოლას ხალხი. ოღონდ მათ არ გააჩნიათ ერთიანი სახელმწიფოებრივი ერთეული და მათი მიწა-წყალი ერთმანეთს შორის აქვთ გადანაწილებული იბერიას, კოლხიდასა და არმენიას. კერძოდ, არტაან-კოლა ძველებურად დარჩენილია იბერიის შემადგენლობაში, ტაო მიტაცებულია არმენიის მიერ, ხოლო კლარჯეთი შეადგენს კოლხიდის ნაწილს, ანუ მესხეთი სამ ნაწლადაა გაყოფილი.


ძვ.წ. I საუკუნე
№ 18
„პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე გამოიქცა პონტოს სამეფოს უკიდურეს კუთხეში, დაიპყრო დასტირასთან აკილესენეს წყალუხვი მთა (მახლობლად იყო ევფრატეტი, რომელიც საზღვრავს აკილესენეს მცირე არმენიისაგან) და იქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა, გაქცეულიყო მთიუის გადაღმა კოლხიდამი, იქიდან კი – ბოსფორში.
პომპეუსმა მცირე არმენიაში, სწორედ ამ ადგილთან ააშენა ქალაქი ნიკოპოლისი" (სტრაბონი, XII, III, 28).
პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატეს გზა ბოსფორისაკენ კოლხეთის გავლით
ბალკანეთი
ბალკანეთ 2
ბალკანეთ 1
ბალკანეთ 3
ბალკანეთ 4
ბალკანეთ 5
ბალკანეთ 6
ბალკანეთ 7
ბალკანეთ 8
ბალკანეთ 9
ბალკანეთ 10
ბალკანეთ 11
ბალკანეთ 12
ბალკანეთ 13
ბალკანეთ 14
ბალკანეთ 15
ბალკანეთ 16
ბალკანეთ 17
ბალკანეთ 18
ბალკანეთ 19
ბალკანეთ 20
ბალკანეთ 21
ბალკანეთ 22
ბალკანეთ

ქედამდე იბერია მდებარეობდა. იბერები მდინარე არაქსის მარცხენა სანაპირო მხარეს ცხოვრობდნენ, რადგანაც მისივე სიტყვით, მათ არმენიისაგან არაქსი ყოფდა.

საერთოდ, ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები და მეცნიერები ქართველებს უწოდებდნენ აღმისავლელ იბერებს, ხოლო ესპანეთის მოსახლეობას დასავლეთელ იბერებს, არკვევდნენ საკითხს ენათესავებოდნენ თუ არა ეს ხალხები ერთმანეთს, ზოგი თეორიით ქართველები აღმოსავლეთიდან გადასახლდნენ ესპანეთში, სხვა თეორიებით კი, პირიქით, ესპანეთის იბერიიდან გადმოსახლდნენ კავკასიაში და დააარსეს კავკასიის იბერია.

ამ ბოლო თეორიას ავითარებდა სტრაბონი. ის პირველ საუკუნეში, თავის წყაროებზე დაყრდნობით, როგორც ვთქვით, აღნიშნავდა – „დასავლეთის იბერები გადასახლდნენ ადგილზე, რომელიც პონტოსა და კოლხიდის მაღლაა, რომელსაც არმენიისაგან ყოფს არაქსი“ (западные иберы переселились в местности, лежащие выше Понта и Колхиды, отделяемые от Армении рекою Аракс).

ჩვენთვის ამ ცნობიდან საინტერესოა ის, რომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ავტორები იბერთა საცხოვრისს ვრცელ არეალზე განსაზღვრავდნენ შავი ზღვიდან არაქსამდე, თუ ასე იყო, მაშინ ცდებიან ის ამჟამინდელი მკვლევრები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ, თითქოსდა, იბერები მე-8 საუკუნემდე არ ცხოვრობდნენ ტაოსა და მიმდებარე ოლქებში და აქ ჩასახლდნენ არაბულ ეპოქაში, მე-9 საუკუნის დასაწყისისათვის.

ტაო კი მდებარეობს შავ ზღვასა და არაქსს შუა, ანუ იმ მიწა-წყალზე, რომელიც სტრაბონის ცნობითაც – იბერების ძველი საცხოვრისი იყო.

სტარბონის ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ არაქსი ერთმანეთისაგან ყოფს იბერებსა და არმენიელებს, აღსანიშნავია, იმავეს, რომ იბერების საზღვარი არის არაქსი აღნიშნავდა 1000 წლის შემდეგ იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (იხ. ქვემოთ).

არქიეპისკოპოსმა ევგენიოს ბულგარისმა (1715-1806), რომელიც თავიდან იყო ათონის ლავრის სკოლების რექტორი, ხოლო შემდეგ სტამბოლის „ნაციის დიდი სკოლის“ რექტორი, შეკრიბა სხვადასხვა ძველ წყაროთა და ავტორთა ცნობები, წამოაყენა თავისი თვალსაზრისი, რომ თავდაპირველად ქართველები აღმოსავლეთიდან, ანუ კავკასიიდან ან ანატოლიიდან, გადასახლდნენ ეპანეთში, იქ გამრავლდნენ და უკან დაბრუნდნენ საქართველოში. ამიტომაც იწოდება ორივე ამ ქვეყნის ხალხები ერთი სახელით (იბერები).

იგივე თვალსაზრისი უფრო ადრე, მე-7 საუკუნეში გამოუთქვამს ღირს და წმიდა მამას მაქსიმე აღმსარებელს, რომელიც საქართველოშია დაკრძალული (ჩრდილოეთ ლაზიკის ციხესიმაგრე სხიმარიონში (ცხუმარიონში), ქალაქ ცაგერში (სახელი „ცხუმარი“ ამჟამადაც ეწოდება მახლობლად, მესტიასთან, ერთ-ერთ თემს).

დასავლეთევროპელ იბერებს მაქსიმე აღმსარებელი მიიჩნევდა კავკასიიდან ჩასულებად.

უფრო მოგვიანებით (მე-11 საუკუნეში) წმიდა გიორგი მთაწმინდელი,

ასევე ექვთიმე მთაწმინდელი ტერმინ „კელტიბერებს“ ასე თარგმნიდა – „კელტქართველნი“, მიაჩნდათ, რომ იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრები იბერები და კელტიბერები – ეთნიკური ქართველები იყვნენ, რომელთა სახილველადაც ათონის მთაზე დაიგეგმა გემით ჩასვლა მათ მოსანახულებლად.

მათგან განსხვავებით, სტარაბონი და სხვები მიიჩნევდნენ, რომ ესპანეთიდან იბერები კავკასიაში, კერძოდ კი შავი ზღვისპირეთში გადმოასახლა მეფე ნაბუქოდონოსორმა ძვ. წ. მე-6 ს-ში. და ისინი დაასახლა მიწა-წყალზე, რომელსაც არმენიიდან ყოფს მდ. არაქსი. „западные иберы переселились в местности, лежащие выше Понта и Колхиды, отделяемые от Армении рекою Аракс“.

იგივე მოსაზრება უფრო ადრე გამოთქვა ისტორიკოსმა მეგასთენემ (ძ. წ. მე-4-მე-3 სს.) თავის თხზულებაში „ინდიკა“.

ამ წიგნის შემორჩენილი ნაწილებით ისარგებლა ასევე ევსევი კესარიელმა და მოგვცა ცნობა, რომ ნაბუქოდონოსორმა ლიბიის გვერდით მდებარე იბერიიდან მოსახლეობის ნაწილი გადმოასახლა კავკასიაში, პონტოსპირეთში.

სტრაბონმა, როგორც ითქვა, მოგვცა ცნობა, რომ იბერები არაქსისპირეთში, პონტოს მაღლა სახლობდნენ, და მათ არმენიელებისაგან ყოფდა მდინარე არაქსი. მისივე ცნობების შესაბამისად, თავდაპირველად იბერები განსახლებული იყვნენ პონტოსპირეთიდან არაქსამდე, ამ მიწა-წყალს მართლაც მოიცავდა სტრაბონიდან ათასი წლის შემდეგაც ტაოს ქართველთა სამეფო. ამ დროისათვის არაქსისპირეთის იბერების დიდი ნაწილი უკვე არმენიზებული იყო და სომეხი ხალხის ნაწილს შეადგენდა, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო ეროვნული ვინაობის, თვითშემეცნების შენარჩუნება მხოლოდ ტაოსა და მიმდებარე ოლქებში, მაგალითად ბასიანში, რომელიც არისტაკეს არტივეტეცის თანახმად, იბერთა ქვეყანა იყო, იბერიული სოფლებითა და გვარებით, რომელნიც უწყალოდ ამოხოცა ანდა დაასახიჩრა ბასილი მე-2 ბულგართმმუსვრელმა. იმავე ცნობას, რომ ამ მხარეებში იბერიისა და ბიზანტიის საზღვარი გადიოდა არაქსზე, იძლევა, როგორც აღინიშნა, კონსტანტინე პორფიროგენეტი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მეგასთენეს ეს ცნობა განიხილა ევსევი კესარიელმა, კერძოდ, მან თავის წყაროდ დაასახელა მე-2 ს. ძველბერძენი ისტორიკოსი აბიდენოსი, ეს უკანასკნელი კი წყაროდ იყენებდა ძვ. წ. მე-3 საუკუნის ძველბერძენ მოგზაურს მეგასთენეს.

ევსევი კესარიელი თავის წიგნში „მომზადება წმ. სახარების შესამეცნებლად“ იბერებთან დაკავშირებით წერს –

„აგრეთვე მოვიპოვე ნაბუქოდონოსორის შესახებ აბიდენოსის თხზულებაში „ასურელთა შესახებ“ შემდეგი ცნობა: მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი ჰერაკლეზე უფრო ძლევამოსილი იყო, **ლიბიასა** და **იბერიაზე** გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა“.

იგივე ცნობა აქვს ევსევი კესარიელებს თავის სხვა წიგნში „ქრონიკები“ („ქრონოგრაფია“).

– „აბიდენოსი ნაბუქოდონოსორს ჰერაკლეზე ძლევამოსილად მიიჩნევს, როდესაც წერს შემდეგს: მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი ჰერაკლეზე ძლევამოსილი იყო, მან თავისი ჯარები შორს **ლიბიამდე** და **იბერიამდე** მიუშვა. დაიპყრო ეს ქვეყნები და მათი მოსახლეობის ნაწილი ევქსინის ზღვის მარჯვენა ნაპირზე დაასახლა“.

მეგასთენეს ამ ცნობაში ნახსენებია „ლიბია“, ასეთი სახელით მოიხსენიებდნენ აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს ესპანეთის მეზობლად, ამ ცნობის თანახმად, ნაბუქოდონოსორს ულაშქრნია აფრიკასა და ასევე ესპანეთის იბერიაში, საიდანაც ამას დატყვევებული მოსახლეობა წამოუყვანია და პონტოსპირეთში დაუსახლებია.

სწორედ ასე ესმოდა ყველა ძველ ავტორს აღნიშნული ცნობა, მათ შორის არა მხოლოდ ბერძენ და რომაელ, არამედ სომეხ მწერლებსაც, მაგალითად, მოვსეს ხორენაცის.

თანამედროვე მკვლევრები არ მიიჩნევენ სანდოდ მეგასთენეს ამ ცნობას, რადგანაც ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორს არ ულაშქრია ესპანეთსა და მის მომიჯნავე აფრიკის ქვეყნებში.

ამ მხრივ ჩვენი კვლევა განსხვავებულია, ჩვენი მოსაზრებით, ნაბუქოდონოსორმა ილაშქრა არა ესპანეთსა და მის მეზობელ ლიბიაში, არამედ მან დაიპყრო ქვეყანა „ლუვია“ (ლუბია), შუამდინარეთის მახლობლად მდებარე მის ეპოქაში ცნობილი ქვეყანა.



დლუვიელთა ქვეყანა მესოპოტამიის მახლობლად



ლუბია, თავდაპირველი იბერიის მეზობლად



ბაბილონის აგრესია ლუბიისაკენ და თავდაპირველი იბერიისაკენ
https://puzzlefactor.com/ru/художественная-головоломка/460058-карта-месопотамии-пазл#11x11

ლუბიას ადრიდანვე აკავშირებდნენ ქართულ ტომებთან.

ნ.ხაზარაძის ლოგიკური დასკვნით, „თაბალისათვის ნავარაუდევი ტერიტორია ძველთაგანვე ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში შედიოდა“ (ნ.ხაზარაძე, 1978, გვ.64, 82; ნ.ხაზარაძე, 2001).

ბიბლიის განმმარტებელნი თობელის შთამომავალთ იბერებთან აკავშირებდნენ.

ქალაქი მაზახა/მაზაკა მუშქთა/მოსხთა დედაქალაქად იწოდებოდა. ნ.ხაზარაძის დასკვნით ამ ქალაქის სიახლოვეს ცხოვრობდნენ თობალებიც.

იოსებ ფლავიუსი (I ს.) „...თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.34);

XII საუკუნის ქართული თარგმანი: „დაამკვიდრებს უკუე თოვილისსა თოვილთასა, რომელნი აწ ივრად იწოდებიან“);

ევსტათი ანტიოქელი (280-360): „ობელისგან წარმოიშვნენ თეობელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.34);

ლეონ გრამატიკოსი (XI): „... თობელისგან – თობელები, ახლანდელი იბერები, მესოხისგან – მესხენები, ახლანდელი კაბადოკიელები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1983, გვ.49)...

შდრ., გიორგი სინგელოზი (VIII-IX): თობელისაგან წარმოდგნენ თეტალიელები, ხოლო მოსოხისგან – ილირიელები (გეორგიკა, 1941, 61-62)...

(ტ.ფუტკარაძე – ქართველები, 2005 წ. გვ 100-101).

ტაციტუსის ცნობით, მისი ეპოქის იბერები თავიანთ თავს თესალიელთა შთამომავლებს უწოდებდნენ, ამიტომაც ეს აზრი ახლოა გიორგი სვინგელოზის მტკიცებასთან, რომ მოსოხისაგან წარმოდგნენ ილირიელები, თობელისაგან თეტალიელები. შესაბამისად, რადგანაც ტაციტუსის ცნობით, მისი დროის იბერებს თავიანთი თავი მიაჩნდათ თესალიელთა შთამომავლებად, თავიანთ თავს ინდოევროპელებთან აიგივებდნენ, შესაბამისად, ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ჯგუფში მოიაზრებოდა. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ქართლის ცხოვრებაც ქართველებს ბალკანური წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა.

„ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ ჰშვა ავანან, ავანან ჰშვა თარში, თარშმა“...

მაშასადამე, ქართველები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ იაფეტის შთამომავლებად. კერძოდ კი ბალკანელენის, რადგანაც იაფეტისაგან ელინთა (ბერძენთა) წინაპარი ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ ჰშვა ავანან, ავანან ჰშვა თარში, თარშმა თარგამოსი.

ეს ნიშნავს, რომ ქართლის ცხოვრების აღწერისას ჯერ კიდევ ტაციტუსის ცნობის შესაბამისად, ქართველები თავიანთ თავს ბალკანელებთან (ავანან და ტარშთან აიგივებდნენ, ანუ თავიანთი თავი ინდოევროპელებად მიაჩნდათ, შესაბამისად, ქართულ ენას ინდოევროპულ ენათა ოჯახში ათავსებენ. ამიტომაც ლუვიელების გვერდით მცხოვრები იბერები, რომელთა ნაწილი ნაბუქოდონოსორმა ჩამოასახლა პონტოსპირეთში, ბალკანურ ხალხთა ოჯახში მოიაზრებოდა.


ბოსფორი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთ

ლისაისთან ერთად კონსტანტინე პორფიროგენეტი, ასეთი ცნობა დაცულია მე-7 ს. სომეხ ისტორიკოს სებეოსთანაც. ისიც ამ ფაქტს უკავშირებს ნაბუქოდონოსორსს.

ბაგრატიონების წარმოშობის ისტორია სებეოსთან – ფარნავაზის შთამომავლები ფლობენ მიწა-წყალს „ქვეყნის დასავლეთ მხარეს“ – ანუ სპერს და მიმდგომ ოლქებს

ნაბუქოდონოსორის დროს მათი წინაპრები ემორჩილებოდნენ ნაბუქოდონოსორს,

აღსანიშნავია, რომ როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტთან, ისე სებეოსთან იბერთა მმართველი ზედაფენა თავის წარმომავლობას უკავშირებდა „დიდებულ ქალს“.

ანუ დაკავშირებული არიან დიდებულ ქალთან, სებეოსთან ის აბრაამის მონა ქალია ისააკისაგან, რომელიც გაიქცა და დასახლდა მასისის მთასთან, კონსტანტინე პორფიროგენეტთან მსგავსი ქალია მეფე დავითის მონა ქალი, რომელსაც ქმარი მოუკლა მეფემ .

სებეოსი წერს „...Парнаваз. Он родил Багама и Багарама; Багарам родил Бюрама; Бюрам родил Аспата; дети Багарама получили владения в странах западных. Они составляют племя Ангех, потому что Багарам назывался также Ангехом, которого обоготворяли в то время народы варварские. Этот Парнаваз покорился царю вавилонскому, Навуходоносору...

Говорят, что убежала из Дамаска Марсьяк, рабыня Авраама, от Исаака, и поселилась у подошвы двух гор, которые смотрят на великую поляну Арая – вершины Арагац и горы Гег. Она по своему имени (т.е. Масис от Марсьяк) назвала горы, которые называются Азат. И было у ней три сына: Парох т.е. Элиазар; вместо жительства его называют Парохт, а поле – Паракан для их набегов и охоты: они смешались с родом Араманьяка“.

Повествование Епископа Себеоса о Иракле

https://www.vostlit.info/Texts/rus10/Sebeos/frametext1.htm

ნაბუქოდონოსორსა და იბერებს ასევე მოვსეს ხორენაცი აკავშირებს ერთმანეთთან.

მოვსეს ხორენაცთან ვკითხულობთ: „ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე [ი]ვერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა“. [ი]ვერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“.

შეიძლება დავასკვნათ ანდა გამოვთქვათ მოსაზრება მეგასთენეს მიერ ნახსენებ ლუვიაზე.

„მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი ჰერაკლეზე უფრო ძლევამოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა”. მაშასადამე, მეგასთენეს ცნობა მცირე აზიაში მცხოვრებ იბერებზეა.

ტერმინ „ივერთან“ დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი. ამჟამად ზოგიერთ წრეებში ამ ტერმინით (ივერი, ებერი) აღნიშნავენ ებრაელთა ზოგიერთ ჯგუფს, მაგრამ, სწორი წაკითხვაა არა „ივერი“ ანდა „ებერი“, არამედ „ყევერი“.

სხვა ენებში თანხმოვნების ნაკლებობის გამო სწორად არ გამოითქმება აღნიშნული ტერმინი. მაგრამ ქართულ სინამდვილეს ის დაცული აქვს, მაგალითად, საუკუნეების მანძილზე, ვთქვათ ქუთაისში ქართველები და ებრაელები ძმურად ცხოვრობდნენ, მაგრამ ქართველები მათი ვინაობის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს – „ყევერი“, ესაა ამ ტერმინის სწორი გამოთქმა, თანხმოვან „ყ“ – არსებობის გამო შეიქმნა გაუგებრობა, იქამდისაც კი ზოგიერთი ცდილობს ქართველთა წარმომავლობა სემს დაუკავშიროს. მაშინ, როცა ქართლის ცხოვრება და სხვა წყაროები ქართველთა პრაწინაპრად მიიჩნევდა იაფეტს (და არა სემს).

Согласно Новой Иверологии приняты две степени градации иверов, это: Высшие Иверы и Низшие Иверы (Надсмотрщики) https://iverologα.fandom.com/wiki/Иверы

იბერთა ტომი „ლუვიას ქვეყანაში“ ე.წ. „ლიბიაში“

ჰომეროსის „ილიადაში“ იხსენიებიან ფრიგიელები, როგორც ტროელთა მოკავშირეები.

მიიჩნევა, რომ ილიადა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების ისტორიულ ვითარებას ასახავს, თუმცა ამჟამად ფიქრობენ, რომ „ილიადას“ ავტორს ძვ.წ. X-IX სს-ში უნდა ეცხოვრა, ხოლო პოემის ლიტერატურული გაფორმება ძვ.წ. VI-ს-მდე გრძელდებოდა.

ქსანთოს ლიდიელის მითითებით ფრიგიელები მცირე აზიაში ტროას ომის (ძვ.წ. XIII-XII სს. მიჯნა) შემდეგ მოვიდნენ (სტრაბო, XIV, 5, 39).

ამჟამად ფიქრობენ, რომ ფრიგიელები მცირე აზიაში ძვ.წ. X ს-ის შემდეგ, უფრო IX-VIII სს-ში მოვიდნენ.

ფრიგიის უძველესი დედაქალაქის გორდიონის ყორღანები ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII-IV სს-ში ექცევა (ნ. ხაზარაძე, „ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი“, 2001, გვ. 10).

ქსენოფონტე (ძვ.წ. IV) წერდა: „დიდი“ ფრიგიისა და „ჰელესპონტის“ ფრიგიის ანუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი პოლიტიკური ერთეულის შესახებ. „დიდი ფრიგია“ – კაპადოკიასა და ლიდიას შორის იყო მოქცეული (იქვე, გვ. 22).

ტროადა – ჰელესპონტის ფრიგიის შემადგენელი ნაწილი იყო (სტრაბო, II, 5,31). მას „მცირე ფრიგიასაც“ უწოდებდნენ. აქ მეფობდა მიდასი. შემდეგ ეს ქვეყანა გალატიელების ხელში გადასულა (სტრაბონი, VIII, 1,2).

მუშქების ქვეყნის მეზობლად თაბალის ქვეყანა მდებარეობდა (გვ. 39). **მუშქების, იგივე ფრიგიელთა** მეფე მითა მეგობრობდა თაბალის მეფესთან.

თაბალის მეზობელი იყო ქვეყანა „ქუე“.

მუშქები იგივე მუსქები იხსენებიან ასურულ წარწერებში.

ბიბლიაშიც „იავანი, თობელი და მეშეხი“ ერთად იხსენიებიან, იავანი – ბერძნების წინაპრად, თობელი და მეშეხი – ქართველებისა. მეშეხი და მუშქები ერთ ხალხად მიიჩნევა.

თაბალის ქვეყანა დიდი კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა (იქვე, გვ. 43).

ფრიგიელებს თავიანთი ანბანი ჰქონდათ – „ძველი ფრიგიული“, ის ძველი ბერძნულისგან წარმომდგარად მიიჩნევა, კერძოდ, დასავლური ბერძნულიდან. თავის მხრივ, ბერძნული ანბანის ფორმირება ფინიკიურიდან დაიწყო ძვ.წ. IX ს-დან, ხოლო არქაული ბერძნული ანბანი ჩამოყალიბდა ძვ.წ. VIII ს-ში. თავიდან ჩამოყალიბდა „აღმოსავლური“ და „დასავლური“ ბერძნული ანბანი. აღმოსავლურისგან შეიქმნა კლასიკური ბერძნული ანბანი.

მუშქების ქვეყანაში გაედინებოდა მდ. ჰალისი (გალისი, ყიზილ-ირმაკი). შესაძლოა, ამ მდინარის სახელის გამო **ჰალისის რეგიონში მცხოვრებ მუშქებს დაერქვათ „ჰალიძონები“ (ალიზონები, ალაზონები**), რომლებსაც ტროას ომში მიუღიათ მონაწილეობა ჰომეროსის თხრობით. სტრაბონის მტკიცებით კი ეს ალიზონები შემდგომ ხალიბებად იწოდნენ, მათ ასევე ქალდებსაც უწოდებდნენ. სიტყვა ქალდი სახელ „ქართველს“ დადებია საფუძვლად.

ფრიგიას „მუშქების ქვეყანა“ ეწოდებოდა. ძვ.წ. VIII ს-ში ფრიგიის სამეფოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონია კილიკიასთან და მახლობელ ქვეყნებთან

საკუთარი სახელი „გორდი“ – ფრიგიულ წარმომავლობისად მიიჩნევა.

„გურდი“ – „გორდი“ რქმევია თილ-გარიმუს მეფეს.

ცნობილია, რომ „გორდიოსი“ ფრიგიის მეფეთა დინასტიური სახელწოდება იყო. „გორდ“ ძირიანი ტოპონიმები („გორდიონი“, „გორდუტეიხოსი“, „გორდორუნიოსი“, „გორდუკომე“, მანეგორდუსი“ და სხვ.) საკმაოდ გავრცელებული იყო დიდი ფრიგიის ტერიტორიაზე (იქვე, გვ. 74).

„**გორდუ**-ტეიხოსი“
„**გორდო**-რუნიოსი“
„**გორდუ**-კომე“
„მან-**გორდუ**-სი“

ჩანს, ფრიგიას ერქვა არა „გორდ“, არამედ „**გორდუ**“ (გორდო), აქედანვე შესაძლოა იყოს ქართველთა თვითსახელწოდება **გორდუ**ელი, ანუ **ქორთუ**-ელი-ქართველი, ან, როგორც ითქვა, „გალატო“-დან.

სახელები **„ხალიტუ“-ქალიდუ, გორდუ და გალატო „ქართუ“-ს იდენტურია, შესაბამისად, მათგან უნდა იყოს დაკავშირებული სახელი – ქართუელი.**

ეს „გალატო“-ც შესაძლოა იყო ევროპიდან შემოსული იმავე ფრიგიელების შორეული თვისტომნი გალები. ცნობილია, რომ მცირე აზიაში გვიან შემოსულ „გალებს“ „**გალატო**“-ები ეწოდათ.

შესაძლოა **გორდუ**სგანაა ნაწარმოები პონტოსპირა **ხალდ**ების სახელიც. ხალდები-**ხალდუ**ები (ქალდები-**ქალდუ**ები) ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ სტრაბონის ცნობით.

ჩვენთვის განსაკუთრებითაა საინტერესო სახელწოდება – „ლუვია“, რადგანაც ის ემსგავსება მეგასთენესთან ნახსენებ ქვეყნის სახელს – „ლიბია“, რომლის მეზობლადაც იბერები ცხოვრობდნენ. თუკი ლიბიის ქვეშ იგულისხმება არა აფრიკის ქვეყანა, არამედ ქვეყანა „ლუვია“, ვანის ტბასთან, მაშინ იბერების ძველი საცხოვრისის შესახებ თავდაპირველ წყაროსთან გვექნება საქმე.

ძვ.წ. II ათასწლეულის შემდგომ, გვიანხეთების წარწერების პერიოდში, მცირე აზიაში აღმოჩენილია ლუვიურ-იეროგლიფური წარწერები. ისინი თარიღდებიან ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით. ამ წარწერებში ჩანს, რომ **ლუვიაში, ლუვიის გვერდით არსებობდა „მუსკების ქვეყანა“ – სუვერენული პოლიტიკური ერთეული**.

ფრიგიელთა ტერიტორიაზე **„ლუვიას“ ქვეყნის გვერდით ან „ლუვიას“ ქვეყნის საზღვრებში ყოფილა მოქცეული „მუსკების ქვეყანა“** IX-VIII სს-ში (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129).

აქ საინტერესოა, რომ **ეტიმოლოგიურად სახელი „ლუვია“ ახლოა „ლიბიასთან“.** ძველი ბერძნული და ასევე სომხური წყაროების ცნობით ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა თავისი ქვეყნიდან აყარა და პონტოსპირეთში დაასახლა „იბერთა ტომი“, რომელიც იქამდე „ლიბიასთან“, ლიბიის ქვეყნის გვერდით ცხოვრობდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქრონოლოგიური თანხვედრის გამო აქ ნახსენები **„იბერთა“ ტომი უნდა იყოს ის „მუშქები“, რომელნიც ცხოვრობდნენ „ლუვიას ქვეყანაში“ ანუ ლიბიაში.**

აქამდე, როგორც ცნობილია, აღნიშნულ ლიბიას აიგივებდნენ აფრიკასთან და ბერძნულ ცნობას უგულებელყოფდნენ.

თუ ლუვია იგივე ლიბიაა, ხოლო იბერები აღნიშნული მუშქები, ლუვიის ქვეყანაში მცხოვრებნი, აღმოჩნდება, რომ **საქართველოს ისტორიისთვის რეალური ახალი წყარო იქნა მოპოვებული.**

ასურული წყაროებით, მუსკები მნიშვნელოვანი ხალხი იყო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სხვა ხალხების საცხოვრისს მუსკების ქვეყნის მიხედვით განსაზღვრავდნენ. მაგალითად, ასურულ ლურსმულ წარწერებში იხსენიება სხვადასხვა ხალხი (ტაბალები, ტუნა, ტუხან, ქუე), რომლებიც „დასავლეთის მუსკების“ გვერდით ცხოვრობდნენ (გვ. 137). „მუსკების ქვეყანას“ ასევე ეწოდებოდა „მთიანი მხარე“.

„იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმნული ლუვიურის ახლო მონათესავეა. ლუვიურთან ერთად ინდოევროპული ენების ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფს ქმნის“ (გვ. 145).

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, როგორც ითქვა, მოიხსენებენ „მუსქების ქვეყანას“. ერთ-ერთში ლუვიის მბრძანებელი ამბობს: „მე განმადიდეს ეგვიპტეში, ბაბილონში, **მუშქების** და სირიელების ქალაქებში“ (გვ. 149),

აქედან ჩანს, რომ მუშქები თავიანთი მნიშვნელობით დგანან ეგვიპტელების, ბაბილონელების და სირიელების გვერდით.

ი. დიაკონოვის აზრით, მუშქების, იგივე მუსქების სახელწოდებას, როგორც წესი, უკავშირებენ ფრიგიელებისა და ქართული ტომის – მოსხების სახელწოდებას. უფრო მეტად – მოსხებისა, თუმცა არის ცდა, დაუკავშირონ პროტოსომხებს (გვ. 161).

ერთ-ერთი ლუვიური მითის თანახმად, მოკვდავ-აღორძინებადი ღვთაება ტელეფინუს სიმბოლო (ნიშანი) ასეთი იყო: ეიას ხეზე უნდა ჩამოეკიდათ მისდამი მსხვერპლშეწირული ცხვრის ტყავი (საწმისი), ანუ, ოქროს საწმისის მითი არა მხოლოდ კოლხეთში, არამედ უფრო ადრე ლუვია-მუშქების ქვეყანაში იყო ცნობილი.

გვიანხეთური ხანის (ძვ.წ. IX-VIII სს.) სამეფო-სამთავროთა და მათ შორის თაბალისა და მუშქების ქვეყნის პანთეონში ყველაზე პოპულარული იყო თარხუნთი – ტარხუნთი – „ცის ღვთაება“. ეტიმოლოგიურად ამ სიტყვასთან ახლოა ქართული „ტაროსი“, მაგალითად. ქართულ მითებში ამირანის საცოლის ყამარის მამა ცაშია, ცის მეუფეა, რომელსაც ტაროსის შეცვლა შეუძლია, კერძოდ, წვიმის მოყვანა.

საერთოდ, ყამარის ხასიათი მიაგავს არგონავტების მითის კოლხეთის მეფის ასულის მედეას ხასიათს, კერძოდ, ყამარი მედეას მსგავსად ღალატობს თავის ოჯახს, თავის მამას და მიჰყვება ამირანს. არგონავტების მითის სიუჟეტის მიხედვით იასონს დაედევნება მედეას მამა, ამ დროს მედეა ეხმარება იასონს და აკვლევინებს თავისიანებს, ასევე, მსგავსად – ყამარი ეხმარება ამირანს, რათა მან მამამისი (ე.ი. საკუთარი მამა) მოკლას – „მაღლა ნუ კი სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა, დაეჭრებიან ძარღვები დაეცემიან ძიროსა“ – ურჩევს ყამარი ამირანს, თუ როგორ მოკლას მამამისი. ყამარის მამა ამბობს ამის გამო: „უყურე ბოზსა ქალასა ქმარი ირჩია მამასა“ და სწორედ ასეთივეა მედეას ხასიათი. შესაძლოა, ის ბერძნული მითები, რომელნიც კოლხეთის შესახებ შეითხზა – მოსხების (მუშქების) ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული.

მართლაც, „**მოსხები კოლხური ტომია**“, – წერდა ამ ეპოქასთან ყველაზე ახლოს მდგომი ქრისტეშობამდე VI საუკუნის ავტორი ჰეკატოს მილეტელი.

ჩანს, ნაბუქოდონოსორის მიერ პონტოსპირეთში ლუვია-ლიბიის მეზობელი იბერების ანუ იგივე მუშქების გადმოსახლების დროს (თუ მათ მიერ ადგილმონაცვლეობისას) მათ კავკასიაში თან წამოიღეს ძველი მითებიც.

აღსანიშნავია, ისიც, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მოკვდავ-აღორძინებად ღვთაებას – ტელიფინუ ერქვა, ივანე ჯავახიშვილის რკვევითაც, სვანეთში ერთ-ერთი რიტუალის დროს წარმოთქვამენ ტელეფიას სახელს – „მელია-ტელეფია“. თუ ეს ასეა, უნდა ვთქვათ, რომ სვანები, ისევე როგორც სხვა ყველა ქართული ტომი, მუშქების – მოსხების მემკვიდრეები არიან.

ჩანს, **„მოსხები“ იგივე კოლხები, იგივე ქალდები იყვნენ, ის ეთნოსუბსტრატი, რომლითაც ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი და რომლიდანაც წარმოიშვა ქართველთა ტომები ე.წ. „ქართები“, „ზანები“ და „სვანები“.**

ძველი ავტორების ზოგიერთი ცნობითაც, იბერებისა და შავი ზღვისპირეთის ტომები ბალკანური წარმოშობისაა, იაზონის შთამომავლები არიან, ეს შეიძლება მიგვითითებდეს, რომ ბალკანეთიდან და მცირე აზიიდან ფრიგიულ-მესხური ტომების დენა უკან, კავკასიისაკენ, გრძელდებოდა დიდხანს.

ძველ ბერძენ-მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა განმარტებანი ქართველთა წარმოშობის შესახებ

თესალონიკელი არქიეპისკოპოსი ევსტატე (ევსტათიოსი) განმარტავს ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) „ილიადას“ ადგილებს ქართველებთან დაკავშირებით. ჰომეროსი თავის ილიადაში წერს – ტროას ომში „**ჰალიზონებს მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი, შორეული ალიბედან, საიდანაცაა ვერცხლის საწყისი**“ (II, 856-857).

არქიეპისკოპოსი ევსტატე ასე განმარტავს ამ ადგილს ჰომეროსიდან – „**ჰალიზონები ხალიბებს უწოდა (ჰომეროსმა), ხალიბებს ჰქონდათ განთქმული ვერცხლის საბადოები, ახლა კი აქვთ რკინისა. გეოგრაფოსი ამბობს, რომ ზოგიერთნი ნაცვლად „ალიზონებისა“ წერენ „ალაზონები“ ანდა „ოლიზონები“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, 2010, გვ. 49).**

როგორც „გეოგრაფოსის“ (ჩანს, იგულისხმება სტრაბონი), ისე არქიეპისკოპოს ევსტატეს თვალსაზრისით ხალიბები მონაწილეობდნენ ტროას ომში და მათ ასევე ეწოდებოდათ „**ალაზონები**“.

ალაზონები არის საწყისი სიტყვებისა: „**ლაზონია**“ (ასე ერქვა ოლქს ტრაპეზუნტის მახლობლად) და „**ლაზი**“ (ასე ერქვა ტომს ასევე ტრაპეზუნტის ახლოს მცხოვრებთ), ხოლო ხალიბები იგივე ქალდები, ქალდეას ქვეყნის მცხოვრებნი არიან. ასე რომ, ქალდები (საიდანაც წარმომავლობს სიტყვა „ქართუელი“) ასევე იწოდებოდნენ ლაზებადაც. **ქალდები და ლაზები ერთი ხალხი იყო**. ქალდები და ლაზები (ქართველები) მუდამ ერთად იხსენიებოდნენ მწერალთა მიერ.

იგივე არქიეპისკოპოსი ევსტატე ასევე წერს ერთ-ერთი ქართული ტომის – გარგარელების შესახებ. ამ ტომის სახელი (გარგარი) იმითაა საინტერესო, რომ მისგან უნდა იყოს წარმომავალი ქართული პროვინციის გუგარის სახელი (გუგარქი), სიტყვის ფუძე ეთანადება ქართველთა ეთნო ფუძეს – „გგრ“ (ეგრისი, არგვეთი, გურია...). გარგარ – გუგარ – ggr (არ ვეთანხმებით თვალსაზრისს თითქოსდა გუგარქის სახელი მოდის სკვითური ტომის „გოგის“ სახელისაგან).

ჰომეროსის სხვა ადგილის კომენტარში ევსტატე წერს – „**მონათხრობი ირწმუნება იმასაც, რომ გარგარელები – იმ ხალხის სახელია, რომელიც ამაზონებთან იყო კავშირში**“ (იქვე, გვ. 50).

ამაზონები – მისივე სიტყვით, არა მარტო მეომარი ქალების, არამედ ქალდების ტომის მეომარი მამაკაცების სახელიც იყო, რომელნიც ჩაცმულობისა და გრძელი თმების გამო ზოგიერთს თურმე ქალებად წარმოედგინათ.

შესაძლებელია ისიც, რომ სიტყვა „ქალდი“ ბერძნებს უთარგმნეს კიდეც ქართული ენის შესაბამისად. სახელი „ქალი“ დედაკაცს ეწოდება, დ (ტ, თ) – მრავლობითობის ნიშანია, ანუ თარჯიმნის მიერ ბერძენთათვის სახელი „ქალდი“ ქართულიდან ითარგმნა ასე – „ქალები“. საერთოდ კი, ბერძნებს ეთნონიმებს, ჰიდრონიმებსა და ტოპონიმებსაც უთარგმნიდნენ. მაგალითად, გრძელთავიანთა ტომის სახელი ასე უთარგმნეს – „მაკროკეფალები“, უთარგმნეს ასევე „ტილიჭამიებისა“ და „გირჩისმჭამელთა“ ტომების მეტსახელებიც.

საერთოდ, ივ. ჯავახიშვილის კვლევებით, **ქალდუ ანუ ქალდი იყო იმ ქვეყნის სახელი, საიდანაც, როგორც ის წერდა, წარმოდგებიან „ქართველები, ლაზები და სვანები“,** ანუ ქალდუ – ქართველთა უძველესი საერთო ქვეყნის სახელი იყო.

ქალდუს ქვეყნის მცხოვრებთ იმჟამად ქალდები ანუ ხალდები ერქვათ.

თესალონიკელი არქიეპისკოპოსის ევსტრატეს განმარტებით კი ქალდები იგივე ალაზონები, ლაზები არიან. ანუ **ქართველთა საერთო სამშობლოს სახელი „ალაზონიაც“ ყოფილა (როგორც ითქვა, აქედან უნდა იყოს სახელები არზე, არზენა (ალზენა-ლაზენა-ლაზივი-ლაზიკა**), არზენა-არსიანი, არაზანი და სხვა).

კლიმენს ალექსანდრიელი (II-III სს.) მიიჩნევს, რომ პონტოს ზღვისპირეთში იბერიის მეზობელი და მახლობელი ამაზონები იყო არა მაინცდამაინც ქალების ტომი, არამედ ზოგადად ქალდებისა, ის წერს – „**იბერიის მახლობლად ქალები მამაკაცურ საქმეს ეწევიან სახლში და მშობიარობის დროსაც არ ტოვებენ საქმეს. ქალი ყველაზე მძიმე სამუშაოს დროსაც კი მშობიარე აიყვანს ხელში ჩვილს და სახლში შეჰყავს. ქალები აქ არაფრით არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს, სახლს დარაჯობენ, ნადირობენ, საქონელსაც დარაჯობენ“** (იქვე, გვ. 369). ანდა წერს – „**ამაზონები – სკვითური ტომი, ვაჟკაცური, მამაკაცური ტომი კოლხების მეზობლად**“ (იქვე, გვ. 369).

ხალიბების ანუ ქალდების თანამეტომენივე იყვნენ მათგან მოშორებით მცხოვრები კარდუხები, იგივე კორდიელები.

ეს იყო არარატის მახლობელი არეალი, იქ, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი, ამიტომაც ევსევი კესარიელიც (IV ს.), საეკლესიო ისტორიის მამაც, ეხება ამ საკითხს – ევსევი კესარიელი წერს – „**არმენიელთა ქვეყანაში, კორდიელთა მთებზე ახლაც არის შემორჩენილი მცირეოდენი ნაშთი იმ ხომალდისა**“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, გვ. 383).

ნოეს კიდობანი არმენიაში კი არა, არამედ არარატის მთებზე – კორდიელთა ანუ ქართველთა წინაპრების ქვეყანაში შეჩერდა.

კარდუხების ანუ კორდიელთა ქვეყანა დაახლოებით ძვ. წ. VI ს-ში არმენიელებმა დაიპყრეს, ამიტომაც იქაური ქართველები „არმენიაში“ მცხოვრებნი აღმოჩნდნენ.

ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ვანის ტბის პირას ერთმანეთის მეზობელი ქვეყნები იყვნენ ლუვია (იგივე ლივია) და იბერია (იბერიელი ხალხის ძველი სამშობლო). აქედან ჩანს, იბერიელები (იგივე ივერიელები) ნაბუქოდონოსორს უფრო ჩრდილოეთით პონტოს ზღვისპირეთში გადაუსახლებია.

გადასახლების საკითხს ეხება ევსევი კესარიელი, ის წერს – „აბიდენეს თხზულებაში ასირიელთა შესახებ ასეთი რამ სწერია ნაბუქოდონოსორზე: – **„მეგასთენესი ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე მეტ ძალას ფლობდა, ლიბიისა და იბერიის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაიპყრო რა ეს ქვეყნები, ნაწილი მოსახლეობისა პონტოსის მარჯვენა მხარეს დაასახლა**“ (ევსევი კესარიელი, ევანგელური შემზადება, IX, 41,1, იქვე, გვ. 383).

ევსევი კესარიელი იმეორებს ძველ ცნობებს, რომ იბერიული ხალხის ერთი ნაწილი ძვ. წ. VI ს-ში სამხრეთის სამშობლოდან უფრო ჩრდილოეთით – შავი ზღვისპირეთში დასახლდა. ჩანს, თავისსავე თანამეტომეებთან ძველ კოლხეთში. **ჰეკატოს მილეტელის ცნობით, თავის მხრივ, კოლხები და მოსხებიც ერთი ხალხი ყოფილა.**

იგივე ევსევი კესარიელი სხვა ნაშრომში მიიჩნევს, რომ მოსოხისაგან წარმოიშვნენ მოსინიკები (მოსოხები და მოსინიკები ერთი და იგივე ტომია), ხოლო სანები იგივე სანიგები არიან, ისინი ერთი ხალხია. ის წერს – „**მოსოხი, საიდანაცაა მოსინიკები... სანები, რომელთაც სანიკებსაც უწოდებენ, პონტომდე არიან დასახლებულნი. აქ აფსაროსი და სებასტოპოლისი, კავსოლიმანი და ფასისი (ფაზისი) უერთდებიან ერთმანეთს. ეს ტომები ტრაპეზუნამდე არიან განსახლებული**“ (იქვე, გვ. 384-385). ჩვენთვის სასახელოა, რომ ამ ტომების ცხოვრებას სახელოვანი საეკლესიო მოღვაწეები შეეხნენ.

ბასილი დიდი (IV ს.) ახსენებს მდ. ფაზისს – ქართველი ხალხის განსახლების ერთ-ერთ ძირითადი რეგიონის მთავარ მდინარეს. ის თავის „ექვსთა დღეთაში“ წერს „**ფასისი, რომელიც კავკასიის მთებიდან მოედინება და მრავალი სხვა მდინარე ჩრდილოეთიდან ევქსინის პონტისაკენ მიედინება**“ (ბასილი დიდი, ცხრა ჰომილია ექვსდღიურზე, III, 6, იქვე, გვ. 381).

ბერძნები და, ჩანს, ქართველებიც, მრავალ მდინარეს უწოდებდნენ ფასისს. ბერძნული შეხედულების შესაბამისად, წმიდა, სუფთა და სასმელად საუკეთესო მდინარის წყალი შეიძლებოდა წოდებულიყო ფასისად. ასევე, ზოგიერთი კვლევით, ფასისი ეწოდებოდა წმიდა, საუკეთესო, განსაკუთრებული ხარისხის ზეთსაც. მდ. ფასისის სანაპიროებიც, შესაბამისად, ლამაზი უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ მდინარის ნაპირის ჰავა საუკეთესო. მაშასადამე, ჭაობის უმოძრაო, შლამიანი წყალი არ შეიძლებოდა ფასისად წოდებულიყო.

ამ რეგიონში შესანიშნავი მთის წყლების სიმრავლის გამო ფასისიც მრავალი იყო. მაგალითად, არაქსი სათავეებში ფასისად იყო წოდებული. ასევე მდ. ჭოროხი, ჩქარი და სასმელად ვარგისი მთის მდინარე, ასევე ფასისად უნდა ყოფილიყო წოდებული მდინარე ლიკოსიც ანუ კელკიტი, რომელსაც თერმეჩაიც ეწოდება (ძველი თერმოდონტი) და აქვე იყო ქალაქი თემისკირა, ეს მდინარე კოლხების ძველი მოსახლეობის ქვეყანაში გადაედინებოდა, აქ იხილა ქსენოფონტემ ტიბარანები და ხალიბები. ეს მხარეები იმჟამინდელ არმენიასთან ახლოს მდებარეობდა. ჩანს, მის შესახებ წერს თემისტიოსი (IV ს.).

„**მე, კეთილო ჭაბუკო, მჭევრმეტყველური სიტყვები მოვიმკე... პონტოს სანაპიროზე, ფასისის მახლობლად ახლაცაა თერმოდონი, ამაზონ-**

თა საგმირო საქმეები და თემისკირიონი... კოლხთა და არმენიელთა შორის...“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, გვ. 393). აქვე წერს, რომ იქ „**სადაც თესალიიდან მოსული არგო პოეტებმა განადიდეს**“, უნდა ითქვას, რომ ამჟამადაც ქ. თერმესთან (ე. ი. ძველ თერმოდონთან) ახლოს არის ჰერაკლესა და იაზონის კონცხები, ძველად, ჩანს, ფიქრობდნენ, რომ არგომ აქ დაისადგურა.

სტეფანე ბიზანტიონელი (VI ს.) თავის ეთნიკაში წერს ქართულ ტომთა შესახებაც – „**ამაზონები – თერმოდონტთან მკვიდრი ქალთა ტომი**“ (იქვე, გვ. 409).

„...**ამარანტები – კოლხური ტომი, რომელთა ქვეყნიდან მოედინება ფასისი... არაქსი – არმენიის მდინარე... აფსილები – სკვითების ტომი, ლაზების მეზობელი არიანეს მიხედვით... ბექეირი – სკვითური ტომი... ბიძერები – ტომი პონტოსზე, არის ბიძერთა ნავსადგურიც... გარგარები, ტომი, რომელიც ხორციელ კავშირშია ამაზონებთან... გარგარენე... გოგარენე – ადგილი კოლხთა და იბერთა შორის... დარდაიები – კავკასიასთან მკვიდრი ტომი... დია – VII ქალაქი სკვითიაში, ფასისთან, დიოსკურიასი – ქალაქი პონტოსის მიდამოებში, რომელსაც სებასტოპოლისსაც უწოდებენ, ადრე მას ეწოდებოდა აია... დრილე – დასახლება ტრაპეზუსთან... ჰეპტაკომეტები – სკიდისეს მთაზე მოსახლენი, ბიძერებსაც უწოდებენ... ზიგები – ბოსპოროსთან, ჩანს მათია ზიგოპოლისიც ტრაპეზუსთან ...თემისკირა – ქალაქი თერმადონთან... კორაქსები. კოლხების ტომი კოლების მახლობლად (კორაქსთა კედელი, კორაქსთა ქვეყანა)... კვიტა – კოლხური ქალაქი, არის სხვაც სკვითიაში, არის ორი კოლხური და ევროპული, არის ქალაქი კვიტაიონი კრეტაზე... კოლები = კავკასიასთან მკვიდრი ტომი, ქვეყანა – კოლიკე... ლაზები – სკვითური ტომი, არის სოფელიც არიანოსის მიხედვით – ძველი ლაზიკე... მაკრონები – დღევანდელი სანები... მოსხები – კოლხური ტომი. მატიენების მეზობელი... სანიგები – აბაზგების მეზობლად მკვიდრი სკვითური ტომი... ტიბარენია – ქალაქი პონტოსთან, ხალიბებისა და მოსინოიკების მიმდებარე... გულმოდგინედ მისდევენ თამაშსა და სიცილს და ამას უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევენ, მათი მეზობლები არიან ხალიბები და ლევკოსირიელები... ტაოხები – პონტოსის შიდამხრის მკვიდრი ტომი, ზოგიერთები მათ ტაოებს უწოდებენ... ფასისი – აიას ქალაქი, კოლხიდის მდინარე ფასისთან. დაარსებულია მილეტელების მიერ, არის სხვა მდინარე ფასისიც – ტაპრობანეში... ქალდეები, ტომი კოლხიდის მახლობლად... ხალიბები – პონტოსის მიდამოებში, მდინარე თერმოდონტთან მცხოვრები ტომი, მათზე ევდოქსოსი წერს – „ხალიბების ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც აქებენ წრთობისათვის გამოსადეგობის გამო“. ჰომეროსი მათ ჰალიზონებად იხსენიებს კატალოგში პაფლაგენიელების შემდეგ – „ჰალიზონებს კი ოდიოსი და ეპისტროპოსი უძღოდათ, შორიდან მოსულნი – ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“, ანუ შეცვლილია დამწერლობა – „შორიდან ხალიბედან“, ხალიბებს სამხრეთით არმენიები ესაზღვრებიან“**... (სტეფანე ბიზანტიელი, ანტიკ. კავკასია, ენციკლოპედია, გვ. 418).

ტაოს, ბასიანსა და მიმდებარე მხარეებს როგორც ბერძნები, ისე სომხები „იბერია“, „ივერიას“ უწოდებდნენ და მათ მცხოვრებლებს კი – ქართველებს, ივერიელებს.

პატკანოვ-მარის თეორიით, თითქოსდა, ეს მხარეები თავდაპირველად სომხებით იყო დასახლებული, რომელნიც შემდგომში ქართველებად გადაიქცნენ ე. წ. „ქართიზაციის“ პროცესის შედეგად, რომელიც იქაურ სომეხთა მიერ ქალკედონიტური სარწმუნოების მიღებამ გამოიწვია.

ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ძველ ავტორთა ცნობები, რომელნიც ზემოთ იყო მოხმობილი და გულისხმობს ქართული ტომების თავდაპირველადვე ცხოვრებას არა მხოლოდ ტაოსა და ბასიანში, არამედ უფრო სამხრეთითაც, ვანის ტბიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე, თუმცა არსებობს პირდაპირი ცნობებიც. ერთ-ერთია მაგალითად, VI ს-ის ავტორის სტეფანე ბიზანტიელის ნაშრომი ეთნოსთა შესახებ, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ **„ობარენე“ ერქვა ევფრატსა და მტკვარს შორის მოქცეულ ტერიტორიას ანუ ტაოსა და ბასიანის მხარეებს**.

„ობარენე“ ეტიმოლოგიურად იგივე „იბერიაა“. აღსანიშნავია, რომ „იბერ“ ფუძით ამ და მისი მომიჯნავე მხარეების მრავალი სახელწოდება არსებობდა, რომელთაც სხვაგანაც ვეხებით.

სტეფანე ბიზანტიელი წერს – **„ობარენე – არმენიის ნაწილი, რომელიც ემიჯნება მდინარე ევფრატს პარალელურად მიმდინარე მდინარე კიროსს (მტკვარს). მათ იხსენიებს კვადრატოსიც „პართიკის“ მეექვსე წიგნში: „მდინარე კიროსის გასწვრივ მკვიდრობენ ობარენები და ოტენები – არმენიის დიდი ნაწილის მოსახლენი“** (იქვე, გვ. 418). აქ, ჩანს, ლაპარაკია ტაოს, ბასიანისა და მიმდებარე მხარეების მოსახლეობის შესახებ. მათი სახელი იბერია, მათი ქვეყნის სახელი შესაბამისად – ობარენეა, იბერ-ობარენე.

აღნიშნულ და სხვა ძველ მართლმადიდებელ ავტორთა ცნობები არ ეთანადება ე.წ. „ქართიზაციის თეორიის“ იდეას, თითქოსდა, ჩრდილოეთ არმენიის მოსახლეობის ნაწილი „ქართიზაციის“ შედეგად გაქართველდა, პირიქით, ეს ტერიტორიები ისტორიული არიან-ქართლის ძირითადი ნაწილი, შესაბამისად, იმთავითვე ქართული იყო.

კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერთა შესახებ

კონსტანტინე პორფიროგენეტის თხრობა იბერთა მიმართ გადმოცემულია მის წიგნში „იმპერიის მართვის შესახებ“ (თავი 45) (Константин Багрянородный, об управлении империей).

ბერძნულად მისი სათაურია – „ჩემს შვილს რომანოზს“, ისტორიულ-გეოგრაფიული ტრაქტატია, აღწერილია ხალხები და ბიზანტიის იმპერიის მეზობლები, შედგენილია 948-952 წლებში კონსტანტინე პორფიროგენეტის მემკვიდრე რომანოზ მე-2-ისათვის. ტრაქტატი დამრიგებლური ხასიათისაა და იმთავითვე არ იყო გათვალისწინებული გამოსაქვეყნებლად, ამიტომ უცნობი იყო მისი თანამედროვეებისათვის და აღმოაჩინეს შემდგომ საუკუნეებში.

ამ ნაშრომში იმპერატორი შვილს აწვდის დამრიგებლურ, მამა-შვილურ ცნობებს იბერებზე, უამბობს მათი წარმოშობის, ქვეყნის საზღვრების და ხასიათის შესახებაც, მაგრამ არც ერთი სიტყვით, მინიშნებითაც კი მათ არ აკავშირებს სომხებთან, ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგანაც ამჟამად დამკვიდრებულია არასწორი მტკიცება, თითქოსდა, აღნიშნული ივირები ანუ ივერები (იბერები) არიან ეთნიკური სომხები, ოღონდ ქალკედონიტები. ასე რომ ყოფილიყო, ის ინტიმურ და საოჯახო ტრაქტატში ამის შესახებ თავის შვილს აუცილებლად მიაწვდიდა ცნობას იმპერატორი, რადგანაც მის ეპოქაში სომხები ცნობილი ხალხი იყო.

ერთი სიტყვით, იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი არ აკავშირებდა ერთმანეთთან ივირებსა და სომხებს, პირიქით, მიაჩნდა, რომ ქართველები ანუ ივირები, სრულიად სხვა ხალხია, თავის წარმოშობითა და საქვეყნო ყოფა-ცხოვრებით, შესაბამისად, როგორც ითქვა, მის მიერ ხშირად ნახსენები ტერმინი „ივირი“ გულისხმობს მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს და არა სომხებს, მით უფრო ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტებს“.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სომეხი-ქალკედონიტი“ წყაროებში არ გვხვდება და ის მე-20 საუკუნეში ხელოვნურადაა შექმნილი ნ. მარის მიერ. ამ უკანასკნელის ნაშრომები საქართველოს მიმართ 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ უარყოფითად შეფასდა.

ივანე ჯავახიშვილი 1923 წელს მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთან ერთად ძალზე უარყოფითად აფასებდა და დაუფარავად წერდა, რომ თავისი ნაშრომებით ნიკო მარს ქართველთა „პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ჰქონდა მიზნად დასახული“.

http://meufeananla.ge/detalls.php?Id=428&tltle=ივანე%20ჯავახიშილი%20ნიკო%20მარის%20წინააღმდეგ.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა

https://www.VostlIt.Info/TeXts/rus11/Konst_Bagr_2/IndeX.phtml?Id=6412

ივირთა შესახებ

„იცოდე, ივირები ანუ კურაპალატის ხალხი, სიამაყით აცხადებენ, რომ წარმოშობილნი არიან ურია ხეთელის ცოლისაგან, რომელიც უყვარდა დავით მეფესა და წინასწარმეტყველს.

მათი სიტყვით ისინი წარმოშობილნი არიან მისგან შობილი შვილებისაგან, დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავები არიან და ამით კი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, რადგანაც ისიც დავითის თესლისაგან წარმოიშვა.

ამიტომაც ივირთა დიდებულები შეუზღუდავად ცოლებად ირთავენ თავიანთ ნათესავებს, იმ მოსაზრებით, რომ იცავენ ძველ წესებს.

ისინი ამბობენ, რომ მათი მოდგმა მოდის იერუსალიმიდან და ძილში იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ წასულიყვნენ იმჟამინდელი ადგილებიდან სპარსეთის მხარეებში, კერძოდ, იმ ქვეყანაში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ.

გაფრთხილებულნი იყვნენ და იერუსალიმიდან გავიდნენ ცნობილი დავითი და მისი ძმა სპანდიატი.

ამ სპანდიატმა, როგორც ისინი ამტკიცებენ, მიიღო საღმრთო წყალობა, რომ ხმლით ბრძოლებისას არ დაუზიანდებოდა არც ერთი ნაწილი სხეულისა გულის გარდა, რომლსაც იცავდა რაღაც საფარით.

ამიტომაც სპარსელებს მისი ძალზე ეშინოდათ, გაიმარჯვა მათზე, დაიმორჩილა და თავისი ნათესავი ივირები დაასახლა ძნელადმისადგომ იმ ადგილებში, რომელნიც ამჟამად მათი სამფლობელოა, აქედან ისინი ირგვლივაც განსახლდნენ, გამრავლდნენ და იქცნენ დიდ ხალხად.

ასე რომ, შემდგომ, როდესაც ბასილევსმა (იმპერატორმა) ჰერაკლემ გაა-ჩაღა ომი სპარსელების წინააღმდეგ, ისინი (ივირები) შეუერთდნენ მას და მონაწილეობდნენ ლაშქრობაში და ამის შემდეგ მათ დაიმორჩილეს სპარსელების მრავალი ქალაქი და ადგილები. რადგანაც იმის შემდეგ, რაც ბასილევსმა ჰერაკლემ დაამარცხა სპარსელები და მათი სამეფო გააუქმა, სპარსელები ადვილად იმართებოდნენ და მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ არა მხოლოდ ივირებს, არამედ სარკინოზებსაც (არაბებსაც).

როგორც ივირები თვითონ ამბობენ, წარმოშობით არიან იერუსალიმიდან, ამიტომაც მათ აქვთ ღრმა პატივისცემა მისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავის მიმართ და დროდადრო გულუხვად უგზავნიან ფულს წმიდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს.

ზემოთ აღნიშნულმა დავითმა, სპანდიატის ძმამ, შვა პანკრატი (ბაგრატი), პანკრატიმ შვა ასოტი (აშოტი), ასოტმა ადარნასე, რომელსაც ქრისტესმოყვარე ბასილევსმა ლევმა უბოძა კუროპალატის პატივი.

სპანდიატი, დასახელებული დავითის ძმა, უშვილოდ გარდაიცვალა.

იერუსალიმიდან ამჟამინდელ ქვეყნამდე მათი (ივირთა) გადმოსახლებიდან დღემდე (ანუ ქვეყნის შექმნის 6460 წლის მე-10 ინდიქტამდე) რომაელთა ქრისტესმოყვარე და პორფიროგენეტი ბასილევსების კონსტანტინესა და რომანოზის მეფობამდე გავიდა – 400 ან შეიძლება 500 წელი.

უნდა ვიცოდეთ, ქრისტესმოყვარე და პორფიროგენეტმა ბასილევსმა ლეონმა იმის შემდეგ რაც შეიტყო, რომ სარკინოზებმა ფასიანში (ბასიანში) იქაური ეკლესიები ციხესიმაგრეებად აქციეს, გააგზავნა არმენიაკის სტრატიგი პატრიკი ლალაკონი კოლონიის, მესოპოტამიისა და ქალდეას (ხალდიას) სტრატიგებთან ერთად და მათ დაანგრიეს ეს ციხესიმაგრეები და დაარბიეს ფასიანი, რომელიც იმ დროს სარკინოზების მფლობელობაში იყო.

შემდეგ კვლავ გააგზავნეს მაგისტრი კატაკალონი, სხოლის დომესტიკოსი, თეოდოსიოპოლის ციხესიმაგრეში მისვლის შემდეგ მან კვლავაც გაანადგურა ფასიანის მთელი ოლქი და ამით დიდი დარტყმა მიაყენა სარკინოზებს.

ბასილევს რომანოზის დროს მაგისტრმა იოანე კურკუასმა გაანადგურა ფასიანის მთელი მხარე, რადგანაც მას სარკინოზები ფლობდნენ.

პატრიკოსმა თეოფილემ, ზემოთ ნახსენები მაგისტრ იოანეს ძმამ, როდესაც იყო ქალდიის სტრატეგიოსი, გაძარცვა ფასიანის ქვეყანა, რადგანაც ის მის დროსაც სარკინოზების უფლების ქვეშ იყო. ფასიანების ქვეყანაში სოფელიც კი არ დარჩა, ასევე აბნიქის ციხესთანაც.

ხოლო იბერები (ივირები) მუდამ იცავდნენ სიყვარულსა და მეგობრობას თეოდოსიოპოლელთა, აბნიქელთა, მანასკერტელთა მიმართ, მაგრამ ფასიანში არ ფლობდნენ ადგილებს.

ბასილევსი ლეონი, უფალი რომანოზი და ჩემი სამეფო ღირსებაც მრავალჯერ შევეცადეთ, რათა ხელში ჩაგვეგდო კეცეონის ციხესიმაგრე, რათა თეოდოსიოპოლისი მისგან არ მომარაგებულიყო სურსათითა და პურით. ამაშივე ვარწმუნებდით (იბერთა) კურაპალატსა და მის ძმებს.

რომ, იმის შემდეგ რაც თეოდოსიოპოლი იქნებოდა ჩვენს მიერ აღებული, ისინი ხელახლა მიიღებდნენ ამ ციხესიმაგრეს. მაგრამ ივირები არ თანხმდებოდნენ ამის გაკეთებას თეოდოსიოპოლელთა სიყვარულის გამო, რადგანაც არ სურდათ, რათა თეოდოსიოპოლისის სიმაგრე დანგრეულიყო. პირიქით, ისინი ეწინააღმდგებოდნენ ბატონ რომანოზს (კეისარს) და ასევე ჩვენს მეუფებას და ამბობდნენ „თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაშინ ჩვენი მეზობლების, მაგალითად აბასგიის მაგისტრისა და ეკსუსიასტის თვალში ჩვენ გამოვჩნდებით, როგორც უღირსები, ასევე ვასპურაკანელებისა და არმენიის მმრთველთა თვალში.

მათ შუძლიათ თქვან, რომ ბასილევსი არ ენდობა ივირებს და კურაპალატსა და მის ძმებს, რომ ის არ ენდობა მათ და ამიტომაც გამოსტაცა მათ ციხესიმაგრე. უმჯობესი იქნება თუ ბასილევსი გამოგზავნის ტურმარხს.

ან ვინმე ხელისუფალს, დაე ის დაჯდეს კაცეონის ციხესიმაგრეში და უმეთვალყუროს. მათ მიიღეს პასუხად: „ამ სიმაგრეში ჩვენი ხელისუფალი რომ დაჯდეს კიდეც, ის ვერ შეძლებს აქედან თეოდოსიოპოლში შემავალი ქარავნების დანახვას, რადგანაც ამ ქალაქში მრავალი გზა შედის, ქარავნები შეაღწევენ თეოდოსიოპოლში ღამითაც, ეჭვსაც კი ვერ მიიტანენ“.

ასე რომ, ივირებს არ სურდათ რომ ჩვენს მიერ თეოდოსიოპოლი ყოფილიყო გაძარცვული, პირიქით, მათ სურდათ ის პურით ყოფილიყო მომარაგებული, მათ ჩვენი არ შეისმინეს და არ გადმოგვცეს კაცეონის ციხესიმაგრე, თუმცა კი ჩვენგან რამდენჯერმე მიიღეს წერილობით ფიცი, რომ თეოდოსიოპოლის აღების შემდეგ ამ ციხესიმაგრეს უკან გადავცემდით.

ივირებს არასოდეს სურდათ ეძარცათ ანდა ხალხი დაეტყვევებინათ თეოდოსიოპოლის ციხესიმაგრის ოლქში, არც მისი სოფლების, არც ციხესიმაგრე აბნიქის, არც და მის გარშემო სოფლებისა, მანასკერტის სიმაგრისა და არც მის ირგვლივ სამფლობელოებისა.

იცოდე, რომ რადგანაც კუროპალატი ძალადობს ფასიანის ადგილებში, აბნიქის ციხესთან იმის მომიზეზებით, რომ მას აქვს ნეტარი ბასილევს უფალი რომანოზისა და ჩვენი მეუფების ხრისობულები. მათი ასლები ჩვენ გამოგვიგზავნა თავისი აზატის პროტოსპაფარ ზურვანელის ხელით.

როცა ისინი განვიხილეთ, აღმოვაჩინეთ, რომ მათ არა აქვთ ძალა...

ივირები ჩივიან, რომ ჩვენ მათ ვავიწროვებთ მათი ქვეყნის ძველი საზღვრების შიგნით...“

https://www.vostlit.info/Texts/rus11/Konst_Bagr_2/index.phtml?id=6412

არაქსი – საზღვარი იბერიასა და ბიზანტიას შორის

კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს – „იბერთა კურაპალატი ჩვენი ერთგული, ჭეშმარიტი მონა და მეგობარია, ამიტომ მისი თხოვნის შესაბამისად არაქსი ანუ ფაზისი იყოს ფასიანის (ბასიანის) საზღვარი. ისე, რომ მისგან მარცხენა სანაპიროს მხარეს – ივერიისაკენ მიმართულს დაე ფლობდნენ ივირები, ხოლო მარჯვენა, თეოდოპოლიოსაკენ მიმართული, დაე, იყოს ჩვენი მეუფების ქვეშ, იქაური ციხესიმაგრეებით თუ სოფლებით.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მდინარე საზღვრავდეს ორივე მხარეს, ნეტარმა იოანე კურკუასმა, ამ კითხვასთან დაკავშირებით თქვა, რომ მდინარე მოსახერხებელია, ვითარცა საზღვარი.

საერთოდ კი, სამართლებრივად, კურაპალატს არ აქვს უფლება მდინარის არცერთი სანაპიროს ფლობისა, ვინაიდან თეოდოსიოპოლელთა ეს ადგილები (მიწები) დაატყვევა და გადაწვა ჩვენი მეუფების ჯარებმა და ჩვენი ლაშქრის გარეშე ივირებს არ შეეძლოთ თეოდოსიოპოლის აღება, პირიქით (იბერები თეოდოსიოპოლელებს) მუდამ ეპყრობოდნენ, როგორც მეგობრებს და ვაჭრობდნენ მათთან.

სიტყვით მათ სურდათ, რომ თეოდოსიოპოლი აღებული ყოფილიყო, მაგრამ გულის სიღრმეში ეს არასოდეს სურდათ.

ამის მიუხედავად, ჩვენმა მეუფებამ, როგორც ითქვა, კურაპალატს უწყალობა რათა მდინარე არაქსი ანუ ფაზისი გადიქცეს ორივე მხრის საზღვრად, ხოლო ივირები დაკმაყოფილდნენ ამ სამფლობელოებით და არ მოიწადინონ მეტი არაფერი“.

ასე ამთავრებს იბერთა მიმართ თავისი თხრობის ერთ ნაწილს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

https://www.vostlit.info/Texts/rus11/Konst_Bagr_2/index.phtml?id=6412

(შენიშვნა – თხზულების ამ ნაწილის კითხვისას საგრძნობია შემდეგი, ივირებს (ანუ იბერებს) მიაჩნიათ, რომ ისტორიულად იბერიულ მიწა-წყალზე მდებარეობდნენ თეოდოსიოპოლისი (და მისი ოლქი, ასევე აბნიქის ციხის ოლქი და სხვა), ამიტომაც გულშემატკივრობდნენ იქაურ, ანუ თეოდოსიოპოლელ და აბნიქელ იბერიული წარმოშობის ხალხს, იცავდნენ დარევა-განადგურებისაგან.

მათი ასეთი დამოკიდებულება მე-10 საუკუნისა თითქოსდა აცოცხლებს პირველი საუკუნის სტრაბონის ცნობას, რომ აღნიშნული მხარეები (ყოფილი პარიადრე, კარენიტიდა, ხორძენე, გოგარენა) წარმოადგენს იბერთა ისტორიულ მიწა-წყალს და ასე ყოფილა კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით სტარაბონიდან ათასი წლის შემდეგაც.

კონსტანტინე პორფიროგენეტი, შესაძლოა ცნობილია თავისი კაცთმოყვარეობით ანდა სიბრძნით, მაგრამ მისი ნაშრომის ზოგიერთი ნაწილის კითხვისას (რომელიც, მაგალითად, შეეხება ბასიანის ოლქს), რჩება შთაბეჭდილება, რომ არა იმპერატორის, არამედ შურისმაძიებელი ავაზაკების მეთაურს

უსმენ, ისეთი კმაყოფილებით აღწერს ის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოხელის მიერ მაგალითად, ბასიანის ხალხისა და მისი ქონების სრულ მეთოდურ განადგურებას ბიზანტიელთა მიერ ათწლეულების მანძილზე.

ანდა, თუ როგორი თვითკმაყოფილებით უყურებს ბიზანტიელთა მიერ ალყაშემორტყმული ქალაქის, თეოდოსიოპოლისის (არზრუმის), მთელი მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტას, იმის გამო, რომ ბიზანტიელებს არ ნებდებოდნენ და უარს ამბობდნენ ქალაქი მათთვის გადაეცათ.

ბიზანტია კი, მისი თხრობით, ცდილობდა მოსახლეობის შიმშილით სასიკვდილო დასჯას.

ის ვერ მალავს, რომ ასეთ დროს იბერიელები მტკიცედ იცავდნენ თეოდოსიოპოლისისა და მისი ოლქის მოსახლეობას, იმ დროსაც კი, როდესაც საიმპერიო ძალებს ქალაქი ალყაში ჰყავდათ მოქცეული.

იბერები, როგორც ითქვა, ეწინააღმდეგებოდნენ ბიზანტიელებს და ალყაში მოქცეულ თეოდოსიოპოლელებს შიმშილით ამოწყვეტისაგან იცავდნენ.

ქალაქელებს სურდათ, იბერიელებთან ერთობა, მაგრამ მათი ქალაქის ბიზანტიელთა ხელში გადასვლას ეწინააღმდეგებოდნენ.

იმპერატორი რამდენჯერმე საგანგებოდ აღნიშნავს, გაკვირვებით, თუ როგორ უყვარდათ იბერიელებს სასიკვდილოდ განწირული თეოდოსიოპოლელები, იცავდნენ მათ და ფარულად, დიდი რისკით, სურსათს აწვდიდნენ ურმებით.

ასეთი სიყვარული შუა საუკუნეებში მხოლოდ იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ივერიელებისათვის თეოდოსიოპოლიელები ივერები, მათი თანამეტომეები იყვნენ.

ეს ქალაქი კონსტანტინე პორფიროგენეტამდე რამდენიმე ხნით ადრე დავით კურაპალატის ქართველთა სამეფოში შედიოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) კი დაიპყრო ბასილი II-მ.

მან ამ დროისათვის, უფრო 1021 წელს, მის მიერ დაპყრობილი „ქართველთა სამეფოს“ მიწა-წყალზე დააარსა „იბერიის თემი“, რომელმაც 1074 წლამდე იარსება.

ახლა კი ეს იბერიის თემი ნადგურდებოდა დამპყრობლების მიერ, ბიზანტიას მისი დასუსტება ძალზე ძვირად დაუჯდა, რადგანაც იბერიის თემის მხნედ მებრძოლი ქართველობა, როგორც მათ ახასიათებდა გრიგოლ ბაკურიანი, ძალზე დაასუსტა ბიზანტიურმა პოლიტიკამ, რამაც გზა გაუხსნა თურქ-სელჯუკებს იმპერიის დედაქალაქისაკენ.

ბასილისა და მისი მემკვიდრე იმპერატორების არასახელმწიფოებრივმა გადაწყვეტილებებმა სრულიად დააკნინა იბერიის თემის ქართველობის მხნე მეომრული სულისკვეთება, აქედან იმპერიის სამსახურში იკრიბებოდა იბერიელი ჯარისკაცებისაგან შემდგარი ძლიერი იბერიული არმია, რომელიც თანდათანობით აკრძალეს ამ იმპერატორებმა, შედეგმაც არ დააყოვნა, მიწა-წყლი წინ ვერ აღუდგა თურქ-სელჯუკების თარეშს და ლაშქრობებს საიმპერიო ცენტრებისაკენ, 1049 წელს თურქებმა აიღეს თეოდოსიოპოლი და მისი მოსახლეობა, 140 000-მდე მოქალაქე ამოჟლიტეს.

ასეთ დროს, 1074 წელს, ქართველმა და ქართველთა მოყვარულმა, იმპერიის ყოფილმა მთავარსარდალმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ, საქართველოს სახელმწიფოს, კერძოდ კი მეფე გიორგი მე-2-ს გადასცა ქალაქი თეოდოსიოპოლი, ოლთისი, ყარსი, ვანანდი, კარნიფორი და ტაოს დაპყრობილი ნაწილი.

ამ ფაქტით დავით კურაპალატის მემკვიდრეობა დაუბრუნდა საქართველოს.

ერთ წელიწადში, 1075 წლისათვის, თეოდოსიოპოლისი და მისი მიმდგომი ქვეყნები საქართველოს სამეფოს არმიას მთლიანად გაუთავისუფლებია თურქული რაზმებისაგან.

ეს დიდი ქალაქი, თეოდოსიოპოლისი (არზრუმი), რომელიც საქართველოს მცველ ერთ-ერთ უმთავრეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, მე-12 და მე-13 საუკუნეებში კვლავ ასრულებდა თავის ფუნქციას, თუმცა თავისი სუვერენიტეტით.

მე-14 და მე-15 საუკუნეებში თეოდოსიოპოლისამდე აღწევდა საქართველოს სამეფოს, სამცხის სამთავროს საზღვარი.

საბოლოოდ ეს მიწა-წყალი ოსმალეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა, იმ იმპერიისა, რომელიც სხვათა მსგავსად დევნიდა ქართულ ეკლესიას, ხოლო სომხურს ხაზგასმით მფარველობდა, კერძოდ, ოსმალთა იმპერიაში დაარსებულ იქნა ე.წ. „სომხური მილეთი“ ანუ სომეხი ხალხის ავტონომია ოსმალეთის იმპერიის შიგნით კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს მეთაურობით.

1461 წელს მეჰმედ მე-2-მ დააარსა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქო. პირველი სომეხი პატრიარქი გახდა ბურსელი ეპისკოპოსი ოვაკიმ I (ხოვაგიმი), ამავე დროს ის დაინიშნა სომხური მილეთის (ანუ ნაციონალურ-რელიგიური სომხური ავტონომიის) მეთაურად.

ამ დროისათვის კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს გააჩნდა მცირე საკუთარი სამრევლო, თანდათანობით ოსმალეთის ხელისუფლებამ სომხურ მილეთში შეიყვანა დაპყრობილი ქართული მიწა-წყალი, ამავე დროს კი იქ ქართული ეკლესიის მოქმედება აკრძალა. შესაბამისად, ყოფილი იბერიის თემის, ასევე სამცხის ვრცელი სამთავროს ქართველი ქრისტიანები კვლავ სომხური ეკლესიის სამრევლოდ გადაიქცა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს იურისდიქციაში. ამის შემდეგ კვლავ დაიწყო ამ ვრცელ რეგიონში (ტაოდან ავანამდე და ტრაპეზუნტამდე) მცხოვრები ქართველების არმენიზაცია, რომელიც გარკვეულწილად შეწყვეტილი იყო მე-9 საუკუნის დასაწყისიდან.

განსაკუთრებით დიდი ქართული სამრევლოები ყოფილ სამცხის სამთავროს მიწა-წყალზე იყო განფენილი, ამ სამთავროს საზღვარი კი, როგორც აღინიშნა, ტარპეზუნტამდე და არზრუმამდე აღწევდა, აქაური, ანუ ოსმალეთის იმპერიის ქართული მიწების ქართული სამრევლოები ერთმანეთში გაინაწილეს სომხურმა გრიგორიანულმა და სომხურმა კათოლიკურმა ეკლე-

სიებმა, ორივე შემთხვევაში ქართველობა მასობრივად სომხდებოდა. ამის მიზეზი უმთავრესად იყო ის დიდი უფლებები, რასაც ოსმალეთის იმპერია სომეხ სამღვდელოებას ანიჭებდა, ისინი იყვნენ არა მხოლო რელიგიური, არამედ საერო მმართველები თავიანთ სამრევლოებში, მათ ხელში იყო სამართალიც.

ცნობილ ისტორიკოს შოთა ლომსაძეს თავის წიგნში სამცხე-ჯავახეთი მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა თუ სომხური სამღვდელოება და ეპისკოპატი როგორ ავიწროებდა და სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა აქა-იქ შემორჩენილ ქართველ სამღვდელოებას, თუ როგორ მოითხოვდა სომხური სამღვდელოება სხვადასხვა ქართულ ოლქში მსხდომი ფაშებისაგან სულთნის ბრძანების აღსრულებას, რომ ქართველი მრევლი სომხურ იურისდიქციას დამორჩილებოდა.

საბოლოოდ, არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთელ ისტორიულ მესხეთში, რომელშიც ასევე ტაო-კლარჯეთი შედიოდა, ანუ ჯაყელების ყოფილ სამთავროში, ქართველი მრევლი სომეხი სამღვდელოების ხელში აღმოჩნდა სულიერად და ხორციელადაც, კერძოდ, ის ქრისტიანები, რომელნიც არ გამაჰმადიანდნენ.

როგორც ითქვა, აქაური ქართველი ქრისტიანები შეიყვანეს სომხურ მილეთში და, საბოლოო ჯამში, დაუქვემდებარეს კონსტანტინოპოლის სომეხ პატრიარქს, რამაც საბლოოდ გაასომხა აქაური ქართული მოსახლეობა.

როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს მეთაური, აღნიშნული ოვაკიმ I სულთან მეჰმედ მე-2-ის მიერ ცნობილ იქნა ოსმალეთის იმპერიის სომხური მილეთის რელიგიურ და საერო ლიდერად და ატარებდა ტიტულს „მილეტბაში“ ანუ ეთნარქი და პატრიარქი.

საერთოდ კი სომხური მილეთის მეთაურებს „კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქები“ ერქვათ.

სომეხთა საპატრიარქო შეიქმნა პოლიტიკური მიზნით. ის ერთგვარად აწონასწორებდა ამავე ქალაქის ბერძენი პატრიარქის გავლენას.

1453 წლამდე, ანუ ოსმალურ დაპყრობამდე, კონსტანტინოპოლში არც კი ყოფილა სომხური ეკლესია, ხოლო 1453 წლიდან სტამბოლში აიგო 55 ახალი სომხური ეკლესია. ოსმალეთში მცხოვრებმა სომხებმა შეინარჩუნეს თავიანთი კულტურა, ისტორია და ენა, რადგანაც მათ ჰქონდათ თავიანთი მილეთი ანუ „პროსო“ სომეხი პატრიარქის მეთაურობით.

ანუ სომხებს ოსმალეთში ჰქონდათ ავტონომია თავიანთი რელიგიური თემის ჩარჩოების შიგნით და გათავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისაგან. სომხურ მილეთში შეიყვანეს არა მხოლოდ ეთნიკური სომხები, არამედ ოსმალეთში მცხოვრები ყველა მონოფიზიტური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობა, სირიელები, ერთ პერიოდში ეთიოპიელებიც კი, ასევე, როგორც ითქვა, სამცხე-მესხეთის ქართველი ქრისტიანები, მათი ეთნარქი ანუ „მილეტბაში“ და პატრიარქი ახლა უკვე სტამბოლელი სომეხი პირველიერარქი იყო.

პროსო ანუ მილეთი (Millet, Ottoman Empire) ითვალისწინებდა დამოუკიდებელ სასამრთლოს, სომხურ მილეთში მოქმედებდა სომხურ კანონიკურ სამართალზე დამყარებული სასამართლო სისტემა, ანუ ოსმალეთის სომხებს საკუთარი კანონმდებლობა გააჩნდათ თავიანთი მილეთის შიგნით, ამ სომხური კანონებით შეიარღებული სომეხი მღვდელი დანიშნული ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართველთა სოფლებში, როგორც ითქვა, ერთდროულად იყო სასულიერო პირი, საერო მმართველი და მოსამართლეც, რაც ქართველთა მასობრივი არმენიზაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალება გახდა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერებს ისევ იმ მიწა-წყალზე მცხოვრებად წარმოადგენს, სადაც ქართული ტომები (ტაოხები და სხვა) იხილა ქსენოფონტემ, შემდგომში კი აღწერეს სტარბონმა და სხვა ავტორებმა.

ტაო და სხვა ქართული ტომები ქსენოფონტესთან ქსენოფონტეს „კიროსის ანაბასისი“

ქსენოფონტემ (დაახლ. ძვ.წ. 430-355) თავისი ბერძენთა 10.000 კაციანი ლაშქრით 401 წელს გაიარა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე, მისი მიზანი იყო შავი ზღვის ნავსადგურებით ჯარი სამშობლოში დაებრუნებინა. მას არ სურდა ომი ამ ტომებთან, არამედ მხოლოდ მათი ტერიტორიის გავლით ზღვასთან მისვლა, მაგრამ 10.000 კაცს კვება ესაჭიროებოდა (ქსენოფონი, კიროსის ანაბასისი, ანტიკური კავკასია, ენციკლობედია I, 2010).

ქსენოფონტე მზად იყო პროდუქტი შეეძინა და ამ ტომების წინამძღოლებს სთხოვდა მისთვის ბაზარი გაეხსნათ, მაგრამ, თუკი ბაზარს არ უხსნიდნენ, იძულებული იყო ებრძოლა და სურსათი ისე მოეპოვებინა.

საერთოდ, მთელი ეს მიწა-წყალი უკვე სპარსეთის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი, სპარსეთის შაჰები კი მხარს უჭერდნენ იქ მცხოვრებ არმენიელებს, რადგანაც არმენიელები სახელმწიფოს მშვიდობიანი მცხოვრებნი იყვნენ, ხოლო ქართული ტომები (კარდუხები, ხალიბები, ხალდები, ტაოხები, მაკრონები, კოლხები, დრილები, მოსინიკები, ტაბარენები და სხვები) სპარსელებს ებრძოდნენ თავიანთი მიწა-წყლის თავისუფლებისათვის.

ჯერ მიდიელებმა, იმჟამად მათი მხედართმთავრის კიროსის მეთაურობით, შემდეგ კი სპარსელებმა მოახერხეს ამ ტერიტორიის საუკეთესო სახნავი მიწებიდან ქართველთა ტომების განდევნა (კერძოდ კი ხალიბებისა) და მათ ადგილებზე არმენიელ მიწათმოქმედთა ჩასახლება, რაც ჩანს ქსენოფონის მეორე წიგნიდან, რომელიც კიროსის სადიდებლად დაწერა (კიროპედია).

არმენიელებსა და ქართველ ტომებს შორის დაძაბულობა იყო სახნავ-სათესი მიწების გამო, მაგრამ რადგანაც სპარსეთი მპყრობელი ქვეყანა იყო, ის თანხებს არ იშურებდა, რათა არმენიელთა ჯარი გაეძლიერებინა, რომლის

მეშვეობითაც წესრიგს ამყარებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ ჯარში ქართველი ტომების წარმომადგენლებსაც ქირაობდნენ. მაგალითად, ტაოხები და ხალიბები დასავლეთ არმენიის მმართველის, მეფის მეგობარ ტირიბაზის ჯარში მსახურობდნენ მოქირავნეებად (ქსენოფონი, კიროსის ანაბაზისი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, 2010, გვ. 137).

ქსენოფონტე თავადვე აღნიშნავს, რომ არმენიელებისაგან განსხვავებით, ქართველი ტომები – კარდუხები, ტაოხები და ქალდები არ ემორჩილებოდნენ სპარსელებს.

ის წერს: „**თუ ბაზარს არ გვიხსნიდნენ, ჩვენ თვითონ მოვიპოვებდით სურსათს, მაგრამ არა თავხედობის, არამედ აუცილებლობის გამო. კარდუხებს, ტაოხებს და ქალდებს, თუმცა ისინი მეფეს არ ემორჩილებიან და ძალიან საშიშნიც არიან, ჩვენ მტრად მოვეკიდეთ, რადგან ბაზარს არ გვიხსნიდნენ და სურსათის წართმევა აუცილებელი გახდა**“ (იქვე).

აღნიშნული ტომებიდან მხოლოდ **ფასიანები** და **ჰესპერიტები** დაიმორჩილეს სპარსელებმა და მათ მმართველად ზემოთ აღნიშნული ტირიბაზი დაუნიშნეს (მათი მიწები საუკეთესო იყო სახნავ-სათესად).

„**ხოლო კარდუხები, ხალიბები, ქალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები კი დამოუკიდებელნი იყვნენ**“ (იქვე).

ბერძენთა ჯარი გაემართა ჩრდილოეთისაკენ და ვანის ტბის სიახლოვეს, მის სამხრეთ-დასავლეთით ჯერ შეხვდათ ქართველთა ტომი, რომლის სახელი იყო – „**კარდუხები**“.

(სახელი „კარდუხი“ სიტყვა „კარდუ“-საგანაა მიღებული, ხოლო „ხი“ – მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსია. „კარდუ“ – იყო სახელი ხალხისა, რომლისაგანაც ნაწარმოებია ასევე სახელი „ქართუ“ და სიტყვა „ქართუელი“, ე.ი. „ქართუს“ ქვეყნელი. კარდუ და ქართუ ერთი ფუძეა, ამიტომაც მიიჩნევა, რომ კარდუხები ქართული ტომი იყო, რომელიც ებრძოდა მათ ქვეყანაში შეჭრილ არმენიელებს და მათ მფარველ სპარსელებს).

კარდუხებმა იფიქრეს, რომ სპარსელთა მეფის მეგობარი ქსენოფონტე და სპარსელთა მეფის სამსახურში მყოფი მისი 10.000 კაციანი ჯარი არმენიელთა მხარდამჭერი ლაშქარი იყო. ამიტომაც მათ მედგრად იბრძოლეს ბერძენთა ამ ჯარის წინააღმდეგ, უფრო მეტიც, ბევრს ეცადნენ ქსენოფონტე და ლაშქრის მეთაურები, მაგრამ კარდუხებმა პირადი, სასაუბრო კონტაქტიც კი არ დაამყარეს მათთან.

შემდეგ საუკუნეებში კარდუხებმა არმენიზაცია-გასომხებისაგან მაინც ვერ შეძლეს თავის დაცვა, თუმცა არმენიაში შემდგომშიც ითვლებოდა, რომ სომხეთის პროვინცია „**კორდუკ**“-ში (**კორდვაცის** ქედის სამხრეთით, ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით), „**კორდიკ** ვერინ“-ში, „**კორდი**კ მიჯინ“-ში და „**კორდიკ** ნერკინ“-ში მცხოვრები ტომები – არ იყვნენ არმენიელები, მათ ტომობრივი სხვაობა ჰქონდათ არმენიელებისაგან.

კარდუხების ქვეყანაში შესვლამდე ქსენოფონტეს აცნობეს – „**მთებზე მიმავალი გზა ჩრდილოეთით რომაა მიმართული, კარდუხებთან მიგიყვანთ, ისინი ცხოვრობენ მთებში, მეომარი ხალხია და სპარსთა მეფეს არ**

ემორჩილებიან. მათ თავს დაესხა ამ მეფის ასოც ათასიანი (120.000) ჯარი და მათგან უკან არავინ დაბრუნებულა (კარხუდების მთები მიუვალია)“ (დასახ. ნაშრ., გვ. 118).

ასევე ქსენოფონტეს უთხრეს – „**ელინმა ჯარისკაცებმა გაიგეს, რომ თუ ისინი შეძლებენ კარდუხების მთების გადალახვას და მდინარე ტიგროსის სათავეებზე მისვლას, მივლენ არმენიაში**“ (იქვე, გვ. 119).

კარდუხების ქვეყანასა და არმენიას ერთმანეთისაგან საზღვრავდა მდინარე კენტრიტი (იქვე, გვ. 120).

ბერძენმა ჯარისკაცებმა ბრძოლით გაიარეს კარდუხების ქვეყანა, ქსენოფონტე წერს, რომ კარდუხებს ჰქონდათ – „**მრავალრიცხოვანი და მშვენიერი სახლები, სავსე სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ შენახული**“ (იქვე).

კარდუხები ლაშქრობისას და მარშირებისას მღეროდნენ – „**ჩქარა წავიდნენ რაღაც სიმღერების მღერით**“ (იქვე, გვ. 121).

ელინებმა გადალახეს მდ. კენტრიტი, მეორე ნაპირზე უკვე არმენია იწყებოდა. არმენიის სპარსელთა სამხედრო ხელისუფალს თავის ჯარში დაქირავებული ჰყავდა ქართული ტომები ხალდებისა და მარდების ჯარისკაცები – „ისინი იყვნენ ორონტისა და არტუხის მოქირავნეები“ (იქვე). მაგრამ მათ (არმენიულ ჯარს), საბოლოო ჯამში, ბერძნებთან არ უომიათ, უბრალოდ, აკვირდებოდნენ მათ მოძრაობას.

კარდუხები ებრძოდნენ არმენიელებს, ამიტომაც მდ. კენტრიტის გადალახვის შემდეგ, რაც ბერძნებმა 5 ფარსანგი (25 კმ) „**იარეს არმენიაში ვაკე ადგილზე, აქ კარდუხებთან ომის გამო მდინარის ახლოს არ იყო სოფლები**“ (იქვე, გვ. 122).

შემდეგ მიადგნენ დიდ სოფელს, სადაც სატრაპს სასახლე ჰქონდა, აქედან 10 ფარსანგის (50 კმ) შემდეგ იყო მდინარე ტიგროსის სათავე, აქედან 15 ფარსანგში (75 კმ) მიადგნენ მდ. ტელებოასს, რომლის ნაპირებზეც მრავალი სოფელი იყო, ხოლო ქვეყანას ერქვა დასავლეთ არმენია, მისი მმართველი იყო მეფის მეგობარი ტირიბაზოსი (იქვე).

აქედან ბერძნებმა დაბლობზე იარეს 15 ფარსანგი (75 კმ) და მიადგნენ სოფლებით სავსე ტერიტორიას, ისინი ელოდნენ, რომ თავს დაესხმოდათ ტირიბაზი, რომელსაც თავის ჯარში ჰყავდა მოქირავნეები „ხალიბები და ტაოხები“ (იქვე, გვ. 123). აქედან იარეს კვლავ 75 კილომეტრი და მიადგნენ მდ. ევფრატს, რომელიც გადალახეს ამ მდინარის (ე.ი. ევფრატის) სათავის ახლოს.

აქედან შევიდნენ დაბლობში, რადგანაც ზამთარი იდგა, იარეს თოვლში 50 კმ და მიადგნენ ერთ-ერთ სოფელს, აქედან 20 სტადიონში (დაახლ. 2 კმ-ში) მდებარე სოფლებში განაწილდნენ მოსასვენებლად. მათ უხვად მიიღეს სასმელ-საჭმელი და სუფრასთანაც „მათ ბარბაროსულ სამოსიანი არმენიელი ბიჭუნები ემსახურებოდნენ“ (იქვე, გვ. 125). შემდეგ „შეეკითხნენ სოფლის თავკაცს, რა ქვეყანა იყო ეს? მან კი მიუგო, რომ ეს იყო არმენია“ (იქვე). იკითხეს, რომელი იყო მეზობელი ქვეყანა, უპასუხეს – „**მეზობელი ქვეყანა – თქვა მან – ხალიბებისაა, და იქაური გზაც მიასწავლა“** (იქვე, გვ. 126).



ქსენოფონტეს გზა

აქედან ჩანს, რომ ქართულ ტომებს – კარდუხებსა და ხალიბებს შორის არმენიელთა შეჭრის გამო ქვეყანას უკვე „არმენია“ ერქვა, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ იქაური მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად არმენიზებული ქართველები იყვნენ.

აღნიშნული გზით შევიდნენ „მეზობელ“ ანუ **ხალიბები**ს ქვეყანაში.

ამის შემდეგ მიადგნენ მდ. არაქსს, რომელსაც ქსენოფონტე „ფასისს“ უწოდებს (აღსანიშნავია, რომ ათასხუთასი წლის შემდეგაც, X ს-ში, კონსტანტინე პორფიროგენეტი არაქსს კვლავ „ფასისს“ უწოდებდა, რომელიც იმჟამადაც საზღვარი იყო არმენიელებსა და იბერებს შორის). არაქსის ხეობაში სომხები არ ცხოვრობდნენ.

„ამის შემდეგ, მდ. ფასისის გასწვრივ, ელინებმა იარეს შვიდი გადასავალი, დღეში ხუთ-ხუთი ფარსანგი“ (იქვე, გვ. 126). ე.ი. სულ გაუვლიათ 35 ფარსანგი, რაც 175 კმ-ია. ამის შემდეგ კიდევ 10 ფარსანგი (50 კმ) უვლიათ და მივიდნენ ადგილას „**რომელიც ვაკეზე ეშვებოდა, სადაც მათ დახვდნენ ხალიბები, ტაოხები და ფასიანები (ფასისელები)**“ (იქვე, გვ. 126). ე.ი. იმ გზით, რომელიც მიასწავლეს ხალიბების ქვეყანაში, შემდეგ კი ფასიანების ქვეყანაში.

ე.ი. ფასისის გასწვრივ მათ უვლიათ სულ 45 ფარსანგი ანუ 225 კმ, შეებრძოლნენ ქართველ ტომთა ლაშქარს, გაიმარჯვეს და შევიდნენ ტაოხების ქვეყანაში.

ფაზისის ანუ არაქსის გასწვრივ აღნიშნული 225 კმ **ხალიბების** ქვეყანა ყოფილა (როგორც ზემოთ აღინიშნა) – არმენიის ქვეყნიდან ბერძნები **ხალიბთა** ქვეყანაში შევიდნენ, გაიარეს 225 კმ და მიადგნენ ტაოხების ქვეყანას. ტაოხების ქვეყანაში ბერძნებმა გაიარეს 30 ფარსანგი (150 კმ). აქედან ჩანს, რომ ქსენოფონტეს დროს არაქსის ხეობა და ჭოროხის სათავეები არ იყო სომხებით დასახლებული.

ტაოხების ერთ-ერთი ციხესიმაგრის აღების დროს „**ელინები საზარელი სანახაობის მოწმენი გახდნენ – ქალები ისროდნენ ბავშვებს უფსკრულში და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ, ამგვარადვე იქცეოდნენ მამაკაცებიც**“ (იქვე, გვ. 128).

ეს თავგანწირვა ქართველებისა, სამშობლოსა და პირადი თავისუფლების შესანარჩუნებლად, მიაგავს ებრაელთა თავგანწირვას მასადას ციხე-სიმაგრის დაცვის დროს ახ. წ. 70 წელს, ამ ამბიდან თითქმის 500 წლის შემდეგ.

აქედან ბერძნებმა იარეს 50 ფარსანგი (250 კმ) კვლავ **ხალიბების** მიწა-წყალზე. აქედან ჩანს, რომ იმ ტომთა შორის, რომელთა ქვეყანაზეც მათ იარეს, ყველაზე მრავალრიცხოვანნი ხალიბები იყვნენ და, ამასთანავე, დიდი მიწა-წყლის მქონნი. ამ არეალზე – არაქსსა და ჭოროხზე – სომხები არ ცხოვრობდნენ.

ქსენოფონტე წერს – „**შემდეგ იარეს შვიდი გადასავალით ორმოცდაათი ფარასანგი ხალიბების მიწა-წყალზე. ისინი უმამაცესნი იყვნენ იმ ტომებს შორის, რომელთა მიწა-წყალზეც გაიარეს. ხალიბები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ ელინებს**“ (იქვე).

„**ამასთანავე მღეროდნენ და როკავდნენ მაშინ, როცა მტერი მათ უყურებდა**“ (იქვე).

ამის გამო ხალიბებისაგან „**ელინებმა ვერაფერი წაიღეს და იკვებებოდნენ ისევ იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს**“ (იქვე).

ამის შემდეგ ბერძნები მივიდნენ მდინარე ჰარპასოსთან და შევიდნენ სკვითინების ქვეყანაში, ვაკეზე იარეს 20 ფარასანგი (100 კმ) და შევიდნენ მათ სოფლებში. ამის შემდეგ გაიარეს კვლავ 20 ფარასანგი და მივიდნენ „**დიდ, მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში**“, რომელსაც ერქვა **გიმნიასი**.

აქედან იარეს 5 დღე-ღამე და მივიდნენ მთამდე (მისი სახელი იყო **თექესი**), საიდანაც ჩანდა შავი ზღვა.

აქედან გზით შევიდნენ **მაკრონები**ს ქვეყანაში, სადაც გაიარეს 50 კმ და მიადგნენ მდინარეს, რომელიც მაკრონების ქვეყანას სკითინების (**სკვითინები**ს) ქვეყნისაგან ყოფდა.

მეორე მხარეს მეომარი მაკრონები იდგნენ. ბერძენთა შორის აღმოჩნდა ტომით მაკრონი მონა, რომელმაც შეძლო შუამავლობა და ბერძნები მაკრონებს დაუმეგობრა.

მაკრონების ქვეყანაში იარეს სამი დღის განმავლობაში **კოლხები**ს ქვეყნამდე. კოლხთა ლაშქარი დაამარცხეს და შევიდნენ სოფლებში, სადაც თაფლის ფიჭი ჭამეს, რომელმაც მათ დიდად ავნო, მეორე დღემდე მთვრალებს ჰგვანდნენ და ფეხზე დგომა არ შეეძლოთ.

აქედან ბერძნებმა გაიარეს კოლხების სოფლებში 35 კმ და მივიდნენ ზღვასთან მდებარე „**ტრაპეზუსში – მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში, რომელიც სინოპელთა დასახლება იყო კოლხების ქვეყანაში, პონტოს ევქსინიოსის სანაპიროზე. აქ, კოლხების სოფლებში ელინებმა დაახლოებით 30 დღე დაჰყვეს**“ (იქვე, გვ. 131) „**და ანადგურებდნენ კოლხისს** (ე.ი. კოლხეთს)“ (იქვე).

იმჟამად კოლხების ქვეყანაში მდებარეობდა ტრაპეზუნტი.

ქსენოფონტე განარჩევს „ბარის კოლხებს“ და მთის კოლხებს. პირველები ბერძნებს არ ებრძოდნენ. აქედან შეესივნენ დრილების ქვეყანას. დრილები იყვნენ „პონტოსპირეთის ყველაზე მეომარი ხალხი“ (იქვე, გვ. 132). (დრილები, ჩანს, შემდგომში თრიალეთში გადასახლდნენ).

ტრაპეზუსიდან ბერძნები ელინურ ქალაქ კერასუსს მიადგნენ „**სინოპელთა დასახლება კოლხების ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე“** (იქვე, გვ. 133). ე.ი. ტრაპეზუნტიცა და კერასუსიც კოლხების ქვეყანაში მდებარეობდა.

ბერძენთა ჯარი კერასუსთან ორად გაიყო – ერთი ჯგუფი გემებით ზღვით გაემგზავრა (ჩანს, ტრაპეზუნტიდანაც გემებითვე მიცურავდნენ), მეორემ კი ხმელეთით განაგრძო გზა და მიუახლოვდნენ „**მოსინიკების საზღვარს**“ (იქვე).

მოსინიკების ტომი ორ მტრულ ჯგუფად იყო გაყოფილი – პირიქითელ მოსინიკებს მტრობდნენ პირაქეთა მოსინიკები. პირიქითელებმა სამხედრო კავშირი შეკრეს ბერძნებთან პირაქითელების დასამარცხებლად.

მეორე დღეს ისინი მოვიდნენ „**ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი სამასი ნავით. თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა**“ (იქვე, გვ. 134). ისინი „**დაირაზმნენ და ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა რიტმს ფეხი აუწყეს და წინ გასწიეს“** (იქვე, გვ. 134).

ისინი ბერძნებთან ერთად ეკვეთნენ თავიანთ მტერ თანატომელებს, რომელთაც ქალაქის დასაუფლებლად ეომებოდნენ. მათი მეფე ამ ქალაქში ერთ მაღალ ადგილას მდგარ ხის კოშკში (მოსინოსში) იჯდა. ის ხანძრის დროს არ გამოვიდა კოშკიდან და დაიწვა მეორე მეფესთან ერთად, რომელიც სხვა კოშკში იჯდა. მოსინიკებს აღმოაჩნდათ პურის დიდი მარაგი, ამფორებში კი დამარილებული დელფინის ხორცი. ჰქონდათ უამრავი მარაგი: კაკალი, ქონი, ღვინო. გამარჯვებულმა ბერძნებმა ეს აღებული ქალაქი თავიანთ მეგობარ მოსინიკებს გადასცეს. აქ რამდენიმე ქალაქი იყო ერთმანეთისაგან 80 სტადიონით დაშორებული (16 კმ). მდიდარ მოსინიკებს ჰყავდათ მოხარშული წაბლის ჭამისაგან დასუქებული ბავშვები „**განაზებულები და მეტისმეტად თეთრები**“ (იქვე, გვ. 136).

ქართული ტომები თეთრკანიანები იყვნენ.

ამის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგანაც ძვ. წ. VI-V სს. ცნობებით კოლხები „შავკანიანებად“ ან „მუქკანიანებად“ აღიწერებიან, მაგრამ უკვე V ს. ბოლოდან კოლხთა აღმწერი მწერლები, რომელთაც პირადად ნახეს ისინი, აღარ წერენ კოლხთა მუქკანიანობის შესახებ.

მოსინიკებიც თეთრები იყვნენ.

ქსენოფონტე წერს – „ისინი ცდილობდნენ ყველას თვალწინ შეკავშირებოდნენ ჰეტერებს, რომლებიც ელინებს თან მიჰყავდათ, რადგან ასეთი იყო მათი ადათი. **ყველანი – მამაკაცებიცა და ქალებიც – თეთრკანიანები იყვნენ.**.. საჯაროდ აკეთებდნენ იმას, რასაც სხვები განმარტოებით სჩადიან... საკუთარ თავს ელაპარაკებოდნენ, თავისთვის იცინოდნენ და მოყვებოდნენ ხოლმე როკვას, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე).

ბერძნებმა მოსინიკების ქვეყანაში „**რვა სტათმოსი იარეს და მივიდნენ ხალიბებთან, ისინი ცოტანი იყვნენ, ემორჩილებოდნენ მოსინიკებს და უპირატესად რკინის დამუშავებით ირჩენდნენ თავს, აქედან ელინები მივიდნენ ტიბარენებთან. ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკე იყო. მათ ზღვის სანაპიროზე გამაგრებული დასახლებები ჰქონდათ“** (იქვე, გვ. 137).

„**ელინებმა ორ დღეში მშვიდობიანად გადალახეს ეს ქვეყანა და მივიდნენ კოტიორაში, ელინურ ქალაქში, სინოპელთა მიერ ტიბარენების ქვეყანაში დაარსებულ ახალშენში**“ (იქვე).

ხალიბები, როგორც ქსენოფონტეს აღწერიდან ჩანს, ბერძნებს შეხვდნენ 3 ადგილას, კარდუხების შემდეგ, არმენიელთა ქვეყნის გადალახვის შემდეგ და მოსინიკების მეზობლად ზღვის სანაპიროზე (ეს უკანასკნელნი სუსტები იყვნენ, დანარჩენ ორ ადგილას მცხოვრებნი კი კარგი მეომრები).

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ის ქვეყანა, რომელნიც არმენიელებს ეჭირათ მდ. კენტრიტიდან არაქსამდე – თავდაპირველად ხალიბების ანუ ქალდებისა იყო, და ისინი გაგრძელებით ცხოვრობდნენ კოტიორადან არაქსამდე და კენტრიტამდე. ისინი, ჩანს, არმენიელებს დაუმარცხებიათ და ამიტომ ხალდებსა და არმენიელებს შორის დიდი ომი იყო გაჩაღებული, როგორც ეს ქსენოფონტეს მეორე ნაშრომიდან – კიროპედიადან ჩანს, საბოლოოდ, ხალიბები მხოლოდ ზღვის პირას დარჩნენ, დანარჩენი მათი საცხოვრისი არაქსიდან კენტრიტამდე არმენიელებმა დაიჭირეს.

როგორც ითქვა, მდ. კენტრიტიდან ბერძნებმა გაიარეს 25 კმ – დაუსახლებელ არმენიაში, 50 კმ-ის შემდეგ იყო ტიგროსის სათავე. 75 კმ-ის შემდეგ მიადგნენ მდ. ტელებოასს – ეს იყო დასავლეთ არმენიაში. აქედან იარეს დაბლობზე 75 კმ, შემდეგ კვლავ გაიარეს 75 კმ და მიადგნენ მდ. ევფრატს, მისი სათავის ახლოს. შემდეგ დაბლობზე იარეს 50 კმ. აქ კვლავ არმენიის ქვეყანა იყო. აქედან იწყებოდა ხალიბების ქვეყანა, მიადგნენ მდ. არაქსს (ფაზისს) (არაქსის ხეობა ხალიბებისა იყო იმჟამად), აქ ფასისის გასწვრივ იარეს 225 კმ ხალიბების ქვეყანაში და მიადგნენ ტაოხების ქვეყანას. ტაოხების ქვეყანაში იარეს 150 კმ. აქედან ბერძნებმა კვლავ 250 კმ იარეს კვლავ ხალიბების მიწაზე და მიადგნენ მდ. ჰარპასოსს და შევიდნენ სკვითინების ქვეყანაში, აქვე ვაკეზე იარეს 100 კმ. ამის შემდეგ კვლავ იარეს 100 კმ და მიადგნენ ქალაქ გიმნიასს. აქედან იარეს 5 დღე-ღამე და მიადგნენ მთის მწვერვალ თექისს, საიდანაც ჩანდა ზღვა. აქედან იარეს 50 კმ და მიადგნენ მაკრონების ქვეყანას, ამ ქვეყანაში იარეს სამი დღე-ღამე და მიადგნენ კოლხების ქვეყანას. იარეს 35 კმ და შევიდნენ ქალაქ ტრაპეზუსში, და შემდეგ კერასუსში. ეს ქალაქები კოლხეთის ქვეყანაში მდებარეობდა. კერასუსიდან შევიდნენ მოსინიკების ქვეყანაში. იარეს „რვა სტათმოსი“ და მივიდნენ „სუსტ ხალიბებთან“, აქედან

შევიდნენ ტიბარენების ქვეყანაში, გადალახეს ორ დღეში და მივიდნენ ქალაქ კოტიორაში – „ტიბარენების ქვეყანაში დაარსებულ ახალშენში“.

აქედან ბერძნები გაემართნენ მდ. ფასისისაკენ – ქსენოფონტეს სტრატეგოსებმა უთხრეს – „**უმჯობესია ფასისისაკენ გაცურვა, რაკი ხომალდები არიან, ფასიანთა ქვეყნის დაპყრობა. იქ მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა**“ (იქვე, გვ. 137).

ეს ბოლო წინადადება ძალზე აბნევს მკვლევრებს, რადგანაც ქსენოფონტე მდ. ფასისს ახსენებს ორ ადგილას. ერთი ფასისი იყო არაქსი, საიდანაც ბერძნებმა გაჭირვებით ჩააღწიეს ზღვამდე, ამიტომაც ისინი, ცხადია, უკან აღარ დაბრუნდებოდნენ. ამიტომაც თავისი ნაშრომის ბოლოს ნახსენებ მდ. ფასისის ქვეშ ქსენოფონტე სხვა რომელიღაც მდინარეს გულისხმობს, რომელსაც ასევე ფასისი ერქვა.

ქართველი მკვლევრები ფიქრობენ, რომ ეს მეორე ფაზისი იყო მდ. რიონი, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ, ჩვენი აზრით ქსენოფონტე ამ მეორე მდინარე ფაზისში გულისხმობს **მდ. კელკიტის** ზღვასთან შესართავს. აქ ზღვის ნაპირას კონცხებს ერქვათ ჰერაკლესა და იაზონის კონცხები. მის ახლოს ამჟამადაც არის პუნქტები „ფასინლერისა“ და „პაზარის“ სახელწოდებით. მდ. კელკიტის შესართავი მართლაც ახლოა ქ. კოტიორასთან და აქეთკენ იყო სამშობლოსკენ მიმავალი ბერძნების გზა.

დავაჯამოთ ქსენოფონტეს ჯარის მიერ განვლილი გზის სიგრძე –

მდ. კენტრიტიდან არმენიის ქვეყანაში ბერძნებმა იარეს 25 კმ + 50 კმ + 75 კმ + 75 კმ (ევფრატი) + 50 კმ (არაქსი) და მიადგნენ ხალიბების ქვეყანას არაქსთან. ე. ი. არმენიაში სულ იარეს 275 კმ.

შემდეგ ხალიბების ქვეყანაში მდ. არაქსის პირას იარეს 225 კმ.

შემდეგ ტაოხების ქვეყანაში 150 კმ

და კვლავ ხალიბების ქვეყანაში შევიდნენ, სადაც 250 კმ იარეს, მიადგნენ მდ. ჰარპასოს

და შევიდნენ სკვითინების ქვეყანაში, სადაც იარეს 200 კმ ქალაქ გიმნიასამდე. აქედან იარეს 5 დღე მწვერვალ თექისამდე.

აქედან 50 კმ-ში მდებარეობდა მაკრონების ქვეყანა, აქ იარეს 3 დღე

და მიადგნენ კოლხების ქვეყანას, იარეს 35 კმ და მიადგნენ ქ. ტრაპეზუსს.

ე. ი. მდ. კენტრიტიდან ტრაპეზუსამდე ბერძნებმა გაიარეს 275 კმ + 225 კმ + 150 კმ + 250 კმ + 200 კმ + 5 დღე + 50 კმ + 3 დღე + 35 კმ = 1185 კმ + 8 დღე.

თუ 20-30 კმ-ის გავლას ბერძნები მოუნდნენ ერთ დღეს, მაშინ 8 დღეში ისინი დაახლოებით 200 კმ-ს გაივლიდნენ, რაც ჯამში შეადგენს სულ 1385 კმ, ანუ დაახლოებით 1400 კმ.

მაშასადამე, ქსენოფონტეს ჯარმა იარა ასე: ის შევიდა კარდუხების ქვეყანაში თანამედროვე ქალაქ მარდინთან ახლოს (თურქეთში), იარა თანამედროვე ქალაქ ელაზიგის მიმართულებით (ამჟამადაც კი გზა ამ მიმართულებით მიდის), აქ ჯარმა გადალახა ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადი, რომელსაც ერქვა კენტრიტი, და მიადგა დასავლეთ არმენიის ქვეყანას. ამ მდინარის გადალახვის შემდეგ შემოხვდათ მეორე მდინარე ტელებოასი (ეს უნდა იყოს

თანამედროვე მდ. მურატი). ამის შემდეგ გააგრძელეს გზა არმენიაში და მიადგნენ მდ. ევფრატის სათავეს (ეს უნდა იყოს ევფრატის შენაკადი, რომელსაც ამჟამინდელ თურქულ ენაზე ეწოდება მდ. პერი) და თანამედროვე ქალაქ ტეკმანთან ახლოს მიადგნენ მდ. არაქსის ანუ ფასისის სათავეს და იარეს მის გასწვრივ, აქ ჰქონდათ შებრძოლება ხალიბთა, ტაოხთა და ფასიანთა გაერთიანებულ ლაშქართან და შევიდნენ ტაოხების ქვეყანაში. ტაოხების ქვეყნიდან გადავიდნენ ძლიერმეომარი ხალიბების (ქალდების) ქვეყანაში და მიადგნენ მდ. ჰარპასოსს, ეს უნდა იყოს მდ. ჭოროხი. აქ იყო სკვითინების ქვეყანა და მათი ქალაქი გიმნიასი (სადღაც ბაიბერდსა და გიუმიშხანეს შორის), აქედან ჯარი შევიდა მაკრონების ქვეყანაში, საიდანაც დაინახეს ზღვა, ზღვის პირზე კი კოლხები ცხოვრობდნენ, მათ ქვეყანაში იყო ქალაქი ტრაპეზუსი, ისინი აქედან ლაშქრავდნენ ახლოს მცხოვრებ დრილებს. ტრაპეზუსიდან ჯარის ერთი ნაწილი გემებით, სხვები კი ფეხით გაემართნენ კერასუსისაკენ (გირესუნი), გაიარეს მოსინიკების და სუსტი ხალიბების ქვეყანაში, ქ. კოტიორასთან მიადგნენ ტიბარენების ტომს და გადაწყვიტეს გემებით და ფეხით კელკიტის შესართავთან მისვლა, სადაც ფასიანები ცხოვრობდნენ და აიეტის შთამომავალი მეფობდა.

ნ. ადონცი პირდაპირ წერს კიდეც, რომ კარდუხები, ხალიბები, ხალდები, ფასიანები და სხვა ტომები არმენიის თავდაპირველი მოსახლენი იყვნენ, შემდგომ მათ მიწა-წყალზე (დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნეში) შეიჭრნენ არმენიელები და ორ ნაწილად გაყვეს ეს ქართული მოსახლეობა, კერძოდ, არმენიელები დასახლდნენ მათი ქვეყნის ცენტრში, ამის გამო როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ არმენიაში ცხოვრობდნენ ქართველები, კერძოდ, სამხრეთ არმენიაში – **კორდუ**ს ხალხი, ჩრდილოეთ არმენიაში **ივერები**, დასავლეთ არმენიაში კი – **ქალდ-ხალიბები**.

ქართული მიწების ეს მტაცებლობა, სტრაბონის ცნობით, შემდეგაც გაგრძელებულა, როცა არმენიამ ქრისტეშობამდე II საუკუნეში იბერებისაგან მიიტაცა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა – ვრცელი მიწა-წყალი დასავლეთ და ჩრდილოეთ არმენიისაკენ.

კარდუხები და ხალიბები (ხალდები) ქართველთა ტომები რომ იყო, ამის შესახებ სხვა უძველესი წყაროებიც წერდნენ.

კერძოდ, მეგასთენე წერდა, რომ ნაბუქოდონოსორმა იბერთა ხალხის ერთი ნაწილი გადაასახლა ლიბიიდან პონტოს ზღვის სანაპიროზე, იქამდე იბერები ლიბიელთა მეზობელნი ყოფილან.

როგორც ითქვა, აქ „ლიბიის“ ქვეშ იგულისხმება არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბასთან მდებარე ლურსმული დამწერლობის ეპოქის ქვეყანა **„ლუვია“**.

ლუვია ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, იქ სადაც შემდგომ კარდუხები ცხოვრობდნენ.

ლუვიელთა მეზობელი იბერების (ანუ კარდუხებისა და ქალდების) ნაწილი ნაბუქოდონოსორს პონტოს ზღვისპირეთში გადაუსახლებია.

ამ მოსაზრებით თუ ხსნიდნენ ძველი ავტორები ფაქტს იმისა, რომ კარდუხებსა და ქალდებს (ხალდებს), ხალიბებსა და ქალდეველებს (პონტოსპი-

რეთში მცხოვრებთ) ერთი და იგივე სატომო სახელები, ერთი ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ (და ჩანს ერთი ენაც).

ქართველთა წინაპარი ქალდეველები (ხალიბები, იგივე ალაზონები) კარდუხების თანამეტომეებად მიიჩნეოდნენ, მიუხედავად ტერიტორიულად მათი ურთიერთდაშორებისა.

ქსენოფონტეს უთხრეს, რომ კარდუხების ქვეყანა აღწევდა მდ. კენტრიტამდე და ტიგროსის სათავეებამდე. შემდეგ კი არმენია იწყებოდა. ჩვენ, ზემოთ აღნიშნული ტოპონიმიკიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ არმენიელების შემოჭრამდე ხალიბების ანუ ქალდების ქვეყანა იწყებოდა კარდუხების მეზობლად (ამის ნაშთია ტოპონიმი ალზნიკ (ძველი ალზის ქვეყნის სახელიდან) და აღწევდა შავ ზღვამდე დასავლეთით და შესაძლოა, აღმოსავლეთის მიმართულებით, კახეთის მდინარე ალაზნამდე, ანუ ვანის ტბიდან კავკასიის მთებამდე კარდუს ანუ ქართველთა ძველი ქვეყანა იყო განფენილი.

ადონცის სიტყვით, როგორც ითქვა, ქართველთა ამ ძველი ქვეყნის შუაგულში შეიჭრნენ არმენიული ტომები (დაახლოებით ქრისტეშობამდე VI საუკუნეში) და ორად გაყვეს ქართველთა ქვეყანა, ამიტომაც როგორც არმენიელთა სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით ქართული პროვინციები მდებარეობდა. ესენი იყვნენ – სომხების სამხრეთით მცხოვრები კარდუხები და ალზნიკის ხალხი, სომხების ჩრდილოეთით მცხოვრები ქართლის მოსახლეობა, სომხების დასვლეთით მცხოვრები ქალდეას ხალხი – ლაზები. ადონცის მოსაზრება ამჟამად იგნორირებულია სომხურ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ის ხსნის არსებულ ძველ ფაქტებს.

ქართული ქვეყნის უძველეს ცენტრში არმენიელთა დამკვიდრების გამო ქსენოფონტემ, ბუნებრივია, ჯერ ქართული ტომების (კარდუხების) ქვეყანა გაიარა, შემდეგ ეს ცენტრი, რომელსაც უკვე არმენია ერქვა, შემდეგ კი ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მას ისევ ქართული ტომები შეხვდნენ.

ქსენოფონტეს გზა

1. ქსენოფონტეს ჯერ შეხვდა **კარდუხები**ს მთები, შემდეგ კი ტიგროსის სათავე (ქსენოფონი, კიროსის ანაბაზისი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, 2010, გვ.119);

2. ჯერ მდ. კენტრიტი, მერე მდ. ტიგროსის სათავე (იქვე, გვ. 122);

3. მდ. კენტრიტი „საზღვრავს არმენიას **კარდუხების** ქვეყნისაგან“ აქ არის ველი (იქვე, გვ. 120);

„**ხალდები** თავისუფალნი და მამაცნი არიან“ (იქვე,გვ. 121);

მდ. კენტრიტი უნდა იყოს მდ. ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადი ანდა მისი ერთი ნაწილი. ოღონდ ქ. ელაზიგის მიმართულებით. ესაა არმენიისა და **კარდუხები**ს საზღვარი;

4. მდინარის მეორე ნაპირიც ვაკეა. მდინარიდან 50 კმ-ში არის ტიგროსის სათავე;

5. ტიგროსის სათავიდან 15 ფარასანგში (1 ფარასანგი 5 კმ.) – 15 X 5 კმ.

= 75 კმ.) არის მეორე მდინარე – ტელებოასი. მის გაყოლებაზეა დასავლეთ არმენია;

ტელებოასი უნდა იყოს მდ. მურატის – არაწანის შენაკადი.

6. აქედან 15 ფარასანგი X 5 კმ. = 75-ში იყო მდ. ევფრატი;

7. მდ. ფაზისი (არაქსი) **ხალიბების** ქვეყანა;

იარეს მდ.ფაზისის გასწვრივ 7 X 5 ფარსანგი. 7 X 25 კმ. = 175 + 10 X 5 კმ. + 50 კმ. = 225 კმ. დაეშვნენ ვაკეზე.

8. ტაოხების ქვეყანა 30 ფარსანგი X 5 = 150 კმ;

9. **ხალიბების** ქვეყანა მეორეჯერ;

10. მდ. ჰარპაროსი (ჭოროხი);

11. სკვითინები 20 X 5 კმ. = 100 კმ;

12. სკვითინები, ქალაქი გიმნიასი;

13. 5 დღე ზღვის გამოჩენამდე;

14. მაკრონები მდინარემდე 50 კმ;

15. მდინარე საზღვრავდა მაკრონებსა და სკვითინებს;

16. 3 დღის გზა;

17. კოლხები;

18. მათგან 2 ფარსანგი X 5 = 10 კმ-ში – ტრაპეზუნტი.

ქსენოფონტე ქალდების შესახებ

ისტორიკოსმა გ. ჭეიშვილმა განიხილა ქსენოფონტეს შრომა „კიროპედია“, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის.

თავის ამ შრომაში („კიროპედია“), ქსენოფონტე ისევე, როგორც თავისსავე „ანაბასისში“ აღწერს ბერძენთა 10.000 კაციანი რაზმის ლაშქრობას ქართული ტომებით დასახლებულ მხარეებში ძვ. წ. 401 წელს.

კერძოდ, მათ გაიარეს ფასიანების, ტაოხების, ხალიბების და სკვითინების ქვეყნები (გ. ჭეიშვილის დაკვირვებით – „ეთნონიმი „ხალდი“ ძველი ბერძნებისათვის „ხალიბის“ სინონიმს წარმოადგენდა“ („ანალები“, 2001, გვ. 9).

ყველა ამ ტომთა ქვეყნებს არმენიელები ესაზღვრებოდნენ, რომელნიც თანდათანობით მიიწევდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ფართო ფრონტით და ავიწროებდნენ ქართულ ტომებს, ერეკებოდნენ მათ უფრო ჩრდილოეთის მიმართულებით, კერძოდ, სახნავ-სათესი მიწები ხალიბებს აღარ დარჩათ, რადგანაც უკვე მთებში ცხოვრობდნენ არმენიელთა ამ მიწოლის შედეგად.

თავის მხრივ, ყველა ეს ტომი და განსაკუთრებით ხალდები (იგივე ხალიბები) თავდაუზოგავად ებრძოდნენ არმენიელებს საარსებო სივრცის დასაბრუნებლად, არმენია, უკვე დაპყრობილი იყო სპარსთა მიერ, ამის გამო სპარსეთის შაჰი კიროს დიდი ხალიბების არმენიელებზე (არმენიელთა სოფლებზე) თავდასხმას განიხილავდა, როგორც საკუთარი იმპერიის საზღვრებში შეჭრას.

ამიტომაც „კიროპედიის“ თანახმად, კიროს დიდმა (558-529) არმენიის დამორჩილების შემდეგ ხალდებზე გალაშქრება გადაწყვიტა, რათა მშვიდობა ჩამოეგდო სომხებსა და მათ მეზობელ ხალდებს შორის“ (იქვე, გვ. 9).

ქსენოფონტეს თანახმად, კიროს დიდმა შეარიგა არმენიელები და ხალდები ურთიერთდათმობათა გზით.

გ. ჭეიშვილი წერს – **„კიროპედიისა“ და „ანაბასისის“ ცნობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ხალიბებს//ხალდებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეომარ და მამაც ხალხად ითვლებოდა არა მხოლოდ იმ მხარეში, არამედ იმ ტომთა შორის, რომელთა მიწა-წყალზეც ელინებმა გაიარეს, თავისი ჰეგემონია და სატომო სახელი სამხრეთით საკმაოდ შორს გაევრცელებინათ**“ (იქვე, გვ. 10).

ხალდები იგივე ქალდებია, ეტიმოლოგიურად ჩანს, კარდუხებისა და ქალდების სახელები მსგავსია:

„კარდუ“ ანუ „ქარდუ“ „ქალდ“ უნდა იყოს. ეს ფუძე აქვს ქართველთა თვითსახელწოდებასაც – „ქართუ“.

ქსენოფონტე ქალდების ანუ ხალდების საცხოვრისისა და გავლენის დიდი განვრცობის შესახებ მიუთითებს კიროპედიაში – მისი სიტყვით ფასიანები ქალდების გავლენას განიცდიდნენ, – თუ გავიხსენებთ, რომ ფასიანების საცხოვრისს შემდგომში ბასიანი ეწოდა, ის დიდი ტერიტორია იყო, მოიცავდა შემდგომი არზრუმისა და ყარსის პროვინციებს და კიდევ უფრო გაშლილი იყო აღმოსავლეთით – ვალაშკერტამდე. ასეთი დიდი არეალის კონტროლი მხოლოდ ძლიერ და მეომარ ტომს შეეძლო. ფასისის ანუ არაქსის ხეობა ფასიანების იყო ქალდებთან ერთად.

გ. ჭეიშვილი წერს – „ფასიანების ქვეყანა, რომელიც ფორმალურად დასავლეთ არმენიის სატრაპს – ტირიბაზს ეკუთვნოდა, ფაქტიურად ხალიბების გავლენის ქვეშ მოექცა, უფრო სამხრეთით ხალიბები სომხური მიწების მოთარეშეობით კმაყოფილდებოდნენ“ (ანალები, N1, 2001, გვ. 10).

თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ **ხალიბები ძვ. წ. V საუკუნეში ცდილობდნენ ეკონტროლებინათ ის მიწები, რომლებიც თითქმის 1500 წლის შემდეგ თავის სამეფოს შემოუერთა ქართველთა მეფე დავით კურაპალატმა X საუკუნეში. ეს ის იბერიის მიწებია თავისი ხორძენეთი და პარიადრეს კალთებით, რომლებიც ძვ. წ. II ს-ში იბერიას წაართვა არმენიამ.**

უნდა ვიფიქროთ, რომ **ძვ. წ. V-IV საუკუნეებში იბერიულმა ტომებმა ქალდების მეთაურობით შეძლეს კონსოლიდაცია და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელსაც „არიან-ქართლი“ ერქვა, რომლის მოსახლეობამაც შეიძინა ერის ნიშნები, საკუთარი ენითა და ტრადიციებით.**

ყოველ შემთხვევაში, არსენ ბერი წერდა, რომ ქართული ენა – ის ენაა, რომელიც არიან-ქართლის სამეფოში იყო განვრცობილი „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“. ანუ ქართული ენა არიან-ქართველთა ენა ყოფილა სწორედ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ხალიბები აკონტროლებდნენ. ქსენოფონტეს სიტყვით – ესაა ფასიანის ვრცელი ქვეყანა, ასევე ხორძენე და პარიადრეს კალთები.

ქალდების საცხოვრისი თვითონ პარიადრეს და მოსხების მთიანეთი უნდა ყოფილიყო. როგორც ვთქვით, სტრაბონი ქალდებს ასევე უწოდებს „ალაზონებს“, აქედან უნდა იყოს წარმოშობილი სატომო სახელი ლაზი. მათი ეს თვითსახელწოდება არეკლილი უნდა იყოს იმ ვრცელ რეგიონში, რომელსაც ქალდები აკონტროლებდნენ. როგორც ითქვა, აქ ჩვენ გვხვდება ქალაქები ერთი და იმავე ფუძე-დასახელების მქონენი – **არზ**რუმი (ერზრუმი), **არზ**ინ-ჯანი (ერზინჯანი), **არზ**ე (აწრე) და სხვა, ასევე კონსტანტინე პორფიროგენე-ტის სიტყვით არტანუჯის ქვეყანას **არზ**ენი ერქვა.

ჩემი აზრით ფუძე „არზ“ მიღებული უნდა იყოს ქალდების სახელწოდები-დან „**ალაზ**ონი“, „**ალაზ**“ ანუ „**არაზ**“ – ეს ფუძე ამ რეგიონში მრავალ სახელში გვხვდება და ყველაზე მეტადაა გავრცელებული, თვით მდინარე არაქსაც კი „**არაზ**ი“ ერქვა. „არაზ“-იდან უნდა იყოს, არზრუმი, არზინჯანი, არზე (არწე) და სხვა. ამავე რეგიონის სამხრეთით ქალაქ ელაზიგის სახელიც მას უნდა უკავშირდებოდეს. აღსანიშნავია, რომ შემდგომი ელაზიგის მხარეებში, რო-მელსაც ანძიანძორა ერქვა, ილაშქრა მეფე ფარნავაზმა, როცა ის იბრძოდა არიან-ქართველთა მეფის მემკვიდრეობისათვის. ამავე მხარეებში ილაშქრა ასევე ვახტანგ გორგასალმა. მე ვფიქრობ, და ჩანს კიდეც, რომ ფარნავაზი იბრძოდა ქართლის სახელმწიფო საზღვრების განსამტკიცებლად. ეს საზღ-ვარი ქართლის ცხოვრების ავტორს აზონის მამისეული მემკვიდრეობის აღ-წერის დროს აქ ეგულებოდა.

სტრაბონის ცნობით, ქალდებს ასევე ერქვათ სახელი – „ალიზონები“, „ალაზონები“. ქალდებს ნამდვილად რომ ერქვათ ეს სახელი ჩანს უამრავი ტოპონიმიდან, რომლებიც აღნიშნული სიტყვის ფუძიდან გამომდინარეობს – „ალაზ“(ლაზ), „არაზ“, „არზ“.

ეს სახელები „არაზ“ და „ალზ“ მდინარეებს, სოფლებს, ქალაქებსა და პროვინციებსაც კი ერქვათ პონტოსპირეთიდან ვიდრე ვანის ტბამდე და კა-ხეთის მდინარე ალაზნამდე. მაგალითად, ერთ-ერთია პროვინციის სახელ-წოდება „ალზნიკ“ (სომხურად – „აღძნიკ“), რომელიც სწორედ კარდუხთა ქვეყნის მეზობლად მდებარეობდა და ვრცლად იყო გადაჭიმული ე.წ. ცოვკის ტბიდან კორდვაცის მთებამდე (პროვინცია კორდუკამდე), ე.ი. კარდუხების ქვეყნამდე ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ამჟამადაც კი ცოვკის ტბას-თან ახლოს ძველ ქალაქ მელიტენეს (გალატიას) – ალაზიგი ჰქვია, რომლის ფუძეშიც „ლაზ“-ი ზის.

ამ „ლაზ“ – „რაზ“ ფუძიდანაა გამომდინარე უფრო წვრილი პროვინციის სახელი „არზნი“, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა კარდუხების ქვეყანას, კერძოდ კი „კორდუკს“. ამ „ლაზ-რაზ“ ფუძიდანაა გამომავალი მდინარეთა სახელები „არაწანი“, „რაზდანი“ და შესაძლოა ასევე – „ალაზანი“. როგორც ითქვა, კლარჯეთსაც არზენა ერქვა.

არაწანი – ვანის ტბის სანაპიროდან იწყება და მურატის სახელწოდებით ქ. ელაზიგთან ევფრატს უერთდება. მის სამხრეთ სანაპიროზე იწყება ტიგ-როსის სათავეები.

ქალდებმა ამ რეგიონში, რომელიც შემოსაზღვრული იყო ქალაქებით – თანამედროვე ელაზიგით და ძველი ვალაშკერტით, ოლქმა, რომელშიც შე-

დიოდნენ მდ. კელკიტის სათავეები, მდ. ხარტიში, ნაწილობრივ ყიზილ-ირმაკი, შემდგომი არზრუმი და არტაან-არტანუჯი, შექმნეს ქვეყანა „ქალდუ“, იგივე „ქართუ“, იგივე არიან-ქართლი. მისგან უფრო ჩრდილოეთით ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრიობა და მისი შთამომავლობაა ქართველი ხალხი.

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია კიდეც, რომ სვანების, მეგრებისა და დანარჩენ ქართველთა წინარე სამშობლო „ქალდუ“ – ქართუ იყო, ჩანს, ჩამოყალიბებული მებრძოლ ტომ ქალდეელთა მიერ, რომელთაც შემდგომ ლაზები ეწოდათ.

საბოლოოდ, ჩვენ შეიძლება ასეთი სახით წარმოვიდგინოთ ქართველი ერის ჩამოყალიბება – წყაროთა თანახმად, „**ნაბუქოდონოსორმა ლივიის გვერდით მდებარე იბერიიდან იბერიელების ნაწილი გადაასახლა და დაასახლა პონტოს ზღვისპირეთში**“, როგორც რამდენჯერმე ითქვა, აქ ნახსენები „ლივია“ არის არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბის პირას მდებარე ძველი ქვეყანა „ლუვია“, ხოლო იბერიელები იგივე კარდუხები, ქალდუებია, რომელნიც ლივიის გვერდით ცხოვრობდნენ. ამ კარდუხ-იბერიელების ნაწილი გადასახლდა შავი ზღვისპირეთში და იწოდნენ ქალდებად (ხალდებად) – ხალიბებად. ამავე დროს შავი ზღვისპირეთის ამავე რეგიონში უწყვეტი ნაკადის სახით შემოდიოდნენ სხვა ქართველი ტომები პონტოსპირეთიდან.

ამ ქართული ტომების (ფასიანების, ჰესპერტების, ტაოხების, მოსინიკებისა და სხვ.) კონსოლიდაცია შეძლო მეომარმა და ძლიერმა ტომმა კარდუხებისა, რამაც საფუძველი ჩაუყარა არიან-ქართლის სახელმწიფოს, რომლის მემკვიდრეობა ფარნავაზის დროს მიიღო „ქართლის სამეფომ“.

სტრაბონის ცნობები ლაზ-ალაზონების შესახებ

ლაზების სახელის ეტიმოლოგიური ძიებისათვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სტრაბონის გეოგრაფიაში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ის ქალდების ტომს უწოდებს **ალაზონებს**, ზოგჯერ კი **ალიზონებს**.

სტრაბონი თავისი გეოგრაფიის XII წიგნის მესამე თავში ვრცლად მსჯელობს თავისი ამ ცნობის დასამტკიცებლად და ამ საკითხზე პოლემიკას უმართავს მრავალ ძველ ცნობილ ავტორს, საბოლოოდ ასკვნის, რომ მის დროს მცხოვრები **ქალდების ძველი სახელია ხალიბები, იგივე ალიბები** და, რომ საერთოდ, ჰომეროსის დროს ალიბე ერქვა ქვეყანას თემისკარასთან. **ალიბეს ხალხს კი ერქვა – ალიზონები ან ალაზონები.** ამ სახელისაგან წარმოდგება სიტყვა ამაზონები.

საბოლოოდ სტრაბონი იღებს ქალდების სახელს – ალაზონებს და წერს – „**ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი – ამაზონებს, ადგილ „ალიბედან**“ (სტრ. XII, 3, 21) ან „შორიდან **ხალიბედ**ან“ (XII, 3, 23).

სტრაბონი წერს – „**ეხლანდელი ქალდები, ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია. მისი შემოსავალია თევზ პელამიდების ჭერა და ასევე მიწიდან ლითონების (ახლა რკინის, ძველად**

ვერცხლის) ამოღება. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე, ტყიანი მთები“ (XII, 3, 19);

„**ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად... ჰომეროსი ალიზონებს უწოდებს ხალიბებს“** (სტრაბონი, XII, 3, 20). ჰომეროსი წერს – ალიზონებს.

„**ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი კი ამაზონებს**“ (XII, 3, 21) – ამბობს სტრაბონი.

სტრაბონი მიიჩნევს, რომ ცნობილი ამაზონი ქალები ქალდების ტომს ეკუთვნოდნენ, ის ეტიმოლოგიურად სიტყვებს ქალდებს, ხალიბებს, ალიბეს, ალაზონებს და ამაზონებს ერთმანეთს უკავშირებს, როცა აღწერს ქალდების ტომის საცხოვრისს ტრაპეზუნტთან.

ამჟამად მიიჩნევა, რომ სახელწოდებაში – „ლაზიკა“, სუფიქსი „კა“ – სომხურია და ამ სუფიქსით ეს სიტყვა სხვა სომხური გეოგრაფიული სახელების მსგავსადაა ნაწარმოები (მაგალითად, როგორც კორჩაიკა), ბერძნები ლაზების ქვეყანას ზოგჯერ ლაზონიას, უწოდებდნენ.

ჩვენი დასკვნით ლაზების სახელი (**ლაზ**) ქალდების ძველი სახელისაგან – „ა**ლაზ**ონისაგანაა“ მიღებული, ამ სახელში ფუძე-ძირია „**ლაზ**“. ამ მოსაზრებას სტრაბონის ცნობა ადასტურებს.

„ლაზ-რაზ-**არზ**-არზე“ ფუძე-ძირებით ლაზთა ანუ ქალდთა ვრცელი ქვეყნის მრავალი ტოპონიმი და ჰიდრონიმია ნაწარმოები.

ალაზონები და გეორგები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებით

სტრაბონის ცნობით, ალაზონების ტომი ცხოვრობდა შავი ზღვის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ სანაპიროზე.

ალაზონების ტომის ერთ-ერთი საცხოვრისი მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე – სინოპსა და ტრაპეზუნტს შორის.

სტრაბონი ალაზონებს ხალიბების (ქალდების-ხალდების) ტომის წინაპრებად მიიჩნევდა.

ხალდები ანუ ქალდეველები შემდგომ ჭანებად იწოდნენ, ხოლო ქალდეა – ქართველთა ყველა ტომის საერთო სამშობლოდ იქნა მიჩნეული.

ქართველებს უცხოელები გეორგებს ან გურჯებსაც უწოდებდნენ. გეორგების ტომი ძველი წყაროების ცნობებით, ცხოვრობდა ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ სტრაბონის ცნობით სახელი „გეორგი“ და ასევე „ალაზონების“ სახელი ერქვა ყირიმიდან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებსაც.

მაშასადამე, შავი ზღვის ორივე სანაპიროზე, ერთმანეთის პირისპირ ტერიტორიებზე – როგორც ყირიმის მხარეში, ასევე მის მოპირდაპირე სინოპ-ტრაპეზუნტის მხარეში ცხოვრობდნენ „ალაზონები“ და ასევე „გეორგები“. ისინი ორივე ამ ტერიტორიაზე ერთიმეორის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ.

ყირიმის მიმდებარე მხარეში მცხოვრები ხალხის „გეორგების“ შესახებ სტრაბონი წერს: „**Народность херсонесцев называлась „Георгами» в буквальном смысле этого слова, потому, что скифское племья, живушее над ними, было кочевым» (Страбон, География, книга VII, 4,6).** (Страбон, География, изд. „Наука» , Л. 1964, стр. 284).

ე.ი. „**ხერსონელთა ხალხი იწოდებოდა გეორგებად, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგანაც სკვითური ტომი, მათ მაღლა მცხოვრები, იყო მომთაბარე**“ (სტრ. VII, 4,6).

სიტყვა გეორგი – მიწის მუშას ნიშნავს. ე.ი. ხერსონების გეორგების ტომი მიწათმოქმედი იყო და ამიტომ ეწოდა ეს სახელი, რასაც შეიძლება ალბათ არ დავეთანხმოთ, რადგანაც მომთაბარეთა გვერდით, ვრცელ ტერიტორიებზე, მრავალი მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა და მათ „გეორგები“ არ ერქვათ, მით უმეტეს, რომ სხვა ანტიკური ავტორები (მაგალითად, პლინიუს უფროსი) გეორგების ტომს ჩრდილოეთ კავკასიაშიც ათავსებდნენ, თუ არას ვიტყვით იქვე მცხოვრებ ქართველებზე, ასევე გეორგებად სახელწოდებულებზე, რომელთა სახელი „გეორგი“ ეთნიკური თვითსახელწოდება იყო.

ყირიმში გეორგების გვერდით ცხოვრობდა ასევე ალაზონების ტომი – სტრაბონი წერს: „...Называя скифов, что живут над Борисфеном – „Алазонами“ (Страбон, География, XI, 3, 21) Страбон, География, издательство „Наука“, Ленинград, 1964, стр. 516).

მაშასადამე, სტრაბონისავე ცნობით გეორგები და ალაზონები შავი ზღვის ორივე სანაპიროზე ცხოვრობდნენ – ერთმანეთის პირისპირ.

„გეორგების“ ტომები ცხოვრობდნენ 1) ყირიმთან, 2) ჩრდილოეთ კავკასიაში და 3) სამხრეთ კავკასიაში.

„ალაზონები“ ცხოვრობდნენ 1) პონტო-ტრაპეზუნტის მხარეში და 2) ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც გეორგები, ისე ალაზონები ქართველების წინაპრები არიან, კერძოდ, სტრაბონის ცნობით, ალაზონები ერქვათ ხალიბებს ანუ ქალდებს (ხალდებს), ქალდეა (ქალდუ) – ქართველთა საერთო პირველ სამშობლოდ მიიჩნევა, საიდანაც ქართველთა ყველა ჯგუფი წარმოიშვა. სახელი გეორგები კი საერთოდ ქართველებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ, რადგანაც ზღვის ორივე ერთმანეთის მოპირისპირე სანაპიროზე ცხოვრობდნენ ეს ტომები, ისინი იყვნენ ერთი ხალხი და ამ ხალხით იყო დასახლებული კავკასიის ორივე მხარე ყირიმის ჩათვლით.

პლინიუს უფროსის ცნობით „**გეორგები**“ ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის, ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის არეებს შეეხება პლინიუს უფროსის ცნობა იქ მოსახლე სხვადასხვა ტომის შესახებ, რომელთა შორის „გეორგებიც“ იხსენიებიან.

პლინიუს უფროსი წერს: „**მათ გვერდითაა სკვითები, კიმერიელები, კისსეები, ანტები, გეორგები და ამაზონების ტომი. ეს უკანასკნელები ცხოვრობენ კასპიისა და ჰირკანიის ზღვამდე**“ (Плиний старший, Естественная история, книга VI, XIV. 35. რუს.ენაზე).

მიიჩნევა, რომ ეს გეორგები „**გეორგილები**ს“ სახელით იხსენიებიან პომპონიუს მელასთანაც (I.13) და არ არის გამორიცხული მათი კავშირი ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ **გეგარ-გარგარებთან**.

ჩვენი კვლევით, სიტყვის ფუძე-ძირი „**გგრ**“ წარმოადგენს ქართველთა ანუ გეორგების ეთნოფუძეს და მასზეა აგებული სხვადასხვა ქართული ტომისა და მათი ქვეყნის სახელი, ესენია – „ე**გრ**ისი“, „**არგ**ვეთი“, „**გურ**ია“, „**გო**ग**ა**-**რ**ი“, **გუგარ**ქი“ და სხვა, ასევე მას (ამ ეთნო-ფუძე „გგრ“-ს) ეფუძნება ქართველთა აღმნიშვნელი უცხოური სახელები – გურჯ, გეორგიენ, გურზან, გრუზინ და სხვა. აქედან გამომდინარე, პლინიუსის – გეორგები ქართველთა ტომის აღმნიშვნელი უნდა იყოს, სტრაბონის ცნობითაც იბერებს ჩრდილოკავკასიაში ეთნიკური თანამონათესავენი ჰყავდა. პლინიუსისავე ცნობით გეგარ-გაგარები, ამაზონები და გეორგები ჩრდილოეთ კავკასიაშიც ცხოვრობდნენ. აქ ამაზონი იგივე ტომი უნდა იყოს, რომელიც „ალაზონად“ იწოდება სტრაბონთან.

ძვ.წ. IV საუკუნე

№ 4


არიანე „ალექსანდრეს ანაბაზისი“ (ძვ.წ. III ს.)
ევქსინის პონტო
ამაზონი ქალების ქვეყანა
კოლხთა ოდგმა
ხორასმიონის (ჰარმაზიონის?) ფარასმანეს სამეფო
ამასია
ნიკაპოლისი
ზელა
ტოკატი
ეგერსა
ხარსიანონი
ხარსიანა
ლარისა
ბოზატი
ბინგოლი
ბიზანა
ბორჩხა
ბანა
ბულანიკი
ბოლანიკი
ბინისი
ბორასანი (ბორასმინონი)
ბაბერიოლეა
ბაიბურტი (ბაიბერტი)
ბინორია
ბარტონი
ბერეზა
ბერეზინა
ბერეზანა
ბერეზანი
ბერეზანა
ბერეზანა
ბერეზანა

ლაზები და სვანო-კოლხები პტოლემაიოსთან

კლავდიოს პტოლემაიოსი (90-168) თავის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოიხსენიებს კოლხეთ-იბერიის ქალაქებს, მთებსა და მდინარეებს.

„მდინარე კორაქსი – ახლოა კოლხიდასთან და იბერიასთან, იქიდან გადის ალბანიასთან საერთო სასაზღვრო ხაზი. [აზიის სარმატიის საზღვარი] სამხრეთით – ევქსანის პონტოს ნაწილი მდინარემდე კორაქსი, და აქედან კოლხეთის, იბერიის და ალბანიის [სასაზღვრო] ხაზი გადის კასპიის ზღვამდე“ (პტოლემაიოსი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, 2010, გვ. 356, ა).

1. პტოლემაიოსი ახსენებს მდინარე კორაქსს, მის სათავეს, მთა კორაქსს და კორაქსის მთებს.

სად, რომელ რეგიონში უახლოვდებოდა ერთმანეთს კოლხიდა, იბერია და ალბანია, სადაც მიედინებოდა კორაქსი?

კოლხიდა მოიცავდა მდ. ჭოროხის დასავლეთ სანაპიროს ქვეყანას ტრაპეზუნტამდე. ჭოროხის მთიანეთის ჩრდილოეთით იბერია მდებარეობდა. ჭოროხის მთიანეთის აღმოსავლეთის მხარეს გადაჭიმული ქედები ალბანეთამდეც აღწევდა. ვფიქრობ, რომ პტოლემაიოსი გულისხმობს კარჩხალ-არსიანის რეგიონს, ეს სხვა მონაცემებიდანაც ჩანს.

ის წერს – „**მთა კორაქსი, რომლითაც მთავრდება კოლხეთისა და იბერიის გავლით წამოსული მთები, კავკასიონად წოდებული და ასევე ჰირკანიის ზღვისკენ მიმავალი კავკასიის მთის განშტოება, მასაც კავკასოსი ეწოდება**“ (იქვე, გვ. 356, ბ).

ვფიქრობ, კორაქსისა და კავკასოსის მთების მოძებნისათვის ჩვენ უნდა ვეძიოთ, თუ სად უერთდება ერთმანეთს კოლხეთიდან და იბერიიდან წამოსული მთები კასპიის ზღვისაკენ მიმართულ მთებს. ერთადერთი ასეთი ადგილია კვლავ კარჩხალ-არსიანის მთიანეთი, ჩანს, მასზე წერს კიდეც ავტორი „**მასაც კავკასოსი ეწოდება“. ანუ მცირე კავკასიონშია მთა კორაქსისა**, კარჩხალ-არსიანის მთიანეთში. ასეთშემთხვევაში „კორაქსების მთები“ მართლაც ახლოა „**მითრიდატეს ქვეყანასა**“ და „**ამაზონების**“ ტბასთან, როგორც წერს ავტორი (პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელი, წიგნი V, თავი VIII, 17-25, იქვე, გვ. 456, გ).

შესაბამისად, მდინარე კორაქსი უნდა იყოს კარჩხალ-არსიანის მთიანეთიდან გამომავალი რომელიმე მდინარე, მაგალითად, ასეთებია აჭარისწყალი, მაჭახელა, იმერხევი, ლიგნისწყალი და სხვა. ის წერს – „**მდინარე კორაქსის სათავე: აქედან გადის კოლხეთზე მიმდებარე საზღვარი“** (იქვე, გვ. 356, გ).

მაშასადამე, ჩემი აზრით, კორაქსის მთები არის კარჩხალ-არსიანის მთიანეთი, სადაც გადიოდა კოლხეთის საზღვარი, ხოლო მდინარე კორაქსი ამ მთებში იღებდა სათავეს.

VII ს. სომხურ გეოგრაფიაში „სარმატია“ ეწოდება ასევე დასავლეთ საქართველოს, კლავდიოს პტოლემაიოსთანაც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი სარმატიის ნაწილად მოიაზრება – „**საზღვარი სამხრეთით. ევქსინის**

პონტოს ნაწილი მდინარემდე კორაქსი და აქედან კოლხეთის, იბერიის და ალბანიის სასაზღვრო ხაზი გადის ჰირკანიის ანუ კასპიის ზღვამდე“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, 2010, გვ. 356,ა).

ჩვენი კვლევით, კოლხეთისა და იბერიის საერთო საზღვარი გადიოდა არსიანის ქედზე. კოლხიდის ჩრდილოეთ საზღვარი გადიოდა მდ. ჭოროხის შესართავის რეგიონში. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე მხარე უკვე სარმატიად მიიჩნეოდა. ჩანს, ამიტომაც წერს პტოლემაიოსი – „**კოლხიდა შემოისაზღვრება ჩრდილოეთით სარმატიის ზემოაღნიშნული ნაწილით, დასავლეთით კი მდინარე კორაქსიდან მოყოლებული ფასისის უკიდურესი მხარის ნაწილით – ევქსანის პონტოს შემდეგი აღწერილობის შესაბამისად: დიოსკურიასი, მდ. ჰიპოსის შესართავი, მდ. კიანეოსის შესართავი, სიგანეოსი, ნეაპოლისი, აია პოლისი, მდ. ქარიუსტორის შესართავი, მდ. ფაზისის შესართავი ქალაქი ფაზისი**“ (იქვე, გვ. 356, დ).

ჩვენი კვლევით ქ. დიოსკურია მდებარეობდა დღევანდელ ქალაქ სურმენესთან ახლოს (ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა), ე.ი. მის ჩრდილოეთით ზღვისპირზე იყვნენ მდ. ჰიპოსი, მდ. კიანეოსი, სიგანეოსი, აიაპოლისი, მდ. ფაზისის შესართავი და ქალაქი ფაზისი. მდ. ფაზისი კი მდ. ჭოროხია. აქ გადმოცემულია იმჟამინდელი სახელწოდებები მდინარეებისა და პუნქტებისა თანამედროვე სურმენედან – მდ. ჭოროხის (ე.ი. ფაზისის) შესართავამდე. ქალაქები დიოსკურია, სიგანეოსი, ნეაპოლისი, აია პოლისი და ქალაქი ფაზისი პტოლემაიოსის დროს თანამედროვე სურმენედან ვიდრე ჭოროხამდე მდებარეობდნენ.

2. პტოლემაიოსის მიხედვით ქ. ფასისი (ფაზისი) ძალზე ახლოს მდებარეობდა არმენიასთან „**ქ. ფასისი, ხოლო სამხრეთით – აქედან მინიშნებული ხაზის გაყოლებაზე და მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი**“... (იქვე გვ. 356,დ).

კოლხეთი „**აღმოსავლეთით ესაზღვრება იბერიას, კავკასიის მთების გასწვრივი ზღვრების შემაერთებელი ხაზით**“ (იქვე).

როგორც ითქვა, ჩვენ კოლხიდად მივიჩნევთ მიწა-წყალს მდ. ჭოროხიდან თითქმის ტრაპეზუნტამდე, კოლხიდის ნაწილი იყო ასევე ჭოროხის ხეობა არსიანის ქედამდე. ამიტომაც კოლხიდას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა იბერია, რომელიც მართლაც აქვე, არსიანის ქედის იქით იწყებოდა (არტაანის ოლქი). აქვე, იბერიაში მდებარეობდა ქალაქი არტანისა (ქართულ წყაროებშიც მას ჰქვია „ქალაქი არტანისა“ – ანუ არტაანის ქალაქი: პტოლემაიოსიც იბერიის ქალაქთა შორის მას (არტანისას) ასახელებს.

ამ ტერიტორიაზე (ე.ი. ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე) ცხოვრობდნენ პტოლემაიოსის ლაზები, მათ სიახლოვეს კი მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი.

პტოლემაიოსი წერს: „**კოლხეთის ზღვის მიმდებარე მიდამოებში მკვიდრობენ ლაზები, ზემოთ კი – მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი“ (პტოლემაიოსი, „ანტიკური კავკასია**“, 2010, გვ. 356,დ).

ჩვენი კვლევით სტრაბონი, თითქმის პტოლემაიოსის ეპოქაში, მიიჩნევდა, რომ „**კოლხიდის სანაპირო**“ ერქვა ზღვისპირს თანამედროვე სურმენედან ტრაბზონამდე (ე.ი. დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე). ამიტომაც ჩანს, პტოლემაიოსიც „**კოლხიდის ზღვას**“ უწოდებდა ამავე სანაპიროს მომცველ

ზღვისპირს. ე.ი. პტოლემაიოსის მიერ ნახსენები „**კოლხიდის ზღვის მიმდებარე მიდამოების**“ ქვეშ იგულისხმება ტრაპეზუნტის სამხრეთი მთიანეთი, რომელიც ამ „ზღვის“ პირისპირ მდებარეობს. ვინ არიან პტოლემაიოსის მიერ ნახსენები „ლაზები“, რომელნიც ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტიდან – სურმენამდე და რიზემდე, კოლხიდის ზღვის მიდამოებში? პასუხისათვის საინტერესოა სტრაბონის ცნობა, რომ აღნიშნულ მიწა-წყალზე, ტრაპეზუნტის მთიანეთში ცხოვრობდნენ **ქალდები**, მათ სტრაბონი უწოდებს „**ხალიბებს**“ და ასევე „**ალაზონებს**“.

ეტიმოლოგიურად, როგორც აღინიშნა, სიტყვები „ალაზონები“ და „ლაზები“ ერთი წარმოშობისა უნდა იყოს. ლაზიკას ბერძნულად „ლაზონიც“ ერქვა. ამიტომაც პტოლომეოსის და სტრაბონის „ალაზონები“ და „ლაზები“ ერთსა და იმავე ტომზე – ქალდებზე უნდა მიუთითებდეს. სტრაბონი ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, რომ ტროელთა დასახმარებლად ბერძნებთან ომის დროს ხალიბების წინაპარი ალიზონები (იგივე **ალაზ**ონები) მივიდნენ ტროაში – „**შორიდან ხალიბედან**“ (სტრაბ. XII, 3,20-22). ის ვრცლად მსჯელობს და ამ თავის თვალსაზრისს მრავალი მაგალითით ამტკიცებს. ჰომეროსი წერს – **„ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიზონებს, შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო ...უნდა შეიცვალოს დაწერილი შორეული ხალიბედან... ეს აიხსნება წერითი ცვლილებებით**“ (სტრაბონი, XII, 3, 20-22).

სტრაბონის ქართველი მთარგმნელები „ალიზონების და ალაზონების“ ნაცვლად წერენ „ალიძონები“, „ალაძონები“, ასევე „ამაძონები“, მაშინ როცა რუსულ თარგმანებში წერია ამაზონები, ალაზონები, ალიზონები. საერთოდ, ყველგან იწერება ამაზონები და არა ამაძონები. თუ ბერძნულ „ძეტას“ წავიკითხავთ, როგორც „ძ“, მაშინ პტოლემაიოსთანაც სიტყვა „ლაზი“ უნდა წავიკითხოთ – „ლაძი“, მაგრამ მისი ქართველი მთარგმნელი წერს – „ლაზი“ – პტოლემაიოსი წერს – „**კოლხიდის ზღვის მიმდებარე მიდამოებში მკვიდრობენ ლაზები, ზემოთ კი მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი**“ („ანტიკური კავკასია“, 2010, გვ. 356,დ).

როგორც აღვნიშნეთ, პტოლემაიოსის ლაზები ცხოვრობდნენ „კოლხიდის ზღვასთან“, ანუ „კოლხიდის სანაპიროსთან“ თანამედროვე სურმენე-ტრაპეზუნტის მთიანეთში. ისტორიულად აქ ყოველთვის ცხოვრობდნენ ქალდები, აქ იყო „ქალდეას თემიც“, აქ იყო ცნობილი ქალაქები ზიგანა და არგიროპოლისი (ვერცხლის ქალაქი), აქ უნდა ყოფილიყო ვერცხლის ის საბადოები, რომელიც სტრაბონს ხალიბების ქვეყანაში ეგულებოდა. მისი აზრით, როგორც ვთქვით, ხალიბები და ქალდები ერთი ხალხი იყო და მათ აგრეთვე „ალაზონებიც“ ერქვათ. პტოლემაიოსის ლაზები – სწორედ ეს ხალხი უნდა იყოს. **ქალდეას პროვინციის მაღლა, ქვეყნის სიღრმეში, ნ. ადონცის სიტყვით, მდებარეობდა სამხრეთ ეგრისის პროვინცია „მანრალია“, თეოდოსოპოლიოსის სამხრეთ-დასავლეთით 40-იოდე კილომეტრში.**

პტოლემაიოსის „ეკრეკტიკეს ქვეყანაც“ აქვე, სამხრეთ ეგრისის რომელიმე ნაწილი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, პტოლემაიოსი გვაძლევს ცნობებს I საუკუნეში თეოდოსოპოლიოს-არზრუმიდან ვიდრე ტრაპეზუნტამ-

დე მდებარე ქვეყნის მოსახლეთა შესახებ – კერძოდ კი, ეკრეკტიკეს, მანრალიისა და ლაზთა ქვეყნების მოსახლეთა შესახებ. როგორც ვთქვით – ესენია ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მხარეები, სურმენეს ანუ დიოსკურიის მარჯვნივ ზღვისპირზე მდებარე პუნქტები და მდინარეები აღწერილია მდ. ჭოროხამდე, რომელსაც ის ფაზისს უწოდებს, შესაბამისად, ქართული თარგმანის ტექსტში ჩართულ განმარტებას, თითქოსდა, მდ. ჰიპოსი არის ცხენისწყალი, ჩვენ არ ვეთანხმებით, – მდ. ჰიპოსი პტოლემაიოსის აღწერით, ან უშუალოდ ჩაედინებოდა ზღვაში ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა, ანდა ის იყო ჭოროხის შენაკადი. ასევე, მისი ქალაქი სიგანეოსი ან ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა მდებარეობდა ზღვისპირზე, ანდა იყო ცნობილი ქალაქი ზიგანა იმავე რეგიონში.

3. იბერიის საზღვრები პტოლემაიოსთან ასეთია – ჩრდილოეთით სარმატია, დასავლეთით „**კოლხიდის აღნიშნული ხაზი**“ (კარჩხალ-არსიანის რეგიონი), **სამხრეთით დიდი არმენია – კოლხიდიდან**“ (კოლხიდა და დიდი არმენია მისთვის ერთმანეთის გვერდით მდგომი ქვეყნებია). იბერიის ქალაქთაგან მის მიერ ნახსენები არტანისა უნდა იყოს არტაანის ქალაქი – რომელსაც ქართულადაც არტანისა ერქვა, ქ. ძალისა – აღმოჩნდა არქეოლოგიურ კვლევათა შედეგად სოფელ ძალისასთან. არმაკტიკა კი არმაზად მიიჩნევა.

4. „მოსხური მთები“ ანუ „მოსხების მთები“ მრავალჯერ იხსენიება პტოლემაიოსთან დიდი არმენიის აღწერისას.

„დიდი არმენია შემოისაზღვრება: ჩრდილოეთით კოლხიდის ნაწილით და იბერიითა და ალბანიით მდინარე კიროსის გასწვრივი ზემოთხსენებული ხაზის მიხედვით. დასავლეთიდან ...კაპადოკიის პონტოს გასწვრივ კოლხიდამდე მოსხური მთების ხაზით... არმენიის მთათაგან განთქმულია ე.წ. მოსხური მთები, რომლებიც გადაჭიმულია კაპადოკიის ზემოთ მდებარე ნაწილის გასწვრივ და პარიადრესის მთა... არმენიის მხარეებია: მოსხურ მთებთან – კოტარძენე, მას ზემოთ ბოქასად წოდებული მხარე, მდ. კიროსის გასწვრივ – ტორასენე და ტოტენე. მდ. არაქსის გასწვრივ კოლთენე და მის ქვემოთ სოდუკენე, პარიადრესის მთასთან სირაკენე და საკაპენე...“ (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 356).

პტოლემაიოსის აღწერიდან ჩანს, რომ მას დაფიქსირებული აქვს ის მდგომარეობა, რაც შეიქმნა მას შემდეგ, რაც არმენიამ იბერიას ჩამოაჭრა ვრცელი ტერიტორიები – პარიადრეს კალთები, გოგარენა და ხორძენა. ამიტომაც მან არმენიაში შეიყვანა მოსხური მთები – ესე იგი, მთათა სისტემა კარჩხალ-არსიანიდან ვიდრე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებამდე.

საბოლოდ, პტოლემაიოსი სარმატიას უწოდებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირს, კოლხიდას – ტერიტორიას ჭოროხიდან ტრაპეზუნტამდე (სურმენემდე), სადაც ცხოვრობენ ლაზები და მანრალები, კოლხიდის ნაწილად თვლის ჭოროხის ხეობას არსიანის ქედამდე, სადაც, კარჩხალ-არსიანის მთიანეთში ეგულება კორაქსის მთა და მდ. კორაქსი, აქვე იწყება მოსხური (მოსხები) ქედი და აქვეა ქ. არტანისა – იბერიაში.

ეს ადგილი მისთვის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული წერტილია, საიდანაც ავლებს შესაბამის ხაზებს ქვეყანათა ადგილმდებარეობის განსასაზღვრად.

5. „სვანოკოლხების“ ტომს პტოლემაიოსი ასახელებს „პონტოს გასწვრივ“ სხვა ტომთა ჩამონათვალის ბოლოს – **„...პონტოს გასწვრივ – აქაველები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“**... (ანტიკური კავკასია, გვ. 356,გ).

მაშასადამე, სვანოკოლხები ცხოვრობდნენ ჰენიოხების ქვემოთ.

სტრაბონის მიხედვით ჰენიოხები ცხოვრობდნენ პიტიუნტამდე (პიტიამდე), რომელიც ჩვენი კვლევით დაახლოებით შეესაბამება თანამედროვე პუნქტ პაზარს (არდაშენ-ათინასთან). აქ თურმე, პტოლემაიოსის ცნობით, მთიანეთში, ცხოვრობდნენ სვანოკოლხები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი შეუმოწმებელი ცნობით, ათინასთან მცხოვრები ლაზები დღესაც თავის თავს „სვანებს“ უწოდებენ და თავიანთ ლაზურ კილოს „სვანურად“ მიიჩნევენ.

დასავლეთ საქართველოს სანაპიროს არა მხოლოდ პტოლემაიოსი და სომხური გეოგრაფია უწოდებდნენ სარმატიას, არამედ მრავალი სხვა ავტორიც. იქ მცხოვრებ და ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ ტომებსაც „სკვითებს“ უწოდებდნენ. ამის ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს მხარის ნაკლები შესწავლა იმჟამინდელ მეცნიერთა მიერ. თვით პტოლემაიოსიც კი მას უწოდებს **„უცნობ ქვეყანას“,** ანდა **„უცნობ მიწას“**. ის წერს – **„იქაური მერიდიანის გასწვრივ, ვიდრე უცნობ მიწამდე“** (იქვე, გვ. 356,ბ). ანდა **„სარმატიას იკავებენ – უცნობი მიწის მიმდებარე ჰიპერბორეელი სარმატები...“** (იქვე, გვ. 356,გ) და ა. შ.

დასავლეთ საქართველო I ათასწლეულში შავი ზღვის დონის მკვეთრი ამაღლების გამო გეოგრაფიულად რთული რეგიონი იყო, ამიტომაც შესასწავლად ძნელი.

ძვ. წ. II ს-ში არმენიელთა მიერ მიტაცებული იბერიელთა მიწები სტრაბონის ცნობით

იმიერტაო, ბასიანი და სხვა ქართული ოლქები VI-VII სს-ში სომხეთის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში.

VIII-IX სს-დან იწყება ამ რეგიონის საოცარი ფერისცვალება, მისი მოსახლეობა გამოდის სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და შედის ქართული ეკლესიის წიაღში. ამ ფაქტმა ჩამოაყალიბა უმართებულო თეორია, რომ თითქოსდა მოხდა ამ რეგიონის მკვიდრი სომხური მოსახლეობის „ქართიზაცია“-გაქართველება მას შემდეგ, რაც ისინი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდნენ.

ჩვენი კვლევით, ეს რეგიონი უძველესი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული, რადგანაც ძვ. წ. II ს-დან არმენიის მიერ დაპყრობილ არიან-ქართლის ნაწილს წარმოადგენდა.

ის არმენიისაგან გათავისუფლდა ძირითადად აღნიშნულ VIII-IX სს-ში. მისმა მოსახლეობამ შეძლო ქართული იდენტობის შენარჩუნება და შემდეგ კი წარმოჩენა.

ამ ფაქტზე სტრაბონი მიუთითებს.

მისი ეს ცნობა ფაქტობრივად გამოუყენებელია, ამიტომაც ჩვენ ის ხშირად მოგვყავს. სტრაბონი წერს: „**მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები**“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

არმენიელებმა იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე ანუ ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალი, აზონის მამის მამული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნობას გოგარენეს ადგილსამყოფელის შესახებ თვითონ სტრაბონი იძლევა.

გუგარქისგან განსხვავებით გოგარენე მდებარეობდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროზე, ანუ მტკვრის იქით, „მეორე მხარეს“ – როგორც ამბობს სტრაბონი.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, სტრაბონის ცნობით, გოგარენე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე უნდა ვეძიოთ და ეს ცნობა დაგვეხმარება ხორძენეს ადგილსამყოფელის განსაზღვრისას, ის სტრაბონის ცნობიდანვე ჩანს, რომ პარიადრესა და გოგარენას შორის მდებარეობდა. რადგანაც გოგარენას საზღვრავდა მდ. მტკვარი, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ **ხორძენე პარიადრესა და მტკვარს შორის მდებარეობდა** და ის (ხორძენე) უნდა იყოს ისტორიული არიან-ქართლის ძირითადი ნაწილი, ესაა ტერიტორია **პარიადრესა და მტკვარს შორის, არაქსის ხეობითურთ**.

მიტაცების შემდგომ ამ მხარეებში დაიწყო ქართველების არმენიზაცია, სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა დონისა.

არმენიზაციის პროცესი შენელდა IX-X საუკუნეებში და ამავე დროს აქ დაიწყო ქართული იდენტობის დაუფარავი წარმოჩენა და აღორძინება.

თავი 2

ქართული წყაროები

ფარნავაზის ეპოქაში პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაარსებისა და იმჟამინდელი ერთიანი ქართული კულტურის შესახებ

შესავალი

ამჟამად ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ძველთაგან საქართველოში არსებობდა ორი კულტურა და, სამწუხაროდ, ამ მტკიცებას იმეორებს სამთავრობო საიტიც – http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=193...26.11.2020.

ასევე, საზოგადოდ, მიაჩნევა, რომ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა მხოლოდ მე-11 საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ჩვენი ძველი ისტორიოგრაფიის თანახმად, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე და ამ **ერთიან ქვეყანაში, მეფე ფარნავაზის ეპოქიდანვე, მხოლოდ ერთი კულტურა არსებობდა, ერთი მწიგნობრობით, საერთო ენითა და წარმართული რელიგიით, ხოლო გაქრისტიანების შემდეგ ერთი სარწმუნოებითა და ერთი ეკლესიით.**

მაშასადამე, ეროვნული წყაროების თანახმად, ძველთაგან საქართველოში არსებობდა ერთი კულტურა და არა ორი, ხალხის იდენტობის მთავარი ნიშანი კი კულტურა იყო.

ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ აზონისა და ფარნავაზის მიერ დაარსებულმა სახელმწიფომ ერთიანი სახით იარსება დიდხანს და ის კვლავ ერთიანი იყო მეფების ადერკის, წმ.მირიანისა და წმ.ვახტანგ გორგასლის დროს.

ამ ერთიან ქვეყანაში შემოსულან წმიდა მოციქულები, ერთიან ქვეყანაში დამტკიცებულა ქრისტიანობა სახელწიფო სარწმუნოებად, თარგმნილა წმიდა წერილი და გაქრისტიანებისთანავე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ქართული ენით იდიდებოდა უფალი ღმერთი, ანუ ჩვენში ძველთაგანვე მიიჩნეოდა, რომ საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი კულტურა და არა ორი, როგორც ამჟამად ფიქრობენ.

ძველი თვალსაზრისი კარგადაა ასახული „ძეგლისწერაში“, რომელსაც ქვემოთ ვეხებით.

ამ ძველ თვალსაზრისის მხარს უჭერენ მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ფუძემდებლების – გელასი კესარიელის (მე-4 ს.) და გელასი კვიზიკელის (მე-5 ს.) ცნობები, რომ წმიდა ნინომ ლაზები და იბერები ერთად მოაქცია (გეორგიკა, 1. 1961, გვ.186), რაც იმას ნიშნავს, რომ წმიდა ნინოს მიერ დაარსებული საქართველოს ეკლესია უკვე იმთავითვე ერთიანი იყო და, შესაბამისად, ქარ-

თული ეკლესია, მათი ცნობით, იმთავითვე მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

გელასი კესარიელისა და სხვათა თვალსაზრისს განამტკიცებდნენ წმიდა მამები რუის-ურბნისის საეკლესიო კრების უმთავრეს დოკუმენტში (ძეგლისწერაში), რომ წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ხოლო წმიდა ანდრია მოციქულმა იქადაგა სრულიად საქართველოში, **„ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“.**

(http://meufeanania.info/უცხოური-სომხური-და-ქართუ/).

მაშასადამე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი ერთი კულტურის მატარებელი იყო ძველთაგანვე. ამ ფაქტს სომხური ისტორიოგრაფიის მამად წოდებული მოვსეს ხორენაციც (მე-5 ს.) კი მიანიშნებს, როცა ის წერს, რომ წმიდა ნინომ ქართველი ხალხი მოაქცია **„კლარჯეთიდან მასქუთებამდე“**, ანუ შავი ზღვისპირეთიდან, ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე, შესაბამისად, ამ არეალზე მოქცეულ ხალხს ერთი ეკლესია (ერთი კულტურა) აერთიანებდა.

მაშასადამე, ძველი ისტორიოგრაფია გვასწავლის, რომ პირველ ათასწლეულში ერთიანი კულტურა აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს.

ამ ძველქართული ათასწლოვანი სწავლების საპირისპიროდ, როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამინდელი ოფიციალური საიტი მკითხველს არწმუნებს, რომ ამ არეზე არსებობდა ორი კულტურა, ორი სახელმწიფო.

მტკიცების გავრცელება, რომ **ფარნავაზმა „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო შექმნა“** და თანაც ოფიციალური საიტით, წარმოადგენს წყაროს გამრუდებას, რადგანაც მეფე ფარნავაზის ღვაწლის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი წყარო „ცხოვრება ფარნავაზისი“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ მის მიერ დაარსებული სახელმწიფო **იყო არა „აღმოსავლურ-ქართული“ არამედ ერთიანქართული, ერთი ენისა და კულტურის მქონე.**

ჩვენამდე მოღწეული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით ფარნავაზისა და აზონის მიერ დაარსებულ სახელმწიფოში შედიოდა ეგრისი და, საერთოდ, დასავლეთ საქართველო ლიხის ქედიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე.

საოცარია, თითქოსდა მემატიანემ წინასწარ განჭვრიტა ეს საკითხი და ამიტომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ამ სამეფოში ერთადერთი კულტურა, მწიგნობრობა და სახელმწიფო ენა არსებობდა, არა „ორი კულტურა“, არამედ ერთიანქართული. აღსანიშნავია, რომ მემატიანე ასევე მიუთითებს – პირველ ერთიან საქართველოს სახელმწიფოში ასევე ერთიანი სამმართველო და საფინანსო სისტემები არსებობდა, რომ ეგრისის ერისთავი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უმთავრესი დამაარსებელი იყო.

ფარნავაზის უდიდესი ღვაწლია ის, რომ **რეფორმების წყალობით მისი სამეფო მოიცვა ერთიანმა მწიგნობრობამ და ენამ.**

მემატიანე მეფე ფარნავაზის შესახებ წერს

„ამან განავრცო ენა ქართული,
და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა.
და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ქუჯის საოცარი მზაობაა აღწერილი მემატიანის მიერ, რათა შეიქმნას ერთიანი სახელმწიფი, კერძოდ, ის ამბობს ცნობილ ფრაზებს –

„**გამოვჩნდეთ** მტერად აზონისა, მაშინ **განიხარონ ყოველთა ქართველთა ... შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი“.**

და ეგრისში შეგროვილი სპით ანუ ეგრისში ჩამოყალიბებული ლაშქრითა და, რაც მთავარია, ეგრისში შემუშავებული იდეოლოგიით შექმნილა ერთიანი სახელმწიფო.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ: „ქართლიც ცხოვრება“ საგანგებოდ მიუთითებს, რომ ფარნავაზის სახელწიფო აერთიანებდა საქართველოს ორივე გეოგრაფიულ ნაწილს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, რომ მის მიერ დაარსებული სახელმწიფოს ფუძემდებელი მასთან ერთად იყო ეგრისის ერისთავი ქუჯი.

ქუჯისა და ფარნავაზის ერთიან სახელმწიფოს, როგორც მრავალჯერ ითქვა, აერთიანებდა ერთი წარმართული რელიგია, ერთ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად, რაც საერთო კულტურის ნიშანია. მემატიანემ საგანგებოდ მიუთითა, რომ ფარნავაზმა ქუჯი დანიშნა ეგრისის ერისთავად.

არა მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“, მეორე, კიდევ უფრო ძველი საისტორიო წყრო „მოქცევაი ქართლისაი“ მეფე აზოს (აზონს) მიიჩნევს პირველი ქართული ერთიანი სახელმწიფოს ფუძემდებლად.

ეს წყაროც **(„მოქცევაი ქართლისაი“)** გვამცნობს, რომ აზონმა დააარსა არა **„აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო“**, არამედ ერთიანქართული და მასში დასავლეთ საქართველოც შედიოდა, რადგანაც ამ წყაროს მითითებით **ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი მდინარე ეგრისწალზე გადიოდა.**

რითაა საინტერესო ეს წყარო ჩვენთვის?

იმით, რომ „მოქცევაი ქართლისაის“, მტკიცებით, როგორც აღინიშნა, აზონის მიერ დაარსებულ სახელმწიფოში დასავლეთ საქართველოც შედიოდა ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე.

მართალია, ეს ორი წყარო ერთმანეთთან ვერ თანხმდება, თუ ვინ იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე, აზო (აზონი) თუ ფარნავაზი, ამასთანავე სხვადასხაგვარად წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მომენტს, მაგრამ ორივე მტკიცედ მიუთითებს, რომ ამ სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა **მდინარე ეგრისწყალზე**, ანუ **დასავლეთ საქართველო ამ სამეფოს ნაწილი იყო.**

„მოქცევაი“ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეგრისი ქართლის სამეფოში შედიოდა ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336-323) ეპოქიდანვე, რადგანაც, მისი დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე (ამჟამინდელ აფხაზეთში), და შესაბამისად, შავ ზღვაზე.

„მოქცევაი“ წერს –

„და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჱ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრისწყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა“ – „მოქცევაი ქართლისაი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 81)

http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ: უძველესი ქართული წყარო, „მოქცევაი ქართლისაი“ , მიიჩნევს, რომ აზონის დროს პირველი ქართული სახელმწიფო **„აღმოსავლურ-ქართული“** კი არ იყო, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ ზოგადქართული. ის მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, ეგრისს, ვიდრე მდინარე „ეგრისწყლამდე“. როგორც აღინიშნა, ამავე ეგრისწყალს მიუთითებს „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის ცხოვრების აღწერისას მისი სამეფოს დასავლეთ საზღვრად.

საერთო ენასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია მემატიანე არსენ ბერის მითითება.

აზონის ეპოქიდანვე ერთი ენის, ანუ, ერთიანი კულტურის უმთავრესი ნიშნის არსებობის საკითხს საგანგებო ყურადღება მიაპყრო მე-12 საუკუნის საეკლესიო მოღვაწემ არსენ ბერმა.

წმ. დავით აღმაშენებლის მოძღვრი არსენ ბერი იძლევა ცნობას „მოქცევაი ქართლისაის“ განხილვისას – **„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ.III, გვ.47).

ანუ ქართული ენა, არა თუ აზონის მიერ დაარსებულ ქართლის სამეფოში იყო სახელმწიფო ენა (ანუ საერთო-სახალხო ენა), არამედ აზონის მამის ქვეყანაშიც კი, არიან-ქართლშიც ეს ენა (ქართული) ფუნქციონირებდა.

არიან-ქართლშიც ქართული ენა საერთო-სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე იყო, რადგანაც არსენ ბერის სიტყვით, არიან-ქართლის ხალხის ენა იყო ქართული ენა, როცა, როგორც აღვნიშნეთ, წერს – „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“, აზონისა და მისი სამხედრო არისტოკრატიის უფრო ჩრდილოეთით, მცხეთის ქართლში გადმოსვლის შემდეგ კი, აზონის მიერ დაარსებული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა. როგორც აღინიშნა, ამ სახელმწიფოს ხალხის ენა კი იგივე ის ქართული ენა იყო, რაც იყო მათი წინაპრების ენა არიან-ქართლში.

ქართლის სამეფოს ხალხის ენა ის ენა ყოფილა, რაც იყო არიან-ქართლის ენა, ესაა ქართული ენა, ანუ, მთელი ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობა ჰერეთიდან შავ ზღვამდე ერთ ქართულ ენაზე მეტყველებდა, რაც კულტურის მთლიანობის ნიშანი იყო.

„მოქცევაი ქართლისაის“ ავტორიტეტს ამაღლებს ის, რომ, როგორც მიიჩნევა, მასში შესულია ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ჩაწერილი ქრონიკები.

სიახლე და მიზანი

რატომ ვსაუბრობთ ამ საკითხზე, რა წარმოადგენს ნაშრომის მიზანს?

ოფიციალური ხაზგასმა იმისა, რომ არსებობდა ორი კულტურა, საფუძველს აძლევს ამჟამად მომრავლებულ სეპარატისტებს ამტკიცონ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას წილი არ მიუძღვის დიადი ქართული კულტურის შემოქმედებაში, რომელიც IV-X საუკუნეებში შეიქმნა – ამ საუკუნეებში შემუშავდა ქართული სალიტერატურო ენა, ითარგმნა წმიდა წერილი, ჩამოყა-

ლიბდა ქართული მწერლობა, არქიტექტურა თავის ბრწყინვალე ბაზილიკებითა და ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიებით, ეროვნული ფერწერა და სხვა.

არსებობს კულტურის მთლიანობის მამტკიცებელი მრავალი მაგალითი, ვთქვათ, პალესტინაში იოანე ლაზის მონასტერში აღმოჩენილი მე-5 საუკუნის პირველი ქართული წარწერები, ნიშანი იმისა, რომ იოანე ლაზის სახით, ლაზები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შემოქმედი იყო იმჟამინდელი ქართული კულტურისა და სალიტერატურო ენისა.

კულტურისა და ეკლესიის მთლიანობაზე მიუთითებს, რომ მე-6 საუკუნეში კირიონ ქართლის კათალიკოსი ეგრისის არქიეპისკოპოსი იყო, რომ მარტვილის მე-7 საუკუნის ეკლესია მცხეთის ჯვარ-გუმბათოვანი სტილითაა ნაგები, ხოლო მე-10 საუკუნის ეგრისელი იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიამ საფუძველი ჩაუყარა შემდეგი საუკუნეების ქართული პოეზიის დიდებულებას და სხვა.

ერთიანი კულტურის უამრავი ფაქტი მიუთითებს ქართული კულტურის მთლიანობაზე პირველ ათასწლეულშივე.

ამჟამინდელი თავდაჯერებული მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველო, თითქოსდა, არასოდეს შედიოდა იბერიის შემადგენლობაში, წარმოადგენს უარყოფას წყაროების პირდაპირი ჩვენებებისა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას თავისი იბერიელობა კარგად ახსოვდა მე-20 საუკუნემდე, და ეს დაივიწყეს მას შემდეგ, რაც საბჭოთა ისტორიკოსებმა ჩაუნერგეს, რომ ისინი იყვნენ არა იბერები, არამედ კოლხები. ეს კარგად ჩანს XVII-XIX საუკუნეების დოკუმენტებში. მაგალითად, მე-18 საუკუნეში შედგენილ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“, სადაც ოდიშისა და იმერეთის წარმომადგენლები თავიანთ თავს ივერიელებს უწოდებენ. ისინი წერენ „ჩვენ ყველა ივერიელებს, ქართლში, კახეთში, იმერეთში, ოდიშსა და გურიაში მცხოვრებთ“... – **„ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერისა, ოდიშისა და გურიისათა“.**

ივერიელებს, ანუ ქართლელებს, კახელებს, იმერლებს, მეგრელებსა და გურულებს ამთლიანებდათ ერთი სარწმუნოება, ეკლესია, ერთი ენა და სისხლით ნათესაობა, როგორც ამ სახელმწიფო დოკუმენტშია ნათქვამი.

იქ დამატებულია, რომ ყველა ისინი ვალდებულნი იყვნენ ყვარებოდათ ერთმანეთი, რადგანაც ერთი სისხლი ანუ გენეტიკა აერთიანებდათ. ამ დოკუმენტში ნათქვამია –

„ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთი მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“. http://www.georoeal.ge/?id=1894

უფრო ადრე, მე-17 საუკუნეში, ლევან დადიანს რუსეთის ხელმწიფე ოფიციალურ დოკუმენტებში „ივერიის მეფეს“ უწოდებდა, ხოლო, თვით ლევან დადიანიც თავის თავს „ივერიის ხელმწიფეს“ უწოდებდა. სინამდვილეში, ის სამეგრელოს მთავარი იყო, მაგრამ მისი დოკუმენტები ასახავს იმ ფაქტს, რომ მის დროს სამეგრელო ივერიის ნაწილად მიაჩნდათ.

მე-19 საუკუნეშიც სამეგრელოს მთავრების შთამომავლები თავიანთ თავს ივერიელებს უწოდებდნენ, არა მხოლოდ ისინი, აფხაზეთის მთავარი გიორგი შერვაშიძეც თავის თავს ივერიელს უწოდებდა.

მხოლოდ მე-20 საუკუნეში ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების დაჟინებული მოთხოვნით შეიცვალა ეს თვითშემეცნება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის დიდ გერბზე აღმოსავლეთ საქართველო ასახულია ქართლის გერბით – герб Карталинии, დასავლეთ საქართველო კი ასახულია ივერიის გერბით – герб Иверии (დასავლეთ საქართველოს ივერიად წოდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები რუსეთის იმპერიაში თავისი ელჩების საშუალებით თავს წარადგენდნენ ივერიის მეფე-მთავრებად http://meufeanania.info/gerbius.

იმდენად მრავალ დოკუმენტურ მასალაში ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ივერია, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 ს. დასაწყისში ბევრი მეცნიერი (მაგალითად, ნ. მარი) მიიჩნევდა, რომ ივერია დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა უცხოურ მასალებში.

აღსანიშნავია, ის საოცარი ფაქტიც, რომ, თითქმის მსგავსადვე, ოფიციალური ისტორიკოსების ნაწილი **კახეთს, ვიდრე თელავამდე, უცხო სახელმწიფოს – ალბანეთის სამეფოსა და ალბანეთის საკათალიკოსოს ნაწილად მიიჩნევეს,** რაც ასევე წარმოადგენს წყაროების, კერძოდ, პლინიუსის, პტოლომეს და სხვათა ცნობების არასწორი გააზრების შედეგს (იხ. წიგნი „ქართული ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ალბანეთი“ (2019).

მსგავსი ქმედება ივანე ჯავახიშვილმა ასე შეაფასა: **„არ იღწვის მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის“.**

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილში ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან **ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ.** ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

ზოგიერთი ამჟამინდელი ქართველი მეცნიერის მსგავს დებულებებს, რომ დასავლეთ საქართველო და, ასევე, კახეთი თითქმის თელავამდე, X-XI საუკუნეებამდე არ შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, თავის თეორიულ ნაშრომებში მტკიცების სახით აქტიურად იყენებენ აფხა-

ზი საეკლესიო სეპარატისტები და სხვა სეპარატისტული ჯგუფები, ასევე ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ტერიტორია თელავამდე ალბანეთის სამეფოში შედიოდა და ამიტომაც გამოთქვამენ შესაბამის პრეტენზიას, აღსანიშნავია ასევე, რომ ეს არასწორი თეორია ისწავლება საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში, რითაც კნინდება ახალგაზრდა თაობის ეროვნული თვითშემეცნება.

როგორც აღინიშნა, ქართულ წყაროებს არ ეთანადება მტკიცება, რომელიც დევს ოფიციალურ საიტზე, კერძოდ:

„არსებობდა ორი კულტურა დასავლეთ ქართული – კოლხური და აღმოსავლეთ ქართული – იბერიული. ფარნავაზმა ძვ.წ. IV-III საუკუნის მიჯნაზე შექმნა პირველი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო – ქართლის სამეფო“.

http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=193

როგორ შევათავსოთ ერთმანეთს ამჟამინდელი ოფიციალური საიტის მტკიცება, რომ არსებობდა ორი კულტურა, და, მაგალითად, დიდი მეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას საპირისპირო მტკიცება, გამოთქმული 1958 წელს მის მიერ გაწეული კვლევების საფუძველზე, რომ ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ –

„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, – იქნება ეს ქართველი – ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა“.

ქართული წყაროების მიხედვით როგორც მეფე აზონი (მოქცევაი ქართლისაი), ასევე მეფე ფარნავაზი (ქართლის ცხოვრება) იყვნენ არა „ე.წ. „აღმოსავლურ ქართული“, არამედ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლები.

ამასთანავე, ამ წყაროების მიხედვით ქუჯი არ ყოფილა „კოლხეთის“ ერისთავი ან მამასახლისი, არამედ, მას „ეგრისის ერისთავის“ ტიტული მიანიჭა მეფე ფარნავაზმა, მით უმეტეს, ის არ ყოფილა **„კოლხეთის მეფე“**, როგორც ამჟამადაა ოფიციალურად ცნობილი (მაგალითად, ვიკიპედიის საიტი „ქუჯი“ წერს – **„ქუჯი – კოლხეთის მეფე (ერისთავი) დაახლოებით ძვ. წ. 325-ძვ. წ. 280 წლებში.** https://ka.wlklpedla.org/wlkl/ქუჯი).

რაც შეეხება **კოლხეთს**, უნდა განვასხვავოთ, თუ რომელი ეპოქის კოლხეთი იგულისხმება,

სხვაა „კულხა“, „კოლხა“ – კოლხეთი, ის იხსენიება ძვ.წ. XII საუკუნეში ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში. ესაა პირველი ძლიერი კოლხეთის სახელმწიფო, რომელიც განადგურდა კიმერიელების შემოსევების შემდეგ ქრისტეშობამდე დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში და სხვაა კოლხეთი სტრაბონის ეპოქისათვის, რომელიც იყო არა სახელმწიფო, არა-

მედ ისტორიული ოლქი, მხოლოდ ნაწილი ან გავლენის სფერო რომისა და შემდეგ ბიზანტიის სახელმწიფოსი.

როგორც აღინიშნა, ძველმა ანუ პირველმა ზოგადქართულმა კოლხეთის სახელმწიფომ (კოლხიდამ) იარსება ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებამდე და ის დასუსტდა სკვით-კიმერიელების შემოსევების შედეგად.

კირილ თუმანოვი მას უწოდებს კავკასიაში დაარსებულ პირველ ქართულ სახელმწიფოს.

ძველი კოლხური კულტურის არეალი (დაახლოებით ძვ. წ. XII-VII სს.) ფარავდა და მოიცავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსაც, ცხინვალში, ხევში (ყაზბეგის რაიონში), დიღომში (თბილისში) და სევანის ტბასთანაც კი, ლალვარში, აღმოჩნდა კოლხური არქეოლოგიური არტეფაქტები.

ჩრდილოკავკასიაში გავრცელებული ყობანის ცნობილი კულტურა იგივე კოლხურია. მისი შემოქმედია ჩრდილოკავკასიაში მიგრირებული სამხრეთკავკასიური მოსახლეობა, რაზეც მიუთითებს ქართლის ცხოვრება ჩრდილოკავკასიელთა ეთნარქების – ლეკოსისა და კავკასოსის ცხოვრების აღწერისას.

„არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით".

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html

„კოლხიდის ბრწყინვალე კულტურა უფრო ფართო აზრით შეიძლება იწოდოს „კოლხიდურ-ყობანურ კულტურად", თარიღდება ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დასასრულიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე. განვრცობილი იყო თურქეთის ქალაქ ორდუდან ვიდრე სოჭამდე, ფარავდა მიწა-წყალს ყაზბეგიდან მცხეთამდე. პირველად ამ კულტურის ძეგლები აღმოჩნდა 1869 წელს ჩრდილო ოსეთის აულ ყობანში, ამიტომაც ის დიდი ხნის მანძილზე ყობანურ კულტურად იწოდებოდა, მაგრამ შემდეგში მისი მნიშვნელოვანი ნივთები აღმოჩნდა საქართველოს მრავალ ადგილას. უმეტესად დასავლეთში, ამიტომაც ეწოდა კოლხური. 1931 წელს მ.ივაშენკომ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ყობანის ბრინჯაოს კულტურის მთავარი მატარებლები იყვნენ კოლხები და უფრო სამართლიანი იქნება, თუ ყობანის კულტურას ძველი კოლხების კულტურას უწოდებენ, – წერდა მ.ივაშენკო.

1941 წელს გამოქვეყნდა ივაშენკოს ნაშრომი „Материалы к изучению культуры колхов", რომელშიც ის აკეთებს დასკვნას – „ბრინჯაოს ნაწარმი დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიიდან , მიეკუთვნებიან ყობანურ კულტურას, ანუ სხვა სიტყვებით, კოლხების კულტურას". ის ასევე მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოდან,

იმერეთიდან, რაჭიდან და ლეჩხუმიდან ეს კულტურა გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში *(А. Б. Шанава Р. О. Аргун,* **Келасурская, или Великая, Абхазская стена.** http://apsnoteka.org/2272-ivaschenko_m_velikaoa_abkhazskaoa_stena.html.

მაშასადამე, მ.ივაშენკო ამტკიცებდა, რომ ყობანური კულტურის მთავარი მატარებლები არიან კოლხები.

ჩვენთვის აქ საინტერესო ისაა, რომ კოლხური კულტურა მოიცავდა არა მხოლოდ თანამედრეოვე საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიას და ვრცელ მიწა-წყალს საქართველოს სამხრეთით – ორდუმდე და აღმოსავლეთით ყაზბეგამდე და სევანის ტბამდე.

შესაბამისად, კოლხური კულტურა ბრინჯაოს ეპოქაში და რკინის ეპოქის დასაწყისშიც საერთო, ზოგადქართული იყო და არა მისი რომელიმე ეთნიკური ჯგუფისა.

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეს შეიძლება ვუპასუხოთ, თუკი დასავლეთ საქართველოდან ეს კულტურა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მიუხედავად კავკასიონის მაღალი მთაგრეხილისა, მით უფრო არ გაუჭირდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოღწევა.

ის მოიცავდა პროტოქართველების განსახლების რეგიონს ორდუდან (თურქეთიდან) სევანამდე, ჩრდილოკავკასიის ჩათვლით, მათ შუა რეგიონს კი აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენდა.

ამ კულტურას (ე.წ. ყობანის კულტურას) ამჟამად ძირითადად ოსებს მიაკუთვნებენ, მაგრამ სოფელი ყობანი მდებარეობდა საქართველოს სამეფოს შიგნით, მოხევეებისა და დვალების საზღვარზე. აქ ოსები მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ გამოჩდნენ, როცა ვახუშტის სიტყვით, ჩრდილოეთიდან, ჩერქეზეთის გავლით შემოსულმა ოსმა მეომრებმა დვალების ტომი დაიპყრეს და დაიმორჩილეს, შემდეგ კი გააოსეს, ასე რომ, ბრინჯაოს ადგილობრივ კულტურასთან ოსებს კავშირი არა აქვთ. აღსანიშნავია, რომ კულტურითა და ეკლესიურად დვალები ქართულენოვანი ტომი იყო, უერთგულესი მრევლი ქართული ეკლესიისა, თავისი ქართული ხელნაწერების გადამწერი კალიგრაფებით თუ ქართველი საეკლესიო მოღვაწეებით.

ქრონოლოგიურადაც კოლხური კულტურა უფრო ძველია და მასთან შედარებით უფრო გვიანდელია ყობანური კულტურა.

პირველადია კოლხური კულტურა, ყობანური მხოლოდ მისი შემდგომი განშტოებაა, გადატანილი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთკავკასიელთა, კერძოდ კი ქართველთა ერთი ნაწილის გადასახლების შემდეგ, რის შესახებ ცნობებია ქართულ წყაროში, რომლის მიხედვით უმკვიდრო ანუ დაუსახლებელი იყო ჩრდილოეთ კავკასია აღნიშნული ეპოქის წინ და ამიტომ იქ გადასახლდა ქართველთა მოდგმის ერთი ნაწილი.

(ცნობას ბრინჯაოს ეპოქაში ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა ნაწილის გადასახლების შესახებ იძლევა ქართლის ცხოვრება).

ძველი კოლხეთი, რომლის მეფეს ჰეროდოტეც ახსენებდა, იყო არა დასავლურქართული სახელმწიფო, არამედ ზოგადქართული, შესაბამისად,

კოლხური კულტურა ზოგადქართული კულტურაა და არა მისი რომელიმე ეთნოგრაფიული ჯგუფისა.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრე იყო ქართლის სამეფო დაარსებული აზონის, ფარნავაზისა და ქუჯის მიერ.

მაგრამ სულ **სხვაა სტრაბონის ეპოქის კოლხეთი, ვუწოდოთ მას ახალი კოლხეთი.**

ძველი კოლხეთის დასუსტების შემდეგ, ამ ტერმინით („კოლხიდა“) აღინიშნა ტერიტორია, ძველი კოლხეთის ერთი გეოგრაფიული ნაწილი ზღვის პირას, ესაა ახალი კოლხეთი.

ახალი კოლხეთი (კოლხიდა) იყო არა სახელმწიფო წარმონაქმნი, არამედ **ისტორიული ოლქი.** ის დასახლებული იყო არა ერთი ხალხით, არამედ სხვადასხვა ქართული ტომით. ამ ოლქში ბერძენმა მილეტელმა კოლონისტებმა დომინანტობა მოიპოვეს მათ მიერ დაარსებული სავაჭრო კოლონიების საშუალებით. შემოსულმა მილეტელებმა თავიანთი სავაჭრო პოლისები დააარსეს იმ ყოფილი კოლხური ქალაქების ადგილას, რომელნიც სკვით-კიმერიელებმა გაანადგურეს.

ამ ისტორიულ ოლქს პირობითად შეიძლება **სტრაბონის კოლხეთი** ეწოდოს, ის როგორც სტრაბონის, ასევე სხვა მრავალი ავტორის ცნობით (პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი და სხვები), მდებარეობდა ტრაპეზუნტის ოლქში ვიდრე თითქმის რიონის მარცხენა სანაპირომდე.

ანუ ახალი კოლხიდა მდებარეობდა რიონის დასავლეთ სანაპიროს მხარეს და მიმართული იყო ტრაპეზუნტისაკენ, მისი მთავარი მდინარე იყო ჭოროხი-ფაზისი.

ამ მდინარის (ჭოროხის) სათავე არმენიის მიერ იყო დაპყრობილი იმჟამად, ამიტომაც, ამავე ავტორების (სტრაბონი და სხვ.) ცნობით, ფაზისის სათავე არმენიაში მდებარეობდა, რადგანაც ისინი ფაზისს ჭოროხს უწოდებდნენ (იხ. წიგნი „სტრაბონი კოლხეთის შესახებ“, 2011; ასევე წიგნი „პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ (გამოკვლევა რუკებით), თბილისი, 2011).

აქვე უნდა აღინიშნოს, ალბათ, ჩვენი თემისათვის უმთავრესი მომენტი, კერძოდ, არასწორია აღიარებული მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოსდა, ქართული და უცხოური წყაროები არ ეთანადება ერთმანეთს დასავლეთ საქართველოს მიმართ.

ამის მიზეზია ახალი კოლხეთის არასწორი ლოკალიზაცია თანამედროვე ისტორიკოსების მიერ. როგორც აღინიშნა, ძველი, ძლიერი კოლხეთი და მისი დიდებული კულტურა ფარავდა სრულიად საქართველოს (და ასევე მის მომიჯნავე მხარეებს), ხოლო ახალი კოლხეთი მოიცავდა შავი ზღვისპირა ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხის ხეობის ჩათვლით.

უცხელი ავტორები – სტრაბონი, არიანე, პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი აღწერენ ახალ კოლხეთს და ისინი მდინარე ფაზისის ქვეშ გულისხმობდნენ მდ. ჭოროხს, ამიტომაც მიუთითებდნენ მუდამ, რომ ფაზისის სათავე არმენიაშია, რომ ფასისის წყალი სასმელად საუკეთესოა თავისი

გემოთი ზღვის პირასაც კი (მაშინ, როცა რიონის წყლის შესმა მის შესართავთან შეუძლებელია, ის ტალახის ფერია და ჭაობის ბაქტერიებითაა გაჯერებული), რომ ფაზისი მოლურჯო-ტყვიისფერია, ასეთი ფერი კი ჭოროხს აქვს, რიონი შესართავთან, როგორც ითქვა, ტალახისფერია, რომ ფაზისის წყალი მსუბუქია, რადგანაც მასში შლამი ნაკლებია, ხოლო რიონის წყალი შლამის ყავისფერი ნაკადია, ყველა ნიშნით ფაზისი ჭოროხია, ის იყო სტრაბონის ეპოქის კოლხეთის მთავარი მდინარე, ის აღნიშნული უცხოელების აზრით, მოიცავდა ასევე ტერიტორიას ამჟამინდელი ლაზისტანის მიმართულებით, მათი ლაზიკის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობდა არა რიონის დაბლობზე, არამედ ჭოროხის ხეობაში, პეტრადან ვიდრე აფსილიამდე, მათი პეტრა, როგორც გაარკვია გ. გრიგოლიამ იყო ქართული ქალაქი ხუფათი (ხოფა) ზღვისპირას, ხოლო აფსილია იმჟამად ერქვა სუფსის ხეობის მიწა-წყალს, თავისი მდინარე გუბაზოულანთან ერთად.

რაც შეეხება ქართული წყაროების ეგრისის საერისთავოს, ის სულ სხვა მხარეს, რიონის მარჯვნა სანაპიროდან ვიდრე ეგრისწყლამდე იყო გადაშლილი.

მაშასადამე, უცხოური წყაროები აღწერენ სულ სხვა გეოგრაფიულ არეს, ხოლო ქართული – სულ სხვას, შესაბამისად, მათი ცნობები ერთმანეთს არ ეთანადება.

აქედან გამომდინარე, **უცხოური და ქართული წყაროების ცნობები დასავლეთ საქართველოს მიმართ ერთმანეთს არც ეწინააღმდგება.** ესაა ჩვენი მთავარი დასკვნა.

როგორც ითქვა, ქართული წყაროების ეგრისი მოიცავდა რიონის მარჯვენა სანაპიროს მხარეს – რიონიდან ეგრისწყლამდე, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო უცხოური წყაროების ლაზიკა მდებარეობდა რიონის სხვა, მარცხენა სანაპიროს მხარეს, როგორც აღინიშნა, ტრაპეზუნტის მიმართულებით. მას ძველ ქართულ წყაროებში „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა ეწოდება“, რომელიც რამდენჯერმე ჩამოაშორეს ქართლის სამეფოს, ბოლოს ბიზანტიამ მიიტაცა ვარაზ-ბაკურის დროს. მე-4 ს. ბოლოს მას „განუდგნენ კლარჯნი და მიერთნეს ბერძენთა“. ამ განდგომილ კლარჯი ერისთავის მემკვიდრეებს შემდეგ ბიზანტიელებმა „ლაზიკის ბასილევსის“ ტიტული უბოძეს.

უცხოური წყაროების ლაზიკა ბიზანტიურ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა საკმაო ხნის მანძილზე. ის იყო ქართლის სამეფოს ყოფილი ნაწილი, რომელიც დაიკარგა ძირითადად მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურს წაართვეს ბიზანტიელებმა კლარჯეთი, თავისი ზღვისპირა ნაწილით, მართალია, ვახტანგ გორგასალს დაუბრუნებია ეს ტერიტორია, მაგრამ მე-6 საუკუნეში ქართლის სამეფოს გაუქმების კვალდაკვალ ბიზანტიამ ჭოროხის შესართავიც დაიპყრო, აქ მან ბუფერული ლაზიკის სამეფო შექმნა, მის საზღვარი სუფსის ხეობასთან გადიოდა, ხოლო, რაც შეეხება დასავლეთ საქართველის დანარჩენ ნაწილს, მას ამ დროს, ანუ მე-6 და მე-7 საუკუნეებში უწოდებდნენ არა ეგრისს, არამედ სვანეთს.

აი, ეს ტერიტორია, ანუ სვანეთი („სვანია“), ანუ დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, იყო სადავო სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მთელ მე-6 საუკუნის მანძილზე.

ტერმინი „სვანეთი“ (სვანია) დასავლეთ საქართველოს რომ ერქვა, ჩანს უცხოური წყაროების უამრავი ცნობიდან, რომელთა მიხედვით, იბერიასა და კოლხეთს შორის სვანეთი მდებარეობდა.

მე-6 საუკუნისათვის სვანეთი რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, მათ შორის ბარსაც მოიცავდა, კარგად ჩანს ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებიდან, რომ **სვანეთი „თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“** (გეორგიკა, გვ. 229). ასეთი ცნობა მრავლადაა.

სვანეთი მხოლოდ თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონები რომ ყოფილიყო , ამ რაიონების გავლით სპარსელები კოლხეთს ვერ ააოხრებდნენ, აგათია სქოლასტიკოსის ცნობით კი სპარსელებს სვანეთი უნდა გაევლოთ კოლხეთი რომ აეოხრებინათ, ანუ სპარსელებს დასავლეთ საქართველოს ბარი უნდა გაევლოთ ჭოროხის ხეობაში ანუ კოლხეთში რომ შესულიყვნენ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს ბარსაც სვანეთი ერქვა.

როგორც აღინიშნა, უცხოელები მე-6 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სვანეთს უწოდებდნენ, ხოლო კოლხეთ-ლაზიკას უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილს, ჭოროხის ხეობას.

სპარსელების დაპყრობილ იბერიასა (აღ. საქართველოსა) და კოლხეთს (ჭოროხის ხეობა) შორის სვანეთი (დას. საქართველო) მდებარეობდა.

ანუ უცხოელების სიტყვით იბერიასა და კოლხეთს შორის სვანეთი მდებარეობდა, რომელზეც გადიოდა ძალზე მნიშვნელოვანი გზები, მათ შორის ჩრდილოკავკასიიდან ბიზანტიაში მიმავალი.

იბერიას, ლაზიკასა და ამ ეპოქის სვანეთს შორის უმჭიდროესი კავშირი იყო და ერთ მთლიანობად განიხილებოდა. ამიტომაც ამბობდნენ სპარსელები, **ჩვენ რომ სვანები გადმოგცეთ, ვითარცა ლაზიკისადმი დაქვემდებარებული ტომი, მაშინ თქვენ „საშუალება მოგეცემათ იბერიის შესახებაც იდავოთ“** (გეორგიკა, III, გვ. 215).

თუკი ბიზანტიელები სვანეთს (ანუ დასავლეთ საქართველოს) გააკონტროლებდნენ, მაშინ მათ იბერიისაკენ გზა გაეხსნებოდათ.

ეს საკითხები გამოწვილვითაა განხილული წიგნში „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“.

მაშასადამე, ბიზანტიელებისათვის ლაზიკა იყო მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს მხარე, უმეტესად ჭოროხის ხეობა, ხოლო ქართული წყაროების ეგრისის საერისთავო, როგორც ითქვა, სხვა მხარეს მდებარეობდა – ის რიონის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მოიცავდა.

ასე რომ, ამ შემთხვევაში **ქართული და უცხოური წყაროები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.**

რაც შეეხება აფსილების ტომს, ის, ჩანს, მე-6 საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტია-სპარსეთის გამანადგურებელი ომების დროს გადასახლდა სუფსის ხეობიდან უფრო ჩრდილოეთით, შემდგომი დროის აფხაზეთში და იქ უფრო განმტკიცდა ქართული ენა, რომელიც მალევე გადაიქცა აფხაზთა მეფეების, იქაური ადმინისტრაციისა და ეკლესიის ენად. ამას ხელი აფხაზეთში სხვა ქართულენოვანი ტომების ცხოვრებამაც შეუწყო.

სუფსის ხეობიდან აფსილების ტომის მიგრაცია უფრო ჩრდილოეთის მიმართულებით გამოწვეული უნდა ყოფილიყო სპარსეთ-ბიზანტიის ომში ბიზანტიელების გამარჯვებით, რომელთაც სუფსის ხეობაში მცხოვრები აფსილების მეზობელი მისიმიელების ტომი ამოხოცეს დაუნდობლად, დედაწულიანად, მათი ორგულობისათვის ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მისიმიელები მიუვალ ადგილებში, სუფსის სათავეების სრულიად მთაგორიან, დახრამულ და საცხოვრებლად ამჟამადაც უვარგის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ (შესაძლოა, ჩოხატაურის რაიონში მიუვალ და კაცთაგან „უვალ“ მიდამოებში აღმართული მთა „ლობოროტის“ კალთებზე. ეს მთა ვანის რაიონის საზღვართან მდებარეობს, მესხეთის ქედის განშტოებაა ლობოროტის ქედზე, ხანისწყლისა და სუფსის სათავეში, აქ დიდი კანიონები და ციცაბო კლდეებია, მსგავსად აღწერენ უცხოელები მისიმიანთა ტომის საცხოვრისს). **აქ ბიზანტიელების მიერ გადამწვარი სოფლების ცეცხლის ალს აფსილიაშიც ანუ სუფსის ხეობაშიც ხედავდნენ.**

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ მისიმიელთა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ არა მარტო დახოცეს მკვიდრი მოსახლეობა, არამედ ცეცხლს მისცეს მათი სახლ-კარი. „**ამ ცეცხლის დროს უფრო მრავლად დაიხოცნენ ბარბაროსები: ზოგიერთები სახლებში იყვნენ დარჩენილნი და იქ გადაიწვნენ, ან ნანგრევებში მოჰყვნენ: ზოგიერთებს კიდევ, რომლებიც გარეთ გამოვარდნენ, მახვილებისაგან ჰქონდათ გამზადებული სიკვდილი. მრავალი ბავშვი, რომლებიც მწარე ტირილით ეძახოდნენ მშობელ დედებს, დატყვევებული იქნა. ამათგან ზოგიერთები კლდეზე დაუშვეს შეუბრალებლად და ასე იქმნენ დაგლეჯილნი, ხოლო ზოგიერთები, თითქოს თამაშის მიზნით, ჰაერში იქნენ ასროლილნი და როდესაც შემდეგ სიმძიმისაგან უკან დაეშვნენ, აშვერილი შუბები დაახვედრეს და ზედ ააგეს ჰაერშივე** (გეორგიკა, III, გვ. 171).

ბიზანტიელთა ამ სისასტიკეს მისიმიელთა მიმართ აღწერენ თვით ბიზანტიელი ავტორები. ამ მაგალითით შეშინებული აფსილების ტომი უნდა გადასახლებულიყო ჩრდილოეთით, მიწაზე, რომელსაც ქართველებმა შემდგომში აფშილეთი უწოდეს. აღსანიშნავია, რომ აფსილებიცა და მისიმიელებიც ქრისტიანები იყვნენ, ამის მიუხედავად მისიმიელები ბიზანტიელებმა არ დაინდეს.

რაც შეეხება ქართულ წყაროებში დასახელებულ „ეგრისს“, ის აღნიშნულ მხარეში მდებარეობდა, მისი ცენტრი იყო ბედია, იგივე ეგრი, წყაროსავე მითითებით, მისი ერთ-ერთი მთავარი მდინარე იყო **ეგრისწყალი**, რომელსაც სათავე ბედიასთან ჰქონდა. ამ მხარეს დააარსა ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო მოქცეული რიონსა და ეგრისწყალს შორის. ის, არგვეთის საერისთავოსთან ერთად, ქართლის სამეფოში შედიოდა.

ცხადია, კოლხეთი ქართული ტომებით იყო დასახლებული (ჯერ კიდევ ჰეკატოს მილეტელი კოლხებს მოსხებს უწოდებდა ქრისტეშობამდე მე-6 საუკუნეში), მაგრამ ის მრავალჯერ ჩამოაშორეს ქართლის სამეფოს და შეიყვანეს ბერძნული და შემდეგ ბიზანტიური გავლენის სფეროში.

იგივე ითქმის აღმოსავლეთ საქართველოში ალბანეთის საზღვართან დაკავშირებითაც. ამ საკითხს სხვაგან ვეხებით.

არქეოლოგიის გაყალბება

თვალსაჩინოებისათის მაგალითად მოვიყვანთ არქეოლოგების მიერ მოპოვებულ ორ, მაგრამ აბსოლუტურად ერთი და იგივე ფორმისა და ეპოქის მასალას, რომელთაც არასწორ ანალიზს უკეთებენ და ამით მათ კულტურულ წარმომავლობას ამრუდებენ.

არქეოლოგებმა მოიპოვეს ქართლში (ახალგორში) და დასავლეთ საქართველოში (ვანში) ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით მე-4 საუკუნის შესანიშნავი საგანძური, ერთი და იგივე შინაარსობრივი დატვირთვისა და ფორმის.

განძი ერთგვარია, ერთნაირია, რაც მათ ფოტოებზეც ნათლად ჩანს.

მიუხედავად მათი იგივეობისა, იმის მაგიერ, რომ ქართველ მკვლევრებსა და არქეოლოგებს სიხარულით საქვეყნოდ განეცხადებინათ, რომ ეს არქეოლოგიური მონაპოვარი ერთ-ერთი ფაქტობრივი მაგალითია იმისა, რომ ქრისტეშობამდეც ქართველ ხალხს აერთიანებდა ერთი კულტურა, რასაც დაბეჯითებით მიუთითებენ ქართული წყაროები, მათ განცხადეს, რომ ვანში მოპოვებული საგანძური სხვა კულტურის დამადასტურებელია და ახალგორისა კი სხვა.

ერთს უწოდებენ დასავლურ-ქართულს (კოლხურ) კულტურას, მეორეს კი „აღმოსავლურ-ქართულს“, ანუ ხდება არა მხოლოდ წყაროების, არამედ არქეოლოგიური მონაპოვრის გამრუდებაც კი.

კოლხი დიდებულის ცხენის ოქროს შესამკობელი.
https://ka.wikipedia.org/wiki/ კოლხეთის_სამეფო

სასაფეთქლეები – ახალგორის განძი. ძვ. წ. IV.–სემ,-სსმ http://www.gch-centre.ge/ wp-content/uploads/2018/05/სასაფეთქლეები.-ახალგორის-განძი.-ძვ.-წ.-IV.-სემ-სსმ.jpg

როგორც ეს მაგალითი აჩვენებს, ორივე ნივთი იდენტურია და მათ შორის განსხვავება ძნელი მოსაძებნია, მაგრამ, როგორც ითქვა, ერთს დასავლურ-ქართულ კულტურას აკუთვნებენ, მეორეს კი აღმოსავლურ ქართულს. სინამდვილეში კი ისინი ერთი კულტურის ორი ნივთია და არა ორი განსხვავებული კულტურისა.

ორივე ნივთი აზონ-ფარნავაზის ეპოქისაა და კარგად მიანიშნებს, რომ ქართლის სამეფოში, ანუ ფარნავაზის ეპოქის საქართველოში, რომელიც ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს მოიცავდა, ერთი კულტურა არსებობდა, რასაც ეს ორი არტეფაქტიც ადასტურებს.

მსგავსი მაგალითი სხვაც არსებობს, რომელსაც ჩვენ სხვაგან ვეხებით.

არქეოლოგები ეძებენ კოლხეთის ქალაქებს იქ, სადაც ისინი არასოდეს მდებარეობდნენ, ამიტომაც ვერაფერს პოულობენ. ამასთან დაკავშირებით წამყვანი არქეოლოგები წერენ –

„სადღეისოდ არ არის მიკვლეული აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიცაა ფასისი და დიოსკურია... გარდა ამისა, მართალია, არქეოლოგიურად შესწავლილია პიტიუნტი, მაგრამ პიტიუნტში დღემდე არ არის გამოვლენილი სტრაბონის მიერ ნახსენები ქალაქისდროინდელი ძეგლები“ (მასალები ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის, ნამოსახლარები, სამაროვნები, 2017)

https://librarꝏ.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2018/03/Kolxetis-Arqeologiuri-Ruka-V-I-ss_El.-Versia.pdf

პიტიუნტი არა აფხაზეთში, არამედ ოფ-რიზესთან მდებარეობდა, ფაზისი გონიოსთანაა საძებნი, ხოლო დიოსკურია ერქვა სურმენეს. საერთოდ, მიზეზი იმისა, რომ „სადღეისოდ არ არის მიკვლეული“ კოლხეთის ცნობილი ქალაქები დასავლეთთ საქართველოს კუთხეებში (სადაც, მათი აზრით, ისინი მდებარეობდნენ) არის ის, რომ სტრაბონის კოლხიდა არა ამ, არამედ სხვა რეგიონს მოიცავდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ.

წყაროები

მოქცევაჲ ქართლისაჲ – არის ჩვენამდე მოღწეული უპირველესი ქართული საისტორიო თხზულება. შედგება ორი ნაწილისაგან, პირველია ქრონიკების ნაკრები, შედგენილი წარმართობის ეპოქიდან ვიდრე მე-9 საუკუნემდე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საუკუნეში, მეორე ნაწილია საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ანუ წმიდა ნინოს ცხოვრება, ამიტომაც ეწოდება ამ თხზულებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. აღსანიშნავია, რომ ის თვითონვე ათარიღებს თავისი დაწერის საუკუნეს, ესაა მე-4 საუკუნის 30-იანი წლები, აქაა თვით წმიდა ნინოს მიერვე მოთხრობილი ქართლის მოქცევის ამბები, ასევე მეფე მირიანის, აბითარ მღვდლის, სიდონიასა და ამ დიდი მოვლენის სხვა მოწმეების მოგონებანი. მის რედაქციაში ნათქვამია, თუ როგორ ჩამოყალიბდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ანუ ქართლის სამეფო:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად -- გაცი და გა.

ა“. და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

ბ“. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხჳ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან არმაზ“ http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

ეს წყარო („მოქცევაი“) აზოს უწოდებს „მეფეს“ – **„და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ“**

http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

აზოს (ანუ აზონის) მამის სახელი ცნობილია ქართლის ცხოვრებისათვის – **იარედოსი (იარედი),** აზონი ალექსანდრე მაკედონელს ქართლის პატრიკად ანუ „მამასახლისად“ დაუსვამს, რაც შეიძლება ეთანადებოდეს ტერმინს „სატრაპი“.

სახელი **იარედოსი** კავშირშია ისეთი სიტყვის ძირთან, როგორიცაა სხვა წყაროებში ცნობილი – **არვანდი, ერვანდი.**

ცნობილია, რომ არვანდიდები (**ერვანდიდები**) იყვნენ სატრაპები საქართველოს მახლობლად მდებარე აქემენიდური სპარსეთის სატრაპიისა.

ალექსანდრეს ეპოქაში ეს სატრაპები მაკედონელებმა შეიცვალეს, ანდა დაიმორჩილეს.

ცნობილია რამდენიმე სატრაპი ერვანდის სახელით.

სპარსულად მათი სახელი იყო არა ერვანდი არამედ „არვანდი“, ვფიქრობ, ეს სპარსული სახელი უფრო ახლოა ქართულ სახელთან „**იარედი**“.

ამ მიწა-წყალზე რამდენიმე სპარს სატრაპსა და შემდეგ მეფეს ერქვა „არვანდი“ (ერვანდი, იერვანდი).

პირველს მათ შორის ბერძნები „ორონტს“ უწოდებდნენ.

მოვსეს ხორენაცის ცნობებით, სომხებს სძულდათ ერვანდიდები და მათ მიიჩნევდნენ არა სომხებად, არამედ მხეცის მსგავს არსებებად, რომელიც წარმოშობილი იყო ხარისა და დედაკაცის არაბუნებრივი კავშირის შედეგად (როგორც ითქვა, ეს ჩანს მოვსეს ხორენაცის თხზულებიდან).

რატომ სძულდათ სომხებს ერვანდიდები? ამის მიზეზი იყო ის, რომ მათი დინასტიები არშაკიდები ებრძოდნენ ერვანდიდებს და საბოლოოდ დაამხეს კიდეც ისინი. აქედან ჩანს, რომ ერვანდიდები სომხებს არ მიაჩნდათ ეროვნულ ლიდერებად.

არიან-ქართლის მეფის სახელი „იარედი“ (აზონის მამა) შეიძლება მიგვითითებდეს ერვანდიდების დინასტიისა და აზონის გენეტიკური ერთობის შესახებ.

ცნობილი და გამოჩენილი სატრაპი ერვანდ I, რომელიც რამდენჯერმე აუჯანყდა კიდეც თავის სპარს მეფეს, გარდაიცვალა დაახლოებით ძვ. წ. 344 წელს, ხოლო აზონი, ქართლის მეფე, სერგი გორგაძის ვარაუდით მეფობდა 330 წლიდან (272 წლამდე), ამიტომაც ამ თარიღების მიხედვით და ასევე სახელების მსგავსებაზე დაყრდნობით, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის პირველი მეფის აზონის მამა დინასტიურად ანდა სხვა გზით დაკავშირებული იყო ცნობილ სატრაპ ერვანდ I-თან. ის, იგივე იერვანდ I, იგივე არვანდი, ორონტი, რომელსაც ქართლის ცხოვრება იარედს (იარედოსს) უწოდებს.

ისინი ადგილობრივი წარმოშობის დიდებულების წრიდან შეიძლება ყოფილიყვნენ, ადგილობრივები კი ქართულ სამყაროსთან იყვნენ დაკავშირებულები, რადგანაც სპარსეთის იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიები დასახლებული იყვნენ ქალდებითა და სხვა პროტოქართული ტომებით. ერვანდი ამ სატრაპიის მმართველი იყო.

განსხვავებით მე-18 და მე-19 სატრაპიებისაგან, მე-13 სატრაპიას არმენია ეწოდებოდა.

სატრაპია „არმენია“ კი სომხებით და ალბათ, სომხების აქ მისვლამდე მცხოვრები ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

სომხები (არმენიელები) საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით მოძრაობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ისინი შეიჭრნენ მე-18 და მე-

19 სატრაპიებშიც სპარსელების მხარდაჭერით, უფრო ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, როგორც ეს შეიძლება გავიგოთ ქსენოფონტეს შრომებიდან.

მიზეზი იმისა, თუ რატომ უჭერდნენ სპარსელები მხარს სომხებს იყო ის, რომ აღნიშნული ქართული ტომები ებრძოდნენ სპარსელებს, ხოლო სომხები თანამშრომლობდნენ და გადასახადებს იხდიდნენ.

არმენიელების მე-13 სატრაპია უფრო სამხრეთით მდებარეობდა, აქედან არმენიელები სპარსეთის დიდი დახმარებით შეიჭრნენ ამ ქართველურ ტომთა შორის და დაიჭირეს მათი ყველაზე ნაყოფიერი მიწები, კერძოდ, სომხებმა მიწები დაიჭირეს კარდუხებსა და ქალდებს შორის. კარდუხები არ ცნობდნენ სპარსეთის ბატონობას და ებრძოდნენ მათ, ქსენეფონტეს სიტყვით, კარდუხებს მთებზე სპარსელების 120 ათასიანი ჯარიც კი დაუმარცხებიათ.

„Кардухи воинственны и не подчиняются царю[34]. А когда однажды царское войско численностью в 120000 человек напало на них, то никто из царских солдат не вернулся обратно“ yhttp://www.vehi.net/istoriۍa/grecia/ksenofont/anabazis/03.html

(კარდუ (ხი) → ქართუხი; ქალდი-ქალდუ-ქართუ-სპარსელებთან მეომარი ქართული ტომები).

განსხვავებით მეომარი ქართული ტომებისაგან, სომხები ერთგულად ემსახურებოდნენ მიდიელებსა და სპარსელებს და დიდ გადასახადებსაც იხდიდნენ, ამასთანავე, ჯარითაც ეხმარებოდნენ.

მსგავსი ვითარების გამო სომხებმა შეძლეს ქალდების (ქალდუელების) ყველაზე საუკეთესო მიწებზე დასახლება ტიგროს-ევფრატის სათავეებიდან არაქსის ხეობის ჩათვლით. ამის გამო ბარის საუკეთესო მიწების დაკარგვის შემდეგ ქალდებმა (ქალდუელებმა) მთებიდან დაიწყეს მუდმივი ომები სომხების წინააღმდეგ. ამის გამო თვით სპარსეთის შაჰი კიროსი შევიდა ქალდების მიწაზე და ზავი ჩამოაგდო სომხებსა და ქალდებს შორის, ანუ მიწები კვლავ სომხებს დარჩათ, ხოლო ქალდების მთებში სპარსელებმა თავისი სიმაგრეები ააგეს ამ ზავის შესანარჩუნებლად, ანუ ქალდები დაზარალდნენ, ხოლო სომხებმა დაიკანონეს მათი საუკეთესო მიწები.

(„Одновременно Кир разрешил конфликт между армянами и их соседями халдеями. Узнав, что одним не хватает рабочих рук и пастбищ для скота, а другим полей для выращивания пшеницы, Кир заключает взаимовыгодный для обеих сторон мир“.

https://ru.wikipedia.org/wiki/Киропедия

ამის მიუხედავად აპოლოდორეს ცნობით იბერები ძვ. წ. მე-2 საუკუნეში კვლავ ცხოვრობდნენ არაქსის ხეობაში,

„Согласно свидетельству Аполлодора (140 год до н. э.) граница между Иберией и Арменией проходила по Араксу, а это уже говорит о том, ... что „река Кура протекает по границе Армении и Иберии“.

https://secrethIstorۍ.su/484-IstorIۍa-trebuet-obektIVnostI.html

არაქსის ხეობის ჩრდილოეთი მთიანი ნაწილი ძვ. წ. 190 წლამდე კვლავ იბერების ხელში რომ იყო ჩანს სტარბონის ცნობითაც, რადგანაც აქ მდებარე ხორძენა, პარიადრეს კალთები კვლავ იბერებს ეკუთვნოდა, ქალდებსა და მოსინიკებს კი კარენიტი ანუ არზრუმის ოლქი და ქსერქსენე-სოფენა).



Париадр – Понтийские горы (Понтийский хребет и Северо-Анатолийские горы), от устьев реки Ешильырмак до устьев реки Чорох. https://ru.wikipedia.org/wiki/Понт

პარიადრეს ანუ პონტოს მთიანეთი გადაჭიმულია მდინარე ჭოროხის შესართავიდან, ვიდრე მდინარე იეშილ-ირმაკის შავ ზღვაში შესართავამდე, ანუ გონიოდან სამსუნამდე. მისი ნაწილია ლაზისტანის ქედი, იბერების ძველი მიწა-წყლის ნაწილი სტრაბონის ცნობით.

იბერებს ეკუთვნოდა უვრცელესი ტერიტორია პარიადრედან „მტკვრის იქით“ გოგარენას ჩათვლით და, ცხადია, მათ შუა მდებარე ხორძენა. ესაა, როგორც აღინიშნა, უვრცელესი მიწა-წყალი არაქსის ხეობის ჩრდილოეთი ნაწილის მომცველი (ანუ მისი დასავლეთი სანაპიროს მომიჯნავე მთიანეთისა).



არაქსისი ხეობა. Авторство: user:Shannon1. http://www2.demis.nl/mapserver/mapper.asp, CC BÁ-SA 4.0, https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=138421233

ანუ, ტრაპეზუნტის ქვემოთ მდებარე მიწა-წყალი პარიადრეს გრძელი ქედის ფერდობებიდან ვიდრე მტკვრამდე, და მტკვრის იქით – გოგარენა (მდებარე საკასენას მეზობლად, აღმოსავლეთით) 190 წლამდე ჯერ კიდევ იბერებს ეკუთვნოდა.

ეს ძვირფასი ცნობა სტარბონისა, რომელიც კარგი საშუალებაა არიან-ქართლის ადგილმდებარეობის დასადგენად, სრულებით უყურადღებოდაა მიტოვებული.

ანუ არმენიის მეფე არტაქსიამდე და ზარიადრამდე (ძვ. წ. 180-190 წლამდე) ტერიტორია ტრაპეზუნტიდან მტკვარ-ალაზნის შესართავამდე და მტკვრის იქით, კვლავ იბერების ხელში იყო.

მალე ისინი (პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა, კარენიტი, არაქსის ხეობა) არტაქსიამ და ზარიადრემ (არმენიის მეფეებმა) იბერებს წაართვეს და შეუერთეს მათ მიერ დაარსებულ ე.წ. დიდი და მცირე არმენიის სამეფოებს.

5. Далее **рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. ..они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басороведу; у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Армением или является ее частью; у катаонов – Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев – Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке.** Страбон, География, книга XI,14

იბერებისაგან ამ რეგიონების მიტაცების შემდეგ უკვე არმენიად სახელდებულ ხორძენა, გოგარენა, პარიადრეში, ასევე კარენიტსა და სხვა ყოფილ ქართულ ოლქებში კიდევ უფრო ინტენსიურად დაიწყო მკვიდრი ქართველების, იბერებისა თუ მოსინიკების არმენიზაცია ისეთი ტემპით, რომ სტარბონის დროს მათი სალაპარაკო ენა უკვე სომხური იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არიან-ქართლი ერქვა მე-18 და მე-19 სატრაპიებს, რომელნიც შემდგომში ე. წ. დიდი და მცირე არმენიების მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი გახდა.

მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალს შემდგომ, ძვ.წ. II-I საუკუნეებში, ეწოდა იბერების ხორძენა, გოგარენა და პარიადრე, უფრო ადრეც, ქსენოფონტეს დროს, ეს რეგიონი ქართული ანდა წინაქართული ტომებით – ქალდებით, კარდუხებით, ტაოხებით, ფასიანებითა და სხვა იყო დასახლებული, ესაა ის მიწა-წყალი, რომელიც სატრაპიების ეპოქაში არიან-ქართლად, ანუ ირანის, სპარსეთის ქართლად იწოდა. მას სახელი შეეცვალა სტარბონის მიერ აღწერილი არტაქსიასა და ზარიადრეს შემდეგ. არმენიის ამ მეფეებმა ეს მიწა-წყალი იბერებისაგან დაიპყრეს და შეიყვანეს ე. წ. დიდი და მცირე არმენიების შემადგენლობაში, დაიწყო იქაური ქართველების (იბერების) არმენიზაცია, როგორც ითქვა, მათ სტრაბონის დროს უკვე სომხურენოვანი ხალხი ეწოდება. **ეს ეროვნები ეროვნებ ერთ ენაზე.**

შესაბამისად, ამ არმენიებში მკვიდრი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა ეთნიკური ქართველობა, რომელნიც აღმოჩნდნენ არმენიული ზედაფენის გამგებლობაში.

ეს პროცესი შემდეგშიც გაგრძელდა, აქ, უკვე არმენიად სახელდებულ მიწა-წყალზე, ქართველების არმენიზაცია გაგრძელდა სომხეთის გაქრისტიანების შემდეგაც.

საბოლოოდ, მოგვიანებით, ჩვენი წ. მე-8 საუკუნის შემდეგ, არმენიის მკვიდრი ქართველების მხოლოდ ერთმა ნაწილმა ქალკედონიტური სარწმუნოების საფარველქვეშ შეძლო ეროვნული ვინაობის აღორძინება ტაოსა და მიმდებარე (თეოდოსიოპოლ-არზრუმისა და ბასიანის) რეგიონებში და სხვაგან.

მათ ბერძნები „იბერებს“ უწოდებდნენ, შემდგომში მათ მიწა-წყალზე დაარსა ბიზანტიის იმპერიამ თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის ფემა“ ანუ „იბერიის თემი“, რომლის დედაქალაქები იყო ანისი და თეოდოსიოპოლისი ანუ არზრუმი, ორივე იბერიელებით მჭიდროდ დასახლებული ქართული საეპისკოპოსოებით.

არმენიის იბერები იყვნენ არა ე.წ. ქალკედონიტი სომხები, არამედ პირიქით, იქაური ეთნიკური ქართველები, რომელთაც თავი გმირულად დააღწიეს არმენიზაციის უღელს ქალკედონური სარწმუნოების საფარქვეშ.

არიან-ქართლთან დაკავშირებით, კითხვაზე, თუ რატომ ეწოდებოდა ამ ქვეყანას ეს სახელი („არიან-ქართლი“), შეიძლება ვუპასუხოთ, რომ მე-18 და მე-19 სატრაპიები, ანუ ქართველებით დასახლებული სატრაპიები შედიოდნენ იმ სახელმწიფოში, რომელსაც ერქვა – „არიანა“, არიანას იმპერია – **Ariyānām Xšaçam.**

ირანის ანუ არიანას ქართლი, იგივე არიან-ქართლია, მას ასევე, სპარსეთის ქართლიც ერქვა, იგულისხმებოდა უფრო მეტად აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალი ვანის ტბიდან ტაოს ჩათვლით კლარჯეთამდე, უფრო ის ტერიტორია, რომელსაც შემდეგ აირარატის სამეფო უწოდეს, ესაა ე. წ. მცირე არმენია და დიდი არმენიის ჩრდილო ნაწილი, რომელიც ოდესღაც, სტარბონის ცნობის შესაბამისად, იბერიად იწოდებოდა და აპოლოდორეს ცნობის თანახმად, ჯერ კიდევ იბერებით იყო დასახლებული მის დროს.

ანუ არიან-ქართლი არის აქემენიდური ირანის ქართლი, მის მოსაზღვრედ მდებარეობდა სუვერენული სახელმწიფო – „მცხეთის ქართლი“.

ორივე სახელი, ჩანს, ძველთაგანვე პირობითია და მიმართული უნდა იყოს მკითხველის ან მსმენელისადმი, რათა მას გაადვილებოდა გაგება იმისა, თუ რომელ ქართლს ეხებოდა წაკითხული ინფორმაცია, აქემენიდური სპარსეთის ქართლს, ანუ არიან-ქართლს, თუ მის მეზობლად მდებარე მცხეთის ქართლს.

სპარსეთის აქემენიდური სახელმწიფოს მე-18 და მე-19 სატრაპიები იქ მდებარეობდა, სადაც შემდეგ, მე-11 საუკუნეში იყო ბიზანტიური იბერიის თემი **(„θέμα Ἰβηρίας“).**

XVIII სატრაპია	არიან-ქართლი, სავარაუდოდ, მოიცავდა აქემენიდთა სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებს. მე-18-ში ცხოვრობდნენ წინარექართული ტომები: მატიენები (ხურიტები), სასპერები, ალაროდები
XIX სატრაპია	მე-19 სატრაპიაში – მუშკები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები (პონტო)

ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის შაჰის დამარცხებისთანავე გათავისუფლებული ყოფილი მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწებზე ქართული სახელმწიფოს არსებობის შესახებ უნდა მიგვანიშნებდეს ძველი ბერძენი ისტორიკოსის ფლავიუს არიანეს ცნობა, რომ სწორედ აზონისა და ფარნავაზის ეპოქაში ალექსანდრე მაკედონელს სწვევია ხორასმიონის მეფე ფარასმანესი, რომელიც კოლხებს ემეზობლებოდა.

ამ ცნობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ფარასმანესის სამეფო მდებარეობდა არა შუა აზიაში, არამედ კოლხეთის მეზობელ რეგიონში, ანუ იქ, სადაც აქემენიდების დროს მე-18 და მე-19 სატრაპიები, ხოლო ბიზანტიელების დროს იბერიის თემი მდებარეობდა.

როგორც ითქვა, იბერიის თემის ძირითადი მოსახლეობაც ის იქაური ძველი იბერები იყვნენ, რომელნიც არმენიელების ბატონობის გამო თითქმის გასომხდენენ, და დაიბრუნეს იბერიული თვითშემეცნება ქალკედონური წმიდა სარწმუნოების საფარქვეშ.

როგორც აღინიშნა, აზონის მამას ერქვა სახელი იარედოსი, იარედი, რაც, ჩვენი აზრით, იგივეა რაც იერვანდი, ერვანდი, ორონტი, რომელიც იყო სპარსელების სატრაპი ამ რეგიონში.

ამჟამად ისტორიკოსები აერთიანებენ იქაური სატრაპიების მიწა-წყალს და მათ ერთად უწოდებენ „აირარატის სამეფოს“. ანდა მიიჩნევენ დიდ და მცირე არმენიების ნაწილებად.

ამასთანავე, მიიჩნევენ მთელ ამ ვრცელ ტერიტორიას მხოლოდ სომხებით დასახლებულად ისე, რომ არც კი მოიხსენებენ ამ ყოფილი სატრაპიების მკვიდრ ქართულ (წინარექართველურ) ტომებს – სასპერებს, ალაროდებს (მე-18), მუშქებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს (მე-19) და არც იქაურ მატიენებს (ხურიტებს) და სხვებს.

მათ **ერვანდიდების** დინასტია მართავდა. ჩანს, მათთან აკავშირებდა „მოქცევაი ქართლისაი“ აზონს და ამით მიუთითებდა, რომ ეს მიწა-წყალი იგივე „ქართლი“ იყო,

ქართველებს ათასწლეულის შემდეგაც კი ახსოვდათ ამ რეგიონის ქართულობა, რომ აქ ქართული ენაც კი იყო გავრცელებული და ამიტომ დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი წერდა კიდეც, რომ არიან-ქართლი ქართულენოვანი ქვეყანა იყო და მისი მცხოვრებნი „ქართველებად“ იწოდებოდნენ და ამბობდა **„ჩვენ შვილნი ვართ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით**“, ასე მიმართავდა ის თავისი დროის, ანუ მე-12 საუკუნის ქართველობას.

მეორე დასკვნა :

ყველაზე უძველესი ქართული საისტორიოს წყაროს „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, აზო (აზონი) არის პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებელი. მისი სამეფო მოიცავდა ქვეყნის ორივე მხარეს – ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე.

ეს წყარო საქართველოში პოპულარული იყო პირველ ათასწლეულში, მას სინას მთაზეც კი კითხულობდნენ ქართველი ბერები და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ამჟამადაც იქაურ წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში დაცულია იქაური ქართველი ბერების კუთვნილი ამ წიგნის მე-10 საუკუნის ხელნაწერები.

აზონის მამის იარედოსის სამეფო „არიან-ქართლი“ უნდა იყოს სპარსეთის აქემენიდური იმპერის (ანუ არიანას **(Arlyānām Xšaçam)** მე-18 და მე-19 სატრაპიები, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ ქართული ტომებით – ქალდებით, სასპერებითა და სხვ. არიან-ქართლში ასევე შედიოდა ტაო, კლარჯეთთან ერთად. მეფის სახელი იარედი-იარედოსი, შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ ის იყო აქაური სპარსი სატრაპების – ერვანდიდების ოჯახის წევრი. არსენ ბერის ცნობიდან ჩანს, არიან-ქართლის მოსახლეობის ენა ქართული იყო და არიან-ქართლის მეფეები ქართველები იყვნენ.

„ქართლის ცხოვრება“

უმთავრესი ქართული საისტორიო წყარო „ქართლის ცხოვრება“ დაწერილია „ჟამითი ჟამად“, ანუ სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა საუკუნეში. პავლე ინგოროყვამ გაარკვია, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი თხზულება „ცხოვრება ფარნავაზისი“ დაწერილია წარმართობის ეპოქაში, ანუ საქართველოს გაქრისტიანებამდე. მასში მოთხრობილია, თუ როგორ დააარსა ფარნავაზმა ერთიანი ქართული სახელმწიფო ქუჯი ერისთავთან ერთად:

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა,

რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ.

ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა,

და დედულად სპარსი ასპანელი.

და იყო იგი ძმის-წული სამარისი,

რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ-იყო

...

მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი **ქუჯის** თანა

და რქუა:

„მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა,

და ძმის-წული სამარა მამასახლისისა,

და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდ-ძალი.

აწ ინებო,

რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენთანა,

და ვიყვნეთ ჩუენ ძმა

და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე.
გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა,
და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი”.

მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა
და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა,
და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა,
და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი
ვიდრე **გამოვჩნდეთ** მტერად აზონისა.
მაშინ განიხარონ **ყოველთა ქართველთა** აწყუედილთა მისგან
და მიწყუდეულთა.
და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნი-ცა გამოგუერთნენ.
რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნი-ცა აზონისგან”.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა,
და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა,
და დედა-ცა და დანი მისნი მისთანა.
და მივიდა **ქუჯის** თანა და რქუა მას **ქუჯი**:
„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა,
და შენ გმართებს უფლობა ჩემი
აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა,
რათა განვამრავლნეთ სპანი;
და უკეთუ მოგუეცეს ძლევა,
შენ ხარ უფალი ჩუენი
და მე ვარ მონა შენი”.
მაშინ **შეიერთნეს და ეზრახნეს** ოვსთა და ლეკთა.
ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა
და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი
და **განიმრავლნეს** სპანი.
ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი
და მომართეს აზონს.
ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრიბნა.

მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი,
რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან,
განუდგეს აზონს
და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა.
მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს.
ხოლო სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერ-ღა-რა მიენდო მათ,
რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ
და მივიდა კლარჯეთს,
და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა.

...
ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით,
განძლიერდა ფრიად
და მომართა ფარნავაზს.
ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს მჴედარნი ქართლისანი.
მოუწოდა მათ
და უჴმო **ქუჯის** და ოვსთა.
და შეკრბეს ესე ყოველნი,
...
და მოკლეს აზონ,
და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს
და ტყუე ქმნნეს.
და წარვიდა ფარნავაზ
და **მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა,**
და ეკლეცით შემოიქცა.
მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი,
და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა.
ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონის-ცა,
და იქმნა სიმდიდრე გარდარეული.

ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა,
რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა.
მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად,
და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად.
და მისცა **ქუჯის** ქუეყანა ეგრის წყალსა
და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე,
რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი,
და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ.
და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი.

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან
და **მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა**
და ეგურსა ზედა.
და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი,
განაწესნა **ერის-თავნი რვანი და სპასპეტი.**

ერთი გაგზავნა მარგჳს ერის-თავად,
და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი,
ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ.
და ამან-ვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერის-თავად,
და მისცა არაგჳთგან ვიდრე ჰერეთამდე,
რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერის-თავად,
და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე
და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშკლდის ერის-თავად,
და მისცა სკკრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე,
რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერის-თავად,
და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა,
რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მეექუსე გაგზავნა ოძრჯის ერის-თავად,
და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის,
ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად,
და მისცა არსიანითგან ზღუამდე.

და მერვე, **ქუჯი**, **იყო ერისთავი ეგრისისა.**

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად
და მისცა ტფილისითგან
და არაგვთგან ვიდრე ტასისკარამდე
და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი.
და ესე სპასპეტი იყო შემდგომად-ვე წინაშე მეფისა,
მთავრობით განაგებდის ყოველთა ერის-თავთა ზედა.

ხოლო ამათ ერის-თავთა ქუეშე,
ადგილთა და ადგილთა,
განაჩინნა სპასალარნი
და ათასის-თავნი,
და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო
და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარს-თასა.

...
ხოლო თუენი გაზაფხულისა
და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა;
და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა;
ხოლო თუენი ზაფხულისა – წუნდას.

და ჟამითი-ჟამად მივიდის **ეგრისს**
და კლარჯეთს,
და **მოიკითხნის მეგრელნი**
და კლარჯნი,
და განაგის ყოველი საქმე დაშლილი.

ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მჴედარნი,
რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს,
რომელი ზემოთ ვაჴსენეთ, იგინი განყვნა ჴევთა და ქუეყანათა შინა,
იპყრნა იგინი კეთილად,
რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მჴნედ იყვნეს.
და უწოდა მათ სახელად **აზნაურნი.**
...
და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი.
ამან განავრცო ენა ქართული,
და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა.
და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.
და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა.
http://www.georoɑal.ge/?Id=1946

მეორე ათასწლეულში საქართველოში საისტორიო წიგნთაგან დიდი პოპულარობა მოიპოვა „ქართლის ცხოვრებამ“, იმდენად, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ მივიწყებულიც კი იქნა.

ეს მომენტი საინტერესოა იმით, რომ „მოქცევაის“ მიხედვით პირველ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს საფუძველი ჩაუყარა მეფე აზომ (აზონმა), ხოლო „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ეს ყოფილა არა აზონი არამედ მეფე ფარნავაზი. ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთ დროს ცხოვრობდნენ, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში. მათ შესახებ უცხოური წყაროები თითქმის არ არსებობს, გამონაკლისია ორი ძველი **სომეხი ისტორიკოსი,** რომელნიც ახსენებენ ფარნავაზს (მათ შესახებ ქვემოთ ვსაუბრობთ), ხოლო აზონის მამის „არიან-ქართლის სამეფოს“ სავარაუდო ადგილსამყოფლის რეგიონის შესახებ ცნობებს ვიღებთ ზოგიერთი ბერძენ რომაელი ავტორისაგან, რომელთაც ასევე ქვემოთ ვეხებით.

რატომ იყვნენ ისინი (ანუ აზონი და ფარნავაზი) ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებლები?

იმის გამო, რომ მათ მიერ დაარსებულ სამეფოში შედიოდა საქართველოს ყველა რეგიონი მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე.

მაშასადამე, მათ სამეფოში შედიოდა ეგრისი, კახეთი და კლარჯეთი შიდა ქართლთან ერთად.

ამ სახელმწიფოს წყაროებში „ქართლის სამეფო“ ეწოდება, ვინაიდან პირველ ათასწლეულაში ტერმინით „ქართლი“ აღინიშნებოდა ის სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც ამჟამად „საქართველო“ ეწოდება.

ამჟამად, რატომღაც, ქართველი ისტორიკოსები მკაცრად მოითხოვენ პირველი ათასწლეულის „ქართლის“ აღსანიშნავად სიტყვა „საქართველო“ არავინ გამოიყენოს, მაგრამ ეს მომენტი მიგვაჩნია საბჭოთა ეპოქის დანატოვარ უზუსტობად, აღსანიშნავია, რომ თვით ქ. პატკანოვი, რომელიც არ იშურებდა ძალ-ღონეს ქართული წყაროების დასამცრობად, აზონ-ფარნავაზის ეპოქის ქართლს საქართველოს უწოდებს.

მართალია, მეორე ათასწლეულში სიტყვა „ქართლი“ ჩაანაცვლა სიტყვა „საქართველო“-მ და სიტყვა „ქართლი“-თ მხოლოდ მისი ერთ-ერთი რეგიონი აღინიშნებოდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ ტერმინს პირველ ათასწლეულში, მით უმეტეს, აზონ-ფარნავაზის ეპოქაში ის დატვირთვა ჰქოდა, რაზეც მივუთითეთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ამჟამინდელი მკვლევარი წყაროების გაყალბებასაც კი არ ერიდება, მაგალითად, საინტერნეტო სივრცეში (სახელმწიფოს სახელით) დადებული ზოგიერთი ოფიციალური სტატია ფარნავაზის შესახებ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეგრისი არ იყო მისი სამეფოს საერისთავო მაშინ, როცა წყაროში ნახსენებია 8 საერისთავო და ეგრისი მისი მერვე საერისთავო იყო.

ჩვენმა ზოგიერთმა ისტორიკოსმა რატომ გააყალბა წყაროს ცნობა? რათა წარმოადგინონ, რომ თითქოსდა, ფარნავაზის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში იყო სხვა სამეფო, რომელსაც ეს ისტორიკოსები „ეგრისის სამეფოს“ ანდა კოლხეთის სამეფოს უწოდებენ (და ქუჯის კი ამ სამეფოს მეფედ მიიჩნევენ) მაშინ, როცა ეს მტკიცება სრულიად ეწინააღმდეგება აღნიშნულ წყაროების დაბეჯითებულ მითითებას, რომ სწორედ ეგრისმა და მისმა ერისთავმა ქუჯიმ ჩაუყარა საფუძველი „ქართლის სამეფოს“ ანუ პირველი გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს.

რატომ უარყოფენ ქუჯის გამორჩეულ ღვაწლს ქართველთა ერთობისათვის?

აღსანიშნავია, რომ შემდგომ საუკუნეებშიც ეგრისი და სამეგრელო, ტრადიციულად, მუდამ იყო შემოქმედი და ინიციატორი საქართველოს გაერთიანებისა, მაგალითად, ჭყონდიდელების ეპოქაში, ანუ მე-10-მე-14 საუკუნეებში, მე-17 საუკუნეში კი ლევან მეორე დადიანი, რომელსაც მისი თანამედროვეები (მათ შორის იმჟამინდელი რუსეთის მეფე) „ივერიის ხელმწიფეს“ უწოდებდა. მე-19-მე-20 საუკუნეებშიც კი სწორედ სამეგრელოდან გამოსული უდიდესი მოღვაწეები იყვნენ მებრძოლები საქართველოს აღდგენისათვის.

მესამე დასკვნა – ქართლის ცხოვრების მიხედვით ფარნავაზი იყო არა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, როგორც ამჟამად არასწორად აღინიშნება მნიშვნელოვანი ინტერნეტგვერდების მიერ, არამედ ყოველი ქართლისა, ანუ სრულიად საქართველოსი, რადგანაც პირველ ათასწლეულში ტერმინი ქართლი სრულიად საქართველოს ეწოდებოდა.

ფარნავაზის სამეფო აღმოსავლეთთან ერთად ასევე მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, ვიდრე შავ ზღვამდე და მდინარე ეგრისწყლამდე, რომელიც აფხაზეთში გაედინება. ეგრისი მის მიერ დაარსებული სახელმწიფოს, ანუ ქართლის სამეფოს, მე-8 საერისთავოს წარმოადგენდა.

ქართლის სამეფოს დაარსების უმთავრესი მოღვაწე მეფე ფარნავაზთან ერთად იყო ეგრისის ერისთავი ქუჯი.

მთელ სახელმწიფოში განივრცო ერთი ქართული მწიგნობრობა, ერთი ქართული სახელმწიფო ენა და ერთი სარწმუნოება, რომელსაც არმაზის თაყვანისცემა ეწოდებოდა.

ფარნავაზი იყო საქართველოს რელიგიურ და სამოქალაქო კეთილმოწყობის წინამძღოლი, ფუძემდებელი ადმინისტრაციულ, საფინანსო, სამხედრო და სხვა ზოგადსახელმწიფოებრივი სისტემებისა.

მან ქართული მწიგნობრობის შექმნითა და ერთიან სამეფოში მისი განვრცობით საფუძველი ჩაუყარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს-მომცველ ერთიან კულტურას.

სომხური წყაროები ფარნავაზის შესახებ

ფარნავაზის შესახებ ჩვენ მოგვითხრობს მხოლოდ ქართული და ზოგიერთი სომხური წყარო.

ერთ-ერთია სომეხი ისტორიკოსი მე-5 საუკუნისა **ფავსტოს ბუზანდი** (**ბიზანტიელი,** თუმცა ასევე, მიიჩნევა, რომ ის მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა).

ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიის“ მე-15 თავში აღნიშნულია, რომ სომხეთის მეფე პაპის (353-374 წწ.) სპარაპეტი მუშეღ მამიკონიანი შემოიჭრა საქართველოს განაპირა მხარეებში და აქ დასაჯა ფარნავაზიანები, რომელნიც, ჩანს, მას ებრძოდნენ.

ფავსტოსი წერს „სპარაპეტი მუშეღი წავიდა ივერიის მეფის წინააღმდეგ, დაიპყრო მთელი ივერიის ქვეყანა, ხმალს მისცა ყველა აზატი და ერისთავთა საგვარეულოები, რომელიც მოძებნა. სპარაპეტმა მუშეღმა ბრძანა ჯვარზე გაეკრათ ფარნავაზიანები ...დაიჭირა ტერიტორია ძველ საზღვრამდე, რომელიც იყო არმენიასა და ივერიას შორის, ესე იგი დიდ მდინარე მტკვრამდე და დაბრუნდა უკან“ Фавстос Бузанд „История Армении“ 5.15)

http://www.vehi.net/istorioa/armenia/buzand/05.html.

„Потом спарапет Мушег пошел на иверийского царя, жестоко притеснил и разгромил его, покорил всю иверскую страну, предал мечу всех азатов и все нахарарские роды, которых нашел. Спарапет Мушег приказал распять на кресте **Пар[н]авазеанов** в иверийской стране, а бдэшха Гугарка, служившего раньше армянскому царю и под конец восставшего, схватив, обезглавил и истребил мужское поколение его рода, а женщин и дочерей увел в плен. И вообще всех нахараров в этой [163] стране, восставших против армянского царя, обезглавил, весь гавар вновь покорил и взял заложников, а остальных обложил данью. И заняв территорию до старой границы, которая была между Арменией и Иверией,

то есть до большой реки Куры, вернулся оттуда“ (Фавстос Бузанд „История Армении“ 5.15). http://www.vehi.net/istori๏a/armenia/buzand/05.html.

ეს მომხდარა 370 წლის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ეპოქაში საქართველოში ფარნავაზიანები ნამდვილად ცხოვრობდნენ.

როგორც რ. ლოლუა წერს, ფარნავაზს ახსენებს ასევე მეორე სომხური წყარო – **მხითარ აირივანეცი თავის ქრონიკაში,** მე-13 საუკუნეში, აქ ის ფარნავაზს უწოდებს ქართული მწიგნობრობის შემქმნელს –

«Показательно, что армянский автор XIII в. **Мхитар Айриванеци** в своей „Хронографической истории“ называет царя Парнаваза создателем грузинской письменности (Albania Caucasica: Сборник статей: Вып. I. Москва, 2015. Р. Т. Лолуа, Месроп Маштоц и вопросы генезиса еркатагира и кавказско-албанского письма, с. 193): http://round-the-world.org/?p=7484

სომეხ ისტორიკოსებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი სომეხი ისტორიკოსი კორიუნი თავის თავს ეთნიკურ ქართველად და ქართველების ეპისკოპოსად მიიჩნევდა, თუმცა ის არმენიზებული იყო, ისევე, როგორც, მაგალითად, შემდეგი დროის ისტორიკოსი მოვსეს კალანკტაუაცელი, რომელიც ეთნიკურად არმენიზებული ალბანელი იყო და სომხურად წერდა.

კორიუნი თავისი ისტორიის მე-15 თავში აღწერს მაშტოცის საქმიანობას ივერიაში, წერს, რომ ის იყო ერთ-ერთი იმ ივერ ყრმაწვილთაგანი, რომელნიც მეფე ბაკურმა განსასწავლად შემოკრიბა თავისი სამეფოდან. სწავლის დასრულების შემდეგ კი მან ივერთა ეპისკოპოსის წოდებას მიაღწია.

„Из них **и я, недостойный, вступил в сан епископа**; среди них первый Самуэл, муж святой и благочестивый, стал епископом при царском дворе“ (Корюн, Житие Маштоца, текст, новоарм. перевод, предисловие, примечания проф. М. Абегяна, русск. пер. стр. 87-88).

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის სომეხმა ისტორიკოსებმა შეცვალეს კორიუნის ისტორიაში კორიუნის თვითაღიარება თავისი ივერიელობის შესახებ და თვითნებურად „გაასწორეს“ ამ წყაროს ტექსტი შემდეგი სახით –

„Из них же нашлись достойные для возведения в сан епископа: имя первого из них – **Самуэл**; муж святой и благочестивый, ставший епископом при царском дворе“

http://www.vehi.net/istori๏a/armenia/korun/koriun7-15.html

კორიუნი, ჩანს, იყო არმენიის ივერების ანუ ტაოსა და მიმდებარე ოლქების ეპისკოპოსი, შესაბამისად, სომხეთის ეკლესიის იურისდიქციაში და არა საქართველოს ეკლესიისა, ამიტომაც მისი სახელი არ ჩანს ქართველ ეპისკოპოსთა სიაში.

ის თავისი იურისდიქციის შესაბამისად, თავის მოძღვარ მაშტოცთან იმყოფებოდა და ამისათვის არ ესაჭიროებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსის დასტური, ამიტომ ის მოძღვართან ერთად ანგარიშს აბარებდა სომეხთა კათალიკოსს, რასაც მიუთითებს კიდეც.

არმენიაში უამრავი მკვიდრი იბერიელი ცხოვრობდა, განსაკუთრებით თეოდოსიოპოლისის (არზრუმის) ოლქში, ტაოში, ბასიანში ვიდრე ანისამდე.

ისინი სომხური ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდნენ. არმენიაში სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში მყოფ ქართველ მრევლს ქართველი სასულიერო პირები ემსახურებოდნენ, ოღონდ მათი საეკლესიო ლოცვის ენა იყო სომხური, რადგანაც სომხურენოვნებას უმკაცრეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური საკათალიკოსოს ხელმძღვანელობა, ეს კარგად ჩანს „ეპისტოლეთა წიგნიდან“ და მოვსეს კალანკატუაცის „ალვანთა ქვეყნის ისტორიიდან“.

მაგალითად, ქართული სასულიერო წოდება რომ მსახურობდა სომხურენოვან ეკლესიებში ეს ჩანს ქართლის კათალიკოს კირიონის მაგალითიდან.

კირიონი, მე-6 საუკუნის ბოლოდან ქართლის კათალიკოსი, მე-6 საუკუნის 80-90-იან წლებში სომხეთის ეკლესიის მღვდელმთავარი იყო. ის იყო აირარატის ოლქის ქორეპისკოპოსი და ასევე დვინის მონასტრის წინამძღვარი, მას სომხურ ეკლესიაში მღვდელმთავარის მაღალი კათედრა 5 წლის მანძილზე ეჭირა, მაგრამ ახალგაზრობის წლებშიც ასევე სომხეთში, კერძოდ კი, ბიზანტიურ სომხეთში სწავლობდა (Митр. Анания (Джапаридзе) https://www.pravenc.ru/text/1840497.html)

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ სომხურ ეკლესიას ემსახურებოდა ქართველი ეპისკოპოსი პეტრე და ასევე „ქართველ ეპისკოპოსად“ იწოდება ცურტაველი მღვდელმთავარი მოსე, რომელმაც თავისი კათედრა მიატოვა და სომხების კათალიკოსთან უჩივლა ქართლის კათალიკოსს.

სომხეთში ივერებით დასახლებულად ითვლებოდა ტაიქი (ტაო) და, როგორც ითქვა, მათი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო კორიუნი მე-4 საუკუნეში.

შესაძლოა, „კორიუნის“ დიდი სახელის გამო იქაურ, ანუ სომხეთის ამ მხარეებში მოღვაწე ერთ-ერთ ქართველ სასულიერო პირს, „კირიონი“ უწოდეს, რომელიც „სომხურენოვან“ მრევლს ემსახურებოდა სომხეთში და შემდეგ ქართლის კათალიკოსად აირჩიეს.

კვლავ არიან-ქართლის საკითხს რომ შევეხოთ – როგორც ითქვა, ამ მიწა-წყალს, მაგალითად აირარატს, სადაც ქართველი მღვდელმთავარი კირიონი მოღვაწეობდა, ერთ დროს სპარსეთის (ირანის) სატრაპია ეწოდებოდა, ხსოვნა იმისა, რომ ამ ქვეყანას ოდესღაც ერქვა „სპარსეთის ქართლი“ ანუ „არიან-ქართლი“ დიდხანს დარჩენილა, როგორც ამ ოლქის ზოგადი ქართული დასახელება.

ანუ ამ ოლქს ქართველები ძველებურადვე „სპარსეთის ქართლს“ ანდა „ირანის ქართლს“ (არიან-ქართლს) უწოდებდნენ.

ამით უნდა იყოს გამოწვეული მე-5 საუკუნის საეკლესიო საბუთებში მოხსენიება ეპისკოპოსისა, რომელსაც უწოდებდნენ „ქართლის სპარსული ნაწილის ეპისკოპოს იერემიას“.

431 წელს ეფესოში ჩატარდა III მსოფლიო საეკლესიო კრება. როგორც მიიჩნევენ, ამ კრების მომზადებაში მონაწილეობა მიუღია ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსს იერემიას. ამ კრების მასალებში მოხსენიებული ქართველი ეპისკოპოსი იერემია, როგორც მას უწოდებენ, „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი და V ს-ის პირველ ნახევარში გააფთრებით იბრძოდა ნესტორიანელთა დოქტრინის წინააღმდეგ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი ქარ-

თველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული". http://meufeanania.info/orze/

ჰიპოთეზა ფარნაბაზისა და ფარნავაზის ურთიერთმიმართების შესახებ
(ბერძნულ-ლათინური წყაროები სატრაპ ფარნაბაზის შესახებ)

ბერძნულ-ლათინური წყაროებიც იცნობს რამდენიმე ფარნაბაზს, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის სპარს სატრაპებს.

ფარნაბაზი სპარსეთის სახელმწიფოს სატრაპი იყო ფრიგიის მხარეში. ოდესღაც ეს ოლქი თუბალებთ, ანუ, იოსებ ფლავიუსის განმარტებით, იბერების წინაპრებით, ყოფილა დასახლებული. ასევე, ფრიგია მიიჩნევა მოსოხებით დასახლებულ ტერიტორიად, მოსოხებს კი იოსებ ფლავიუსი კაპადოკიელებად მიიჩნევდა. ის მათ იაფეტის ძის მეშეხის (მოსოქის) შთამომავლებს უწოდებდა. იპოლიტე რომაელი „მეშეხებს" ილირიელებთან აკავშირებდა

Иосиф Флавий отождествлял каппадокийских *Moschoi* с библейским племенем потомков Иафета, происходившим от Мешеха, в своих размышлениях о генеалогии народов, тогда как Ипполит Римский связывал „мешех» с иллирийцами. Мешех, наряду с Тубалом, отнесены к народам Гог и Магог в Книге Иезекииля 38:2 и 39:1. https://histor.wikireading.ru/51451

მოსოხები იგივე მესხებია. ჰეკატე მილეტელი (ძვ. წ. 550-476) მოსოხებს კოლხებს უწოდებს, რომლებიც მატიენების (ხურიტების) გვერდით ცხოვრობდნენ.↑ *Fragmenta historicorum graecorum I*, fragm. 228.

ჰეროდოტე წერს, რომ ერთ ლაშქარს შეადგენდნენ მათთან (მოსოხებთან) ერთად ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები, ისინი აქემენიდების სპარსული იმპერიის მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ. ეს მე-19 სატრაპია სპარსეთის იმპერიისა მდებარეობდა ამჟამინდელი საქართველოს უშუალო სამხრეთ საზღვარზე, შავ ზღვასთან.

შემდგომში მოსხები, სტრაბონის ცნობით, ცხოვრობდნენ ამჟამინდელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ „მესხეთს" ვუწოდებთ.

მიღებულია, რომ პლინიუს უფროსი მესხებს (მოსხენებს) ათავსებს ე.წ. დიდი არმენიის სამხრეთით, კაპადოკიასთან ახლოს.

ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში სახელწოდებით „მოსხი" აღნიშნავდნენ კაპადოკიელების წინაპრებს.

საქართველოში კაპადოკიელებს ქართველების თანამეტომეებად რომ მიიჩნევდნენ, ეს იმითაც ჩანს, რომ წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის და დიდ კაპადოკიელ მამებს მუდამ ეროვნული სიამაყის სიმბოლოებად წამოაჩენდნენ.

როგორც აღინიშნა, ფარნაბაზი ფრიგიის, მოსოხებისა და თუბალების – ქართველთა პროტოწინაპრების ქვეყნის სატრაპი იყო. ცნობილია რამდენიმე ასეთი სახელის მქონე ფარნაბაზი.

ალექსანდრე მაკედონელი სიყრმიდანვე იცნობდა ფარნაბაზს და შემდეგშიც ურთიერთობა ჰქონდა მასთან, შემდეგ ის დაბრუნდა სპარსეთის მე-

ფესთან და გახდა სპარსეთის სახელმწიფო მოღვაწე და იცნობენ ფარნაბაზ III-ის სახელთ (ძვ. წ. 360-310), ის იყო ჰელესპონტოს ფრიგიის სატრაპი.

როცა ალექსანდრე შეიჭრა სპარსეთის საზღვრებში დაახლოებით ძვ. წ. 321 წელს ფარნაბაზი ებრძოდა მას თავისი თანამდებობრივი მოვალეობის აღსასრულებლად.

ჩვენი თემისათვის აღსანიშნავია, რომ სპარსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ალექსანდრემ ყოფილ სატრაპ ფარნაბაზს მიუტევა და მისცა თავისუფლება.

ალექსანდრესაგან შენდობისა და თავისუფლების მიღების შემდეგ ფარნაბაზის ბედი უცნობია.

აი, ამის შემდეგ შეიძლება მისი დაკავშირება ქართველთა ფარნავაზთან, უფრო მეტად კი აზონთან, რადგანაც აზონი იყო არიან-ქართლის მეფის ძე, არიან-ქართლი კი მდებარეობდა აღნიშნულ ფრიგიასთან უფრო ახლოს, მის ჩრდილოეთით, ამჟამინდელი თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

ალექსანდრეს შიშით, ფარნაბაზის მსგავსად, სხვა სპარსმა უმაღლესმა მოხელეებმაც სპარსეთის დამხობის შემდეგ მიაშურეს ჩრდილოეთის მხარეებს.

ალექსანდრეს უახლოესმა მოხელეებმა (დიადოხოსებმა) მალევე, ძვ.წ. 330 წლიდან საფუძველი დაუდეს ახალი სამეფოების წარმოქმნას, ამიტომ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ **ალექსანდრესაგან ამინისტირებულმა ფარნაბაზმა ჩრდილოეთის მხარეებში თავისი თავი წარმოადგინა ალექსანდრეს ნების გამტარებლად და ასეთი სახით, ვითარცა ალექსანდრეს წარმომადგენელი, შევიდა არიან-ქართლში**.

ანუ, ალექსანდრეს „წარმომადგენელი – პატრიკი“ ფარნაბაზი შევიდა იმ ვრცელ ოლქში, რომელსაც სტრაბონი იბერების ოლქს უწოდებს, კერძოდ, იბერების პარიადრეში, ხორძენესა და გოგარენაში. იქვე მდებარეობდა სხვა ოლქი კარენიტიც, რომელიც ასევე ქართულ ტომს ეკუთვნოდა.

ყოფილ სატრაპ ფარნაბაზს შესაძლოა მოეხერხებინა მაკედონური რაზმების დახმარებით დაეწყო ბრძოლა არიან-ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ ყოფილი მე-19 და მე-18 სატრაპიების ტერიტორიებზე სპარსეთის დამხობისთანავე აღედგინა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა, რომლის მმართველობის დაუფლება სურდა ფარნაბაზს).

შესაძლოა, არიან-ქართლის (ანუ უბრალოდ ქართლის) ქვეყანაში გამართულ ამ ბრძოლას უწოდებენ ქართული წყაროები ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლას ქართლში.

ჩანს, არიან-ქართლის მეფე, რომელის სახელი წყაროს მიხედვით იყო „იარედოსი“ დამარცხდა სატრაპ ფარნაბაზთან ბრძოლაში, დამარცხდა მისი ძე აზონიც და ამიტომ, ამ მარცხის გამო აზონმა გადაწყვიტა თავისი სამხედრო არისტოკრატია გადაეყვანა თავისი ქვეყნის უფრო ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც დააარსა მცხეთის „ქართლის სამეფო“, ხოლო გამარჯვებული ფარნაბაზი დაეუფლა იარედოსის ტახტს.

შემდეგ კი მისი, ვითარცა ლეგენდარული გმირ-მებრძოლის, სახელი დაერქვა ასევე აზონთან მცხეთის ტახტისათვის მებრძოლ ჩვენს ფარნავაზს.

(კიდევ ერთხელ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველთა ეს ოლქები (ანუ პარიადრე, ხორძენა, გოგარენა, კარენიტი და სხვა თანამედროვე თურქეთის ჩრდილოეთით, ქართულად „არიან-ქართლი“) დასახლებული იყო ქართული ტომებით – ქალდებით, ტაოხებით, მოსინიკებით თუ ბიძერებით. ესაა აქემენიდური სპარსეთის ყოფილი სატრაპია, რომელსაც არმენიელების დაპყრობის შემდეგ დიდი არმენია ეწოდა).

ამ რეგიონში სამეფოს არსებობის შესახებ ალექსანდრეს ეპოქაში მიუთითებს კაპადოკიის მმართველი არიანე. ის თავის წიგნში „ალექსანდრეს ანაბაზისში“ წერს, რომ ალექსანდრესთან მივიდა კოლხების მეზობლად მდებარე ხორასმიონის მეფე ფარასმანე და შესთავაზა თანამშრომლობა.

მაშასადამე, ჯერ კიდევ არიანეს ეპოქაში, I-II საუკუნეებში, მიაჩნდათ, რომ შავი ზღვიპირა რეგიონთან, კოლხიდასთან, ძვ. წ. IV-III სს-ში არსებობდა ფარასმანესის სამეფო და, ჩანს, მას უწოდებენ ქართული წყაროები არიან-ქართლს.

მაშასადამე, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში იბერების აღნიშნულ ოლქში (ხორძენა, პარიადრე, გოგარენა, კარენიტი) არსებობდა მეფე ფარასმანეს სახელმწიფო „კოლხების გვერდით“.

ალექსანდრეს მხედართმთავრები ეძებდნენ ასეთ ქვეყნებს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. ასეთმა სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრემ სომხეთის სახელმწიფო დააარსეს ძვ. წ. მე-2 საუკუნეში (190-180 -იან წლებში).

არტაქსიასა და ზარიადრამდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, ყოფილ სატრაპ ფარნაბაზს შესაძლოა მოეხერხებინა მაკედონური რაზმების დახმარებით დაეწყო ბრძოლა არიან-ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ყოფილი მე-19 და მე-18 სატრაპიების ტერიტორიებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, არიან-ქართლის ანუ უბრალოდ ქართლის ქვეყანაში გამართულ ამ ბრძოლას უწოდებენ ქართული წყროები ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლას ქართლში. არიან-ქართლი კი, ჩანს, მოიცავდა მიწა-წყალს პარიადრეს მთიანეთიდან არაქსის მარცხენა სანაპიროს მთიანეთს და მტკვრის „იქითა“ მხარეს, სტრაბონის გოგარენას, ხორძენასა და პარიადრეს კალთებს. შესაბამისად, ჩანს, ხორძენა ერქვა არა უბრალოდ პარხარის ქედს, არამედ არაქსის მარცხენა სანაპიროს მთიანეთს მტკვრამდე, ანუ არზრუმის ოლქს, ტაოს, ბასიანს, აირარატს და გუგარქს.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ასახელებენ სპარსულ მე-18 და მე-19 სატრაპიებში მცხოვრებ ზემოთ ჩამოთვლილ ქართველთა წინაპარ ტომებს, მაგრამ ამ ტერიტორიაზე სტრაბონი ასახელებს იბერების რეგიონებს – პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას, ხოლო სტრაბონამდე საუკუნეებით ადრე მცხოვრები ქსენოფონტეს (ძვ. წ. 424-355) ცნობით ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქალდები, ფასიანები, ტაოხები და სხვა ქართული ტომები. ხოლო იქ მცხოვრებ კარდუხებსა და ქალდებს შორის უკვე სოლივით იყო შეჭრილი შემოსული სომხური მოსახლეობა, რომელთაც ქალდების საუკეთესო მიწე-

ბი დაისაკუთრეს სპარსი მოხელეების მხარდაჭერით. ათასწლეულის შემდეგ აქ, ამავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ტაოელები და სხვა ქართული ტომები, ათასწლეულის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე დააარსა ბიზანტიის იმპერიამ მე-11 ს.-ში თავისი ადმინისტრაციული ერთეული „ივერიის თემი“, რომლის დედაქალაქები იყო ანისი და თეოდოსიოპოლისი (არზრუმი). აქ დაარსდა მე-10 საუკუნეში სახელმწიფო „ქართველთა სამეფო“, რომლის საზღვარი ვანის ტბამდე აღწევდა დავით კურაპალატის დროს. ამის მიზეზი იყო ის, რომ იქაურ ნაწილობრივ არმენიზებულ მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვდა თავისი ნამდვილი ეროვნული ვინაობა ანუ თავისი ქართველობა და ამიტომაც მხარს უჭერდნენ ეროვნულ ლიდერს დავით კურაპალატს, ამიტომაც მიაღწია მისმა არმიამ მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერით ვანის ტბამდე. ყოველივე ეს ფაქტი მიუთითებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ვანის ტბიდან ვიდრე ტაოსა და კლარჯეთის ჩათვლით უწყვეტად ცხოვრობდა ივერიული მოსახლობა, თუმცა არტაქსიასა და ზარიადრეს შემდეგ ამ მიწა-წყალს არმენია ეწოდა და იქაური მკვიდრი ივერები არმენიზაციის წნეხის ქვეშ იყვნენ (ტაოში, ვიდრე მე-8 ს. 80-იან წლებამდე).

კვლავ დავსვათ კითხვა, შესაძლოა თუ არა სატრაპი ფარნაბაზი ალექსანდრესაგან შენდობის შემდეგ, მისივე დავალებით წამოსულიყო კავკასიისაკენ და აქ განეხორციელებინა ის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმე, რასაც წყარო მეფე ფარნავაზს მიაწერს?

აქ საინტერესოა, რომ წყაროს მიხედვით აზონის მამის სახელი იყო იარედოსი, ეს სახელი მრავლის მიმანიშნებელია.

საქმე ისაა, რომ აღნიშნულ რეგიონში მიუთითებენ სახელმწიფოებრივი ერთეულის **„იერვანდების სამეფოს“** არსებობას. მას სომხურ სამეფოს უწოდებენ, მაგრამ მისი მოსახლეობა ეთნიკურ ქართველობას წარმოადგენდა ზემოჩამოთვლილი აქ მცხოვრები ტომების გამო, და არა სომხურს. იმჟამად ისინი ცხადია უფრო ნაკლებ იქნებოდნენ არმენიზებულნი. მათ ერთ ნაწილს ეროვნულ-ქართული იდენტობა დიდხანს გააჩნდა, რასაც მიუთითებს ამ ოლქის სახელი „არიან-ქართლი“ და ათასწლეულის შემდეგ ამავე ტერიტორიაზე დაარსებული სახელმწიფოს „ქართველთა სამეფოს“ არსებობა.

მნიშვნელოვანია არიან-ქართლის მეფის სახელი – **იარედი.**

მოქცევაის სახელი **იარედ**ი უნდა შევადაროთ სახელ **იერვანდს**, აირარატის მეფეების დინასტიურ სახელს

როგორც ითქვა, ქართული ტომებით დასახლებულ ამ არეალზე ნამდვილად წარმოქმნილა სამეფო, რომელსაც ამჟამად უწოდებენ აირარატის სომხურ **სამეფოს, ერვანდუნების სომხეთს.**

Ервандидская Армения, также Айрараткое царство, Великая Армения – древнее армянское государство, существовавшее в северо-восточной части Армянского нагорья в 331-200 годах до н. э. http://fccland.ru/stati/15788-ervandidskaۃa-armeniۃa.html

მაგრამ მხოლოდ სომხების იყო ეს სამეფო თუ უფრო მეტად დასახლებული იყო ქართული ტომებით?

სახელმწიფო, რომელსაც დღეს აირარატის სომხური სამეფო ეწოდება უფრო მეტად ქართული ტომებით იყო დასახლებული, ეს ქსენოფონტეს, სტრაბონის, აპოლოდორესა და სხვათა ცნობებიდან ჩანს.

აქაური მმართველი სპარსი სატრაპების დინასტიური სახელი იერვანდი იყო.

მართალია, ამჟამად იერვანდებს სომხებად აცხადებენ, მაგრამ ისინი იყვნენ სპარსი მოხელეები, შაჰის მიერ დანიშნულები. მართალია, მე-13 სატრაპიას არმენია ერქვა, მაგრამ სატრაპები სპარსი მოხელეები იყვნენ.

მის გარდა, მე-18 და მე-19 სატრაპიებს მხოლოდ სომხებით დასახლებულად აცხადებენ, მაგრამ წყაროებიდან, კერძოდ, ქსენოფონტესა და სტრაბონის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ აქ მკვიდრი მოსახლეობა ქართული იყო, ამის თქმის უფლებას იძლევა სტრაბონის პირდაპირი ცნობა, რომ ხორძენა, პარიადრე და გოგარენა იბერების მიწა-წყალია და არა სომხებისა, სომხებმა ეს ქართული რეგიონები დაიპყრეს და იქ სტაბონისავე ცნობით სომხური ენა გაავრცელეს. სამწუხაროდ, სტრაბონის ამ ძვირფას ცნობას ქართველმა მეცნიერების დიდმა ნაწილმა ყურადღება არ მიაქცია. თუკი იქაური ტომები იბერიული იყო, მაშინ, შესაძლოა, იერვანდები წარმოშობით ქართველები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, არიან-ქართლის მეფეს ეს სახელი – **იარედი ერქვა.**

იერვანდების დინასტიიდან იყო იერვანდ I – სოფენესა და მატიენეს სპარსი სატრაპი. სპარსულად მას აურუანდი ერქვა, ავესტურად ნიშნავს „დიდ მეომარს“.

რამდენიმე სპარს სატრაპ იერვანდის სახელია ცნობილი, თუ რომელ მათგანს გულისხმობს მოქცევაი ქართლისაი აზონის მამად, ანდა მისი ოჯახის წევრად, ეს საკვლევია, პირველი, მეორე თუ მესამე.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, სტრაბონი ახსენებს მცირე არმანიას, რომელიც ძვ. წ. 180 წლისათვის არსებობდა. ის, მისი სიტყვით, გაიზარდა არტაქსიასა და ზარიადრეს დროს, როცა იბერებს წაგლიჯა ხორძენა, პარიადრე და გოგარენა.

თუკი ჩვენ გავიზიარებთ სტრაბონის ცნობას, რომ ამ მხარეებს იბერები ფლობდნენ აღნიშნულ არტაქსიამდე და ზარიადრამდე, მაშინ შესაძლებელია იქ წარმოქმნილი აირარატის სამეფოს თავდაპირველ მოსახლეობად ქართველობა მივიჩნიოთ, უცხოური წყაროების მიერ დასახელებული აქაური წინარექართული ტომების გარდა, ასევე, არიან-ქართლის მეფის სახელის იარედის გამო.

ყოველ შემთხვევაში, ქართულ წყაროს იარედი ანუ იერვანდი (აირარატის დინასტიების სახელი) – არიან-ქართლის მეფედ მიაჩნია, ანუ ქართველებისათვის ეს მხარეები ქართული ქვეყნები იყო.

თუკი კვლავ მივუბრუნდებით ფარნაბაზისა და ფარნავაზის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ფარნაბაზ III (Φαρνάβαζος Γ' της Φρυγίας), აქემენიდების სახელმწიფოს სატრაპი, ნამდვილად მოღვაწეობდა ერთ-ერთი ერვანდის დროს 360-30 წლებში. შესაძლოა ამ ერვანდს უწოდებს ქართული წყარო არიან-ქართლის მეფეს „იარედს“, აზოს მამას.

1

2

1. https://www.google.com/search?q=Φαρνάβαζος+Γ'+της+Φρυγίας&tbm=isch&chips=q:φαρνάβαζοσ+γ+τησ+φρυγίασ,online_chips:pharnabazus&client=opera&hs=659&hl=ru&sa=X&ved=2ahUKEwjZϱfu1leLtAhWFNewKHRnfC3oQ4IϱoBnoECAEQHw&biw=1482&bih=723#imgrc=0jHpf9cϱfQ6QcM&imgdii=WXscmXSQtdeFpM

2. https://www.google.com/search?q=Φαρνάβαζος+Γ'+της+Φρυγίας&tbm=isch&chips=q:φαρνάβαζοσ+γ+τησ+φρυγίασ,onl

სპარსეთის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ ამ მხარეებმა მოიპოვეს სპარსეთისაგან თავისუფლება, თუმცა მოექცნენ მაკადონიელ მხედართა ხელქვეშ. შესაძლოა აღნიშნულმა ფარნაბაზმა მაკედონიელ მხედართა მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოაგდო იერვანდი, რომლის ვაჟმა თავს უშველა მცხეთისაკენ გადაადგილებით დიდებულებთან ერთად.

შემდეგ კი თვით აზონთან მებრძოლ ლიდერს უწოდეს ფარნავაზი, ძველ ლეგენდარულ ლიდერ ფარნაბაზის სახელის შესაბამისად. სატრაპი ფარნაბაზი აზონის ოჯახს, მის მამას ებრძოდა, ხოლო მცხეთელი ფარნავაზი თვით აზონს.

მაშასადამე, შემდეგდროინდელი აირარატი ჯერ კიდევ ქსენოფონტეს დროს ქართული ტომებით – ტაოხებითა და ფასიანებით იყო დასახლებული და არა სომხებით, ამიტომაც, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწაწყალს ქართველები უწოდებდნენ „არიან-ქართლს" ანუ „ირანის ქართლს" „მცხეთის ქართლისაგან" განსასხვავებლად. ტერმინში „არიან-ქართლში" სიტყვა არიანი არის სპარსეთის სახელმწიფოს თვითსახელწოდება, არიანი ერქვა სპარსეთის სახელმწიფოს იმჟამინდელი სპარსელების ენაზე, ანუ არიან-ქართლი ესაა სპარსეთის იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიები, ანუ სპარსეთის ქართლი.

დასკვნა

კულტურის მთლიანობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, კავკასიაში ალბანეთის ხალხი ისტორიის ასპარეზიდან გაქრა იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ერთიანი კულტურის, ერთიანი სალიტერატურო ენის შემუშავება, როგორც ამის შესახებ წერს ზოგიერთი მკვლევარი.

რაც შეეხება ქართველ ერს, მან წარმატებით შეძლო სალიტერატურო ენისა და კულტურის შემუშავება. მისი კულტურის მთლიანობის ძეგლები,

მაგალითად, უძველესი ქართულენოვანი ხელნაწერები ცნობილია ისტორიული საქართველოს ყველა კუთხიდან – აფხაზეთიდან, სვანეთიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან, მესხეთიდან, ჩრდილოკავკასიიდან, ამჟამინდელი თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეებიდან.

ქართული კულტურა, რომელიც მუდამ საერთოქართული იყო, შეიძლება ითქვას, მოიცავდა იმ არეალს, რომელსაც ათასწლეულებით ადრე ფარავდა ძველი კოლხიდის ბრწყინვალე კულტურა და მისი ნაწილი ე.წ. ყობანური კულტურა (ანუ ძველი კოლხიდის კულტურა ფარავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ კავკასიაში იმ უვრცელეს არეს, რომელიც შემდგომში მოიცვა ქართულმა კულტურამ და ისტორიულმა სახელმწიფომ).

მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ქართული კულტურა შუა საუკუნეებშიც კი ძირითადად ვრცელდებოდა იმავე გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც მოიცავდა ძველი კოლხური კულტურა.

ჩვენი ძველი ისტორიოგრაფიის თანახმად, ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე და ამ ქვეყანაში, მეფე ფარნავაზის ეპოქიდანვე, მხოლოდ ერთი კულტურა არსებობდა, ერთი მწიგნობრობით, საერთო ენითა და წარმართული რელიგიით, ხოლო გაქრისტიანების შემდეგ – ერთი სარწმუნოებითა და ერთი ეკლესიით.


VI-VIII (და XIV-XVII) საუკუნეები
№ 66
„მეორე ივერიის“ საკათალიკოსო და ვალაშკერტის სამამამთავრო
პირობითი აღნიშვნები
მასშ: 3.500.000
ქუთაისელის სამწყსო აჭარაში
კათალიკოსის სამწყსო აჭარაში
მტბევარის სამწყსო
ანჩელის სამწყსო
ერუშეთელის სამწყსო
ოშნელის სამწყსო
ნორნყაბელის სამწყსო
ბანელის სამწყსო
დადაშნელის სამწყსო
კარელის სამწყსო
ანელის სამწყსო
ვალაშკერტელის სამწყსო
საზღვარი ბიზანტიის იმპერიასა და სასრსეთს შორის 591 წლის ხელშეკრულებით. ამ საზღვარს დასავლეთ ნაწილში მოქცეული იყო ისტორიული ძველი ივერია, დასახლებული ქართველურენოვანი ქართველი მოსახლეობით, რომელთაც 591 წელს ავანის კათალიკოსი დაუარსა. შემდგომ საუკუნეებში კი გიორგიანმწყნენ ვალაშკერტის ქართველ სამამამთავროში.
© მატრიარქალური ანანია ჯაფარიძე, 2012
ბოსფორი
ბერეა
ფოთი
ბაბუნეა
ბუეაი
ბეგლათი
ბეგეთი
ნორნყაბელი
ერუშეთი
ანჩა
ბანა
ოშნა
ბანელი
ანისი
ავანი (ერეკვანი)
ბანელი
ბალაშაკერტი
ბალაშაკერტი
ბალაშაკერტ
ბალაშაკერტ
ბალაშაკერ
ბალაშაკერ
ბალაშაკ
ბალ
ბალ
ბალ
ბალ
ბ
ბ
ბ

თავი 3

ლიტერატურა

იბერიის თემის მიწა-წყალზე ისტორიულად მცხოვრები ტომები

(ქსენოფონტეს (ძვ. წ. V-IV სს.) ცნობების თ. მიქელაძისეული კვლევა)

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია XI ს-ის დასაწყისში ვრცელდებოდა ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ანუ მოიცავდა იბერიის თემის (ისტორიული არიან-ქართლის) მიწა-წყალს, განვიხილოთ ლიტერატურა ძველთაგანვე იქ მცხოვრებ ტომთა ისტორიისა და ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში, როგორც აღინიშნა, მოიცავდა ქალდიისა და იბერიის თემების მნიშვნელოვან ნაწილს.

იბერიის თემიდან (ტაო, ბასიანი, კარინი და სხვა ოლქები) იყვნენ ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეები იოანე, ექვთიმე და გიორგი მაშენებელ-მთაწმიდელები, თორნიკე ერისთავი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი და სხვანი, რომელთაც თანამედროვე სომეხი მეცნიერები მიიჩნევენ ეთნიკურ სომხებად (ქალკედონიტ სომხებად), უფრო მეტიც, მოსახლეობას აღნიშნული მხარეებისას მიიჩნევენ იმ სომხებად, რომელთაც მიიღეს ქალკედონიტური სარწმუნოება, რის გამოც თითქოსდა ისინი „გაქართველდნენ“. ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილიც იზიარებს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ აღნიშნული მხარეები ეთნიკური სომხების ისტორიული სამშობლო იყო და გვიან საუკუნეებამდე სომხებით იყო დასახლებული, სინამდვილეში კი, როგორც ქსენოფონტეს ცნობილი თხზულება „ანაბასისი“ უჩვენებს, ამ მხარეთა მომცველი ვრცელი ტერიტორია ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ქრისტეშობამდე დაახლოებით 400 წელს ბერძნების ათი ათასი კაცისაგან შემდგარმა ჯარმა გაიარა ის მიწა-წყალი, რომელთაც შემდგომში იბერიის და ქალდეას თემები მოიცავდა. ეს რეგიონი მდებარეობდა ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, რომელსაც, როგორც ითქვა, ისტორიულად სომხების მიწა-წყლად მიიჩნევენ, ჩვენი კვლევით კი ამ მიწა-წყალს იქ არმენიელთა დასახლებამდე არიან-ქართლი ერქვა.

ქსენოფონტეს ცნობით აღნიშნული ტერიტორია სომხებზე უფრო მეტად ქართული ტომებით იყო დასახლებული, მეტიც, სომხებით საერთოდ არ იყო დასახლებული არაქსის სათავეები და მისი ხეობის უდიდესი ნაწილი, ასევე შემდგომდროინდელი არზრუმის (კარინის), ყარსის (ვანანდის) და ბასიანის (ფასიანის) მხარეები, ჭოროხის სათავეები და შავი ზღვისპირეთი (ზიგანა-ტრაპეზუნტის მხარეც).

ქსენოფონტემ თავისი ჯარით გაიარა თანამედროვე დასავლეთ ქურთისტანის მთიანეთი, მივიდნენ მდ. ტიგროსის სათავეებთან (მისი შენაკადის მდ. ბითლის-სუს სათავეები), შემდეგ გაიარეს მდ. ევფრატის (მურად-სუს) მარცხენა შენაკადი მდ. ყარა-სუ (ტელებოასი), შემდეგ კარტევან-დაღის ქედის გადასასვლელით მიუახლოვდნენ ევფრატის სათავეებს, გაიარეს ვალაშკერტის ველი და მიუახლოვდნენ მდ. ფასისის (არაქსის) ველს, შემდეგ კი გაჰყვნენ ამ მდინარეს (ფასისს) სათავეებისაკენ. იქიდან შევიდნენ ტაოში (ტაოხების ქვეყანაში) და მივიდნენ ჭოროხის სათავეებთან, გაჰყვნენ ჭოროხს (ხალიბების ქვეყანაში), სადღაც თანამედროვე სოფ. ორჯოხთან გადალახეს იგი (თ. მიქელაძის თვალსაზრისით), შემდეგ კი მკვეთრად შეცვალეს მიმართულება და სამხრეთ-დასავლეთით განაგრძეს გზა, მიადგნენ თანამედროვე ზიგანას, აქედან შევიდნენ ტრაპეზუნტში, შემდეგ კი განაგრძეს მოგზაურობა ქ. კერასუნტამდე და კოტიორამდე (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, 1967, გვ. 33-54). ამ გზის გავლას 8-9 თვე მოუნდნენ.

ქსენოფონტემ თავისი ჯარით, თავისივე ცნობით, ბაბილონის ბრძოლის ადგილიდან კოტიორამდე სულ გაიარა 620 ფარასანგი ანუ 18600 სტადიონი (1 ფარასანგი უდრის 5 კმ-ს, ხოლო 1 სტადიონი – 179,2 მეტრს), მაშასადამე, გაუვლიათ 3100 კმ, მთელი ამ სამიათას კილომეტრიანი გრძელი გზის უმეტესი ნაწილი ბერძნებმა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე იარეს, საკუთრივ არმენიაში კი – შედარებით ნაკლები. კერძოდ, ბაბილონის ბრძოლის ადგილიდან ბერძნები ჯერ შევიდნენ კარდუხთა ქვეყანაში, აქედან არმენიაში, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა, აღმოსავლეთ არმენია ტიგროსის ზემო წელზე მდებარეობდა, მას ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს დარიოსის მეთვრამეტე სატრაპიად, იქ სომხებთან ერთად ქართულ ტომად მიჩნეული ჰესპერიტებიც (ანუ ჰეროდოტეს სასპერებიც) ცხოვრობდნენ. დასავლეთ არმენია კი აღმოსავლეთ ევფრატის (თანამედროვე მურად-სუს) აუზში მდებარეობდა. თ. მიქელაძის აზრით დარიოსის მე-18 სატრაპიას დასავლეთ არმენია შეესაბამება, რადგან დასავლეთ არმენიის სარდალი ტირიბაზი ჰესპერიტებსაც მართავდა (იხ. იქვე, გვ. 123). ფასიანებიც აქვე ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელთა ქართველობა ჩვენი ავტორების მიერ აღიარებულია. აღნიშნული ტირიბაზის ჯარიც ქართველ ტომთა მიერ ივსებოდა. ტირიბაზს დაქირავებული ჰყავდა ხალიბები და ტაოხები. არმენიის გადალახვის შემდეგ ბერძნები შევიდნენ ტაოხების, ხალიბების, სკვითინების, მაკრონების, კოლხების, დრილების, მოსინიკების, ტიბარენების ქვეყნებში. ტრაპეზუნტი – კოლხეთის ქვეყანაში მდებარეობდა.

აქედან ვიდრე არმენიამდე უვრცელესი მიწა-წყალი, რომელსაც, როგორც აღინიშნა, შემდგომში ქალდიასა და იბერიის თემები ეწოდა, დასახლებული იყო ქართული ტომებით.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბაბილონიდან არმენიამდეც, კერძოდ, ქურთისტანის მთიანეთში, ქართველებად მიჩნეული კარდუხთა ტომი ცხოვრობდა. სწორედ მათ შეხვდნენ პირველად ქსენოფონტეს ბერძნები. კარდუხების ქვეყანას არმენიისაგან გამოყოფდა მდ. კენტრიტი (თანამედროვე ბოხტანჩაი). ქსენოფონტე მათ კარდუხებს უწოდებს, პლუტარქე (და სხვა ზოგიერ-

თი მწერალი) კი გორდუენებს. ევსევი კესარიელის ცნობით ნოეს კიდობნის ნაშთები კორდუების მთებში მოიპოვებოდა. ამ სიტყვების (კარდუხი, გორდუენი) ფუძისეული ფორმა არის კარდუ, გორდუ, კორდუ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით სახელწოდება „ქართველი“ „კარდუ“ სიტყვისაგანაა მიღებული. იმავე აზრს გამოთქვამდა ნ. ადონცი (იქვე, გვ. 117). ამ სიტყვის მაწარმოებლები „ხი“ და „ენ“ სუფიქსები სადაურობისა და კრებითობის აღმნიშვნელები არიან (კახი, კოლხი, ჯავახი – ჭანი, ზანი, სვანი, ფასიანი, მაკრონი, ტიბარენი, სკვითინი). გ. მელიქიშვილის აზრით კარდუხები მუშქების ერთ-ერთი ტომი იყო, კერძოდ, კარდუხების – გორდუენების სახელწოდებას უკავშირებს ფრიგიის დედაქალაქის სახელს „გორდიონი“ და ფრიგიის დინასტიურ სახელს „გორდია“ (იქვე, გვ. 119). ჩვენი აზრით ქართველთა სახელწოდებებში (ქართველი, მეგრელი, გურული, მარგველი, „გურჯ“, „გეორგიენ“) ფუძეები „გრ“ – „რგ“ იმავე წარმოშობისაა.

როგორც ითქვა, დასავლეთ არმენიის შემდეგ ბერძენთა ჯარი ფასიანთა ქვეყანაში შევიდა – არაქსის სათავეებთან. საქმე ისაა, რომ ქსენოფონტი და სხვა მრავალი ბერძენი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტის ჩათვლით ფასისს უწოდებდა არაქსს. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ ჭოროხსაც ფასისს უწოდებდნენ ისე, როგორც სხვა რამდენიმე მდინარეს. არაქსის ხეობის ფასიანებს თ. მიქელაძე კოლხურ ტომად მიიჩნევს. ფასიანების ქვეყანას ქართულად ბასიანი ერქვა (ლაზიკის ეპარქიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი ბასიანსაც მოიცავდა). თუ ფასიანელები კოლხური ტომი იყო, ლაზიკად სახელდება შემდეგ საუკუნეებში ვრცელი მიწა-წყლისა ტრაპეზუნტიდან ვალაშკერტის ჩათვლით მოულოდნელი არ არის.

თ. მიქელაძეს კოლხური ეთნიკური ელემენტის ბუდედ მიაჩნია არა დასავლეთ საქართველო, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და წერს „ანტიკური წყაროების აიეტის სამეფოც იქაა საძიებელი. ჭოროხისა და ფასის-არაქსის სათავეებთან კოლხური ტომის ფასიანების არსებობა კიდევ ერთი მძლავრი საბუთია ამ მოსაზრების სასარგებლოდ (თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 127).

შავ ზღვაში შემდინარე რამდენიმე მდინარესაც, როგორც ითქვა, ფასისი ერქვა. ბერძნული წყაროების მიხედვით მდინარე ფაზისი მძლავრად შეედინებოდა ზღვაში, თითქოსდა ის „ვარდებოდა ზღვის წყალში“. ფასისს ბერძნები აღწერდნენ არა როგორც ჭაობის მდინარეს, რომელიც მდორედ და მძიმედ შეედინება ზღვაში, როგორც ვთქვათ, მდ. რიონი, არამედ ჭოროხის მსგავს მთის მჩქეფარე, წყალუხვ მდინარედ. ერთი ბერძენი ავტორი წერდა **„არგო ახლა ფასისში დგას... რაოდენი ძალა აქვს მის ვარდნას პონტოში“** (იქვე, გვ. 126). თ. მიქელაძის განმარტებით სიტყვა ფასისი ბერძნულიდან შემოსულა ქართულში. ფასისი, ბერძნული „ღმერთის“ სახელი იყო, მის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა კოლხი. ძვ.წ. III ს. ალექსანდრიელი მეცნიერის მნეასის თქმით **„კოლხებმა თავისი სახელი მიიღეს კოლხისაგან, რომელიც ფასისის ვაჟი იყო“** (იქვე, გვ. 126). მაშასადამე, ფასიანების სახელი კოლხებს უკავშირდება, კოლხების ეთნობუდე, თ. მიქელაძის თქმით, როგორც აღვნიშნეთ, იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მას თ. მიქელაძე ამატებს ფასის-

არაქსის სათავეებსაც, ე.ი. ფასიანთა ქვეყანას (ისტორიულ ბასიანს). ბასიანი ამასთანავე მესხების ქვეყანა იყო. ანუ კოლხები და მესხები ერთ ეთნოსად წარმოისახა. ჩანს, ამიტომაც ქსენოფონტემდეც ჰეკატოს მილეტელი მესხებს კოლხურ ტომად მიიჩნევდა. ბასიანელებს, ისევე, როგორც მათ მეზობელ ტაოელებს როგორც სომხები, ისე ბერძნები VII-X საუკუნეებში ივერებს (იბერებს) უწოდებდნენ. ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ წინარე ქართველების დიფერენციაცია დღეს ცნობილ ქართლ-კახელებად და მეგრელებად მოხდა მოგვიანებით ეპოქაში, კერძოდ, პირველ ათასწლეულში. მანამდე ისინი ეთნიკურ ერთობას ქმნიდნენ. მაშასადამე, არ მომხდარა „თუბალ-კაინური ტომების“ (მეგრელების) ქართიზაცია, როგორც ნ. მარი ფიქრობდა, რადგანაც ზოგადქართული ეთნიკურ-ეროვნული ერთობის დიფერენციაცია გვიან საუკუნეებში დაიწყო. ამას უნდა მიუთითებდეს პროკოფი კესარიელის ცნობები ლაზების ქართულენოვნების შესახებ (მაგალითად, ლაზური სიტყვა „ქუთათისი“, სინამდვილეში ძველი ქართულია). მაშასადამე, კოლხები ისეთივე ფრიგიელი წარმომავლობის (ე.ი. მესხური) ტომია, როგორც ვთქვათ, კარდუხები. მაშასადამე, ლაზიკის ანუ ივერიის თემის ძირითადი ეთნოსი იყო ქართველობა (ჯერ კიდევ არადიფერენცირებული) და არა სომხები, თუმცა კი ფასიანების ქვეყანას ქსენოფონტეც არმენიის ნაწილად მიიჩნევს. მაშასადამე, ფასიანების ქართული ტომი ქრისტეშობამდე მოექცა პოლიტიკურ არმენიაში, თუმცა კი თავისი ეროვნულ-ქართული იდენტობა გვიანობამდე შეინარჩუნა.

ფასიანების შემდეგ ბერძნების აღნიშნული ჯარი ტაოხების ქვეყანაში შევიდა, ანუ შემდგომდროინდელ ტაოში. „ხ“ – მრავლობითობის მაწარმოებელია, ტაოელებს ანუ ტაოხებს ურარტუელი წყაროებიც იცნობენ დიაუხის სახელით. ძალზე საინტერესოა, რომ თ. მიქელაძის თვალსაზრისით აია-კოლხეთის ქვეშ, შესაძლოა, დიაუხის გაერთიანება იგულისხმება. **„მხარის ტოპონიმიკამ და არგონავტების მითის ანალიზმა დაგვასმევინა საკითხი იმის შესახებ, რომ, ერთი მხრივ, არგონავტების მითში აიეტის სამეფოს სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ჰეროდოტესთან აია-კოლხეთის სახით დაიაენის გაერთიანება ხომ არ აირეკლა. გ. მელიქიშვილმა ტაოხები ჰესპერიტებს დაუკავშირა“** (იქვე, გვ. 128).

ჩვენი თვალსაზრისით ქართული წყაროების არიან-ქართლის ქვეშ იგულისხმებოდა ტაო-ბასიანის მხარეები, არიან-ქართველთა მეფის ძეს „აზონი“, „აზო“, „აზოვე“ ერქვა, ანუ აია-კოლხეთის სახით ტაოს ქვეყნის ასახვის შესაძლებლობები იზრდება იმით, რომ არგონავტების მეთაურსაც იგივე სახელი „იაზონი“ ერქვა. რაც ალბათ შორეული გამოძახილია, არეკლილი ქართული წყაროების მიერ. თ. მიქელაძის აზრით ჰესპერიტები მდ. ტიგროსის სათავეებთან (სისპირიტში) ცხოვრობდნენ, ამიტომაც არ ეთანხმება გ. მელიქიშვილს, რომ ტაოხები იგივე ჰესპერიტები არიან. დიაუხის ანუ დაიაენის გაერთიანება სამხრეთით თანამედროვე ერზრუმამდე ვრცელდებოდა. **შემდეგშიც ქართული ტომები აქვე ცხოვრობდნენ**. ქსენოფონტე იხსენებს, რომ ტაოხები, ხალიბები და ფასიანები ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. ეს მომხდარა მდ. არაქსთან (ფასისთან) ახლოს (იქვე, გვ. 79).

ტაოხების შემდეგ ქსენოფონტეს ჯარი მდ. ჰარპასოსთან (თ. მიქელაძის აზრით ჭოროხთან) ხალიბების ქვეყანაში შესულა (იქვე, გვ. 41). ხალიბები რკინის მწარმოებლობით განთქმული ქართული ტომი იყო.

იქიდან სამხრეთისაკენ შემობრუნებული ბერძნები სკვითინების ქვეყანაში შესულან. თანამედროვე ქ. ბაიბერდთან ახლოს ყოფილა სკვითინების დედაქალაქი გვიმნიასი. თანამედროვე ზიგანას უღელტეხილიდან ბერძნებს ზღვა დაუნახავთ.

ზიგანასა და ტრაპეზუნტს შორის ბერძნები მაკრონების ქვეყანაში შესულან. ივ. ჯავახიშვილი მაკრონთა სატომო სახელს უკავშირებდა ეთნიკურ ტერმინებს მარგალი, მეგრელი. მართლაც, ძველი ქართული წყაროები ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ ტრაპეზუნტის სანახებს უწოდებენ „სოფელი მეგრელთა“, შესაძლოა, ბერძნულ წყაროში ეწერა „ქვეყანა მაკრონებისა“, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა „ლაზიკა“ ქართულში ითარგმნებოდა, როგორც „სოფელი მეგრელთა“. სტრაბონის დროს მაკრონები სანების სახელს ატარებდნენ (სტრაბონი, XII, 3, 18). აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტეს მიხედვით სხვადასხვა ტომები იყვნენ კოლხები და მაკრონები. კოლხები ტრაპეზუნტიდან ორდუმდე კოტიორამდე ცხოვრობდნენ, დ. მიქელაძის აზრით მაკრონებისა და კოლხების ქვეყნებს ერთმანეთისგან მდ. მაჩკა-დერე ჰყოფდა (თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს ანაბაზისი, გვ. 44).

კოლხების ქვეყანაში ტრაპეზუნტის გარდა კერასუნტიც მდებარეობდა. ორივე ქალაქი სინოპის კოლონიად ითვლებოდა. კერასუნტი თანამედროვე გირესუნად მოჩანდა. კერასუნტის სამხრეთით სტრაბონის სიტყვით ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა კონცხი იაზონია (იქვე, გვ. 46), რაც მიუთითებს, რომ არგონავტების მითის კოლხიდა უფრო ტრაპეზუნტის მხარეებისაკენ ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია საძიებელი, ე.ი. იქ, სადაც ქსენოფონტეს დროს კოლხები ცხოვრობდნენ და არა დასავლეთ საქართველოში. თ. მიქელაძე წერს, რომ ქსენოფონტეს ცნობა კოლხების ქვეყნის ტრაპეზუნტ-კერასუნტის რეგიონში არსებობის შესახებ უეჭველია, რადგანაც ეს თავისი თვალით იხილა მან (იქვე, გვ. 135). იყვნენ მთიელი კოლხებიც, ისინი ბერძნებს შეებრძოლნენ (იქვე, გვ. 138), მათი მეზობლები იყვნენ დრილები, ქართული ტომი, რომლის სახელი უნდა ჟღერდეს „თრიალეთის“ სახელში. შესაძლოა როგორც კოლხები, ისე დრილებიც უფრო ჩრდილოეთით გადასახლდნენ შემდეგ საუკუნეებში. მათ გარდა ჩრდილოეთით, თ. მიქელაძის აზრით, გადასახლებულან სვანებიც, ბერძნები დრილების შემდეგ მოსინიკებს შეხვდნენ. „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „მო-სინ“ სახელი გადმოცემდეს სვანურ სახელს, „არის მასალა, რომელმაც შეიძლება სვანების სამხრეთიდან მოსვლა დაგვიდასტუროს“ (იქვე, გვ. 138). ბოლოს ბერძნები ტიბარენებს შეხვდნენ, მეგრელ-ჭანურ ტომს თ. მიქელაძის აზრით, თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ იბერებთან აკავშირებს. აქედან ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერები და მეგრელ-ჭანები ერთი ეთნოსი, გაუდიფერენცირებელი ერთიანი ხალხი იყო ქსენოფონტეს დროს, თუმცა კი ტომებად დაყოფილი. უფრო ადრე თუბალ-ტაბალებად ცნობილი ტიბარენების სომხეთში განსახლების საზღვარი მდ. თერმე-ჩაიმდე აღწევდა. ეს უნდა იყოს ცნობილი

თერმოდონტი, სადაც თემესტიოსის სიტყვით, კიდევ ერთი ფასისი ყოფილა. აქ ქ. ფასისის აკადემიაში უსწავლია მას.

აქედან ჩანს, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, ქსენოფონტეს ცნობით, უმეტესად ქართული ტომები ბინადრობდნენ, რომელნიც პოლიტიკურად არმენიაში შედიოდნენ. თუმცა არმენია სპარსეთის სამეფოს ერთ-ერთ ოლქს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ X საუკუნეში ტაოელი, ბასიანელი და მიმდებარე ადგილების ქართველები მოქირავნეების სახით მსახურობდნენ ბიზანტიურ ჯარში (იხ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა XI ს-ში), მსგავსადვე, ქსენოფონტეს ეპოქაშიც „ქართველი ტომების ერთი ნაწილი აქემენიდური სპარსეთის ჯარში მოქირავნეებად მსახურობდა“ (თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 57).

ქართველ ტომთა ერთიანობის შესახებ უნდა მიუთითებდეს მათი სატომო სახელების ფუძეების იდენტურობა. მაგალითად, კარდ (კარდუხები), ხალდ, ქალდ (ხალდები).

ხალიბების ჭანური ტომი, თ. მიქელაძის აზრით, ცხოვრობდა მდ. ჰალისის აუზიდან მდ. ჭოროხამდე. მდ. კელკიტი და არა მდ. რიონი უნდა იგულისხმებოდეს იმ მდინარე ფასისად, საითკენაც გაცურვა ისურვეს ბერძენმა ჯარისკაცებმა, რათა დაეპყროთ ფასიანთა ქვეყანა, სადაც „მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა“ (იქვე, გვ. 113). მდ. კელკიტის ახლოს იყო ცნობილი თერმოდონტი, სადაც თემესტიოსის სიტყვით, კიდევ ერთი ქ. ფასისი ყოფილა. ეს მეორე მდ. ფასისი მდ. კელკიტი უნდა იყოს. მასზე მდებარე ქალაქსაც ფასისი ერქვა, ხოლო მასზე მცხოვრებ ხალხს – „ფასიანები“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია**, რომლის იურისდიქცია იბერიის თემზეც განივრცო,** ისტორიულად ქართველებით იყო დასახლებული, რომელთაც ეთნიკურ-ეროვნული ვინაობა შეუნარჩუნებიათ საუკუნეთა მანძილზე, ამიტომაც უწოდეს ბიზანტიელებმა მის ნაწილს XI ს-ში „იბერიის თემი“.

ლაზები გ. გოზალიშვილის მიხედვით

„**ყველა ქართველი ტომის სამშობლო... ქალდია იყო**“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართ. ერის ისტ. 1951, ტ. I, გვ. 424).

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის ქ. სინოპეს რეგიონი დასახლებული ყოფილა ხალიბებით, რომელნიც აქ, ძირითადად, მეტალურგები იყვნენ.

„სტეფანე ბიზანტიელის მიერ ჩამოთვლილ ოთხ საუკეთესო ჯიშის ფოლადს შორის ორი აღინიშნება სახელწოდებით – ხალდური და სინოპური“ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 22).

ზღვისპირზე ხალიბების ქალაქები ყოფილა სტამენა (ჰეკატე მილეტელის ცნობით) და გენეტი (სკილაქს კარიანდელი), მოსინიკების ქალაქი ყოფილა

ნავსადგური ზეფირიუსი. თუმცა კი ყველა ზღვისპირა ქალაქი ბერძნულად (ელინურად) ითვლებოდა, მათ შორის ქ. ფაზისი და ქ. ტრაპიზონი.

I ს. მწერალი პონპონიუს მელა წერს – **„პაფლაგონიელების მეზობელ ხალიბებს აქვთ ქალაქები ამისოსი და სინოპე, აგრეთვე ხალიბებისაა მდ. ჰალისი და თერმოდონი“** (იქვე, გვ. 27).

ხალიბები პაფლაგონიის ტომადაც კი ითვლებოდა. ძველი წელთაღრიცხვის III ს-ის ავტორის ლიკოფონის სქოლიასტი წერს – **„არის პაფლაგონიაში ტომი ხალიბები, რომელთაგანაც, როგორც ჩანს, პირველად იქნა მოპოვებული რკინა“** (იქვე, გვ. 33). ქსენოფონტე სინოპესაც პაფლაგონიაში ათავსებდა – **„სინოპელები პაფლაგონიაში ცხოვრობენ“** – წერდა ის (იქვე, გვ. 34).

ჰომეროსიც ხალიბებს პაფლაგონიელების მახლობლად იხსენიებს – იქ ვკითხულობთ – **„უძღოდნენ ჰალიძონთ კვალად ოდიოსი და ეპისტროფე შორეული ალიბების მხრიდან, სადაც ვერცხლის სამშობლოა“** (იქვე, გვ. 38).

სიტყვა „ამაზონი“ – სტრაბონის ცნობით, სიტყვა „ჰალიზონიდან („ჰალიძონი“) ყოფილა წარმოშობილი. ს. ყაუხჩიშვილის დასკვნით – „ჰალიძონებში იგულისხმებიან ის ხალიბები, რომელნიც ძველთაგანვე ლითონთა დამუშავებით იყვნენ ცნობილნი“ (იქვე, გვ. 39).

ხალიბები მდინარე ჰალისთან ანუ გალისთან (**ღალისთან**) ცხოვრობდნენ, მის მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა მათი საცხოვრისი. გ. გოზალიშვილის თვალსაზრისით კი, ხალიბები მდ. ჰალისის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ, რომ ეს მდინარე მათ ქვეყანაში გაედინებოდა (იქვე, გვ. 42). სტრაბონის **ცნობით კი მრავალრიცხოვანი ხალიბები ცხოვრობდნენ როგორც ზღვის პირზე, ისე „შუა ხმელეთზე“, ე. ი. მცირე აზიის შიგნით (**იქვე, გვ. 44). ე.ი. როგორც სინოპესთან, ისე „ხმელეთის შიგნით“. ისინი ასევე თერმოდონტანაც ცხოვრობდნენ – ოღონდ სხვისი ქვეშევრდომობის ქვეშ.

„ხმელეთის შიგნით“ მოსახლე ხალიბები ძლიერ ხალხად ითვლებოდა, როგორც ითქვა, ეს ხალიბები ჰომეროსთან „ჰალიძონებად“ იხსენებიან, ზოგჯერ სტრაბონი მათ ალაზონებს უწოდებს. სიტყვა ალაზონიდან უნდა იყოს წარმოშობილი სიტყვა ლაზი, რომელიც ამ მხარეთა მოსახლეობას ერქვა უძველესი ხნიდანვე (ალაზ-ონი=ლაზი).

ჰომეროსის ცნობით ალიბების ქვეყანაში ვერცხლის საბადო მოიპოვებოდა. მართლაც, ქალდეას თემში, რომელიც ძირითადად ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიას მოიცავდა, მოიპოვებოდა ვერცხლი და მის დედაქალაქსაც კი „არგიოკასტრონი“ ერქვა (ანუ ვერცხლის ქალაქი).

ტროას ომში მონაწილე ხალიბების ანუ ალიბების (ალიზონების) წინამძღოლი ყოფილა – ოდიოსი, ოდი კი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაების სახელი ყოფილა (იქვე, გვ. 47). მრავალი მკვლევარი დაასკვნის, რომ ჰომეროსის „ალიბე“ და შემდგომი „ხალიბე“ – ერთი და იგივეა (იქვე, გვ. 63) **ალიბებს კი ასევე ალაზონები ერქვა, საიდანაც, როგორც ვთქვით, წარმოშობილი უნდა იყოს შემდგომში აქ გავრცელებული სატომო სახელი „ლაზი“, მაშასადამე, ლაზები – ხალიბების შთამომავლები ყოფილან, და ლაზების თავდაპირველი სახელი – ხალიბები ყოფილა**.

ანტიკური ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ ხალიბების ერთი ნაწილი ზღვის სანაპიროსთან ცხოვრობდა, მეორე კი სამხრეთით, მთიან რაიონებში ჭოროხის სათავეებთან (იქვე, გვ. 64).

ზღვისპირა ხალიბები ერთ დროს, ქსენოფონტეს ცნობით, მოსინიკებს ემორჩილებოდნენ და რკინას (ან ვერცხლს) ამუშავებდნენ მძიმე შრომით, მაგრამ შუა ხმელეთის ხალიბები კარგი მეომრები იყვნენ, მაგალითად, სპარსელთა სარდალ ტირიბაზს ისინი თავის ჯარში ჰყავდა დაქირავებული, „ხალიბები და ტაოხები“ ქსენოფონტეს ბერძენთა ჯარს შეებრძოლნენ.

ძველთაგანვე ტაოხები ყველაზე უფრო მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნიდა სამხრეთ კავკასიაში დიაუხის ეპოქაში, ხალიბები მათი თანაფარდი დიდი ტომი ყოფილა (იქვე, გვ. 66). ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანნი და ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი ქსენოფონტეს ცნობით. სპარსელთა ქვეშევრდომობა თავიდან აუცილებია ზოგიერთ ქართულ ტომს, ქსენოფონტე წერს – **„კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კეტები და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან“** (იქვე, გვ. 70).

იმ აზრს, რომ ხალიბები მრავალრიცხოვანი მეომარი ტომი იყო იზიარებს სტრაბონი, ამიტომაც, როგორც ითქვა, უეჭველ ფაქტად თვლიდა, რომ ჰომეროსი იხსენიებს ხალიბებს თავის კატალოგში – „ალიძონების“ სახელით პაფლაგონიელების შემდეგ (იქვე, გვ. 72).

აპოლონიოს როდოსელი ხალიბთა მიწას „უსაზღვროს“ უწოდებს (იქვე, გვ. 72). **ხალიბთა ვრცელი სამთავრო ორად გაყო არმენიელთა შემოჭრამ მათ მიწა-წყალზე. „ხალიბთა სამყარო შეიზღუდა და გაითიშა“** (იქვე, გვ. 74).

ხალიბებს ასევე ხალდები – ქალდები ერქვათ. ქრისტეშობამდე **VII ს-ში** შავი ზღვისპირეთში მუშკების ტერიტორიის ჩრდილოეთით ხალდების (ქალდების) მსხვილი გაერთიანება ჩამოყალიბებულა (იქვე, გვ. 74). ის იხსენიება ასურულ წყაროებში.

ხალდების ჩრდილოეთით შავი ზღვა იყო გადაჭიმული, სამხრეთით კი ისინი არზუმამდე აღწევდნენ, თუმცა სხვა წყაროებით პარიადრეს მთის კალთებზეც ცხოვრობდნენ. მათ გაერთიანებას „**ხალიტუ**“ ერქვა. გ. მელიქიშვილი შენიშნავს – **„ხალდი“ შეიძლება იყოს „ქართუ“-ს დიალექტური ვარიანტი და მომდინარეობდეს უძველესი, ჯერ დაუნაწევრებელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან“** (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 78).

ქალდები და ხალდები ერთი და იგივე ხალხი იყო სტრაბონის ცნობითაც (იქვე, გვ. 78).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ი. დიაკონოვის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ ხალიბები იგივე ლაზი ხალხია და ხალიბები ლაზების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ჩვენც ასევე მივიჩნევთ და მოგვყავს ძველ ავტორთა ცნობები ამის სამტკიცებლად.

კერძოდ, „ი. დიაკონოვი ხალიბებზე წერს: **„პიოტროვსკიმ დაამტკიცა, რომ ხალიბები არიან ან იბერიული ხალხი სანები (ჭანები) ანდა ლაზები“** (იქვე, გვ. 79).

პიოტკოვსკის ეს მოსაზრება გამოუთქვამს წიგნში **„პონტოსპირა ხალდები და ურარტუ“ (1940, ასევე წიგნში „ ურარტუს ისტორია და კულტურა“ (გვ. 326-331), (იქვე, გვ. 79).**

მაშასადამე, **ი. დიაკონოვისა და პიოტროვსკის აზრით ხალიბები იგივე ლაზები არიან.**

ი. დიაკონოვის თვალსაზრისით ხალიბები ლაზების წინაპრები არიან. როგორც აღინიშნა, თვითონ სიტყვა „ალაზონი“, რომელსაც ხალიბებს სტრაბონი უწოდებს იძლევა საშუალებას მისგან მიღებული იქნას სიტყვა – ლაზი შემდეგი გზით – „ალაზ-ონი“ (ონი სუფიქსია) – ალაზ=ლაზ.

როგორც აღვნიშნეთ, ი. დიაკონოვისა და პიოტროვსკის აზრით, ხალიბები და ლაზები ერთი ხალხი იყო (И. М. Дьяконов, Заметки урартской эпиграфике. с. 111; VI, 52. „Эпиграфика Востока“, VI, 52. Пиотровский, Припонтийские Халды и Урарты, „Краткое сообмение инс. матер. культуры Ак. Наук. СССР“, V, 1940, მისივე, История и культура Урарту, с. 326-331).

მათ მოსაზრებას გ. გოზალიშვილი ეთანხმება, ამიტომაც მათი თვალსაზრისი მოიყვანა თავის წიგნში (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 79).

თვალსაზრისი, რომ ხალდები და ლაზები ერთი ხალხია ჩემი ნაშრომისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის მიუთითებს, რომ **ლაზები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ სინოპ-ტრაპეზუნტის (ტრაპეზუსის) რეგიონში, მის სამხრეთის მთიანეთში. ეს მოსაზრება კარდინალურად განსხვავდება საბჭოთა ეპოქის ქართველი ისტორიკოსების მტკიცებისაგან, რომ ლაზები თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ და შემდეგო, კერძოდ VIII საუკუნისათვის (არაბობის ეპოქაში) გადასახლდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთში. ჩვენ კი ვამტკიცებთ და ამ მტკიცებას ვუძღვნით ასეულობით გვერდს, რომ ლაზები თავდაპირველადვე ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში, იქვე მდებარეობდა ლაზთა საეპისკოპოსო კათედრები VI საუკუნიდანვე, ზიგანასი, საისიანისა, როდოპოლისისა და პეტრასი (და არა დასავლეთ საქართველოში).** საბჭოთა ეპოქის ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისი, რომ ლაზების თავდაპირველი საცხოვრისი იყო დასავლეთ საქართველო, აღიარებული იქნა საისტორიო მეცნიერების მიერ და თვით ამჟამინდელი უცხოელი მკვლევრებიც კი თვლიან, თითქოსდა, ლაზები არაბობის ეპოქაში გადასახლდნენ რიონის აუზიდან სამხრეთით და დამკვიდრდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთში (მაგალითად, კარპოვი და სხვები). მაგალითად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიების ერთ-ერთი თანამედროვე ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ რიონის ხეობიდან ლაზების სამხრეთით გადასახლების გამო როდოპოლისის კათედრა თანამედროვე ვარციხიდან გადატანილი იქნა ტრაპეზუნტის მთიანეთში, ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ ლაზები თავდაპირველადვე ცხოვრობდნენ ამ მთიანეთში და შესაბამისად, ლაზიკის ეპარქიის როდოპოლისისა და სხვა კათედრები თავდაპირველადვე მდებარეობდა ტრაპეზუნტის მთიანეთში და მათ ფუნქციონირება შეწყვიტეს თეოდოსიოპოლისი-ტრაპეზუნტის მხარეებში არაბობის შეტევის შემდეგ.

გ. გოზალიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ეთანხმება თვალსაზრისს ხალიბებისა და ლაზების იგივეობის შესახებ და წერს – **„ჰომეროსის ჰალიძონები**

უნდა ნიშნავდეს ზანებს – ჭანებს, სტრაბონის მოწმობით, რომ ჰომეროსი „ალიზონებს უწოდებს ხალიბებს“ (სტრაბონი, XII, III, 20), რომ ხალიბები და ხალიბთა მოსახლეობა შავი ზღვის სანაპიროზე და მცირე აზიის გარკვეულ რაიონებში ძველადვე არსებობდა, ამის დამადასტურებელია თვით მდ. ჰალისის სახელწოდება და ის ფაქტი, რომ აქაურ ხალხთა შორის იხსენიება ხალხი ალიწა (იქვე, გვ. 79).

მაშასადამე, ხალიბები და ლაზები ერთი ხალხი იყო. ზღვის სანაპიროს ხალიბები ძველ წყაროებში ხან ხალდებად და ხან ხალიბებად არიან მოხსენიებული“ (იქვე, გვ. 78). **ხალიბი, როგორც ითქვა, გ. მელიქიშვილის აზრით „ქართუს“ დიალექტური ვარიანტი ყოფილა და მომდინარეობდა უძველესი, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან** (Г. Меликишвили, Наири – Урарту, с. 411).

მაშასადამე, ხალიბისაგან მიღებულია სახელები ლაზი და ქართუ. აქედან გამომდინარე, ლაზი და ქართუ თავდაპირველადვე ერთი ხალხი იყო და ის ხალიბებისაგან მომდინარეობდა.

ხალიბები შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთიანი ეთნოსის სახით, რომელთა ტომები იყვნენ კარდუხები, ლაზები და შემდგომი ქართლის სამეფოს მოსახლეობა (ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ფარნავაზის ეპოქაში მომხდარა).

ა. სვანიძის აზრით მცირე აზიის თავდაპირველი მოსახლეობა იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი და ქართულ ტომებთან ეთნიკურ ერთგვაროვნებას ქმნიდა (А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, 1937, с. 30).

შემდეგ საუკუნეებშიც ზღვის სანაპიროს მთიანეთი კვლავ ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ანონიმური პერიპლუსით „პონტოს სამეფო დასახლებულია ტიბარენებით, სანიკებითა (ჭანიკებით) და კოლხებით. მისი მეზობელი მხარეები კი აგრეთვე ბარბაროსებს ეკუთვნით (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 82). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჭანები და კოლხები სხვადასხვა ტომები ყოფილან ტრაპეზუნტის რეგიონში (პონტოში). ნ. მარის ვარაუდითაც ქ. სინოპე ძველქართულ სამყაროს ეკუთვნოდა და შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროს სინოპიდან ანაპამდე ჭან-მეგრელებით დასახლებულად მიიჩნევდა“ (იქვე, გვ. 84).

მაქსიმოვას დასკვნით ორდუში (ყოფ. კოტიორა, რომელიც ამისოდან შორს არ იყო) და ანატოლიის სხვა რაიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები ანალოგიურია კოლხურ-ყობანურ კულტურის ნაშთებისა (იქვე, გვ. 85). ეს უნდა იყოს ხალიბების მეტალურგიული კულტურის ნაშთები, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალიბები ცხოვრობდნენ ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაშიც, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ხალიბების ანუ ქართველების სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია, როგორც ითქვა, ფარნავაზის ეპოქაში მომხდარა ქართლის სამეფოს მიწა-წყალზე – ეგრისწყალ-კლისურიდან ალბანეთამდე.

ბიზანტიელებმა იმ ტერიტორიას, რომლის ცენტრალურ ნაწილს ქ. ამისოსის ოლქი წარმოადგენდა – „ქალდიის თემა“ უწოდეს – ის შემდგომში

„ტრაპიზონის იმპერიად“ იწოდა. უფრო ადრე იქაური ქართული ტომები ასევე კოლხებადაც იწოდებოდნენ, ქრისტეშობამდე VI ს-შიც „მესხები კოლხურ ტომად“ იწოდებოდა ჰეკატოს მილეტელის მიერ.

მეშეხები წარმოადგენდნენ „გაბატონებულ ხალხს“ ჩრდილოეთ სირიაში, ტავრსა და კაპადოკიაში – ხახანოვის აზრით (А. Хаханов, Древнеишие пределы расселения грузин по малой Азии, 1903, Тифлис, с. 2). ელ. მაიერის აზრით „ბერძნული წყაროებით ტიბარენებს შემდგომში ეწოდათ კაპადოკიელები და კატაონები“ (გ. გოზალიშვილი, გვ. 93).

მისივე აზრით, მესხები და ტიბარენები ამ რაიონის ძირითადი მოსახლეობა ყოფილა, ხოლო რავლინსონის აზრით „**მოსოხები წარმოადგენდნენ (**კაპადოკიის) **მოსახლეობის სუბსტრატს კლასიკურ ეპოქაში“**(იქვე, გვ. 93). „მდ. ჰალისისპირა მოსახლეობას ჰალიძონებად – ჰალისის ჭანებად იცნობდნენ“ – წერს გ. გოზალიშვილი (იქვე, გვ. 94).

მცირე აზიის ტერიტორიაზე დღემდე შემონახული ტოპონომიკური მასალა მხოლოდ ქართულის საშუალებით იხსენება (იქვე, გვ. 98).

„ტრაპზონის რეგიონი ლაზების უძველესი სამშობლო იყო. ამ ქალაქს ლაზები ტრამტრას (ტამტრას) უწოდებდნენ“ (იქვე, გვ. 99).

ალ. სვანიძის აზრითაც ჰალიძონები და ზანები ერთი ხალხი იყო, რომლებიც მდ. გალისთან (ჰალისთან) ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 101).

სპარსეთის XIX ოლქში მცხოვრები მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები ერთნაირად იყვნენ შეიარაღებული – ერთობას ქმნიდნენ (იქვე, გვ. 115).

ალაზონების სახელს სტრაბონი ამაზონებს უკავშირებდა. შესაძლოა ეს მეომარი ქალების ტომი – ხალიბური წარმოშობისა იყო, ჩანს, ამ ტომის სახელი „ქალდ“ ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქალს“ დაუკავშირეს უცხოელებმა – „ქალდ-ქალ“, „ქალ“ კი ქართულად დედაკაცს აღნიშნავს. ამაზონები მოსინიკებისა და ხალიბების გვერდით ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 119).

ამაზონები მდ. თერმოდონტთან ცხოვრობდნენ, თემისკირა – ამისოსის რაიონში (იქვე, გვ. 127).

სიცილისა და გართობის მოყვარული ტიბარენებიც ხალიბების მეზობლები იყვნენ (იქვე, გვ. 119).

გ. გოზალიშვილს მოჰყავს იოანე ცეცეს (XII ს.) ცნობა, რომ ამ მხარეებში მცხოვრები „კოლხები – ლაზებად იწოდებიან“ (იქვე, გვ. 120). მაშასადამე, კოლხებიც ხალიბურ-ქალდური ტომი იყო. მესხები, როგორც ითქვა, თავის მხრივ „კოლხური ტომი“ იყო მეგასთენეს ცნობით. იქ მცხოვრები ტომები ერთი ეთნოწარმოშობისა იყო, მაგრამ მათ ტრაპეზუნტის რეგიონში ვერ შეძლეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია.

გ. გოზალიშვილი დასკვნით – „ერთ ენაზე მეტყველი ეს მასა (ე.ი. ქართული ტომები), რომელთა სამხრეთი ფრთა ეჭირათ მოსხებს, დიდ სივრცეს მოიცავდა, „**პარიადრეს ფრთა ეჭირათ მათ მოძმეებს – ხალიბებს, რომელნიც შემდგომში ჭანებისა და ლაზების სახელით იყო ცნობილი**“ (იქვე, გვ. 3).

გ. გოზალიშვილი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ლაზები თავდაპირველადვე სინოპ-ტრაბზონის რეგიონში ცხოვრობდნენ და ისინი ხალიბები იყვნენ და ისინი ჰეროდოტეს დროს სასპეირებად და კოლხებად იყოფოდნენ.

სასპეირების სახელს „სპერ"-თან აკავშირებენ.

სპერიდან – კაპადოკიის ჩათვლით ქართული ტომების უძველესი საცხოვრისი ყოფილა.

ანტიოქიის არქიეპისკოპოსი ევსტრატე, რომელიც 390 წელს გარდაიცვალა, წერს – დაასახლეს „ობელმა – თობელები, ახლანდელი იბერები. ოსოხმა – მესხენები, ახლანდელი კაპადოკიელები" (იქვე, გვ. 161).

წმ. ექვთიმე მთაწმიდელი (963-1028), წმ. მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.) ნაშრომზე დაყრდნობით ახსენებს ქართულ ტომებს – „ჰერნი, მეგრელნი (ლაზოი), ტიბარელნი, კოლხელნი" (იქვე, გვ. 164).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით კაპადოკიელთა პირველი წინაპარი „მოსხი" (მესხი) ყოფილა (იქვე, გვ. 165).

მდ. გალისი (ჰალისი) მუშკების საცხოვრისი იყო უძველეს დროს, ამავე მდინარეზე, როგორც ითქვა, შემდეგ ხალიბები ცხოვრობდნენ.

გ. გოზალიშვილი წერს – „ფ. ბილაბელის გამოკვლევით, ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ, მის აღმოსავლეთ ნაწილში – შემდგომში რომ კაპადოკია ეწოდა – შეიქმნა მუშკების სახელმწიფო ჰალისისა და ზემო ტიგრას შორის. კ. ბეტცი ამბობს, რომ „ძველი აღთქმის მეშეხი და თუბალი მუშკები (მოსხები) და ტაბალები არიან, რომლებიც კიმერიელთა შემოსევამ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ განდევნაო" (იქვე, გვ. 166).

რ. რეონჰარდის ვარაუდით **„დღევანდელი ქართველების წინაპრები ძველი მოსხები და ასურულ წყაროებში ცნობილი მუსკები ერთი და იგივენი არიან" (იქვე, გვ. 166).**

გ. ღაფანციანის აზრით ძვ. წ. XII საუკუნის შემდეგ მცირე აზიაში ბალკანეთიდან შეიჭრნენ ფრიგიელები, ლიდიელები, ლიკიელები და სხვა ტომები, მათ მიათვლიან ასევე მუშკებსაც (იქვე, გვ. 166).

მუშკები – ინდოევროპელი ტომი ყოფილა, ხოლო ქართული მესხები – კავკასიური. თუ მუშკები და მესხები ერთი და იგივე იყო, მაშინ ქართველები (მესხები) ინდოევროპელები ყოფილან.

გრ. ღაფანციანის აზრით, ეზეკიელის (592-570) ნახსენები მოსოხები და ტაბალები ქართული წარმოშობისანი იყვნენ (იქვე).

მუშკებისა და მესხების იგივეობის აზრს ეთანხმება ი. დიაკონოვი (იქვე, გვ. 167). თუმცა არც ამჟამადაა დამტკიცებული ეს აზრი. მხოლოდ ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მუშკები არა ფრიგიელები, არამედ მცირე აზიური ტომი იყო (იქვე, გვ. 168).

მუშკები ი. დიაკონოვის აზრით ასირელებისა და ურარტუელების მეზობლები იყვნენ, ბერძნები მათ ფრიგიელებს უწოდებდნენ (იქვე, გვ. 169).

მოსხების ქართველობას კარგად ადასტურებს **ქრისტეშობამდე VI ს. ავტორის ჰეკატოს მილეტელის ცნობა (ფრ. 188) – „მესხები – კოლხური ტომია, მატიენების მეზობლად ცხოვრობენ" (იქვე, გვ. 169).** თვით მატიენები

ქ. გორდიის მეზობლად ცხოვრობდნენ. „როგორც ცნობილია, ქ. გორდი ფრიგიის დედაქალაქი იყო“ (იქვე, გვ. 169). მესხების ტომი კაპადოკიის უძველესი მოსახლეობა ყოფილა და იქ ძველად ფრიგიის სამეფო მდებარეობდა.

მუშკებისა და მესხების იგივეობას არ ეთანხმება ს. კაკაბაძე – **„ასურელი მუშკაიები – განვაშოროთ ქართველ მესხებს“** („მნათობი“, 1963, #1, გვ. 187). ქართული მესხები კი კოლხური ტომი ყოფილა, როგორც ითქვა, ჰეკატოს მილეტელის ცნობით.

მდ. ჰალისზე – მუშკების ძველ საცხოვრისში, შემდგომ ჭანები (ხალიბები) ცხოვრობდნენ, ამიტომაც გ. გოზალიშვილი მათ აიგივებს. ხოლო მოვსეს ხორენაცი კაბადოკიასა და მის დედაქალაქს – მაზაკას უკავშირებდა იბერებსა და მის მმართველ მიჰრდატს.

სტრაბონი კაპადოკიის ნაწილს – მოსხიკეს უწოდებს. ასევე იოსებ ფლავიუსი, რომელიც წერს – „მესხები ახლა კაპადოკიელებად იწოდებიან“ (იქვე, გვ. 175). კაპადოკიაში ხეთების შემდეგ ხედავენ ტიბარენებს და მოსხებს, აქვე იყვნენ ეს ტომები IX-VII სს-ში. მუშკები მელეტინამდე და ტიგროსამდე ცხოვრობდნენ. ასევე მდ. ევფრატის სათავეებამდე ტაბალების მეზობლად. ტიბარენები სტრაბონის დროს მდ. ჰალისამდე ცხოვრობდნენ. კაპადოკიელი იყო წმ. ნინო და ასევე წმ. გიორგი.

მოსხების, ხალიბებისა და იბერების განსახლების არეალი ერთმანეთს ფარავდა. პონტოსპირეთისა ტრაბზონ-ვანის ტბისპირეთის არეალი თუ ერთი ავტორის მიერ ხალიბებითაა დასახლებული, მეორე ავტორი აქ მოსხებს ხედავს, მესამე ავტორი – იბერებს.

მაგალითად, პლუტარქე თავის „პომპეუსის“ ბიოგრაფიაში წერდა – **„კავკასიონის ქედის გარშემო მცხოვრებ ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესნი ალბანელები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს. ამ ტომების გავლით გაემართა პომპეუსი სომხეთიდან მითრიდატეს წინააღმდეგ**“ (პლუტარქე, „პომპეუსი“, გვ. 34).

თუ იბერთა ტომი პონტომდე აღწევდა, მაშინ მოსხური მთებიც იბერებით ყოფილა დასახლებული, რადგანაც ჯერ მოსხური მთებია, შემდეგ კი პონტოსპირეთი.

გელასი კესარიელი მიუთითებს, რომ პონტოსპირეთი – იბერებით და ლაზებით იყო დასახლებული – ის წერს ტყვე ქალის (წმ. ნინოს) **„იმავე ხანაში ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა**“ (ს. ყაუხჩიშვილი, „მიმომხილველი“, 1926, #1, გვ. 55).

რომაელი მწერალი რუფინუსი კიდევ უფრო აზუსტებს და იძლევა ცნობას, რომ იბერები პონტოს გასწვრივ მცხოვრები ტომი იყო, ის წერს – **„იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს**“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1951, გვ. 205).

გ. გოზალიშვილი მიიჩნევს, რომ რადგან იბერები იგივე ტაბალები არიან, მათი ცხოვრება და განვრცობა პონტოს ზღვამდე ბუნებრივი იყო. ამას მიუთითებდნენ კიდეც სხვადასხვა წყაროები – საეკლესიო მწერალი სოკრატეც

იმავეს წერს – „**ეს იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ**“ (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 182).

გ. გოზალიშვილი წერს, რომ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში არსებობდა ტერმინი – „**პონტოს იბერია**“ (იქვე, გვ. 182, კ. გრიგოლია – იბერიის სამეფონი, „მოამბე“, 1961, #3, გვ. 330).

„პონტოს იბერიის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ქართული წყაროების „არიან-ქართლი“.

როგორც აღინიშნა, **პლუტარქეს ცნობით იბერთა ტომი ზღვის სანაპირომდე ვრცელდებოდა, ხოლო გელასის ცნობით პონტოში იბერები და ლაზები ცხოვრობდნენ.** ეს ბუნებრივია, რადგანაც მათ ერთი საერთო წინაპარი – ხალიბები (ქალდები) ჰყავდათ, ხოლო მესხები კოლხურ ტომად მიიჩნეოდა, ამიტომ ისიც იმავე წარმოშობისა იყო. ამიტომაც **წერდა რუფინუსი, რომ იბერები „პონტოს არეში“ ბინადრობენ, ხოლო სოკრატე – „იბერები პონტოს ზღვასთან ბინადრობენ**“ (იქვე, გვ. 183). ამიტომ, თვით ბერძნული წყაროების ცნობით, ეთნიკურად იბერი იყო ევაგრე პონტოელიც (341-399).

ხალიბები და მუშკები (ლაზებისა და იბერების წინაპრები) ურარტული წყაროებითაც ერთად ცხოვრობდნენ. ძვ. წ. VII ს-ის ურარტუს მეფის რუსა II-ის წარწერაში ნათქვამია, რომ მუშკების ჩრდილოეთით ხალიტუს (ხალიბების) ქვეყანა მდებარეობდა (იქვე, გვ. 190), ხოლო მეშეხი და თუბალი წმ. ბიბლიაშიც ერთად იხსენიებიან (თუბალები იგივე იბერები არიან იოსებ ფლავიუსის ცნობით).

ეს ტომები ყველა წყაროს ცნობით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ, ამიტომაც ერთმანეთს ფარავდნენ, საბოლოოდ კი „ქართლის სამეფო“ დააარსეს ფარნავაზის ეპოქაში.

წყაროთა მიხედვით ის ტომები, რომელნიც უწინდელ წყაროებში სამხრეთის რაიონების მოსახლეობად ითვლებოდნენ, ახლა ჩრდილოეთით მოჩანან.

ლაზების შესახებ ნ. მარი თურქეთში მოგზაურობის შემდეგ წერს – „ჭანები თავიანთ თავს უწოდებენ ლაზებს“ (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 194).

ლაზების საცხოვრისის შესახებ, თვით საქმეში ჩახედული ლაზების სიტყვით, ისინი ცხოვრობდნენ სინოპიდან და სამსუნიდან ტრაპეზუნტის რეგიონის ჩათვლით. ნ. მარისათვის მის თანმხლებ ლაზს ფავზი-ბეის უთქვამს, რომ „**კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავი ზღვისპირეთის მცხოვრებთ, სამსუნელებსაც და სინოპელებსაც. სინოპელები ლაზებად მოიხსენიებენ სამსუნელებს, სამსუნელები კი ტრაპეზუნტელებს**“ (იქვე, გვ. 194).

მაშასადამე, მდ. გალისის (ჰალისის) სანაპიროებიდან ტრაპეზუნტის რეგიონის ჩათვლით მოსახლეობა ლაზებად იწოდებოდა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ხალიბები შემდგომში მართლაც ლაზებად იწოდნენ, რადგანაც სწორედ მდ. გალისიდან იწყებოდა ხალიბების საცხოვრისი, ამასთანავე, ხალიბების ანუ ქალდების სახელი ეწოდა კიდეც ლაზებით დასახლებულ ოლქს ბიზანტიელთა მიერ, ეს იყო „**ქალდეას**

თემა“. როგორც ცნობილია, ამ მიწა-წყალზე ხალიბების გარდა ცხოვრობდნენ სანები და სხვა ქართული ტომები, ჩანს, ერთ პერიოდში მოხდა კიდეც ხალიბებისა და სანების (ჭანების) კონსოლიდაცია (ანდა ისინი თავიდანვე ერთი ხალხი იყო) და ამის შედეგად ამ ხალხს დაერქვა ორი სახელი, ის ერთდროულად იყო ლაზიც და ჭანიც. სახელი ლაზი მიღებულია ხალიბების სახელისაგან „ალაზონი“ (ალიზონი), ხოლო ჭანი „სანების“ ტომის სახელისაგან.

ლაზების ანუ ჭანების საცხოვრისი მდ. გალისიდან (ჰალისიდან) ვრცელდებოდა ტრაპეზუნტისაკენ. ფიქრობენ, რომ ალაზონების (ალიზონების) სახელი მდ. გალისს უკავშირდება. თუ ასეა, თავდაპირველი სახელი იქნებოდა გალაზონები ან ჰალაზონები. ნ. მარი წერდა ამ ლაზების ანუ იგივე ჭანების საცხოვრისის შესახებ – „ადრე ჭანური ტომის მოსახლეობას უფრო ფართო ტერიტორია ეჭირა – მდ. ყიზილ ირმაკამდე. ამ მდინარის თავდაპირველი სახელი „ჰალისი“ იხსენება ჭანურიდან და ნიშნავს მდინარეს“ (იქვე, გვ. 194). მაშასადამე, ნ. მარი ფიქრობდა, რომ მდ. ჰალისი (გალისი) იყო ქართული სიტყვა „ღელესაგან“ მიღებული სახელი – „ღელისი“ – ღალისი (ღელე – პატარა მდინარე).

გ. გოზალიშვილი მართებულად შენიშნავს – „დასტურდება ჰომეროსისა და სტრაბონის ცნობები ჰალიზონებისა და ხალიბების შესახებ, რომ ჰალიზონები ზანები-ჭანები იყვნენ“ (იქვე, გვ. 194).

ამ დასკვნიდან შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ სიტყვა „ზანი“ ერთი ნაწილია ერთიანი სიტყვისა „ალიზონი“. და ის („ზანი“) მიღებულია სახელისაგან „ალიზონი“ (ალაზონი). ბიზანტიურ სამყაროში ტრაპეზუნტის რეგიონის ერთ ნაწილს – „ლაზონი“ერქვა (აქედან – ლაზი).

სხვადასხვა წყაროში ლაზები და კოლხები სხვადასხვა ტომად მოიხსენიება, მაგრამ, ჩანს, ის ერთი ხალხი იყო. საერთოდ „კოლხი“ – საზოგადო სახელი უნდა ყოფილიყო ზღვისპირეთის ქართული ტომებისა, მათ შორის მესხებისაც, რადგანაც ჰეკატოს მილეტელი, როგორც ითქვა, მესხებს – კოლხურ ტომად მიიჩნევდა – „ჭანების – ლაზების (კოლხების) მოსახლეობა იყო ტრაპეზუნტის ოლქის ძირითადი მოსახლეობა, რომელიც ტრაპეზუნტიდან დასავლეთით შორს ვრცელდებოდა“ (იქვე, გვ. 194).

თვით ბიზანტიის იმპერიის ძლიერების ხანაში – VI ს-ში ჭანები შეჭრილან კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში (იოანე გალალას (491-578) ცნობით).

ხალდებისა და ჭანების იგივეობას მოსე ხორენელის ცნობაც ადასტურებს, სადაც ჭანების ქვეყანა მოხსენიებულია, როგორც ჭანიუკი, ხალტი (იქვე, გვ. 195).

ჭანებისა და ხალდების იგივეობაზე წერს გ. მელიქიშვილიც – „სამხრეთის მიმართულებით ანტიკურ დროს ცხოვრობდა ქართული ტომი ხალდი-ხალიბები, როგორც ცნობილია სახელი „ხალდი“ (ქალდი) ორგანულადაა დაკავშირებული დასავლურ ქართულ, კერძოდ, ჭანების მოსახლეობასთან. ძველსომხურ წყაროებში ვარიანტების სახით გამოიყენება სახელწოდებები „ხალდი“ და „ჭანი“ (იქვე, გვ. 196).

როგორც ითქვა, ჭანები თავიანთ თავს ლაზებს უწოდებდნენ. მეომარი ჭანების ქვეყნის დამორჩილება მხოლოდ იუსტინიანეს დროს შეძლო ბიზანტიის იმპერიამ VI ს-ში. იქამდე ეს ტომი – სრულიად დამოუკიდებელი იყო. 535 წელს გამოცემულ თავის ნოველაში იუსტინიანე სიამაყით აცხადებდა, რომ ჭანების დამორჩილება ღმერთმა რომაელებს მხოლოდ მის მეფობაში მიანიჭა (იქვე, გვ. 195).

ჭანები, გ. გოზალიშვილის ცნობით, ცხოვრობდნენ ტრაპიზონის დასავლეთით და არა აღმოსავლეთით, ის წერს – „ჭანური მოსახლეობა ტრაპიზონის დასავლეთით შორს იყო მოფენილი“ (იქვე, გვ. 195), თუმცა ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ტრაპიზონი თავისი ოლქით „ლაზების ანუ ჭანების“ მოსახლეობით იყო დასახლებული (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 125).

გ. მელიქიშვილის მტკიცებით ხალდების სახელი ჭანურ მოსახლეობასთანაა დაკავშირებული, ძველსომხურ წყაროებში ვარიანტების სახით გამოიყენება დასახელებები – „ხალდი“ და „ჭანი“.

ჭანები, იგივე ლაზები, იგივე ხალდები ანუ ხალიბები ყოფილან თავიანთი წარმომავლობით, ცნობილია, რომ წყაროთა მითითებებით ხალიბების ძირითადი განსახლების არეალი სამხრეთით – ტრაპიზონის რეგიონში მდებარეობდა, ამიტომაც, აქედან გამომდინარე, როგორც ითქვა, უმართებულოდ ჩანს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებული დასკვნა, რომ ლაზების თავდაპირველი საცხოვრისი იყო დასავლეთ საქართველო, საიდანაც ისინი ტრაპიზონისაკენ გადასახლდნენ არაბობის ეპოქაში VII-VIII სს-ში.

ბიზანტიური „თემა ქალდეა“ შექმნეს არა დასავლეთ საქართველოდან არაბთა ეპოქაში გადმოსახლებულმა ლაზებმა, არამედ იქ ისტორიულად მკვიდრი ხალიბების (ქალდების) შთამომავლებმა, რომელნიც ლაზებად ანდა ჭანებად იწოდებოდნენ.

VIII ს-ში შექმნილი „თემა ხალდიას (ქალდეას)“ ქალაქები ყოფილა ტრაპიზონი, ხერიანი, ერზინჯანი, ბაიბურთი, არგიოკასტრონი (თურქებმა გიუმიშხანე უწოდეს) („ვერცხლის ქალაქი“, აქ იყო ვერცხლის მაღაროები), ქალდიის ქალაქს ბაიბურთს ნუსხებში პაიპერი ეწოდება (იქვე, გვ. 197). ქართულად ამ თემას ერქვა „ქვეყანა ხალდიისა“ (ქალდიისა).

ნ. ადონცი მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ ჭანები ძველ დროს იწოდებოდნენ ხალდების (ქალდების) სახელით, ის წერს – **„ჭანები ძველ დროს ხალდებად იწოდებოდნენ. მათ გარდა იქ მრავალი ტომი ცხოვრობდა. ჭანების VI ს-ში გაძლიერების გამო ამ ქვეყანას ჭანიკა უწოდეს**“ (იქვე, გვ. 198).

ივ. ჯავახიშვილის თქმით „**ყველა ქართველი ტომების სამშობლო... ქალდია იყო**“ (ქართ. ერის ისტ. 1951, ტ. I, გვ. 424).

ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ძალზე მნიშვნელოვანია. თუ ქალდეა ანუ ხალიბების ქვეყანა იყო ყველა ქართული ტომის სამშობლო (ე. ი. სვანების, მეგრელ-ჭანების, ქართლ-კახელ-იმერელ-მესხებისა და სხვა), მაშინ ყველა ქართული ტომი ხალიბური წარმოშობისა ყოფილა. ანუ ხალიბები დვრიტა და საფუძველია, საიდანაც ყველა ქართული ტომი წარმოშობილა.

გ. გოზალიშვილი ეხება ქალდეას თემში მცხოვრებ ადგილობრივი წარმოშობის დიდებულებს, რომელნიც აქ საუკუნეთა მანძილზე ლიდერობდნენ და უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს ფლობდნენ, სამწუხაროდ, მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული და ერთმანეთს ანადგურებდნენ.

ესენი ყოფილან შემდეგი საგვარეულოები – **სქოლარია, მიზიმატი, კავასიტი, ჭანიხიტი, კომახიტი (გ. გოზალიშვილის აზრით ამ გვარებში შეიძლება ამოვიცნოთ ჭანიშვილი (ჭანიხიტი), კომახიძე (კომახიტი) და სხვ.**

„თვითეულ ამ საგვარეულოს ძველ ხალდიაში თვალსაჩინო ადგილი და როლი განეკუთვნებოდა – მაგალითად, კავასიტების საგვარეულოს ეკუთვნოდა შემდგომი გიუმიშხანე და ხალდიის სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, კავასიტების ხელში ყოფილა ტრაპიზონიდან არზრუმის მიმართულებით მდებარე მიწა-წყლის ოლქი, რომელზეც საერთაშორისო გზა გადიოდა. ამიტომაც კავსას ნახევრად დამოუკიდებელი საგვარეულო ხალდიის ისტორიაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მისი წარმომადგენლები ყოფილან ხალდიის დუკად, ჰქონიათ დიდი დომესტიკისა და დიდი ლოგოთეტის წოდებები, საერთოდ, უსპენსკის სიტყვით, ხალდიის დიდი დუკა წარმოადგენდა სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, მაგრამ რეალურად ქალდიის პირობებიდან გამომდინარე (გეოგრაფიული გარემო, მუდმივი ომიანობა) მას გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა საიმპერატორო კარზე (იქვე, გვ. 200).

ასევე დიდი გავლენა ჰქონდა ჭანიხიტების საგვარეულოს, მათ ეკუთვნოდათ ქალდიის ციხესიმაგრე ჭანიხი (ჭანკა) და მაცუკა (მაჭუკა). ჰქონდათ იმპერიის დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება.

ასეთივე მნიშვნელობის იყო გაბრათა (გაბარაშვილთა) საგვარეულო.

ხალდიის ცნობილი ციხესიმაგრე კამახა (კომახა) იყო კომახიტების საგვარეულოს ხელში. კომახას ციხეს ზოგჯერ კემახასაც უწოდებდნენ. გამაჰმადიანების შემდეგაც ქალდიაში ჭანურ საგვარეულოებს დიდი ძალაუფლება დარჩათ (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200).

გ. გოზალიშვილი მიიჩნევს, რომ ქალდიის თემში შედიოდნენ პაიპერტი (ბაიბერთი), გაძიურა, კოლონია, აზრუმი და მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი ლაზები ანუ ჭანები იყვნენ (იქვე, გვ. 201), რომლებიც მუდამ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

გ. გოზალიშვილი, როგორც ითქვა, არ ეთანხმება თეორიას ლაზების რიონის ხეობიდან ქალდეაში გადასახლების შესახებ, ამიტომაც წერს – „**ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ**“ (იქვე, გვ. 203).

ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია გ. გოზალიშვილის დასკვნა, რითაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ლაზები ქალდეაში არ გადმოსახლებულან რიონის ხეობიდან VIII-IX სს-ში, ის წერს – „**VIII-XI საუკუნეებში არა ჩანს, რომ ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარიყოს, პირიქით, ამ ქვეყნის მიერ სახელწოდება ხალდიის შენარჩუნება მიუთითებს იქაური ეთნიკური ელემენტის სტატიკურობაზე**“ (იქვე, გვ. 203).

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს შემდეგი ფრაზა – „**იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სამეფო ივარაუდება, ჭანურ-ლაზური მოსახლეობა უწყვეტად არსებობს**“ (იქვე, გვ. 203).

გ. გოზალიშვილი თავისი ვრცელი კვლევის შედეგად საბოლოოდ ასკვნის – „პონტოს სამეფოს მოსახლეობის ძირითად ელემენტს მესხურ-ჭანურ-ლაზური და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ, რომ პონტოს სამეფო იყო ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება“ (იქვე, გვ. 203).

მაშასადამე, მისი მტკიცე თვალსაზრისით ლაზები ტრაპეზუნტის ოლქში გადმოსახლდნენ არა რიონის ხეობიდან VIII-IX საუკუნეებში, როგორც მიიჩნევს საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია, არამედ მკვიდრნი იყვნენ უხსოვარი დროიდანვე – ისინი ლაზებად იწოდებოდნენ და ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ხოლო ლაზი ქრისტიანები ბერძნულ თემს შეეკედლნენ – ბერძნებად იქცნენ.

ეს ლაზები იგივე ხალდები იყვნენ. ამიტომაც, გოზალიშვილის აზრით, მაგალითად, 1370-90 წლებში დაწერილ წმ. ევგენიოსის ცხოვრებაში, რომელიც 1200 წლის ამბებს ეხება ტრაპიზონის დუკას „იოანე ხალდი“ ეწოდება (იქვე, გვ. 206) იმ ხალხის სახლის მიხედვით, რომელიც იქ ცხოვრობდა, რადგანაც ტრაპიზონის სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობა ლაზები იყვნენ მის იმპერატორებს **„კოლხთა მეფეებს“** უწოდებდნენ (იქვე, გვ. 207).

აღსანიშნავია, რომ **„ადგილობრივი მოსახლეობა „საქართველოს“ უწოდებდა მდ. ხარტუშის სანაპიროს ტერიტორიას**“, ხოლო ერიცოვის ცნობით – „**მდ. კისგიმის მარცხენა სანაპირო ცნობილია გიურჯისტანის სახელით, აქაა ხამშინი**“ (იქვე, გვ. 208). ადონცის თქმით – „ჭანები ცხოვრობდნენ მდ. ხარტუშის აღმოსავლეთით – არდასისა და გიუმიშხანეს საზღვრებიდან დაწყებული თვით ხემშინამდე, ეკავათ რა ამგვარად მთელი პარხარის ზეგანი“ (გ. გოზალიშვილი, იქვე, გვ. 208).

საერთოდ კი, ჭანურ-ლაზური მოსახლეობა „ტრაპიზონისა და მისი ოლქის ძირითად მასას შეადგენდა იმთავითვე და თვით XX ს-მდე“ (იქვე, გვ. 202).

ისინი ძირითადად ასიმილირდნენ ბერძნებსა და თურქებში (იქვე).

ივ. ჯავახიშვილიც არ ეთანხმებოდა რიონის ხეობიდან ლაზების ტრაბზონისაკენ გადასახლების თეორიას, ის ამასთან დაკავშირებით წერს – **„ქართველებს არ შეეძლოთ ტრაბზონ-სამსუნის მხარეებში „თავიანთი ენა-კავები რაიმე გზით გაევრცელებინათ“, რადგანაც ქართველებს (ქართულ სახელმწიფოს) „აქ არასოდეს უბატონია, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა“, ის დაასკვნის – „აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური იქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“** (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, I, გვ. 415, 1951, იქვე, გვ. 203).

ძალზე მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის დასკვნა, რომლიდანაც ჩანს, რომ ლაზები არაბობის შემდეგ არ გადასახლებულან ტრაბზონის რეგიონე-

ბისაკენ. საქმე ისაა, რომ, როგორც ითქვა, უცხოურ გამოცემებშიც გამოჩნდა თვალსაზრისი, თითქოსდა, ლაზები ტრაპიზონისკენ გადასახლდნენ არაბობის ეპოქაში, ხოლო იქამდე რიონის ხეობაში იყო მათი საცხოვრისი.

გ. გოზალიშვილი წერს – **„უძველესი დროიდან მოკიდებული პირველწყაროები ერთხმად ადასტურებენ პონტოს სამეფოს არეალში ჭანურ-ლაზური და საერთოდ, ქართულ ტომთა უწყვეტ არსებობას“** (იქვე, გვ. 203).

თურქეთში ინგლისის კონსული პალჰერი თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ ტრაპიზონის ვილაიეთში ყიზილ-ირმაკიდან (ძველი მდ. ჰალისიდან) პუნქტ „შეკვეთილამდე“ ორ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. თვითონ ტრაპიზონის ვილაიეთი იყოფოდა ოთხ სანჯაყად (ოლქად) – **1. ლაზისტანი; 2. ტრაპზონის ოლქი; 3. ჭანიკი; 4. გიუმიშხანე** (იქვე, გვ. 204). აღსანიშნავია, რომ VII საუკუნის „სომხური გეოგრაფია“ სამხრეთ ეგრისს (ეგრს), ასევე ოთხ ოლქად ყოფდა, თითქმის იმავე სახელწოდებით (**ლაზივი, ჭანიკა, ეგერი, მანრალი**). სამხრეთ ეგრისის საზღვრები თითქმის ეთანადებოდა XIX ს-ის ტრაბზონის ვილაიეთის საზღვრებს.

ეს ვრცელი ქვეყანა ძირითადად ლაზებით (ჭანებით) იყო დასახლებული, მაგრამ მათ არ გააჩნდათ თავიანთი ნაციონალური იდენტიფიცირების უნარი, არ ჰქონდათ ეროვნული თვითშემეცნება (თუმცა ტომობრივ დონეზე ნაწილობრივ გააჩნდათ), ამიტომაც ისინი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკუთვნებდნენ თავიანთ თავს სხვადასხვა ეროვნებას, კერძოდ, მაჰმადიანი ლაზები – თურქებად იწოდებოდნენ, ქრისტიანი ლაზები – ბერძნებად. იყვნენ ასევე არმენიზირებული ლაზებიც (გიუმიშხანელები), ისინი თავდაპირველად სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცნენ, შემდეგ კი გამაჰმადიანდნენ (ხემშინები).

უცხოელი მეცნიერის ე. მაიერის დასკვნით ლაზები იყვნენ შთამომავალნი ხალიბებისა – **„ხალიბების შთამომავალნი რომაულ ხანაში ჭანებად და ლაზებად იწოდებიან“** (Ed. Meyer, Gesch. d.Altertums. Zwelter Band. Stuttgart. 1893, გვ. 293, იხ. იქვე, გვ. 226).

იმავე თვალსაზრისს,როგორც ითქვა, იზიარებდა ი. დიაკონოვი (იქვე, გვ. 226). ის ემხრობოდა თვალსაზრისს, რომ ხალიბები ლაზების წინაპრები იყვნენ და ასევე ავითარებდა აზრს, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან გენეტიკური კავშირი გააჩნიათ (იქვე, გვ. 226).

მაშასადამე, გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები ე. მაიერი, ი. დიაკონოვი და პიოტროვსკი მიიჩნევდნენ, რომ ლაზები ხალიბების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. ივ. ჯავახიშვილი, გ. გოზალიშვილი და სხვანი არ მიიჩნევდნენ, რომ ლაზები ტრაპეზუნტ-პონტოს რეგიონში გადმოსახლდნენ რიონის ხეობიდან (დასავლეთ საქართველოდან) არაბთა შემოსევების შემდეგ – VII-VIII საუკუნეებში.

ადელლე ბილლისა და ო. ლორთქიფანიძის განსხვავებული მოსაზრებანი კოლხეთის შესახებ

ჩვენს ერამდე VI-IV სს-ში „კოლხური ეროვნების“ არსებობას იმით ამტკიცებს ჩვენი ზოგიერთი მეცნიერი, რომ თითქოსდა, „**ძვ.წ. VII-VI სს-ში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო, რომელსაც ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქების – მიდიისა და აქემენიდების ირანის გვერდით იხსენიებს**“ (ქსე, ტ. 5, გვ. 596).

სინამდვილეში, მსგავსი ისტორიული ფაქტის შემცველი ცნობები ჰეროდოტესთან არ გვხვდება.

ჰეროდოტე თავის თხრობას იწყებს თქმულებებითა და მითებით, მეფის ასულ ევროპეს მოტაცების ეპოსის (მითის) გადმოცემის შემდეგ მოგვითხრობს, როგორ მოიტაცეს არგონავტებმა მედეა „კოლხიდაში“. ამის სანაცვლოდ „კოლხთა მეფემ გაგზავნა ელადაში მოციქული“ (ჰეროდოტე, I, 2). ასე რომ, „კოლხთა მეფე“ ჰეროდოტესთან და საერთოდ ბერძნულ წყაროებში მხოლოდ მითებთანაა დაკავშირებული, „კოლხთა მეფე“ ან „კოლხეთის მეფე“ სხვაგან არსად აღარ გვხვდება ჰეროდოტეს ვრცელ თხზულებაში, თუმცა კი კოლხეთს საკმაოდ ხშირად იხსენიებს.

ამასთან დაკავშირებით ევროპელი მეცნიერი ადელლე ბილლი წერს – „**ცდებიან ქართველი მეცნიერები, როცა კოლხეთის სამეფოს არსებობას ფაქტად მიიჩნევენ! კოლხეთი სამეფოდ მოიხსენიება მხოლოდ არგონავტების ეპოსში, სტრაბონი სამეფო დინასტის არსებობას მხოლოდ იბერიის აღწერისას მოიხსენებს და არა კოლხეთის აღწერილობისას**“ (ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003 წ. კრებულში „ამირანი“, IX2, მონრეალი-თბილისი, 2003, გვ. 55-62).

უცხოური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ კოლხეთი არ იყო ერთი ეთნოსი, ამასთან დაკავშირებით ევროპელი მეცნიერი წერს – „**ქართველი მეცნიერები ცდებიან, როცა სიტყვა „კოლხეთით“ ეთნოსს აღნიშნავენ, „კოლხეთი გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა ბერძნულ წყაროებში!**“ (იქვე, გვ. 55-60). როგორც ჩანს, ეს ცნობილი ფაქტია დასავლეთ ევროპული სამეცნიერო წრეებისათვის, ამ საკითხის შესახებ წერს ევროპელი მეცნიერი, რომელმაც პირადად შეისწავლა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე.

ის უფრო ადრეულ ხანასაც ეხება და წერს – „**კულხა არ იყო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, რომ კოლხეთიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავუკავშიროთ დასავლეთ საქართველოს. ძველი ბერძნული კოლხეთის პირვანდელი მნიშვნელობა მოიცავს არა მხოლოდ ურარტულ კულხას, არამედ ზოგადად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ტერიტორიას, კერძოდ, კი დღევანდელი თურქეთის სინოპსა და ტრაპიზონს შორის. ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე კოლხეთის ცნების გაგებაც – ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ მდინარე ფაზისი წარმოადგენს კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვარს.**

კოლხეთი დასახლებულია სხვადასხვა ტომებით, მათ შორის მოსხებით, მაკრონებით, მოსინიკებით, თვით კოლხებით, მარებით, ტიბარანებით და სხვა ტომებით, კოლხეთი არაა ერთი ეთნოსი“ (ადელლე ბილლი, დასახ. ნაშრ., გვ. 55-60).

ჰეროდოტეს ეპოქაში სემიტური ტომები ჩრდილოეთით უფრო ვრცლად იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე შემდგომ. მაგალითად, ჰეროდოტესთან სირიელებსა და პაფლაგონიელებს შორის საზღვრად მდ. ჰალისი ითვლება, რომელიც ისტორიულ კოლხეთთან ახლოს მიედინებოდა.

ევროპელი მკვლევარი ეხება თეორიას ეგვიპტელებისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ე.წ. „ერთი წარმოშობის“ შესახებ და მსჯელობს – ჰეროდოტეს კოლხები კანის ფერის, თმის სახეობისა და ენის მიხედვით სემიტური ან ქამიტური ტომია და არა ინდოევროპელები. ის ჩამოთვლილ ტომებს სემიტებს უკავშირებს და ამასთანავე თავდაპირველ კოლხებს აკავშირებს არა ევროპულ, არამედ მუქკანიან რასასთან. ის წერს – **„ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან... რადგან კოლხები შავგვრემანები არიან ხუჭუჭთმიანები... ეგვიპტელებსა და კოლხებს ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის“** (ჰეროდოტე, VII, 72).

მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, ეგვიპტელები ევროპელებისაგან განსხვავდებოდნენ რასობრივად კანის მუქი ფერითა და თმის საფარით. ასევე კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ამჟამინდელი **„კავკასიური რასა“ (შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა) განეკუთვნება სამხრეთევროპულ რასას და არავითარ შემთხვევაში მუქკანიან სემიტურ ან ქამიტურ რასას**. ამიტომაც **ჰეროდოტეს „კოლხები“ რასობრივადაც კი განსხვავდება თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან.**

მეორე ბერძენი ავტორი სტრაბონი ასევე საგანგებოდ აღწერს კოლხეთს. სტრაბონის მიხედვით ქრისტეშობამდე I საუკუნეში კოლხეთი წარმოადგენდა **კრებით სახელს** მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისა – ტრაპიზონიდან – პიტიუნტამდე. ამ ეპოქის **ბერძნული წყაროებით კოლხეთი არ აღნიშნავდა ეთნოსს**, არამედ **ბერძნულ წყაროებში სიტყვა „კოლხეთი“ გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარება.**

როგორც ჩანს, ეს ცნობილი ფაქტია დასავლეთ ევროპული სამეცნიერო წრეებისათვის, ამ საკითხის შესახებ წერს ევროპელი მეცნიერი, რომელმაც პირადად შეისწავლა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე და როგორც აღინიშნა, ის წერს – **„ქართველი მეცნიერები ცდებიან, როცა სიტყვა „კოლხეთით“ ეთნოსს აღნიშნავენ, „კოლხეთი გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა ბერძნულ წყაროებში!“** (ადელლე ბილლი, დასახ. ნაშრ. გვ. 55-60).

ევროპელ მეცნიერთა ეს თვალსაზრისი მთლიანად ეთანადება ძველ ქართულს (ქართული წყაროები დასავლეთ საქართველოში არ იცნობს კოლხეთს), **ქართულ საისტორიო წყაროებში მუდამ ხაზგასმით მითითებულს, რომ დასავლეთ საქართველოში არ ცხოვრობდა ადგილობრივ-კოლხური ეთნოსი, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ისტორიულად მუ-**

დამ ერთი ეთნოსით, ერთი ხალხით, ერთი ეროვნებით იყო დასახლებული და ეს იყო ქართველი ხალხი, რომ დასავლეთ საქართველოს საერისთავოებში მცხოვრები მოსახლეობა იმთავითვე ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილი იყო – იგულისხმება – გურულები, ეგრისელები, მარგველები, თაკვერელები თუ სვანები, ბუნებითი ქართველები და ამიტომ მათ „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდათ, თვითვე იყვნენ ე.წ. „ქართებიც“ და ქართველებიც. ამის ახსნას იძლევა ივ. ჯავახიშვილი, მიაჩნია, რომ ქართველთა უძველეს სამშობლოში კარდუში ერთ ერად იყო ფორმირებული შემდეგდროინდელი სვანები, ჭანები, მეგრელები და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ისინი იმთავითვე ერთი ეროვნება, ერთი ქართველი ერი იყვნენ.

თუ არსებობდა „კოლხეთის სამეფო“ – თავისთავადი სახელმწიფო, ცხადია, აქ შესაძლებელი იყო კიდეც „**კოლხების ეროვნების**“ ფორმირება, როგორც ამას მიიჩნევს საბჭოური ისტორიოგრაფია.

ნამდვილად არსებობდა „კოლხეთის სამეფო“?

თანამედროვე ევროპის ისტორიოგრაფია ამბობს – კოლხეთის სამეფო არ არსებობდა – წყაროებით ეს არ დასტურდება, ამიტომაც წერდა კიდეც ევროპელი მეცნიერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – „**ცდებიან ქართველი მეცნიერები, როცა კოლხეთის სამეფოს არსებობას ფაქტად მიიჩნევენ! კოლხეთი სამეფოდ მოიხსენიება მხოლოდ არგონავტების ეპოსში, სტრაბონი სამეფო დინასტის არსებობას მხოლოდ იბერის აღწერისას მოიხსენებს და არა კოლხეთის აღწერილობისას**“ (ადელლე ბილლი, დასახ. ნაშრ. გვ. 55-62).

ის კვლავ იმეორებს – „**ცდებიან ქართველი მეცნიერები, როდესაც „კოლხურ თეთრს“ კოლხეთის სამეფოს არსებობის დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევენ**“ (იქვე, გვ. 60).

თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის მსგავსად, **ძველი ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ არ იცნობს „კოლხეთის სამეფოს“.**

ჩვენი წინაპრები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ერი (ეროვნება) იყო. ამიტომაც შექმნა მან ერთიანი სახელმწიფო ფარნავაზის დროს და შემდეგ.

ამჟამად არსებობს ორი თეორია ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ. პირველი არის ძველქართული, რომელიც ამტკიცებს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთიან ერს წარმოადგენდა ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრეც, მეორე კი არის ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხური და „ქართის“ ეროვნებები და ამ უკანასკნელმა შეძლო ახალი ეროვნების ფორმირება.

აღსანიშნავია, რომ XIX ს-მდე მოღვაწე საქართველოს წმიდა ეკლესიის მამები და მემატიანეები არასდროს იზიარებდნენ ქართიზაციის თეორიას და მათთვის სწორედ პირველი თეორია წარმოადგენდა ჭეშმარიტებას.

ნ. ადონცი, „არმენიის ივერიული ზოლი“

1. დასავლეთ არმენიის ეთნიკური სახე (ძვ. წ. II ს-დან)

(ნ. ადონცის კვლევა წიგნში – არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე)

ბიზანტიის იმპერიის ადმინისტრაციულ ოლქ „დასავლეთ არმენიაში“ მოექცა ის ქართული მხარეები, რომელნიც ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას, პარიადრეს მთის მიმდებარე ქვეყანა და ხორძენეს ნაწილი.

სტრაბონის ცნობით ამ მხარეებთან ერთად იბერებისაგან გოგარენაც მიუტაცებია სომხეთს. მართალია, ქართველთა სამეფომ გოგარენა უკან დაიბრუნა, მაგრამ აღნიშნული მხარეები (პარიადრეს მთის მიმდებარე ქვეყანა და ხორძენე) აღარასოდეს დაბრუნებია საქართველოს.

ასეთი პოლიტიკური გადანაწილების შედეგად, ბიზანტიურ ეპოქაში, ამ მხარეებში მცხოვრები მკვიდრი ქართველები ორმხრივ ასიმილაციას განიცდიდნენ. ერთდროულად ისინი ცხოვრობდნენ ბიზანტიაშიც და მის ოლქ „არმენიაშიც“, ამ ქართველებს, შესაბამისად, ჰქონდათ ორმაგი – ბერძნული და სომხური პოლიტიკური და კულტურული ზეწოლა.

ამის შედეგად, ცხადია, მიმდინარეობდა ქართველების ასიმილაცია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს პროცესი საკმაოდ მცირე ხანს გაგრძელდა, იმდენად, რომ როდესაც ტაო-კლარჯეთის სამეფომ და შემდგომ გაერთიანებულმა საქართველომ თავისი პოლიტიკური საზღვარი ვანის ტბამდე მიიტანა – იქაურ ქართველებს ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკურ-ეროვნული ვინაობა.

ვინაობააღორძინებული ქართველები ქმნიდნენ კიდეც ეროვნულ ქართულ-ქალკედონურ საეპისკოპოსოებს ამ „სომხურ“ ქვეყანაში, რომელთაც ჩვენი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები „სომხურ-ქალკედონურ“ საეპისკოპოსოებს უწოდებენ, მაგრამ ნ. ადონცის კვლევაც კი აჩვენებს, რომ დასავლეთ არმენია – ქართული წარმოშობის ქვეყნებისა და მოსახლეობისაგან შედგებოდა.

ნ. ადონცის სიტყვით, სომხური ზეწოლის შედეგად მკვიდრი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ქართული მიწების მიტაცების დროს, დაძრულა თავისი საცხოვრისიდან და უფრო ჩრდილოეთით გადასახლებულა – „**к северу были оттеснены также колхи, мосхи и другие народности**“ (ნ. ადონცი, გვ. 395).

„**ამ დუღილში ჩამოყალიბდა სომეხთა ნაციონალური სახე**“ – წერს ნ. ადონცი (იქვე).

სომხური ეროვნება, მისი სიტყვით, ჩამოყალიბდა ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე – სომხური ეროვნების მაფორმირებელი ფრიგიელების (ბალკანელების), ასევე არამეული ტომებისა და არმენიაში ისტორიულად მკვიდრი ადგილობრივი ქართველური ტომების – მოსხების, მატიენების, სასპერიების, ალარიდიელების და სხვების ურთიერთშერევით.

ნ. ადონცს მოჰყავს სტრაბონის ცნობა, რომ **ანტიოქოს დიდის (223-187) ორმა მხედართმთავარმა არტაქსიამ და ზარიადრამ ერთმანეთს შორის გაინაწილეს არმენია და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა,** თუმცა სომეხთა მეფეები იქამდეც იყვნენ ცნობილნი.

ნ. ადონცი წერს – „**სომხური ეროვნება ფორმირდა სხვადასხვა ტომებისა და ასევე სხვადასხვა რასების ელემენტთა ურთიერთშერევით. აქემენიდთა ტერიტორია, რომელსაც შემდგომ არმენია ეწოდა, დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნებებით, სომხებთან ერთად. ამ შავ ზღვამდე გადაშლილ მსხვილ სპარსულ სატრაპიაში ცხოვრობდნენ მატიენები, სასპერიები და ალაროდები. ქსერქსეს ლაშქრობისას არმენიელები ფრიგიელებთან ერთად იდგნენ, ხოლო ალაროდები და სასპერიები ერთად, მათთან გვერდით – მოსხები და ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები და კოლხები, უტიელები და მიკები – ერთად. 10 ათასი ბერძნის უკან დახევის დროს – ფასიანებისა და ესპერიტების, ე.ი. სასპეირების, ასევე ტაოხების მიწა – უკვე არმენიად ითვლებოდა და სხვა არმენიისაგან განსასხვავებლად დასავლეთი ეწოდებოდა. მმართველი ანუ სატრაპი ერთი ნაწილისა იყო ტირიბაზი, მეორისა – ორონტი (ქსენოფონტე, ანაბაზისი, III, 5,17, IV, 3,4 და 4,4, VII 18,25). მეზობელი ტომები ამ დროს სარგებლობდნენ დამოუკიდებლობით, კერძოდ – კარდუხები, ხალიბები, ქალდეები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიოტები და ტიბარენები (იქვე, VII, 8, 25). ნაწილობრივ ან მთლიანად ეს ეროვნებები იქცნენ მკვიდრ მოსახლეობად იმ ტერიტორიისა, რომელიც შემდგომ ეჭირა არმენიას**“ (ნ. ადონცი, გვ. 394).

როგორც ვხედავთ, თვით ადონცის ცნობით, კოლხები, კარდუხები, ქალდეები და სხვა ქართველთა წინაპარი ტომები იყო მკვიდრი მოსახლეობა დასავლეთ არმენიისა, მათ სრულ ასიმილაციას სომეხ ხალხში აფერხებდა რომის და ბიზანტიის იმპერიის სიახლოვე არმენიის ცენტრალურ ნაწილთან, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დასავლეთ არმენია უმეტესწილად აღნიშნული იმპერიების ხელდებული ქვეყანა იყო.

ძალზე საინტერესოა ნ. ადონცისავე ცნობა იმის შესახებ, რომ სომხეთის ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ჩამოთვლილი ტომები, იყვნენ ერთი წარმოშობისა, მათ ჰქონდათ „**სისხლის სიახლოვე**“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 394).

როგორც ეროვნებები ამ ტომთაგან მრავალი გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, მაგალითად, ალაროდები, სასპეირები, ტაოხები, ფასიანები, მაგრამ მათი სახელები დაერქვათ მათ ყოფილ საცხოვრის ქვეყნებს, რაც ასახა გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა – აირარატი, სპერი, ტაო, ბასიანი (იქვე). მაშასადამე, ნ. ადონცის აზრით – **აირარატი – ალაროდიელების, სპერი – სასპეირების, ტაო – ტაოხების, ხოლო ბასიანი – ფასიანების ქვეყანა იყო**.

ეს მომენტი იმითაა საინტერესო, რომ კონსტანტინოპოლურ ნოტიციებში ლაზიკის ეპარქიაში გვხვდება საეპარქიო სახელწოდებანი – ფასიანი და სხვა სახელები – ფას, ბას ფუძეებით. მაშასადამე, ისინი, ნ. ადონცის მოსაზრებით, ბასიანის ქვეყანაში მდებარეობდა. მართლაც, პრავოსლავნაია ენციკლოპედიას სტატიის „სომეხი ქალკედონიტები“ თანდართულ რუკაზე სპერსა და ბა-

სიანში მრავალი ეპარქიაა აღნიშნული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში.

ნ. ადონცის მიხედვით, ზარიადრას და არტაქსიას დროს ჩამოყალიბდა ერთიანი სომხური ენა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მთელი ხალხისათვის, ეს გადამწყვეტი მომენტი იყო სომეხი ხალხის ფორმაციისა (იქვე, გვ. 395).

იბერებს იმ დროს არმენიამ წაართვა პარიადრეს მთისწინეთი – ტაო და სპერი, ხორძენა და გოგარენა, ხალიბებისა და მოსინიკებისაგან მიიტაცა კარენიტი და დარუსენა, ასევე სხვა ხალხებისაგან მიწები (იქვე, გვ. 395). ამ ეპოქაში, ნ. ადონცის სიტყვით – **„ჩრდილოეთისაკენ იქნენ განდევნილნი ასევე კოლხები, მოსხები და სხვა ხალხები“** (იქვე).

სომხეთს მიუსაკუთრებია ასევე კაპადოკიაში მცხოვრები კატაონების მიწები.

საერთოდ, კაპადოკიელებს სირიულ სამყაროს მიაკუთვნებენ, ბერძნები მათ სირიელებს უწოდებდნენ – კერძოდ, თეთრ სირიელებს სხვებისგან განსასხვავებლად. კაპადოკია ეთნიკურად სემიტებს უკავშირდებოდა (იქვე). სტრაბონის ცნობით, სირიელები ცხოვრობდნენ ბაბილონიდან ევქსინის პონტომდე ანუ შავ ზღვამდე (იქვე, გვ. 396).

ნ. ადონცი ფიქრობს, რომ სომხები ორი რასის – სემიტი არამეელების (რომელთაც სემიტი კაპადოკიელები ენათესავებოდნენ) და ფრიგიელების ურთიერთშერევით ჩამოყალიბდნენ, ასევე შეძლეს სხვადასხვა ადგილობრივი ხალხების ასიმილირება (იქვე).

იოსებ ფლავიუსი კაპადოკიელებს მესხებად მიიჩნევდა.

ნ. ადონცის სიტყვით, **„თავდაპირველად არმენია დასახლებული იყო სხვადასხვა სატომო ჯგუფებით – კარდუხებით, მოსხებით, სასპეირებით და სხვა. ძვ.წ. VII ს-ში კიმერიელების შემოსევამ თავისი საცხოვრისიდან დაძრა ფრიგიელი სომხები, მათ გადალახეს ევფრატი და შეუტიეს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა ნაწილი დარჩა ჩრდილოეთში, ნაწილი კი სამხრეთში. მათ შუა მცხოვრები დამორჩილებული ზოლი შეერია გამარჯვებულ ფრიგიელ სომხებს. შემოსულებისა და მკვიდრების ურთიერთშერევით შეიქმნა სომხური ეროვნების ბირთვი“** (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 398).

ნ. ადონცი შენიშნავს, რომ **სომხეთის სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრები კარდუ-კარდუხი-კორდუსიონი-გორდუენ-ქართუ-ქართუელი-ქართველი – ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხის სახელია** (იქვე, გვ. 398, შენიშვნა 1).

ამასთანავეო, წერს ადონცი – „ამჟამად უარყოფილია მოსაზრება თითქოსდა, კარდუხები ქურთების წინაპრები იყვნენ. ქურთები ძველად იხსენიებოდა სხვა სახელით“ – და განაგრძობს არმენიის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრებ ტომთა სახელების მსგავსებათა შესახებ მსჯელობას – **ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ხალიბები, სამხრეთით ხალდები, სტრაბონთან იხსენიება ორი ოლქის სახელით – სასპერიტები, ერთი სპერი – ჭოროხზე (ჰეროდოტეს სასპერიტები, ქსენოფონტეს – ესპერიტები), ხოლო მეორე – სამხრეთში, ტიგროსის ახლოს – თანამედროვე შუპრია.**

ყველა ამ ხალხებმა ტიგრან დიდის იმპერიაში შეძლეს გაერთმნიშვნელოვნება იმდენად, რომ მთელი მოსახლეობა ლაპარაკობდა საერთო (სომხურ) ენაზე (იქვე, გვ. 399).

საერთო-ეროვნული ენის შემუშავება გარდამტეხი ეტაპი იყო იმ ქვეყნისათვის, სადაც იქამდე ასეთი სიმრავლე იყო ტომებისა და ეროვნებებისა (იქვე).

ადამიანის მდგომარეობა სხვადასხვა ტომობრივ გარემოში ალბათ განისაზღვრებოდა სისხლისმიერი ნათესაობით ამა თუ იმ საგვარეულოს მიმართ.

ნ. ადონცის ცნობით, სომხურმა საგვარეულო სახელწოდებებმაც კი შეინარჩუნეს თავისი პირველქართული წარმომავლობა.

მაგალითად, ცნობილი საგვარეულოს ხორხორუნების საგვარეულო ტიტული იყო „მალხაზი“, რაც საერთოდ მფლობელს, თავადს ნიშნავს. ეს ტიტული, ნ. ადონცის სიტყვით, ამოდის ქართული სიტყვიდან „სახლი“, ფუძე „ახლ“, ამავე ფუძიდანაა სომხური „ალახინ“ – მოახლე (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 400). [შდრ. გვარი ოკრიბაში – ხორხომელიძე].

ბაგრატიდების მეორე საგვარეულო ტიტული იყო – ასპეტ. ნ. ადონცი მას მიიჩნევს ქართული უფლის, სპარსული სეპურის (უფლის წულის) გადმონაშთად.

ჭანეთის, სპერის და ტაოს თავდაპირველი დიდებულების მამიკონიანების საგვარეულო ტერმინი იყო „მამიკი“, რაც უკავშირდება ქართულ სიტყვა „მამას“, ე.ი. სახლის მამა, მამასახლისი.

ფაუსტის ცნობით, მამიკონიანებს თავიანთი საგვარეულო გამოჰყავდათ ჭენებიდან, ანონიმის სიტყვით, ჭენეთი იყო ჩინეთი. თითქოს იქიდან მოხვდნენ ისინი ტაოში. სინამდვილეში, **„თავდაპირველი ტრადიციით, ჭენეთის ქვეშ იგულისხმებოდა არა ჩინელები, არამედ ჭანები, ტაოსთან – მამიკონიდების საგვარეულო ოლქთან ახლოს მცხოვრებნი (გვ. 403). მათგან იყვნენ გამოსულნი ორბელიანები (გვ. 404). ეს არაა საკვირველი, რადგანაც ბაგრატიდები სპერიდან იყვნენ საქართველოში გადასულები** (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 404).

სომხური „ტერ“ და სხვა ტერმინები ნ. ადონცს ქართული სიტყვიდან „უფალი“ (მამაუფალი, დედაუფალი, მეფე, მამფალი) გამოჰყავს.

ზემოჩამოთვლილი ტერმინები (მალხაზი, არპეტი, მამაკი, ტერ) **სომხეთის იბერიული ზოლი**ს ნახარართა წრიდანაა აღებული.

აქედან ჩანს, რომ დასავლეთ არმენია და სხვა უფრო დიდი ოლქებიც ქართული წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული, რომელთაც კვალი დააჩნიეს სომხურ ენას.

მათ თავიანთი წარმოშობა იცოდნენ კიდეც.

ნ. ადონცი წერს არმენიის ქართველების შესახებ – **„როგორც არ უნდა ასიმილირებულიყვნენ ისინი, საბოლოო ჯამში, მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ კოლორიტს“** (გვ. 415).

ჩვენი აზრით, ნ. ადონცისთვის „კოლორიტი“ იყო არმენიზებულ ქართველთა თვითშემეცნება იმისა, რომ ისინი ეთნიკურად ქართულ წრეს ეკუთვნოდნენ, მით უმეტეს V-VII საუკუნეებში, როცა მათი ასიმილაცია არ იყო

ძალზე შორს წასული. ამ მიზეზის გამო არმენიის გარშემო ჩამოყალიბდა ოთხი თავისთავადი მცირე პოლიტიკური სხეული – ბდეხშების სამფლობელოები – მათ შორის გოგარენა და არზანენა (გვ. 416).

გოგარენა ქართულ სახეს ინარჩუნებდა.

არმენიის სამხრეთით მცხოვრები კურტები (ქურთების წინაპრები) და კარდუხები (ქართველთა მონათესავენი) ნ. ადონცის სიტყვით, სომხების გავლენის ქვეშ აღმოჩდნენ (გვ. 418). ასევე მათი მეზობელი მატიენები კასპიის ზღვისკენ.

გელების და კარდუხების გვერდით ცხოვრობდნენ **უტიებ**ი, ისინი (კარდუხები) თავდაპირველად უტიების სამხრეთით ცხოვრობდნენ, შემდეგ ჩრდილოეთით, მათთან ერთად ჩრდილოეთით გელებიც გადასახლდნენ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 420).

ნ. ადონცს ალბანეთის სომხურ ოლქად მიაჩნია სიუნი-სივნიეთი, თუმცა ისინი სომხებისგან განსხვავდებოდნენ (გვ. 423).

უტიელების მეზობლად ცხოვრობდნენ მთიდან ჩამოსული გარგარები, ისინი გარდმანთანაც ცხოვრობდნენ. საბოლოოდ, ყველა ამ ეთნოჯგუფის „ინფილტრაცია“, ე.ი. არმენიზაცია მიმდინარეობდა შემდეგშიც (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 425).

ნ. ადონცის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ **სომხეთის გარე მხარეები, მითუმეტეს დასავლეთ არმენია, სადაც ტრაპეზუნტის ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები მდებარეობდა – ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ეთნო და ეროვნული ვინაობის შენარჩუნება როგორც ნერსე სომეხთა კათალიკოსის დროს, ისე მის შემდეგ: ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ძლიერება ამ შეგნებას ეფუძნებოდა.**

2. ისტორიული ქართული ოლქები არმენიაში
(ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე)

„ქვეყანა ჩრდილოეთისა“ (IV ს.)

რომის იმპერია ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ IV ს-თვის იყოფოდა ოთხ პრეფექტურად. პრეფექტი თავის ხელში აერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს.

ნ. ადონცის სიტყვით, რომის იმპერიის მსგავსად, სპარსეთიც ოთხ „კუსტად“ – ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე, გვ. 217). ესენი იყვნენ „აღმოსავლეთი“, „დასავლეთი“, „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“.

ჩრდილოეთის ანუ კავკასიის კუსტი (მხარე) თავის მხრივ 13 ქვეყნად (შახრად) იყოფოდა, მათ შორის იყო იბერია, ანუ სპარსულად – „**ვარჯანი**“, ალბანეთი ანუ „რანი“, სომხითი ანუ „არმენია“.

ასე რომ, ქართულ წყაროებში ხშირად ნახსენები „ჩრდილოეთის ქვეყანა“ უნდა გულისხმობდეს სპარსეთის იმპერიის კავკასიის მხარეს და კერძოდ კი მის ერთ ნაწილს, ამ შემთხვევაში – საქართველოს.

იბერიას ზაქარია რიტორი უწოდებს **გურზ**ანს.

გურზანი-**ვარჯ**ანი (**გორჯ**ანი, **გურჯ**ანი, გო**რგ**ანი) და გურზანი ეტიმოლოგიურად ახლოსაა ერთმანეთთან და მათ საერთო ფუძე-ძირი აქვთ – „გრ“, „რგ“. იგივე ფუძე-ძირი „გრ“ უდევს საფუძვლად ქართულ მხარეთა სახელებს – „ე**გრ**ისი“, „გუ**გარ**ქი“, „გო**გარ**ენა“, „**გურ**ია“, „**არგ**ვეთი“, აქედანაა ბერძნული სახელი – „გეო**რგ**ია“ და სხვა ყველა დასახელება, რაც კი მეზობელმა და უცხო ერებმა დაარქვეს ქართველთა ქვეყანას, მაშასადამე, ფუძე-ძირი „**გრ**“ ან „**რგ**“ ქართველთა თვითსახელწოდების ეთნოფუძეა.

ზაქარია რიტორი წერს, რომ „ჩრდილოეთის მხარეებში ხუთი მორწმუნე ხალხია, მათ 24 ეპისკოპოსი ჰყავთ და მათი კათალიკოსი დვინში ცხოვრობს. სპარსული არმენიის დედაქალაქში, მის შემდეგაა გურზანი – არმენიის ქვეყანაში, რომელთა ენა ბერძნულს მიაგავს, მათ ქრისტიანი მთავარი ჰყავთ, რომელიც სპარსეთის მეფეს ემორჩილება. შემდეგ არანის ქვეყანაა, არმენიის ქვეყანაში, თავისი ენით, ხალხი მონათლულია, შემდეგ სისაკანის ქვეყანაა, თავისი ენით, მორწმუნენი, მათ შორის წარმართებიც არიან, შემდეგი ქვეყანა ბაზგუნი, თავისი ენით, კასპიის ზღვასთან“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 219).

3. გოგარენა, კორდუენა და ბასიანი (V-VII სს.)

(ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე)

ნ. ადონცის სიტყვით, I ათასწლეულის სომხურ საერისთავო სიებში ერისთავები (ნახარარები) პატივის მიხედვით არიან ჩამოწერილნი. მათ შორის აღინიშნებიან ერისთავი **ბაგრატუნები**, ტაშირის ერისთავები და სხვანი.

ნერსე კათალიკოსის დროს, 555 წელს შემდგარ კრებას ესწრებოდა 32 ერისთავი. სებეოსის სომეხ მეფეთა ერისთავების სიაში იხსენიება ტაოს ერისთავი და ასევე ბასიანის ერისთავი.

ხორენაცის ცნობით, სომეხთა მეფე განსაკუთრებით აჯილდოვებდა ბაგრატუნ ერისთავებს.

სტ. ორბელიანი მოგვითხრობს, რომ სომხეთის მეფემ დანიშნა თავისი ქვეყნის ოთხი ბდეხში – აღმოსავლეთში იყო სიუნის ბდეხში თავისი – 21 ერისთავით, ჩრდილოეთში – გო**გარ**ენისა („გოგარის“) – 22 ერისთავით, დასავლეთით „**კორ**დუ“-სა – 21 ერისთავით და სამხრეთით ანგელენის („ან**გელ**ის“) ბდეხში – 22 ერისთავით (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 254).

გოგარენა (სომხურად გოგარი) და კორდუენა (სომხურად „კორდუ“) – ქართული ქვეყნები იყო, მისი ქართული მოსახლეობა იქამდეც და შემდგომაც სომხდებოდა, ქართველობის შენარჩუნება სომხური სამეფოს შიგნით უძნელესი და თითქმის შეუძლებელი საქმე იყო (იქვე, გვ. 292).

ფაუსტის ცნობით, **ტაოს ოლქს მართავდნენ მამიკონიანები**, – ხორენაცის მიხედვით სომეხთა მეფის მთავარსარდლები. შემდეგ, IV ს-დან, ისინი **ტარონში** გადავიდნენ, სადაც, ჩანს, უკვე ცხოვრობდა ქართულენოვანი მოსახლეობა, რადგანაც ხორენაცისავე სიტყვით, მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შესასწავლად ჩამოყალიბებულ ქართველ ბავშვთა ჯგუფს ასწავლიდა ტარონელი მუსე, ცხადია, ქართული ენის მცოდნე.

ბერძენ-რომაელი ავტორები იცნობენ „ფასიანს“ (ბასიანს) და ისინი ბასიანს ფასიანად მოიხსენიებდნენ.

ბასიანის ერთი ნაწილი იყო ვანანდი და მას, ხორენაცის სიტყვით, ზემო ბასიანი ერქვა (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 300).

ბასიანს თავისი ერისთავი მართავდა.

აირარატი მეფის დომენი იყო, **ბაგრევანდი – ბაგრატიდებს ეკუთვნოდა**.

ნ. ადონცის სიტყვით – „კოტაია ცნობილი იყო პტოლემეოსისათვის, მაგრამ ის სომხურ ლიტერატურაში პირველად გვხვდება სებეოსთან VII ს-ში“ (იქვე, გვ. 302).

კოტაია იყო გავარი, ანუ ქვეყანა აირარატის პროვინციაში. კოტაიას ამჟამად ზანგიბასარი ჰქვია. ის არის მდ. რაზდან-ზანგის ხეობაში.

საფიქრებელია, რომ **ტაო ხორძენას** ნაწილი იყო.

სიტყვა „ხორძენა“ ეტიმილოგიურად ახალოა სიტყვა „არზენასთან“, რომელსაც კონსტანტინე პორფიროგენეტი უწოდებდა არზრუმ-არტანუჯის მხარეს.

საფიქრებელია, რომ სიტყვა „ხორძენა“ შემდეგ, X საუკუნისთვის, სიტყვა „არზენად“ იქცა, ის ერქვა ტაოს მომიჯნავე მხარეებს. **ხორძენა სტრაბონის ცნობითაც იბერების ისტორიული მხარე იყო, შესაბამისად, ქართველებით დასახლებული სომეხთაგან მიტაცების შემდეგაც.** სტრაბონის დროს ის გაცილებით დიდი, გოგარენამდე (მტკვრამდე) განვრცობილი ქვეყანა იყო (აღსანიშნავია, რომ სტაბონის ეპოქაში გოგარენა მტკვრის იქითა ანუ მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიას ერქვა, ხოლო ადონცის წყაროს ცნობით, გოგარენა უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა).

4. ივერია, პერსარმენია და პერსიბერია (IV-VI სს.)

(ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, რუს. ენაზე)

სპარსული არმენიის საზღვრები IV-VI სს-ში ე.წ. „მარზპანობის“ დროს ასეთი იყო:

პერსარმენია მოიცავდა შემდეგ პროვინციებს – ტაიქი, ტარონი, აირარატი, ვასპურაკანი და სიუნიქი.

ტარონი და ვასპურაკანი მდებარეობდნენ ვანის ტბასთან, აირარატი – სპარსული არმენიის ცენტრში, ხოლო მის დასავლეთის მხარეს – **პერსარმენიის „ივერია“ ანუ ტაო (ტაიქი) მდებარეობდა,** ამ **ივერიას დასავლეთით ესაზღვრებოდა ლაზიკა.**

არსებობდა ასევე „**თავისუფალი ივერია**ც“, ის პერსარმენიის ივერიის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მისი ნაწილები იყო – კოლა, არტაანი, ჯავახეთი, გუგარქი.

ტაიქის სამხრეთ-დასავლეთით „არმენია“ მდებარეობდა (იხ. რუკა პრავ. ენციკლ., I, გვ. 75).

მაშასადამე, ივერია ორ ნაწილად იყო გაყოფილი – ტაო პერსარმენიაში შედიოდა, კოლა, არტაანი, ჯავახეთი და გუგარქი ქმნიდა სხვა, „თავისუფალ“ ივერიას და სადავო იყო ბიზანტია-სპარსეთს შორის.

ნ. ადონცი „მარზპანულს“ უწოდებს არშაკიდების შემდგომდროინდელ სომხეთს, რადგანაც ქვეყანაში იჯდა სპარსეთის შაჰის წარმომადგენელი – მარზპანი. მისი დედაქალაქი იყო ქალაქი დვინი, რომელსაც აღმოსავლეთ სომხეთისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დასავლეთ სომხეთისთვის თეოდოსიოპოლისსა და იქ მჯდარ რომის წარმომადგენელს – კომიტს.

ჩრდილოეთით მარზპანული სომხეთის საზღვარი აღწევდა **კანგარამდე,** „თავისუფალი იბერიის“ საზღვრამდე. ლაზარის ცნობით, სპარსეთთან მებრძოლი იბერიის მეფე ვახტანგი აქ ელოდა დამხმარე სომხებს. ვაან მამიკონიდი დაეხმარა ვახტანგს, სომხური ჯარი მივიდა ივერიის მეფესთან და ბანაკი დასცა კანგარის კანტონში. **კანგარი გუგარენის ოლქში შედიოდა, მაშასადამე, გუგარენა სომხეთის გარეთ მდებარეობდა – იბერიაში** (ნ. ადონცი, არმენია..., გვ. 222).

იმჟამად, დასავლეთით სომხეთს ესაზღვრებოდა კოლას ოლქი, სასაზღვრო პუნქტად ითვლებოდა კოლა, ხოლო ტაო (ტაიკი) მთლიანად სომხეთში შედიოდა.

ტაო, მის გვერდით მდგარ ქართულ პროვინციებთან ერთად, შეადგენდა პერსარმენიაში შემავალ „არასუვერენულ ივერიას“ და იმყოფებოდა მძლავრი სომხური საეკლესიო-კულტურული გავლენის სფეროში. მისი ივერიული მოსახლეობა მხოლოდ შინაურ-საოჯახო წრეში ახერხებდა ქართული იდენტობის გამჟღავნებას, საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ სფეროში კი, ვითარცა პერსარმენიის მცხოვრები, არმენიელად მიიჩნეოდა.

არშაკიდების დროს ალბანეთის მხარეს სომხეთის საზღვარი იყო მდ. მტკვარი. მარზპანობის დროს საზღვარი ქ. ხალხალთან გადიოდა. **ხალხალი ალბანეთში მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა მხარეს** (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 223).

სპარსულ ჯარს ალბანეთიდან ხალხალამდე მტკვარი უნდა გადაევლო.

ნ. ადონცის აზრით, ხალხალი არის მდ. ზაგემზე მდებარე ამჟამინდელი თათრული სოფელი ხილხილა. მახლობლად არსებობდა ასევე მეორე მსგავსი სახელის პუნქტი – **„ხილხალა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის რუკის მიხედვით მდებარეობდა ნუხპატო-შექთან ახლოს, ამჟამინდელ სოფელ „ფილფილასთან“ ახლოს (სახელი ფილფილა ალბანურ ტომ „ლფინების“ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული). აქვეა პუნქტი ხალხალი და აქვე უნდა ყოფილიყო პუნქტი გულგულა**.

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის საზღვრად ვახუშტი ბატონიშვილს მიაჩნდა

პუნქტი **გულგულა**. სახელები ფილფილა, ხალხალი/ხილხილა,ხილხალა/ და გულგულა მსგავსნი არიან. ვახუშტის მასზე ათასი წლის წინანდელი პუნქტის ადგილმდებარეობა რომ განესაზღვრა არა თელავთან, არამედ ფილფილა-ხალხალთან, მაშინ ჰერეთის საზღვარი გადაიწევდა აღმოსავლეთით და დაემთხვეოდა ალბანეთისას.

ნ. ადონცის სიტყვით, **IV ს-ში სომხეთმა დაკარგა მრავალი განაპირა მხარე, ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი იყო ამ მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური განსხვავება სომხებისაგან**. ისინი (განაპირა მხარეები) არ იყვნენ სომხური ოლქები, როგორც მრავალჯერ ითქვა.

მარზპანულს ნ. ადონცი ასევე უწოდებს მეორე სახელს – ტანუტერული სომხეთი. მას ასევე ვასპურაკანულსაც უწოდებს.

ვასპური – ერქვა სპარსეთის ცნობილ გვარებს, აქედან ვასპურაკანი. ნ. ადონცის სიტყვით, – **„არმენიის თანატოლი ადმინისტრაციული სიდიდეები იყვნენ იბერია, ალბანეთი,** ატროპატენა, ადიაბენა, და არავასტანი“ (იქვე, გვ. 221).

მისივე სიტყვით, მუსლიმანი ავტორები **„არმენიის“ ქვეშ იგებდნენ არა მხოლოდ არმენიას, არამედ არანსა და საქართველოს** (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 242). ე.ი. არანსა და ივერიას, ამ ივერიის ქვეშ კი ძირითადად „არასუვერენული ივერია“ ანუ ტაო-ბასიანი მიიჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ პერსარმენიაში მდებარეობდა ოლქი **პერსიბერია**, რაც ჩანს ჩვენამდე მოღწეული III მსოფლიო კრების მასალებიდან. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა პერსიბერიელი „იერემია ურჰაელი, ქართველი მართლმადიდებელი“, ნესტორიანობასთან მებრძოლი, იბერიის სპარსული ნაწილიდან, ანუ პერსიბერიიდან (კ.კეკელიძე, ეტიუდები, I, 52-62).

პერსიბერია, ანუ „სპარსული იბერია“ უნდა რქმეოდა იმჟამად პერსარმენიაში შემავალ ტაო-ბასიანსა და მიმდგომ მხარეებს.

5. სომხების გადასახლება პერსარმენიიდან ბიზანტიურ სომხეთში V-VI სს.

(ნ. ადონცი)

არიან-ქართლის მიწების დიდი ნაწილი იუსტინიანეს ეპოქაში პერსარმენიად იწოდა.

ნ. ადონცი წერს – **„იმპერიული თვალსაზრისით, იმპერიის ინტერესების დაცვის მიზნით სომხების გადასახლება დასავლეთით ძალზე სასურველი იყო. თვით იმპერატორები ახალისებდნენ ამ მოძრაობას. მაგალითად, იმპერატორი მავრიკე. სომხების ჩასახლებით იმპერიამ დიდად ისარგებლა, სომხები ბიზანტიას ემსახურებოდნენ თავგანწირვით. სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრების შებოჭილი ჩარჩოებიდან გათავისუფლების შემდეგ მთელი მათი ძალები იფურჩქნებოდა. სომხებმა სახელი გაითქვეს სახელმწიფო ცხოვრების ბევრ სფეროში, სამხედროსა თუ სა-**

მოქალაქოში. მათგან გამოვიდნენ სახელგანთქმული პირები, რომლებსაც იმპერიის წინაშე ძალზე მნიშვნელოვანი დამსახურებები ჰქონდათ. მრავალი სომეხი ბრწყინავდა თვით საიმპერატორო ტახტზე და სათავეებიც კი დაუდეს ახალ დინასტიას (სომხური ცხენოსანი ჯარი იბრძოდა იმპერიის შორეულ მხარეებში სახელმწიფოს სამხედრო დიდებისთვის). ძალზე მნიშვნელოვანი იყო სომხების როლი კულტურულ-სულიერ ცხოვრებაში, იმპერიისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისტორია – ხატმებრძოლური მოძრაობა დაიწყო იმპერიის აღმოსავლეთ მხარეებში დიდწილად სომხების სიმპათიით და მფარველობით.

იმპერიაში სომხების განსახლებამ თვით სომხეთს ნაკლები სიკეთე მოუტანა, რადგანაც სომხეთი იცლებოდა ადამიანური რესურსებისაგან. იმპერიაში მიდიოდნენ უნარიანი, მხნე ძალები, ისეთი ნიჭის მქონე პირები, რომელთაც შეეძლოთ იმპერიის მღელვარე ტალღებზე თავის დაჭერა. სომხური არისტოკრატიის ნაღები, ნახარარების ოჯახები ეშურებოდნენ დედაქალაქში და ალამაზებდნენ სახელმწიფო მოღვაწეთა რიგებს“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 205).

იმპერიაში სომხები ისეთ ძალას წარმოადგენდნენ, რომ ზოგჯერ თვით იმპერატორის წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებებს იმპერიისავე დედაქალაქში და არყევდნენ კიდეც საიმპერატორო ტახტს, მაგალითად, ნ. ადონცის სიტყვით, 548 წელს სომხებმა მოაწყვეს შეთქმულება დედაქალაქში იმპერატორ იუსტინიანეს წინააღმდეგ. შეთქმულებას მეთაურობდა სომეხი მხედართმთავარი არტავანი, რომელმაც ბიზანტიას დიდება მოუპოვა ლივიის ომში, როცა მოკლა ტირანი ჰონორისი. ნ. ადონცის ცნობით, პროკოფი კესარიელი არტავანის მოტივს ხსნის იმით, რომ მისი სამშობლო არმენია დაპყრობილი იყო, ამიტომ მას სომხები საყვედურობდნენ უმოქმედობას. მეორე სომეხი დიდებული ნარსესი იუსტინიანეს ეპოქის უდიდესი ფიგურა იყო, თავისი გამარჯვებებით დაჩრდილა ვალერიანეს სამხედრო გენიაც კი.

სომხური პრობლემების გამო შეწუხებული იუსტინიანე სპარსეთის შაჰს სთხოვდა, მათ შორის მცხოვრები სომხები როგორმე დაემორჩილებინათ საერთო ძალით. ის წერდა – **„სომხები დაუმორჩილებელი ხალხია, და მარად ჩვენი მტრები არიან, მათგან მუდამ შეშფოთებულები ვართ“** (იქვე, გვ. 206).

ქართიზაციის თეორიის მომხრეთათვის ისმის კითხვა, თუკი სომხების სულიერ-ეროვნული სიძლიერე ორ იმპერიას აშფოთებდა, მაშინ ასე ძლიერი ხალხი როგორ „ქართველდებოდა“ სომხეთისავე გავლენის ქვეშ მყოფ ტაოში, ანდა კლარჯეთში?

პასუხი ასეთია – სომხები სომხეთში კი არ გაქართველდნენ, არამედ, სინამდვილეში, არმენიის იბერიულ ზოლში მცხოვრებმა **არმენიზებულმა ქართველებმა არმენიის დასუსტებისას არაბობის ეპოქაში გაბედეს და საჯაროდ აღიარეს თავიანთი ეთნიკურ-ეროვნული ვინაობა, თავიანთი ქართველობა, ანუ სომხები კი არ გაქართველდნენ, არამედ არმენიაში მცხოვრებმა ქართველებმა თავი დააღწიეს თავიანთი არმენიზაციის საუკუნოვან პროცესს, სრულად აღიდგინეს ეროვნული ცნობიერება.**

„ოთხი არმენია“ ხალიბების ყოფილ მიწაზე (IV–VI სს.) (ПЭ, I)

სომხები იუსტინიანეს ეპოქაშიც მრავლად ესახლებოდნენ პერსარმენიიდან ბიზანტიურ სომხეთში. დასავლეთ არმენია ძირითადად ქართული ტომებით იყო დასახლებული. ეს ტომები არ იყვნენ გაერთიანებულნი, ერთმანეთს ებრძოდნენ კიდეც, სომხები კი მათთან შედარებით ერთიანი და მიზანდასახული ხალხი იყო, ამიტომაც გაუადვილდათ რეგიონში დომინანტ ეთნოსად ქცევა. ამან თავისი ასახვა პოვა კიდეც რეგიონის იმ სახელებში, რომელიც იუსტინიანემ დაარქვა მათ, ესენია პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე არმენიები.

IV-VI სს-სათვის ბიზანტიური არმენია იყოფოდა ოთხ დიდ ნაწილად. **„პირველი არმენია“** იყო ბიზანტიური პროვინცია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე – ტრაპიზონის ქვემოთ, რომლის დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლისი, იგივე კარინი (ქართული კარნუ-ქალაქი), მას ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ტაო (ივერია) და ნაწილობრივ ლაზიკა. დასავლეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით სპარსული პროვინცია „სპარსული არმენია“ (პერსარმენია), სამხრეთით „მეორე არმენია“ და ასევე „მეოთხე არმენია“.

„**მეორე არმენია**“ („არმენია მეორე“) მდებარეობდა „პირველი არმენიის“ სამხრეთით, მდ. ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე.

„**მესამე არმენია**“ („არმენია მესამე“) მდებარეობდა ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე, მას მარჯვნიდან ესაზღვრებოდა ბიზანტიური პროვინცია „მესოპოტამია“.

„**მეოთხე არმენია**“ მდებარეობდა „პირველი არმენიის“ სამხრეთით ვანის ტბის სიახლოვეს, ამ ყველა „არმენიის“ შუა.

„**პერსარმენია**“ მოიცავდა არაქსის ხეობას და მის გარდა სომხურ-სპარსულ პროვინციებს ტაიქს, ტარონს და აირარატს. პერსარმენია პოლიტიკურად VI საუკუნის ბოლოსათვის ორად იყოფოდა – ბიზანტიური პერსარმენია (საეკლესიო ცენტრი ავანი) და სპარსული (დვინი). სპარსულში შედიოდა სიუნიკი და ვასპურაკანი (პრავოსლავნაია ენციკლოპედია, I, გვ. 75, რუს. ენაზე).

პერსარმენიის ტაოს ასევე უწოდებდნენ ივერიას.

„არმენიების“ ერთი ნაწილი სომეხთა გარდა ერთმანეთთან მებრძოლი მკვიდრი ქართული ტომებით იყო დასახლებული, არმენიელები მათ ქვეყანაში მისული ფენა იყო, უფრო ურთიერთშეკავშირებული და ძლიერი, ქართველები კი არ იყვნენ კონსოლიდირებულები, მიუხედავად ამისა მათში იმდენად მძაფრი ყოფილა ეთნოიდენტობის შეგრძნება, რომ არაბთა ბატონობის შესუსტებისას ტაო-ბასიანმა და სხვა მხარეებმა შეძლეს ქართულ-ეროვნული ვინაობის აღდგენა. ტაო (ტაიქი) – „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ სომხურ-სპარსულ პროვინციად მიაჩნია, სინამდვილეში კი ის აირარატთან და ჩანს, ტარონთან ერთად სპარსელთა და სომეხთა პოლიტიკურ-საეკლესიო გავლენის სფეროში იყო მოქცეული იუსტინიანეს დროს.

იბერები ხოტენესა და აკილისენეში

სომხეთის ოლქები ხოტენე და აკილისენა ისტორიულად იბერების საცხოვრისი ყოფილა. ისინი ჯერ კიდევ ქართული ოლქები იყო აპიანესა და სტრაბონის ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე გადმოგვცემს აპიანე.

ჩვენთვის ეს მომენტი იმითაა საინტერესო, რომ აღნიშნული ოლქები შემდგომში ლაზიკის სამიტროპოლიტოს ნაწილები გახდა, ახლოს მდებარეობდნენ კარინის, ანუ თეოდოსიოპოლის ოლქთან, იბერიის თემთან (ნ. ხაზარაძე, ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი“, 2001).

უფრო მეტიც, ჩვენ ალბათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხოტენე და აკილისენა თეოდოსიოპოლისის ოლქის მიწა-წყლის ნაწილს შეადგენდნენ, მის შემოგარენ რეგიონს. კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში მისი სოფლებისა და დაბების მოსახლეობას თავდადებით იცავდა ქართველთა სამეფოს ლაშქარი ეთნიკური თანალმობიერობის გამო. იბერები აქ არა მხოლოდ აპიანეს დროს, არამედ ბასილი II ბულგართმმუსვრელის ეპოქაშიც ცხოვრობდნენ.

აპიანე ამ მხარეთა იბერების შესახებ წერს – „**მითრიდატემ შეუსვენებლივ სირბილით იარა და დაახლოებით მეოთხე დღეს გადალახა ევფრატი, ხოლო შემდეგ სამი დღე იდგა და აიარაღებდა იმათ, ვინც მასთან ერთად იყო, ან მას უერთდებოდა, შემდეგ შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში. იქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ და გადავიდა მდინარე აფსაროსზე... მითრიდატემ ზამთარი დიოსკურიაში გაატარა**“ (აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, 1959, გვ. 195).

იმავე ამბავს აღწერდა სტრაბონი, კერძოდ, მითრიდატემ გადალახა ევფრატი, სადაც იყო აკილისენეს წყალუხვი მთა, ქართულად ალბათ „წყალუხვი“ ჟღერდა როგორც „ფასის მთა“, „ფასისი“, რადგანაც პ. ინგოროყვას კვლევით, უხვწყლიან ქვეყანას ფასისი ერქვა, სიტყვა ფასისიდანაა ალბათ „ბასიანის“ პროვინციის სახელიც.

სტრაბონი წერს – „**პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, პონტოს სამეფოს ამ უკიდურეს კუთხეში, დაიპყრო დასტეირასთან აკილესენეს წყალუხვი მთა, მახლობლად იყო ევფრატიც, რომელიც საზღვრავდა აკილესენეს მცირე არმენიისაგან და აქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა კოლხიდაში და იქიდან კი ბოსფორში**“ (სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 212).

ნ. ხაზარაძე აზუსტებს, თუ სად მდებარეობდა ეს რაიონები – „**თუ სტრაბონისა და აპიანეს მოყვანილ ცნობებს ერთიმეორეს შევუდარებთ, თან აფსაროს-ჭოროხისა და ევფრატის სათავეებს შორის ხოტენე-ხორძენეს მრავალი მეცნიერის მიერ გაზიარებულ ლოკალიზაციას გავითვალისწინებთ, შესაძლოა დავუშვათ, რომ აკალისენეში მდებარე ციხე-სიმაგრე დასტეირა პარიადრის მთების (ანუ ტაო-სპერის) სამხრეთით განლაგებულ რეგიონშია საძიებელი, პონტოს სამეფოსა და დიდი არმენიის**

საზღვარზე, იქ, სადაც კოლხეთში (პონტოსპირეთში) მიმავალი ის გზა გადიოდა, რომლითაც ძვ.წ. I საუკუნეში პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ და მისმა ქვეითმა ჯარმა ისარგებლეს, ხოლო გვიან ვახტანგ გორგასალმა და მისმა ლაშქარმა“ (ნ. ხაზარაძე, ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი“, 2001, გვ. 368).

ლაზიკის ეპარქიის ერთი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ რეგიონებსაც მოიცავდა, ძველი ქართული წყაროების მიერ მიჩნეულია აზონის მამის სამეფოდ, ანუ **არიან-ქართლის სამეფოს ერთ ნაწილად**. აქ ბრძოლით შესულა მეფე ფარნავაზი, შემდეგ კი ვახტანგ გორგასალი.

ვახუშტის ცნობით, კლარჯეთი აზონის მამისეული სამეფოს, ანუ არიან-ქართლის ნაწილი იყო. შესაბამისად, კლარჯეთის სამხრეთით მდებარე მხარეებიც არიან-ქართლის სამეფოს ნაწილად მიიჩნეოდა. კლარჯეთის სამხრეთით კი ტაო-სპერი, აღნიშნული ხორძენე, აკილისენე და სხვა მხარეები იყო.

მაშასადამე, **აზონის მამის ქვეყანა იყო ტაო, სპერი, ხორძენე და მიმდებარე მხარეები.**

აზონისა და ფარნავაზის ომისას ფარნავაზი შეიჭრა აზონის მამულ სამეფოში სწორედ აღნიშნულ მხარეებში. ისინი, იმჟამად უკვე „საბერძნეთის“ სასაზღვრო ნაწილად მიიჩნეოდა. აზონს „ბერძნები“ უჭერდნენ მხარს, არტაანის ნაქალაქარში **„იქმნა ბრძოლა დიდძალი და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხვი. ხოლო იძლივნენ ბერძენნი ფარნავაზისაგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ და ურიცხვნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყვე ქმნეს და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკელეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს, დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად“** (ქ.ც. I, გვ. 23).

ეკელეცი და ანძორეთი (ანძიაძორა) ასევე იხსენიება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში, როცა ის, როგორც ჩანს, ქართველთა ოდინდელ ისტორიულ სამშობლოში, ანუ არიან-ქართლის მიწებზე იბრძოდა.

კერძოდ, ეს ბრძოლა მიმდინარეობდა შემდგომი თეოდოსიოპოლის (კარინის) – ტრაპეზუნტის არეალზე, ანუ სწორედ იქ, სადაც ლაზიკის ეპარქია ჩამოყალიბდა.

ვახტანგ გორგასლის ლაშქარი **„მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი და ბრძოდეს მას... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკელეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა“** (ქ. ც., ტ. I, გვ. 123).

ქალაქი სტერი არის დასტეირა.

მკვლევართა აზრით, „ზღვის კიდის დიდი ქალაქი“ ტრაპეზუნტია, მაშასადამე, აღნიშნული ქალაქები კარნუ-ქალაქსა (თეოდოსიოპოლისსა) და ტრაპეზუნტს შორის იყო.

ანძიანძორაში „არს საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“ (იქვე, გვ. 160).

ტრაპეზუნტსა და თეოდოსიოპოლისს ისტორიულად აერთიანებდა გზა საერთაშორისო მნიშვნელობისა, რომელიც შავ ზღვას სპარსეთთან აერთებ-

და, ამ ორ ქალაქს შორის იყო, როგორც მიიჩნევა, ისტორიული ხოტენას და ახლოს აკილისენეს პროვინციები, რომელნიც არიან-ქართლის მიწა-წყალზე მდებარეობდა და მითრიდატეს, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და ბასილი II ბულგართმმუსვრელის ეპოქაში ქართველებით იყო დასახლებული, თუმცა კი უკვე ქვეყანას „არმენია“ ეწოდებოდა, რის გამოც მკვიდრი ქართული მოსახლეობა არმენიზაციის პროცესისაგან თავის გარიდებას ცდილობდა, მათ შორის კონფესიურადაც.

V საუკუნე № 43


ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები
პირობითი აღნიშვნები
ბიზანტიელთა მიერ ოკუპირებული სამეფოს მიწები ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე და კლარჯეთი
აფხაზეთის გამთავისუფლება, (ციხე-გოჯიდან – ეგრისწყლამდე ტერიტორიის გამთავისუფლება)
ლაშქრობა კლარჯეთის საერისთავოს გასათავისუფლებლად
მასშ: 1:3.500.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
(ანაკოფია)
(ცხუმი)
ბედია
ქჟინდიდი
ციხე-გოჯი
ქუთაისი
არაგვისკარი
(ოკუსთაკარი)
არქეოპოლისი
(ციხისძირი)
ფაზისი (გონიო)
(ხუფათი)
(ათინა)
„პირტის ძალაძე“
- ტრაპეზუნტი
(ოფეა)
(ტონიკა)
(ტრიბელა)
ქანირა
(ქალდეა)
(ბუმიშხანე)
ნიკოპოლისი
(ერზინჯანი)
ერიზიკა
ერიზა
(ერზინკა)
(ბოზბა)
(ბინგოლი)
(ტბა ზალი)
ანბიტა
ანბიანძორა?
ანძორეთი?
(ლიეკე)
(ბოზბა)
(ბინგოლი)
(ტბა ზალი)
ანბიტა
ანბიანძორა?
ანძორეთი?
(ლიეკე)
ბოლბე
(ბოლბისი)
(ბოლბა)
(ბოლბა)
(ბოლბა

ამ **ძველი ქართული ადგილების, ანუ არიან-ქართლის დასაბრუნებლად, როგორც ითქვა, უბრძოლიათ – ფარნავაზს, შემდეგ – ვახტანგ გორგასალს, შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იბრძოდნენ დავით დიდი კურაპალატი და საქართველოს მეფე გიორგი I.**

აქ, შემდეგ, როგორც ითქვა, „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ იურისდიქცია გავრცელდა და აქვე მდებარეობდა „იბერიის თემი“, აქ იყო იმ იბერთა (და არა სომეხთა) ქალკედონიტური საეპისკოპოსოები, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა. შესაბამისად, ამ ადგილების ე.წ. სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოების მრევლის უმეტესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ, თუმცა მეტწილად ეკლესიურად სომხურენოვანნი.

ნ. ხაზარაძე მოსხების ქვეყნის შესახებ (ძვ. წ. I ს.)

(ნ. ხაზარაძე, „ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი“, 2001 წ.) არგონავტების თქმულების კოლხეთია არა რიონის დაბლობი, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ჭოროხის აუზი).

სტრაბონი წერს: მდინარეების ფაზისის, გლავკოსისა და ჰიპოსის „**მაღლა (ზემოთ) მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული**“ (XI, 2,17).

ნ. ხაზარაძეს ასე გადმოაქვს – „მდინარეების მაღლა – ზემოთ“, „მაღალ ადგილზე“, ე.ი. მთაში განლაგებულს ნიშნავს (გვ. 21).

„მოსხების ქვეყანას“ სტრაბონი მეორეჯერაც ახსენებს: „**მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს**“ (XI, 2, 18).

სამლოცველო კი არ არის სამად გაყოფილი, არამედ მოსხების ქვეყანა. მისი ერთი ნაწილი არმენიელებს დაუპყრიათ, ხოლო ორი დანარჩენი თავისუფალ ნაწილთაგან ერთი იბერების, მეორე კი კოლხების ხელშია.

ნ. ხაზარაძის კვლევით **„მოსხების ქვეყანა“ მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, ე.წ. „ისტორიულ კოლხეთში“, არამედ სამხრეთ საქართველოში – ისტორიულ მესხეთში.**

ის იკვლევს სხვადასხვა ეპოქის წყაროებს და ასკვნის – „სტრაბონისეული „მოსხიკეს“ (მოსხების ქვეყნის) მოთავსებას ისტორიული მესხეთის ადგილზე უფრო გვიანდელი ხანის (ძვ.წ. I – ახ.წ. III სს.) წერილობითი წყაროებიც უჭერენ მხარს“ (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 222).

თუ „მოსხების ქვეყანა“ – ისტორიული მესხეთია და მისი ერთი ნაწილი კოლხების ხელშია მოქცეული, სტრაბონის თანახმად, მაშინ კოლხეთი არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ ტრაპიზონის მხარე – ე.წ. ლაზისტანის აღმოსავლეთი ტერიტორია, კერძოდ კი ჭოროხის ხეობის

ზღვისპირა ნაწილი, ე.წ. ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი და თვითონ კლარჯეთი. რადგან ისტორიულ მესხეთს დასავლეთის მხრიდან საზღვრავდა სწორედ მდ. ჭოროხის ხეობის ერთ-ერთი ქედი, რომელსაც ლაზისტანისა ეწოდება.

ისტორიული მესხეთის ერთი ნაწილი რომ არმენიელების მიერ იყო დაპყრობილი სტრაბონის ეპოქაში, ეს ძველი ქართული წყაროებითაცაა ცნობილი. კერძოდ, პარიადრეს კალთების ჩამორთმევის შემდგომ იბერიასა და არმენიას შორის სადავო იყო ბასიანი და ტაო მტკვრის სათავეებამდე.

ხოლო ძველქართული წყაროების ცნობით, კლარჯეთის მომიჯნავე ისტორიული მესხეთის მხარე არტაანი – ძირითადად მუდამ იბერიაში შედიოდა, ისაა ერთადერთი ქართული რეგიონი, რომელიც ერთდროულად ემიჯნებოდა ლაზისტანს, ქართლსა და სომხეთს.

ნ. ხაზარაძე ასკვნის – „გეოგრაფიის XI, 2,17-ში, ისევე, როგორც XI, 2,18-ში მოხსენიებული „მოსხების ქვეყანა“ („მოსხიკე“) ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეა საძიებელი (იქვე, გვ. 222).

სტრაბონის „ფაზისი“ ამ შემთხვევაში ნამდვილადაა ჭოროხი.

ნ. ხაზარაძეც ასე ფიქრობს სტრაბონის „მოსხიკეს“ ადგილმდებარეობის დადგენის დროს. „ფაზისის სათავედ წარმოდგენილია არა ფაზის-რიონის სათავე, არამედ ჭოროხ-ფაზისისა (არმენია) (იქვე, გვ. 212). სტრაბონისა და პლინიუსის მიხედვით, კოლხეთის მდინარე ფაზისის შენაკადები არიან გლავკოსი და ჰიპოსი, (სტრაბო, XI, 2,17, XI, 3,4, პლინ, NH, VI, 13), კლავდიოს პტოლემაიოსი გლავკოსს უწოდებს მდინარეს, რომელიც ლიკოსთან ერთად ერთვის აფსაროს-ჭოროხს (პტოლემ, V, 10,3).

პლინიუსის მიხედვით, ფაზისის სათავე მოსხების მთებშია. ჭოროხის სათავეც მესხებით ყოფილა დასახლებული.

„მოსხური მთებიდან“, ნ. ხაზარაძის კვლევით, მომდინარეობს „მესხეთის მდინარეები: ჭოროხი და მისი შენაკადები თორთუმი და ბანა-ფანასკერტი. პლინიუსის ცნობის ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს შემდეგიც: **სოლინი (ახ.წ. III ს.), რომლის თხზულება ძირითადად პლინიუსის ნაშრომის საფუძველზეა დაწერილი, ფაზისის, არაქსისა და ევფრატის სათავეებს ერთად იხსენიებს**. სოლინის აზრით – „ჰენიოხური მთები არაქსს გადმოღვრიან, მოსხური კი – ფაზისს. არაქსი სათავეს იღებს ევფრატის სათავეებთან ახლოს“, რაკი სოლინი მოგვითხრობს ერთ გარკვეულ რეგიონში განლაგებული და არა ერთმანეთისაგან დაშორებული მდინარეების სათავებზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **„ფაზისის“ სახელწოდებით სოლინი აღნიშნავს არა კოლხეთის მდინარე ფაზის-რიონს, არამედ მესხეთის მდინარე ფაზის-ჭოროხს** (ჭოროხის სათავის სიახლოვე არაქსის და ევფრატის სათავეებთან საეჭვო არ არის (ნ. ხაზარაძე, გვ. 223).

ნ. ხაზარაძე ასევე მიიჩნევს: „ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მოსხების ქვეყნის ძიება გამართლებულია **კორნელიუს ტაციტუსის** (ახ. წ. I-IIსს.) იმ ჩვენებითაც, რომლის თანახმად **მოსხების მიწა-წყალი არმენიის მეზობლადაა მოთავსებული** (ცნობაში ნათქვამია, რომ მოსხები თავს ესხმიან არმენიის მიყრუებულ ადგილებს).

სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ზემოთ შემოთავაზებულ ლოკალიზაციას ეთანხმება მოსხების განსახლების შესახებ არსებული ძვ.წ. VI-V საუკუნეების ბერძნული წყაროების მონაცემებიც (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223).

ნ. ხაზარაძე ეთანხმება თ. მიქელაძეს და წერს, რომ ფრიქსეს ანუ **ლევკოთეას ტაძარი, საძებნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ქართლში**, ხოლო **არგონავტების თქმულების კოლხეთი საძებნია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჭოროხის აუზში)** – „ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ფრიქსეს სახელთან დაკავშირებული ძეგლისა და ქვეყნის ძიების სასარგებლოდ ლაპარაკობს თ. მიქელაძის ის საყურადღებო თეორიაც, რომლის შუქზე არგონავტების თქმულების კოლხეთი, უკეთ აია-კოლხეთი, საძიებელია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზში“ (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 224).

მართლაც, ნ. ხაზარაძის კვლევის თანახმად – **„სტრაბონი ფრიქსესა და არგონავტების თხზულების გმირების (იაზონი, მედეა, მედოსი, არმენოსი და სხვა) სამოქმედო ასპარეზად წარმოგვიდგენს არა რიონისპირა კოლხეთს, არამედ მის ფარგლებს გარეთ (სამხრეთით) მდებარე რეგიონს.**

ამ თვალსაზრისით შემდეგი ცნობებია საყურადღებო: სტრაბონის თანახმად, ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობის ძეგლები მრავლად მოიპოვება. გეოგრაფოსი წერს: „ფრიქსესს მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას – ბევრგან არმენიის, მიდიის და მათ მეზობლად მდებარე ქვეყნების ადგილებში“ (I, 2,39), სტრაბონი აზუსტებს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ახლანდელი იდესსა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხეთის საზღვარზე“ (XI, 2,18). ერატოსთენეზე (ძვ.წ. III ს.) დაყრდნობით სტრაბონი გვამცნობს, რომ იაზონმა „დასტოვა ხომალდი, როდესაც კოლხებისაგან მიდიოდა და არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა“.

არმენიაში იაზონის ყოფნაზე მის სახელზე აგებული ტაძრები ლაპარაკობენ (XI, 13,10). იაზონმა თითქოს არაქსს კალაპოტი შეუცვალა (XI, 14,13). მისი თანამგზავრი არმენოსი არმენიის ეპონომია (XI, 4,8), თანამგზავრთაგან დასახლდნენ აკილისენეში, უწინ სოფენების გამგებლობაში რომ იყო, ზოგიც სისპირიტისში, არმენიის საზღვრებს იქით, სტრაბონს მიდიის სახელწოდება მედეასა და მისი ვაჟის მედოსის სახელიდან გამოჰყავს.

არგონავტების თქმულების გმირების მოქმედების რეგიონი სამხრეთიდან ესაზღვრება „მოსხიკესათვის“ ნავარაუდევ მიწა-წყალს. „მოსხიკეს“ უშუალოდ ემეზობლებოდა ფარნაკეს და მითრიდატე პერგამონელის საბრძოლო არეალი, ამიტომაც შეძლეს მათ ლევკოთეას გაძარცვა ისტორიული მესხეთის სამხრეთით.

არგონავტების თქმულების გმირები **არმენიასა და მიდიაში გადასულან უშუალოდ კოლხეთიდან, მათ იბერია რომ გაევლოთ, სტრაბონი მოგვცემდა შესაბამის ცნობას** (ისევე, როგორც მოგვცა ცნობა ფრიქსეს ტაძრის იბერიაში არსებობის შესახებ). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არგონავტების კოლხეთი არაა დასავლეთ საქართველო, საიდანაც არმენიაში შესასვლელად მათ იბერია უნდა გაევლოთ. მაგრამ თუკი კოლხეთი – ტრაპიზონ-

ჭოროხის ხეობაა, იქიდან არმენიაში შესვლა შესაძლებელი იყო სხვადასხვა გზით, მათ შორის უფრო ცნობილი იყო შემდგომ არტანუჯ-არტაანად წოდებული გზა, რომლის ერთი მთავარი ტოტი შედიოდა არმენიაში, იქიდან კი მიდიაში. არანაკლებ ცნობილი იყო ტრაპიზონ-თეოდოსოპოლის გზა.

ნ. ხაზარაძე, ისევე, როგორც XX საუკუნის ზოგიერთი სხვა ქართველი მკვლევარი, ხშირად ლაპარაკობს სტრაბონის ცნობების უზუსტობებისა და წინააღმდეგობების შესახებ (დასახ. ნაშრომი, გვ. 211, 216), მაგრამ ამ შემთხვევაში, **თუკი სტრაბონის ფაზისად ჩავთვლით ჭოროხს, მისი „უზუსტობანი“ შემცირდება.** მაგალითად, „ფაზისის სათავე არმენიაშია“ (იმ ეპოქაში ჭოროხის სათავე არმენიაში იყო), ფაზისს ერთვის გლავკოსი და ჰიპოსი“ – წერს სტრაბონი. თუკი გლავკოსად ჩავთვლით არტანუჯისწყალს ლიგანის ხევთან ახლოს (შდრ. „ლიკე“, ლიკანი, ლიგანისხევი – ლიკეს ახსენებს პტოლემაიოსი, რომელიც გლავკოსთან ერთად ერთვის ჭოროხს), აქაც სტრაბონის „უზუსტობა“ მცირდება.

სტრაბონი წერს: მაგალითად, „ფაზისზე ცურვა შეიძლება სარაპანამდე“ (XI, 2,17). თუ ჩვენ გავბედავთ და დავძლევთ ტრადიციულ თვალსაზრისს და ჩავთვლით, რომ სარაპანა არ არის იმერეთის შორაპანი და სარაპანად ჩავთვლით ჭოროხის რომელიმე სანაოსნო ნავსაყუდელს (მაგალითად, ართვინს), მაშინ აღარ ვისაუბრებთ სტრაბონის „უზუსტობების“ შესახებ, რადგან ჭოროხი დ. ბაქრაძის ცნობით ნამდვილად იყო სანაოსნო ართვინამდე (მასზე 200-ზე მეტი ბრტყელძირა ნავი დაცურავდა, რომლითაც ჭოროხის ხეობის საქონელი – დახერხილი ფიცრები და პროდუქტები გადაჰქონდათ შავი ზღვის პორტებში და პირიქით – შავი ზღვის პორტებიდან ძირითადად მარილი და მსუბუქი საქონელი გაჰქონდათ ართვინამდე).

ტოპონიმი შორაპანი ქართულ სამყაროში მრავლად მეორდება, მაგალითად, „შორაპანი“ ერქვა ქალაქ ოზურგეთს XV საუკუნეში ისტორიული ატლასის მიხედვით. სტრაბონი წერს „**იბერიაში ოთხი შესასვლელია: ერთი არის კოლხური ციხესიმაგრე სარაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელზეც ფაზისი მომდინარეობს, სწრაფი და ხმაურიანი მიემართება კოლხიდაში, რომელზეც 120 ხიდით გაივლება მიხვეულ-მოხვეულობის გამო. მრავალი ნაკადულებით წარმოიქმნება (ფაზისი) ზემოთ მდებარე მთებში, მრავალი ნაკადულისაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი, გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში**“ (XI, 3,4).

თუ ჭოროხი (ან მისი შენაკადი) – ფაზისია, ხოლო კოლხიდა – „კლარჯეთი და ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირია“, იბერიაში შესასვლელი ნამდვილად მიუყვება შავი ზღვიდან მდ. ჭოროხს, ადის ართვინამდე და შემდეგ შედის ვიწრო ხეობაში, რომელშიც შემდგომ არტანუჯი აიგო, არტანუჯიდან კი შედის იბერიაში, ანუ არტაანში – კანდრიდის, ანუ სკანდის გზით.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, სტრაბონის „უზუსტობაც“ აღმოიფხვრება. თუ ფაზისად ჩავთვლით რიონს, მაშინ ნამდვილად სტრაბონი აღმოჩნდება „არაზუსტი“, რადგანაც დაჭაობებულ დაბლობზე მიმდინარე და დელტებიან ნაპირებიან რიონზე ამჟამადაც კი შეუძლებელია 120 ხიდის

აგება, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ ფაზისი არის ჭოროხი მისი შენაკადები, რომელნიც მიედინებიან კლდეთა შორის ვიწრო ხეობებზე, რომლებზეც ისტორიულად იყო გადებული მრავალი ძველი თაღოვანი ხიდი (ერთ-ერთი არტანუჯთან, სხვები მიმდებარე ხეობების წყლებზე), მაშინ აღარ ჩავთვლით „არაზუსტად“ სტრაბონს.

გლავკოსად და ლიკოსად კი შესაძლებელია ჭოროხის შენაკადები ჩავთვალოთ, როგორც აღინიშნა – უპირველესად ლიგანის ხევი, რადგანაც ჭოროხის ქვეყანას ართვინთან ახლოს ისტორიულად „ლიგანი“ ერქვა – აქ უნდა ყოფილიყო მდ. ლიკოსი, ლიკე. აქ ახლაც არის მდ. „ლიგანის ხევი“ (არტანუჯის მხარეს). ცნობილია, რომ ერთ-ერთი ლიკე გაედინებოდა ტრაპეზუნტის მხარეს, მაგრამ, როგორც ეტიმოლოგიაც მიუთითებს – სხვა მდინარე ამავე სახელწოდებით – ლიკე (ლიკანი-ლიგანი) ლიგანის ოლქშიც გაედინებოდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მდინარეების ლოკალიზაციის შესახებ ამჟამად ერთიანი აზრი არ არსებობს, ძირითადად მათ თვლიან მდ. რიონის შენაკადებად, ასეთ შემთხვევაში სტრაბონი ძალზე „არაზუსტი“ ჩანს.

თუ მდ. ჰიპოსს მიიჩნევენ ცხენისწყლად ან მდ. კოდორად, ან მდ. ლაგვაშად (აფხაზეთში) და ა.შ. ხოლო ფაზისად მიიჩნევენ მდ. ყვირილასა და მდ. რიონის შუა და ქვემო დინებას, ასეთ შემთხვევაში სტრაბონი ნამდვილად „არაზუსტი“ გამოჩნდება. მაგალითად, შეუძლებელი ხდება ლევკოთეას ტაძრის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რადგანაც იგი მდებარეობდა აღნიშნული მდინარეების მაღლა, ე.ი. მაღალ ადგილზე, ზემოთ და არა შორს ან მოშორებით (ნ. ხაზარაძე, გვ. 219), ამიტომ თვლიდნენ ლევკოთეად ზოგი მეცნიერი აწყურს, ზოგი ნოქალაქევს, ზოგი საირხეს, ზოგი ვანს, ხუცუბანს. ზოგი მას ათავსებს კოლხეთში, ზოგი იბერიაში, ზოგი კინტრიშის ხეობაში, ადიგენსა და სხვაგან მაშინ, როცა სტრაბონის მიხედვით ლევკოთეა „მოსხიკეში“ – მოსხების ქვეყანაშია. ეს უნდა იყოს, როგორც ითქვა, არტაანის მხარე, რომელსაც უერთდება კლარჯეთიდან არტაანში ანუ კოლხეთიდან იბერიაში შემავალი ისტორიული გზა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრეებში, კერძოდ ჯავახეთში, ახლაც არის სოფელი კოთელია, რომლის სახელი ემსგავსება სახელ ლევკოთეას.

ნ. ხაზარაძე წერს: „ს. ჯანაშიას აზრით, ცხენისწყალთან ჰიპოსის გაიგივება „ნაკლებ სანდო ჩანს“, ხოლო ყვირილასთან გლავკოსისა „სავსებით საცილობელია, თუ ჰიპო ცხენისწყალია, მაშინ ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ გლავკი რიონია“ (ს. ჯანაშია, ფასიდი, შრომები, II, გვ. 180). გ. მელიქიშვილი ტოლობის ნიშანს სვამს გლავკოსისა და ზემო რიონს შორის. ისევე, როგორც ს. ჯანაშია, გამორიცხულად თვლიან ყვირილასთან გლავკოსის გაიგივებას. ო. ლორთქიფანიძის აზრით, უფრო მართებულია გლავკოსი იდენტიფიცირებული იქნეს რიონის მარცხენა შენაკადთან მდ. სულორთან. ნ. ლომოური მდ. გლავკოსს აიგივებს დღევანდელ მდ. ოლთი-ჩაისთან, ხოლო ლიკოსს – დღევანდელ მდ. თორთუმთან. ნ. ხაზარაძე დასაშვებად თვლის ნ. ლომოურის აზრს (ნ. ხაზარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228).

ჩვენი აზრით, როგორც ითქვა, გლავკოსი და ლიკოსი საძებნია იმ არეალში, სადაც არტანუჯისწყალი უერთდება ჭოროხს, არტანუჯისწყლის შესარ-

თავია ლიგანისხევი. ესენი შესაძლოა იყოს გლავკოსი და ლიკოსი (ანდა ამავე არეალში ჭოროხის სხვა შენაკადები), ხოლო ჰიპოსი ამავე არეალშია საძებნი, კერძოდ, ართვინიდან ზღვის მიმართულებით ჭოროხის მარცხენა წყალუხვი შენაკადებიდან ერთ-ერთი.

საქმე ისაა, რომ ძველ ავტორებს, როგორც ჩანს, აინტერესებდათ არა ჭოროხის, ე.ი. ფაზისის ვრცელი ხეობა მთლიანად (ეს ნაწილი არმენიაში შემავალად მიიჩნეოდა), არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ფაზისთან ერთად გლავკოსსა და ჰიპოსს (და იქვე მყოფ სხვა მდინარეებს), რადგანაც მხოლოდ ამ ნაწილს მოიცავდა კოლხიდა-იბერია-არმენიის დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელზეც შემდგომში აიგო არტანუჯის ციხესიმაგრე, მასში კი, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, შედიოდნენ (ცხადია, აღნიშნული გზით) ვაჭრები იბერიიდან, არმენიიდან, სირიიდან. ამ გზით შესაძლებელი იყო სამხრეთ კავკასიის მთელი ტვირთების გადაზიდვა შავი ზღვის პორტებში და პირიქით, ბიზანტიური საქონლისა მცირე აზიაში ვიდრე სირიამდე, თუ არ ჩავთვლით თბილისურ და კავკასიურ საქონელს.

რაც შეეხება მდ. ჭოროხს, როგორც ჩანს, მას ზემოწელში ერქვა აკამფსისი, შუაწელში ბოასი, ხოლო (მდ. არტანუჯისწყლის) ქვემოთ ზღვამდე – ფაზისი, მასვე, ან მის მახლობელ მდინარეს, ჩანს, აფსაროსიც ერქვა – აფსირტეს, მედეას ძმის, მკვლელობის ადგილის სახელის მიხედვით, ის ამ მდინარის შესართავთან (და არა რიონთან) მოუკლავთ.

რადგანაც კოლხეთის (შემდგომდროინდელი ლაზიკის) ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მესხების ქვეყნის“ ლოკალიზაციას, მოვიყვანოთ უძველესი ცნობები მესხთა (მოსხთა) შესახებ. ჰეკატოს მილეტელი (VI ს. ქრისტეშობამდე) იხსენიებს მათ. სტეფანე ბიზანტიელის (VI ს. ჩვენი წელთაღრიცხვით) „ეთნიკაში“ ვკითხულობთ – „ჰეკატოს მილეტელის თანახმად, მოსხები კოლხური ტომია და ცხოვრობენ მატიენების მეზობლად“. ნანა ხაზარაძე წერს – „ჰეკატოს მილეტელის წარმოდგენით ტერმინ „კოლხის“ გავრცელების არეალი მოიცავდა მდ. ჭოროხის შესართავიდან სამხრეთით მდებარე რეგიონს. საქმე ის არის, რომ მატიენების ტომის მდ. ჭოროხის მაღლა (ჩრდილოეთით) განვრცობის შესახებ ცნობები არ არსებობს“ (იქვე, გვ. 258).

კოლხების მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით ცხოვრების შესახებ ცნობას გვაძლევს ჰეროდოტე, რომელიც წერს, რომ მდ. თერმოდონტთან მცხოვრებმა სირიელებმა და მათმა მეზობელმა მაკრონებმა „მხოლოდ ახლახან“ ისწავლეს კოლხებისაგან წინადაცვეთა (II, 104). მდ. თერმოდონტი კი მიედინება ტრაპეზუნტის სამხრეთით. ჯავახიშვილის აზრითაც, „**წინათ კოლხები თერმოდონტის ახლოს ცხოვრობდნენ**“ (იქვე, გვ. 267). ქსენოფონტის ცნობითაც (IV ს. ქრისტეშობამდე) კოლხების ტომს ეკუთვნოდა ტერიტორია მდ. ჭოროხის სამხრეთით, ტრაპეზუნტის რაიონში (იქვე, გვ. 268). ავტორი ლიკოფრონი (III ს. ქრისტეშობამდე), რომლის კომენტარები იოანე ცეცეს ეკუთვის, წერდა, რომ კოლხებს აგრეთვე უწოდებდნენ „აზიელ სკვითებს“ და

„ლევკოსირიელებს“ (იქვე, გვ. 268), მაშასადამე, კოლხები არ იყო ერთი ტომი, არამედ კრებითი სახელი სხვადასხვა მოდგმის ტომების, მათ შორის, სემიტური წარმოშობის ლევკოსირიელებისა, კოლხებია მესხებიც, რომელნიც ჭოროხის ხეობაში ცხოვრობენ.

კოლხური ბრინჯაოს ნაწარმი ძვ.წ. XIV-XII სს-ში ანატოლიაში ფართოდ გავრცელდა (ორდუს განძი (1926), სხვა მრავალ ადგილას აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი, მათ შორის ართვინის (ჭოროხის ხეობაში). ნანა ხაზარაძის კვლევით „მოსხური მთები“, რომლებიც სტრაბონის წარმოდგენით კოლხეთის სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა, საძიებელია ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით... სტრაბონი ტრაპეზუნტსა და კოლხეთს შორის არც ერთ სხვა ეთნიკურ ან გეოგრაფიულ სახელწოდებას არ იხსენიებს“ (იქვე, გვ. 310). სტრაბონის მოწმობით „სკიდისე, კლდოვანი მთა“ მოსხურ მთებს უერთდება (იქვე, გვ. 311), სკიდისი და შემდგომი ავტორების „სკანდა“ სახელები ემსგავსებიან ერთმანეთს.

სტრაბონის თანახმად, მტკვარს არმენიაში აქვს სათავე, მაგრამ იგი მაშინვე შემოდის იბერიის დაბლობში (XII, 3,2) ანუ კოლას ოლქის სამხრეთი სომხეთს ჰქონდა მიტაცებული, ხოლო არტაანი – იბერიაში იყო.

„მოსხური მთები“ ნ. ხაზარაძეს ეგულება მტკვრის სათავეებთან ახლოს. მტკვარ-ჭოროხის წყალგამყოფი ქედების ადგილას (ესაა არსიანის და მისი მიმდებარე ქედები). მტკვრის სათავეების სამხრეთ-დასავლეთიდან სტრაბონის ცნობით სომხებმა დაიპყრეს იბერიის ტერიტორიები – „**პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე (რომელიც მტკვრის გადაღმა არის)**“ ძვ. წ. II საუკუნეში (XI, 14,5). სტრაბონისვე ცნობით პარიადრეს მთიანეთი ყოფილა წყლით მდიდარი და ტყიანი, აქ იყო მოწყობილი მეტი წილი განძსაცავებისა, პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, შემდგომ იძულებული გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა – კოლხიდაში, იქიდან კი ბოსფორში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან გადალახა არსიანის ქედი და შემდეგდროინდელი არტანუჯის გზით შევიდა ჭოროხის ხეობაში „უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ და გადავიდა მდ. აფსაროსზე“, – წერს აპიანე. ნ. ხაზარაძის კვლევით, შემდგომ ამავე გზით უსარგებლია ვახტანგ გორგასალს, როცა მან ჭოროხის ხეობიდან (კლარჯეთიდან) – არტაანის გავლით მცხეთაში დაბრუნება გადაწყვიტა (იქვე, გვ. 368).

მაშასადამე, სტრაბონის მიერ ნახსენები მდინარეები ფასისი, გლავკოსი, ჰიპოსი მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, ბერძნები „ლაზიკას“ უწოდებდნენ იმ ქვეყანას, რომელსაც ქართულ წყაროებში ერქვა „კლარჯეთი, ბოლო – კლარჯეთისა ზღვისპირი“. აქვეა, ისტორიული მესხეთი – ნ. ხაზარაძის კვლევით.

უნდა ითქვას, რომ კლარჯეთი /არტანუჯის მხარე/ იყო ის მესამედი მესხეთისა, რომელიც სტრაბონის სიტყვით, მის დროს კოლხების ხელში ყოფილა მოქცეული.

პ. ინგოროყვა მესხეთ-კოლხეთის შესახებ (I ს.)

პ. ინგოროყვა წერს – **„აღსანიშნავია, რომ მესხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან კოლხების სატომო სახელთან დაკავშირებულია სახელწოდება არა მარტო კლარჯეთის (კოლარჯების, კოლარების) მხარისა, არამედ მესხეთის ზოგიერთი სხვა რაიონებისა. მაგ. მესხეთის მხარეთა შორის მტკვრის სათავეებში მდებარე რაიონი – კოლა (კორა), რომელსაც უკავშირდება სატომო სახელი კოლხი (კოლაელი), ვარიანტების ფორმით „კორახი". პლინიუს სეკუნდეს ცნობით, მდ. მტკვრის სათავეების მთების სახელი ყოფილა „კორახი". კოლას უკავშირდება მდინარის სახელიც „კორი", „კოროს". ასე ერქვა მტკვარს სტრაბონის ცნობით. მესხების შესახებ უძველესი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ანტიკური ხანის ბერძენ მწერალს ქრისტემდე VI საუკუნისას ჰეკატე მილეტელს – მესხების ტომი კოლხებთანაა დაკავშირებული (ფრაგმენტი 188)**" – (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 438).

კოლხ-მესხების ამ მიწა-წყალზე არსებობდა ორი ლაზიკა, ერთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, მეორე კი საეკლესიო ერთეულს წარმოადგენდა. პირველს ერქვა „ლაზიკის სამეფო", მეორეს კი ლაზიკის სამიტროპოლიტო. ისინი სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარეობდა ერთმანეთის მეზობლად.

ლაზიკის სამეფო მოიცავდა მიწა-წყალს ჭოროხის შესართავიდან და ზღვისპირიდან არსიანის ქედამდე (მას ქართულ წყაროებში ერქვა – „კლარჯეთი – ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი").

ლაზიკის სამიტროპოლიტო, როგორც აღინიშნა, XI ს-ში ტრაპეზუნტის ქალდების გარდა, მესხების ტომით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ვანის ტბის მიმართულებით.

რაც შეეხება ლაზიკის ეპარქიებს, ისინი VI საუკუნისათვის არა ლაზიკის სამეფოში, არამედ სულ სხვა მხარეს, ქალდეა-ლაზიკაში ლოკალიზდება, კერძოდ, რეგიონში ტრაპეზუნტიდან არზრუმის (თეოდოსიოპოლისის) მიმართულებით. XI საუკუნისათვის, გაფართოების შემდეგ, ლაზიკის სამიტროპოლიტო მოიცავდა ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ზიგანა-თეოდოსიოპოლ-ვანის ტბისაკენ.

ნ. ადონცის ცნობით აქ, ქალდების მიწაზე, შემდეგდროინდელ ზიგანა-გიუმუშხანეს რეგიონში მდებარეობდა ლაზიკის ცნობილი საეპისკოპოსოები (**ზიგანა, საისინი, როდოპოლისი, პეტრა**).

პ. ინგოროყვა სიტყვებს „კოლხსა" და „კლარჯს" ერთმანეთთან აკავშირებს, ის ასე მსჯელობს – „ქართულში ბოლოკიდურს „ელი" ენაცვლება ბოლოკიდური „არი". ასე მაგალითად – ოდიშელი – ოდიშარი, ცხუმელი – ცხუმარი, ოპიზელი – ოპიზარი, ოლთისელი – ოლთისარი, კოლაელი – კოლარი" (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 437).

„ელ" – „არ" – გამოხატავს იმავეს, რასაც დაბოლოება „ხი"

კოლარი – კოლაელი – კოლხი

„ამრიგად, სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“ და „კოლარი“ იდენტურნი არიან“ (იქვე, გვ. 437).

ასევე რთული ბგერისაგან „რჯ“, მიიღება ცალ-ცალკე „რ“ და „ჯ“. რ – რჯ.

კოლარი – კოლარჯი – კლარჯი

„ამრიგად, ყველა ეს სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“, „კოლარი“ და „კოლარჯი“ (კლარჯი) ერთი და იგივე სატომო სახელის დიალექტური სხვაობაა“ (იქვე, გვ. 438).

„დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება „ელი“ (იქვე,).

პ. ინგოროყვა წერს – „სატომო სახელებში, რომლებიც ბოლოვდება ბოლოკიდურით „ხი“, ფუძე-სიტყვა აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება „ელი“ (იქვე.). კარდუხი, ტაოხი, კოლხი, ჯავახი და სხვ.

ე.ი. კარდუხი = კარდუელი = ქალდუელი=ქართუელი

კოლხი = კოლაელი = კოლარჯი = კლარჯი

თუ ისტორიული ლაზიკის სამეფო კლარჯეთს მოიცავდა, მაშინ შემდგომი, ბაგრატიონების ეპოქის, კლარჯეთის სახელმწიფოებრიობა ლაზიკის სახელმწიფოებრიობის გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ.

წიგნის ზოგადი დასკვნა

1

კავკასიაში ტერმინით „იბერია“ (ივერია) მოიხსენიებოდა სხვადასხვა ერთმანეთის მოსაზღვრე რეგიონი, უპირველეს ყოვლისა, ფარნავაზის მიერ დაარსებული „ქართლის სამეფო“, რომელიც წყაროთა ცნობით, მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს შავ ზღვამდე და მდ. ეგრისწყლამდე.

X-XI სს-ში იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის (976-1025) დროს, იოანე სკილიცას (1040-1101) ცნობით, „შიდა ივერია“ ერქვა საქართველოს მეფის გიორგი I-ის (1014-1027) სამეფოს, რომელსაც სხვა წყაროებში აფხაზთა სამეფო ერქვა, რადგანაც მისი გული იმჟამად დასავლეთ საქართველო იყო.

შიდა ივერიის ანუ აფხაზთა სამეფოს მოსაზღვრედ (მის სამხრეთით) მდებარეობდა ვრცელი რეგიონი, ტერიტორია არზრუმიდან ანისის ჩათვლით, რომელსაც ასევე ერქვა ივერია, ამ მიწა-წყალს ბიზანტიელები ასევე უწოდებდნენ „იმპერატორის ივერიას“,

ეს იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ (θέμα ‘Ιβηρίας), რომელიც ბიზანტიამ შექმნა დავით კურაპალატის „ქართველთა სამეფოს“ (იგივე ივერიის ანუ ტაოს სამეფოს) დაპყრობის შემდეგ.

ანუ ერთი და იგივე სახელი ივერია მე-10-მე-11 სს-ში ერქვა რამდენიმე სხვადასხვა პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ერთეულს, ესენი იყო – მცხეთის ივერია, შიდა ივერია ანუ აფხაზთა სამეფო, ტაოს იბერია და მის საფუძველზე დაარსებული იბერიის თემი.

ამ „ივერიებს“ (ოთხივე ამ ივერიას) გააჩნდა თავისი მართლმადიდებლური ანუ ქალკედონიტური საეკლესიო სტუქტურები საკუთარი იერარქიითა და მრევლით, კერძოდ, აღნიშნულ საუკუნეებში არსებობდა ქართლის საკათალიკოსო, აფხაზეთის საკათალიკოსო და ტაოს ივერიის საკათალიკოსო, ისინი იყვნენ ქართული საეკლესიო ერთეულები, ხოლო „იბერიის თემი“, ვითარცა დაპყრობილი ქვეყანა, შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, კერძოდ კი, ლაზიკის სამიტროპოლიტოში.

ოთხივე ამ ივერიის ეკლესიას ჰქონდათ საკუთარი საეკლესიო საბუთები. ამ ეკლესიების მიმართ გამოცემულ უცხოენოვან დოკუმენტებში მათ ყველას ივერია ეწოდებოდა, ამიტომ შემდგომ საუკუნეებში მოხდა ამ საბუთების ერთმანეთში აღრევა და მკველევრებს გაუძნელათ მათი დიფერენციაცია.

მაგალითად, ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქები – დოსითეოსი, ქრისანთი და სხვები, ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას „ზემო იბერიისას“ უწოდებენ, ხოლო დასავლეთს – ქვემო იბერიას. ასევე სხვა მწერლები. ბალსამონი მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებისას ხმარობს ტერმინს „ეკლესიები ივერიაში“, ანუ ივერიაში რამდენიმე საეკლესიო ერთეული არსებობდა, ასევე არსებობდა კიდევ ერთი ივერიული საკათალიკოსო, ეს იყო ქართველთა სამეფოს ანუ ტაოს საკათალიკოსო, რომელიც თავის იურისდიქციას უფრო ფართო მიწა-წყალზე ახორციელებდა ბასილი მეორის შემოჭრამდე.

ყველა ამ ივერიას ეკლესიურად აერთიანებდა საერთო სჯულისკანონი, საერთო სასულიერო გადწყვეტილებანი, საერთო საეკლესიო სამართალი, საერთო ქართულენოვანი ღვთისმსახურება, ერთი სიტყვით, ისინი ერთობლიობაში შეადგენდნენ ერთ, საქართველოს წმიდა ეკლესიას, ის იყო ქართველი მრევლის მომსახურე ერთიანი ქართული ეკლესია რამდენიმე საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულით, თავისი საკათალიკოსოებით.

ყველა მათგანს ავტოკეფალიის ათვლის სხვადასხვა თარიღი ჰქონდა, მაგალითად, მცხეთის იბერიის საკათალიკოსო, ანუ ზოგადად ქართული ეკლესია, გიორგი მთაწმიდელის მტკიცებით იყო მოციქულთა მიერ დაარსებული ანუ იმთავითვე ავტოკეფალური.

ქართული წყაროებით აფხაზეთის ანუ ქვემო ივერიის საკათალიკოსო დაარსდა ზოგადქართული ეკლესიის წიაღში საეკლესო-ადმინისტრაციული მმართველობის გაადვილების მიზნით მე-8, მე-9 საუკუნეებში, 830 წელს ქართველთა მეფის მიერ „გაჩენილი“ ანუ დაკანონებული.

აფხაზთა საკათალიკოსო, როგორც ქართლის ცხოვრება ამბობს – „განაჩინა“ ქართველთა მეფემ. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ტაოს იბერიის საკათალიკოსო.

ტაო მე-8 ს. შუა წლებამდე შედიოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, ამ ეპოქაში სომხეთი გაძლიერებული იყო და სტაბონის ცნობითაც, მრავალი ქართული ოლქი (შესაბამისად, ტაო, ბასიანი და მეზობელი მიწა-წყალი) მიიტაცა. სომხეთის გაქრისტიანების შემდეგ ეს ქართული ოლქები გუგარქთან ერთად, ასევე ალბანეთის ვრცელი ქვეყანა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შეიყვანეს. განსაკუთრებით მე-6 საუკუნიდან დაიწყო ეკლესიებში სომხურენოვანი მსახურება.

ნაშრომის სიახლე ისაა, რომ ჩვენი გამოკვლევით, მე-8 საუკუნის შუა წლებში (ტაო და მიმდებარე ქართული რეგიონი) გათავისუფლდა სომხური საეკლესიო უღლისაგან და ქართული ეკლესიის ნაწილად გადაიქცა არა მეზობელი ოლქებიდან იქ ქართველთა ჩასახლებით, როგორც ამჟამად ამტკიცებს რუსული და სომხური ისტორიოგრაფია, არამედ ტაო, მისი რეგიონი (თეოდოსოპოლიოსი), ბასიანი და მიმდგომი ოლქები, ისტორიულად, ჯერ კიდევ ტაოხების ეპოქიდანვე, უწყვეტად იყო დასახლებული ქართველი ხალხით, ხოლო ალბანეთი, ცხადია – ალბანელი ხალხით, თუმცა ზოგიერთი ამჟამინდელი მკვლევარი ალბანეთსაც სომეხი ხალხით დასახლებულად მიიჩნევს.

ტაოს ივერიის ეკლესიას კათალიკოსი კირიონ მე-2 მე-20 ს. დასაწყისში უწოდებს სახელს – „სხვა ივერია“. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ამიტომაც იხსენიებდა სომეხ კათალიკოსს ტერმინით – „სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა უფალი“. ამ მიმართვაში იბერების ქვეშ გულისხმობდა ტაოსა და ბასიანის იბერიის ქართველობას.

ტაოს იბერია მოიცავდა ძალზე ვრცელ ოლქებს.

სტრაბონის ცნობით ეს ისტორიული ქართული მიწები დაიპყრო არმენიამ ძვ. წ. მე-2 ს-ში, დაპყრობის შემდეგ კი შეყვანა ე.წ. დიდი არმენიის შემადგენლობაში.

როგორც ითქვა, არმენიის გაქრისტიანების შემდეგ ეს ქართული ოლქები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა.

კონკრეტულად, ეს ქართული ოლქები მდებარეობდა ე.წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეებში.

სომხეთის შემადგენლობაში შემავალ ამ ქართულ ოლქებს ნ. ადონცი უწოდებდა „არმენიის ივერიულ ზოლს". მე-8 ს. შუა წლებამდე ის მოიცავდა მთლიანად ანდა ნაწილობრივ არმენიზებულ ქართულ ოლქებს – ტაოს, ბასიანს, აირარატს, თეოდოსიოპოლიდან ავანის ჩათვლით. მათი არმენიზაციის ეპოქაში ეს ივერიული მხარეები მამიკონიანების მფლობელობაში იმყოფებოდა. ამ საგვარეულოს სამფლობელოები ძირითადად არმენიზებული ანდა შედარებით ნაკლებად არმენიზებული ივერების სამკვიდრებელს წარმოადგენდა.

არმენიის გაქრისტიანების შემდგომ, IV–VII საუკუნეებში, დაპყრობილ ტაოსა და მეზობელ ოლქებში მცხოვრებ ქართველებს ნაციონალური იდენტობა მეტ-ნაკლებად დაუკარგავთ, თუმცა კი მათ ეკლესიებში დამპყრობელმა ქვეყანამ დანერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება მსგავსადვე, როგორც ითქვა, ალბანეთის ვრცელ ქვეყანაში. ამავე ეპოქაში, VI-VII საუკუნეებში დამპყრობლებმა აკრძალეს ალბანურენოვანი ღვთისმსახურება და მის ნაცვლად შემოიღეს სომხურენოვნება.

ამ დაპყრობილი იბერიის გარეთ არსებობდა მთავარი ანუ მცხეთის იბერია, ის თავისუფალი იყო ეკლესიურადაც. ის იყო ყოველმხრივ თავისთავადი ქვეყანა. პირობითად, მას მცხეთის ივერია შეიძლება ვუწოდოთ, ქართულენოვანი ადმინისტრაციით, ქართულენოვანი ეკლესიითა და სხვა ქართული ეროვნულ-კულტურული ატრიბუტებით.

როგორც ითქვა, მას ესაზღვრებოდა არმენიული მიწები, რომლის სასაზღვრო ოლქები დაპყრობილი იბერების ტერიტორიებით იყო შედგენილი. ამის მიუხედავად ამ დაპყრობილი (ტაოსა და სხვა) ოლქების მკვიდრი ქართული მოსახლეობა თავის სულიერ ძლიერ კავშირს, თავისუფალ მცხეთის ივერიის ეკლესიასთან გამოხატავდა იმით, რომ გულმხურვალედ უჭერდა მხარს და მტკიცედ იცავდა იმ აღმსარებლობას, რომელიც ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა კირიონ I კათალიკოსის ეპოქაში VI-VII საუკუნეებში – ეს იყო მართლმადიდებლობა ანუ ქალკედონიტობა, დიოფიზიტური ქრისტიანობა.

ასე გაგრძელდა 726 წლის მანასკერტის სომხური ეკლესიის კრებამდე, რომელმაც ანათემას გადასცა არმენიაში მცხოვრები (ანუ ტაო-ბასიანელი და სხვა) ქალკედონიტები და დაავალდებულა ისინი, ეღიარებინათ მხოლოდ და მხოლოდ მონოფიზიტური სარწმუნოება.

მანასკერტის კრების ანათემა ტაოს ქალკედონიტებმა პირად შეურაცხყოფად მიიღეს, მართალი სარწმუნოების დაცვის მიზნით გადაწყვიტეს გაეწყვიტათ კავშირი სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან და გაბატონებული სომხური ენის ნაცვლად თავიანთ ეკლესიებში დაენერგათ მშობლიური ქართულენოვნება. ამ ცნობას გვაწვდის ანტიოქიელი ისტორიკოსი მიქაელ ბრეკი, რომელიც უთითებს თავის წყაროს, მე-11 ს. ისტორიკოს კედრენეს ცნობებს.

იმისათვის, რათა სომხურ იერარქიულ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ტაოს იბერები ზემდგომი ეკლესიის გარეშე არ დარჩენილიყვნენ,

მათ გადაწყვიტეს შესულიყვნენ ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ანუ ტაოს იბერიის ეკლესიის მეთაურს სომეხი კათალიკოსის ნაცვალად უკვე ანტიოქიის პატრიარქი დაასხამდა ხელს. ანუ ტაოს იბერიის ანდა უბრალოდ იბერიის მღვდელმთავარს ხელს დაასხამდა ანტიოქიის პატრიარქი. ყოველივე ამის შესახებაც მეორე ცნობას გვაწვდის იგივე ანტიოქიელი ისტორიკოსი მიქაელ ბრეკი, მე-18 ს. ანტიოქელი მღვდელი

ის აღნიშნავს და წერს, რომ იბერების დელეგაცია ჩავიდა ანტიოქიის საპატრიარქოში, რათა მის წმიდა სინოდში შეეტანათ საჩივარი და თხოვნა, რომ გათავისუფლებული ყოფილიყვნენ სომეხი კათალიკოსისაგან და მათ ეკლესიებში დანერგილი სომხურენოვნება ანუ მათთვის უცხოენოვნება გაეუქმებინათ, რათა ღვთისმსახურება აღედგინათ მშობლიურ ქართულ ენაზე. ისინი წარდგნენ პატრიარქის წინაშე. მიქაელ ბრეკი წერს –

„როცა მასთან მივიდნენ ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის შესაბამისად, მაგრამ მან გაიგო, რომ ისინი განიცდიან გაჭირვებას და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან, მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებელი დოგმატების უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიელი პატრიარქი მოეხსენებინათ“ (Брейк М. Список Антиохиских Патриархов.Труди Киевской духовной академии, 1874, стр.416).

ამ ცნობაში „ძველი წესი“ ნიშანავს, რომ იბერთა დელეგაცია მსგავსი თხოვნით ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ჩასულა ანტიოქიაში, ოღონდ იმ დროს იბერების საკათალიკოსო ცენტრი ავანში მდებარეობდა. იბერების კათალიკოსისათვის მაშინ ხელი დაუსხამს ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის. ასეთი გაბედულებისათვის სასტიკად დაისაჯა იბერთა (ავანელთა) კათალიკოსი, ის გადაასახლეს, ხოლო იქაური იბერიული ცენტრები სასტიკად დაარბიეს და მოსპეს. ამიტომაც მან დაკარგა ფუნქცია და არმენიის იბერთა სასულიერო ცენტრმა ტაოსაკენ გადაინაცვალა. იმავე თხოვნით უკვე მე-8 საუკუნეში იბერების დელეგაცია კვლავ ჩასულა ანტიოქიაში, რათა „ძველი წესი“ აღედგინათ.

აღსანიშნავია, რომ არმენიის იბერიამ და მისმა სასულიერო დასმა დიდი ძალისხმევა ჩადო ამ საქმეში, რამაც ტაოს იბერიას თავისუფლება მოუტანა, საუბედუროდ, ეს ვერ შეძლო ალბანეთის სასულიერო დასმა, ამიტომც ალბანელი ხალხი საბოლოოდ გასომხდა.

ბრეკის ამ ცნობიდან სრულებით ნათელია, რომ აქ აღნიშნული იბერები **(ანუ ტაოს იბერიისა და მიმდგომი ქვეყნების ვრცელი ქვეყნების ქართველების დელეგაცია)** წარსდგნენ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე საჩივრით, რომ ისინი, მართალია, არიან ეთნიკურ იბერთა ქვეყნიდან, მაგრამ იბერთა სამრევლოები, რომელთა წარმომადგენლებიც იყვნენ, შედიოდნენ სომეხი კათალიკოსის ანუ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში და დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათ ეკლესიებში ლიტურგია და ლოცვები აღესრულებოდა არა მათ მშობლიურ ენაზე, არამედ სომხურად, ამიტომაც ამბობდნენ, ჩვენ ვზარალდებით გაბატონებული სომხურენოვნებით (ისინი ამბობდნენ, რომ „დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან“).

ანტიოქიის პატრიარქმა შეისმინა მათი თხოვნა და სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა ერთ-ერთ მოსულ ბერს, დაადგინა ის „კათალიკოსად“, ანუ მრავალი საეპისკოპოსოს მეთაურად, თვით სიტყვა კათალიკოსი მიუთითებს, რომ იბერთა მრევლი, რომელიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა იყო მრავალარიცხოვანი და გააჩნდათ ბევრი საეპისკოპოსო სომხური ეკლესიის დაქვემდებარების ქვეშ.



იბერია ზღვიდან ზღვამდე, მე-2 ს. დასაწყისი
https://en.wikipedia.org/wiki/Kingdom_of_Iberia#/media/File:RomanEmpire_117.svg

ანტიოქიის პატრიარქმა ეს იბერთა ეკლესია კანონიერი საეკლესიო გზით გაათავისუფლა სომეხი კათალიკოსის იურისდიქციისაგან, ამით ტაოს იბერიის ეკლესიამ მოიპოვა არასრული ავტოკეფალია ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეით, კერძოდ, ამ იბერებს ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენიებინათ წირვის დროს, ხოლო წმ. მირონი და ასევე, მწვალებლობის დროს ზედამხედველი, უნდა მიეღოთ ანტიოქიისაგან.

ეს ცნობა მრავალი გაუგებრობის საფუძვლად გადაიქცა, განსაკუთრებით მე-20 ს- ში, როდესაც საქართველოს ეკლესია იბრძოდა ავტოკეფალიის აღსადგენად.

როგორც სხვაგანაც აღვნიშნეთ, კავკასიაში ერთი და იგივე სახელი „იბერია“ (ივერია) ერქვა რამდენიმე ერთმანეთისაგან პოლიტიკურად დაშორებულ რეგიონს,

1. მცხეთის ქვეყანას, მას ზოგჯერ ერქვა ასევე სახელი „ზემო იბერია“;

2. VIII-XI საუკუნეებში სახელი „იბერია“ ასევე ერქვა „სხვა“, ანუ ტაოს იბერიის ვრცელ რეგიონს არზრუმის ქვეყნიდან ტაოს, ბასიანისა და სხვა მომიჯნავე ოლქების მიმატებით, ანუ შემდგომდროინდელ „ქართველთა სამეფოს“, მას ზოგჯერ „აღმოსავლეთს“ ან „აღმოსავალსაც“ უწოდებდნენ;

3. VIII-XVIII საუკუნეებში იგივე სახელი „ივერია (იბერია) ერქვა ასევე „ქვემო ივერიას“ – ანუ დასავლეთ საქართველოს, რომლის ძირითადი სახელი იყო „აფხაზეთი“ ან „ეგრისი“, შემდეგ კი დაერქვა იმერეთი-სამეგრელო-გურია; მე-11 ს. ბიზანტიაში მას ასევე „შიდა იბერიას“ უწოდებდნენ, ხოლო ბიზანტიურ ანუ „იმპერატორის იბერიას“ უწოდებდნენ ბიზანტიურ „ივერიის თემს“;

4. 1021-1074 წლებში სახელი იბერია ასევე ერქვა „იბერიის თემს“, ანუ ბიზანტიურ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ყოფილი ქართველთა სამეფოს მიწების უმეტეს ნაწილსა და ასევე ანისის ოლქსაც მოიცავდა ავანის ჩათვლით, მასაც „აღმოსავლეთი“ ერქვა.

ქვემოთ შევეხებით ასევე კიდევ ერთ იბერიას, რომელიც, სინამდვილეში, ჩამოთვლილი სიის ე.წ. „სხვა იბერიის“ ნაწილს შეადგენდა, ეს იყო „ავანის ივერია“, რომლის დელეგაცია იმავე მოთხოვნით (რომ გათავისუფლებულიყვნენ დვინის იურისდიქციისაგან) ანტიოქიაში უფრო ადრე, ანასტასი მღვდელმოწამე ანტიოქიელი პატრიარქის დროს მისულა.

ოთხივე ივერიაში სხვადასხვა საეკლესიო ვითარება იყო, კერძოდ, პირველი ანუ მცხეთის ივერიის ეკლესია მოციქულთა ეპოქიდან თავისთავადი იყო და წმ. მირონსაც ადგილზე მოიპოვებდა წმიდა კვართის სვეტიდან და ასევე ადგილზევე აკურთხევდა უკვე მე-5 საუკუნიდან, ქართლის მეფე არჩილ I-ის დროიდან.

მცხეთის საეკლესიო წიაღიდან იყო წარმოქმნილი „ქვემო იბერიის“ ეკლესია, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო, ქვემო და ზემო იბერიების ეკლესიები ანუ ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები VIII-XVIII საუკუნეებში ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას საერთო სჯულისკანონით და საერთო ადგილობრივი საეკლესიო კრებების ძალით, საერთო ქართული საეკლესიო ენით, საერთო საეკლესიო ტრადიციებითა და საერთო საეკლესიო კულტურით.

2

როგორც აღინიშნა, მისგან განსხვავებით სრულებით სხვაგვარი საეკლესიო ვითარება იყო ტაოს ივერიაში (მე-8 საუკუნის შუა წლებამდე), რომელსაც კათალიკოსი წმ. კირიონ მე-2 „სხვა ივერიას“ უწოდებდა. აქაური იბერები, ანუ ქართველების სამრევლოები, იბერთა საეპისკოპოსოები და ეკლესია-მონასტრები აღნიშნულ მე-8 ს. შუა წლებამდე, როგორც ითქვა, შედიოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში. ის სომეხი კათალიკოსის დაქვემდებარებისაგან გაათავისუფლა ანტიოქიის წმ. სინოდმა და პატრიარქმა მე-8 ს. შუა წლებში.

როგორც ითქვა, ამასვე აღნიშნავს მე-18 ს. ანტიოქიელი ისტორიკოსი, მღვდელი მიქაელ ბრეკი, რომ ქართველების დელეგაცია მე-8 საუკუნეში მივიდა ანტიოქიის პატრიარქთან და ითხოვა დახმარება, რათა მათ ეკლესიაში ლიტურგიის ენა ყოფილიყო არა მათთვის უცხო, ანუ სომხური ენა, არამედ მშობლიური ქართული. მათი თხოვნა შესმენილ იქნა და ქართველთა მღვდელ-

მთავარი თვითონ აკურთხა ანუ „დაასხა ხელი“ ნაცვლად სომეხი კათალიკოსისა. ეს ცნობა ნიშნავს, რომ ამ ივერიის, ანუ ტაოს ივერიის სამღვდელოება იქამდე იმყოფებოდა სომეხი კათალიკოსის იურისდიქციაში და ანტიოქიამ ეს (ტაო-ბასიან-თეოდოსიოპოლისის) ივერები სომხური ეკლესიის ბატონობისაგან გაათავისუფლა და მათზე აღადგინა ძველი ანტიოქიური იურისდიქცია.

როგორც ითქვა, მიქაელ ბრეკი წერს და კიდევ ერთხელ მოგვყავს ეს მნიშვნელოვანის ცნობა –

„როცა მასთან (ანტიოქიის პატრიარქთან) მივიდნენ ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის შესაბამისად, მაგრამ მან გაიგო, რომ ისინი განიცდიან გაჭირვებას და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან (ენებისაგან), მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებლური დოგმატების უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიელი პატრიარქი მოეხსენებინათ“ (Брейк М. Список Антиохиских Патриархов.Труди Киевской духовной академиию, 1874. стр. 416)

მაშასადამე, მეორე ანუ ტაოს ივერიის კათალიკოსს ხელი მე-8 საუკუნეში დაასხა ანტიოქიის პატრიარქმა.

3

სულ სხვა ვითარება იყო მეოთხე ივერიაში ანუ იბერიის თემში.

მეოთხე ივერია, ანუ „იბერიის თემის“ საეკლესიო იურისდიქცია თანდათანობით შეიცვალა მე-11 საუკუნეში ბიზანტიელთა ბატონობისას.

აქაური ქართველი ეპისკოპოსი ზაქარაია ვალაშკერტელი ბიზანტიაში თავდადებით იღვწოდა, რათა როგორმე ქართულენოვნება შეენარჩუნებინა იბერიის თემში (ამის შესახებ გამოკვლევა იხ. ჩემი წიგნი „არიან-ქართლი“). ახლა უკვე იბერიის თემში ბერძნულენოვნება ინერგებოდა.

საუბედუროდ, კონსტანტინოპოლში ზაქარია ვალაშკერტელის ბრძოლა იბერიის თემში ქართულენოვების შენარჩუნებისათვის დამარცხდა და დამპყრობელმა ბიზანტიამ იბერიის თემის საეპიკოპოსოები შეიყვანა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიაში დაახლოებით მე-11 ს. 50-იან წლებში ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვით.

ანტიოქიის საპატრიარქოში საგანგებოდ ჩავიდა წმიდა გიორგი მთაწმიდელი დედოფალ მარიამთან ერთად და მოთხოვა ანტიოქიის პატრიაქ პეტრე III-ს, რათა ანტიოქიის საპატრიარქოს დაედასტურებინა იბერიის თემსა და აქაურ მიწებზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ეს ნაბიჯი უფრო მეტად გადაიდგა, რათა ანტიოქიის პატრიარქს თავისი უფლებამოსილება დაედასტურებინა იბერიის თემში და არ დაეშვა აქ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის განვრცობა. ამის მიუხედავად, საბოლოდ, იბერიის თემში კონსტანტინოპოლმა განავრცო თავისი იურისდიქცია და აქაური კათედრები დაუქვემდებარა თავის ლაზიკის ეპარქიას.

მაშასადამე, თითქმის მე-12 საუკუნემდე არსებობდა ოთხი იბერია სხვადასხვა საეკლესიო იურისდიქციით, ამის გამო ისმება კითხვა, თუ რომელი

იბერიიდან მივიდა მე-8 ს. შუა წლებში ანტიოქიის საპატრიარქოში ქართველ სასულიერო პირთა დელეგაცია?

4

როგორც უკვე აღინიშნა, ანტიოქიის პატრიარქთან მე-8 ს-ში მისულან სასულიერო პირები ტაოს იბერიიდან.

როგორც ჩვენს მიერაა გარკვეული, ანტიოქიაში მე-8 საუკუნეში, 750-იან წლებში ქართველთა სასულიერო დელეგაცია ჩავიდა არა მცხეთის ივერიიდან, არამედ მეორე ანუ სხვა ივერიიდან,

ე.წ. „ტაოს ივერია“ იყო ვრცელი რეგიონი განფანილი შემდგომი არზრუმის ოლქიდან, ტაოს ჩათვლით, ვიდრე ანისამდე და ავანამდე.

ეს ოლქი იმჟამად (მე-8 საუკუნისათვის) წარმოადგენდა არმენიის ქვეყნის ნაწილს და აქ საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებდა სომხური ეკლესია.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა – რამდენადაა შესაძლებელი, რომ ეს ვრცელი მხარეები ჯერ კიდევ მე-8 საუკუნემდე იბერებით ყოფილიყო დასახლებული?

ამ რეგიონში იბერთა ცხოვრებაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ სტრაბონი. მისი სიტყვით, არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა ვრცელი ოლქები – პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა. ამ რეგიონს თავდაპირველად არასომხური წარმომავლობის მამიკონიანები მართავდნენ, შემდეგ კი სპერელი (ლაზურ-იბერიული) ბაგრატიონები.

პარიადრეს ადგილმდებარეობა ცნობილია, ის ტრაპეზუნტის სამხრეთით დიდი მთიანეთია, გოგარენა, სტარბონის სიტყვით, „მტკვრის იქით“ იყო, ამიტომ ის ჩვენთვის შემდგომი შაქის ოლქია, თუმცა ამჟამად გუგარქად მიიჩევენ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე,

მათ შორის, ანუ პარიადრესა და გოგარენას შორის, იყო მოქცეული ხორძენა, ანუ ვრცელი რეგიონი პარიადრედან მტკვრამდე (აღსანიშნავია, რომ ამჟამად ხორძენას უწოდებენ მხოლოდ კლარჯეთს, ეს მცდარი აზრი დაინტერესებულმა წრეებმა დაამკვიდრეს იმასათვის, რათა დაეკნინებინათ სტრაბონის ცნობის მნიშვნელბა და ასე დაემცროთ მიტაცებული ტერიტორიების რეალური განზომილება).

მათ გარდა ქართველთა ქვეყნებიდან არმენიამ ძვ.წ. მე-2 საუკუნეში მიიტაცა კარენიტიდა ანუ შემდგომი არზრუმის ოლქი ტაოს ჩათვლით და ქსერქსენე, რომელსაც შემდგომ მცირე არმენია უწოდეს.

ყველა ამ ქართული ოლქის მოსახლეობა იმთავითვე აღმოჩნდა არმენიზაციის პროცესის ქვეშ, რასაც, როგორც ითქვა, თავი მე-8 ს. შუა წლებში დააღწია მხოლოდ ტაოს იბერიის ქართველობამ.

სამწუხაროდ, ამჟამად გაბატონებულია საპირისპირო მტკიცება, რომ ტაოს ვრცელ ქვეყანაში, თითქოსდა, მე-8 საუკუნემდე ქართველები არც კი ცხოვრობდნენ და მხოლოდ არაბთა შემოსევების დროს, უფრო მე-9 საუკუნიდან, ჩასახლდნენ აქ (ტაოში).

ამ საკითხის კვლევისას უცხოელი მკვლევრები უფრო მეტად ნ. მარისა და არუთინოვა-ფიდანიანის არასწორ მტკიცებებს იმეორებენ, რომ ტაოს

ქვეყანაში ქართველობა გვიან, არაბობის დროს, გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ჩასახლდა და წყაროდ მიუთითებენ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. თითქოსდა, ამ წმიდანის ცხოვრებაში აღწერილია ფაქტი – ქართლიდან ტაოში ქართველთა მასობრივი გადასახლებისა, სინამდვილეში კი, ამ წყაროში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“) არაფერი მსგავსი მოთხრობილი არ არის, აქ მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ არაბობის დროს ტაოში ქართველობა მასობრივად ჩასახლდა.

მართალია, არაბთა დროს კლარჯეთში, საკუთარ მამულში თბილისიდან დაბრუნდა აშოტ ბაგრატიონი, რადგანაც კლარჯეთი ქართლის, ანუ მისი სამეფოს, ნაწილს წარმოადგენდა (ეკლესიებში ქართულენოვანი ლოცვით), მაგრამ სულ სხვა იყო ტაოს პოლიტიკური სახე. იმ დროს ტაო (მე-9 საუკუნემდე) სულ სხვა პოლიტიკური ერთეული იყო. იმჟამიდელი ტაიქი, მართლია, იბერებით იყო დასახლებული, მაგრამ ნაწილი სომხური სამეფოსი, ამიტომაც აქ ეკლესიებში ლოცვები სომხურ ენაზე აღესრულებოდა. ამ ფაქტს ტაოს იბერიის ქართველობა აპროტესტებდა და სწორედ ეს ფაქტია აღწერილი მიქაელ ბრეკის ცნობაში, რომ როდესაც იბერთა ამ ქვეყნიდან ანტიოქიის პატრიარქთან წარდგნენ იბერი ბერები, მათი მთავარი საჩივარი სწორედ ენობრივ საკითხს შეეხო, რაც ზემოთ აღვწერეთ, რომ ეს იბერები **„განიცდიან გაჭირვებას და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენისაგან“** (Брейк М. დასახ. ნაშრ., стр.416).

მაშასადამე, მე-8 ს. შუა წლებამდე ტაოს იბერთა უმთავრესი საწუხარი იყო მათ ეკლესიებში გაბატონებული სომხურენოვნება, რასაც ადასტურებს მიქაელ ბრეკის შესანიშნავი ცნობა.

ასეთი ენობრივი ვითარება არაა გამონაკლისი, სწორედ იმჟამინდელ ტაოელთა მსგავსად სომხურენოვნება გავრცელებული იყო ასევე მეზობელ ალბანეთის ეკლესია-მონასტრებში და მოვსეს კალანკატუაცის თანახმად, სომეხი კათალიკოსები სასტიკად კრძალავდნენ ალბანურ ენასა და ლიტერატურას. დვინის სომეხთა კათალიკოსმა აქ, ალბანეთში, ბარდავთან გამდინარე წყალშიც კი დემონსტრაციულად გადაყარა ალბანურენოვანი წიგნები (აღნიშნული, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ალბანელი კათალიკოსის წიგნების სკივრი, რომელიც წყალში გადააგდო სომეხმა პატრიარქმა, სავსე იყო ალბანურენოვანი ლიტერატურით (წიგნებით). სომხური ეკლესია სომხურენოვნებას ასევე ავრცელებდა გუგარქში, რაც ეპისტოლეთა წიგნშიცაა მოცემული, სომხური ეკლესიის ამ ქმედებას ეწინააღმდეგებოდა კირიონ მცხეთის კათალიკოსი.

5

მცხეთის ქართლში შედიოდა ამჟამინდელი შიდა და ქვემო ქართლი, ასევე ამჟამინდელი სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელზეც გამავალი მდინარეები ერთვის მტკვარს, სწორედ ასეთი წყალგამყოფი ქედით სახავს ქართლის საზღვრებს მეფე მირიანის მემატიანე, კერძოდ, იმპერატორ კონსტანტინეს დაუზავებია ქართლისა და სომხეთის მეფეები და განუსაზღვრავს, რომ ის ოლქები, რომელთა მდინარეები ერთვის მტკვარს, ქართლის ქვეყნის

ნაწილია, შესაბამისად, ამჟამინდელი სომხეთის ტავუშისა და ლორეს ოლქები, რომლის მდინარეები ერთვის მტკვარს – ქართლის ნაწილი იყო, რაც შეეხება გუგარქს, ანუ „ქართველთა ქვეყანას“, ის ქართლის სამხრეთით მდებარეობდა, განიცდიდა ძლიერ არმენიზაციას, თუმცა კი შედიოდა ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში. რაც კარგად ჩანს „ეპისტოლეთა წიგნიდან“.

ასევე, მკვიდრი ქართველებით, ოღონდ შედარებით ძლიერ არმენიზებულებით, იყო დასახლებული აირარატის ოლქი, რომელიც „იბერიის თემის“ მთავარ ნაწილს შეადგენდა და შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე შედიოდა საქართველოს სახელმწიფოში, ვიდრე მე-15 საუკუნემდე. თემურ ლენგმა აქაური მოსახლეობა, შესაბამისად, ქართველობა მასობრივად ამოხოცა, აქ ადამიანის ხმაც კი აღარ ისმისო, წერდა სომეხი მემატიანე.

მიქაელ ბრეკის ცნობა დასტურება არანაკლები მნიშვნელობის სხვა ფაქტებით, რომელნიც მოყვანილია ამ ნაშრომში. Михаил Брейк „Список Антиохийских патриархов„. „Труды Киевской Духовной Академии“, 1874 г.

მისი ცნობიდან კი ვიგებთ, რომ იბერთა (იბერიიდან ჩასული იბერების) მშობლიური ენა არ იყო სომხური, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იჩივლებდნენ გაბატონებული უცხოენოვნების გამო. ამასთანავე, ანტიოქიის პატრიარქმა მათ ხელი დაასხა სომეხი კათალიკოსის ნაცვლად, მაშასადამე, გამოიყვანა სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და მიანიჭა თავისთავადობა, ანუ უფლება სომხურის ნაცვლად საეკლესიო ქართულენოვნებისა.

საკვლევია ის, თუ როდის ჩიოდნენ ქართველები მათი ქვეყნის ეკლესიებში გაბატონებული უცხოენოვნების შესახებ, მე-6 თუ მე-8 საუკუნეებში?

ბრეკისაგან და ასევე სხვა წყაროების ანალიზიდან ჩანს, რომ არმენიის იბერიიდან ანდა უბრალოდ იბერიიდან საეკლესიო დელეგაცია ანტიოქიაში ჩავიდა ორჯერ, კერძოდ, მე-6 საუკუნესა და მე-8 საუკუნეში, თუ არ გავიხსენებთ მე-11 საუკუნეში ანტიოქიაში გიორგი მთაწმიდელის დელეგაციის ჩასვლას.

6

მე-6 საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქმა წმ. ანასტასიმ სომეხი კათალიკოსის ნაცვლად ხელი დაასხა და კათალიკოსად აკურთხა იბერიელი იოანე, ჩემი კვლევით, ესაა ავანის კათალიკოსი იოანე კოგოვიტელი, რომელიც ამჟამად „სომეხ-ქალკედონიტთა კათალიკოსად“ იწოდება. ამ აზრის უარმყოფელთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ე.წ. „სომეხი-ქალკედონიტები“ თავიანთ თავს უწოდებდნენ არა სომეხს, არამედ იბერებს და ეს ფაქტი აღიარებულია. მაგალითად, შესაბამის საინტერნეტო საიტზე.

მეორეჯერ, ანტიოქიაში იბერების ანუ არმენიის იბერების საეკლესიო დელეგაცია მისულა მე-8 საუკუნის შუა წლებში იმავე საჩივრით ენობრივ დევნასთან დაკავშირებით, და კვლავ მოუთხოვიათ კათალიკოსის კურთხევა, იმის მომიზეზებით, რომ პირველი იბერიის კათალიკოსის იოანეს შემდეგ (იგულისხმება არმენიის იბერია) იბერებს ვერ უკურთხებიათ საკუთარი კათალიკოსი, ანტიოქიაშიც ვეღარ ჩასულან არაბთა შემოსევების გამო, ამიტომაც უთხოვიათ მათთვის ახალი კათალიკოსის კურთხევა. ტრადიციის დაცვის მიზნით ანტიოქიის პატრიარქს მე-8 ს.-ში მის მიერ ნაკურთხ იბერიის

ახალი კათლიკოსისათვისაც იგივე სახელი, იოანე დაურქვამს, რაც ერქვა ავანის იბერიის პირველ კათალიკოსს. ცხადია, ენობრივი საკითხიც დადებითად გადაიჭრა, არმენიის იბერებმა მათ ეკლესიებში დანერგილი სომხურენოვნების ნაცვლად აღიდგინეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება მე-8 საუკუნის შუა წლებიდან.

ამ მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ, ტაოს ვრცელი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვნების დანერგვას მე-8 ს. ბოლოდან მიიჩნევენ შედეგად იმისა, თითქოსდა, ამ დროს არაბობის გამო ტაოში მასობრივად ჩასახლდა ქართული მოსახლეობა, რომელთაც ქართული ენა შეიტანეს იქამდე სომხურენოვან სასულიერო დაწესებულებებში. როგორც ითქვა, ამ მნიშვნელოვანი ფაქტის წყაროდ მიუთითებენ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, თითქოსდა, ამ ძეგლში აღწერილია ეს ამბები, რაც არასწორია, მაშასადამე, წყარო არ გაჩნიათ და მათი დასკვნა მხოლოდ ვარაუდზეა დაფუძნებული, ჩვენ კი ვუთითებთ წყაროს, ესაა ბრეკის ცნობა და სხვა წყაროთა ანალიზი.

ამავე ცნობას უფრო გამოწვლილვით იძლევა ეფრემ მცირე „ანტიოქურ ქრონოგრაფზე“ დაყრდნობით. ეფრემ მცირე წერს:

„დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა, **Константин** V Копроним (греч. Κωνσταντῖνος Ε΄ Κοπρώνυμος; 718-775) – византийский **император** с 741

ანტიოქიას პატრიაქობისა ნეტარისა თეოფილაქტესსა, Феофилакт (748-757)

მოვიდეს ქართლით **(იგულისხმება ტაოს ქართლი)** მოციქულად მონაზონნი ორნი მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტეანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი.

რამეთუ დღითაგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა Анастасий II (599-610)

არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარინთაგან ვერვინ იკადრებს სვლად.

ხოლო მან ბჭობითა კრებისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რათა თვით მათისა საზღვრის ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდიან ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა *(იგულისხმება ტაოს იბერია ანუ ტაოს ქართლი მ.ა.ჯ.),* რაიცა საღმრთომან მადლმან უჩვენოს მათ და რომელი გამოარჩიონ მოყვასთა თავისა ეკლესიისათა... და შეუქმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის და ხელთ – დასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა“.

ვინ არის პირველი კათალიკოსი იოანე.

მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება ქართულ წყაროებში, ის მხოლოდ ანტიოქიურ ქრონოგრაფაში ყოფილა მოცემული, შეცდომით ის ამ-ჟამადაც მიჩნეულია მცხეთის კათალიკოსად, ანუ მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეიყვანეს ის მცხეთის კათალიკოსთა სიაში, რაც არის შცდომა. ის (იოანე) იყო მე-8 საუკუნეში ტაოს და არა მცხეთის კათალიკოსი.

მაშასადამე, ეფრემ მცირეს თხზულების იოანე არის არა მცხეთის, არამედ ტაოს პირველი კათალიკოსი. შესაბამისად, შეცდომაა ამ იოანეს მცხეთის კათალიკოსთა სიაში შეტანა, რაც არასწორად მოხდა მე-20 საუკუნეში.

როგორც ითქვა, მის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს ქართულ წყაროებში, მის შესახებ ცნობა ყოფილა მხოლოდ ანტიოქიურ ქრონოგრაფაში, საიდანაც აუღია ეფრემ მცირეს.

ივერიის ის ეკლესია, რომელიც, ბრეკის მიერ შემონახული ცნობის თანახმად, მე-8 ს-ში გათავისუფლადა სომხური კათალიკოსისაგან და ხელდასხმა მიიღო ანტიოქიაში, იყო ტაოს ივერიის კათალიკოსი, ამიტომაც იოანე ნაკურთხი ანტიოქიელი პატრიარქის მიერ არის ტაოს პირველი კათალიკოსი. კერძოდ, როგორც აღინიშნა, ეს ცნობა ასეთია –

„...სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიელი პატრიარქი მოეხსენებინათ“ (Брейк, დასახ. ნაშრ., გვ. 416). მაშასადამე, ბრეკის ცნობაში ნათქვამია, რომ ანტიოქიის პატრიარქმა სომეხი კათალიკოსის მაგიერ დაასხა ხელი ივერიის (ანუ ტაოს ივერიის) კათალიკოსს, რომელსაც მიენიჭა ავტოკეფალია, მაგრამ არასრული, მას ანტიოქიელი პატრიარქი უნდა მოეხსენებინა ლოცვებში, ეს ნიშნავს, რომ ტაოს ივერია გამოვიდა სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და შევიდა ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში, როდის მოხდა ეს მნიშვნელოვანი საეკლესიო მოვლენა? ბრეკისა და სხვა ცნობებით აშკარაა, რომ მე-8 საუკუნის შუა წლებში.

ამავე დროს, როგორც ბრეკისავე ცნობიდან ჩანს, ენობრივ საკითხსაც შეეხენ, თუკი იქამდე ტაო სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო, ცხადია, მის ეკლესიებშიც სომხურენოვანი მსახურება იქნებოდა, ანუ იქამდე ტაოს ეთნიკურად ქართული სამღვდელოება იძულებული იყო სომხურ ენაზე ეწირა, ამ საჩივრითაც მივიდნენ ისინი ანტიოქიაში, ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ ტაოში უკვე აღდგა ქართულენოვანი ღვთისმსახურება. უკვე მე-9 საუკუნიდან, მართლაც, სხვა უამრავი წყაროდან ვიცით, რომ ტაოსა და მიმდგომ ოლქებში, ტაოს ქართველთა სამეფოში ზეაღმატებულად იყო გაჩაღებული ქართულენოვანი მსახურება.

ჩვენი დასკვნა ბრეკის ცნობის საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

ამგვარი დასკვნა სრული სიახლეა, რადგანაც სავსებით განსხვავდება ამჟამად საყოველთაოდ, მათ შორის უცხოეთში, გავრცელებულისაგან, რომ, თითქოსდა, ტაოში ქართულენოვნება დაინერგა მხოლოდ არაბთა შემოსევების დროს მე-8 საუკუნიდან და ეს მოხდა ეთნიკურად სომხურ ტაოში ქართველთა მასობრივი ჩასახლების გამო, ანუ მიიჩნევა, რომ ტაო სომეხთა ქვეყანა იყო და ის ქართული გახდა მხოლოდ იქ ქართველთა ჩასახლების შემდეგ.

როგორც ითქვა, ამ არასწორი დასკვნის წყაროდ უთითებენ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, თითქოსდა, იქ აღწერილია სომხეთში ქართველთა მასობრივი ჩასახლების პროცესი, ზოგჯერ ტერმინ „ოკუპაციასაც“ ახსენებენ, სინამდვილეში, ამ წყაროში მსგავსი ცნობა არ არსებობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრეკს მხოლოდ მოუპოვებია ცნობები იბერთა ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, მაგრამ, უნებლიეთ სხვადასხვა საუკუნეთა ცნობები ერთმანეთზე გადაუბამს, ამიტომაც ტაოს საკათალიკოსოს შესახებ ცნობები მან მიაწერა ქვემო ივერიის ეკლესიას ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს.

ამ უკანასკნელი 30 წლის წინ ამ თვალსაზრისს პირადად მეც ვიზიარებდი, მაგრამ შემდგომი კვლევით დავრწმუნდი, რომ ანტიოქიის პატრიარქმა მე-8 საუკუნეში აკურთხა არა აფხაზეთის, არამედ ტაოს კათალიკოსი.

ივერიის კათალიკოსს უკურთხებია იოანე გუთელი ეპისკოპოსი მე-8 საუკუნეში, დაახლოებით 754 წელს, ოღონდ ის აკურთხა არა იმჟამად დაარსებული ტაოს ანდა აფხაზეთის კათალიკოსებმა, არამედ მცხეთელმა პატრიარქმა.

„იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში“ პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) წერს, რომ „ქვემო ივერიის“ კათალიკოსმა იოანე გუთელი აკურთხა. ჩვენ სხვა ნაშრომში გარკვეული გვაქვს, რომ მე-17-მე-18 საუკუნეთა ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქები არც თუ იშვიათად დასავლეთ საქართველოს ეკლესიას უწოდებენ „ზემო ივერიის“ საარქიეპისკოპოსოს, ხოლო აღმოსავლეთისას „ქვემო ივერიისას“, იქვე ახსნილია ამ ფაქტის მიზეზი, ამიტომაც დოსითეოსის მიერ ქვემო ივერიად მოიაზრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიოქიელი პატრიარქის თეოფილაქტეს დროს (744-750) ანტიოქიაში ჩასულ ტაოელ ქართველთა საეკლესიო დელეგაციას მიუღწევია მიეღო არასრული ავტოკეფალია იქამდე სომხურ ეკლესიაზე დაქვემდებარებული ტაო-არზრუმ-ბასიანის რეგიონის (ე.წ. „აღმოსავალის“), ე.წ. „მეორე ივერიის“ (ტაოს) ანუ „ქართლის“ეკლესიისათვის.

სამწუხაროდ, წარსულ წლებში, როგორც ითქვა, მე ვიზიარები ვ. გოილაძის თეორიას, რომ თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ 744-750 წლებში ქართველთა კათალიკოსად ხელდასხმული იოანე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველი კათალიკოსი იყო.

მაგრამ ამ საკითხის მიმართ შევიცვალე შეხედულება და ამჟამად სრულებით ვიზიარებ წმიდა კირიონ მე-2-ის აზრს, რომ თეოფილაქტემ მე-8 ს. შუა წლებში სომხური ეკლესიისაგან გაათავისუფლა ანუ ავტოკეფალია მიანიჭა არა მცხეთის ივერიის, არამედ ე. წ. მეორე ივერიის, ანუ ტაოს ეკლესიას, და მან (ანტიოქიელმა პატრიარქმა) მე-8 ს-ში აკურთხა „ახალი ქართლის“ ანუ ტაოს კათალიკოსი.

მართლაც, ასოღიკი და იაჰია ანტიოქიელი იძლევიან ცნობას ტაოს მეფის დავით კურაპალატის კარზე კათალიკოსისა და პატრიარქის ტიტულის მქონე პირის შესახებ.

ეფრემის ცნობას „ანტიოქიური ქრონოგრაფიდან”, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, იმეორებს ეფრემის თანამედროვე და თანამოღვაწე ნიკონ შავმთელი თავის „პანედიქტებში”.

ამ ცნობაში, როგორც ზემოთ იყო მოყვანილი, ნახსენებია ბიზანტიის იმპერატორი ხატმებრძოლი კონსტანტინე V (719-775). იგი მართლმადიდებ-

ლებს სძულდათ და მეტსახელიც შეარქვეს ხატმებრძოლობის გამო „ფუნიანი“ (მუდამ საჯინიბოში იყო ცხენთა სიყვარულის გამო), ქართულად კი შეარქვეს „სკორე”, რაც იგივე მეტსახელია.

ამ იმპერატორის დროს ანტიოქიაში „იბერიიდან“ მოსულა ორი მონაზონი, თანახმად ნიკონ შავმთელისა. ნიკონს ნახსენები აქვს არა „ქართლი”, არამედ „იბერია”. ეფრემ მცირეს, ვახტანგ გოილაძის გამოკვლევით, დაუშვია მრავალი ქრონოლოგიური შეცდომა ქართული ეკლესიის ისტორიული თხრობის გადმოცემის დროს.

ჩვენ იერუსალიმელი პატრიარქების ცნობების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მან შეცდომა დაუშვა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაშიც. კერძოდ, უცხოელები იბერიას უწოდებდნენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ ტაო-არზრუმ-ბასიანის ქვეყანასაც.

როგორც ნიკონის ცნობიდან ჩანს, „ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ ეწერა, რომ ანტიოქიაში დელეგაცია მივიდა „იბერიიდან”, მაგრამ იგულისხმებოდა ტაო-არზრუმ-ბასიანის ქვეყანა.

ეფრემმა სიტყვა „იბერია“ თარგმნა, როგორც „ქართლი”.

შემდგომდროინდელმა ისტორიკოსებმა, ბუნებრივია, „ქართლის “ ქვეშ იგულისხმეს მცხეთის საქართველო და ეფრემ-ნიკონის ცნობა მცხეთის საკათალიკოსოსადმი მიკუთვნებულ ცნობად მიიჩნიეს.

მაშასადამე, „ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ ეწერა, რომ საეკლესიო დელეგაცია ანტიოქიაში მივიდა „იბერიიდან“ ანუ ტაოს იბერიიდან.

ჩვენი აზრით, როგორც აღინიშნა, იმავე ცნობას გვაწვდის XVIII ს. ანტოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი – „Список Антиохиских Патриархов“(Михаил Брек. Труди Киевской Духовнои Академии, 1874).

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მხრივაც, მას (მიქაელ ბრეკს) ასევე დაუშვია შეცდომა და ერთმანეთისათვის გადაუბამს ორი სხვადასხვა საუკუნის ცნობა, **პირველი ცნობა შეეხებოდა ანტიოქიაში მე-11 ს-ში პატრიარქ პეტრე III-სთან წმ. გიორგი მთაწმიდელის დელეგაციის სტუმრობას, ხოლო მეორე ცნობა მე-8 საუკუნეში ტაოს იბერიიდან ანტიოქიაში ბერების ჩასვლას და ტაოს იბერიისათვის არასრული ავტოკეფალიის მინიჭებას.**

7

როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის ერთმანეთისაგან პოლიტიკური საზღვრებით დაშორებულ, სულ მცირე, ვრცელ სამ რეგიონს ერთი და იგივე სახელი „ივერია“ ერქვა, 1. იყო მცხეთის ივერია, 2. ტაო-არზრუმ-ბასიანის რეგიონი (კირიონ კათალიკოსი მას „სხვა ივერიას“ უწოდებდა, ჩვენ კი „მეორე ივერიას“ ვუწოდებთ). 3. „ქვემო ივერია“ ანუ დასავლეთ საქართველო, 4. მალევე „იბერიის თემი“ დაერქვა ასევე ბიზანტიურ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულსაც (მე-2 და მე-4 ივერიას ასევე „აღმოსავლეთი“, „აღმოსავალი“ ერქვა).

ოთხი ივერიის, 1. მცხეთის; 2. ტაოს ივერიის; 3. დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის (ქვემო ივერია); და 4. „იბერიის თემის“ საეკლესიო საბუ-

თები, როგორც ითქვა, ერთი და იგივე სახელის გამო შემდგომ საუკუნეებში ერთმანეთში აირია.

როგორც აღინიშნა, მეორე ანუ ტაოს იბერიის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XI საუკუნეში მოღვაწე ბერები – ეფრემ მცირე და ნიკონ შავმთელი, რომლებსაც უსარგებლიათ „ანტიოქიური ქრონოგრაფით“ 744-750 წლებში თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ქართლის კათალიკოსის კურთხევის შესახებ.

ეფრემ მცირეს შრომაში „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა შინა მოიხსენების“ ნათქვამია –

„დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა, ანტიოქიის პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჭობითა კრებისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რათა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათოლიკოსსა ქართლისასა, რაიცა საღმრთომან მადლმან უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაითა წესთაებრ საეკლესიოთა და შეუქმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის, და ხელთ-დასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა“ (ეფრემ მცირე, 1959:9).

როგორც ვხედავთ, ივერიიდან ანტიოქიაში გაგზავნილ იქნა ორი მონაზონი, რომლებმაც ანტიოქიის პატრიარქს თავიანთი გასაჭირის შესახებ მოუთხრეს. წყაროში მოხსენიებული არიან იმპერატორი კონსტანტინე კოპრონიმი და ანტიოქიის პატრიარქი თეოფილაქტე, რომლთა დროს ქართლიდან გაიგზავნა მონაზონნი, რომელთაგან ერთ-ერთი, იოანე, ქართლის ანუ ტაოს ივერიის კათალიკოსად იქნა ხელდასხმული.

აქ უკვე შემოდის ახალი თემა, კერძოდ, ანტიოქიელმა პატრიარქმა ჯერ კიდევ მე-7 ს. დასაწყისში (ანდა მე-6 ს. ბოლო) აკურთხა იბერებისათვის ავტოკეფალური კათალიკოსი, მასაც თურმე სახელი იოანე ერქვა.

ამასთან დაკავშირებით, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ხშირად ისმის კითხვა, თუ ვინ იგულისხმება მე-6 საუკუნის ბოლოს ანდა მე-7 ს. დასაწყისში ანტიოქიელი პატრიარქის ანასტასის მიერ იბერთა კათალიკოსად ნაკურთხი იოანეს ქვეშ.

ჩვენ გამოვიკვლიეთ ეს საკითხი, რაც მოცემულია წიგნში „არიან ქართლი“, რომ ანტიოქიაში მე-6 ს. ბოლოს ნაკურთხი „იბერთა კათალიკოსი“ იყო ის, ვისაც ამჟამინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება „ავანელი ქალქედონიტი პატრიარქი იოანე“, რადგანაც, როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, იმჟამად ჯერ კიდევ იბერიად მოიაზრებოდა ზედ გუგარქის საზღვარზე

მდგომი პუნქტი ავანი და მისი ქვეყანა. ეს უკანასკნელი იყო არმენიის მეფე არტაქსიას მიერ დაპყრობილი იბერთა (რის ცნობასაც სტრაბონი იძლევა) ქვეყანა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამადაც კი ანტიოქიელი პატრიარქის ტიტულატურაში იხსენიება, რომ ის არის ასევე „იბერიის პატრიარქი". მისი ტიტულატურის იბერია არის არა თანამედროვე საქართველო, არამედ ვრცელი მიწა-წყალი არზრუმიდან ავანამდე.

ცნობა **„რამეთუ დღითაგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა".**

სრულიად სამართლიანია ბ. ლომინაძე, როცა წერს – მღვდელ-მოწამე ანასტასში იგულისხმება ანტიოქიის პატრიარქი ანასტასი II (602-610), მაგრამ ის ცდება, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს საეკლესიო დელეგაცია ანტიოქიაში, თითქოსდა, მცხეთიდან გაემგზავრა, სინამდვილეში, ეს დელაგაცია გაიგზავნა სხვა, ანუ მეორე ივერიიდან, ანუ ტაო-არზრუმ-ბასიანის რეგიონიდან, რომელის საეკლესიო ცენტრი იმჟამად მე-6 ს. ბოლოს იყო ავანი, იმჟამად შემავალი სომხურ ეკლესიაში და სწორედ მისგან გათავისუფლებას ცდილობდა ავანელი ქალკედონიტი კათალიკოსი.

ავანის კათალიკოსი, ჩვენი მოსაზრებით, რაც წყაროს ანალიზიდან ჩანს, იყო არმენიზებული ივერების კათალიკოსი, რომელთაც სურდათ როგორმე გათავისუფლებულიყვნენ სომხური ეკლესიისაგან, ამის გამო დელეგაცია გააგზავნეს ანტიოქიის პატრიარქ ანასტას მღვდელმოწამესთან და მისგან მიიღო კიდევაც ამ დელეგაციის წევრმა, ავანის იბერიის წარმომადგენელმა იოანემ კათალიკოსის წოდება მე-6 საუკუნის ბოლოსათვის.

8

მაშასადამე, ჩვენი კვლევით, მე-6 საუკუნეში, ისევე, როგორც I საუკუნეში, სტრაბონის დროს, მიწა-წყალს ავანიდან ტაოს ჩათვლით ერქვა ივერია ანუ ის იყო იბერიული ისტორიული პარიადრეს მთიანეთსა და გოგარენას შორის მოქცეული ოლქის – ხორძენას ნაწილი, რომელიც მუდამ დასახლებული იყო იბერებით, ამ დროისათვის უკვე არმენიზებულების, მაგრამ მათ შერჩენილი ჰქონიათ ერთგვარი ეთნოიდენტობა, რომლის გავლენითაც მუდამ მხარს უჭერდნენ ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას – ქალკედონიტობას, მით უფრო, რომ მათი თანამედროვე იყო იბერთა პატრიარქი კირიონ I.

ანტიოქიური ქრონოგრაფიდან და სხვა წყარების ანალიზიდან ჩანს, რომ არმენიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში მცხოვრებ იბერებსა და სხვა ქართულ ჯგუფებს ჯერ კიდევ მე-6 ს. ბოლოდან სურდათ გათავისუფლება სომხური საკათალიკოსოსაგან და, საეკლესიო კანონების შესაბამისად, ეძებდნენ პირველმღვდელმთავარს ხელდასასხმელად სომეხი კათალიკოსის ნაცვლად, ეს იყო ანტიოქიის პატრიარქი, იმჟამად ანასტას მღდელმოწამე. ამ უკანასკნელმა იბერთა კათალიკოსად ხელი დაასხა იოანეს, ეს ყოფილა ავანის ქალკედონიტი კათალიკოსი იოანე ბაგარანელი. თვით ამჟამინდელი სომეხი მკვლევრები აღიარებენ, რომ ე.წ. სომეხი-ქალკედონიტები თავიანთ თავს უწო-

დებდნენ იბერებს, სწორედ ასეთი ანუ იბერი კათალიკოსი იყო ავანელი იოანე ბაგარანელი მე-6 ს. ბოლოსა და მე-7 ს. დასაწყისში.

თუმცა კვლავ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მფარველი სპარსეთის იმპერია გაძლიერდა, რომელმაც გაანადგურა ავანის ივერთა საკათალიკოსო.

შესაბამისად, ბ. ლომინაძის მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ნაწილობრივ არასწორია, რომ თითქოსდა, „ანტიოქიის ქრონოგრაფის“ ცნობები ეწინააღმდეგება ქართულ წყაროებს. თუკი ამ საკითხს განვიხილავთ ჩემს მიერ შემოთავაზებული მეთოდით, ვნახავთ, რომ წყაროთა ცნობები, სინამდვილეში, ერთმანეთს ავსებს და არ ეწინააღმდეგება.

წყაროს ცნობით, ანასტასი ანტიოქიელის მოღვაწეობიდან თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობამდე „არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი“. თუკი ამ ცნობას მივუსადაგებთ მცხეთის ივერიის საკათალიკოსოს, მაშინ მართლაც, წყაროს ცნობა არასწორი იქნება, რადგანაც ამ პერიოდში, მთელი 140 წლის მანძილზე, ქართულ ეკლესიას მრავალი კათალიკოსი ჰყავდა. ამ შემთხვევაში წყაროს ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. მართალაც, ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 16 კათალიკოსი მოღვაწეობდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე. მაგრამ თუ ამ ცნობას მივუსადაგებთ ე.წ. დიდი არმენიის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ქალკედონიტი იბერების ეკლესიას, მაშინ წყაროს ცნობა უეჭველი გამოჩნდება.

დილემის ახსნა შეიძლება ზემოთ მოყვანილი აზრით, რომ იბერთა ქვეყანა ერქვა ავანის საკათალიკოსოს მიწა-წყალს, ავანიდან ტაოს ჩათვლით, სადაც შემდეგ, მართალაც, მე-11 ს-ში ჩამოყალიბდა იბერიის თემი. ამ ივერიის სასულიერო ცენტრი მე-6 საუკუნეში ყოფილა ავანი, ხოლო მე-8 საუკუნეში ასეთად გადაიქცა ტაო, მათ შორის მოქცეული აირარატის ოლქიც ქალკედონიტური ყოფილა იოანე ბაგარანელის დროს.

ამ ივერიიდან მე-6 საუკუნეში ანტიოქიაში ჩავიდა ავანის სასულიეროთა დელეგაცია და მოიპოვა ივერიის ანუ არმენიის ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა სომხური ეკლესიისაგან, რაც დიდხანს არ გაგრძელდა, 140 წლის შემდეგ ტაოს ივერიული ოლქიდან, ანუ არმენიის ივერიიდან, კვლავ ჩასულა ანტიოქიაში სასულიეროთა დელეგაცია იმავე მოთხოვნით, რათა გათავისუფლებულიყო სომხური ეკლესიის უღლისაგან და თავიანთ ეკლესიებში უცხო, სომხური ენის ნაცვლად დაენერგათ ქართულენოვნება, ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ამიტომაც მე-8 საუკუნეში არასრული ავტოკეფალია მოიპოვა არა მცხეთის, არამედ ტაოს საკათალიკოსომ, ხოლო თეოფილაქტე ანტიოქიელმა ქართველებს „შეუქმნა აღწერითი მოსახსენებელი თავისა თვისისათვის“, ხოლო შემდეგ ერთ-ერთი მონაზონი, სახელად იოანე კათალიკოსად აკურთხა.

140 წლით ადრე ანტიოქიის პატრიარქმა (მე-6 ს. ბოლოს) ანასტასიმ იბერთა (სომხეთის იბერიის) პირველ კათალიკოსს უწოდა სახელი იოანე, იგივე სახელი, იოანე, ტარადიციის განგრძობის მიზნით, კვლავ, 140 წლის შემდეგ

უწოდეს ამავე რეგიონის იბერიის (ტაოს) კათალიკოსს მე-8 ს. შუა წლებში, უკვე ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს.

9

როგორც ცნობილია, მიჩნეულია, რომ იოანე ბაგარანელი მე-6 საუკუნის დასასრულს (მას ჩვენ ვუწოდებთ ე.წ. არმენიის ივერიის იბერთა ანუ ქართველთა კათალიკოსს) იყო მტკიცე ქალკედონიტი, მსგავსად მცხეთის ივერიის იბერებისა, მისთვის ამ დროს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან დავისას, ვისგანაც გათავისუფლებას ცდილობდა, სამაგალითო უნდა ყოფილიყო კირიონ მცხეთის კათალიკოსი, ამ გავლენის ნიშანი მან გამოხატა საეკლესიო არქიტექტურითაც, ავანში ააგო მცხეთის ქალკედონური ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ მიჩნეული მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ზუსტი არქიტექტურული ასლი.

მცხეთის ჯვრის დიდმა ტაძარმა თავისი არქიტექტურული სახე მიიღო არა რაიმე გარედან შემოტანილი ნიმუშის მიხედვით, არამედ შენდებოდა საუკუნეთა მანძილზე, მე-4, მე-5 და მე-6 საუკუნეებში, კერძოდ, მცხეთის ერთ-ერთი გორის ბორცვზე წმიდა ნინომ აღმართა პატიოსანი ჯვარი, ის იყო ჭეშმარიტად ძლევამოსილი თავის კურნებებითა და უდიდესი სასწაულებით, ყველამ იხილა , რომ მას დაადგა ვარსკვლავების თანავარსკვლავედი, გაიცოცხლა მიცვალებული და განკურნა მრავალი მორწმუნე და სამეფო სახლის წევრიც, ამის გამო მას უფლისწულმა რევიმ დაადგა გუმბათიანი კუბური ფორმის ნაგებობა, ნალექისაგან დაცვის მიზნით,

ჩვენი გამოკვლევით, ეს ნაგებობა იყო კუბური ფორმის ქვის ოთხთაღედი, მსგავსი რომაული ტეტრაპილონისა და სასანიდური „ჩაჰართაღისა“, ასეთ ნაგებობებს ცეცხლთაყვანისმცემლები აგებდნენ წმიდა ცეცხლის დასაცავად.

ცეცხლთაყვანისმცემელთა ქვის თაღებიანი კუბის ცენტრში, საგანგებო პლატფორმაზე, ენთო წმიდა ცეცხლი, მისგან განსხვავებით რევიმ თავის მიერ აგებული ქვის კუბის ცენტრში აგებულ პლატფორმაზე უცვლელად დატოვა უკვე აღამრთული პატიოსანი დიდი ზომის ხის ჯვარი.

როგორც ვთქვით, მცხეთის ჯვრის გარშემო მოშენებულ თაღებიან და გუმბათიან ქვის ნაგებობას ერქვა „კუბი“, აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინს ხმარობს, როგორც მოქცევაი ქართლისაი, ისე ქართლის ცხოვრება, პირველი მას უწოდებს „კუბას“, ხოლო მეორე „კუბოს“, ანუ ეს იყო ქვის თაღებიანი კუბი, რომლის ცენტრში რევის მიერვე აგებულ დიდ ქვის პლატფორმაზე აღმართული იყო პატიოსანი ჯვარი.

მისი აგებიდან თითქმის საუკუნის შემდეგ, წყაროსავე ცნობით, ეს ქვის ნაგებობა ოდნავ გააფართოვა გურამ კურაპალატმა და კედლები ამოუშენა, ოღონდ კედლის მშენებლობისას გარდაიცვალა, მისი საქმე მისმა შვილებმა დაასრულეს, სტეფანოზმა მონეტაც კი დაბეჭდა, რომელზეც სწორედ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის უმთავრესი იდეაა გამოსახული. კერძოდ, საგანგებო პლატფორმაზე გიზგიზებს არა ცეცხლთაყვანისმცემელთა „წმიდა ცეცხლი“, არამედ აღმართულია პატიოსანი ჯვარი. ეს იყო დემონსტრაცია იმისა, რომ ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობას სძლია ქრისტიანობამ და

გაიმარჯვა, ეს იყო დიდი გაბედულება, რადგანაც ქართლი დაპყრობილი იყო და სპარსული იმპერიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა.

მცხეთის ჯვრის ამ ტაძრისა ძალზე ეშინოდათ სომხური ეკლესიის მმართველებს, რადგანაც სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა მკაცრად აუკრძალა სომხებს მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში ლოცვა, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი ეკურთხა და საბოლოო სახე მიიღო სომხური საეკლესიო პროზელიტიზმის წინააღმდეგ უდიდესი მებრძოლის კირიონ კათალიკოსის დროს, კირიონ I-ის კათალიკოსობისას, ანუ შესაბამისად, მისი საბოლოო კურთხევით.

იოანე ბაგარანელმა ქალკედონიზმის ამ უდიდესი სიმბოლოს ანუ მცხეთის ჯვრის დიოდი ტაძრის ასლი გადაიღო და ავანში მისი მსგავსებით ტაძარი ააგო.

10

კიდევ ერთხელ შევაჯამოთ – ტარონიდან თეოდოსიოპოლამდე (არზრუმამდე) და აქედან ავანამდე ვრცლად გადაშლილი მიწა-წყალი ნ. ადონცის მიერ იწოდებოდა „არმენიის ივერიულ ზოლად“, შემდეგ აქ ბიზანტიამ დააარსა „იბერიის თემი“, მისი მოსახლეობის უმეტესობა ის ივერიელები იყვნენ, რომელთა მიწა-წყალი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, ანუ ამ კათალიკოსამდე დაახლოებით 700 წლით ადრე, სტრაბონის ცნობით, იბერებისაგან მიიტაცეს არმენიის მეფეებმა არტაქსიამ და ზარიადრემ,

ანუ „არმენიის ივერიული ზოლი“ იგივეა, რაც ერთი ნაწილი არმენიის მიერ იბერებისაგან მიტაცებული „პარიადრეს კალთებისა, ხორძენასი და გოგარენასი“.

I-II საუკუნეებში ეს მიწა-წყალი უკანვე დაიბრუნა იბერიის მცხეთის სამეფომ, მაგრამ სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ის კვლავ არმენიაში, ანუ სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა.

იქაური, ანუ არმენიის იბერები ცდილობდნენ საეკლესიო გათავისუფლებას, რისთვისაც გამოიყენეს მე-6 საუკუნეში მიმდინარე დავა ქალკედონიტებსა და მონოფიზიტებს შორის.

მე-6 ს. შუა წლებში სომეხთა კათალიკოსის ნერსე მიჯინის დროს საეკლესიო კრებების ძალით სომხური ეკლესია უმტკიცესი მონოფიზიტური აღმსარებლობის დამცველად გამოცხადდა, შესაბამისად, იმ დროს ეთნიკური სომხები მონოფიზიტები იყვნენ, სულ სხვა პლატფორმა აირჩია ქართველთა ეკლესიამ, ეს იყო მტკიცე ქალკედონიტობა, შესაბამისად, ეს აღმსარებლობა ასევე ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა არმენიაში მცხოვრები ქართველების ანუ იბერებისათვის

არმენიის იბერები, როგორც ითქვა, ცხოვრობდნენ ვრცელ არეალზე ტარონიდან თეოდოსიოპოლამდე და ამ ქალაქიდან ავანამდე. აქაურმა, იბერიული წარმომავლობის ეპისკოპოსების რეგიონალურმა საბჭომ 593 წელს თეოდოსიოპოლისში მოიწვია კრება, რომელმაც ქალკედონიტობა აღიარა ჭეშმარიტ აღმსარებლობად. შესაბამისად, ოფიციალურად გამოეყო მონოფიზიტობის ერთგულ სომხურ ეკლესიას და საკუთარი ეკლესიის მეთაურად აირჩია იოანე ბაგარანელი. მათ საეკლესიო სამართლის სრული დაცვისათვის

თავიანთ უზენაეს პირველიერარქად სომეხი კათალიკოსის ნაცვლად აირჩიეს ანტიოქიის პატრიარქი. ანტიოქიაში პატრიარქ წმ. ანასტასისთან გააგზავნეს საეკლესიო დელეგაცია, ვითარცა იბერიელმა სასულიერო პირებმა, რომელნიც იბერიის (ანუ არმენიის იბერიის) სამწყსოსა და საეპისკოპოსო საბჭოს სახელით მოქმედებდნენ. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქმა ანასტასიმ ხელი დაასხა ერთ-ერთ მათაგან ბერს, იოანეს და ის დაადგინა იბერთა (ანუ არმენიის იბერთა) კათალიკოსად. ამის შემდეგ დიდი პოლიტიკური ცვლილებები დაიწყო, ფრონტებზე მე-7 ს. დასაწყისში დამარცხდა ბიზანტიური ჯარი და უპირატესობა მოიპოვა სასანიდურმა იმპერიამ. ეს უკანასკნელი სასტიკად დევნიდა ქალკედონიტობას და მხარს უჭერდა მონოფიზიტობას, კერძოდ, დვინის სომხურ საკათალიკოსოს. ამ პროცესმა გადაწყვიტა არმენიის იბერთა და არმენიაში ქალკედონიტური საკათალიკოსოს ბედი, ის აკრძალა საპარსეთმა, ხოლო იოანე ბაგარანელი დაატყვევეს. ანუ ის იყო არა სომეხი ქალკედონიტების, არამედ არმენიაში მცხოვრები იბერების კათალიკოსი. იქაური იბერები კი სომხებისაგან განსხვავებით – ქალკედონიტები იყვნენ. ამის შემდეგ რევანში აიღო ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ, 620-იან წლებში გაანადგურა სპარსეთის სახელმწიფო, მალევე არაბებმა დაიპყრეს ეს მხარეები. თავის მხრივ, არაბებიც მხარს სომხურ ეკლესიას უჭერდნენ. აჩვენებდნენ მუჰამედის მიერ დადებულ ხელშეკრულებას სომხურ ეკლესიასთან, ასევე სხვა ზოგიერთი ხალიფისა, რაც რეალობა იყო და სომხურ ეკლესიას დიდ უპირატესობას ანიჭებდა, მაგალითად, ქართულ ეკლესიასთან შედარებით, რომელიც იდევნებოდა როგორც სასანიდების, ისე სახალიფოს მიერ.

ასეთ ვითარებაში სომხური ეკლესია გაძლიერდა ჯერ კიდევ არაბების შემოჭრამდე, მე-7 საუკუნეში ჰერაკლე კეისრის გამარჯვების შემდეგ, მან შეთანხმება ანუ „უნია“ დადო სომხურ ეკლესიასთან, ასეთ დროს არმენიის ქართველობა კვლავაც სომხური ეკლესიის სამწყსოს შეადგენდა, მაგრამ უმტკიცესად ქალკედონიზმის ერთგული იყო, განსხვავებით ეთნიკური სომხებისაგან, რომელნიც მე-7 ს-ში არ ავლენდნენ აღმსარებლობით მიმართულებას. ამის გამო ეთნიკურმა ქართველებმა, ქალკედონურ სომხურ ეკლესიაში დიდი სასულიერო თანამდებობები დაიკავეს და სახელოვანი მღველმთავრებიც იყვნენ სომხური ეკლესიისა, მაგალითად, მცხეთის კათალიკოსი, ცნობილი კირიონი, თავდაპირველად სომხური ეკლესიის მღვდელმთავარი იყო, ანუ არმენიის იბერიული ზოლის ქართველობას ემსახურებოდა აირარარტსა და დვინის ეკლესიაშიც კი. ასევე ეთნიკური ქართველი უნდა ყოფილიყო ტაოელი მღვდელმთავარი ცნობილი ნერსე იშხნელი (641-661), რომელიც სომხური ეკლესიის პატრიარქიც კი გახდა. მას პატივს სცემდნენ საქართველოში და ნეტარის წოდებითაც მოიხსენებდნენ, ჩანს, ეთნიკური ქართველობის გამო, რადგანაც სხვა ქალკედონიტ სომეხ კათალიკოსებს საქართველოში წმიდას წოდებით არ მოიხსენიებდნენ, ნერსე იშხნელის მსგავსად. საზოგადოდ, ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენდა ქალკედონიტობა, არაბთა ბატონობის შესუსტების შემდეგ მე-8 ს-ში არმენიაში მცხოვრებმა ივერებმა უფრო მეტი გაბედულება შეიძინეს და აღარ მალავდნენ თავიანთ ქართველობას, გაღიზიანებული კათალიკოსი ანანია მოკაცი (946-968) სომხეთში ასეთ

ქართველთა გამრავლების გამო თავის ეპისტოლეში წერდა „მეუღლეთა სარეცელი, ერთი სომეხია მეორე კი ივერიელი, შესაბამისად, შვილებიც ორად არიან გაყოფილნი“.

ეს ნიშნავს, რომ არმენიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში იბერები მოსახლეობის თუ უმეტესობას არა, ნახევარს მაინც შეადგენდნენ. ამ ივერიელების სარწმუნოება კი ქალკედონიტობა იყო. ზოგიერთი არმენიზებული ქართველი, რომლის არმენიზაცია მხოლოდ მიმდინარეობდა და დასრულებული არ იყო, უბრუნდებოდა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას ანუ ქალკედონიტობას. ასოღიკის ცნობით ერთ-ერთი ასეთი იყო გაგის ციხესიმაგრის მფლობელი დემეტრე. ის დაბრუნებია ქათველთა ეროვნულ სარწმუნოებას და ხელახლა მართლმადიდებლად მონათლულა, რამაც, თურმე, სომეხი დიდებულები აღაშფოთა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის (ჩვენი აზრით კი, სხვა ანუ მეორე ივერიის) იერარქები უმეტესად ქართული პროვინციებიდან იყვნენ – ტაოდან და გუგარქიდან.

ტაო ეთნიკურად ქართველი ეპისკოპოსების სამწყსოს წარმოადგენდა, არმენიის იბერების პირველი ეპისკოპოსი იყო კორიუნი (დაახლ. 430-450). ის თვითონვე წერს, რომ დაბადებით იყო ქართველი იმ პირველ მოწაფეთაგანი, რომელიც იბერიის მეფის კარზე განისწავლა, მაშტოცის ეპოქაში, დაინიშნა იბერების ეპისკოპოსად.

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი „არმენიის იბერების“ ეპისკოპოსი იყო იოანე ბაგარანელი, აირარატელი.

არმენიის იბერების უმთავრესი ქალაქი იყო კარინი ანუ კარნუ ქალაქი, რომელსაც თეოდოსიოპოლისიც ერქვა, ის იყო სტრაბონის მიერ ნახსენები ქართული ოლქი კარენიტიდა, რომელიც მიიტაცეს არმენიის მეფეებმა.

მე-5 ს-ში, ქართლის ცხოვრების ცნობით, კარნუ-ქალაქში ილაშქრა ვახტანგ გორგასალმა მის გასათავისუფლებლად, აქედანვე თავისი ლაშქრით შეეცადა კიდევ უფრო სამხრეთით ქართული ოლქების გათავისუფლებას და ზღვისპირეთის გავლით უკან დაბრუნდა. მან მხოლოდ კლარჯეთის ერთი ნაწილის გათავისუფლება შეძლო, დანარჩენი ისტორიული კლარჯეთი ბიზანტიას დარჩა.

VI საუკუნეში აირარატისა და კარინის ეპოსკოპოსები იმ დროს მიემხრენენ ქართულ ეროვნულ სარწმუნოებას ანუ ქალკედონიტობას, როდესაც მთელი სომხეთი მონოფიზიტური გახდა სომეხთა კათალიკოს ნერსე მიჯინის დროს. არსენ საფარელი წერს ამის შესახებ –

– მრავალი სიკეთე აღუთქვა ხოსრო II-მ ნერსე II კათალიკოსს, რომელსაც შუა (სომხურად მიჯინი) ეწოდა. ამით მისი გული შეარყია, მოიწვია დვინის პირველი კრება და სომხეთი განშორდა ბერძნულ სჯულსა და იერუსალიმს. ამის გამო ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყვნენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ.

(არსენ საფარელი, „განყოფისათვის...“ VII მუხლის ბოლო აბზაცი)

„მეოთხედ სომხეთში“ ის მოიაზრებს უპირველესად აირარატისა და კარინის ქალკედონიტთა საეპისკოპოსოებს.

ეს მოხდა მე-6 საუკუნის შუა წლებში, მაგრამ აირარატისა და მით უფრო კარინის (კარენიტიდას) ეპისკოპოსები გულმხურვალე ქალკედონიტები იყვნენ, რაც გამოჩნდა შესაბამისი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე მე-6 ს. ბოლოს. როგორც ითქვა, ჩანს, იყო ცნობილი ავანელი კათალიკოსი იოანე ბაგარანელი.

მოვსეს კალანკატუაცი მას უწოდებს მესვეტეს, ეს ნიშნავს, რომ მას ეკლესიაში მიიჩნევდნენ წმიდა მოღვაწედ და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

591 წელს ბიზანტია-სპარსეთის 20 წლიანი ომის ბოლოს არმენია ორად გაიყვეს.

სომეხთა კათალიკოსმა მოსე ელივარდელმა (574-604) პროსპარსულ ორიენტაციას არ უღალატა და გადავიდა სპარსული არმენიის ტერიტორიაზე დვინში. რადგანაც სპარსელები დევნიდნენ ქალკედონიტებს და მხარს უჭერდნენ სომხურ სარწმუნოებას

არმენიის იბერიული ნაწილის ეპისკოპოსები მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ და შესაბამისად, პრობიზანტიური ორიენტაცია ჰქონდათ. როგორც ითქვა, მათ ისარგებლეს მომენტით, კარინში მოიწვიეს კრება და თავის კათალიკოსად დაადგინეს აღნიშნული იოანე ბაგარანელი, რომლის კათალიკოსობა ცნო ანტიოქიის პატრიარქმა ანასტასიმ და გამოიყვანა სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან, როგორც აღინიშნა.

ამ პროცესს, ანუ არმენიის იბერების ეკლესიურ გათავისუფლებას სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან, წარმართავდა თეოდოსოპოლიოსის (კარინის) ავტორიტეტული ეპისკოპოსი თეოდორე, სომხეთის იბერიულ ეკლესიას, რომელსაც ამჟამად შეცდომით „სომეხი ქალკედონიტებისას“ უწოდებენ, მიემხრო აღნიშნული ვრცელი იბერიული ზოლის ყველა ოლქის მოსახლეობა ანუ ეთნიკური იბერები. ჩანს, ისინი ამ პროცესს იღებდნენ, ვითარცა ეროვნულ გათავისუფლებას, დაბრუნებას მშობლიური ქართული ეკლესიის წიაღში, რის სადემონსტარციოდაც „არმენიის იბერიულ ზოლის“ ოლქებში ყველგან აშენებდნენ მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრებს, რომელიც იყო ქალკედონური აღმსარებლობის გამარჯვების სიმბოლო, რადგანაც მისმა მცხეთელმა კათალიკოსმა კირიონმა პირველად გაბედა ხმის ამოღება სომხური ეკლესიის პროზელიტიზმის წინააღმდეგ და გამარჯვებით დაიცვა ქართველთა ეროვნული სარწმუნოება – ქალკედონიტობა.

არსენ საფარელი წერს –

„სომეხთა კათალიკოს აბრაამის დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. სთხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა არარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ“.

https://meufeanania.info/safareli/

ამ ამბების შესახებ კარგად მოგვითხრობს არსენ საფარელი კათალიკოსი, რომლის წყარო ყოფილა ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება „სომეხთა საქმის შესახებ“.

ქართლის კათალიკოსს კირიონ პირველს და არმენიის იბერიული ზოლის კათალიკოსს იოანე ბაგარანელს დევნიდნენ ერთი და იგივე კათალიკოსები სომხური ეკლესიისა – მოსე და აბრაამი (606/07-610/15).

მათ, პირველი, კირიონ I სპარსელთა დახმარებით ჩამოაშორეს მცხეთის საკათალიკოსო ტახტს და აიძულეს ბიზანტიისათვის შეეფარებინა თავი, ხოლო მეორე, იოანე ბაგარანელი სპარსელებს დაატყვევებინეს და გაასახლებინეს.

ამჟამად ამ პროცესს უწოდებენ „სომხური ეკლესიის ორად გაყოფას“, მაგრამ ეს იყო არა სომხური ეკლესიის ორად გაყოფა, არამედ არმენიის იბერების გათავისუფლება სომხური საეკლესიო იურისდიქციისაგან.

11

პოლიტიკური ვითარება კვლავაც შეიცვალა, კვლავ გაიმარჯვა სომხური სარწმუნოების ანუ მონოფიზიტობის მხარდამჭერმა იმპერიამ – სპარსეთმა, ამის გამო ბიზანტიამ 603 წელს მიატოვა იოანე ბაგარანელის საკათალიკოსო ქალაქი ავანი და იოანემ კათედრა გადაიტანა თავისივე საკათალიკოსოს სხვა კალაქში – კარინში. მაგრამ 610 წელს ეს ქალაქიც დაიპყრეს სპარსელებმა, კათალიკოსი იოანე დაატყვევეს და ჰამადანში გადაასახლეს.

ეს იყო ზეიმი სომეხთა კათალიკოს აბრაამისა, რომელმაც იმავე წლებში, დაახლოებით 608 წელს შეჩვენება დაადო ქალკედონიტებს, ეთნიკურ სომხებს აუკრძალა ქალკედონიზმის გამარჯვებული დედაქალაქის მცხეთის ტაძრის მოლოცვა მანგლისის ტაძართან ერთად.

ის, რაც მან (აბრაამმა) შეძლო არმენიის ივერიაში, ვერ შეძლო მცხეთის ივერიაში, თუმცა კი მისი ძალისხმევით სპარსელებს ტახტიდან ჩამოუგდიათ ქართლის კათალიკოსი კირიონი.

აბრაამმა ანათემას გადასცა სომხეთის ქალკედონიტები. არსენ საფარელის ცნობით, აიძულა ისინი ან სომხური რჯული მიეღოთ ანდა ქვეყანა დაეტოვებინათ, ამის გამო არმენიის იბერიული ზოლის ქართველობა იძულებული იყო კვლავ შეგუებოდა ეკლესიებში სომხურენოვან ღვთისმსახურებას, ვიდრე მე-8 ს.შუა წლებამდე, ამ დროს მათ კვლავ მოიცეს ძალა, კვლავ შეადგინეს სასულიერო პირთა დელეგაცია და კვლავ გააგზავნეს საჩივრით ანტიოქიის პატრიარქის წინაშე, ოღონდ ეს იყო უკვე არა სპარსული ძლიერების, არამედ არაბთა შემოსევების ხანა, არაბები კი, მოვსეს კალანკატუაცის ცნობების თანახმად, სპარსელთა მსგავსად მხარს უჭერდნენ სომხურ-მონოფიზიტურ სარწმუნოებას და დევნიდნენ ბიზანტიურ-ქართულ ქალკედონიტობას.

როგორც ითქვა, იქამდე, მე-8 ს. შუა წლებიდან, ტაოს იბერების საკათალიკოსო, სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლების შემდეგ მირონის შესაძენად ანტიოქიის საპატრიარქოში იხდიდა ათას დრაჰკანს („რაითა წლითიწლად მოსცემდნდნენ ჟამად-ჟამადთა პატრიარქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა“), ასე გაგრძელებულა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III -მდე (996-1021). ამის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორს გაუთვალისწინებია იერუსალიმის საპატრიარქოს ფინანსური გასაჭირი და შემდეგ თანხა წმ. მირონის შესაძენად უნდა გადასცემოდა იერუსალიმის საპატრიარქოს. ვფიქრობ, ეს უნდა მომხდარიყო უფრო იბერიის თემის ჩამოყალიბების შემდეგ, ეს თემი

თავის იურისდიქციაში გადაეცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რამაც გააღიზიანა ანტიოქიის საპატრიარქო, ჩანს, იბერებისაგან თანხის გადახდის პროცესის ცვლილება ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მართლაც, ეფემის ცნობაში ნახსენები კეისარი ბასილი ბულგართმმუსვრელის (976-1025), ნებით იბერების თანხა უნდა გადასცემოდა იერუსალიმს. დაახლოებით ანტიოქიის პატრიარქის იოანე მე-3-ს ეპოქაში (996-1021) ბასილიმ დააარსა კიდეც იბერიის თემი, მას შემდეგ, რაც მძაფრი ბრძოლების შედეგად დაიპყრო ტაოს „ქართველთა სამეფო“.

კვლავ თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, საერთოდ, იმის გამო, რომ, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა იბერიის სხვადასხვა საკათალიკოსოს შესახებ ცნობები საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთში აირია, ამან დაბადა უამრავი გაურკვევლობა, გაუგებრობა და დაბნევა მკვლევრებისა, ხოლო დაინტერესებულ მხარეს აღეძრა სურვილი დაეჭვებულიყო საზოგადოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, მაგრამ, თუკი ისე შევხედავთ ზოგად სქემას, რომელიც წარმოვადგინე, რომ არსებობდა რამდენიმე ივერია, რომელთაც თავიანთი საკათალიკოსოები ჰქონდათ, ამასთანავე ამ საკათალიკოსოებს ავტოკეფალიაც სხვადასხვა დროს ჰქონდათ მინიჭებული, სურათი დალაგდება და გასწორდება, კერძოდ,

1. მცხეთის იბერიის ეკლესია ავტოკეფალური და თავისთავადი იყო მოციქულთა დროიდან, ეს თვალსაზრისი მტკიცედ დაიცვა წმ. გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის საპატრიარქო კარზე პეტრე მე-3-ის დროს.

2. არმენიის იბერიული ზოლის, შემდგომში, ტაოს „ქართველთა სამეფოს“ საკათალიკოსომ ავტოკეფალია მოიპოვა მე-8 ს. შუა წლებში და შეუერთდა დედაქართულ ეკლესიას.

3. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ჩამოყალიბდა მცხეთის საკათალიკოსოს წიაღში, საეკლესიო-ადმინისტრაციული მმართველობის გასაადვილებლად, აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების ეპოქაში, მისი დაფუძნება 830 წელს დაამტკიცა ქართველთა მეფე ბაგრატმა.

ამ იბერიებს სხვადასხვა სახელი ერქვათ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ანტიოქია-იერუსალიმელი პატრიარქები ზოგჯერ უწოდებდნენ ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს, ზოგჯერ კი – ქვემო ივერიისას, გულისხმობდნენ აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებს, ტაოს ივერიის ეკლესიას და ასევ მის ბაზაზე შექმნილ იბერიის თემისას ზოგჯერ „აღმოსავლეთს“ ანდა „აღმოსავალს“ უწოდებდნენ.

საბოლოო ჯამში, იბერიის ეკლესიები ქმნიდნენ ერთიან ქართულ ეკლესიას.

ქართულ ეკლესიაში ცალკეული საკათალიკოსოები არსებობდა ისევე, როგორც, მაგალითად, ბერძნულ სამყაროში ერთმანეთისაგან თავისთავადი, მაგრამ მაინც ბერძნული კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და სხვა საპატრიარქოები, როგორც მაგალითად სომხურ ეკლესიაში დღესაცაა ერთმანეთისაგან ადმინისტრაციულად, მაგრამ სულიერ-ეროვნულად და სარმუნოებრივად ერთიანი ეჩმიაძინის, კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოები, იერუსალიმისა და კილიკიის საკათალიკოსოები.

ქართული ეკლესიის სხვადასხვა საკათალიკოსოს აერთიანებდა ერთიანი ქართული თვითშემეცნება, საერთო ქალკედონური სარწმუნოება, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებანი და სხვა მრავალი.

საბოლოოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ მე-18 ს. ანტიოქიელი ისტორიკოსის, მამა მიქაელ ბრეკის შესანიშნავი ცნობა, რომელიც ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენესაგან აუღია, შეეხება არა მცხეთის იბერიის საკათალიკოსოს, არამედ ტაოს იბერიისას.

გიორგი კედრენე თავის მხრივ სარგებლობდა მნიშვნელოვანი წყაროებით, იოანე სკილიცეს, გიორგი სვინგელოზის, თეოფანე აღმსარებლისა და სხვათა შრომებით. ამასთანავე, აღწერს თავის ეპოქაში ქართველთა და ბიზანტიელთა ურთიერთობებს. ქართველი მეცნიერები ფიქრობენ, რომ მიქაელ ბრეკის ცნობები შეეხება მცხეთის საკათალიკოსოს, ამიტომაც მრავალი ფაქტობრივი, ისტორიული შეუსაბამობის გამო არასანდოდ მიიჩნევა. ჩვენი დაკვირვებით, ისაა ძალზე სანდო, კედრენეზე დაფუძნებული წყარო, რომელიც ასახავს ტაოს იბერთა ბრძოლას სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლებისათვის, რაც წარმატებით განხორციელდა ანტიოქიის საპატრიარქოს დახმარებით.

ამასთანავე, ის აღწერს, არა მხოლოდ მე-8 საუკუნის ამბებს, არამედ მე-11 საუკუნისას, როდესაც ჩამოყალიბდა ბიზანტიური „იბერიის თემი“, ამ დროს ქართული ეკლესია, ათონს მთის მამები, ასევე ადგილობრივი ქართველი ეპისკოპოსები, მაგალითად, ზაქარია ვალაშკერტელი, მედგრად ცდილობდნენ, რათა უკვე ბიზანტიურ იბერიის თემში საეკლესიო ენად დარჩენილიყო ქართული ენა, მაგრამ რეპრესირებულ იქნა, საბოლოოდ, იბერიის თემის სასულიერო საქმის გადაჭრა თავის თავზე აიღო წმ. გიორგი მთაწმიდელმა. ის ანტიოქიაში პატრიარქ პეტრე მე-3-ის წინაშე ამტკიცებდა, რომ იბერიის თემის ქართველობა მხოლოდ ერთი ნაწილია ზოგად ქართული სამყაროსი, შესაბამისად, მრევლი მოციქულების ეპოქიდანვე თავისთავადი ქართული ეკლესიისა, მიიღო კიდეც ანტიოქიისაგან აღიარება, მაგრამ, საბოლოოდ, იბერიის თემი ბიზანტიამ დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიას ბერძნულენოვანი ლიტურგიით.

შეჯამება:

კედრენე წერდა: **„როცა მასთან მივიდნენ ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის შესაბამისად, მაგრამ მან რომ გაიგო, რომ ისინი (ქართველები) გაჭირვებას განიცდიან და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენებისაგან. მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებელი დოგმატის უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი მოეხსენიებინათ, როგორც ამას აკეთებდნენ ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული იბერიელთა პირველი კათალიკოსიდან მოყოლებული“. (Труди киевскои Дух. Акад, 1874:416).**

ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ამ ცნობასთან დაკავშირებით სვამს ასეთ კითხვას – „გაუგებარია, **გიორგი კედრენე რას გულისხმობდა ,,გაბა-**

ტონებულ ენებში“. ვ.გოილაძეს აზრით, საქართველოში ამ დროს გაბატონებული ენები არ არსებობდა. მართალია, იმ დროს საქართველოში კვლავ იყო თბილისის საამირო, მაგრამ მას საქართველოში გაბატონებულად ვერ მივიჩნევთ. არასოდეს ყოფილა, და მით უმეტეს, **XI ს-ში, საქართველო ,,ქრისტიანული დოგმატის უარმყოფელ“ სომეხ კათალიკოსს დამორჩილებოდა.** ამ მხრივ მ. ბრეკის ცნობები საქართველოსთვის სრულიად მიუღებელია“ (გოილაძე. 1991:140)“. (ლევან ტყეშელაშვილი,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები) https://www.academia.edu/34897142/.

ამ კითხვას ვპასუხობ – კედრენეს ცნობა ეხება არა მცხეთის იბერიას, არამედ „მეორე იბერიას“, ანუ ე.წ. „სხვა იბერიას“, მიწა-წყალს, რომელიც შემდგომ მოიცვა ტაოს ქართველთა სამეფომ და ასევე იბერიის თემმა. არმენიის მიერ ოკუპირებულ ამ იბერთა ტერიტორიაზე მე-8 ს-მდე გაბატონებული იყო სომხური ენა, ხოლო იბერი ქრისტიანების პირველიერარქს (და საერთოდ იერარქიას ამ იბერებისას) აკურთხებდა ანუ ხელს ასხამდა სომეხი კათლიკოსი, ამიტომაც უწოდებდა, მაგალითად, პატრიარქი ფოტი სომხების კათალიკოსს „სომხების, ალბანელებისა და იბერების კათალიკოსს“. სომეხი კათალიკოსის მაგიერ მე-8 ს-ში იბერთა კათალიკოსს ხელი დაასხა ანტიოქიელმა პატრიარქმა.

ანუ გიორგი კედრენეს ეს ცნობა აღებული ჰქონდა ანტიოქიური ქრონოგრაფიდან და მე-8 საუკუნის ეს ცნობა მან მიაბა მე-11 საუკუნის სხვა ცნობას, ასევე ანტიოქიურს, რომელიც ასახავდა პეტრე მე-3 პატრიარქთან გიორგი მთაწმიდელის დელეგაციის მისვლას.

მე-11 ს. 50-იან წლებში ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის მოღვაწეობის დროს ქართველები ანტიოქიაში ჩავიდნენ, ასევე მოხდა საუკუნეებით ადრე მე-8 ს-ში, ამ ვიზიტების შესახებ ცნობები კედრენემ ერთმანეთს გადააბა, რითაც ისარგებლა მიქაელ ბრეკმა.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის აზრით ამ ვიზიტების დროს ანტიოქიის პატრიარქმა ქართულ ეკლესიას დაუქვემდებრა ტაოსა და მიმდებარე რეგიონების ეთნიკურად სომეხი ქალკედონიტი მრევლი, ეს არასწორია აზრია.

12

საქმე პირიქით იყო.

ამ დროს ეთნიკურად ქართული მრევლი მე-4 საუკუნიდან, ვიდრე მე-8 საუკუნის შუა წლებამდე შედიოდა სომეხი კათალიკოსის იურისდიქციაში, ოღონდ არა მცხეთის იბერიისა, არამედ მეორე ანუ ტაოს იბერიისა, ისევე, როგორც ამავე ეპოქაში სომეხი კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა ალბანელი ხალხი,

მაგრამ ალაბანელებისაგან განსხვავებით, ტაოს იბერებმა გამოიჩინეს დიდი გამბედაობა, საჩივრით მივიდნენ ანტიოქიის საპატრიარქოში, რამდენჯერმე, სხვადასხვა საუკუნეში და მისი დახმარებით თავი გაითავისუფლეს სომხური იურისდიქციისაგან, დაიბრუნეს საღვთისმსახურო საჭიროებისათვის ქართულენოვანი ღვთისმსახურება,

ეს ვერ შეძლო ალბანელმა ხალხმა, რის გამოც ასიმილირდნენ სომხებში, ხოლო სომხური ენისაგან გათავისუფლებული ქართველები კულტურულად

გაძლიერდნენ და შექმნეს თავისი სახელმწიფო – ტაოს ქართველთა სამეფო, რომელიც საფუძვლად იქცა საქართველოს გაერთიანებისა და საქართველოს ოქროს საუკუნეებისა.

საბოლოოდ რომ ითქვას, მცხეთის ივერიის საკათალიკოსოსთან ერთად ქართულ საეკლესიო სამყაროში არსებობდა ასევე ტაოს ანუ მეორე ივერიის საკათალიკოსო, რომელმაც ავტოკეფალია მოიპოვა მე-8 საუკუნის შუა წლებში, მას შემდეგ, რაც გათავისუფლდა სომხური ეკლესიის უკანონო იურისდიქციისაგან ანტიოქიის საპატრიარქოს დახმარებით, რაც შეეხება მცხეთის ივერიის საკათალიკოსოს, ის თავისთავადი ანუ ავტოკეფალური იყო მოციქულთა ეპოქიდანვე და დაარსებისთანავე.

ტაოს იბერიის საკათალიკოსო გაუქმდა ბასილი მეორის იბერიაში ლაშქრობის შემდეგ, მისი სამრევლოს დიდი ნაწილი იბერიის თემში შეიყვანეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიაში, აქ განლაგდა მისი საეპისკოპოსოები.

იბერიის თემში მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს (ლაზიკის ეპარქიის) შემდეგი კათედრები:

1. ხერიანი; 2. ხამაძური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური); 3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); 4. პაიპერტი (პაიპერი); 5. კერამევი; 6. ლერიონი; 7. ბიზანა (ბიზანტი); 8. ხავიძიტი; 9. ხანძიორძი; 10. ოლნუტი; 11. ფასიანი; 12. (ტო) სერმანძი; 13. ანდაკი; 14. ზარინაკი (გეორგიკა, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185).

ზოგადად კი ივერიის საეკლესიო სივრცეში არსებობდა ასევე ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქების მიერ ქვემო იბერიის ეკლესიად წოდებული აფხაზეთის საკათალიკოსო.

ასევე, ჩრდილოეთ კავკასიაში დაახლოებით XIII-XIV საუკუნეებში ქართული საეპისკოპების ანწუხის, წახურის, ხუნძახისა და სხვა ჩამოყალიბების შემდეგ, შექმნილა ხუნძეთის ქართული საკათალიკოსო, ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის სახელი ცნობილია სინას მთის აქტებიდან.

ყველა ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის – საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები იყო, როგორც მრავალჯერ აღინშნა, საერთო ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო სჯულისკანონით, საერთო საეკლესიო ტრადიციებით, საერთო წმიდანებით, საერთო საეკლესიო ქართულენოვანი ღვთისმსახურებითა და კულტურით.

წმიდა სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილების შესაბამისად, არასწორია ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მტკიცება, თითქოსდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, ასევე არასწორია მტკიცება, რომ კონსტანტინოპოლის როდოპოლისის კათედრა მდებარეობდა ვარციხეში, პეტრასი – ციხისძირში, საისინისა – ცაისში და ზიგანასი – გუდაყვაში, ნაშრომში გარკვეულია, რომ ცნობილი მეცნიერი ჟან დარუზესი შეცდომაში შეიყვანა თითქმის მთელი XX საუკუნის მანძილზე საბჭოთა სივრცეში დანერგილმა ამ თეორიამ.

გარკვეულია, რომ სამართლიანია პროფესორი ნიკოლოზ ადონცი, რომელიც აღნიშნულ ბერძნულ საეპისკოპოსოებს ლაზისტანში ათავსებდა, კერძოდ, ფაზისი ფატსასთან ან რიზესთან, როდოპოლისის კათედრა ამჟამინდელ სუმელასთან, ზიგანა (ზიგანევის) კათედრა გუმუშხანესთან (ზიგანას უღელტეხილთან ტრაპეზუნტ-არზუმის შემაერთებელ გზაზე), პეტრას კათედრა კი ქ. ბაიბურდთან. ამ კათედრებს მონაწილეობა არ მიუღიათ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებაში, საბოლოოდ ისინი მოიცვა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტომ.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ აზონის, ფარნავაზისა და ქუჯის მიერ ძვ. წ. IV-III სს. დაარსებულ სახელმწიფოს („ქართლის სამეფოს“) აერთიანებდა ერთი კულტურა.

ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ მისი წინამორბედი – ძველი კოლხიდის (კოლხეთის) კულტურა (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი – I ათასწლეულის I ნახევარი) ასევე მთელი საქართველოს მომცველი იყო, როგორც ამას აჩვენებს მისი კულტურის განვრცობის არეალი.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ისტორიული მემკვიდრე „ქართლის სამეფო“ ეგრისის ერისთავ ქუჯისა და ფარნავაზის მიერ დაარსებული ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს მოიცავდა და ის, წყაროების მიხედვით, არსებობდა ახ.წ. VIII საუკუნემდე, არჩილ და მირ მეფეებამდე. ამ სამეფოს აღორძინების ფაქტად განიხილებოდა საქართველოს გაერთიანება მე-10 ს. ბოლოს.

ძველი კოლხეთის ძლიერება კიმერიელების შემოსევის შემდეგ ძვ.წ. მე-8 ს. ჩაიფერფლა, მაგრამ სიცარიელეს ავსებდა „ახალი კოლხეთი“, ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა. ესაა უცხოური წყაროების ლაზიკა. გაირკვა, რომ ასეთი ლოკალიზაციის შემთხვევაში, უცხოური წყაროების ცნობები „ახალი კოლხეთის“ და ლაზიკის შესახებ არ ეწინააღმდეგება ქართული წყაროების ცნობებს.

ერთიანი, თანამედროვე ქართული კულტურისა და სახელმწიფოს მესაძირკვლეებად ქართულ წყაროებს მიაჩნდათ მეფეები – აზონი და ფარნავაზი, ასევე ეგრისის ერისთავი ქუჯი. კულტურის მთლიანობა მიიღწეოდა ქვეყნის ორივე ნაწილის მომცველი ერთი სახელმწიფო ენით, ადმინისტრაციით, საფინანსო სისტემით, რაც ყველაზე მთავარია, რელიგიითა და სხვა ნიშნით.

მაშასადამე, ეროვნული წყაროებისა და მოღწეული არტეფაქტების თანახმად, ძველთაგან საქართველოში არსებობდა ერთი კულტურა და არა ორი.

ათასწლეულთა მანძილზე ჩვენი ხალხის ხანგრძლივი ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი იყო ერთიანი კულტურის არსებობა რომლის საყრდენი ბურჯი იყო საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესია.

სარჩევი

შესავალი 3

კარი I

ტაო

თავი 1

ტაოს იბერია

ტაოს იბერთა მოკლე ისტორია.....17
„სომხურენოვანი“ ქართველები და ალბანელები.....37
პროტოქართული ეთნოსიდან ვიდრე ტაოს
„ქართველთა სამეფომდე“ 52
სტრაბონის ცნობა არმენიელების მიერ იბერიელთა მიწების
მიტაცების შესახებ (პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა).....60
აზო-ფარნავაზის შიდადინასტიური ბრძოლა 62
ფარნავაზი და ვახტანგ გორგასალი
ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალზე.....63
დასავლეთ არმენიის ხალხში
ეთნოიდენტობის ძიების შედეგები (IX-Xსს.) 67
ლაზიკის ეპარქია – პერსარმენიაში შემავალი პერსიბერიის
(ისტორიული ყოფილი არიან-ქართლის) ქართველობის
გამაერთიანებელი.....69
უცხოური წყაროები მეგრელთა და სვანთა
იბერიელობის შესახებ („ივერთა ავტოკრატორი“
ანუ ტრაპეზუნტის იმპერატორი და „ივერთა ხელმწიფე“
ანუ სამეგრელოს მთავარი (ლევან II დადიანი).....72
ბრძოლა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობის
აღსადგენად „ზემო ქვეყნებში“ (X-XVI სს.).....76
„არმენიის“ ქართველთა სარწმუნოება და წმიდა ნინო.....79
წმ. ნინო ლაზიკაში (IV ს.) (სოტიროპოლი, ლაზია, ალანია).....82
არმენიის იბერიული ზოლის საუნჯენი („ქებაჲ და დიდებაჲ
ქართულისა ენისაჲ“ და წმიდა ნინოს ჯვარი) 87
ა. არმენიის ქართველთა საუნჯე (VI-X სს.) 87
ბ. „ქებაჲ და დიდებაჲს“ საეკლესიო საფუძვლები (VI-X სს.) 88

თავი 2

„მეორე ივერიის“ ქართული მრევლი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში IV-VIII სს-ში

სომხური ეკლესიის თავდაპირველი იურისდიქცია (IV-V სს.) 98

ბასიანის სომეხი ეპისკოპოსები 100

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ვერსიის არასწორი თარგმნა ნ. მარის მიერ(არა „აფხაზეთი“, არამედ „არზანენა“) 100

კირიონისმიერი ეროვნული გამოფხიზლება დასავლეთ არმენიის ქართველობისა 101

ენობრივი ვითარება გუგარქში 102

კირიონ I 103

არმენიის ქართველთა დიდი გამოფხიზლება 110

კირიონის „გამოფხიზლების“ პროექტი 111

გამოფხიზლების ორი მთავარი სტიმული (IV-X სს.) 111

წმ. დავით და ტარიჭანი, ისააკი და იოსები 113

ახალი ერა სომხეთის ეკლესიის ისტორიაში 114

არსენი საფარელი ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობებს შესახებ VI-VII საუკუნეებში („განყოფისათვის ართველთა და სომეხთა“) 114

არასწორი თეორიები იბერებისა და სომეხი ქალკედონიტების შესახებ 116

სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ქართული ფრთა (ქართველები სომხეთში) 126

პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მითითება ტაო-ბასიანის ქართველთა და ასევე ალბანელთა შესახებ (X ს.) (წყაროს ჩვენებით, დასავლეთ საქართველო (მდ.კლისურამდე) არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში) 127

წმიდა მამები – ექვთიმე მთაწმიდელი, სტეფანე მტბევარი და სხვანი სომხური ეკლესიის მძლავრობის შესახებ 131

„სომეხ-ქალკედონიტთა“ ნამდვილი ვინაობა (აღმსარებლობა და ენა) 136

სომეხ-ქალკედონიტთა იერარქიული დამოკიდებულება იმპერიის ეკლესიასთან (VI-VIII სს.) 143

სომხურ-ქალკედონური ეპარქიები ლაზიკაში 144

წმიდა ნერსე იშხნელი 145

გუგარქელი, ტაოელი, ვანანდელი და არზრუმელი აზნაურები სომხური ეკლესიის წინააღმდეგ 151

ბასიანის სოფელი ოკომი და ანისის სომხური ჯვარი 152
ანისის ჯვრის ლურსმნები 153

თავი 3

„აღმოსავლეთის“ საკათალიკოსო

„ივერთა“ (ავანის) საკათალიკოსო (VII ს-ის დასაწყისი)
(„კათალიკოსნი აღმოსავალისანი“) 156
„იბერიელი“ იოანე ბაგარანელის დელეგაცია ანტიოქიაში
და მისი ტაძარი ავანში 158
მამამთავარ-პატრიარქი დავით კურაპალატის კარზე (X ს.) 166
ტაოს სამამამთავროს საზღვრები (X ს.) 167
„აღმოსავლეთის კათალიკოსნი“ 170
„ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“
(პარხლის მონასტრის წარწერა მეფე დავით კ ურაპალატის
(+1001) დროისა) 173
იშხანი – ავანი 178
ქართულ ხელნაწერებში სომხური განმარტებითი წარწერები 180
დიდი გაქცევა სომხური ეკლესიიდან (გვირპელის საკითხი) 186
„ქართველთა სამეფოს“ დაარსება (IX-X სს.) (იოანე
დრასხანაკერტელი, სომეხთა ისტორია, 1965) 189
მეფეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 192
ქართველთა მეფის ტიტული 198
„სომეხთა და ქართველთა მეფე“ 198
ბაგრატიონთა ლეგიტიმაცია 200
მირდატის ძენი და ბაგრატიონები კლარჯეთში 201
ძველი ლაზიკის მეფეების წარმომავლობა ჭანეთ-ტაოს სამეფოდან 203
ბაგრატიონები ბაიბერდიდან კლარჯეთში 205
ბაგრატიონებს თავიანთი გვარი აღებული
ჰქონდათ დედის მხრიდან 206
ბერძნული საკარისკაცო ტიტულები 208
ტაოელები „არიან-ქართველთა“ მემკვიდრეები 208
მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება (X ს.) 209
განმათავისუფლებელი ლაშქრობა ვიდრე ვანის ტბამდე ხალხის
მხარდაჭერით (X ს.) და სომხური ეკლესიების თავლებად გადაქცევა 211

თავი 4

ლაზიკის ეპარქიის იურისდიქციის განვრცობა იბერიის თემში

იბერიის თემი 215
იბერიის თემი „ბიზანტიის ისტორიის“ მიხედვით 215
მანრალია და მარდალია – იბერიის თემის ძირითადი ნაწილები 216
ბასიანელნი ანუ მესხნი ქართლის ცხოვრების მიხედვით (IX-XI სს.) 217
ანისი – იბერიის თემის ერთ-ერთი დედაქალაქი,
ერევანი – „საქართველოს ქალაქი“ 219
გოგარენა – „ჰერეთი“ 222
„იბერიის თემის“ ოლქები და გზები 223
ბასილი II-ისა და სხვა იმპერატორების ომები
იბერიის წინააღმდეგ (1001-1054 წწ.) 231
ვალაშკერტი და თორმეტი ქართული გავარი (XI ს.)
ა. ლასტივერტეცის ცნობით 234
საეკლესიო იურისდიქციათა ცვლილება (XI ს.) 236
საბა მტბევარი, ეზრა ანჩელი, ბანელი იოანე და ზაქარია
ვალაშკერტელი (XI ს.) (ქართულენოვანი სამიტროპოლიტო
ოლქი ბიზანტიის იმპერიის იბერის თემში) (1001-1025 წწ.) 237
„იბერიის თემში“ ქართულენოვანი ეპარქიის გაუქმება (XI ს.) 243
ვალაშკერტის სამამამთავრო და ლაზიკის
სამიტროპოლიტო (XI ს.) 247
„ნათესავით ქართველნი“ (გრიგოლ ბაკურიანის ძე) 248
ქართული საეპისკოპოსოები ყოფილი მესხეთის მიწებზე
(XII-XVI ს. „ქრონიკების“ მიხედვით) 251
ყოფილი იბერიის თემის მემკვიდრე ქართული
საეპისკოპოსოები (XIV-XVII სს.) 252
სომეხი ქალკედონიტების ენა 254
არაქსის ხეობისა და მისი მთიანეთის (შემდგომი
აირარატის) არმენიზაცია 256
ავანი და „ივერთა აღმოსავალის საკათალიკოსო“ 261
ეთნოკულტურული სიტუაცია 272
ფიდანიანისა და სტეპანენკოს არასწორი თეორიების კრიტიკა 275
დასკვნა (ე.წ. სომეხ-ქალკედონიტთა შესახებ) 284

კარი II

ლაზიკა

შესავალი.....287

თავი 1

I ლაზიკა (ლაზიკის სამეფო)

ზემო ანუ ჩრდილოეთ ლაზიკა (დასავლეთ საქართველოს ლაზიკა).....290
ლაზიკის მთავარი მდინარე ფაზისი 296
ლაზიკის საერთაშორისო გზა.....306
ლაზიკაზე გამავალი სპარსეთ-ბიზანტიის მაკავშირებელი გზა..... 306
ლაზიკის ზღვისპირა სანაპირო ხაზის სიგრძე.....315
კოლხიდისა და ლაზიკის ქალაქები.....316
1. პეტრა..... 316
2. ტრაპეზუნტი, ისულმენი, კენე პარამბოლე, სებასტოპოლი..... 319
3. პითია-პიტიუსი (პიტიუნტი) 320
4. ზიგანა, მოხორა, არდასი..... 321
5. აფსარუ – აფსაროსი (აფსარუნტი)..... 322
6. ფასისი-სებასტოპოლისი 323
7. ნოქალაქევი, ფოთი 325
8. არქეოპოლისი..... 326
9. სკანდა და სარაპანისი 328
10. როდოპოლისი..... 332
ლაზთა სამეფოს ისტორია 334

თავი 2

II ლაზიკა (ლაზონა, ლაზისტანი, ქვემო ანუ სამხრეთ ლაზიკა)

პონტოს ლაზიკა.....341
მიხეილ პანარეტოსი ლაზიკისა და ლაზების შესახებ.....343
სამხრეთ ლაზიკა და „ლაზთა სამეფო“ (ე.წ. „დამოუკიდებელი
ტომები“ და ჭანები) 345
საეპისკოპოსოები ლაზიკაში
ეკლესიური ლაზიკა
წმიდა ნინო ლაზიკაში ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით 353

ლაზთა ეპისკოპოსები (ზემო ანუ ჩრდილოეთ ლაზიკის ეპისკოპოსები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში) 358
სამიტროპოლიტო ლაზიკაში (სამხრეთ ლაზიკა (ჭანიკა) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში)..... 361
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები „იბერიის თემში“.....375

კარი III

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

შესავალი..... 387

თავი 1

უცხოური წყაროები

ეკლესიის მამათა ცნობები იბერთა შესახებ 393
საეკლესიო მწერლები ნაბუქოდონოსორის ეპოქაში შავი ზღვისპირეთსა და არაქსის ხეობაში იბერთა ცხოვრების შესახებ 393
იბერთა ტომი „ლუვიას ქვეყანაში“ ე.წ. „ლიბიაში“ 401
ძველ ბერძენ-მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა განმარტებანი ქართველთა წარმოშობის შესახებ 405
კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერთა შესახებ 409
კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა.....410
არაქსი – საზღვარი იბერიასა და ბიზანტიას შორის 413
ტაო და სხვა ქართული ტომები ქსენოფონტესთან 417
ქსენოფონტეს „კიროსის ანაბასისი“ 417
ქსენოფონტე ქალდების შესახებ 427
სტრაბონის ცნობები ლაზ-ალაზონების შესახებ 430
ალაზონები და გეორგები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებით 431
ლაზები და სვანო-კოლხები პტოლემაიოსთან 434
ძვ. წ. II ს-ში არმენიელთა მიერ მიტაცებული იბერიელთა მიწები სტრაბონის ცნობით 438

თავი 2

ქართული წყაროები

ფარნავაზის ეპოქაში პირველი ერთიანი საქართველოს
სახელმწიფოს დაარსებისა და იმჟამინდელი ერთიანი
ქართული კულტურის შესახებ 440
შესავალი.....440
სიახლე და მიზანი 443
არქეოლოგიის გაყალბება 453
წყაროები 454
„ქართლის ცხოვრება“ 461
სომხური წყაროები ფარნავაზის შესახებ 467
ჰიპოთეზა ფარნაბაზისა და ფარნავაზის
ურთიერთმიმართების შესახებ.....470
დასკვნა 475

თავი 3

ლიტერატურა

იბერიის თემის მიწა-წყალზე ისტორიულად მცხოვრები ტომები..... 477
ლაზები გ. გოზალიშვილის მიხედვით 482
ადელლე ბილლისა და ო. ლორთქიფანიძის განსხვავებული
მოსაზრებანი კოლხეთის შესახებ..... 496
ნ.ადონცი, „არმენიის ივერიული ზოლი“
1. დასავლეთ არმენიის ეთნიკური სახე (ძვ. წ. II ს-დან)..... 499
2. ისტორიული ქართული ოლქები არმენიაში..... 503
3. გოგარენა, კორდუენა და ბასიანი (V-VII სს.)..... 504
4. ივერია, პერსარმენია და პერსიბერია (IV-VI სს.)..... 505
5. სომხების გადასახლება პერსარმენიიდან
ბიზანტიურ სომხეთში V-VI სს. 507
„ოთხი არმენია“ ხალიბების ყოფილ მიწაზე (IV-VI სს.) 509
იბერები ხოტენესა და აკილისენეში 510
ნ. ხაზარაძე მოსხების ქვეყნის შესახებ (ძვ. წ. I ს.)..... 513
პ. ინგოროყვა მესხეთ-კოლხეთის შესახებ (I ს.)..... 520
წიგნის ზოგადი დასკვნა..... 522